ლენინი
გეჭდვითი
სიტყვის
შესახებ

საქართველოს კომუნისტური პარტიის
ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

19. თბილისი. 62

კრებულში ვ. ი. ლენინი ბეჭდვითი სიტყვის შესახებ შესულია ლენინის უმნიშვნელოვანესი სტატიები, სიტყვები, მოხსენებები, შენიშვნები, წერილები, რომლებიც ნათელ წარმოდგენას გვაძლევენ რუსეთის პერიოდული ბეჭდვითი სიტყვის განვითარების შესახებ (დაწყებული განმათავისუფლებელი მოძრაობის პროლეტარული პერიოდიდან), აგრეთვე მთლიანად პრესის მთავარი პრობლემების შესახებ. მასალები განლაგებულია ქრონოლოგიურად. გამონაკლისს შეადგენენ სტატიები: «რუსეთის მუშათა ბეჭდვითი სიტყვის წარსულიდან», რომლითაც იხსნება კრებული; «პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა» და «პირველნდელი მონახაზი სტატიისა «საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანები», რომლებიც გამოტანილია მეორე და მესამე ნაწილების დასაწყისში. კრებული აღჭურვილია ფართო ხამეცნიერო აპარატით.

ვ. ი. ლენინი და ბეჭდვითი სიტყვის საკითხები

უმდიდრეს იდეურ ლენინურ მემკვიდრეობაში ბევრი მკაფიო, თავისი სიღრმით უმაგალითო ფურცელია მიძღვნილი ბეჭდვითი სიტყვისადმი. ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვის მთელი ისტორია მისი პირველი ნაბიჯებიდან, როცა იგი წარმოდგენილი იყო ლენინის ხელით დაწერილი არალეგალური ფურცლების რამდენიმე ეგზემპლარით, ჩვენს დრომდე, როცა პრესა საბჭოთა ხალხის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების მძლავრი მოვლენა გახდა, განუყრელად დაკავშირებულია ვ. ი. ლენინის სახელთან. ბეჭდვითი სიტყვა ლენინისათვის იყო ის, რასაც იგი, მისი საკუთარი აღიარებით, «მრავალ წელს ელოლიავებოდა როგორც საყვარელ პირმშოს, რასაც განუყრელად უკავშირებდა მთელ თავის სასიცოცხლო მუშაობას».

ლენინური მემკვიდრეობა ბეჭდვითი სიტყვის შესახებ განსაკუთრებით ღრმა და მრავალმხრივია. არ არის არც ერთი რამდენადმე დიდმნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც პარტიული ბეჭდვითი სიტყვის თეორიასა და პრაქტიკას ეხება, რომ იგი გაშუქებული არ იყოს ვ. ი. ლენინის ნაშრომებში. ამ მემკვიდრეობის —მრავალრიცხოვანი სტატიების, წერილების, სამსახურებრივი ჩანაწერების, ბეჭდვითი სიტყვის შესახებ ცალკეული შენიშვნების შესწავლა გვაიარაღებს იმის გაგებით, თუ როგორ აფასებდა ვ. ი. ლენინი გაზეთის როლს რევოლუციური მუშაობის სხვადასხვა ეტაპზე, როგორ იზრდებოდა და იცვლებოდა ბეჭდვითი სიტყვის მნიშვნელობა მუშათა რევოლუციურ მოძრაობაში, როგორ ქმნიდა და წარმართავდა დიდი ბელადი ბეჭდვითს სიტყვას პროლეტარიატის დიქტატურისა და სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის ეპოქაში.

* * *

ვ. ი. ლენინმა წამოაყენა და დაამკვიდრა იდეა გაზეთისა — კოლექტიური პროპაგანდისტის, აგიტატორისა და ორგანიზატორისა, ესე იგი გაზეთის ისეთი ტიპი, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება

რევოლუციური მარქსისტული პარტიის, ახალი ტიპის პარტიის ისტორიულ როლს. სანამ მებრძოლ პროლეტარულ პარტიას შექმნიდა და იმისათვის, რომ ეს მსოფლიო-ისტორიული ამოცანა გადაეწყვიტა, ვ. ი. ლენინმა წამოაყენა რევოლუციური მარქსისტული ბეჭდვითი სიტყვის შექმნის იდეა.

1900 წელს გადასახლებიდან რომ დაბრუნდა, ვ. ი. ლენინს სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა ცალკეულ წრეებად და ჯგუფებად დაქუცმაცებული დახვდა. პარტიის I ყრილობამ ვერ შეაკავშირა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები, სოციალ-დემოკრატებს შორის არსებობდა სერიოზული სხვადასხვაობა სოციალისტური მოძრაობის ამოცანებზე შეხედულებებში. მუშათა მოძრაობა კი, რომელიც ძლიერდებოდა, დღის საარსებო ამოცანად აყენებდა მისი ორგანიზაციის, ხელმძღვანელობის მოთხოვნას, მოძრაობის თეორიულ და პრაქტიკულ საჭიროებებზე ერთიანი შეხედულების გამომუშავების მოთხოვნას. ამ პირობებში თვით ცხოვრებამ დააყენა საკითხი: რა ვაკეთოთ, შემდეგში საით და როგორ წავიყვანოთ საქმე? ესერები, ხოლო შემდეგ «ეკონომისტების» ნაწილიც ამ კითხვაზე უპასუხებდნენ: გამოვიყენოთ ინდივიდუალური ტერორი მთავრობის ხელისუფლების წარმომადგენლებისადმი, მინისტრებისადმი და სხვ. ვ. ი. ლენინმა პირველმა დაინახა უდიდესი საშიშროება ამ გზისა, რომელსაც შეეძლო დაეღუპა მუშათა მოძრაობა: მან უარყო იგი, და დროის ამ საარსებო საკითხზე ასე უპასუხა: შევქმნათ მტკიცე ცენტრალიზებული პარტია, როგორც პროფესიონალი რევოლუციონერების ორგანიზაცია, რომელსაც უნარი ექნება უხელმძღვანელოს მასების სტიქიურ მოძრაობას, სათავეში ჩაუდგეს მას.

რით დავიწყოთ ასეთი პარტიის აგება, სად არის ის იდეური და ორგანიზაციული ცენტრი, რომლის გარშემო შეიძლება რევოლუციური ძალების კონსოლიდაციის განხორციელება? ამ კითხვაზე ლენინი სტატიაში «რით დავიწყოთ?» უპასუხებდა: საერთორუსეთის პოლიტიკური გაზეთის დაარსებით. «ჩვენი აზრით, — წერდა იგი, — მუშაობის ამოსავალი პუნქტი, პირველი პრაქტიკული ნაბიჯი სასურველი ორგანიზაციის შესაქმნელად, დასასრულ, მთავარი ძაფი, რომელზე ხელის ჩაჭიდებით შევძლებთ ამ ორგანიზაციის განუხრელად განვითარებას, გაღრმავებას და გაფართოებას, — უნდა იყოს საერთორუსეთის პოლიტიკური გაზეთის დაარსება... გაზეთი არის არა მარტო კოლექტიური პროპაგანდისტი და კოლექტიური აგიტატორი, არამედ კოლექტიური ორგანიზატორიც».

საერთორუსეთის პოლიტიკური გაზეთის გამოცემას ვ. ი. ლენინი ძალიან ბევრ რამეს უკავშირებდა. მისი აზრით, ბეჭდვითს ორგანოს

ხელი უნდა შეეწყო პარტიის თეორიულ და პრაქტიკულ ამოცანებზე შეხედულებათა ერთიანობის გამომუშავებისათვის და თავის გარშემო შეეჯგუფებინა პარტიული აქტივი. გაზეთი გახდება მეფის წყობილების ეკონომიური და პოლიტიკური წესების მხილების ტრიბუნა, იგი იქნება რევოლუციურ-სოციალისტური იდეების კოლექტიური პროპაგანდისტი და ამით აღზრდის მასების რევოლუციურ აქტივობას და მოახდენს რევოლუციური ძალების კონცენტრაციას. და მეორე მხრივ, იგი გახდება პარტიის კოლექტიური ორგანიზატორი, დაქსაქსული სოციალ-დემოკრატიული ძალების თითქოს აკუმულატორი. როგორც ცნობილია, ეს ორმაგი ამოცანა — ყოფილიყო რევოლუციურ-სოციალისტური იდეეაის ტრიბუნა, მქადაგებელი, რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის თეორიული ორგანო და ყოფილიყო მაორგანიზებელი ცენტრი, რომლის გარშემოც გაერთიანდებოდნენ დაქსაქსული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები, ჩამოყალიბდებოდა ერთიანი ცენტრალიზებული პარტია, წარმატებით შეასრულა ლენინურმა «ისკრამ».

ახლა «ისკრის» ისტორიული გამოცდილების მიხედვით განსაკუთრებით ნათლად ჩანს, რაოდენ მართალი იყო ვ. ი. ლენინი და რა ბეცები იყვნენ ისინი, ვინც ცდილობდა არალეგალური საერთო-რუსეთის პოლიტიკური გაზეთის ორგანიზაციის, როგორც პარტიის მშენებლობის უმნიშვნელოვანესი წანამძღვრის, ლენინური გეგმა გამოეცხადებინა კაბინეტური აზრისა და კაბინეტური მუშაობის ნაყოფად, წიგნურ სიტყვაღვლარჭნილობად, ქაღალდის საქმედ და სხვ. საჭირო არ არის დაწვრილებით შევჩერდეთ «ისკრის» როლზე პარტიის მშენებლობაში. ლენინის ნაშრომებში, რომლებიც კრებულშია შესული, პარტიულ გადაწყვეტილებებში, და შესაბამის შენიშვნებში მკითხველი საკმაო მასალას იპოვნის ამ საკითხზე.

მასებზე გავლენისათვის პარტიის ბრძოლის ყველა შემდგომი წლის მანძილზე, მენშევიზმთან ბრძოლაში, მეფის აბსოლუტიზმის საიერიშოდ მუშათა კლასის მომზადებაში და შემდეგ კაპიტალიზმის წინააღმდეგ გაფთრებულ ომში ლენინი განუხრელად მიმართავს ბეჭდვითს სიტყვას როგორც ნაცად იდეოლოგიურ და ორგანიზაციულ იარაღს, იგი ასწავლის პარტიას დიდად აფასებდეს ბეჭდვითს სიტყვას, უურადღებით ადევნებს თვალს მის განვითარებას, მუშათა წრეში ბეჭდვითი სიტყვის ავტორიტეტის განმტკიცებას, ტირაჟის ზრდას, მუშათა ფართო მასებთან ბოლშევიკური გაზეთების მჭიდრო კავშირის დამყარებას.

ეს განსაკუთრებით მკაფიოდ იჩენს თავს საზოგადოებრივი გან-

ვითარებისა და რევოლუციური ბრძოლის ყველაზე რთულ და პასუხსაგებ პერიოდებში.

II ყრილობის შემდეგ მენშევიკებმა, ხელთ იგდეს რა პარტიის ცენტრალური ორგანო «ისკრა», დაიწყეს ორგანიზაციული თავაშვებულობის აღვირახსნილი პროპაგანდა, ძირს უთხრიდნენ პარტიულობას და პარტიულ დისციპლინას. რსდმპ, რომელიც ფაქტიურად ორ ფრაქციად გაყოფილი აღმოჩნდა, მძიმე შინაგან კრიზისს განიცდიდა. ამასობაში ჩვენს ქვეყანაში იზრდებოდა რევოლუციური აღმავლობა — იგი კატეგორიულად მოითხოვდა პასუხს რევოლუციური ბრძოლის მთელ რიგ მომწიფებულ საკითხებზე: რევოლუციური აჯანყების ორგანიზაციის, მეფის თვითმპყრობელობის დამხობის შესახებ, დროებითი რევოლუციური მთავრობის შექმნის შესახებ, ამ მთავრობაში სოციალ-დემოკრატიის მონაწილეობის შესახებ, გლეხობისადმი, ლიბერალური ბურჟუაზიისადმი დამოკიდებულების შესახებ და სხვ.

ამ პირობებში რევოლუციის თვით ბედი ბოლშევიკებისაგან მოითხოვდა გადაედგათ ენერგიული ორგანიზაციული ნაბიჯები, რათა ეხსნათ პარტია მენშევიკური «ისკრის» მავნე გავლენისაგან და გასაქანი არ მიეცათ მენშევიკების შემდგომი მოქმედებისათვის, რომლებიც პარტიას ხრწნიდნენ.

ლენინის წინაშე, ბოლშევიკების წინაშე დადგა საკითხი: რით დაეწყო ბრძოლა მენშევიკი დეზორგანიზატორების წინააღმდეგ, რათა მარქსიზმის დროშის ქვეშ გაეერთიანებინათ და შეეკავშირებინათ რუსეთის პარტიული ორგანიზაციები? პარტიის III ყრილობის მოწვევით, საკუთარი პერიოდული ბეჭდვითი ორგანოს შექმნით,— უპასუხა ვ. ი. ლენინმა. «მთელი საქმე ახლა ეს ორგანოა, — სწერდა იგი უმრავლესობის კომიტეტის ბიუროს წევრებს რუსეთში,—უიმისოდ ჩვენ ნამდვილი, უსახელო სიკვდილისაკენ მივდივართ». იდეურად და ორგანიზაციულად მოამზადებდა რა III ყრილობის მოწვევას, ბოლშევიკურ გაზეთს, ლენინის ჩანაფიქრით, გადაჭრით უნდა ემხილებინა ახალისკრელი მენშევიკების ოპორტუნიზმი, თანმიმდევრულად დაეცვა და განეითარებინა ბოლშევიზმის პრინციპები ტაქტიკურ და ორგანიზაციულ საკითხებში.

ეს ისტორიული ამოცანა წარმატებით შეასრულა გაზეთმა «ეპერიოდმა». თუ «ისკრა» იყო ცენტრი, რომლის გარშემო ყალიბდებოდა პარტია, ერთიანდებოდნენ რევოლუციური ძალები, გაზეთმა «ეპერიოდმა» თვალსაჩინო როლი შეასრულა მებრძოლი პროლეტარული პარტიის განმტკიცებაში, რევოლუციაში მისი ხელმძღვანელი როლის ამაღლებაში. ცნობილია, რომ პარტიის III ყრილობამ, მაღალი

შეფასება მისცა რა გაზეთ «ვპერიოდის» საქმიანობას, მადლობა გამოუცხადა რედაქციას.

ისტორიულმა ვიცთარებამ, რომელშიც პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია იწყებოდა, პარტიას კოლოსალური ამოცანები დაუსახა რევოლუციური მასების პოლიტიკური აღზრდისა და ორგანიზაციის დარგში. მათი განხორციელება, როცა არსებობდა მხოლოდ არალეგალური ბეჭდვითი სიტყვა, თუნდაც ფართოდ გავრცელებული, მეტისმეტად ძნელი იყო. პარტიის ცენტრალური ორგანო გაზეთი «პროლეტარი», რომელიც საზღვარგარეთ გამოდიოდა, სრულად ვერ აკმაყოფილებდა უდიდეს მოთხოვნილებას რევოლუციურ ლიტერატურაზე: გაზეთი გამოდიოდა კვირაში ერთხელ და რუსეთში დიდი დაგვიანებით მოჰქონდათ.

ამ პირობებში პარტიას მწვავედ ესაჭიროებოდა ღია საერთორუსეთის ტრიბუნა — ლეგალური გაზეთი, რომლის ფურცლებიდანაც მას შეეძლებოდა ეხელმძღვანელა პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლისათვის, განეზოგადებინა რევოლუციის გამოცდილება და გაეფართოებინა მისი ბაზა. პარტიის III ყრილობამ რეზოლუციაში «პროპაგანდისა და აგიტაციის შესახებ» ერთერთ საარსებო ამოცანად აღნიშნა, რომ საჭიროა «ზრუნვა რუსეთში პოპულარული ორგანოს დაარსებისათვის...»

როცა 1905 წ. ოქტომბერში ბოლშევიკების ინიციატივით რუსეთში დაიწყო პირველი ლეგალური გაზეთის «ნოვაია ჟიზნის» გამოცემა, ვ. ი. ლენინი მხურვალედ მიესალმა მას და წერდა, საჭიროა მას «დიდი ყურადღება» მიექცესო.

სწორედ «ნოვაია ჟიზნი», რომელსაც ვ. ი. ლენინი ხელმძღვანელობდა, გახდა სახელდობრ ასეთი ტრიბუნა სახალხო რევოლუციის გაშლისა და მისი გამარჯვების ლენინური სტრატეგიული გეგმის, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციაში გადაზრდის გეგმის განხორციელებისათვის ბრძოლაში.

რეაქციის წლებში, როცა მუშათა კლასმა დაკარგა შეუპოვარი სისხლისმღვრელი ბრძოლით 1905-1907 წლებში მიღწეული ბევრი მონაპოვარი, პარტიული ორგანიზაცია ძლიერ დასუსტებული აღმოჩნდა, და პარტიას მოუხდა მთავარი ყურადღება მიექცია კადრების, უფრო მტკიცე და გამოცდილი მუშაკების გაერთიანებისა და აღზრდისათვის. პარტია თავისი ისტორიის ერთ-ერთ მძიმე პერიოდს განიცდიდა. თავი წამოყვეს ლიკვიდატორებმა, რომლებიც მოუწოდებდნენ რევოლუციური პარტიული ორგანიზაციის ლიკვიდაციისაკენ. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მუშათა კლასის, პარტიის დაცვას ლიკვიდატორი მენშევიკების გამხრწნელი გავლენისაგან, ფართო

პროლეტარული მასების შეკრებას ბოლშევიკური დროშების ქვეშ. მათს შეიარაღებას ბოლშევიკების ტაქტიკური და ორგანიზაციული ამოცანების ნათელი გაგებით.

და როგორც უკვე არაერთხელ ყოფილა რევოლუციური ბრძოლის ისტორიაში, როცა პარტიას თავის გარშემო უნდა შეეკავშირებინა, გაეერთიანებინა მუშათა ფართო მასები, ვ. ი. ლენინი ამჯერადაც ამ ამოცანების განხორციელების უმნიშვნელოვანეს საშუალებად ბეჭდვითს სიტყვას ასახელებს, ასე წყდებოდა საკითხი რევოლუციური აღმავლობის წლებშიც. «ლეგალურად არსებული, მარქსისტული სულისკვეთებით გამსჭვალული გაზეთები, — წერდა ლენინი, — ამჟამად ყველაზე მნიშვნელოვანი ღია რუპორია რუსი მუშა სოციალ-დემოკრატებისათვის, პარტიაში სააგიტაციო მუშაობასთან დაკავშირებით». ბოლშევიკური იდეების ეს რუპორი, ტრიბუნა და ორგანიზაციული ცენტრი იყო «პრავდა» — პირველი ლეგალური მასობრივი მუშათა გაზეთი. 1912-1914 წლების «პრავდა», მისი მრავალმხრივი საქმიანობა ძალიან ბევრს იძლევა იმის გაგებისათვის, თუ რა მაღალ შეფასებას აძლევდა ლენინი ბეჭდვითს სიტყვას, რა გასაოცარ ენერგიას აქსოვდა იგი მისი ხელმძღვანელობის ხაზით მუშაობას. «პრავდის» რედაქტირებას და თავის პუბლიცისტურ მოღვაწეობას 1912-1914 წლებში ვ. ი. ლენინი «ყოველდღიური საგაზეთო მუშაობის» პერიოდს უწოდებდა. ლენინის წერილები, რომლებიც შესულია კრებულში და რომლებსაც იგი რეგულარულად უგზავნიდა «პრავდას», გვიჩვენებენ, რა შეუპოვრად იბრძოდა იგი გაზეთის ბოლშევიკური სიმტკიცისათვის, მისი მებრძოლი, ანტილიკვიდატორული სულისკვეთების ამაღლებისათვის, ფართო პროლეტარულ მასებთან კავშირის განმტკიცებისათვის.

ლენინი უდიდესი გულმოდგინებით სწავლობს ფულადი თანხების შეგროვების სიებს, რომელთა შესახებ ანგარიშებს ბეჭდავდა «პრავდა», ამ შემოსულ თანხებს ადარებს ლიკვიდატორული «ლუჩისა» და «ნაშა რაბოჩაია გაზეტას» სასარგებლოდ შეტანილ თანხებს. «პრავდის» სალაროში შესულ ყოველ ზედმეტ მუშურ გროშს ლენინი განიხილავდა როგორც ფართო პროლეტარულ მასებთან გაზეთის, ხოლო მისი საშუალებით აგრეთვე პარტიის კავშირის მაჩვენებელს, როგორც ლიკვიდატორებზე ბოლშევიზმის ვამარჯვების მოწმობას.

შემდეგში, აფასებდა რა «პრავდის» მნიშვნელობას, ვ. ი. ლენინი 1922 წელს წერდა: «1906-1907 წლებში ცარიზმმა, თითქოს, სასტიკად დაამარცხა რევოლუცია. ბოლშევიკურმა პარტიამ რამდენიმე წელში შესძლო — ს ხ ვ ა ს ა ხ ი თ, ს ხ ვ ა ნ ა ი ი რ ა დ — შეკრი-

ლიყო მტრის ციხე-სიმაგრეში და ყოველდღიურად, «ლეგალურად» დაეწყო წყეული მეფისა და მემამულური თვითმპყრობელობის შიგნიდან აფეთქება». და თუ ეს ციხე-სიმაგრე 1917 წელს ააფეთქა მუშათა და გლეხთა რევოლუციურმა ენერგიამ და მსოფლიო იმპერიალიზმის ბურჯი პირველად გაარღვია რუსეთის პროლეტარიატმა, ამაში უდიდესი დამსახურება ბოლშევიკურ ბეჭდვითს სიტყვას მიუძღვის. მკითხველი კრებულში იპოვნის ბევრ მკაფიო ფურცელს, რომლებიც გვიჩვენებენ, თუ მრავალი წლის მანძილზე, იატაკქვეშეთის უმძიმეს პირობებში მეფის ცენზურის რკინის მუხრუჭებში როგორ ქმნიდა, იდეურად აწრთობდა ვ. ი. ლენინი პარტიულ ბეჭდვითს სიტყვას, რა მტკიცედ და გულმოდგინედ ასწავლიდა იგი მას კლასობრივი ბრძოლების ხელოვნებას.

რევოლუციური ბრძოლის ისტორიაში, ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვის ისტორიაში მცირე ექსკურსიც კი დამაჯერებლად გვიჩვენებს, რა მაღალ შეფასებას აძლევდა ვ. ი. ლენინი ბეჭდვითს სიტყვას და რა განსაკუთრებულ როლს ასრულებდა იგი ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვის, ახალი ტიპის ბეჭდვითი სიტყვის შექმნასა, ჩამოყალიბებასა და შემდგომ ზრდაში.

კომუნისტური პარტიის დიდი დამაარსებელი და ბელადი ვ. ი. ლენინი ამავე დროს რუსეთში რევოლუციური პროლეტარული პრესის დამაარსებელი და იდეური ხელმძღვანელია. პარტიული პროლეტარული ბეჭდვითი სიტყვის იმ ძირითად იდეებზე დაყრდნობით, რომლებსაც კ. მარქსისა და ფ. ენგელსის ნაშრომები შეიცავენ, ვ. ი. ლენინმა, ბოლშევიკებმა შექმნეს გაბედული, კლასობრივად დახვეწილი, მაღალიდეური რევოლუციური ბეჭდვითი სიტყვა და მთლიანად დაუქვემდებარეს იგი პროლეტარული პარტიის მიზნებსა და ამოცანებს, საერთოპროლეტარული, საერთოპარტიული საქმის ნაწილი გახადეს იგი.

პარტიის ბელადის, მგზნებარე პუბლიცისტის, უბადლო რედაქტორის მთელი თავისი დაუღალავი მოღვაწეობით ვ. ი. ლენინმა ცხადყო, თუ რა მძლავრი იარაღია პარტიის ხელში ბეჭდვითი სიტყვა, როგორც ბოლშევიკური იდეების პროპაგანდის და კონკრეტული ლოზუნგებისა და ტაქტიკური ამოცანების განხორციელებისათვის. აგიტაციის კოლექტიური ტრიბუნა, როგორც ორგანიზაციის უმნიშვნელოვანესი საშუალება, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, როგორც

ცენტრი, სადაც ხდება პარტიისა და ხალხის უფართოესი მასების კოლექტიური აზრისა და კოლექტიური გამოცდილების კონცენტრაცია.

* * *

ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ სახელმწიფოს ახალ ტიპთან ერთად ბეჭდვითი სიტყვის ახალი ტიპიც შექმნა; მან პრესა სრულიად ახალ პირობებში ჩააყენა, მას ახალი ამოცანები დაუსახა.

კრებულში შეტანილია ნაშრომები, რომლებშიც ვ. ი. ლენინი აყალიბებს ძირითად პრინციპებს საბჭოთა პრესისას, როგორც ახალი ტიპის პრესისას, რომელიც ყველაზე სრულად შეესაბამება ახალ საზოგადოებრივ წყობილებას, მიუთითებს პროლეტარიატის დიქტატურის ეპოქის ბეჭდვითი სიტყვის ძირეულ განსხვავებაზე ბურჟუაზიული საზოგადოების ბეჭდვითი სიტყვისაგან, განსაზღვრავს ბეჭდვითი სიტყვის ამოცანებს ახალ ისტორიულ პირობებში, კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის პირობებში.

1918 წლის გაზაფხულისათვის სოციალისტურმა რევოლუციამ დიდი გამარჯვებები მოიპოვა. 1918 წლის პირველი ნახევრის განმავლობაში საბჭოთა ხელისუფლებამ შეძლო დაეძლია ბურჟუაზიის სამეურნეო ძლიერება, თავის ხელში მოეყარა თავი სახალხო მეურნეობის მბრძანებელი მწვერვალებისათვის, დაემსხვრია სახელმწიფო ძალაუფლების ბურჟუაზიული აპარატი და ძლევამოსილად აღეკვეთა კონტრრევოლუციის პირველი ცდები დაემხო საბჭოთა ხელისუფლება. პერიოდი «წითელგვარდიული იერიშისა კაპიტალზე», როგორც ლენინი ამბობდა, გამარჯვებით დამთავრდა. როცა ბრესტის ზავის დადების შემდეგ ქვეყანამ შესვენება მიიღო, ლენინმა პარტიას ახალი ამოცანა დაუსახა: ძველის დანგრევიდან ახლის მშენებლობაზე, სოციალისტური ეკონომიკის საძირკვლის აგებაზე გადასვლა. ბოლშევიკებს უნდა ესწავლათ წარმოების ახლებურად ორგანიზება და მისი მართვა. ნაშრომში «საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანები» ლენინი წერდა, რომ ბოლშევიკების პარტიამ დაარწმუნა რუსეთი, ბოლშევიკების პარტიამ ბრძოლით წაართვა რუსეთი მდიდრებს ხალხისათვის, ახლა ბოლშევიკების პარტიამ რუსეთის მართვა უნდა ისწავლოს.

დღის წესრიგში დადგა სოციალისტური მშენებლობის დიდი და რთული ამოცანები: ახალი სახელმწიფო აპარატის შექმნა, კადრების მომზადება და აღზრდა, სოციალისტური ეკონომიკის საძირკვლის აგება, კულტურული რევოლუციის განხორციელება. მათგან ლენინს უმნიშვნელოვანესებად მიაჩნდა: იმის აღრიცხვა, რასაც სახალხო მეურნეობა აწარმოებს, და კონტროლი მთელი წარმოებული პროდუქ-

ციის ხარჯვაზე, მრეწველობაში სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღება, ახალი დისციპლინის, შრომისადმი ახალი კომუნისტური დამოკიდებულების აღზრდა, მშრომელთა ფართო მასების ინიციატივის გაძლიერება, ბრძოლა ძველი საზოგადოების გადმონაშთების წინააღმდეგ.

ამ ამოცანების გადაჭრაში ლენინი უმნიშვნელოვანეს ადგილს ბეჭდვითს სიტყვას აკუთვნებდა: მან ბეჭდვითი სიტყვა დააყენა საბჭოთა სახელმწიფოს იმ ინსტიტუტების პირველ რიგში, რომლებიც მოწოდებული არიან შეასრულონ წამყვანი როლი სოციალისტური ეკონომიკის საძირკვლის აგებისათვის საბრძოლველად მასების დარაზმვასა და მობილიზაციაში, ხალხის კომუნისტურ აღზრდაში. «ბეჭდვითი სიტყვა სოციალისტური მშენებლობის იარაღი უნდა იყოს»,— წამოაყენა რა ეს ლოზუნგი როგორც უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური ამოცანა, ლენინი აღნიშნავს, სოციალისტური მშენებლობის რა კონკრეტული საკითხების გაშუქებაზე უნდა მუშაობდეს პარტიული და საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვა, რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს მისი გამოსვლები.

კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის პერიოდში ლენინს პრესის ერთ-ერთ მთავარ, ძირითად ამოცანად მასების ეკონომიური აღზრდა მიაჩნდა. «ჩვენ პრესა უნდა გადავაქციოთ,—წერდა ლენინი, — და გადავაქცევთ კიდეც, — სენსაციის ორგანოდან, პოლიტიკური ახალი ამბების შეტყობინების უბრალო აპარატიდან, — ბურჟუაზიული სიცრუის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანოდან, — მასის ხელახალი ეკონომიური აღზრდის იარაღად, მასისთვის იმის გაცნობის იარაღად, თუ როგორ უნდა მოვაწყოთ შრომა ახლებურად».

მასების ეკონომიურ აღზრდად ლენინი გულისხმობდა ბრძოლას შრომის სოციალისტური ორგანიზაციისათვის, შრომისადმი ახალი კომუნისტური დამოკიდებულების აღზრდას და მოითხოვდა: «პირველ ადგილზე კი პრესამ უნდა დასვას შრომის საკითხები მათ უშუალოდ პრაქტიკულ დაყენებასთან დაკავშირებით».

საბჭოთა სახელმწიფოს დამკვიდრებისათვის, ამბობდა ლენინი, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ყურადღება მიექცეს სწორედ შრომის ორგანიზაციას ცალკეულ უდიდეს საწარმოებსა და სასოფლო თემებში, ეს საკითხები საჯაროდ იქნას გამოტანილი ბეჭდვითი სიტყვის მეშვეობით, მშრომელთა უფართოესი ფენების ყურადღება მიექცეს შრომის ორგანიზაციას, როგორც მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების საჭირბოროტო და ძირეულ საკითხს.

მასების ეკონომიურ აღზრდაში ლენინი მნიშვნელოვან როლს აკუთვნებდა მოწინავე გამოცდილების პროპაგანდას ხაბჭოთა პრე-

საში, სოციალისტური შეჯიბრების გაშუქებას მის ფურცლებზე. ლენინი მაღალ შეფასებას აძლევდა მაგალითის, მუშაობის საუკეთესო, მოწინავე ნიმუშის განსაკუთრებულ ძალას, მიაჩნდა მათი პროპაგანდა ახალი ცხოვრების მშენებლობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მეთოდად. იგი მოუწოდებდა პრესას: «... მთელი ძალით გაუწიოს პოპულარიზაცია და **გაუკეთოს რეკლამა** ყოველ რამდენადმე თვალსაჩინო ადგილობრივ მუშაკს, ნიმუშად დასახოს იგი».., ასწავლოს მშრომელებს მიბაძონ მუშაობის კარგ, მოწინავე ნიმუშებს. ლენინი გვასწავლიდა საბჭოთა პრესის მიერ მოწინავე გამოცდილების პროპაგანდა გაგვეგო როგორც ღრმა და გააზრებული მუშაობა გაზეთების რედაქციებისა მუშაობის საუკეთესო ნიმუშების გამოსავლინებლად და შესასწავლად, როგორც ანალიზი მეთოდებისა და ხერხებისა, რომლებითაც მიღწეულია ესა თუ ის წარმატებანი, გამოცდილების, პრაქტიკის დეტალებში, წვრილმანებში ჩაწვდომა.

მას გამოცდილების შესახებ სტატიებისადმი აუცილებელ მოთხოვნად მიაჩნია, რომ მათში ნაჩვენები იყოს: «სახელდობრ როგორია ეს წარმატებანი? დადასტურებულია თუ არა ისინი? ხომ არ არის აქ ჩმახვა, ტრაბახი, ინტელიგენტური დაპირება?.. რით არის წარმატებანი მიღწეული? როგორ გავხადოთ ისინი უფრო ფართო?»

ბეჭდვითი სიტყვის იმ უნართან, რომ დეტალებში, წვრილმანებში კონკრეტულად სწავლობდეს გამოცდილებას, ღრმად სწვდებოდეს ადგილობრივ ცხოვრებას, ადგილობრივ პრაქტიკას, არკვევდეს ვინ და რატომ (რა ხერხებით) აღწევს ნამდვილ გაუმჯობესებას, აქებდეს და მთელ ჩვენს ქვეყანას უჩვენებდეს მოწინავეებს, თვალსაჩინო მუშაკებს, ააშკარავებდეს შეცდომებსა და ხარვეზებს, — მთელ ამ მუშაობასთან ლენინი აკავშირებდა საბჭოთა პრესის და სოციალისტური მშენებლობის მთელი საქმის გაუმჯობესებას.

საბჭოთა პრესის ამოცანების შესახებ ლენინის მიერ გამოთქმული აზრების უმნიშვნელოვანესი მოტივია მოთხოვნა, სანიმუშოს წახალისებასთან ერთად, გაკრიტიკებულ იქნას ძველი, უვარგისი, დრომოჭმული, რომელიც არ შეესაბამება დროის მომწიფებულ ამოცანებს. «ჩვენში ნაკლებ ყურადღებას აქცევენ, ... გახმაურება, საზოგადოებრივი კრიტიკა, უვარგისის დევნა, მოწოდება, რომ ვისწავლოთ კარგისაგან». მოითხოვდა რა საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვის მუშაკებისაგან, რომ მათ მუდამ ბასრი ჰქონოდათ ბეჭდვითი სიტყვის კრიტიკული მახვილი, ვ. ი. ლენინი გვასწავლიდა დაგვენახა პრინციპული განსხვავება ჩვენი ნაკლოვანებების კრიტიკაში, როცა იგი წარმოებს პარტიული თვალსაზრისით, მდგომარეობის გაუმჯობესების სურვილით, და როცა «კრიტიკა» წარმოებს ბურჟუაზიული თვალ-

საზრისით, საბჭოთა წყობილებისათვის ძირის გამოთხრის განზრახვით. ერთია, როცა ამხილებდა, აკრიტიკებდა რევოლუციამდელი პრესა — «საფაბრიკო ფურცლები», «ისკრა», «პრავდა», — მაშინ მტერი იყო მთელი საზოგადოებრივი წყობილება — ცარიზმი. და სულ სხვა მდგომარეობაა საბჭოთა დროს — აქ შეიძლება საქმე ეხებოდეს ტრადიციების, კაპიტალიზმის გადმონაშთების, პარტიულ, სახელმწიფოებრივ და სამეურნეო მუშაობაში ნაკლოვანებებისა და შეცდომების კრიტიკას — თუნდაც დიდი და სერიოზული, მაგრამ ისეთი ნაკლოვანებებისა და შეცდომების კრიტიკას, რომლებიც გამოწვეული არ არის საბჭოთა წყობილების მიერ, რომელიც ყველაზე მოწინავე და პროგრესული საზოგადოებრივი წყობილებაა.

ულმობლად სდევნიდნენ და ამხილებდნენ ბოროტმოქმედებებსა და უწესრიგობას, ეწეოდნენ ჭეშმარიტად — რევოლუციურ ბრძოლას ბოროტების კონკრეტულ მატარებლებთან და არ გადადიოდნენ ბურჟუაზიული კრიტიკის კილოზე — აქეთკენ მოუწოდებდა ლენინი საბჭოთა პრესას და მის მუშაკებს.

ლენინის მემკვიდრეობაში დიდმნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მის მიერ გამოთქმულ აზრებს საბჭოთა პრესისათვის ქვეყნის სამეურნეო ცხოვრების საკითხების, კერძოდ, ეკონომიკის პრობლემების უდიდესი მნიშვნელობის შესახებ. ამჟამად, როცა კომუნისტური პარტია, ქმნის რა კომუნიზმის მძლავრ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, ახორციელებს უდიდეს ღონისძიებათა მთელ სისტემას მრეწველობის მართვის რეორგანიზაციისათვის, საკოლმეურნეო წყობილების განმტკიცებისა და შემდგომი განვითარებისათვის, ქიმიური წარმოების აღმავლობისათვის და სხვ., ბეჭდვითი სიტყვის ყურადღება განუზომლად ძლიერდება სამეურნეო მშენებლობის, ქვეყნის ეკონომიკის, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების, კულტურული მშენებლობის თემებისადმი.

ლენინის მითითება, რომ საბჭოთა პრესა უფრო მეტად, უფრო ღრმად, უფრო შინაარსიანად აშუქებდეს ეკონომიკის საკითხებს. ჩვენს დროშიც გაისმის როგორც საბრძოლო მოწოდება პარტიული და საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვის მუშაკებისადმი. ხაზგასმით აღნიშნავდა რა, რომ საბჭოთა პრესისათვის აუცილებლად საჭიროა წერდეს ეკონომიკაზე, ლენინი აფრთხილებდა მის მუშაკებს მორიდებოდნენ ფუჭ ლაყბობას. «არა, — წერდა იგი, — ეკონომიკა ჩვენ გვესაჭიროება იმ აზრით, რომ შევაგროვოთ, გულდასმით შევამოწმოთ და შევისწავლოთ ახალი ცხოვრების ნამდვილი მშენებლობის ფაქტები».

ლენინის ეს სიტყვები გაისმის როგორც პირდაპირი საყვედური ბეჭდვითი სიტყვის ზოგიერთი ორგანოსადმი, რომლებიც ყალბად გაგებული შემაქცევრობის გულისათვის ცდილობენ გვერდი აუარონ ეკონომიურ თემებს, ვითომდა მშრალ და მოსაწყენ თემებს, და ღრმა ეკონომიური გამოანგარიშების, წიგნიერი ეკონომიური ანალიზის ნაცვლად უპირატესობას აძლევენ ზოგად მსჯელობას, სხვადასხვა-გვარ «სწავლულ» მიმოხილვებს, იმ ნაწერების მსგავს უნიადაგო გეგმებს, რომლებსაც ლენინი აბდაუბდას უწოდებდა.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ იცვლება არა მარტო ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვის ამოცანები — გარკვეულ ცვლილებებს განიცდიან მისი ფუნქციებიც; იზრდება, კერძოდ, პრესის ორგანიზატორული როლი. ცნობილია, რომ ბეჭდვითი სიტყვის ორგანიზატორული ძალა პირდაპირ და უშუალოდ დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ფართოა წოე მისი პოლიტიკური მომხრეებისა, წრე ადამიანებისა, რომელთა კოლექტიური ღონისძიებანი, კოლექტიური გამოცდილება მას შეუძლია გააერთიანოს და წარმართოს რევოლუციური მუშაობის, სამეურნეო მშენებლობის ამა თუ იმ ამოცანების გადასაწყვეტად. ბუნებრივია, რომ რევოლუციამდელ დროს ბოლშევიკურ პრესას არ შეეძლო სრულად გაეშალა თავისი ორგანიზატორული ფუნქციები; ეს შესაძლებელი ხდება მხოლოდ გამარჯვებული სოციალისტური საზოგადოების პირობებში.

ბეჭდვითი სიტყვის ყურადღებას პარტიული, სახელმწიფოებრივი და სამეურნეო მშენებლობის ძირეულ ამოცანებს რომ მიაპყრობს, ლენინი დაუცხრომლად ზრუნავს მისი ზეგავლენის ორგანიზაციული ძალის აღმავლობისათვის. ამას ნათლად მოწმობს კრებულში შესული მისი მითითებანი ხალხის მასებთან ბეჭდვითი სიტყვის კავშირის გაფართოების შესახებ, მოწინავე გამოცდილების პროპაგანდაში, შრომითი შეჯიბრების ორგანიზაციაში ბეჭდვითი სიტყვის როლის გაძლიერების შესახებ და სხვ.

საბჭოთა პრესის ძალას ლენინი ხედავდა ცხოვრებასთან, სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის პრაქტიკასთან კავშირში. იგი მკვეთრად ამათრახებდა «თავგამოდებულ ლიტერატორებს, რომლებიც ქაღალდის იქით ხშირად ვერ ხედავენ ცხოვრებას» და მოუწოდებდა პრესას «ცხოვრებასთან უფრო ახლოს» დამდგარიყო. მასების აღზრდა ცოცხალ, კონკრეტულ მაგალითებსა და ნიმუშებზე ცხოვრების ყველა დარგიდან — ეს, ლენინის აზრით, უნდა შეადგენდეს პრესის მთავარ ამოცანას კაპიტალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლის პერიოდში.

ლენინი ასწავლის საბჭოთა ბეჭდვითს სიტყვას სწვდებოდეს ცხოვრების ღრმა პროცესებს, უნარი შესწევდეს ამჩნევდეს ახალს ცხოვრებაში, მხარს უჭერდეს და ამკვიდრებდეს მას, არ ჩამორჩეს ცხოვრებას და გულისხმიერად ეხმაურებოდეს მის მოთხოვნებს. კრებულში შევიდა ნაშრომები, სტატიები, წერილები, ცალკეულ გამოთქმული აზრები, რომლებიც გვიჩვენებენ, რომ ლენინი, როცა უკვე საბჭოთა სახელმწიფოს მეთაური იყო, რა ყურადღებით ადევნებდა თვალს იმას, რომ ბეჭდვითი სიტყვა მხარდამხარ მიჰყვებოდეს ცხოვრებას. მიმართავდეს თავის ყურადღებას საბჭოთა საზოგადოების ეკონომიური და იდეური ცხოვრების ძირეული პრობლემების გადაწყვეტისაკენ. როცა გამოირკვა, რომ ჩვენი პრესა, არ ითვალისწინებდა რა ძირეულ ცვლილებებს, რომლებიც მოხდა პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების დაპყრობასა და სოციალისტური მშენებლობის ახალი ამოცანების გადაპრაზე პარტიის გადასვლასთან დაკავშირებით, კვლავ უზომოდ დიდ ადგილს უთმობდა აგიტაციას ძველ თემებზე, — პოლიტიკურ ლაყბობას და გვერდს უვლიდა ეკონომიკის უმნიშვნელოვანეს საკითხებს, ლენინმა მთელი სიმკვეთრით მიუთითა ცხოვრებისაგან პრესის მოწყვეტაზე და მოითხოვა ამ ნაკლოვანებათა რაც შეიძლება სწრაფად დაძლევა. იგი გამოვიდა სტატიით «ჩვენი გაზეთების ხასიათის შესახებ», რომელშიც გაშალა ფართო პროგრამა ბეჭდვითი სიტყვის საქმიანობის გარდაქმნისა სოციალისტურ მშენებლობაში მისი უფრო აქტიური მონაწილეობის მიმართულებით.

ლენინი ამათრახებდა ბეჭდვითს სიტყვას ფუჭი პოლიტიკური ლაყბობისათვის, დეკლარაციულობისათვის, ნაკლოვანებებისათვის, რომლებსაც ხშირად წარმოშობს ცოცხალი სინამდვილისაგან მოწყვეტა, და მოუწოდებდა საბჭოთა პრესის მუშაკებს დაყრდნობოდნენ «ცხოვრებიდან აღებულ, ცხოვრებით, შემოწმებულ ფაქტებს».

* * *

როგორია უმნიშვნელოვანესი დასკვნები, რომლებიც გამომდინარეობენ დიდი ბელადის უმდიდრესი მემკვიდრეობიდან — მისი მრავალრიცხოვანი სტატიებიდან, წერილებიდან, გამოთქმული აზრებიდან ბეჭდვითი სიტყვის შესახებ, მდიდარი და მრავალმხრივი ლენი-

ნური გამოცდილებიდან პარტიის ბეჭდვითი ორგანოების ხელმძღვანელობისა და რედაქტირების დარგში?

პარტიულობა ბეჭდვითი სიტყვის განუყოფელი. ორგანული თვისებაა. ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვის პარტიულობას განსაზღვრავს თვით არსი, თვით ბუნება ჩვენი პარტიისა — მებრძოლი რევოლუციური მარქსისტული პარტიისა, ახალი ტიპის პარტიისა.

აყენებდა რა პარტიულობის იდეას, როგორც ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვის ერთ-ერთ ფუძემდებელ პრინციპს, ლენინი მის არსს ხედავდა პროლეტარიატის ინტერესებისადმი პრესის აშკარა, შეგნებულ სამსახურში, იმაში, რომ ლიტერატურული საქმე უნდა გახდეს «საერთო პროლეტარული საქმის ნაწილი, «პატარა ბორბალი და ხრახნი» ერთი მთლიანი, დიდი სოციალ-დემოკრატიული მექანიზმისა, რომელიც მოძრაობაში მოჰყავს მთელი მუშათა კლასის მთელ შეგნებულ ავანგარდს, შემადგენელი ნაწილი ორგანიზებული, გეგმაშეწონილი გაერთიანებული სოციალ-დემოკრატიული პარტიული მუშაობისა».

ბეჭდვითი სიტყვის პარტიულობის უმნიშვნელოვანეს მოთხოვნად ლენინს მიაჩნდა ბეჭდვითი ორგანოს იდეურობა, მისი პოლიტიკური ხაზის სიმტკიცე და მკაფიობა, ოპორტუნიზმის გამოვლინებებისადმი, პარტიის იდეური მოწინააღმდეგეებისადმი შეურიგებლობა. «... ჩვენ განზრახვა არა გვაქვს, — წერდა ვ. ი. ლენინი «ისკრის» რედაქციის განცხადებაში, — ჩვენი ორგანო სხვადასხვაგვარ შეხედულებათა უბრალო საწყობად გადავაქციოთ. პირიქით, ჩვენ გავუძღვებით მას სასტიკად გარკვეული მიმართულებით. ეს მიმართულება შეიძლება გამოთქმულ იქნეს სიტყვით: მარქსიზმი. და, მგონი, საჭიროც არ არის დავუმატოთ, რომ ჩვენ მარქსისა და ენგელსის იდეების თანმიმდევრული განვითარების მომხრე ვართ»...

სხვა ისტორიულ ვითარებაში, 1912-1914 წლების რევოლუციური აღმავლობის პერიოდში ლენინმა მარქსიზმის პროპაგანდა, ბურჟუაზიული იდეოლოგების დამახინჯებათაგან მისი დაცვა კვლავ წამოაყენა როგორც ბეჭდვითი სიტყვის მთავარი ამოცანა. «... მუშებმა თავიანთი გაზეთი იმისათვის შექმნეს, რომ მან მარქსიზმი დაიცვას, და არა იმისათვის, რომ ნება მისცენ ვინმეს — ბურჟუაზიულ «მეცნიერთა» ყაიდაზე დაამახინჯოს იქ მარქსიზმი».

ლენინი კვლავ და კვლავ უბრუნდება აზრს იდეურობის, როგორც ყოველი მარქსისტული ბეჭდვითი ორგანოს მთავარი თავისებურების, შესახებ. ლენინი უცნაურს, უაზროს, სკანდალურსა და მავნეს უწოდებდა ბეჭდვითს ორგანოს, თუ მას მტკიცე მიმართულება, მკაფიო პოლიტიკური სახე არა ჰქონდა.

ბეჭდვითი სიტყვა ძლიერია პარტიის იდეების ძალით, რომელთა გამტარებელი, თავგამოდებული დამცველი, მქადაგებელიც არის იგი. პარტიულობა, ლენინური გაგებით, გულისხმობს უწინარეს ყოვლისა იმას, რომ პრესა მტკიცედ და განუხრელად მიჰყვებოდეს პარტიის პოლიტიკას, ღრმად და ყოველმხრივ უწევდეს მას პროპაგანდას, რაზმავდეს ხალხის მასებს პარტიის ლოზუნგების, დირექტივებისა და მითითებების განსახორციელებლად. პარტიისა და სახელმწიფოს პოლიტიკა დაფუძნებულია სინამდვილის მეცნიერულ შეცნობაზე, იგი ხალხის ძირეულ ინტერესებს გამოხატავს. ლენინის მიერ გამოთქმულ აზრებში მუდამ ვხედებით იმის მტკიცებას, რომ მხოლოდ მაშინ, თუ ყოველდღიურად იხელმძღვანელებს პარტიის პოლიტიკით, აზიარებს პოლიტიკას ხალხის უდიდეს მასებს, ბეჭდვითი ორგანო იქნება ნამდვილად მებრძოლი, რევოლუციური ორგანო. საქმით გახდება კოლექტიური პროპაგანდისტი, აგიტატორი და ორგანიზატორი სიტყვის ყველაზე ფართო აზრით.

ლენინის მიერ ორმოცდაათ წელიწადზე მეტი ხნის წინათ წამოყენებული, პარტიის შემდგომ გადაწყვეტილებებში განვითარებული და კონკრეტიზებული პრინციპი პარტიული ბეჭდვითი სიტყვისა დღესაც ურყევი კანონია ჩვენი პრესისათვის.

მგზნებარება, პრინციპულობა, იდეურ მოწინააღმდეგეებთან შეურიგებლობა, მებრძოლი შემტევი სული ის თვისებებია, რომლებიც ლენინს სავალდებულოდ მიაჩნდა რევოლუციური მარქსისტული გაზეთისათვის. «თვითეულ ბეჭდვითს ორგანოში შევნებული მუშები უწინარეს ყოვლისა და ყველაზე უფრო მის პრინციპულობას აფასებენ...» იგი ვერ ურიგდებოდა ვერც ერთ შემთხვევას, როცა პარტიული ბეჭდვითი სიტყვა თმობდა ამ თვისებებს. ცნობილია, რა მწვავედ აკრიტიკებდა ლენინი «პრავდას» მისი პასიურობისათვის IV სახელმწიფო სათათბიროს საარჩევნო კამპანიაში, იმისათვის, რომ გაზეთს «ომი არ ეხერხება», იგი «თავს არ ესხმის, არ სდევნის არც

კადეტს, არც ლიკვიდატორს». «და განა შეიძლება, რომ მოწინავე დემოკრატიის ორგანო არა მებრძოლი ორგანო იყოს შფოთიან დროს?.. განა ეს მარქსიზმს ჰგავს? განა მარქსს უნარი არ ჰქონდა შეეერთებინა ომი, უაღრესად მგზნებარე, თავდადებული და ულმობელი ომი სრულ პრინციპულობასთან??»

ლენინი გვასწავლიდა დიდად დაგვეფასებინა სოციალისტური ბეჭდვითი სიტყვის ისეთი თვისებები, როგორიც არის იმის უნარი, რომ პოლიტიკურად მწვავედ, მებრძოლურად ეხმაურებოდეს პოლიტიკური ცხოვრების ყველა უმნიშვნელოვანეს მოვლენას, უპასუხოდ არ ტოვებდეს სოციალისტური იდეოლოგიის მოწინააღმდეგეთა არც ერთ გამოსვლას. იგი აღნიშნავდა, რომ სოციალისტური ორგანო პოლემიკას უნდა ეწეოდეს იდეურ მოწინააღმდეგეებთან, ამასთან ეწეოდეს მას ცოცხლად, ესხმოდეს თავს, დამოუკიდებლად აყენებდეს საკითხებს, და არა თავს იცავდეს მშრალად, მოსაწყენად.

ხაზს უსვამდა რა რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ბეჭდვითი ორგანოებისათვის იმის განსაკუთრებულ მნიშვნელობას, რომ სწრაფად, ოპერატიულად ეხმაურებოდნენ ცხოვრების მოთხოვნებს, პოლიტიკური ბრძოლის საარსებო საკითხებს, ლენინი წერდა: «გაზეთი..., რომელიც ჩამორჩება, დაღუპულია. გაზეთი ყველაზე წინ უნდა მიდიოდეს... ერთფეროვნება და დაგვიანება შეუთავსებელია საგაზეთო საქმესთან».

აყენებდა რა ბეჭდვითი სიტყვის პარტიულობის პრინციპს, ლენინი მიუთითებდა უმნიშვნელოვანეს პირობებზეც, რომლებიც უზრუნველყოფენ მის განხორციელებას. ეს არის ჯერ-ერთი — პარტიის მიერ ბეჭდვითი ორგანოების ხელმძღვანელობა. «გაზეთები, — მოითხოვდა ლენინი, — სხვადასხვა პარტიული ორგანიზაციის ორგანოები უნდა გახდნენ». ბეჭდვითი სიტყვის ძალა, მისი მუშაკების, ლიტერატორების ძალა პარტიასთან კავშირია, მისი იდეების ძალაა. «... ლიტერატორს უპარტიოდ, — ამბობდა ვ. ი. ლენინი, — არაფრის გაკეთება არ შეუძლია». უაღრესად ახირებულს უწოდებდა იგი მენშევიკების მოთხოვნას, რომ ლიტერატურა ყოფილიყო პარტიის ზევით, მისი ხელმძღვანელობის გარეშე.

დებულება პარტიასთან ბეჭდვითი სიტყვის ორგანიზაციული კავშირის შესახებ, ამრიგად, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია ლენინურ

ძემკვიდრეობაში ბეჭდვითი სიტყვის შესახებ. რევოლუციამდელი ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვის გამოცდილება და საბჭოთა პრესის მრავალი წლის პრაქტიკა გვიჩვენებენ, რომ ბეჭდვითი სიტყვა თავის ძალას იღებს პარტიის ხელმძღვანელობაში. რომ თავიანთ ამოცანებს წარმატებით ართმევენ თავს ბეჭდვითი სიტყვის ორგანოები, რომლებიც მჭიდროდ არიან დაკავშირებული პარტიულ კომიტეტებთან და მუშაობენ მათი პირდაპირი და უშუალო ხელმძღვანელობით. და, პირიქით, ბეჭდვითი ორგანოს ყოველ გამოსვლას პარტიული ორგანიზაციის გავლენიდან გარდუვალად მოსდევდა მუშაობის ჩაშლა და ჩავარდნა, მის მიერ მტკიცე პოლიტიკური კურსის დაკარგვა.

მეორე — რედაქციისა და თანამშრომლების შეხედულებათა და რწმენათა შეთანხმებულობა. ამ მხრივ დამახასიათებელია ლენინის ცნობილი წერილი «რაბოჩაია გაზეტას» რედაქტორთა ჯგუფისადმი. ამ წერილში იგი თანამშრომლობაზე თანხმობას გამოთქვამდა მხოლოდ იმ პირობით, თუ რედაქცია დაეთანხმებოდა მას თეორიულ საკითხებზე, უახლოეს პრაქტიკულ ამოცანებზე და გაზეთის (ან ბროშურების სერიის) სასურველი დაყენების ხასიათზე ძირითად შეხედულებებში.

«პოლიტიკური თვალსაზრისი მუშათა პრესაში ამა თუ იმ ლიტერატორის თანამშრომლობის შესახებ, — წერდა ლენინი სხვა ნაშრომში, — იმაში მდგომარეობს, რომ ამაზე ვმსჯელობდეთ არა მწერლის სტილის, გონებამახვილობისა და პოპულარიზატორული ნიჭის თვალსაზრისით, არამედ მთლიანად მისი მიმართულების მიხედვით, იმის მიხედვით, თუ რა შეაქვს მას თავისი მოძღვრებით მუშათა მასებში». ლენინი აღნიშნავდა, რომ ბეჭდვითი სიტყვის ყველა ორგანოს, რომლებიც პარტიის ხელშია, რედაქციას უნდა უკეთებდნენ საიმედო კომუნისტები, რომლებმაც დაამტკიცეს თავიანთი ერთგულება პროლეტარული რევოლუციის საქმისადმი.

ვ. ი. ლენინი გვასწავლიდა დაგვენახა ბეჭდვითი სიტყვის კლასობრივი ხასიათი. კრებულში შეტანილია ნაშრომები, რომლებშიც ლენინი ამხილებს ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლების შესახებ ბურჟუაზიული ლოზუნგის თვალთმაქცობას, სიყალბეს და გვიჩვენებს, რომ მხოლოდ პროლეტარული ბეჭდვითი სიტყვისათვის არის უცხო

კლასობრივი სიცრუე, რომ იგი ერთადერთი მსოფლიოში არ ეფარება დამოუკიდებლობის შირმას და აშკარად იცავს მშრომელთა კლასობრივ ინტერესებს, მიუთითებს თავის უმჭიდროეს კავშირზე პარტიასთან, პროლეტარიატთან. «არ შეიძლება ცხოვრობდე საზოგადოებაში და საზოგადოებისაგან თავისუფალი იყო». ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება მთელ მსოფლიოში, სადაც კაპიტალისტები არიან, არის თავისუფლება გაზეთების ყიდვისა, მწერლების ყიდვისა, საზოგადოებრივი აზრის მოსყიდვისა და ფაბრიკაციისა ბურჟუაზიის სასარგებლოდ.

ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლების საკითხში ლენინს მოუხდა გააფთრებული ბრძოლის გადატანა ბურჟუაზიისა და მისი მენშევიკ-ესერი ლაქიების წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობდნენ გამოეყენებინათ ბურჟუაზიული ბეჭდვითი სიტყვა როგორც პოლიტიკური იარაღი პროლეტარიატის დიქტატურის წინააღმდეგ ბრძოლაში. ცნობილ დოკუმენტებში: სიტყვაში «ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლების შესახებ», «წერილში ამხ. მიასნიკოვისადმი» მან გვიჩვენა რეაქციული არსი ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლების მოთხოვნისა გამარჯვებული სოციალისტური რევოლუციის პირობებში. პასუხად გ. მიასნიკოვის წინადადებისა, რომ მინიჭებოდათ «ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება მონარქისტებიდან ანარქისტებამდე ჩათვლით», ლენინმა აღნიშნა, რომ: «ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება დაეხმარება მსოფლიო ბურჟუაზიის ძალას. ეს ფაქტია. «ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება» ხელს შეუწყობს არა იმას, რომ რუსეთის **კომუნისტური პარტია გაიწმინდოს** მთელი რიგი თავისი სისუსტისა, შეცდომისა, უბედურებისა და სენისაგან (სენი ბევრია, ეს უდავოა), რადგან ეს **არ** სურს მსოფლიო ბურჟუაზიას. — არამედ ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება იარაღი გახდება **ამ მსოფლიო ბურჟუაზიის** ხელში. ის არ მომკვდარა. ის ცოცხალია. ის აქვე, გვერდით დგას და გვითვალთვალებს».

ბეჭდვითი სიტყვა მასობრივი უნდა იყოს. მასობრივი იმ პირდაპირი და უშუალო აზრით, რომ იგი ბეჭდვითი სიტყვაა ხალხის ფართო მასებისათვის და კეთდება მათი უაღრესად აქტიური მონაწილეობით. ჩვენი ბეჭდვითი სიტყვის მასობრიობა — ეს მისი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპი გამომდინარეობს

მარქსიზმ-ლენინიზმის ცნობილი დებულებიდან ისტორიაში ხალხის მასების გადამწყვეტი როლის შესახებ. ხალხის მასები ქმნიან ისტორიას, წინ სწევენ კაცობრიობის პროგრესს. ისინი გადამწყვეტ გავლენას ახდენენ საზოგადოების მატერიალური და სულიერი ცხოვრების ყველა მხარეზე, მათ შორის მის ისეთ უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტზეც, როგორიც პრესაა. ჩვენს პრესას, რორგორც ახალი ტიპის პრესას, პრესას, რომელიც ხალხის ხორცი ხორცთაგანია, არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს რაიმე განსაკუთრებული, თავისი ამოცანები, თავისი ინტერესები, რომლებიც ხალხის ამოცანებისა და ინტერესებისაგან განსხვავდება. იგი შეიძლება იზრდებოდეს და ვითარდებოდეს, თუ გამომხატველი იქნება ხალხის ძირეული ინტერესებისა, საზოგადოებრივი განვითარების საარსებო ამოცანებისა.

პირველი დღეებიდანვე ვ. ი. ლენინი ქმნიდა ბეჭდვითს სიტყვას, როგორც ისეთ ბეჭდვითს სიტყვას, რომელიც აგებული იქნება მასში რევოლუციური პროლეტარული მასების უშუალო მონაწილეობაზე, როგორც ბეჭდვითს სიტყვას, რომელიც განაზოგადებს, დააგროვებს პარტიის, ხალხის კოლექტიურ აზრს, მათს კოლექტიურ გამოცდილებას, განაზოგადებს რევოლუციურ პრაქტიკას. მასობრივობის, კოლექტიურობის ეს იდეა მოცემულია გაზეთის, როგორც პარტიის იდეებისა და პოლიტიკის პროპაგანდის კოლექტიური ორგანოს, როგორც ჯერ თვითონ პარტიის ორგანიზაციის, ხოლო შემდეგ პარტიის გარშემო, მისი პოლიტიკური ლოზუნგებისა და ტაქტიკური ამოცანების გარშემო ფართო პროლეტარული მასების, ხალხის მასების დარაზმვის კოლექტიური ცენტრის, ცნობილ ლენინისეულ განსაზღვრაში.

იმ აზრით, რომ საჭიროა პარტიის ბეჭდვითი ორგანოები განუყოფელად იყონ დაკავშირებული რევოლუციურ მოძრაობასთან და მის უშუალო მონაწილეებთან, გამსჭვალულია ბევრი დოკუმენტი. გაზეთ «ვპერიოდის» გამოცემის გამო წერილში ლენინი სთხოვდა «კორესპონდენციების გზავნას ყველას, განსაკუთრებით მუშებს», ამასთან ხაზგასმით აღნიშნავდა, მუშათა კორესპონდენციები თუ არ იქნა, «...გროშის ფასად ეღირება სოციალ-დემოკრატიული ორგანო და იგი არ იქნება ღირსი სოციალ-დემოკრატიულის სახელწოდებისა». «ვპერიოდის» უკვე პირველი ნომრის გამოსვლის შემდეგ ლენინი

პოგდანოვისადმი წერილში აღნიშნავდა, რომ გაზეთს «საშინლად ესაჭიროება ნედლი მასალა რუსეთიდან». «...დაარიგეთ მისამართები და მოითხოვეთ პირდაპირი ურთიერთობა «ვპერიოდის» რედაქციასთან. უამისოდ ორგანო ვერ იხეირებს. საშინლად საჭიროა მუშათა კორესპონდენციები, ისინი-კი ცოტაა. საჭიროა, რომ ათობით და ასობით მუშა პირდაპირ და უშუალოდ სწერდეს «ვპერიოდს».

ცნობილია ლენინის შეუსუსტებელი ინტერესი მუშათა კორესპონდენციებისადმი, მშრომელთა წერილებისადმი გაზეთში. ვ. ი. ლენინი გაუგებრობას უწოდებდა აზრს, რომ გაზეთის კეთება თითქოს მხოლოდ პროფესიონალ ჟურნალისტებს შეუძლიათ. იგი აღნიშნავდა, რომ სიცოცხლესა და ცხოველმყოფელობას — მებრძოლი ბეჭდვითი ორგანოს ამ ძირითად თვისებებს — უზრუნველყოფს რევოლუციური პროლეტარული ძალების აქტიური ჩაბმა პრესაში, როცა იქ ხუთ ხელმძღვანელ და მუდმივ თანამშრომელ ლიტერატორთან და ჟურნალისტთან ერთად მონაწილეობას მიიღებს ხუთასი და ხუთი ათასი მუშაკი არალიტერატორი, ესე იგი თვითონ მშრომელები, რედაქციის გარეშე ავტორები.

რევოლუციური მარქსისტული ბეჭდვითი სიტყვის ისტორია, განსაკუთრებით გამოცდილება პარტიის ბეჭდვითი ორგანოებისა, რომლებსაც ვ. ი. ლენინი რედაქტორობდა, ნათლად ადასტურებს პრესაში ხალხის მასების მონაწილეობის განსაკუთრებული როლის შესახებ ლენინური მითითების ცხოველმყოფელობას. ამ აზრით მკაფიო მაგალითს წარმოადგენს პირველი მასობრივი ლეგალური მუშათა გაზეთი «პრავდა». რევოლუციური მუშების ინიციატივით დაარსებულმა ამ გაზეთმა მათიეე მხურვალე მხარდაჭერით გაუძლო ცარიზმის განუწყვეტელ დარტყმებს. ლაპარაკობდა რა იმ მაცოცხლებელ ძალებზე, რომლებიც განამტკიცებდნენ «პრავდას» მის ბრძოლაში რეპრესიების წინააღმდეგ, რომლებსაც მეფის თვითმპყრობელობა ახორციელებდა, ვ. ი. ლენინი წერდა: «1912-1913 წლებში, როცა ლეგალური ბოლშევიკური «პრავდა» დაარსდა, მას ზურგს უმაგრებდა ათეულ და ასეულ ათასობით მუშა, რომლებმაც კაპიკობით შეგროვებული თავიანთი თანხებით დაამარცხეს ცარიზმის უღელიც და სოციალიზმის წვრილბურჟუაზიული მოღალატე-

ებ-ს, მენშევიკების კონკურენციაც». იგი მოითხოვდა უკუეგდოთ ისე ფიქრის და მოქმედების ბურჟუაზიული ჩვეულება, როგორც ეს მიღებულია ლეგალური გაზეთების მიმართ: «მათი საქმეა დაწერონ, ხოლო ჩვენი საქმეა წავიკითხოთო», და აღნიშნავდა, რომ «...სოციალ-დემოკრატიულ გაზეთზე ყველა სოციალ-დემოკრატი უნდა მუშაობდეს».

საბჭოთა პრესა, ბეჭდვითი სიტყვის დღევანდელი ორგანოები იძლევიან სწორედ ისეთი გაზეთის ნიმუშებს, რომელზეც ვ. ი. ლენინი ოცნებობდა, — გაზეთისა, რომელშიც ხუთ პროფესიონალ ლიტერატორზე მოდის ასობით და ათასობით მუშა, კოლმეურნე, რომლებიც მის შედგენაში მონაწილეობენ. მუშა და სოფლის კორესპონდენტთა მოძრაობა, რომელიც უკანასკნელ წლებში სულ უფრო ფართო გაქანებას იღებს, განხორციელებაა ლენინის იდეებისა ბეჭდვითი სიტყვის მასობრიობის შესახებ, ბეჭდვითს სიტყვაში ხალხის ცოცხალი მასების, ახალი ცხოვრების მშენებლობის უშუალო მონაწილეების ჩაბმის შესახებ.

ბეჭდვითი სიტყვა მართალი უნდა იყოს. ვ. ი. ლენინი გვასწავლიდა, რომ რევოლუციური მარქსისტული ბეჭდვითი სიტყვა გამყიდველი ბურჟუაზიული ბეჭდვითი სიტყვისაგან განსხვავებით, რომელიც წინასწარ განზრახვით ამახინჯებს რეალურ სინამდვილეს, ყველაფერს აკეთებს, რომ შეგნება დაუბნელოს მასებს, ჩამოაშოროს მათი ყურადღება კაპიტალისტური წყობილების აშკარა სოციალურ უსამართლობას, უნდა იდგეს ფაქტების მტკიცე ნიადაგზე, ასახავდეს საზოგადოებრივი ცხოვრების ამბებსა და მოვლენებს მათს დიალექტიკურ განვითარებაში, კონკრეტულ ისტორიულ პირობებთან დაკავშირებით. როგორც ისეთი პარტიის ბეჭდვითი სიტყვა, რომელიც მეცნიერული მარქსისტული მსოფლმხედველობით ხელმძღვანელობს. ბოლშევიკური პრესა მოწოდებულია სიმართლეს ეუბნებოდეს ხალხს, მკითხველებს, მოქმედებდეს ჭეშმარიტების სიტყვით, მართლად აჩვენებდეს ცხოვრებას მშრომელთა ინტერესებისათვის. «დინჯად გაარჩიეთ საბუთები და გაიმეორეთ სიმართლე რაც შეიძლება საფუძვლიანად, მარტივად», — მოუწოდებდა ლენინი ბეჭდვითი სიტყვის მუშაკებს და მოითხოვდა მათგან შეექმნათ «...საძირკველი ზუსტი და უდავო ფაქტებისაგან, რომელ-

ზეც შეიძლება დაყრდნობა...» იგი გვასწავლიდა სიმართლე გვეს-მოდეს არა მარტო როგორც იმ ფაქტების, მოვლენებისა და ამბე-ბის შესაბამისობა სინამდვილესთან, რომლებზეც ბეჭდვითი სიტყვა წერს, არამედ აგრეთვე როგორც მათი მართლად განმარტება, გაშუ-ქება პარტიის პოლიტიკის თვალსაზრისით, როგორც ფაქტების ერ-თობლიობა. «... საჭიროა ვიღებდეთ არა ცალკეულ ფაქტებს, არამედ უკლებლივ **ყველა** იმ ფაქტების **მთელ ერთობლიობას**, რომლებიც განსახილველ საკითხს ეხება»...

ლენინურმა იდეებმა ბეჭდვითი სიტყვის სიმართლის შესახებ ღრმა განხორციელება ჰპოვა ჩვენს პარტიულ და საბჭოთა პრესაში — იგი ხალხს ელაპარაკება სიმართლის ენით, გულწრფელი, პატიოსანი პრესაა.

* * *

ვ. ი. ლენინი უბადლო რედაქტორი, მგზნებარე მებრძოლი პუბ-ლიცისტია. იგი უდიდესი პატივისცემით ეკიდებოდა ჟურნალისტის პროფესიას, ლიტერატურულ-პუბლიცისტურ მუშაობას. «არაფერი ისე არ მინდა, არაფერზე იმდენი არ მიოცნებია, როგორც იმის შე-საძლებლობაზე, რომ ვწერო მუშებისათვის», — წერდა ლენინი თა-ვის ერთ-ერთ წერილში 1897 წელს.

ლენინის ამ სიტყვებში რაოდენი სიყვარულია პარტიული ჟურნა-ლისტიკისადმი, რაოდენი პატივისცემაა მისდამი, რაოდენი შეგნებაა მისი კეთილშობილებისა, ძალისა, მნიშვნელობისა!

ვლადიმერ ილიას ძე თავის თავს ხშირად უწოდებდა ჟურნა-ლისტს, ლიტერატორს. უკვე საბჭოთა სახელმწიფოს მეთაური იყო, რომ მან 1920 წელს პროფესიის შესახებ კითხვაზე რკპ(ბ) მოსკოვის ორგანიზაციის წევრთა სარეგისტრაციო ანკეტაში ღაწერა: «ლიტე-რატორი»; «ჟურნალისტი», — უპასუხა მან 1921 წელს ასეთსავე კითხვაზე მოსკოვის საბჭოს წევრის პირად ბარათში.

ვ. ი. ლენინი ჭეშმარიტი მებრძოლი ჟურნალისტი იყო. იგი ბეჭ-დვითი სიტყვის მუშაკებს ასწავლიდა თავიანთი ჟურნალისტური მუშაობა დაეკავშირებინათ პარტიულ მუშაობასთან, პარტიულ პრაქ-ტიკასთან. პარტიული ლიტერატორი მისთვის უწინარეს ყოვლისა პარტიის იდეების აქტიური გამტარებელია, მისი მოწინავე მებრ-ძოლია.

ჟურნალისტის, პუბლიცისტი ლიტერატორის უმაღლეს მოვალე-ობას, მუდმივ საქმეს ლენინი იმაში ხედავდა, რომ «...ვწეროთ თანა-მედროვეობის ისტორია და ვეცადოთ ვწეროთ იგი ისე, რომ ჩვენი ყოფაცხოვრების აღწერილობა შეძლებისდაგვარ დახმარებას უწევ-დეს მოძრაობის უშუალო მონაწილეებს და გმირ-პროლეტარებს იქ,

მოქმედების ადგილზე, — ვწეროთ ისე, რომ ხელი შევუწყოთ მოძრაობის გაფართოებას, ბრძოლის ისეთი საშუალებების, ხერხებისა და მეთოდების შეგნებულად შერჩევას, რომლებსაც შეეძლებათ ძალების ნაკლები დახარჯვით მოგვცენ ყველაზე დიდი და ყველაზე მტკიცე შედეგები».

ლენინი მოუწოდებდა პარტიულ პუბლიცისტებს არ ითაკილონ შავი სამუშაო, ულმობლად ამოშანთონ «სისაძაგლე და შხამი», თუ ამას პროლეტარიატის ინტერესები, პარტიის ინტერესები მოითხოვს. როგორც მგზნებარე მებრძოლი პუბლიცისტი, რომელსაც არა ერთი საბრძოლო კამპანია ჩაუტარებია «პოლიტიკური სისულელეების, უხამსობის, ოპორტუნიზმის წინააღმდეგ და ა. შ.». ლენინი აღნიშნავდა, რომ ეს საქმე ადვილი როდია. «...მაგრამ ჩვენ ხომ აზიზი ადამიანები კი არა, გაზეთის მუშაკები ვართ, — წერდა იგი თავის ერთ-ერთ წერილში, — და «სისაძაგლისა და შხამის» დაუღალავად დატოვება შეუწყნარებელია. სოციალ-დემოკრატიის პუბლიცისტებისათვის».

რა უაღრესად საგულისხმოა პარტიული პუბლიცისტის მოვალეობის, საერთო პროლეტარული, საერთო პარტიული საქმისათვის სამსახურის მისი უმნიშვნელოვანესი მისიის ეს ლენინური გაგება და რა შორს არის იგი ვიწრო პროფესიონალიზმისაგან და საგაზეთო მუშაობისადმი «ხელოსნური» დამოკიდებულებისაგან, რასაც ხანდახან პრესის ზოგიერთი მუშაკი იჩენს.

ბეჭდვითი სიტყვის შესახებ ლენინის უმდიდრესი მემკვიდრეობიდან, მისი რედაქტორული და ჟურნალისტური გამოცდილებიდან უაღრესად მნიშვნელოვანი და ძვირფასია აგრეთვე ისეთი თვისებები, როგორიც არის პარტიული ბეჭდვითი სიტყვის მუშაკის მაღალი პასუხისმგებლობის შეგნება, პრინციპულობა, მომთხოვნელობა, უნარი თანამშრომელ-ლიტერატორთა გაერთიანებისა, «შეხმატკბილებაში» მათთვის დახმარებისა, უნარი მათს კოლექტიურ აზრზე დაყრდნობისა, გულისხმიერება მკითხველთა ხმისადმი, შეუსუსტებელი ყურადღება ყოველდღიური საგაზეთო მუშაობის ყველა «წვრილმანისადმი».

«თქვენ პარტიული გაზეთის თანამშრომელი ხართ და თქვენს გარშემო მყოფთაც ნუ დაავიწყებთ ამას». — სწერდა ლენინი ა. ვ. ლუნაჩარსკის თავის ერთ-ერთ წერილში.

თუ რა მაღალ მოთხოვნებს უყენებდა ვ. ი. ლენინი ბეჭდვითი სიტყვის მუშაკებს, ეს ჩანს, კერძოდ, მ. ლიადოვისათვის 1903 წელს გაგზავნილი მისი წერილიდან. «...რედაქციაში, — ნათქვამია წერილში, — მხოლოდ და მხოლოდ ნამდვილი და არა ფიქტიური რედაქ-

ტორები უნდა იყვნენ, ... ეს საქმიანი და არა ობივატელური კოლეგია უნდა იყოს, ...იქ **თვითეულს თავისი** აზრი უნდა ჰქონდეს **თვითეულ საკითხზე...».**

კრებულში მკითხველი იპოვნის ბევრ სხვა ძვირფას იდეებს, აზრებს, გამოთქმებს, რომლებიც დაეხმარება აღადგინოს სახე პარტიული ჟურნალისტისა, ბოლშევიკისა, როგორადაც იგი წარმოდგენილი ჰყავდა ვ. ი. ლენინს.

* *

ლენინის ნაწარმოებნი ბეჭდვითი სიტყვის შესახებ უმდიდრესი საგანძურია დიდი ბელადის ბრძნული მითითებებისა საზოგადოების რევოლუციურ გარდაქმნასა და სოციალიზმის მშენებლობაში მარქსისტული პროლეტარული პრესის როლისა და ამოცანების შესახებ. მისი უმნიშვნელოვანესი პრინციპებისა და თავისებურებების შესახებ. ამ ნაწარმოებებში ბევრია პრაქტიკული რჩევა, აზრები ბეჭდვითი სიტყვის მუშაობის სულ სხვადასხვა საკითხებზე.

ლენინის მემკვიდრეობისათვის მიმართვა, მისი ღრმად შესწავლა და გააზრება დაგვეხმარება უფრო ნათლად დავინახოთ ჩვენი ბეჭდვითი სიტყვის ისტორიული გზა, რომელიც მან განვლო კომუნისტური პარტიის და მისი დამაარსებლისა და ბელადის ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით, უფრო ავამაღლოთ მისი როლი კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის დიად საქმეში.

ოკოროკოვი

ა. ი. ერამასოვს

მონახს ლენინისაგან პირადად

ძვირფასო ამხანაგო! ძლიერ გამეხარდა, როცა შევიტყვე, რომ თქვენთან ახლა შეიძლება უფრო წესიერი ურთიერთობის დამყარება. კარგი იქნებოდა, ამით რომ გესარგებლათ და თვითონ მოგეწერათ ჩემთვის რამდენიმე სტრიქონი თქვენი განწყობილებისა და უახლოესი გეგმების შესახებ. თორემ აქამდე თქვენს შესახებ ყველა ცნობა მოდიოდა შუამავალთა საშუალებით, რაც ყოველთვის რამდენადმე აძნელებს ურთიერთგაგებას.

ჩვენი პარტიული საქმეები, როგორც თქვენ, ალბათ გაგიგონიათ, მთელი წლის ჭანძილზე უმსგავსო მდგომარეობაში იყო. უმცირესობამ საბოლოოდ ჩაშალა მეორე ყრილობა, შექმნა ახალი «ისკრა» (თქვენ ნახეთ თუ არა? როგორია თქვენი დამოკიდებულება მისდამი?) და ახლა, როდესაც იმ კომიტეტთა უმრავლესობაშ, რომლებმაც საერთოდ აზრი გამოთქვეს, გადაჭრით გაილაშქრა ამ ახალი «ისკრის» წინააღმდეგ, უმცირესობამ მესამე ყრილობაც ჩაშალა. უმცირესობისათვის მეტად აშკარა გახდა, რომ პარტია არ შეურიგდება მათს ორგანოს, რომელიც წარმოადგენს ბრძოლაში ჭორისა და კინკლაობის, პრინციპებში რაბოჩედელოელობისადმი დაბრუნების, ორგანიზაცია-პროცესის ცნობილი თეორიისადმი დაბრუნების ორგანოს.

ახლა პოზიცია გამოირკვა. უმრავლესობის კომიტეტები გაერთიანდნენ (4 კავკასიის, ოდესის, ეკატერინოსლავის, ნიკოლაევის, სპბ., მოსკოვის, რიგის, ტვერის, ჩრდილოეთისა და ნიჟნი ნოვგოროდის). მე აქ დავიწყე (ახალი ლიტერატურული ძალებით) გაზეთ «ეპერიოდის» გამოცემა (ანონსი გამოვიდა № 1 გამოვა იანვრის დამდეგს ახ. სტ.). მაცნობეთ, როგორ უყურებთ ამას და შეიძლება თუ არა ვიქონიოთ იმედი თქვენი მხარდაჭერისა, რომელსაც ჩვენთვის მეტად დიდი მნიშვნელობა ექნებოდა.

დაწერილია 1904 წ. დეკემბრის
დამლევს
გაგზავნილია ჟენევიდან რუსეთში
პირველად დაიბეჭდა 1930 წელს

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.,
ტ. 34, გვ. 316—317.

განყოფილება პირველი

ბეჭდვითი სიტყვა რუსეთში მარქსისტული პარტიის შექმნის პერიოდში

რუსეთის მუშათა ბეჭდვითი სიტყვის წარსულიდან[1]

მუშათა ბეჭდვითი სიტყვის ისტორია რუსეთში განუყოფელად დაკავშირებულია დემოკრატიული და სოციალისტური მოძრაობის ისტორიასთან. ამიტომ, მხოლოდ მაშინ, თუ გვეცოდინება განმათავისუფლებელი მოძრაობის მთავარი ეტაპები, შევძლებთ ნამდვილად გავიგოთ, რატომ მიდიოდა მუშათა ბეჭდვითი სიტყვის მომზადება და აღმოცენება ასეთი და არა სხვა რომელიმე გზით.

განმათავისუფლებელმა მოძრაობამ რუსეთში სამი მთავარი ეტაპი განვლო, შესაბამისად რუსი საზოგადოების სამი მთავარი კლასისა, რომლებიც მოძრაობას თავიანთ ბეჭედს ასვამდნენ: 1) თავადაზნაურული პერიოდი, დაახლოებით 1825-დან 1861 წლამდე; 2) რაზნოჩინცული ანუ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული, დაახლოებით 1861-დან 1895 წლამდე; 3) პროლეტარული — 1895 წლიდან დღემდე.

თავადაზნაურული პერიოდის ყველაზე გამოჩენილი მოღვაწეები იყვნენ დეკაბრისტები და გერცენი. იმ ხანაში, ბატონყმობის დროს, ლაპარაკიც არ შეიძლებოდა მუშათა კ ლ ა ს ი ს გამოყოფაზე ყმა, უუფლებო, «დაბალი», «შავი» წ ო დ ე ბ ი ს საერთო მასისაგან. მუშათა (პროლეტარულ-დემოკრატიული ან სოციალ-დემოკრატიული) ბეჭდვითი სიტყვის წინამორბედი იმ დროს იყო საერთო-დემოკრატიული, ცენზურას დაუქვემდებარებელი ბეჭდვითი სიტყვა გერცენის «კოლოკოლის»[2] მეთაურობით.

როგორც დეკაბრისტებმა გამოაღვიძეს გერცენი, ისე გერცენმა და მისმა «კოლოკოლმა» გამოღვიძების გზაზე დააყენეს რ ა ზ ნ ო ჩ ი ნ ც ე ბ ი, ლიბერალური და დემოკრატიული ბურჟუაზიის განათლებული წარმომადგენელნი, რომელნიც ეკუთვნოდნენ არა თავადაზნაურობას, არამედ ზოხელეობას, მეშჩანობას, ვაჭრებს, გლეხობას. ჩვენს განმათავისუფლებელ მოძრაობაში რაზნოჩინცების მიერ თავადაზნაურთა სრული განდევნის წინამორბედი ჯერ კიდევ ბატონ-

ყმობის დროს ბ. გ. ბელინსკი იყო. მისი ცნობილი «წერილი გოგოლისადმი», რომელიც ბელინსკის ლიტერატურულ მოღვაწეობას აჯამებდა, ცენზურაგაუვლელი დემოკრატიული ბეჭდვითი სიტყვის ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოები იყო, რომელმაც დღემდეც უეჭველესი, ცოცხალი მნიშვნელობა შეინარჩუნა.

ბატონყმობის გადავარდნამ წარმოშვა რაზნოჩინეცი, როგორც მთავარი, მასობრივი მოღვაწე საერთოდ განმათავისუფლებელი მოძრაობისაც და, კერძოდ, ცენზურაგაუვლელი დემოკრატიული ბეჭდვითი სიტყვისაც. რაზნოჩინეცის თვალსაზრისის შესატყვისი გაბატონებული მიმართულება ნაროდნიკობა გახდა. მას არასოდეს არ შეეძლო, როგორც საზოგადოებრივ მიმდინარეობას, გამიჯნულიყო ლიბერალიზმისაგან მარჯვნით და ანარქიზმისაგან მარცხნით. შაგრამ ჩერნიშევსკიმ, რომელმაც გერცენის შემდეგ ნაროდნიკული შეხედულებანი განავითარა, უდიდესი ნაბიჯი გადადგა წინ გერცენთან შედარებით: ჩერნიშევსკი გაცილებით უფრო თანამიმდევარი და მებრძოლი დემოკრატი იყო. მის თხზულებებს კლასობრივი ბრძოლის სული დასტრიალებს. იგი მკვეთრად ატარებდა ლიბერალიზმის ღალატის მხილებელთა იმ ხაზს, რომელიც დღემდე სძაგთ კადეტებსა და ლიკვიდატორებს. იგი კაპიტალიზმის შესანიშნავი ღრმა კრიტიკოსი იყო, მიუხედავად თავისი უტოპიური სოციალიზმისა.

60-იანი და 70-იანი წლების ეპოქამ იცის საბრძოლო დემოკრატიული და უტოპიურ-სოციალისტური შინაარსის მთელი რიგი უცენზუროდ გამოსული ბეჭდვითი ნაწარმოებნი, რომლებმაც უკვე «მასებში» იწყეს გავრცელება. ხოლო იმ ეპოქის მოღვაწეთა შორის უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავთ მუშებს პეტრე ალექსეევს, სტეფანე ხალტურინს და სხვ.. მაგრამ ნაროდნიკობის საერთო მდინარებას პროლეტარულ-დემოკრატიული ნაკადი ვერ გამოეყოფოდა. მისი გამოყოფა მხოლოდ მას შემდეგ გახდა შესაძლებელი, რაც იდეურად ჩამოყალიბდა რუსული მარქსიზმის მიმართულება (ჯგუფი «შრომის განთავისუფლება», 1883 წ.) და დაიწყო განუწყვეტელი მუშათა მოძრაობა სოციალ-დემოკრატიასთან დაკავშირებით (პეტერბურგის გაფიცვები 1895—1896 წლებში).

მაგრამ ვიდრე გადავიდოდეთ ამ ეპოქაზე, რომლიდანაც საკუთრივ იწყება მუშათა ბეჭდვითი სიტყვა რუსეთში, მოვიყვანთ მონაცემებს, რომლებიც თვალნათლივ გვიჩვენებენ სამი აღნიშნული ისტორიული პერიოდის მოძრაობათა 'კ ლ ა ს ო ბ რ ი ვ განსხვავებას. ესაა მონაცემები წოდებისა და მოსაქმეობის (კლასების) მიხედვით იმ პირთა განაწილების შესახებ, რომელნიც პასუხისგებაში იყვნენ

მიცემულნი სახელმწიფო (პოლიტიკური) დანაშაულისათვის*. ასეთ 100 კაცზე მოდიოდა:

	თავადაზნაურნი	მეშჩანები და გლეხები	მუშები	გლეხები	ინტელიგენტები
1827 — 1846 წწ	76	23	?	?	?
1884 — 1890 »	30,6	46,6	7,1	15.1	73,2
1901 — 1903 »	10,7	80,9	9,0	46,1	36,7
1905 — 1908 »	9,1	87,7	24,2	47,4	28,4

თავადაზნაურულ, ბატონყმურ პერიოდში (1827—1846) თავადაზნაურნი, რომელნიც მოსახლეობის უმნიშვნელო უმცირესობას შეადგენდნენ, «პოლიტიკურების» უდიდეს უმრავლესობას იძლევიან (76%). ნაროდნიკულ, რაზნოჩინცულ პერიოდში (1884—1890 წწ.; 60-იანი დ 70-იანი წლების შესახებ, სამწუხაროდ, ამგვარი მონაცემები არ მოგვეპოვება) თავადაზნაურები მეორე რიგში დგებიან, მაგრამ ჯერ კიდევ მაინც დიდ პროცენტს გვიჩვენებენ (30,6%). ინტელიგენცია იძლევა დემოკრატიული მოძრაობის მონაწილეთა უდიდეს უმრავლეობას (73,2%).

1901 1903 წწ. პერიოდი, სწორედ პირველი პოლიტიკური მარქსისტული გაზეთის, ძ ვ ე ლ ი «იაკრიას»[3] პერიოდი, გვიჩვენებს უკვე მუშების ს ი ჯ ა რ ბ ე ს (46,1%) ინტელიგენციაზე (36,7%) მოძრაობის სრული დემოკრატიზაციის პირობებში (10,7% თავადაზნაურნი და 80.9% «არაპრივილეგიურნი»).

აქ წინასწარ აღვნიშნავთ, რომ პირველი მასობრივი მოძრაობის პერიოდი (1905 — 1908) ცვლილებას გვიჩვენებს მ ხ ო ლ ო დ გლეხობის მიერ (24.2% წინააღმდეგ 9.0%-ისა) ინტელიგენციის (28,4% წინააღმდეგ 36,7%-ისა) განდევნის სახით.

სოციალ-დემოკრატიის დამაარსებელი რუსეთში არის «შრომის განთავისუფლების» ჯგუფი, რომელიც აღმოცენდა საზღვარგარეთ 1883 წელს. ამ ჯგუფის ლიტერატურულ ნაწარმოებებში, რომლებიც უცენზუროდ იბეჭდებოდა საზღვარგარეთ, პირველად იყო გადმოცემული სისტემატურად და ყველა პრაქტიკული დასკვნით მარქსიზმის იდეები, რა იდეებიც, როგორც მთელი მსოფლიოს გამოცდილებამ გვიჩვენა, ერთადერთნი გამოხატავენ სწორად მუშათა მოძრაობის დედაარსს და მის ამოცანებს. 12 წლის განმავლობაში, 1883 წლიდან 1895 წლამდე, შეიძლება ითქვას, ერთადერთი ცდა რუსეთში ს.-დ. მუშათა ბეჭდვითი სიტყვის შექმნისა იყო ს.-დ. გაზეთის «რაბოჩისა»[4] გამოცემა პეტერბურგში 1885 წელს, რასაკვირველია, უცენზუროდ,

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 19, გვ. 387—390 რ ე დ.

მაგრამ ეს გაზეთი მხოლოდ ორი ნომერი გამოვიდა. მუშათა მასობრივი მოძრაობის არარსებობის გამო მუშათა ბეჭდვითი სიტყვა მოკლებული იყო ფართო განვითარების შესაძლებლობას.

1895 — 1896 წლიდან, პეტერბურგის ცნობილი გაფიცვების დროიდან, იწყება მუშათა მასობრივი მოძრაობა სოციალ-დემოკრატიის მონაწილეობით. სწორედ ეს დრო არის, ნამდვილი მნიშვნელობით, რუსეთში მუშათა ბეჭდვითი სიტყვის აღმოცენების დრო. მუშათა ბეჭდვითი სიტყვის მთავარი ნაწარმოებები მაშინ იყო უცენზუროდ გამოცემული ფურცლები, მეტწილად არა ნაბეჭდი, არამედ ჰექტოგრაფიული, და მათ უძღვნიდნენ «ეკონომიურ» (აგრეთვე) არაეკონომიურ აგიტაციას, ე. ი. სხვადასხვა ფაბრიკისა და მრეწველობის სხვადასხვა დარგის მუშების საჭიროებათა და მოთხოვნათა გადმოცემას. თავისთავად ცხადია, მოწინავე მუშებს რომ ასეთი ლიტერატურის შედგენასა და გავრცელებაში უაღრესად აქტიური მონაწილეობა არ მიეღოთ, ეს ლიტერატურა ვერ იარსებებდა. პეტერბურგელ მუშათაგან, რომელნიც იმ დროს მუშაობდნენ, შეიძლება დავასახელოთ ვასილ ანდრიას-ძე შელგუნოვი, რომელიც ბოლოს დაბრმავდა და წინანდებური აქტივობით მოქმედების შესაძლებლობა წაერთვა, და ივანე ვასილის-ძე ბაბუშკინი, მხურვალე «ისკრელი» (1900 — 1903) და «ბოლშევიკი» (1903 — 1905), რომელიც ციმბირის აჯანყებაში მონაწილეობის მიღებისათვის დახვრეტილ იქნა 1905 წლის გასულს თუ 1906 წლის დამდეგს.

ფურცლებს სცემდნენ ს.-დ. ჯგუფები, წრეები და ორგანიზაციები, რომლებიც 1895 წლის დასასრულიდან მეტწილად «მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირების» სახელწოდებას იღებდნენ. 1898 წელს სწორედ ადგილობრივი ს.-დ. ორგანიზაციების წარმომადგენელთა ყრილობამ დააარსა «რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია».

ფურცლებს მოჰყვა უცენზუროდ გამოცემული მუშათა გაზეთები, — მაგ., ს.-პეტერბურგში 1897 წელს «სპბ. რაბოჩი ლისტოკ»[5] და იქვე «რაბოჩაია მისლ»[6], რომელიც მალე საზღვარგარეთ იქნა გადატანილი. ადგილობრივი ს.-დ. გაზეთები ამ დროიდან თითქმის განუწყვეტლივ არსებობენ რევოლუციამდე, უცენზუროდ; რასაკვირველია, ამ გაზეთებს მუდამ არბევდნენ, მაგრამ ისინი კვლავ და კვლავ ჩნდებოდნენ რუსეთის ყველა კუთხეში.

ერთად აღებული მუშათა ფურცლები და ს.-დ. გაზეთები იმ დროისა, ე. ი. 20 წლის წინათ, ახლანდელი მუშათა ბეჭდვითი სიტყვის პირდაპირი და უშუალო წინამორბედნი არიან: იგივე საფაბრიკო «მხილებანი», იქვე ქრონიკა «ეკონომიური» ბრძოლისა, იგივე პრინ-

ციპული გაშუქება მუშათა მოძრაობის ამოცანებისა მარქსიზმის და თანამიმდევრული დემოკრატიზმის თვალსაზრისით, — ბოლოს ი გ ი ვ ე ორი ძირითადი მიმართულება, მარქსისტული და ოპორტუნისტული, მუშათა ბუნდოვანს სიტყვაში.

შესანიშნავი ფაქტი, რომელიც დღემდე სრულიადაც არაა საკმარისად შეფასებული: აღმოცენდა თუ არა რუსეთში მუშათა მ ა ს ო ბ რ ი ვ ი მოძრაობა (1895 — 1896 წწ.), მაშინვე გაჩნდა დანაწილება მარქსისტულ და ოპორტუნისტულ მიმართულებებად,—დანაწილება, რომელიც იცვლის ფორმას, სახეს და სხვ., მაგრამ არსებითად იგივე რჩება 1894 წლიდან 1914 წლამდე. ცხადია, არსებობს ღრმა სოციალური, კლასობრივი ფესვები სოციალ-დემოკრატებს შორის სწორედ ასეთი და არა სხვა რამ დანაწილებისა და შინაგანი ბრძოლისა.

ზემოხსენებული «რაბოჩაია მისლი» მაშინდელ ო პ ო რ ტ უ ნ ი ს ტ უ ლ მიმართულებას, ეგრეთწოდებულ «ეკონომიზმს» გამოხატავდა. მუშათა მოძრაობის ადგილობრივ მოღვაწეთა დავაში ეს მიმართულება უკვე 1894 — 1895 წლებში გამოისახა, ხოლო საზღვარგარეთ, სადაც რუსი მუშების გამოღვიძებამ ს.-დ. ლიტერატურის უდიდესი აყვავება გამოიწვია უკვე 1896 წლიდან. «ეკონომისტების» გაჩენა და შეკავშირება დამთავრდა გათიშვით 1900 წლის გაზაფხულზე (ე. ი. «ისკრის» დაარსებამდე, რომლის პირველი ნომერი 1900 წლის მიწურულში გამოვიდა).

მუშათა ბუნდოვანი სიტყვის ისტორია ოცი წლის განმავლობაში, 1894 — 1914 წწ., არის ისტორია ორი მიმართულებისა რუსულ მარქსიზმში და რუსულ (უფრო სწორად: რუსეთის) სოციალ-დემოკრატიაში. რომ გ ა ვ ი გ ო თ რუსეთის მუშათა ბუნდოვანი სიტყვის ისტორია, უნდა ვიცოდეთ არა მარტო და არა იმდენად სხვადასხვა ბუნდოვანი ორგანოს სახელწოდებანი, რომელნიც თანამედროვე მკითხველს არაფერს ეუბნებიან და მას მხოლოდ თავგზას უბნევენ, არამედ სოციალ-დემოკრატიის სხვადასხვა ნაწილთა შ ი ნ ა ა რ ს ი, ხასიათი, იდეური ხაზი.

«ეკონომისტების» მთავარი ორგანოები იყვნენ «რაბოჩაია მისლ» (1897—1900) და «რაბოჩეე დელო»[7] (1898—1901). «რაბ. დელოს» სათავეში იდგნენ ბ. კრიჩევსკი, რომელიც შემდეგში სინდიკალისტებს მიემხრო, ა. მარტინოვი, თვალსაჩინო მენშევიკი და ამჟამად ლიკვიდატორი, და აკიმოვი, ახლა «დამოუკიდებელი ს.-დ.», რომელიც ყოველივე არსებითში ლიკვიდატორებს ეთანხმება.

ეკონომისტების წინააღმდეგ ჯერ მხოლოდ პლეხანოვი და მთელი «შრომის განთავისუფლების» ჯგუფი (ჟურნალი «რაბოტნიკ»[8] და სხვ.) იბრძოდა, შემდეგ კი — «ისკრა» (1900 წლიდან 1903 წ. აგვის-

ტომდე, რსდმ პარტიის II ყრილობამდე). რაში მდგომარეობდა «ეკონომიზმის» დედაარსი?

«ეკონომისტები» სიტყვით განსაკუთრებით ენერგიულად იცავდნენ მუშათა მოძრაობის მასობრივ ხასიათს და მუშების თვითმოქმედებას. თანაც დაჟინებით აღნიშნავდნენ «ეკონომიური» აგიტაციის პირველხარისხოვან მნიშვნელობას და ზომიერებისა თუ თანდათანობის საჭიროებას პოლიტიკურ აგიტაციაზე გადასვლის საქმეში. როგორც მკითხველი ხედავს, ეს იგივე სანუკვარი სიტყვებია, რომლებითაც ლიკვიდატორებიც კოპწიაობენ. საქმით კი «ეკონომისტები» ატარებდნენ მუშათა ლიბერალურ პოლიტიკას, რომლის არსი «ეკონომიზმის» ერთ-ერთმა მაშინდელმა ბელადმა, ბ-მა ს. ნ. პროკოპოვიჩმა, მოკლედ გამოხატა: «მუშებს — ეკონომიური, ლიბერალებს — პოლიტიკური ბრძოლაო». საქმით «ეკონომისტები», რომლებიც ყველაზე მეტად გაჰყვიროდნენ მუშათა თვითმოქმედებასა და მასობრივ მოძრაობაზე, წარმოადგენდნენ ოპორტუნისტულ, მეშჩანურ-ინტელიგენტურ ფრთას მუშათა მოძრაობაში.

უდიდესი უმრავლესობა შეგნებული მუშებისა, რომლებიც უკვე 1901 — 1903 წლებში სახელმწიფო დანაშაულისათვის სამართალში მიცემულ 100 კაცზე 46 კაცს იძლეოდნენ, წინააღმდეგ 37 ინტელიგენტისა, დადგა ძ ვ ე ლ ი «ისკრის» მხარეზე ოპორტუნიზმის წინააღმდეგ. «ისკრის» სამი წლის (1901 — 1903) მოღვაწეობამ გამოიმუშავა ს.-დ. პარტიის პროგრამაც, მისი ტაქტიკის საფუძვლებიც და თანამიმდევრული მარქსიზმის საფუძველზე მუშათა ეკონომიური და პოლიტიკური ბრძოლის შეერთების ფორმებიც. «ისკრის» გარშემო და მისი იდეური ხელმძღვანელობით მუშათა ბეჭდვითი სიტყვა რევოლუციისწინა წლებში უდიდესი მასშტაბით გაიზარდა. უცენზურად გამოცემული ფურცლებისა და ნებადაურთველი სტამბების რაოდენობა მეტად დიდი იყო და სწრაფად იზრდებოდა რუსეთის ყველა კუთხეში.

«ისკრის» სრულმა გამარჯვებამ «ეკონომიზმზე», პროლეტარულ-თანამიმდევრული ტაქტიკის გამარჯვებამ ოპორტუნისტულ-ინტელიგენტურ ტაქტიკაზე 1903 წელს, გამოიწვია სოციალ-დემოკრატიის «თანამგზავრების» ახალი, გაძლიერებული მოზღვავება მის რიგებში, და ოპორტუნიზმი აღდგა ი ს კ რ ე ლ ო ბ ი ს ნ ი ა დ ა გ ზ ე, როგორც მისი ნაწილი, «მენშევიზმის» სახით.

მენშევიზმი შეიქმნა რსდმ პარტიის II ყრილობაზე (1903 წ. აგვისტო) «ისკრელების» უ მ ც ი რ ე ს ო ბ ი ს ა გ ა ნ (აქედანაა სახელწოდებაც — მენშევიზმი) და «ი ს კ რ ი ს» ყ ვ ე ლ ა ო პ ო რ ტ უ ნ ი ს ტ ი მ ო წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ი ს ა გ ა ნ. «მენშევიკები» შებრუნდნენ

უკან «ეკონომიზმისაკენ», რა თქმა უნდა, რამდენადმე განახლებული ფორმით ყველა იმ «ეკონომისტებმა», რომლებიც მოძრაობაში დარჩნენ, გაავსეს, ა. მარტინოვის მეთაურობით. «მენშევიკების» რიგები.

«მენშევიზმის» მთავარი ორგანო გახდა ა ხ ა ლ ი «ისკრა», რომელიც 1903 წლის ნოემბრიდან შეცვლილი რედაქციით გამოდიოდა: «ძველ და ახალ «ისკრას» შორის უფსკრული ძევსო» — გულახდილად განაცხადა მაშინდელმა თავგამოდებულმა მენშევიკმა ტროცკიმ. «ბოლშევიკების» მთავარი ორგანოები, რომლებიც თანამიმდევრული მარქსიზმის, ძველი «ისკრისადმი» ერთგულ ტაქტიკას იცავდნენ, იყო «ვპერიოდი»[9] და «პროლეტარი»[10] (1905 წ.).

სოციალ-დემოკრატიაში და მუშათა ბუნდოვანს სიტყვაში არსებული ორივე მთავარი მიმართულების, მენშევიკურისა და ბოლშევიკურის, შემოწმებას, მასებთან ნამდვილი კავშირისა და პროლეტარული მასების ტაქტიკის გამოხატულების თვალსაზრისით, წარმოადგენდნენ რევოლუციის წლები, 1905 — 1907 წწ.. აშკარა ს.-დ. ბუნდოვანი სიტყვა ერთბაშად ვერ აღმოცენდებოდა ცხრაას ხუთი წლის შემოდგომაზე, რომ მოწინავე მუშების მოქმედებას. მასებთან მჭიდროდ დაკავშირებულს, ნიადაგი არ მოემზადებინა ასეთი ბუნდოვანი სიტყვისათვის. და თუ აშკარა ს.-დ. ბუნდოვანი სიტყვა როგორც 1905, ისე 1906 და 1907 წლებისა — ო რ ი მიმართულების და ორი ფრაქციის ბუნდოვანი სიტყვა იყო, ეს თავის მხრივ სხვანაირად არ შეიძლება იქნას ახსნილი, თუ არ წვრილბურჟუაზიული და პროლეტარული ხაზის განსხვავებით იმ ეპოქის მუშათა მოძრაობაში.

მუშათა აშკარა ბუნდოვანი სიტყვა ჩნდებოდა აღმავლობისა და შედარებით «თავისუფლების» სამივე პერიოდში: 1905 წლის შემოდგომაზეც (ბოლშევიკების «ნოვაია ჟიზნ»,[11] მენშევიკების «ნაჩალო»[12] — ჩვენ ვასახელებთ მხოლოდ მთავარ ორგანოებს სხვა მრავალრიცხოვან ორგანოთაგან), 1906 წლის გაზაფხულზეც («ვოლნა»,[13] «ეხო»[14] და სხვ — ბოლშევიკებისა, «ნაროდნაია დუმა»[15] და სხვ. — მენშევიკებისა) და 1907 წლის გაზაფხულზეც.

იმ ეპოქის მენშევიკური ტაქტიკის დედაარსი თვით ლ. მარტოვმა ამას წინათ შემდეგი სიტყვებით გამოხატა: «პროლეტარიატისათვის მენშევიზმი ამ კრიზისში ნაყოფიერი მონაწილეობის სხვა რამ შესაძლებლობას ვერ ხედავდა, გარდა ბურჟუაზიულ-ლიბერალური დემოკრატიისათვის ხელის შეწყობისა მის ცდებში — სახელმწიფო ხელისუფლებისაგან ჩამოეცილებინა შეძლებულ კლასთა რეაქციული ნაწილი, — თუმცა ეს ხელის შეწყობა პროლეტარიატს სრული

პოლიტიკური დამოუკიდებლობის შენარჩუნებით უნდა განეხორციელებინა» (რუბაკინის «წიგნთა შორის», ტ. II, გვ. 772). აი ლიბერალებისათვის «ხელის შეწყობის» ეს ტაქტიკა ნიშნავდა საქმით მუშების დ ა მ ო კ ი დ ე ბ უ ლ ე ბ ა ს მათგან, ნამდვილად იგი მუშათა ლიბერალურ პოლიტიკას წარმოადგენდა. პირიქით, ბოლშევიზმის ტაქტიკა უზრუნველყოფდა პროლეტარიატის დამოუკიდებლობას ბურჟუაზიულ კრიზისში — ამ კრიზისის ბოლომდე მიყვანისათვის ბრძოლით, ლიბერალიზმის ღალატის მხილებით, ამ ღალატის საპირისპიროდ წვრილი ბურჟუაზიის (განსაკუთრებით სოფლის ბურჟუაზიის) განათლებითა და შეკავშირებით.

ცნობილია — და თვით მენშევიკებმა, მათ შორის ახლანდელმა ლიკვიდატორებმაც, კოლცოვმა, ლევიცკიმ და სხვ. მრავალჯერ აღიარეს ეს, რომ ამ წლებში (1905—1907) მუშათა მასები ბოლშევიკებს მიჰყვებოდნენ. ბოლშევიზმმა გამოხატა მოძრაობის პროლეტარული დედაარსი, მენშევიზმმა — მისი ოპორტუნისტული, მეშჩანურ-ინტელიგენტური ფრთა.

ჩვენ არ შეგვიძლია აქ უფრო დაწვრილებით დავახასიათოთ მუშათა ბეჭდვითი სიტყვის ორივე მიმართულების ტაქტიკის შინაარსი და მნიშვნელობა. უნდა დავკმაყოფილდეთ იმით, რომ ზუსტად დავადგინოთ ძირითადი ფაქტები, გამოვარკვიოთ ისტორიული განვითარების შთავარი ხაზები.

მუშათა ბეჭდვითს სიტყვას რუსეთში თითქმის ერთი საუკუნის ისტორია აქვს — ჯერ მოსამზადებელი, ე. ი. ისტორია ა რ ა მუშური, ა რ ა პროლეტარული, არამედ «საერთო-დემოკრატიული», ე. ი. ბურჟუაზიულ-დემოკრატიული განმათავისუფლებელი მოძრაობისა, — ხოლო შემდეგ — თავისი საკუთარი. ოცწლიანი ისტორია პროლეტარული მოძრაობისა, პროლეტარული დემოკრატიისა ანუ სოციალ-დემოკრატიისა.

არსად მსოფლიოში პროლეტარული მოძრაობა არ წარმოშობილა და არც შეიძლებოდა წარმოშობილიყო «ერთბაშად» წმინდა კლასობრივი სახით, არ შეიძლებოდა გაჩენილიყო ქვეყნად მზამზარეული სახით, როგორც მინერვა იუპიტერის თავიდან. მხოლოდ თვით მოწინავე მუშების, ყველა შეგნებული მუშის ხანგრძლივი ბრძოლით და მძიმე შრომით ხერხდებოდა პროლეტარული კლასობრივი მოძრაობის გამოყოფა და განმტკიცება ყოველგვარ წვრილბურჟუაზიულ ნარევთა, შეზღუდვათა, სივიწროვეთა და დამახინჯებათაგან. მუშათა კლასი ცხოვრობს წვრილი ბურჟუაზიის გვერდით, რომელიც ნადგურდება და სულ ახალ-ახალ ძალებს ჰმატებს პროლეტარიატის

რიგებს. ხოლო რუსეთი კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის ყველაზე წვრილბურჟუაზიული, ყველაზე მეშჩანური ქვეყანაა, და მხოლოდ ახლა განიცდის იგი ბურჟუაზიული რევოლუციების იმ ეპოქას, რომლითაც, მაგ., ინგლისში XVII საუკუნეა აღნიშნული, ხოლო საფრანგეთში XVIII საუკუნე და XIX საუკუნის პირველი ნახევარი.

შეგნებული მუშა, რომელიც ახლა ხელს ჰკიდებს თავის იმ ღვიძლ; სასიცოცხლო საქმეს, რომ გაუძღვეს მუშათა ბეჭდვითს სიტყვას, ფეხზე დააყენოს იგი, განამტკიცოს და განავითაროს იგი, არ დაივიწყებს მარქსიზმისა და ს.-დ. ბეჭდვითი სიტყვის ოცწლიან ისტორიას რუსეთში.

ცუდ სამსახურს უწევენ მუშათა მოძრაობას ის სუსტნერვებიანი ინტელიგენტი მეგობრები, რომლებიც თავიდან იშორებენ შინაგან ბრძოლას ს.-დ. წრეში და ჰაერს ავსებენ ძახილით და მოწოდებით ეს ბრძოლა თავიდან მოიშორეთო. კეთილი, მაგრამ ქარაფშუტა ადამიანები არიან ისინი, და მათი ძახილიც ფუჭია.

მხოლოდ იმ გზით, თუ შეისწავლიან ოპორტუნიზმის წინააღმდეგ მარქსიზმის ბრძოლის ისტორიას, თუ საფუძვლიანად და დაწვრილებით გაეცნობიან დამოუკიდებელი პროლეტარული დემოკრატიის გამოყოფას წვრილბურჟუაზიული დომხალისაგან. მხოლოდ ამ გზით განამტკიცებენ საბოლოოდ თავიანთ შეგნებას და თავიანთ მუშურ ბეჭდვითს სიტყვას მოწინავე მუშები.

«რაბოჩი» № 1,
1914 წ. 22 აპრილი

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, ᲛᲔ-4 გამოც.,
ტ. 20, გვ. 292—302

ჩვენი ამოცანები

ჩვენ მოკლედ მიმოვიხილეთ რუსეთის მუშათა პრესის ისტორია და «პრავდის»[16] წარმოშობა, შევეცადეთ გვეჩვენებინა, თუ როგორ წარმოქმნა რუსეთში დემოკრატიული მოძრაობის საუკუნოვანმა ისტორიამ მუშათა დემოკრატიის დამოუკიდებელი მოძრაობა მარქსიზმის იდეური დროშით; — როგორ მოხდა, რომ რუსეთში მარქსიზმისა და მუშათა მოძრაობის ოცი წლის ისტორიამ, წვრილბურჟუაზიული, ოპორტუნისტულ მიმდინარეობათა წინააღმდეგ მუშათა ავანგარდის ხანგრძლივი ბრძოლის შედეგად, გამოიწვია შეგნებული მუშების დიდი უმრავლესობის დარაზმვა «პრავდის» გარშემო, რომელიც მუშათა მოძრაობის 1912 წლის გაზაფხულის ცნობილმა აღმავლობამ შექმნა.

ჩვენ ვნახეთ, თუ გაზეთის არსებობის ორი წლის განმავლობაში როგორ დაირაზმნენ იდეურად, და რამდენადმე ორგანიზაციულადაც, შეგნებული მუშა-პრავდისტები. რომლებიც თავიანთი ძალღონით ქმნიდნენ და მხარს უჭერდნენ, განამტკიცებდნენ და ავითარებდნენ თანამიმდევრულად მარქსისტულ მუშათა პრესას. მუშა-პრავდისტები მკაცრად იცავდნენ თავიანთ კავშირს წინანდელი ისტორიული ეპოქის ორგანიზებულ მარქსისტებთან, არ არღვევდნენ არც ერთ მათს გადაწყვეტილებას, ძველის საძირკველზე აშენებდნენ ახალს, სისტემატურად, განუხრელად მიდიოდნენ წინ თანმიმდევრული მარქსიზმის მტკიცედ და ზუსტად დასახული მიზნისაკენ, და ამნაირად მათ დასაბამი მისცეს არაჩვეულებრივად ძნელი ისტორიული ამოცანის გადაწყვეტას.

ურიცხვი მტრები, უამრავი როგორც გარეშე, ისე შინაგანი სიძნელენი აღიმართნენ მუშათა მოძრაობის გზაზე 1908 — 1911 წლების ეპოქაში. დღემდე ჯერ კიდევ არც ერთ ქვეყანაში არ მოუხერხებია მუშათა მოძრაობას თავი დაეღწია ა მ გ ვ ა რ ი კრიზისისაგან

და შეენარჩუნებია თანამომდევნობა, ორგანიზებულობა, ძველი გადაწყვეტილებების- პროგრამისა და ტაქტიკისადმი ერთგულება.

რუსმა, — უფრო სწორად: რუსეთის — მუშამ მ ო ა ხ ე რ ხ ა ეს, მოახერხა ღირსეულად დაეღწია თავი წარმოუდგენლად მძიმე კრიზისისაგან, შეენარჩუნებინა წარსულისადმი ერთგულება, შეენარჩუნებინა ორგანიზაციული თანამომდევნობა, ამასთან ერთად შეეთვისებინა თავისი ძალის მომზადების ა ხ ა ლ ი ფორმები. პროლეტარიატის ახალ თაობათა გათვითცნობიერებისა და დარაზმვის ა ხ ა ლ ი ფორმები ძველი, ჯერ ისევ გადაუწყვეტელი, ისტორიული ამოცანების ძველი მეთოდებით გადაწყვეტისათვის.

რუსი საზოგადოების ყველა კლასიდან ეს მხოლოდ მუშაობა კლასმა შეძლო არა იმიტომ, რა თქმა უნდა, რომ იგი სხვა ქვეყნების მუშებზე უფრო მაღლა იდგა; — პირიქით, იგი კიდევ ძლიერაა მათგან ჩამორჩენილი თავისი ორგანიზებულობისა და შეგნების მხრივ. ეს მან შეძლო იმიტომ, რომ ერთბაშად დ ა ე უ რ დ ნ ო მთელი მსოფლიოს მუშათა გ ა მ ო ც დ ი ლ ე ბ ა ს, მათ თეორიულ გამოცდილებასაც, მათი შეგნების. მათი მეცნიერების მონაპოვრებს, მ ა რ ქ ს ი ზ მ ი ს მ ი ე რ შეჯამებულ გამოცდილებას,—მეზობელი ქვეყნების პროლეტართა პრაქტიკულ გამოცდილებასაც, რომელთაც საუცხოო მუშათა პრესა აქვთ და მასობრივი ორგანიზებულობა ახასიათებთ.

მუშა-პრავდისტებს, რომლებმაც ყველაზე ძნელ და მძიმე დროს დაიცვეს თ ა ვ ი ა ნ თ ი ხ ა ზი გარედან დევნისა და შიგნიდან სასოწარკვეთილების, მცირედმორწმუნეობის, სულმოკლეობისა და ღალატისაგან, სრული შეგნებითა და სიმტკიცით შეუძლიათ ახლა უთხრან თავიანთ თავს: ჩვენ ვიცით, რომ სწორ გზაზე ვიმყოფებით, მაგრამ ჯერ კიდევ მხოლოდ პირველ ნაბიჯებს ვდგამთ ამ გზაზე. და ჩვენ მოგველის მთავარი სიძნელენი, ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა გავაკეთოთ, რათა თვითონ საბოლოოდ განვმტკიცდეთ, რათა შეგნებულ ცხოვრებას ვაზიაროთ მილიონობით ჩამორჩენილი, მძინარე და დაბეჩავებული პროლეტარი.

დეე პროლეტარიატის წვრილბურჟუაზიულმა «თანამგზავრებმა», რომლებიც მონურად მიჰყვებიან ლიბერალებს, ამთვალწუნებელი გამომეტყველებით ილაპარაკონ «იატაკქვეშეთის» წინააღმდეგ; «არალეგალური პრესის რეკლამირების» წინააღმდეგ; დეე ცთუნებას მიეცენ ისინი სამი ივნისის «ლეგალობის» გამო. ჩვენ ვიცით, რომ ეს «ლეგალობა» მტკიცე არ არის, ჩვენ არ დავივიწყებთ ისტორიულ გაკვეთილებს ცენზურაგაუვლელი პრესის მნიშვნელობის შესახებ.

ჩვენ შემდგომ განვავითარებთ «პრავდისტულ» მუშაობას, წინ

წავწევთ წმინდა საგაზეთო საქმეს მუშათა საქმის ყ ვ ე ლ ა მხარესთან ერთად.

საჭიროა «პუტ პრავდი» ახლანდელზე სამჯერ-ოთხჯერ და ხუთჯერ უფრო მეტად გავავრცელოთ. საჭიროა შევქმნათ საერთო-პროფესიული დამატება რედაქციაში ყველა პროფესიული კავშირისა და ჯგუფის წარმომადგენელთა მონაწილეობით. საჭიროა შევქმნათ ჩვენი გაზეთის საოლქო (მოსკოვის, ურალის, კავკასიის, ბალტიისპირეთის, უკრაინის) დამატებანი. საჭიროა განვამტკიცოთ — უკლებლივ ყველა ერის ყოველგვარი ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული რაციონალისტების წინააღმდეგ — რუსეთიის ყ ვ ე ლ ა ეროვნების მუშათა ერთიანობა და ამისათვის, სხვათა შორის, დასაბამი მივცეთ ჩვენი გაზეთის დამატებებს, რომლებიც მიეძღვნება რუსეთის სხვადასხვა ეროვნების მუშათა მოძრაობას.

საჭიროა კიდევ ბევრად, ბევრად გავაფართოვოთ «პუტ პრავდის» საზღვარგარეთული განყოფილებაც და შეგნებული მუშების ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი უ ლ ი, იდეური და პოლიტიკური ცხოვრების ქრონიკაც.

საჭიროა შევქმნათ კაპიკიანი «ვეჩერნაია პრავდა»; «პუტ პრავდი» მისი ახლანდელი სახით აუცილებელია შეგნებული მუშისათვის და კიდევ უფრო უნდა გაფართოვდეს, მაგრამ იგი ერთობ ძვირია, ერთობ საძნელია, ერთობ დიდია ქუჩის მუშისათვის, ჩვეულებრივი მუშისათვის, მოძრაობაში ჯერ კიდევ ჩაუბმელი მილიონების წარმომადგენლისათვის... მათ არასოდეს არ დაივიწყებს მოწინავე მუშა, რომელმაც იცის, რომ ამქრული კარჩაკეტილობა, შრომის არისტოკრატიის გამოყოფა, მასისაგან მისი გამოცალკევება ნიშნავს პროლეტარის გამოტვინებასა და გაპირუტყვებას, მის უბადრუკ ფილისტერად, საცოდავ მონად გადაქცევას, ნიშნავს მისი განთავისუფლების ყოველგვარი იმედის დაკარგვას.

საჭიროა შევქმნათ კაპიკიანი «ვეჩერნაია პრავდა», რომელიც 200 300 ათას ცალად გავრცელდებოდა პროლეტარულ და ნახევრადპროლეტარულ მასაში, დაანახვებდა მას მსოფლიო მუშათა მოძრაობის შუქს, ჩაუნერგავდა თავისი ძალებისადმი რწმენას, წაახალისებდა დარაზმულიყო, დაეხმარებოდა სრულ შეგნებულობამდე ამაღლებულიყო.

საჭიროა მივაღწიოთ «პუტ პრავდის» მკითხველთა ახლანდელზე უფრო მეტ ორგანიზებულობის ცალკეულ ფაბრიკებში, ქარხნებში, რაიონებში და ა. შ., უფრო აქტიურ მონაწილეობას გაზეთისათვის კორესპონდენციების მიწოდებაში, მის წარმართვაში, გავრცელება-

ში. საჭიროა მივაღწიოთ მუშების სისტემატურ მონაწილეობას სარედაქტორო მუშაობაში.

საჭიროა... ნაგრამ განა ცოტა რამ არის კიდევ საჭირო! ჩვენ აქ არ შეგვიძლია ჩამოვთვალოთ ყველაფერი, რაც საჭიროა, ჩვენ სასაცილონიც კი ვიქნებოდით (უარესნიც, ვიდრე სასაცილონი). აქ რომ მოგვენდომებია ჩამოგვეთვალა ჩვენი მუშაობის ყველა ან მთავარი დარგები, სარბიელები!

ჩვენ ვიცით, რომ უტყუარ გზაზე ვდგავართ. ჩვენ ვიცით, რომ ყველა ქვეყნის მოწინავე მუშებთან ხელიხელჩაკიდებულნი მივდივართ, ვიცით, რომ ჩვენი მუშაობის ეს სარბიელი მხოლოდ მცირედი ნაწილია მთელისა, რომ ჯერ კიდევ ჩვენი განთავისუფლების დიადი გზის დასაწყისში ვიმყოფებით. მაგრამ ვიცით აგრეთვე, რომ ქვეყნად არ არსებობს ძალა, რომელსაც შეეძლოს ჩვენი შეჩერება ამ გზაზე.

«რაბოჩი» № 1, 1914 წ. 22 აპრილი.

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, ბე-4 გამოც., ტ. 36, გვ. 303—307

ნ ე რ ი ნ ი ღ ი ბ ა ნ

პ. ბ. აქსელროდს

...არაფერი ისე არ მიხდა, არაფერზე იმდენი არ მიოცნებია, როგორც იმის შესაძლებლობაზე, რომ ვწერო მუშებისათვის. მაგრამ როგორ გავაკეთო ეს აქედან? ძალიან და ძალიან ძნელია, მაგრამ, ჩემი აზრით, შეუძლებელი არ არის...

დაწერილია 1897 წ. 16 აგვისტოს
გაგზავნილია სოფ. შუშენსკოედან
ციურიხში
პირველად დაიბეჭდა 1924 წ.

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, ბ'ე-4 გამოც.,
ტ. 34, გვ. 6

ბროშურიდან

«რუსი სოციალ-დემოკრატების ამოცანები»

...ჩვენი ამოცანაა—ჩვენი მოღვაწეობა შევუერთოთ მუშათა ცხოვრების პრაქტიკულ, საყოფაცხოვრებო საკითხებს, დავეხმაროთ მუშებს ამ საკითხების გარკვევაში. მუშების ყურადღება მივაქციოთ უმნიშვნელოვანეს ბორტმოქმედებებს, დავეხმაროთ მათ უფრო სწორად და პრაქტიკულად ჩამოაყალიბონ თავიანთი მოთხოვნები მეპატრონეებისადმი, განვუვითაროთ მუშებს თავიანთი სოლიდარობის შეგნება, ყველა რუსი მუშის, როგორც პროლეტარიატის მსოფლიო არმიის ნაწილის შემადგენელი ერთიანი მუშათა კლასის საერთო ინტერესებისა და საერთო საქმის შეგნება. მუშებში წრეების მოწყობა, მათსა და სოციალ-დემოკრატების ცენტრალურ ჯგუფს შორის წესიერი და კონსპირაციული კავშირის დამყარება. მუშათა ლიტერატურის გამოცემა და გავრცელება, მუშათა მოძრაობის ყველა ცენტრიდან კორესპონდენციების მიღების მოწყობა. სააგიტაციო ფურცლებისა და პროკლამაციების გამოცემა და მათი გავრცელება, გამოცდილი აგიტატორების კონტინგენტის მომზადება, — ასეთია, ზოგადად, რუსეთის სოციალ-დემოკრატიის სოციალისტური მოღვაწეობის გამოვლინება...

დაწერილია გადასახლებაში 1897 წლის დამლევს. პირველად დაიბეჭდა ცალკე ბროშურად ჟენევაში, 1898 წ.

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, ბე-4 გამოც., ტ. 2, გვ. 404.

ნ ე რ ი ღ ი ღ ა ნ

მ. ა. ულიანოვას
და ა. ი. ულიანოვა-ელიზაროვას

22/XI. 98

...«ეტიუდების» კორექტურა მთლად ცუდია: გარდა ა ზ რ ი ს დ ა-ვ ა მ ა ხ ი ნ ჯ ე ბ ე ლ ი შეცდომებისა, რომლებიც გადმოგიგზავნე*, კიდევ უამრავია წვრილმანები, რომლებზეც უკვე შემომჩივიან ამხანაგები. უთუოდ საჭიროა სავსებით ინტელიგენტი და საფასურიანი კორექტორი, — ეს აუცილებელ პირობად უნდა იქნას დათქმული, და თვითონ მე ხალისით დავთანხმდები გადავუხადო ასეთ კორექტორს თუნდაც ორმაგი საფასური იმის გამო, რომ ავტორს არ შეუძლია თვითონ გაუკეთოს კორექტურა. ეს განსაკუთრებით ცხრილებს ეხება — შიგ საშინელი ტყუილებია. ბაზრებში კი ბევრია ცხრილი. შემდეგ (საუკეთესო კორექტურის მიუხედავადაც კი) ს ა ჭ ი რ ო ა დაუყოვნებლივ გადმომეგზავნოს ხოლმე უკანასკნელი კორექტურის თაბახები, ერთიმეორის მიყოლებით, და მე გამოვგზავნი შეცდომების სიას. გამოსვლა ამის გამო maximum ერთი თვით დაყოვნდება. (წესიერი გადმოგზავნის დროს); არა უშავს რა, ოღონდ წიგნი ლაზათიანად გამოიცეს. რაც შეეხება გამოცემის დროს — ახლაც კი შეიძლება დაიწყოს (ჩვენ უკვე თეთრად გადაწერილი გვაქვს მე-3 თავი, და მეც ამ დღეებში ვამთავრებ მე-4-ს, ე. ი. თხზულების ნახევარს, ხოლო მეორე ნახევარი ბევრად უფრო ადვილია, ასე რომ თამამად შემიძლია ვიკისრო ვალდებულება მივაწოდო უკანასკნელი თავი მოსკოვში 15 თებერვლისათვის, იქნებ უფრო ადრეც); ჩემთვის ეს განსაკუთრებით მოხერხებული იქნებოდა, რადგან პირველი თაბახების შესახებ მოვასწრებდი შემეტყობინებინა არა მარტო შეცდომები, არამედ იქნებ უფრო არსებითი რამეც. ფორმატი და შრიფტი სასურველია ისეთი, რომ ერთ გვერდზე იყოს 2400-მდე ასო, —

* ეს შეცდომები შენ რომ გამოგიგზავნე, იმავე დროს გავუგზავნე ისინი Scrivain-საც და ვთხოვე აუ ცი ლ ებ ლ ა დ დაებეჭდათ ცალკე ფურცელზე და ჩაედოთ წიგნში გაყიდვისას. ახლა, მაშასადამე, ამ თხოვნით ეოდოეოზოვას უნდა მივმართო.

მაშინ მთელი ნაშრომი 30 თაბახზე დაეტევა, დამრგვალებული ანგარიშით 500 გვერდი იქნება (გვერდების მეტი რაოდენობა კი ალბათ უკვე ზედმეტი და მკითხველისათვის საძნელო იქნებოდა). ბოლოს, დიაგრამის შესახებ II თავში — მას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს, რომ შიგ შეცდომები არ იყოს. გთხოვ მოელაპარაკო ყოველივე ამის შესახებ ვოდოვოზოვას და ამ წერილის მიღების შემდეგ რაც შეიძლება მალე მიპასუხო. მე-3 და მე-4 თავს გამოვგზავნით მათი დამთავრებისთანავე, ორიოდე კვირის შემდეგ.

მანიაშას გაუგზავნე, გეთაყვა, კიდევ 3 ეგზემპლარი «ეტიუდები». ალექსანდრე ლეონტის-ძის[17] მისამართია: (ოპერის ქუჩა, გუდინას სახლი, არხანგელსკი). აქაურ ამხანაგებს ყველას გავუგზავნე. კიდევ ერთი ეგზემპლარი კარგია გადაეცეს სამარელს, რომელიც «ნაუჩნოე ობოზრენიეში»[18] წერს.

ჰონორარის მესამედიდან, რომელიც შენ მიგიღია, ნახევარი მოდის იმ ფულზე, მიტიას რომ გამოუგზავნია ელ. ვას-თვის. დანარჩენი ნახევრიდან — ნახევარი გაგზავნე, გეთაყვა, კალმიკოვას საწყობში (იქ ვალი დამედო, იქიდან კი საკმაოდ ბევრს ვიწერ), დარჩენილი ნახევარით კი უნდა გამოვიწეროთ ჟურნალები და გაზეთები 1899 წლისათვის; უკვე დროა, განსაკუთრებით უცხოური:

«რუსსკიე ვედომოსტი»[19] ერთი წლით — 8 მ. 50 (მე-10 თვისა უნდა გადაეიხადო)
«რუსსკოე ბოგატსტვო»[20] » — 9 მ.
«მირ ბოჟიი»[21] » » — 8 მ.
«Frankfurter Zeitung» 1899 წლის პირველი $^1/_4$-თვის — 4 მ. 70
«ნივა»[22] 1899 წლისათვის — 7 მ.
«Archiv für soziale Gesetzgebung und Statistik», herausgegeben von Heinrich Braun. 1899 წლისათვის — 12 მ ა რ კ ა.

აქ ჩვენ ძალიან ვაფასებთ გაზეთებსა და ჟურნალებს და განსაკუთრებით ისეთებს, რომლებიც თავის დროზე მოდის; სწორედ ამიტომ გთხოვ ადრიანად მოაწერო ხელი.

შენი ვ. უ.

სალამი ყველა ჩვენებს...

გაგზავნილია ს. შუშენსკოედან პოდოლსკში.
პირველად დაიბეჭდა 1929 წლის ჟურნალ «პროლეტარსკაია რევოლუციაში» № 5

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, ბე-4 გამოც., ტ. 37, გვ. 160—162

ბროშურიდან

«რუსეთის სოციალ-დემოკრატების პროტესტი»

...გაზეთი «ს.-პეტერბურგსკი რაბოჩი ლისტოკ» (№ 2, 1897 წლის სექტემბერი) გადაჭრით გამოსთქვამდა იმ აზრს, რომ «თვითმპყრობელობის დამხობა... შეუძლია მხოლოდ მტკიცედ ორგანიზებულ მუშათა მრავალრიცხოვან პარტიას», რომ მუშები, «ორგანიზებულნი ძლიერ პარტიად», «გაითავისუფლებენ თავის თავს და მთელს რუსეთსაც გაათავისუფლებენ ყოველგვარი პოლიტიკური და ეკონომიური ჩაგვრისაგან.» მესამე გაზეთი «რაბოჩაია გაზეტა»[23]. მოწინავე სტატიაში (№ 2, 1897 წლის ნოემბერი) წერდა: «თვითმპყრობელური მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლა პოლიტიკური თავისუფლებისათვის რუსეთის მუშათა მოძრაობის უახლოესი ამოცანაა». — «რუსეთის მუშათა მოძრაობა გააათკეცებს თავის ძალებს, თუ გამოვა როგორც ერთიანი მწყობრი ერთეული საერთო სახელითა და მწყობრი ორგანიზაციით...» «ცალკეული მუშათა წრეები უნდა გადაიქცნენ ერთ საერთო პარტიად». «რუსეთის მუშათა პარტია იქნება სოციალ-დემოკრატიული პარტია». — რუსი სოციალ-დემოკრატების დიდი უმრავლესობა რომ «რაბოჩაია გაზეტას» სწორედ ამ შეხედულებებს საკუთარი იზიარებდა, ეს იქიდანაც ჩანს, რომ რუს სოციალ-დემოკრატების ყრილობამ, რომელიც 1898 წლის გაზაფხულზე შესდგა, დააარსა «რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია», გამოაქვეყნა მისი მანიფესტი და პარტიის ოფიციალურ ორგანოდ «რაბოჩაია გაზეტა» აღიარა...

დაწერილია 1899 წლის აგვისტოს დამლევს — სექტემბრის დამდეგს. პირველად დაბეჭდა 1899 წლის დეკემბერში საზღვარგარეთ ცალკე ანაბეჭდად ჟურნალ «რაბოჩეე დელოს» № 4—5-დან

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტ ს მიხედვით. მე-4 გამოც., ტ. 4., გვ. 212—213

სტატიები

«რაბოჩაია გაზეთისათვის» 24

წერილი რედაქტორთა ჯგუფისადმი

ძვირფასო ამხანაგებო!

თანახმად თქვენი თხოვნისა, გიგზავნით სამ სტატიას გაზეთისათვის და საჭიროდ მიმაჩნია რამდენიმე სიტყვა ვთქვა საერთოდ ჩემი თანამშრომლობისა და კერძოდ ჩვენი ურთიერთობის შესახებ.

წინანდელი თქვენი ცნობის მიხედვით მე საქმე ისე მქონდა წარმოდგენილი, რომ თქვენ გსურდათ დაგეარსებინათ საგამომცემლო ფირმა და ჩემთვის მოგენდოთ სოციალ-დემოკრატიული ბროშურების სერიის რედაქტირება.

ახლა კი ვხედავ, რომ საქმე სხვანაირად ეწყობა, უკვე შეგიდგენიათ თქვენი რედაქცია, რომელიც იწყებს გაზეთის გამოცემას და მე მიწვევს თანამშრომლად.

რასაკვირველია, მე სიამოვნებით ვთანხმდები ამ წინადადებაზეც, მაგრამ ამასთან უნდა ვთქვა, რომ წარმატებითი თანამშრომლობა მე შესაძლებლად მიმაჩნია მ ხ ო ლ ო დ შ ე მ დ ე გ ი პ ი რ ო ბ ი თ: 1) რედაქციის წ ე ს ი ე რ ი ურთიერთობა თანამშრომელთან, რომელსაც უნდა ე ც ნ ო ბ ო ს ყველა ხელნაწერის ბედი (რომელი იქნება მიღებული, რომელი უარყოფილი ან შეცვლილი), მასვე უნდა ე ც ნ ო ბ ო ს თ ქ ვ ე ნ ი ფ ი რ მ ი ს ყ ვ ე ლ ა გ ა მ ო ც ე მ ი ს შ ე ს ა ხ ებ; 2) ჩემი სტატიები ხელმოწერილი უნდა იყოს განსაკუთრებული ფსევდონიმით (თუ ჩემს მიერ გამოგზავნილი დაიკარგა, თქვენ თვითონ აირჩევთ რომელიც გინდათ); 3) თანხმობა რედაქციასა და თანამშრომელს შორის ძირითად შეხედულებებში თეორიულ საკითხებზე, უახლოეს პრაქტიკულ ამოცანებზე და გაზეთის (ან ბროშურების სერიის) სასურველად დაყენების ხასიათზე.

იმედი მაქვს, რომ რედაქცია ამ პირობებზე დათანხმდება და, რომ ჩვენს შორის მალე მოხდეს შეთანხმება, მე ახლავე ცოტა ხანს შევ-

ჩერდები იმ საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია მე-3 პირობასთან.

როგორც მე მწერენ, თქვენ ფიქრობთ, რომ «ძველი მიმდინარეობა მტკიცეა» და მაინცდამაინც საჭირო არ არის პოლემიკის გაჩაღება ბერნშტეინიადისა და მის რუსულ გამოხატულებათა წინააღმდეგ. ეს შეხედულება მე მიმაჩნია მეტად ოპტიმისტურად. ბერნშტეინის საჯარო განცხადება იმის შესახებ, რომ მას ეთანხმება რუს სოციალ-დემოკრატების უმრავლესობა[25]; გათიშვა საზღვარგარეთ «ახალგაზრდა» რუს სოციალ-დემოკრატებსა და «შრომის განთავისუფლების» ჯგუფს შორის[26], რომელიც «ძველი მიმდინარეობის» დამაარსებელიცაა, წარმომადგენელიც და უერთგულესი დამცველიც; «რაბოჩაია მისლის» ჭაპანწყვეტა — სთქვას რაღაც ახალი სიტყვა, გაილაშქროს «ფართო» პოლიტიკური ამოცანების წინააღმდეგ, აპოთეოსამდე აიყვანოს წვრილმანი საქმეები და «კუსტარულობა», «რევოლუციური თეორიების» უგვანო დაცინვა (№ 7, «გაკვრით»); და ბოლოს, ლეგალური მარქსისტული ლიტერატურის სრული დაბნეულობა და მის წარმომადგენელთა მასის უკიდურესი მისწრაფება ჩაებღაუჭონ ბერნშტეინიადის მოდურ «კრიტიკას», — ყოველივე ეს, ჩემის აზრით, ნათლად გვიჩვენებს, რომ «ძველი მიმდინარეობის» აღდგენა და მისი ენერგიული დაცვა პირდაპირ საჭიროროტო საქმეა.

თუ როგორ ვუყურებ მე გაზეთის ამოცანას და მისი გაძღოლის გეგმას, თქვენ ამას დაინახავთ სტატიებიდან, და ჩემთვის ძლიერ სასურველი იქნებოდა გამეგო, რამდენად ვეთანხმებით ერთმანეთს ამ საკითხში (სტატიები, სამწუხაროდ, დაწერილია ცოტა ნაჩქარევად: საერთოდ ჩემთვის მეტად მნიშვნელოვანია ვიცოდე სტატიების მოწოდების უკანასკნელი ვადები).

«რაბოჩაია მისლის» წინააღმდეგ, მე ვფიქრობ, აუცილებელია პირდაპირ პოლემიკის დაწყება, მხოლოდ ამისთვის გთხოვთ მიშოვოთ №№ 1, 2, 6 და მე-7 ნომრის შემდეგ; აგრეთვე «პროლეტარული ბრძოლა»[27]. უკანასკნელი ბროშურა საჭიროა აგრეთვე მის შესახებ რეცენზიის დასაწერად გაზეთში.

თქვენ მწერთ, სტატიების სიდიდეს ნუ მოერიდებითო. ვიდრე არის გაზეთი, მე ვარჩევდი დამეწერა საგაზეთო სტატიები და მათში გამერჩია საბროშურო თემებიც, — ისე კი, რომ ეს სტატიები შემდეგში ბროშურებად გადამემუშავებინა. უახლოეს მომავალში მე ვფიქრობ შევეხო შემდეგ თემებს: 1) პროგრამის პროექტი — მალე გამოვგზავნი; 2) ტაქტიკისა და ორგანიზაციის საკითხები, რომლებიც უნდა გაირჩეს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარ-

ტიის მომავალ ყრილობაზე; 3) ბროშურა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოიქცნენ მუშები და სოციალისტები თავისუფლად ყოფნის დროს, საპყრობილესა და გადასახლებაში. მსგავსად პოლონური ბროშურისა («ყოფაქცევის წესები», — თუ შეიძლება, გთხოვთ მიშოვოთ); 4) გაფიცვების შესახებ (I — მათი მნიშვნელობა; II — კანონები გაფიცვების შესახებ; III — უკანასკნელი წლების ზოგიერთი გაფიცვის მიმოხილვა); 5) ბროშურა «ქალი და მუშათა საქმე» და სხვ.

სასურველია ვიცოდე დაახლოებით, რა მასალები მოეპოვება რედაქციას, რათა განმეორება არ გამოვიდეს და ხელი არ მოვკიდო უკვე «ამოწურულ» საკითხებს.

მოვუცდი რედაქციის პასუხს იმავე გადმომცემი ინსტანციის საშუალებით. (ამ გზის გარდა მე არ მქონდა და არცა მაქვს სხვა გზა თქვენს ჯგუფთან).

ფ. ბ. [28]

ჩვენი პროგრამა

საერთაშორისო სოციალ-დემოკრატია ამჟამად აზრის მერყეობას განიცდის. აქამდე მარქსისა და ენგელსის მოძღვრებანი რევოლუციური თეორიის მტკიცე საფუძვლად ითვლებოდა, — ახლა კი ყოველი მხრიდან გაისმის ხმები ამ მოძღვრებათა არასაკმარისობისა და მათი დაძველებულობის შესახებ. ვინც თავის თავს სოციალ-დემოკრატად აცხადებს და აზრად აქვს სოციალ-დემოკრატიული ორგანო გამოსცეს, მან ზუსტად უნდა გამოარკვიოს, თავისი დამოკიდებულება საკითხისადმი, რომელიც სრულებითაც მარტო გერმანელ სოციალ-დემოკრატებს როდი აღელვებს.

ჩვენ სავსებით ვდგევართ მარქსის თეორიის ნიადაგზე; ამ თეორიამ პირველად გადააქცია სოციალიზმი უტოპიიდან მეცნიერებად, დაადგინა ამ მეცნიერების მტკიცე საფუძვლები და დასახა ის გზა, რომლითაც უნდა ვიაროთ, რათა ეს მოძღვრება შემდგომ განვავითაროთ და ყველა მისი ნაწილი დავამუშაოთ. მან გამოააშკარავა თანამედროვე კაპიტალისტური მეურნეობის დედაარსი და ახსნა, თუ რანაირად ჰფარავს მუშის დაქირავება, საშუშაო ძალის ყიდვა მილიონობით ღარიბი ხალხის დამონებას ერთი მუჭა კაპიტალისტების, მიწის, ფაბრიკების, მაღაროებისა და სხვათა მფლობელთა მიერ. მან გვიჩვენა, თუ როგორ მიიმართება თანამედროვე კაპიტალიზმის მთელი განვითარება მსხვილი წარმოების მიერ წვრილის განდევნისაკენ, როგორ ჰქმნის პირობებს, რომელნიც შესაძლებლად და აუცილებლად ხდიან საზოგადოების სოციალისტურად მოწყობას. მან გვასწავლა ფესვგადგმული ზნე-ჩვეულებების, პოლიტიკური ინტრიგების, ოსტატური კანონებისა და ეშმაკურად მოჭახრაკებულ მოძღვრებათა საფარველ ქვეშ კ ლ ა ს თ ა ბ რ ძ ო ლ ი ს დანახვა, ბრძოლისა, რომელიც სწარმოებს ყოველგვარი სახეობის მქონებელ კლასებსა და უქონებელ მასას, პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ს შორის, რომელიც ყველა უქონებელთა სათავეში დგას. მან გამოარკვია რევოლუციური სოცია-

ლისტური პარტიის ნამდვილი ამოცანა: ეს არის არა საზოგადოების გარდაქმნის გეგმების შეთხზვა, არა ქადაგება კაპიტალისტებისა და მათი დამქაშების წინაშე მუშების მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ, არა შეთქმულებათა მოწყობა, არამედ პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ორგანიზაცია და ხელმძღვანელობა ამ ბრძოლისა, რომლის საბოლოო მიზანია — პროლეტარიატის მიერ პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობა და სოციალისტური საზოგადოების ორგანიზაცია.

და აი ახლა ჩვენ ვკითხულობთ: რა შეიტანეს ახალი ამ თეორიაში იმ მყვირალა მისმა «განმაახლებლებმა», რომლებიც თავს იყრიან გერმანელი სოციალისტის ბერნშტეინის გარშემო და რომლებმაც ჩვენს დროში ასეთი ხმაური ასტეხეს? სრულიად არაფერი: მათ ერთი ნაბიჯითაც ვერ წასწიეს წინ ის მეცნიერება, რომლის განვითარება ჩვენ გვიანდერძეს მარქსმა და ენგელსმა; მათ ბრძოლის ვერავითარი ახალი ხერხი ვერ ასწავლეს პროლეტარიატს: ისინი მხოლოდ უკან იხევდნენ, ითვისებდნენ ჩამორჩენილი თეორიების ნამსხვრევებს და პროლეტარიატს უქადაგებდნენ არა ბრძოლის თეორიას, არამედ დათმობის თეორიას — დათმობისა პროლეტარიატის უბოროტესი მტრების, მთავრობებისა და ბურჟუაზიული პარტიების მიმართ, რომლებიც მოუსვენრად ეძებენ ახალ-ახალ საშუალებებს სოციალისტების დევნისათვის. რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ერთ-ერთი დამაარსებელი და ბელადი. პლეხანოვი, სავსებით მართალი იყო, როცა მან კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა უახლესი «კრიტიკა» ბერნშტეინისა[29], რომლის შეხედულებანი ახლა უარჰყვეს გერმანელი მუშების წარმომადგენლებმაც (ჰანოვერის ყრილობაზე)[30].

ჩვენ ვიცით, რომ ამ სიტყვებისათვის სეტყვასავით მოგვაყრიან ბრალდებათა მთელ გროვას: მორთავენ ყვირილს, რომ ჩვენ გვინდა სოციალისტური პარტია გადავაქციოთ იმ «მართლმორწმუნეთა» ორდენად, რომლებიც დევნიან «ერეტიკოსებს» «დოგმისგან» განდგომისათვის, ყოველგვარი დამოუკიდებელი აზრისათვის და სხვ. ჩვენ ვიცნობთ ყველა ამ მოდურ მკვახე ფრაზებს. მხოლოდ ესაა, რომ მათში არ არის არც სიმართლის ნატამალი და არც აზრის ნატამალი. შეუძლებელია არსებობდეს მტკიცე სოციალისტური პარტია, თუ არ არსებობს რევოლუციური თეორია, რომელიც აერთიანებს ყველა სოციალისტს და რომელიც შეადგენს მთელი მათი რწმენის წყაროს; ამ თეორიას ისინი იყენებენ თავიანთი ბრძოლის ხერხებისა და მოქმედების საშუალებებისათვის; მთელი შენი გაგებით ჭეშმარიტებად მიჩნეული თეორიის დაცვა უსაფუძვლო თავდასხმებისა და

მისი გაუარესების ცდებისაგან — სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ ი კრიტიკის მტერი იყო. ჩვენ სრულებით არ ვუყურებთ მარქსის თეორიას როგორც რაღაც დამთავრებულ და ხელუხლებელ რამეს; პირიქით, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მან მხოლოდ საფუძველი ჩაუყარა იმ მეცნიერებას, რომელიც სოციალისტებმა უ ნ დ ა წასწიონ წინ ყველა მიმართულებით, თუ მათ არ სურთ ცხოვრებას ჩამორჩნენ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ რუსი სოციალისტებისათვის განსაკუთრებით აუცილებელია მარქსის თეორიის დ ა მ ო უ კ ი დ ებ ე ლ ი დამუშავება ვინაიდან ეს თეორია იძლევა მხოლოდ ზოგად ს ა ხ ე ლ მ ძ ღ ვ ა ნ ე ლ ო დებულებებს, რომლებიც კ ე რ ძ ო ინგლისის მიმართ სხვანაირად გამოიყენება, ვიდრე საფრანგეთის მიმართ, საფრანგეთის მიმართ სხვანაირად, ვიდრე გერმანიის მიმართ, გერმანიის მიმართ სხვანაირად, ვიდრე რუსეთის მიმართ. ამიტომ ჩვენ სიამოვნებით დავუთმობთ ჩვენს გაზეთში ადგილს სტატიებს თეორიულ საკითხებზე და მოვუწოდებთ ყველა ამხანაგს სადაო მუხლების აშკარად განხილვისაკენ.

მაშ როგორია ის მთავარი საკითხები, რომლებიც აღიძვრება ხოლმე. რაცა რუსეთის მიმართ ვიყენებთ ყველა სოციალ-დემოკრატისთვის საერთო პროგრამას? ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ამ პროგრამის არსი მდგომარეობს პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ორგანიზაციასა და ამ ბრძოლის ხელმძღვანელობაში, ბრძოლისა, რომლის საბოლოო მიზანია — პროლეტარიატის მიერ პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობა და სოციალისტური საზოგადოების მოწყობა. პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლა ეკონომიურ ბრძოლად (ბრძოლად ცალკეულ კაპიტალისტთა ან კაპიტალისტთა ცალკეული ჯგუფების წინააღმდეგ მუშების მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის) და პოლიტიკურ ბრძოლად (ბრძოლად მთავრობის წინააღმდეგ ხალხის უფლებათა გაფართოებისათვის, ე. ი. დემოკრატიისათვის, და პროლეტარიატის პოლიტიკური ძალაუფლების გაფართოებისათვის). ზოგიერთი რუსი სოციალ-დემოკრატი (ალბათ, მათ რიცხვს ეკუთვნიან ისინი, რომლებიც ხელმძღვანელობენ გაზეთ «რაბოჩაია მისლს») გაცილებით უფრო მნიშვნელოვნად სთვლის ეკონომიურ ბრძოლას, პოლიტიკურ ბრძოლას კი, ლამის, ცოტად თუ ბევრად შორეული მომავლისათვის სდებს. ასეთი აზრი სრულებით არ არის სწორი. ყველა სოციალ-დემოკრატი თანახმაა იმისა, რომ აუცილებელია მუშათა კლასის ეკონომიური ბრძოლის ორგანიზაცია, რომ საჭიროა ამ ნიადაგზე მუშებში აგიტაციის წარმოება, ე. ი. მუშებისათვის დახმარების გაწევა მათ ყოველდღიურ ბრძოლაში მეპატრონეების წინააღმდეგ, მათი ყურადღების

მიქცევა ყველა სახის შევიწროებაზე, და ამ შევიწროებათა ყველა შემთხვევაზე და, ამრიგად, გაერთიანების აუცილებლობის ახსნა მათთვის. მაგრამ ეკონომიური ბრძოლის გულისთვის პოლიტიკური ბრძოლის დავიწყება—ეს იქნებოდა საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის ძირითადი დებულებიდან გადახვევა, ეს იქნებოდა იმის დავიწყება, რასაც მუშათა მოძრაობის მთელი ისტორია გვასწავლის. ბურჟუაზიისა და მის სამსახურში მყოფი მთავრობის ერთგულ მომხრეებს არაერთხელ უცდიათ მუშათა წმინდა-ეკონომიური კავშირების შექმნა და ამნაირად მათი ჩამოშორება «პოლიტიკისაგან», სოციალიზმისაგან. ადვილად შესაძლოა, რომ რუსეთის მთავრობაც შეძლებს მოაწყოს მსგავსი რამ, ვინაიდან ის ყოველთვის ცდილობდა გადაეგდო ხალხისთვის უმნიშვნელო მოწყალება ან, უკეთ, ყალბი მოწყალება, ოღონდ ხალხს თავის უუფლებობასა და ჩაგვრაზე არ ეფიქრნა. ვერავითარი ეკონომიური ბრძოლა ვერ მოუტანს მუშებს მტკიცე გაუმჯობესებას, არც კი შეიძლება ამ ბრძოლის ფართო მასშტაბით წარმოება, თუ მუშებს არ ექნებათ უფლება თავისუფლად მოაწყონ კრებები, კავშირები, იქონიონ თავიანთი გაზეთები და თავიანთი წარმომადგენლები გაგზავნონ ხალხო კრებებზე, როგორც ამას შვრებიან გერმანიისა და ევროპის ყველა სხვა ქვეყნის (თურქეთისა და რუსეთის გარდა) მუშები. ხოლო ამ უფლებების მოსაპოვებლად საჭიროა პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი ბ რ ძ ო ლ ი ს წარმოება. რუსეთში არამც თუ მუშები, არამედ ყველა მოქალაქე მოკლებულია პოლიტიკურ უფლებებს. რუსეთი — თვითმპყრობელური, შეუზღუდველი მონარქიაა. აქ მარტო მეფე სცემს კანონებს, ნიშნავს მოხელეებს და თვალყურს ადევნებს მათ. ამის გამო გ ე ჩ ვ ე ნ ე ბ ა, თითქოს რუსეთში მეფე და მეფის მთავრობა არ არის დამოკიდებული არავითარი კლასებისაგან და ყველაზე ერთნაირად ზრუნავს. ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ კი ყველა მოხელე მხოლოდ მესაკუთრეთა კლასიდანაა აყვანილი და ყველანი ემორჩილებიან მსხვილ კაპიტალისტთა გავლენას, რომლებიც აბურთავებენ მინისტრებს და ყველაფერს აკეთებინებენ, რაც კი სურთ. რუსეთის მუშათა კლასს ორმაგი უღელი აწევს: მას ტყავს აძრობენ და ძარცვავენ კაპიტალისტები და მემამულეები. ხოლო რათა მან ვერ შესძლოს უკანასკნელთა წინააღმდეგ ბრძოლა, მას ხელ-ფეხს უბოჭავს პოლიცია, პირში ბურთსა სჩრის და სასტიკად დევნის ხალხის უფლებათა დაცვის ყოველგვარ ცდას. საკმარისია სადმე კაპიტალისტის წინააღმდეგ გაფიცვა მოხდეს, რომ მთავრობამ მუშებს ჯარი და პოლიცია მიუსიოს. ყოველი ეკონომიური ბრძოლა აუცილებლად იქცევა პოლიტიკურ ბრძოლად, და ამიტომ სოციალ-დემოკრატიამ განუყრელად უნდა შეაერთოს ერთიც და მეორეც პ რ ო ლ ე ტ ა-

რიატის ერთიან კლასობრივ ბრძოლად. ასეთი ბრძოლის პირველი და მთავარი მიზანი უნდა იყოს პოლიტიკურ უფლებათა დაპყრობა, პოლიტიკური თავისუფლების დაპყრობა. თუ მარტო პეტერბურგის მუშებმა, სოციალისტების მცირეოდენი დახმარებით, სწრაფად აიძულეს მთავრობა დათმობაზე წასულიყო — გამოეცა კანონი სამუშაო დღის შემცირების შესახებ[31], მით უფრო რუსეთის მთელი მუშათა კლასი, ერთი «რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის» ხელმძღვანელობით შესძლებს უდრეკი ბრძოლით მოიპოვოს გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი დათმობანი.

რუსეთის მუშათა კლასს მარტოც შეუძლია აწარმოოს თავისი ეკონომიური და პოლიტიკური ბრძოლა იმ შემთხვევაშიც კი, რომ არც ერთი სხვა კლასისაგან არ ღებულობდეს დახმარებას. მაგრამ პოლიტიკურ ბრძოლაში მუშები მარტონი არ არიან. ხალხის სრული უუფლებობა და თავზეხელაღებულ მოხელეთა ველური თვითნებობა აშფოთებს ყველა ოდნავ პატიოსან განათლებულ ადამიანსაც, რომლებსაც არ შეუძლიათ შეურიგდნენ ყოველი თავისუფალი სიტყვისა და თავისუფალი აზრის დევნას, აშფოთებს დევნილ პოლონელებსა, ფინელებსა და ებრაელებს, რუს სექტანტებს, აშფოთებს წვრილ ვაჭრებსა, მრეწველებსა და გლეხებს, რომლებმაც არ იციან ვის შეაფარონ თავი მოხელეთა და პოლიციის შევიწროებათაგან. მოსახლეობის ყველა ამ ჯგუფს, ცალკეულად აღებულთ, არ შესწევთ უნარი აწარმოონ მედგარი პოლიტიკური ბრძოლა, მაგრამ როცა მუშათა კლასი ააფრიალებს ასეთი ბრძოლის დროშას, — მას ყოველი მხრიდან გაუწოდებენ დახმარების ხელს. რუსეთის სოციალ-დემოკრატია სათავეში ჩაუდგება ხალხის უფლებათათვის ყველა მებრძოლთ, დემოკრატიისათვის ყველა მებრძოლთ, და მაშინ ის უძლეველი გახდება!

ასეთია ჩვენი ძირითადი შეხედულებანი, რომლებსაც ჩვენ სისტემატურად და ყოველმხრივ განვავითარებთ ჩვენს გაზეთში. დარწმუნებული ვართ, რომ ამნაირად ჩვენ წავალთ იმ გზით, რომელიც დასახული აქვს «რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას» მის გამოცემულ «მანიფესტში».

ჩვენი უახლოესი ამოცანა

რუსეთის მუშათა მოძრაობა ამჟამად გარდამავალ პერიოდში იმყოფება. ბრწყინვალე დასაწყისი, რომლითაც თავი ისახელეს დასავლეთი მხარის, პეტერბურგის, მოსკოვის, კიევის და სხვა ქალაქების მუშათა სოციალ-დემოკრატიულმა ორგანიზაციებმა, დაგვირგვინდა «რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის» შექმნით (1898 წლის გაზაფხულზე). ამ უდიდესი ნაბიჯის წინ გადადგმით რუსეთის სოციალ-დემოკრატიამ თითქოს ამოსწურა დროებით ყველა თავისი ძალები და დაუბრუნდა ისევ ცალკეული ადგილობრივი ორგანიზაციების წინანდელ დაქსაქსულ მუშაობას. პარტიას არ შეუწყვეტია არსებობა, ის მხოლოდ თავისად მიიქცა, რათა ძალები მოეკრიბა და ყველა რუსი სოციალ-დემოკრატის გაერთიანების საქმე მტკიცე ნიადაგზე დაეყენებინა. ამ გაერთიანების განხორციელება, მისთვის შესაფერისი ფორმის გამომუშავება და ვიწრო ადგილობრივი დაქსაქსულობისაგან საბოლოოდ განთავისუფლება — ასეთია რუსი სოციალ-დემოკრატების უახლოესი და უაღრესად საარსებო ამოცანა.

ჩვენ ყველანი თანახმა ვართ, რომ ჩვენი ამოცანაა — პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ორგანიზაცია. მაგრამ რა არის კლასობრივი ბრძოლა? როდესაც ცალკე ფაბრიკის, ცალკე ხელობის მუშები ბრძოლას უცხადებენ თავიანთ მეპატრონეს თუ მეპატრონეებს — არის თუ არა ეს კლასობრივი ბრძოლა? არა, ეს მხოლოდ მისი სუსტი ჩანასახია. მუშების ბრძოლა მხოლოდ მაშინ იქცევა კლასობრივ ბრძოლად, როცა მთელი ქვეყნის მთელი მუშათა კლასის ყველა მოწინავე წარმომადგენელი თავს გრძნობენ ერთიან მუშათა კლასად და იწყებენ ბრძოლას არა ცალკეულ მეპატრონეთა წინააღმდეგ, არამედ კაპიტალისტების მ თ ე ლ ი კ ლ ა ს ი ს წინააღმდეგ და ამ კლასის დამცველი მთავრობის წინააღმდეგ. მხოლოდ მაშინ, როცა ცალკეული მუშა თავს გრძნობს მთელი მუშათა კლასის

წევრად, როცა ცალკეული მეპატრონეების და ცალკეული მოხელეების წინააღმდეგ ყოველდღიურ, წვრილწვრილ ბრძოლაში ის ხედავს ბრძოლას მთელი ბურჟუაზიის წინააღმდეგ და მთელი მთავრობის წინააღმდეგ, მხოლოდ მაშინ იქცევა მისი ბრძოლა კლასობრივ ბრძოლად. «ყოველი კლასობრივი ბრძოლა პოლიტიკური ბრძოლაა»[32] — მარქსის ეს შესანიშნავი სიტყვები სწორი არ იქნებოდა იმ აზრით გაგვეგო, თითქოს მუშების ყოველი ბრძოლა მეპატრონეების წინააღმდეგ ყოველთვის იყოს პოლიტიკური ბრძოლა. ეს სიტყვები ისე უნდა გავიგოთ, რომ მუშების ბრძოლა კაპიტალისტების წინააღმდეგ აუცილებლად პოლიტიკურ ბრძოლად იქცევა იმდენად, რამდენადაც ის კლასობრივ ბრძოლად იქცევა. სოციალ-დემოკრატიის ამოცანა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მუშების ორგანიზაციის და მათ შორის აგიტაცია-პროპაგანდის საშუალებით მათი სტიქიური ბრძოლა მჩაგვრელების წინააღმდეგ გადააქციოს მთელი კლასის ბრძოლად, გარკვეული პოლიტიკური პარტიის ბრძოლად გარკვეული პოლიტიკური და სოციალისტური იდეალებისთვის. მარტოოდენ ადგილობრივი მუშაობით ასეთი ამოცანის მიღწევა შეუძლებელია.

ადგილობრივმა სოციალ-დემოკრატიულმა მუშაობამ ჩვენში უკვე საკმაოდ მაღალ განვითარებას მიაღწია. სოციალ-დემოკრატიული იდეების თესლი გაბნეულია უკვე ყველგან მთელს რუსეთში: მუშათა ფურცლები — სოციალ-დემოკრატიული ლიტერატურის ეს პირველი ფორმა — უკვე ცნობილია ყველა რუსი მუშისთვის, პეტერბურგიდან კრასნოიარსკამდე და კავკასიიდან ურალამდე. ახლა ჩვენ გვაკლია სწორედ მთელი ამ ადგილობრივი მუშაობის შემტკიცება ერთი პარტიის მუშაობად. ჩვენი მთავარი ნაკლი, რომლის აღმოფხვრისაკენ უნდა წავმართოთ მთელი ჩვენი ძალები — ესაა ადგილობრივი მუშაობის ვიწრო, «კუსტარული» ხასიათი. ამ კუსტარულობის გამო რუსეთის მუშათა მოძრაობის მრავალი გამოვლინება წმინდა ადგილობრივ მოვლენად რჩება და ნაკლებ მნიშვნელოვანი ხდება, როგორც მთელი რუსეთის სოციალ-დემოკრატიის დამახასიათებელი ნიმუში, როგორც მთელი რუსეთის მუშათა მოძრაობის საფეხური. ამ კუსტარულობის გამო მუშები საკმაოდ ვერ იმსჯელებიან მთელს რუსეთში თავიანთი ინტერესების ერთობის შეგნებით, საკმაოდ არ უკავშირებენ თავიანთ ბრძოლას რუსეთის სოციალიზმსა და რუსეთის დემოკრატიაზე ფიქრს. ამ კუსტარულობის გამო ამხანაგების სხვადასხვა შეხედულებას თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებზე აშკარად არ განიხილავენ ცენტრალურ ორგანოში, ეს შეხედულებანი პარტიის საერთო პროგრამისა და საერთო ტაქ-

ტიკის გამომუშავებას კი არ ეხმარებიან, არამედ იკარგებიან ვიწრო წრეებში ან ადგილობრივსა და შემთხვევითს თავისებურებათა უზომო გაზვიადებას იწვევენ. კმარა ეს კუსტარულობა! ჩვენ უკვე საკმაოდ მომწიფებული ვართ, რომ გადავიდეთ ს ა ე რ თ ო მ უ შ ა ო ბ ა ზ ე, პარტიის საერთო პროგრამის შემუშავებაზე, ჩვენი პარტიული ტაქტიკისა და ორგანიზაციის ერთად განხილვაზე.

რუსეთის სოციალ-დემოკრატიამ ბევრი რამ გააკეთა ძველი რევოლუციური და სოციალისტური თეორიების კრიტიკისათვის; ის არ დაკმაყოფილდა მარტო კრიტიკითა და თეორიული მსჯელობით; მან დაამტკიცა, რომ მისი პროგრამა ჰაერში კი არ არის გამოკიდებული, არამედ ეთანხმება ფართო სტიქიურ მოძრაობას ხალხში, სახელდობრ ფაბრიკა-ქარხნების პროლეტარიატში; მას ახლა გადასადგმელი დარჩა შემდეგი, განსაკუთრებით ძნელი. მაგრამ იმავე დროს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, ნაბიჯი: შექმნას ჩვენს პირობებთან შეფარდებული ორგანიზაცია ამ მოძრაობისა. სოციალ-დემოკრატიის დანიშნულება არ ამოიწურება მუშათა მოძრაობის უბრალო სამსახურით; იგი არის «ს ო ც ი ა ლ ი ზ მ ი ს შ ე ე რ თ ე ბ ა მ უ შ ა თ ა მ ო ძ რ ა ო ბ ა ს თ ა ნ» (ვხმარობთ კ. კაუტსკის განსაზღვრას, რომელშიც ასახულია «კომუნისტური მანიფესტის» ძირითადი იდეები); სოციალ-დემოკრატიის ამოცანაა — მუშათა სტიქიურ მოძრაობაში შეიტანოს გარკვეული სოციალისტური იდეალები, დაუკავშიროს იგი სოციალისტურ შეხედულებებს, რომლებიც უნდა იდგნენ თანამედროვე მეცნიერების დონეზე, დაუკავშიროს იგი სისტემატურ პოლიტიკურ ბრძოლას დემოკრატიისათვის, როგორც სოციალიზმის განხორციელების საშუალება, ერთი სიტყვით, ეს სტიქიური მოძრაობა შეაერთოს ერთ განუყრელ მთელად რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი პ ა რ ტ ი ი ს მოღვაწეობასთან. დასავლეთ ევროპის სოციალიზმისა და დემოკრატიის ისტორია, რუსეთის რევოლუციური მოძრაობის ისტორია და ჩვენი მუშათა მოძრაობის გამოცდილება, — ასეთია ის მ ა ს ა ლ ა, რომელსაც ჩვენ უნდა დავეუფლოთ იმისათვის, რომ შევიმუშაოთ ჩვენი პარტიის მიზანშეწონილი ორგანიზაცია და ტაქტიკა. მაგრამ ამ მასალის «დამუშავება» უნდა იყოს დამოუკიდებელი, ვინაიდან მზა ნიმუშებს ჩვენ ვერსად ვიპოვით: ერთი მხრით, რუსეთის მუშათა მოძრაობა სრულიად სხვა პირობებშია ჩაყენებული, ვიდრე დასავლეთ ევროპის მუშათა მოძრაობა. ძლიერ სახიფათო იქნებოდა ამ მხრივ რაიმე ილუზიებში გადავარდნა. ხოლო, მეორე მხრით, რუსეთის სოციალ-დემოკრატია ფრიად არსებითად განსხვავდება რუსეთის წინანდელი რევოლუციური პარტიებისაგან, ასე რომ რევოლუციური და კონსპირაციული

ტექნიკის ძველი რუსი კორიფეებისგან სწავლის საჭიროება (ამ საჭიროებას ჩვენ უყოყმანოდ ვცნობთ) სრულებით არ გვანთავისუფლებს მოვალეობისაგან — კრიტიკულად შევხედოთ მათ და დამოუკიდებლად შევიმუშაოთ ჩვენი ორგანიზაცია.

ასეთი ამოცანის დაყენებისას განსაკუთრებული სიძლიერით იჩენს თავს ორი მთავარი საკითხი: 1) როგორ შევუთავსოთ ერთმანეთს ადგილობრივი სოციალ-დემოკრატიული მოღვაწეობის სრული თავისუფლების აუცილებლობა და ერთიანი, — და, მაშასადამე, ცენტრალისტური, — პარტიის შექმნის აუცილებლობა? სოციალ-დემოკრატია მთელი თავისი ძალის წყაროს პოულობს მუშათა სტიქიურ მოძრაობაში, რომელიც ერთნაირად და ერთდროულად როდი იჩენს თავს სხვადასხვა სამრეწველო ცენტრში; ადგილობრივი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების მოღვაწეობა — პარტიის მთელი მოღვაწეობის ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი ა. მაგრამ თუ ეს იქნება იზოლირებულ «მარტოხელათა» მოღვაწეობა, მაშინ არც კი შეიძლება, სწორად რომ ვთქვათ, მას სოციალ-დემოკრატიული ვუწოდოთ, ვინაიდან ეს არ იქნება პროლეტარიატის კ ლ ა ს ო ბ რ ი ვ ი ბრძოლის ორგანიზაცია და ხელმძღვანელობა. 2) როგორ შევათავსოთ ერთად სოციალ-დემოკრატიის მისწრაფება — გახდეს რევოლუციურ პარტიად, რომელიც თავის მთავარ მიზნად ისახავს პოლიტიკური თავისუფლებისათვის ბრძოლას, — და ის, რომ სოციალ-დემოკრატია გადაჭრით წინააღმდეგია მოაწყოს პოლიტიკური შეთქმულებანი, გადაჭრით უარს ამბობს «მოუწოდოს მუშებს ბარიკადებისაკენ» (ჰ. ბ. აქსელროდის სწორი თქმით) ან საერთოდ თავს მოახვიოს მუშებს მთავრობაზე იერიშის ესა თუ ის «გეგმა», შეთხზული რევოლუციონერთა კომპანიის მიერ?

რუსეთის სოციალ-დემოკრატიას სრული უფლება აქვს ჩასთვალოს, რომ მან თ ე ო რ ი უ ლ ა დ უკვე გადაჭრა ეს საკითხები; ამაზე შეჩერება იქნებოდა იმის განმეორება, რაც უკვე ითქვა სტატიაში «ჩვენი პროგრამა». ახლა საქმე ეხება ამ საკითხების პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ გადაჭრას. ასეთ გადაჭრას ვერ მოგვცემს ცალკეული პირი ან ცალკეული ჯგუფი, — მისი მოცემა შეუძლია მხოლოდ მთელი სოციალ-დემოკრატიის ორგანიზებულ მოღვაწეობას. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამჟამად ყველაზე საჭირბოროტო ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ შევუდგეთ ამ საკითხების გადაჭრას, და რომ ამისთვის ჩვენ უახლოეს მიზნად უნდა დავისახოთ პ ა რ ტ ი ი ს ისეთი ო რ გ ა ნ ო ს შ ე ქ მ ნ ა, რ ო მ ე ლ ი ც რ ე გ უ ლ ა რ უ ლ ა დ გ ა მ ო ვ ა და მ ჭ ი დ რ ო დ ი ქ ნ ე ბ ა დ ა კ ა ვ შ ი რ ებ უ ლ ი ყ ვ ე ლ ა ა დ გ ი ლ ო ბ რ ი ვ ჯ გ უ ფ თ ა ნ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ სოციალ-დემოკრატების

მ თ ე ლ ი მოღვაწეობა მთელ უახლოეს მომავალში წარმართულ უნდა იქნას ამ საქმის ორგანიზაციისაკენ. თუ ასეთი ორგანო არ გვექნება, ადგილობრივი მუშაობა დარჩება ვიწრო «კუსტარულობად». პარტიის შექმნა. — თუ ორგანიზებული არ არის ამ პარტიის სწორი წარმომადგენლობა გარკვეულ გაზეთში, — დარჩება მეტწილად ლიტონ სიტყვად. ეკონომიურ ბრძოლას, რომელსაც არ აერთიანებს ცენტრალური ორგანო, არ შეუძლია გახდეს მთელი რუსეთის პროლეტარიატის კ ლ ა ს ო ბ რ ი ვ ბრძოლად. პოლიტიკური ბრძოლის წარმოება შეუძლებელია, თუ მთელმა პარტიამ არ გამოსთქვა თავისი აზრი პოლიტიკის ყველა საკითხზე და არ წარმართა ბრძოლის ცალკეული გამოვლინებანი. რევოლუციური ძალების ორგანიზაცია, მათში დისციპლინის დამყარება და რევოლუციური ტექნიკის განვითარება შეუძლებელია, თუ ცენტრალურ ორგანოში არ იქნება განხილული ყველა ეს საკითხი, თუ კოლექტიურად არ იქნება შემუშავებული ს ა ქ მ ი ს გ ა ძ ღ ო ლ ი ს გარკვეული ფ ო რ მ ე ბ ი და წ ე ს ე ბ ი, თუ — ცენტრალური ორგანოს საშუალებით — დაწესებული არ იქნება პარტიის ყოველი წევრის პ ა ს უ ხ ი ს მ გ ებ ლ ო ბ ა მთელი პარტიის წინაშე.

როცა ჩვენ ვამბობთ, რომ აუცილებელია პარტიამ მ თ ე ლ ი თავისი ძალები — მთელი ლიტერატურული ძალები, მთელი ორგანიზატორული უნარი, მთელი მატერიალური საშუალებანი და სხვ. — მოახმაროს მთელი პარტიის ორგანოს დაარსებასა და მართებულად გაძღოლას, ჩვენ სრულებით არ ვფიქრობთ უკანა რიგში დავაყენოთ სხვა სახის მოღვაწეობა, მაგ., ადგილობრივი აგიტაცია, მანიფესტაციები, ბოიკოტი, ჯაშუშების დევნა, ბურჟუაზიისა და მთავრობის ცალკეულ წარმომადგენელთა დევნა, დემონსტრაციული გაფიცვები და სხვ. და სხვ. პირიქით, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მოღვაწეობის ყველა ეს სახე შეადგენს პარტიის მოღვაწეობის ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ს, მაგრამ რევოლუციური ბრძოლის ყველა ეს ფორმა, თუ ისინი გაერთიანებული ა რ ი ქ ნ ე ბ ა მთელი პარტიის ორგანოში, კ ა რ გ ა ვ ს თ ა ვ ი ს ი მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ი ს ც ხ რ ა მ ე ა თ ე დ ს და ვერ ჰქმნის პარტიის საერთო გამოცდილებას, პარტიულ ტრადიციასა და თანამომდევნობას. პარტიის ორგანო არამც თუ არ გაუწევს მეტრქეობას ასეთ მოღვაწეობას, არამედ, პირიქით, უდიდეს გავლენას მოახდენს მის გავრცელებაზე, განმტკიცებაზე და სისტემაში შეტანაზე.

ის გარემოება, რომ აუცილებელია მ თ ე ლ ი ძალები მოვახმაროთ პარტიის ისეთი ორგანოს შექმნას, რომელიც რეგულარულად გამოვა და გავრცელდება, — გამოწვეულია რუსეთის სოციალ-დე-

მოკრატიის ორიგინალური მდგომარეობით, რომელიც განირჩევა სხვა ევროპული ქვეყნების სოციალ-დემოკრატიისა და რუსეთის ძველი რევოლუციური პარტიების მდგომარეობისაგან. გერმანიის, საფრანგეთის და სხვათა მუშებს გარდა გაზეთებისა მრავალი სხვა საშუალება აქვთ თავიანთი მოღვაწეობის საჯარო გამოვლინებისათვის, სხვა საშუალებები მოძრაობის ორგანიზაციისათვის: პარლამენტური მოღვაწეობაც, საარჩევნო აგიტაციაც, სახალხო კრებებიც, ადგილობრივ საზოგადოებრივ დაწესებულებებში (საერობოსა და საქალაქოში) მონაწილეობაც, ხელოსანთა (პროფესიული, საამქრო) კავშირების ლეგალურად გაძღოლაც და სხვ. და სხვ. ჩვენში ყ ვ ე ლ ა ა მ ი ს ნ ა ც ვ ლ ა დ, სწორედ ყ ვ ე ლ ა ამის ნაცვლად — ვიდრე პოლიტიკური თავისუფლება ბრძოლით არ მოგვიპოვებია — არის რევოლუციური გაზეთი, ურომლისოდ ჩვენში შეუძლებელია მთელი მუშათა მოძრაობის რ ა ი მ ე ფართო ორგანიზაცია. შეთქმულებები ჩვენ არა გვწამს, მთავრობის დამხობის ერთეულ რევოლუციურ წამოწყებებზე ჩვენ უარს ვამბობთ; ჩვენი მუშაობის პრაქტიკული ლოზუნგია გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ვეტერანის, ლიბკნეხტის სიტყვები: «Studieren, propagandieren, organisieren» — სწავლა, პროპაგანდა, ორგანიზება — და ამ მოღვაწეობის ცენტრალური პუნქტი შეიძლება და უნდა იყოს მხოლოდ პ ა რ ტ ი ი ს ო რ გ ა ნ ო.

მაგრამ შეიძლება თუ არა და რა პირობებში შეიძლება ასეთი ორგანოს რიგიანად და რაოდენადმე მაინც მტკიცედ დაყენება? ამაზე შემდეგ მოვილაპარაკებთ.

საარსებო საკითხი

წინა სტატიაში ჩვენ ვთქვით, რომ ჩვენი გადაუდებელი ამოცანაა პარტიის ისეთი ორგანოს დაარსება, რომელიც რეგულარულად გამოვა და გავრცელდება, და დავსვით კითხვა, შეიძლება თუ არა და რა პირობებში შეიძლება ამ მიზნის მიღწევა. განვიხილოთ ამ საკითხის უმთავრესი მხარეები.

უწინარეს ყოვლისა შეიძლება გვითხრან, რომ ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა ჯერ გავაძლიეროთ ადგილობრივი ჯგუფების მოღვაწეობა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს, საკმაოდ გავრცელებული აზრი შემცდარია. ჩვენ დაუყოვნებლივ შეგვიძლია და უნდა მოვკიდოთ ხელი, რომ დავაარსოთ და მტკიცე ნიადაგზე დავაყენოთ პარტიის ორგანო — და, მაშასადამე, თვით პარტიაც. აუცილებელი პირობები ასეთი ნაბიჯის გადასადგმელად უკვე არის: ადგილობრივი მუშაობა სწარმოებს და მან, როგორც ჩანს, უკვე ღრმად გაიდგა ფესვები, ვინაიდან უფრო და უფრო გახშირებული დარბევები იწვევს მხოლოდ მუშაობის დროებით შეწყვეტას; ბრძოლაში დაცემულთა ალაგს მყისვე იპერენ ახალი ძალები. საგამომცემლო სახსრები და ლიტერატურული ძალები პარტიას მოეპოვება არა მარტო საზღვარგარეთ, არამედ რუსეთშიც. მაშასადამე, საკითხი ასე დგას: უნდა განვაგრძოთ თუ არა «კუსტარულად» ის მუშაობა, რ ო მ ე ლ ი ც უ კ ვ ე ს წ ა რ მ ო ე ბ ს, თუ იგი უნდა მოვაქციოთ ერთი პარტიის მუშაობაში და მოვაწყოთ ისე, რომ ის სავსებით გამოიხატებოდეს ერთ საერთო ორგანოში.

აქ ჩვენ მივადექით ჩვენი მოძრაობის საარსებო საკითხს, მის მტკივნეულ პუნქტს — ორგანიზაციას. რევოლუციური ორგანიზაციის, დისციპლინისა და კონსპირაციული ტექნიკის გაუმჯობესება უცილობლად საჭიროა. აშკარად უნდა ვაღიაროთ, რომ ამ მხრივ ჩვენ ჩამოვრჩით რუსეთის ძველ რევოლუციურ პარტიებს. და ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ დავეწიოთ და კიდევაც გავუს-

წროთ მათ. ორგანიზაციის გაუმჯობესების გარეშე შეუძლებელია საერთოდ ჩვენი მუშათა მოძრაობის რაიმე პროგრესი, კერძოდ, შეუძლებელია რიგიანად მოქმედი ორგანოს მქონე აქტიური პარტიის შექმნაც. ეს ერთი მხრივ. მეორე მხრივ, პარტიის ახლანდელმა ორგანოებმა (ორგანოებმა როგორც დაწესებულებებისა და ჯგუფების, ისე გაზეთების აზრით) მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ ორგანიზაციის საკითხებს და ამ მიმართულებით გავლენა მოახდინონ ადგილობრივ ჯგუფებზე.

ადგილობრივი, კუსტარული მუშაობა ყოველთვის იძლევა გადაჭარბებულ პირად კავშირურთიერთობათა სიმრავლეს, წრეობრივობას, ჩვენ კი უკვე დავაღწიეთ თავი წრეობრივობას, რომელიც მეტად ვიწროა ახლანდელი მუშაობისთვის და ძალების გადაჭარბებულ ხარჯვას იწვევს. მხოლოდ ერთ პარტიად შეერთება მოგვცემს შესაძლებლობას სისტემატურად გავატაროთ შრომის დანაწილების და ძალთა ეკონომიის პრინციპი, — ამას კი აუცილებლად უნდა მივაღწიოთ, რათა შევამციროთ მსხვერპლთა რაოდენობა და შევქმნათ ცოტად თუ ბევრად მტკიცე დასაყრდენი თვითმპყრობელი მთავრობის მხრივ ჩაგვრისა და მის მიერ გაშმაგებული დევნის წინააღმდეგ. ჩვენს წინააღმდეგ, სოციალისტთა მცირე ჯგუფების წინააღმდეგ, რომლებიც თავს აფარებენ რუსეთის ფართო «იატაკქვეშეთს», დგას უძლიერესი თანამედროვე სახელმწიფოს უზარმაზარი მექანიზმი, რომელიც მთელ ძალებს ძაბავს, რათა გასრისოს სოციალიზმი და დემოკრატია. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ბოლოს და ბოლოს ჩვენ დავამსხვრევთ ამ პოლიციურ სახელმწიფოს, იმიტომ რომ დემოკრატიასა და სოციალიზმს იცავენ მთელი ხალხის ყველა ჯანსაღი და განვითარების გზაზე მდგარი ფენები, მაგრამ იმისათვის, რომ სისტემატური ბრძოლა ვაწარმოოთ მთავრობის წინააღმდეგ, ჩვენ განვითარების უმაღლეს წერტილამდე უნდა ავიყვანოთ რევოლუციური ორგანიზაცია, დისციპლინა და კონსპირაციული ტექნიკა. პარტიის ცალკეული წევრები ან წევრთა ცალკეული ჯგუფები აუცილებლად უნდა დახელოვნდნენ პარტიული მუშაობის სხვადასხვა დარგში: ზოგს უნდა დაეკისროს ლიტერატურის გამრავლება, ზოგს — მისი გადმოტანა უცხოეთიდან, ზოგს — გადატან-გადმოტანა რუსეთში, ზოგს — გავრცელება ქალაქებში, ზოგს — კონსპირაციული ბინების მოწყობა, ზოგს — ფულის შეგროვება, ზოგს — კორესპონდენციების და ყოველგვარი ცნობების მიწოდება მოძრაობის შესახებ, ზოგს კავშირურთიერთობის წარმოება და სხვ. და სხვ. ჩვენ ვიცით, რომ ასეთი სპეციალიზაცია მოითხოვს გაცილებით უფრო მეტ სიმტკიცეს, გაცილებით მეტ უნარს — მთელი

ყურადღება მიაქციო პატარა, უჩინარ, შავ მუშაობას. მოითხოვს ვაცილებით მეტ ჭეშმარიტ გმირობას, ვიდრე არის ჩვეულებრივი მუშაობა წრეში.

მაგრამ რუსეთის სოციალისტებმა და რუსეთის მუშათა კლასმა უკვე დაამტკიცეს, რომ მათ გმირობის უნარი შესწევთ, და, საერთოდ, უმართებულო იქნებოდა ხალხის ნაკლებობას დავემდურეთ. მუშათა ახალგაზრდობაში ჩვენ ვხედავთ გატაცებულ, შეუკავებელ მისწრაფებას დემოკრატიისა და სოციალიზმის იდეებისაკენ, ხოლო ინტელიგენციის რიგებიდან განუწყვეტლივ მოდიან მუშათა თანაშემწენი, მიუხედავად იმისა, რომ საპყრობილეები და გადასახლების ადგილები გაჭედილია. თუ რევოლუციური საქმის ყველა ეს რეკრუტებში წარმოებულ იქნა ფართო პროპაგანდა უფრო მტკიცე ორგანიზაციის აუცილებლობის შესახებ, მაშინ პარტიის ისეთი გაზეთის გამოცემის გეგმა, რომელიც რეგულარულად გამოვა და გავრცელდება, უბრალო ოცნება აღარ იქნება. ავიღოთ ასეთი გეგმის წარმატების ერთი პირობა: გაზეთის უზრუნველყოფა კორესპონდენციებითა და მასალებით, რომლებიც უნდა მოდიოდეს წესიერად და ყოველი მხრიდან. განა ისტორია არ გვიჩვენებს, რომ ჩვენი რევოლუციური მოძრაობის გამოცოცხლების დროს ასეთ მიზანს ყოველთვის სავსებით აღწევდნენ თვით საზღვარგარეთული ორგანოების მიმართაც? თუ სხვადასხვა ალაგას მომუშავე სოციალ-დემოკრატები პარტიის გაზეთს შეხედავენ როგორც თ ა ვ ი ა ნ თ გაზეთს, და მთავარ საქმედ მიიჩნევენ მასთან მუდმივი კავშირის დაჭერას, მასში თავიანთი საკითხების განხილვას და მთელი თავისი მოძრაობის ასახვას, — მაშინ გაზეთის უზრუნველყოფა სრული ცნობებით მოძრაობის შესახებ სავსებით შესაძლებელი იქნება იმ პირობით, თუ დავიცავთ არც თუ ისე განსაკუთრებით ოსტატურ კონსპირაციულ ხერხებს. საქმის მეორე მხარე — გაზეთის წესიერად მიწოდება რუსეთის ყველა ადგილებში — გაცილებით უფრო ძნელია. იმაზე უფრო ძნელი, ვიდრე რევოლუციური მოძრაობის ძველი ფორმების დროს იყო რუსეთში, როცა გაზეთები ამდენად ხალხის მასებისათვის არ იყო დანიშნული. მაგრამ სოციალ-დემოკრატიული გაზეთების დანიშნულება აადვილებს მათს გავრცელებას. მთავარი ადგილები, სადაც უნდა მიდიოდეს გაზეთი რეგულარულად და დიდი რაოდენობით — ესაა სამრეწველო ცენტრები. საფაბრიკო სოფლები და ქალაქები, დიდი ქალაქების საფაბრიკო უბნები და სხვ. ასეთ ცენტრებში თითქმის მთელი მოსახლეობა მუშებისაგან შესდგება; აქ მუშა ფაქტიურად მდგომარეობის ბატონ-პატრონია და მას მრავალი საშუალება აქვს გააცუროს ფხიზელი პოლიცია;

მეზობელ საფაბრიკო ცენტრებთან ურთიერთობას ახასიათებს უაღ-
რესი გაცხოველება. სოციალისტების წინააღმდეგ განსაკუთრებული
კანონის ეპოქაში (1878 — 1890 წლები).[33] გერმანიის პოლიტიკური
პოლიცია რუსეთისაზე უარესად არ მუშაობდა, ის ალბათ უკეთესა-
დაც მუშაობდა, მაგრამ მიუხედავად ამისა გერმანელმა მუშებმა თა-
ვიანთი ორგანიზებულობისა და დისციპლინიანობის მეოხებით მიაღ-
წიეს იმას, რომ მათი ყოველკვირეული არალეგარული გაზეთი წესი-
ერად შემოჰქონდათ უცხოეთიდან და სახლში ურიგდებოდა ყველა
ხელისმომწერს, ასე რომ მინისტრებსაც კი არ შეეძლოთ აღტაცება-
ში არ მოსულიყვნენ სოციალ-დემოკრატიული ფოსტით («წითელი
ფოსტით»). ჩვენ, რა თქმა უნდა, ასეთ წარმატებაზე არ ვოცნებობთ,
მაგრამ იმის მიღწევა, რომ ჩვენი პარტიის გაზეთი გამოდიოდეს წე-
ლიწადში 12-ჯერ მაინც და წესიერად ურიგდებოდეს მოძრაობის
ყველა მთავარ ცენტრში მუშათა ყველა წრეს, რომლისთვისაც მი-
საწვდომია სოციალიზმი, — ჩვენ საკადრისად შეგვიძლია, თუ აქეთკენ
შივმართავთ მთელს ჩვენს ძალღონეს.

ვუბრუნდებით რა სპეციალიზაციის საკითხს, საჭიროდ ვთვლით
აღვნიშნოთ აგრეთვე, რომ მისი ნაკლებობა ნაწილობრივ აიხსნება
«კუსტარული» მუშაობის სიჭარბით, ნაწილობრივ კი იმითაც, რომ
ჩვენი სოციალ-დემოკრატიული გაზეთები ჩვეულებრივ ძლიერ ცო-
ტა ადგილს უთმობენ ორგანიზაციის საკითხებს.

მხოლოდ პარტიის საერთო ორგანოს შექმნას შეუძლია მისცეს
რევოლუციური საქმის ყოველ «ცალკეულ მუშაკს» იმის შეგნება,
რომ ის მიდის «რიგსა და მწკრივში», რომ მისი მუშაობა უშუალოდ
საჭიროა პარტიისთვის, რომ ის არის იმ ჯაჭვის ერთერთი რგოლი,
რომელიც ბოლოს მოუღებს რუსეთის პროლეტარიატის და მთელი
რუსი ხალხის უბოროტეს მტერს — რუსეთის თვითმპყრობელ მთავ-
რობას. მხოლოდ ასეთი სპეციალიზაციის სასტიკი გატარება მოგვ-
ცემს ძალების მომჭირნეობის საშუალებას: არამც თუ რევოლუცი-
ური მუშაობის ყოველ ცალკე მხარეს შეასრულებს მუშაკთა ნაკ-
ლები რიცხვი, არამედ იმის შესაძლებლობაც გვექნება, რომ ლ ე გ ა-
ლ უ რ (კანონით ნებადართულ) საქმეებად გამოვყოთ თანამედრო-
ვე მოღვაწეობის მთელი რიგი მხარეები. გერმანიის სოციალ-დემოკ-
რატიის მთავარი ორგანო «Vorwärts»-ი («წინ»)[34] უკვე დიდი ხა-
ნია ურჩევდა რუსეთის სოციალისტებს თავისი მოღვაწეობის ასეთ
ლეგალიზაციას და მის კანონიერ ჩარჩოებში ჩაყენებას. ერთი შე-
ხედვით ასეთი რჩევა გვაოცებს, — ნამდვილად კი ის სერიოზული
ყურადღების ღირსია. თითქმის ყოველ მუშაკს, რომელსაც უმუშა-
ვნია რომელიმე ქალაქის ადგილობრივ წრეში, ადვილად შეუძლია

მოიგონოს, რომ იმ ათასგვარ საქმეთა შორის, რომელსაც ის აკეთებდა, იყო რამდენიმე ისეთი საქმეც, რომელიც თავისთავად ლეგალურია (მაგ., ცნობების შეგროვება მუშათა მდგომარეობის შესახებ, მრავალი საკითხის ლეგალური ლიტერატურის შესწავლა, უცხოეთის განსაზღვრული სახის ლიტერატურის გაცნობა და რეფერირება, გარკვეული ურთიერთობანი, დახმარების გაწევა მუშებისთვის ზოგადი განათლების მიღებაში, საფაბრიკო კანონების შესწავლაში და სხვ.). ასეთი საქმეების გამოყოფა საგანგებო პირთა საგანგებო ფუნქციებად შეამცირებდა აქტიური, პირდაპირ «ცეცხლში» მყოფი რევოლუციური არმიის რაოდენობას (მისი «საბრძოლო უნარის» სრულიად შეუსუსტებლად) და გაადიდებდა იმ რეზერვის რაოდენობას, რომელიც ავსებს «დაჭრილ-დახოცილთა» ადგილებს. ეს კი შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა აქტიური წევრებიც და რეზერვიც ხედავენ თავიანთი მოღვაწეობის გამოხატულებას პარტიის საერთო ორგანოში და გრძნობენ თავიანთ კავშირს პარტიასთან. რა თქმა უნდა, მუშებისა და ადგილობრივი ჯგუფების ადგილობრივი კრებები ყოველთვის აუცილებელი იქნება, რაგინდ ფართოდ გავატაროთ სპეციალიზაცია, მაგრამ, ერთი მხრით, ხალხმრავალი რევოლუციური კრებების (რომელნიც განსაკუთრებით საზიფათოა პოლიციის მხრით და მათი პროდუქციულობა ხშირად სრულებით არ შეესაბამება იმ საფრთხეს, რომელიც მათ თან სდევს) რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდება, ხოლო, მეორე მხრით, რევოლუციური მუშაობის სხვადასხვა მხარის სპეციალურ ფუნქციებად გამოყოფა მეტ შესაძლებლობას მოგვცემს ასეთი კრებები შევნიღბოთ ხოლმე კრებების ლეგალური ფორმებით: გასართობი კრებებით, კანონით ნებადართულ საზოგადოებათა კრებებით და სხვ. აკი ფრანგი მუშები ნაპოლეონ III დროს და სოციალისტების წინააღმდეგ განსაკუთრებული კანონის დროს გერმანელი მუშები ყოველგვარ ხერხს იგონებდნენ თავიანთი პოლიტიკური და სოციალისტური კრებების დასაფარავად. რუსი მუშებიც შესძლებენ ამას.

შემდეგ, მხოლოდ ორგანიზაციის გაუმჯობესება და პარტიის საერთო ორგანოს შექმნა მოგვცემს საშუალებას გავაფართოოთ და გავაღრმაოთ თვით შინაარსი სოციალ-დემოკრატიული პროპაგანდისა და აგიტაციისა. ჩვენ კი ეს ძლიერ გვესაჭიროება. ადგილობრივი მუშაობა თითქმის აუცილებლად იწვევს ადგილობრივ თავისებურებათა გაზვიადებას,[33] ...ბას... ეს შეუძლებელია ცენტრალური ორგანოს გარეშე, რომელიც იმავე დროს მოწინავე დემოკრატიული ორგანოც იქნებოდა. მხოლოდ მაშინ გადაიქცევა ს ი ნ ა მ დ ვ ი ლ ე დ ჩვენი მ ი ს წ რ ა ფ ე ბ ა — გადავაქციოთ სოციალ-დემოკრატია

დემოკრატიისთვის მოწინავე მებრძოლად. მხოლოდ მაშინ შეეძლებთ ჩვენ შევიმუშაოთ გარკვეული პოლიტიკური ტაქტიკაც. სოციალ-დემოკრატიამ უარჰყო ყალბი მოძღვრება «ერთიანი რეაქციული მასის» შესახებ. პოლიტიკის ერთერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას ის ხედავს იმაში, რომ გამოიყენოს პროგრესული კლასების დახმარება რეაქციული კლასების წინააღმდეგ. როცა ორგანიზაციებსა და ორგანოებს ადგილობრივი ხასიათი აქვთ, ეს ამოცანა თითქმის არ სრულდება: ცალკეულ «ლიბერალებთან» ურთიერთობის დაჭერისა და მათგან სხვადასხვა «დახმარების» მიღების იქით საქმე ვერ მიდის. მხოლოდ პარტიის საერთო ორგანო, რომელიც თანამიმდევრად ატარებს პოლიტიკური ბრძოლის პრინციპებს და რომელსაც მაღლა უპირავს დემოკრატიზმის დროშა, შესძლებს მიიმხროს ყველა მებრძოლი დემოკრატიული ელემენტები და გამოიყენოს რუსეთის ყველა პროგრესული ძალები პოლიტიკური თავისუფლებისათვის ბრძოლაში. მხოლოდ მაშინ შეეძლებთ მუშების ყრუ სიძულვილი პოლიციისა და ხელისუფალთა მიმართ გადავაქციოთ შეგნებულ სიძულვილად თვითმპყრობელი მთავრობისადმი და იმის გაბედულებად, რომ თავდადებული ბრძოლა ვაწარმოოთ მუშათა კლასისა და მთელი რუსი ხალხის უფლებებისათვის! ხოლო ასეთ ნიადაგზე აგებული და მტკიცედ ორგანიზებული რევოლუციური პარტია იქნება უდიდესი პოლიტიკური ძალა თანამედროვე რუსეთში!..

დაწერილია 1899 წლის
მეორე ნახევარში
პირველად დაიბეჭდა ლენინის
კრებულში III

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.,
ტ. 4, გვ. 247—270

უკუსვლითი მიმართულება რუსეთის სოციალ-დემოკრატიაში

«რაბოჩაია მისლის» რედაქციამ გამოსცა «რაბოჩაია მისლის» «ცალკე დამატება» (სექტემბერი, 1899) იმ მოსაზრებით, რომ «გაფანტოს ყველა ის გაუგებრობა და გაურკვევლობა, რომელიც არსებობს «რაბოჩაია მისლის» მიმართულების შესახებ (როგორც, მაგალითად. «უარყოფა» ჩვენს მიერ «პოლიტიკისა»)». (რედაქციისაგან). ჩვენ მეტად მოხარულნი ვართ, რომ, ბოლოს, «რაბოჩაია მისლ» აშკარად აყენებს საპროგრამო საკითხებს. რომელთაც აქამდე ის თითქოს არც სცნობდა, მაგრამ ჩვენ გადაჭრით ვაცხადებთ პროტესტს იმის წინააღმდეგ. რომ ««რაბოჩაია მისლის» მიმართულება იყოს მოწინავე რუსი მუშების მიმართულება» (როგორც იქვე აცხადებს რედაქცია). არა, თუ «რაბოჩაია მისლის» რედაქციას სურს იარსებოს იმ გზით. რომელიც ისახება (ჯერ მხოლოდ ი ს ა ხ ე ბ ა) ხსენებულ გამოცემაში, ეს იმას ნიშნავს, რომ მას სწორად არ ესმის ის პროგრამა, რომელიც რუსეთის სოციალ-დემოკრატიის დამაარსებლებმა შეიმუშავეს და რომელსაც აქამდე იცავდა რუსეთში მოქმედი ყველა რუსი სოციალ-დემოკრატი: ეს იმას ნიშნავს, რომ ის ნ ა ბ ი ჯ ს დგამს უ კ ა ნ თეორიული და პრაქტიკული განვითარების იმ საფეხურთან შედარებით, რომელსაც უკვე მიაღწია რუსეთის სოციალდემოკრატიამ.

«რაბოჩაია მისლის» მიმართულება გადმოცემულია «ცალკე დამატების» მოწინავე სტატიაში სათაურით: «ჩვენი სინამდვილე» (ხელს აწერს რ. მ.). სწორედ ეს სტატია უნდა გავარჩიოთ ჩვენ ახლა დაწვრილებით.

უკვე სტატიის დასაწყისიდანვე ირკვევა, რომ რ. მ. პ ი რ დ ა-პ ი რ ა რ ა ს წ ო რ ა დ გვიხატავს «ჩვენს სინამდვილეს» საერთოდ და ჩვენს მუშათა მოძრაობას კერძოდ, ამჟღავნებს მუშათა.

მოძრაობის მეტად ვიწრო გაგებას და იჩენს მისწრაფებას, რომ თვალები დახუჭოს და არ დაინახოს ის უმაღლესი ფორმები, რომელნიც ამ მოძრაობამ უკვე შეიმუშავა რუსი სოციალ-დემოკრატების ხელმძღვანელობით. მართლაც: «ჩვენი მუშათა მოძრაობა, — ამბობს სტატიის დასაწყისში რ. მ., — ორგანიზაციის უაღრესად სხვადასხვანაირი ფორმის ჩანასახს ატარებს», დაწყებული საგაფიცვო ორგანიზაციებით და გათავებული ლეგალური (კანონით ნებადართული) საზოგადოებებით. —\ და მეტი არაფერი? — იკითხავს საგონებელში ჩავარდნილი მკითხველი. ნუთუ რ.მ.-მ ვერ შეამჩნია რუსეთში მუშათა მოძრაობის ორგანიზაციის ვერავითარი უ ფ რ ო მ ა ღ ლ ი, უფრო მოწინავე ფორმები? ცხადია, მას არ სურს შეამჩნიოს ისინი, იმიტომ რომ შემდგომ გვერდზეევ ის იმეორებს თავის დებულებას გაცილებით უფრო კატეგორიული ფორმით: «მოძრაობის ამოცანები მიმდინარე მომენტში, რუსი მუშების ნამდვილი მუშათა საქმე, — ამბობს ის, — იმაში მდგომარეობს, რომ მუშებმა გაიუმჯობესონ თავიანთი მდგომარეობა ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ ი შ ე ს ა ძ ლ ებ ე ლ ი ს ა შ უ ა ლ ებ ი თ ი», და ამ ჩამოთვლილ საშუალებებში შედის კვლავ მ ხ ო ლ ო დ საგაფიცვო ორგანიზაციები და ლეგალური საზოგადოებები! ამრიგად, რუსეთის მუშათა მოძრაობა გ ა მ ო ი ხ ა ტ ე ბ ა, თითქოს, მხოლოდ გაფიცვებითა და ლეგალური საზოგადოებებით! ეს ხომ მტკნარი სიცრუეა! რუსეთის მუშათა მოძრაობამ უკვე 20 წლის წინათ დააარსა უფრო ფართო ორგანიზაცია, წამოაყენა უფრო ფართო ამოცანები (ამაზე ჩვენ ახლავე ვილაპარაკებთ უფრო დაწვრილებით). რუსეთის მუშათა მოძრაობამ შექმნა ისეთი ორგანიზაციები, როგორიცაა ს.-პეტერბურგის და კიევის «ბრძოლის კავშირები», ებრაელ მუშათა კავშირი და სხვ. მართალია, რ. მ. ამბობს, რომ ებრაელ მუშათა მოძრაობა «განსაკუთრებულ პოლიტიკურ ხასიათს» ატარებს, გამონაკლისს წარმოადგენსო. მაგრამ არც ესაა სიმართლე, ვინაიდან ებრაელ მუშათა კავშირი რომ «განკერძოებით» იდგეს, ის არ შეუერთდებოდა მთელ რიგ რუსულ ორგანიზაციებს და არ შექმნიდა «რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას». ამ პარტიის დაარსება რუსეთის მუშათა მოძრაობის უდიდესი ნაბიჯია რუსეთის რევოლუციურ მოძრაობასთან ერთ ი ს შ ე ე რ თ ე ბ ი ს საქმეში. ამ ნაბიჯმა აშკარად დაამტკიცა, რომ რუსეთის მუშათა მოძრაობა არ ა მ ო ი წ უ რ ე ბ ა გაფიცვებით და კანონიერი საზოგადოებებით. როგორ მოხდა, რომ რუს სოციალისტებს, რომელნიც «რაბოჩაია მისლში»

წერენ, არ სურთ დაინახონ ეს ნაბიჯი, არ სურთ გაიგონ მისი მნიშვნელობა?

ეს იმიტომ მოხდა, რომ რ. მ.-ს არ ესმის არც დამოკიდებულება რუსეთის მუშათა მოძრაობისა სოციალიზმთან და რევოლუციურ მოძრაობასთან რუსეთში, არც პოლიტიკური ამოცანები რუსეთის მუშათა კლასისა. «ჩვენი მოძრაობის მიმართულების უაღრესად დამახასიათებელი მაჩვენებელია, — წერს რ. მ., — რა თქმა უნდა, ის მოთხოვნები, რომელთაც მუშები აყენებენ». ერთი ვიკითხოთ: რატომ არ ჩაითვლება ჩ ვ ე ნ ი მ ო ძ რ ა ო ბ ი ს მაჩვენებელად ს ო ც ი ა ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ ე ბ ი ს ა და სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების მოთხოვნები? რა საფუძვლით გამოჰყოფს რ. მ. მუშათა მოთხოვნებს რუსი სოციალ-დემოკრატების მოთხოვნებისაგან? ასეთ გამოყოფას კი რ. მ. ატარებს მთელ თავის სტატიაში ისე. როგორც საერთოდ «რაბოჩაია მისლის» რედაქცია ატარებს ამას თავისი გაზეთის ყოველ ნომერში. «რაბოჩაია მისლის» ეს შეცდომა რომ განვმარტოთ, ჩვენ უნდა გავარკვიოთ მ უ შ ა თ ა მ ო ძ რ ა ო ბ ი ს ა დ მ ი ს ო ც ი ა ლ ი ზ მ ი ს დამოკიდებულების საერთო საკითხი. ყველა ევროპულ ქვეყანაში თავდაპირველად სოციალიზმი და მუშათა მოძრაობა ცალ-ცალკე არსებობდა. მუშები ბრძოლას აწარმოებდნენ კაპიტალისტების წინააღმდეგ, აწყობდნენ გაფიცვებსა და კავშირებს, სოციალისტები კი განზე იდგნენ მუშათა მოძრაობისაგან, ჰქმნიდნენ მოძღვრებებს, რომელნიც აკრიტიკებდნენ საზოგადოების თანამედროვე კაპიტალისტურ, ბურჟუაზიულ წყობილებას და მოითხოვდნენ ამ წყობილების შეცვლას სხვა, უმაღლესი სოციალისტური წყობილებით. მუშათა მოძრაობის სოციალიზმისაგან განცალკევება იწვევდა როგორც ერთის, ისე მეორის სისუსტესა და განუვითარებლობას: სოციალისტების მოძღვრებანი, რომლებიც არ იყვნენ შეერთებული მუშათა ბრძოლასთან, რჩებოდნენ მხოლოდ უტოპიად, კეთილ სურვილებად, რომლებიც გავლენას ვერ ახდენდნენ ნამდვილ ცხოვრებაზე; მუშათა მოძრაობა რჩებოდა დაწვრილმანებული, დაქსაქსული, მას არ ეძლეოდა პოლიტიკური მნიშვნელობა, იგი არ შუქდებოდა თავისი დროის მოწინავე მეცნიერებით. ამიტომ ჩვენ ვხედავთ, რომ ყველა ევროპულ ქვეყანაში უფრო და უფრო ძლიერ იჩენდა თავს მისწრაფება — შ ე ე ე რ თ ე ბ ი ნ ა თ სოციალიზმი და მუშათა მოძრაობა ერთიან ს ო ც ი ა ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ მოძრაობად. ასეთი შეერთებისას მუშათა კლასობრივი ბრძოლა იქცევა პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ი ს შ ე გ ნ ე ბ უ ლ ბ რ ძ ო ლ ა დ მქონებელ კლასთა ექსპლოატაციისაგან განთავისუფლები-

სათვის, ჰუშავდება სოციალისტური მუშათა მოძრაობის უმაღლესი ფორმა: დამოუკიდებელი მუშათა სოციალ-დემოკრატიული პარტია. სოციალიზმის წარმართვა მუშათა მოძრაობასთან შეერთებისაკენ კ. მარქსისა და ფრ. ენგელსის მთავარი დამსახურებაა: მათ შექმნეს რევოლუციური თეორია, რომელმაც გაარკვია ასეთი რევოლუციური შეერთების აუცილებლობა და სოციალისტებს ამოცანად დაუსახა პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ორგანიზაცია.

სრულიად ასევე მიდიოდა საქმე რუსეთშიც. ჩვენშიც დიდხანს, მრავალი ათეული წლების განმავლობაში, სოციალიზმი განზე იდგა იმ ბრძოლისაგან, რომელსაც მუშები კაპიტალისტების წინააღმდეგ აწარმოებდნენ, განზე იდგა მუშათა გაფიცვებისაგან და სხვ. ერთი მხრივ, სოციალისტებს არ ესმოდათ მარქსის თეორია, მიიჩნდათ, რომ ის გამოუყენებელი იქნებოდა რუსეთისათვის; მეორე მხრივ, რუსეთის მუშათა მოძრაობა ჯერ კიდევ უმნიშვნელო ჩანასახის ფორმას არ გასცილებოდა. როცა 1875 წელს შეიქმნა «სამხრეთ-რუსეთის მუშათა კავშირი» და 1878 წელს — «ჩრდილოეთ-რუსეთის მუშათა კავშირი», ეს მუშათა ორგანიზაციები განზე იდგნენ რუსი სოციალისტების მიმართულებისაგან; ეს მუშათა ორგანიზაციები მოითხოვდნენ პოლიტიკურ უფლებებს ხალხისთვის, მათ სურდათ ბრძოლა ეწარმოებინათ ამ უფლებების მოსაპოვებლად, რუს სოციალისტებს კი მაშინ შეცდომით ეგონათ, რომ პოლიტიკური ბრძოლა ნიშნავდა გადახვევას სოციალიზმისაგან. მაგრამ რუსი სოციალისტები არ შეჩერებულან თავის განუვითარებელ, შემცდარ თეორიაზე. ისინი წინ წავიდნენ, მათ შეითვისეს მარქსის თეორია, შეიმუშავეს რუსეთის შეფარდებით მუშათა სოციალიზმის თეორია, რუსი სოციალ-დემოკრატების თეორია. რუსეთის სოციალ-დემოკრატიის დაარსება — «შრომის განთავისუფლების» ჯგუფის, პლეხანოვის, აქსელროდისა და მათი მეგობრების მთავარი დამსახურებაა*. რუსეთის სოციალ-დემოკრატიის დაარსების დროიდან (1883 წ.) რუსეთის მუშათა მოძრაობა, როცა კი ის ფართოდ იჩენდა თავს, პირდაპირ უახლოვდებოდა რუს სოციალ-დემოკრატებს, მიისწრაფოდა მათთან შესაერთებლად. «რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის» დაარსება (1898 წლის გაზაფხულზე) მოასწავებს უდიდეს ნაბიჯს ამ შეერთებისაკენ. ამჟამად ყველა რუსი სოციალის-

* რუსეთის სოციალიზმისა და რუსეთის მუშათა მოძრაობის შეერთება ისტორიულად გამოკვლეულია ერთი ჩვენი ამხანაგის ბროშურაში «Красное знамя в России. Очерк истории русского рабочего движения». ეს ბროშურა მალე დაიბეჭდება. 36

ტის და ყველა შეგნებული რუსი მუშის მ თ ა ვ ა რ ამოცანას შეადგენს ამ შეერთების განმტკიცება, «მუშათა სოციალ-დემოკრატიული პარტიის» გამაგრება და ორგანიზება. ვინც არ სცნობს ამ შეერთებას, ვინც მიისწრაფვის ხელოვნურად გაავლოს რაღაც მიჯნა მუშათა მოძრაობასა და სოციალიზმს შორის რუსეთში, მას სარგებლობა კი არა, ზ ი ა ნ ი მოაქვს რუსეთის მუშათა სოციალიზმისა და მუშათა მოძრაობის საქმისათვის.

გავყვეთ ქვევით. «რაც შეეხება ფართო მოთხოვნებს, — წერს რ. მ., — პოლიტიკურ მოთხოვნებს, მხოლოდ პეტერბურგის ფეიქართა მოთხოვნებში... 1897 წელს ჩვენ ვხედავთ პირველ და ჯერ კიდევ ნაკლებად შეგნებულ შემთხვევას, როცა ჩვენი მუშები ასეთ ფართო პოლიტიკურ მოთხოვნებს აყენებენ». ჩვენ ისევ უნდა ვთქვათ, რომ ეს უ ე ჭ ვ ე ლ ა დ ს წ ო რ ი ა რ ა რ ი ს. როცა ასეთ ფრაზებს ბეჭდავს, «რაბოჩაია მისლის» რედაქცია ამით ამჟღავნებს, ჯერ-ერთი, რუსეთის რევოლუციური და მუშათა მოძრაობის ისტორიის დაბინდულ ბეჭედს, რაც სოციალ-დემოკრატისთვის მიუტევებელია; მეორეც, მუშათა საქმის შეუწყნარებლად ვიწრო გაგებას. ფართო პოლიტიკური მოთხოვნები წამოაყენეს რუსმა მუშებმა 1898 წელს ს.-პეტერბურგის ბრძოლის კავშირის სამაისო ფურცელში და გაზეთებში «ს.-პეტერბურგსკი რაბოჩი ლისტოკსა» და «რაბოჩაია გაზეტაში», რომელიც რუსი სოციალ-დემოკრატების მოწინავე ორგანიზაციებმა 1898 წელს «რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის» ოფიციალურ ორგანოდ აღიარეს. «რაბოჩაია მისლ» ანგარიშს არ უწევს ამას, უკან იხევს და სავსებით ამართლებს იმ აზრს, რომ ის არის წარმომადგენელი არა მოწინავე მუშებისა, არამედ პროლეტარიატის დაბალი, განუვითარებელი ფენებისა (რ. მ. თვითონ აღნიშნავს თავის სტატიაში, რომ «რაბოჩაია მისლს» უკვე მიუთითეს ამ გარემოებაზეო). პროლეტარიატის დაბალმა ფენებმა არ იციან რუსეთის რევოლუციური მოძრაობის ისტორია, და არც რ. მ.-მ იცის ის. პროლეტარიატის დაბალ ფენებს არ ესმით რა ურთიერთობა არსებობს მუშათა მოძრაობასა და სოციალ-დემოკრატიას შორის, და არც რ. მ.-ს ესმის ეს ურთიერთობა. რუსმა მუშებმა რატომ 90-იან წლებში არ შექმნეს თავიანთი განსაკუთრებული ორგანიზაციები სოციალისტებისაგან განცალკევებულად, როგორც 70-იან წლებში? რატომ არ წამოაყენეს მათ სოციალისტებისაგან განცალკევებულად თავიანთი პოლიტიკური მოთხოვნები? რ. მ. ამას, ალბათ, იმით ხსნის, რომ «რუს მუშებს საამისოდ ჯერ კიდევ ძალიან ცოტა მომზადება აქვთ» (მისი სტატიის მე-5 გვ.). მაგრამ აღნიშნავ ახსნით ის ერთხელ კიდევ ადასტურებს იმ აზრს, რომ მას უფ-

ლება აქვს ილაპარაკოს მხოლოდ როგორც პროლეტარიატის დაბალი ფენების წარმომადგენელმა. 90-იანი წლების მოძრაობის დროს მუშათა დაბალ ფენებს შეგნებული არ ჰქონდათ მოძრაობის პოლიტიკური ხასიათი. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ყველამ იცის (და რ. მ. თვითონაც ამბობს ამას), რომ 90-იანი წლების მუშათა მოძრაობამ ფართო პოლიტიკური მნიშვნელობა მიიღო. ეს იმიტომ მოხდა, რომ მოძრაობას ხასიათი მისცეს, როგორც ყველგან და როგორც ყოველთვის, მოწინავე მუშებმა, რომელთაც მუშათა მასა მიჰყვებოდა იმიტომ, რომ მათ დაუმტკიცეს მასას თავიანთი მზადყოფნა და უნარი — ემსახურონ მუშათა საქმეს, რომ მათ შესძლეს მასის სრულიად ნდობის მოპოვება. ეს მოწინავე მუშები კი იყვნენ სოციალ-დემოკრატები; ბევრი მათგანი პირადადაც კი იღებდა მონაწილეობას ნაროდოვოლცებსა და სოციალ-დემოკრატებს შორის გაჩაღებულ იმ დავაში, რაც ახასიათებდა რუსეთის რევოლუციური მოძრაობის გადასვლას გლეხური და შეთქმულებითი სოციალიზმიდან მუშათა სოციალიზმზე. ამიტომ გასაგებია, რატომ არ გამოეყვნენ ახლა ეს მოწინავე მუშები სოციალისტებსა და რევოლუციონერებს და არ შექმნეს თავისი განსაკუთრებული ორგანიზაცია. ასეთ განცალკევებას აზრი ჰქონდა და აუცილებელი იყო მაშინ, როცა სოციალიზმი განზე იდგა მუშათა მოძრაობისგან. ამნაირი განცალკევება შეუძლებელი და უაზრო იქნებოდა, რაკი მოწინავე მუშები ხედავდნენ მუშათა სოციალიზმსა და სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებს. მოწინავე მუშების გაერთიანება სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებთან სრულიად ბუნებრივი და გარდუვალი იყო. ეს იმ დიდი ისტორიული ფაქტის შედეგი იყო, რომ 90-იან წლებში რუსეთში ერთმანეთს დაუპირისპირდა ორი ღრმა საზოგადოებრივი მოძრაობა: ერთი იყო სტიქიური, ხალხური მოძრაობა მუშათა კლასში, მეორე — საზოგადოებრივი აზროვნების მოძრაობა მარქსისა და ენგელსის თეორიისაკენ, სოციალ-დემოკრატიის მოძღვრებისაკენ.

თუ რა უზომოდ ვიწროდა აქვს გაგებული «რაბოჩაია მისლის» პოლიტიკური ბრძოლა, ეს შემდეგიდან ჩანს. როცა ფართო პოლიტიკურ მოთხოვნებზე ლაპარაკობს, რ. მ. წერს: «ხოლო იმისთვის, რომ ასეთი პოლიტიკური ბრძოლის წარმოება მუშებმა შესძლონ სრულიად შეგნებულად და დამოუკიდებლად, საჭიროა, რომ მას აწარმოებდნენ თვითონ მუშათა ორგანიზაციები, რომ მუშების ეს პოლიტიკური მოთხოვნები ემყარებოდეს მათ მიერ შეგნებულ საერთო პოლიტიკურ საჭიროებებს და წუთიერ ინტერესებს» (ეს დაიხსომეთ!), «რომ ეს მოთხოვნები იყოს თვით მუშათა (ამქრული) ორგანიზაცი-

ბის მოთხოვნები, რომ ისინი მათ მიერ იყოს შემუშავებული მართლაც ერთად და აგრეთვე ერთად იყოს წამოყენებული ამ მუშათა ორგანიზაციების მიერ მათი კერძო ინიციატივით»... და შემდეგ მოსდევს განმარტება, რომ მუშათა უახლოეს საერთო პოლიტიკურ მოთხოვნებად ჯერ კიდევ (!!) რჩება 10-საათიანი სამუშაო დღე და 2 VI 1897 წლის კანონით გაუქმებული უქმე დღეების აღდგენა. — და ამის შემდეგ «რაბოჩაია მისლის» რედაქციას კიდევ უკვირს, რომ მას პოლიტიკის უარყოფას აბრალებენ! და განა პოლიტიკის ეს დაყვანა ამქრული კავშირის ბრძოლამდე ცალკეული რეფორმებისათვის პოლიტიკის უარყოფა არ არის? განა ეს უარყოფა არაა მსოფლიო სოციალ-დემოკრატიის ძირითადი ანდერძისა, რომ სოციალ-დემოკრატები უნდა მიისწრაფოდნენ მოაწყონ პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლა დამოუკიდებელ პოლიტიკურ მუშათა პარტიებად, რომელნიც იბრძოლებენ დემოკრატიისთვის, როგორც ს ა შ უ ა ლ ე ბ ი ს თ ვ ი ს პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების დასაპყრობად და სოციალისტური საზოგადოების ასაშენებლად? სოციალ-დემოკრატიზმის ჩვენებური ახალი შემრყვნელნი რაღაც უსაზღვრო ქარაფშუტობით უკუაგდებენ ყველაფერს, რაც კი ძვირფასი რამ არის სოციალ-დემოკრატებისთვის, რაც უფლებას იძლევა დავინახოთ მუშათა მოძრაობაში მსოფლიო-ისტორიული მოძრაობა. ისინი თავს არ იწუხებენ იმით, რომ ევროპული სოციალიზმისა და ევროპის დემოკრატიის საუკუნოვანი გაძოცდილება გვასწავლის, რომ აუცილებლად უნდა მივისწრაფოდეთ დამოუკიდებელი მუშათა პოლიტიკური პარტიების შექმნისაკენ. ისინი თავს არ იწუხებენ იმით, რომ რუსეთის რევოლუციურ მოძრაობის ისტორიამ გრძელი და ძნელი გზით მიაღწია სოციალიზმის შეერთებას მუშათა მოძრაობასთან, დიადი სოციალური და პოლიტიკური იდეალების შეერთებას პროლეტარიატის კლასობრივ ბრძოლასთან. ისინი თავს არ იწუხებენ იმით, რომ მოწინავე რუსმა მუშებმა უკვე ჩაუყარეს საფუძველი «რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას». ძირს ყოველივე ეს! გავითავისუფლოთ თავი მეტად მძიმე იდეური ბარგისაგან და მეტად მძიმე და მომთხოვნი ისტორიული გამოცდილებისაგან, — და დაე «ჯერჯერობით დარჩნენ» მხოლოდ ამქრული კავშირები (რომელთა მოწყობის შესაძლებლობა რუსეთში ჯერ კიდევ არაფრით დამტკიცებული არ არის, თუ ლეგალურ საზოგადოებებს არ ჩავთვლით), დაე ამ ამქრულმა კავშირებმა «კეთილ ინიციატივით» შეიმუშაონ მოთხოვნები, «წუთიერი» მოთხოვნები, პატარა და წვრილმან რეფორმათა მოთხოვნები!! რა არის ეს? ეს ხომ რაღაც უკუსვლითი მოძრაობის ქადაგებაა! ეს ხომ რაღაც პროპაგანდაა სოციალიზმის დანგრევისა!

და დაიხსომეთ რომ «რაბოჩაია მისლ» აქ ანვითარებს არა მხოლოდ იმ აზრს, რომ ადგილობრივი ორგანიზაციები თვითონ უნდა ამუშავებდნენ ბრძოლის ადგილობრივ ფორმებს და აგიტაციის კერძო საბაბს, მის ხერხებს და სხვ. — ამ აზრის წინააღმდეგი არავინ იქნებოდა. რუს სოციალ-დემოკრატებს არასდროს არავითარი პრეტენზია არ განუცხადებიათ იმაზე, რომ ამ მხრივ შეეზღუდათ მუშათა დამოუკიდებლობა. არა, «რაბოჩაია მისლს» სურს ს რ უ ლ ი ა დ გ ა დ ა ს დ ო ს რუსეთის პროლეტარიატის დიადი პოლიტიკური ამოცანები და «ჯერჯერობით» დაკმაყოფილდეს «მხოლოდ» «წუთიერი ინტერესებით». აქამდე რუს სოციალ-დემოკრატებს სურდათ დაყრდნობოდნენ ყოველ წუთიერ მოთხოვნას, აგიტაცია გაეწიათ მის სასარგებლოდ და ამ გზით დაერაზმათ პროლეტარიატი თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საბრძოლველად, რაც მის უახლოეს მიზნად იყო მიჩნეული. ახლა კი «რაბოჩაია მისლს» სურს პროლეტარიატის ბრძოლა შ ე მ ო ფ ა რ გ ლ ო ს წვრილმანი ბრძოლით წვრილმანი მოთხოვნებისთვის. რ. მ.-მ ძალიან კარგად იცის, რომ ის შორდება მთელი რუსეთის სოციალ-დემოკრატიის აზრს და შემდეგ პასუხს აძლევს «რაბოჩაია მისლის» ბრალმდებლებს. ამბობენ, ცარიზმის დამხობა რუსეთის მუშათა მოძრაობის უახლოესი მიზანიაო. სახელდობრ რომელი მუშათა მოძრაობის, — კითხულობს რ. მ., — «ს ა გ ა ფ ი ც ვ ო მ ო ძ რ ა ო ბ ი ს? ურ თ ი ე რ თ დ ა მ ხ მ ა რ ე ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ე ბ ი ს? მ უ შ ა თ ა წ რ ე ე ბ ი ს? (სტატიის მე-5 გვ.). ამაზე ჩვენ მას ვუპასუხებთ: ილაპარაკეთ მხოლოდ საკუთარ თავზე, საკუთარ ჯგუფზე, ამ ჯგუფის მიერ წარმოდგენილ ერთი ადგილის პროლეტარიატის დაბალ ფენებზე, მაგრამ არ გაბედოთ მოწინავე რუსი მუშების სახელით ლაპარაკი! პროლეტარიატის დაბალმა წარმომადგენლებმა ხშირად არ იციან, რომ თვითმპყრობელობის დასამხობად ბრძოლის წარმოება შეუძლია მხოლოდ რევოლუციურ პარტიას. არც რ. მ.-მ იცის ეს. მაგრამ მოწინავე რუსმა მუშებმა ეს იციან. პროლეტარიატის დაბალმა წარმომადგენლებმა ხშირად არ იციან, რომ რუსეთის მუშათა მოძრაობა არ იფარგლება საგაფიცვო ბრძოლით, ურთიერთდამხმარე საზოგადოებებითა და მუშათა წრეებით, რომ რუსეთის მუშათა მოძრაობა დიდი ხანია მიისწრაფვის რევოლუციურ პარტიად შეკავშირებისაკენ, რაც მან საქმით დაამტკიცა. არც რ. მ.-მ იცის ეს. მაგრამ მოწინავე რუსმა მუშებმა ეს იციან.

რ. მ. ცდილობს სოციალ-დემოკრატიზმის თავისი სრული გაუგებლობა წარმოგვიდგინოს «ჩვენი სინამდვილის» თავისებური გაგების სახით. გავეცნოთ უფრო ახლოს მის აზრებს ამ საკითხზე.

«თვითმპყრობელობის თვით ცნებაზე... — წერს რ. მ. — ...ჩვენ

აქ ბევრს არ ვილაპარაკებთ, რადგან ვგულისხმობთ, რომ ყოველ ჩვენს თანამოსაუბრეს უაღრესად გარკვეული და ნათელი წარმოდგენა აქვს ამნაირ რამეებზე» ჩვენ ახლავე დავინახავთ, რომ თვითონ **რ. მ.**-ს უაღრესად გაურკვეველი და ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს ამნაირ რამეებზე, მაგრამ ჯერ აღვნიშნავთ კიდევ ერთ გარემოებას. ეკუთვნიან თუ არა მუშები **რ. მ.**-ს მოსაუბრეთა რიცხვს? რა თქმა უნდა. და თუ ეს ასეა, საიდან უნდა ჰქონდეთ მათ უაღრესად გარკვეული წარმოდგენა თვითმპყრობელობაზე? ცხადია, ამისთვის აუცილებელია საერთოდ პოლიტიკური თავისუფლების იდეის უაღრესად ფართო და სისტემატური პროპაგანდა. აუცილებელია აგიტაცია. რომელიც პოლიციური ძალადობისა და მოხელეთა მხრივ ჩაგვრის ყოველ ცალკეულ გამოვლინებას დაუკავშირებს «გარკვეულ წარმოდგენას» (მუშების გონებაში) თვითმპყრობელობაზე. მგონი. ეს ნათელია. და თუ ეს ასეა. განა შეიძლება წარმატება ჰქონდეს წმინდა ადგილობრივ პროპაგანდას და აგიტაციას თვითმპყრობელობის წინააღმდეგ? განა აუცილებელ საჭიროებას არ წარმოადგენს ასეთი პროპაგანდა და აგიტაცია მ ო ე წ ყ ო ს მთელს რუსეთში ერთიანი გეგმაშეწონილი მოღვაწეობის სახით? ე. ი. ერთი პარტიის მოღვაწეობის სახით? მაშ რატომ არ მიუთითებს **რ. მ.** რუსეთის მუშათა მოძრაობის უახლოეს ამოცანათა შორის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ სისტემატური პროპაგანდისა და აგიტაციის მოწყობის ამოცანაზე მხოლოდ იმიტომ, რომ მას უაღრესად გ ა უ რ კ ვ ე ვ ე ლ ი და ბ უ ნ დ ო ვ ა ნ ი წარმოდგენა აქვს რუსეთის მუშათა მოძრაობისა და რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ამოცანებზე.

რ. მ. შემდეგ გადადის იმის ახსნა-განმარტებაზე. რომ თვითმპყრობელობა წარმოადგენს უდიდეს «პირად ძალას» (სამხედრო ყაიდაზე გაწვრთნილი ბიუროკრატია) და უდიდეს «ეკონომიურ ძალას» (ფინანსური სახსრები). არ შევჩერდებით მისი ახსნა-განმარტების «გაურკვეველ» მხარეებზე («გაურკვეველი» კი მასში ძალიან ბევრი რამაა) და პირდაპირ გადავდივართ უმთავრესზე:

«მაშ ასე, — ეკითხება **რ. მ.** რუსეთის სოციალ-დემოკრატიას, — ხომ არ ურჩევენ ამ წუთში რუს მუშებს თავიანთ ახლანდელ (ჩანასახ) ორგანიზაციებს პირველ და უახლოეს ამოცანად დაუსახონ ამ პირადი ძალის დამხობა და ამ ეკონომიური ძალის ხელში ჩაგდება? (ჩვენ არც კი ვლაპარაკობთ იმ რევოლუციონერებზე, რომლებიც ამბობენ, რომ ამ ამოცანის შესრულება მოწინავე მუშების წრეებმა უნდა იკისრონ)».

ჩვენ გაკვირვებით ვიფშვნეტთ თვალებს და ორ-სამჯერ ხელახლა ვკითხულობთ ამ გასაოცარ ადგილს ხომ არ შევმცდარვართ ჩვენ?

არა, ჩვენ არ შევმცდარვართ. რ. მ-ს მართლაც არ ესმის, თუ რას ეწოდება თვითმპყრობელობის დამხობა. ეს დაუჯერებელია, მაგრამ ეს ფაქტია. თუმცა განა შეიძლება დაუჯერებლად მივიჩნიოთ ეს მას შემდეგ, რაც რ. მ.-ს აზრთა ასეთი არევდარევა აღმოაჩნდა?

რ. მ. ერთმანეთში ურევს რევოლუციონერების მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდებას და რევოლუციონერების მიერ თვითმპყრობელობის დამხობას.

ძველი რუსი რევოლუციონერები (ნაროდოვოლცები) მიისწრაფოდნენ იმისაკენ, რომ ძალაუფლება ხელში ჩაეგდო რევოლუციურ პარტიას. ძალაუფლების ხელში ჩაგდებით «პარტია დაამხობდა» თვითმპყრობელობის «პირად ძალას», — ფიქრობდნენ ისინი. — ე. ი. მოხელეების ნაცვლად დანიშნავდა თავის აგენტებს, «ხელთ იგდებდა ეკონომიურ ძალას» ე. ი. სახელმწიფოს მთელ ფინანსურ სახსრებს, და მოახდენდა სოციალურ გადატრიალებასო. ნაროდოვოლცები (ძველი) მართლაც მიისწრაფოდნენ თვითმპყრობელობის «პირადი ძალის დამხობისა და ეკონომიური ძალის ხელში ჩაგდებისაკენ», ეს უშნო გამოთქმა რომ ვიხმაროთ, რ. მ.-ს მსგავსად რუსმა სოციალ-დემოკრატებმა გადაჭრით გაილაშქრეს ამ რევოლუციური თეორიის წინააღმდეგ. პლეხანოვმა სასტიკად გააკრიტიკა ის თავის თხზულებებში: «სოციალიზმი და პოლიტიკური ბრძოლა» (1883 წ.), «ჩვენი უთანხმოებანი» (1885 წ.) და უჩვენა რუს რევოლუციონერებს მათი ამოცანა: დაარსება რევოლუციური მუშათა პარტიისა, რომლის უახლოესი მიზანი უნდა იყოს აბსოლუტიზმის დამხობა. მაგრამ რა არის აბსოლუტიზმის დამხობა? ეს რომ რ. მ.-ს განვუმარტოთ. ჯერ საჭიროა ვუპასუხოთ კითხვაზე: რა არის თვითმპყრობელობა? თვითმპყრობელობა (აბსოლუტიზმი, შეუზღუდავი მონარქია) არის მართვა-გამგეობის ისეთი ფორმა, როცა უმაღლესი ხელისუფლება მოლიანად და განუყოფლად (შეუზღუდავად) ეკუთვნის მეფეს. მეფე სცემს კანონებს, ნიშნავს მოხელეებს, ჰკრეფს და ხარჯავს ხალხის ფულებს ისე, რომ ხალხი არავითარ მონაწილეობას არ ღებულობს კანონმდებლობასა და მართვა-გამგეობის კონტროლში. ამიტომ თვითმპყრობელობა არის მოხელეთა და პოლიციის თვითხელმწიფება და ხალხის უუფლებობა. ამ უუფლებობით იტანჯება მთელი ხალხი, მაგრამ შეძლებული კლასები (განსაკუთრებით მდიდარი მემამულეები და კაპიტალისტები) ძლიერ გავლენას ახდენენ მოხელეებზე. მუშათა კლასი კი ორმაგად იტანჯება:

მთელი რუსი ხალხის უუფლებობის გამოც და კაპიტალისტების მიერ მუშების ჩაგვრის გამოც, კაპიტალისტების, რომელნიც აიძულებენ მთავრობას ემსახუროს მათს ინტერესებს.

აბსოლუტიზმის დამხობა რაღას ნიშნავს? ეს ნიშნავს მეფის მიერ შეუზღუდავ ძალაუფლებაზე უარის თქმას; ხალხისთვის უფლების მინიჭებას — აირჩიოს ხოლმე თავისი წარმომადგენლები კანონების გამოსაცემად, მოხელეთა მოქმედებისათვის ზედამხედველობის გასაწევად, სახელმწიფო სახსრების შეგროვებისა და ხარჯვისათვის ოვალყურის საადევნებლად. მართვა-გამგეობის ძველ ფორმას, როცა ხალხი მონაწილეობას იღებს კანონმდებლობასა და მართვა-გამგეობაში, ეწოდება მართვა-გამგეობის კ ონ ს ტ ი ტ უ ც ი უ რ ი ფორმა (კონსტიტუცია = კანონი სახელმწიფოს მართვა-გამგეობასა და კანონმდებლობაში ხალხის წარმომადგენელთა მონაწილეობის შესახებ). ამნაირად, თვითმპყრობელობის დამხობა ნიშნავს მართვა-გამგეობის თვითმპყრობელური ფორმის შეცვლას მართვა-გამგეობის კონსტიტუციური ფორმით. ამრიგად, თვითმპყრობელობის დასამხობად არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს «პირადი ძალის დამხობა. და ეკონომიური ძალის ხელში ჩაგდება», საჭიროა მხოლოდ ვაიძულოთ მეფის მთავრობა უარი თქვას თავის შეუზღუდავ ხელისუფლებაზე და მოიწვიოს ხალხის წარმომადგენელთა საერო კრება კონსტიტუციის შესამუშავებლად («მოპოვება დემოკრატიული» [ხალხური, ხალხის ინტერესების სასარგებლოდ შედგენილი] «კონსტიტუციისა», როგორც ნათქვამია რუსი სოციალ-დემოკრატების პროგრამის პროექტში, რომელიც გამოცემულია 1885 წელს «შრომის განთავისუფლების» ჯგუფის მიერ).

რატომ უნდა იყოს თვითმპყრობელობის დამხობა რუსეთის მუშათა კლასის პირველი ამოცანა? იმიტომ. რომ თვითმპყრობელობის დროს მუშათა კლასს არ შეუძლია ფართოდ განავითაროს თავისი ბრძოლა. არ შეუძლია არავითარი მკვიდრი პოზიციების დაპყრობა არც ეკონომიურ, არც პოლიტიკურ სფეროში, არ შეუძლია მკვიდრი, მასობრივი ორგანიზაციები შეჰქმნას, მთელი მშრომელი მასების წინაშე სოციალური რევოლუციის დროშა გაშალოს და ამ დროშისთვის ბრძოლა ასწავლოს მათ. მხოლოდ პოლიტიკური თავისუფლების პირობებშია შესაძლებელი მთელი მუშათა კლასის გადამჭრელი ბრძოლა ბურჟუაზიის კლასის წინააღმდეგ, და ამ ბრძოლის საბოლოო მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ პროლეტარიატმა დაიპყროს პოლიტიკური ძალაუფლება და მოაწყოს სოციალისტური საზოგადოება. პოლიტიკური ძალაუფლების აი ეს დაპყრობა ორგანიზებული პროლე-

ტარიატის მიერ, რომელსაც ბრძოლის ხანგრძლივი სკოლა გაუვლია, იქნება სწორედ ბურჟუაზიული მთავრობის «პირადი ძალის დამხობა და ეკონომიური ძალის ხელში ჩაგდება», მაგრამ ძალაუფლების ეს დაპყრობა რუს სოციალ-დემოკრატებს არასოდეს არ დაუსახავთ რუსი მუშების უახლოეს ამოცანად. რუსი სოციალ-დემოკრატები ყოველთვის ამბობდნენ. რომ მხოლოდ პოლიტიკური თავისუფლების პირობებში, ფართო და მასობრივი ბრძოლით რუსეთის მუშათა კლასი შესძლებს ორგანიზაციის შექმნას სოციალიზმის ამ საბოლოო გამარჯვებისთვის.

მაგრამ რა გზით შეუძლია რუსეთის მუშათა კლასს დაამხოს თვითმპყრობელობა? აი ხომ დასცინიან «რაბოჩაია მისლის» რედაქტორები «შრომის განთავისუფლების» ჯგუფსაც კი, რომელმაც დააარსა რუსეთის სოციალ-დემოკრატია და აღნიშნა თავის პროგრამაში, რომ «თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლა სავალდებულოა იმ მუშათა წრეებისთვისაც კი, რომლებიც ახლა წარმოადგენენ რუსეთის მომავალი მუშათა პარტიის ჩანასახს». «რაბოჩაია მისლს» (იხ. № 7 და აღნიშნული სტატია) ეს სასაცილოდ მიაჩნია: თვითმპყრობელობის დამხობა — მუშათა წრეების მიერ! ამაზე ჩვენ «რაბოჩაია მისლის» რედაქტორებს ვუპასუხებთ: ვის დასცინით? თქვენს თავს დასცინით! «რაბოჩაია მისლის» რედაქტორები ჩივიან, რუსი სოციალ-დემოკრატები არაამხანაგურად გვეკამათებიანო. დაე მკითხველებმა თვითონ განსაჯონ — ვინ აწარმოებს არაამხანაგურ პოლემიკას: ძველი რუსი სოციალ-დემოკრატები, რომელთაც გარკვევით გამოსთქვეს თავიანთი შეხედულებანი და პირდაპირ ამბობენ, რომ «ახალგაზრდათა» შეხედულებანი და რატომ მიაჩნიათ მათ ისინი შემცდარად — თუ «ახალგაზრდები», რომელნიც თუმცა არ ასახელებენ, თავიანთ მოწინააღმდეგეებს, მალულად მასხრად იგდებენ ხან «ჩერნიშევსკის შესახებ გერმანულად დაწერილი წიგნის ავტორს» (პლეხანოვს, მასთან ყოვლად უსაფუძვლოდ ურევენ მას ზოგიერთ ლეგალურ მწერალში). ხან «შრომის განთავისუფლების» ჯგუფს, დამახინჯებულად მოჰყავთ რა ნაწყვეტები მისი პროგრამიდან და არ უპირდაპირებენ მას თავიანთ რაოდენადმე მაინც გარკვეულ პროგრამას. დიახ! ჩვენ გვესმის ამხანაგური მოვალეობა. მოვალეობა ყველა ამხანაგისთვის მხარდაჭერისა, მოვალეობა ამხანაგთა აზრის ატანისა, მაგრამ ჩვენთვის ამხანაგური მოვალეობა გამომდინარეობს მოვალეობიდან რუსეთისა დასაერთაშორისოსოციალ-დემოკრატიის წინაშე და არა პირიქით. ჩვენ აღვიარებთ ჩვენს ამხანაგურ მოვალეობას «რაბოჩაია მისლის» წინაშე არა იმიტომ, რომ მისი რედაქტორე-

ბი ჩვენი ამხანაგები არიან, არამედ «რაბოჩაია მისლის» რედაქტორები ჩვენ ამხანაგებად მიგვაჩნია მხოლოდ იმიტომ და იმდენად, რამდენადაც ისინი მუშაობენ რუსეთის (და, მაშასადამე, აგრეთვე საერთაშორისო) სოციალ-დემოკრატიის რიგებში. და ამიტომ, თუ ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ «ამხანაგები» უკან იხევენ სოციალ-დემოკრატიული პროგრამიდან, რომ «ამხანაგები» ჰკვეცავენ და ამახინჯებენ მუშათა მოძრაობის ამოცანებს, მაშინ ჩვენს მ ო ვ ა ლ ე ო ბ ა დ მიგვაჩნია სრულიად გარკვეულად და სრულიად მიუკიბ-მოუკიბავად გამოვთქვათ ჩვენი რწმენა!

ჩვენ ახლა ვთქვით, რომ «რაბოჩაია მისლის» რედაქტორები ამახინჯებენ «შრომის განთავისუფლების» ჯგუფის შეხედულებებს. დაე მკითხველმა თვითონ განსაჯოს. «ჩვენ მზადა ვართ არ გავიგოთ ?? ჩვენი ამხანაგები, — წერს რ. მ., — რომლებიც «შრომის განთავისუფლების» თავიანთ პროგრამას სთვლიან უბრალო პასუხად კითხვაზე «საიდან მოვიკრიბოთ ძალები თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საბრძოლველად?» (მეორე ალაგას: «ჩვენი რევოლუციონერები მუშათა მოძრაობას უყურებენ, როგორც თვითმპყრობელობის დამხობის საუკეთესო საშუალებას»). გადაშალეთ რუსი სოციალ-დემოკრატების პროგრამის პროექტი, გამოცემული «შრომის განთავისუფლების» ჯგუფის მიერ 1885 წელს და გადმობეჭდილი პ. ბ. აქსელროდის მიერ თავის ბროშურაში — «რუსეთის სოციალ-დემოკრატიის თანამედროვე ამოცანებისა და ტაქტიკის საკითხისათვის» (ჟენევა, 1898 წ.), — და თქვენ დაინახავთ, რომ პროგრამას ს ა ფ უ ძ ვ ლ ა დ უდევს შრომის სრული განთავისუფლება კაპიტალის ჩაგვრისაგან, წარმოების ყველა საშუალების გადასვლა საზოგადოებრივ საკუთრებაში, მუშათა კლასის მიერ პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობა, რევოლუციური მ უ შ ა თ ა პარტიის შექმნა, რომ რ. მ. ამახინჯებს ამ პროგრამას, რომ მას ა რ ს უ რ ს გაიგოს ის, — ეს ცხადია. იგი ებღაუქება პ. ბ. აქსელროდის სიტყვებს ბროშურის დასაწყისში, სადაც მან სთქვა, რომ «შრომის განთავისუფლების» ჯგუფის პროგრამა «იყო პასუხი» კითხვაზე: სად ვიპოვოთ ძალები თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საბრძოლველად? მაგრამ ეს ხომ ი ს ტ ო რ ი უ ლ ი ფ ა ქ ტ ი ა, რომ «შრომის განთავისუფლების» ჯგუფის პროგრამა იყო პასუხი რუსი რევოლუციონერების ამ კითხვაზეც და მთელი რუსეთის რევოლუციური მოძრაობის ამ კითხვაზეც. და თუ «შრომის განთავისუფლების» ჯგუფის პროგრამამ მოგვცა პასუხი ამ კითხვაზე, ნუთუ ეს იმას ნიშნავს, რომ მუშათა მოძრაობა «შრომის განთავისუფლების» ამ ჯგუფისათვის მხოლოდ საშუალება იყო? რ. მ.-ს ეს «გ ა უ გ ე ბ ლ ო ბ ა» ხომ მხოლოდ იმის მომასწავებელია, რომ ის არ იცნობს

«შრომის განთავისუფლების» ჯგუფის მოღვაწეობის საყოველთაოდ ცნობილ ფაქტებს.

შემდეგ. როგორ შეიძლება ეს, რომ «თვითმპყრობელობის დამხობა» მუშათა წრეების ამოცანა იყოს. რ. მ.-ს ეს არ ესმის. გადაშალეთ «შრომის განთავისუფლების» ჯგუფის პროგრამა: «მუშათა წრეების პოლიტიკური ბრძოლის მთავარ საშუალებად აბსოლუტიზმის წინააღმდეგ, — ნათქვამია იქ, — რუს სოციალ-დემოკრატებს მიაჩნიათ აგიტაცია მუშათა კლასს შორის და მ ს'ში სოციალისტური იდეებისა და რევოლუციური ორგანიზაციების შემდგომი გავრცელება. ეს ორგანიზაციები, ერთ მწყობრ მთლიანობად მჭიდროდ შეკავშირებულნი, არ დაკმაყოფილდებიან მთავრობასთან კერძო ხასიათის შეტაკებებით და ხელსაყრელ მომენტში არ დააყოვნებენ გადავიდნენ მის წინააღმდეგ საერთო, გადამწყვეტ თავდასხმაზე». სწორედ ამ ტაქტიკას მისდევდნენ რუსეთის ორგანიზაციები, რომელთაც 1898 წლის გაზაფხულზე დააარსეს «რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია». და მათ დაამტკიცეს, რომ ასეთი ორგანიზაციები რუსეთში დიდ პოლიტიკურ ძალას წარმოადგენენ. თუ ეს ორგანიზაციები შექმნიან ერთ პარტიას და ფართო აგიტაციას გააჩაღებენ შეუზღუდავი მთავრობის წინააღმდეგ და ამასთან ლიბერალური ოპოზიციის ყველა ელემენტს გამოიყენებენ, პოლიტიკური თავისუფლების დაპყრობის ამოცანა უსათუოდ მისაღწევი იქნება ასეთი პარტიისთვის. თუ «რაბოჩაია მისლის» რედაქტორები «მზად არიან არ გაიგონ» ეს, ჩვენ «მზადა ვართ» ვურჩიოთ მათ: ისწავლეთ, ბატონებო, ვინაიდან თავისთავად ეს საგნები სრულიად არაა ძნელი გასაგები.

მაგრამ დავუბრუნდეთ რ. მ.-ს, რომელიც ჩვენ მივატოვეთ, როცა ის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ მსჯელობდა. რ. მ.-ს საკუთარი შეხედულება ამ საკითხზე კიდევ უფრო ნათლად ასურათებს «რაბოჩაია მისლის» ახალ, უკუსელითს, მიმართულებას.

«თვითმპყრობელობის აღსასრული ცხადია», — წერს რ. მ. — «...თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლა ყველა სასიცოცხლო საზოგადოებრივი ელემენტისთვის მათი ჯანსაღი განვითარების ერთ-ერთ პირობას წარმოადგენს». აქედან გამომდინარეობსო, ალბათ, იფიქრებს მკითხველი, რომ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლა აუცილებელია მუშათა კლასისთვისაც? არა, მოითმინეთ. რ. მ.-ს თავისი ლოგიკა და თავისი ტერმინოლოგია აქვს. სიტყვა ბრძოლა, სიტყვა «საზოგადოებრივი»-ს (ბრძოლა) მიმატებით, მას ესმის როგორც სრულიად განსაკუთრებული რამ. ასწერა რა ი ს ლ ე გ ა ლ უ რ ი ო პ ო ზ ი ც ი ა, რომელსაც მთავრობას უწევს რუსი მოსახლეობის მრავალი ფენა, რ. მ. დაასკვნის: «საერობო და საქალაქო საზოგადო-

ებრივი თვითმმართველობისთვის ბრძოლაც, საზოგადოებრივი სკოლისთვის ბრძოლაც, დამშეული მოსახლეობისთვის საზოგადოებრივი დახმარების აღმოჩენისათვის ბრძოლაც და სხვ. ხომ თვითმპყრობელობასთან ბრძოლაა». «საზოგადოებრივი ბრძოლის აუცილებლობა მოხელეთა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ცხადია მოსახლეობის ყველა შეგნებული პროგრესული ფენისა და ჯგუფისთვის. კიდევ მეტი. ეს საზოგადოებრივი ბრძოლა, რომელიც რაღაც უცნაური გაუგებრობის გამო არ იქცევს ბევრი რუსი რევოლუციური მწერლის კეთილგანწყობილ ყურადღებას, როგორც დავინახეთ, უკვე წარმოებს კარგა ხანია რუსი საზოგადოების მიერ». «ნამდვილი საკითხი ისაა, თუ როგორ აწარმოონ ამ ცალკე საზოგადოებრივმა ფენებმა... ეს» (ეს დაიხსომეთ!) «ბრძოლა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ რაც შეიძლება წარმატებით... ჩვენთვის კი მთავარი საკითხია: — როგორ უნდა აწარმოონ ეს საზოგადოებრივი (!) ბრძოლა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ჩვენმა მუშებმა»...

, **რ. მ.**-ს ამ მსჯელობაში კვლავ თავმოყრილია უამრავი არევ-დარევა და შეცდომა.

ჯერ-ერთი, **რ. მ.** ერთმანეთში ურევს ლეგალურ ოპოზიციას და ბრძოლას თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, ბრძოლას თვითმპყრობელობის დასამხობად. სოციალისტ-სათვის მიუტევებელი ეს არევდარევა მას იმიტომ მოსდის, რომ ის განუმარტავად ხმარობს გამოთქმას «ბრძოლა თვითმპყრობელობასთან»: ეს გამოთქმა შეიძლება ნიშნავდეს (შენიშვნით) თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლასაც, მაგრამ შეიძლება აგრეთვე ნიშნავდეს თვითმპყრობელობის ცალკეულ ღონისძიებათა წინააღმდეგ ბრძოლასაც იმავე თვითმპყრობელური წყობილების ნიადაგზე.

მეორე, როცა **რ. მ.** ლეგალურ ოპოზიციას სთვლის საზოგადოებრივ ბრძოლად თვითმპყრობელობის წინააღმდეგ და ამბობს — ჩვენი მუშები უნდა აწარმოებდნენ «ამ საზოგადოებრივ ბრძოლასო». აქ ის იბნევა და მოითხოვს, რომ ჩვენმა მუშებმა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ აწარმოონ არა რევოლუციური ბრძოლა, არამედ ლეგალური ოპოზიცია გაუწიონ თვითმპყრობელობას, ე. ი. იბნევა ისე, რომ საძაგლად აუხამსებს სოციალ-დემოკრატიას და ურევს მას სულ ჩვეულებრივსა და უბადრუკ რუსულ ლიბერალიზმში.

მესამე, **რ. მ.** ლაპარაკობს პირდაპირ ტყუილს რუს სოციალ-დემოკრატ მწერლებზე — (**რ. მ.**, მართალია, ამჯობინებს «ამხანაგურად» გამოთქვას საყვედური უმისამართოდ. მაგრამ თუ მას მხედველობაში ჰყავს არა სოციალ-დემოკრატები, მაშინ მის სიტყვებს არაფვითარი აზრი არა აქვთ), — თითქოს ისინი ყურადღებას არ

აქცევდნენ ლეგალურ ოპოზიციას. პირიქით, «შრომის განთავისუფლების» ჯგუფმაც, პ. ბ. აქსელროდმაც კერძოდ, «რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მანიფესტმაც», ბროშურამაც «რუსი სოციალ-დემოკრატების ამოცანები» (რომელიც გამოცემულია «რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის» მიერ და რომელსაც აქსელროდი «მანიფესტის» კ ო მ ე ნ ტ ა რ ს უწოდებს) — ყველა ამათ არამც თუ ყურადღება მიაქციეს ლეგალურ ოპოზიციას არამედ სრული სიზუსტით გამოარკვიეს კიდეც მისი დამოკიდებულება სოციალ-დემოკრატიისადმი.

განვმარტოთ ყოველივე ეს. რანაირ «ბრძოლას» აწარმოებენ «თვითმპყრობელობის წინააღმდეგ» ჩვენი ერობები, ლიბერალური საზოგადოებები საერთოდ, ლიბერალური პრესა? აწარმოებენ თუ არა ისინი ბრძოლას თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, ბრძოლას თვითმპყრობელობის დასამხობად? ა რ ა, ა მ ნ ა ი რ ი. ბ რ ძ ო ლ ა მ ა თ ა რ ა ს დ რ ო ს ა რ უ წ ა რ მ ო ე ბ ი ა თ დ ა ა რ ც ა წ ა რ მ ო ე ბ ე ნ. ამნაირ ბრძოლას აწარმოებენ მხოლოდ რევოლუციონერები, რომელნიც ხშირად გამოდიან ლიბერალური საზოგადოების წრიდან და ეყრდნობიან საზოგადოების თანაგრძნობას. მაგრამ რევოლუციური ბრძოლის წარმოება სრულიადაც არ არის იგივე, რომ თანაუგრძნობდე რევოლუციონერებს და დახმარებას უწევდე მათ; თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლა და თვითმპყრობელობისადმი ლეგალური ოპოზიცია სრულიადაც ერთი და იგივე არ არის. რუსი ლიბერალები თავიანთ უკმაყოფილებას თვითმპყრობელობით გამოხატავენ მხოლოდ ისეთი ფორმით, რომლის ნ ე ბ ა ს ა ც ი ძ ლ ე ვ ა თვითონ თვითმპყრობელობა, ე. ი. იმ ფორმით, რომელიც თვითმპყრობელობას საშიშრად არ მიაჩნია თვითმპყრობელობისთვის. ლიბერალური ოპოზიციის უდიდესი გამოვლინება იყო მხოლოდ ლიბერალების შ უ ა მ დ გ ო მ ლ ო ბ ა ნ ი მეფის მთავრობის წინაშე — მართვა-გამგეობაში ხალხის ჩაბმის შესახებ. და ლიბერალები ყოველთვის მოთმინებით იტანდნენ პოლიციის იმ უხეშ უარს, რომელსაც ისინი ღებულობდნენ ასეთ შუამდგომლობათა პასუხად, იტანდნენ იმ უკანონო და ველურ დევნას, რომლითაც ჟანდარმული მთავრობა ყველას უმასპინძლდებოდა თავიანთი აზრის გამოთქმის კანონიერი ცდისთვისაც კი. ლიბერალური ოპოზიციის ასე უბრალოდ გადაქცევა საზოგადოებრივ ბრძოლად თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ნიშნავს საქმის პირდაპირ დ ა მ ა ხ ი ნ ჯ ე ბ ა ს, იმიტომ, რომ რუს ლიბერალებს ა რ ა ს ო დ ე ს ა რ შეუდგენიათ რევოლუციური პარტია თვითმპყრობელობის დამხობისათვის საბრძოლველად, თუმცა მათ ყოველთვის შეეძლოთ და შეუძლიათ იშოვონ ამისთვის მატერიალური საშუალებანიც და რუსეთის ლი-

ბერალიზმის. საზღვარგარეთელი წარმომადგენლებიც. რ. მ. კი არა მარტო ამახინჯებს საქმეს, არამედ ამ საქმეში რევს რუსეთის დიდი სოციალისტის, ნ. გ. ჩერნიშევსკის სახელს. მუშების მოკავშირეებად ამ ბრძოლაში, — წერს რ. მ., — გამოდიან რუსი საზოგადოების ყველა მოწინავე ფენები, რომლებიც იცავენ თავიანთ საზოგადოებრივ ინტერესებს და დაწესებულებებს, ნათლად აქვთ შეგნებული თავიანთი საერთო სარგებლობა. «არასდროს არ ივიწყებენ» (რ. მ.-ს ციტატი მოჰყავს ჩერნიშევსკის ნაწერებიდან), თუ რამდენად დიდია «განსხვავება იმაში, — მთავრობის დამოუკიდებელი გადაწყვეტილებით თუ ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ი ს ფ ო რ მ ა ლ უ რ ი მ ო თ ხ ო ვ ნ ი თ ხდება ესა თუ ის ცვლილება». თუ ასეთი შეფასება ეხება «საზოგადოებრივი ბრძოლის» ყველა წარმომადგენელს, როგორც ეს რ. ბ.-ს ესმის, ე. ი. ყველა რუს ლიბერალს, ეს პ ი რ დ ა პ ი რ ს ი ყ ა ლ ბ ე ა. ფორმალური მოთხოვნები მთავრობისთვის რუს ლიბერალებს არასოდეს არ წარუდგენიათ, და სწორედ ამიტომაც რუს ლიბერალებს არასდროს არ უთამაშნიათ და მათ არასგზით არ შეუძლიათ ახლაც ითამაშონ დ ა მ ო უ კ ი დ ებ ე ლ ი რევოლუციური როლი. მუშათა კლასისა და სოციალ-დემოკრატიის მოკავშირეებად არ შეიძლება იყვნენ «საზოგადოების ყველა მოწინავე ფენები», არამედ ნსოლოდ რევოლუციური პარტიები, რომლებსაც ამ საზოგადოების წევრები აარსებენ. ლიბერალებს კი საერთოდ შეუძლიათ და უნდა იყვნენ მხოლოდ დამატებითი ძალებისა და საშუალებათა ე რ თ-ე რ თ ი წ ყ ა რ ო რევოლუციური მუშათა პარტიისთვის (როგორც ეს სრულიად გარკვეულად სთქვა პ. ბ. აქსელროდმა ზემოთ დასახელებულ ბროშურაში). ნ. გ. ჩერნიშევსკი სწორედ იმიტომ დასცინოდა ასე დაუნდობლად «რუსი საზოგადოების მოწინავე ფენებს», რომ მათ არ ესმოდათ მთავრობისადმი ფორმალური მოთხოვნების წაყენების აუცილებლობა და გულგრილად უყურებდნენ, თუ როგორ იღუპებოდნენ მათი წრიდან გამოსული რევოლუციონერები თვითმპყრობელი მთავრობის რეპრესიების გამო. რ. მ.-ს ამ შემთხვევაში ისევე უაზროდ მოჰყავს ციტატები ჩერნიშევსკის თხზულებებიდან, როგორც უაზროა «ცალკე დამატების» მეორე სტატიაში მოყვანილი აქა-იქ ამოგლეჯილი ნაწყვეტები ჩერნიშევსკის ნაწერებიდან, რომლებითაც ცდილობენ დაგვანახონ, თითქოს ჩერნიშევსკი არ ყოფილა უტოპისტი და თითქოს რუსმა სოციალ-დემოკრატებმა ვერ დააფასეს «დიდი რუსი სოციალისტის» მთელი მნიშვნელობა. პლეხანოვმა თავის წიგნში ჩერნიშევსკის შესახებ (სტატიები კრებულში «სოციალ-დემოკრატი»,[37] რომლებიც ცალკე წიგნად გამოიცა გერმანულად) სავსებით დააფასა ჩერნიშევსკის მნი-

შვნელობა და გამოარკვია მისი დამოკიდებულება მარქსისა და ენგელსის თეორიისადმი. «რაბოჩაია მისლის» რედაქციამ კი გამოააშკარავა მხოლოდ ის, რომ მას არ შეუძლია მოგვცეს რამდენადმე მაინც მთლიანი და ყოველმხრივი დაფასება ჩერნიშევსკისა. მისი სუსტი და ძლიერი მხარეებისა.

რუსეთის სოციალ-დემოკრატიის «ნამდვილი საკითხი» მდგომარეობს სრულიადაც არა იმაში, თუ როგორ აწარმოონ ლიბერალებმა «საზოგადოებრივი ბრძოლა» (რომელშიც რ. მ., როგორც დავინახეთ, გულისხმობს ლეგალურ ოპოზიციას), არამედ იმაში, თუ როგორ მოვაწყოთ რევოლუციური, აბსოლუტიზმის დასამხობად მებრძოლი მუშათა პარტია, რომელსაც შეეძლებოდა რუსეთის ყველა ოპოზიციურ ელემენტზე დაყრდნობა და შეეძლებოდა ოპოზიციის ყველა გამოვლინების გამოყენება თავისი რევოლუციური ბრძოლისთვის. ამისთვის აუცილებელია სწორედ რევოლუციური მუშათა პარტია, იმიტომ რომ რუსეთში მხოლოდ მუშათა კლასი შეიძლება იყოს გაბედული და თანამიმდევარი მებრძოლი დემოკრატიისთვის, იმიტომ რომ ამგვარი პარტიის ენერგიული ზემოქმედების გარეშე ლიბერალური ელემენტები «შეიძლება დაჩრჩნენ დუნე, უმოქმედო, მთვლემარე ძალის მდგომარეობაში» (პ. ბ. აქსელროდი. ზემოხსენებული ბროშურა. გვ. 23). როცა რ. მ. ლაპარაკობს, რომ ჩვენი «ყველაზე უფრო მოწინავე ფენები» აწარმოებენ «ნამდვილ (!!) საზოგადოებრივ ბრძოლას თვითმპყრობელობასთან» (რ. მ.-ს სტატიის მე-12 გვ.), რომ «ჩვენთვის მთავარი საკითხია, როგორ უნდა აწარმოონ ეს საზოგადოებრივი ბრძოლა თვითმპყრობელობასთან ჩვენმა მუშებმა», — როცა ასეთ რამეებს ლაპარაკობს, რ. მ., არსებითად, სრულიად შორდება სოციალ-დემოკრატიას. ჩვენ დაგვრჩენია მხოლოდ სერიოზულად ვურჩიოთ «რაბოჩაია მისლის» რედაქტორებს კარგად ჩაუფიქრდნენ, საითკენ ფიქრობენ ისინი წასვლას და სად არის მათი ნამდვილი ადგილი: რევოლუციონერთა შორის, რომელთაც მშრომელ კლასებში შეაქვთ სოციალური რევოლუციის დროშა და სურთ დარაზმონ ისინი პოლიტიკურ რევოლუციურ პარტიად, თუ ლიბერალებს შორის, რომელნიც აწარმოებენ თავიანთ «საზოგადოებრივ ბრძოლას» (ე. ი. ლეგალურ ოპოზიციას). მუშათა «საზოგადოებრივი თვითმოქმედების» თეორიაში, თეორიაში «საზოგადოებრივი ურთიერთდახმარებისა» და ამქრული კავშირებისა, რომელნიც «ჯერ-ჯერობით» კმაყოფილდებიან 10-საათიანი სამუშაო დღით, ერობების, ლიბერალური საზოგადოებების და სხვათა მხრივ თვითმპყრობელობასთან «საზოგადოებრივი ბრძოლის» თეორიაში ხომ სრულიად არაფერი სოციალისტური არ არის, არ

არის არაფერი ისეთი, რასაც არ აღიარებდნენ ლიბერალები! არსებითად ხომ «რაბოჩაია მისლის» მთელი პროგრამა (რამდენადაც შეიძლება აქ პროგრამაზე ლაპარაკი) იხრება იქითკენ, რომ რუსი მუშები დასტოვოს მათს განუვითარებლობასა და დაქსაქსულობაში და ისინი ლიბერალების მაჩანჩალად გადააქციოს!!

განსაკუთრებით უცნაურია **რ. მ.**-ს ზოგიერთი ფრაზა. «მთელი უბედურება მხოლოდ იმაშია, — ამბობს **რ. მ.**, — რომ პოლიტიკური პოლიციის მიერ უმოწყალოდ დევნილი ჩვენი რევოლუციური ინტელიგენცია ამ პოლიტიკურ პოლიციასთან ბრძოლას სთვლის პოლიტიკურ ბრძოლად თვითმპყრობელობასთან». რა აზრი შეიძლება ჰქონდეს ამ განცხადებას? პოლიტიკურ პოლიციას იმიტომაც ეწოდება პოლიტიკური, რომ ის სდევნის თვითმპყრობელობის მტრებს და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მებრძოლთ. ამიტომაც «რაბოჩაია მისლ», ვიდრე ის ჯერ კიდევ არ გარდაქმნილა ლიბერალებად, ებრძვის პოლიტიკურ პოლიციას, — როგორც ებრძვიან მას ყველა რუსი რევოლუციონერიც და სოციალისტიც და ყველა შეგნებული მუშაც. იმ ფაქტიდან, რომ პოლიტიკური პოლიცია უმოწყალოდ სდევნის სოციალისტებს და მუშებს, რომ თვითმპყრობელობას მოეპოვება «მწყობრი ორგანიზაცია», «მოხერხებული და მარჯვე სახელმწიფო მოღვაწეები» (**რ. მ.**-ს სტატიის მე-7 გვ.), ამ ფაქტიდან შეიძლება მხოლოდ ორი დასკვნის გამოტანა: მშიშარა და უმწეო ლიბერალი აქედან დაასკვნის, რომ ჩვენი ხალხი საერთოდ და მუშები კერძოდ ჯერ კიდევ ნაკლებად არიან მომზადებული ბრძოლისთვის და მთელი იმედი უნდა დავამყაროთ ერობათა, ლიბერალური პრესის და სხვათა «ბრძოლაზე», ვინაიდან ეს არის «ნამდვილი ბრძოლა თვითმპყრობელობასთან», და არა მარტო ბრძოლა პოლიტიკურ პოლიციასთან. სოციალისტი და ყოველი შეგნებული მუშა აქედან დაასკვნის, რომ მუშათა პარტიაც მთელი ძალღონით უნდა ესწრაფოდეს «მწყობრი ორგანიზაციის» შექმნას, მოწინავე მუშებისა და სოციალისტებისაგან «მოხერხებული და მარჯვე რევოლუციური მოღვაწეების» გამომუშავებას, რომელნიც მუშათა პარტიას დააყენებდნენ დემოკრატიისთვის მოწინავე მებრძოლის სიმაღლეზე და შესძლებდნენ მასში ყველა ოპოზიციური ელემენტის მიზიდვას.

«რაბოჩაია მისლის» რედაქტორები ვერ ამჩნევენ, რომ ისინი დადგნენ დაქანებულ ნიადაგზე, რომლითაც პირველი დასკვნისაკენ მიექანებიან!

ან კიდევ: «ამ პროგრამებში» — ე. ი. სოციალ-დემოკრატების პროგრამებში, — «ჩვენ გვაოცებს», — წერს **რ. მ.**, — «აგრეთვე (ჩვენში არ არსებულ) პარლამენტში მუშათა მოღვაწეობის უპირა-

ტესობის მუდამ პირველ რიგში წამოყენება მათ მიერ, ამავე დროს»... მეფაბრიკეების საკანონმდებლო კრებებში, საფაბრიკო საქმეთა საკრებულოებში, ქალაქის საზოგადოებრივ თვითმმართველობაში «მუშების მონაწილეობის მნიშვნელობის სრული უგულებელყოფა» (გვ. 15). თუ პირველ რიგში არ წამოვაყენებთ პარლამენტის უპირატესობებს, საიდან გაიგებენ რაიმეს მუშები პოლიტიკური უფლებებისა და პოლიტიკური თავისუფლების შესახებ? თუ გავჩუმდებით ამ საკითხებზე, — როგორც გაზეთი «რაბოჩაია მისლ» სდუმს,— განა ეს იმას არ ნიშნავს, რომ მუშათა დაბალ ფენებში ხელს ვუწყობთ პოლიტიკურ უვიცობას? რაც შეეხება მუშების მონაწილეობას ქალაქის საზოგადოებრივ თვითმმართველობაში, არც ერთ სოციალ-დემოკრატს არსად და არასოდეს არ უარუყვია მუშა-ს ო ც ი ა ლ ი ს ტ ე ბ ი ს მოღვაწეობის სარგებლობა და მნიშვნელობა ქალაქის თვითმმართველობაში, მაგრამ სასაცილოა ამაზე ლაპარაკი რუსეთში, სადაც შეუძლებელია რაიმე სახით სოციალიზმის აშკარა გამოვლინება, სადაც მუშების გატაცება ქალაქის თვითმმართველობით (კიდეც რომ ყოფილიყო ეს შესაძლებელი) ნამდვილად იქნებოდა მოწინავე მუშების ჩამოშორება მუშათა სოციალისტური საქმისაგან და მათი დაახლოება ლიბერალიზმთან.

«მუშათა მოწინავე ფენების დამოკიდებულება,—ამბობს რ. მ.,— ასეთი (თვითმპყრობელური) მთავრობისადმი... ისევე გასაგებია. როგორც მუშების დამოკიდებულება მეფაბრიკეებისადმი». მაშასადამე, — დაასკვნის აქედან საღი გონების ადამიანი, — მუშათა მოწინავე ფენები არანაკლებ შეგნებული სოციალ-დემოკრატები არიან, ვიდრე ინტელიგენტი სოციალისტები, და ამიტომ «რაბოჩაია მისლის» მისწრაფება — გაჰყოს ისინი, უაზრო და საზიანოა. მაშასადამე, რუსეთის მუშათა კლასმა უკვე შეჰქმნა და დამოუკიდებლად გამოჰყო ელემენტები დამოუკიდებელი პოლიტიკური მუშათა პარტიის შესაქმნელად. მაგრამ «რაბოჩაია მისლის» რედაქტორები მუშათა მოწინავე ფენების პოლიტიკური შეგნებულობის ფაქტიდან იმ დასკვნას აკეთებენ, ... რომ საჭიროა ამ მოწინავეთა უკან დაწევა, რათა ერთ ალაგას გაიყინონ! «როგორი ბრძოლის წარმოებაა სასურველი მუშების მხრივ?» — კითხულობს რ. მ. და უპასუხებს: სასურველია ის ბრძოლა, რომელიც შესაძლებელია, ხოლო შესაძლებელია ის, რომელსაც მუშები «ამ წამში აწარმოებენ»!!! ძნელია უფრო მკვეთრი ფორმით იმ უაზრო და უპრინციპო ოპორტუნიზმის გამოხატვა, რომლითაც დაავადებული არიან «რაბოჩაია მისლის» რედაქტორები, გატაცებულნი მოდაში შემოსული «ბერნშტეინიადით»! სასურველია ის, რაც შესაძლებელია, ხოლო შესაძლებელია ის, რაც ამ წამში

არისო! ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ კაცს, რომელიც მოემზადა შორეულ და საძნელო გზაზე სამგზავროდ, სადაც მას უამრავი დაბრკოლება და უამრავი მტერი მოელის, რომ ამ კაცს კითხვაზე: საით წავიდე? უპასუხონ: სასურველია იქით წახვიდე, საითაც შესაძლებელია, ხოლო წასვლა შესაძლებელია იქით, საითაც ამ წამში მიდიხარო! აი ეს არის სწორედ ნიჰილიზმი, მაგრამ არა რევოლუციური, არამედ ოპორტუნისტული ნიჰილიზმი, რომელსაც იჩენენ ან ანარქისტები, ან ბურჟუაზიული ლიბერალები! «მოუწოდებს» რა რუს მუშებს «კერძო» და «პოლიტიკური» ბრძოლისაკენ (ამასთან პოლიტიკურ ბრძოლად იგულისხმება არა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლა, არამედ მხოლოდ «ბრძოლა ყველა მუშის მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის»), **რ. მ.** პირდაპირ მოუწოდებს რუსეთის მუშათა მოძრაობას და რუსეთის სოციალ-დემოკრატიას გადადგას ნ ა ბ ი ჯ ი უ კ ა ნ, მოუწოდებს, არსებითად, მუშებს, რომ გამოეყონ სოციალ-დემოკრატებს და ამრიგად სრულიად უკუაგდონ ევროპისა და რუსეთის გამოცდილების ყველა მონაპოვარი! მუშებს სრულიად არ ესაჭიროებათ სოციალისტები იმ ბრძოლაში, რომელსაც ისინი მხოლოდ და მხოლოდ თავიანთი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის აწარმოებენ. ყველა ქვეყანაში მოიძებნებიან ისეთი მუშები, რომლებიც ბრძოლას აწარმოებენ თავიანთი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის და არაფერი გაეგებათ სოციალიზმისა, ანდა მტრულადაც კი ეკიდებიან მას.

«დასასრულ, — წერს **რ. მ.**, — ორიოდე სიტყვა იმის შესახებ, თუ როგორ გვესმის ჩვენ მუშათა სოციალიზმი». ზემოთქმულის შემდეგ მკითხველისთვის ძნელი არ არის წარმოიდგინოს, თუ როგორია ეს «გაგება». ეს პირდაპირ ბერნშტეინის «მოდად» შემოსული წიგნის ასლია. პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ნაცვლად ჩვენი «ახალგაზრდა». სოციალ-დემოკრატები აყენებენ «მუშების საზოგადოებრივ და პოლიტიკურ თვითმოქმედებას» თუ ჩვენ გავიხსენებთ, როგორ ესმის **რ. მ.**-ს ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ ი «ბრძოლა» და «პოლიტიკა», ჩვენთვის ცხადი იქნება, რომ ეს არის პირდაპირი დაბრუნება ზოგიერთი ლეგალური რუსი მწერლის «ფორმულისაკენ». ნაცვლად იმისა, რომ ზუსტად აღნიშნოს სოციალიზმის მიზანი (და დედაარსი) მიწის, ფაბრიკების და სხვათა, საერთოდ წარმოების ყველა საშუალების გადასვლა მთელი საზოგადოების საკუთრებაში და კაპიტალისტური წარმოების შეცვლა საერთო გეგმით მოწყობილი წარმოებით საზოგადოების ყველა წევრის ინტერესების სასარგებლოდ, ამის ნაცვლად **რ. მ.** ჯერ მიუთითებს ამქრული და სამომხმარებლო კავშირების განვითარებაზე და მხოლოდ გაკვრით ლაპა-

რაკობს, რომ სოციალიზმს წარმოების ყველა საშუალების სრულ განსაზოგადოებამდე მივყევართო. სამაგიეროდ ფრიად მსხვილი ასოებით იბეჭდება, რომ «სოციალიზმი არის თანამედროვე საზოგადოებრიობის მხოლოდ შემდგომი უმაღლესი განვითარებაო» — ბერნშტეინიდან ნასესხები ფრაზა, რომელიც არამც თუ არ არკვევს, არამედ აბუნდოვანებს სოციალიზმის მნიშვნელობას და არსს. ყველა ლიბერალი და ყველა ბურჟუა უსათუოდ მომხრენი არიან «თანამედროვე საზოგადოებრიობის განვითარებისა», ასე რომ რ. მ.-ს განცხადება მათ ყველას გაუხარდებათ. მაგრამ ბურჟუები. მიუხედავად ამისა, სოციალიზმის მ ტ რ ე ბ ი ა რ ი ა ნ. საქმე ისაა, რომ «თანამედროვე საზოგადოებრიობაში» ძალიან ბევრი სხვადასხვა მხარეა, და ვინც ამ საერთო გამოთქმას ხმარობს, მხედველობაში აქვს ერთს — ერთი, მეორეს — მეორე მხარე. მაშასადამე, იმის მაგივრად, რომ მუშებს განუმარტოს კლასობრივი ბრძოლისა და სოციალიზმის ცნება, რ. მ.-ს მოჰყავს მხოლოდ ბუნდოვანი და თავგზის ამბნევი ფრაზები. და, ბოლოს, იმის მაგივრად, რომ აღნიშნოს ის საშუალება, რომელიც თანამედროვე სოციალიზმმა წამოაყენა სოციალიზმის განსახორციელებლად — პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობა ორგანიზებული პროლეტარიატის მიერ — ამის მაგივრად რ. მ. ლაპარაკობს მხოლოდ წარმოების გადასვლაზე მათს (მუშების) საზოგადოებრივ გამგებლობაში ან დემოკრატიზებული საზოგადოებრივი ხელისუფლების გამგებლობაში, დემოკრატიზებული «მათი (მუშების) აქტიური მონაწილეობით ყოველგვარი საფაბრიკო-საქარხნო საქმეების გამრჩევ საკრებულოებში, სამედიატორო სასამართლოებში, ყოველგვარ კრებებში, კომისიებსა და თათბირებში, სადაც მუშავდება მუშათა კანონები, მუშების მონაწილეობით საზოგადოებრივ თვითმმართველობაში, და, ბოლოს, ქვეყნის საერთო წარმომადგენლობითს დაწესებულებაში». ამრიგად, «რაბოჩაია მისლის» რედაქტორებს მუშათა სოციალიზმად მიაჩნიათ მხოლოდ ისეთი სოციალიზმი, რომლის მიღწევა შეიძლება მ შ ვ ი დ ო ბ ი ა ნ ი გზით, რევოლუციური გზის გამორიცხვით. სოციალიზმის შეკვეცა და მისი დაყვანა უბრალო ბურჟუაზიულ ლიბერალიზმამდე წარმოადგენს კვლავ დიდი ნაბიჯის უკან გადადგმას ყველა რუსი და ევროპელი სოციალ-დემოკრატების უდიდესი უმრავლესობის შეხედულებათა წინააღმდეგ. მუშათა კლასი ამჯობინებდა, რა თქმა უნდა, მ შ ვ ი დ ო ბ ი ა ნ ად აეღო თავის ხელში ძალაუფლება (წინათ ჩვენ უკვე ვთქვით, რომ ძალაუფლების ხელში ჩაგდება შეუძლია მხოლოდ ორგანიზებულ მუშათა კლასს, რომელსაც კლასობრივი ბრძოლის სკოლა გაუვლია), მაგრამ რევოლუციური გზით ძალაუფლების დაპყრო-

ბაზე უარისთქმა პროლეტარიატის მხრივ, თეორიული თვალსაზრისითაც და პრაქტიკულ-პოლიტიკური თვალსაზრისითაც უგუნურება იქნებოდა და მხოლოდ იმის მომასწავებელი, რომ სამარცხვინოდ ვუთმობთ ბურჟუაზიას და ყველა შეძლებულ კლასს. ძალიან მოსალოდნელია — ყველაზე უფრო მოსალოდნელიცაა — რომ ბურჟუაზია მშვიდობიანად არ დაუთმობს პროლეტარიატს, არამედ გადამწყვეტ მომენტში თავისი პრივილეგიების დასაცავად ძალადობას მიმართავს. მაშინ მუშათა კლასს სხვა გზა არ ექნება თავისი მიზნის განსახორციელებლად, გარდა რევოლუციისა. აი რატომაა სწორედ, რომ «მუშათა სოციალიზმის» პროგრამა ლაპარაკობს საერთოდ პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობაზე და არ განსაზღვრავს ამ დაპყრობის საშუალებას, ვინაიდან ამ საშუალების არჩევა დამოკიდებულია მომავალზე, რომლის ზუსტად განსაზღვრა ჩვენ არ შეგვიძლია. მაგრამ პროლეტარიატის მოქმედების შემოფარგვლა ყოველ შემთხვევაში მარტოოდენ მშვიდობიანი «დემოკრატიზაციით», ვიმეორებთ, ნიშნავს მუშათა სოციალიზმის ცნების სრულიად თვითნებურად შეკვეცას და შერყვნას.

«ცალკე დამატების» სხვა სტატიებს ასევე დაწვრილებით არ გავარჩევთ. ჩერნიშევსკის გარდაცვალების 10 წლისთავის გამო დაწერილ სტატიაზე ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ. რაც შეეხება «რაბოჩაია მისლის» რედაქტორების მიერ ბერნშტეინიადის პროპაგანდას, რასაც ასე ჩასჭიდეს ხელი მთელს მსოფლიოში საერთოდ სოციალიზმის მტრებმა და განსაკუთრებით ბურჟუაზიულმა ლიბერალებმა და რის წინააღმდეგაც გადაჭრით გაილაშქრა (ჰანოვერის ყრილობაზე) გერმანელი სოციალ-დემოკრატებისა და გერმანელი შეგნებული მუშების უდიდესმა უმრავლესობამ, — რაც შეეხება ბერნშტეინიადას, დაწვრილებით მასზე ლაპარაკი აქ უადგილოა. ჩვენ აქ გვაინტერესებს რუსული ბერნშტეინიადა, და ჩვენ უკვე ცხადვყავით, თუ აზრის რა უსაზღვრო არევ-დარევას, დამოუკიდებელი შეხედულების ყოველგვარი ნასახის რა უქონლობას, რუსეთის სოციალ-დემოკრატიის შეხედულებებისაგან რა გადამწყვეტი ნაბიჯის უკან გადადგმას წარმოადგენს «ჩვენებური» ბერნშტეინიადა. გერმანულ ბერნშტეინიადაზე კი უკეთესია სიტყვა გერმანელებსვე დავუთმოთ. შევნიშნავთ მხოლოდ, რომ რუსული ბერნშტეინიადა გაცილებით კიდევ უფრო დაბლა დგას, ვიდრე გერმანული. ბერნშტეინს, მიუხედავად ყველა მისი შეცდომისა და მიუხედავად იმისა, რომ ის აშკარად მიისწრაფვის უკან დაიხიოს თეორიულადაც და პოლიტიკურადაც, კიდევ იმდენი ჰკუა და იმდენი კეთილსინდისიერება შერჩა, რომ, რადგან მან თვითონ რაიმე ახალი თეორია ან პროგრამა ვერ გამოიმუშავა,

უარი სთქვა წამოეყენებინა ცვლილებები გერმანიის სოციალ-დემოკრატიის პროგრამაში და უკანასკნელ, გადამწყვეტ მომენტში განაცხადა, ბებელის რეზოლუციას ვღებულობო, რეზოლუციას, რომელმაც ზეიმით გამოაცხადა საქვეყნოდ, რომ გერმანიის სოციალ-დემოკრატია ინარჩუნებს თავის ძველ პროგრამას და თავის ძველ ტაქტიკას. როგორ-ღა იქცევიან ჩვენი რუსი ბერნშტეინელები? მათ არ გაუკეთებიათ იმის მეასედიც კი, რაც ბერნშტეინმა გააკეთა, მაგრამ იქამდე მიდიან, რომ პირდაპირ არც კი სურთ ანგარიში გაუწიონ იმ ფაქტს, რომ რუსეთის ყველა სოციალ-დემოკრატიულმა ორგანიზაციამ 1898 წელს საფუძველი ჩაუყარა «რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიას», გამოაქვეყნა მისი «მანიფესტი» და პარტიის ოფიციალურ ორგანოდ გამოაცხადა «რაბოჩაია გაზეტა» და რომ ყველა ეს ნაწარმოები სავსებით ემყარება რუსი სოციალ-დემოკრატების «ძველ» პროგრამას. ჩვენებურ ბერნშტეინელებს თითქოს არც კი აქვთ შეგნებული ის გარემოება, რომ თუ მათ უარჰყვეს ეს ძველი შეხედულებანი და ახალი შეიმუშავეს, მათი ზნეობრივი მოვალეობა, მოვალეობა მთელი რუსეთის სოციალ-დემოკრატიისა და იმ სოციალისტებისა და მუშების წინაშე, რომელთაც მთელი თავიანთი ძალები მოახმარეს «რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის» მომზადებასა და შექმნას და რომლებითაც უმეტესწილად გავსებულია ამჟამად რუსეთის საპყრობილეები, —ეს მოვალეობა მოითხოვს, რომ ახალ შეხედულებათა წარმომადგენლები საერთოდ ვიღაც «ჩვენი რევოლუციონერების» ზურგს უკან დაძრახვით კი არ დაკმაყოფილდნენ, არამედ მათ პირდაპირ და აშკარად განაცხადონ, სახელდობრ ვის და სახელდობრ რაში არ ეთანხმებიან ისინი და სახელდობრ რა ახალ შეხედულებებსა და ახალ პროგრამას აყენებენ ისინი ძველის ნაცვლად.

განსახილველი დაგვრჩა კიდევ ერთი და თითქმის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი: როგორ ა ვ ხ ს ნ ა თ ამნაირი უკუსვლითი მიმართულების წარმოშობა რუსეთის სოციალ-დემოკრატიაში? «რაბოჩაია მისლის» რედაქტორების მხოლოდ პირადი თვისებებით, მხოლოდ მოდად შემოსული ბერნშტეინიადის გავლენით საქმის ახსნა, ჩვენის აზრით, არ შეიძლება. საქმე აიხსნება, ჩვენის აზრით, უმთავრესად რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ისტორიული განვითარების თავისებურებით, რომელმაც წარმოშვა — და დ რ ო ე ბ ი თ კ ი დ ე ვ ა ც უ ნ დ ა წარმოეშვა — მუშათა სოციალიზმის ვიწრო გაგება.

80-იან წლებში და 90- იანი წლების დამდეგს, როცა რუსეთში სოციალ-დემოკრატები პრაქტიკულად იწყებდნენ მუშაობას, ისინი ხედავდნენ, ერთი მხრივ, ნაროდოვოლცებს, რომელნიც უსაყვედუ-

რებდნენ მათ, რომ ისინი თავს არიდებენ პოლიტიკურ ბრძოლას, ნაანდერძევს რუსეთის რევოლუციური მოძრაობის მიერ, და რომლებთანაც სოციალ-დემოკრატები შეუპოვარ პოლემიკას აწარმოებდნენ, ხოლო, მეორე მხრივ — რუსეთის ლიბერალურ საზოგადოებას, რომელიც აგრეთვე უკმაყოფილო იყო იმით, რომ რევოლუციურმა მოძრაობამ ნაროდოვოლცობიდან პირი იბრუნა სოციალ-დემოკრატიისაკენ. პოლემიკა ერთთანაც და მეორესთანაც პოლიტიკის საკითხის გარშემო ტრიალდება. ებრძოდნენ რა ნაროდოვოლცების ვიწრო გაგებას, რომელთაც პოლიტიკა შეთქმულებამდე დაჰყავდათ, სოციალ-დემოკრატებს შეეძლოთ გალაშქრება და ზოგჯერ ისინი კიდეც ილაშქრებდნენ საერთოდ პოლიტიკის წინააღმდეგ (იმიტომ, რომ გაბატონებული იყო პოლიტიკის გარკვეული ვიწრო გაგება). მეორე მხრივ, ბურჟუაზიული «საზოგადოების» ლიბერალურ და რადიკალურ სალონებში სოციალ-დემოკრატებს ხშირად ესმოდათ სინანული იმის გამო, რომ რევოლუციონერებმა თავი დაანებეს ტერორს: ის ადამიანები რომელნიც ყველაზე მეტად საკუთარი ტყავისთვის ცახცახებდნენ და რომლებმაც გადამწყვეტ მომენტში დახმარება არ გაუწიეს იმ გმირებს, რომლებიც თვითმპყრობელობას ურტყამდნენ, ეს ადამიანები ფარისევლურად ბრალს სდებდნენ სოციალ-დემოკრატიას პოლიტიკურ ინდიფერენტიზმში, ამ ადამიანებს სწყუროდათ იმ პარტიის აღორძინება, რომელიც იკისრებდა მათ მაგიერ ნარის გლეჯას. ბუნებრივია, რომ სოციალ-დემოკრატები იმსჭვალებოდნენ სიძულვილით ამნაირი ადამიანებისა და მათი ფრაზებისადმი და ხელს კიდებდნენ უფრო წვრილმან, მაგრამ სამაგიეროდ უფრო სერიოზულ მუშაობას — პროპაგანდას ფაბრიკა-ქარხნის პროლეტარიატს შორის. ამ მუშაობის ვიწრო ხასიათი თავდაპირველად გარდუვალი იყო და ეს გამოხატულებას პოულობდა ზოგიერთი სოციალ-დემოკრატის ვიწრო განცხადებებშიც. მაგრამ ეს სივიწროვე არ აშინებდა იმ სოციალ-დემოკრატებსაც, რომელნიც სრულიადაც არ ივიწყებდნენ რუსეთის მუშათა მოძრაობის ფართო ისტორიულ მიზნებს. რა ვუყოთ მერე თუ ზოგჯერ სოციალ-დემოკრატების ს ი ტ ყ ვ ე ბ ი შეკვეცილია, სამაგიეროდ მ ა თ ი საქმე ფართოა. სამაგიეროდ ისინი უსარგებლო შეთქმულებებს კი არ აწყობენ, ბურჟუაზიული ლიბერალიზმის ბალალაიკინებს[38] კი არ უმეგობრდებიან, არამედ მიდიან იმ კლასში, რომელიც ერთადერთ ჭეშმარიტად რევოლუციურ კლასს წარმოადგენს, და ხელს უწყობენ ამ კლასის ძალების განვითარებას! სოციალ-დემოკრატიული პროპაგანდის გაფართოების ყოველ ნაბიჯთან ერ-

თად, ფიქრობდნენ ისინი, ეს სივიწროვე თავისთავად გაქრებაო. მეტწილად მართლაც ასე მოხდა. პროპაგანდიდან გადასვლა იწყეს ფართო აგიტაციაზე. ფართო აგიტაციამ, ბუნებრივია, სულ უფრო და უფრო მეტი შეგნებული მოწინავე მუშები გამოჰყო: დაიწყო რევოლუციური ორგანიზაციების შექმნა (ს.-პეტერბურგის, კიევის და სხვ. «ბრძოლის კავშირები», ებრაელ მუშათა კავშირი). ეს ორგანიზაციები, ბუნებრივია, მიისწრაფოდნენ შეერთებისაკენ, რასაც მათ, ბოლოს, კიდევაც მიაღწიეს: ისინი შეერთდნენ და საფუძველი ჩაუყარეს «რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას». თითქოს, ძველ სივიწროვეს ახლა არავითარი ნიადაგი აღარ ჰქონდა, და ის საბოლოოდ უარყოფილი იქნებოდა. მაგრამ საქმე სხვაგვარად დატრიალდა: აგიტაციის გავრცელებამ სოციალ-დემოკრატები პროლეტარიატის დაბალ, ყველაზე ნაკლებად განვითარებულ ფენებს დაუკავშირა; ამ ფენების მიზიდვა მოითხოვდა აგიტატორისაგან გაგების უაღრესად დაბალ დონესთან შეგუების უნარს, აჩვევდა აგიტატორს პირველ რიგში წამოეყენებინა «გარკვეული წუთის მოთხოვნები და ინტერესები», ხოლო სოციალიზმისა და პოლიტიკური ბრძოლის ფართო იდეალები სამერმისოდ გადაედო. სოციალ-დემოკრატიული მუშაობის დაქსაქსული, კუსტარული ხასიათი, მეტად სუსტი კავშირი სხვადასხვა ქალაქის წრეებს შორის, რუს სოციალ-დემოკრატებსა და მათ საზღვარგარეთელ ამხანაგებს შორის, რომელნიც აღჭურვილნი იყვნენ უფრო საფუძვლიანი ცოდნითაც, უფრო მდიდარი რევოლუციური გამოცდილებითაც და უფრო ფართო პოლიტიკური ჰორიზონტითაც, — ყოველივე ეს ბუნებრივად იწვევდა იმას, რომ სოციალ-დემოკრატიული საქმიანობის ამ (სრულიად აუცილებელ) მხარეს უზომოდ აზვიადებდნენ და ამას შეეძლო ცალკეულ პირთა შეგნებაში გამოეწვია დანარჩენ მხარეთა მივიწყება, მით უმეტეს, რომ ყოველი მარცხის შემდეგ ყველაზე უფრო შეგნებული მუშები და ინტელიგენტები გამოდიოდნენ მოქმედი არმიის მწყობრიდან, და მკვიდრი რევოლუციური ტრადიციისა და თანამიმდევნობის შემუშავება ჯერ კიდევ შეუძლებელი იყო. აი სოციალ-დემოკრატიული მუშაობის ერთი მხარის ამ უზომო გაზვიადებაში ვხედავთ ჩვენ სწორედ რუსეთის სოციალ-დემოკრატიის იდეალებისაგან საბოლოო უკანდახევის მთავარ მიზეზს. დაუმატეთ ამას გატაცება მოდად შემოსული წიგნით, რუსეთის რევოლუციური მოძრაობის ისტორიის უცოდინარობა და ორიგინალობის ბავშვური პრეტენზია,—და თქვენ მიიღებთ ყველა ელემენტს, რომლებიც შეადგენენ «უკუსვლითს მიმართულებას რუსეთის სოციალ-დემოკრატიაში».

ამრიგად, პროლეტარიატის მოწინავე ფენების დაბალ ფენებთან დამოკიდებულების და ამა თუ იმ ფენებში სოციალ-დემოკრატიული მუშაობის მნიშვნელობის საკითხზე ჩვენ უნდა შევჩერდეთ უფრო დაწვრილებით.

ყველა ქვეყნის მუშათა მოძრაობის ისტორია გვიჩვენებს, რომ ყველაზე ადრე და ყველაზე ადვილად სოციალიზმის იდეებს ითვისებენ ყველაზე უკეთესად დაყენებული მუშათა ფენები. უმთავრესად ამათგან გამოდიან ის მოწინავე მუშები, რომელთაც აწინაურებს ხოლმე ყოველგვარი მუშათა მოძრაობა, ის მუშები, რომელთაც ეხერხებათ მუშათა მასების სრული ნდობის მოპოვება, ის მუშები, რომელნიც მთელ თავიანთ ძალღონეს ანდომებენ პროლეტარიატის განათლებისა და ორგანიზების საქმეს, ის მუშები, რომელნიც სრულიად შეგნებულად ითვისებენ სოციალიზმს და რომელნიც დამოუკიდებლადაც კი იმუშავებდნენ ხოლმე სოციალ-სტერ თეორიებს. ყოველ სიცოცხლისუნარიან მუშათა მოძრაობას წამოუყენებია ხოლმე ასეთი მუშა-ბელადები, თავიანთი პრუდონები და ვალიანები, ვეიტლინგები და ბებელები. და ჩვენი, რუსეთის, მუშათა მოძრაობაც იძლევა იმის იმედს, რომ ამ მხრივ არ ჩამოვრჩებით ევროპულ მოძრაობას. იმ დროს, როდესაც განათლებულ საზოგადოებას ინტერესი ეკარგება პატიოსანი, არალეგალური ლიტერატურისადმი, მუშათა შორის უსაზღვროდ იზრდება მისწრაფება ცოდნისა და სოციალიზმისადმი. მუშათა შორის ჩნდებიან ნამდვილი გმირები, რომლებიც — მიუხედავად თავიანთი ცხოვრების საძაგელი პირობებისა, მიუხედავად ფაბრიკის დამაჩლუნგებელი კატორღული მუშაობისა, — იჩენენ იმდენ სიმტკიცეს და ნებისყოფის იმდენ სიძლიერეს, რომ ისწავლონ, ისწავლონ და ისწავლონ და თავისი რიგებიდან წარმოშვან შეგნებული სოციალ-დემოკრატები, «მუშათა ინტელიგენცია». რუსეთში უკვე არის ეს «მუშათა ინტელიგენცია», და ჩვენც ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ რათა მისი რიგები მუდამ ფართოვდებოდეს, რათა მისი შაღალი გონებრივი მოთხოვნები საესებით კმაყოფილდებოდეს, რათა მისი რიგებიდან გამოდიოდნენ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ხელმძღვანელები. ამიტომ ის გაზეთი, რომელსაც სურს რუსი სოციალ-დემოკრატების ორგანო გახდეს, უნდა იდგეს მოწინავე მუშების დონეზე; ის არამც თუ ხელოვნურად არ უნდა ამდაბლებდეს თავის დონეს, არამედ, პირიქით მუდამ უნდა ამაღლებდეს მას, თვალყურს უნდა ადევნებდეს მსოფლიო სოციალ-დემოკრატიის ყველა ტაქტიკურ, პოლიტიკურ და თეორიულ სა-

კითხს. მხოლოდ მაშინ დაკმაყოფილდება მუშათა ინტელიგენციის მოთხოვნილებები და ის თვითონ აიღებს თავის ხელში რუსეთის მუშათა საქმეს და, მ ა შ ა ს ა დ ა მ ე, რუსეთის რევოლუციურ საქმესაც.

მოწინავეთა მცირერიცხოვან ფენას მისდევს საშუალო მუშათა ფართო ფენა. და ეს მუშებიც ხარბად მიისწრაფიან სოციალიზმისაკენ, მონაწილეობას იღებენ მუშათა წრეებში, კითხულობენ სოციალისტურ გაზეთებსა და წიგნებს. მონაწილეობას იღებენ აგიტაციაში, და წინა ფენისაგან მხოლოდ იმით განსხვავდებიან, რომ მათ არ შეუძლიათ სოციალ-დემოკრატიული მუშათა მოძრაობის სრულიად დამოუკიდებელი ხელმძღვანელები გახდნენ. იმ გაზეთში, რომელიც პარტიის ორგანო იქნებოდა, საშუალო მუშა ვერ გაიგებს ზოგიერთ სტატიას, სავსებით ვერ გაერკვევა რთულ თეორიულ ან პრაქტიკულ საკითხში. მაგრამ აქედან სრულიადაც არ გამომდინარეობს ის, რომ გაზეთი უნდა ჩამოქვეითდეს თავის მკითხველთა მასის დონემდე. პირიქით, გაზეთი უნდა ამაღლებდეს სწორედ მათ დონეს და ხელს უწყობდეს მუშათა საშუალო ფენიდან მოწინავე მუშების წამოყენებას. ისეთი მუშა, რომელიც დატვირთულია ა დ გ ი ლ ო ბ რ ი ვ ი პრაქტიკული მუშაობით, ყველაზე მეტად დაინტერესებულია მუშათა მოძრაობის ქრონიკით და აგიტაციის უახლოესი საკითხებით, ყოველ თავის ნაბიჯს უნდა უკავშირებდეს ფიქრს რუსეთის მთელ მუშათა მოძრაობაზე, მის ისტორიულ ამოცანაზე, სოციალიზმის საბოლოო მიზანზე და ამიტომაც გაზეთი, რომლის მკითხველთა მასას საშუალო მუშები შეადგენენ, თვითეულ ადგილობრივ და ვიწრო საკითხს აუცილებლად უნდა უკავშირებდეს სოციალიზმსა და პოლიტიკურ ბრძოლას.

ბოლოს, საშუალო ფენას მისდევს პროლეტარიატის დაბალი ფენების მასა. ადვილად შესაძლებელია, რომ სოციალისტური გაზეთი მათთვის სრულიად ან თითქმის სრულიად მიუწვდომელი იქნება (დასავლეთ ევროპაშიც ხომ სოციალ-დემოკრატ ამომრჩეველთა რიცხვი გაცილებით მეტია, ვიდრე სოციალ-დემოკრატიული გაზეთების მკითხველთა რიცხვი), მაგრამ უაზრობა იქნებოდა აქედან იმ დასკვნის გამოყვანა, რომ სოციალ-დემოკრატების გაზეთი უნდა ეგუებოდეს მუშათა რაც შეიძლება უფრო დაბალ დონეს. აქედან მხოლოდ ის გამომდინარეობს, რომ ამნაირ ფენებზე უნდა მოქმედებდეს აგიტაციისა და პროპაგანდის სხვა საშუალებები: რაც შეიძლება პოპულარულად დაწერილი ბროშურები, ზეპირი აგიტაცია და — რაც მთავარია — ფურცლები ადგილობრივი ამბების შესახებ. სოციალ-დემო-

კრატები ამითაც არ უნდა კმაყოფილდებოდნენ: ადვილად შესაძლებელია, რომ პირველი ნაბიჯების გადადგმა მუშათა დაბალი ფენების შეგნების გამოსაღვიძებლად დაეკისრება ლეგალურ საგანმანათლებლო მოღვაწეობას. პ ა რ ტ ი ი ს ა თ ვ ი ს დიდი მნიშვნელობა აქვს ამ მოღვაწეობის გამოყენებას, მის წარმართვას სწორედ იქითკენ, სადაც ის ყველაზე უფრო საჭიროა. ლეგალურ მოღვაწეთა წარმართვას იმ ყამირის დასახნავად, რომელსაც შემდეგში სოციალ-დემოკრატი აგიტატორები დათესავენ. მუშათა დაბალ ფენებში აგიტაციის დროს რა თქმა უნდა, უდიდესი გასაქანი უნდა მიეცეს აგიტატორის პირად თავისებურებებს და ადგილის, პროფესიების და სხვ. თავისებურებებს. «ერთმანეთში არ უნდა ავურიოთ ტაქტიკა და აგიტაცია» — ამბობს კაუტსკი წიგნში ბერნშტეინის წინააღმდეგ. — «აგიტაციის ხერხები უნდა ეგუებოდეს ინდივიდუალურ და ადგილობრივ პირობებს. აგიტაციის დროს თვითეულ აგიტატორს უნდა მიეცეს შესაძლებლობა აირჩიოს ის საშუალებები, რომლებიც მის განკარგულებაშია: ერთი აგიტატორი უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენს თავისი აღფრთოვანებით, მეორე — თავისი გესლიანი სარკაზმით, მესამე — უამრავი მაგალითის მოყვანის უნარით და სხვ. აგიტატორთან შეფარდების გარდა აგიტაცია უნდა შეეფარდოს აგრეთვე აუდიტორიასაც. აგიტატორი უნდა ლაპარაკობდეს გასაგები ენით; ის უნდა გამოდიოდეს იქიდან, რაც კარგადაა ცნობილი მსმენელებისათვის. ყოველივე ეს თავისთავად იგულისხმება და გამოსაყენებელია არა მხოლოდ გლეხთა შორის აგიტაციის მიმართ. მეეტლეებს სხვანაირად უნდა ელაპარაკო, ვიდრე მატროსებს, მატროსებს სხვანაირად, ვიდრე ასოთამწყობთ. ა გ ი ტ ა ც ი ა უნდა იყოს ი ნ დ ი ვ ი დ უ ა ლ ი ზ ე ბ უ ლ ი მაგრამ ჩვენი ტ ა ქ ტ ი კ ა, ჩვენი პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი მ ო ღ ვ ა წ ე ო ბ ა უ ნ დ ა ი ყ ო ს ე რ თ ი ა ნ ი» (S. * 2 — 3) სოციალ-დემოკრატიული თეორიის მოწინავე წარმომადგენლის ეს სიტყვები მშვენიერი შეფასებაა აგიტაციისა პარტიის საერთო მოღვაწეობაში. ეს სიტყვები გვიჩვენებს, თუ როგორ უსაფუძვლოა იმათი შიში, ვინც ფიქრობს, რომ შექმნა რევოლუციური პარტიისა, რომელიც პოლიტიკურ ბრძოლას აწარმოებს, ხელს შეუშლის აგიტაციას, მეორე რიგში მოაქცევს მას ან შებოჭავს აგიტატორთა თავისუფლებას. პირიქით, მხოლოდ ორგანიზებულ პარტიას შეუძლია ფართოდ აწარმოოს აგიტაცია, აუცილებელი ხელმძღვანელობა გაუწიოს (და მასალები მიაწოდოს) აგიტატორებს ყველა ეკონომიურ და პოლიტიკურ საკითხზე, გამოიყენოს აგიტაციის

* — Seiten — გვერდები. რ ე დ.

ყოველი ადგილობრივი წარმატება ყველა რუსი მუშის გათვითცნობიერებისათვის, გაგზავნოს ხოლმე აგიტატორები ისეთ წრეებში ან ისეთ ადგილებში, სადაც მათ შეეძლებათ უფრო მეტი წარმატებით მოქმედება. მხოლოდ ორგანიზებულ პარტიაში არის შესაძლებელი, რომ აგიტატორთა უნარის მქონე ადამიანებმა მთელი თავიანთი ძალღონე შესწირონ ამ საქმეს. — როგორც აგიტაციის, ისე სოციალ-დემოკრატიული მუშაობის დანარჩენი მხარეების სასარგებლოდ. აქედან ჩანს, რომ ის, ვინც ეკონომიური ბრძოლის გამო ივიწყებს პოლიტიკურ აგიტაციას და პროპაგანდას, ივიწყებს, რომ აუცილებელია მუშათა მოძრაობის გარდაქმნა პოლიტიკური პარტიის ბრძოლად, ის სხვას რომ თავი დავანებოთ, ჰკარგავს იმის შესაძლებლობასაც კი, რომ მუშათა საქმეში მკვიდრად და წარმატებით მიიზიდოს პროლეტარიატის ყველაზე უფრო ჩამორჩენილი ფენები.

მაგრამ მოღვაწეობის ერთი მხარის ასეთი გაზვიადება სხვა მხარეების საზიანოდ და მისწრაფებაც კი, რომ სრულიად უკუგდებულ იქნას ეს სხვა მხარეები, გაცილებით უფრო მავნე შედეგებს უმზადებს რუსეთის მუშათა მოძრაობას. პროლეტარიატის დაბალი ფენები შეიძლება პირდაპირ გაირყვნენ, თუ მათ შორის გავრცელდება ცილისწამება, თითქოს რუსეთის სოციალ-დემოკრატიის დამაარსებლები მუშებში ხედავენ მხოლოდ თვითმპყრობელობის დამხობის საშუალებას, თუ მათ ესმით მოწოდება — დაკმაყოფილდნენ დღესასწაულთა აღდგენით და ამქრული კავშირებით და განზე დასტოვონ სოციალიზმის საბოლოო მიზნები და პოლიტიკური ბრძოლის უახლოესი ამოცანები. ასეთი მუშები ყოველთვის შეიძლება წამოეგონ (და წამოეგებიან ჯიდეც) ბურჟუაზიის ან მთავრობის მიერ გადმოგდებული მოწყალების ყოველგვარ ანკესზე. «რაბოჩაია მისლის» ქადაგების ზეგავლენით პროლეტარიატის დაბალი ფენები, სრულიად განუვითარებელი მუშები, შეიძლება გაიმსჭვალონ იმ ბურჟუაზიული და ღრმად რეაქციული რწმენით, რომ გარდა ხელფასის მომატებისა და დღესასწაულების აღდგენისა («წუთიერი ინტერესები») მუშას არ შეუძლია და არც უნდა აინტერესებდეს სხვა არაფერი, რომ მუშა-ხალხს შეუძლია მხოლოდ თავისი ძალებით, მარტო თავისი «კერძო ინიციატივით» გაუძღვეს მუშათა საქმეს, ისე, რომ არ წეეცადოს შეაერთოს ის სოციალიზმთან, არ შეეცადოს მუშათა საქმე გადააქციოს მთელი კაცობრიობის მოწინავე და საარსებო საქმედ; ყველაზე განუვითარებელი მუშები, ვიმეორებთ, შეიძლება გარყვნილ იქნენ ასეთი რწმენით, მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მოწინავე რუსი მუშები, ისინი, რომელნიც ხელმ-

ძღვანელობენ მუშათა წრეებსა და მთელ სოციალ-დემოკრატიულ მოღვაწეობის, ისინი, რომლებითაც ახლა გავსილია ჩვენი საპყრობილეები და გადასახლების ადგილები, დაწყებული არხანგელსკის გუბერნიით და გათავებული აღმოსავლეთ ციმბირით,—ეს მუშები აღშფოთებით უარყოფენ ამნაირ თეორიას. მთელი მოძრაობის დაყვანა წუთიერ ინტერესებამდე—ნიშნავს მუშათა განუვითარებლობით სპეკულაციას, მათი უცუდესი გატაცებებისთვის ხელის შეწყობას. ეს ნიშნავს ხელოვნურად კავშირის გაწყვეტას მუშათა მოძრაობასა და სოციალიზმს შორის, მოწინავე მუშათა სრულიად გარკვეულ პოლიტიკურ მისწრაფებებსა და მასების პროტესტის სტიქიურ გამოვლინებებს შორის. აი ამიტომ «რაბოჩაია მისლის» ცდა გამოვიდეს განსაკუთრებული მიმართულებით, ღირსია საგანგებო ყურადღებისა და განსაკუთრებულად ენერგიულ პროტესტს მოითხოვს. ვიდრე «რაბოჩაია მისლ», როგორც ჩანს, ეგუებოდა პროლეტარიატის დაბალ ფენებს, ბეჯითად გვერდს უვლიდა სოციალიზმის საბოლოო მიზნისა და პოლიტიკური ბრძოლის საკითხს, მაგრამ არაფერს ამბობდა თავის განსაკუთრებულ მიმართულებაზე—ბევრი სოციალ-დემოკრატი მხოლოდ თავს აქნევდა იმ იმედით, რომ «რაბოჩაია მისლის» ჯგუფის წევრები თავიანთი მუშაობის განვითარებისა და გაფართოებისთანავე თვითონვე ადვილად განთავისუფლდებოდნენ თავიანთი შეზღუდულობისაგან. მაგრამ როცა ის ადამიანები, რომელნიც აქამდე მოსამზადებელი კლასის მუშაობას ეწეოდნენ, იწყებენ ხმაურს მთელი ევროპის გასაგონად, ებღაუჭებიან მოდად შემოსული ოპორტუნიზმის თეორიებს და აცხადებენ, რომ მათ სურთ მთელი რუსეთის სოციალ-დემოკრატია მრავალი წლით (თუ სამუდამოდ არა) მოსამზადებელ კლასში დასვან, როცა, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ის ადამიანები, რომელნიც აქამდე სასარგებლო შრომას ეწეოდნენ ერთ კასრ თაფლზე, იწყებენ «საჯაროდ» მასში ჩამჩებით კუპრის ჩასხმას, — მაშინ ჩვენ გადაჭრით უნდა ავმხედრდეთ ამ უკუსვლითი მიმართულების წინააღმდეგ!

რუსეთის სოციალ-დემოკრატია მისი დამაარსებლების, «შრომის განთავისუფლების» ჯგუფის წევრების სახითაც, და რუსეთის იმ სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების სახითაც, რომელთაც დააარსეს «რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია», ყოველთვის აღიარებდა ორ შემდეგ ძირითად დებულებას: 1) სოციალ-დემოკრატიის დედაარსია: პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ორგანიზაცია იმ მიზნით, რომ დაიპყროს პოლიტიკური ძალაუფლება, გადასცეს წარმოების ყველა საშუალება მთელი საზოგა-

დოების ხელში და კაპიტალისტური მეურნეობა შესცვალოს სოციალისტურით; 2) რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ამოცანაა: მოაწყოს რუსეთის მუშათა რევოლუციური პარტია, რომელიც თავის უახლოეს მიზნად ისახავს — თვითმპყრობელობის დამხობას, პოლიტიკური თავისუფლების დაპყრობას. ვინც შორდება ამ ძირითად დებულებებს (რაც ზუსტად არის ფორმულირებული «შრომის განთავისუფლების» ჯგუფის პროგრამაში და გამოთქმულია «რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მანიფესტში»), ის შორდება სოციალ-დემოკრატიას.

დაწერილია 1899 წლის დამლევს
პირველად დაბეჭდა 1924 წელს
ჟურნალ «პროლეტარსკაია რევოლუციაა»-ს № 8—9-ში

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.,
ტ. 4. გვ. 307—346

ნაშრომიდან

«PROFESSION DE FOI»*-ს გამო

... უმჯობესი იქნებოდა უახლოეს მორიგ ამოცანად დაგვეყენებინა აგიტაციისა და პროპაგანდის გაფართოება (განსაკუთრებით პოლიტიკურისა), მით უმეტეს, რომ მშვენიერი ჩვეულება — სოციალისტურ გაზეთებში დამოუკიდებელი კორესპონდენციების გზავნა — რაც ჩვენს მუშებში ვრცელდება, საკმაოდ უხვ მასალას უზრუნველყოფს...

დაწერილია 1899 წლის დეკემბერს
პირველად დაიბეჭდა 1928 წელს
ლენინის კრებულში VII

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.,
ტ. 4, გვ. 358

* — რწმენის სიმბოლო, პროგრამა, მსოფლმხედველობის გადმოცემა. რ ე დ.

«ისკრისა» და «ზარიას»[39] რედაქციის განცხადების პროექტი

წამოვიწყეთ რა ორი სოციალ-დემოკრატიული ორგანოს: სამეცნიერო-პოლიტიკური ჟურნალისა და მუშათა საერთო-რუსული გაზეთის გამოცემა, საჭიროდ ვთვლით ორიოდე სიტყვა ვთქვათ ჩვენს პროგრამაზე, იმაზე, თუ საითკენ მივისწრაფით და როგორ გვესმის ჩვენი ამოცანები.

ჩვენ განვიცდით უაღრესად მნიშვნელოვან მომენტს რუსეთის მუშათა მოძრაობისა და რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ისტორიაში; როგორც ჩანს, ყოველივე იმას მოწმობს, რომ ჩვენი მოძრაობა კრიტიკულ სტადიაში იმყოფება: ეს მოძრაობა ისე ფართოდ გაიშალა და რუსეთის სრულიად სხვადასხვა კუთხეში იმდენი ჯანსაღი ყლორტი ამოიყარა, რომ ახლა შეუჩერებელი ძალით იჩენს თავს მისი მისწრაფება — გამაგრდეს, მიიღოს უმაღლესი ფორმა, შეიმუშაოს გარკვეული ფიზიონომია და ორგანიზაცია. მართლაც, უკანასკნელი წლები ხასიათდება სოციალ-დემოკრატიზმის იდეების განსაცვიფრებლად სწრაფი გავრცელებით ჩვენს ინტელიგენციაში, ხოლო საზოგადოებრივი აზრის ამ მიმდინარეობას ეგებება სრულიად დამოუკიდებელი, სტიქიური მოძრაობა სამრეწველო პროლეტარიატისა, რომელიც იწყებს გაერთიანებას და ბრძოლას თავისი მჩაგვრელების წინააღმდეგ, იჩენს რა სოციალიზმისადმი გაცხოველებულ მისწრაფებას. ყველგან ჩნდებიან მუშათა და სოციალ-დემოკრატ ინტელიგენტთა წრეები, ჩნდებიან ადგილობრივი სააგიტაციო ფურცლები, სოციალ-დემოკრატიული ლიტერატურის მოთხოვნა იმდენად იზრდება, რომ განუზომლად აჭარბებს მის მიწოდებას, — და მთავრობის გაძლიერებულ დევნასაც აღარ ძალუძს ამ მოძრაობის შეჩერება.

საპყრობილეები პატიმრებით გაჭედილია, გადასახლების ადგილები გავსებულია, თითქმის ყოველ თვეს გესმის სოციალისტების «ჩავარდნათა» ამბავი რუსეთის ყველა კუთხეში, ტრანსპორტების დაჭერის, აგიტატორების დაპატიმრების, ლიტერატურისა და სტამ-

ბების კონფისკაციის შესახებ, — მაგრამ მოძრაობა კი არ ჩერდება, არამედ სულ უფრო იზრდება, უფრო ფართო რაიონს ედება, სულ უფრო ღრმად იჭრება მუშათა კლასში, სულ უფრო და უფრო მეტად იპყრობს საზოგადოებრივ ყურადღებას. და რუსეთის მთელი ეკონომიური განვითარება, რუსეთის საზოგადოებრივი აზრისა და რუსეთის რევოლუციური მოძრაობის მთელი ისტორია იმის თავდებია, რომ სოციალ-დემოკრატიული მუშათა მოძრაობა განაგრძობს ზრდას მიუხედავად ყოველგვარი დაბრკოლებისა და გადალახავს ამ დაბრკოლებებს.

ჩვენი მოძრაობის მთავარი თვისება, რომელიც განსაკუთრებით გეცემა თვალში უკანასკნელ დროს, — ესაა მისი დაქსაქსულობა, მისი, თუ შეიძლება ასე ითქვას, კუსტარული ხასიათი: ადგილობრივი წრეები ჩნდებიან და მოქმედებენ თითქმის სრულიად დამოუკიდებლად სხვა ადგილების წრეებისაგან და (რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია) იმ წრეებისაგანაც კი, რომლებიც ერთსა და იმავე დროს იმავე ცენტრებში მოქმედებდნენ და მოქმედებენ; არ მყარდება ტრადიცია და თანამომდევნობა, და ადგილობრივი ლიტერატურაც სავსებით ასახავს ამ დაქსაქსულობას, გამოხატავს კავშირის უქონლობას იმასთან, რაც უკვე შეუქმნია რუსეთის სოციალ-დემოკრატიას. თანამედროვე პერიოდიც სწორედ იმიტომ გვეჩვენება ჩვენ კრიტიკულ პერიოდად, რომ მოძრაობა ვეღარ ურიგდება ამ კუსტარულობასა და ამ დაქსაქსულობას და დაჟინებით მოითხოვს გადასვლას უმაღლეს, უფრო გაერთიანებულ, უკეთ და უფრო ორგანიზებულ ფორმაზე, რომლის შექმნისთვის შრომის გაწევაც ჩვენს მოვალეობად მიგვაჩნია. თავისთავად იგულისხმება, რომ მოძრაობის განსაზღვრულ პერიოდში, მის დასაწყისში, ეს დაქსაქსულობა სრულიად გარდუვალია, რომ თანამომდევნობის უქონლობა სრულიად ბუნებრივად იქმნება მოძრაობის ასეთი საოცრად სწრაფი და ყველგან ზრდის პირობებში, რევოლუციური მყუდროობის ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ. უეჭველია აგრეთვე, რომ ადგილობრივი პირობების მრავალგვარობა, ამა თუ იმ რაიონში მუშათა კლასის მდგომარეობის სხვადასხვაობა, ბოლოს ადგილობრივ მოღვაწეთა შეხედულებების თავისებურებანიც მუდამ იარსებებს და რომ სწორედ ეს სხვადასხვაობა მოწმობს მოძრაობის ცხოველმყოფელობას და მის ჯანსაღ ზრდას. ყოველივე ეს ასეა, მაგრამ დაქსაქსულობა და არაორგანიზებულობა ხომ სრულიადაც არ წარმოადგენს ამ სხვადასხვაობის აუცილებელ შედეგს. მოძრაობის თანამომდევნობის შენარჩუნება, მისი გაერთიანება სრულიადაც არ გამორიცხავს სხვადასხვაობას,— პირიქით ისინი კიდევაც უფრო ფართო ასპარეზს და თავისუფალ

სარბიელს შეუქმნიან მას. მოძრაობის თანამედროვე მომენტში კი დაქსაქსულობა პირდაპირ ააშკარავებს საზიანო მოქმედებას და მოძრაობას ყალბ გზაზე გადაცდენით ემუქრება: ვიწრო პრაქტიციზმს, მოწყვეტილს მთლიანად აღებული მოძრაობის თეორიული გაშუქებისაგან, შეუძლია მოშალოს კავშირი სოციალიზმსა და რუსეთის რევოლუციურ მოძრაობას შორის, ერთი მხრივ, და მუშათა სტიქიურ მოძრაობას შორის, მეორე მხრივ. ეს საშიშროება რომ მოგონილი არაა, ამას ამტკიცებს ისეთი ლიტერატურული ნაწარმოებები, როგორიცაა « Credo »*, რომელმაც უკვე გამოიწვია სრულიად კანონიერი პროტესტი და გაკიცხვა, შემდეგ, «რაბოჩაია მისლის» ცალკე დამატება (1899 წლის სექტემბერი). ამ დამატებამ ყველაზე უფრო მკვეთრად გამოხატა ის ტენდენცია, რომლითაც გაჟღენთილია მთელი გაზეთი «რაბოჩაია მისლ», მასში აშკარავდება განსაკუთრებული მიმართულება რუსეთის სოციალ-დემოკრატიაში და მასთან ისეთი მიმართულება, რომელსაც შეუძლია ნამდვილი ზიანი მოიტანოს და რომელთანაც აუცილებელია ბრძოლა. რუსული ლეგალური ლიტერატურა კი იმ პაროდიით მარქსიზმზე, რომელსაც მხოლოდ საზოგადოებრივი შეგნების გარყვნა შეუძლია, კიდევ აძლიერებს ამ დაბნეულობასა და ანარქიას, რამაც შესაძლებლობა მისცა ცნობილ (თავისი გაკოტრებით ცნობილ) ბერნშტეინს საქვეყნოდ განეცხადებინა პრესაში ისეთი სიყალბე, თითქოს რუსეთში მოქმედი სოციალ-დემოკრატების უმეტესობა მისი მომხრე იყოს.

ჯერ კიდევ ნაადრევი იქნებოდა იმაზე მსჯელობა, თუ რამდენად დიდია ეს უთანხმოება, რამდენად მოსალოდნელია განსაკუთრებული მიმართულების შექმნა (ჩვენ სრულებითაც არ ვფიქრობთ უკვე ახლავე გადაეჭრათ ეს საკითხი ამ ვარაუდის დადასტურებით, სრულებითაც არ ვკარგავთ კიდევ ერთად მუშაობის შესაძლებლობის იმედს), მაგრამ თვალის დახუჭვა მდგომარეობის სერიოზულობაზე გაცილებით უფრო საზიანო იქნებოდა, ვიდრე ამ უთანხმოების გაზვიადება, და ჩვენც მთელი სულითა და გულით მივესალმებით «შრომის განთავისუფლების» ჯგუფის ლიტერატურული მუშაობის განახლებას და მის დაწყებულ ბრძოლას სოციალ-დემოკრატიზმის გაყალბებისა და შერყვნის ცდის წინააღმდეგ.[40]

პრაქტიკული დასკვნა ყოველივე აქედან ასეთია: ჩვენთვის, რუსი სოციალ-დემოკრატებისთვის, აუცილებელია გავერთიანდეთ და მთელი ჩვენი ძალღონე წარვმართოთ ერთიანი და მტკიცე პარტიის შექმნისაკენ, პარტიისა, რომელიც იბრძოლებს რევოლუციური სოციალ-

* — რწმენის სიმბოლო, პროგრამა, მსოფლმხედველობის გადმოცემა. რ ე დ.

დემოკრატიული პროგრამის დროშით, დაიცავს მოძრაობის თანამომ-
დევნობას და სისტემატურად შეუწყობს ხელს მის ორგანიზებულ-
ბას. ეს დასკვნა ახალი როდია. ასეთი დასკვნა გააკეთეს რუსმა სო-
ციალ-დემოკრატებმა უკვე 2 წლის წინათ, როდესაც რუსეთის უდი-
დესი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების წარმომადგენლები
შეიკრიბნენ ყრილობაზე 1898 წლის გაზაფხულზე, შექმნეს რუსეთის
სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია, გამოაქვეყნეს მისი «მანი-
ფესტი», და «რაბოჩაია გაზეტა» პარტიის ოფიციალურ ორგანოდ
აღიარეს. აღვიარებთ რა თავს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული
მუშათა პარტიის წევრებად, ჩვენ სავსებით ვიზიარებთ «მანიფესტის»
ძირითად იდეებს და ფრიად დიდ მნიშვნელობას ვაძლევთ მას რო-
გორც იმ მიზნების აშკარად და საჯაროდ გამოცხადებას, რომლისკე-
ნაც უნდა მიისწრაფოდეს ჩვენი პარტია. ამიტომ ჩვენთვის, რო-
გორც პარტიის წევრთათვის, ჩვენი უახლოესი და უშუალო ამოცა-
ნების საკითხი ასე დგას: მოღვაწეობის როგორი გეგმა უნდა მივი-
ღოთ ჩვენ, რომ მივაღწიოთ პარტიის რაც შეიძლება უფრო მტკიცე
განახლებას? ზოგიერთი ამხანაგი (თვით ზოგიერთი ჯგუფიც და ორ-
განიზაციაც კი) იმ აზრს ადგია,რომ ამ მიზნისთვის უნდა განახლ-
დეს პარტიის ცენტრალური დაწესებულების არჩევა და დაევალოს
მაა პარტიის ორგანოს გამოცემის განახლება.[41] ასეთი გეგმა ჩვენ
მიგვაჩნია შემცდარად ან, ყოველ შემთხვევაში, სარისკოდ. პარტიის
შექმნა და განმტკიცება ნიშნავს ყველა რუსი სოციალ-დემოკრატის
გაერთიანების შექმნასა და განმტკიცებას, ხოლო ასეთ გაერთიანებას
უბრალო დეკრეტირებით ვერ შექმნი, მას ვერ შემოიღებ მარტო-
ოდენ რომელიმე, ვთქვათ, წარმომადგენელთა კრების გადაწყვეტი-
ლებით, ის აუცილებლად უნდა გამომუშავდეს. აუცილებელია გამო-
მუშავდეს, ჯერ-ერთი, პარტიის საერთო ლიტერატურა, საერთო არა
მარტო იმ აზრით, რომ ის ემსახურებოდეს მთელი რუსეთის მოძრა-
ობას, და არა ცალკეულ რაიონებს, რომ ის განიხილავდეს მთელი
მოძრაობის საკითხებს საერთოდ და დახმარებას უწევდეს შეგნებუ-
ლი პროლეტარების ბრძოლას, და არა მარტოოდენ ადგილობრივ სა-
კითხებს; ეს ლიტერატურა საერთო უნდა იყოს აგრეთვე იმ აზრითაც,
რომ აერთიანებდეს ყველა არსებულ ლიტერატურულ ძალას,
რომ ის გამოხატავდეს აზრთა და შეხედულებათა ყველა ელფერს
რუს სოციალ-დემოკრატთა შორის, არა როგორც განცალკევებულ
მუშაკთა, არამედ როგორც ამხანაგთა შორის, რომლებიც ერთმანეთ-
თან დაკავშირებული არიან საერთო პროგრამით და ერთი ორგანი-
ზაციის რიგებში საერთო ბრძოლით. მეორე, აუცილებელია გამომუ-
შავდეს ისეთი ორგანიზაცია, რომელიც სპეციალურად იმუშავებს

მოძრაობის ყველა ცენტრს შორის კავშირურთიერთობის დამყარებაზე, მოძრაობის შესახებ სრული ცნობების თავის დროზე მიწოდებაზე და პერიოდული პრესით რუსეთის ყველა კუთხის წესიერად მომარაგებაზე. მხოლოდ მაშინ, როდესაც გამომუშავებული იქნება ასეთი ორგანიზაცია, როცა შეიქმნება რუსეთის სოციალისტური ფოსტა, პარტიის არსებობას ჩაეყრება მტკიცე საფუძველი, მხოლოდ მაშინ გახდება პარტია რეალური ფაქტი და, მაშასადამე, მძლავრი პოლიტიკური ძალაც. და ჩვენი განზრახვაც ის არის, რომ ჩვენი ძალღონე მოვანდომოთ ამ ამოცანის პირველ ნახევარს, ე. ი. საერთო ლიტერატურის გამომუშავებას, ვხედავთ რა ამაში თანამედროვე მოძრაობის საარსებო მოთხოვნილებას და აუცილებელ მოსამზადებელ ნაბიჯს პარტიის მუშაობის განახლებისაკენ.

ჩვენი ამოცანის ასეთი ხასიათიდან ბუნებრივად გამომდინარეობს ის პროგრამაც, რომლის მიხედვით უნდა წარიმართოს ის ორგანოები, რომელთაც ჩვენ გამოვცემთ. ამ ორგანოებში დიდი ადგილი უნდა დაეთმოს თეორიულ საკითხებს, ე. ი. სოციალ-დემოკრატიზმის ზოგად თეორიასაც და რუსეთის სინამდვილის მიმართ მის გამოყენებასაც. ამ საკითხების ფართოდ განხილვის გადაუდებლობა სწორედ ამჟამად ეჭვს გარეშეა და განმარტებას არ მოითხოვს მას შემდეგ, რაც ზემოთ ითქვა. თავისთავად ცხადია, ზოგადი თეორიის საკითხებს განუყრელად უნდა დაუკავშირდეს დასავლეთის მუშათა მოძრაობის, მისი ისტორიისა და მისი თანამედროვე მდგომარეობის გაცნობა. შემდეგ, ჩვენ მიზნად ვისახავთ პოლიტიკის ყველა საკითხის სისტემატურად განხილვას: სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია უნდა ეხმაურებოდეს ყველა იმ საკითხს, რომელთაც ცხოვრება აყენებს ყველა სფეროში, როგორც საშინაო, ისე საერთაშორისო პოლიტიკის საკითხებს, და ჩვენ უნდა ვცდილობდეთ, რომ თვითეულ სოციალ-დემოკრატს, თვითეულ შეგნებულ მუშას გარკვეული შეხედულება ჰქონდეს ყველა ძირითად საკითხზე, — უამპირობოდ შეუძლებელია ფართო და გეგმაშეწონილი პროპაგანდა და აგიტაცია. თეორიისა და პოლიტიკის საკითხების განხილვა დაკავშირებული იქნება პარტიის პროგრამის გამომუშავებასთან, რომლის აუცილებლობა უკვე აღიარა ყრილობამ 1898 წელს, და ჩვენ განზრახული გვაქვს ახლო მომავალში გამოვაქვეყნოთ პროგრამის პროექტი; პროექტის ყოველმხრივმა განხილვამ საკმაო მასალა უნდა მოგვცეს მომავალი ყრილობისთვის, რომლის წინაშე დადგება პროგრამის მიღების ამოცანა.[42] შემდეგ განსაკუთრებით საჭირბოროტო ამოცანად ჩვენ აღვიარებთ ორგანიზაციის საკითხების და საქმის პრაქტიკულად წარმართვის წესების განხილვას. თანამომდევნობის

უქონლობა და დაქსაქსულობა, რომელთა შესახებ ზემოთ ვილაპარაკეთ, განსაკუთრებით მავნე გავლენას ახდენს პარტიული დისციპლინის, ორგანიზაციისა და კონსპირაციული ტექნიკის თანამედროვე მდგომარეობაზე. პირდაპირ და აშკარად უნდა აღვიაროთ, რომ ამ მხრივ ჩვენ, სოციალ-დემოკრატები, ჩამოვრჩით რუსეთის რევოლუციური მოძრაობის ძველ მოღვაწეებს და რუსეთში მოქმედ სხვა ორგანიზაციებს, და საჭიროა მთელი ძალღონე გამოვიყენოთ იმისათვის, რომ გამოვასწოროთ ნაკლოვანებები ამ მხრივ. მუშათა და ინტელიგენტთა ახალგაზრდობის მასის ფართოდ ჩაბმა მოძრაობაში, გახშირებული ჩავარდნა და მთავრობის გაწაფვა დევნაში აუცილებელს ხდიან პარტიული ორგანიზაციის პრინციპებისა და წესების, დისციპლინისა და კონსპირაციული ტექნიკის პროპაგანდას.

ასეთ პროპაგანდას, თუ მას ხელს შეუწყობენ ყველა ცალკეული ჯგუფი და ყველა უფრო გამოცდილი ამხანაგი, შეუძლია გამოიწვიოს და მან კიდევაც უნდა გამოიწვიოს ახალგაზრდა სოციალისტებისა და მუშებისგან რევოლუციური მოძრაობის ისეთ მოხერხებულ ხელმძღვანელთა გამომუშავება, რომლებიც შესძლებენ გადალახონ ყველა დაბრკოლება, ჩვენს მუშაობას რომ უქმნის თვითმპყრობელური პოლიციური სახელმწიფოს უღელი, და გამოეხმაურონ მუშათა მასის მოთხოვნილებებს, მასისა, რომელიც სტიქიურად მიილტვის სოციალიზმისა და პოლიტიკური ბრძოლისაკენ. ბოლოს, ანალიზი ამ სტიქიური მოძრაობისა (როგორც მუშათა მასებში, ისე ჩვენს ინტელიგენციაში) უნდა იყოს, ზემოდასახელებულ თემებთან დაკავშირებით, ჩვენი ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა: ჩვენ უნდა გავერკვეთ იმ ინტელიგენტურ საზოგადოებრივ მოძრაობაში, რომლითაც აღინიშნა რუსეთში 90-იანი წლების მეორე ნახევარი და რომელშიც შეთავსებულია სხვადასხვანაირი და ზოგჯერ სხვადასხვაგვარი მიმდინარეობანი; ჩვენ გულდასმით უნდა ვსწავლობდეთ მუშათა კლასის მდგომარეობას სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, ვსწავლობდეთ მისი გამოფხიზლების, მისი დაწყებული ბრძოლის ფორმებსა და პირობებს, რათა ერთ განუყრელ მთლიანობად შევაკავშიროთ მარქსისტული სოციალიზმი, რომელმაც უკვე დაიწყო ფესვების გადგმა რუსეთის ნიადაგზე, და რუსეთის მუშათა მოძრაობა, უნდა დავუკავშიროთ რუსეთის რევოლუციური მოძრაობა ხალხის მასების სტიქიურ აზვირთებას. და მხოლოდ მაშინ, როდესაც ასეთი კავშირი განხორციელდება, რუსეთში შეიძლება შეიქმნას სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია, იმიტომ რომ სოციალ-დემოკრატია მარტო მუშათა სტიქიური მოძრაობის სამსახურს კი არ ნიშნავს (როგორც ჩვენში ზოგჯერ ფიქრობს ზოგიერთი თანამედროვე «პრაქტიკოსი»), სო-

ციალ-დემოკრატია ნიშნავს სოციალიზმის შეერთებას მუშათა მოძრაობასთან. და მხოლოდ ასეთი შეერთება აძლევს შესაძლებლობას რუსეთის პროლეტარიატს შეასრულოს მისი პირველი პოლიტიკური ამოცანა: გაათავისუფლოს რუსეთი თვითმპყრობელობის უღლისაგან.

რაც შეეხება ჩვენს მიერ დასახული თემებისა და საკითხების განაწილებას ჟურნალსა და გაზეთს შორის, ეს განაწილება დამოკიდებული იქნება მხოლოდ და მხოლოდ ამ გამოცემათა მოცულობის განსხვავებაზე და აგრეთვე მათი ხასიათის განსხვავებაზეც: ჟურნალი უმთავრესად უნდა ემსახურებოდეს პროპაგანდას, გაზეთი — უმთავრესად აგიტაციას. მაგრამ ჟურნალიც და გაზეთიც აუცილებლად უნდა ასახავდეს მოძრაობის ყველა მხარეს, და ჩვენ განსაკუთრებით გვინდა ხაზი გავუსვათ ჩვენს უარყოფითს დამოკიდებულებას ისეთი გეგმისადმი, რომ მუშათა გაზეთმა თავის ფურცლებზე მოათავსოს მხოლოდ და მხოლოდ ის, რაც უშუალოდ და უახლოესად ეხება მუშათა სტიქიურ მოძრაობას, ხოლო ყველაფერი, რაც ეხება სოციალიზმის თეორიის სფეროს, მეცნიერების, პოლიტიკის, პარტიული ორგანიზაციის საკითხთა სფეროს და სხვ. — თავსდებოდეს ინტელიგენტთა ორგანოში. პირიქით, აუცილებელია სწორედ მუშათა მოძრაობის ყველა კონკრეტული ფაქტის და გამოვლინების აღნიშნულ საკითხებთან შეერთება, აუცილებელია თეორიით გაშუქება თვითეული კერძო ფაქტისა, აუცილებელია პოლიტიკისა და პარტიული ორგანიზაციის საკითხების პროპაგანდა მუშათა კლასის უაღრესად ფართო მასებში, აუცილებელია ამ საკითხების შეტანა აგიტაციაში. აგიტაციის ის ფორმა, რომელიც თითქმის ერთადერთი იყო აქამდე ჩვენში გაბატონებული—სახელდობრ აგიტაცია ადგილობრივი ფურცლების საშუალებით — უკვე აღარ კმარა: ის ვიწრო ხასიათისაა, ვინაიდან მხოლოდ ადგილობრივ და უმთავრესად ეკონომიურ საკითხებს ეხება. უნდა ვცადოთ შევქმნათ აგიტაციის უფრო მაღალი ფორმა — გაზეთის საშუალებით, რომელიც პერიოდულად აღნიშნავს მუშათა ჩიეილსაც, მუშათა გაფიცვებსაც, პროლეტარული ბრძოლის სხვა ფორმებსაც, აგრეთვე პოლიტიკური ჩაგვრის ყველა გამოვლინებასაც მთელ რუსეთში, და რომელიც გარკვეულ დასკვნებს გამოიტანს ყოველი ასეთი ფაქტიდან სოციალიზმის საბოლოო მიზნებთან და რუსეთის პროლეტარიატის პოლიტიკურ ამოცანებთან შეფარდებით. «გავწიოთ ჩარჩოები და გავაფართოოთ შინაარსი ჩვენი საპროპაგანდო-სააგიტაციო და ორგანიზატორული მუშაობისა» — პ. ბ. აქსელროდის ეს სიტყვები უნდა გახდეს ლოზუნგი, რომელიც უახლოესი მომავლისათვის განსაზღვრავს რუსი სოციალ-დემოკრატების მოღ-

ვაწეობას, და ჩვენც ჩვენი ორგანოების პროგრამაში შეგვაქვს ეს ლოზუნგი.

აქ ბუნებრივად იბადება შემდეგი კითხვა: თუ ჩვენს მიერ გამოსაცემად განზრახული ორგანოები უნდა ემსახურონ ყველა რუსი სოციალ-დემოკრატის გაერთიანებისა და მათი ერთ პარტიად დარაზმვის მიზნებს, მაშინ ეს ორგანოები უნდა ასახავდნენ შეხედულებათა ყველა ელფერს, ყველა ადგილობრივ თავისებურებას, პრაქტიკულ ხერხთა მთელ მრავალფეროვნებას. როგორ შევათავსოთ სხვადასხვაგვარ თვალსაზრისთა ეს გაერთიანება ორგანოების რედაქციულ მთლიანობასთან? ეს ორგანოები სხვადასხვა შეხედულების უბრალოკრებული უნდა იყოს თუ მათ უნდა ჰქონდეთ დამოუკიდებელი, სრულიად გარკვეული მიმართულება?

ჩვენ ამ საკითხებს ვწყვეტთ მეორე აზრით და ვიმედოვნებთ, რომ გარკვეული მიმართულების ორგანო სრულიად გამოსადეგი იქნება (თუ როგორ — ქვემოთ ვიტყვით) სხვადასხვა თვალსაზრისის გამოსახატავადაც და თანამშრომლებს შორის ამხანაგური პოლემიკისთვისაც. ჩვენი მსოფლმხედველობის მიხედვით ჩვენ საკუთარი ვიზიარებთ მარქსიზმის ყველა ძირითად იდეას (როგორც ისინი ჩამოყალიბებულია «კომუნისტურ მანიფესტში» და დასავლეთ-ევროპის სოციალ-დემოკრატების პროგრამებში). ვემხრობით ამ იდეების თანამიმდევარ განვითარებას მარქსისა და ენგელსის სულისკვეთების მიხედვით და გადაჭრით უარვყოფთ იმ ორპოფ, ოპორტუნისტულ შესწორებებს, რომლებიც ახლა ასე მოდად არის შემოსული ბერნშტეინის ლოცვა-კურთხევით. სოციალ-დემოკრატიის ამოცანად ჩვენ მიგვაჩნია პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ორგანიზაცია, ამ ბრძოლისათვის ხელის შეწყობა, მისი აუცილებელი საბოლოო მიზნის მითითება, იმ პირობების ანალიზი, რომლებიც განსაზღვრავენ ამ ბრძოლის წარმოების წესს. «მუშების განთავისუფლება შეიძლება იყოს მხოლოდ თვით მუშების საქმე».[43] მაგრამ, არ ეაცალკევებთ რა სოციალ-დემოკრატიას მუშათა მოძრაობისაგან, ჩვენ არ უნდა ვივიწყებდეთ, რომ სოციალ-დემოკრატიის ამოცანაა — გამოხატავდეს ამ მოძრაობის ინტერესებს ყველა ქვეყანაში, საერთოდ და მთლიანად, რომ ის არავითარ შემთხვევაში არ უნდა გახდეს ბრმა თაყვანისმცემელი ამა თუ იმ ცალკეული ფაზისისა, რომელშიც იმყოფება ეს მოძრაობა ამა თუ იმ დროს, ამა თუ იმ ადგილას. ჩვენ ვთვლით სოციალ-დემოკრატიის მოვალეობად — მხარი დაუჭიროს ყოველგვარ რევოლუციურ მოძრაობას არსებული სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილების წინააღმდეგ და მის მიზნად მიგვაჩნია მუშათა კლასის მიერ პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობა. ექსპრო-

პრიატორების ექსპროპრიაცია და სოციალისტური საზოგადოების მოწყობა. ჩვენ გადაჭრით უარვყოფთ ყოველგვარ ცდას—შეანელონ ან მიჩქმალონ რევოლუციურობა სოციალ-დემოკრატიისა, რომელიც არის სოციალური რევოლუციის პარტია, ყველა იმ კლასის ულმობელი მტერი, რომელნიც თანამედროვე საზოგადოებრივი წყობილების ნიადაგზე დგანან. კერძოდ რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ისტორიულ ამოცანად ჩვენ მიგვაჩნია თვითმპყრობელობის დამხობა: რუსეთის სოციალ-დემოკრატია მოწოდებულია გახდეს რუსეთის დემოკრატიის მოწინავე მებრძოლი, მოწოდებულია განახორციელოს ის მიზანი, რომელსაც მას უსახავს რუსეთის მთელი საზოგადოებრივი განვითარება და რომელიც მას უანდერძეს რუსეთის რევოლუციური მოძრაობის სახელოვანმა მოღვაწეებმა. სოციალ-დემოკრატიას თავისი მოწოდების შესრულება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია, თუ განუყრელად დაუკავშირებს ერთმანეთს ეკონომიურ და პოლიტიკურ ბრძოლას, თუ პოლიტიკურ პროპაგანდასა და აგიტაციას გაავრცელებს მუშათა კლასის სულ უფრო და უფრო ფართო ფენებში.

სწორედ აღნიშნული თვალსაზრისით (რომელიც ფრიად ზოგადად იყო აქ მოყვანილი, ვინაიდან ვრცლად და დასაბუთებულად ის არაერთხელ გადმოუცია «შრომის განთავისუფლების» ჯგუფსაც. რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის «მანიფესტსაც» და მის «კომენტარსაც» ბროშურას «რუსი სოციალ-დემოკრატების ამოცანები», «მუშათა საქმე რუსეთში» (რუსეთის სოციალ-დემოკრატიის პროგრამის დასაბუთება)) გავაშუქებთ ყველა თეორიულ და პრაქტიკულ საკითხს, შეეცდებით აღნიშნულ იდეებს დავუკავშიროთ მუშათა მოძრაობისა და დემოკრატიული პროტესტის ყველა გამოვლინება რუსეთში.

მაგრამ, ვაწარმოებთ რა ჩვენს ლიტერატურულ მუშაობას გარკვეული მიმართულების თვალსაზრისით, ჩვენ სრულიადაც არ ვფიქრობთ ჩვენი შეხედულებების ყველა დეტალი გავასაღოთ ყველა რუსი სოციალ-დემოკრატის შეხედულებებად, სრულიადაც არ ვფიქრობთ უარვყოთ არსებული უთანხმოებანი, მივჩქმალოთ ან დავმალოთ ისინი. პირიქით, ჩვენ გვინდა ჩვენი ორგანოები ყველა საკითხის **განხილვის** ორგანოებად გავხადოთ სულ სხვადასხვა ელფერის შეხედულებათა მქონე ყველა რუსი სოციალ-დემოკრატისათვის. პოლემიკას ამხანაგთა შორის ჩვენი ორგანოების ფურცლებზე არამც თუ არ უარვყოფთ, არამედ, პირიქით, მზადა ვართ ძალიან დიდი ადგილი დავუთმოთ მას. აშკარა პოლემიკა ყველა რუსი სოციალ-დემოკრატისა და შეგნებული მუშის წინაშე აუცილებელი და სა-

სურველია არსებულ უთანხმოებათა სიღრმის გასარკვევად, სადავო საკითხების ყოველმხრივ განსახილველად, იმ უკიდურესობათა წინააღმდეგ საბრძოლველად, რომლებშიც აუცილებლად ვარდებიან სხვადასხვა შეხედულების წარმომადგენელნი, რევოლუციური მოძრაობის სხვადასხვა ადგილის თუ სხვადასხვა «პროფესიის» წარმომადგენელნი. ჩვენ თანამედროვე მოძრაობის ერთ-ერთ ნაკლადაც კი მიგვაჩნია აშკარა პოლემიკის უქონლობა აშკარად სხვადასხვა შეხედულებათა შორის, მისწრაფება—ცხრაკლიტულში დამალონ უთანხმოებანი, რომლებიც მეტად არსებით საკითხებს ეხებიან.

კიდევ მეტი: რუსეთის მუშათა კლასი და რუსეთის სოციალ-დემოკრატია ჩვენ მიგვაჩნია მოწინავე მებრძოლად დემოკრატიისათვის, პოლიტიკური თავისუფლებისათვის და აუცილებლად ვთვლით გავხადოთ ჩვენი ორგანოები ს ა ე რ თ ო-დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ორგანოებად, — არა იმ აზრით, რომ თუნდაც ერთი წუთით დავთანხმდეთ დავივიწყოთ კლასობრივი ანტაგონიზმი პროლეტარიატსა და სხვა კლასებს შორის, არა იმ მიზნით, რომ დასაშვებად მიგვაჩნდეს კლასობრივი ბრძოლის თუნდ ოდნავი მიჩქმალვა, — არა, არამედ იმ აზრით, რომ ვაყენებდეთ და განვიხილავდეთ ყ ვ ე ლ ა დემოკრატიულ საკითხს, არ ვკმაყოფილდებოდეთ მხოლოდ ვიწრო პროლეტარული საკითხებით, ვაყენებდეთ და განვიხილავდეთ პოლიტიკური ჩაგვრის ყველა შემთხვევას და გამოვლინებას, ცხადვყოფდეთ კავშირს მუშათა მოძრაობასა და ყოველგვარი ფორმის პოლიტიკურ ბრძოლას შორის, მივიზიდავდეთ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ყველა პატიოსან მებრძოლს, რა შეხედულებისაც უნდა იყვნენ ისინი, რომელ კლასსაც უნდა ეკუთვნოდნენ, მოვიზიდავდეთ მათ მხარი დაუჭირონ მუშათა კლასს, როგორც ერთადერთ რევოლუციურ და აბსოლუტიზმისადმი გადაჭრით მტრულად განწყობილ ძალას. ამიტომ, მივმართავთ რა უწინარეს ყოვლისა რუს სოციალისტებს და შეგნებულ მუშებს, ჩვენ არ გვინდა მხოლოდ და მხოლოდ ამ ძალებით დავკმაყოფილდეთ. ჩვენ მოვუწოდებთ აგრეთვე ყველა იმათაც, ვისაც სულს უხუთავს და ჩაგრავს რუსეთის თანამედროვე პოლიტიკური წყობილება, ვინც მიისწრაფის რუსი ხალხის პოლიტიკური მონობისაგან განთავისუფლებისაკენ, ჩვენ მოვუწოდებთ მათ მხარი დაუჭირონ გამოცემებს, რომელნიც თავიანთ ძალებს სწირავენ მუშათა მოძრაობის რევოლუციურ პოლიტიკურ პარტიად ორგანიზაციის საქმეს, ჩვენ ვთავაზობთ მათ ჩვენი ორგანოების ფურცლებს რუსეთის თვითმპყრობელობის ყოველგვარ საძაგლობათა და დანაშაულობათა სამხილებლად. ჩვენ ვაქვეყნებთ ამ მოწოდებას და დარწმუნებული ვართ, რომ პოლიტიკური ბრძოლის დროშას, აფრიალე-

ბულს რუსეთის სოციალ-დემოკრატიის მიერ, შეუძლია გახდეს და კიდევაც უნდა გახდეს საერთო-სახალხო დროშად.

ის ამოცანები, რომელთაც ჩვენ ვისახავთ, უაღრესად ფართო და ყოვლისშემცველია, და ჩვენ ვერც მოვკიდებდით ხელს ასეთ ამოცანებს, რომ მთელი ჩვენი გამოცდილებიდან არ გამოგვეტანა იმის ურყევი რწმენა, რომ ეს მთელი მოძრაობის საარსებო ამოცანებია, წინასწარ რომ არ მიგვეღო თანაგრძნობა და ყოველმხრივი და მუდმივი მხარდაჭერის დაპირება 1) რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის რამდენიმე ორგანიზაციის და სხვადასხვა ქალაქში მომუშავე რუსი სოციალ-დემოკრატების ცალკეული ჯგუფების მხრივ; 2) «შრომის განთავისუფლების» ჯგუფის მხრივ, რომელმაც დააარსა რუსეთის სოციალ-დემოკრატია და რომელიც ყოველივის მის თეორეტიკოსთა და ლიტერატურულ წარმომადგენელთა სათავეში იდგა; 3) მთელ რიგ პირთა მხრივ, რომელნიც ორგანიზაციებს არ ეკუთვნიან, მაგრამ თანაუგრძნობენ სოციალ-დემოკრატიულ მუშათა მოძრაობას და ცოტა სამსახურს როდი უწევენ მას. მთელ ჩვენს ძალღონეს მოვახმართ იმას, რომ სათანადოდ შევასრულოთ საერთო-რევოლუციური მუშაობის ჩვენს მიერ არჩეული ნაწილი, და ჩვენ მივისწრაფით იქითკენ, რომ ყველა რუსი ამხანაგი ჩვენს გამოცემებს უყურებდეს, როგორც თავიანთ ორგანოს, რომელსაც თ ვ ი თ ე უ ლ ი ჯგუფი მიაწვდიდა ყოველგვარ ცნობებს მოძრაობის შესახებ, გაუზიარებდა თავის შეხედულებებს, თავის მოთხოვნილებებს ლიტერატურაზე, თავის გამოცდილებას, სოციალ-დემოკრატიულ გამოცემათა თავის შეფასებას, ერთი სიტყვით, გაუზიარებდა ყველაფერს, რაც კი მას შეაქვს მოძრაობაში, და ყველაფერს, რაც მას იქიდან გამოაქვს. მხოლოდ ასეთი პირობით იქნება შესაძლებელი ნამდვილი საერთო-რუსული სოციალ-დემოკრატიული ორგანოს შექმნა. რუსეთის სოციალ-დემოკრატიას უკვე ევიწროება ის იატაკქვეშეთი, სადაც მუშაობას ეწევიან ცალკეული ჯგუფები და დაქსაქსული წრეები: უკვე დროა გამოვიდეს ის სოციალიზმის აშკარა ქადაგების გზაზე, აშკარა პოლიტიკური ბრძოლის გზაზე, — და საერთო-რუსული სოციალ-დემოკრატიული ორგანოს შექმნა უნდა იყოს პ ი რ ვ ე ლ ი ნ ა ბ ი ჯ ი ამ გ ზ ა ზ ე.

დაწერილია 1900 წლის გაზაფხულზე
პირველად დაიბეჭდა 1925 წელს
ლენინის კრებულში IV

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.,
ტ.4, გვ. 391—404

ნეკიტიდან

* *

5. IX. 00.

...ჩვენ დამოუკიდებელ ლიტერატურულ ჯგუფს წარმოვადგენთ. ჩვენ გვსურს დამოუკიდებელი დავრჩეთ. ჩვენ შესაძლებლად არ მიგვაჩნია ვაწარმოოთ საქმე ისეთი ძალების გარეშე, როგორიც არიან პლეხანოვი და «შრომის განთავისუფლების» ჯგუფი, მაგრამ არავის უფლება არაა ქვსაქედან ის დასკვნა გამოიყვანოს, რომ ჩვენ ჩვენი დამოუკიდებლობის თუნდაც ნატამალს ვკარგავთ. აი ეს არის ყველაფერი, რაც ჩვენ შეგვიძლია ამჟამად ვუთხრათ იმ ადამიანებს, რომლებსაც სურთ უწინარეს ყოვლისა შეიტყონ, როგორ ვეპყრობით ჩვენ «შრომის განთავისუფლების» ჯგუფს. ვინც ამას არ სჯერდება, მას ჩვენ ვერაფერს ვეტყვით იმის მეტს, რომ: იმსჯელეთ ჩვენ შესახებ ჩვენი საქმეების მიხედვით, თუ ჩვენი სიტყვები არ გჯერათ. ხოლო თუ ვილაპარაკებთ არა ახლანდელ მომენტზე, არამედ ცოტად თუ ბევრად ახლო მომავალზე, ჩვენ, რა თქმა უნდა, უარს არ ვეტყვით იმ ადამიანებს, რომლებთანაც ახლო ურთიერთობა გვექნება, ვაცნობოთ უფრო დაწვრილებითი მონაცემები ჩვენსა და «შრომის განთავისუფლების» ჯგუფს შორის ურთიერთობის ფორმის შესახებ.

თქვენ იკითხავთ: რა ურთიერთობა გვექნება ჩვენ კავშირთან? ჯერჯერობით არავითარი ურთიერთობა არ გვექნება, არ გვექნება იმიტომ, რომ ჩვენი უცვლელი გადაწყვეტილებაა დავრჩეთ დამოუკიდებელ ჯგუფად და ვისარგებლოთ «შრომის განთავისუფლების» ჯგუფის უახლოესი თანამშრომლობით, ეს გადაწყვეტილება კი უნდობლობას იწვევს კავშირის მხრივ, რომელსაც ეშინია რომ ჩვენ ვერ შევძლებთ დავიცვათ ჩვენი სრული და-

მოუკიდებლობა, რომ ჩვენ პოლემიკის «აუტანელ» (თქვენი გამოთქმა) ტონს შევითვისებთ. თუ ჩვენი საქმიანობა გაფანტავს კავშირის ამ უნდობლობას, ჩვენ შორის შეიძლება კარგი ურთიერთობა დამყარდეს: თუ არა და, არა. Voilà tout* თქვენ წერთ: «კავშირის თვალი თქვენდამია მოპყრობილია»; მაგრამ აშკარაა, რომ ჩვენ შეგვიძლია დავეხმაროთ კავშირს მხოლოდ ლიტერატურულად, და არა ნაკლებ აშკარაა, რომ ამჟამად, როცა მთელი ჩვენი ძალ-ღონე ჩვენი დასაბადებელი ჩვილი ბავშვის[44] კვებას უნდა ხმარდებოდეს. ჩვენ არ შეგვიძლია სხვისი ბავშვების კვება ვიკისროთ.

თქვენ წერთ, რომ 1) პრინციპული უთანხმოება არ არის და რომ 2) კავშირი მზად არის საქმით დაამტკიცოს თავისი გადაწყვეტილება — აწარმოოს ბრძოლა «ეკონომიურ მიმართულებასთან». ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ორივე ამ პუნქტში თქვენ ცდებით. ჩვენი დარწმუნება ეყრდნობა ისეთ ლიტერატურულ ნაწარმოებებს, როგორიც არის Anti-Credo-ს[45] **ბოლოხიტყვაობა, პასუხი Vademecum-ზე, «რაბოჩეე დელოს» № 6, წინასიტყვაობა** ბროშურისა «მობრუნების პუნქტი ებრაელ მუშათა მოძრაობაში» და სხვ.. ჩვენ განზრახული გვაქვს ლიტერატურულადვე გამოვიდეთ და უარვყოთ ის აზრი, თითქოს პრინციპული უთანხმოება არ არსებობს (ასე რომ კავშირთან გვექნება ერთგვარი ურთიერთობა: მოკამათეთა ურთიერთობა).

ახლა უკანასკნელი დამთავარი: მართალი ვართ თუ არა, როცა მიგვაჩნია, რომ თქვენ «ძალიან, ძალიან მკვეთრად შეიცვალეთ შეხედულებანი»? გავიხსენოთ, რა იყო რუსეთში: თქვენ იცოდით, რომ ჩვენ გვსურს დავაარსოთ დამოუკიდებელი ლიტერატურული წამოწყება, თქვენ იცოდით, რომ ჩვენ პლეხანოვის მხარეზე ვართ. მაშასადამე, თქვენ ყველაფერი იცოდით და არათუ უარს არ ამბობდით მონაწილეობაზე, არამედ, პირიქით, თვითონ ხმარობდით ისეთ გამოთქმას, როგორიც არის «ჩვენი» წამოწყება (გახსოვთ ჩვენი უკანასკნელი საუბარი თქვენთან ბინაზე en trois*?),და ამით საფუძველს გვაძლევდით მოლოდინი გვქონოდა, რომ თქვენ უახლოეს მონაწილეობას მიიღებდით. ახლა კი ირკვევა რომ მონაწილეობაზე თქვენ კრინტსაც არ ამძრავთ, რომ თქვენ გვისახავთ «ამოცანას» «რადაც უნდა დაგვიჯდეს მოვაგვაროთ საზღვარგარეთ წამოჭრილი კონფლიქტი», ე. ი. ისეთ ამოცანას, რომელსაც ჩვენ არ ვკისრულობდით არც ვკისრულობთ,—

* — ეს არის და ეს. რედ.
* — სამნი: რომ ვიყაეით. რედ.

თუმცა, რა თქმა უნდა, იმედს არ ვკარგავთ, რომ ჩვენ მიერ **დამოუკიდებელი** წამოწყების შექმნამ «შრომის განთავისუფლების» ჯგუფის თანამშრომლობით შეიძლება შექმნას ნიადაგი კონფლიქტის მოგვარებისათვის. ახლა თქვენ, ჩანს, ეჭვი გეპარებათ იმის მიზანშეწონილობაში, რომ ჩვენი ჯგუფი **დამოუკიდებელ წამოწყებას** ქმნიდეს, ვინაიდან წერთ, რომ საქმისათვის მაინც იქნება 2 ორგანიზაციის არსებობა, რომლებიც «ერთიმეორეს უფლებას აძლევენ იმოქმედონ როგორც მოეპრიანებათო». ჩვენ უეჭველი გვგონია, რომ თქვენი შეხედულებანი მკვეთრად შეიცვალა. ჩვენ ახლა სავსებით გულახდილად მოგახსენებთ, როგორ არის ჩვენი საქმე, და ძალიან მოხარული ვიქნებით, რომ ჩვენი აზრთა გაცვლა-გამოცვლა «მომავალი ამოცანების შესახებ» ამით არ ამოიწუროს.

ნისამართი; Nürnberg, Ph. Roegner.

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს

იბეჭდება: ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც., ტ. 34, გვ. 33—36



 პირველი გვერდი ვ. ი. ლენინის ხელნაწერისა ფრაგმენტ-
-კინალმი ჩაქრა «ისკრაზე» — 1900 წ.

ფოტატარაგებულია

როგორ კინალამ ჩაქრა «ისკრა»?

ჯერ ჩავედი ციურიხში, ჩავედი მარტო, არსენიევი (პოტრესოვი) ჯერ არ მენახა. ციურიხში პ. ბ. აქსელროდი ხელებგაშლილი შემხვდა, და მთელი ორი დღე გულითად საუბარში გავატარე მასთან. საუბარი ისეთი იყო, როგორც დიდი ხნის ერთმანეთის უნახავ მეგობართა შორის: ყველაფერზე და მრავალ სხვადასხვა რამე-რუმეზე. ეწესრიგოდ. სრულიად არა საქმიანი ხასიათისა. საქმიან საკითხებზე პ. ბ. საზოგადოდ ნაკლებად mitsprechen kann*; ეტყობოდა. გ. ვ. პლეხანოვისკენ იხრებოდა, ეტყობოდა იმაზე, რომ ის დაკინებით მოითხოვდა ჟურნალისთვის სტამბის მოწყობას ჟენევაში. საერთოდ კი პ. ბ. ძალზე «პირმოთნეობდა» (ბოდიშს ვიხდი ამ გამოთქმისთვის), ამბობდა, რომ მათთვის ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ი ჩვენს წამოწყებასთან არის დაკავშირებული, რომ ეს მათთვის აღორძინებაა, რომ «ჩვენ» ახლა შესაძლებლობა მოგვეცემა აგრეთვე გ. ვ-ის უკიდურესობათა წინააღმდეგ ვიღავოთო—ამ უკანასკნელ სიტყვას განსაკუთრებით მივაქციე ყურადღება, და მთელმა შემდგომმა «ჰისტორიამაც» ცხადყო, რომ ეს განსაკუთრებით შესანიშნავი სიტყვები იყო.

ჩავდივარ ჟენევაში. არსენიევი მარიგებს ძალიან ფრთხილად ვიყო გ. ვ-თან, რომელიც საშინლად აღელვებულია გათიშვის გამო[46] და დაეჭვიანებულიაო. ამ უკანასკნელთან საუბარმა მართლაც მყისვე დამანახვა, რომ ის მართლაც დაეჭვიანებული, მიუნდობელია და rechthaberisch nec plus ultra**. ვცდილობდი ფრთხილად ვყოფილიყავ, თავს ვარიდებდი «მტკივნეულ» პუნქტებს. მაგრამ ამ მუდმივ სიფრთხილეს არ შეეძლო, რა თქმა უნდა, მეტად მძიმე გავლენა არ მოეხდინა გუნებაზე. ხანგამოშვებით მცირე «უსიამოვნებაც» იყო ხოლმე გ. ვ.-ის ცხარე რეპლიკის სახით ყოველგვარ მცირეოდენ შენიშვნაზე, რომელსაც შეეძლო ცოტათი მაინც შეენელე-

* — შეუძლია ლაპარაკი. რ ე დ.
** — თავი ყოველთვის მეტად მართალი ჰგონია. რ ე დ.

ბინა ან დაეწყნარებინა (გათიშვით) გაღვივებული ვნებათა ღელვა. იყო «უთანხმოებანი» ჟურნალის ტაქტიკის საკითხებზედაც: გ. ვ. აბსოლუტურად არ ითმენდა არასოდეს სხვის არგუმენტებს. მას არ შეეძლო და არც უნდოდა ჩაკვირვებოდა მათ და ამავე დროს ყოველთვის არაგულწრფელი, სწორედ არაგულწრფელი იყო. ჩვენ განვაცხადეთ, რომ მოვალენი ვართ რაც შეიძლება ლმობიერად მოვექცეთ სტრუვეს, ვინაიდან მის ევოლუციაში თვითონ ჩვენ მიგვიძღოდა ბრალი: თვითონ ჩვენ, და ჩვენთან ერთად გ. ვ-�d. არ ავმხედრდით მაშინ, როცა ეს ამხედრება საჭირო იყო (1895, 1897). გ. ვ-ს აბსოლუტურად არ უნდოდა თავის თავზე მიეღო ბრალის თუნდაც სულ მცირე ნაწილი, ის თავს იმართლებდა აშკარად უვარგისი არგუმენტებით, რომლებიც ახსნა-განმარტების ნაცვლად თავიდან იცილებდა საკითხს. ამხანაგურ საუბარში მომავალ თანამედაქტორებს შორის ეს... დიპლომატიურობა მეტად არასასიამოვნო გაოცებას იწვევდა: რა საჭირო იყო თავის მოტყუება და თქმა, 1895 წელს მას, გ.ვ-ს თითქოს «ნაბრძანები» (??) ჰქონდა «სროლა არ აუტეხო» (სტრუვესო), ის კი მიჩვეულია ისე მოიქცეს, როგორც უბრძანებენო (ძალიან კი ჰგავს მას!)[47] რა საჭიროა თავის მოტყუება, როცა გვარწმუნებს, თითქოს 1897 წელს (როცა სტრუვე წერდა «ნოვოე სლოვოში»[48], — ჩემი მიზანია გავაბათილო მარქსიზმის ერთ-ერთი ძირითადი დებულებაო), ის, გ. ვ., არ გამოსულა სტრუვეს წინააღმდეგ. ვინაიდან მისთვის აბსოლუტურად გაუგებარია (და მუდამ გაუგებარი დარჩება). პოლემიკა ერთ ჟურნალში მის თანამშრომელთა შორის.[49] ეს არაგულწრფელობა საშინლად გვაბრაზებდა, მით უმეტეს, რომ გ. ვ. ცდილობდა კამათში ისე მოეჩვენებინა ეს, თითქოს ჩვენ არ გვსურს დაუნდობელი ომი სტრუვეს წინააღმდეგ, თითქოს ჩვენი სურვილია «ყველაფერი შევარიგოთ» და სხვ. ცხარე კამათი ატყდა აგრეთვე პოლემიკის შესახებ ჟურნალის ფურცლებზე საზოგადოდ: გ. ვ. ამის წინააღმდეგი იყო და არ უნდოდა მოესმინა ჩვენი არგუმენტები. «მოკავშირეებისადმი» იჩენდა სიძულვილს, რომელიც უზრდელობამდე მიდიოდა (სწამებდა ჯაშუშობას, აბრალებდა გეშეფტმახერობას, გაიძვერობას, ამბობდა უყოყმანოდ «დავხვრეტდი» ასეთ «მოღალატეებსო» და სხვ.). სულ შორეული გადაკრული სიტყვები, რომ ისიც უკიდურესობაში გადავარდა (მაგ., ჩემი გადაკრული სიტყვა მის მიერ კერძო წერილების გამოქვეყნების გამო[50] და ასეთი მეთოდის უხერხულობაზე), გ. ვ-ს პირდაპირ საშინლად ახელებდა და შესამჩნევად აბრაზებდა. ცხადი იყო, რომ უკმაყოფილება იზრდებოდა მასშიც და ჩვენშიც.

მასში ეს, სხვათა შორის, გამოიხატა შემდეგნაირად: ჩვენ გვქონდა რედაქციის განცხადების პროექტი («რედაქციისაგან»), სადაც ლაპარაკი იყო გამოცემათა ამოცანებსა და პროგრამაზე: ის დაწერილი იყო (გ. ვ-ის თვალსაზრისით) «ოპორტუნისტული» სულისკვეთებით: დასაშვებად ითვლებოდა პოლემიკა თანამშრომელთა შორის, ტონი იყო თავდაჭერილი, შესაძლებლად იყო მიჩნეული «ეკონომისტებთან» დავის მშვიდობიანად დასრულება და სხვ. განცხადებაში ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ ჩვენც პარტიას ვეკუთვნოდით და გვსურდა მისი გაერთიანებისთვის მუშაობა. ჯერ კიდევ ჩემს მისვლამდე გ. ვ-მ წაიკითხა ეს განცხადება არსენიევთან და ვ. ი. ზასულიჩთან ერთად, წაიკითხა და არსებითად საწინააღმდეგო არაფერი უთქვამს. მხოლოდ სურვილი გამოთქვა — ენობრივად შეესწორებინათ, ცოტათი ტონი აეწიათ, აზრთა მთელი მიმდინარეობა კი უცვლელად დაეტოვებინათ. ა. ნ. პოტრესოვმა ამ მიზნით მასვე დაუტოვა ეს განცხადება. როცა მე მივედი, გ. ვ-ს ჩემთან კრინტიც არ დაუძრავს ამის შესახებ. სოლო რამდენიმე დღის შემდეგ, როცა მასთან შევიარე, უკანვე გადმომცა განცხადება — აიო, მოწმეების თანადასწრებით. უვნებლად გიბრუნებ, არ დამიკარგავსო. ვეკითხები, რატომ არ შეიტანა განზრახული ცვლილებები. მან მოიმიზეზა: ეს შემდეგაც შეიძლებაო. ამას დიდი დრო არ მოუნდება, ახლა კი არ ღირსო. მე წამოვიღე განცხადება. თვითონ შევასწორე (ეს შავი იყო, ჯერ კიდევ რუსეთში დაწერილი) და მეორედ (ვ. ი-ს თანადასწრებით) წავუკითხე ის გ. ვ-ს თანაც უკვე პ ი რ დ ა პ ი რ ვთხოვე, აეღო ეს და შეესწორებინა. მან კვლავ უარი განაცხადა და ეს საქმე მის გვერდით მჯდომ ვ. ი-ს გადაანდო (რაც კიდევ მთლად უცნაური იყო, ვინაიდან ვ. ი-სთვის ეს ჩვენ არ გვითხოვია, და არც შეეძლო მას შეესწორებინა, ტონი «აეწია» და განცხადებისათვის მანიფესტის ხასიათი მიეცა).

ასე მიდიოდა საქმე ყრილობამდე (ყრილობა «შრომის განთავისუფლების» მთელი ჯგუფის, გ. ვ., პ. ბ., ვ. ი. და ჩვენ ორის, მესამე გვაყლდა)[31]. ბოლოს, მოვიდა პ. ბ., და გაიმართა ყრილობა. ებრაელთა კავშირთან (ბუნდთან) ჩვენი დამოკიდებულების საკითხზე გ. ვ. ლენომენალურ შეუწყნარებლობას იჩენს და პირდაპირ აცხადებს მას არა-სოციალ-დემოკრატიულ, პირდაპირ ექსპლოატატორულ, ორგანიზაციად, რომელიც ექსპლოატაციას უწევს რუსებსო, და ამბობს — ჩვენი მიზანია პარტიიდან გავაძევოთ ეს ბუნდიო, რომ ებრაელები — ერთიანად შოვინისტები და ნაციონალისტები არიან, რუსული პარტია რუსული უნდა იყოს და «ტყვედ» არ უნდა

ჩაუვარდეს «წყეულთა თაობასო» და სხვ. ვერავითარმა ჩვენმა შეპასუხებამ ამ უკადრისი სიტყვების წინააღმდეგ ვერ გასჭრა და გ. ვ. სავსებით თავისას გაიძახოდა: ჩვენ კარგად არ ვიცნობთ ებრაელობას, ებრაელებთან საქმის დაჭერის პრაქტიკული გამოცდილება არა გვაქვსო. ამ საკითხზე არავითარი რეზოლუცია არ მიგვიღია. «განცხადება» ერთად წავიკითხეთ ყრილობაზე: გ. ვ-ს უცნაურად ეჭირა თავი, სდუმდა, არავითარი შესწორება არ შემოუტანია, სიტყვაც არ დაუძრავს იმის წინააღმდეგ, რომ იქ პოლემიკა დასაშვებად იყო მიჩნეული, საერთოდ თითქოს განზე გადგა. სწორედ განზე გადგა, არ სურდა მონაწილეობა მიეღო და მხოლოდ გაკვრით, სხვათა შორის, წამოისროლა გესლიანი და ბრაზიანი შენიშვნა,—მე (ისინი, ე.ი. «შრომის განთავისუფლების» ჯგუფი, სადაც ის დიქტატორია), რა თქმა უნდა, არა ასეთ განცხადებას დავწერდიო. გაკვრით წამოსროლილმა, რომელიღაც სხვა შინაარსის ფრაზაზე დართულმა გ. ვ-ის ამ შენიშვნამ განსაკუთრებით უსიამოვნოდ გამოაცა: მიმდინარეობს თანარედაქტორთა თათბირი, და აი ერთ-ერთ თანარედაქტორს (რომელსაც ო რ ჯ ე რ ვთხოვეთ წარმოედგინა განცხადების თავისი პროექტი ანდა ჩვენი განცხადების შესწორების პროექტი) არ შემოაქვს არავითარი შესწორებები და მხოლოდ სარკაზმით შენიშნავს, მე ასე, რა თქმა უნდა, არ დავწერდიო (ასე გაუბედავად, თავმდაბლად, ოპორტუნისტულადო — უნდოდა ეთქვა) ამან უკვე ცხადჰყო, რომ ჩვენსა და მას შორის ნორმალური ურთიერთობა არ არსებობს. შემდეგ — ვტოვებ ყრილობის ნაკლებ მნიშვნელოვან საკითხებს — ისმება ბობოსთან[52] და მიხ. ივ. ტუგან-ბარანოვსკისთან დამოკიდებულების საკითხი. ჩვენ მომხრე ვართ პ ი რ ო ბ ი თ ი მოწვევის (ამას უსათუოდ გვაიძულებდა გ. ვ-ის უკმეხობა: ამით გვინდოდა დაგვენახვებინა, რომ სხვანაირი ურთიერთობა გვსურს. გ. ვ-ის წარმოუდგენელი უკმეხობა როგორღაც ინსტინქტურად გიწვევს საპროტესტოდ, გაიძულებს დაიცვა მისი მოწინააღმდეგეები. ვერა ივანეს ასულმა ძალიან მოსწრებულად შენიშნა, — გ. ვ. მუდამ ისე კამათობს, რომ მკითხველში თანაგრძნობას იწვევს მოწინააღმდეგისადმი). გ. ვ. ძლიერ ცივად და მშრალად აცხადებს — სრულიად წინააღმდეგი ვარო და დემონსტრაციულად სდუმს მთელი საკმაოდ გრძელი მოლაპარაკების განმავლობაში პ. ბ-თან და ვ. ი-თან, რომლებიც თითქმის მზად არიან დაგვეთანხმონ კიდევაც. მთელი ეს დილა რაღაც მეტად მძიმე ატმოსფეროში გადის: საქმე უსათუოდ ისეთ სახეს იღებდა, რომ გ. ვ. აყენებს ულტიმატუმს — ან ის ან ამ «არამზადების» მოწვევა. ეს რომ

შევნიშნეთ, მე და არსენიევმა გადავწყვიტეთ დაგვეთმო და საღამოს სხდომის დაწყებისთანავე გახვაცხადეთ, გ. ვ-ს დაკინებითი მოთხოვნის გამო ჩვენი წინადადება უკან მიგვაქვსო. ამ განცხადებას დუმილით შეხვდნენ (თითქოს თავისთავადაც იგულისხმებოდა, რომ ჩვენ არ შეგვეძლო არ დაგვეთმო!). ძალზე გვაბრაზებდა ეს «ულტიმატუმების ატმოსფერო» (როგორც უწოდა შემდეგ ამას არსენიევმა) — გ. ვ-ის შეუზღუდველი მბრძანებლობის სურვილი აშკარად ჩანდა. წინათ, როცა ჩვენ კერძოდ ვსაუბრობდით ბობოზე (გ. ვ., არსენიევი, ვ. ი. და მე, ტყეში, საღამოს, სეირნობის დროს), გ. ვ-მ ცხარე კამათის შემდეგ დამადო ხელი მხარზე და თქვა: «მე ხომ, ბატონებო, პიროპებს არ ვაყენებ, ყოველივე ამაზე აქ მოვილაპარაკოთ ყრილობაზე და ერთად გადავწყვიტოთ». მაშინ ამან ძალზე მომილბო გული. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ყრილობაზე სწორედ საწინააღმდეგო გამოვიდა: ყრილობაზე გ. ვ. განზე გაუდგა საკითხის ამხანაგურად განხილვას, გაჯავრებული სდუმდა და თავისი დუმილით აშკარად «ა ყ ე ნ ე ბ დ ა პ ი რ ო ბ ა ს» ჩემთვის ეს იყო არაგულწრფელობის მკვეთრი გამოაშკარავება (თუმცა ერთბაშად ჯერ კიდევ ვერც კი გამომერკვია ჩემი შთაბეჭდილებანი), არსენიევმა კი პირდაპირ განაცხადა: «მე მას არ დავუვიწყებ ამ დათმობასო!». დადგა შაბათი. არ მახსოვს კარგად, რაზე გვქონდა ლაპარაკი ამ დღეს, ხოლო საღამოს, როცა ჩვენ ყველანი ერთად მივდიოდით, ახალი კონფლიქტი გაჩაღდა. გ. ვ. ამბობდა, უნდა დავუკვეთოთ ერთ პიროვნებას (რომელიც ჯერ კიდევ არ გამოსულიყო ლიტერატურაში, მაგრამ გ. ვ-ს სურდა დაენახა მასში ფილოსოფიური ტალანტი. მე ამ პიროვნებას არ ვიცნობ; ის ცნობილია თავისი ბრმა თაყვანისცემით გ. ვ-დმი) სტატია ფილოსოფიურ თემაზეო, და აი გ. ვ. ამბობს: მე ვურჩევ მას სტატია დაიწყოს შენიშვნით კაუტსკის წინააღმდეგ — კარგი ვაჟბატონი კი ყოფილაო. უკვე «კრიტიკოსობა» დაუწყია, «Neue Zeit»-ში[53] «კრიტიკოსთა» ფილოსოფიურ სტატიებს ათავსებს, ხოლო სრულს გასაქანს არ აძლევს «მარქსისტებსო» (ე. ი. პლეხანოვს). კაუტსკის წინააღმდეგ (რომელიც უკვე ჟურნალის თანამშრომლად იყო მოწვეული) ასეთი უკმეხი საქციელის პროექტი რომ მოისმინა არსენიევმა, აღშფოთდა, ცხარედ ამხედრდა ამის წინააღმდეგ და ეს უადგილოდ აღიარა. გ. ვ. გაიბუტა და გაბრაზდა, მე არსენიევს მივემხრე. პ. ბ. და ვ. ი. სდუმდნენ, ნახევარი საათის შემდეგ გ. ვ. წავიდა (ჩვენ მივდიოდით მის გასაცილებლად გემზე), უკანასკნელი წუთები ჩუმად იჯდა, პირქუშად. წავიდა თუ არა, ყველას როგორღაც გულზე მოგვეშვა და საუბარი გავაბით უკვე მშვიდობიანად. მეორე დღეს, კვირას (დღეს 2 სექტემბერია,

კვირა. მაშასადამე, ეს იყო **მ ხ ო ლ ო დ** ერთი კვირის წინ!!! მე კი ასე მგონია, თითქოს მას შემდეგ მთელმა წელმა განვლო! იმდენად შორეული გახდა უკვე ეს!), კრება დანიშნულია არა ჩვენთან, აგარაკზე, არამედ გ. ვ-სას. ჩვენც იქ მივედით, არსენიევი უწინ მივიდა. შემდეგ მე. გ. ვ. გზავნის პ.ბ-ს და ვ. ი.-ს არსენიევთან მოცალეულად, რომ ის, გ. ვ., უარს ამბობს თანარედაქტორობაზე და სურს უბრალო თანამშრომლად დარჩეს; პ. ბ. წავიდა, ვ. ი. სულ მთლად დაბნეული შეწუხებული, ებუტბუტება არსენიევს: «ჟორჟი უკმაყოფილოა, არ სურს»... შევდივარ. კარს გ. ვ. მიღებს და ხელს მართმევს რაღაც უცნაური ღიმილით, შემდეგ გადის. შევდივარ ოთახში, სადაც სხედან ვ. ი. და არსენიევი უცნაური სახის გამომეტყველებით. აბა. როგორაა საქმე. ბატონებო? — ვეკითხები. შემოდის გ. ვ. და გვიწვევს თავის ოთახში. იქ ის აცხადებს, უმჯობესია თანამშრომლად ვიქნები, უბრალო თანამშრომლად. თორემ სხვაფრივ მხოლოდ შეხლა-შემოხლა იქნებაო, რომ, ჩანს, მე სხვანაირად ვუყურებ საქმეს, ვიდრე თქვენ, რომ მესმის და პატივს ვცემ თქვენს, პარტიულ, თვალსაზრისს, მაგრამ ამ თვალსაზრისს ვერ გავიზიარებო. და დაე თქვენ იყავით რედაქტორები, მე კი თანამშრომელი ვიქნებიო. ეს რომ მოვისმინეთ, სახტად დავრჩით, პირდაპირ სახტად დავრჩით და უარი ვუთხარით. მაშინ გ. ვ. ამბობს: კარგი, ყველანი ერთად რომ დავრჩეთ, ხმა როგორღა უნდა მივცეთ; რამდენი ხმა გვექნება? — ექვსი. — ექვსი უხერხულია. — «მაშინ, დაე გ. ვ-ს ორი ხმა ჰქონდეს, — ერევა ლაპარაკში ვ. ი., — თორემ ის მუდამ მარტოდ დარჩება. — ორი ხმა ჰქონდეს ტაქტიკის საკითხებში». ჩვენ ვთანხმდებით. მაშინ გ. ვ. ხელთ იღებს გამგებლობის სადავეს და რედაქტორის ტონით იწყებს ჟურნალისთვის განყოფილებებისა და სტატიების განაწილებას და ამ განყოფილებებს ხან ერთს შესთავაზებს და ხან მეორეს დამსწრეთაგან, — კატეგორიული ტონით. ჩვენ ყველანი თავჩაქინდრული ვსხედვართ, გარინდებულად ყველაფერში ვეთანხმებით და ჯერ კიდევ ვერ მოგვინელებია რაც მოხდა. ვგრძნობთ, რომ გავბრიყვდით, რომ ჩვენი შენიშვნები უფრო და უფრო გაუბედავია, რომ გ. ვ. «განზე სდებს» მათ (კი არ აბათილებს, არამედ განზე სდებს) სულ უფრო და უფრო იოლად, უფრო და უფრო უყურადღებოდ, რომ «ახალი სისტემა» de facto* სულ მთლად უდრის გ. ვ-ს სავსებით გაბატონებას, გ. ვ-ს კი მშვენივრად ესმის ეს და მოურიდებლად დიდი ენერგიით იწყებს მბრძანებლობას და არცთუ დიდად გვეზოდიშება. ჩვენ ვგრძნობდით, რომ საბოლოოდ გაგვაბრიყვეს და

* — ფაქტიურად, სინამდვილეში. რ ე დ.

სულ გაგვანადგურეს. მაგრამ კარგად კიდევ ვერ გამოვრკვეულიყავით ჩვენს მდგომარეობაში. სამაგიეროდ, როგორც კი მარტონი დავრჩით, როგორც კი გადმოვედით გემიდან და ჩვენს აგარაკზე დავბრუნდით, — ვეღარ მოვითმინეთ და ორივეს ერთბაშად წაგვსკდა ცოფმორეული და გაბოროტებული ტირადები გ. ვ-ის წინააღმდეგ.

მაგრამ, სანამ ამ ტირადების შინაარსის გადმოცემას და იმის ამბავს შევუდგებოდე, თუ რა მოჰყვა მათ შედეგად, ჯერ ცოტათი გადავუხვევ და უკან დავბრუნდები. რატომ აღგვაშფოთა ასე პლეხანოვის სრული ბატონობის იდეამ (იმისგან დამოუკიდებლად, თუ რა ს ა ხ ი ს ა იქნებოდა მისი ბატონობა)? წინათ ჩვენ მუდამ ასე ვფიქრობდით: რედაქტორები ვიქნებით ჩვენ, ხოლო ისინი — უახლოესი თანამშრომლები. ჩემი წინადადება იყო თავიდანვე (ჯერ კიდევ რუსეთში ყოფნისას) ასე ფორმალურად დაგვეყენებინა საკითხი. არსენიევის რჩევა იყო — ფორმალურად ნუ დავაყენებთ საკითხს, უმჯობესია «მშვიდობიანად» ვიმოქმედოთო (სულ ერთია, ბოლოს და ბოლოს მაინც ასე იქნებაო), — მე ვეთანხმებოდი. მაგრამ ჩვენ ორივე ერთმანეთს ვეთანხმებოდით იმაში, რომ რედაქტორებად ჩვენ უნდა ვყოფილიყავით როგორც იმიტომ, რომ «მოხუცნი» მეტისმეტად აუტანელნი არიან, აგრეთვე იმიტომაც, რომ ისინი ვერ შეესძლებდნენ რიგიანად შეესრულებინათ რედაქტორის შავი და მძიმე მუშაობა: მხოლოდ ეს მოსაზრებანი იყო ჩვენთვის საკითხის გადამწყვეტი, თორემ მათი მხრივ იდეურ ხელმძღვანელობას ჩვენ დიდი სიამოვნებით აღვიარებდით. ჩემმა ლაპარაკმა ქენევაში პლეხანოვის უახლოეს ამხანაგებთან და მის ახალგაზრდა მომხრეებთან («სოციალ-დემოკრატის»[54] ჯგუფის წევრები, პლეხანოვის ძველი მომხრეები, მუშაკები, არა მუშები, არამედ მუშაკები, უბრალო, საქმიანი, პლეხანოვის უერთგულესი ადამიანები), — ამ ლაპარაკმა მე (და არსენიევი) საესებით დაგვარწმუნა, რომ სწორედ ასე უნდა დაგვეყენებინა საქმე: ეს მომხრეები თვითონ გვეუბნებოდნენ, გულახდილად, რომ რედაქციის მოწყობა სასურველია გერმანიაში, ვ ი ნ ა ი დ ა ნ მ ა შ ი ნ უ ფ რ ო დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ე ლ ი ვ ი ქ ნ ე ბ ი თ გ. ვ-საგან, რომ თუ სარედაქტორო მუშაობა ფაქტიურად მოხუცთა ხელში იქნება, ეს იმას უდრის რომ საქმე საშინლად გაჭიანურდება და შესაძლოა ის კიდეც ჩაიფუშოსო. ამავე მოსაზრებებით არსენიევიც უ ე ჰ ვ ე ლ ა დ გერმანიის მომხრე იყო.

ჩემი აწერა იმისა, თუ როგორ კინალამ ჩაქრა «ისკრა», მე შევწყვიტე ჩვენს დაბრუნებაზე შინ საღამოთი კვირას, 26 აგვისტოს ახალი სტილით. დავრჩით თუ არა მარტონი, როცა გემიდან გადმო-

ვედით. აღშფოთების მთელი ნიაღვარი გადმოვანთხიეთ. ჩვენ თითქოს აღმოგვხეთქა, დამძიმებული ატმოსფერო ჭექა-ქუხილში გადავიდა. გვიან ღამემდე დავდიოდით ჩვენს პატარა სოფელში თავიდან ბოლომდე, ღამე საკმაოდ ბნელი იყო, ირგვლივ გვრგვინავდა, აქაიქ ელვა სერავდა სიბნელეს. დავდიოდით და აღშფოთებას. გამოესთქვამდით. მახსოვს, არსენიევმა განაცხადა, პირადი დამოკიდებულება პლეხანოვთან სამუდამოდ გაწყვეტილად მიმაჩნია და არასოდეს აღარ განვაახლებო: საქმიანი ურთიერთობა დარჩება, — პირადად კი მასთან მე fertig-ო* მისი მოპყრობა იმ ზომამდე შეურაცხმყოფელია, რომ გვაფიქრებინებს, ძალზე «ცუდი» აზრისაა ჩვენზე (ე. ი., რომ გულში ის Streber-ებს** გვადარებს). ის ჩვენ აბუჩად გვიგდებს და სხვ. მე სავსებით ვუპერდი მხარს ამ ბრალდებებს. ჩემი «შეყვარებულობაც» პლეხანოვისადმი თითქოს უცბად გაქრა, ძალზე ნაწყენი ვიყავი და წარმოუდგენელად მტკიოდა გული. არასდროს, არასდროს ჩემს სიცოცხლეში არც ერთ ადამიანს არ მოვპყრობივარ ასეთი გულწრფელი მოკრძალებით და პატივისცემით, vénération***, არავის წინაშე არ დამიპერია თავი ისე «თავმდაბლად» — და არასდროს არ განმიცდია ასეთი ტლანქი «პანღური». ხოლო სინამდვილეში სწორედ ისე გამოვიდა, რომ ჩვენ პანღური ამოგვკრეს: ჩვენ შეგვაშინეს, როგორც ბალღები, შეგვაშინეს იმით, რომ დიდები თავს დაგვანებებდნენ და მარტოდ დაგვტოვებდნენ, ხოლო, როცა შევშინდით (ვაი სირცხვილო!), ჩვენ წარმოუდგენელი მოურიდებლობით განზე დაგვწიეს, ახლა ჩვენ სავსებით ნათლად შევიგნეთ, რომ პლეხანოვის განცხადება დილით — თანარედაქტორობაზე უარს ვამბობო, უბრალო მახე იყო, წინასწარ ნავარაუდევი საჭადრაკო სვლა, ხაფანგი გულუბრყვილო «პიონებისთვის»: ამას არავითარი ეჭვი არ უნდა გამოეწვია, ვინაიდან პლეხანოვს რომ გულწრფელად შინებოდა თანარედაქტორობის, შინებოდა საქმეს შევაფერხებო, შინებოდა ჩვენს შორის ზედმეტი შეხლა-შემოხლა არ წარმოიშვასო, — ერთი წუთის შემდეგ ის ვერასგზით ვერ გამოამჟღავნებდა (და ისიც ასე ტლანქად), რომ მისი თანარედაქტორობა სავსებით მის ე რ თ პ ი რ ო ვ ნ უ ლ რედაქტორობას უდრიდა. მაგრამ რაკი ადამიანი, რომელთანაც ერთად ჩვენ გვსურს საერთო საყვარელი საქმე ვაკეთოთ და ვამყარებთ მასთან ინტიმურ ურთიერთობას, რაკი ასეთი ადამიანი თავისი ამხანაგების

* — გავათავეო. რ ე დ.
** — კარიერისტებს. რ ე დ.
*** — დიდი მოკრძალებით, პატივისცემით. რ ე დ.

მიმართ საშადრაკო სვლას მიმართავს.— აქ უკვე საეშვო აღარ არის. რომ ის არ არის კარგი ადამიანი, სწორედ კარგი ადამიანი არ არის, რომ მასში ძალზე სჭარბობს პირადი, წვრილმანი თავმოყვარეობისა და პატივმოყვარეობის მოტივები, რომ ის არაგულწრფელი ადამიანია. ამ აღმოჩენამ — ეს ჩვენთვის ნამდვილი აღმოჩენა იყო! — მეხივით თავზარი დაგვცა, იმიტომ რომ აქამდე ჩვენ ორივე შეყვარებული ვიყავით პლეხანოვისადმი და, როგორც საყვარელ ადამიანს, ყველაფერს ვაპატიებდით ხოლმე, ვერ ვამჩნევდით მის ნაკლოვანებებს. მთელი ჩვენი ძალღონით ვარწმუნებდით თავს, რომ ამ ნაკლოვანებებს არ ჰქონდა ადგილი, რომ ეს წვრილმანი იყო, რომ ასეთ წვრილმანებს ყურადღებას აქცევენ მხოლოდ ისეთი ადამიანები, რომლებიც საკმაოდ ვერ აფასებენ პრინციპებს. და აი, ჩვენ თვითონ იძულებული შევიქენით თვალნათლივ დავრწმუნებულიყავით, რომ ასეთ «წვრილმან» ნაკლოვანებებს შეუძლია დაგაშოროს უერთგულესი მეგობრებიც კი და არავითარ რწმენას თეორიულ სიმართლეში არ ძალუძს დაგვავიწყოს მისი უ ს ი ა მ ო ვ ნ ო თვისებები. ჩვენს აღშფოთებას საზღვარი არ ჰქონდა: იდეალი დაიმსხვრა და ჩვენც სიამოვნებით ვთელავდით მას ფეხქვეშ, როგორც დამხობილ კერპს: უსასტიკეს ბრალდებებს დასასრული აღარ უჩანდა. ასე შეუძლებელია! — გადავწყვიტეთ ჩვენ. ჩვენ არ გვსურს და არ შ ე გ ვ ი ძ ლ ი ა, არ ვიმუშავებთ ერთად ასეთ პირობებში. მშვიდობით, ჟურნალო! ვტოვებთ ყველაფერს და გავეშურებით ისევ რუსეთში, იქ ხელახლა მოვაგვარებთ საქმეს და დავკმაყოფილდებით გაზეთით. ჩვენ არ გვინდა მაჩანჩალა ვიყოთ ამ ადამიანის ხელში; ამხანაგური დამოკიდებულება მას დაუშვებლად მიაჩნია, არ ესმის. რედაქტორობის აღებას თ ა ვ ი ს თ ა ვ ზ ე ჩვენ ვერ ვბედავთ, გარდა ამისა ახლა ეს პირდაპირ საზიზღრობაც იქნებოდა, ეს სწორედ ისე გამოვიდოდა, თითქოს ჩვენ მხოლოდ რედაქტორთა ადგილებს ვეპოტინებოდით, თითქოს ჩვენ ვიყავით Streber-ები კარიერისტები, თითქოს ჩვენშიც ისეთივე პატივმოყვარეობა ლაპარაკობდა. მხოლოდ უფრო პატარა ყალიბისა... ძნელია საკმაო სისწორით აწერა ჩვენი იმღამინდელი მდგომარეობისა: ისეთი რთული, მძიმე და ამღვრეული სულიერი განწყობილება გვქონდა! ეს ნამდვილი დრამა იყო, სრული კავშირის გაწყვეტა იმასთან, რასაც მთელი წლობით ელოლიავები, როგორც საყვარელ პირმშოს, რჯასთანაც განუყრელად აკავშირებდი მთელ შენს სასიცოცხლო მუშაობას. და ყოველივე ეს იმიტომ, რომ წინათ შეყვარებული ვიყავით პლეხანოვზე: ამ შეყვარებულობას რომ არ ჰქონოდა ადგილი, უფრო გულ-

გრილად რომ მოვპყრობოდით, უფრო მშვიდად ცოტათი უფრო განიდან რომ შეგვეხედა მისთვის. — სხვანაირად დავიჭერდით თავს მასთან და აღარ განვიცდიდით ასეთ «კრახს» ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, ასეთ «ზნეობრივ გაცოცხვას», არსენიევის სრულიად სწორი თქმისა არ იყოს. ეს იყო ცხოვრების საშინლად მკვეთრი გაკვეთილი, გულსატკენად მკვეთრი, გულსატკენად ტლანქი. უმცროსი ამხანაგები «თავს ევლებოდნენ» უფროს ამხანაგს მისდამი უზომო სიყვარულის გამო, — მას კი უეცრად ინტრიგების ატმოსფერო შემოაქვს ამ სიყვარულში და აიძულებს მათ თავი იგრძნონ არა უმცროს ძმებად, არამედ ბრიყვებად, რომელთაც ატყუებენ, ტიკინებად, რომლებსაც სურვილისამებრ წაღმა-უკუღმა ატრიალებენ და, თუ გნებავთ, უუნარო Streber-ებადაც კი, რომელთაც საჭიროა მაგრად შეუყვირო დასაშინებლად და ქედი მოახრევინო. და სიყვარულით შეპყრობილი სიჭაბუკე თავისი სიყვარულის ობიექტისგან ღებულობს მწარე დარიგებას: საჭიროა ყოველ ადამიანს მოეპყრა «არასენტიმენტალურად», საჭიროა უბეში ქვა გქონდეს შემონახული. ასეთი მწარე სიტყვები უამრავი დავხარჯეთ ჩვენ იმ საღამოს. კრახის ანაზდეულობა, ბუნებრივია, საკმაო გაზვიადებასაც იწვევდა, მაგრამ არსებითად ეს მწარე სიტყვები სიმართლეს შეიცავდნენ. სიყვარულით დაბრმავებულებს, ჩვენ არსებითად თავი გვეჭირა, როგორც მ ო ნ ებ ს, ხოლო მონად ყოფნა — უღირსი საქმეა. და ამის შეგნებით გამოწვეულ შეურაცხყოფას ასწილ ადიდებდა ის გარემოება, რომ «მან» თვითონვე აგვიხილა თვალი ჩვენი მაგალითით...

ბოლოს, წავედით ჩვენ-ჩვენს ოთახში დასაძინებლად მტკიცე გადაწყვეტილებით მეორე დღესვე გამოგვეთქვა პლეხანოვისთვის ჩვენი გულისწყრომა, უარი გვეთქვა ჟურნალის გამოცემაზე და გავმგზავრებულიყავით, დაგვეტოვებინა მარტო გაზეთი, საჟურნალო მასალა კი გამოგვეცა ბროშურებად: ამით საქმე, ვფიქრობდით, არ დაბრკოლდებოდა, ჩვენ კი თავს დავაღწევდით «ამ ადამიანთან» ახლო ურთიერთობას.

მეორე დღეს ჩვეულებრივზე ადრე გამომეღვიძა: მაღვიძებს ფეხის ხმა კიბეზე და ხმა. პ. ბ-ისა, რომელიც არსენიევის ოთახის კარზე აკაკუნებს. მესმის, როგორ ეხმაურება მას არსენიევი და კარს უღებს — მესმის ეს და გულში ვფიქრობ: ნეტავი თუ ეყოფა არსენიევს სიმტკიცე, რომ ყველაფერი ერთბაშად უთხრას? უმჯობესი კი იქნება ერთბაშად ეტყოდეს, არ გააჭიანურებდეს საქმეს. პირი დავიბანე, ტანთ ჩავიცვი და შევდივარ არსენიევთან; ის პირს იბანს. აქსელროდი სა-

ვარძელში ზის, ცოტათი უხერხულობა ეტყობა. «აი, № №, — მომმართავს არსენიევი. — მე ვუთხარი პ. ბ-ს, რომ ჩვენ გადავწყვიტეთ რუსეთში წასვლა, რადგან დავრწმუნდით, რომ საქმის ასე გაძღოლა შეუძლებელია». მე, რაღა თქმა უნდა, სავსებით ვუერთდები და მხარს ვუჭერ არსენიევს. აქსელროდს ჩვენ მოურიდებლად ვუამბობთ ყველაფერს, იმდენად მოურიდებლად, რომ არსენიევი იმასაც კი ეუბნება — ჩვენ ეჭვი გვეპარება, რომ პლეხანოვი Streber-ებად გვთვლისო. აქსელროდი საერთოდ ნახევრადთანაგვიგრძნობს, თავს მწარედ აქნევს და მეტისმეტად უგუნებოდ, დაბნეული, შემკრთალი გამოიყურება, მაგრამ აქ კი ენერგიულ პროტესტს აცხადებს და ჰყვირის — ეს კი აღარ არის მართალიო, პლეხანოვს აქვს სხვადასხვა ნაკლი, მაგრამ ამას მაინც ვერ დასწამებთო, აქ უკვე ის კი არ გეპყრობათ თქვენ უსამართლოდ, არამედ თქვენ ეპყრობით მას უსამართლოდ. აქამდე მზად ვიყავი მეთქვა პლეხანოვისთვის: «ხედავ, რა ჩაიდინე. — თვითონვე გამოასწორე. მე ხელი დამიბანია-მეთქი», ახლა კი ვეღარ გავბედავ. ვინაიდან ვხედავ, რომ თქვენც უსამართლოდ ეპყრობითო. მისმა რწმუნებამ ჩვენზე, რა თქმა უნდა, ვერაფერი შთაბეჭდილება მოახდინა, და საბრალო პ. ბ-ს საცოდავი სახე ჰქონდა, რადგან რწმუნდებოდა, რომ ჩემი გადაწყვეტილება მტკიცე იყო.

ჩვენ ერთად გამოვედით და წავედით ვ. ი.-თან რათა ისიც გაგვეფრთხილებინა. მოველოდით, რომ ის ჩვენი «გათიშვის» ამბავს (საქმე ხომ სწორედ გათიშვის სახეს ღებულობდა) დიდი მწუხარებით შეხვდებოდა. მე მეშინია კიდეც — ამბობდა არსენიევი წინადღით — სავსებით სერიოზულად მეშინია, რომ ის თავს მოიკლავსო...

არასოდეს არ დამავიწყდება ის სულიერი განწყობილება, რომლითაც გამოვდიოდით ჩვენ სამივენი: «თითქოს მიცვალებულს ვაცილებდეთ» — ჩავილაპარაკე ჩემთვის და მართლაც თითქოს მიცვალებულს ვაცილებდით. მივდიოდით უსიტყვოდ, თავჩაქინდრულნი, ფაღრესად დანაღვლიანებულნი დანაკლისის შეუსაბამობით, უცნაურობით, უაზრობით. თითქოს ვინმემ შეგვაჩვენაო! თითქოს ყველაფერი კარგად გვარდებოდა — გვარდებოდა ხანგრძლივი ბედუკუღმართობისა და მარცხის შემდეგ, და უეცრად გვეკვეთა ქარიშხალი — და გათავდა, ყველაფერი კვლავ იფუშება. თავსაც არ ვუჯეროდი (სწორედ ისე, როგორც არ უჯერი თავს, როცა ახლობელი ადამიანის სიკვდილის პირველ შთაბეჭდილებას განიცდი) — ნუთუ ეს მე, პლეხანოვის მხურვალე თაყვანისმცემელი, ახლა ასეთი გაბოროტებით ვლაპარაკობ მასზე და მივდივარ, პირმოკუმული და საშინლად გულცივი, რომ ვუთხრა ცივი და მკვახე სიტყვები, გამოვუცხადო თითქმის «ურ-

თიერთობის გაწყვეტა»? ნუთუ ეს სინამდვილეა და არა ცუდი სიზმარი?

ეს შთაბეჭდილება არ განელდა ვ. ი-თან ლაპარაკის დროსაც. განსაკუთრებული აღელვება მას არ გამოუჩენია, მაგრამ ეტყობოდა, რომ საშინლად შეწუხებული იყო და გვთხოვდა, თითქმის გვემუდარებოდა — იქნებ შესაძლებელი ყოფილიყო უარი გვეთქვა ჩვენს გადაწყვეტილებაზე, გვესინჯა, იქნებ სინამდვილე ასეთი საშინელი არ გამომდგარიყო; მუშაობის დროს ურთიერთობა მოგვარდება, მუშაობაში ისე თვალსაჩინო არ იქნება მისი ხასიათის უსიამოვნო თვისებები... ეს მეტისმეტად მძიმე იყო — იმ ადამიანის გულწრფელი მუდარის მოსმენა, რომელიც სუსტი იყო პლეხანოვის წინაშე, მაგრამ უსათუოდ გულწრფელი და საქმისთვის უსაზღვროდ თავდადებული ადამიანის, რომელიც «მონის გმირობით» (არსენიევის გამოთქმით) ეწეოდა პლეხანოვშჩინის უღელს. იმდენად მძიმე საყურებელი იყო, რომ, ღმერთმანი, ზოგჯერ ასე მეგონა — ავტირდები-მეთქი... როცა მიცვალებულს აცილებ, — ატირება სწორედ იმ შემთხვევაშია ყველაზე უფრო ადვილი, როცა სინანულის, სასოწარკვეთილების სიტყვებს გაიგონებ...

წამოვედით პ. ბ-სგან და ვ. ი.-სგან. წამოვედით, ვისადილეთ. გერმანიაში წერილები გავგზავნეთ, მივწერეთ მოვდივართო, რომ მ ა ნ ქ ა ნ ა შ ე ე ჩ ე რ ე ბ ი ნ ა თ, დეპეშაც კი გავგზავნეთ ამის შესახებ (ჯერ კიდევ პლეხანოვთან მ ო ლ ა პ ა რ ა კ ე ბ ა მ დ ე!!), და არც ერთს ჩვენგანს არ აღძვრია ეჭვი იმის საჭიროებაში, რასაც ჩავდიოდით.

ნასადილევს ისევ მივდივართ დანიშნულ საათზე პ. ბ-სთან და ვ. ი.-სთან სადაც უკვე პლეხანოვიც უნდა დაგვხვედროდა. მივედით, ისინი სამნივე გამოგვეგებნენ. ერთმანეთს უსიტყვოდ მივესალმეთ — თუმცა პლეხანოვი ცდილობს გარეშე საგანზე ჩამოაგდოს საუბარი (ჩვენ ვთხოვეთ პ. ბ-ს და ვ. ი.-ს წინასწარ ეთქვათ მისთვის ყოველივე. ასე რომ მან უკვე ყველაფერი იცის) — ვბრუნდებით ოთახში და ვსხდებით. არსენიევი იწყებს ლაპარაკს თავდაჭერით, მშრალად და მოკლედ, რომ ჩვენ დავკარგეთ საქმის წაყვანის იმედი ისეთი ურთიერთობის ვითარებაში, რ ო გ ო რ ი ც გუშინ გამოირკვა, რომ გადავწყვიტეთ რუსეთში წასვლა და იქაურ ამხანაგებთან მოთათბირება, ვინაიდან ჩვენ ვეღარ ვკისრულობთ საქმის გადაწყვეტას, რომ ჟურნალზე ჯერჯერობით ხელს ვიღებთ. პლეხანოვი ძლიერ მშვიდადაა, თავშეკავებულია, ცხადია, სავსებით და უცილობლად თავდაჭერილია, ნერვიულობის არავითარი ნიშანწყალი არ ეტყობათ პავლე ბორისის ძეს ან ვერა ივანეს ასულს (უარესი დავიდარაბა გამოუვლია! — ვფიქრობთ გაბოროტებით, როცა მას ვუყურებთ!). ის იწყებს დაკითხვას,

მაინც რაშია საქმეო «ჩვენ ულტიმატუმების ატმოსფეროში ვიმყოფებით» — ამბობს არსენიევი და რაოდენადმე ანვითარებს ამ აზრს. «როგორ, განა შეგეშინდათ, რომ პირველი ნომრის შემდეგ გაფიცვას მოგიწყობდით მეორე ნომრის წინ?» — შემოტევით გვეკითხება პლეხანოვი. ის ფიქრობდა, რომ ამის თქმას ვერ გავბედავდით. მაგრამ მეც ცივად და მშვიდად ვუპასუხებ: «განა ეს განსხვავდება იმისგან, რაც ა. ნ-მ სთქვა? მან ხომ სწორედ ეს სთქვა». ეტყობა, ეს ცოტათი არ ეჭაშნიკა პლეხანოვს. ის არ მოელოდა ასეთ კილოს, ასეთ მშრალ და პირდაპირ ბრალდებებს. — «ჰო, რაკი გადაგიწყვეტიათ წასვლა, რაღა გვაქვს აქ სალაპარაკო, — ამბობს ის, — აქ მე რა მაქვს სათქმელი, ჩემი მდგომარეობა ძალზე უცნაურია: თქვენ სულ რაღაც შთაბეჭდილებები ამოგიჩემებიათ და მეტი არაფერი: თქვენ იცეთი შთაბეჭდილება მიგიღიათ, რომ მე ცუდი კაცი ვარ. აბა, რით უნდა ვუშველო მე ამას?» — ჩვენი დანაშაული შეიძლება ის იყო, — ვამბობ მე და მინდა საუბარი გადავიტანო ამ «აუტანელი» თემიდან, — რომ ჩვენ მეტისმეტად მოვუსვით ხელი, სანამ ფონს მოვსინჯავდით. — «არა, გულწრფელად თუ ვილაპარაკებთ, — გვიპასუხებს პლეხანოვი, — თქვენი დანაშაული ის არის, რომ თქვენ (შეიძლება ამაში გამოიხატა არსენიევის ნერვიულობაც) მეტისმეტი მნიშვნელობა მიეცით ისეთ შთაბეჭდილებებს, რომლებისთვისაც სულაც არ უნდა მიგეცათ მნიშვნელობა». ჩვენ ვდუმვართ და შემდეგ ვამბობთ, რომ ჯერჯერობით შეიძლება ბროშურებით დავკმაყოფილდეთო. პლეხანოვს გული მოსდის: «მე ბროშურებზე არ მიფიქრნია და არც ვფიქრობ. ჩ ე მ ი ი მ ე დ ი ნ უ გ ა ქ ვ თ. თუ მიდიხართ, მე ხომ გულზე ხელდაკრეფილი არ ვიქნები, თქვენს დაბრუნებამდე შემიძლია სხვა საქმეს მოვკიდო ხელი».

არაფერს ისე არ დაუცია პლეხანოვი ჩემს თვალში, როგორც ამ მისმა უკანასკნელმა განცხადებამ. როცა ის შემდეგ მაგონდებოდა და ყოველმხრივ ვუფიქრდებოდი მას. ეს ისეთი უხეში მუქარა, ისე ცუდად ნავარაუდევი დაშინება იყო, რომ მას მხოლოდ პლეხანოვის «დასამარება» შეეძლო, რადგან ააშკარავებდა მის «პოლიტიკას» ჩვენს მიმართ: საკმარისი იქნებაო ერთი კარგად დავაფრთხო ისინიო...

მაგრამ მის მუქარას ჩვენ ა რ ა ვ ი თ ა რ ი ყ უ რ ა დ ღ ე ბ ა არ მივაქციეთ. მე მხოლოდ ტუჩები მოვკუმე უსიტყვოდ: კარგი-მეთქი, გავიქეცი გულში, შენ ხომ ეგრე იქცევი, მაშ à la guerre comme à la guerre*, მაგრამ ბრიყვი კი ყოფილხარ, თუ ვერ ხედავ, რომ ჩვენ

* — რაკი ომია, იყოს ომის ყაიდაზე. რ ე დ.

ახლა უკვე ის აღარა ვართ, რაც ვიყავით, რომ ერთი ღამის განმავლობაში სულ მთლად გარდავიქმენით.

და აი, დაინახა თუ არა, რომ მუქარა არა ჭრის, პლეხანოვი სინჯავს სხვა მანევრს. მართლაც, მანევრია, მაშ რაღაა, როცა ის რამდენიმე წუთის შემდეგ, იქვე, ამბობს, თქვენთან კავშირის გაწყვეტა ჩემთვის პოლიტიკურ მოღვაწეობაზე სრულიად ხელის აღებას უდრის, ხელს ავიღებ პოლიტიკურ მოღვაწეობაზე და მეცნიერულ, წმინდა-მეცნიერულ ლიტერატურულ მუშაობას შევუდგები, ვინაიდან თუ თქვენთანაც აღარ შემიძლია მუშაობა, მაშ აღარავისთან აღარ შემძლებიაო.. დაშინება აღარ ჭრის, იქნებ პირფერობამ მაინც გასჭრას!... მაგრამ დაშინების ცდის შ ე მ დ ე გ ამას მხოლოდ საძაგელი შთაბეჭდილება შეეძლო მოეხდინა... ლაპარაკი იყო მოკლე, საქმე არ იჩარხებოდა; პლეხანოვმა, როცა ეს დაინახა, საუბარი გადაიტანა რუსების სისასტიკეზე ჩინეთში, მაგრამ თითქმის მარტო თვითონ ლაპარაკობდა, და ჩვენც მალე დავიშალენით.

პ. ბ-სთან და ვ. ი-სთან საუბარი, პლეხანოვის წასვლის შემდეგ, არაფერს საინტერესოს და არსებითს აღარ წარმოადგენდა: პ. ბ. ლაქუცობდა, ცდილობდა დაემტკიცებინა ჩვენთვის, რომ პლეხანოვიც გულმოკლულიაო, ცოდვას ჩაიდენთ, თუ ასე წახვალთო და სხვ. და სხვ. ვ. ი-მა ინტიმურ საუბარში არსენიევთან აღიარა, «ჟორჟი» მუდამ ასეთი იყოო, ის გამოტყდა, რომ «მონის გმირობას» იჩენს პლეხანოვის მიმართ, აღიარა, რომ «ეს გაკვეთილი იქნება პლეხანოვისთვის», თუ ჩვენ წავალთ.

დანარჩენი საღამო უშინაარსოდ გავატარეთ, გულდამძიმებულად.

მეორე დღეს, სამშაბათს, 28 აგვისტოს ახ. სტ., საჭირო იყო გამგზავრება ჟენევაში და იქიდან გერმანიაში. დილით ადრე მაღვიძებს არსენიევი (ჩვეულებრივ ის გვიან დგებოდა). გამიკვირდა: მეუბნება, ცუდად მეძინა და უკანასკნელი შესაძლებელი კომბინაცია მოვიფიქრე იმისთვის, რომ ოდნავ მაინც მოვაგვაროთ საქმე და პ ი რ ა დ ი ურთიერთობის გაფუჭების გამო სერიოზული პ ა რ ტ ი უ ლ ი წამოწყება არ დაიღუპოსო. გამოვცეთ კ რ ე ბ უ ლ ი, — მადლობა შემოქმედს, მასალა გათვალისწინებულია, სტამბასთან კავშირი მოგვარებულია. გამოვცეთ კრებული ჯერჯერობით რედაქტორთა ახლანდელი გაურკვეველი ურთიერთობის პირობებში და შემდეგ ვნახოთ: კრებულიდან თანაბრად ადვილია გადასვლა როგორც ჟურნალზე, ისე ბროშურებზედაც. ხოლო თუ პლეხანოვი გაჯიუტდება, — ეშმაკსაც წაუღია, გვეცოდინება, რომ ყველაფერი გავაკეთეთ, რაც კი შეგვეძლო.. გადაწყდა.

მივდივართ შევატყობინოთ პავლე ბორისის ძეს და ვერა ივანეს ასულს და ვხვდებით მათ: ისინი ჩვენთან მოდიოდნენ. ისინი, რა თქმა უნდა, სიამოვნებით თანხმდებიან, და პ. ბ. კისრულობს დავალებას მოელაპარაკოს პლეხანოვს და დაითანხმოს იგი.

ჩავდივართ ჟენევაში და უკანასკნელ საუბარს ვმართავთ პლეხანოვთან. ის ისეთ კილოზე იწყებს ლაპარაკს, ითქოს რაც მოხდა, მხოლოდ სამწუხარო გაუგებრობა იყო ნერვიულობის ნიადაგზე: თანაგრძნობით ეკითხება არსენიევს მისი ჯანმრთელობის შესახებ და ლამის არის გადაეხვიოს — ის კინაღამ განზე გაუხტა. პლეხანოვი თანხმდება კრებულზე: ჩვენ ვამბობთ, რომ სარედაქტორო საქმის ორგანიზაციის საკითხის გამო შესაძლებელია სამი კომბინაცია (1. ჩვენ —რედაქტორები, ის — თანამშრომელი; 2. ჩვენ ყველანი თანარედაქტორები; 3. ის — რედაქტორი, ჩვენ — თანამშრომლები). სამივე კომბინაციას განვიხილავთ რუსეთში, შევიმუშავებთ პროექტს და მოვიტანთ აქ. პლეხანოვი აცხადებს, რომ ის გადაჭრით უარს ამბობს მესამე კომბინაციაზე, გადაჭრით მოითხოვს, რომ სრულიად გამორიცხულ იქნას ეს კომბინაცია, ხოლო პირველ ორივე კომბინაციაზე თანახმაა. ასეც გადავწყვიტეთ: ჯერჯერობით, სანამ ახალ სარედაქტორო რეჟიმის პროექტს წარმოვადგენდეთ ძველ წესს ვტოვებთ (ყველა ექვსივე — თანარედაქტორი, ხოლო პლეხანოვს — 2 ხმა).

პლეხანოვი შემდეგ გამოთქვამს სურვილს — კარგად გავაგებინოთ, მაინც რაში იყო საქმე, რით ვიყავით უკმაყოფილო. მე შევნიშნავ, რომ შეიძლება უმჯობესი იყოს, მეტი ყურადღება მივაქციოთ იმას, თუ რა იქნება და არა იმას, თუ რა იყო. მაგრამ პლეხანოვი დაჟინებით მოითხოვს, საჭიროა გამოვარკვიოთ, გავარჩიოთო. ჩაღდება საუბარი, რომელშიც მონაწილეობას ვიღებთ თითქმის მხოლოდ პლეხანოვი და მე — არსენიევი და პ. ბ. სდუმან. საუბარი სწარმოებს საკმაოდ დამშვიდებით, სრულიად დამშვიდებითაც კი. პლეხანოვი ამბობს, რომ მან შენიშნა, თითქოს არსენიევი გააბრაზა მისმა უარმა სტრუვეს შესახებ, — მე ვუპასუხებ, რომ ის, პირიქით, პირობებს გვიყენებდა — წინააღმდეგ თავისი წინანდელი განცხადებისა ტყეში, პირობებს არ ვაყენებო. პლეხანოვი თავს იცავს: მე ვდუმდი არა იმიტომ, რომ პირობებს ვაყენებდი, არამედ, იმიტომ, რომ ჩემთვის საკითხი ნათელი იყოო. მე ვამბობ პოლემიკის დაშვების საჭიროებაზე, ჩვენს შორის კენჭისყრის საჭიროებაზე, — პლეხანოვი უკანასკნელზე თანხმდება, მაგრამ ამბობს: კერძო საკითხებზე, რა თქმა უნდა, კენჭისყრა დასაშვებია, ძირითად საკითხებზე, — შეუძლებელიაო. მე ვუპასუხებ, რომ სწორედ ძირითადისა და კერძო საკით-

ხების გამიჯვნა ყოველთვის იოლი არ იქნება, სწორედ ამ გამიჯვნაზე იქნება საჭირო კენჭისყრა თანარედაქტორებს შორის-მეთქი. პლეხანოვი ჯიუტობს, ამბობს — ეს უკვე სინიდისის საქმეაო, ძირითადისა და კერძო საკითხების ერთმანეთისაგან გარჩევა ნათელი საქმეა, აქ კენჭისსაყრელიც არაფერიაო. ამრიგად, ამ დავაზე — დასაშვებია თუ არა კენჭისყრა თანარედაქტორთა შორის ძირითადისა და კერძო საკითხების ერთმანეთისაგან გარჩევის შესახებ, — გავეხირეთ და ნაბიჯიც ვერ გადავდგით წინ. პლეხანოვმა გამოიჩინა მთელი თავისი მოხერხებულობა, მთელი ბრწყინვალება თავისი მაგალითების, შედარებების, ოხუნჯობის, ციტატების მოყვანისა, რითაც უნებლიედ გვაცინებდა, მაგრამ ეს საკითხი მაინც მიაფუჩეჩა და არ სთქვა პირდაპირ: არაო. მე ისეთი რწმენა დამრჩა, რომ მას სწორედ აქ, ამ პუნქტში, არ შეეძლო დათმობა, არ შეეძლო უარი ეთქვა თავის «ინდივიდუალიზმზე» და თავის «ულტიმატუმებზე», ვინაიდან ის ამგვარ საკითხებზე კენჭისყრას კი არ დაიწყებდა, არამედ სწორედ ულტიმატუმებს წამოაყენებდა.

იმავე დღეს საღამოთი მე გავემგზავრე, ისე რომ მეტი აღარავინ მინახავს «შრომის განთავისუფლების» ჯგუფიდან. გადავწყვიტეთ არავისთვის გაგვემხილა ეს ამბავი, გარდა ყველაზე დაახლოებული პირებისა, — გადავწყვიტეთ დაგვეცვა აპარანსები,[35] —არ გაგვეხარებინა მოწინააღმდეგეები. გარეგნულად — თითქოს არაფერი მომხდარა, მთელ მანქანას ისე უნდა ემუშავნა, როგორც მუშაობდა, — მხოლოდ შიგნით გაწყდა რომელიღაც სიმი, და ნაცვლად საუცხოო პირადი ურთიერთობისა დამყარდა საქმიანი, მშრალი ურთიერთობა, ძუძმივ ანგარიშზე აგებული: ფორმულით si vis pacem, par bellum *.

ინტერესმოკლებული არ იქნება აღვნიშნოთ იმავე დღის საღამოს ერთი საუბარი, რომელიც მე მქონდა პლეხანოვის ერთ უახლოეს ამხანაგთან და მომხრესთან, «სოციალ-დემოკრატის» ჯგუფის წევრთან. მე მისთვის ერთი სიტყვაც არ მითქვამს იმის შესახებ, რაც მოხდა, ვუთხარი მხოლოდ, რომ ჟურნალის გამოცემა გადაწყდა, სტატიები განრიგებულია და დროა საქმეს შევუდგეთმეთქი. ვსაუბრობდი მასთან იმაზე, თუ პრაქტიკულად როგორ უნდა მოგვეგვარებინა საქმე: ის სავსებით იმ აზრისა იყო, რომ მოხუცნი სრულიად არ ვარგან სარედაქტორო მუშაობისათვის. მოვუყევი «სამი კომბინაციის» შესახებ და პირდაპირ შევეკითხე: შენი აზრით, რომელია ყველაზე უმჯობესიმეთქი. მან პირდაპირ და უყოყმანოდ მიპასუხა — პირველიო

* — თუ გსურს მშვიდობა, ემზადე ომისთვის. რ ე დ.

(ჩვენ — რედაქტორები, ისინი — თანამშრომლები), მაგრამ ალბათ, ჟურნალი პლეხანოვისა იქნება, გაზეთი — თქვენიო.

რამდენადაც უფრო ვშორდებოდით მომხდარ ისტორიას, იმდენად უფრო ვმშვიდდებოდით და ვრწმუნდებოდით, რომ საქმის მიტოვებისთვის არავითარი საფუძველი არ იყო, რომ ჯერჯერობით არავითარ საშიშროებას არ წარმოადგენდა ჩვენთვის (კ რ ე ბ უ ლ ი ს) რედაქტორობა გვეკისრნა, ხოლო აუცილებელი იყო, რომ სწორედ ჩვენ გვეკისრნა, ვინაიდან სხვანაირად აბსოლუტურად არავითარი შესაძლებლობა არ იყო იმისათვის, რომ სწორად აგვემუშავებინა მანქანა და საქმე არ დაგვეღუპა პლეხანოვის დეზორგანიზატორული «თვისებების» გამო.

№-ში ჩასვლისას [56] 4 თუ 5 სექტემბერს, ჩვენ უკვე შევიმუშავეთ ჩვენ შორის ფ ო რ მ ა ლ უ რ ი ურთიერთობის პროექტი (ამ პროექტის წერა ჯერ კიდევ გზაში, რკ. გზ. ვაგონში, დავიწყე); ამ პროექტით ჩვენ რედაქტორები უნდა გავმხდარიყავით, ისინი — თანამშრომლები ხმის უფლებით ყველა სარედაქციო საკითხში. გადავწყვიტეთ ეს პროექტი გაგვეხილა ეგორთან (მარტოვთან) ერთად და შემდეგ წარგვედგინა მათთვის.

ნაპერწკალმა დაიწყო იმედის მოცემა, რომ ის კვლავ აინთებოდა.

დაწერილია 1900 წლის სექტემბრის დამდეგს
პირველად დაიბეჭდა 1924 წელს ლენინის კრებულში I

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც., ტ. 4, გვ. 407—427

შეთანხმების პროექტი[57]

1. ვინაიდან ძირითად შეხედულებათა სოლიდარობა და პრაქტიკულ ამოცანათა იგივეობა არსებობს საზღვარგარეთულ ჯგუფ «სოციალ-დემოკრატსა» და რუსეთის იმ ჯგუფს შორის, რომელიც სცემს კრებულ «ზარიას» და გაზეთ «ისკრას», ბოლნებული ორგანიზაციები ერთმანეთს შორის ჰკრავენ კავშირს.

2. ორივე ჯგუფი ყოველმხრივ დახმარებას უწევს ერთმანეთს:

ჯერ ერთი, ლიტერატურული მხრივ. «შრომის განთავისუფლების» ჯგუფი უახლოეს სარედაქციო მონაწილეობას იღებს კრებულ «ზარიასა» და გაზეთ «ისკრაში»*;

მეორე, ლიტერატურის მოწოდებისა და გავრცელების, რევოლუციურ კავშირურთიერთობათა გაფართოებისა და განმტკიცების და მატერიალური სახსრების გამონახვის საქმეში.

3. «ისკრას» ჯგუფის საზღვარგარეთელი წარმომადგენლები არიან ჯგუფი «სოციალ-დემოკრატი» და «ისკრას» საგანგებო აგენტები.

4. წერილები და ამანათები, რომლებიც საზღვარგარეთიდან მოდის «ისკრას» ჯგუფისთვის, იგზავნება ჯგუფ «სოციალ-დემოკრატის» მისამართით. იმ შემთხვევებში, როდესაც საზღვარგარეთ იმყოფება «ისკრას» ჯგუფის რომელიმე წევრი, — მთელი კორესპონდენცია მას ეგზავნება. ხოლო ვინიცობაა ამა თუ იმ დროს საზღვარგარეთ «ისკრას» ჯგუფის არც ერთი წევრი არ არის, ჯგუფი «სოციალ-დემოკრატი» და «ისკრას» საგანგებო აგენტები თვითონ კისრულობენ მის საქმეებს.

დაწერილია 1900 წლის სექტემბრის დამდეგს
პირველად დაიბეჭდა 1940 წელს ჟურნალ «პროლეტარსკაია რევოლუციის» № 3-ში

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც., ტ. 4, გვ. 428—429

* ამ მონაწილეობის პირობები გარკვეულია განსაკუთრებული შეთანხმებით.[58]

«ისკრის» რედაქციის განცხადება[59]

რედაქციისაგან

წამოიწყეთ რა პოლიტიკური გაზეთის — «ისკრას» გამოცემა, საჭიროდ მიგვაჩნია ორიოდე სიტყვა ვთქვათ იმის შესახებ, თუ საით-კენ ვისწრაფით და როგორ გვესმის ჩვენი ამოცანები.

ჩვენ უაღრესად მნიშვნელოვან მომენტს განვიცდით რუსეთის მუშათა მოძრაობისა და რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ისტორიაში. უკანასკნელი წლები ხასიათდება სოციალ-დემოკრატიული იდეების საოცრად სწრაფი გავრცელებით ჩვენს ინტელიგენციაში, ხოლო საზოგადოებრივი აზრის ამ მიმდინარეობას ეგებება დამოუკიდებლად წარმოშობილი მოძრაობა სამრეწველო პროლეტარიატისა, რომელიც იწყებს გაერთიანებას და ბრძოლას თავის მჩაგვრელთა წინააღმდეგ, გატაცებით მიისწრაფის სოციალიზმისაკენ. ყველგან ჩნდებიან მუშებისა და სოციალ-დემოკრატ ინტელიგენტთა წრეები, ვრცელდება ადგილობრივი სააგიტაციო ფურცლები, იზრდება მოთხოვნა სოციალ-დემოკრატიულ ლიტერატურაზე, ისე რომ მას ველარ ასდის მიწოდება. ხოლო მთავრობის მხრივ გაძლიერებულ დევნას აღარ ძალუძს ამ მოძრაობის შეჩერება. საპყრობილეები პატიმრებით გაჭედილია, გადასახლების ადგილები გავსებულია, თითქმის ყოველ თვე გვესმის «ჩავარდნები» რუსეთის ყველა კუთხეში, ტრანსპორტების დაჭერა, ლიტერატურისა და სტამბების კონფისკაცია, მაგრამ მოძრაობა სულ უფრო იზრდება, სულ უფრო მეტ რაიონზე ვრცელდება, სულ უფრო ღრმად იჭრება მუშათა კლასში, სულ უფრო მეტად იპყრობს საზოგადოებრივ ყურადღებას. და რუსეთის მთელი ეკონომიური განვითარება, რუსეთის საზოგადოებრივი აზრისა და რუსეთის რევოლუციური მოძრაობის მთელი ისტორია იმის თავდებია, რომ სოციალ-დემოკრატიული მუშათა მოძრაობა განაგრძობს ზრდას, მიუხედავად ყოველგვარი დაბრკოლებისა, და ბოლოს და ბოლოს გადალახავს ამ დაბრკოლებებს.

მაგრამ მეორე მხრივ, ჩვენი მოძრაობის მთავარი ნიშანდობლივი

თვისება, რომელიც უკანასკნელ დროს განსაკუთრებით გვეცემა თვალში, — ესაა მისი დაქსაქსულობა, მისი, ასე ვთქვათ, კუსტარული ხასიათი: ადგილობრივი წრეები ჩნდებიან და მოქმედებენ ერთიმეორისაგან დამოუკიდებლად, დამოუკიდებლად თვით იმ წრეებისგანაც კი (რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია), რომლებიც მოქმედებდნენ და მოქმედებენ იმავე ცენტრებში; არ მყარდება ტრადიცია, არ არის თანამომდევნობა, და ადგილობრივი ლიტერატურაც სავსებით ასახავს ამ დაქსაქსულობას და კავშირის უქონლობას იმასთან, რაც უკვე შეუქმნია რუსეთის სოციალ-დემოკრატიას.

ამ დაქსაქსულობის შეუსაბამობა იმ მოთხოვნილებებთან, რომელთაც აყენებს მოძრაობის სიძლიერე და სიფართოვე, ჩვენი აზრით, კრიტიკულ მომენტს ჰქმნის მის განვითარებაში. თვით მოძრაობაში შეუკავებელი ძალით იჩენს თავს განმტკიცების, გარკვეული ფიზიონომიისა და ორგანიზაციის შემუშავების მოთხოვნილება, ამავე დროს კი პრაქტიკულად მომუშავე სოციალ-დემოკრატების წრეში ყველგან როდია შეგნებული მოძრაობის უმაღლეს ფორმაზე ასეთი გადასვლის აუცილებლობა. პირიქით, საკმაოდ ფართო წრეებში შენიშნულია აზრთა მერყეობა, «მარქსიზმის კრიტიკითა» და «ბერნშტეინიადით» მოდად შემოსული გატაცება, ეგრეთწოდებული «ეკონომიური» მიმართულების შეხედულებათა გავრცელება და ამასთან განუყრელად დაკავშირებით — მისწრაფება შეჩერებულ იქნას მოძრაობა მის დაბალ საფეხურზე, მისწრაფება — მეორე რიგში იქნას დაყენებული ამოცანა ისეთი რევოლუციური პარტიის შექმნისა, რომელიც აწარმოებს ბრძოლას მთელი ხალხის სათავეში. რომ ამგვარ აზრთა მერყეობას აქვს ადგილი რუს სოციალ-დემოკრატებს შორის, რომ მთლიანად აღებული მოძრაობის თეორიულად გაშუქებას მოწყვეტილი ვიწრო პრაქტიციზმი ემუქრება მოძრაობას ყალბ გზაზე გადაყვანით, — ეს ფაქტია; ამაში ეჭვს ვერ შეიტანს ვერავინ, ვინც უშუალოდ იცნობს საქმის მდგომარეობას ჩვენი ორგანიზაციების უმეტესობაში. აკი ლიტერატურული ნაწარმოებებიც მოგვეპოვება ამის დამადასტურებელი: საკმაოა დავასახელოთ თუნდაც Credo*, რომელმაც უკვე გამოიწვია სრულიად კანონიერი პროტესტი, ««რაბოჩაია მისლის» ცალკე დამატება» (1899 წლის სექტემბერი), სადაც ესოდენ რელიეფურად არის გამოხატული ის ტენდენცია, რომლითაც გამსჭვალულია მთელი გაზეთი «რაბოჩაია მისლ», ანდა ბოლოს—პეტერბურგის «მუშათა კლასის თვითგანთავისუფლების ჯგუფის»[40] მოწოდება, შედგენილი იმავე «ეკონომიზმის» სულისკვეთე-

* — რწმენის სიმბოლო, პროგრამა, მსოფლმხედველობის გადმოცემა. რედ.

ბით. და სრულიად შემცდარია «რაბოჩეე დელოს» მტკიცება, «Credo» ერთეულ პიროვნებათა აზრს წარმოადგენს და მეტს არაფერსო, «რაბოჩაია მისლის» მიმართულება მხოლოდ მისი რედაქციის აბდაუბდას და უტაქტობას გამოხატავს და არა განსაკუთრებულ მიმართულებას თვით რუსეთის მუშათა მოძრაობის მსვლელობაშიო.

ხოლო ამასთან ერთად იმ მწერლების ნაწერებში, რომლებიც აქამდე მეტი თუ ნაკლები საფუძვლით მკითხველ საზოგადოებას «ლეგალური» მარქსიზმის გამოჩენილ წარმომადგენლებად მიაჩნდა, სულ უფრო და უფრო იჩენს თავს მობრუნება იმ შეხედულებებისკენ, რომლებიც ბურჟუაზიულ აპოლოგეტიკას უახლოვდებიან. ყოველივე ამის შედეგია სწორედ ის დაბნეულობა და ანარქია, რომელიც საბაბს აძლევს ექს-მარქსისტს ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, ექს-სოციალისტ ბერნშტეინს, ჩამოსთვალოს თავისი წარმატებები და დაუბრკოლებლივ განაცხადოს პრესაში, თითქოს რუსეთში მომუშავე სოციალ-დემოკრატების უმეტესობა მისი მიმდევრებისაგან შესდგებოდეს.

ჩვენ არ გვინდა გავაზვიადოთ მდგომარეობის საშიშროება, მაგრამ მასზე თვალის დახუჭვა გაცილებით უფრო მეტად მავნებელი იქნებოდა; აი რატომ არის, რომ ჩვენ მთელი სულითა და გულით მივესალმებით «შრომის განთავისუფლების» ჯგუფის გადაწყვეტილებას — განაახლოს თავისი ლიტერატურული მოღვაწეობა და დაიწყოს სისტემატური ბრძოლა სოციალ-დემოკრატიზმის შერყვნისა და გაუგვანოების ცდების წინააღმდეგ.

პრაქტიკული დასკვნა ყოველივე აქედან ასეთია: ჩვენ, რუსი სოციალ-დემოკრატები, უნდა შევმჭიდროვდეთ და მთელი ჩვენი ძალღონე მივმართოთ მტკიცე პარტიის შესაქმნელად, პარტიისა, რომელიც რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ერთიანი დროშით იბრძოლებს. სწორედ ეს ამოცანა დასახა უკვე 1898 წლის ყრილობამ, რომელმაც შექმნა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია და გამოაქვეყნა მისი «მანიფესტი».

ჩვენ თავს ვცნობთ ამ პარტიის წევრებად, სავსებით ვიზიარებთ «მანიფესტის» ძირითად იდეებს და მას დიდ მნიშვნელობას ვაძლევთ, როგორც პარტიის მიზნების საქვეყნოდ გამოცხადებას. ამიტომ ჩვენთვის, როგორც პარტიის წევრებისთვის, უახლოესი და უშუალო ამოცანების საკითხი ასე ისმება: მოქმედების რანაირი გეგმა უნდა მივიღოთ, რომ მივაღწიოთ პარტიის რაც შეიძლება უფრო მტკიცე განახლებას?

ჩვეულებრივი პასუხი ამ კითხვაზე იმაში მდგომარეობს, რომ

აუცილებელია ხელახლა არჩეულ იქნას ცენტრალური დაწესებულება და დაევალოს მას პარტიის ორგანოს განახლება. მაგრამ დაქსაჭსულობის პერიოდში, რომელსაც ჩვენ განვიცდით, ასეთი იოლი გზა საეჭვოა მიზანშეწონილი გამოდგეს.

პარტიის შექმნა და განმტკიცება ნიშნავს ყველა რუსი სოციალ-დემოკრატის გაერთიანების შექმნასა და განმტკიცებას, ხოლო ზემოაღნიშნული მიზეზების გამო ასეთი გაერთიანების მიღწევა დეკრეტირებით არ შეიძლება, მას ვერ შემოიღებ მხოლოდ მარტოოდენ რომელიმე, ვთქვათ, წარმომადგენელთა კრების გადაწყვეტილებით, ის აუცილებლად უნდა გამომუშავდეს. აუცილებლად უნდა გამომუშავდეს, ჯერ ერთი, მტკიცე იდეური გაერთიანება, რომელიც მოსპობს იმ უთანხმოებასა და დაბნეულობას, რაც — უნდა გამოვტყდეთ! — ამჟამად გამეფებულია რუს სოციალ-დემოკრატებს შორის; აუცილებელია ამ იდეური გაერთიანების განმტკიცება პარტიული პროგრამით. მეორე, აუცილებლად უნდა შეიქმნას ორგანიზაცია, რომლის სპეციალური დანიშნულება იქნება კავშირურთიერთობის დამყარება მოძრაობის ყველა ცენტრს შორის, სრულად და დროზე შეკრება ცნობებისა მოძრაობის შესახებ და რუსეთის ყველა კუთხისთვის პერიოდული პრესის წესიერად მიწოდება. მხოლოდ მაშინ, როცა ასეთი ორგანიზაცია ჩამოყალიბდება, როცა შეიქმნება რუსეთის სოციალისტური ფოსტა, პარტიის არსებობა განმტკიცდება და გახდება რეალური ფაქტი, და, მაშასადამე, მძლავრი პოლიტიკური ძალაც. ჩვენი განზრახვაც ის არის, რომ ჩვენი ძალღონე მოვახმაროთ ამ ამოცანის პირველ ნახევარს, ე. ი. პრინციპულად სწორი საერთო ლიტერატურის შექმნას, რომელიც შესძლებს იდეურად გააერთიანოს რევოლუციური სოციალ-დემოკრატია, ვინაიდან ამაში ვხედავთ ჩვენ თანამედროვე მოძრაობის საარსებო მოთხოვნილებას და აუცილებელ მოსამზადებელ ნაბიჯს პარტიის მუშაობის აღდგენისაკენ.

როგორც უკვე ვთქვით, რუსი სოციალ-დემოკრატების იდეური გაერთიანება ჯერ კიდევ გამომუშავებულ უნდა იქნას, რისთვისაც, ჩვენის აზრით, აუცილებელია იმ ძირითადი პრინციპული და ტაქტიკური საკითხების აშკარა და ყოველმხრივი განხილვა, რომლებიც თანამედროვე «ეკონომისტებმა», ბერნშტეინელებმა და «კრიტიკოსებმა» წამოაყენეს. სანამ გავერთიანდებოდეთ, და იმისთვის, რომ გავერთიანდეთ, ჩვენ ჯერ გადაჭრით და გარკვევით უნდა გავიმიჯნოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი გაერთიანება მხოლოდ ფიქცია იქნებოდა, არსებული დაბნეულობის მიმჩქმალავი და მისი რადიკალურად აღმოფხვრის ხელისშემშლელი. ამიტომ გასაგებია, რომ ჩვენ

განზრახვა არა გვაქვს ჩვენი ორგანო სხვადასხვაგვარ შეხედულებათა უბრალო საწყობად გადავაქციოთ. პირიქით, ჩვენ გავუძღვებით მას სასტიკად გარკვეული მიმართულებით. ეს მიმართულება შეიძლება გამოთქმულ იქნას სიტყვით: მარქსიზმი, და, მგონი, საჭიროც არ არის დავუმატოთ, რომ ჩვენ მარქსისა და ენგელსის იდეების თანამიმდევარი განვითარების მომხრე ვართ და გადაჭრით უარვყოფთ იმ ნახევრადს, ბუნდოვან და ოპორტუნისტულ შესწორებებს, რომლებიც ახლა მოდად არის შემოსული ედ. ბერნშტეინის, პ. სტრუვეს და ბევრ სხვათა ლოცვა-კურთხევით. მაგრამ, როცა ჩვენ ვიხილავთ ყველა საკითხს ჩვენი გარკვეული თვალსაზრისით, სრულიადაც არ უარვყოფთ პოლემიკას ამხანაგებს შორის ჩვენი ორგანოს ფურცლებზე. აშკარა პოლემიკა ყველა რუსი სოციალ-დემოკრატისა და შეგნებული მუშის წინაშე აუცილებელიცაა და სასურველიც არსებულ უთანხმოებათა სიღრმის გასარკვევად, სადავო საკითხების ყოველმხრივ განსახილველად, უკიდურესობებთან საბრძოლველად, — უკიდურესობებთან, რომლებშიც აუცილებლად ცვივდებიან არა მარტო სხვადასხვა შეხედულების წარმომადგენელნი, არამედ რევოლუციური მოძრაობის სხვადასხვა ადგილის თუ სხვადასხვა «პროფესიის» წარმომადგენლებიც კი. როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, თანამედროვე მოძრაობის ერთ-ერთ ნაკლად ისიც კი მიგვაჩნია, რომ არ სწარმოებს აშკარა პოლემიკა უკვე არსებულ სხვადასხვა შეხედულებათა შორის და ხელს ვაფარებთ უთანხმოებებს, რომლებიც ძალზე სერიოზულ საკითხებს ეხებიან.

აქ ჩვენ არ შევუდგებით იმ საკითხებისა და თემების დაწვრილებით ჩამოთვლას, რომლებიც ჩვენი ორგანოს პროგრამაში შედიან, ვინაიდან ეს პროგრამა თავისთავად გამომდინარეობს იმ ზოგადი ცნებიდან, თუ რას უნდა წარმოადგენდეს დღევანდელ პირობებში გამოცემული პოლიტიკური გაზეთი.

შეძლებისდაგვარად ჩვენ ვეცდებით, რომ ყველა რუსი ამხანაგი ჩვენს გამოცემას უყურებდეს როგორც თავის საკუთარ ორგანოს, რომელსაც ყველა ჯგუფი მიაწოდებს ყოველგვარ ცნობებს მოძრაობის შესახებ, გაუზიარებს თავის გამოცდილებას, თავის აზრებსა და შეხედულებებს, თავის მოთხოვნილებებს ლიტერატურაზე, სოციალ-დემოკრატიული გამოცემების თავის შეფასებას, გაუზიარებს, ერთი სიტყვით, ყველაფერს, რაც კი მას შეაქვს მოძრაობაში და რაც იქიდან გამოაქვს. მხოლოდ ასეთ პირობებში შეიძლება მართლაც საერთო-რუსული სოციალ-დემოკრატიული ორგანოს შექმნა. მხოლოდ ასეთ ორგანოს შეუძლია გამოიყვანოს მოძრაობა პოლიტიკური-

ბრძოლის ფართო გზაზე. «ჩვენი საპროპაგანდო-სააგიტაციო და ორგანიზატორული მუშაობის ფარგლების გაშლა და შინაარსის გაფართოება» — პ. ბ. აქსელროდის ეს სიტყვები უნდა გახდეს ლოზუნგი, რომელმაც უნდა განსაზღვროს რუსი სოციალ-დემოკრატების მუშაობა უახლოეს მომავალში, — და ჩვენც ამ ლოზუნგს ვიღებთ ჩვენი ორგანოს პროგრამაში.

ჩვენ მოწოდებით მივმართავთ არა მარტო სოციალისტებს და შეგნებულ მუშებს. ჩვენ მოვუწოდებთ აგრეთვე ყველას, ვისაც ჩაგრავს და სულს უხუთავს თანამედროვე პოლიტიკური წყობილება. ჩვენ ვთავაზობთ მათ ჩვენი გამოცემების ფურცლებს რუსეთის თვითმპყრობელობის ყოველგვარ სისაძაგლეთა სამხილებლად.

ვისაც სოციალ-დემოკრატია ესმის, როგორც ორგანიზაცია, რომელიც ემსახურება პროლეტარიატის მხოლოდ და მხოლოდ სტიქიურ ბრძოლას, მას შეუძლია დაკმაყოფილდეს მარტო ადგილობრივი აგიტაციით და «წმინდა-მუშური» ლიტერატურით. ჩვენ ასე როდი გვესმის სოციალ-დემოკრატია: ჩვენ ის გვესმის, როგორც აბსოლუტიზმის წინააღმდეგ მიმართული რევოლუციური პარტია, განუყრელად დაკავშირებული მუშათა მოძრაობასთან. მხოლოდ ასეთ პარტიად ორგანიზებული პროლეტარიატი, თანამედროვე რუსეთის ეს ყველაზე უფრო რევოლუციური კლასი, შესძლებს შეასრულოს მასზე დაკისრებული ისტორიული ამოცანა: გააერთიანოს თავისი დროშის ქვეშ ქვეყნის ყველა დემოკრატიული ელემენტი და მთელ რიგ დაღუპულ თაობათა მედგარი ბრძოლა დააგვირგვინოს საძულველ რეჟიმზე საბოლოო გამარჯვებით.

* * *

გაზეთის თვითეული ნომერი გამოვა 1 — 2 ნაბეჭდი ფურცლის მოკულობით.

გამოსვლის ვადა, რუსული არალეგალური ბეჭდვითი სიტყვის პირობების გამო, წინასწარ არ არის განსაზღვრული.

ჩვენ აღგვითქვეს თანამშრომლობა საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის რამდენიმე გამოჩენილმა წარმომადგენელმა, უახლესი მონაწილეობა «შრომის განთავისუფლების» ჯგუფმა (გ. ვ. პლეხანოვმა, პ. ბ. აქსელროდმა, ვ. ი. ზასულიჩმა) და ხელის შეწყობა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის რამდენიმე ორგანიზაციამ და აგრეთვე რუს სოციალ-დემოკრატთა ცალკე ჯგუფებმა.

დაწერილია 1900 წლის სექტემბერში
დაიბეჭდა 1900 წელს ცალკე
ფურცლად, «ისკრის» გამოცემა

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.,
ტ. 4, გვ. 430—437

წერილები

პ. ბ. აქსელროდს

18. X. 00.

ძვირფასო პ. ბ.! გუშინ მივიღე თქვენი 15. X დიდი და სასიამოვნო წერილი — დიდი მადლობა ამისათვის. უაღრესად გაგვეხარდა, რომ უკეთ გრძნობთ თავს და შეგიძლიათ მუშაობა. სტატია გაზეთისათვის თეთრადაც კი იწერება! ჩვენ გვისწრებთ,—ჩვენ ვერა და ვერ ვეწყობით ისე, რომ ვინმემ გადაწეროს გასაგზავნად საჭირო რამეები. ზაგორსკაია[61] ჯერაც არ ჩამოსულა, გადასაწერი მასალა კი უფრო მატულობს. მე დროდადრო ძალ-ღონე მელევა და ასე შეიძლება სრულიად გადავეჩვიო ჩემს ნამდვილ სამუშაოს.

თქვენი გადაკრული სიტყვა, «დავიდარაბა» მოგველის პარიზელებთანო [62]—არცთუ მთლად გაგიგეთ. რასაკვირველია, ყველაფერზე წერა თქვენთვის საშინლად ძნელი უნდა იყოს, მაგრამ, იქნებ, გადასცეთ. თუ რაშია საქმე, ვერა ივანეს ასულს, რომელიც, იმედი გვაქვს, მალე გამოემგზავრება აქეთ?

პასუხისმგებელი ისევ და ისევ არა გვყავს... განცხადება მზადაა და გაიგზავნა რუსეთში (მალე გამოგიგზავნით), მალე შესაძლებელი იქნება შევუდგეთ გაზეთის აწყობას. დიდი კორესპონდენცია «მაისის დღეები ხარკოვში» (50 ათასამდე ნიშანი) ვფიქრობთ ცალკეულ ბროშურად გამოვცეთ,[63] გაზეთში კი მოკლე ექსტრაქტი მოვათავსოთ, რადგან ფურცელს ერთ რამეს ხომ არ დავუთმობთ! (გაზეთს ექნება 3-3 სვეტი გვერდში, დაახლოებით 6-6 ათასი ნიშანი ანუ, უფრო სწორად, «ადგილი» სვეტში). (განზრახული გვაქვს გაზეთის პირველი ნომერი გამოვუშვათ 2 თაბახად, 8 გვერდი?). როგორ ფიქრობთ?...

გაგზავნილია მიუნხენიდან ციურიხში. პირველად დაიბეჭდა 1925 წელს ლენინის კრებულში III

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა. ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც., ტ. 36, გვ. 9—10

ა. ა. იაკუბოვას

26. X.

გუშინ მივიღე თქვენი 24. X-ის წერილი და, თქვენი თხოვნის თანახმად, ახლავე გიპასუხებთ.

წერილის გაგზავნა ახლა არ შემიძლია: იმ მისამართით, რომელიც მე მაქვს, ჩაწებებით არ ვგზავნი, არამედ მხოლოდ ქიმიით, ამ წესით წერილის გადასაწერად კი დრო არა მაქვს. გუშინ მივწერე ადრესატს, თუ რა არის წერილის არსი, და იმედი მაქვს ახლო მომავალში მთელი წერილიც ვაცნობო. თუ არა და, იქნებ თქვენ გადაწეროთ იგი აუკინძავ წიგნში ქიმიით, — და მე მაშინვე გავუგზავნი.

ჩემს დას მისამართს ვაცნობებ: იგი სექტემბერში პარიზში არ ყოფილა, ასე რომ საეჭვოა თქვენ იქ ერთდროულად ყოფილიყავით. ვიმედოვნებ, თქვენ თვითონ მისწერეთ მას ორიოდე სიტყვა ჩემ მიერ თქვენთვის მოცემული მისამართით?

ახლა საქმეზე.

უცნაურ შთაბეჭდილებას ახდენს თქვენი წერილი ჩემდამი. თუ გამოვრიცხავთ ცნობებს მისამართებისა და გადაცემების შესახებ, წერილში საყვედურებია რჩება, — შიშველი საყვედურები, რომლებიც არსებითად რაიმე განმარტებას არ იძლევიან. საყვედურებით თქვენ იმასაც კი ცდილობთ, რომ გესლიანი სიტყვები მითხრათ («დარწმუნებული ხართ თუ არა, რომ ეს თქვენ გააკეთეთ რუსეთის მუშათა მოძრაობის სასარგებლოდ თუ პლეხანოვის სასარგებლოდ?»),— მაგრამ, რა თქმა უნდა, მეც ხომ გესლიანად არ გიპასუხებთ.

თქვენ მისაყვედურებთ იმისათვის, რომ მე «არ გირჩიეთ»[64]. თქვენ ძალიან არაზუსტად გადმოსცემთ ჩემს სიტყვებს. კარგად მახსოვს, რომ მე კატეგორიულად, უთუოდ როდი გამოვთქვი: «ჩვენ ამჟამად გვიძნელდება გირჩიოთ»-მეთქი — გწერდით მე, ე. ი. პირდაპირ ესახავდი ჩვენი გადაწყვეტილების პირობად საქმის წინასწარ გამორკვევას. თუ რა უნდა ყოფილიყო ჩვენი გამორკვევა, — ცხადია ჩემი წე-

რილიდან: ჩვენთვის აუცილებელი იყო სავსებით გავრკვეულიყავით იმაში, ნამდვილად მოხდა თუ არა «მობრუნება» «რაბოჩაია მისლში» (როგორც ჩვენ გვაცნობეს და როგორც უფლება გვქონდა დაგვეს-კვნა იმის მიხედვით, რომ თქვენ პლეხანოვს მიმართეთ წინადადებით—მონაწილეობა მიეღო) და სახელდობრ როგორი მობრუნება.

ამ. ძირითად და მთავარ საკითხზე თქვენ კრინტსაც არა სძრავთ.

ჩვენ «რაბოჩაია მისლს» რომ ვუყურებთ როგორც იმ განსაკუთრებული მიმართულების ორგანოს, რომელთანაც უაღრესად სერიოზული უთანხმოება გვაქვს, — ეს თქვენ დიდი ხანია იცოდით. ასეთი მიმართულების ორგანოში მონაწილეობაზე მეც და თქვენი დიდი წერილის ადრესატმაც[5] პირდაპირი უარი განვაცხადეთ რამდენიმე თვის წინათ, და გასაგებია, თვითონ ასე რომ ვიქცეოდით, ჩვენ არ შეგვეძლო იგივე არ გვერჩია სხვებისთვისაც.

მაგრამ ჩვენ «საძნელო მდგომარეობაში» ჩაგვაყენა ცნობამ «რაბოჩაია მისლში» მომხდარი «მობრუნების» შესახებ. ნ ა მ დ ვ ი ლ ი მობრუნება არსებითად შეცვლიდა საქმეს. ამიტომ ბუნებრივია, რომ ამ ჩემს წერილში უ წ ი ნ ა რ ე ს ყ ო ვ ლ ი ს ა სწორედ სურვილი გამოვთქვი დაწვრილებით შემეტყო ყველაფერი მ ო ბ რ უ ნ ე ბ ი ს შესახებ, — თქვენ კი ამაზე ერთი სიტყვითაც არ მიპასუხეთ.

თუმცა, იქნებ თქვენ მიგაჩნიათ, რომ პასუხს ჩემს კითხვაზე მობრუნების შესახებ შეიცავს თქვენი წერილი მეგობრისადმი? იქნებ, თუ თქვენ პლეხანოვს მიმართავდით «რაბოჩაია მისლის» რედაქციის სახელით, — თქვენი წერილიც მეგობრისადმი შეიძლება რედაქციის შეხედულებათა აუთენტურ გამოხატულებად ჩაითვალოს? თუ ა ს ე ა, მაშინ მე ის დასკვნა უნდა გამოვიყვანო, რომ არავითარი მობრუნება არ არის. თუ მე ვცდები,—გთხოვთ განმიმარტოთ ჩემი შეცდომა. ამ დღეებში პლეხანოვის კიდევ ერთი ახლობელი მომხრე მწერდა «რაბოჩაია მისლში» მომხდარი მობრუნების შესახებ. მაგრამ, რაკი თქვენთან მიწერ-მოწერა მაქვს, მე, რა თქმა უნდა, არ შემიძლია დავუჯერო ამ «ხმებს» მობრუნების შესახებ, რომლებიც არაფრით არ არის დადასტურებული თქვენი მხრივ.

სჯობს ისევ ერთბაშად ვთქვა პირდაპირ (თუნდაც იმის რისკით, რომ ახალი საყვედურები დავიმსახურო) — რაკი სავსებით თანავუგრძნობ ჩემს მეგობარს (რომელსაც თქვენ წერილს სწერთ), ვუერთდები მის სიტყვებსაც: «ჩვენ თქვენთან ბრძოლა მოგვიხდება»—თუ მობრუნება არ არის. ხოლო თუ არის, — საჭიროა საფუძვლიანად გამოვარკვიოთ, სახელდობრ როგორია ეს მობრუნება.

თქვენ სწერთ მეგობარს: «გვებრძოლეთ, თუ არ გრცხვენიათო». ეგი, რა თქმა უნდა, თვითონ გიპასუხებთ, მაგრამ მე გთხოვთ ნება მი-

ბოძოთ ჩემდათავადაც გიპასუხოთ ამაზე. ბრძოლა სრულებითაც არ არის სირცხვილი, — რაკი საქმე იქამდე მივიდა, რომ უთანხმოება შეეხო ყველა ძირითად საკითხს, რომ შეიქმნა ურთიერთგაუგებლობის, ურთიერთუნდობლობის, სრული უთანხმოების ატმოსფერო (მე ვლაპარაკობ ა რ ა მ ა რ ტ ო «რაბოჩაია მისლზე»: მე ვლაპარაკობ ყველაფერზე, რაც დავინახე და მოვისმინე და თანაც ა რ ა ი მ დ ე ნ ა დ აქ, რამდენადაც შინ), რაკი ამ ნიადაგზე უ კ ვ ე წ ა რ მ ო ი შ ვ ა მთელი რიგი «გათიშვები». ამ სულისშემხუთავ ატმოსფეროს რომ თავი დავაღწიოთ, შეიძლება (და საჭიროა) საშინელ ქარიშხალსაც კი მივესალმოთ, და არა მარტო პოლემიკას ლიტერატურაში.

მაინცდამაინც არც უნდა გვეშინოდეს ბრძოლისა: ბრძოლამ, შესაძლოა, რამდენიმე პ ი რ ო ვ ნ ე ბ ი ს გაღიზიანებაც გამოიწვიოს, მაგრამ სამაგიეროდ იგი ჰაერს გაწმენდს, ზუსტად და პირდაპირ გაარკვევს ურთიერთობას, — გაარკვევს რა უთანხმოებაა არსებითი და რა მეორეხარისხოვანი, გაარკვევს, სად არიან ის ადამიანები, რომლებიც ნამდვილად სულ სხვა გზით მიდიან, და სად არიან პარტიული ამხანაგები, რომლებსაც უთანხმოება კერძოობითში აქვთ.

თქვენ წერთ, რომ „რაბოჩაია მისლში“ შეცდომები იყო. რა თქმა უნდა, ჩვენ ყველანი ვცდებით. მაგრამ უბრძოლველად როგორ გამოვყოთ ეს კერძო შეცდომები იმ მ ი მ ა რ თ უ ლ ე ბ ი ს ა გ ა ნ, რომელიც გარკვეულად ისახება «რაბოჩაია მისლში» და კულმინაციურ პუნქტს აღწევს «Credo»-ში* უბრძოლველად არც გარკვევა შეიძლება, ხოლო გაურკვეველად შეუძლებელია წარმატებითი წინსვლა. შეუძლებელია აგრეთვე მ ტ კ ი ც ე ე რ თ ი ა ნ ო ბ ა. და ისინი, ვინც ამჟამად ბრძოლას იწყებს, სრულებითაც არ ა ნ გ რ ე ვ ე ნ ერთიანობას. ერთიანობა აღარ არის, იგი უკვე დანგრეულია, დანგრეულია

---

* შ ე ნ ი შ ვ ნ ა. მაგალითად, თქვენს წერილში მეგობრისადმი გაუგებრობაც არის და «ეკონომიური» მიმართულებაც. თქვენ მართალი ხართ, როცა ხაზგასმით აღნიშნავთ, რომ საჭიროა ეკონომიური ბრძოლა, რომ უნდა შეგვეძლოს გაძოვიყენოთ ლეგალური საზოგადოებანი, რომ საჭიროა ყოველნაირი გამოხმაურება და სხვ., რომ ზურგი არ უნდა შევაქციოთ საზოგადოებას. ყოველივე ეს კანონიერი და სწორია. და თუ თქვენ გგონიათ, რომ რევოლუციონერები სხვანაირად ფიქრობენ, ეს გაუგებრობაა. რევოლუციონერები მხოლოდ ამბობენ, რომ მთელი ძალღონე უნდა ვიხმაროთ, რომ ლეგალური საზოგადოებანი და სხვ. არ ა შ ო რ ე ბ დ ნ ე ნ შუშათა მოძრაობას სოციალ-დემოკრატიასა და რევოლუციურ პოლიტიკურ ბრძოლას, არამედ, პირიქით, რაც შეიძლება მჭიდროდ და განუყრელად აერთიანებდნენ მათ. თქვენს წერილში კი არათუ არ არის გაერთიანებისადმი მისწრაფება, არამედ არის მიაწრაფება დაშოროთ, ე. ი. არის «ეკონომიზმი» ანუ «ბერნშტეინელობა», მაგალითად — განცხადებაში: «მუშათა საკითხი რუსეთში, როგორც იგი სინამდვილეში დგას, პირველად «რაბოჩაია მისლმა» დააყენა» — მსჯელობაში უფლებრივი ბრძოლის შესახებ და სხვ.

მე ბოდიშს ვიხდი, თუ ჩემი მითითება თქვენს წერილზე მეგობრისადმი არ მოგეწონებათ: მე მინდოდა მხოლოდ ნათელმეყო ჩემი აზრი.

მთელი ხაზით. რუსეთის მარქსიზმი და რუსეთის სოციალ-დემოკრატია დაქცეული შენობებია, და აშკარა, პირდაპირი ბრძოლა ერთიანობის ა ღ დ გ ე ნ ი ს ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა.

დიახ, ა ღ დ გ ე ნ ი ს! ისეთი «ერთიანობა», როცა ჩვენ ამხანაგებს საიდუმლო ავადმყოფობასავით ვუმალავთ «ეკონომიურ» დოკუმენტებს, როცა ჩვენ გვწყინს იმის გამოქვეყნება, თუ რა შეხედულებებს ქადაგებენ სოციალ-დემოკრატიულ შეხედულებათა დროშით — ასეთი «ერთიანობა» გროშად არა ღირს, ასეთი შეხედულება არის ნამდვილი cant-ი *, იგი იწვევს ავადმყოფობის მხოლოდ გაღრმავებას, მის გადასვლას გამჯდარ, ავთვისებიან ფორმად. აშკარა, პირდაპირი და პატიოსანი ბრძოლა კი ამ ავადმყოფობას რომ მოარჩენს და ნამდვილად ერთიან, მხნე და ძლიერ სოციალ-დემოკრატიას შექმნის, — ამაში მე ერთი წუთითაც არ მეპარება ეჭვი.

შესაძლოა, ძალიან უადგილო იყოს, რომ სწორედ თ ქ ვ ე ნ დ ა მ ი წერილში ასე ხშირად მიხდება ლაპარაკი ბრძოლაზე (ლიტერატურულ ბრძოლაზე). მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ჩვენი ძველი მეგობრობა ყველაზე მეტად გვავალებს ს რ უ ლ პ ი რ დ ა პ ი რ ო ბ ა ს.

ხელს გართმევთ. Petroff

P. S. ორიოდე კვირის შემდეგ სხვა მისამართი მექნება: Herrn Philipp Roegner Cigarrenhandlung. Neue Gasse Nürnberg (მხოლოდ წერილებისათვის და აგრეთვე 2 კონვერტში). [გთხოვთ ნურავითარ ინიციალებს ნუ დაწერთ წერილებში — ღმერთმა უწყის, სავსებით სანდოა თუ არა აქ ფოსტა].

დაწერილია 1900 წ. 26 ოქტომბერს
გაგზავნილია მიუნხენიდან ლონდონში
პირველად დაიბეჭდა 1930 წელს

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექ-ტის მიხედვით, მე-4 გამოც.,
ტ. 34, გვ. 42—46

* — ფარისეველობა. რ ე დ.

ნ ე რ ი ლ ი დ ა ნ

პ. ბ. აქსელროდს

3. XI

ლიბკნეხტის შესახებ სტატიის გამო, მართალი გითხრათ, უკვე არ ვიცით როგორ მოვიქცეთ. თქვენ ხომ სიდიდით ს ა ჟ ო ურ ნ ა ლ ო სტატია გამოგვივიდათ: 8 გვერდი (ვ. ი.-ს სიტყვით ისეთი როგორიც «ნაკანუნეში»* არის წვრილი შრიფტი, ე. ი. 8 ათასამდე ნიშანი გვერდი) — ეს 64 ათასი ნიშანია, — «ნაკანუნეს» მსხვილი შრიფტიც რომ ავიღოთ, — ეს 50 ა თ ა ს ა მ დ ე ნ ი შ ა ნ ი ა! ჩვენი გაზეთი Vorwärts-ის* ფორმატისა იქნება, აგრეთვე 3 სვეტიანი. სვეტი დაახლოებით 6 ათასი ნიშანია. — მაშასადამე, თქვენი სტატიის ნახევარი დაიკავებს გაზეთის გვერდს მთლიანად + კიდევ სვეტი! ეს მეტისმეტად უხერხულია გაზეთისათვის, — რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, რომ უხერხულია დავაქუცმაცოთ ისეთი სტატია, როგორიცაა თქვენი სტატია ლიბკნეხტის შესახებ.

ყოველივე ამას უფრო ზუსტად გამოვიანგარიშებ, როცა თქვენს სტატიას მივიღებ. მთელი ძალღონით ვეცდებით მოვათავსოთ გაზეთში, მაგრამ თუ სიდიდის გამო შეუძლებელი აღმოჩნდა, მაშინ ხომ არ შეიძლება ნება მოგვცეთ ბროშურად გამოვცეთ იგი გაზეთის დამატებაში? (თუ ჟურნალისათვის ცალკე სწერთ ლიბკნეხტის შესახებ). ახლა იწყობა ბროშურა, «მაისის დღეები ხარკოვში» (50 ათასი ნიშანი), შემდეგ აიწყობა გაზეთი და მერე თქვენი ბროშურა ლიბკნეხტის შესახებ. ხოლო გაზეთისათვის, თუ აუცილებელი აღმო-

* — «წინ». რ ე დ.

ჩნდა, დაიწეროს შენიშვნა-ნეკროლოგი ბროშურაზე მითითებით. რას ფიქრობთ ამაზე?

ვიმეორებ: ყოველივე ეს მხოლოდ ვარაუდებია — აუცილებელია გამოვიანგარიშოთ ზუსტად, — ამას ვიზამთ თქვენი სტატიის მიღებისთანავე და მაშინვე მოგწერთ.

მაგრად გართმევთ ხელს და ყველაზე მეტად გისურვებთ რაც შეიძლება მალე და სავსებით გამომჯობინდეთ. დიდი სალამი თქვენს ოჯახს.

თქვენი პ ე ტ რ ო ვ ი.

დაწერილია 1900 წ. 3 ნოემბერს
გაგზავნილია მიუნხენიდან ციურიხში
პირველად დაიბეჭდა 1925 წელს
ლენინის კრებულში III

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.,
ტ. 34, გვ. 18—19

ბ. ვ. პლეხანოვს

9. XI.

დღეს მივიღე თქვენი წერილი, ძვირფასო გიორგი ვალენტინის-ძევ, და მაშინვე გამოგიგზავნეთ დაზღვეული ბანდეროლით 1) Puttman-ის* სტატია «რა მოხდა?»; 2) ბივალის[67] სტატია და 3) დ. კოლცოვის სტატია პარიზის კონგრესის შესახებ.

ეს უკანასკნელი სტატია ვერა ივანეს ასულმა სრულიად უვარგისად მიიჩნია, და მე სავსებით ვიზიარებ მის აზრს: სტატია არ არის საინტერესო, ჟურნალისათვის სრულიად შეუფერებელია (მით უფრო, რომ მილიერანზე თქვენ დაწერეთ), გაზეთისათვის უზომოდ გრძელია, მასში 22—27 ათასი ნიშანია, გაზეთისათვის კი საჭიროა შენიშვნა, რომელიც ასე 6—9 ათას ნიშანს ან ცოტა მეტს შეიცავს. ამიტომ ვფიქრობდით გვეთხოვა, რომ რაკოვსკის დაეწერა გაზეთისათვის ასეთი ზომის სტატია, ხოლო კოლცოვის სტატია უარგვეყო. გადავწყვიტეთ გამოგვეგზავნა თქვენთვის, მით უფრო, რომ თქვენ აპირებდით რაკოვსკისათვის პასუხის გაცემას: მოიქეცით ისე, როგორც უფრო მიზანშეწონილად დაინახავთ — ან უარყავით კოლცოვის სტატია და შეუკვეთეთ რაკოვსკის, ანდა დაავალეთ კოლცოვს გადააკეთოს და შეამოკლოს სტატია თქვენი ხელმძღვანელობით. ჩვენ უფრო გვგონია, რომ თქვენ პირველ გზას აირჩევთ, და ამ შემთხვევაში, ცხადია, შეგიძლიათ კოლცოვის წინაშე ჩვენ დაგვიმოწმოთ, და ჩვენ შეგვიძლია თვითონ მივწეროთ მას, როგორც კი თქვენს პასუხს მივიღებთ.

ბივალის სტატიას გიგზავნით თქვენ მიერ დასახული გაწმენდისა და ზოგიერთი უასწორებისათვის. ცხადია, გასწორება შეიძლება — ინებეთ, ასწორეთ ყველა სტატია, — ფანქრით წააწერეთ ან პირდაპირ ხელნაწერში, ან ცალკეულ ფურცლებზე. შემდეგ ამ გასწორე-

* — პუტმანის. რ ე დ.

ბათა გამო, თუ გნებავთ, შემიძლია მივწერო ბივალის, — ალბათ, იგი არ გაჯიუტდება, ხოლო თუ გაჯიუტდა, მაშინ უნდა ვიმსჯელოთ და არჩევანი მოვახდინოთ: მივიღოთ როგორც გვაძლევენ თუ არ მივიღოთ. ოღონდ მე არასგზით არ შემიძლია დავეთანხმო თქვენს წინადადებას — ამოვაგდოთ ბახარევის ბროშურის მოხსენიება, და არა იმდენად იმიტომ, რომ ეს მეტისმეტად არასასიამოვნო იქნებოდა ავტორისათვის, რამდენადაც იმიტომ, რომ მეც სასარგებლოდ მიმაჩნია ბახარევის ბროშურა (მის ნაკლოვანებათა მიუხედავად), რომელიც მართლაც დიდმნიშვნელოვან საკითხს აყენებს და, საერთოდ და მთლიანად, სწორად სწყვეტს მას. ბივალი არა მარტო ძველზე წერს, არამედ ახალზეც; თუ 70-იან წლებში სერიოზულ რევოლუციონერებს ამგვარი ბროშურები არ სჭირდებოდათ, ჩვენ ახლა, უეჭველია, გვჭირდება, და ჩვენ ვფიქრობდით აუცილებლად მოგვეთავსებინა მის შესახებ (შესაძლოა გაზეთში, ოღონდ არა № 1-ში) კრიტიკული, მაგრამ მოწონების შემცველი, შენიშვნა. მთლად ნორჩი და ინტელიგენტი ახალგაზრდობის ჩაბმა მასების მოძრაობაში, ამ ახალგაზრდობის მიერ თითქმის სრული დავიწყება ან. უფრო სწორად, არ-ცოდნა იმისა, თუ როგორ და რა იყო ძველად, «ნაცად» რევოლუციონერთა ორგანიზაციის უქონლობა, — ყოველივე ეს აუცილებელს ხდის გამოვცეთ ბროშურები სოციალისტთა ყოფაქცევის წესების შესახებ. პოლონელებს აქვთ ასეთი ბროშურა, ვგონებ, გაცილებით უფრო შინაარსიანი, ვიდრე ბახარევისაა. ვერა ივანეს ასული თანახმაა იმისა, რომ ბახარევის მოხსენიება არ უნდა ამოვაგდოთ. გარკვეულ პირობებში, თუ ეს თქვენ სასარგებლოდ მიგაჩნიათ, იქნებ, უადგილო არ იყოს განგვეხილა ასეთი ბროშურების შესაძლო მნიშვნელობის საკითხი ჟურნალის ფურცლებზე?

ჩვენ ვფიქრობთ, ბივალის სტატია მოვათავსოთ ჟურნალში და არა გაზეთში. ვერა ივანეს ასული ამბობს, რომ ჩვენი გაზეთი ერთი საფეხურით უფრო დაბლა დგას მკითხველთა იმ დონის მიხედვით, რომლისთვისაც იგი ნავარაუდევია, ვიდრე თქვენ, ალბათ, გგონიათ. ვერა ივანეს ასული საერთოდ საკმაოდ უკმაყოფილოა გაზეთით: «რაბოჩეე დელოს» ტ ი პ ი ს ა ა, ოღონდ უფრო ლიტერატურული, უფრო შეფერადებულიო... მე ერთი სტატია გავუგზავნე პავლე ბორისის ძეს და ვთხოვე თქვენთვის გადმოეგზავნა. სრულიად უხერხული იქნებოდა, რომ კაუცკის რეზოლუციის საკითხი შეგვემცირებინა და შეგვეკვეცა საგაზეთო სტატიის ზომამდე, და აი რატომ გვინდოდა მოგვეთავსებინა ჟურნალში ამ საკითხზე თქვენი პატარა სტატია თუ შენიშვნა. ან, იქნებ, თქვენ ფიქრობთ ძალიან, ძალიან ცოტას დავჯერ-

დეთ? ალბათ, შენიშვნასაც კი დასჭირდება 10-მდე ნაბეჭდი გვერდი, ე. ი. 20 ათასამდე ნიშანი, თუ მეტი არა.

სოლოვიოვზე მე, მართალი მოგახსენოთ, ვფიქრობდი, რომ თქვენ ხალისი გექნებოდათ დაგეწერათ შენიშვნა. Puttman-მა არა მგონია იკისროს: მივწერ, მაგრამ იმედი თითქმის არა მაქვს.

ვერა ივანეს ასული მზად არის დაწეროს დეკაბრისტებზე, მაგრამ როგორაა საქმე მასალების მხრივ? ახლავე მივწერთ, რომ გამოგვიგზავნონ რაც კი შეიძლება. იქნებ, თქვენც მიგვითითოთ, რა არის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, რომ ამ სამუშაოსათვის გვქონდეს. მგონია, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისტორიული ჟურნალები, რომლებსაც აქ ვერ იშოვით.

გურევიჩი ჟურნალისათვის წერს დიდ სტატიას საფრანგეთის საქმეებზე, გაზეთისათვის — ეროვნულ კონგრესზე. საერთაშორისო კონგრესის შესახებ თითქოს უნდოდა დაეწერა გოლდენდახს ან ნახამკისს, მაგრამ არ დაუწერიათ.

გამოგვიგზავნეთ, თუ კაცი ხართ, თქვენი სტატია «სოციალიზმი და პოლიტიკური ბრძოლა» (შეიძლება დაზღვეული ბანდეროლით ი მ ა ვ ე ლ ე მ ა ნ ი ს მ ი ს ა მ ა რ თ ი თ); არა მგონია, რომ ამხანაგური კრიტიკის გამო სტატია არ მოეწონოს ალექსის, რომელიც, მახსოვს, მეუბნებოდა, პავლე ბორისის ძის შემოკამათება სამართლიანად ვცანიო.

ცალკეულ ფურცლებს გადავნომრავთ (თუ გადანომრილი არ არის) და არა მგონია ასოთამწყობებმა დაკარგონ: მათ ხომ ყოველთვის ცალკეულ ფურცლებთან აქვთ საქმე, ჩვენთანაც გაზეთისათვის, ჯერ არ დაუკარგავთ. «პასუხისმგებლის» საკითხი, ალბათ, ხვალ-ზეგ გადაწყდება, — ვგონებ, კეთილსასურველად (დღეს მივიღე ცნობა ორი თანხმობის შესახებ: ხვალ არსებით ცნობებს მოველი), და ჩვენ ვფიქრობთ, რომ მაინც დაგვჭირდება (ყოველ შემთხვევაში დასაწყისისათვის) ბლიუმენფელდის დახმარება; Dietz* თანხმდებოდა, რომ მას ასოთამწყობად მიიღებდა. იგი მ ო გ ვ ი გ ვ ა რ ე ბ დ ა საქმეს, გააჩვევდა გერმანელებს და სხვ. როგორც კი ყველაფერი საბოლოოდ გამოირკვევა, მაშინვე მივწერ ან დეპეშას გაუგზავნი. თქვენი სტატია კი «ერთხელ კოდევ» etc[68]. ძალიან გვინდა რაც შეიძლება მალე გვექნეს, რადგან შესაძლოა, რომ მაშინვე მოგვიხდეს მისი ასაწყობად გადაცემა.

«რაბოჩაია მისლის» წინააღმდეგ, სწორედ რომ ვთქვათ, მხოლოდ «ცალკეულ დამატებაში» მოთავსებული სტატიის «ჩვენი სინამდვი-

---

* — დიტცი. რედ.

ლის» წინააღმდეგ — მე ჯერ კიდევ ერთი წლის წინათ დაწერილი მქონდა სტატია «უკუსვლითი მიმართულება რუსეთის სოციალ-დემოკრატიაში»; ახლა ეს სტატია აქ გამომიგზავნეს, და ვფიქრობ გადავაკეთო იგი ჟურნალისათვის, ამასთან დავურთო დამატება «რაბოჩეე დელოს» წინააღმდეგ.

არცთუ მთლად მაქვს წარმოდგენილი, «რაბოჩაია მისლის» რომელ «უკანასკნელ №-ზე ლაპარაკობთ»? გაზეთის უკანასკნელი ნომერი იყო № 8 — («მე-5 გვერდიდან» ახალი რედაქციაა), სადაც სხვათა შორის დაბეჭდილია უ ა რ ყ ო ფ ა ცნობილი პ ა რ ა ლ ე ლ ე ბ ი ს ა ჩერნიშევსკის შესახებ «ცალკეულ დამატებაში» მოთავსებული სტატიის ბოლოში. ეს ხომ არა გაქვთ მხედველობაში?

შენიშვნას «სადამდის მივიდნენ?»*, სასარგებლოდ ჩავთვლიდი, თუმცა «რაბოჩაია მისლის» «მებრძოლურობა» ა ხ ლ ა მეეჭვება: ზოგიერთი ნაბიჯი «ჩვენკენ» (passez moi le mot*) მათ მაინც სურთ გადმოდგან და უნდა ვეცადოთ მივიჩნიოთ ისინი verbesserau gs jilhig **. მაგრამ იერიში, რასაკვირველია, მაინც უ ნ დ ა მივიტა-ნოთ: უამისოდ ისინი გამოუსწორებელნი არიან. ამ ცოტა ხნის წინათ მიწერ-მოწერა მქონდა ჩემ ძველ ამხანაგთან კავშირის ხაზით[7]. ვეტრინსკაიასთან, და ვუთხარი, რომ ვუერთდები ალექსის სიტყვებს: «ჩვენ თქვენთან ბრძოლა მოგვიხდება». იბრძოლეთ, თუ არ შეგრცხვებათ, — უპასუხა მან ალექსის. მე მივწერე, სულაც არ შემრცხვება-შეთქი.

მინდოდა მესაუბრნა თქვენთან კიდევ ეკონომიურ მიმართულებაზე და ალექსის შეხედულებებზე, მაგრამ უკვე მეტად გვიანია, და ორიოდე სიტყვას დავჯერდები: ეკონომიური მ ი მ ა რ თ უ ლ ე ბ ა, რა თქმა უნდა, ყოველთვის შეცდომა იყო, მაგრამ ეს მიმართულება ხომ ძალიან ნორჩია, ხოლო «ეკონომიური» აგიტაციით გ ა ტ ა ც ე ბ ა უმიმართულებოდაც იყო (დ ა ა რ ი ს ა ქ ა- იქ), და იგი წ ი ნ გ ა დ ა დ გ მ უ ლ ი ნაბიჯის კანონიერი და გარდუვალი თანამგზავრი იყო ჩვეხი მოძრაობის ვითარებაში, რომელიც ა რ ს ე ბ ო ბ ა რ უ ს ე თ შ ი 80-იანი წლების დამლევს ან 90-იანი წლების დამდეგს. ეს ვითარება ისეთი მომაკვდინებელი იყო, რომ თქვენ, ალბათ, ვერც წარმოიდგენთ, და არ შეიძლება დავგმოთ ადამიანები, რომლებიც, ამ ვითარებას თავს რომ აღწევდნენ, წაიბორძიკებდნენ ხოლმე, ერთგვარი შეზღუდულობა, ამ თავდაღწევის მიზნებისათვის, აუცი-

---

* — მაპატიეთ რომ ასე ვამბობ რ ე დ.

** — ისეთებად, რომელთა გამოსწორება შეიძლება, რომელნიც წყალწაღებულნი არ არიან. რ ე დ.

ლებელი და კანონიერი ი ყ ო, — ხოლო როცა იწყეს მისი თეორიად გადაქცევა და ბერნშტეინელობასთან დაკავშირება, საქმე, ცხადია, რადიკალურად შეიცვალა. ხოლო «ეკონომიური» აგიტაციით და «მასობრივი» მოძრაობის სამსახურით გატაცება რომ ბუნებრივი იყო, ეს, მახსოვს, თქვენც აღიარეთ «ახალ ლაშქრობაში», რომელიც დაწერილია 1896 წელს, როდესაც ვილნოს ეკონომიზმი უკვე იყო à l'ordre du jour*, პიტერისა კი იბადებოდა და ყალიბდებოდა.

მაგრად გართმევთ ხელს და გთხოვთ ნუ დამემდურებით რომ წერილი არეულ-დარეულია.

Votre Petroff

დაწერილია 1900 წ. 9 ნოემბერს
გაგზავნილია მიუნხენიდან ქენევაში
პირველად დაიბეჭდა 1956 წელს
ჟურნალ «კომუნისტში» № 16

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.,
ტ. 36, გვ. 23—28

---

* — დღის წესრიგში. რ ე დ.

ს ტ ა ტ ი ი ნ ა ნ

«ჩინეთის ომი»

...რითაა სასარგებლო რუსეთის მუშათა კლასისა და მთელი შშრომელი ხალხისთვის დაპყრობანი ჩინეთში? ათასობით განადგურებული ოჯახები, რომელთაც მუშახელი მოსტაცეს ომისთვის, სახელმწიფო ვალებისა და ხარჯების უდიდესი ზრდა, გადასახადების გადიდება, კაპიტალისტების — მუშათა ექსპლოატატორების ბატონობის გაძლიერება, მუშათა მდგომარეობის გაუარესება, გლეხობის კიდევ უფრო მეტად გადაშენება, შიმშილი ციმბირში — აი რის მოტანას გვიქადის და უკვე მოაქვს ჩინეთის ომს. რუსეთის მთელი ბეჭდვითი სიტყვა, ყველა გაზეთი და ჟურნალი დამონებულია, ვერ ბედავენ ვერაფრის დაბეჭდვას მთავრობის მოხელეთა ნებადაურთველად, — ამიტომაც არის, რომ არა გვაქვს ზუსტი ცნობები იმის შესახებ, თუ რა უჯდება ხალხს ჩინეთის ომი, მაგრამ ეჭვს გარეშეა, რომ ის მოითხოვს ფულად ხარჯს მ რ ა ვ ა ლ ი ა ს ე უ ლ ი მ ი ლ ი ო ნ ი მ ა ნ ე თ ი ს რ ა ო დ ე ნ ო ბ ი თ...

«ისკრა» № 1 1900 წ. დეკემბერი

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც., ტ. 4, გვ. 461

ბ. ვ. ბლეხანოვს

30. I. 01.

ეს არის მივიღე წერილი, ძვირფასო ბ. ვ., იუდასთან «საბოლოო» საუბრის შემდეგ რომ დავბრუნდი. საქმე მოგვარებულია, და მე საშინლად უკმაყოფილო ვარ ასეთი მოგვარებით. ვისწრაფვი მოგწეროთ, შთაბეჭდილების სიახლე რომ არ დავკარგო.

«დემოკრატიული ოპოზიციის» შესახებ იუდა არ დავობდა: იგი რომანტიკოსი როდია, და სიტყვებით მას ვერ დააშინებ. ხოლო «მეშვიდე პუნქტის» შესახებ («ისკრისათვის» მასალის გამოყენება, მასალისა, რომელიც «სოვრემენნოე ობოზრენიეში»[1] მოდის) მან მარჯვედ გააცურა ჩვენები, რომლებიც ყველანი, და პ. ბ.y compris*, მის მხარეზე დადგნენ, ჩემ წინააღმდეგ. იგი, იუდა, — თურმე ნუ იტყვით, — მოელოდა, რომ «ისკრა» უფრო პოპულარული, უფრო «მუშური» იქნებოდა, მას მიაჩნია, რომ «სოვრემენნოე ობოზრენიეში» მოსული მასალის ჩვენ მიერ თავისუფლად გამოყენებამ შეიძლება კონკურენცია შექმნას... იგი მოითხოვს, რომ «ისკრისათვის» მასალის გამოყენება შესაძლებელი იყოს მხოლოდ «სოვრემენნოე ობოზრენიეს» წარმომადგენელთან შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ი თ, — შეთანხმება მოიხსნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ წარმომადგენელთან დაკავშირება შეუძლებელი იქნება, — ეს პირობა, აშკარაა, ძალიან იშვიათია, ვინაიდან იუდა პირდაპირ ამბობს, რომ ვარაუდობს ან წარმომადგენლის ყოფნას im Auslande** («არა უმეტეს 12 საათისა მიუნხენიდან»), ან ყოვლად წესიერ მიწერ-მოწერას. მას სურს გამოუშვას ყ ო ვ ე ლ თ ვ ი უ რ ა დ ხ უ თ-ხ უ თ ი ფურცელი — ანუ დაახლოებით 200 ათასი ასო, — სწორედ იმდენი, რამდენიც «ისკრის» 2 ფურცელშია. იგი ამდენი მასალის მ ი წ ო დ ე ბ ა ს რომ

---

* — მათ შორის. რ ე დ.

** — საზღვარგარეთ. რ ე დ.

შეძლებს, ამაში დაეჭვება ძნელია, ვინაიდან იგი უზრუნველყოფილი ადამიანია, ბევრს წერს, კარგი კავშირურთიერთობა აქვს. აშკარაა: კონკურენცია მიმართულია არა იმდენად «ზარიას» წინააღმდეგ, რამდენადაც «ისკრის» წინააღმდეგ: იგივე სიჭარბე პოლიტიკური მასალისა, იგივე საგაზეთო ხასიათი — მიმდინარე ამბების მ ი მ ო ხ ი ლ ვ ა, მოკლე სტატიები (იუდა მეტად სწორი ტაქტით უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს პატარა სტატიებიანი თხელი წიგნაკების ხშირად გამოსვლას). ჩვენ მოგვაყრიან ამგვარ მასალას, ჩვენ ვირბენთ იუდას დავალებათა შესასრულებლად, რომელიც «სოვრემენნოე ობოზრენიეში» თავისი პარპაშით (აშკარაა, რომ ბატონ-პატრონი, სრული ბატონ-პატრონი იქ იგი იქნება, ვინაიდან მას ფული აქვს და 99% მასალები — ჩვენ იშვიათად თუ შეგვეძლება ცოტა რამე მივაწოდოთ იქ) ჩინებულ ლიბერალურ კარიერას გაიკეთებს და შეეცდება გარიყოს არა მარტო მოუქნელი «ზარია», არამედ «ისკრაც». ჩვენ ვირბენთ, ვიდავიდარაბებთ, კორექტურას გავასწორებთ, გადავზიდავთ, მისი ბრწყინვალება ბ-ნი იუდა კი იქნება rèdacteur en chef* ყველაზე გავლენიანი (ფართო so genannten** საზოგადოებრივი აზრის მიხედვით) ჟურნალისა. «რომანტიკული ნუგეში» კი შეიძლება მიეცეთ ამ rechtgläubigen ***: დაე ეწოდებოდეს «სოციალ-დემოკრატიულ ჟურნალ «ზარიას» დამატება». დაე თავი ინუგეშონ ლათაიებით, მე კი ჯერ თვით საქმეს ჩავიგდებ ხელშიო. საკითხავია, ნუთუ სოციალ-დემოკრატიის ყბადაღებული «ჰეგემონია» ამასთან უბრალო cant-ი**** არ აღმოჩნდება? რით იქნება იგი გამოხატული გარდა სიტყვისა: «სოციალ-დემოკრატიულის დამატება»? მასალით რომ დაგვჩაგრავს, — ეს უეჭველია, ვინაიდან ჩვენ «ზარიასა» და «ისკრისათვისაც» ვერ ვასწრებთ წერას.

ორში ერთი: ან «სოვრემენნოე ობოზრენიე» არის დ ა მ ა ტ ე ბ ა ჟ უ რ ნ ა ლ «ზარიასი» — (როგორც დათქმულია) — და მაშინ იგი «ზარიაზე» უფრო ხშირად არ უნდა გამოდიოდეს, «ისკრისათვის» მასალის გამოყენების ს რ უ ლ ი თავისუფლებით. ან ჩვენი პირმშოობის უფლებას ჩვენ ოსპის შეჭამანდზე ვყიდით და აღმოვჩნდებით genasführt ***** იუდას მიერ, რომელიც ლათაიებით გვიმასპინძლდება.

---

* — მთავარი რედაქტორი. რ ე დ.

** — ეგრეთწოდებული. რ ე დ.

*** — მართლმორწმუნეებს. რ ე დ.

**** — ფარისეველობა. რ ე დ.

***** — გაბრიყვებულნი. რ ე დ.

თუ ჩვენ გვიწერია და შეიძლება მივაღწიოთ ნამდვილ ჰეგემონიას, ეს იქნება მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური გაზეთის დახმარებით (რომელსაც დაეხმარება მეცნიერული ორგანო), და როცა ჩვენ აღმაშფოთებელი თავხედობით გვიცხადებენ, რომ ჩვენი გაზეთის პოლიტიკური განყოფილება კონკურენციას არ უნდა უწევდეს ბ-ნ ლიბერალთა პოლიტიკურ წამოწყებას, მაშინ ჩვენი უბადრუკი როლი დღესავით ნათელია.

ამ წერილის პირი გადავიღე და ვურთავ დღევანდელი სხდომის «ოქმს», როგორც ჩემი პროტესტისა და ჩემი «განსაკუთრებული აზრის» გამოცხადებას, და მოგიწოდებთ თქვენც აღმართოთ აჯანყების დროშა. უმჯობესია განხეთქილება, ვიდრე ეს ფაქტიური დამორჩილება Credo-ს პროგრამისადმი credo-იზმის წინააღმდეგ მაღალფარდოვან ფრაზებთან ერთად.

თუ უმრავლესობა მხარს დაუჭერს, — მე, რა თქმა უნდა, დავემორჩილები, ოღონდ წინასწარ ხელი დამიბანია.

ამოგზავნილია მიუნხენიდან ჟენევაში
პირველად დაიბეჭდა 1925 წელს

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით. მე-4 გამოც.,
ტ. 34, გვ. 47—49

«ბორბას» ჯგუფს

3. II. 01.

ძვირფასო ამხანაგებო!

თქვენი წერილი, რომელშიც უარს ამბობთ თანამშრომლობაზე, ძალიან გვანაღვლებს. ჩვენი წერილი ნევზოროვისადმი (წერილი, რომელსაც თქვენთვის ცალკე ჰქონდა დართული «განცხადება», «ისკრის» № 1 და რიაზანოვის სტატიის კორექტურა) და თქვენი წერილი თანამშრომლობაზე უარისთქმის შესახებ, ერთსა და იმავე დროს გაგზავნილი, ერთმანეთს აცილდნენ.[72]

უკვე აქედან ხედავთ, რომ ჩვენ სრულებითაც არ ვფიქრობდით ჩამოგვეშორებინეთ თქვენ საქმეებს. გთხოვთ გვაპატიოთ დაგვიანება — ამაში ჩვენ მართლაც დამნაშავენი ვართ, მაგრამ ნუ დაივიწყებთ, რომ «ურთიერთობის გაურკვევლობა» ჩვენც თქვენზე არანაკლებ გვაწუხებს. ჩვენი ჯგუფის დადგენილებას, რომ გაზეთი საზღვარგარეთ არ გაგვევრცელებინა, ვიდრე მას რუსეთში არ გავავრცელებდით, ჩვენ მტკიცედ ვიცავდით, გამონაკლისი დავუშვით მხოლოდ მეტად მახლობელ პირთათვის, მათ შორის თქვენთვის. სულ ბოლო დრომდე ჩვენ სრულიადაც არ ვიყავით დარწმუნებულნი, გავრცელდებოდა თუ არა გაზეთი რუსეთში (ახლაც კი არ შეგვიძლია თ ქ ვ ნ ს ვ ი დ ო თ ე ს), — დავიდარაბა ამ საქმის გამო იმასთან დაკავშირებით, რომ ზოგიერთ ახალ მოლაპარაკებას ვაწარმოებთ (ლიბერალ-დემოკრატებთან, — ეს, ჯერჯერობით, დ ი დ ი ს ა ი დ უ მ ლ ო ე ბ ა ა!)[73], ჩვენ მთელ დროს გვართმევს, და ამიტომ დაგვიანებით შესრულდა ორიოდე კვირის წინათ მიღებული გადაწყვეტილება, რომ თქვენთვის გამოგვეგზავნა «ისკრის» №.

ჩვენი განცხადება რუსეთში ჯერ კიდევ არ გავრცელებულა, ივიქ მხოლოდ ვ უ ჩ ვ ე ნ ე თ რამდენიმე პირს.

ერთხელ კიდევ ვიმეორებთ, რომ რაც მოხდა, შედეგია სრულიადაც არა ყურადღების ნაკლებობისა, არამედ იმ გაურკვეველი და შოუსვენარი მდგომარეობისა, რომლისთვისაც ჩვენ თვითონ ჯერ კიდევ არ დაგვიღწევია თავი. ჩვენ ძალიან მოხარულნი ვიქნებოდით, თუ ამით გამოწვეული გაუგებრობა გაქარწყლდებოდა და თქვენ ისევ წინანდებურად მოეკიდებოდით ჩვენს საერთო საქმეს.

ამხანაგური სალამით პ ე ტ რ ო ვ ი

ჟაგზავნილია მიუნხენიდან პარიზში
პირველად დაიბეჭდა 1930 წელს
ლენინის კრებულში XIII

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.,
ტ. 36, გვ. 45—46

«ბორბას» ჯგუფს

21. II. 01.

ძვირფასო ამხანაგებო!

თქვენი დაჟინება «ურთიერთობის გარკვევის» გამო ჩვენ გვაკვირვებს და, ჩვენდა დიდად სამწუხაროდ, არ შეგვიძლია ამ მხრივ ღაგაკმაყოფილოთ. ჩვენთან საქმე ეს არის მხოლოდ იწყება, მანქანა მხოლოდ ცოტცოტათი ამოძრავდა, და ენერგიულ საერთო თანამშრომლობაზეა დამოკიდებული, გაიმართება თუ არა იგი ჯეროვნად, — აქ კი უცებ, სასწრაფო მუშაობის ნაცვლად ინებეთ «ურთიერთობის გამორკვევა» რაღაც განსაკუთრებული სიზუსტით! ჩვენ გვგონია, რომ ახლობელი და მუდმივი თანამშრომლობა (რაც უკვე გამოიხატა თქვენ მიერ 2 სტატიის გამოგზავნით და რის იმედიც ჩვენ შემდგომაც გვაქვს) საკმაოდ გარკვეული ურთიერთობაა. და რომ მისგან ნათლად გამომდინარეობს თანამშრომელთა უფლებაც— ილაპარაკონ გამოცემის სახელით, მოიზიდონ ძალები, ნაცნობობა, სახსრები, სტატიები და სხვ. ეს მოზიდვა რომ ბუნებრივად გამოიწვევს მოზიდულებისა და რედაქციის დაახლოებას, რომ საბოლოო შეთანხმების დამყარება (რაიმე წამოწყების შესახებ ან ამა თუ იმ განყოფილების, ამა თუ იმ ფუნქციის გამგებლობის თაობაზე) მოითხოვს რედაქციის პირდაპირ დაკავშირებას ამ მოზიდულებთან, — ესეც თავისთავად გამომდინარეობს მახლობელი თანამშრომლების და რედაქციის ურთიერთობის არსიდან.

იმედი გვაქვს, რომ ჩვენი ურთიერთობა უბრალო თანამშრომლობის ფორმიდან დროთა განმავლობაში შეიძლებოდა გადაქცეულიყო ისეთ კოოპერაციად, როცა განაწილდებოდა გარკვეული განყოფილებანი და პერიოდულად გაიმართებოდა საერთო სარედაქციო თათბირები.

შემდეგ, ჩვენ, რა თქმა უნდა, სრულიადაც არ უარვყოფთ, რომ საზღვარგარეთის ორგანიზაციის საქმე მოითხოვს (¼—½ წლის შემ-

დეგ) ახალი ფორმების, ორგანოების, ფუნქციების შექმნას, და ამ მხრივ თქვენი იმედი გვქონდა, მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია დაუყოვნებლივ მოვკიდოთ ამას ხელი, როცა «ზარია» და «ისკრა» ჯერ კიდევ სრულიად არ მომაგრებულან.

იმედი გვაქვს, თქვენ შეხვალთ ჩვენს მდგომარეობაშიც და დაგვეთანხმებით, რომ შემდგომი «ურთიერთობის გარკვევა» ახლა შეუძლებელია.

გართმევთ ხელს.

გაგზავნილია მიუნხენიდან პარიზში
პირველად დაიბეჭდა 1930 წელს
ლენინის კრებულში XIII

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.,
ტ. 36, გვ. 47—49.

ს ვ ა ვ ი ი ღ ა ნ

«მუშათა პარტია და გლეხობა»

ჩვენ შეცდომას დავუშვებდით ისეთი ზომების დაცვა რომ დაგვეწყო, რომელთაც შეუძლიათ შეაფერხონ საზოგადოებრივი განვითარება, ან ხელოვნურად გადაეღობონ წვრილ გლეხობაში კაპიტალიზმის ზრდას, მსხვილი წარმოების განვითარებას; მაგრამ კიდევ უფრო დამღუპველი შეცდომა იქნებოდა, თუ ვერ შევძლებდით გვესარგებლნა მუშათა მოძრაობით გლეხობაში იმ დემოკრატიული მოთხოვნების გასავრცელებლად, რომლებიც ვერ შეასრულა 1861 წლის 19 თებერვლის რეფორმამ მემამულეებისა და მოხელეების მიერ მისი დამახინჯების გამო. ასეთი მოთხოვნების ჩართვა პროგრამაში აუცილებელია ჩვენი პარტიისათვის, თუ კი მას სურს სათავეში ჩაუდგეს მთელ ხალხს თვითმპყრობელობასთან ბრძოლაში*. მაგრამ ასეთი ჩართვა სრულიადაც არ გულისხმობს იმას, რომ ჩვენ აქტიურ რევოლუციურ ძალებს ქალაქიდან სოფლად გავიწვევთ. ამაზე ლაპარაკიც არ შეიძლება.

ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ პარტიის ყველა მებრძოლი ელემენტი ქალაქისა და ფაბრიკა-ქარხნების ცენტრებისაკენ უნდა მიისწრაფოდეს, რომ მხოლოდ სამრეწველო პროლეტარიატს შესწევს უნარი

---

* სოციალ-დემოკრატიული პროგრამის პროექტი ზემოაღნიშნული მოთხოვნების ჩართვით უკვე შედგენილია ჩვენს მიერ. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ «შრომას განთავისუფლების» ჯგუფის დახმარებით ამ პროექტის განხილვისა და გადამუშავების შემდეგ გამოვაქვეყნებთ ერთ-ერთ უახლოეს ნომერში ჩვენი პარტიის პროგრამის პროექტს.

მტკიცე და მასობრივი ბრძოლა აწარმოოს თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, რომ მხოლოდ ამ პროლეტარიატს შესწევს უნარი თავის მხრებზე გადაიტანოს ბრძოლის ისეთი საშუალებანი, როგორიცაა აშკარა დემონსტრაციის მოწყობა ან წესიერად გამომავალი და ფართოდ გასაცრცელებელი ს ა ხ ა ლ ხ ო პოლიტიკური გაზეთის დაარსება...

დაწერილია 1901 წლის თებერვალში
დაიბეჭდა 1901 წლის აპრილს
გაზეთ «ისკრის» № 3-ში

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.
ტ. 4, გვ. 525—526

ვ. ბ. ნოგინს

6. IV. 01.

ახლა მივიღეთ მე და ალექსინ თქვენი წერილი «ზარიას» შესახებ. დიდი მადლობა საფუძვლიანი და გულახდილი შეფასებისათვის: ასეთი შეფასებანი მით უფრო ძვირფასია ჩვენთვის, რომ მათ ძალიან იშვიათად ვხვდებით. თქვენი მითითებანი, რომ «ზარიაში» პოლიტიკური მიმოხილვები და სტატიები არასაკმარისია, სრულიად სამართლიანია. ჩვენ სავსებით გვესმის ეს ნაკლი და ყოველ ღონეს ვიხმართ მის გამოსასწორებლად.

გართმევთ ხელს. თქვენი პ ე ტ რ ო ვ ი.

ამოგზავნილია ჟენევიდან-ლონდონში
პირველად დაიბეჭდა 1928 წელს
ლენინის კრებულში VIII

იბეჭდება კ. ა. ლენინის თხზულებათა
ტომეულის მიხედვით, მე-4 გამოც.
ტ. 36, გვ. 53.

გ. ვ. პლეხანოვს

21. IV. 01.

ძვირფასო გ. ვ.!

ჩვენ ძალიან, ძალიან გვიხარია, რომ თქვენი თავგადასავალი კეთილად დამთავრდა.[74] მოგელით: ბევრი რამ გვაქვს მოსალაპარაკებელი როგორც ლიტერატურულ, ისე ორგანიზაციულ თემებზე. «ისკრაზეც» (მესამე ნომერი მზად უნდა იყოს 1. V-თვის, შემდეგ გვინდა მაშინვე დავბეჭდოთ მეოთხე ნომერი) და «ზარიაზეც». მისამართი შეხვედრისათვის თქვენ გაქვთ — ველიკა დიმიტრის ასულისა. აი მეორეც (ალექსისა) ყოველი შემთხვევისათვის : Occamstr. (Schwabing-ში) 1a, III, rechts bei Frau Kraft, იკითხეთ Herrn Vernet, ოღონდ სჯობია, ამ მისამართით წინასწარ მოიწეროთ, თუ როდის ჩამოხვალთ, რადგან სხვაგვარად ადვილად შეიძლება შინ არ დაგხვდეთ.

გიგზავნით «პრომიშლენნი მირს» №№ 1-11. ფრანკი ჩვენ გვაქვს — გამოგიგზავნით, თუ ჯერ კიდევ ჩამოსვლამდე გჭირდებათ[75].

«ნა სლავნომ პოსტუ»[76] აქ მხოლოდ ერთი ცალი გვაქვს: გამოვიწერთ კიდევ ერთს, ვინაიდან მისი მოთხოვნა დიდია.

ახლანდელ მომენტში რომ ორგანიზაციას უნდა მიენიჭოს უპირატესობა აგიტაციასთან შედარებით, ამის შესახებ სავსებით გეთანხმებით. «ლისტოკ «ისკრა»» ხომ საკმაოდ ფრთხილია აშკარა მოწოდების მხრივ — თუ თქვენ ესეც სახიფათოდ მიგაჩნიათ?[77]

მალე მენახეთ.

თქვენი პ ე ტ რ ო ვ ი.

«ნაროდნოე ხოზიაისტვო»[78] თუ კაცი ხართ, გამოგზავნეთ ან ჩამოიტანეთ.

გაგზავნილია მიუნხენიდან ჟენევაში პირველად დაიბეჭდა 1928 წელს კრებულში ««შრომის განთავისუფლების» ჯგუფი» № 6.

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც., ტ. 36, გვ. 56—57

პ. ბ. აქსელროდს

25. IV. 01.

ძვირფასო პ. ბ.! კარგა ხანია აღარ მისაუბრია თქვენთან, სულ მოუცლელი ვიყავი, თანაც ალექსი გწერდათ ყველაფერს, რაც საქმეს შეეხება*, — მაგრამ საუბრის საჭიროება მეტად დიდი გახდა და მეტი ვეღარ გადავდევი. მინდა მოგეთათბიროთ პარიზელებზეც და ციურიხელებზეც[79] და საერთოდ საქმეებზე.

იცით არა თქვენ, რომ პარიზელებმა «დაშალეს (უკვე დიდი ხანია, 2—3 კვირის წინათ) «ისკრის» ხელშემწყობი ჯგუფი» და უარი განაცხადეს (ხელმეორედ) თანამშრომლობაზე, რასაც იმით ასაბუთებენ, რომ ჩვენ «დავარღვიეთ» «ორგანიზაციული ნეიტრალობა» sic! ** სამართლიანი არა ვართ კავშირისადმი და ტყუილად დავესხით მას თავს «ზარიაში»). ამას წერდა ავტორი «შენიშვნებისა «რაბოჩეე დელოს» პროგრამაზე»[80], თანაც სრულიად არაორაზროვნად გადაკვრით მიუთითებდა, რომ «რაბოჩეე დელო» გამოსწორების გზას ადგას («ფურცლის» № 6-ში[81] იგი გადაჭარბებულადაც გამოსწორდა, ჩვენი აზრით!) და მაშასადამე... მაშასადამე... Vivrons verrons*** — ამთავრებდა ეს «ძვირფასი ჟუხანაგი». აშკარაა (ზოგიერთი «ახალგაზრდა ძალის» მსგავსად, რომლებზეც გ. ვ. წერდა), «რაბოჩეე დელოში» უკეთეს ადგილს უმიზნებს. ჩვენ ისე აღგვაშფოთა ამ გაიძვერობამ, რომ მათ არც ვუპასუხეთ რამე. «რაბოჩეე დელოს» «ისკრის» № 4-ში ვუპირებთ (№ 3 მზად იქნება, როგორც გვპირდებიან, 1. V-სათვის. გვინდა მაშინვე შევუდგეთ № 4-ს) გალანძღვას ფლუგერობისათვის.

ჰო და მე აღარ ვიცი, საბოლოოდ მივაფურთხო ამ ინტრიგანებს თუ... მაინც კიდევ ვცადო. უეჭველია, უნარიანი ადამიანები არიან,

---

* მე აქ ერთი კვირა ავად ვიყავი ინფლუენცით.

** — ასეა! რ ე დ.

*** — თუ ვიცოცხლებთ, ვნახავთ. რ ე დ.

წერდნენ, გვაწვდიდნენ (ორივენი) მასალებს (აგრეთვე დანევიჩიც), ოსტატურად აგროვებდნენ ფულს (მთელი 350 frs*: საზღვარგარეთ ამდენი ჯერ არსად არ შეუგროვებიათ «ისკრისათვის»). და ჩვენც, არსებითად, უდანაშაულო როდი ვართ მათ წინაშე: საკმაო ყურადღებას არ ვიჩენდით, არც ერთ სტატიას არ ვუგზავნიდით გადასათვალიერებლად და «ამხანაგური რჩევისათვის», არ შევთავაზეთ არავითარი «განყოფილება» (თუნდაც უცხოეთის მიმოხილვა «ისკრაში» ან შენიშვნები საზოგადოებრივ ქრონიკაში გარკვეულ საკითხებზე). ეტყობა, საზღვარგარეთის ურთიერთობაში არ შეიძლება, პირდაპირ არ შეიძლება რაიმე ამის მსგავსი არ გააკეთო. აი ბერლინელებსაც[82] (იქ ამას წინათ არსენიევი იყო) სურთ ერთგვარი პოზიცია: «ისკრისათვის» უბრალო დახმარება სტუდენტსაც შეუძლია, ჩვენ კი ან აი დვინსკაიას (ის და მისი ქმარი გადიან კავშირიდან, რომელშიც წევრებისადმი შეკითხვის დროს მხოლოდ სამმა — **გრიშინმა** y compris**! — დაუჭირა მხარი კონფერენციას. Vive camarade G. ***!) — მოგეხსენებათ, რაღაც ისეთი რამ გვინდაო.

პირდაპირ უბედურებაა! უნდა «გამოვიგონოთ» ორგანიზაცია— უამისოდ es geht nicht****. .

მე აზრი დამებადა, ხომ არ შეიძლება ვცადოთ ორგანიზაციის შემდეგი გეგმა: ორგანიზაცია «სოციალ-დემოკრატი», «ზარიას» რედაქცია და ესა და ეს ჯგუფები (მაგალითად, ბერლინელები, — შესაძლოა, პარიზელები და სხვ.) ან ესა და ეს პირები ერთიანდებიან, ვთქვათ, ერთ ლიგად.[83] ლიტერატურული გამგებლობა სამმაგია: «შრომის განთავისუფლების» ჯგუფი თავის სტამბას განაგებს, «ზარია» — თავისას, ხოლო არჩევითი სალიტერატურო კომისია უახლოესი თანამშრომელია, მონაწილეობს პერიოდულ საერთო საredაქციო ყრილობებში და ბეჭდავს (სალიტერატურო კომისიის ხელმოწერით) ბროშურებს და სხვ. «სოციალ-დემოკრატისა» და «ზარიას» სტამბებში, — eventuell ***** მესამე სტამბაშიც, კი ლიგა მოაწყობს მას (ამის ერთგვარი იმედებია) ლიგაში ლიტერატურული საკითხების უმაღლესი გადაწყვეტა ეკუთვნის კონფერენციას სამი წევრისაგან: «შრომის განთავისუფლების» ჯგუფის, «ზარიას» და სალიტერატურო კომისიის წარმომადგენლებისაგან. ადმინისტრაცია საერთო, არჩევითია.

---

* francs — ფრანკი. რედ.
** — მათ შორის. რედ.
*** — გაუმარჯოს ამხანაგ გ—ს! რედ.
**** — არაფერი გამოვა. რედ.
***** — საეარაუდოდ. რედ.

ასეთია ჩემი პროექტის არსი («ისკრა», როგორც რუსული გამოცემა, რა თქმა უნდა, ლიგაში ფორმალურად არ შ ე დ ი ს). პრინციპულად აქ მას იწონებენ, უფროსი დაც. მე მგონია, ასეთი «კონსტიტუცია» («აქსტრიული», როგორც ალექსი ოხუნჯობს) ჩვენთვის სრულებით არ არის საშიში; ხოლო რაიმე ასეთი აუცილებლად საჭიროა, თორემ მთელი ხალხი უკმაყოფილოა და შეიძლება მთლად გაიფანტოს. ამრიგად ჩვენ სავსებით უზრუნველყოფთ თავს არეულობისა და კინკლაობისაგან, სავსებით ვინარჩუნებთ ჩვენს სტამბებსა და რედაქციებს, ხალხს კი ვაძლევთ იმ აუცილებელ გასაქანს, ურომლისოდაც იგი თანახმა არ არის დაგვეხმაროს.

გთხოვთ მომწეროთ, როგორ უყურებთ ასეთ იდეას, და მოელაპარაკეთ მის შესახებ გ. ვ—ს (რომელსაც არა ვწერ, ვინაიდან იგი მალე აქ უნდა ჩამოვიდეს. გზად კი, რა თქმა უნდა, შემოივლის თქვენთან). კერძო საკითხებს არ ვსახავ: მათი მოგვარება ადვილია. თუ ჩვენ ყველანი (ე. ი. მთელი «სოციალ-დემოკრატი») შევთანხმდებით ამაში, ძალიან ბევრი შანსია, რომ ბერლინელები (რომლებსაც სტამბა აქვთ და სწყურიათ «მუშაობა» გარკვეული «პოზიციით») შემოგვიერთდებიან. და მაშინ ჩვენ შეგვეძლება დავუპირდაპიროთ კავშირს ერთიანი «ლიგა», რომელიც ფართო საქმიანობას გააჩაღებს.

არჩევითი ადმინისტრაციისა არ უნდა გვეშინოდეს. ვინაიდან მან უნდა განაგოს მხოლოდ გადაზიდვა და საზღვარგარეთ ფულის შეგროვება, რაც განსაზღვრული პროპორციით განაწილდება «სოციალ-დემოკრატს», «ზარიასა» და სხვებს შორის, «ისკრას» კი არ შეეხება. — «ისკრა» არაფორმალურად იდგება «ზარიას» უკან და «ზარიასთან» ერთად. ფორმალურად ლიგა შეიძლება გამოვაცხადოთ საზღვარგარეთელ მოკავშირედ «ი ს კ რ ი ს» რ უ ს ე თ ი ს ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ა ს თ ა ნ ე რ თ ა დ. რომელსაც ჩვენ უკვე ვაწყობთ.

ლიტერატურული სისულელეებისა აგრეთვე არ უნდა გვეშინოდეს, ვინაიდან (1) სალიტერატურო კომისია წესდებით შეიძლება შეზღუდულ იქნეს დამოუკიდებლად ბეჭდვაში; (2) იგი ბეჭდავს თავისი ხელმოწერით: «შრომის განთავისუფლების» ჯგუფი და «ზარია» მასთან არ აირევიან; (3) იქ შეიძლება ჩვენი ადამიანებიც იყვნენ; (4) იგი ემორჩილება კონფერენციას, სადაც ჩვენ უმრავლესობა გვყავს.

არ ვიცი, რა თქმა უნდა, დაკმაყოფილდებიან თუ არა პარიზელები: ისინი მეტისმეტად ამაყები არიან. ჩვენ კიდევაც გვეუხერხულება მათ მივმართოთ. თუ თქვენ მოიწონებთ გეგმას, ხომ ვერ იკისრებთ მისწეროთ და ნიადაგი მოსინჯოთ: ისინი ხომ ჯერ კიდევ პარიზში გელაპარაკებოდნენ თქვენ თავიანთ სავალალო მდგომარეობაზე — აი თქვენც შესთავაზებდით ასეთ გამოსავალს. თუ თქვენ მოიწონებთ

იდეას, ჩვენ შევეკითხებით კოლცოვს და ვთხოვთ მას შეიმუშაოს «ლიგის» წესდების პროექტი*.

ახლა ციურიხელ-ლატვიელებზე. არ ვიცი, გაიგონეთ თუ არა, რომ მათი დახმარებით მოწყობილი ტრანსპორტი საბოლოოდ ჩაიფუშა 3000 «ისკრა» (№ 1) დაიჭირა პოლიციამ, რომელმაც კონტრაბანდისტიც შეიპყრო. შემდეგ ერთი მათგანი გვწერდა და კიდევ გვთხოვდა ფულს წასასვლელად. ჩვენ ვუპასუხეთ, რომ კიდევ ამ გზისთვის ფულის მიცემა არ შეგვიძლია — ვერ ვბედავთ ჩვენი ორგანიზაციის წინაშე, ხოლო თუ იგი კისრულობს სპეციალურად გადაიტანოს 1 ფუთი (როგორც ჩემთან საუბარში კისრულობდა), მაშინ შემოიაროს-თქო.

პასუხად კრინტიც არ დაუძრავთ. ხომ არ იცით, იწყინეს თუ რაა? როგორია მათი საქმეები და გეგმები? თუ რომელიმე მათგანს ხვდებით, გთხოვთ მოელაპარაკოთ, რომ საქმე გამოარკვიოთ.

ვიწყებთ ფიქრს «ზარიას» № 2-ზე — დროა. ვიტეს ბარათი მალე დამთავრდება, 2—3 კვირის შემდეგ (Dietz-ი რაღაც წარმოუდგენლად აჭიანურებს მას: ჯერჯერობით მზად არის მხოლოდ 9 ფურცელი). მასალები ჯერ არ არის, გარდა ნევზოროვის თქვენთვის უკვე ცნობილი სტატიისა რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ისტორიული მომზადების შესახებ. იმედი გვაქვს გ. ვ.—ის მოწინავისა ახალი მოვლენების შესახებ. მისივე contra Struve**, თქვენი სტატიისა (რედაქციის შენიშვნიდან)—ხომ ასეა?; დაპირებულია სტატიას ლუქსემბურგიც (ახალი შესავალი მისი სტატიებისა «Die sozialistische Krise in Frankreich»***.ეს სტატიები გვინდა უთარგმნოთ), კაუცკი დაგვპირდა სტატიას აკადემიკოსებსა და პროლეტარებზე.

უცხოეთის მიმოხილვები არა გვაქვს. როგორ არის «ავსტრიული» სტატიის საქმე? ხომ არაფერს მოგვცემენ ამერიკიდან? — შვეიცარიიდან? დანევიჩი ავად არისო, ამბობენ. გერმანიაზე დაწერას ვერავის ვთხოვთ—შესაძლოა პარვუსს, რომელიც დაგვპირდა (?) უცხოეთის მიმოხილვას, მაგრამ ეს ის არ არის, რაც ჩვენ გვინდა.

«ისკრის» მეოთხე ნომერში ნაკარაუდევია სტატია ტეროზე (ალექსისა), გვაქვს: «თვითმპყრობელობა და ერობა» (გაგრძელება),

---

* ხალხის წინაშე კარგი იქნებოდა გამოსვლა უკვე «სოციალ-დემოკრატისა» და «ზარიას» საერთო პროექტით.

** სტრუვეს წინააღმდეგ. რ ე დ.

*** — «სოციალისტური კრიზისი საფრანგეთში» რ ე დ.

«თვითმპყრობელობა და ფინანსები» (Parvus-ისა), ზოგი რამ საზოგადოებრივი ქრონიკისა (არის დამატებითი მასალები დემონსტრაციების შესახებ) და მუშათა მოძრაობისათვის. ვფიქრობთ № 4 გამოვუშვათ ერთ ფურცლად (№ 3 მაინც გაიბერა 2 ფურცლამდე, 8 გვერდამდე (შვიდი გვერდი უკვე მზად არის), ისევე როგორც № 1, — და ისიც კიდევ ნაწილის გამოტოვება მოგვიხდა!). საჭიროა მთელი ძალ-ღონე ვიხმაროთ, რომ დავაჩქაროთ «ისკრის» გამოსვლა—ყოველთვიური გავხადოთ.

ნახვამდის! მაგრად გართმევთ ხელს და სალამს ვუძღვნი ყველა თქვენიანს. ასევე ჩემი ცოლიც.

თქვენი პ ე ტ რ ო ვ ი

P. S. მომწერეთ Rittmeyer-ის სახელზე.

არ დამავიწყდეს: უფროსი დის დავალებით გაცნობებთ, რომ 250 frs მიღებულია. ამ ფულის ანგარიში იბეჭდება «ისკრის» № 3-ში («ამერიკიდან აქსელროდის ხელით»). გიგზავნით შტუტგარტის გზით 10 ეგზემპლარ «ზარიას» — გაუგზავნეთ ინგერმანს, მოკრიეევიჩს, etc. გერმანელებისათვის სტატიას დემონსტრაციების შესახებ უფროსი და წერს.

გაგზავნილია მიუნხენიდან ციურახში
პირველად დაიბეჭდა 1925 წელს

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.,
ტ. 34, გვ. 53—58

რით დავიწყოთ?

საკითხი: «რა ვაკეთოთ?» უკანასკნელ წლებში განსაკუთრებული სიძლიერით წამოიჭრა რუსეთის სოციალ-დემოკრატიის წინაშე. ლაპარაკია არა გზის ამორჩევაზე (როგორც ეს იყო 80-იანი წლების დამლეგს და 90-იანის დამდეგს), არამედ იმაზე, თუ რა პრაქტიკული ნაბიჯები უნდა გადავდგათ გარკვეულ გზაზე და სახელდობრ როგორ. ლაპარაკია პრაქტიკული მოღვაწეობის სისტემასა და გეგმაზე. და უნდა ვაღიაროთ, რომ პრაქტიკული პარტიისათვის ეს ძირითადი საკითხი ბრძოლის ხასიათისა და საშუალებათა შესახებ ჯერ კიდევ არ გადაგვიჭრია და ჯერ კიდევ სერიოზული უთანხმოებას იწვევს, რაც აზრის სამწუხარო არასიმტკიცესა და მერყეობას ააშკარავებს. ერთი მხრივ, ჯერ კიდევ სულაც არ მომკვდარა ის «ეკონომიური» მიმართულება, რომელიც ცდილობს შეკვეცოს და შეზღუდოს პოლიტიკური ორგანიზაციის მუშაობა და აგიტაცია. მეორე მხრივ, წინანდებურად ამაყად აუწევია თავი უპრინციპო ეკლექტიზმის მიმართულებამ, რომელიც ყოველ ახალ «აზრთა მიმართულების» ნიღაბით გვევლინება, ის კი არ შეუძლია, რომ ერთიმეორისაგან გაარჩიოს მომენტის მოთხოვნილებები და მთლიანად აღებული მოძრაობის ძირითადი ამოცანები და მუდმივი საჭიროებანი. როგორც ცნობილია, ჰალეთმა მიმართულებამ «რაბოჩეე დელოში» დაიბუდა. მისი უკანასკნელი «პროგრამული» განცხადება —ბოლოვილა სტატიაა ბალალფარდოვანი სათაურით «ისტორიული შემობრუნება» («ლისტოკ «რაბოჩეე დელოს»» № 6) —განსაკუთრებით თვალსაჩინოდ ადასტურებს მოცემულ დახასიათებას. ჯერ კიდევ გუშინ ველოლიავებოდით «ეკონომიზმს». გულისწყრომას გამოვთქვამდით «რაბოჩაია მისლის» მკაცრად დაგმობის გამო, «ვარბილებდით» თვითმპყრობელობასთან ბრძოლის საკითხის ბლეხანოვურ დაყენებას, — დღეს კი უკვე ლიბკნეხტის სიტყვები მოგვყავს: «თუ გარემოება 24 საათში შეიცვლება, საჭიროა ტაქტი-

კაც 24 საათში შეცვალო», უკვე ელაპარაკობთ «მტკიცე მებრძოლ ორგანიზაციაზე» თვითმპყრობელობის წინააღმდეგ პირდაპირი იერიშის მიმტანად, «ფართო რევოლუციურ-პოლიტიკურ (კი ხედავთ რა ენერგიულად: რევოლუციურ და პოლიტიკურ) აგიტაციაზე მასაში», იმაზე, რომ «დაუღალავად მოვუწოდოთ ქუჩაში საპროტესტოდ გამოსვლისათვის», «ქუჩაში მკვეთრი (sic!*) პოლიტიკური ხასიათის მანიფესტაციების მოწყობისათვის» და სხვ. და ა. შ.

ჩვენ, თითქოს, შეგვეძლო სიამოვნება გამოგვეთქვა იმის გამო, რომ «რაბ. დელომ» ასე მალე შეითვისა ჩვენს მიერ უკვე «ისკრის» პირველ ნომერში წამოყენებული ისეთი მტკიცე დარაზმული პარტიის შექმნის პროგრამა, რომელიც მიმართულია არა მარტო ცალკეულ დათმობათა, არამედ თვითმპყრობელობის თვით ციხე-სიმაგრის დასაპყრობად. მაგრამ ამ პროგრამის შემთვისებელთ არ მოეპოვებათ რაიმე მტკიცე თვალსაზრისი და ამას შეუძლია წაგვამწაროს მთელი სიამოვნება.

ლიბერალიზმის სახელს «რაბოჩეე დელო». რა თქმა უნდა, ამაოდ ახსენებს. 24 საათში შეიძლება შეცვალო აგიტაციის ტაქტიკა რაიმე სპეციალურ საკითხზე, პარტიული ორგანიზაციის რაიმე დეტალის გატარების ტაქტიკა. მაგრამ 24 საათში კი არა, თუნდაც 24 თვეში შეცვლა თავისი შეხედულებებისა იმაზე, საჭიროა თუ არა ანაზოგადო, მუდმივ და უსათუოდ მებრძოლი ორგანიზაცია და პოლიტიკური აგიტაცია მასაში, შეუძლიათ მხოლოდ ყოვლად უპრინციპო ადამიანებს. სასაცილოა ვითარების სხვადასხვაობის, პერიოდების ცვლის დამოწმება: მებრძოლი ორგანიზაციის შესაქმნელად და პოლიტიკური აგიტაციის საწარმოებლად მუშაობა საველდებულოა ყოველ ვითარებაში, რა «ჩვეულებრივი და მშვიდობიანიც» უნდა იყოს «რევოლუციური სულისკვეთების დაკემის» რა პერიოდიც უნდა იყოს.—უფრო მეტი: სწორედ ასეთ ვითარებაში და ასეთ პერიოდში განსაკუთრებით საჭიროა აღნიშნული მუშაობა. ვინაიდან აფეთქებათა და აალებათა მომენტში გვიანლაა ორგანიზაციის შექმნა; ის მზად უნდა იყოს, რათა ერთბაშად გაშალოს მუშაობა. «24 საათში ტაქტიკის შეცვლა» იმისათვის რომ ტაქტიკა შეცვალო, საჭიროა ჯერ გქონდეს ტაქტიკა, ხოლო თუ პოლიტიკური ბრძოლის ყოველგვარ ვითარებაში და ყოველგვარ პერიოდში გამოწრთობილი მტკიცე ორგანიზაცია არ მოგეპოვება, მაშინ ლაპარაკიც ზედმეტია რაიმე ტაქტიკაზე. ვინაიდან ტაქტიკის სახელწო-

* — ასე! რ ე დ.

დების ღირსი მხოლოდ ისეთი სამოქმედო გეგმაა, რომელიც მტკიცე პრინციპზეა აგებული და სისტემატურად და განუხრელად ხორციელდება. მართლაც, უყურეთ: ჩვენ უკვე გვეუბნებიან, რომ «ისტორიულმა მომენტმა» ჩვენი პარტიის წინაშე წამოაყენა «სრულიად ახალი» საკითხი — ტერორის შესახებო. გუშინ «სრულიად ახალი» იყო პოლიტიკური ორგანიზაციისა და აგიტაციის საკითხი, დღეს —ტერორის საკითხია. განა უცნაური არ არის, რომ ეს ადამიანები, რომელთაც ასე დავიწყებული აქვთ თავიანთი წარსული, ტაქტიკის ძირეულად შეცვლაზე მსჯელობენ?

საბედნიეროდ, «რაბოჩეე- დელო» მართალი არ არის. ტერორის საკითხი სრულებითაც არ არის ახალი საკითხი; საკმაოა მოკლედ შოვიგონოთ რუსეთის სოციალ-დემოკრატიაში განმტკიცებული შეხედულებანი.

პრინციპულად ტერორზე ჩვენ არც არასოდეს გვითქვამს უარი და ვერც ვიტყვით. ტერორი წარმოადგენს ერთ-ერთ სამხედრო მოქმედებას, რომელიც შეიძლება სავსებით გამოსადეგი და აუცილებელიც იყოს ბრძოლის გარკვეულ მომენტში, ჯარების გარკვეული მდგომარეობის დროს და გარკვეულ პირობებში. მაგრამ საქმის არსი სწორედ ის არის, რომ ტერორს ამჟამად აყენებენ არა როგორც მოქმედი არმიის ერთ-ერთ ოპერაციას, ბრძოლის მთელ სისტემასთან მჭიდროდ დაკავშირებულს და შეთანხმებულს, არამედ როგორც თავისთავადს და ყოველგვარი არმიისაგან დამოუკიდებელ ერთეული თავდასხმის საშუალებას. და ტერორი არც შეიძლება სხვა რაიმეს წარმოადგენდეს, როცა ცენტრალური რევოლუციური ორგანიზაცია არ არსებობს და ადგილობრივნი კი სუსტნი არიან. ეი ამიტომ ჩვენ გადაჭრით ვაცხადებთ, რომ არსებულ პირობებში ბრძოლის ასეთი საშუალება არადროული და მიზანშეუწონელია, იგი ყველაზე უფრო აქტიურ მებრძოლთ ჩამოაშორებს ნამდვილ, მთელი მოძრაობისათვის ყველაზე დიდმნიშვნელოვან ამოცანას და დეზორგანიზაციას შეიტანს არა მთავრობის, არამედ რევოლუციურ ძალებში. მოიგონეთ უკანასკნელი ამბები: ჩვენს თვალწინ ქალაქის მუშების და ქალაქის «მდაბიო ხალხის» ფართო მასები ბრძოლისაკენ-ისწრაფვიან, ხოლო რევოლუციონერებს არ მოეპოვებათ ხელმძღვანელთა და ორგანიზატორთა შტაბი. ასეთ პირობებში ყველაზე უფრო ენერგიული რევოლუციონერების ტერორით გატაცება დასუსტებას ხომ არ უქადის იმ მებრძოლ რაზმებს, რომლებზეც შეიძლება მხოლოდ სერიოზული იმედის დამყარება? განა ეს საფრთხეს არა ქმნის, რომ კავშირი გაწყდება რევოლუციურ ორგანიზაციებსა

და იმ უკმაყოფილო, პროტესტანტ და ბრძოლისთვის მზადმყოფ დაქსაქსულ მასებს შორის, რომლებიც სწორედ თავიანთი დაქსაქსულობით არიან სუსტნი? და ეს მაშინ, როცა ეს კავშირი ჩვენი წარმატების ერთადერთი საწინდარია. ჩვენ ფიქრადაც არ მოგვდის უარვყოთ ცალკეულ გმირულ დარტყმათა ყოველგვარი მნიშვნელობა. მაგრამ ჩვენი ვალია მთელი ენერგიით გამოვთქვათ გაფრთხილება ტერორით გატაცების წინააღმდეგ, ბრძოლის მთავარ და ძირითად საშუალებად მისი აღიარების წინააღმდეგ. რისკენაც ახლა ძალიან, ძალიან ბევრნი იხრებიან. ტერორი ვერასოდეს ვერ გახდება ჩვეულებრივ სამხედრო მოქმედებად: უკეთეს შემთხვევაში ის გამოსადეგია მხოლოდ როგორც გადამწყვეტი იერიშის ერთ-ერთი ხერხი. კითხვა იბადება, შეგვიძლია თუ არა ჩვენ ახლა მ ო ვ უ წ ო დ ო თ ანეთი იერიშისთვის? «რაბ. დელო»(ჩანს, ფიქრობს, რომ შეგვიძლია. ყოველ შემთხვევაში ის გაჰკივის: «დაიწყეთ საიერიშო კოლონებად!» მაგრამ ესეც ხომ უაზრო გულმოდგინებაა. ჩვენი სამხედრო ძალების მთავარი მასა—მოხალისენი და აჯანყებულნი არიან. ჩვენი მუდმივი ჯარი მხოლოდ რამდენიმე პატარა რაზმს შეიცავს და ისიც არ არის მობილიზებული, ურთიერთშორის დაკავშირებული, საერთოდ, სამხედრო კოლონებად დაწყობაც კი არ იციან, არამცთუ საიერიშო კოლონებად. ასეთ პირობებში ყველასათვის, ვისაც ჩვენი ბრძოლის საერთო პირობების მიმოხილვის უნარი აქვს და ვინც არ ივიწყებს ამ პირობებს ამბების ისტორიული მსვლელობის ყოველ «მოსახვევზე», — ნათელი უნდა იყოს, რომ ჩვენი ლოზუნგი დღევანდელ მომენტში არ შეიძლება იყოს «იერიშზე გადასვლა», არამედ უნდა იყოს: «წესიერი ალყის შემორტყმა მტრის ციხე-სიმაგრისათვის». სხვა სიტყვებით: ჩვენი პარტიის უშუალო ამოცანა არ შეიძლება იყოს მოწოდება მთელი არსებული ძალების ახლავე იერიშზე გადასვლისაკენ, არამედ უნდა იყოს მოწოდება ისეთი რევოლუციური ორგანიზაციის შექმნისაკენ, რომელსაც შეეძლება ყველა ძალის გაერთიანება და მოძრაობის ხელმძღვანელობა არა მარტო სიტყვით, არამედ საქმითაც, ე. ი. მუდამ მზად ყოფნით მხარისდასაჭერად ყოველი პროტესტისათვის და ყოველი აფეთქებისათვის, რათა ისინი გამოყენებულ იქნენ გადამწყვეტი ბრძოლისათვის, გამოსადეგი სამხედრო ძალების გასამრავლებლად და განსამტკიცებლად.

თებერვლისა და მარტის ამბების[84] გაკვეთილი ისე მნიშვნელოვანია. რომ ასეთი დასკვნის წინააღმდეგ ახლა საეჭვოა ვინმეს პრინციპული მოსაზრებანი ჰქონდეს. მაგრამ ამჟამად ჩვენ მოგვეთხოვე-

ბა საკითხის. არა პრინციპული, არამედ პრაქტიკული გადაჭრა. მოგვეთხოვება არა მხოლოდ იმის გამორკვევა, თუ სახელდობრ რა ორგანიზაცია, სახელდობრ რა მუშაობისთვისაა საჭირო, — მოგვეთხოვება ორგანიზაციის გარკვეული გეგმის შემუშავება, რათა შესაძლებელი გახდეს ამ გეგმის აგების დაწყება ყოველი მხრივ. საკითხის გადაუდებელი მნიშვნელობის გამო ჩვენ, ჩვენდათავად, გადავწყვიტეთ ამხანაგების საყურადღებოდ წარმოვადგინოთ იმ გეგმის წინასწარი მონასახი, რაც უფრო დაწვრილებით განხილული გვაქვს ბროშურაში, რომელიც დასაბეჭდად მზადდება.

ჩვენი აზრით, მუშაობის ამოსავალი პუნქტი, პირველი პრაქტიკული ნაბიჯი სასურველი ორგანიზაციის შესაქმნელად, დასასრულ, მთავარი ძაფი, რომელზე ხელის ჩაჭიდებით შევძლებთ ამ ორგანიზაციის ვანუხრელად განვითარებას, გაღრმავებას და გაფართოებას — უნდა იყოს საერთო-რუსეთის პოლიტიკური გაზეთის დაარსება. უწინარეს ყოვლისა ჩვენ გვესაჭიროება გაზეთი — უმისოდ შეუძლებელია პრინციპულად გამართული და ყოველმხრივი პროპაგანდისა და აგიტაციის სისტემატურად წარმოება, რაც შეადგენს სოციალ-დემოკრატიის მუდმივსა და მთავარ ამოცანას საერთოდ და განსაკუთრებით კი ახლანდელი მომენტის საარსებო ამოცანას. როცა მოსახლეობის მეტად ფართო ფენებში გაღვიძებულია ინტერესი პოლიტიკისადმი, სოციალიზმის საკითხებისადმი: და არასოდეს ასე ძლიერ საგრძნობი არ ყოფილა, როგორც ახლა, იმის გითხოვნილება, რომ დაქსაქსული აგიტაცია შეკრებულ იქნეს პირადი ზემოქმედების, ადგილობრივი ფურცლების, ბროშურების და სხვათა საშუალებით, იმ განზოგადებული და რეგულარული აგიტაციით, რომლის წარმოება შეიძლება მხოლოდ პერიოდული პრესის საშუალებით. გადამეტებული არ იქნება იმის თქმა, რომ გაზეთის გამოსვლის (და გავრცელების) სიხშირე და რეგულარობა ყველაზე უფრო ზუსტი საზომი იქნება იმისა, თუ რამდენად საფუძვლიანად არის დაყენებული ჩვენი სამხედრო მუშაობის სწორედ ეს პირველდაწყებითი და ყველაზე საარსებო დარგი. შემდეგ, ჩვენ გვესაჭიროება სწორედ საერთო-რუსეთის გაზეთი. თუ ჩვენ ვერ შევძლებთ და სანამ ვერ შევძლებთ ჩვენი ზემოქმედება ხალხსა და მთავრობაზე გავავრცელოთ ბეჭდვითი სიტყვის საშუალებით, — უტოპია იქნება იმის ფიქრი, რომ გავაერთიანებთ ზემოქმედების სხვა, უფრო რთულ, ძნელ, მაგრამ სამაგიეროდ უფრო გადამწყვეტ საშუალებებს. ჩვენს მოძრაობას როგორც იდეური, ისე პრაქტიკული, ორგანიზაციული მხრივ ყველაზე მეტად აბრკოლებს დაქსაქსულობა.

ის, რომ სოციალ-დემოკრატების დიდი უმრავლესობა თითქმის სრულიად გართულია წმინდა ადგილობრივი მუშაობით, რაც ზღუდავს მათს გონებრივ არეს, მათი მუშაობის გაქანებას, მათს კონსპირაციულ ხერხიანობასა და მომზადებულობას. სწორედ ამ დაქსაქსულობაში უნდა ვეძიოთ იმ არასიმტკიცისა და მერყეობის ყველაზე ღრმა ფესვები, რაზედაც ზემოთ ვლაპარაკობდით. და პირველი წინგადადგმული ნაბიჯი ამ ნაკლისაგან თავის დაღწევის გზაზე, რამდენიმე ადგილობრივი მოძრაობის ერთიანი საერთო-რუსეთის მოძრაობად გადაქცევის გზაზე უნდა იყოს საერთო-რუსეთის გაზეთის დაარსება. დასასრულ, ჩვენ გვესაჭიროება უეჭველად პოლიტიკური გაზეთი. პოლიტიკური ორგანოს გარეშე თანამედროვე ევროპაში წარმოუდგენელია მოძრაობა, რომელიც პოლიტიკური მოძრაობის სახელწოდების ღირსი იქნება. უმისოდ აბსოლუტურად განუხორციელებელია ჩვენი ამოცანა—პოლიტიკური უკმაყოფილებისა და პროტესტის ყველა ელემენტის კონცენტრაცია და მათი საშუალებით პროლეტარიატის რევოლუციური მოძრაობის განაყოფიერება. ჩვენ გადავდგით პირველი ნაბიჯი, მუშათა კლასში გავაღვიძეთ მისწრაფება «ეკონომიურ». ფაბრიკული მხილებისადმი. ჩვენ უნდა გადავდგათ შემდგომი ნაბიჯი: ხალხის ცოტად თუ ბევრად შეგნებულ ფენებში გავაღვიძოთ მისწრაფება პოლიტიკური მხილებისადმი. არ უნდა შეგვაკროს ომან, რომ ამჟამად პოლიტიკური მხილების ხმები ასე სუსტად. იშვიათად და გაუბედავად გაისმის. ამის მიზეზი სრულებითაც არ არის საყოველთაო შერიგება პოლიციის თვითნებობასთან. მიზეზი ის არის, რომ იმ ადამიანებს, რომელთაც შესწევთ მხილების უნარი და მზად არიან ამხილონ, არა აქვთ ტრიბუნა, საიდანაც შეეძლებათ ლაპარაკი. — არა ჰყავთ აუდიტორია, ორატორების გატაცებით მომსმენი და გამამხნევებელი.---ისინი ვერსად ვერ ხედავენ ხალხში ისეთ ძალას, რომ გარკვევით ღირდეს მას მიმართონ ჩვენ-ლი რუსეთის «ყოველისშემძლე» მთავრობის წინააღმდეგ. ახლა კი ყოველივე ეს უდიდესი სისწრაფით იცვლება. ასეთი ძალა არის. ესაა რევოლუციური პროლეტარიატი. მან უკვე დაამტკიცა, რომ მზად არის არამცთუ მოისმინოს და მხარი დაუჭიროს პოლიტიკური ბრძოლისადმი მოწოდებას, არამედ გაბედულადაც გადაეშვას ამ ბრძოლაში. ახლა ჩვენ შეგვიძლია და მოვალენიც ვართ შევქმნათ ტრიბუნა მეფის მთავრობის საყოველთაო-სახალხო მხილებისათვის: — ასეთი ტრიბუნა უნდა იყოს სოციალ-დემოკრატიული გაზეთი. რუსეთის მუშათა კლასი, რუსეთის საზოგადოების სხვა კლასებისა და ფენებისაგან განსხვავე-

ბით, მუდმივ ინტერესს იჩენს პოლიტიკური ცოდნისადმი, მუდმივ (და არა მხოლოდ განსაკუთრებული აღტყინების პერიოდებში) უდიდეს მოთხოვნებს აყენებს არალეგალურ ლიტერატურაზე. როცა ასეთი მასობრივი მოთხოვნილებაა, როცა უკვე ყალიბდებიან გამოცდილი რევოლუციური ხელმძღვანელები, როცა მუშათა კლასი ისე კონცენტრირებულია, რომ ფაქტიური ბატონი გამხდარა დიდი ქალაქის მუშათა უბნებში, საქარხნო და საფაბრიკო დაბებში, ასეთ პირობებში პოლიტიკური გაზეთის დაარსება საესებით შესაძლისია პროლეტარიატისათვის, ხოლო პროლეტარიატის საშუალებით გაზეთი შეიჭრება ქალაქის მდაბიო მოსახლეობაშიც. სოფლის შინამრეწველებსა და გლეხებში და ნამდვილ სახალხო პოლიტიკურ გაზეთად გადაიქცევა.

მაგრამ გაზეთის როლი არ შემოიფარგლება მარტოოდენ იდეების გავრცელებით, მარტოოდენ პოლიტიკური აღზრდით და პოლიტიკურ მოკავშირეთა მოპოვებით. გაზეთი არის არა მარტო კოლექტიური პროპაგანდისტი და კოლექტიური აგიტატორი, არამედ კოლექტიური ორგანიზატორიც. ამ უკანასკნელ მხრივ ის შეიძლება შევადაროთ ხარაჩოს, რომელსაც აგებენ ასაშენებელი შენობის გარშემო; ხარაჩო სახავს შენობის კონტურებს, აადვილებს კავშირს ცალკეულ მშენებელთა შორის, ეხმარება მათ სამუშაოს განაწილებასა და ორგანიზებული შრომით მიღწეული საერთო შედეგების თვალყურის დევნებაში. გაზეთის შემწეობით და მასთან დაკავშირებით თავისთავად მოეწყობა მუდმივი ორგანიზაცია, რომელიც გასწევს არა მარტო ადგილობრივს, არამედ იმ რეგულარულ საერთო მუშაობასაც, რომელიც მიაჩვევს თავის წევრთ ყურადღებით ადევნონ თვალყური პოლიტიკურ ამბებს, შეაფასონ მათი მნიშვნელობა და მათი გავლენა მოსახლეობის სხვადასხვა ფენაზე, გამოიმუშაონ რევოლუციური პარტიის მხრივ ამ ამბებზე მიზანშეწონილი ზემოქმედების საშუალებანი. უკვე მარტოოდენ ტექნიკური ამოცანა—გაზეთის უჩრუნველყოფა მასალების წესიერად მიწოდებით და გაზეთის წესიერად გავრცელება—გვაიძულებს შევქმნათ ერთიანი პარტიის აღგილობრივი აგენტების ქსელი, აგენტებისა, რომელთაც ცოცხალი კავშირურთიერთობა ექნებათ ერთმანეთთან. ეცოდინებათ საქმის საერთო მდგომარეობა, შეეჩვევიან საერთო რუსეთის სამუშაოს ცალკე ფუნქციების რეგულარულად შესრულებას, მოსინჯავენ თავიანთ ძალებს ამა თუ იმ რევოლუციური მოქმედების.

მოსაწყობად. აგენტების* ეს ქსელი სწორედ ისეთი ორგანიზაციის ჩონჩხი იქნება, როგორიც ჩვენ გვესაჭიროება: საკმაოდ დიდისა, რომ მთელი ჩვენი ქვეყანა მოიცვას; საკმაოდ ფართო და მრავალმხრივისა, რომ ზუსტად და დეტალურად გაანაწილოს შრომა; საკმაოდ გამძლესი, რომ ყოველ გარემოებაში, ყოველ «მოსახვევში» და მოულოდნელ შემთხვევებში შეძლოს მტკიცედ წარმართოს თავისი მუშაობა; საკმაოდ მოქნილისა, რომ შეძლოს, ერთი მხრივ, გაშლილ ველზე თავი აარიდოს შეტაკებას ბევრად უფრო ძლიერ მტერთან, როცა ამ უკანასკნელს ერთ ადგილას დაუგროვებია მთელი ძალები, ხოლო მეორე მხრივ, რომ შეძლოს ისარგებლოს ამ მტრის მოუქნელობით და თავს დაესხას მას მაშინ და იქ, სადაც ყველაზე ნაკლებად მოელიან თავდასხმას. დღეს ჩვენს წინაშე წამოიჭრა შედარებით იოლი ამოცანა: მხარი დავუჭიროთ სტუდენტებს, რომლებიც დემონსტრაციებს მართავენ დიდი ქალაქების ქუჩებში. ხვალ, შეიძლება, უფრო ძნელი ამოცანა დადგეს ჩვენს წინაშე, — მაგ; მხარისდაჭერა გარკვეული რაიონის უმუშევართა მოძრაობისთვის. ზეგ ჩვენ უნდა ვავჩერდეთ ჩვენს პოსტზე, რათა რევოლუციური მონაწილეობა მივიღოთ გლეხთა ამბოხებაში. დღეს ჩვენ უნდა ვისარგებლოთ პოლიტიკური მდგომარეობის იმ გამწვავებით, რომელიც შექმნა მთავრობამ ერობის წინააღმდეგ გალაშქრებით. ხვალ ჩვენ მხარი უნდა დავუჭიროთ მოსახლეობის აღშფოთებას მეფის ამა თუ იმ თავგასული ბაშიბუზუკის წინააღმდეგ და დავეხმაროთ... ბოიკოტით, დევნით, მანიფესტაციებით და სხვ.—ისეთი დღე დააყენოს მას, რომ იძულებული გახდეს აშკარად უკან დაიხიოს. საომრად მზადყოფნის ასეთი მდგომარეობის მიღწევა შეიძლება მხოლოდ მუდმივი მუშაობით. რომელშიც ჩაბმული უნდა იყოს რეგულარული ჯარი. და თუ ჩვენს ძალებს შევაერთებთ საერთო გაზეთის გაძღოლის ირგვლივ. ასეთი მუშაობა მოამზადებს და წამოაყენებს არა მარტო ყველაზე უფრო უნარიან პროპაგანდისტებს. არამედ აგრეთვე ყველაზე უფრო დახელოვნებულ ორგანიზატორებსაც. პარტიის ყველაზე ნიჭიერ პოლიტიკურ ბელადებს, რო-

* ბავშვისთავად ცხადია, ასეთი აგენტები მხოლოდ მაშინ შეძლებენ წარმატებით მუშაობას, თუ მჭიდროდ დაუკავშირდებიან ჩვენი პარტიის ადგილობრივ კომიტეტებს (ჯგუფებს, წრეებს). საზოგადოდ ჩვენ მიერ დასახული მთელი გეგმა შეიძლება განხორციელდეს, რა თქმა უნდა, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მას უაღრესად აქტიურად დაუჭერენ მხარს ის კომიტეტები, რომლებსაც არა ერთხელ გადაუდგამთ ნაბიჯი პარტიის გასაერთიანებლად და რომლებიც — დარწმუნებული ვართ — მიაღწევენ ამ გაერთიანებას დღეს თუ არა, ხვალ მაინც, თუ არა ამგვარი, სხვა ფორმით მაინც.

მელთაც შეეძლებათ საჭირო მომენტში წამოაყენონ გადამწყვეტი ბრძოლის ლოზუნგი და უხელმძღვანელონ ამ ბრძოლას.

დასასრულ—ორიოდე სიტყვა შესაძლო გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად. ჩვენ ამდენ ხანს მხოლოდ სისტემატურსა და გეგმაშეწონილ სამზადისზე ვლაპარაკობდით, მაგრამ ამით სულაც არ გვინდოდა გვეთქვა, თითქოს თვითმპყრობელობა შეიძლება დაემხოს მხოლოდ და მხოლოდ წესიერი ალყის შემორტყმით ან ორგანიზებული იერიშით. ასეთი შეხედულება უაზრო დოქტრინიორობა იქნებოდა. პირიქით, სავსებით შესაძლოა და ისტორიულად გაცილებით უფრო მოსალოდნელიცაა, რომ თვითმპყრობელობა დაემხობა ერთ-ერთ იმ სტიქიურ აფეთქებათა ან გაუთვალისწინებელ პოლიტიკურ გართულებათა ზეგავლენით, რომლებიც მუდამ ყოველი მხრივ ემუქრება მას. მაგრამ არც ერთ პოლიტიკურ პარტიას, თუ ის ავანტიურიზმში არ გადავარდნილა, არ შეუძლია თავისი მუშაობა ააგოს ასეთ აფეთქებათა და გართულებათა ვარაუდზე. ჩვენ უნდა ვიაროთ ჩვენი გზით, განუხრელად ვაწარმოოთ ჩვენი სისტემატური მუშაობა. და, რაც უფრო ნაკლებ გვექნება მოულოდნელი შემთხვევების იმედი, მით უფრო მეტი შესაძლებლობა გვექნება, რომ მზად ვიქნებით ყოველგვარ «ისტორიულ მოსახვევზე».

დაწერილია 1901 წლის მაისში
დაიბეჭდა 1901 წლის მაისში
«ისკრის» № 4-ში

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.,
ტ. 5, გვ. 5—15

ლ. მ. კნიპოვიჩს

როგორ ფიქრობთ მოაწყოთ «ისკრის» ბეჭდვა რუსეთში? საიდუმლო სტამბაში თუ ლეგალურში? თუ უკანასკნელია, მომწერეთ დაუყოვნებლივ, გაქვთ თუ არა გარკვეული იმედები: ჩვენ მზად ვიქნებით ორივე ხელი ჩავჭიდოთ ამ გეგმას (რომელიც, როგორც გვარწმუნებდნენ, შესაძლებელია კავკასიაში) და სახსრებიც ბევრი არ დასჭირდებოდა*. თუ პირველია, მიიღეთ მხედველობაში, რომ ჩვენს ფურცელში (4 გვ.) 100 ათასამდე ასოა [და ეს თვეში!]: თავს გაართმევს თუ არა ამას საიდუმლო სტამბა?? ხომ არ შეიწირავს იგი მეტისმეტად დიდი რისკით უამრავ ფულსა და ადამიანებს?? უმჯობესი ხომ არ არის, რომ ეს ფული და ძალები მოვახმაროთ ტრანსპორტს, ურომლისოდაც რუსეთი სულ ერთია იოლად ვერ გავა.

დაწერილია 1901 წ. 28 მაისს
გაგზავნილია მიუნხენიდან ასტრახანში
პირველად დაიბეჭდა 1928 წელს

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც., ტ. 34, გვ. 65

---

* თუ რამდენადმე რიგიანი კავშირი გაქვთ ლეგალურ სტამბებთან, აუცილებლად მოითათბირეთ მათთან ამ საქმეზე და მოგვწერეთ: საამისოდ ჩვენ გვაქვს ჩვენი, ძალიან პრაქტიკული (და ნაცადი) გეგმა.[85]

პ. ბ. აქსელროდს

1. VI. 01.

ძვირფასო პ. ბ.! ახლა მივიღეთ თქვენი წერილი მასალებისა და დებ.-ის* წერილების დართვით.[86] დიდი მადლობა; საჭირო გახდება გავერკვეთ მასალაში.

დებ.-ის წინადადების გამო ჩვენ, რა თქმა უნდა, თანახმა ვართ ჩავაბაროთ მას 300 ანაბეჭდი და იმედი გვაქვს, მისი დათქმული პირობები სულ მცირედ დაბრკოლებასაც არ შეუქმნიან ჩვენ მიერ მოგონებათა ბეჭდვებას. უკანსკნელი ვადა «ზარიას» მე-2 №-სათვის ერთი თვეა, ე. ი. პირველ ივლისს უნდა გამოვიდეს. უმეტესი ოდენობაა 2 თაბახი, — maximum $2^1/_2$ იმედი გვაქვს თავის 4—5 თაბახს ის გაჰყოფს თავებად ისე, რომ «ზარიას» № 2 და № 3-სათვის შესაფერისი იყოს.

კონფერენციის შესახებ ჯერ არაფერი ვიცით.[87] გთხოვთ, დაიყოლიოთ კოლცოვი და კიდევ ვინმე «სოციალ-დემოკრატიდან», რომ დათანხმდნენ. ეს ხომ ჯერ კიდევ არაფერს გვავალდებულებს, ჩვენ კი მოგვხსნის odium-ს**, თითქოს არ გვსურდეს დავის შეწყვეტა. ჩვენ არ ვაპირებთ, ღმერთმანი, რაიმე არსებითი დავუთმოთ «ბორბას», თუ «რაბოჩეე დელოს» (რა სუსტია მისი «ლისტოკის»[88] № 7. ჩვენ უკვე ახლა გავუსწარით მას ტექნიკური მხრივაც ცნობების სისწრაფით).

იბეჭდება «ისკრის» № 5. იქ მოწინავეა «უაზრო ოცნებებზე» (სტაროვერისა), გ. ვ-ის ფელეტონი «ახალი ღვინო ძველ გუდაში» — სოციალისტ-რევოლუციონერების მანიფესტისა და მათი სოციალ-დემოკრატებისაკენ მობრუნების შესახებ. შემდეგ ერთი (ან ორიც კი) პატარა სტატია 4—7 მაისის ზოცვა-ელეტაზე ს.-პეტერ-

* მის წერილს, ცხადია, შევინახავთ.
** — უსიამოვნება, ბრალდება, საყვედური. რ ე დ.

ბურგში (ვიბორგის რაიონში და ობუხოვოს ქარხანაში). არის მცირეოდენი მასალა საზოგადოებრივი ქრონიკისა და მუშათა მოძრაობისათვის, აგრეთვე განყოფილებისათვის «პირველი მაისი რუსეთში» — მაგალითად, პეტერბურგელი მუშა ქალის ცოცხალი წერილი მუშის (მისი ნათესავის) მოკვლაზე 4 მაისს ხალხში, რომელიც ნევის პროსპექტისაკენ მიდიოდა.[89] წერილი ჩვენი მახლობელი მეგობრის — ივანოვო-ვოზნესენსკის მუშისა იქაური განწყობილების შესახებ, 1 მაისის დღესასწაულობის ცდებზე.[90] «ისკრის» წარმატებაზე...

გაგზავნილია მიუნხენიდან ციერიხში
პირველად დაიბეჭდა 1925 წელს
ლენინის კრებულში II.

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.,
ტ. 36, გვ. 65—66

ს. ო. ცედერბაუმს

ეს არის მივიღეთ წერილი პახომის ძმის, იაბლოჩკოვისა და ბრუსკოვის გეგმით. არ შეგვიძლია დავმალოთ, რომ ჩვენ არა თუ ვერ დავეთანხმებით ამ გეგმის ვერც ერთ ნაწილს (თუმცა პირველზე კიდევ შეიძლება დავა), არაბედ პირდაპირ გაგვაკვირვა კიდევაც ამ გეგმამ, განსაკუთრებით მეორე ნაწილმა: 1) ყველა წავიდეს პიტერში, 2) მოეწყოს «ისკრის» რუსეთის ორგანიზაციის რაიონული ორგანო. იმდენად გაოცებული ვართ, რომ წინასწარ ვიხდით ბოდიშს, თუ შემდგომ გადმოცემაში მეტად მკვახე სიტყვა წამოგვცდება.

ეს რაღაც წარმოუდგენელია! მთელი წლის საშინელი ღონისძიებების შემდეგ ძლივძლივობით ვახერხებთ დავიწყოთ ამ უდიდესი და უაღრესად არსებითი ამოცანისათვის ხელმძღვანელთა და ორგანიზატორთა შტაბის შედგენა რუსეთში (ეს შტაბი ჯერ კიდევ საშინლად მცირეა, ვინაიდან ჩვენ, მოხსენიებული სამი პირის გარდა, კიდევ 2 — 3 კაცი გვყავს, საერთო-რუსული ორგანოსათვის კი საჭიროა არა ერთი ათეული ასეთი ენერგიული თანამშრომელი, ამ სიტყვის ა რ ა მ ა რ ტ ო ლიტერატურული გაგებით), და უცებ კვლავ დავაქციოთ შენობა და დავუბრუნდეთ ძველ კუსტარულობას! უფრო თვითმკვლელური ტაქტიკა «ისკრისათვის» მე ვერც წარმომიდგენია! რაიონული ორგანო არსებული «იუჟნი რაბოჩის»[9] მსგავსად—ეს იმას ნიშნავს, რომ ხელახლა დაეხარჯოთ უამრავი სახსრები და ადამიანები რედაქციაზე, ტექნიკაზე, ექსპედიციაზე და სხვ., და მერე რისთვის? წელიწადნახევარში ხუთი ნომრისთვის! და ამასაც იგი ახლა ვერასგზით ვერ მიაღწევს წელიწადნახევარში, ვინაიდან «იუჟნი რაბოჩის» ის უპირატესობა ჰქონდა, რომ მას ქმნიდა განვითარების აპოგეაში მდგომი უკვე ჩამოყალიბებული კომიტეტი, ე. ი. მთელი ორგანიზაცია. თქვენ ჯერჯერობით მხოლოდ სამნი ხართ.

იმის გულისათვის, რომ ნაცვლად იმ შეზღუდულობასთან ბრძოლისა, რომელიც პიტერელს აიძულებს დაივიწყოს მოსკოვი, მოსკოველს პიტერი, კიეველს ყველაფერი, გარდა კიევისა, ნაცვლად იმისა, რომ ვასწავლოთ ადამიანებს (მათ წლობით უნდა ვასწავლოთ ეს, თუ გვსურს შევქმნათ ამ სახელწოდების ღირსი პოლიტიკური პარტია) საერთო-რუსული საქმის გაძღოლა, — ნაცვლად ამისა კვლავ კუსტარული მუშაობის, ადგილობრივი შეზღუდულობის წახალისება და საერთო-რუსულის ნაცვლად რაღაც პოშეხონური სოციალ-დემოკრატიის განვითარება, — ეს მხოლოდ პოშეხონურობა იქნება, ეს არ შეიძლება სხვა რამე იყოს. გამოცდილებით დავრწმუნდით, თუ რა მცირე ძალები მოგვეპოვება ნამდვილად პოლიტიკური ორგანოს შესაქმნელად, რა ცოტა გვყავს თანამშრომლები, რეპორტიორები, რა ცოტა გვყავს პოლიტიკური კავშირურთიერთობის მქონე ადამიანები, რა ცოტა გვყავს ტექნიკისა და ექსპედიციის პრაქტიკოსები.

ისინი მთელი რუსეთისათვის ცოტანი არიან, ხოლო ჩვენ ახალი ადგილობრივი წამოწყების დაარსების გულისათვის კიდევ დავჭაქსავთ მათ და მივატოვებთ უკვე დაწყებულ საერთო-რუსულ წამოწყებას, რომელსაც ყოველმხრივი დახმარება ესაჭიროება. უკეთეს შემთხვევაში, ამ ახალი გეგმის ბრწყინვალე წარმატების შემთხვევაში, ეს გამოიწვევს რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ტიპის დაკნინებას, მისი პოლიტიკური მნიშვნელობის დაკნინებას, იმიტომ რომ «ადგილობრივი» პოლიტიკური გაზეთი შეუძლებელია, ვინაიდან ადგილობრივ ორგანოში საერთო-პოლიტიკური განყოფილება ყოველთვის უფრო სუსტი იქნება. თქვენ წერთ: «მასობრივი» ორგანო. ჩვენ სრულებით ვერ გაგვიგია, რა მხეცია ეს. ნუთუ პახომის ძმაც უკვე იმას ფიქრობს, რომ უფრო დაბლა უნდა დავეშვათ. მოწინავეებიდან მასამდე, ვწეროთ რაც შეიძლება მარტივად და ცხოვრებასთან რაც შეიძლება უფრო ახლოს?? ნუთუ ჩვენი მიზანი ის არის, რომ «მასას» მივუახლოვდეთ, და არა ის, რომ ეს უკვე ამოძრავებული მასა ავამაღლოთ ორგანიზებული პოლიტიკური მოძრაობის დონემდე? ნუთუ გვაკლია წერილები ფაბრიკებიდან და ქარხნებიდან, და არა პოლიტიკური მხილებანი, პოლიტიკური ცოდნა, პოლიტიკური განზოგადებანი? და აი ჩვენი პოლიტიკური განზოგადებების გასაფართოებლად და გასაღრმავებლად მოდით დავაქუცმაცოთ საერთო საქმე რაიონულ საქმეებად! და გარდა პოლიტიკური დაკნინებისა ისინი გარდუვალად ტექნიკურად

დააკნინებენ საქმეს რაიონული ორგანოს გეგმით. მთელი ძალების «ისკრაზე» შ ე ე რ თ ე ბ ი თ ჩვენ შეგვიძლია მოვაწყოთ (ეს ახლა უკვე დ ა მ ტ კ ი ც ე ბ უ ლ ი ა ერთი წლის გამოცდილების შემდეგ) ყოველთვიური გაზეთის გამოცემა, მართლაც პოლიტიკური მასალით, რაიონული ორგანოს პირობებში კი ახლა წელიწადში 4 ნომერზეც არ შეიძლება ფიქრი. ხოლო თუ მოუთმენლად არ მივაწყდებით ერთი გეგმიდან მეორეს და თუ არ შეგვაკრთობს დროებითი წარუმატებლობანი და საერთო-რუსული წამოწყების ნელი ზრდა, სავსებით შესაძლებელი იქნება $^1/_2$—1 წლის შემდეგ ორკეირეულ ორგანოსაც მივაღწიოთ (რაზედაც ჩვენ უკვე დაჟინებით ვფიქრობთ). ჩვენ, რა თქმა უნდა, ვგულისხმობთ, რომ პახომის ძმა, იაბლოჩკოვი და ბრუსკოვი წინანდელ გზაზე დგანან, იწონებენ «ისკრის» მიმართულებასაც და ორგანიზაციულ გეგმასაც, — ხოლო თუ მათ შეიცვალეს შეხედულება ამ საკითხებზე, მაშინ, რა თქმა უნდა, სულ სხვა საქმეა. საერთოდ, ჩვენ პირდაპირ გაოცებული ვართ, რატომ გაუტყდათ ამ პირებს გული ამ გეგმაზე და ასე მალე? (იმიტომ, რომ არ შეიძლება ისინი არ ხედავდნენ, რომ ახალი გეგმა სპობს ძველს). ტრანსპორტის გამო? მაგრამ თავისი გზის მოწყობა დღემდე მხოლოდ ე რ თ ხ ე ლ ცადეს და ეს ცდა ჯერ კიდევ არ დამთავრებულა სრული კრახით, — ჩვენ კი 2 — 3 წ ა რ უ მ ა ტ ე ბ ლ ო ბ ი ს შემდეგაც არ უნდა მივატოვოთ საქმე. ახლა ეს პირები უფრო იმას ხომ არ თანაუგრძნობენ, რომ გამოცემა რუსეთში მოეწყოს, და არა საზღვარგარეთ? მაგრამ მათ ხომ იციან, რომ პირველისათვის ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ი გაკეთდა და 1 000 მანეთამდე დაიხარჯა, შედეგი კი ჯერ არ არის. უნდა ვთქვათ, რომ «ისკრის» რუსეთის ორგანიზაციის მიერ რაიმე რაიონული ან ადგილობრივი ორგანოს გამოცემის საერთოდ ყოველი გეგმა ჩვენ უთუოდ არასწორად და მავნედ მიგვაჩნია. «ისკრის» ორგანიზაცია არსებობს ამ უკანასკნელის დახმარებისა და განვითარებისათვის და ამით პარტიის გ ა ე რ თ ი ა ნ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს, და არა ძალების დ ა ქ ს ა ქ ს ვ ი ს ა თ ვ ი ს, რაც ამ ორგანიზაციის გარეშეც საკმარისზე მეტია. პიტერში ყველას წასვლის შესახებ მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ ჩვენ ისეთი მუშაკები, როგორიც პ., ბ. და პახომის ძმა არიან, სულ ცოტა გვყავს და მათ უნდა გავუფრთხილდეთ, ერთ ადგილას ცხოვრების დროს კი საერთო ჩავარდნის საფრთხე ასჯერ მეტია. თუ მათ მიაჩნიათ, რომ იქ ერთი არ კმარა (ამას კი ისინი უკეთ ხედავენ), შეუერთონ მას ის, ვინც

შემოდგომაზე თავისუფლდება (პახომის ძმა), და არა ორივენი. და შემდეგ, როგორც მათი უშიშროების მიზნით. ისე გამაერთიანებელი მუშაობის მიზნით, ნუ დაივიწყებენ, რომ მეტად სასურველია. დროდადრო გამოიცვალონ საცხოვრებელი ადგილი. ბოლოს. რომ მოხერხდებოდეს პიტერში კომიტეტის დაპყრობა, მაშინ, რა თქმა უნდა, იგი უნდა აიძულონ ორივე ხელი ჩასჭიდოს «ისკრას». მის გახშირებას, და იბრძოლოს ყოველგვარ ახალ კუსტარულ წამოწყებათა წინააღმდეგ. კუსტარულობა გაცილებით უფრო ბოროტი მტერია, ვიდრე «ეკონომიზმი». ვინაიდან ეკონომიზმის ულრმესი საარსებო ფესვები, ჩვენი ულრმესი რწმენით, სწორედ კუსტარულობაშია. და არასოდეს არ იქნება პოლიტიკური (არა მარტო სიტყვით, არამედ საქმით პოლიტიკური, ე. ი. მთავრობაზე პირდაპირი გავლენის მომხდენი და საერთო იერიშის მომამზადებელი) მოძრაობა. სანამ ჩვენ არ დავძლევთ ამ კუსტარულობას და ძირს არ გამოვუთხრით ყოველგვარ ნდობას მისდამი. თუ სპბ. 400 ეგზემპლარ «იუჟნი რაბოჩის» ყიდულობდა, ჯგუფი «სოციალისტი»[92] ყიდულობდა 1 000 ეგზემპლარი «ისკრის» გავრცელებას. დაე მოაწყონ ამდენი ეგზემპლარის გავრცელება, დაე მოაწყონ, რომ მასში იყოს პეტერბურგის საფუძვლიანი განყოფილება (საჭიროების შემთხვევაში იგი განსაკუთრებული დამატება გახდება) და მაშინ მიღწეული იქნება იგივე ამოცანა, რომელმაც თქვენ წინაშე პიტერის დაპყრობის ყველა სხვა ამოცანა დაჩრდილა. საჭიროდ მიგვაჩნია მოგაგონოთ, რომ ყველა «პრაქტიკოსი» თანახმაა, რომ მუშებისათვის მისაწვდომობის მხრივ «იუჟნი რაბოჩის» უპირატესობა არა აქვს «ისკრის» წინაშე, ასე რომ ეს საბუთიც მოხსნილია. უაზრობა და დანაშაულია ძალებისა და სახსრების დაქსაქსვა, — «ისკრა» უფულოდ ზის, არც ერთი რუსი აგენტი ერთ გროშსაც არ აწვდის მას, ამავე დროს კი თვითეული რაღაც ახალს იწყებს, რომელიც ახალ სახსრებს მოითხოვს. ყოველივე ეს მოწმობს სიმტკიცის ნაკლებობას. უფრო მომთმენი უნდა ვიყოთ: ჩვენი გეგმის საშუალებით ჩვენ ჩვენსას მივაღწევთ, თუნდაც არც ისე მალე, ხოლო რის იმედი შეიძლება გექონდეს წამოყენებული გეგმის განხორციელებით, ეს ჩანს «რაბოჩეე ზნამიას»[93] სავალალო გამოცდილებიდან. ჩვენი ნაცნობები ისე ნაჩქარევად შეუდგნენ თავიანთი გეგმის განხორციელებას, რომ იაბლოჩკოვი, მიუხედავად პირობისა, სპბ-ში წავიდა და მიატოვა ოდესა, სადაც ჩვენი აგენტის ყოფნა აუცილებელია. ჩვენ მოვითხოვთ, რომ ახალი გეგმა მიტოვებულ იქნეს. თუ ჩვენი მოსაზ-

რებანი დამაჯერებლად არ ეჩვენებათ, გადადონ ყოველგვარი ახალი გეგმები ჩვენს ყრილობამდე, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში მოვიწვევთ, როცა საქმე როგორმე მოგვარდება. რაც შეეხება პოპულარულ ლიტერატურას, აკი განზრახულია გაფართოებულ იქნეს პოპულარული ბროშურების გამოცემა. ეს წერილი გამოხატავს არა მარტო ჩვენი ჯგუფის, არამედ აგრეთვე «შრომის განთავისუფლების» ჯგუფის აზრს.

დაწერილია 1901 წ. ივლისის
მეორე ნახევარში
გაგზავნილია მიუნხენიდან ვილნოში
პირველად დაიბეჭდა 192[illegible] წელს

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.,
ტ. 34. გვ. 74—78

ნ ე ტ ი ღ ი დ ა ნ

ბ. ვ. პლეხანოვს

25. VII. 01.

ძვირფასო ბ. ვ.! გუშინ მივიღე წიგნები აგრარულ საკითხზე. გმადლობთ მათი გამოგზავნისათვის. მე ძალიან გამიტაცა მუშაობამ ჩემს «აგრარულ» სტატიაზე ჩერნოვის (ნაწილობრივ გერცისა და ბულგაკოვის) წინააღმდეგ. ვფიქრობ, საჭიროა ამ ჩერნოვის ულ-მ ო ბ ლ ა დ გაცამტვერება.

ახლა იყო აქ ველიკა, წაგვიკითხა მისდამი თქვენი წერილის ნაწ-ყვეტები. კორექტურის შესახებ უკვე გავაკეთეთ «ყოველივე რაც ჩვენზეა დამოკიდებული», ე. ი. დიტკს გავუგზავნეთ შესწორებანი, რომ ტექსტში შეიტანოს, თუ გვიან არ არის; ხოლო თუ გვიან არის, ჩვენ ა უ ც ი ლ ე ბ ლ ა დ მოვიხსენიებთ მათ წიგნის ბოლოში, ასე რომ, გარწმუნებთ, მაინცდამაინც დიდი უბედურება არ იქნება. კო-რექტურა ჩემმა ცოლმა გაასწორა და შეადარა ხელნაწერს (ის, რა-საც თქვენ გაუკეთეთ შენიშვნა «მე ეს არა მქონიაო!» თქვენი შეც-დომა აღმოჩნდა, ვინაიდან თქვენ, როგორც მე სწორედ ახლა შევა-მოწმე ხელნაწერში, მართლაც გიწერიათ «მაისის აჯანყება». ესეც გავასწორეთ). ვინაიდან კორექტორის შეცდომები გარდუვალი რა-მეა, ჩვენ ამიერიდან მართლაც მივიღებთ თქვენ მიერ წამოყენებულ «ტაქტიკას»: გავუგზავნით ხოლმე ავტორს პირველ კორექტურას (მეორე გვიან იქნება) იმ ანგარიშით, რომ ცალკეული ასოები და-ნიშნები კი არ გაასწოროს, ვინაიდან ამას კორექტორიც გააკეთებს, და ამას არცა აქვს მნიშვნელობა, არამედ გაასწოროს მხოლოდ **აზრის-დამახინჯებული** გამოტოვება ფრაზებისა, სიტყვებისა, ან ერთი სი-ტყვის შეცვლა მეორით.

მივიღე ჩემი სტატია[94] პ. ბ — საგან მისი წერილით. პ. ბ. — ც;

შერბილების მომხრეა. და მე, ცხადია, უკვე შ ე ვ ი ტ ა ნ ე ყველა ის შერბილება, რაც კონკრეტულად აღნიშნეთ თქვენ, და პ. ბ — მ. რაც შეეხება სტატიის მთელი ტონის შეცვლას respective * ყველა თავდასხმის შეცვლას გესლიანი დარიგებით ზემოდან, — თუმცა თქვენი ეს გეგმა მომწონს, მაგრამ მეეჭვება, რომ მე შ ე მ ე ძ ლ ო ს ამის გაკეთება. ავტორის წინააღმდეგ ასე «გაჯავრებული» რომ არ ვიყო, არც დავწერდი ასე. ხოლო რაკი «გაჯავრებული» ვარ (რაც გასაგებია არა მარტო ჩვენთვის, არამედ წინასიტყვაობის ყველა სოციალ-დემოკრატი მკითხველისათვისაც), მე ამას ველარ დავმალავ და ველარ ვიცულლუტებ. ვეცდები კიდევ და კიდევ შევარბილო და კიდევ და კიდევ შევნიშნო: იქნებ, ზოგი რამ კიდევაც მოვახერხო.

ალექსის გადავცემ თქვენს აზრს (რომელსაც იგი დიდი ხანია მოუთმენლად ელოდა) მისი რეფერატის შესახებ. ალექსის ალბათ დაავიწყდა ეთქვა თქვენთვის, რომ მ ა ნ თ ვ ი თ ო ნ ვ ე გადასცა თავისი თემა მიხაილოვსკის შესახებ რიაზანოვს (რომელიც კიდევაც წერს ამ თემაზე). მე ისე მესმოდა, რომ თქვენ წერთ რეცენზიას კრებულის შესახებ — «სახელოვან პოსტზე», რომელიც ჩვენ გამოგიგზავნეთ.

მაგრად გართმევთ ხელს. თქვენი...

გაგზავნილია მიუნხენიდან ჟენევაში
პირველად დაიბეჭდა 1925 წელს

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.
ტ. 34. გვ. 79—80

* — ანუ. რ ე დ.

ნ ე ტ ი ღ ი ზ ე ნ

პ. ბ. აქსელროდს

24. VIII. 01.

ძვირფასო პ. ბ.! გიგზავნით ნევზოროვის სტატიას, მის მიერვე გადაკეთებულს. ჩვენთან ამ სტატიის საკითხი ასეთი დილემით გამოიხატა: ან მოვათავსოთ იგი «ზარიაში» ან სავსებით უარი ვუთხრათ მოხსენებაზე. ხმები თანაბრად გაიყო (ალექსი და არსენიევი მომხრენი არიან. ველიკა დიმიტრის ასული და მე წინააღმდეგი ვართ). გთხოვთ, მოგვაწოდოთ თქვენი ხმა. უნდა გითხრათ, განსაკუთრებით მაშფოთებს ის, რომ ყველა გაიძახოდა (არსენიევიც კი), სტატია «საზიზღარია», «გამცემლურია» (ასე თქვა გ. ვ.-მაც) —და მაინც ამბობენ, მოვათავსოთო. ჩემი აზრით, ეს წაყრუებისა და წაქეზების ფრიად ცუდი ტაქტიკაა. სტატიის დასაცავად ამბობენ: «ეს არის თანამშრომლის წერილი რედაქციისადმი. უ ხ ე რ ხ უ ლ ი ა უარი ვუთხრათო» ჩემი აზრით, რაკი თანამშრომელი ა ს ე თ ჯერითს იწყებს, ჩვენ სწორედ უნდა აღვკვეთოთ. იგი. ღვთით «რაბოჩეე დელოში» წავიდეს (ნევზოროვი კიდეც გვწერდა, ამის წინააღმდეგი ხომ არა ხართო!!? sic!*)— ჩვენ ამით გაცილებით უკეთ «დავადოკუმენტებთ» მის ფიგურას და უფრო თავისუფლად გავანადგურებთ მას, ვიდრე ჩვენთან — «ზარიაში», (ერთ-ერთი საბუთი ს ა ს ა რ გ ე ბ ლ ო დ: მოვათავსოთ, რათა საბაბი გვქონდეს ვუპასუხოთ გავრცელებულ მოსაზრებებზეო).

მაშ ასე: გადაწყვიტეთ!

როგორაა ფინის სტატიის საქმე? თუ საქმიანია (როგორც თქვენ იწერებოდით), ხომ არ მოვათავსოთ «ზ ა რ ი ა შ ი»? ხომ არ გამოგზავნით?

* ასე! რ ე დ.

როგორ გრძნობთ თავს? გავიგე, რომ თქვენ ტუნის ახლოსა ხართ, მაგრამ იმედი მაქვს, რომ წერილს გადმოგიგზავნიან.

როდის ფიქრობთ მისვლა გ. ვ-თან? თქვენი დიდი იმედი გვაქვს პროგრამის საკითხში.

მაშ ნახვამდის!

გისურვებთ კარგად გამომჯობინდეთ და მაგრად გართმევთ ხელს.

თქვენი პეტროვი

გაგზავნილია მიუნხენიდან
Heiligenschvende-ში
(შვეიცარია, ტუნის ახლოს)
პირველად დაიბეჭდა 1925 წელს
ლენინის კრებულში III

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.,
ტ. 36, გვ. 76—77

გ. ვ. პლეხანოვს

1. XII. 01.

წავიკითხე, ძვირფასო გ. ვ., თქვენი წერილი ფინის შესახებ. თქვენ გაცილებით უფრო მკაცრი აღმოჩნდით. მე მომეჩვენა, რომ სტატიას არა უშავდა რა. მაგრამ თქვენმა მოსაზრებებმა სავსებით დამარწმუნეს, და მე თანახმა ვარ, რომ ამპუტაცია გაუკეთდეს. ავტორს უკვე ველაპარაკე, რომ საჭიროა ზოგიერთი ცვლილება და შემოკლება. ის მაინცდამაინც არ გაჯიუტებულა, მაგრამ «სურვილს» გამოთქვამდა, რომ ძალიან არ შეემოკლებინათ, რადგან შემიძლია სტატია სხვაგანაც მოვათავსოო.

ვცადოთ მივწეროთ ავტორს: მისამართი გვაქვს, მაგრამ წერა ცოტა არ იყოს უხერხულია.

მაგრამ, სტატიის გასწორებას მე ვერ ვიკისრებ. ამის კეთება უკვე თქვენ მოგიხდებათ, თუ გადაწყდა, რომ გავუშვათ.

მაგრად გართმევთ ხელს.

თქვენი ფრეი.

ფინის სტატიის თქვენმა კრიტიკამ ერთხელ კიდევ მიმახვედრა, რომ «ისკრის» ეკონომიური განყოფილება ღარიბია, რაზედაც თქვენ ცეურიხში ლაპარაკობდით. რატომ არაფერს გვიგზავნით ამ განყოფილებისათვის? დაწყებული ½ სვეტიანი შენიშვნებით(ოთხი ათასი ნიშნით, 4 — 6 თქვენი გვერდი) მიმდინარე ამბების გამო, როგორიცაა კოოპერატივების კონგრესი, ახალი მონაცემები სინდიკატების შესახებ «Economist»[95]-ის ეკონომიური მიმოხილვები, დიდი გაფიცვები, ახალი სტატისტიკური მონაცემები და სხვ. და სხვ., — და გათავებული 1½—2 სვეტიანი სტატიებით ან 20—25 ათასამდე ნიშნის შემცველი ფელეტონებით (30-მდე თქვენი გვერ-

დი. ყოველივე ეს ესოდენ მნიშვნელოვანი იქნებოდა!! თქვენ კი ხომ, გეტყობათ, ყველაზე მეტად ადევნებთ თვალყურს ეკონომიურ ლიტერატურას და თქვენთვის ყველაზე უფრო ადვილი იქნება შეადგინოთ, თუნდაც ზოგჯერ, ასეთი შენიშვნები! მართლაცდა, სინჯეთ და დაგვეხმარეთ, თორემ «ისკრა» ერთფეროვანი გახდება. მე რა თქმა უნდა, ფიქრადაც არ მომდის ჩამოგაშოროთ მუშაობას პროგრამაზე, რომელიც საჭიროა დაჟინებით და უწინარეს ყოვლისა, მაგრამ მცირე შენიშვნები და პატარა სტატიები ხომ შეიძლებოდა სხვათა შორის დაგეწერათ ეკონომიური ჟურნალების ახალი ნომრების გამო და სხვ.

«ისკრის» ისტორიული განყოფილებაც სუსტია. ფელეტონები, სადაც ლაპარაკია ევროპის რევოლუციონერებზე, და სხვ. ვფიქრობ აქ შეიძლება კიდეც გადმოვთარგმნოთ რაიმე. გამოგზავნეთ, თუ კაცი ხართ, შესაფერისი მასალა: თქვენ ერთხელ თქვით, ზოგი რამ მხედველობაში მაქვსო.

თქვენი ფრე ი

მე სულ ავადა ვარ და «ვჯახირობ» «რაბოჩეე დელოს» წინააღმდეგ მიმართულ ბროშურაზე, რომელიც თითქმის კუს ნაბიჯით მიდის წინ.

გაგზავნილია მიუნხენიდან ჟენევაში
პირველად დაიბეჭდა 1925 წელს
ლენინის კრებულში III

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით. მე-4 გამოც.,
ტ. 36, გვ. 84—85

ისკრულ ორგანიზაციებს რუსეთში

1) იაკობის
2) მოსკოვის კომიტეტი
3) სპბ. + ნიჟნი.
4) ბაკუნინის?
5) «წერილი რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ ორგანოებს.»[26]

ეს არის ახლა შევიტყვეთ, რომ კავშირელები აწყობენ უმნიშვნელოვანესი კომიტეტების კონფერენციას საზღვარგარეთ მომხდარი კონფლიქტის საკითხის გადასაწყვეტად.[27]

საჭიროა მთელი ძალ-ღონის დაძაბვა, რათა რაც შეიძლება მეტ კომიტეტსა და ჯგუფში გატარდეს ასეთი ზომები:

1) კონფერენცია აუცილებლად გადაიდოს minimum გაზაფხულამდე (აღდგომამდე და სხვ.). მოტივები: a) საჭიროა გვყავდეს დელეგატები «ისკრისგანაც» და საზღვარგარეთის ლიგისგანაც, ეს კი მოითხოვს დროსა და ფულს. კონფერენცია კი, რომელზეც «ისკრისა» და ლიგის დელეგატები არ იქნებიან, უკანონოა და აზრი არა აქვს. b) საჭიროა დაველოდოთ ორივე მხარის ბროშურების გამოსვლას, რომლებშიც ჩამოყალიბებული იქნება უთანხმოების არსი. ამ ბროშურების გამოსვლამდე კონფერენცია ვერ განსჯის საქმის ცოდნით, და ამიტომ მისი თათბირები ჰაერში გამოკიდებული იქნებოდა. «ისკრა» № 12-ში (1901 წლის 5 დეკემბერს გამოდის) დანამდვილებით გვპირდება გამოუშვას ეს ბროშურა ძალიან მალე (დაახლოებით თვენახევრის შემდეგ).[28] იქ ძალიან დაწვრილებით იქნება გარჩეული მთელი უთანხმოება. ჩვენ იქ ვაჩვენებთ «რა ბოჩეე დელოს» მიმართულების მთელ მავნეობას, გამოვააშკარავებთ მთელ მათს სამარცხვინო მერყეობასა და უმწეობას ბერნშტეინელობისა და ეკონომიზმის წინაშე. ეს ბროშურა ნაწილობრივ უკვე მზად არის და სწრაფად უხალოვდება დასასრულს. შემდეგ ამჟამად (1/2 დეკემბერი ახ. სტ.) საზღვარგარეთ იკითხება რეფერატები უთანხმოებაზე:

ერთი — «რაბოჩეე დელოს» წარმომადგენლისა, მეორე — ლიგის წარმომადგენლისა. ეს რეფერატებიც ძალიან მალე გამოქვეყნდება და, მათ რომ არ დაველოდოთ და ისე მოვიწვიოთ კონფერენცია, ეს ნიშნავს ფუჭად ფულის გადაყრასა და მსხვერპლის გაღებას.

2) კონფერენციაზე, თუ იგი შედგება, ჩვენ სპეციალურ წარმომადგენელს გავგზავნით. ამიტომ აუცილებელია ახლავე გვაცნობოთ, (1) დანიშნულია თუ არა კონფერენცია; (2) სად; (3) როდის და (4) პაროლი და სახვედრი კონფერენციაზე. საჭიროა ფ ო რ მ ა ლ უ რ ა დ მოსთხოვოთ კომიტეტებსა და ჯგუფებს ამ ცნობების მოწოდება იმის მუქარით, რომ კონფერენციას უკანონოდ გამოვაცხადებთ და დაუყოვნებლივ გამოვაქვეყნებთ იმას, რომ მათ სურთ გადაწყვიტონ საქმეები ორივე მხარის მოუსმენლად-თქო.

3) თუ კომიტეტები ან ჯგუფები კონფერენციისათვის აირჩევენ «რაბოჩეე დელოს» სასარგებლოდ განწყობილ წარმომადგენლებს,— საჭიროა დაუყოვნებლივ და ფ ო რ მ ა ლ უ რ ა დ განაცხადოთ პროტესტი ამის წინააღმდეგ და მოითხოვოთ წარმომადგენლები რ ო გ ო რ ც «რაბოჩეე დელოს» მომხრეებისაგან, ი ს ე «ისკრის» მომხრეებისაგან (respective*: უმრავლესობისა და უმცირესობისაგან).

4) იმ შემთხვევისათვის, თუ კონფერენცია აზრს გამოთქვამს «ისკრის» წინააღმდეგ, საჭირო იქნება გახვიდეთ იმ კომიტეტებიდან და ჯგუფებიდან, რომლებიც არ დასთანხმდებიან საჯაროდ განაცხადონ პროტესტი ამის წინააღმდეგ, — გახვიდეთ და მაშინვე გამოაქვეყნოთ «ი ს კ რ ა შ ი» ამ გასვლისა და მისი მოტივების შესახებ. ასეთი ნაბიჯის შესახებ ჩვენი ადამიანები ახლავე უნდა შეუდგნენ ერთმანეთთან შეთანხმებას.

5) საჭიროა დაუყოვნებლივ გვაცნობოთ შედეგი და ყ ვ ე ლ ა ნ ა ბ ი ჯ ს შესახებ მაშინვე შეგვატყობინოთ ხოლმე. დაძაბეთ მ თ ე ლ ი ძ ა ლ-ღ ო ნ ე, რათა «ისკრის» მომხრეები შეთანხმდნენ და ერთსულოვნად იმოქმედონ.

დაწერილია 1901 წ. შუა დეკემბერში
მიუნხენში
პირველად დაიბეჭდა 1928 წელს

იბეჭდება ვ. ი. ლენინის «თხზულებათა» ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც., ტ. 34, გვ. 89—91

* — შესაბამისად. რ ე დ.

ი. ბ. სმიდოვიჩს

ჩვენ მივიღეთ ცნობა, რომ აკიმი ბეჭდავს «ვპერიოდს». ჩვენ არ გვინდა დავიჯეროთ ეს და გთხოვთ განგვიმარტოთ, გაუგებრობა ხომ არ არის ეს. რომ ის ადამიანები, რომლებიც ასობით და ათასობით მანეთს აგროვებდნენ «ისკრის» სახელით «ისკრის» სტამბისათვის,— ადამიანები, რომლებიც «ისკრის» რუსეთის ორგანიზაციას შეადგენენ, — ფარულად გადაბარგდნენ სხვა წამოწყებაში და ისიც სწორედ ჩვენთვის განსაკუთრებით კრიზისულ მომენტში, როცა გადაზიდვა შეწყდა, როცა მთელმა ჩრდილოეთმა და ცენტრმა (სამხრეთმაც კი!!) საჩივრები მოგვაყარეს «ისკრის» უქონლობის გამო და როცა მთელი ხსნა იქნებოდა «ისკრის» გადაბეჭდვა რუსეთში, — რომ ადამიანებმა ეს ჩაიდინონ ამასთან მოტყუების გზით, ვინაიდან აკიმი გვწერდა, რომ № 10-ს ბეჭდავს, და ჩვენ ამაში დარწმუნებული ვიყავით, კრასავეცს კი ერთი სიტყვითაც არ უცნობებია ჩვენთვის თავისი შესანიშნავი გეგმები, — ასეთი ქცევა, რომელიც არღვევს არა მარტო ორგანიზაციის ყველა წესს, არამედ ზოგ უფრო მარტივ წესებსაც, ჩვენ არ გვინდა დავიჯეროთ.

ხოლო თუ ეს წარმოუდგენელი ცნობა სწორია, ჩ ვ ე ნ მ ო ვ ი თ ხ ო ვ თ დაუყოვნებლივ შეხვედრას ამ უმაგალითო გარყვნილების მოსაგვარებლად და. ჩვენი მხრივ, დაბეჯითებით ვთხოვთ იაკობსა და ორშას მოჩხრიკონ მთელი და ყოველნაირი ფული და დაუყოვნებლივ განახორციელონ აქ ჩამოსვლის თავიანთი გეგმა.

დაწერილია 1901 წ. 18 დეკემბერს
გაგზავნილია მიუნხენიდან კიევში
პირველად დაიბეჭდა 1928 წელს

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.,
ტ. 34, გვ. 92—93

ნიგნიდან

«რა ვაკეთოთ?

ჩვენი მოძრაობის საჭირბოროტო საკითხები».

II

მასების სტიქიურობა
და სოციალ-დემოკრატიის შეგნებულობა

ა) სტიქიური აღმავლობის დასაწყისი

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ ის ხშირად მივიწყებული (და შედარებით ნაკლებად ცნობილი) ფაქტი, რომ ამ პერიოდის პირველი სოციალ-დემოკრატები, რომლებიც გულმოდგინედ ეწეოდნენ ეკონომიურ აგიტაციას — (და საკუთარ ეკონომიურ აგიტაციას — (და საკუთარ ეკონომიურ აგიტაციას — (და საკუთარ

პირველი ფორმაციის «რაბოჩეე დელოს» აღარ ეღირსა დღის სინათლის ხილვა. ამ გაზეთის მოწინავე სტატია (რომელიც, შესაძლოა, 30 წლის შემდეგ გამოქექოს რომელიმე «რუსსკაია სტარინამ»[99] პოლიციის დეპარტამენტის არქივიდან), გვიხატავდა რუსეთის მუშათა კლასის ისტორიულ ამოცანებს და ამ ამოცანების სათავეში აყენებდა პოლიტიკური თავისუფლების მოპოვებას. შემდეგი სტატია იყო «რაზე ფიქრობენ ჩვენი მინისტრები», რომელიც ეხებოდა პოლიციის მიერ წერა-კითხვის კომიტეტების დარბევას, და მთელი წყება კორესპონდენციები არა მარტო პეტერბურგიდან, არამედ რუსეთის სხვა ადგილებიდანაც (მაგ., მუშების ხოცვა-ჟლეტის შესახებ იაროსლავლის გუბერნიაში). ამრიგად, ეს 90-იანი წლების რუსი სოციალ-დემოკრატების, თუ არ ვცდებით, «პირველი ცდა» წარმოადგენდა არა ვიწრო ადგილობრივი, მით უფრო არა «ეკონომიური» ხასიათის გაზეთს, არამედ ისეთს, რომელიც ცდილობდა საგაფიცვო ბრძოლა შეეერთებინა რევოლუციურ მოძრაობასთან თვითმპყრობელობის წინააღმდეგ და სოციალ-დემოკრატიისთვის მხარის დასაჭერად მიეზიდნა რეაქციული ბნელეთისმოციქულობის პოლიტიკით ყველა დაჩაგრულნი. და არავის, ვინც კი რამდენადმე მაინც იცნობს იმდროინდელ მოძრაობას, ეჭვი არ შეეპარება იმაში, რომ ასეთი გაზეთი სრულ თანაგრძნობას მოიპოვებდა როგორც დედაქალაქის მუშების მხრივ, ისე რევოლუციური ინტელიგენციის მხრივ და ძლიერ ფართოდაც გავრცელდებოდა.

III

ტრედ-უნიონისტური და სოციალ-დემოკრატიული პოლიტიკა

ა) პოლიტიკური აგიტაცია და მისი შეზღუდვა ეკონომისტების მიერ

ყველასათვის ცნობილია, რომ რუსეთის მუშების ეკონომიური* ბრძოლის ფართოდ გავრცელება და განმტკიცება ხელიხელჩაკიდებული მიდიოდა ეკონომიურ (საფაბრიკო და პროფესიულ) მხილება-

* შევნიშნავთ გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, რომ შემდგომი გადმოცემისას ყველგან ეკონომიური ბრძოლა ჩვენ გვესმის (თანახმად ჩვენში შემოღებული სიტყვახმაურებისა) იმ «პრაქტიკულ-ეკონომიურ ბრძოლად», რომელსაც ენგელსმა ზემოთ მოყვანილ ციტატში «კაპიტალისტებისადმი წინააღმდეგობის გაწევა» უწოდა და რომელსაც თავისუფალ ქვეყნებში პროფესიულ, სინდიკალურ ანუ ტრედ-უნიონისტურ ბრძოლას უწოდებენ.

თა «ლიტერატურის» შექმნასთან ერთად. «ფურცლების» მთავარი შინაარსი იყო საფაბრიკო წესების მხილება, და მუშებს შორის მალე იფეთქა ნამდვილმა გატაცებამ ასეთი მხილებით. როგორც კი დაინახეს მუშებმა, რომ სოციალ-დემოკრატების წრეებს სურთ და შეუძლიათ მიაწოდონ მათ ახალი სახის ფურცლები, რომლებიც უამბობდნენ მთელ სიმართლეს მათი ლატაკური ცხოვრების, უზომოდ მძიმე შრომისა და უუფლებო მდგომარეობის შესახებ,—მათ, შეიძლება ითქვას, აუარებელი კორესპონდენციები მიაყარეს ფაბრიკა-ქარხნებიდან. ეს «მამხილებელი ლიტერატურა» უდიდეს სენსაციას ახდენდა არა მხოლოდ იმ ფაბრიკაში, რომლის წესებსაც ამათრახებდა ესა თუ ის ფურცელი, არამედ ყველა ფაბრიკაში, სადაც კი რაიმეს გაიგონებდნენ მხილებული ფაქტების შესახებ. და რადგან სხვადასხვა საწარმოებისა და პროფესიის მუშების გაჭირვებასა და უბედურებაში ბევრი რამ არის საერთო, ამიტომ «სიმართლე მუშათა ცხოვრების შესახებ» ყ ვ ე ლ ა ს ხიბლავდა. ყველაზე ჩამორჩენილ მუშებშიც კი მეტად გაღვივდა მისწრაფება კორესპონდენციების «დაბეჭდვისა»—კეთილშობილი მისწრაფება ძარცვასა და ჩაგვრაზე აგებული თანამედროვე საზოგადოებრივი წესწყობილების წინააღმდეგ ომის ამ ჩანასახი ფორმისადმი. და «ფურცლებიც» უმეტეს შემთხვევაში მართლაც ომის გამოცხადებას წარმოადგენდა, იმიტომ რომ მხილება საშინლად ამაღელვებლად მოქმედებდა, მუშები საყოველთაოდ მოითხოვდნენ მოესპოთ უაღრესად აღმაშფოთებელი სისაძაგლენი, და მზად იყვნენ ამ მოთხოვნათათვის მხარი დაეჭირათ გაფიცვების გამოცხადებით. თვით მეფაბრიკენი, ბოლოს და ბოლოს, იმ ზომამდე იყვნენ იძულებული ეცნოთ ამ ფურცლების მნიშვნელობა, როგორც ომის გამოცხადება, რომ ხშირად არც კი სურდათ თვით ომის დაცდა. მხილებანი, როგორც ყოველთვის, ძლიერნი გახდნენ უკვე მარტო თავის გამოქვეყნების ფაქტით, მათ მძლავრი ზნეობრივი ზეგავლენის მნიშვნელობა მოიპოვეს. არა ერთხელ მომხდარა, რომ ფურცლის მხოლოდ გამოსვლა გამხდარა საკმარისი ყველა მოთხოვნის ან მათი ნაწილის დასაკმაყოფილებლად. ერთი სიტყვით, ეკონომიური (საფაბრიკო) მხილებანი იყო და ახლაც არის ეკონომიური ბრძოლის დიდმნიშვნელოვანი ბერკეტი. და ეს მნიშვნელობა მას ექნება მანამდე, სანამ იარსებებს კაპიტალიზმი, რომელიც აუცილებლად წარმოშობს ხოლმე მუშების თავდაცვას. ევროპის თვით ყველაზე მოწინავე ქვეყნებში ახლაც ვხედავთ ისეთ შემთხვევებს, როცა რომელიმე მივარდნილი კუთხის «სარეწის» ან შინამუშაობის რომელიმე ყველასაგან მივიწყებული დარგის რაიმე სისაძაგლის მხილება ამოსავალ წერტილად იქცევა

კლასობრივი შეგნების გაღვიძებისათვის, პროფესიული ბრძოლის დასაწყისისა და სოციალიზმის გავრცელებისათვის*.

უკანასკნელი დროის რუს სოციალ-დემოკრატთა დიდი უმრავლესობა თითქმის მთლად საფაბრიკო მხილებათა ამ მუშაობის მოწყობით იყო გატაცებული. საკმარისია გავიხსენოთ «რაბოჩაია მისლი», რომ დავინახოთ, თუ რა ზომამდე აღწევდა ეს გატაცება, როგორ ივიწყებდნენ ამავე დროს, რომ თ ა ვ ი ს თ ა ვ ა დ ეს, არსებითად, ჯერ კიდევ სოციალ-დემოკრატიული მუშაობა კი არ არის, არამედ მხოლოდ ტრედ-უნიონისტურია. მხილება შეეხებოდა, არსებითად, მხოლოდ ა მ ა თ უ ი მ პ რ ო ფ ე ს ი ი ს მუშების ურთიერთობას მათს მეპატრონეებთან და მხოლოდ იმას აღწევდა, რომ სამუშაო ძალის გამყიდველნი ეჩვეოდნენ უფრო ხელსაყრელად გაეყიდათ ეს «საქონელი» და ებრძოლათ მყიდველთან წმინდა კომერციული გარიგების ნიადაგზე. ეს მხილებანი შეიძლებოდა გადაქცეულიყო (იმ პირობით, თუ მათ ერთგვარად გამოიყენებდა რევოლუციონერთა ორგანიზაცია) სოციალ-დემოკრატიული მუშაობის დასაწყისად და შემადგენელ ნაწილად, მაგრამ მას შეეძლო აგრეთვე გამოეწვია (ხოლო სტიქიურობის წინაშე ქედის მოხრის პირობებში უნდა გამოეწვია) «მხოლოდ პროფესიული» ბრძოლა და არა სოციალ-დემოკრატიული მუშათა მოძრაობა. სოციალ-დემოკრატია ხელმძღვანელობს მუშათა კლასის ბრძოლას არა მხოლოდ სამუშაო ძალის ხელსაყრელ პირობებში გაყიდვისათვის, არამედ იმ საზოგადოებრივი წყობილების მოსასპობადაც, რომელიც აიძულებს ღარიბებს მიეყიდონ მდიდრებს. სოციალ-დემოკრატია წარმომადგენელია მუშათა კლასისა არა მის დამოკიდებულებაში კაპიტალისტთა მხოლოდ ამა თუ იმ ჯგუფთან, არამედ მის დამოკიდებულებაში თანამედროვე საზოგადოების ყველა კლასთან, სახელმწიფოსთან, როგორც ორგანიზებულ პოლიტიკურ ძალასთან.

---

* ამ თავში ჩვენ ვლაპარაკობთ მხოლოდ პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ბრძოლაზე, მის უფრო ფართო ან უღრო ვიწრო გაგებაზე. ამიტომ მხოლოდ გაკვრით აღვნიშნავთ, ისე როგორც კურიოზს, «რაბოჩეე დელოს» მიერ «ისკრისადმი» წაყენებულ ბრალდებას, ვითომც «ისკრა» «ზედმეტად თავდაკერილია» ეკონომიური ბრძოლის მიმართ («ორი ყრილობა», გვ. 27. გადაღებულია მარტინოვის მიერ მის ბროშურაშ: «სოციალ-დემოკრატი» და მუშათა კლასი»). ბატონ ბრალმდებელთ თუნდაც ფუთებად ან ნაბეჭდ ფურცლებად რომ გამოეხატათ (როგორც მათ ეს უყვართ) ეკონომიური ბრძოლის განყოფილება «ისკრაში» ერთი წლის განმავლობაში და შეედარებინათ ეს «რაბოჩეე დელოსა» და «რაბოჩაია მისლისა», ორივეს, სათანადო განყოფილებასთან, ადვილად დაინახავდნენ, რომ ისინი ამ მხრივაც ჩამორჩებიან. ცხადია, ამ უბრალო ჭეშმარიტების შეგნება აიძულებს მათ მიმართონ ასეთ მოსაზრებებს, რომლებიც აშკარად მოწმობენ მათს დაბნევას. «ისკრასა» — წერენ ისინი — «ნებით თუ უნებლიეთ (!) უხდება (!) ანგარიში გაუწიოს ცხოვრების მკაცრ მოთხოვნებს და მუშათა მოძრაობის შესახებ კორესპონდენციები მაინც (!!) მოათავსოს» («ორი ყრილობა», გვ. 27). აი ეს უკვე ნამდვილი ჩვენი მომსპობი არგუმენტია!

აქედან გასაგებია, რომ სოციალ-დემოკრატები არამცთუ ვერ დასჯერდებიან ეკონომიურ ბრძოლას, არამედ ვერც კი იფიქრებენ, რომ ეკონომიურ მხილებათა ორგანიზაცია შეადგენდეს მათს უმთავრეს მუშაობას. ჩვენ აქტიურად უნდა შევუდგეთ მუშათა კლასის პოლიტიკურ აღზრდას, მისი პოლიტიკური შეგნების განვითარებას. ამაში ახლა, «ზარიას» და «ისკრის» პირველი იერიშის შემდეგ ეკონომიზმზე, «ყველა გვეთანხმება» (თუმცა ზოგიერთნი მხოლოდ სიტყვიერად, როგორც ამას ახლავე დავინახავთ).

იბადება კითხვა: რაში უნდა მდგომარეობდეს პოლიტიკური აღზრდა? შეიძლება თუ არა დავკმაყოფილდეთ იმ იდეის პროპაგანდით, რომ მუშათა კლასი მტრულად არის განწყობილი თვითმპყრობელობისადმი? რა თქმა უნდა, არა. არ კმარა მუშების პოლიტიკური ჩაგვრის ახსნა (როგორც არ კმაროდა ახსნა მათთვის, რომ მათი ინტერესები ეწინააღმდეგება მეპატრონეთა ინტერესებს). აუცილებელია აგიტაციის გაწევა ამ ჩაგვრის ყოველი კონკრეტული გამოხატულების გამო (როგორც ვეწეოდით აგიტაციას ეკონომიური ჩაგვრის ყოველი კონკრეტული გამოხატულების გამო). სოლო რადგან ამ ჩაგვრას განიცდის საზოგადოების სულ სხვადასხვა კლასი, რადგან ეს ჩაგვრა თავს იჩენს ცხოვრებისა და მუშაობის სრულიად სხვადასხვა დარგში: პროფესიულში, საერთო სამოქალაქოში, პირადში. ოჯახურში, რელიგიურში, მეცნიერულში და სხვ. და სხვ., ამიტომ განა აშკარა არ არის, რომ ჩვენ ვერ შევასრულებთ ჩვენს ამოცანას მუშების პოლიტიკური შეგნების განვითარების მხრივ, თუ არ ვიკისრებთ თვითმპყრობელობის ყოველ მხრივ პოლიტიკურ მხილების მოწყობას? ჩაგვრის კონკრეტული გამოხატულების გამო რომ აგიტაცია გავწიოთ, ამისთვის საჭიროა ამ გამოხატულებათა მხილება (ისევე როგორც საფაბრიკო ბოროტმოქმედებათა მხილება იყო საჭირო ეკონომიური აგიტაციის გასაწევად)?...

...პროპაგანდისტმა, თუ ის ეხება, მაგ., უმუშევრობის იმავე საკითხს, უნდა განმარტოს კრიზისების კაპიტალისტური ბუნება, ცხადყოს მათი გარდუვალობის მიზეზი თანამედროვე საზოგადოებაში, დაასურათოს აუცილებლობა ამ საზოგადოების გარდაქმნისა სოციალისტურ საზოგადოებად და სხვ.. ერთი სიტყვით, მან უნდა მოგვცეს «ბევრი იდეა», იმდენად ბევრი, რომ ერთბაშად ყველა ამ იდეის ერთად შეთვისება შესაძლო იქნება მხოლოდ (შედარებით) მცირეოდენ პირთათვის. აგიტატორი კი, როცა იმავე საკითხზე ლაპარაკობს, აიღებს ისეთ მაგალითს, რომელიც ყველაზე უკეთ იციან მისმა მსმენელებმა და ყველაზე უფრო საყურადღებოა, — ვთქვათ, შიმშილით

სიკვდილი უმუშევრის ოჯახში, მათხოვრობის გაძლიერება და სხვ. — და მთელ თავის ძალ-ღონეს მოანდომებს იმას, რომ ამ ყველასა და თვითეულისათვის ნაცნობი ფაქტის გამოყენებით მთელ «მასას» ერთიიდეა ჩაუნერგოს: იდეა იმ წინააღმდეგობის უაზრობისა, რომელიც არსებობს სიმდიდრის ზრდასა და სიღატაკის ზრდას შორის, შეეცდება აღძრას მასაში უკმაყოფილება და გულისწყრომა ამ აღმაშფოთებელი ეკონომიურობის გამო, ხოლო ამ წინააღმდეგობის დაწვრილებითს ახსნას მიანდობს პროპაგანდისტს. ამიტომ პროპაგანდისტი უმთავრესად მოქმედებს ბეჭდვითი სიტყვით, აგიტატორი — ცოცხალი სიტყვით. პროპაგანდისტს მოეთხოვება სხვა თვისებანი, ვიდრე აგიტატორს...

ბ) პოლიტიკური მხილებანი და «რევოლუციური აქტიურობის აღზრდა»

როცა მარტინოვმა «ისკრის» წინააღმდეგ წამოაყენა თავისი «თეორია» «მუშათა მასის აქტიურობის ამაღლებისა», ამით სინამდვილეში გამოიჩინა მისწრაფება ამ აქტიურობის დამცირებისა, ვინაიდან მან ამ აქტიურობის გამოფხიზლების უპირატეს, განსაკუთრებით მნიშვნელოვან, «ყველაზე უფრო ფართოდ გამოსაყენებელ» საშუალებად და მის ასპარეზად გამოაცხადა იგივე ეკონომიური ბრძოლა, რომლის წინაშე ქვემძრომობდა აგრეთვე ყველა ეკონომისტი. სწორედ იმიტომ არის დამახასიათებელი ეს შეცდომა, რომ ის შეადგენს სრულიადაც არა მხოლოდ მარტინოვის თვისებას. ნამდვილად კი «მუშათა მასის აქტიურობის ამაღლება» შეიძლება მიღწეულ იქნეს მხოლოდ იმ პირობით, თუ ჩვენ არ დავჯერდებით «ეკონომიურ ნიადაგზე პოლიტიკურ აგიტაციას». ხოლო პოლიტიკური აგიტაციის აუცილებელი გაფართოების ერთ-ერთ ძირითად პირობას წარმოადგენს ყოველმხრივ პოლიტიკურ მხილებათა ორგანიზაცია. თუ ამ მხილებათა საშუალებით არა, სხვაფრივ მასების პოლიტიკური შეგნებისა და რევოლუციური აქტიურობის აღზრდა შეუძლებელია. ამიტომ ამგვარი მუშაობა შეადგენს მთელი საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფუნქციას, ვინაიდან პოლიტიკური თავისუფლება ოდნავადაც არ სპობს, არამედ მხოლოდ რამდენადმე ცვლის ამ მხილებათა მიმართულების სფეროს. მაგალითად, გერმანიის პარტია განსაკუთრებით ამაგრებს თავის პოზიციებს და აფართოებს თავის გავლენას სწორედ თავისი პოლიტიკური მამხილებელი კამპანიის შეუსუსტებელი ენერგიის წყალობით. მუშათა კლასის შეგნება არ შეიძლება იყოს ჭეშმარიტად პოლიტიკური შეგნება, თუ მუშები არ არიან შეჩვეული თვითნებობისა და ჩაგვ-

რის, ძალმომრეობისა და ბოროტმოქმედების ყველა და ყოველგვარ, შემთხვევაზე გამოხმაურებას, რომელ კლასებსაც უნდა ეხებოდეს ეს შემთხვევები; — და თანაც გამოხმაურებას სწორედ სოციალ-დემოკრატიული და არა სხვა რომელიმე თვალსაზრისით. მუშათა მასების შეგნება არ შეიძლება იყოს ჭეშმარიტად კლასობრივი შეგნება, თუ მუშებმა კონკრეტული და თან აუცილებლად საჭირბოროტო (აქტუალური) პოლიტიკური ფაქტებითა და ამბებით არ ისწავლეს თვითეულ სხვა საზოგადოებრივი კლასის, ამ კლასთა გონებრივი, ზნეობრივი და პოლიტიკური ცხოვრების ყველა გამოვლინების დაკვირვება; — თუ არ შეისწავლეს მოსახლეობის ყველა კლასის, ფენის და ჯგუფის ცხოვრების და მოქმედების ყველა მხარის მატერიალისტური ანალიზისა და მატერიალისტური შეფასების პრაქტიკული გამოყენება. ვინც მუშათა კლასის ყურადღებას, დაკვირვების უნარსა და შეგნებას მიიპყრობს მხოლოდ და მხოლოდ ან თუნდაც უპირატესად მასვე, — ის არ არის სოციალ-დემოკრატი, ვინაიდან მუშათა კლასის თვითშემეცნება განუყოფელადაა დაკავშირებული არა მარტო თეორიული... და კიდევ უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით: არა იმდენად თეორიული, რამდენადაც პოლიტიკური ცხოვრების გამოცდილებით გამომუშავებულ წარმოდგენათა სრულ გარკვეულობასთან თანამედროვე საზოგადოების ყველა კლასის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. აი რატომ არის ესოდენ დიდად მავნებელი და დიდად რეაქციული თავისი პრაქტიკული მნიშვნელობით ჩვენი ეკონომისტების ქადაგება, რომ ეკონომიური ბრძოლა ყველაზე ფართოდ გამოსაყენებელი საშუალებაა მასების ჩასაბმელად პოლიტიკურ მოძრაობაში. სოციალ-დემოკრატი რომ გახდეს, მუშამ ნათლად უნდა წარმოიდგინოს მემამულისა და ხუცის, დიდი კაცისა და გლეხის, სტუდენტისა და მაწანწალის ეკონომიური ბუნება და სოციალ-პოლიტიკური სახე, უნდა იცოდეს მათი ძლიერი და სუსტი მხარეები, უნდა ერკვეოდეს იმ გაცვეთილ ფრაზებსა და ყოველგვარ სოფიზმებში, რომლებითაც ჰფარავს თვითეული კლასი და თვითეული ფენა თავის ეგოისტურ ზრახვებს და თავის ნამდვილ «ბუნებას», უნდა ერკვეოდეს იმაში, თუ რომელი დაწესებულებანი და კანონები ასახავენ და სახელდობრ როგორ ასახავენ ამა თუ იმ ინტერესებს. ამ «ნათელ წარმოდგენას» კი ვერ ამოიღებ ვერავითარი წიგნიდან: მისი მოცემა შეუძლია მხოლოდ ცოცხალ სურათებს და ახალ ნაკვალევთა მიხედვით შედგენილ მხილებას იმისა, რაც ხდება ამა თუ იმ მომენტში ჩვენს ირგვლივ, რაზეც ლაპარაკობენ თავისებურად, ან თუგინდ ჩურჩულებენ ყველანი და თვითეული, რაც გამოიხატება ამა და ამ ამბებში, ამა და ამ ციფრებში. ამა და ამ სასა-

მართლოს განაჩენებში და სხვ. და სხვ. ეს ყოველმხრივი პოლიტიკური მხილებანი წარმოადგენენ მასების რევოლუციური აქტიურობის აღზრდის აუცილებელ და ძ ი რ ი თ ა დ პირობას.

რატომ არის, რომ რუსი მუშა ჯერ კიდევ ნაკლებად იჩენს რევოლუციურ აქტიურობას, როცა ხედავს პოლიციის მიერ ხალხისადმი მხეცურ მოპყრობას, სექტანტების დევნას, გლეხების ცემა-ტყეპას, ცენზურის სისაძაგლეს, ჯარისკაცთა წვალებას, სრულიად უვნებელ-კულტურულ წამოწყებათა დევნას და სხვ.? იმიტომ ხომ არა, რომ ამის «ბიძგს» არ აძლევს მას «ეკონომიური ბრძოლა», რომ მას ეს ნაკლებად «უქადის ხელშესახებ შედეგებს», ნაკლებად აძლევს «დადებითს»? არა, ასეთი შეხედულება არის, ვიმეორებთ, მხოლოდ ცდა თავისი შეცდომების სხვებისთვის გადაბრალებისა, ცდა თავისი საკუთარი ფილისტერობა (იგივე ბერნშტეინელობა) მოახვიო თავს მუშათა მასას. ჩვენსავე თავს, მასების მოძრაობისაგან ჩვენს ჩამორჩენილობას უნდა დავაბრალოთ, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ვერ შევძელით მოგვეწყო ყველა ამ სისაძაგლის საკმაოდ ფართო, მკაფიო და სწრაფი მხილებანი. ეს რომ ჩვენ გავაკეთოთ (ხოლო ჩვენ ეს უნდა გავაკეთოთ და შეგვიძლია კიდევაც გავაკეთოთ). — სულ უბრალო მუშაც კი შეიგნებს ან ი გ რ ძ ნ ო ბ ს, რომ სტუდენტსა და სექტანტს, გლეხსა და მწერალს ლანძღავს და შეურაცხყოფს სწორედ ის ბნელი ძალა, რომელიც ასე ძლიერ ჩაგრავს და სულს უხუთავს მას მისი ცხოვრების ყოველ ნაბიჯზე; ხოლო როცა ამას იგრძნობს, მოინდომებს, თავშეუკავებლად მოინდომებს თვითონაც გამოეხმაუროს ყოველსავე ამას; ის შესძლებს მაშინ — დღეს ქვივილ-ხვივილი აუტეხოს ცენზორებს, ხვალ დემონსტრაცია გამართოს გლეხთა აჯანყების ჩამქრობი გუბერნატორის სახლის წინ, ზეგ ჭკუა ასწავლოს იმ ანაფორიან ჟანდარმებს, რომლებიც წმინდა ინკვიზიციის საქმეებს აკეთებენ, და სხვ. ჩვენ ჯერ კიდევ ძლიერ ცოტა თითქმის არაფერი გაგვიკეთებია იმისათვის, რომ მუშათა მასებში გ ა დ ა ვ ი ს რ ო ლ ო თ ყოველმხრივი და ახალ-ახალი მხილებანი. ბევრ ჩვენგანს ჯერ შეგნებულიც კი არა აქვს ეს თავისი მ ო ვ ა ლ ე ო ბ ა და სტიქიურად მისჩანჩალებს «ჩვეულებრივ მიმდინარე ბრძოლას» საფაბრიკო ყოფა-ცხოვრების ვიწრო ფარგლებში. საქმეთა ასეთი მდგომარეობის დროს ლაპარაკი: ««ისკრას» ტენდენცია აქვს ჩვეულებრივი მიმდინარე ბრძოლის წინსვლის მნიშვნელობა შეამციროს ბრწყინვალე და დასრულებული იდეების პროპაგანდასთან შედარებითო» (მარტინოვი, გვ. 61), ნიშნავს პარტიის დაქანებას უკან, ნიშნავს ჩვენი ჩამორჩენილობისა და მოუმზადებლობის დაცვასა და შექებას.

რაც შეეხება მასების მოწოდებას სამოქმედოდ, ეს თავისთავად

მოხდება, რაკი წარმოებს ენერგიული პოლიტიკური აგიტაცია, ცოცხალი და მკვეთრი მხილებანი. ვისიმე დაჭერა დანაშაულის ადგილას და მისი შერცხვენა ყველას წინაშე და ყველგან იმწამსვე — ეს თავიდ-ბოლოს ყოველგვარ «მოწოდებაზე» უკეთესად მოქმედებს, ეს ხშირად ისე მოქმედებს, რომ შემდეგ ვერც კი გაარკვევ არსებითად, ვინ «მოუწოდა» ხალხს და ვინ წამოაყენა ესა თუ ის გეგმა დემონსტრაციისა და სხვ. მოწოდება — ამ სიტყვის არა ზოგადი, არამედ კონკრეტული აზრით — შეიძლება მხოლოდ მოქმედების ადგილას; მოწოდება შეუძლია მხოლოდ იმას, ვინც თვითონ ახლაც მიდის. ხოლო ჩვენი, სოციალ-დემოკრატი პუბლიცისტების საქმეა გავაღრმაოთ, გავაფართოოთ და გავაძლიეროთ პოლიტიკური მხილებანი და პოლიტიკური აგიტაცია.

სხვათა შორის, «მოწოდებებზე». ერთადერთი ორგანო, რომელმაც გაზაფხულის ამბებამდე მოუწოდა მუშებს აქტიურად ჩარეულიყვნენ ისეთ საკითხში, რომელიც არავითარ ხელშესახებ შედეგებს არ უქადდა მუშას, როგორიც არის სტუდენტების ჯარისკაცებად გაგზავნის საკითხი, — იყო «ისკრა». მაშინვე, როგორც კი გამოქვეყნდა 11 იანვრის განკარგულება «183 სტუდენტის ჯარისკაცებად გაგზავნის» შესახებ, «ისკრამ» მოათავსა ამის შესახებ სტატია (№2, თებერვალი) და, სანამ რაიმე დემონსტრაციები დაიწყებოდა, პირდაპირ მოუწოდებდა «მუშას გამოსულიყო სტუდენტის დასახმარებლად», მოუწოდებდა «ხალხს» — აშკარად გაეცა პასუხი მთავრობისთვის მის თავხედურ გამოწვევაზე. ჩვენ ვეკითხებით ყველას და თვითეულს: როგორ და რით აიხსნება ის თვალსაჩინო გარემოება, რომ მარტინოვს, რომელიც ასე ბევრს ლაპარაკობს «მოწოდებებზე» და «მოწოდებებს» მოღვაწეობის ცალკე სახედაც კი გამოჰყოფს, იმავე დროს ერთი სიტყვითაც კი არ მოუხსენებია ეს მოწოდება? და ამის შემდეგ განა ფილისტერობა არ არის მარტინოვის მხრივ «ისკრის» გამოცხადება როგორც ცალმხრივისა, რადგან იგი საკმაოდ არ «მოუწოდებს» საბრძოლველად ისეთი მოთხოვნებისთვის, რომლებიც «ხელშესახებ შედეგებს გვიქადიან»?

ჩვენს ეკონომისტებს, და მათ შორის «რაბოჩეე დელოსაც», წარმატება ჰქონდათ იმის წყალობით, რომ განუვითარებელ მუშებს ეგუებოდნენ. მაგრამ მუშა-სოციალ-დემოკრატი, მუშა-რევოლუციონერი (ხოლო ასეთი მუშების რიცხვი დღითი დღე იზრდება) აღშფოთებით უარყოფს ყველა ამ მსჯელობას ისეთი მოთხოვნებისათვის ბრძოლაზე, რომელნიც «ხელშესახებ შედეგებს უქადიან», და სხვ., ვინაიდან

ის მიხვდება, რომ ეს მხოლოდ ვარიანტებია ძველი ჰანგებისა კაპიკის მანეთზე მიმატების შესახებ. ასეთი მუშა «რაბოჩაიამისლელ» და «რაბოჩეედელოელ» მრჩეველთ ეტყვის: ამაოდ ცოდვილობთ, ბატონებო, ასე მეტისმეტი გულმოდგინებით რომ ერევით იმ საქმეში, რომელსაც ჩვენ თვითონაც კარგად ვართმევთ თავს, და თქვენს ნამდვილ მოვალეობათა შესრულებას კი გაურბიხართ. ეს ხომ სრული უშკუობაა, როცა ლაპარაკობთ, ვითომ სოციალ-დემოკრატების ამოცანაა თვით ეკონომიურ ბრძოლას მისცენ პოლიტიკური ხასიათი; ეს მხოლოდ დასაწყისია, და ეს როდია სოციალ-დემოკრატების მთავარი ამოცანა, ვინაიდან მთელ ქვეყნიერებაზე და მათ რიცხვში რუსეთშიც ხშირად პოლიცია თვითონ იწყებს ხოლმე ეკონომიური ბრძოლისათვის პოლიტიკური ხასიათის მიცემას, მუშები თვითონ ეჩვევიან იმის გაგებას, თუ ვის მხარეზეა მთავრობა*. «მუშების» ის «ეკონომიური ბრძოლა მეპატრონეებთან და მთავრობასთან», რომელსაც ისე ჩასჭიდებიხართ, თითქოს ეს თქვენ მიერ აღმოჩენილი ამერიკა იყოს, — ხომ წარმოებს რუსეთის ბევრ მივარდნილ კუთხეში თვით მუშების მიერ, რომელთაც გაფიცვები კი გაუგონიათ, მაგრამ სოციალიზმის შესახებ თითქმის არაფერი სმენიათ. აკი გვაქვს ჩვენ, მუშებს, ის «აქტიურობა», რომელიც თქვენ გსურთ გააღვივოთ ჩვენში ისეთი კონკრეტული მოთხოვნების წამოყენებით, რომლებიც ხელშესახებ შედეგებს გვიქადიან; ასეთ კონკრეტულ მოთხოვნებს თვითონ ჩვენ ვაყენებთ ჩვენს ყოველდღიურ, პროფესიულ წვრილმან მუშაობაში ხშირად ინტელიგენტების მხრივ სრულიად დაუხმარებლად. მაგრამ ჩვენთვის არ კმარა ასეთი აქტიურობა;

* იმის მოთხოვნა, რომ ითვით ეკონომიურ ბრძოლას მიეცეს პოლიტიკური ხასიათი», შეტად თვალსაჩინოდ გამოხატავს სტიქიურობის წინაშე ქედის მოხრას პოლიტიკური მუშაობის დარგში. პოლიტიკურ ხასიათს ეკონომიური ბრძოლა იღებს ძალიან ხშირად სტიქიურად, ე. ი. «რეეოლუციური ბაცილის — ინტელიგენციის» ჩაურეველად, შეგნებული სოციალ-დემოკრატების ჩაურეველად. პოლიტიკური ხასიათი მიიღო, მაგალითად, მუშების ეკონომიურმა ბრძოლამაც ინგლისში სოციალისტების მხრივ რაიმე მონაწილეობის მიუღებლად. სოციალ-დემოკრატების ამოცანა ეკონომიურ ნიადაგზე პოლიტიკური აგიტაციით კი არ ამოიწურება, მათი ამოცანაა — ეს ტრედ-უნიონისტური პოლიტიკა გადააქციონ სოციალ-დემოკრატიულ პოლიტიკურ ბრძოლად, — ისარგებლონ პოლიტიკური შეგნების იმ ნაპერწკლებით, რომლებიც ჩააგდო მუშებში ეკონომიურმა ბრძოლამ, რათა მუშები სოციალ-დემოკრატიული პოლიტიკური შეგნების სიმაღლემდე აიყვანონ. მარტინოვები კი, იმის ნაცვლად, რომ ამაღლონ და წინ წასწინონ სტიქიურად გაღვიძებული პოლიტიკური შეგნება, პირქვე ემხობიან სტიქიურობის წინაშე და იმეორებენ, ხშირად მომაბეზრებლად იმეორებენ, რომ ეკონომიური ბრძოლა «ჯახებს» მუშებს მათი პოლიტიკური უუფლებობის საკითხსო. ცუდი ის არის, ბატონებო, რომ თქვენ ტრედ-უნიონისტური პოლიტიკური შეგნების ეს სტიქიური გამოღვიძება არ «გაჯახებთ» ხოლმე თქვენი სოციალ-დემოკრატიული ამოცანების საკითხს!

ჩვენ ბავშვები როდი ვართ, რომ შესაძლო იყოს ჩვენი გამოკვება მარტოოდენ «ეკონომიური» პოლიტიკის ფაფით; ჩვენ გვინდა ვიცოდეთ ყოველივე ის, რაც სხვებმაც იციან, ჩვენ გვინდა დაწვრილებით გავეცნოთ პოლიტიკური ცხოვრების ყ ვ ე ლ ა მხარეს და ა ქ ტ ი უ რ ი მონაწილეობა მივიღოთ ყოველ და თვითეულ პოლიტიკურ მოვლენაში. ამისათვის კი საჭიროა, რომ ინტელიგენტები ნაკლებად გვეჩიჩინონ იმის შესახებ, რაც ჩვენ ისედაც ვიცით*, და უფრო მეტი მოგვცენ ისეთი რამ, რაც ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცით, რასაც თვითონ ჩვენ ჩვენი საფაბრიკო და «ეკონომიური» გამოცდილებიდან ვერასოდეს ვერ შევიძენთ, სახელდობრ: პოლიტიკური ცოდნა. ამ ცოდნის შეძენა შეგიძლიათ თქვენ, ინტელიგენტებს, და თქვენ მ ო ვ ა ლ ე ნ ი ხ ა რ თ ეს ცოდნა მოგვაწოდოთ ასჯერ და ათასჯერ მეტი, ვიდრე ამას აქამდე გვაწოდებდით, და თანაც მოგვაწოდოთ არა მხოლოდ მსჯელობის, ბროშურების და სტატიების სახით (რომლებიც ხშირად—გვაპატიეთ გულახდილობა! — ცოტა არ იყოს მოსაწყენია), არამედ უეჭველად იმის ცოცხალ მ ხ ი ლ ე ბ ა თ ა სახით, თუ სახელდობრ რას აკეთებს ამჟამად ჩვენი მთავრობა და ჩვენი მბრძანებელი კლასები ცხოვრების ყველა სფეროში. აი ეს თქვენი მოვალეობა შეასრულეთ უფრო გულმოდგინედ, და «მ უ შ ა თ ა მ ა ს ი ს ა ქ ტ ი უ რ ო ბ ი ს გ ა ძ ლ ი ე რ ე ბ ა ზ ე» რ ა ც შ ე ი ძ ლ ე ბ ა ნ ა კ ლ ე ბ ა დ ი ლ ა პ ა რ ა კ ე თ. აქტიურობა ჩვენ გაცილებით მეტი გვაქვს, ვიდრე თქვენ

* იმას დასამტკიცებლად, რომ მუშების მთელი ეს სიტყვა ეკონომისტების მიმართ ჩვენ ძიერ გამოგონილი არ არის, დავასახელებთ ორ ძოწმეს, რომლებიც უსათუოდ უშუალოდ იცნობენ მუშათა მოძრაობას და ყველაზე ნაკლები მიდრეკილება აქვთ — მოგვიდგნენ ჩვენ, «დოგმატიკოსებს», ვიხილიდან ერთი მოწმე — ეკონომისტია (რომელსაც პოლიტიკურ ორგანოდაც კი მიაჩნია «რაბოჩეე დელო»!), მეორე — ტერორისტი. პირველი მოწმე ავტორია თავისი სიმართლით და სიცხოველით შესანიშნავი სტატიისა: «პეტერბურგის მუშათა მოძრაობა და სოციალ-დემოკრატიის პრაქტიკული ამოცანები», «რაბოჩეე დელოს» მე-6 ნომერში. ის ჰყოფს მუშებს 1) შეგნებულ რეგოლუციონერებად, 2) შუალედ ფენად და 3) დანარჩენ მასად. და აი შუალედ ფენას «ხშირად აინტერესებს უფრო პოლიტიკური ცხოვრების საკითხები, ვიდრე თავისი უანლოესი ეკონომიური ინტერესები, რომელთა კავშირი საერთო სოციალურ ინტერესებთან მას დიდი ხანია შეგნებული აქვს»... «რაბოჩაია მისლს» «ძმაფრად აკრიტიკებენ»: «სულ ერთი და იგივე, დიდი ხანია ვიცით, დიდ ხანია წაკითხული გვაქვს», «პოლიტიკურ მიმოხილვაში ისევ არაფერი არ არის» (გვ. 30—31). მაგრამ მესამე ფენაც კი: «უფრო გულისხმიერი, უფრო ნორჩი, სამეიტნოს და ეკლესიის მიერ უფრო ნაკლებად გარყვნილი მუშათა მასა, ოომელიც თითქმის მუდამ მოკლებულია საშუალებას იშო

ფიქრობთ, და ჩვენ შეგვიძლია აშკარა ბრძოლით ქუჩებში ისეთ მოთხოვნებსაც დავუპიროთ ჰხარი, რომლებიც არავითარ «ხელ-შესახებ შედეგებს» არ გვიჭადის! და თქვენ ვერ «გააძლიერებთ» ჩვენს აქტიურობას, ვინაიდან თვითონ თქვენ გაკლიათ სწორედ ეს აქტიურობა. რაც შეიძლება ნაკლებად მოიხარ-ედ ქედი სტიქიურობის წინაშე და რაც შეიძლება მეტი იფიქრეთ საკუთარი აქტიურობის გაძლიერებაზე, ბატონებო!

... ბეჭდვითი სიტყვა უკვე დიდი ხანია ძალად იქცა ჩვენში, თორემ მთავრობა არ გაიღებდა მრავალ ათეულ ათას მანეთს მის მოსასყი-დად და სხვადასხვა კატკოვებისა და მეშჩერსკებისთვის სუბსიდიე-ბის მისაცემად. და არც ახალი ამბავია თვითმპყრობელურ რუსეთში, რომ არალეგალური ბეჭდვითი სიტყვა ამსხვრევდა ცენზურის ურდუ-ლებს და აიძულებდა აშკარად ელაპარაკნათ მის შესახებ ლე-გალურ და კონსერვატიულ ორგანოებს. ასე იყო 70-იან და თვით 50-იან წლებშიც. ხოლო რამდენად უფრო ფართოა და ღრმა ახლა ხალხის ის ფენები, რომლებიც მზად არიან იკითხონ არალეგალური გამოცემანი და ისწავლონ მით, თუ «როგორ იცხოვრონ და როგორ ბოკვდნენ», ერთი მუშის გამოთქმა რომ ვიხმაროთ, რომელმაც წერი-ლით მიმართა «ისკრას» (№7).[100] პოლიტიკური მხილება წარმოადგენს სწორედ ისეთსავე ომის გამოცხადებას მთავრობისათვის, როგორც ეკონომიური მხილება უცხადებს ომს მეფაბრიკეს. და ომის ამ გამოცხადებას მით უფრო დიდი ზნეობრივი მნიშვნელობა აქვს, რაც უფრო ფართო და ძლიერია ეს მამხილებელი კამპანია, რაც უფ-რო მრავალრიცხოვანია და გაბედული ის საზოგადოებრივი კლასი, რომელიც ომს აცხადებს, რომ ეს ომი დაიწყოს. პოლიტიკური მხილებანი ამიტომ უკვე თავისთავად წარმოადგენენ ჩვენდამი მტრულად განწყობილი წყობილების დაშლის ერთ-ერთ ძლიერ საშუალებას, მტრისაგან მისი დროებითი ან შემთხვევითი მოკავშირეების ჩამოშორების საშუალებას, თვითმპყრობელური ხე-ლისუფლების მუდმივ მონაწილეთა შორის მტრობისა და უნდობლო-ბის დათესვის საშუალებას.

ამჟამად რევოლუციური ძალების ავანგარდად შეუძლია გახდეს მხოლოდ იმ პარტიას, რომელიც მოაწყობს მართლაც საყოვე-ლთაო სახალხო მხილებას. ხოლო ამ სიტყვას: «საყოველთაო სახალხოს» ძალიან დიდი შინაარსი აქვს. მამხილებელთა დიდი უმრა-ვლესობა, არა-მუშათა კლასიდან გამოსული (ხოლო ავანგარდი რომ გახდე, სწორედ სხვა კლასები უნდა მიიზიდო), — ფხიზელი პოლიტი-კოსები და დინჯი საქმის ხალხია. მათ მშვენივრად იციან, როგორ სა-

ფრთხილია «ჩივილი» დაბალ მოხელეზეც კი, არამცთუ რუსეთის «ყოვლისშემძლე» მთავრობაზე. და ისინი მოგვმართავენ ჩ ვ ე ნ ჩივილით მხოლოდ მაშინ, როცა დაინახავენ, რომ ამ ჩივილს მართლაც შეეძლება გავლენა მოახდინოს, რომ ჩვენ მართლაც პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ძ ა ლ ა ს წარმოვადგენთ. გარეშე პირთა თვალში რომ ასეთ ძალად გავხდეთ, საჭიროა ბევრი და გულმოდგინედ ვიმუშაოთ იმისათვის, რომ ა ვ ა მ ა ღ ლ ო თ ჩვენი შეგნებულობა, ინიციატივა და ენერგია; ამისთვის როდი კმარა «ავანგარდის» იარლიყის ჩამოკიდება არიერგარდის თეორიასა და პრაქტიკაზე.

მაგრამ თუ ჩვენ უნდა ვითავოთ მთავრობის ნამდვილი საყოველთაო სახალხო მხილების მოწყობა, რით გამოიხატება მაშინ ჩვენი მოძრაობის კლასობრივი ხასიათი? — შეგვეკითხება და უკვე გვეკითხება «პროლეტარიატის ბრძოლასთან მჭიდრო ორგანული კავშირის» მეტისმეტად ბეჯითი თაყვანისმცემელი. — რით და აი სწორედ იმით, რომ ამ საყოველთაო სახალხო მხილებას ვაწყობთ ჩვენ, სოციალ-დემოკრატები; — იმით, რომ აგიტაციით აღძრული ყველა საკითხის გაშუქება შესრულებული იქნება განუხრელი სოციალ-დემოკრატიული სულისკვეთებით ისე, რომ ოდნავადაც არავინ დააფარებს ხელს მარქსიზმის შეგნებულად და შეუგნებლად დამახინჯებას; იმით, რომ ამ ყოველმხრივ პოლიტიკურ აგიტაციას გასწევს პარტია, რომელიც ერთი მჭიდრო მთლიანობად აერთებს მთავრობაზე შეტევასაც მთელი ხალხის სახელით, პროლეტარიატის რევოლუციურად აღზრდასაც, მისი პოლიტიკური დამოუკიდებლობის დაცვასთან ერთად, მუშათა კლასის ეკონომიური ბრძოლის ხელმძღვანელობასაც, ექსპლოატატორებთან მის იმ სტიქიურ შეტაკებათა გამოყენებასაც, რაც ფეხზე აყენებს და ჩვენს ბანაკში იზიდავს პროლეტარიატის ახალ-ახალ ფენებს!

IV

ეკონომისტების კუსტარულობა და რევოლუციური ორგანიზაცია

ბ) ადგილობრივი და საერთო-რუსეთის მასშტაბით მუშაობა

თუ აქ განხილული ორგანიზაციის გეგმის წინააღმდეგ გამოთქმული მოსაზრებანი მისი არადემოკრატიზმისა და შეთქმულებითი ხასიათის თვალსაზრისით სრულიად უსაფუძვლოა, რჩება კიდევ საკითხი, რომელსაც ძალიან ხშირად აყენებენ და რომელიც დაწვრილებით განხილვის ღირსია. ეს არის ადგილობრივი და საერთო-რუსეთის მასშტაბით მუშაობის თანაფარდობის საკითხი. გამოთქვამენ

შიშს, ცენტრალისტური ორგანიზაციის შექმნა ხომ არ გამოიწვევს სიმძიმის ცენტრის გადატანას პირველიდან მეორეზე? ხომ არ აუნებს ეს მოძრაობას, ხომ არ დაასუსტებს მუშათა მასასთან ჩვენი კავშირის სიმტკიცეს და საერთოდ ადგილობრივი აგიტაციის სიმყარესო? ჩვენ ამაზე ვუპასუხებთ: ჩვენი უკანასკნელი წლების მოძრაობა სწორედ იმიტომ მოიკოჭლებს, რომ ადგილობრივი მოღვაწენი მეტის-მეტად არიან გართული ადგილობრივი მუშაობით; რომ ამიტომ სიმძიმის ცენტრის რამდენადმე გადაწევა საერთო-რუსეთის მასშტაბით მუშაობისაკენ უსათუოდ აუცილებელია; რომ ასეთი გადაწევა კი არ დაასუსტებს, არამედ გააძლიერებს როგორც ჩვენი კავშირის სიმტკიცეს, ისე ჩვენი ადგილობრივი აგიტაციის სიმყარეს. ავიღოთ ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების საკითხი და ვთხოვოთ მკითხველს არ დაივიწყოს, რომ საგაზეთო საქმე ჩვენთვის მხოლოდ მ ა გ ა ლ ი თ ი ა, რომელიც გვისურათებს განუზომლად უფრო ფართო და მრავალმხრივ რევოლუციურ საქმეს საერთოდ.

მასობრივი მოძრაობის პირველ პერიოდში (1896 — 1898 წლები) ადგილობრივი მოღვაწენი ცდილობენ მოაწყონ საერთო-რუსეთის ორგანო «რაბოჩაია გაზეტა»; შემდგომ პერიოდში (1898—1900 წლები) — მოძრაობა დიდ ნაბიჯს დგამს წინ, მაგრამ ხელმძღვანელთა ყურადღებას მთლად ადგილობრივი ორგანოები ნთქამს. თუ ვიანგარიშებთ ერთად ყველა ამ ადგილობრივ ორგანოს, აღმოჩნდება*, რომ საბოლოო ანგარიშში თვეში გაზეთის თითო ნომერი მოდის. განა ეს ჩვენი კუსტარულობის თვალსაჩინო ილუსტრაცია არ არის? განა ეს არ გვიჩვენებს თვალნათლივ ჩვენი რევოლუციური ორგანიზაციის ჩამორჩენილობას მოძრაობის სტიქიური აღმავლობისაგან? გაზეთების ნომრების ი გ ი ვ ე რ ი ც ხ ვ ი, რომ გამოშვებული ყოფილიყო არა დაქსაქსული ადგილობრივი ჯგუფების, არამედ ერთიანი ორგანიზაციის მიერ, — ჩვენ არათუ დავზოგავდით დიდ ძალას, არამედ უზრუნველვყოფდით კიდეც ჩვენი მუშაობის გაცილებით უფრო მეტ სიმტკიცეს და თანამომდევნობას. ამ უბრალო მოსაზრებას ძალიან ხშირად უშვებენ მხედველობიდან როგორც ის პრაქტიკოსები, რომელნიც ა ქ ტ ი უ რ ა დ მუშაობენ თითქმის მხოლოდ და მხოლოდ ადგილობრივი ორგანოებისთვის (სამწუხაროდ, უმეტეს შემთხვევაში ეს ახლაც ასეა), ისე ის პუბლიცისტები, რომელნიც ამ საკითხში საკვირველ დონკიხოტობას იჩენენ. პრაქტიკოსი ჩვეულებრივ იმ მოსაზრებით კმაყოფილდება, რომ ადგილობრივ მოღვა-

* იხ. «მოხსენება პარიზის კონგრესს» 101, გვ. 14: «იმ დროიდან (1897 წ.) 1900 წლის გაზაფხულამდე სხვადასხვა ადგილას გამოვიდა სხვადასხვა გაზეთის 30 ნომერი... საშუალოდ თვეში თითო ნომერზე მეტი გამოდიოდა».

წეთათვის «ძნელია»* საერთო-რუსეთის გაზეთის გამოცემის დაყენება და რომ სულ არარობას სჯობს ადგილობრივი გაზეთები გვქონდესო. უკანასკნელი მოსაზრება, რა თქმა უნდა, სავსებით სამართლიანია, და ჩვენც არც ერთ პრაქტიკოსზე ნაკლებად არ გვესმის საერთოდ ადგილობრივი გაზეთების დიდი მნიშვნელობა და დიდი სარგებლობა. მაგრამ აქ ხომ ლაპარაკია არა ამაზე, არამედ იმაზე, რომ იქნებ შესაძლებელია თავი დავაღწიოთ დაქსაქსულობას და კუსტარულობას, რასაც ასე თვალსაჩინოდ ამჟღავნებს ადგილობრივი გაზეთების 30 ნომრის გამოშვება მთელ რუსეთში 2½ წლის განმავლობაში. მაშ ნუ კმაყოფილდებით უდავო, მაგრამ მეტად ზოგადი დებულებით საერთოდ ადგილობრივი გაზეთების სარგებლობის შესახებ, არამედ აგრეთვე იქონიეთ ვაჟკაცობა აშკარად აღიაროთ მათი უარყოფითი მხარეები, რაც ორნახევარი წლის გამოცდილებამ გამოააშკარავა. ეს გამოცდილება მოწმობს, რომ ჩვენს პირობებში ადგილობრივი გაზეთები მეტწილად პრინციპულად არამტკიცეა, პოლიტიკურ მნიშვნელობას მოკლებულია, რევოლუციურ ძალთა ხარჯვის მხრივ — განუზომლად ძვირია, ტექნიკურად — სრულიად არადამაკმაყოფილებელი (ცხადია, მე მხედველობაში მაქვს არა ბეჭდვის ტექნიკა, არამედ გამოსვლის სიხშირე და რეგულარობა). და ყველა აღნიშნული ნაკლი შემთხვევითი მოვლენა კი არ არის, არამედ აუცილებელი შედეგია იმ დაქსაქსულობისა, რომლითაც, ერთი მხრივ, აიხსნება ადგილობრივი გაზეთების სიჭარბე აღნიშნულ პერიოდში. და რომელსაც, მეორე მხრივ, ეს სიჭარბე ასაზრდოებს. ცალკე ადგილობრივ ორგანიზაციას პირდაპირ არ ძალუძს უზრუნველყოს თავისი გაზეთის პრინციპული სიმტკიცე და დააყენოს ის პოლიტიკური ორგანოს სიმაღლეზე, არ ძალუძს დააგროვოს და გამოიყენოს საკმაო მასალა მთელი ჩვენი პოლიტიკური ცხოვრების გასაშუქებლად. ის საბუთი კი, რომლითაც ჩვეულებრივ იცავენ მრავალრიცხოვანი ადგილობრივი გაზეთის აუცილებლობას თავისუფალ ქვეყნებში — მათი სიიაფე ადგილობრივი მუშების მიერ მათი ბეჭდვის გამო და ადგილობრივ მოსახლეობის ინფორმაციის მეტი სისრულე და სისწრაფე — ეს საბუთი ჩვენში, როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, ადგილობრივი გაზეთების წინააღმდეგ მეტყველებს. ისინი უზომოდ ძვირი ჯდება რევოლუციური ძალების ხარჯვის მხრივ, და განსაკუთრებით იშვიათადაც გამოდის

* ეს სიძნელე მოჩვენებითია მხოლოდ. ნამდვილად კი არ არსებობს ისეთი ადგილობრივი წრე, რომელსაც შესაძლებლობა არ ჰქონდეს აქტიურად მოკიდოს ხელი საერთო-რუსეთის საქმის ამა თუ იმ ფუნქციას. «ნუ ამბობ: არ შემიძლიაო, თქვი: არ მინდა».

ხოლმე იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ არალეგალურ გაზეთს, რაც უნდა პატარა იყოს იგი, ესაჭიროება ისეთი დიდი კონსპირაციული აპარატი, რომელიც მოითხოვს მსხვილ საფაბრიკო მრეწველობას, ვინაიდან კუსტარულ სახელოსნოში ეს აპარატი არც შეიქმნება. კონსპირაციული აპარატის პრიმიტიულობა კი ძალიან ხშირად იწვევს იმას (ყოველმა პრაქტიკოსმა იცის ამის მრავალი მაგალითი), რომ პოლიცია სარგებლობს ერთი-ორი ნომრის გამოსვლით და გავრცელებით მასობრივი ჩავარდნის მოსაწყობად, როცა ისე პირწმინდად ნადგურდება ყველაფერი, რომ საჭირო ხდება მთელი საქმის ისევ თავიდან დაწყება. კარგი კონსპირაციული აპარატი მოითხოვს რევოლუციონერების კარგს პროფესიულ მომზადებას და შრომის ფრიად თანმიმდევრად დანაწილებას, ამ ორივე მოთხოვნის დაკმაყოფილება კი სრულიად აღემატება ცალკე ადგილობრივი ორგანიზაციის ძალ-ღონეს, რაც უნდა ძლიერი იყოს იგი ამ მომენტში. მთელი ჩვენი მოძრაობის საერთო ინტერესებზე რომ არაფერი ვთქვათ (მუშების პრინციპულად მტკიცე სოციალისტური და პოლიტიკური აღზრდა), სპეციალურად ადგილობრივ ინტერესებსაც უკეთ ემსახურებიან არა ადგილობრივი ორგანოები: ეს პარადოქსად მოჩანს მხოლოდ პირველი შეხედვით, ნამდვილად კი ჩვენ მიერ აღნიშნული ორწელიწადნახევრის გამოცდილება უცილობლად ამტკიცებს ამას. ყველა დაგვეთანხმება, რომ მთელი ის ადგილობრივი ძალები, რომელთაც 30 ნომერი გაზეთი გამოუშვეს, ერთ გაზეთზე თუ იმუშავებდნენ, სულ ადვილი იქნებოდა ამ უკანასკნელის 100 ნომრისა თუ არა — სამოცის გამოშვება, და, მაშასადამე, გაზეთი უფრო სრულადაც გამოხატავდა წმინდა ადგილობრივი ხასიათის მოძრაობის ყველა თავისებურებას. ეჭველია, ასეთი შეკავშირება ადვილი არ არის, მაგრამ საჭიროა, ბოლოს, შევიგნოთ მისი აუცილებლობა, რომ თვითეული ადგილობრივი წრე ფიქრობდეს დაქტიურად მუშაობდეს მასზე, არ ელოდეს გარედან წაბიძგებას, არ მოტყუვდეს ადგილობრივი ორგანოს იმ ხელმისაწვდომობით, იმ სიახლოვით, რომელიც — ჩვენი რევოლუციური გამოცდილების მიხედვით — მეტწილად მოჩვენებითი აღმოჩნდება ხოლმე.

ცუდ სამსახურს უწევენ პრაქტიკულ მუშაობას ის, მათი აზრით, პრაქტიკოსებთან ძალიან დაახლოებული პუბლიცისტები, რომელნიც ამ მოჩვენებითობას ვერ ამჩნევენ და კმაყოფილდებიან საკვირლად ფუჭი და საკვირლად უშინაარსო მსჯელობით: საჭიროა ადგილობრივი გაზეთები, საჭიროა რაიონული გაზეთები, საჭიროა საერთო-რუსეთის გაზეთებიო. რა თქმა უნდა, ყოველივე ეს, საერთოდ რომ ვთქვათ, საჭიროა; მაგრამ საჭიროა აგრეთვე იფიქრო გარემოსა

და მომენტის პირობებზეც, რაკი ხელს ჰკიდებ კონკრეტულ ორგანიზაციულ საკითხს. მართლაც, განა ეს დონკიხოტობა არ არის, როდესაც «სვობოდა»[102] (№ 1, გვ. 68) სპეციალურად «ეხება გ ა ზ ე თ ი ს ს ა კ ი თ ხ ს» და წერს: «ჩვენ გვგონია, მუშათა შეჯგუფების ყველა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან ადგილას უნდა არსებობდეს თავისი საკუთარი მუშათა გაზეთი. არა საიდანღაც მოტანილი, არამედ სწორედ თავისი საკუთარი». თუ ამ პუბლიცისტს არა სურს დაუფიქრდეს თავისი სიტყვების მნიშვნელობას, მის მაგივრად თქვენ მაინც დაუფიქრდით, მკითხველო: რამდენი ათეული, თუ ასეული არა, «მუშათა შეჯგუფების მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ადგილია» რუსეთში და ჩვენი კუსტარულობის როგორი უკვდავყოფა იქნებოდა, ყოველ ადგილობრივ ორგანიზაციას მართლაც რომ დაეწყო თავისი საკუთარი გაზეთის გამოცემა! როგორ გაუადვილებდა ეს დაქსაქსულობა ჩვენს ჟანდარმებს მათ ამოცანას: დაეჭირათ— და ამასთანავე «თითქმის სრულიად» გაურჯელად — ადგილობრივი მოღვაწენი მათი მოღვაწეობის დასაწყისშივე და შეეშალათ ხელი მათგან ნამდვილი რევოლუციონერების გამოზრდისათვის! — საერთო-რუსეთის გაზეთში, — განაგრძობს ავტორი, — საინტერესო არ იქნებოდა აწერა მეფაბრიკეთა ოინებისა და «საფაბრიკო ცხოვრების წვრილმანებისა სხვადასხვა, არა თავის ქალაქში», ხოლო «ორიოლელს თავის ორიოლის საქმეებზე კითხვა სრულიადაც არ მოსწყინდება. თვითეულ შემთხვევაში მან იცის, თუ ვის «გაჰკრეს», ვინ «გაცოცხეს», და მისი სული ნავარდობს» (გვ. 69). დიახ, დიახ, ორიოლელის სული ნავარდობს, მაგრამ მეტისმეტად «ნავარდობს» აგრეთვე ჩვენი პუბლიცისტის აზრიც. ტაქტიანობაა მერე ეს დაცვა ნამცეცებისთვის ზრუნვისა? — აი რაზე უნდა დაფიქრებულიყო იგი. ჩვენ სხვაზე ნაკლებ არ ვცნობთ საფაბრიკო მხილებათა მნიშვნელობას და საჭიროებას, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ უკვე იქამდე მივედით, როცა პეტერბურგელებს მობეზრდათ პეტერბურგის გაზეთის — «რაბოჩაია მისლის» პეტერბურგის კორესპონდენციების კითხვა. საფაბრიკო მხილებებისათვის ადგილობრივ ჩვენ ყოველთვის გვქონდა და ყ ო ვ ე ლ თ ვ ი ს უ ნ დ ა დ ა რ ჩ ე ს ფურცლები. — მაგრამ გ ა ზ ე თ ი ს ტიპი უნდა ავამაღლოთ, და არა ჩამოვაქვეითოთ საფაბრიკო ფურცლამდე. «გაზეთისთვის» ჩვენ გვესაჭიროება საფაბრიკო ცხოვრების იმდენად არა «წვრილმანის», რამდენადაც დიდ, ტიპიურ ნაკლთა მხილება, — მხილება, რომელიც შეეხება განსაკუთრებით რელიეფურ მაგალითებს და რომელსაც ამიტომ შეუძლია დაინტერესოს ყ ვ ე ლ ა მუშა და მოძრაობის ყველა ხელმძღვანელი, შეუძლია მართლაც გაამდიდროს მათი ცოდნა, გააფართოოს მათი გონებრივი

არე და დასაწყისი მისცეს ახალი რაიონის, მუშების ახალი პროფესიული ფენის გამოღვიძებას.

«შემდეგ, ადგილობრივ გაზეთში ფაბრიკის უფროსების თუ სხვა ხელისუფალთა ოინები მაშინვე ახალ კვალზე შეიძლება გამოაშკარავდეს. ხოლო ვიდრე საერთო, შორეულ გაზეთამდე მიაღწევდეს ცნობა — ადგილობრივ უკვე დავიწყებული აქვთ ის, რაც მოხდა: «როდის მოხდა ეს — ღმერთო გამახსენე!»» (იქვე). სწორედ რომ: ღმერთო გამახსენე! 2½ წელიწადში გამოცემული 30 ნომერი, როგორც იმავე წყაროდან ვგებულობთ, ექვს ქალაქზე მოდის. ეს ერთ ქალაქზე იძლევა საშუალოდ თითო ნომერ გაზეთს ნახევარ წელიწადში! ჩვენმა ქარაფშუტა პუბლიცისტმა თავის წარმოდგენაში კიდევაც რომ გაასამკეცოს ადგილობრივი მუშაობის ნაყოფიერება (რაც არავითარ შემთხვევაში არ იქნებოდა სწორი საშუალო ქალაქის მიმართ, ვინაიდან კუსტარულობის ფარგლებში შეუძლებელია ნაყოფიერების მნიშვნელოვანი გაფართოება), — მაინც მხოლოდ თითო ნომერს მივიღებთ ორ თვეში, ე. ი. ისეთ რასმე, რაც სრულებითაც არა ჰგავს «ახალ კვალზე გამოაშკარავებას». ნამდვილად კი საკმარისია ათი ადგილობრივი ორგანიზაცია გაერთიანდეს და გამოჰყოს თავისი დელეგატები აქტიური ფუნქციებისათვის საერთო გაზეთის მოსაწყობად, — და მაშინ შესაძლებელი იქნებოდა მთელ რუსეთში «გამოგვეაშკარავებინა» ხოლმე ორ კვირაში ერთხელ არა წვრილმანები, არამედ მართლაცდა თვალსაჩინო და ტიპიური უმსგავსობანი. ამაში არავინ დაეჭვდება, ვინც კი იცნობს საქმის ვითარებას ჩვენს ორგანიზაციებში. ხოლო დანაშაულის ადგილას მტრის დაჭერაზე, თუ ამას სერიოზულად გავიგებთ, და არა მარტო ლამაზი სიტყვის აზრით, საერთოდ არალეგალურ გაზეთს ფიქრიც არ შეუძლია: ამას შესძლებს მხოლოდ სახელდახელო ფურცელი, ვინაიდან ამ დაჭერის მთელი ვადა მეტწილად არ აღემატება ერთ — ორ დღეს (აიღეთ, მაგალითად, ჩვეულებრივი ხანმოკლე გაფიცვა, ფაბრიკაში მომხდარი ცემა-ტყეპა ან დემონსტრაცია და სხვ.).

«მუშა ცხოვრობს არა მარტო ფაბრიკაში, არამედ ქალაქშიც», — განაგრძობს ჩვენი ავტორი, და ამნაირად გადადის კერძოდან ზოგადზე ისეთი მკაცრი თანმიმდევრობით, რომელიც თვით ბორის კრიჩევსკისაც კი შეშურდებოდა. ის მიუთითებს ქალაქის თვითმმართველობის, ქალაქის საავადმყოფოების, ქალაქის სკოლების და სხვა საკითხებზე და მოითხოვს, რომ მუშათა გაზეთი საერთოდ ქალაქის საქმეებს დუმილით არ უვლიდეს გვერდს. — ეს მოთხოვნა თავისთავად მშვენიერია, მაგრამ იგი განსაკუთრებით თვალნათლივ ასურათებს

იმ უშინაარსო აბსტრაქტულობას, რასაც ხშირად სჯერდებიან ხოლმე ადგილობრივ გაზეთებზე მსჯელობის დროს. ჯერ ერთი, მართლაც რომ «მუშების შეჯგუფების ყოველ მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან ადგილას» გაჩნდეს გაზეთი ისეთი ვრცელი საქალაქო, განყოფილებით, როგორც «სვობოდა» ფიქრობს, ეს ჩვენს რუსულ პირობებში გარდუვალად გადაგვარდებოდა ნამდვილ ნამცეცებისათვის ბრძოლად, გამოიწვევდა მეფის თვითმპყრობელობაზე მთელი რუსეთის რევოლუციური შეტევის მნიშვნელობის შეგნების შესუსტებას, გაძლიერებდა ძალიან გამძლე და უფრო მიყუჩებულ ან ჩახშულ, ვიდრე ძირფესვიანად ამოგდებულ, იმ მიმართულების ყლორტებს, რომელმაც უკვე სახელი გაითქვა შესანიშნავი სიტყვებით რევოლუციონერებზე, რომელნიც ძალიან ბევრს ლაპარაკობენ არარსებულ პარლამენტზე და ძალიან ცოტას — არსებულ საქალაქო თვითმმართველობებზე. ჩვენ ვამბობთ: გარდუვალად, და ამით ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ «სვობოდას» ეს განზრახ კი არა სურს, არამედ სურს წინააღმდეგი. მაგრამ მარტო კეთილი სურვილები არ კმარა. — ქალაქის საქმეები რომ გაშუქდეს მთელი ჩვენი მუშაობის სათანადო პერსპექტივით, თ ა ვ დ ა პ ი რ ვ ე ლ ა დ საჭიროა ეს პერსპექტივა იყოს სავსებით შემუშავებული, მტკიცედ დადგენილი არა მარტოოდენ მსჯელობით, არამედ მრავალი მაგალითითაც, რათა მან ტ რ ა დ ი ც ი ი ს სიმტკიცე მოიპოვოს. ეს ჩვენ ჯერ სრულიადაც არა გვაქვს. საჭირო კია ეს გვქონდეს სწორედ თ ა ვ დ ა პ ი რ ვ ე ლ ა დ, სანამ დავიწყებდეთ ფიქრსა და ლაპარაკს ფართო ადგილობრივ პრესაზე.

მეორე, მართლაც კარგად და საინტერესოდ რომ დასწეროთ რამე ქალაქის საქმეებზე, საჭიროა კარგად და არა მარტო წიგნებით იცოდეთ ეს საქმეები. ისეთი სოციალ-დემოკრატები კი, რომელთაც შეიძლება ასეთი ცოდნა ჰქონდეთ, თითქმის სრულიად არ მოიპოვებიან მ თ ე ლ რ უ ს ე თ შ ი. გაზეთში (და არა პოპულარულ ბროშურაში) რომ სწეროთ საქალაქო და სახელმწიფო საქმეებზე, საჭიროა ახალი, მრავალმხრივი, მცოდნე კაცის მიერ შეკრებილი და დამუშავებული მასალა. ხოლო ასეთი მასალა რომ შეკრიბოთ და დაამუშაოთ, არ კმარა პრიმიტიული წრის «პრიმიტიული დემოკრატია», საადაც ყველანი ყველაფერს აკეთებენ და თავს ირთობენ რეფერენდუმობის თამაშით. ამისთვის საჭიროა შტაბი სპეციალისტ-მწერლების. სპეციალისტ-კორესპონდენტებისა, საჭიროა არმია რეპორტიორ-სოციალ-დემოკრატებისა, რომელნიც კავშირს აბამენ ყველგან, რომელთაც შეუძლიათ მისწვდნენ ყველა და ყოველგვარ «სახელმწიფო საიდუმლოებას» (რითაც რუსი მოხელე ასე მედიდურობს და რასაც ის ასე ადვილად ახმაურებს), გაძერნენ ყოველნაირ «ფარულ

საქმეებში», საჭიროა არმია ისეთი ადამიანებისა, რომელნიც «თავიანთი თანამდებობით» ვალდებული არიან იყვნენ ყველგანმყოფნი და ყოვლისმცოდნენი. და ჩვენ, ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ ი ეკონომიური, პოლიტიკური, სოციალური, ნაციონალური ჩაგვრის წინააღმდეგ მებრძოლ პარტიას, შეგვიძლია და კიდეც უნდა მოვნახოთ, თავი მოვუყაროთ, ვასწავლოთ, დავრაზმოთ და დავძრათ სალაშქროდ ასეთი ყოვლისმცოდნე ადამიანთა არმია, — მაგრამ ყოველივე ეს ჯერ კიდევ გასაკეთებელია! ჩვენ კი ადგილებზე მეტწილად არათუ ნაბიჯიც არ გადაგვიდგამს ამ მიმართულებით, არამედ ხშირად მისი გადადგმის აუცილებლობის შ ე გ ნ ე ბ ა ც არა გვაქვს. აბა, მონახეთ ჩვენს სოციალ-დემოკრატიულ პრესაში ცოცხალი და საინტერესო სტატიები, კორესპონდენციები და მხილება ჩვენი დიპლომატიური, სამხედრო, საეკლესიო, საქალაქო, ფინანსური და სხვა და სხვა საქმეების შესახებ: თ ი თ ქ მ ი ს ვ ე რ ა ფ ე რ ს ან ძალიან ცოტას იპოვით*. აი რატომაა, რომ «მე ყოველთვის ძალიან მაჯავრებს, როდესაც მოვა ვინმე და მოჰყვება ძალიან ლამაზ და მშვენიერ ამბებს» «მუშების შეჯგუფების ყოველ მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან ადგილას» გაზეთების საჭიროების შესახებ, — გაზეთებისა, რომელნიც ამხელენ როგორც ფაბრიკის, ისე ქალაქისა და სახელმწიფოს უმსგავსობათ!

ცენტრალურ პრესასთან შედარებით ადგილობრივი პრესის სიჭარბე ნიშანია ან დაკნინების, ან ფუფუნებისა. დაკნინებისა, როდესაც მოძრაობას ჯერ კიდევ არ გამოუმუშავებია ძალები დიდი მუშაობისათვის, როდესაც იგი ისევ კუსტარულობაში ლაფავს სულს და თითქმის იხრჩობა «ფაბრიკის ცხოვრების წვრილმანებში». ფუფუნებისა — როდესაც მოძრაობამ უ კ ვ ე ს ა ვ ს ე ბ ი თ დ ა ს ძ ლ ი ა ყოველმხრივი მხილებისა და ყოველმხრივი აგიტაციის ამოცანა, ასე რომ ცენტრალურ ორგანოს გარდა აუცილებელი ხდება მრავალრიცხოვანი ადგილობრივი ორგანოს არსებობა. ყველამ თვითონ გადაწ-

* ამიტომ არის, რომ განსაკუთრებით კარგი ადგილობრივი ორგანოების მაგალითიც კი საკვირველ ადასტურებს ჩვენს თვალსაზრისს. მაგალითად, «იუჟნი რაბოჩი» — მშვენიერი გაზეთია, მას ვერ დასწამებთ პრინციპულ მერყეობას. მაგრამ, რაც მას უნდოდა ძიეცა ადგილობრივი მოძრაობისთვის, ის ვერ იქნა მიღწეული, რადგან გაზეთი იშვიათად გამოდის და ხშირად ვარდება. ის, რაც ამჟამად პარტიისათვის ყველაზე უფრო აუცილებელია, — მოძრაობის ძირითადი საკითხების პრინციპული დაყენება და ყოველმხრივი პოლიტიკური აგიტაცია, — ადგილობრივმა ორგანომ ვერ შესძლო. ხოლო ის, რასაც გაზეთი განსაკუთრებით კარგს იძლეოდა, როგორც, მაგალითად, სტატიები სამთამადნო მრეწველთა ყრილობის, უშუშევრობის და სხვ. შესახებ — არ წარმოადგენდა წმინდა ადგილობრივ მასალას და ს ა ჭ ი რ ო ი ყ ო მ თ ე ლ ი რ უ ს ე თ ი ს თ ვ ი ს, და არა მარტო სამხრეთისთვის. ასეთი. სტატიები საერთოდ მთელ ჩვენ სოციალ-დემოკრატიულ პრესაშიც არ ყოფილა.

ყვიტოს, თუ რას მოასწავებს ადგილობრივი გაზეთების სიჭარბე ამ-ჟამად ჩვენში. მე კი დავჯერდები ჩემი დასკვნის ზუსტ ფორმულირებას, რომ გაუგებრობისათვის საბაბი არავის მივცე. ჩვენში აქამდე ადგილობრივი ორგანიზაციების უმეტესობა თითქმის მხოლოდ და მხოლოდ ადგილობრივ ორგანოებზე ფიქრობს და თითქმის მხოლოდ მათთვის მუშაობს აქტიურად. ეს არანორმალური მდგომარეობაა. უნდა იყოს პირიქით: ადგილობრივი ორგანიზაციების უმრავლესობა უმთავრესად საერთო-რუსეთის ორგანოზე უნდა ფიქრობდეს და უმთავრესად მისთვის მუშაობდეს. სანამ ეს არ იქნება, ჩვენ ვერ გამოვცემთ ვ ე რ ც ე რ თ ისეთ გაზეთს, რომელიც რამდენადმე მაინც შესძლებს მართლა სამსახური გაუწიოს მოძრაობას ყ ო ვ ე ლ-მ ხ რ ი ვ ი აგიტაციით პრესაში. ხოლო როდესაც ეს იქნება, — მაშინ ნორმალური ურთიერთობა საჭირო ცენტრალურ ორგანოსა და საჭირო ადგილობრივ ორგანოებს შორის თავისთავად დამყარდება.

* * *

პირველი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ სპეციალურად ეკონომიური ბრძოლის სფეროს არ უდგება ჩვენი დასკვნა სიმძიმის ცენტრის ადგილობრივი მუშაობიდან საერთო-რუსეთის მუშაობაზე გადატანის აუცილებლობის შესახებ: აქ მუშების უშუალო მტრად გვეელინებიან ცალკეული მეწარმენი ან მათი ჯგუფები, რომელნიც შეკრული არ არიან ორგანიზაციით, რაც ოდნავ მაინც მოგვაგონებდეს პოლიტიკურ ბრძოლაში ჩვენი პირდაპირი მტრის — რუსეთის მთავრობის წმინდა სამხედრო, სასტიკად ცენტრალისტურ, თვით წვრილმანებშიც ერთიანი ნების ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფ ორგანიზაციას.

მაგრამ ეს ასე არ არის. ეკონომიური ბრძოლა — ჩვენ უკვე მრავალჯერ აღვნიშნეთ ეს — პროფესიული ბრძოლაა; ამიტომაც ის მოითხოვს მუშების გაერთიანებას პროფესიის და არა მარტო მათი მუშაობის ადგილის მიხედვით. და ეს პროფესიული გაერთიანება მით უფრო აუცილებლად საჭირო ხდება, რაც უფრო ჩქარა მიდის წინ ჩვენებურ მეწარმეთა გაერთიანება ყოველგვარ საზოგადოებებსა და სინდიკატებში. ჩვენი დაქსაქსულობა და ჩვენი კუსტარულობა პირდაპირ აფერხებს ამ გაერთიანებას, რომლისთვისაც აუცილებელია რევოლუციონერების ერთიანი საერთო-რუსეთის ორგანიზაცია, რომელსაც შეეძლება იკისროს მუშების საერთო-რუსეთის პროფესიული კავშირების ხელმძღვანელობა. ჩვენ ზემოთ უკვე ვილაპარაკეთ ორგანიზაციის სასურველ ტიპზე ამ მიზნისთვის და ახ-

ლა დავუმატებთ მხოლოდ რამდენიმე სიტყვას ჩვენი პრესის საკითხთან დაკავშირებით.

ყოველ სოციალ-დემოკრატიულ გაზეთში რომ უნდა იყოს პროფესიული (ეკონომიური) ბრძოლის გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ე ბ ა,—ეს არა გვგონია ვისმესთვის საეჭვო იყოს. მაგრამ პროფესიული მოძრაობის ზრდა გვიკარნახებს ვიფიქროთ პროფესიულ პრესაზეც. თუმცა ჩვენ გვგონია, რომ ჯერჯერობით რუსეთში პროფესიულ გაზეთებზე ლაპარაკი, იშვიათ გამონაკლისს გარდა, შეუძლებელია: ეს — ფუფუნებაა, ჩვენ კი ხშირად საარსებო პურიც არ მოგვეპოვება. დღეს კი უკვე აუცილებელი და არალეგალური მუშაობის პირობების შესაფერი ფორმა პროფესიული პრესისა ჩვენში უნდა ყოფილიყო პ რ ო ფ ე ს ი უ ლ ი ბ რ ო შ ურ ე ბ ი. მათში უნდა დაგროვილიყო და სისტემატურად დაჯგუფებულიყო ლ ე გ ა ლ უ რ ი* და არალეგალური მასალა ამა თუ იმ სარეწში შრომის პირობების, ამ მხრივ რუსეთის სხვადასხვა ადგილის განსხვავების. ამა თუ იმ პროფესიის მუშების უმთავრესი მოთხოვნების, ამ პროფესიის კანონმდებლობის ნაკლის, ამ საამქროს მუშების ეკონომიური ბრძოლის მნიშვნელოვანი შემთხვევების, მათი პროფესიული ორგანიზაციის საწყისთა, თანამედროვე მდგომარეობისა და საჭიროების საკითხზე და სხვ... ამგვარი ბროშურები, ჯერ ერთი, ჩვენს სოციალ-დემოკრატიულ პრესას გაათავისუფ-

---

* ლეგალური მასალა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ მხრივ, — და ჩვენ განსაკუთრებით ჩამოვიწერეთ მისი სისტემატურად შეკრების და გამოყენების უნარის მხრივ. ვადაცვალებული ალ ივნება თუ ვიტყვით, რომ მარტო ლეგალური მასალით კიდევ. ასე თუ ისაკენდება დაიწეროს პროფესიული ბროშურა, მარტო არალეგალური კი — ეს შეუძლებელია. მუშებისაგან არალეგალური მასალის შეკრებილი ინფორმაციის საკითხების შესახებ, როგორიც გამოაქვეყნა «ბრაბოჩაია მისლმა», ჩვენ ტუალ-ებრალ-ად ეხარჯავთ რევოლუციონერის დიდ ძალ-ღონეს (მას ამ შემთხვევაში ადვილად შეუცვლიდა ლეგალური მოღვაწე) და მიუხედავად ამისა მაინც ვერ ვღებულობთ კარგ მასალას, ვინაიდან მუშებს. — რომლებიც მეტწილად დიდი ოსტატობის მხოლოდ ერთ განყოფილებას იცნობენ და თითქმის ყოველთვის იცნობენ ეკონომიურ შედეგებს და არა თავისი მუშაობის საერთო პირობებსა და ხასიათს, — არ შეუძლიათ შეიძინონ ისეთი ცოდნა, როგორიც აქვთ ფაბრიკის მოსამსახურეებს, ინსპექტორებს, ექიმებს და სხვათა და რომელიც უმეტეს შემთხვევაში ეკონფლიქტება წვრილმან საგაზეთო კორესპონდენციებსა და სპეციალურ სამრეწველო, სანიტარო, საერობო და სხვ. გამოცემებში.

ძალიან კარგად მახსოვს ჩემი «პირველი ცდა», რომელსაც მე არასოდეს აღარ გავიმეორებდი. მთელი კვირაობით გადაკიდებული ვიყავი ერთ მუშაზე, რომელიც ჩემთან დადიოდა და რომელსაც «ძიკერძებით» ვეკითხებოდი ყველა და ყოველგვარ წესებზე დიდს ქალაქში, სადაც ის მუშაობდა. მართალია, აწერა (ისიც მარტო ერთი ქარხნისას!), როგორც იქნა, დიდი ჯაფით, ასე თუ ისე შევადგინე, მაგრამ სამაგიეროდ მუშა ზოგჯერ ჩვენი მეცადინეობის გათავებისას ოფლს იწმენდდა, და ღიმილით ბეუბნეოდა ხოლმე: «ჩემთვის ზედმეტი მუშაობა უფრო ადვილია, ვიდრე თქვენს კითხვებზე პასუხის გაცემაო!».

რაც უფრო ენერგიულად ვაწარმოებთ რევოლუციურ ბრძოლას, მით უფრო ვაიძულებთ მთავრობას — ლეგალური გახადოს «პროფესიული» მუშაობის ნაწილი და ამით მოგვესნაოს ტვირთის ერთი ნაწილი.

ლებდა მრავალი ისეთი პროფესიული წვრილმანისაგან, რაც სპეციალურად მხოლოდ განსაზღვრული ხელობის მუშებს აინტერესებთ; მეორეც, ისინი აღბეჭდავდნენ პროფესიულ ბრძოლაში ჩვენი გამოცდილების შედეგებს, დაიცავდნენ დაგროვილ მასალას, რომელიც დღეს პირდაპირ იკარგება უამრავი ფურცლებისა და ნაწყვეტ-ნაწყვეტი კორესპონდენციების გროვაში, და განაზოგადებდნენ ამ მასალას; მესამე, ისინი შეიძლება გამომდგარიყვნენ ერთგვარ სახელმძღვანელოდ აგიტატორებისათვის, ვინაიდან შრომის პირობები შედარებით ნელა იცვლება, ამა თუ იმ ხელობის მუშების ძირითადი მოთხოვნები მეტად მტკიცეა (შეად. 1885 წლის მოსკოვის რაიონის და 1896 წლის პეტერბურგის რაიონის ფეიერების მოთხოვნები), და ამ მოთხოვნებისა და გაჭირვების შეჯამება მთელი წლობით მშვენიერ სახელმძღვანელოდ გამოდგებოდა ეკონომიური აგიტაციისათვის ჩამორჩენილ ადგილებში ან მუშების ჩამორჩენილ ფენებს შორის; ერთ რაიონში წარმატებით დამთავრებული გაფიცვების მაგალითები. მონაცემები ერთ ადგილას ცხოვრების უფრო მაღალი დონისა და შრომის უკეთესი პირობების შესახებ წააქეზებდნენ სხვა ადგილების მუშებსაც ახალ-ახალი ბრძოლისათვის; მეოთხე, სოციალ-დემოკრატია, იკისრებდა რა პროფესიული ბრძოლის განზოგადების თაოსნობას და ამრიგად განამტკიცებდა რა რუსეთის პროფესიული მოძრაობის კავშირს სოციალიზმთან, ამავე დროს იზრუნებდა იმისთვისაც, რომ ჩვენს ტრედ-უნიონისტურ მუშაობას დაეკავებინა არც ძალიან მცირე და არც ძალიან დიდი ადგილი ჩვენი სოციალ-დემოკრატიული მუშაობის საერთო ჯამში. ადგილობრივი ორგანიზაციისათვის, თუ იგი მოწყვეტილია სხვა ქალაქთა ორგანიზაციებს, ძალიან ძნელია, ხანდახან თითქმის შეუძლებელიცაა დაიცვას ამასთან სწორი პროპორცია (და «რაბოჩაია მისლის» მაგალითიც ცხადყოფს, რა საშინელ გადაჭარბებას შეიძლება ჰქონდეს ამასთან ადგილი ტრედ-უნიონიზმის მიმართულებით). მაგრამ რევოლუციონერთა საერთო-რუსეთის ორგანიზაციას, რომელიც მარქსიზმის მტკიცე თვალსაზრისზე დგას, მთელ პოლიტიკურ ბრძოლას ხელმძღვანელობს და მის განკარგულებაშია პროფესიული აგიტატორების მთელი შტაბი, არასოდეს არ გაუჭირდება ამ სწორი პროპორციის განსაზღვრა.

V

საერთო-რუსეთის პოლიტიკური გაზეთის «ბეგმა»

««ისკრის» უაღრესად დიდი შეცდომა ამ მხრივ», — წერს ბ. კრიჩევსკი («რაბოჩეე დელო» № 10, გვ. 30), გვაბრალებს რა «თეორიის მკვდარ დოქტრინად გადაქცევის ტენდენციას პრაქტიკისაგან თეო-

რიის განცალკევებით», — «ეს არის მისი საერთო, პარტიული ორგანიზაციის «გეგმა»» (ი. ი. სტატია: «რით დავიწყოთ?»). და მარტინოვიც ბანს აძლევს მას, როცა აცხადებს, რომ ««ისკრის» ტენდენცია — დაამციროს უბრალო მიმდინარე ბრძოლის წინმსვლელობის მნიშვნელობა ბრწყინვალე და დასრულებული იდეების პროპაგანდასთან შედარებით... დაგვირგვინდა პარტიის ორგანიზაციის გეგმით, რომელსაც ის აყენებს მე-4 ნომრის სტატიაში «რით დავიწყოთ?»» (იქვე, გვ. 61). ბოლოს, სულ უკანასკნელ ხანებში ამ «გეგმით» (ბრჭყალები უნდა გამოხატავდეს მისდამი ირონიულ დამოკიდებულებას) აღშფოთებულ ადამიანთა რიცხვს მიემატა ლ. ნადეჟდინიც ჩვენ მიერ ახლახან მიღებულ ბროშურაში «რევოლუციის წინადღე» (ჩვენთვის უკვე ცნობილი «რევოლუციურ-სოციალისტური ჯგუფის» ს ვ ო ბ ო დ ა ს გამოცემა), სადაც აღიარებულია, რომ «ლაპარაკი ახლა იმ ორგანიზაციაზე, რომელიც საერთო-რუსეთის გაზეთთან არის დაკავშირებული, — ნიშნავს კაბინეტური აზრის და კაბინეტური მუშაობის ხელისშეწყობას» (გვ. 126), ეს — «ლიტერატურულობის» გამოხატულებაა და სხვ.

ჩვენი ტერორისტი რომ «უბრალო მიმდინარე ბრძოლის წინმსვლელობის» დამცველებს ეთანხმება, — ეს ჩვენ ვეღარ გაგვაკვირვებს მას შემდეგ, რაც გამოვააშკარავეთ ამ სიახლოვის ფესვები ჩვენი ბროშურის წინა თავებში პოლიტიკისა და ორგანიზაციის შესახებ. მაგრამ ახლავე უნდა აღვნიშნოთ, რომ ლ. ნადეჟდინმა, და მხოლოდ მან, სცადა კეთილსინდისიერად ჩასწვდომოდა მის მიერ დაწუნებული სტატიის აზრის მსვლელობას, სცადა პასუხი გაეცა მასზე არსებითად, — მაშინ როდესაც «რაბოჩეე დელომ» არსებითად სრულიად ვერაფერი ვერა თქვა, მხოლოდ შეეცადა დაეხლართა საკითხი მთელი რიგი უმსგავსი დემაგოგიური გამოსვლებით. ამიტომ, რაც უნდა არასასიამოვნო იყოს ეს, თავდაპირველად ავგიუსის თავლის გაწმენდას ცოტა დრო უნდა მოვანდომოთ.

ა) ვინ დარჩა ნაწყენი სტატიით «რით დავიწყოთ?»?

მოვიყვანოთ იმ გამოთქმებისა და წამოძახილების თაიგული, რომლითაც შემოგვიტია «რაბ. დელომ». «გაზეთი კი ვერ შექმნის პარტიულ ორგანიზაციას, არამედ, პირიქით»... «გაზეთი, რომელიც დგას პარტიაზე მ ა ღ ლ ა, მ ი ს ი კ ო ნ ტ რ ო ლ ი ს გ ა რ ე შ ე და რომელიც მისგან დამოუკიდებელია საკუთარი აგენტების ქსელის წყალობით»... «რა სასწაულით დაივიწყა «ისკრამ» იმ პარტიის ფაქ-

ტიურად არსებული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები. რომელსაც ის ეკუთვნის?»... «მტკიცე პრინციპების და სათანადო გეგმის მქონენი ამავე დროს პარტიის რეალური ბრძოლის უმაღლესი რეგულატორები არიან, რომელნიც უკარნახებენ მას თავიანთი გეგმის განხორციელებას»... «გეგმა ჩვენს ცოცხალ და ცხოველმყოფელ ორგანიზაციებს აჩრდილთა სამეფოში ერეკება და მოწადინებულია გამოაცოცხლოს აგენტების ფანტასტიკური ქსელი»... «ისკრის» გეგმა რომ სისრულეში იქნეს მოყვანილი, იგი ჩვენში ჩამოყალიბების პროცესში მყოფი რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ყოველგვარ კვალს აღმოფხვრიდა... «პროპაგანდისტული ორგანო მთელი პრაქტიკული რევოლუციური ბრძოლის უკონტროლო, თვითმპყრობელი კანონმდებელი ხდება»... «როგორ უნდა შეხედოს ჩვენმა პარტიამ თავის სრულ დამორჩილებას ავტონომიური რედაქციისადმი» და სხვ. და სხვ.

როგორც მკითხველი ხედავს ამ ციტატების შინაარსიდან და კილოდან, «რაბ. დელო» ნაწყენია. მაგრამ ნაწყენია არა პირადად, არამედ ჩვენი პარტიის ორგანიზაციებისა და კომიტეტების მაგივრად, რომელთაც «ისკრა» თითქოს აჩრდილთა სამეფოში ერეკება და მათი კვალის აღმოფხვრაც კი სურს. ხედავთ, რა საშინელება მომხდარა! საოცარია მხოლოდ ერთი რამ. სტატია «რით დავიწყოთ?» გამოქვეყნდა 1901 წლის მაისში, «რაბ. დელოს» სტატიები — 1901 წლის სექტემბერში, ახლა კი უკვე 1902 წლის იანვრის ნახევარია. მთელი ამ 5 თვის განმავლობაში (სექტემბრამდეც და სექტემბრის შემდეგაც) პარტიის არც ერთ კომიტეტს და არც ერთ ორგანიზაციას არ განუცხადებია ფორმალური პროტესტი ამ ურჩხულის წინააღმდეგ, რომელიც თურმე მოწადინებულია აჩრდილთა სამეფოში გარეკოს კომიტეტები და ორგანიზაციები! ამავე ხნის განმავლობაში კი როგორც «ისკრაში», ისე სხვა მრავალ ადგილობრივ და არა ადგილობრივ გამოცემაში მრავალი ათეული და ასეული ცნობა დაიბეჭდა რუსეთის ყველა კუთხიდან. როგორ მოხდა ეს, რომ მათ, ვისი განდევნაც უნდათ აჩრდილთა სამეფოში, ეს ვერ შეამჩნიეს და არც სწყენიათ, — ხოლო ნაწყენი დარჩა მესამე პირი?

ეს იმიტომ მოხდა, რომ კომიტეტები და სხვა ორგანიზაციები ნამდვილ საქმეს აკეთებენ და «დემოკრატიზმობას» არ თამაშობენ. კომიტეტებმა წაიკითხეს სტატია «რით დავიწყოთ?», დაინახეს, რომ ეს არის ცდა «შემუშავდეს ორგანიზაციის ერთგვარი გეგმა, რათა მისი შენება ყოველი მხრიდან იქნეს დაწყებული», და რადგან მათ საუცხოოდ იცოდნენ და ხედავდნენ, რომ ამ

«ყველა მხარეთაგან» ა რ ც ე რ თ ი არ იფიქრებს «შეუდგეს შენებას», ვიდრე არ დარწმუნდება მის საჭიროებასა და, არქიტექტურული გეგმის სისწორეში, ამიტომ მათ, ცხადია, არც უფიქრიათ «სწყენოდათ» იმ ადამიანთა კადნიერება, რომელთაც «ისკრაში» თქვეს: «საკითხის გადაუდებელი მნიშვნელობის გამო ჩვენ, ჩვენი მხრივ, ვბედავთ და ამხანაგების საყურადღებოთ ვადგენთ იმ გეგმის მონასახს, რომელსაც დაწერილებით ვავითარებთ ბროშურაში, დასაბეჭდად რომ მზადდება». ნუთუ კეთილსინდისიერად თუ მივუდგებით საქმეს, ვერ გავიგებთ იმას, რომ თუ ამხანაგები მ ი ი ღ ე ბ ე ნ მათ საყურადღებოდ წარდგენილ გეგმას, ისინი გააკარებენ მას არა «მორჩილების» გამო, არამედ ჩვენი საერთო საქმისთვის მისი საჭიროების რწმენით. ხოლო თუ ისინი არ მ ი ი ღ ე ბ ე ნ მას, — მაშინ «მონასახი» (რა პრეტენზიული სიტყვაა, ხომ მართალია?) უბრალო მონასახად დარჩება და მეტი არაფერი? ნუთუ ეს დემაგოგია არ არის, როცა გეგმის მონასახს ებრძვიან არა მარტო იმით, რომ «აცამტვერებენ» მას და ურჩევენ ამხანაგებს უარყონ ეს გეგმა, — არამედ იმით, რომ რევოლუციურ საქმეში გამოუცდელ ადამიანებს უ ს ი ს ი ა ნ ე ბ ე ნ მონასახის ავტორებს მ ხ ო ლ ო დ ი მ ი ტ ო მ, რომ უკანასკნელნი ბ ე დ ა ვ ე ნ «იკანონმდებლონ», გამოვიდნენ «უმაღლეს რეგულატორებად», ე. ი. ბედავენ წ ა რ მ ო ა დ გ ი ნ ო ნ გეგმის მონასახი?? განა შეუძლია ჩვენს პარტიას განვითარდეს და წინ წავიდეს, თუ ადგილობრივ მოღვაწეთა უფრო ფართო შეხედულებების, ამოცანების, გეგმების და სხვათა სიმაღლეზე ა ყ ვ ა ნ ი ს ცდას წინააღმდეგობას გაუწევენ არა მხოლოდ ამ შეხედულებათა მცდარობის თვალსაზრისით, არამედ იმით გამოწვეული «წყენინების» თვალსაზრისით, რომ «უნდათ» ჩვენი «მ ა ღ ლ ა ა ყ ვ ა ნ ა ო»? ლ. ნადეჟდინმაც. ხომ «გააცამტვერა» ჩვენი გეგმა. მაგრამ ის არ დაცემულა ისეთ დემაგოგიამდე. რომელიც უკვე არ შეიძლება აიხსნას მარტო პოლიტიკურ შეხედულებათა გულუბრყვილობით ან პრიმიტიულობით, «პარტიაზე ინსპექტორობის» ბრალდება მან თავიდან გადაჭრით უარყო. ამიტომაც ნადეჟდინის მხრივ გეგმის კრიტიკაზე შეიძლება და უნდა ვუპასუხოთ არსებითად, «რაბ. დელოს» კი მხოლოდ ზიზღით შეიძლება ვუპასუხოთ.

მაგრამ «თვითმპყრობელობისა» და «დამორჩილების» შესახებ ლაყბობამდე ჩამოქვეითებული მწერლისადმი ზიზღი კიდევ არ გვათავისუფლებს მოვალეობისაგან — გავხსნათ იმ დაბნეულობის კვანძი, რომელსაც აწოდებენ მკითხველს ასეთი ადამიანები. და აი აქ ჩვენ თვალსაჩინოდ შეგვიძლია დავანახვოთ ყველას, თუ რა ყაიდი-

საა ეს გაცვეთილი ფრაზები «ფართო დემოკრატიზმის» შესახებ. ჩვენ ვვაბრალებენ კომიტეტების დავიწყებას, მათი აჩრდილთა სამეფოში ვანდევნის სურვილს თუ ცდას და სხვ.. როგორ ვუპასუხოთ ამ ბრალდებებზე, როდესაც ჩვენ თითქმის არავითარი ფაქტიური რამ არ შეგვიძლია ვუამბოთ მკითხველს კომიტეტებთან ჩვენი ნამდვილი დამოკიდებულების შესახებ, არ შეგვიძლია კონსპირაციის პირობების გამო? ის ადამიანები, რომელნიც გესლიან და მასის გამაღიზიანებელ ბრალდებას ისვრიან, ჩვენზე წინ დგებიან თავიანთი აღვირახსნილობის წყალობით, რევოლუციონერის ვალდებულებისადმი უგულებელმყოფელი დამოკიდებულების მეოხებით, — რევოლუციონერის, რომელიც გულმოდგინედ უმალავს გარეშეებს იმ ურთიერთობასა და კავშირს, რომელიც მას აქვს, რომელსაც ის აგვარებს ან ცდილობს მოაგვაროს. ცხადია, ასეთ ადამიანებთან «დემოკრატიზმის» ასპარეზზე მეტოქეობის გაწევაზე ჩვენ ერთხელ და სამუდამოდ უარს ვამბობთ. რაც შეეხება ყველა პარტიულ საქმეში ჩაუხედავ მკითხველს, ერთადერთ საშუალებას მის წინაშე ჩვენი ვალის მოსახდელად წარმოადგენს არა იმის თხრობა, რაც არის და რაც იმყოფება im Werden*, არამედ იმის ნაწილაკისა, რაც უკვე იყო და რაზედაც — როგორც წარსულზე — თხრობა დასაშვებია.

ბუნდი გადაკვრით ლაპარაკობს ჩვენს «თვითმწოდობაზე»**, საზღვარგარეთული «კავშირი» გვაბრალებს პარტიის კვალის აღმოფხვრის ცდას. ინებეთ, ბატონებო. თქვენ სრულ დაკმაყოფილებას მიიღებთ, როდესაც ჩვენ მოვუთხრობთ საზოგადოებას წარსულის ოთხ ფაქტს.

პირველი*** ფაქტი· ერთ-ერთი «ბრძოლის კავშირის» წევრები, რომელნიც უშუალოდ მონაწილეობას იღებდნენ ჩვენი პარტიის შექმნაში და მის დამფუძნებელ პარტიულ ყრილობაზე დელეგატის გაგზავნაში, უთანხმდებიან «ისკრის» ჯგუფის ერთ-ერთ წევრს განსაკუთრებული მუშათა ბიბლიოთეკის დაარსების შესახებ მთელი მოძრაობის საჭიროების მომსახურებისათვის. მუშათა ბიბლიოთეკის დაარსება არ ხერხდება,—და მისთვის დამზადებული ბროშურები «რუსი სოციალ-დემოკრატების ამოცანები» და «ახალი საფაბრიკო კანო-

* — ქმნადობის, წარმოშობის პროცესში. რ ე დ.

** «ისკრა» № 8, რუსეთისა და პოლონეთის ებრაელთა საყოველთაო კავშირის ცენტრალური კომიტეტის პასუხი ჩვენს სტატიაზე ნაციონალური საკითხის შესახებ.

*** ჩვენ ამ ფაქტებს განზრახ არ ვალაგებთ იმ რიგით, როგორც ისინი ნამდვილად მოხდა[103].

ნი»* ფარულად და მესამე პირთა საშუალებით იგზავნება საზღვარგარეთ, სადაც მათ ბეჭდავენ.[104]

მეორე ფაქტი. ბუნდის ცენტრ. კომიტეტის წევრები მიმართავენ «ისკრის» ჯგუფის ერთ-ერთ წევრს წინადადებით — მოეწყოთ, როგორც ბუნდი ლაპარაკობდა მაშინ, «ლიტერატურული ლაბორატორია». ამასთან ისინი ამბობენ, თუ ამის მოწყობა არ მოხერხდა, ჩვენმა მოძრაობამ შეიძლება ძალიან დაიხიოს უკანო. მოლაპარაკებას შედეგად მოჰყვა ბროშურა «მუშათა საქმე რუსეთში».*

მესამე ფაქტი. ბუნდის ცენტრალური კომიტეტი ერთი პროვინციული ქალაქის საშუალებით მიმართავს «ისკრის» ერთ-ერთ წევრს წინადადებით — იკისროს განახლებული «რაბოჩაია გაზეტას» რედაქტორობა და, რა თქმა უნდა, თანხმობას იღებს. შემდეგ წინადადება იცვლება: ითხოვენ თანამშრომლობას, რედაქციასთან ახალი კომბინაციის გამო. თავისთავად ცხადია, ამაზეც თანხმობას იღებენ.[105] იგზავნება სტატიები (რომლების შენახვა მოხერხდა)—«ჩვენი პროგრამა»—პირდაპირი პროტესტით ბერნშტეინიადის, ლეგალურ ლიტერატურასა და «რაბ. მ[illegible]ში მომხდარი შემობრუნების წინააღმდეგ; «ჩვენი უახლესი ამოცანა» («მოწყობა პარტიის ორგანოსი, რომელიც წესიერად გამოვა და ყველა ადგილობრივ ჯგუფებთან მჭიდროდ იქნება დაკავშირებული»; გაბატონებული «კუსტარულობის» ნაკლოვანებანი); «საარსებო საკითხი» (გარჩევა პასუხისა, რომ თ ა ვ დ ა პ ი რ ვ ე ლ ა დ, ვიდრე საერთო ორგანოს მოწყობას შევუდგებოდეთ, საჭიროა ადგილობრივი ჯგუფების მოქმედების განვითარებაო; დაცვა და მოთხოვნა «რევოლუციური ორგანიზაციის» პირველხარისხოვანი მნიშვნელობისა — «ორგანიზაციის, დისციპლინისა და კონსპირაციული ტექნიკის სრულყოფის უმაღლეს წერტილამდე აყვანის» საჭიროებისა). «რაბოჩაია გაზეტას» განახლების წინადადება არ ხორციელდება, და სტატიები დაუბეჭდავი რჩება.

მეოთხე ფაქტი. კომიტეტის წევრი, რომელიც ჩვენი პარტიის მეორე მორიგ ყრილობას აწყობს, ატყობინებს «ისკრის» ჯგუფის წევრს ყრილობის პროგრამას და ამ ჯგუფის კანდიდატურას აყენებს განახლებული «რაბოჩაია გაზეტას» რედაქტორად. მის, ასე ვთქვათ, წინასწარ ნაბიჯს ადასტურებს შემდეგ როგორც ის კომიტეტი, რომელ-

* სხვათა შორის, ამ ბროშურის ავტორი მთხოვს განვაცხადო, რომ ეს ბროშურა, ისე როგორც მისი წინანდელი ბროშურები, «ყავშირს» გაეგზავნა იმ ვარაუდით, რომ მის გამოცემათა რედაქტორი იყო «შრომის განთავისუფლების» ჯგუფი (ზოგიერთი პირობის გამო მას ამ დროს, ე. ი. 1899 წლის თებერვალში, არ შეეძლო სცოდნოდა რედაქციაში მომხდარი ცვლილება). ამ ბროშურას ახლო მომავალში ხელახლა გამოსცემს ლიგა.

საც იგი ეკუთვნოდა, ისე ბუნდის ცენტრალური კომიტეტიც;[10] «ისკ-რის» ჯგუფი ღებულობს ცნობას ყრილობის მოწვევის ადგილისა და დროის შესახებ. მაგრამ (რადგანაც დარწმუნებული არ იყო, შესძლებდა თუ არა ის, ზოგიერთი მიზეზის გამო, დელეგატის გაგზავნას ამ ყრილობაზე) ადგენს აგრეთვე წერილობითს მოხსენებას ყრილობისათვის. ამ მოხსენებაში გატარებულია ის აზრი, რომ მარტო ცენტრალური კომიტეტის არჩევით ჩვენ არათუ ვერ გადავწყვეტთ გაერთიანების საკითხს სრული დაბნეულობის ასეთ დროს, რასაც ჩვენ განვიცდიდით, არამედ შეიძლება სახელიც გავუტეხოთ პარტიის შექმნის დიად იდეას, თუ ვინიცობაა ახალი სწრაფი და სრული ჩავარდნა მოხდა, რაც ადვილად მოსალოდნელია არსებული უკონსპირაციულობის დროს; რომ ამიტომ საჭიროა მოვუწოდოთ ყველა კომიტეტს და ყველა სხვა ორგანიზაციას მხარი დაუჭირონ განახლებულ .საერთო ორგანოს, რომელიც რ ე ა ლ უ რ ა დ დააკავშირებს ყველა კომიტეტს ფ ა ქ ტ ი უ რ ი კავშირით, რ ე ა ლ უ რ ა დ მოამზადებს მთელი მოძრაობის ხელმძღვანელთა ჯგუფს, — ხოლო კომიტეტების მიერ შექმნილი ასეთი ჯგუფის ცენტრალურ კომიტეტად გადაქცევას კომიტეტები და პარტია მერე ადვილად შესძლებენ, რაკი ასეთი ჯგუფი გაიზრდება და განმტკიცდება. მაგრამ ყრილობა არ შედგა მთელი რიგი ჩავარდნების გამო, და მოხსენებას კონსპირაციული მოსაზრებებით სპობენ, რამდენიმე ამხანაგის, მათ შორის ერთი კომიტეტის რწმუნებულთა მიერ მისი წაკითხვის შემდეგ.

ახლა მკითხველმა თვითონ განსაჯოს, რა ხასიათისაა ბუნდის გადაკრული სიტყვა თვითმწოდობის შესახებ ან «რაბ. დელოს» მოსაზრება, თითქოს ჩვენ გვინდოდეს კომიტეტები განვდევნოთ აჩრდილთა სამეფოში და პარტიის ორგანიზაცია «შევცვალოთ» ერთი გაზეთის იდეების გავრცელების ორგანიზაციით. ჩვენც სწორედ კომიტეტებს, მ ა თ ი ა რ ა ე რ თ ი მ ო თ ხ ო ვ ნ ი ს ა მ ე ბ რ. ვუკეთებდით მოხსენებას საერთო მუშაობის განსაზღვრული გეგმის მიღების აუცილებლობის შესახებ. სწორედ პარტიული ორგანიზაციისათვის ვამუშავებდით ჩვენ ამ გეგმას «რაბოჩაია გაზეტას» სტატიებსა და პარტიის ყრილობისათვის მომზადებულ მოხსენებაში. ისევ და ისევ იმათი თხოვნით, ვისაც პარტიაში ისეთი გავლენა ჰქონდა, რომ მისი (ფაქტიური) აღდგენის ინიციატივას კისრულობდა. და მხოლოდ მას შემდეგ, რაც წარუმატებლობით დამთავრდა პარტიული ორგანიზაციის ო რ გ ზ ი ს ი ცდა — ჩ ვ ე ნ თ ა ნ ე რ თ ა დ განეახლებინა პარტიის ცენტრალური ორგანო ო ფ ი ც ი ა ლ უ რ ა დ, ჩვენ პირდაპირ მოვალეობად მივიჩნიეთ ა რ ა ო ფ ი ც ი ა ლ უ რ ი ორგანოთი გამოვსულიყავით იმისათვის, რათა მ ე ს ა მ ე ცდის შემთხვევაში ამხანა-

გებს თვალწინ ჰქონოდათ გ ა მ ო ც დ ი ლ ე ბ ი ს ერთგვარი შედეგები და არა მხოლოდ საეგებისო მოსაზრებანი. ამჟამად ამ ცდის ზოგიერთ შედეგს ყველა ხედავს და ყველა ამხანაგს შეუძლია განსაჯოს, სწორად გვესმოდა თუ არა ჩვენი მოვალეობა, და რა უნდა ვიფიქროთ იმ ადამიანებზე, რომელნიც ცდილობენ შეცდომაში შეიყვანონ უახლოესი წარსულის არმცოდნე პირნი იმაზე გაჯავრების გამო, რომ ჩვენ ზოგს ვუმტკიცებდით მათს არათანმიმდევრობას «ნაციონალურ» საკითხში და ზოგს — უპრინციპო მერყეობათა შეუწყნარებლობას.

ბ) შეიძლება თუ არა გაზეთი კოლექტიური ორგანიზატორი იყოს?

მთელი დედააზრი სტატიისა «რით დავიწყოთ?» ს წ ო რ ე დ ამ კითხვის დაყენებასა და მის დადებით გადაწყვეტაში მდგომარეობს. ერთადერთ, ჩვენთვის ცნობილ, ცდას ამ კითხვის არსებითად გასარჩევად და მისი უარყოფითი გადაჭრის აუცილებლობის დასამტკიცებლად ახდენს ლ. ნადეჟდინი, რომლის საბუთებსაც მთლიანად მოვიყვანთ:

«...ჩვენ ძალიან მოგვწონს «ისკრას» (№ 4) მიერ საკითხის დაყენება საერთო-რუსეთის გაზეთის საჭიროების შესახებ, მაგრამ ვერასგზით ვერ დაეთანხმებით, თითქოს საკითხს ეს დაყენება შეეფერებოდეს სტატიის «რით დავიწყოთ?» სათაურს. ეს ერთ-ერთი უსათუოდ უმნიშვნელოვანესი საქმეა. მაგრამ ამით, პოპულარული ფურცლების მთელი სერიით, უამრავი პროკლამაციით ვერ ჩაეყრება საძირკველი მებრძოლ ორგანიზაციას რევოლუციური მომენტისათვის. საჭიროა შეუუდგეთ ძლიერი პოლიტიკური ორგანიზაციების მოწყობას ადგილობრივ. ჩვენ ასეთი ორგანიზაციები არა გვაქვს ჩვენში მუშაობა წარმოებდა უმთავრესად ინტელიგენტ მუშებს შორის, ბასები კი თითქმის მხოლოდ ეკონომიურ ბრძოლას აწარმოებდნენ. ა დ გ ი ლ ო ბ რ ი ვ ი თ უ ძ ლ ი ე რ ი პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ე ბ ი ა რ ა ღ ი ზ ა რ დ ნ ე ნ, რ ა ს ნ ი შ ნ ვ ს თ უ ნ დ ა ც ს ა უ ც ხ ო ო დ დ ა ყ ე ნ ე ბ უ ლ ი ს ა ე რ თ ო-რ უ ს ე თ ი ს გ ა ზ ე თ ი? ეს არის ის ბუჩქი, რომელსაც ცეცხლი უკიდია, თვითონ არ იწვის, მაგრამ არც არავის აღანთებს! მის გარშემო, მისი საქმისთვის ხალხი შემოკრბება და შეკავშირდება— ფიქრობს «ისკრა». ბ ა გ რ ა მ ე ს ხ ო მ გ ა ც ი ლ ე ბ ი თ უ ფ რ ო მ ჭ ი დ რ ო დ შ ე მ ო კ რ ბ ე ბ ა დ ა შ ე კ ა ვ შ ი რ დ ე ბ ა უ ფ რ ო კ ო ნ კ რ ე ტ უ ლ ი ს ა ქ მ ი ს გ ა რ შ ე მ ო! ასეთი საქმე შეიძლება იყოს და კიდეკაც უნდა იყოს ადგილობრივი გაზეთების ფართოდ დაყენება,მუშათა ძალების დაუყოვნებლივი მზადება დემონსტრაციებისთვის, ადგილობრივი ორგანიზაციების მუდმივი მუშაობა უმუშევრებში (ფურცლების შეუწყვეტლივ გავრცელება მათ შორის, მათი კრებების მოწვევა. მათი დარაზმვა მთავრობისთვის წინააღმდეგობის გასაწევად და სხვ.). საჭიროა ადგილობრივ ვაჩაღდეს ცოცხალი პოლიტიკური მუშაობა, და როდესაც აუცილებელი გახდება ამ რეალურ ნიადაგზე გაერთიანება, — იგი ხელოვნური, ქაღალდზე დაწერილი აღარ იქნება — გაზეთებით როდი ხდება ადგილობრივ საქმეშაოთა ასეთი გაერთიანება საერთო-რუსეთის საქმედ! («რევოლუციის წინადღე»,[107] გვ. 54).

ჩვენ ხაზს ვუსვამდით ამ მშვევრმეტყველური ტირადის იმ ადგილებს, რომლებიც ყველაზე უფრო მკაფიოდ გვიჩვენებს როგორც

ავტორის მიერ ჩვენი გეგმის შეფასების შეცდომას, ისე საერთოდ მისი აქ «ისკრისადმი» დაპირისპირებული თვალსაზრისის შეცდომასაც. თუ ადგილობრივ არ აღიზრდებიან ძლიერი პოლიტიკური ორგანიზაციები. — არავითარი მნიშვნელობა აღარ ექნება საუცხოოდ დაყენებულ საერთო-რუსეთის გაზეთსაც. — სრული სიმართლეა. მაგრამ საქმეც სწორედ ის არის, რომ არ არსებობს სხვა საშუალება ძლიერი პოლიტიკური ორგანიზაციების აღსაზრდელად, გარდა საერთო-რუსეთის გაზეთისა. ავტორს გაჭირვებია «ისკრის» ყველაზე არსებითი განცხადება, რომელიც მან გააკეთა, სანამ საკუთარი «გეგმის» განმარტებას შეუდგებოდა: საჭიროა «მოწოდება ისეთი რევოლუციური ორგანიზაციის აღსაზრდელად, რომელიც გააერთიანებს ყველა ძალას და უხელმძღვანელებს მოძრაობას არა მარტო სახელწოდებით, არამედ ნამდვილადაც, ე. ი. ყოველთვის მზად იქნება მხარი დაუჭიროს ყოველგვარ პროტესტს და ყოველგვარ აფეთქებას და გამოიყენებს მათ გადამწყვეტი ბრძოლისათვის გამოსადეგი სამხედრო ძალების გასამრავლებლად და გასამტკიცებლად». პრინციპულად მას ახლა, თებერვლისა და მარტის შემდეგ, ყველა დაეთანხმება, — განაგრძობს «ისკრა», — ჩვენ კი გვინდა საკითხის არა პრინციპული, არამედ პრაქტიკული გადაჭრა, გვინდა დაუყოვნებლივ წამოვაყენოთ მშენებლობის ისეთი გარკვეული გეგმა, რომ ახლავე სხვადასხვა მხრივ ყველას შეეძლოს შეუდგეს შენობის აგებას. ჩვენ კი კვლავ გვაშორებენ საკითხის პრაქტიკულ გადაჭრას, ისევ უკან გვწევენ — პრინციპულად სწორი, უდავო, დიადი, მაგრამ მომუშავეთა ფართო მასისთვის სრულიად არასაკმაო, სრულიად გაუგებარი ჭეშმარიტებისაკენ: «აღვზარდოთ ძლიერი პოლიტიკური ორგანიზაციებიო!» ამაზე კი არ არის ახლა ლაპარაკი, პატივცემულო ავტორო, არამედ იმაზე, თუ სახელდობრ როგორ აღვზარდოთ და როგორ უნდა აღზრდა!

არ არის სწორი, თითქოს «ჩვენში მუშაობა წარმოებდა უმთავრესად ინტელიგენტ მუშებს შორის, მასები კი თითქმის მხოლოდ ეკონომიურ ბრძოლას აწარმოებდნენ». ასეთი ფორმით ეს დებულება ემსგავსება «სვობოდასათვის» ჩვეულებრივ და ძირფესვიანად მცდარ დებულებას — ინტელიგენტი მუშებისა და «მასის» დაპირისპირებას. ჩვენში ინტელიგენტი მუშებიც უკანასკნელ წლებში «თითქმის ეკონომიურ ბრძოლას აწარმოებდნენ». ეს ერთი მხრივ,

ზოლო მეორე მხრივ, მასებიც ვერასოდეს ვერ ისწავლიან პოლიტიკური ბრძოლის წარმოებას, ვიდრე არ შეუწყობთ ხელს ამ ბრძოლის ხელმძღვანელთა აღზრდას როგორც ინტელიგენტი მუშებიდან, ისე თვით ინტელიგენტებიდან: ასეთი ხელმძღვანელები კი შეიძლება აღიზარდოს მ ხ ო ლ ო დ დ ა მ ხ ო ლ ო დ ჩვენი პოლიტიკური ცხოვრების ყ ვ ე ლ ა მხარის, სხვადასხვა კლასის სხვადასხვა საბაბით გამოწვეული პროტესტისა და ბრძოლის ყ ვ ე ლ ა ც დ ი ს სისტემატური, მიმდინარე შეფასების ნიადაგზე. ამიტომ ლაპარაკი «პოლიტიკური ორგანიზაციების აღზრდაზე» და ამავე დროს პოლიტიკური გაზეთის «ქაღალდის საქმის» და «ადგილობრივი ცოცხალი პოლიტიკური მუშაობის» დ ა პ ი რ ი ს პ ი რ ე ბ ა პირდაპირ სასაცილოა! «ისკრაც» ხომ გაზეთის თავის «გეგმას» სწორედ ასეთი «ბრძოლისათვის მზადყოფნის» «გეგმის» შემუშავებას უფარდებს, რათა მხარი დაუჭიროს უმუშევართა მოძრაობასაც, გლეხთა ამბოხებებსაც, ერობელთა უკმაყოფილებასაც და «მოსახლეობის აღშფოთებასაც მეფის თავგასული ბაშიბუზუკის წინააღმდეგ» და სხვ. ყველამ. ვინც მოძრაობას იცნობს, ხომ კარგად იცის, რომ ამაზე ა რ ც კ ი ფ ი ქ რ ო ბ ს ადგილობრივი ორგანიზაციების დიდი უმრავლესობა, რომ «ცოცხალი პოლიტიკური მუშაობის» მრავალი აქ დასაბუდული პერსპექტივა ჯ ე რ კ ი დ ე ვ ა რ ა ს ო დ ე ს არ განუხორციელებია არც ერთ ორგანიზაციას, რომ იმის ცდა, მაგალითად, რომ ყურადღება მიექცეს ერობის ინტელიგენციის პროტესტისა და უკმაყოფილების ზრდას, დაბნეული შეშფოთების გრძნობას იწვევს ნადეჟდინშიც («ღმერთო ჩემო, ერობელთათვის ხომ არ არის დაარსებული ეს ორგანო?». «წინადღე». გვ. 129). ეკონომისტებშიც («ისკრა» № 12, წერილი) და ბევრ პრაქტიკოსშიც. ასეთ პირობებში «დაწყება» შეიძლება მ ხ ო ლ ო დ იმით, რომ წავაქეზოთ ადამიანები ი ფ ი ქ რ ო ნ ყოველივე ამაზე, წავაქეზოთ ისინი შეაჯამონ და განაზოგადონ მღელვარებისა და აქტიური ბრძოლის ყველა და ყოველგვარი გამოვლინება. ჩვენს დროს, სოციალ-დემოკრატიული ამოცანების დაკნინების დროს, «ცოცხალი პოლიტიკური მუშაობის» დ ა წ ყ ე ბ ა შეიძლება ზ ხ ო ლ დ დ ა მ ხ ო ლ ო დ ცოცხალი პოლიტიკური აგიტაციით, რაც შეუძლებელია, თუ არ გვექნება საერთო-რუსეთის ცგაზეთი, რომელიც ხშირად უნდა გამოდიოდეს და წესიერად ვრცელდებოდეს.

იმათ, ვინც «ისკრის» «გეგმაში» «ლიტერატურულობის» გამოხა-

ტულებას ხედავს, სრულიად ვერ გაუგიათ თვით გეგმის არსი; ისინი მიზანს იმაში ხედავენ, რაც წამოყენებულია როგორც დღევანდელი მომენტისათვის ყველაზე უფრო გამოსადეგი საშუალება. ისინი არც კი გარჯილან ეფიქრათ იმ ორ შედარებაზე, რომლითაც თვალნათლივ დასურათებული იყო წამოყენებული გეგმა. საერთო-რუსეთის პოლიტიკური გაზეთის ბოწყობა — ამბობდა «ისკრა» — უნდა იყოს ის ძირითადი ძაფი, რომლის ხელის ჩაკიდებით ჩვენ შევძლებდით ამ ორგანიზაციის (ე. ი. რევოლუციური ორგანიზაციის, რომელიც ყოველთვის მზად არის ყოველგვარი პროტესტისა და ყოველგვარი აფეთქებისათვის მხარის დასაჭერად) განუხრელად განვითარებას, გაღრმავებასა და გაფართოებას. აბა ერთი გვითხარით: როდესაც კალატოზები სხვადასხვა ადგილას უზარმაზარი და სრულიად უმაგალითო შენობის ქვებს აწყობენ, — «ქალალდის» საქმე ხომ არ არის იმ ძაფის გატარება, რომელიც მოგვანახვინებს ქვების დასაწყობ სწორ ადგილს, გვიჩვენებს საერთო მუშაობის საბოლოო მიზანს, საშუალებას გვაძლევს გამოვიყენოთ არა მარტო თვითეული ქვა, არამედ ქვის ყოველი ნატეხიც, რომელსაც, წინა და შემდგომ ქვებთან თანშეწყობით, აჰყავს დასრულებული და ყოვლისშემცველი ხაზი? და განა ჩვენ სწორედ ასეთ მომენტს არ განვიცდით ჩვენს პარტიულ ცხოვრებაში, როდესაც ქვებიცა გვაქვს და კალატოზებიცა გვყავს, გვაკლია მხოლოდ ეს ყველასათვის დასანახი ძაფი, რომელსაც ყველანი ხელს ჩავკიდებდით? დაე იყვირონ, რომ ძაფის გაბმით ვითომ ჩვენ მბრძანებლობა გვინდოდეს: ჩვენ რომ მბრძანებლობა გვდომებოდა, ბატონები, ნაცვლად «ისკრა № 1» დაგწერდით — «რაბოჩაია გაზეტა № 3», როგორც გვირჩევდა ზოგიერთი ამხანაგი და როგორც ჩვენ სრული უფლება გვექნებოდა მოვქცეულიყავით იმ ამბების შემდეგ, რომლებზეც ზემოთ ვილაპარაკეთ. მაგრამ ჩვენ ასე არ მოვიქეცით: ჩვენ გვინდოდა თავისუფალი ხელები დაგვეტოვებინა შეურიგებელი ბრძოლისათვის ყოველგვარ ცრუ-სოციალ-დემოკრატებთან; ჩვენ გვინდოდა, რომ ჩვენი ძაფისთვის, თუ იგი სწორად არის გაბმული, პატივი ეცათ მისი სისწორის გამო და არა იმის გამო, რომ ის ოფიციალური ორგანოს მიერ არის გაბმული.

«ცენტრალურ ორგანოებში ადგილობრივი მუშაობის გაერთიანების საკითხი მოჯადოებულ წრეში ტრიალებს, — გვასწავლის ლ. ნადეჟდინი, — გაერთიანებისათვის საჭიროა ელემენტების ერთგვარობა, თვით ეს ერთგვარობა კი შეიძლება შეიქმნას მხოლოდ რაიმე გამაერთიანებელით, მაგრამ ეს გამაერთიანებელი შეიძლება

პროდუქტი იყოს ძლიერი ადგილობრივი ორგანიზაციებისა, რომელნიც დღეს მოკლებულნი არიან სწორედ ამ ერთგვაროვან ხასიათს». ეს იმდენადვე საპატიო და იმდენადვე უდავო, მაგრამ იმდენადვე უნაყოფო ჭეშმარიტებაა, როგორც ის, რომ საჭიროა აღვზარდოთ ძლიერი პოლიტიკური ორგანიზაციები. ყ ო ვ ე ლ ი საკითხი «მოჯადოებულ წრეში ტრიალებს», ვინაიდან მთელი პოლიტიკური ცხოვრება წარმოადგენს რგოლების უსასრულო წყებისაგან შემდგარ უსასრულო ჯაჭვს. პოლიტიკოსის მთელი ოსტატობაც სწორედ ის არის, რომ მონახოს და მაგრად-მაგრად ჩასჭიდოს ხელი სწორედ ისეთ რგოლს, რომლის ხელიდან გაგდებინება ყველაზე ნაკლებად შეიძლება, რომელიც ყველაზე უფრო ეფექტიანია ამ მომენტში, რომელიც ყველაზე უფრო უზრუნველყოფს რგოლის მფლობელის მიერ მთელი ჯაჭვის ფლობას*. ბლომად რომ გვყავდეს ისეთი გამოცდილი და ერთმანეთთან შეხმატკბილებული კალატოზები, რომელთაც ძაფის გაუბმელადაც შეეძლებოდათ საშენი ქვების დაწყობა სწორედ იქ, სადაც საჭიროა (ეს შეუძლებელი სულაც არ არის, თუ განყენებულად ვილაპარაკებთ), — მაშინ ჩვენ შევძლებდით მართლაცდა მეორე რგოლისთვისაც ჩაგვეჭიდა ხელი. მაგრამ უბედურებაც ის არის, რომ გამოცდილი და შეხმატკბილებული კალატოზები ჩვენ ჯერ კიდევ არა გვყავს, რომ ქვები ხშირად სულ ტყუილუბრალოდ იწყობა, იწყობა არა საერთო ძაფის გასწვრივ, არამედ იმდენად დაქსაქსულად, რომ მტერი მათ ერთი შებერვით ჰყრის, თითქოს ქვები კი არა, ქვიშა იყოს.

მეორე შედარება «გაზეთი არა მარტო კოლექტიური პროპაგანდისტი და კოლექტიური აგიტატორია, არამედ კოლექტიური ორგანიზატორიც არის. ამ უკანასკნელის მხრივ ი გ ი შ ე ი ძ ლ ე ბ ა შ ე ვ ა დ ა რ ო თ ხ ა რ ა ჩ ო ე ბ ს, რომლებიც კეთდება ასაგები შენობის გარშემო, სახავს შენობის გარემოხაზულობას, აადვილებს ურთიერთობას ცალკეულ მშენებელთა შორის, ეხმარება მათ მუშაობის განაწილებასა და ორგანიზებული შრომით მიღწეული საერთო შედეგების შემოწმებაში»**. მართლაც, როგორა ჰგავს ეს

---

* ამხანაგო კრიჩევსკი და ამხანაგო მარტინოვ! თქვენს უურადღებას მივაქცევ «თვითმაყრობელობის», «უკონტროლო აეტორიტეტულობის», «უზენაესი მოწესრიგების» და სხვ. ამ აღმაშფოთებელ გამოვლინებაზე. რას ბრძანებთ: სურს მთელ ჯაჭვს დ ა ე უ ფ ლ ო ს!! დასწერეთ ჩქარა საჩივარი: აი მზამზარეული თემა «რაბოჩეე დელოს» მე-12 ნომრის ორი მოწინავესთვის!

** როცა მარტინოვმა «რაბ. დელოში» მოიყვანა ამ ციტატის პირველი ფრაზა (№ 10, გვ. 62) და სწორედ მეორე ფრაზა კი გამოსტოვა, ამით თითქოს ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ მას არა სურს შეეხოს საკითხის არსს ან უნარი არ შესწევს გაიგოს ეს არსი.

ლიტერატორის, კაბინეტის კაცის მიერ თავისი როლის გაზვიადებას? თვით სადგომისათვის ხარაჩოები სულაც არ არის საჭირო, ხარაჩოებს აკეთებენ ყველაზე ცუდი მასალისაგან, მოკლე ხნით და როგორც კი შენობა, ძირითადად მაინც დამთავრდება, ღუმელში ჰყრიან ხოლმე. რევოლუციური ორგანიზაციების შენების გამოცდილება გვიმტკიცებს, რომ ხანდახან მათი აგება უხარაჩოებოდაც ხერხდება — აიღეთ სამოცდაათიანი წლები. მაგრამ დღეს ჩვენ ვერც კი წარმოვიდგენთ უხარაჩოებოდ ჩვენთვის საჭირო შენობის აგების შესაძლებლობას.

ნადეჟდინი არ ეთანხმება ამას და ამბობს «ისკრა» ფიქრობს, რომ გაზეთის ირგვლივ და მისი საქმისთვის ხალხი შემოკრბება და შეკავშირდება. მაგრამ ის ხომ გაცილებით უფრო მჭიდროდ შემოკრბება და შეკავშირდება უფრო კონკრეტული საქმის ირგვლივ!» სწორედ ასე: «გაცილებით უფრო მჭიდროდ უფრო კონკრეტულის ირგვლივ»... რუსული ანდაზა ამბობს: ჭაში ნუ აფურთხებ, წყლის დალევა დაგჭირდებაო. მაგრამ არიან ადამიანები, რომელნიც ასეთი ჭიდანაც კი დალევენ წყალს, რომელიც უკვე ჩაფურთხებულია, რა სისაძაგლეს არ ლაპარაკობენ ამ მეტი კონკრეტულობის გულისთვის ჩვენი დიდებული ლეგალური «მარქსიზმის კრიტიკოსები» და «რაბოჩაია მისლის» არალეგალური თაყვანისმცემლები! რა შევიწროებულია მთელი ჩვენი მოძრაობა ჩვენი შეზღუდულობით, უინიციატივობითა და გაუბედავობით, რასაც ამართლებენ ტრადიციული მოსაზრებით: «გაცილებით უფრო მჭიდროდ უფრო კონკრეტულის ირგვლივ»! ნადეჟდინი კი, რომელიც თავის თავს თვლის «ცხოვრებისადმი» განსაკუთრებით გულისხმიერად, რომელიც განსაკუთრებით მკაცრად ძრახავს «კაბინეტის» ადამიანებს, რომელიც ბრალად სდებს (გონებამახვილობის პრეტენზიით) «ისკრას» ყველგან ეკონომიზმის დანახვის მიდრეკილებას და წარმოუდგენია, რომ ის ორთოდოქსებად და კრიტიკოსებად დაყოფაზე გაცილებით მაღლა დგას, — ვერც კი ამჩნევს, რომ თავისი საბუთებით ის ხელს უწყობს შეზღუდულობას, რომლითაც თვითონ არის აღშფოთებული, რომ ის სწორედ ფურთხით სავსე ჭიდან სვამს წყალს! დიახ, უაღრესი შეზღუდულობით გამოწვეული გულწრფელი აღშფოთება. უაღრესად მხურვალე სურვილი მის წინაშე მუხლმოყრილთა წამოყენებისა კიდევ არ კმარა, თუ აღშფოთებული თვითონ უგზო-უკვლოდ დაჰქრიან და ისევე «სტიქიურად», როგორც 70-იანი წლების რევოლუციონერები. ჩაფრენია «ექსციტატიურ ტერორს», «აგრარულ ტერორს», «განგაშს» და სხვ. დაუკვირდით ამ «უფრო კონკრეტულს», რის ირ-

გვლივ, — მისი ფიქრით, — «გაცილებით უფრო მჭიდროდ» შეიძ-ლება შემოკრება და შეკავშირება: 1. ადგილობრივი გაზეთები; 2. დემონსტრაციებისათვის მზადება; 3. უმუშევართა შორის მუშაობა. პირველი შეხედვითვე ჩანს, რომ ყოველივე ეს სრულიად შემთხვევით, ალალბედზეა დასახელებული, რომ რამე ეთქვა, ვინაიდან, როგორც უნდა შევხედოთ მათ, ისეთი რამის დანახვა მათში, რაც სპეციალურად «შემოსაკრებად და შესაკავშირებლად» გამოდგებოდეს, ყოვლად შეუსაბამო რამ არის. აკი თვითონ იგივე ნადეჟდინი ცოტა ქვემოთ ამბობს: «დროა პირდაპირ აღვნიშნოთ ფაქტი; ადგილობრივ მეტად უბადრუკი მუშაობა წარმოებს, კომიტეტები იმის მეათედსაც ვერ აკეთებენ, რის გაკეთებაც შეეძლოთ... ის გამაერთიანებელი ცენტრები, რომელნიც ჩვენ ახლა მოგვეპოვება, ფიქციაა, რევოლუციური კანცელარიულობაა, ერთმანეთისათვის გენერლობის ბოძებაა, და ასე იქნება მანამდე, სანამ არ გაჩნდებიან ადგილობრივი ძლიერი ორგანიზაციები». ამ სიტყვებში, უსათუოდ, გადაჭარბებასთან ერთად ბევრი მწარე ჭეშმარიტებაც არის, და ნუთუ ნადეჟდინი ვერ ხედავს კავშირს ადგილობრივ უბადრუკ მუშაობასა და მოღვაწეთა იმ გონებრივ შეზღუდულობას, მათი მუშაობის გაქანების იმ შეზღუდულობას შორის, რაც გარდუვალია, როცა, ადგილობრივი ორგანიზაციების ფარგლებში ჩაკეტილი მოღვაწენი მოუმზადებელნი არიან? ნუთუ მას, ორგანიზაციის შესახებ «სვობოდაში» მოთავსებული სტატიის ავტორის მსგავსად, დააკვიწყდა ის, თუ ადგილობრივ ფართო პრესაზე გადასვლას (1898 წლიდან) როგორ მოჰყვა ეკონომიზმისა და «კუსტარულობის» განსაკუთრებული გაძლიერება? შესაძლებელიც რომ იყოს «ფართო ადგილობრივი პრესის» საქმის ოდნავ დამაკმაყოფილებელი დაყენებაც კი (ჩვენ კი ზემოთ აღვნიშნეთ, რომ იგი, სრულიად განსაკუთრებული შემთხვევების გარდა, შეუძლებელია), მაშინაც ვერ «შემოიკრებდნენ და შეაკავშირებდნენ» ადგილობრივი ორგანოები რევოლუციონერთა ყ ვ ე ლ ა ძალებს თვითმპყრობელობაზე ს ა ე რ თ ო იერიშის მისატანად, ე რ თ ი ა ნ ი ბრძოლის სახელმძღვანელოდ. ნუ დაივიწყებთ, რომ აქ ლაპარაკია მ ხ ო ლ ო დ გაზეთის «შემკრებლობითს», ორგანიზატორულ მნიშვნელობაზე. ჩვენ შეგვეძლო დაქსაქსულობის დამცველ ნადეჟდინისთვის მიგვეცა მის მიერვე დასმული ირონიული კითხვა: «მემკვიდრეობით ხომ არ მიგვიღია საიდანმე 200 000 რევოლუციური ორგანიზატორული ძალა?» შემდეგ, «დემონსტრაციებისათვის მზადება» არ შეიძლება «ისკრის» გეგმას დ ა უ პ ი რ ი ს პ ი რ დ ე ს უკვე იმიტომ, რომ ეს გეგმა სწორედ უაღრესად ფართო დემონსტრაციებს გულისხმობს რ ო გ ო რ ც

ერთ-ერთ მიზანს; ხოლო ლაპარაკია პრაქტიკული საშუალების ამორჩევაზე. ნადეჟდინი ისევ დაიბნა აქ, რადგან მხედველობიდან გაუშვა, რომ დემონსტრაციების (რომლებიც აქამდე უმრავლეს შემთხვევაში სრულიად სტიქიურად ხდებოდა) «მზადება» შეუძლია მხოლოდ უკვე «შეკრებილ და შეკავშირებულ» ჯარს, ჩვენ კი სწორედ შეკრება და შეკავშირება არ ვიცით. «მუშაობა უმუშევართა შორის». ისევ იგივე არევ-დარევაა, ვინაიდან ესეც მობილიზებული ჯარის ერთ-ერთ სამხედრო მოქმედებას წარმოადგენს და არა ჯარის მობილიზაციის გეგმას. რამდენად ვერ აფასებს აქაც ნადეჟდინი ჩვენი დაქსაქსულობის, «200 000 ძალის» უყოლობის მავნებლობას,ეს შემდეგნაირად ჩანს. ბევრნი (მათ შორის ნადეჟდინიც) უსაყვედურებენ «ისკრას» უმუშევრობის შესახებ ცნობების სიმცირეს, სოფლის ცხოვრების სრულიად ჩვეულებრივი მოვლენების შესახებ შემთხვევითი ხასიათის კორესპონდენციების მოთავსებას. საყვედური სამართლიანია, მაგრამ «ისკრა» აქ «უდანაშაულო დამნაშავეა». ჩვენ ვცდილობთ «გავაბათ ძაფი» სოფელშიც, მაგრამ იქ კალატოზები თითქმის არ მოიპოვებიან; ამიტომ ძალაუნებურად უნდა წავახალისოთ ყველა, ვინც სულ უბრალო ფაქტსაც კი გვაწვდის,—იმ იმედით, რომ ეს გაამრავლებს ამ დარგის თანამშრომელთა რიცხვს, და, ბოლოს, ჩვენც ყველას შეგვასწავლის მართლაც თვალსაჩინო ფაქტების შერჩევას. მაგრამ სასწავლო მასალა იმდენად მცირეა, რომ მის განუზოგადებლად მთელი რუსეთის მასშტაბით არავითარი მასალა არ მოგვეპოვება რომ ვისწავლოთ. უეჭველია, ის ადამიანი, რომელსაც თუნდაც დაახლოებით ისეთივე აგიტატორული ნიჭი და მაწანწალას ცხოვრების ისეთი ცოდნა აქვს, როგორიც ნადეჟდინს უჩანს, უმუშევართა შორის აგიტაციით ფასდაუდებელ სამსახურს გაუწევდა მოძრაობას, — მაგრამ ასეთი ადამიანი მიწაში ჩამარხავდა თავის ნიჭს, თუ არ იზრუნებდა იმაზე, რომ ყველა რუსი ამხანაგისათვის გაეცნო თავისი მუშაობის ყოველი ნაბიჯი იმ ადამიანთათვის ჭკუის სასწავლებლად და მაგალითის დასანახვებლად, რომლებმაც, მთლიანად, ჯერ კიდევ არ იციან ახალი საქმის ხელის მოკიდება.

ახლა ყველანი ლაპარაკობენ გაერთიანების მნიშვნელობაზე, «შეკრებისა და შეკავშირების» აუცილებლობაზე, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში არავითარი გარკვეული წარმოდგენა არა აქვთ იმაზე, თუ რით დავიწყოთ და როგორ წარვმართოთ ამ გაერთიანების საქმე. ალბათ, ყველა დაგვეთანხმება, რომ თუ ჩვენ «ვაერთიანებთ» ერთი ქალაქის -ცალკეულ, ვთქვათ, რაიონულ წრეებს, ამისთვის საჭიროა

საერთო დაწესებულებანი, ე. ი. არა მარტო «კავშირის» საერთო სახელწოდება არამედ ნამდვილი საერთო მუშაობა, მასალის, გამოცდილების და ძალების გაცვლა-გამოცვლა, ფუნქციების განაწილება უკვე არ მარტო რაიონების, არამედ მთელი საქალაქო მუშაობის სპეციალობათა მიხედვით. ყველა დაგვეთანხმება, რომ საფუძვლიანი კონსპირაციული აპარატი ვერ ანაზღაურდება (თუ შეიძლება კომერციული სიტყვა ვიხმაროთ) ერთი რაიონის (რასაკვირველია, როგორც მატერიალური, ისე პიროვნული) «საშუალებებით», რომ ასეთ ვიწრო სარბიელზე ვერ გაიშლება სპეციალისტის ნიჭი. მაგრამ იგივე უნდა ითქვას სხვადასხვა ქალაქის გაერთიანებაზეც, ვინაიდან ისეთი სარბიელიც კი, როგორიც ცალკე ქალაქია, უკვე ძალიან ვიწრო აღმოჩნდება ხოლმე და კიდევაც აღმოჩნდა ჩვენი სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის ისტორიაში: ჩვენ ამას დაწვრილებით ვამტკიცებდით ზემოთ როგორც პოლიტიკური აგიტაციის, ისე ორგანიზაციული მუშაობის მაგალითით. საჭიროა, აუცილებლად საჭიროა და უწინარეს ყოვლისა საჭიროა გავაფართოოთ ეს სარბიელი, შევქმნათ ფაქტიური კავშირი ქალაქთა შორის საერთო რეგულარული მუშაობის ნიადაგზე, ვინაიდან დაქსაქსულობა აკნინებს ადამიანებს, რომელნიც («ისკრის» ერთი წერილის ავტორის სიტყვით) «თითქოს ორმოში სხედან», არ იციან, რა ხდება ქვეყნად, ვისგან რა ისწავლონ, როგორ შეიძინონ გამოცდილება, როგორ დაიკმაყოფილონ ფართო მოღვაწეობის სურვილი. და მე ვიმეორებ, რომ ამ ფაქტიური კავშირის შექმნის დაწყება შეიძლება მხოლოდ საერთო გაზეთის ნიადაგზე, როგორც ერთადერთი რეგულარული საერთო-რუსეთის წამოწყების ნიადაგზე, რომელიც აჯამებს სულ სხვადასხვაგვარი სახის მუშაობის შედეგებს და მით ბიძგს აძლევს ადამიანებს შეუჩერებლივ იარონ წინ ყველა მრავალრიცხოვანი გზით, რომელთაც რევოლუციისაკენ მივყავართ, როგორც ყველა გზას მივყავართ რომისაკენ. თუ ჩვენ მარტო სიტყვიერად არ გვინდა გაერთიანება, საჭიროა ყოველმა ადგილობრივმა წრემ დაუყოვნებლივ მოანდომოს, ვთქვათ, თავისი ძალების მეოთხედი საერთო საქმეზე აქტიურ მუშაობას, და გაზეთი მას ერთბაშად დაანახვებს* ამ საქმის საერთო მონა-

* განმარტება: თუ ის თანაუგრძნობს ამ გაზეთის მიმართულებას და საქმისათვის სასარგებლოდ ეიარნია მის თანამშრომლად გახდეს, და ესმის ეს არა როგორც მხოლოდ ლიტერატურული, არამედ როგორც საერთოდ ყოველგვარი რევოლუციური თანამშრომლობა. შენიშვნა «რა ბოჩეე დელოსთვისა»: იმ რევოლუციონერებისთვის, რომელნიც აფასებენ საქმეს, და არა დემოკრატიზმის თამაშს, რომელნიც «თანაგრძნობასა» არ აცალკევებენ უაქტიურესი და ცოცხალი მონაწილეობისაგან, ეს განმარტება თავისთავად იგულისხმება.

ხაზს, ზომასა და ხასიათს, დაანახვებს, სახელდობრ რა ხარვეზი უფრო ძლიერ საგრძნობია მთელ საერთო-რუსეთის მასშტაბით მუშაობაში სად არ არის აგიტაცია, სად არის სუსტი კავშირი, საერთო უზარმაზარი მექანიზმის რომელი ბორბლის შეკეთებას ან უკეთესით შეცვლას შესძლებდა ესა თუ ის წრე. წრეს, რომელსაც ჯერ კიდევ არ უმუშავნია და რომელიც მხოლოდ ახლა ეძებს სამუშაოს, შეეძლო დაეწყო უკვე მუშაობა არა როგორც ცალკე პატარა სახელოსნოს კუსტარს, რომელსაც არა გაეგება რა არც «მრეწველობის» განვითარებისა მის დრომდე, არც წარმოების ახლანდელ სამრეწველო საშუალებათა საერთო მდგომარეობისა, — არამედ როგორც მონაწილეს ფართო საწარმოსი, რომელიც ასახავს მთელ საერთო რევოლუციურ იერიშს თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. და რაც უფრო სრულყოფილი იქნებოდა თვითეული ბორბლის დამუშავება, რაც უფრო მეტი იქნებოდა საერთო საქმეზე დეტალურ მუშაკთა რიცხვი, მით უფრო გახშირდებოდა ჩვენი ქსელი და მით უფრო ნაკლებ არევდარევას გამოიწვევდა საერთო რიგებში აუცილებელი ჩავარდნები.

უკვე მარტო გაზეთის გავრცელების ფუნქცია შექმნიდა ფ ა ქ ტ ი ურ კავშირს (თუ იგი ღირსი იქნებოდა გაზეთის სახელწოდებისა, ე. ი. გამოვიდოდა რეგულარულად და არა ერთხელ თვეში, როგორც დიდტანიანი ჟურნალები გამოდის, არამედ ოთხჯერ). ამჟამად ქალაქებს შორის კავშირურთიერთობა რევოლუციური საქმის საჭიროებისათვის ძალიან იშვიათი ამბავია, ყოველ შემთხვევაში გამონაკლისს წარმოადგენს, მაშინ ეს კავშირურთიერთობა წესად გადაიქცეოდა და, ცხადია, უზრუნველყოფდა არა მარტო გაზეთის გავრცელებას, არამედ აგრეთვე (რაც გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია) გამოცდილების, მასალების, ძალებისა და საშუალებების გაზიარებას. მაშინ ორგანიზაციული მუშაობის გაქანება ერთბაშად მრავალჯერ გაფართოვდებოდა, — და ერთი ადგილის წარმატება ქვეყნის სხვა კუთხეში მოქმედი ამხანაგის მუდამ წამახალისებელი იქნებოდა შემდგომი გაუმჯობესებისათვის, სურვილისათვის, რომ გამოეყენებინა მზამზარეული გამოცდილება. ადგილობრივი მუშაობა გაცილებით უფრო მდიდარი და ყოველმხრივი შეიქნებოდა. ვიდრე დღეს არის: პოლიტიკური და ეკონომიური მხილებანი, რომელნიც მთელ რუსეთში გროვდება, გონებრივ საზრდოს მისცემდა ყველა პროფესიის და გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ი ს ყ ვ ე ლ ა ს ა ფ ე ხ უ რ ი ს მუშებს, მისცემდა მასალას და საუბრის და კითხვის საბაბს სულ სხვადასხვაგვარი საკითხის შესახებ, რომელნიც ამასთანავე აღძრუ-

ლია ლეგალური პრესის გადაკრული სიტყვებითაც, საზოგადოებაში ლაპარაკითაც და მთავრობის «დარცხვენილი» განცხადებებითაც. ყოველი აფეთქება, ყოველი დემონსტრაცია განხილული და ყოველ-მხრივ დაფასებული იქნებოდა რუსეთის ყოველ კუთხეში, გამოიწვევდა სურვილს არ ჩამორჩნენ სხვებს, გააკეთონ სხვებზე უკეთესად — (ჩვენ, სოციალისტები, სრულიადაც არ უარვყოფთ საზოგადოდ ყოველგვარ შეჯიბრებას, ყოველგვარ «მეტოქეობას»!), — შეგნებულად მოამზადონ ის, რაც პირველად როგორღაც სტიქიურად გამოვიდა, გამოიყენონ ამა თუ იმ ადგილის ან ამა თუ იმ მომენტის ხელსაყრელი პირობები იერიშის გეგმის სახის შესაცვლელად და სხვ. ამავე დროს ადგილობრივი მუშაობის გამოცოცხლება არ გამოიწვევდა ყველა ძალის იმ თავგანწირულ «პიკვდილისწინა» დაძაბვას, და ყველას განსაცდელში ჩაყენებას. როგორც არის ახლა ხშირად ყოველი დემონსტრაცია ან ადგილობრივი გაზეთის ყოველი ნომერი: ერთი მხრივ, პოლიციისთვის გაცილებით უფრო ძნელია «ფესვების» მიგნება, რაკი არ ეცოდინება, რომელ ადგილას ეძიოს იარინი; მეორე მხრივ, რეგულარული საერთო მუშაობა შეაჩვევდა ადამიანებს ამა თუ იმ იერიშის ძალის შეფარდებას საერთო არმიის ამა თუ იმ რაზმის ძალთა ამა თუ იმ მდგომარეობასთან (ახლა ასეთ შეფარდებაზე თითქმის არავინ არასოდეს არ ფიქრობს, ვინაიდან იერიშები ცხრა მეათედით სტიქიურად ხდება) და გააადვილებდა სხვა ადგილიდან არა მარტო ლიტერატურის, არამედ რევოლუციური ძალების «გადმოტანასაც».

ახლა ეს ძალები მეტწილად სისხლით იცლებიან ვიწრო ადგილობრივ სამუშაოზე, მაშინ კი შესაძლებლობა გაჩნდებოდა და ყოველთვის იქნებოდა საბაბი ცოტად თუ ბევრად ნიჭიერი აგიტატორის ან ორგანიზატორის გადასაყვანად ქვეყნის ერთი კუთხიდან მეორეში. ჩვენი მუშაკები დაიწყებდნენ პატარა მოგზაურობით პარტიის საქმეებზე პარტიის ხარჯით და შეეჩვეოდნენ მთლიანად პარტიის კმაყოფაზე გადასვლას, პროფესიონალი რევოლუციონერები გახდებოდნენ, ნამდვილ პოლიტიკურ ბელადებად გამოიწვრთნებიდნენ.

და ჩვენ რომ მართლა მოვახერხებდეთ იმის მიღწევას, რომ ყველა ადგილობრივმა კომიტეტმა, ადგილობრივმა ჯგუფმა და წრემ ან მათმა დიდმა უმრავლესობამ აქტიურად მოჰკიდოს ხელი საერთო საქმეს, სულ ახლო მომავალში გამოვცემდით ყოველკვირეულ გაზეთს, რომელიც რეგულარულად ათიათასობით გავრცელდებოდა მთელ რუსეთში. ეს გაზეთი გახდებოდა იმ უზარმაზარი

სამეფოდლო საბერველის ნაწილად, რომელიც კლასობრივი ბრძოლისა და სახალხო აღშფოთების ყოველ ნაპერწკალს საყოველთაო ხანძრად გადააქცევდა. ამ, თავისთავად ჯერ კიდევ ძალიან უბრალო და ძალიან მცირე, მაგრამ რეგულარული და ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით ს ა ე რ თ ო საქმის გარშემო სისტემატურად შეირჩეოდა და გაიწვრთნებოდა გამოცდილ მებრძოლთა მუდმივი არმია. ამ საერთო ორგანიზაციული შენობის ხარაჩოებით თუ ფიცარნაგებით ჩვენი რევოლუციონერებიდან მალე წარმოიშობოდნენ და დაწინაურდებოდნენ სოციალ-დემოკრატი ჟელიაბოვები, ჩვენი მუშებიდან — რუსი ბებელები, რომელნიც სათავეში ჩაუდგებოდნენ მობილიზებულ არმიას და მთელ ხალხს აამხედრებდნენ რუსეთის სირცხვილისა და შეჩვენების აღსაგველად.

აი რაზე უნდა ვიოცნებოთ!

* * *

«უნდა ვიოცნებოთ!» დავწერე ეს სიტყვები და შემეშინდა. წარმოვიდგინე, რომ ვიმყოფები «გამაერთიანებელ ყრილობაზე», ჩემს პირდაპირ სხედან «რაბოჩეე დელოს» რედაქტორები და თანამშრომლები. და აი დგება ამხანაგი მარტინოვი და მრისხანედ მომმართავს: «ნება მიბოძეთ, გკითხოთ, აქვს კიდევ ავტონომიურ რედაქციას უფლება იოცნებოს პარტიის კომიტეტების წინასწარ დაუკითხავად?». მარტინოვის შემდეგ დგება ამხანაგი კრიჩევსკი და (ფილოსოფიურად აღრმავებს რა ამხანაგ მარტინოვს, რომელმაც დიდი ხანია უკვე გააღრმავა ამხანაგი პლეხანოვი) კიდევ უფრო მრისხანედ განაგრძობს: «მე უფრო შორს მივდივარ. გეკითხებით, აქვს კი საერთოდ მარქსისტს უფლება იოცნებოს, თუ ის არ ივიწყებს, რომ მარქსის მიხედვით კაცობრიობა ყოველთვის განსახორციელებელ ამოცანებს ისახავს და რომ ტაქტიკა იმ ამოცანების ზრდის პროცესია, რომლებიც პარტიასთან ერთად იზრდებიან?».

ამ მრისხანე კითხვების უბრალო გახსენებაც კი ჟრუანტელსა მგვრის ტანში, და ვფიქრობ მხოლოდ, — სად დავიმალო, ვის ამოვეფარო. შევეცდები ამოვეფარო პისარევს.

«უთანხმოებაც არის და უთანხმოებაც», — წერდა პისარევი ოცნებასა და სინამდვილეს შორის არსებული უთანხმოების საკითხის გამო. — ჩემს ოცნებას შეუძლია წინ გაუსწროს მოვლენათა ბუნებრივ მსვლელობას, ან მას შეუძლია გაინავარდოს სულ განზე, იქითკენ, სადაც ვერასოდეს ვერ მიაღწევს მოვლენათა ვერავითარი ბუნებრივი მსვლელობა. პირველ შემთხვევაში ოცნებას არავითარი ზიანი არ მოაქვს; მას შეუძლია გაამაგროს და გააძლიეროს კიდეც

მშრომელი ადამიანის ენერგია... ასეთ ოცნებაში ისეთი არაფერია, რასაც შეუძლია შერყვნას ან მოადუნოს სამუშაო ძალა. სრულიად პირიქით. ადამიანი რომ საკუთარი მოკლებული იყოს ამგვარი ოცნების უნარს, მას რომ არ შეეძლოს, ხანდახან წინ გაუსწროს და გონებით წარმოიდგინოს მთლიან და დასრულებულ სურათში სწორედ ის ქმნილება, რომელიც ეს-ეს არის ისახება მის ხელში, — მაშინ მე სრულებით არ ძალმიძს წარმოვიდგინო, რა აღმძვრელი მიზეზი აიძულებდა ადამიანს დაეწყო და დაესრულებინა უდიდესი და დამქანცველი სამუშაოები ხელოვნების, მეცნიერებისა და პრაქტიკული ცხოვრების სფეროში... ოცნებასა და სინამდვილეს შორის უთანხმოებას არავითარი ზიანი არ მოაქვს, თუკი მეოცნებე პიროვნებას სერიოზულად სწამს თავისი ოცნება, თუ ის ყურადღებით უკვირდება ცხოვრებას, თავის დაკვირვებას ადარებს თავის საოცნებო კოშკებს და საზოგადოდ კეთილსინდისიერად მუშაობს თავისი ფანტაზიის განსახორციელებლად, როდესაც რაიმე კავშირი არსებობს ოცნებასა და ცხოვრებას შორის, მაშინ ყველაფერი თავის რიგზეა»[108].

აი სწორედ ასეთი ოცნება, სამწუხაროდ, ძალიან ცოტაა ჩვენს მოშრაობაში. და ამაში ყველაზე მეტად დამნაშავენი არიან ლეგალური კრიტიკისა და არალეგალური «მაჩანჩალობის» წარმომადგენლები, რომელნიც ყოყოჩობენ თავიანთი სიფხიზლით, «კონკრეტულთან» «ახლოვით».

ბ) რა ტიპის ორგანიზაცია გვესაჭიროება?

ზემოთქმულიდან მკითხველი ხედავს, რომ ჩვენი «ტაქტიკა-გეგმა» უარყოფს დაუყოვნებლივ მ ო წ ო დ ე ბ ა ს იერიშისაკენ, მოითხოვს «მტრის სიმაგრის წესიერი ალყის შემორტყმას», ანუ, სხვანაირად, მოითხოვს მთელი ძალ-ღონის მიმართვას იმაზე, რომ შეკრებილ, ორგანიზებულ და მ ო ბ ი ლ ი ზ ე ბ უ ლ იქნეს მუდმივი ჯარი. როდესაც ჩვენ «რაბოჩეე დელო» სასაცილოდ ავიგდეთ ეკონომიზმიდან იერიშის ღაღადზე გადახტომისთვის (ეს ღაღადი გაისმა 1901 წლის ა პ რ ი ლ შ ი, ««რაბოჩეე დელოს» ფურცლის» №6-ში), მან, რა თქმა უნდა, ჩვენ შემოგვიტია და «დოქტრინიორობა», რევოლუციური მოვალეობის შეუგნებლობა, სიფრთხილისადმი მოწოდება და სხვ. დაგვაბრალა. რა თქმა უნდა, ჩვენ სრულებით არ გაუკვირვებივართ ამ ბრალდებებს იმ ადამიანების მხრივ, რომელთაც არავითარი საფუძველი არ გააჩნიათ და რომელნიც ღრმააზროვანი «ტაქტიკა-პროცესით» იძვრენენ თავს, როგორც არ გაუკვირვებივართ არც იმას, რომ ასეთი ბრალდებანი გაიმეორა

ნადეჟდინმა, რომელიც საერთოდ მეტად გულზვიადი ათვალწუნებით უყურებს მტკიცე პროგრამულ და ტაქტიკურ საფუძვლებს.

ამბობენ, ისტორია არ მეორდებაო. მაგრამ ნადეჟდინი მთელი თავისი ძალ-ღონით ცდილობს გაიმეოროს ის და გულმოდგინედ პაძავს ტკაჩევს. აცამტვერებს «რევოლუციურ კულტურულნობას», გაჰყვირის «სათემო ზარის განგაშზე», «რევოლუციის წინადღის განსაკუთრებულ თვალსაზრისზე» და სხვ. ეტყობა, მას დავიწყნია ცნობილი ნაკვესი, რომ, თუ ისტორიული მოვლენის დედანი ტრაგედიაა, მისი ასლი მხოლოდ ფარსიაო[109]. ტკაჩევის ქადაგებით მომზადებული და «დამშინებელი» ტერორის (რომელიც ნამდვილადაც აშინებდა ხოლმე) საშუალებით განხორციელებული ცდა ძალაუფლების დაპყრობისა — დიდებული იყო, ხოლო პატარა ტკაჩევის «ექსციტატიური» ტერორი პირდაპირ სასაცილოა და განსაკუთრებით სასაცილოა, როდესაც მას უმატებენ საშუალო გლეხთა ორგანიზაციის იდეას.

««ისკრა» რომ გასცილებოდა ლიტერატურულობის სფეროს, — წერს ნადეჟდინი, — დაინახავდა, რომ ეს (ისეთი მოვლენები, როგორიცაა მუშის წერილი «ისკრის» მე-7 ნომერში და სხვ.) იმის სიმპტომია, რომ სულ მალე დაიწყება «იერიში», და ახლა (sic!) ლაპარაკი ორგანიზაციაზე, რომელიც საერთო-რუსეთის გაზეთთან არის დაკავშირებული, კაბინეტური აზროვნებისა და კაბინეტური მუშაობის ხელის შეწყობაა». აბა, დაუკვირდით, რა წარმოუდგენელი დომხალია: ერთი მხრივ. ექსციტატიური ტერორი და «საშუალო გლეხთა ორგანიზაცია» იმ აზრთან ერთად, რომ «გაცილებით უფრო ადვილია» «უფრო კონკრეტულის», როგორც, მაგალითად, ადგილობრივი გაზეთების ირგვლივ შემოკრება, — ხოლო, მეორე მხრივ, «ახლა» საერთო-რუსეთის ორგანიზაციაზე ლაპარაკი ნიშნავს კაბინეტური აზროვნების ხელისშეწყობას. ე. ი., უფრო პირდაპირ და მარტივად რომ ვთქვათ, «ახლა» უკვე დაგვიანებულიაო! ხოლო «ადგილობრივი გაზეთების ფართოდ დაყენება», — ეს არ არის დაგვიანებული, პატივცემულო ლ. ნადეჟდინ? შეადარეთ ამას «ისკრის» თვალსაზრისი და ტაქტიკა: ექსციტატიური ტერორი არაფერია. სახელდობრ საშუალო გლეხთა ორგანიზაციაზე და ადგილობრივი გაზეთების ფ ა რ თ ო დ დაყენებაზე ლაპარაკი ნიშნავს ეკონომიზმისათვის სულ მთლად კარის გაღებას. უნდა ვილაპარაკოთ რევოლუციონერების ერთიან საერთო-რუსეთის ორგანიზაციაზე, და მასზე ლაპარაკი დაგვიანებული არ იქნება მანამდე, სანამ დაიწყებოდეს ნამდვილი და არა სიტყვიერი იერიში.

«დიახ, ჩვენში ორგანიზაციის მხრივ საქმე კარგად ვერ არის, — განაგრძობს ნადეჟდინი — დიახ, «ისკრა» საესებით მართალია, როცა ამბობს, ჩვენი სამხედრო ძალების მთავარი მასა — მოხალისენი და მეამბოხენი არიანო... ეს კარგია, რომ თქვენ ფიზიზლად წარმოგიდგენიათ ჩვენი ძალების მდგომარეობა, მაგრამ რად ივიწყებთ ამასთან, რომ ხალხი სრულიად არ არის ჩვენი და რომ ამიტომ ის ჩვენ არც შეგვეკითხება, როდის დაიწყოს სამხედრო მოქმედება.—და დაიწყებს «ამბოხებასა»... როცა თვით ხალხი გამოვა თავისი სტიქიური დამანგრეველი ძალით. მას შეუძლია გაჰქელოს, გასრისოს «მუდმივი ჯარი», რომელშიც ამირებდნენ. მაგრამ ვერ მოასწრეს უაღრესად სისტემატური ორგანიზაცია შეეტანათ». (ხაზგასმა ჩვენია).

საკვირველი ლოგიკა! სწორედ იმიტომ, რომ «ხალხი ჩვენი არ არის», უგუნურება და ურიგობა იქნებოდა გვეყვირა და მოგვეთხოვა «იერიში» ახლავე, ვინაიდან იერიში მუდმივი ჯარის შეტევაა და არა ხალხის სტიქიური აფეთქება. სწორედ იმიტომ, რომ ხალხს შეუძლია გაჰქელოს და გასრისოს მუდმივი ჯარი, ჩვენ აუცილებლად უნდა «ვასწრებდეთ» სტიქიური აზვირთების ფეხდაფეხ მიყოლას და მუდმივ ჯარში «უაღრესად სისტემატური ორგანიზაციის შეტანას», ვინაიდან, რაც უფრო მეტად «მოვასწრებთ» ასეთი ორგანიზებულობის შეტანას, მით უფრო მოსალოდნელია, რომ მუდმივი ჯარი არ იქნება ხალხის მიერ გათელილი, არამედ წინ მოექცევა და სათავეში ჩაუდგება ხალხს. ნადეჟდინი იბნევა იმიტომ, რომ მას წარმოუდგენია, თითქოს ეს სისტემატურად ორგანიზებული ჯარი ისეთ რამეს აკეთებს, რაც აშორებს მას ხალხისაგან, მაშინ როდესაც ნამდვილად იგი ეწევა მხოლოდ და მხოლოდ ყოველმხრივ და ყოვლისმომცველ პოლიტიკურ აგიტაციას, ე. ი. სწორედ ისეთ მუშაობას, რომელიც აახლოებს და აერთებს ერთ მთელად ხალხის სტიქიურ გამანადგურებელ ძალას და რევოლუციონერთა ორგანიზაციის შევნებულ-გამანადგურებელ ძალას. თქვენ ხომ, ბატონებო, თქვენს საკვივარს სხვას ახვევთ თავს, ვინაიდან სწორედ «სვობოდას» ჯგუფი, პროგრამაში ტერორის შეტანით, მოუწოდებს ტერორისტების ორგანიზაციის შექმნისაკენ, ხოლო ასეთი ორგანიზაცია ნამდვილად ჩვენს ჯარს დაახლოების ნაცვლად დააშორებდა ხალხს, რომელიც ჯერ კიდევ, სამწუხაროდ, ჩვენი არ არის, რომელიც ჯერ კიდევ, სამწუხაროდ, არ გვეკითხება ან ნაკლებად გვეკითხება, როდის და როგორ დავიწყოთ სამხედრო მოქმედებაო.

«ჩვენ გამოგვეპარება თვით რევოლუცია, — განაგრძობს ნადეჟდინი «ისკრის» დაშინებას, — როგორც გამოგვეპარა ახლანდელი აჯანყები, რომლებიც სრულიად მოულოდნელად დაგვატყდა თავს». ეს ფრაზა, ზემოთ მოყვანილ ფრაზებთან დაკავშირებით, თვალსაჩინოდ გვიჩვენებს «სვობოდას» მიერ შეთხზული განსაკუთრებული «რევოლუციის წინადღის* თვალსაზრისის» უაზრობას. პირდაპირ თუ ვიტყ-

* «რევოლუციის წინადღე», გვ. 62.

ვით, განსაკუთრებული «თვალსაზრისი» იმას მოასწავებს, რომ «აბ-ლა» უკვე დაგვიანებულია მსჯელობა და მზადება. თუ ეს ასეა, «ლიტერატურულობის» უპატივცემულესო მტერო,—მაშინ რაღა საჭირო იყო 132 ნაბეჭდ გვერდზე «თეორიისა» და ტაქტიკის საკითხებზე» წერა? როგორ გგონიათ, «რევოლუციის წინადღის თვალსაზრისისთვის» უფრო შესაფერი ხომ არ იქნებოდა 132 ათასი ფურცლის გამოცემა მოკლე მოწოდებით: «დაჰკა მათ!»?

რევოლუცია ყველაზე ნაკლებად სწორედ იმას გამოეპარება, ვინც მთელი თავისი პროგრამის, ტ ა ქ ტ ი კ ი ს ა დ ა ო რ გ ა ნ ი - ზ ა ც ი უ ლ ი მ უ შ ა ო ბ ი ს ქვაკუთხედად საყოველთაო სახალხო პოლიტიკურ აგიტაციას აყენებს, როგორც ამას შვრება «ისკრა». იმათ, ვინც მთელ რუსეთში საერთო-რუსეთის გაზეთიდან მომდინარე ორგანიზაციის ძაფებს გრეხს, არათუ არ გამოპარვიათ გაზაფხულის ამბები, არამედ, პირიქით, საშუალება მოგვცეს გვეწინასწარმეტყველნა ეს ამბები. მათ არ გამოპარვიათ არც ის დემონსტრაციები, რომლებიც აწერილია «ისკრის» მე-13 და 14 ნომრებში: პირიქით, ისინი მონაწილეობას იღებდნენ მათში, ცხოვლად გრძნობდნენ თავიანთ მოვალეობას—დახმარება გაეწიათ ხალხის სტიქიური აღმავლობისათვის და ამავე დროს, გაზეთის საშუალებით, მიშველებოდნენ ყოველ რუს ამხანაგს ამ დემონსტრაციების გაცნობისა და მათი გამოცდილების გამოყენების საქმეში. მათ, თუ ცოცხალი იქნებიან, არ გამოეპარებათ არც რევოლუცია, რომელიც მოითხოვს ჩვენგან უწინარეს ყოვლისა და ყველაზე უფრო მეტ გამოცდილებას აგიტაციის საქმეში. ყოველი პროტესტისთვის მხარისდაჭერის (სოციალ-დემოკრატიული მხარისდაჭერის) უნარს, სტიქიური მოძრაობის წარმართვის უნარს, მის დაცვას როგორც მეგობრების შეცდომათაგან, ისე მტრების მახეებისაგან!

ამრიგად, ჩვენ მივადექით უკანასკნელ მოსაზრებას, რომელიც

---

* თუმცა თავის «თეორიის საკითხების მიმოხილვაში» ლ. ნადეჟდინს თეორიის საკითხებზე თითქმის აბაფერი არ მოუცია, თუ არ ჩავთვლით შემდეგს, «რევოლუციის წინადღის თვალსაზრისით» მეტად საყურადღებო ამბავს: «ბერნშტეინიდა, მთლიანად აღებული, ჩვენი მომენტისთვის თავის მწვავე ხასიათს კარგავს სწორედ ისევე, როგორც სავსებით სულ ერთია, დაამტკიცებს თუ არა ბ-ნი ადამოვიჩი, რომ ბ-ნმა სტრუვემ უკვე დაიმსახურა საპატიო ნიშანი, თუ, პირიქით, ბ-ნ სტრუვე გაბათილებს ბ-ნ ადამოვიჩს და არ მოინდომებს გადადგომას, — ვინაიდან დგება, რევოლუციის განკითხვის ჟამი» (გვ. 110). ძნელია ამაზე უფრო მკაფიოდ გამოხატვა თეორიის მიმართ ლ. ნადეჟდინის უსაზღვრო უზრუნველობისა. ჩვენ გამოვაცხადეთ «რევოლუციის წინადღე» — ა მ ი ტ ო მ «სავსებით სულ ერთია». შესძლებენ თუ არა ორთოდოქსები საბოლოოდ გადააგდონ პოზიციიდან კრიტიკოსები!! ღა ჩვენი ბრძენი ვერც კი ამჩნევს, რომ სწორედ რევოლუციის დროს დაგვჭირდება კრიტიკოსებთან თეორიული ბრძოლის შედეგები კრიტიკოსთა, მათი პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ი პოზიციების წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლისთვის!

გვაიძულებს განსაკუთრებით დავიცვათ გეგმა საერთო-რუსეთის გაზეთის ირგვლივ ორგანიზებისა, საერთო გაზეთზე ერთობლივი მუშაობის საშუალებით. მხოლოდ ასეთი ორგანიზაცია უზრუნველყოფს სოციალ-დემოკრატიული მებრძოლი ორგანიზაციისთვის საჭირო მ ო ქ ნ ი ლ ო ბ ა ს, ე. ი. ბრძოლის უაღრესად მრავალგვარ და სწრაფად ცვალებად პირობებთან დაუყოვნებლივ შეგუების უნარს, — უნარს, «ერთი მხრივ, მოერიდოს ბრძოლას გაშლილ ასპარეზზე ჭარბი ძალების მყოლ მტერთან, როცა მას ერთ ადგილას მოუყრია თავი მთელი ძალებისათვის, ხოლო მეორე მხრივ, ისარგებლოს ამ მტრის მოუქნელობით და თავს დაესხას მას იქ და მაშინ, სადაც ყველაზე ნაკლებად მოელიან თავდასხმას».* უდიდესი შეცდომა იქნებოდა პარტიული ორგანიზაცია გვეშენებინა მხოლოდ აფეთქებისა და ქუჩის, ბრძოლის ან მხოლოდ «ჩვეულებრივი მიმდინარე ბრძოლის წინმსვლელობის» იმედით. ჩვენ ყ ო ვ ე ლ თ ვ ი ს უნდა ვაწარმოოთ ჩვენი ყოველდღიური მუშაობა და ყოველთვის მზად ვიყოთ ყველაფრისათვის, იმიტომ რომ აფეთქების პერიოდების მყუდროების პერიოდებით შეცვლის განჭვრეტა ძალიან ხშირად თითქმის შეუძლებელია, — იმ შემთხვევაში კი, როცა შესაძლებელია, ვერ ვისარგებლებდით ამ განჭვრეტით ორგანიზაციის გარდასაქმნელად, ვინაიდან ეს შეცვლა თვითმპყრობელურ ქვეყანაში გასაოცარი სისწრაფით ხდება ხოლმე, ხანდახან კი დაკავშირებულია მეფის იანიჩართა ღამის ერთ თარეშთან.[110] თვითონ რევოლუციაც უნდა წარმოვიდგინოთ სრულიადაც არა ერთეული აქტის სახით (როგორც ეჩვენებათ, ალბათ, ნადეჟდინებს), არამედ ცოტად თუ ბევრად ძლიერი აფეთქების და ცოტად თუ ბევრად ძლიერი მყუდროების რამდენიმე სწრაფი ცვლის სახით. ამიტომ ჩვენი პარტიული ორგანიზაციის საქმიანობის ძირითადი შინაარსი, ამ საქმიანობის ფოკუსი უნდა იყოს ისეთი მუ-

* «ისკრა» № 4: «რით დავიწყოთ?» — «რევოლუციურ კულტურისნებს, რომელნიც რევოლუციის წინადღის თვალსაზრისზე არ დგანან, მუშაობის ხანგრძლივობა სრულებითაც არ აკრთობთ», — წერს ნადეჟდინი (გვ. 62). ამის გამო უნდა შევნიშნოთ შემდეგი: ჩვენ თუ ვჭრ შევიმუშავებთ ისეთ პოლიტიკურ ტაქტიკას, ისეთ ორგანიზაციულ გეგმას, რომელნიც აუცილებლად ნავარაუდევი იქნებოდნენ მ ე ტ ა დ ხ ა ნ გ რ ძ ლ ი ვ ი მ უ შ ა ო ბ ი ს ა თ ვ ი ს და ამაეე დროს თ ვ ი თ ა მ მ უ შ ა ო ბ ი ს პ რ ო ც ე ს ი თ უზრუნველყოფდნენ ჩვენი პარტიის მზადყოფნას — იდგეს თავის სადარაჯოზე და თავისი მოვალეობა შეასრულოს ყოველგვარი მოულოდნელობის, მოვლენათა მსვლელობის ყოველგვარი აჩქარების დროს. — მაშინ ჩვენ მხოლოდ საცოდავი პოლიტიკური ავანტიურისტები აღმოვჩნდებით. მხოლოდ ნადეჟდინს, რომელმაც გუშინდლიდან უწოდა თავის თავს სოციალ-დემოკრატი, შეუძლია დაივიწყოს ის, რომ სოციალ-დემოკრატიის მიზანია მთელი კაცობრიობის ცხოვრების პირობების ძირეული გარდაქმნა, რომ ამიტომ სოციალ-დემოკრატს არ უნდა «აკრთობდეს» მუშაობის ხანგრძლივობის საკითხ.».

შაობა, რომელიც შესაძლებელიც არის და საჭიროც, როგორც უალრესად ძლიერი აფეთქების, ისე სრული მყუდროობის პერიოდში, სახელდობრ: მთელ რუსეთში გაერთიანებული პოლიტიკური აგიტაცია, რომელიც გააშუქებს ცხოვრების ყველა მხარეს და გადატანილი იქნება უფართოეს მასებში. ეს მუშაობა კი თანამედროვე რუსეთში წარმოუდგენელია, თუ არ გვექნება საერთო-რუსეთის გაზეთი, რომელიც ძალიან ხშირად გამოვა. ორგანიზაცია, რომელიც თავისთავად ყალიბდება ამ გაზეთის ირგვლივ, მისი თანამშრომლების (სიტყვის ფართო მნიშვნელობით, ე. ი. ყველა მისი მომუშავის) ორგანიზაცია სწორედ ყველაფრისთვის მზად იქნება, დაწყებული პარტიის სახელის, პრესტიჟისა და თანამომდევნობის დაცვით უმეტესი რევოლუციური «შეევიწროების» მომენტში და გათავებული საყოველთაო სახალხო შეიარაღებული აჯანყების მომზადებით, დანიშვნით და მოწყობით.

მართლაც, წარმოიდგინეთ ჩვენში ძალიან ჩვეულებრივი შემთხვევა სრული ჩავარდნისა ერთს თუ რამდენსამე ადგილას. თუ ყველა ადგილობრივ ორგანიზაციას ერთი საერთო რეგულარული საქმე არა აქვს, ასეთ ჩავარდნას ხშირად მოჰყვება ხოლმე რამდენიმე თვეს მუშაობის შეწყვეტა. ხოლო თუკი ყველას საერთო საქმე ექნება, — რა დიდი ჩავარდნაც უნდა მოხდეს, საკმარისია ორი-სამი ენერგიული ადამიანის რამდენიმე კვირის მუშაობა, რომ საერთო ცენტრს დაუკავშირონ ახალგაზრდობის ახალი წრეები, რომელნიც, როგორც ვიცით, დღესაც კი ძალიან სწრაფად ჩნდებიან; — ხოლო როდესაც ჩავარდნით შეფერხებული ეს საერთო საქმე ყველას თვალწინ არის, მაშინ ახალი წრეები შეიძლება კიდევ უფრო ჩქარა წარმოიშვას და დაუკავშირდეს მას.

მეორე მხრივ, წარმოიდგინეთ სახალხო აჯანყება. დღეს, ალბათ, ყველა დაგვეთანხმება, რომ ჩვენ უნდა ვიფიქროთ მასზე და ვემზადოთ მისთვის. მაგრამ როგორ ვემზადოთ? ცენტრალური კომიტეტი ხომ ვერ დანიშნავს ყველგან აგენტებს აჯანყების მოსამზადებლად! კიდეც რომ გვყავდეს ც. კ., ის ასეთი დანიშვნით ვერაფერს გახდებოდა რუსეთის თანამედროვე პირობებში. პირიქით, აგენტების*

* უკ! ისევ წამომცდა ეს საშინელი სიტყვა «აგენტი», რომელიც ასე ეხამუშება მარტინოვების დემოკრატიულ სმენასს! მე მიკვირს, ამ სიტყვას რატომ არ თაკილობდნენ 70-იანი წლების კორიფეები და თაკილობენ 90-იანი წლების კუსტარები? მე მომწონს ეს სიტყვა, რადგან ის აშკარად და მკვეთრად მიუთითებს იმ საერთო საქმეზე, რომელსაც ყველა აგენტი უმორჩილებს თავის გულის ზრახვებსა და მოქმედებას, და თუ საჭიროა მისი სხვა სიტყვით შეცვლა, მე შემეძლო მიმეღო მხოლოდ სიტყვა «თანამშრომელი», მას რომ ერთგვარი «ლიტერატურულობის» და ბუნდოვანობის ელფერი არ დაჰკრავდეს. ჩვენ კი გვესაჭიროება აგენტების სამხედრო ორგანიზაცია. თუმცა იმ მრავალრიცხოვან (განსაკუთრებით საზღვარგარეთ) მარტინოვებს, რომელთაც უყვართ «ერთმანეთისთვის გენერლობის ბოძება», შეუძლიათ «საპასპორტო ნაწილის აგენტის» ნაცვლად თქვან — «რევოლუციონერების პასპორტებით მომარაგების ცალკე ნაწილის მთავარმმართველი» და სხვ.

ქსელი, თავისთავად წარმოშობილი საერთო გაზეთის დაყენებისა და გავრცელების საქმის ნიადაგზე, ვერ «დაჯდებოდა და დაუცდიდა» აჯანყების ლოზუნგს, არამედ გააკეთებდა სწორედ ისეთ რეგულარულ საქმეს, რომელიც უზრუნველჰყოფდა წარმატების ყველაზე მეტ შესაძლებლობას აჯანყების შემთხვევაში. სწორედ ასეთი საქმე განამტკიცებდა კავშირს როგორც მუშათა უფართოეს მასებთან, ისე თვითმპყრობელობით უკმაყოფილო ყველა ფენასთან, რაც ასე მნიშვნელოვანია აჯანყებისთვის. სწორედ ასეთი საქმის ნიადაგზე შემუშავდებოდა უნარი საერთო პოლიტიკური მდგომარეობის სწორად შეფასებისა და, მაშასადამე, უნარი აჯანყებისთვის შესაფერი მომენტის შერჩევისა. სწორედ ასეთი საქმე შეაჩვევს ყ ვ ე ლ ა ადგილობრივ ორგანიზაციას ერთსა და იმავე დროს გამოეხმაუროს მთელი რუსეთის ამაღელვებელ ერთსა და იმავე პოლიტიკურ საკითხებს, შემთხვევებსა და ამბებს, გამოეხმაუროს ამ «ამბებს» რაც შეიძლება ენერგიულად, რაც შეიძლება ერთგვარად და მიზანშეწონილად, — ხოლო აჯანყება არსებითად ხომ უაღრესად ენერგიული, უაღრესად ერთგვარი და უაღრესად მიზანშეწონილი «პასუხია» მთელი ხალხისა მთავრობის მიმართ. დასასრულ, სწორედ ასეთი საქმე შეაჩვევს ყველა რევოლუციურ ორგანიზაციას რუსეთის ყოველ კუთხეში დაამყაროს უაღრესად მუდმივი და ამავე დროს უაღრესად კონსპირაციული ურთიერთობა, რაც ქმნის პარტიის ფ ა ქ ტ ი უ რ ერთიანობას,— ასეთი ურთიერთობის დაუმყარებლად კი შეუძლებელია აჯანყების გეგმის კოლექტიური განხილვა და იმ აუცილებელი მოსამზადებელი ღონისძიების განხორციელება აჯანყების წინ, რომელიც უაღრესად საიდუმლოდ უნდა იყოს დაცული.

ერთი სიტყვით, «საერთო-რუსეთის პოლიტიკური გაზეთის გეგმა» არათუ დოქტრინიორობით და ლიტერატურულობით დაავადებულ პირთა კაბინეტური მუშაობის ნაყოფია (როგორც ეს მოეჩვენათ იმ ადამიანებს, რომელნიც ამ გეგმას ცუდად ჩაუკვირდნენ), არამედ, პირიქით, იგი უაღრესად პრაქტიკული გეგმაა იმისათვის, რომ ყოველმხრივ და დაუყოვნებლივ დავიწყოთ მზადება აჯანყებისათვის და ამავე დროს ერთი წუთითაც არ დავივიწყოთ ჩვენი საარსებო ყოველდღიური მუშაობა.

დამატება III

«ისკრისა» და «რაბოჩეე დელოს» გაერთიანების ცდა

ჩვენ დაგვრჩენია დავასურათოთ ის ტაქტიკა, რომელიც მიიღო და თანმიმდევრად ატარებდა «ისკრა» «რაბ. დელოსადმი» ორგანიზაციულ დამოკიდებულებაში. ეს ტაქტიკა სავსებით გამოხატულია უკვე «ისკრის» პირველ ნომერში, სტატიაში «გათიშვა რუსი სოციალ-დემოკრატების საზღვარგარეთულ კავშირში». ჩვენ მაშინვე დავადექით იმ თვალსაზრისს, რომ ნ ა მ დ ვ ი ლ ი «რუსი სოციალ-დემოკრატების კავშირი საზღვარგარეთ», რომელიც ჩვენი პარტიის პირველ ყრილობაზე აღიარებულ იქნა მის საზღვარგარეთულ წარმომადგენლად, გ ა ი თ ი შ ა ორ ორგანიზაციად; — რომ პარტიის წარმომადგენლობის საკითხი ღიად არის დატოვებული, ის მხოლოდ დროებით და პირობითად გადაწყდა იმით, რომ პარიზის საერთაშორისო კონგრესზე მუდმივ საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროში რუსეთიდან არჩეულ იქნა ორი წევრი, თითო-თითო «კავშირის» თვითეული გათიშული ნაწილისაგან. ჩვენ განვაცხადეთ, რომ არსებითად «რაბ. დელო» ა რ ა რ ი ს მ ა რ თ ა ლ ი, ჩვენ პრინციპულად გადაჭრით მივემხრეთ «შრომის განთავისუფლების» ჯგუფს, მაგრამ ამავე დროს უარი ვთქვით გათიშვის დაწვრილებით განხილვაზე და აღვნიშნეთ «კავშირის» დამსახურება წმინდა-პრაქტიკული მუშაობის სფეროში*.

ამგვარად, ჩვენი პოზიცია რამდენადმე დაცდის პოზიცია იყო: ჩვენ დავუთმეთ რუს სოციალ-დემოკრატთა უმრავლესობაში გაბატონებულ აზრს, რომ «კავშირთან» ხელიხელჩაკიდებულად შეუძლიათ იმუშაონ ეკონომიზმის ყველაზე შეურიგებელ მტრებსაც,

---

* გათიშვის ასეთ შეფასებას საფუძვლად ედო არა მარტო ლიტერატურის გაცნობა, არამედ აგრეთვე ის ცნობებიც, რომელნიც შეაგროვა ჩვენი ორგანიზაციის ზოგიერთმა წევრმ: საზღვარგარეთ ყოფნის დროს.

ვინაიდან «კავშირს» არა ერთხელ განუცხადებია თავისი პრინციპული თანხმობა «შრომის განთავისუფლების» ჯგუფთან და ვითომ არც მოითხოვდა დამოუკიდებელი ფიზიონომიის შენარჩუნებას თეორიისა და ტაქტიკის ძირითად საკითხებში. ჩვენ მიერ დაკავებული პოზიციის სისწორე არაპირდაპირ დადასტურებულ იქნა იმით, რომ «ისკრის» თითქმის პირველი ნომრის გამოსვლისთანავე (1900 წლის დეკემბერი) «კავშირს» ჩამოსცილდა სამი წევრი, რომლებმაც შექმნეს ეგრეთწოდებული «ინიციატორთა ჯგუფი» და მიმართეს: 1. «ისკრის» ორგანიზაციის საზღვარგარეთულ განყოფილებას, 2. «სოციალ-დემოკრატის» რევოლუციურ ორგანიზაციას და 3. «კავშირს» წინადადებით: შუამავლობა გაეწია შერიგების შესახებ მოლაპარაკების წარმოებაში. პირველი ორი ორგანიზაცია მაშინვე დათანხმდა წინადადებაზე; მ ე ს ა მ ე მ — უ ა რ ი თ ქ ვ ა. მართალია, როდესაც ერთმა ორატორმა გასული წლის «გამაერთიანებელ» ყრილობაზე ეს ფაქტები განმარტა, «კავშირის» ადმინისტრაციის წევრმა განაცხადა, რომ მათი უარი გამოწვეული იყო მ ხ ო ლ ო დ დ ა მ ხ ო ლ ო დ იმით, რომ «კავშირი» უკმაყოფილო იყო ინიციატორთა ჯგუფის შემადგენლობით. ჩემს მოვალეობად ვთვლი მოვიყვანო ეს განმარტება, მაგრამ არ შემიძლია ჩემი მხრივ არ აღვნიშნო, რომ ეს განმარტება დამაკმაყოფილებლად არ მიმაჩნია: რაკი «კავშირმა» იცოდა ორი ორგანიზაციის თანხმობა მოლაპარაკების გამართვაზე, მას შეეძლო მიემართა მათთვის სხვა შუამავლის პირით ან უშუალოდ.

1901 წლის გაზაფხულზე «რაბ. დელოს» წინააღმდეგ პირდაპირი პოლემიკით გამოვიდნენ როგორც «ზარია» (№ 1, აპრილი), ისე «ისკრა» (№ 4, მაისი). უკანასკნელი განსაკუთრებით ეკვეთა «რაბოჩეე დელოს» «ისტორიულ მობრუნებას», — «რაბ. დელოს», რომელმაც თავის ა პ რ ი ლ ი ს ფურცელში, მაშასადამე, უკვე გაზაფხულის ამბების შემდეგ მერყეობა გამოიჩინა ტერორით და «სისხლის მოყვარული» მოწოდებებით გატაცების მიმართ. მიუხედავად ამ პოლემიკისა, «კავშირმა» თანხმობა განაცხადა შერიგების შესახებ მოლაპარაკების განახლებაზე «შემარიგებელთა» ახალი ჯგუფის მეშვეობით. წინასწარი კონფერენცია ზემოხსენებული სამი ორგანიზაციის წარმომადგენლების მონაწილეობით შედგა ივნისში და შეიმუშავა ხელშეკრულების პროექტი დაწვრილებითი «პრინციპული შეთანხმების» ნიადაგზე, რომელიც დაბეჭდა «კავშირმა» ბროშურაში «ორი ყრილობა» და ლიგამ ბროშურაში ««გამაერთიანებელი» ყრილობის დოკუმენტები».

ამ პრინციპული შეთანხმების (ანუ ივნისის კონფერენციის რეზოლუციების, როგორც მას ხშირად უწოდებენ) შინაარსი სრულიად აშკარად გვიჩვენებს, რომ ჩვენ შეერთების აუცილებელ პირობად ვაყენებდით საერთოდ ოპორტუნიზმის და, კერძოდ, რუსული ოპორტუნიზმის ყოველგვარი გამოხატულების პირდაპირ და გადაჭრით უარყოფას. «ჩვენ უარვყოფთ, — ამბობს პირველი პარაგრაფი, — პროლეტარიატის კლასობრივ ბრძოლაში ოპორტუნიზმის შეტანის ყოველგვარ ცდას, რაც გამოიხატა ეგრეთწოდებული ეკონომიზმით, ბერნშტეინელობით, მილიერანიზმით და სხვ.». «სოციალ-დემოკრატიის მოქმედების სფეროში შედის... იდეური ბრძოლა რევოლუციური მარქსიზმის ყველა მოწინააღმდეგესთან» (4,c); «საორგანიზაციო-საagიტაციო მუშაობის არც ერთ სფეროში სოციალ-დემოკრატიას ერთი წუთითაც არ უნდა გამოეპაროს მხედველობიდან რუსეთის პროლეტარიატის უახლოესი ამოცანა — თვითმპყრობელობის დამხობა» (5,a); ...«agიტაცია არა მარტო დაქირავებული შრომის კაპიტალთან ყოველდღიური ბრძოლის ნიადაგზე» (5,b); ...«უარვყოფთ რა... წმინდა ეკონომიური ბრძოლის სტადიას და ბრძოლას კერძო პოლიტიკური მოთხოვნებისათვის» (5,c); ...«მოძრაობისათვის საჭიროდ მიგვაჩნია იმ მიმდინარეობათა კრიტიკა, რომელნიც პრინციპად ხდიან ...მოძრაობის დაბალი ფორმების ელემენტარულობას... და სივიწროვეს» (5 ,d) სულ გარეშე კაციც კი, რომელიც ოდნავი ყურადღებით წაიკითხავს ამ რეზოლუციებს, დაინახავს თვით მათი ფორმულირებიდანაც, რომ ისინი მიმართულია იმ ადამიანების წინააღმდეგ, რომელნიც ოპორტუნისტები და «ეკონომისტები» იყვნენ, რომელნიც თუნდაც ერთი წუთით ივიწყებდნენ თვითმპყრობელობის დამხობის ამოცანას, რომელნიც აღიარებდნენ სტადიების თეორიას, პრინციპად ხდიდნენ შეზღუდულობას და სხვ.. და ვინც ოდნავ მაინც იცნობს «შრომის განთავისუფლების» ჯგუფის, «ზარიას» და «ისკრის» პოლემიკას «რაბოჩეე დელოს» წინააღმდეგ, ერთ წუთსაც არ დაეჭვდება, რომ ეს რეზოლუციები სავსებით უარყოფენ სწორედ იმ შეცდომებს, რომლებშიც ვარდებოდა «რაბ. დელო». ამიტომ როდესაც «გამაერთიანებელ» ყრილობაზე «კავშირის» ერთ-ერთმა წევრმა განაცხადა, «რაბ. დელოს» მეათე ნომერში მოთავსებული სტატიები გამოწვეულია «კავშირის» არა ახალი «ისტორიული მობრუნებით», არამედ რეზოლუციების მეტისმეტი «აბსტრაქტულობითო», — ერთ ორატორს სრული უფლება ჰქონია სასაცი-

ლოდ აეგდო ეს განმარტება. მან უპასუხა — რეზოლუციები აბსტრაქტული კი არა, უაღრესად კონკრეტულია: მათი ერთი გადახედვაც საკმარისია იმის დასანახად, რომ აქ «ვიღაცას იჭერდნენო».

ამ უკანასკნელმა სიტყვებმა ყრილობაზე საბაბი მისცა დამახასიათებელ ეპიზოდს. ერთი მხრივ, ბ. კრიჩევსკიმ ხელი ჩასჭიდა სიტყვას «იჭერდნენ», მას ეგონა, ეს უბრალო წამოცდენა იყო, რომელიც ამქღავნებდა ცუდ განზრახვას ჩვენი მხრივ («მახის დაგება»), და პათეტიკურად წამოიძახა: «ვის. სახელდობრ ვის იჭერდნენ აქ?». — «მართლაც, ვის?» ირონიულად იკითხა პლეხანოვმა. — «მე დავეხმარები ამხანაგ პლეხანოვის მიუხვედრელობას, — უპასუხა ბ. კრიჩევსკიმ, — მე ავუხსნი მას, რომ აქ იჭერდნენ «რაბ. დელოს» რედაქციას (საერთო ხარხარი). მაგრამ ჩვენ თავი არ დავაჭერინეთ!» (შენიშვნა მარცხნიდან: მით უარესი თქვენთვის!). — მეორე მხრივ, «ბორბას» ჯგუფის (შემარიგებელთა ჯგუფის) წევრმა, როცა ლაპარაკობდა «კავშირის» მიერ რეზოლუციების შესწორებათა წინააღმდეგ და მოინდომა ჩვენი ორატორის დაცვა, განაცხადა, რომ სიტყვა «იჭერდნენ», აშკარაა, პოლემიკით გატაცების დროს უნებლიეთ წამოცდა ორატორსო.

მე კი მგონია, რომ ასეთი «დაცვა» არაფრად ეკაშნიკება ამ სიტყვის მთქმელ ორატორს. მე ვფიქრობ, სიტყვები «ვიღაცას იჭერდნენ», «ხუმრობით ნათქვამი — სერიოზულად ნაფიქრია»: ჩვენ მუდამ ვაბრალებდით «რაბ. დელოს» არასიმტკიცეს, მერყეობას, და ამიტომ, თავისთავად ცხადია, უ ნ დ ა ვ ი ც დ ი ლ ი ყ ა ვ ი თ მის დ ა ჭ ე რ ა ს, რათა შემდეგში მერყეობა შეუძლებელი გაგვეხადა. ცუდ განზრახვაზე აქ ლაპარაკიც არ შეიძლებოდა, ვინაიდან საქმე ეხებოდა პრინციპულ მერყეობას. და ჩვენც შევძელით «კავშირის» «დაჭერა» იმდენად ამხანაგურად*, რომ ივნისის რეზოლუციებს

* სახელდობრ: ჩვენ ივნისის რეზოლუციების შესავალში ვთქვით, რომ რუსეთის სოციალ-დემოკრატია მთლიანად ყოველთვის იდგა «შრომის განთავისუფლების» ჯგუფის პრინციპების ნიადაგზე და რომ «კავშირის» დამსახურებას წარმოადგენდ: განსაკუთრებით მისი საგამომცემლო და ორგანიზაციული მუშაობა. სხვანაირად რომ ეთქვათ, ჩვენ მზად ვიყავით დავიწყებისთვის მიგვეცა წარსული და გვეცნო კავშირის წევრ. ჩვენი ამხანაგების მუშაობის სარგებლიანობა (საქმისთვის) ი მ პ ი რ ო ბ ი თ, რომ სრულიად მოსპობილიყო ის მერყეობა, რომელსაც ჩვენ ვდევნიდით და «ვიჭერდით». ყოველი მიუდგომელი ადამიანი, როცა ივნისის რეზოლუციებს წაიკითხავს, სწორედ ამგვარად გაიგებს მათ. ხოლო თუ «კავშირი» დღეს, მას შემდეგ, რაც მან გათავა გ ა მ ო ი წ ვ ი ა ეკონომიზმისაკენ თავის: ახალი მობრუნებით (ე9-10 ნოემრის სტატიებსა და შესწორებებში), ჩვენ დიდი ამბით გვაბრალებს ს ი ც რ უ ე ს («ორი ყრილობა», გვ. 30) მისი დამსახურების შესახებ ამ სიტყვების თქმისთვის, — ასეთ ბრალდებას, რა თქმა უნდა, მხოლოდ ღიმილი შეუძლია გამოიწვიოს.

ხელი მოაწერეს თვითონ ბ. კრიჩევსკიმ და «კავშირის» ადმინისტრაციის კიდევ ერთმა წევრმა.

«რაბოჩეე დელოს» მე-10 ნომერში (ჩვენმა ამხანაგებმა ეს ნომერი მხოლოდ მაშინ ნახეს, როცა ყრილობაზე მოვიდნენ, რამდენიმე დღით ადრე სხდომების დაწყებამდე) მოთავსებულმა სტატიებმა აშკარად დაგვანახვეს, რომ ზაფხულიდან შემოდგომამდე «კავშირში» ახალი მობრუნება მოხდა: ეკონომისტებმა ისევ გაიმარჯვეს, და ყოველგვარი «ქროლვის» ამყოლი რედაქცია ისევ შეუდგა «ყველაზე თავგამოდებული ბერნშტეინელების», «კრიტიკის თავისუფლების» და «სტიქიურობის» დაცვას და მარტინოვის პირით დაიწყო ჩვენი პოლიტიკური ზემოქმედების სფეროს «შევიწროების თეორიის» ქადაგება (ვითომდა თვით ზემოქმედების გართულების მიზნით). კიდევ ერთხელ გამართლდა პარვუსის მოსწრებული შენიშვნა, ოპორტუნისტი ძნელი დასაჭერია რომელიმე ფორმულითო: ის ადვილად მოაწერს ხელს ყ ო ვ ე ლ ფორმულას და ადვილადაც უღალატებს მას, რადგან ოპორტუნიზმი სწორედ ცოტად თუ ბევრად გარკვეული და მტკიცე პრინციპების უქონლობაა. დღეს ოპორტუნისტებმა უარყვეს ოპორტუნიზმის შეტანის ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ ი ცდა, უარყვეს ყოველგვარი სივიწროვე, დიდი ამბით აღგვითქვეს «ერთი წუთითაც არ დაივიწყონ თვითმპყრობელობის დამხობა», აწარმოონ «აგიტაცია არა მარტო კაპიტალთან დაქირავებული შრომის ყოველდღიური ბრძოლის ნიადაგზე» და სხვ. და სხვ... ხვალ კი ისინი იცვლიან კილოს და იწყებენ ძველ ამბავს სტიქიურობის, ჩვეულებრივი, მიმდინარე ბრძოლის წინმსვლელობის დაცვის და იმ მოთხოვნათა ქება-დიდების სახით, რომელნიც ხელშესახებ შედეგებს გვიქადიან, და სხვ.. როცა «კავშირი» განაგრძობს იმის მტკიცებას, რომ მე-10 ნომრის სტატიებში ««კავშირი» არ ხედავდა და არ ხედავს არავითარ ერეტიკულ გადახვევას კონფერენციის პროექტის საერთო პრინციპებიდან» «ორი ყრილობა», გვ. (26) «კავშირი» ამით მხოლოდ აშკარავებს უთანხმოების არსის გაგების სრულ უუნარობას ან სურვილის უქონლობას.

«რაბ. დელოს» მე-10 ნომრის შემდეგ ჩვენ მხოლოდ ერთი ცდა დაგვრჩენოდა: უნდა დაგვეწყო საერთო დისკუსია იმის გამოსარკვევად, თუ რამდენად ეთანხმება მთელი «კავშირი» ამ სტატიებს და თავის რედაქციას. «კავშირი» განსაკუთრებით ამისათვის არის ჩვენზე უმაყოფილო, გვაბრალებს «კავშირში» განხეთქილების ჩამოგდების ცდას, სხვის საქმეში ჩარევას და სხვ.. ეს აშკარა უსაფუძვლო ბრალდებებია, ვინაიდან არჩეული რედაქციის ვითარე-

ბაში, რომლის «მობრუნება» ნიავის ოდნავი მოძრაობითაც ხდება, ყველაფერი სწორედ ქარის მიმართულებაზეა დამოკიდებული, — და ჩვენ ამ მიმართულებას ვარკვევდით დახურულ სხდომებზე, სადაც გასაერთიანებელად თავმოყრილ ორგანიზაციათა წევრების მეტი არავინ არ ყოფილა. «კავშირის» სახელით ივნისის რეზოლუციებში შესწორებათა შეტანამ შეთანხმების უკანასკნელი იმედიც მოგვისპო. ამ შესწორებებით დოკუმენტურად დამტკიცდა ახალი მობრუნება ეკონომიზმისაკენ და «კავშირის» უმრავლესობის სოლიდარობა «რაბ. დელოს» მე-10 ნომერთან. ოპორტუნიზმის გამოვლინებათა სფეროდან აშლებოდა «ეგრეთწოდებული ეკონომიზმი» (ვითომდა ამ ორი სიტყვის «აზრის გაურკვევლობის» გამო, — თუმცა ასეთი დასაბუთებიდან მხოლოდ ის გამომდინარეობს, რომ საჭიროა უფრო ზუსტად განისაზღვროს ფართოდ გავრცელებული შეცდომის არსი), იშლებოდა «მილიერანიზმიც» (თუმცა ბ. კრიჩევსკი მას იცავდა «რაბ. ფელოში» № 2—3, გვ. 83—84 და კიდევ უფრო აშკარად «Vorwärts»-ში)*. მიუხედავად იმისა, რომ ივნისის რეზოლუციებმა გარკვევით აღნიშნა სოციალ-დემოკრატიის ამოცანა — «უხელმძღვანელოს პროლეტარიატის ბრძოლის ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ გამოვლინებას პოლიტიკური, ე კ ო ნ ო მ ი უ რ ი და სოციალური ჩაგვრის ყ ვ ე ლ ა ფ ორმის წინააღმდეგ» და მით მოითხოვა გეგმაზომიერების და ერთიანობის შეტანა ამ ბრძოლის ყოველ გამოვლინებაში, — «კავშირი» უმატებდა კიდევ სრულიად ზედმეტ სიტყვებს, რომ «ეკონომიური ბრძოლა წარმოადგენს მასობრივი მოძრაობის მძლავრ სტიმულს» (თავისთავად ეს სიტყვები უდავოა, მაგრამ, ვიწრო «ეკონომიზმის» არსებობის დროს, მათ არ შეეძლოთ არ მოეცათ საბაბი ცრუგაგებისათვის). ეს კიდევ არაფერი, ივნისის რეზოლუციებში შეჰქონდათ აგრეთვე «პოლიტიკის» პირდაპირი შ ე კ ვ ე ცა, როგორც სიტყვების «არც ერთი წუთითაც» (არ უნდა დავივიწყოთ თვითმპყრობელობის დამხობის მიზანი) ამოშლით, ისე იმ სიტყვების დამატებით, რომ «ეკონომიური ბრძოლა ყ ვ ე ლ ა ზ ე უ ფ რ ო ფ ა რ თ ო დ გამოსაყენებელი საშუალებაა მასის აქტიურ პოლიტიკურ ბრძოლაში ჩასაბმელად». გასაგებია, რომ ასეთ შესწორებათა შეტანის შემდეგ ყველა ჩვენი ორატორი უარს ამბობდა სიტყვებზე, რადგან სრულიად უსარგებლოდ მიაჩნდათ შემდგომი მოლაპარაკება იმ ადამიანებთან, რომელთაც ისევ იბრუნეს პირი

* ამის გამო «Vorwärts»-ში დაიწყო პოლემიკა მის ახლანდელ რედაქციასა, კაუცკისა და «ზარიას» შორის. ჩვენ ამ პოლემიკას უსათუოდ გავაცნობთ რუს მკითხველებს[112].

ეკონომიზმისკენ და უზრუნველყვეს თავისთვის მერყეობის თავისუფლება.

«სწორედ ის, რაც «კავშირს» მომავალი შეთანხმების სიმტკიცის, ე. ი. «რაბ. დელოს» დამოუკიდებელი ფიზიონომიისა და მისი ავტონომიის შენარჩუნების sine qua non * პირობად მიაჩნდა, — სწორედ ეს «ისკრას» შეთანხმების მთავარ დაბრკოლებად მიაჩნდა» («ორი ყრილობა», გვ. 25). ეს სინამდვილეს არ შეეფერება. «რაბ. დელოს» ავტონომიის წინააღმდეგ ჩვენ არასოდეს არ გამოვსულვართ**. მისი ფიზიონომიის დამოუკიდებლობას ჩვენ მართლაც უსათუოდ უარვყოფდით, თუ ვიგულისხმებთ «დამოუკიდებელ ფიზიონომიას» თეორიისა და ტაქტიკის პრინციპულ საკითხებში: ივნისის რეზოლუციები შეიცავენ სწორედ ასეთი დამოუკიდებელი ფიზიონომიის აუცილებელ უარყოფას, ვინაიდან ეს «ფიზიონომიის დამოუკიდებლობა» სინამდვილეში ყოველთვის მოასწავებდა, ვიმეორებთ, ყოველგვარ მერყეობას და ამ მერყეობით ჩვენში გაბატონებული და პარტიული თვალსაზრისით ყოვლად აუტანელი დაბნეულობისათვის მხარდაჭერას. მე-10 ნომრის სტატიებითა და «შესწორებებით» «რაბ. დელომ» ნათლად დაგვანახვა თავისი სურვილი სწორედ ამ ფიზიონომიის დამოუკიდებლობის შენარჩუნებისა, ხოლო ასეთმა სურვილმა ბუნებრივად და აუცილებლად გამოიწვია კავშირის გაწყვეტა და ომის გამოცხადება. მაგრამ ჩვენ ყველანი მზად ვიყავით გვეცნო «რაბ. დელოს» «დამოუკიდებელი ფიზიონომია» განსაზღვრულ ლიტერატურულ ფუნქციებზე მისი მიქცევის აზრით. ამ ფუნქციების სწორი განაწილება თავისთავად იგულისხმებოდა: 1. მეცნიერული ჟურნალი, 2. პოლიტიკური გაზეთი და 3. პოპულარული კრებულები და პოპულარული ბროშურები. მხოლოდ «რაბ. დელოს» თანხმობა ასეთ განაწილებაზე დაამტკიცებდა, რომ მას გულწრფელად სურს საბოლოოდ გაასწოროს ის შეცდომები, რომელთა წინააღმდეგაც მიმართულია ივნისის რეზოლუციები, მხოლოდ ასეთი განაწილება აღმოფხვრიდა უთანხმოების ყოველგვარ შესაძლებლობას, ნამდვილად უზრუნველყოფდა შეთანხმების სიმტკიცეს და ამავე დროს ჩვენი მოძრაობის ახალი აღმავლობისა და ახალ წარმატებათა ბაზისად გადაიქცეოდა.

ახლა არც ერთ რუს სოციალ-დემოკრატს აღარ შეეპარება ეჭვი

---

* — აბსოლუტურად აუცილებელ. რ ე დ.

** ავტონომიას შეზღუდვად თუ არ ჩავთვლით იმ სარედაქციო თათბირებს კაერთიანებული ორგანიზაციების საერთო უმაღლესი საბჭოს დაწესებულებასთან დაკავშირებით, რასაც დაეთანხმა ივნისში თვით «რაბ. დელოც».

იმაში, რომ ოპორტუნისტულ მიმართულებასთან რევოლუციური მიმართულების საბოლოოდ კავშირის გაწყვეტა გამოწვეულია არა რაიმე «ორგანიზაციული» გარემოებით, არამედ სწორედ ოპორტუნისტების სურვილით — განამტკიცონ ოპორტუნიზმის დამოუკიდებელი ფიზიონომია და განაგრძონ გონების დაბნეულობის გავრცელება კრიჩევსკებისა და მარტინოვების მსჯელობათა საშუალებით.

დაწერილია 1901 წლის შემოდგომაზე — 1902 წლის თებერვალს. პირველად დაიბეჭდა ცალკე წიგნად 1902 წლის მარტში

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც., ტ. 5, გვ. 469—471, 500—503, 515—516, 518—526, 545—546, 613—658, 663—672.

ლ. ი. გოლდმანს

საჭიროდ მიგაჩნიათ თუ არა საიდუმლოდ შევინახოთ ის ფაქტი, რომ «ისკრას» რუსეთში აქვს სტამბა? ე. ი.: წინააღმდეგი ხართ თუ არა იმისა, რომ საზღვარგარეთ ფართოდ ვაჩვენოთ რუსეთში დაბეჭდილი ეგზემპლარი[113]?

რაც შეეხება ჩვენი საქმის საერთო მოუგვარებლობას, რასაც თქვენ იმ პირის სიტყვით, რომელმაც ამას წინათ განახათ, ასე მწარედ უჩივით, — აქ ჩვენ დიდი დახმარება არ შეგვიძლია. საჭიროა «ისკრის» ორგანიზაციის რუსმა წევრებმა მტკიცე ბირთვი შეადგინონ და მიაღწიონ «ისკრის» წესიერად გავრცელებას მ თ ე ლ რუსეთში. ეს მთლიანად რუსეთის ორგანიზაციის საქმეა. თუ ჩვენ ამას მივაღწევთ, მაშინ საქმე უზრუნველყოფილია. უამისოდ მოუგვარებლობა გარდუვალია*. წესიერი გავრცელებისა და პ რ ე ს ტ ი ჟ ი ს ინტერესებისათვის მეტად მნიშვნელოვანი იქნებოდა გვეპეჭდა «ისკრა» რუსეთში 2—3 ნომრის შემდეგ, რისთვისაც შეგვერჩია უფრო მუდმივი ინტერესის მქონე ნომრები. მაგალითად, № 13[114], შესაძლოა, საჭირო იქნებოდა.

მაგრამ რაკი უკვე ბეჭდავთ, ბეჭდეთ გ ა ც ი ლ ე ბ ი თ მეტი ეგზემპლარი: ერთხელ მაინც უნდა სცადოთ მთელი რუსეთი ა ა ვ ს ო თ. გახსოვთ, თვითონ თქვენვე როგორ უჩიოდით მცირე გავრცელებას?

კიდევ ერთხელ გულითადი სალამი და მოლოცვა წარმატების გამო!!

დაწერილია 1902 წ. 3 იანვარს
ვაგზავნილია მიუნხენიდან კიშინიოვში
პირველად დაიბეჭდა 1928 წელს

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით. მე-4 გამოც.,
ტ. 34, გვ. 94—95.

* ხომ არ ფიქრობთ, რომ დემენტიევი შეძლებდა გამავრცელებლის ფუნქციის შესრულებას?

პასუხი «მკითხველს»

ჩვენ შემდეგი წერილი მივიღეთ რედაქციაში:

««ისკრა» ეხება აგიტაციის საკითხს (თუ არ ვცდები, № 13-ში) და იალაშ-ქრებს პოლიტიკურ თემებზე დაწერილი სახელდახელო საგიტაციო ლიტერატურის (ორსამ ფურცლიანი პაწია ბროშურების) წინააღმდეგ. ასეთ ლიტერატურას, რედაქციის აზრით, წარმატებით შეცვლიან გაზეთები. გაზეთები, რა თქმა უნდა, — კარგი საქმეა. ამის წინააღმდეგ დავასაც არავინ დაიწყებს. მაგრამ შეუძლიათ თუ არა მათ შეცვალონ ისეთი სახელდახელო ფურცლები, რომელთა სპეციალური დანიშნულებაა — მასებში ფართოდ გავრცელება? რედაქციაში უკვე შემოსულია ერთი წერილი რუსეთიდან; ეს წერილში მუშა-აგიტატორთა ერთი ჯგუფი თავის აზრს გამოთქვამს ამ საკითხზე. «ისკრის» პასუხი ამ წერილზე — აშკარა გაუგებრობაა. აგიტაციის საკითხი ახლა ისევე დიდმნიშვნელოვანია, როგორც დემონსტრაციების საკითხიც. ამიტომ სასურველია რედაქციამ კვლავ აღძრას ეს საკითხი და ამჯერად უფრო ყურადღებით მოეკიდოს მას.

მკითხველი».

ვინც გაირჯება და ყურადღებით წაიკითხავს, ამ წერილთან ერთად, ჩვენს პასუხს «სამხრეთის მუშებისადმი» «ისკრის» მე-13 ნომერში, ადვილად დარწმუნდება, რომ აშკარა გაუგებრობაში ჩავარდა სწორედ წერილის ავტორი. იმის შესახებ, რომ «ისკრას» გაელაშქროს «სახელდახელო საგიტაციო ლიტერატურის წინააღმდეგ», ლაპარაკიც კი არ ყოფილა; «სახელდახელო ფურცლების» გაზეთით «შეცვლა» აზრადაც კი არავის მოსვლია. წერილის ავტორს ვერ შეუმჩნევია, რომ სწორედ სახელდახელო ფურცლებია პროკლამაციები. რომ იმ სახის ლიტერატურა, როგორიცაა პროკლამაციები, ყ ო ვ ლ ა დ შ ე უ ც ვ ლ ე ლ ი ა და ყოველთვის უ ს ა თ უ ო დ ს ა ჭ ი რ ო იქნება, — ამაში «სამხრეთის მუშებიც» და «ისკრაც» სავსებით ეთანხმებოდნენ ერთმანეთს. მაგრამ ისინი ერთმანეთს ეთანხმებოდნენ იმაშიც, რომ ამ სახის ლიტერატურა ს ა კ მ ა რ ი ს ი ა რ ა რ ი ს. როცა ჩვენ ვლაპარაკობთ კარგ ბინაზე მუშებისათვის და ერთმანეთს ვეთანხმებით იმაში, რომ მარტო კარგი საჭმელი მათთვის საკმარისი როდიაო, ეს აშკარაა იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ კარგი საჭმლის «წინააღმდეგი» ვიყოთ. იბადება კითხვა, რომე-

ლია საagიტაციო ლიტერატურის უფრო მაღალი სახე? როცა «სამხრეთის მუშებმა» ეს საკითხი დააყენეს, ერთი სიტყვაც არ უთქვამთ გაზეთზე. ეს დუმილი, რა თქმა უნდა, შეიძლებოდა დამოკიდებული ყოფილიყო ადგილობრივ პირობებზე; ჩვენ სრულიადაც არ ვფიქრობდით შევდავებოდით ჩვენს კორესპონდენტებს, მაგრამ, ბუნებრივია, არ შეგვეძლო არ მოგვეგონებინა მათთვის, რომ პროლეტარიატმაც უნდა გაიჩინოს თავისი გაზეთი, როგორც ეს უკვე გააკეთეს მოსახლეობის სხვა კლასებმა; — რომ მარტოოდენ დაქსაქსული მუშაობა არ არის საკმარისი, რომ აუცილებელია რეგულარული, აქტიური, ყველა ადგილის საერთო მუშაობა რევოლუციური ორგანოს შესაქმნელად.

რაც შეეხება «3 — 4 გვერდიან ბროშურებს», ჩვენ მათ საწინააღმდეგოდ სრულებითაც არაფერი გვითქვამს, მხოლოდ ეშვი შეგვეპარა, რამდენად პრაქტიკული იყო გეგმა მათგან ისეთი რეგულარული ლიტერატურის შექმნისა, რომელიც «ერთსა და იმავე დროს მთელ რუსეთში» გავრცელდებოდა. 3 — 4-გვერდიანი ბროშურა, არსებითად, იგივე პროკლამაცია იქნება. ჩვენს ხელთაა რუსეთის სხვადასხვა კუთხის ბევრი ძალიან კარგი და სრულიადაც არა მძიმე ენით დაწერილი პროკლამაცია, — როგორც სტუდენტების, ისე მუშებისა, — რომელთა მოცულობა მცირე ფორმატის 6 — 8 გვერდსაც კი უდრის. ხოლო ნამდვილი პოპულარული ბროშურა, რომელიც შეძლებს განუმარტოს თვით სავსებით მოუმზადებელ მუშას რომელიმე ცალკე საკითხი მაინც, ალბათ, ბევრად მეტი მოცულობისა იქნება და მისი გავრცელება «ერთსა და იმავე დროს მთელ რუსეთში» არც შესაძლებელი იქნება და ხრც საჭირო (მისი არა დროებითი ხასიათის გამო). ჩვენ სავსებით ვცნობთ პოლიტიკური ლიტერატურის ყველა და ყოველგვარ, ძველ და ახალ სახეს, ოღონდ კი ეს იყოს მართლაც კარგი პოლიტიკური ლიტერატურა, მაგრამ ჩვენი რჩევაა ვიმუშაოთ არა იმაზე, რომ გამოვიგონოთ საშუალო ტიპი სახელდახელო ფურცლებსა და პოპულარულ ბროშურას შორის, არამედ რევოლუციური ორგანოს შესაქმნელად, რომელიც ნამდვილად ღირსი იქნება ეწოდოს პერიოდული (ე. ი. რომელიც გამოვა თვეში არა ერთხელ, არამედ ორჯერ-ოთხჯერ მაინც) და საერთო-რუსეთის ორგანო.

«ისკრა» № 16, 1902 წლის
1 თებერვალი

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით. მე-4 გამოც.,
ტ. 5, გვ. 427—429.

ს ტ ა ტ ი ი დ ა ნ

«რუსეთის ეკონომიური ცხოვრებიდან»

ამ საერთო სათაურით განზრახული გვაქვს პერიოდულად მოვათავსოთ, მასალების დაგროვების მიხედვით, სტატიები და შენიშვნები, მიძღვნილი რუსეთის ეკონომიური ცხოვრებისა და ეკონომიური განვითარების ყველა მხარის დახასიათებისადმი მარქსისტული თვალსაზრისით. ახლა, როდესაც «ისკრა» თვეში ორჯერ გამოდის, ასეთი განყოფილების უქონლობა განსაკუთრებით ძლიერ არის საგრძნობი. მაგრამ ამასთანავე ყველა ამხანაგისა და ჩვენს გამოცემათა თანამგრძნობი პირების უაღრესად სერიოზული ყურადღება უნდა მივაქციოთ იმაზე, რომ ამ განყოფილების (ცოტად თუ ბევრად წესიერი) გაძღოლა მოითხოვს განსაკუთრებით მდიდარ მასალას, ჩვენი რედაქცია კი ამ მხრივ მეტად არახელსაყრელ პირობებშია ჩაყენებული. ლეგალურ მწერალს წარმოდგენაც არ შეუძლია, თუ ზოგჯერ რა უაღრესად ელემენტარული დაბრკოლებანი აქარწყლებენ «არალეგალური» მწერლის განზრახვებსა და მისწრაფებებს. ნუ დაივიწყებთ, ბატონებო, რომ ჩვენ არ შეგვიძლია წავიდეთ საიმპერატორო საჯარო ბიბლიოთეკაში, სადაც ჟურნალისტის განკარგულებაშია ათობით და ასობით სპეციალური გამოცემანი და ადგილობრივი გაზეთები. ხოლო მასალა ეკონომიური განყოფილებისათვის, რომელიც ცოტათი მაინც შესაფერისი უნდა იყოს «გაზეთისთვის», ე. ი. ცოტად თუ ბევრად ცოცხალი, საჭირბოროტო, საინტერესო მკითხველისთვისაც და მწერლისთვისაც, — ასეთი მასალა გაბნეულია სწორედ პატარ-პატარა ადგილობრივ გაზეთებში და სპეციალურ გამოცემებში, რომელთა დიდი ნაწილი ან მიუწვდომელია ფასის მხრივ, ანდა სრულიად არ იყიდება (მთავრობის, საერობო, სამედიცინო გამოცემანი და სხვ.). ამიტომ ეკონომიური განყოფილების ცოტად თუ ბევრად წესიერი დაყენება შესაძლებელია მ ხ ო ლ ო დ და მ ხ ო ლ ო დ იმ პირობით, თუ არალეგალური გაზეთის ყ ვ ე ლ ა მ კ ი თ ხ ვ ე ლ ი მოიქცევა შემდეგი წესის თანახ-

მად: «ყველამ თითო ძაფი რომ გაიმეტოს, შიშველს პერანგი გამოუვაო». და, სძლევს რა ყალბ მორცხვობას, «ისკრის» რედაქცია უნდა გამოტყდეს, რომ გაზეთი ამ მხრივ თითქმის მთლად შიშველია. დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი მკითხველების მასას შესაძლებლობა აქვს თვალ-ყური ადევნოს და მართლაც «თავისთვის» ადევნებს თვალყურს მრავალნაირ სპეციალურ და ადგილობრივ გამოცემებს. მხოლოდ მაშინ, როდესაც თ ვ ი თ ე უ ლ ი ასეთი მკითხველი ყ ო ვ ე ლ თ ვ ი ს, როდესაც შეხვდება საინტერესო მასალას, თავის თავს შეეკითხება: არის თუ არა ეს მასალა ჩ ვ ე ნ ი გაზეთის რედაქციაში? რა გავაკეთე, რომ გამეცნო მისთვის ეს მასალა? — მხოლოდ მაშინ მივაღწევთ იმას, რომ რუსეთის ეკონომიური ცხოვრების ყველა თვალსაჩინო მოვლენა შეფასდეს არა მარტო სახაზინო, ნოვოვრემენული[115], ვიტესეული ქება-დიდების თვალსაზრისით, არა მარტო ტრადიციული ლიბერალურ-ნაროდნიკული წუწუნისათვის, არამედ რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის თვალსაზრისითაც...

«ისკრა» № 17, 1902 წ.
15 თებერვალი

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით. მე-4 გამოც., ტ. 6, გვ. 93—94

«ისკრის» რედაქციის მოხსენებიდან რსდმპ კომიტეტთა თათბირს (კონფერენციას)[116]

5. III. 02.

5. ცენტრალური ორგანო. ვინაიდან ფრიად ძნელია ისეთი პერიოდული ორგანოს დაარსება, რომელიც წესიერად გამოვიდოდა და ლიტერატურული და ტექნიკური მხრივ საკმაოდ მოწყობილი იქნებოდა, — კონფერენცია, პარტიის 1-ლი ყრილობის მაგალითისამებრ, ალბათ, შეჩერდება ერთ-ერთ არსებულ ორგანოზე. ასე გადაწყდება ეს საკითხი, თუ დასახული იქნება სრულიად ახალი ორგანოს დაარსება, ყოველ შემთხვევაში, განსაკუთრებულ კომისიას, ანდა უფრო უკეთესია, იმავე ორგანიზაციულ კომიტეტს უნდა მიენდოს ამ საქმის მომზადება და მისი ყოველმხრივ განხილვა არსებულ ან ახლადარჩეულ რედაქციასთან ერთად.

ჩვენი აზრით, აუცილებელი იქნება ამ განხილვაში ჩავაბათ «შრომის განთავისუფლების» ჯგუფი, რომლის მონაწილეობისა და ხელმძღვანელობის გარეშე ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია პრინციპულად მტკიცე და საერთოდ მოძრაობის ყველა საჭიროების დამაკმაყოფილებელი პოლიტიკური ორგანოს წესიერი დაყენება.

რადგანაც უკვე კონფერენციამდე იყო ცდა —მოგვეწყო ორკვირეული ორგანო, ამიტომ პარტიამ უახლოეს ამოცანად უნდა დასახოს ყოველკვირეული გაზეთის გამოცემის მოგვარება: ეს საკვლევით შესაძლებელი იქნება იმ პირობით, თუ ყველა რუსი სოციალ-დემოკრატი მართლაც ერთად იმუშავებს ასეთი ორგანოსათვის...

პირველად დაიბეჭდა 1923 წელს ნ. ლენინის (ვ. ულიანოვის) თხზულებათა კრებულში, ტომი V

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც., ტ. 6, გვ. 117.

ბ. ვ. პლეხანოვს

4. IV. 02.

ძვირფასო ბ. ვ.! გიგზავნით ჩემს სტატიას ჩამონაპრების შესახებ[117]. წაკითხვის შემდეგ გთხოვთ გაუგზავნოთ პ. ბ-ს ამ წერილთან ერთად, ვინაიდან თუ თქვენ დატოვებთ იმ გეგმას, რომელსაც მე თავდაპირველად ვაყენებდი (ე. ი. რომ ეს სტატია ჩვენი საერთო პროექტის, ასე ვთქვათ, საერთო დაცვა იყოს), მაშინ საჭიროა ერთად შევთანხმდეთ აუცილებელ შესწორებათა შესახებ. ხოლო თუ თქვენ თვით ამ გეგმას უარყოფთ, მაშინ როგორღაც სხვანაირად უნდა მოეწყოს საქმე.

აქა-იქ პროგრამის ზოგადი ნაწილიდან (პრინციპული განცხადებიდან) ციტატები მე ჩემი პროექტის მიხედვით მოვიყვანე: თავისთავად იგულისხმება, რომ ეს შეიცვლება, თუ ჩემი პროექტი უარყოფილ იქნა. (ზოგიერთი ციტატის მოყვანა ერფურტის პროგრამიდან შემეძლო, თუ თქვენ საწინააღმდეგო არაფერი გექნებოდათ.)

ველიკა დიმიტრის ასულმა აქა-იქ არშიებზე გააკეთა თავისი შენიშვნები, თუმცა ყოველთვის როდი იძლევა წინადადებას გარკვეული ცვლილებების შესახებ. გთხოვთ მომწეროთ თქვენი აზრი ამ პუნქტებზე. ერთ-ერთ ამ პუნქტზე მე მინდოდა რამდენიმე სიტყვა მეთქვა თავის დასაცავად. ველიკა დიმიტრის ასული წინადადებას იძლევა ამოვაგდო გვერდები 79—82[118] — მე, რა თქმა უნდა, ამ გვერდების განსაკუთრებით დაცვას არ შევუდგებოდი, მაგრამ მან იქ დაინახა კიდევ «უფაქიზობის ხელშეწყობა» პროექტში, რომ უპირატესობა არ მიენიჭოთ წვრილ მოიჯარეებს (ნაციონალიზებული მიწისას), არამედ ერთნაირად მიეცეთ იჯარით მსხვილ და წვრილ მოიჯარეებს იმ პირობით, რომ აგრარული კანონები შეასრულონ და (NB) რაციონალურად მოუარონ მიწასა და პირუტყვს.

იგი ამის წინააღმდეგია: ეს «ბოროტმოქმედება» იქნება ვინაიდან ყველაფერს «ბობოლები ჩაიგდებენ ხელში», გაუმჯობესებული კულ-

ტურა კი სამუშაოს დაუკარგავს მუშების 9/10-ს რომლებსაც ვერავითარი აგრარული კანონები ვერ უშველითო.

მე ვფიქრობ, ეს მოსაზრება სწორი არ არის, ვინაიდან (1) აქ იგულისხმება უკვე ძალიან განვითარებული ბურჟუაზიული საზოგადოება, რომელშიც მუშების დაუქირავებლად იშვიათად თუ გავა იოლად რომელიმე გლეხი; (2) მაშინ «ბობოლებს» შეუძლიათ მიიღონ მიწა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ტექნიკურად და ეკონომიურად «მოწესრიგებულია» მსხვილი მეურნეობა, ეს კი ერთბაშად არ შეიძლება გაკეთდეს, ასე რომ უეცარი გადასვლა. რაც ველიკა დმიტრიევნას აშინებს, შეუძლებელია; (3) მანქანებით მუშების გამოდევნა, რა თქმა უნდა, მსხვილი წარმოების გარდუვალი შედეგია, მაგრამ ჩვენ ხომ იმედებს ვამყარებთ კაპიტალისტურ წინააღმდეგობათა განვითარების არა შეფერხებაზე, არამედ მათს სრულ განვითარებაზე; მიწის გაუმჯობესებული კულტურა ამასთან გულისხმობს მრეწველობის გიგანტურ ზრდას და მიწისაგან მოსახლეობის გაძლიერებულ ჩამოშორებას; (4) წამოყენებული ღონისძიება არათუ არ ეხმარება არც ერთ «ბოროტმოქმედს», არამედ, პირიქით, ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ერთადერთი წარმოსადგენი ღონისძიებაა «ბოროტმოქმედებისადმი» წინააღმდეგობის გაწევისა, ვინაიდან იგი პირდაპირ ზღუდავს მომუშავის ექსპლოატაციასაც, მიწის გაძარცვასაც და პირუტყვის გაუარესებასაც. სწორედ წვრილი მწარმოებელი ბურჟუაზიულ საზოგადოებაში განსაკუთრებით ეწევა როგორც ადამიანების, ისე მიწისა და პირუტყვის ძალების დატაცებას.

თუ თქვენც მხარს დაუჭერთ იმას, რომ ამოვაგდო გვ. 79 — 82, შაშინ გთხოვთ მირჩიოთ, როგორ შევცვალო შენიშვნა 92 გვერდზე[119].

რა აზრისა ხართ იმაზე, რომ შეიძლება თუ არა საერთოდ დაიბეჭდოს პროგრამის აგრარული ნაწილი (და მისი კომენტარი) მთელი პროგრამისაგან განცალკევებით, მთელი პროგრამის დაბეჭდვამდე?

ვ. ი — ს სტატიის კორექტურა გუშინ მივიღე და გავუგზავნე დიტცს. გუშინვე გამოვგზავნე თქვენი მისამართით მისი სტატიის კორექტურის გაგრძელება. (დასაჩქარებლად მას შეუძლია გასწორებული კორექტურა პირდაპირ გაუგზავნოს დიტცს.)

საწყალ ცვეტოვზე სრულებით არაფერი ისმის აგერ უკვე სამი კვირაა. ალბათ დაიღუპა. ეს უდიდესი დანაკლისი იქნება ჩვენთვის!

მაგრად გართმევთ ხელს. თქვენი ფრეი

5. IV. P. S. ახლა მივიღე თქვენი წერილი. გადავეცი ხალხს. გიპასუხებთ ამ დღეებში.

გთხოვთ ახლავე გაგზავნოთ ბერგის პროექტი (რასაც თქვენ კომისიისას უწოდებთ)[120] შემდეგი მისამართით: Frau Kiroff, Schraudolfstrasse, 29, III. I. bei Taurer. ძალიან საჩქაროა ვინაიდან მათ ახლი არა აქვთ და არ ესმით თქვენი შენიშვნები. (მე პირადად ვამჯობინებდი ორივე პროექტის გამოქვეყნებას, ყველას მიერ წამოყენებული «მესამე გზის» ფორმით, მაგრამ უმრავლესობა, ეტყობა, ახლა სხვანაირად არის განწყობილი.) აგრარულ წიგნებს გამოგიგზავნით. ველიკა დმიტრიევნა, ვგონებ, მზად არის შეარბილოს ლეგალური მარქსისტების «ძაგება».

გაგზავნილია მიუნხენიდან ქენევაში

პირველად დაიბეჭდა 1928 წელს

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით. მე-4 გამოც., ტ. 34, გვ. 98—100.

გ. ვ. პლეხანოვს

2. VII. 02.

ძვირფასო გ. ვ.!

მაპატიეთ, რომ ასე ნაჩქარევად ვწერ. მე ჩამოველი აქ, ბრეტანს, დასასვენებლად (აქ მოველი ჩემიანებსაც)[121] მაგრამ პარიზში ბერგმა მომცა თავისი შენიშვნა, და მე მივიღე თქვენ მიერ გამოგზავნილი სტატია ვეტერანის ხელმოწერით.

მე სავსებით ვეთანხმები ვეტერანს. ლეკერტის შესახებ «ისკრაში» მოთავსებული შენიშვნის გამო მცირეოდენი ბატალია გამომივიდა ბერგთან და ველიკა დიმიტრის ასულთან, რომლებმაც ორთავემ, როგორც სჩვევიათ, ერთხანს ინერვიულეს და იწყეს ლაპარაკი იმაზე, რომ ტერორი გარდუვალია და რომ ჩვენთვის აუცილებელია ეს (ასე თუ ისე) გამოვთქვათო. «ისკრის» შენიშვნა, ამრიგად კომპრომისს წარმოადგენდა: ეს იყო ყველაფერი, რის ბრძოლით მოპოვებაც შეეძელი[122].

ახლა ბერგი თვით უფრო გადაჭრით ეწინააღმდეგება ტერორს, ლეკერტებზე უფრო მეტადაც კი.

მაგრამ საკითხი ის არის, შესაფერისია კი თქვენი სტატია ვეტერანის ხელმოწერით მოთავსდეს? რასაკვირველია, თუ თქვენ გინდათ, იგი აუცილებლად იქნება მოთავსებული (და მოესწრება უახლოეს ნომერში) — მაგრამ ხომ არ აჯობებდა, თქვენ რომ მისგან მოწინავე სტატია შეგედგინათ № 22-სათვის მისი (ასე ვთქვათ) შეერთებით ბერგის სტატიასთან «როგორ ვიბრძოლოთ»? ამასთან გიგზავნით ამ სტატიას, სადაც, ჩემი აზრით, არის ადგილები, რომლებიც შესწორებას საჭიროებენ, ლეკერტის საკითხის გამო არასასურველად ორპოფული ადგილები.

გიგზავნით აგრეთვე შენიშვნასაც ხუცესის წერილზე. თქვენი აზრი?

მაშ, გთხოვთ გვიპასუხოთ რაც შეიძლება მალე, ძვირფასო გ. ვ. და გამომიგზავნოთ ყოველივე ეს უკან, პირდაპირ ლონდონში (J. Richter, 30. Holford Sg. 30. Pentonville: London W. C.). ამავე მისამართით მომწერეთ.

ჩემი აზრით, ყველაფერს აჯობებს, რომ ს წ ო რ ე დ მ ო წ ი ნ ა-ვ ე შ ი ითქვას ის, რასაც თქვენ ამბობთ: საქმის არსი ამით მოიგებს («ისკრის» წ ი ნ ა ღ მ დ ე გ «შ ე კ ა მ ა თ ე ბ ა» მოდუნება, და შთაბეჭდილების მთლიანობაც გაძლიერდება. თქვენთვის კი ბუ-ნებრივი და ადვილი იქნება განავითაროთ თქვენი სტატია მოწინავედ, ამრიგად, შ ე ვ ც ვ ა ლ ო თ მათი სტატია «როგორ ვიბრძოლოთ». ეს შეცვლა, ჩემი აზრით, საუკეთესო გამოსავალი იქნებოდა.

მაგრად გართმევთ ხელს. თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

გაგზავნილია ლოგვინოვიდან (საფრანგეთის ჩრდილო ნაპირი) ენენევაში. პირველად დაიბეჭდა 1928 წელს ჟურნალში «შრომის განთავისუფლების ჯგუფი» № 6

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც., ტ. 36. გვ. 100—101.

წერილი მოსკოვის კომიტეტს

ძვირფასო ამხანაგებო! მივიღეთ თქვენი წერილი, რომელშიც მადლობას უხდით ბროშურის «რა ვაკეთოთ?» ავტორს და რომელიც შეიცავს დადგენილებასაც «ისკრის» სასარგებლოდ 20%-ის გადარიცხვის შესახებ. ჩემის მხრივ მხურვალე მადლობას მოგახსენებთ თანაგრძნობისა და სოლიდარობის გამოთქმისათვის. არალეგალური მწერლისათვის ეს მით უფრო ძვირფასია, რომ მას მუშაობა უხდება მკითხველისაგან უჩვეულო დაშორების პირობებში. აზრთა ყოველ გაზიარებას, ყოველ ცნობას იმ შთაბეჭდილების შესახებ, რასაც ესა თუ ის სტატია ან ბროშურა ახდენს მკითხველთა სხვადასხვა ფენაზე, ჩვენთვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს, და ჩვენ ფრიად მადლობელნი ვიქნებით, თუ მოგვწერენ ხოლმე არა მარტო საქმეებზე ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით, არა მარტო პრესისათვის, არამედ იმისთვისაც, რომ მწერალი მკითხველისაგან მოწყვეტილად არ გრძნობდეს თავს.

«ისკრის» 22-ე ნომერში გამოვაქვეყნეთ თქვენი დადგენილება «ისკრისათვის» 20%-ის გადარიცხვის შესახებ. ლენინისადმი თქვენი მადლობის გამოქვეყნება კი ვერ გავბედეთ, რადგან, ჯერ ერთი, თქვენ ეს მადლობა ცალკე გქონდათ გამოყოფილი და არ იყო გამოთქმული იმის სურვილი, რომ პრესაში გეხილათ იგი. მეორეც, ამ მადლობის ფორმაც თითქოს ვერ გამოდგებოდა პრესისათვის. მაგრამ არ იფიქროთ, თითქოს ჩვენთვის მნიშვნელობა არა ჰქონდეს კომიტეტების განცხადებათა გამოქვეყნებას ამა თუ იმ შეხედულებასთან მათი სოლიდარობის შესახებ. პირიქით, სწორედ ახლა, როდესაც ჩვენ ყველანი ვფიქრობთ რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის შეერთებაზე, ამას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს. ფრიად სასურველი იქნებოდა, რომ მოსკოვის კომიტეტმა თავისი სოლიდარობა ჩემი წიგნისადმი ჩამოაყალიბოს განცხადების ფორმით, რომელიც დაუყოვნებლივ გამოქვეყნდებოდა «ისკრაში». დიდი ხანია, დროა, რომ კომიტეტები აშკარად

აცხადებდნენ თავის პარტიულ პოზიციას, რომ მათ უარყონ ჩუმი თანხმობის ის ტაქტიკა, რომელიც სჭარბობდა «მე-3 პერიოდში». ეს არის ზოგადი მოსაზრება აშკარა განცხადების სასარგებლოდ. კერძოდ კი მე, მაგ., ბრალს მდებდნენ პრესის საშუალებით («ბორბას» ჯგუფი თავის «ფურცელში»), თითქოს მსურდეს «ისკრის» რედაქცია გადავაქციო რუსეთის ცენტრალურ კომიტეტად, «ვბრძანებლობდე» «აგენტებს» და სხვ. ეს აშკარა დამახინჯებაა იმისა, რაც ნათქვამია «რა ვაკეთოთ?»-ში, მაგრამ მე ხალისი არა მაქვს კიდევ და კიდევ ვბეჭდო: «თქვენ ამახინჯებთ». მე ვფიქრობ, რომ უნდა ალაპარაკდნენ რუსეთში მომუშავე ის პრაქტიკოსები, რომლებმაც ზედმიწევნით იციან, რომ «ისკრის» «ბრძანებლობა» რჩევა-დარიგებაზე და თავისი აზრის გამოთქმაზე შორს არ მიდის, და რომლებიც ხედავენ, რომ «რა ვაკეთოთ?»-ში გადმოცემული ორგანიზაციული იდეები გამოხატავენ დღევანდელი დღის საჭირბოროტო საკითხს ნამდვილი მოძრაობის მტკივნეულ საკითხს. მე ვფიქრობ, რომ ამ პრაქტიკოსებმა თვითონ უნდა მოითხოვონ სიტყვა და ხმამაღლა განაცხადონ, თუ როგორ უყურებენ ისინი საკითხს, როგორ მიდიან ისინი თავისი მუშაობის გამოცდილებით ჩვენთან სოლიდარულ შეხედულებებემდე ორგანიზაციული ამოცანების შესახებ.

თქვენი მადლობა წიგნისათვის «რა ვაკეთოთ?» ჩვენ გავიგეთ და, ცხადია, უნდა გაგვეგო მხოლოდ იმ აზრით, რომ ამ წიგნში ჰპოვეთ თქვენი საკუთარი კითხვების პასუხი, რომ თქვენ თვითონ მოძრაობის უშუალო ცოდნიდან გამოიტანეთ ის რწმენა, რომ აუცილებელია უფრო გაბედული, უფრო დიდი, უფრო გაერთიანებული, უფრო ცენტრალიზებული, ერთი საგაზეთო ცენტრის ირგვლივ უფრო შემჭიდროებული მუშაობა, — რწმენა, რომელიც ჩამოყალიბებულია ამ წიგნშიც. და რაკი ეს ასეა, რაკი თქვენ ნამდვილად მიხვედით ასეთ რწმენამდე, — საჭიროველია, რათა კომიტეტმა აშკარად და ხმამაღლა განაცხადოს ეს და მოუწოდოს სხვა კომიტეტებსაც მასთან ერთად იმუშაონ იმავე მიმართულებით, ხელი ჩასჭიდონ იმავე «ძაფს», დაისახონ იგივე უახლოესი ორგანიზაციულ-პარტიული მიზნები.

ჩვენ იმედი გვაქვს, ამხანაგებო, რომ თქვენ შესაძლებლად დაინახავთ წაიკითხოთ ეს წერილი მთელი კომიტეტის საერთო კრებაზე და გვაცნობოთ თქვენი გადაწყვეტილება დასახული საკითხების შესახებ. (ფრჩხილებში დავძენ, რომ პეტერბურგის კომიტეტმაც

გამოგვიგზავნა სოლიდარობის გამოთქმა და ახლა ის ასეთსავე განცხადებაზე ფიქრობს).

საკმაოდ გქონდათ თუ არა თქვენ «რა ვაკეთოთ?» წაიკითხეს თუ არა მუშებმა და როგორ შეხვდნენ მას?

მაგრად ვართმევ ხელს ყველა ამხანაგს და ვუსურვებ მათ სრულ წარმატებას.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1902 წ. 11 (24) აგვისტოს
პირველად დაიბეჭდა 1922 წელს
ნ. ლენინის წიგნში «მოსახვეზე»

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით. მე-4 გამოც.,
ტ. 6, გვ. 254—256.

წერილი «იუჟნი რაბოჩის» რედაქციას

ძვირფასო ამხანაგებო! ძალიან გაგვახარა ჩვენ ყველანი თქვენმა ერცელმა წერილმა. გთხოვთ, დაჩქარებით გამოგზავნოთ დაპირებული დამატებანი და უფრო ხშირად ჰგზავნოთ წერილები. იმედი გვაქვს მალე გამოვგზავნოთ თქვენთან ერთი ამხანაგი უფრო დაწვრილებითი და საბოლოო მოლაპარაკებისათვის. ჯერ კი ყველაზე მთავარს დავჯერდებით.

თქვენ ათასჯერ მართალი ხართ, რომ საჭიროა რაც შეიძლება ჩქარა და დაუყოვნებლივ გავერთიანდეთ საერთო-რუსეთის ხასიათის ერთ ორგანიზაციად, რომელიც მიზნად დაისახავს მოამზადოს კომიტეტების იდეური ერთიანობა და პარტიის პრაქტიკული, ორგანიზაციული ერთიანობა. ჩვენის მხრივ უკვე გადავდგით საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაბიჯები ამ მიმართულებით იმის მეოხებით, რომ პეტერბურგის კომიტეტი საფსებით ისკრული გახდა, ამის შესახებ მან განცხადება დაბეჭდა და de facto* (ეს, რა თქმა უნდა, მხოლოდ entre nous** დარჩეს) შეუერთდა «ისკრის» რუსეთის ორგანიზაციას და ფრიად გაელენიანი ადგილები მისცა მის წევრებს კომიტეტის ცენტრალურ ჯგუფში. თუ ჩვენ მივაღწევთ ასეთსავე სრულ სოლიდარობას და სრულ გაერთიანებას სამხრეთთან, მაშინ პარტიის ფაქტიური გაერთიანების საკითხი ¾-ით წაიწევს განხორციელებისაკენ. ეს ფრიად საჩქაროდ უნდა გაკეთდეს. ჩვენ დაუყოვნებლივ მივიღებთ ზომებს, ჯერ ერთი, იმისათვის, რომ თქვენთან ჩამოვიდნენ შესათანხმებლად «ისკრის» რუსეთის ორგანიზაციის წევრები; მეორეც, რომ კავშირი დამყარდეს აქ ჩერნიშევთან. თქვენის მხრივ დააჩქარეთ გამოშვება (ან «ისკრაში» მოთავსება) თქვენი პრინციპული განცხადებისა, რომელიც სავსებით განსაზღვრავს თქვენს პოზიციას პარტიაში, და მიიღეთ ყველა ზომა «ისკრის» რუსეთის ორგანიზაციასთან ფაქტიური გაერთიანებისათვის.

---

* — ფაქტიურად, ნამდვილად. რ ე დ.

** — ჩვენს შორის. რ ე დ.

დასასრულ — რამდენიმე სიტყვა თქვენს მიერ აღძრულ საკითხებზე. გლეხობისა და აგრარული პროგრამის შესახებ ჩვენთვის გაურკვეველი რჩება, სახელდობრ რა არ გაკმაყოფილებთ აგრარული პროგრამის ჩვენს პროექტში და რა ცვლილებათა შეტანა გსურთ. განსაზღვრეთ ეს უფრო ზუსტად. ნახეთ თუ არა «ზარიას» № 4, სადაც მოთავსებულია სტატია აგრარულ პროგრამაზე? საერთოდ თქვენი შენიშვნები «ისკრის» შეცდომების შესახებ იმას მოწმობენ, თუ რამდენად საჭიროა გავახშიროთ და მოვაწესრიგოთ ერთმანეთთან კავშირი, რომ სავსებით შევთანხმდეთ. ძალები ისე ულმერთოდ ცოტაა, რომ მხოლოდ ყ ვ ე ლ ა სოციალ-დემოკრატის უაღრესად მჭიდრო გაერთიანებას შეუძლია უზრუნველყოს ჩვენი წარმატება როგორც «ავანტიურისტების», ისე მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამავე დროს კი, მაგალითად, თქვენს თვალსაზრისზე, თქვენს პრაქტიკულ მუშაობაზე დღემდე თითქმის არაფერი ვიცოდით — განა ეს ნორმალურია? განა ნორმალურია ისიც, რომ თქვენ, მაგალითად, მარტონი სდგამთ ნაბიჯებს მუდმივი ტრანსპორტისათვის და ჩვენც მარტონი? (მოგვწერეთ უფრო დაწვრილებით, როგორ, სად და რას აკეთებთ, რა საშუალებანი გაქვთ და სხვ.). იგივე გარემოება, ე. ი. ძალთა ნაკლებობა, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, როცა ვმსჯელობთ ცალკე ორგანოს საკითხზე, «იუენი რაბოჩის» განგრძობაზე, მის «რუსსკი რაბოჩ»-ად გადაქცევაზე. საჭიროა ძალიან და ძალიან ავწონ-დავწონოთ საქმის ყველა მხარე. აბა იფიქრეთ, სად გაგვაჩნია ძალები 2 ორგანოსათვის, როდესაც მშვენივრად ვიცით, რომ ისინი ერთი ორგანოსათვისაც კი საკმაოდ არა გვყვანან. თქვენ პიტერს (პიტერის არაისკრულ ელემენტებს) ბიძგს ხომ არ მისცემთ, რომ «რაბოჩაია მისლი» გამოსცენ როგორც აგრეთვე «განმარტებითი», პოპულარული და სხვ. ორგანო და ეს ისეთ მომენტში, როდესაც პიტერი აპირებს შეწყვიტოს «რაბოჩაია მისლი» და ბოლოს და ბოლოს შეუდგეს ნამდვილ მუშაობას «ისკრაზე». ზიანს ხომ არ მოუტანს თქვენი გეგმები თქვენს მუშაობას იმ მიზნით, რომ რუსეთიდან «ისკრაში» წესიერი ლიტერატურული თანამშრომლობა მოაწყოთ, — ხოლო თუ ეს თანამშრომლობა არ იქნება, «ისკრა» ვერ გახდება ნამდვილ პარტიულ ორგანოდ, და არ დაივიწყოთ, რომ ამ საქმისათვის თქვენს გარდა ჩვენ ადამიანები თითქმის არც კი გვეგულება. და თუ ამ საქმეს ისკრელები ხელს არ მოჰკიდებენ, მაშინ ვინღა და როდის მოჰკიდებს ხელს? დასასრულ, უფრო გულმოდგინეთ განიხილეთ საკითხი. შესაძლებელია თუ არა შეთავსდეს «საშუალო» მკითხველისთვის (როგორც თქვენ ამბობთ) ნავარაუდევი ახსნა-განმარტებითი, პროპაგანდისტული, პოპულარული ლიტერატურის ამოცანები და ამ

გაზეთის ამოცანები? ეს უდავოა, რომ განსაკუთრებული ლიტერატურა უნდა იყოს საშუალო მკითხველისათვის და მასისათვის, მაგრამ ეს შეიძლება იყოს მხოლოდ ფურცლები და ბროშურები, რადგან გაზეთში არ შეიძლება ჯეროვნად განემარტოს საშუალო მკითხველს ყოველი საკითხი. ამისათვის საჭიროა დავიწყოთ თავიდან, ანბანიდან და მივიდეთ ბოლომდე, საჭიროა ყოველმხრივ დავღეჭოთ საკითხი. არა მგონია გაზეთმა ეს შეძლოს, თუნდაც იგი იდეალურად იყოს უზრუნველყოფილი ლიტერატურული ძალებით. ბოლოს, არ დაივიწყოთ, რომ თქვენ საქმეს საერთო-რუსეთის მნიშვნელობა ექნება სულ ერთია გინდათ ეს თუ არ გინდათ, და რომ მითქმა-მოთქმას, წარმოდგენებს, თეორიებს განსაკუთრებულ გაზეთებზე «ინტელიგენციისათვის» და «მუშებისათვის» შეუძლიათ მეტისმეტად მავნე როლი შეასრულონ არა მარტო თქვენი სურვილების დამოუკიდებლად, არამედ თქვენი პირადი წინააღმდეგობის მიუხედავადაც. ისეთები, როგორიც თქვენა ხართ, რუს სოციალ-დემოკრატებში ხომ მცირეა, ხოლო რუსი სოციალ-დემოკრატების მასაში ჯერ კიდევ ძალიან და ძალიან ბლომად არის ყოველგვარი შეზღუდულობა. ჩვენ, რა თქმა უნდა, არ ვფიქრობთ ესოდენ მნიშვნელოვან საკითხზე ამ გაკვრითს შენიშვნებს დავჯერდეთ, მაგრამ გთხოვთ მხოლოდ არ აჩქარდეთ საკითხის გადაწყვეტისას და ყოველმხრივ განიხილოთ იგი. ცალკე ჯგუფის («იუჟნი რაბოჩის» რედაქციის) შენარჩუნება ჩვენ სასურველადაც კი მიგვაჩნია პარტიის ყრილობამდე მაინც, მაგრამ ამ ჯგუფს არ მართებს აჩქარება თავისი გაზეთის საქმეში.

დაწერილია 1902 წ. 3 (16) სექტემბერს
პირველად დაბეჭდა 1924 წელს
ჟურნალში «პროლეტარსკაია
რევოლუცია» № 3

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.,
ტ. 6, გვ. 276—279.

ნაშრომიდან

«საერთო პარტიულ ყრილობაზე რსდმპ კომიტეტებისა და ჯგუფების მოხსენებათა საკითხისათვის»

... 20. ადგილობრივი და საერთო-პარტიული ორგანოები. ადგილობრივი ორგანოს ისტორია: გამოსვლის სიხშირე? ეგზემპლარების რაოდენობა? როგორ იყო დაყენებული ლიტერატურული ნაწილი? მასალების შეგროვება და შენახვა (დაკარგვა?)? ადგილობრივსა და საერთო ორგანოებში თანამშრომლობის ორგანიზაცია? განსაკუთრებული ლიტერატურული ჯგუფები? «რეპორტიორები»? კავშირი ლიტერატურულ წრეში? კორესპონდენციათა გაგზავნის წესები? — კომიტეტის საშუალებით? კერძო პირთა საშუალებით და რამდენად ფართოდ? ცდები — გამოიყენონ სტუდენტობა? გადასახლებულნი?

დასკვნები და საჭიროებანი ორგანოების საქმეში [123]...

დაწერილია 1902 წ. დეკემბერს — 1903 წ. იანვარს
პირველად დაიბეჭდა 1924 წ. ჟურნალში «პროლეტარსკაია რევოლუცია» № 1.

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც., ტ. 6, გვ. 362—363.

წ ე რ ი ლ ი დ ა ნ

ი. ვ. ᲑᲐᲑᲣᲨᲙᲘᲜᲡ

ნოვიცკაიასთვის ლენინისაგან

... 9) მიღებულია თუ არა ზომები იმისათვის, რომ გაათკეცდეს კორესპონდენციები პიტერიდან, რომლებიც ჩვენ სამარცხვინოდ დიდი ხანია არა გვქონია? 10) უნერგავთ თუ არა ყველა მუშას იმ აზრს, რომ ს წ ო რ ე დ მ ა თ უნდა მოაწყონ სტამბა ფურცლებისათვის და მათი სწორად გავრცელება?

აი ესეც ათეული კითხვა. ველი პასუხს და მაგრად გართმევთ ხელს. იცოდეთ, აუცილებლად გაქრით, როგორც კი შეამჩნიოთ, რომ ჯაშუშები გითვალთვალებენ.

დაწერილია 1903 წ. 6 იანვარს
გაგზავნილია ლონდონიდან
პეტერბურგში
პირველად დაიბეჭდა 1928 წელს.

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.,
ტ. 34, გვ. 136—137.

ხარკოვის კომიტეტს

(ლენინისაგან.) ძვირფასო ამხანაგებო! დიდად გმადლობთ დაწვრილებითი წერილისათვის საქმის ვითარების შესახებ: ჩვენ ძალიან იშვიათად გვწერენ ასეთ წერილებს, თუმცა ისინი საშინლად გვესაჭიროება და ისინი აუცილებელია ერთიათად მეტი რაოდენობით, თუ კი ნამდვილად გვინდა დავამყაროთ საზღვარგარეთის რედაქციის ცოცხალი კავშირი ადგილობრივ მუშაკებთან და გავხადოთ «ისკრა» მთელი ჩვენი მუშათა მოძრაობის სრულ ამსახველად, როგორც მთლიანად ამ მოძრაობის, ისე მისი კერძო მხარეების ამსახველად. ამიტომ, ძალიან გთხოვთ ასევე განაგრძოთ, მოგვცეთ თუნდაც ზოგჯერ მუშებთან საუბრების პირდაპირი სურათებიც (რაზე ლაპარაკობენ წრეში? რას უჩივიან? რა აწუხებთ, რა მოთხოვნილებები აქვთ? საუბრების თემები? და სხვ. და სხვ.).

თქვენი ორგანიზაციის გეგმა, ჩანს, შეესაბამება რევოლუციონერთა რაციონალურ ორგანიზაციას, რამდენადაც შეიძლება «რაციონალურზე» ვილაპარაკოთ ადამიანთა ასეთი ნაკლებობის დროს და რამდენადაც გეგმა ნათელია მოკლე ნაამბობიდან.

დამოუკიდებლებზე გვიამბეთ უფრო დაწვრილებით. შემდეგ კიდევ კითხვები: ხომ არ დარჩენილან ხარკოვში «ივანოვო-ვოზნესენსკის» სკოლისა და ტრადიციის მუშები? არიან თუ არა პიროვნებანი, რომლებიც ოდესღაც პირდაპირ იყვნენ ამ «ეკონომიურ» და «ანტიინტელიგენტურ» კომპანიაში ან მხოლოდ მათი მემკვიდრენი? რატომ ერთ სიტყვასაც არ იწერებით «მუშათა სალაროების ფურცლის» შესახებ და არ გვიგზავნით? ჩვენ აქ ამ ფურცლის № 2-ის მხოლოდ ხელნაწერი პირი ვნახეთ. რა კომპანია სცემს? თავგამოდებული ეკონომისტები არიან თუ მხოლოდ გამოუცდელი ახალგაზრდობა? წმინდა მუშური ორგანიზაციაა თუ ეკონომისტ-ინტელიგენტების გავლენაში იმყოფება?

დარჩა თუ არა «ხარკოვსკი პროლეტარის»[124] კომპანიის კვალი?

იკითხება თუ არა მუშათა წრეებში «ისკრა» სტატიების ახსნა-განმარტებით? რა სტატიებს უფრო ხალისით კითხულობენ და რა ახსნა-განმარტებაა საჭირო?

ფართო მასშტაბით წარმოებს თუ არა მუშათა შორის კონსპირაციული ხერხებისა და არალეგალურ მდგომარეობაზე გადასვლის პროპაგანდა?

ეცადეთ რაც შეიძლება მეტად ისარგებლოთ პიტერის ზუბატოველობით და გვიგზავნეთ მუშათა კორესპონდენციები.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1903 წ. 15 იანვარს
გაგზავნილია ლონდონიდან
პირველად დაიბეჭდა 1924 წელს

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.,
ტ. 34, გვ. 140—141.

რამდენიმე აზრი
7. Ц. G Ф.-ს წერილის გამო[125]

ეს-ეს არის წავიკითხე თქვენი წერილი და ვწერ მისი ცოცხალი შთაბეჭდილების ქვეშ. წერილმა აღმაშფოთა თავისი მოუფიქრებელი რახარუხით, ასე რომ არ შემიძლია თავი შევიკავო სურვილისგან — გულახდილად გამოვთქვა ჩემი აზრი. გთხოვთ გადასცეთ ჩემი წერილი მის ავტორს და უთხრათ, რომ ნუ დაგვემდურება მკაცრი სიტყვისთვის. ეს ხომ პრესისთვის არ არის დანიშნული.

ჩემი აზრით, წერილი პასუხის ღირსია, რადგან იგი განსაკუთრებით რელიეფურად აშუქებს ბევრი ახლანდელი რევოლუციონერის სულიერი განწყობილების ერთ დამახასიათებელ თვისებას. მითითების მოლოდინი, ყ ვ ე ლ ა ფ რ ი ს მოთხოვნა ზემოდან, გარედან, ხელების უმწეოდ ქნევა, როდესაც მარცხს განიცდი ადგილზე არა აქტიური მოქმედების მეოხებით, ჩივილი და ჩივილი, გამოგონება რეცეპტებისა, რომლებიც ბოროტებას განკურნავენ იაფად და უბრალოდ.

ვერ გამოიგონებთ, ბატონებო! როდესაც თ ქ ვ ე ნ თ ვ ი თ ო ნ არა აქტიურნი ხართ, როდესაც თქვენ ცხვირწინ უშვებთ გათიშვას და შემდეგ იწყებთ ვაიეიშსა და წუწუნს, — ვ ე რ ა ვ ი თ ა რ ი რ ე ც ე პ ტ ი ვ ე რ გ ი შ ვ ე ლ ი თ. და სრულიადაც არ არის გონივრული საქციელი ამის გამო სამდურავებით აგვავსოთ. არ გეგონოთ, რომ ჩვენ გვწყინდეს თქვენი ბრალდებანი და თავდასხმანი: იცით რა, შევეჩვიეთ, ძალიან შევეჩვიეთ ამას, ასე რომ ეს ბრალდებანი და თავდასხმანი არ გვაღელვებენ.

«მასობრივი» ლიტერატურა, «ათეული ფუთობით» — ეს თქვენი საბრძოლო ყიჟინა სხვა არაფერია, თუ არა გ ა მ ო გ ო ნ ი ლ ი რ ე ც ე პ ტ ი გარედან თქვენი განკურნებისა თქვენივე საკუთარი უაქტივობისაგან. დაგვიჯერეთ, რომ არავითარი ასეთი რეცეპტი ა რ ა ს ო დ ე ს არ გასჭრის! თუ თქვენ თვითონ არ იქნებით ენერგიულნი

და მოქნილნი, — ვერავინ ვერაფრით დაგეხმარებათ. გოდება: მოგვეცით ესა და ეს, მოგვაწოდეთ ესა და ესო — ფრიად უსაფუძვლოა. რადგან თქვენ თვითონ უნდა აიღოთ და მიიღოთ. უსარგებლოა ჩვენთვის ამაზე წერა, რადგან ამის გაკეთება აქედან არ შეგვიძლია, თქვენ კი თქვენის მხრივ შეგიძლიათ და უნდა გააკეთოთ კიდეც: მე ვლაპარაკობ იმ ლიტერატურის მოწოდებაზე, რომელიც ჩვენ მოგვეპოვება და ჩვენ მიერ არის გამოცემული.

ზოგიერთი ადგილობრივი «მოღვაწე» (რომელნიც ამ სახელწოდებას თავიანთი უმოღვაწეობის გამო იღებენ), როდესაც ხედავს «ისკრის» სულ რამდენიმე ნომერს, როდესაც აქტიურად არ მუშაობს მის მასობრივად მიღებასა და გავრცელებაზე, იგონებს თავისთვის იოლ გამართლებას: ეს ის არ არისო. მოგვეცით მასობრივი ლიტერატურა, მასისთვისო! დაგვიღეპეთ, პირში ჩაგვიდეთ და ჩაულაპვით, იქნებ, თვითონ ჩავულაპოთო.

რა საოცრად უაზროდ მოსჩანს ეს გოდება იმისთვის, ვინც იცის და ხედავს, რომ მათ, ამ ადგილობრივ «მოღვაწეებს», არ ძალუძთ იმისი გავრცელებაც კი, რაც უკვე არის. განა სასაცილო არ არის წაიკითხო: მოგვეცით ათეული ფუთობითო, როდესაც თქვენ არ შეგიძლიათ აიღოთ და წაიღ-წამოიღოთ ხუთი ფუთიც კი? ჯერ ეს გააკეთეთ, დიდად პატივცემულო «ფანტაზიორებო ერთი საათით» (რადგან პირველივე მარცხი მთლად დავთარს გიბნევთ, საკუთარ რწმენასაც კი გიკარგავთ!). ჯერ ეს გააკეთეთ, და როდესაც ამას გააკეთებთ არა ერთხელ, არამედ ათათჯერ, მაშინ გამომცემლობაც გაიზრდება საჭიროებისდაკვალად.

ვამბობ: გაიზრდება-მეთქი, რადგან თქვენი გოდება (უკრიტიკოდ და უაზროდ გადმოღებული სოც.-რევოლუციონერებისა და სვობოდელებისგან და ყოველგვარი თავგზააბნეული «არამოღვაწეებისგან») მასობრივ ლიტერატურაზე ემყარება იმ გარემოებას, რომ თქვენ დაგავიწყდათ პატარა... ფრიად პატარა წვრილმანი, სახელდობრ დაგავიწყდათ ის, რომ თქვენ არ შეგიძლიათ აიღოთ და გაავრცელოთ იმ მასობრივი ლიტერატურის მეასედი ნაწილიც კი, რომელსაც ჩვენ ამჟამად ვაქვეყნებთ. მე ვიღებ ჩვენი ერთ-ერთი მცირერიცხოვანი (საცოდავად, უბადრუკად, სამარცხვინოდ მცირერიცხოვანი) ტრანსპორტის ერთ-ერთ უკანასკნელ სიას. ნიჟნი-ნოვგოროდში წარმოთქმული სიტყვები, როსტოვის ზრძოლა,

ბროშურა გაფიცვებზე, დიკშტეინი*, — ამას ვიკმარებ. ოთხი, მხოლოდ ოთხი რამ! ასე ცოტაა!!

დიახ, ძალიან ცოტაა! დიახ, ჩვენ ოთხასი გვჭირდება, და არა ოთხი.

მაგრამ ნება გვიბოძეთ გკითხოთ: შესძელით თუ არა ეს ოთხი მაინც გაგვრცელებინათ ათიათასობით? არა, თქვენ ეს ვერ გააკეთეთ. თქვენ ასობით გავრცელებაც კი ვერ მოახერხეთ. ამიტომ არის, რომ გაჰყვირით: მოგვეცით ათეული ფუთობით! (არავინ არასოდეს თქვენ არაფერს მოგცემთ, თუ თქვენ თვითონ ვერ მოახერხებთ წაღებას: დაიხსომეთ ეს).

შესძელით თუ არა გამოგეყენებინათ ის ასეულები, რომლებიც თქვენ მოგაწოდეს, ჩამოგიტანეს, პირში ჩაგიდეს?? არა, თქვენ ეს ვერ გააკეთეთ. თქვენ ისიც კი ვერ მოახერხეთ, რომ ამ წერილმანით დაგეკავშირებინათ მასები სოციალ-დემოკრატიასთან. ჩვენ ყოველთვიურად გვაქვს ათობით და ასობით ფურცლები, ცნობები, კორესპონდენციები და წერილები რუსეთის ყველა კუთხიდან, და ჩვენ არ გვქონია არც ერთი (კარგად ჩაუფიქრდით ამ ზუსტი სიტყვების ზუსტ აზრს: «არც ერთი!») ცნობა ამ ასეულების გავრცელებაზე მასაში, ცნობა იმის შესახებ, თუ რა შთაბეჭდილება მოახდინეს ამ ასეულებმა მასაზე, თუ რა აზრისაა მასა, ცნობა მასასთან ამ საგნების შესახებ საუბარზე! თქვენ ისეთ მდგომარეობაში გეტოვებთ, როდესაც მწერალი თავისთვის წერს, მკითხველი კი (ინტელიგენტი) თავისთვის კითხულობს, — და შემდეგ სწორედ ეს დოყლაპია მკითხველი ცეცხლს აფრქვევს და მრისხანებს მწერლის წინააღმდეგ იმის გამო, რომ იგი (მწერალი!!!) არ იძლევა «ათეულ ფუთებს» ყველგან და ყოველთვის. ადამიანი, რომლის მთელი ამოცანა ის არის, რომ მწერალი მასასთან დააკავშიროს, გაბღინძული ინდაურივით ზის და გოდებს: მოგვეცით

---

* ეს მოძველებულია! — გაჰკივით თქვენ. დიახ. ყველა პარტია, რომელსაც მოეპოვება კარგი პოპულარული ლიტერატურა, ავრცელებს მოძველებულს· გედსა და ლაფარგს, ბებელს, ბრაკეს, ლიბკნეხტს და სხვას ათეული წლობით. გესმით: ათეული წლობით! და მხოლოდ ის პოპულარული ლიტერატურა არის კარგი, მხოლოდ ის არის გამოსადეგი, რომელიც ათეული წლობით გვემსახურება. რადგან პოპულარული ლიტერატურა არის მთელი რიგი სახელმძღვანელოები ჩაღბინთვას, ხოლო სახელმძღვანელოები გადმოგვცემენ ანაბანას, რაც ნახევარი საუკუნეების განმავლობაში არ იცვლება. ის «პოპულარულ» ლიტერატურა, რომელიც თქვენ «გზიბლავთ» და რომელსაც «სვობოდა» და სოც.-რევოლუციონერები ყოველთვიურად ფუთობით უშვებენ, მაკულატურა და შარლატნობაა. შარლატნები ყოველთვის ფაცაფუცში არიან და უფრო მეტად ხმაურობენ, ზოგიერთ გულუბრყვილო ადამიანს კი ეს ენერგია ჰგონია.

მასობრივი ლიტერატურაო და ამავე დროს არ შეუძლია გამოიყენოს იმის მესამედი ნაწილიც, რაც არის.

თქვენ, რასაკვირველია, იტყვით, რომ არც შეიძლება, საერთოდ არ შეიძლება მასებთან დაკავშირო, მაგალითად, «ისკრა», ეს ჩვენი მთავარი პროდუქტი. მე ვიცი, რომ ამას იტყვით. მე ასჯერ მომისმენია ეს და ყოველთვის მითქვამს, რომ ეს მართალი არ არის. რომ ეს თავის დაძვრენაა, მიკიბმოკიბვაა, უუნარობა და სიზანტეა, იმის სურვილია, რომ პირდაპირ პირში ჩაგიდონ შემწვარი მწყერი.

მე ფაქტებით ვიცი, რომ ენერგიული ხალხი ახერხებდა «დაეკავშირებინა» «ისკრა» (ეს არქიინტელიგენტური «ისკრა», უხეირო ინტელიგენტების აზრით) ისეთ ჩამორჩენილ, ნაკლებადგანვითარებულ მუშათა მასასთანაც კი, როგორიც არიან მოსკოვის ახლომახლო სამრეწველო გუბერნიების მუშები. მე ვიცნობდი მუშებს, რომლებიც თვითონ ავრცელებდნენ მასაში (იქაურ მასაში) «ისკრას» და მხოლოდ იმას ამბობდნენ, რომ იგი ცოტაა. სულ ამ ცოტა ხნის წინათ მე «ბრძოლის ველზე ნამყოფმა ჯარისკაცმა» მიამბო, თუ რუსეთის ცენტრის ერთ-ერთ ასეთ მივარდნილ საფაბრიკო ადგილას როგორ კითხულობენ «ისკრას» ერთბაშად მრავალ წრეში, კრებებზე, რომლებსაც 10—15 კაცი ესწრება, ამასთან კომიტეტი და ქვეკომიტეტები წინასწარ თვითონ კითხულობენ ყოველ ნომერს, ერთად სახავენ, თუ სახელდობრ როგორ გამოიყენონ თვითეული სტატია საგიტაციო გადაცემაში. და შეძლეს გამოეყენებინათ ის საცოდავი 5—8 (maximum: რვა!!) ეგზემპლარიც კი, რაც ასე მცირე რაოდენობით უვარდებოდათ ხელში საზღვართან ფეხმორთხმულ მოღვაწეთა უნიათობისა და უმოქმედობის წყალობით (რომელთაც არასოდეს არ შეეძლოთ მოეწყოთ მიღებაც კი ტრანსპორტირებისთვის და რომელთაც იმედი აქვთ, რომ მწერალი მათთვის ჰშობს არა მარტო სტატიებს, არამედ მარჯვე ადამიანებსაც!).

გულზე ხელი დაიდეთ და ისე თქვით: განა ბევრმა თქვენგანმა გამოიყენა ასე თქვენ მიერ მიღებული (თქვენთან გამოგზავნილი, თქვენთან ჩამოტანილი) «ისკრის» თვითეული ეგზემპლარი? თქვენ სდუმხართ? მაშ გეტყვით: რუსეთში მოხვედრილი (ბედისა და «მკითხველთა» უმოქმედობის წყალობით) ასი ეგზემპლარიდან

ასე იყენებენ ერთ ეგზემპლარს, იხილავენ თვითეულ შენიშვნას მისი საააგიტაციო მნიშვნელობით, კითხულობენ თვითეულ შენიშვნას მუშათა წრეში, ყველა მუშის ყველა წრეში, რომელთაც კი ჩვეულებად აქვთ ერთად მოიყარონ თავი ამა თუ იმ ქალაქში. და აი ადამიანები, რომელთაც არ ძალუძთ გადაამუშაონ მათს ხელში ჩავარდნილი მასალის მეასედი ნაწილიც კი, გაიძახიან: მოგვეცით ათეული ფუთებიო!! შჩედრინის ფორმულა (მწერალი თავისთვის წერს) ჯერ კიდევ ძალიან, ძალიან გადამეტებული ოპტიმიზმით უყურებს «მკითხველს»!!

თანამედროვე მკითხველი (ინტელიგენტ სოციალ-დემოკრატთაგან) იქამდე მივიდა, მწერლებს ემდურის იმის გამო, რომ ინტელიგენტები ადგილებზე დონდლოები არიან, მუშებს «კომანდობენ» და მათთვის არაფერს აკეთებენო. სამართლიანი სამდურავია, ათასჯერ სამართლიანი, ოღონდ... სწორი მისამართით კი არის? იქნებ ნებას მოგვცემთ დავუბრუნოთ ეს სამდურავი გამომგზავნს ორმაგი ჯარიმის გადახდევინებით?? თქვენ რაღას აკეთებთ, დიდად პატივცემულო ბატონო მომჩივნებო? თუ თქვენს მეგობრებს არ შეუძლიათ გამოიყენონ «ისკრა» მუშათა წრეებში წასაკითხად, არ შეუძლიათ გამოჰყონ ადამიანები ლიტერატურის მისაწოდებლად და დასატარებლად, არ შეუძლიათ დაეხმარონ მუშებს თვით მოაწყონ წრეები ამისათვის, მაშ რატომ კინწისკვრით არ ერეკებით ასეთ უნიათო მეგობრებს?? აბა იფიქრეთ, რა საუცხოო მდგომარეობაში ვარდებით თქვენ, როდესაც ჩვენ შემოგვჩივით თქვენ საკუთარ უნიათობას??

ეს ფაქტია, რომ «პრაქტიკოსები» ვერ იყენებენ იმის მეასედ ნაწილსაც, რის წაღებაც მათ შეუძლიათ. და არანაკლებ ეჭვმიუტანელი ფაქტია, რომ მხოლოდ მომიზეზებას და თავის დაძვრენას წარმოადგენს ამ პრაქტიკოსების მიერ განსაკუთრებული სახის «მასობრივი» ლიტერატურის გამოგონება. 7 ც. 6 ფ.-ის წერილში, მაგალითად, «ჩვენ» (რა თქმა უნდა, ჩვენ) გვირჩევენ სამი სახის ლიტერატურას:

1) პოპულარული გაზეთი. დაგვიღეჭეთ თვითეული ფაქტი ისე, რომ მოუნელებლადაც სარგებლობა მოგვიტანოს. ისე, რომ ჩვენ, «მოღვაწეებს», არც კი გვჭირდებოდეს კუჭიო.

რა ვუყოთ, რომ ქვეყნიერებას ჯერ არც კი უნახავს ასეთი «პოპულარული» «გაზეთი», რადგან გაზეთი ყველაფერზე იძლევა პასუხს, პოპულარული ლიტერატურა კი ცოტა რამეს ასწავლის. რა ვუყოთ, რომ ასეთი ლიტერატურის ყველა ჩვენი ნიმუში, დაწყებული «რაბოჩაია მისლით», გაგრძელებული «ვპერიოდებით», «რაბოჩეე დელოებით», «კრასნოე ზნამიებით»[125] და სხვ., აუცილებლად და უსათუოდ გამოდიოდა ნაცოდვილარი, არც პოპულარული იყო და არც გაზეთსა ჰგავდა. რა ვუყოთ, რომ «მუშური» გაზეთების შექმნის ყოველი ცდა მხოლოდ ასაზრდოებდა და ყოველთვის ასაზრდოებს უაზრო დაყოფას ინტელიგენტურ და მუშურ მოძრაობად (დაყოფას, გამოწვეულს ინტელიგენტთა გონებრივი სიჩლუნგით და უნიათობით, რომელნიც იქამდე მიდიან, რომ ადგილიდან ცხრა მთას იქით გზავნიან ხაჩივარს თავის საკუთარ უნიათობაზე!). რა ვუყოთ, რომ «მუშური» გაზეთების შექმნის ყველა ცდა დღემდე ამრავლებდა და ყოველთვის გაამრავლებს ჩვენში კუსტარულობას და განსაკუთრებულ, ღრმა, ყაზანურ და ხარკოვურ თეორიებს. ყოველივე ეს არაფერია. სამაგიეროდ აი მომჯადოებელი «სვობოდა» და მომჯადოებელი («სუნთქვა გიწყდება») ესერები ხომ უშვებენ — უჰ, რა დიდძალს უშვებენ! — პოპულარულ გაზეთებსა და გაზეთ-ჟურნალებს!! «ნაროდნოე დელო»[127], «კრასნოე ზნამია», «სვობოდა» — ჟურნალი მუშებისთვის, «ოტკლიკი»[128] — გაზეთი და ჟურნალი მუშებისთვის, «ლუჩინა»[129] — გლეხებისთვის, «რაბოჩაია მისლ» პეტერბურგელი მუშების ჟენევის გაზეთი!!! რა ვუყოთ, რომ ყოველივე ეს ნაგავია, სამაგიეროდ **მასობრივი** ნაგავია.

თქვენ კი მარტო «ისკრა» გაქვთ, ეს ხომ მოსაწყენია! 31 ნომერია და სულ «ისკრა», მაშინ როდესაც მომჯადოებელ ადამიანთა გამოცემებში ერთი სახელწოდების (ნაგვის) ორ ნომერზე დაუყოვნებლივ მეორე სახელწოდების (ნაგვის) სამი ნომერი მოდის. აი ეს არის ენერგია, აი ეს არის მხიარულება, ეს არის ახალი რამ! ჩვენი სოციალ-დემოკრატები კი...

2) ბროშურებიც კი «იმათ» სულ ახალ-ახალი აქვთ. და ყოველი ბნაბეჭდი ბროშურად საღდება, და ყოველივე ამაზე შარლატნურად გაჰკივიან, ფურცლებს ითვლიან (**მილიონი** ფურცელი: იხ. «რევოლუციონნაია როსსია»[130] № 16. რეკორდი გადალახეს! ჩემპიონები!).

ჩვენთან კი! ანაბეჭდები ბროშურებად არ ითვლება — ინტელიგენტობანაა, ლიტერატურობანაა!! ხელახლად გამოსცემენ ძველს, ძველთაძველ დიკშტეინებს, — მაშინ როდესაც ყოველმა პარიზელმა და ჩერნიგოველმა ქალიშვილმა იცის, რომ ა თ ი ახალი ბროშურა (ნაგავი) ასჯერ მეტს ნიშნავს, ვიდრე ერთი ძველი, მაგრამ კარგი ბროშურა.

ეს ხომ მხოლოდ გერმანელებმა იციან, ისე, რომ, მაგალითად, 1903 წელს მ ე თ ე რ თ მ ე ტ ე დ გამოსცემენ ბებელის «ჩვენს მიზნებს», რომელიც 84 წლის წინათ არის დაწერილი!! ეს მოსაწყენია. ჩვენში «მომჯადოებელი» სოციალისტ-რევოლუციონერები სწორედ ერთ ამბავში არიან. ჩვენს ადგილობრივ «მოღვაწეებს» კი არ შეუძლიათ გამოიყენონ პლეხანოვის არც ძველი (20 წლის წინათ: ძველმანია! არქივში!) ბროშურები და არც «რაიმე» ერთი (ერთი!) ბროშურა გაფიცვებზე[131] და ვიტეს ბარათზე!

მე უკვე არაფერს ვამბობ იმაზე, რომ ადგილობრივ «მოღვაწეს» თითიც კი არ გაუნძრევია, რათა გადასახლებაში მყოფ მწერალთაგან მიეღო კ ა რ გ ი ბროშურები, რ ა თ ა მ ო ე წ ყ ო ა დ გ ი ლ ო ბ რ ი ვ ი ლ ი ტ ე რ ა ტ ო რ ე ბ ი ს თ ა ნ ა მ შ რ ო მ ლ ო ბ ა «ისკრაში». ეს რა საჭიროა? ჩივილი გაცილებით უფრო ადვილი საქმეა, ვიდრე ასეთი სადავიდარაბო რამის მოგვარება! და თანამედროვე მკითხველი არც კი წითლდება და თავის თავს «ისკრელს» უწოდებს იმ უფლებით, რომ იგი «ისკრას» საჩივრებს უგზავნის. და მას ოდნავადაც არ რცხვენია, რომ «ისკრაში» $^{99}/_{100}$-ს იგივე $3^1/_2$ კაცი წერს. და ის არც კი უფიქრდება, რომ «ისკრის» შეწყვეტა არ შეიძლება, რომ $1^1/_2$—2 თაბახის ორკვირეული გამოშვება მაინც გარჯას მოითხოვს. და იგი, პირდაპირ უბადლო თავქარიანობით, მაინც გაიძახის: 31 ნომერი, ადგილებზე კი ისევ ბლომად არიან სულელები და უნიათო მოწუწუნეები!! ჭეშმარიტად გამანადგურებელი არგუმენტია... ოღონდ ვის და რას ანადგურებს იგი?

3) ფურცლები.

მოგვეცით ფურცლები! კომიტეტებს არ შეუძლიათ!! დაწერეთ, მოგვაწოდეთ, ჩამოგვიტანეთ (და გაგვივრცელეთ?) ფურცლები!

ჰმ... აი ეს კი თანმიმდევრობაა. მე პირს დავაღებ და თქვენ ჩამიყარეთ: აი «მწერლისა» და პრაქტიკოს-«ისკრელის» ურთიერთობის

ახალი ფორმულა! იმის თქმა, რომ ადგილობრივი ფურცლები ადგილობრივი ორგანიზაციების (რომლებიც დოყლაპია «მოღვაწეებისგან» შედგებიან?) ძალ-ღონეს აღემატება, რომ ეს ფურცლები საზღვარგარეთიდან უნდა მოდიოდესო, — ამაზე შორს წასვლა უკვე აღარ შეიძლება. ეს ისეთი საუცხოო (ჩემი თვალსაზრისით) დაგვირგვინებაა 7 ც. 6 ფ.-ის მთელი წერილის შენობისა, რომ მხოლოდ ამ «გვირგვინით» შემიძლია გავათავო. ეს მბრწყინავი გვირგვინი მხოლოდ გაფერმკრთალდება დამატებისა და კომენტარებისაგან.

დაწერილია 1903 წ. იანვრის მეორე ნახევარში
პირველად დაიბეჭდა 1924 წელს ჟურნალში «მოლოდაია გვარდია» № 2—3

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც., ტ. 6, გვ. 382—390.

ე. დ. სტასოვას

რატომ არ პასუხობთ «რაბოჩაია მისლის» № 16-ის გამო, რომელიც გამოცემულია ჟენევაში, ალბათ, ნადეჟდინის მიერ? ნუთუ ამასაც უპროტესტოდ დატოვებთ[132]? რა სკანდალია, რომ «რაბოჩაია მისლის» ფურცელი № 1 დასწვეს:[133] მასში, რა თქმა უნდა, ზოგი რამ უნდა შესწორებულიყო და საკმაოდაც, მაგრამ რატომ არ შეასწორეს? ეს წარმოუდგენელია, თუ რა ხდება თქვენთან! რატომაა დაკავებული ნაბეჭდი ფურცელი ბეჭდვითი სიტყვის 200 წლისთავის შესახებ[134]? დაუყოვნებლივ გვიგზავნეთ თვითეული ფურცელი, თქვენიც და სხვისიც, მუშათა და სტუდენტთა, უკლებლივ ყველა, წარწერებით, შეიძლება თუ არა ციტირება და იყო თუ არა გავრცელებული, — თვითეული ორ ცალად და ორი მისამართით, ან პირდაპირ კონვერტებით ანდა ლეგალურ გაზეთში შეხვეული. გვიგზავნეთ ბანდეროლით, ოღონდ მაგარი ბანდეროლით გარდიგარდმო.

რატომ არ გზავნით «ისკრაში» სპბ კომიტეტის ანგარიშებს თქვენ მიერ ფულის შეგროვების შესახებ? აუცილებლად გვიგზავნეთ. ძალიან გვესაჭიროება მუშათა კორესპონდენციები პიტერიდან: იშოვეთ ისინი ღვთის გულისათვის უფრო გულმოდგინედ, განსაკუთრებით უმუშევრობის შესახებ, შემდეგ იმ შთაბეჭდილების შესახებ, რასაც ლიტერატურა ახდენს.

«რაბოჩაია მისლის» ფურცელი № 1 გაასწორეთ, თან უფრო თავდაჭერილად და საქმიანად დაწერეთ;უეჭველად გამოეცით კომიტეტის შიგნით მომხდარი გათიშვის ისტორია. ნადეჟდინის «რაბოჩაია მისლი» არც შ ე ი ძ ლ ე ბ ა, გაიგეთ: ა რ შ ე ი ძ ლ ე ბ ა საჯარო პროტესტის განუცხადებლად დატოვოთ.

დაწერილია 1903 წ. 28 იანვარს
გაგზავნილია ლონდონიდან პეტერბურგში
პირველად დაიბეჭდა 1928 წ.
ლენინის კრებულში VIII

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც., ტ. 36, გვ. 115—116.

გ. ვ. პლეხანოვს

15. III. 03.

ძვირფასო გ. ვ.! თქვენი წერილი მივიღე. «მარტის იდები» დაწერეთ, ეს ჩინებულია. ზ ღ ვ რ უ ლ ი ვადა — 25.III. 03 სტატია აქ უნდა იყოს. ვ ე ლ ი თ ა უ ც ი ლ ე ბ ლ ა დ.

მასლოვს ამ დღეებში გამომიგზავნიან პარიზიდან (დავაჩქარებინებ), და მ ა შ ი ნ ვ ე გამოგიგზავნით. იქ საინტერესო მასალებია თემის მავნებლობაზე, — რომლებიდანაც ციტატები პარიზში მოვიყვანე[135].

დავიდი უკვე გამოვიწერე და ახლა ვკითხულობ. საშინლად წყალწყალა, უფერული და უხამსია. ვეცდები მალე დავამთავრო, რომ თქვენ გამოგიგზავნოთ. ნახეთ კაუცკის სტატიები ამ «ახალ პრუდონისტზე»?

მე ახლა ჩავუჯექი პოპულარულ ბროშურას გლეხებისათვის ჩვენი აგრარული პროგრამის შესახებ[136]. ძალიან მინდა ჩვენი იდეა სოფლად კლასობრივი ბრძოლის შესახებ განვმარტო კ ო ნ კ რ ე ტ უ ლ ი მონაცემებით სოფლის მოსახლეობის ოთხი ფენის შესახებ (მემამულეები, გლეხური ბურჟუაზია, საშუალო გლეხობა და ნახევრადპროლეტარები პროლეტარებთან ერთად). თქვენ რას ფიქრობთ ასეთ გეგმაზე?

პარიზიდან ისეთი შთაბეჭდილებებით წამოვედი, რომ მხოლოდ ასეთი ბროშურით შეიძლება გავფანტოთ გაუგებრობა ჩამონაჭრების შესახებ etc.

26 თებერვლის მანიფესტის შესახებ დავწერე სტატია, რომელიც ჯერ კიდევ № 34-ში დაიბეჭდება[137]. მე მტკიცედ მოვითხოვდი, რომ

ეს სტატია მოწინავედ დაბეჭდილიყო მანიფესტის უ დ ი დ ე ს ი მნიშვნელობის გამო. მაგრამ, ვგონებ, ვ. ი. ყ ო ყ მ ა ნ ო ბ ს (!) და ი. ო — სთან ერთად წყვეტს პირიქით: ჯერ მარქსზე.

ჩემი აზრით, ეს უცნაურობაა.

მაგრად გართმევთ ხელს

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

გაგზავნილია ლონდონიდან ევნევაში
პირველად დაიბეჭდა 1925 წელს

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა-
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.,
ტ. 34, გვ. 159—160.

რსდმპ II ყრილობა

1903წ. 17 (30) ივლისი — 10 (23) აგვისტო

4

პროექტი რეზოლუციისა პარტიული ლიტერატურის შესახებ

ყრილობას უთუო და აუცილებელ საჭიროებად მიაჩნია შეიქმნას ფართო პოპულარული ს.-დ. ლიტერატურა მოსახლეობის ყველა ფენისათვის და განსაკუთრებით მუშათა კლასის მასებისათვის.

ყრილობა პირველ ადგილზე აყენებს მთელი რიგი (1 — 5-თაბა-ხიანი) ბროშურების შედგენას ჩვენი პარტიული პროგრამის თვითეული (თეორიული და პრაქტიკული) პუნქტის შესახებ, სადაც დაწვრილებით იქნება გადმოცემული და განმარტებული ამ პუნქტის მნიშვნელობა; — შემდეგ მთელი რიგი (1 — 8 ნაბეჭდი გვერდის შემცველი) ფურცლების შედგენას იმავე თემებზე მასობრივად გაფანტვისა და დარიგებისათვის ქალაქად და სოფლად. ყრილობა ავალებს ცენტრალური ორგანოს რედაქციას დაუყოვნებლივ მიიღოს ყოველი ზომა ამ ამოცანის შესასრულებლად.

რაც შეეხება ხალხისათვის ან მუშათა კლასის ფართო ფენებისათვის განსაკუთრებული, პოპულარული გაზეთის გამოცემას. ყრილობა, პრინციპულად არ უარყოფს რა ამ გეგმას, უდროოდ თვლის მის დაუყოვნებლივ განხორციელებას.

დაწერილია 1903 წ. ივნის—ივლისში
პირველად დაიბეჭდა 1927 წელს
ლენინის კრებულში VI

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.,
ტ. 6, გვ. 586.

განყოფილება მეორე

ბეჭდვითი სიტყვა პროლეტარიატის დიქტატურისათვის კომუნისტური პარტიის ბრძოლის პერიოდში

პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა

სოციალ-დემოკრატიული მუშაობის ახალმა პირობებმა, რომლებიც რუსეთში ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ შეიქმნა, დღის წესრიგში დააყენა პარტიული ლიტერატურის საკითხი. არალეგალური და ლეგალური ბეჭდვითი სიტყვის განსხვავება, — ეს სავალალო მემკვიდრეობა ბატონყმური, თვითმპყრობელური რუსეთის ეპოქისა, გაქრობას იწყებს. იგი ჯერ კიდევ არ მომკვდარა, სრულიადაც არა. ჩვენი პრემიერ-მინისტრის ფარისეველური მთავრობა ჯერ კიდევ იმდენ უწესობას სჩადის, რომ მუშათა დეპუტატების საბჭოს «იზვესტია[1]» «არალეგალურად» იბეჭდება; მაგრამ, გარდა მთავრობის შერცხვენისა, გარდა ახალ-ახალი მორალური მათრახების მიღებისა, არაფერი გამოდის ბრიყვული ცდებისაგან — «აკრძალონ» ის, რისი ხელის შეშლაც მთავრობას არ ძალუძს.

არალეგალური და ლეგალური ბეჭდვითი სიტყვის განსხვავების არსებობის დროს პარტიული და არაპარტიული ბეჭდვითი სიტყვის საკითხი მეტად უბრალოდ და მეტად ყალბად, დამახინჯებულად წყდებოდა. მთელი არალეგალური ბეჭდვითი სიტყვა პარტიული იყო, მას სცემდნენ ორგანიზაციები, უძღვებოდნენ ჯგუფები, რომლებიც ასე თუ ისე დაკავშირებული იყვნენ პარტიის პრაქტიკულ მუშაკთა ჯგუფებთან. მთელი ლეგალური ბეჭდვითი სიტყვა იყო არა პარტიული, — იმიტომ რომ პარტიულობა აკრძალული იყო, — მაგრამ ამა თუ იმ პარტიისაკენ «მიიდრიკებოდა». აუცილებელი იყო მახინჯი კავშირგაბმულობა, არანორმალური «თანაცხოვრება», ყალბი შენიღბვა; ერთმანეთში იყო არეული იმ ადამიანთა სიტყვის იძულებით შეკვეცა, რომელთაც სურდათ გამოეთქვათ პარტიული შეხედულებანი, და იმ პირთა აზრის ნაკლებობა თუ აზრის სილაჩრე, ვინც ამ შეხედულებამდე ვერ მომწიფებულიყო, ვინც, არსებითად, პარტიის კაცი არ იყო.

ეზოპური სიტყვების, ლიტერატურული ლაქიობის, მონური ენის, იდეური ყმობის წყეული დრო! პროლეტარიატმა ბოლო მოუღო ამ უმსგავსობას, რომლისაგანაც სული ეხუთებოდა ყოველივეს, რაც კი რამ ცოცხალი და ახალი იყო რუსეთში. მაგრამ პროლეტარიატმა ჯერჯერობით მხოლოდ სანახევროდ ბოუპოვა თავისუფლება რუსეთს.

რევოლუცია ჯერ არ დამთავრებულა. თუ ცარიზმს უკვე აღარ ძალუძს რევოლუციის დამარცხება, რევოლუციას ჯერ კიდევ არ ძალუძს ცარიზმის დამარცხება. და ჩვენ ისეთ დროში ვცხოვრობთ, როცა ყველგან და ყველაფერში თავს იჩენს აშკარა, პატიოსანი, პირდაპირი, თანმიმდევარი პარტიულობის ეს არაბუნებრივი შეხამება არალეგალურ, შენიღბულ, «დიპლომატიურ», მოქნილ «ლეგალობასთან». ამ არაბუნებრივმა შეხამებამ ჩვენს გაზეთზედაც მოახდინა გავლენა: რამდენიც არ უნდა იოხუნჯოს ბ-ნმა გუჩკოვმა სოციალ-დემოკრატიულ ტირანიაზე, რომელიც კრძალავს ლიბერალურ-ბურჟუაზიული, ზომიერი გაზეთების ბეჭდვას, ფაქტი მაინც ფაქტად რჩება, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური ორგანოსთვის, «პროლეტარისთვის» თვითმპყრობელურ-პოლიციური რუსეთის კარები მაინც დახშულია.

ასე თუ ისე, რევოლუციის ნახევარი ყველას გვაიძულებს დაუყოვნებლივ შევუდგეთ საქმის ახლად მოგვარებას. ლიტერატურა ახლა შეიძლება $^{9}/_{10}$-ით «ლეგალურადაც» კი პარტიული იყოს. ლიტერატურა პარტიული უნდა გახდეს. წინააღმდეგ ბურჟუაზიული ზნისა, წინააღმდეგ ბურჟუაზიული სამეწარმეო, ჩარჩული ბეჭდვითი სიტყვისა, წინააღმდეგ ბურჟუაზიული ლიტერატურული კარიერიზმისა და ინდივიდუალიზმისა, «ბატონკაცური ანარქიზმისა» და მოგებისადმი მისწრაფებისა, — სოციალისტურმა პროლეტარიატმა უნდა წამოაყენოს პარტიული ლიტერატურის პრინციპი, განავითაროს ეს პრინციპი და განახორციელოს იგი რაც შეიძლება სრული და მთლიანი სახით.

რაში მდგომარეობს პარტიული ლიტერატურის ეს პრინციპი? ეს პრინციპი მდგომარეობს არა მარტო იმაში, რომ სოციალისტური პროლეტარიატისათვის ლიტერატურული საქმე არ შეიძლება პირთა თუ ჯგუფთა მოგების იარაღი იყოს, იგი საზოგადოდ არ შეიძლება ინდივიდუალური საქმე იყოს, საერთო პროლეტარული საქმისაგან დამოუკიდებელი. ძირს უპარტიო ლიტერატორები! ძირს ზეკაცი ლიტერატორები! ლიტერატურული საქმე უნდა გახდეს საერთო პროლეტარული საქმის ნაწილი, «პატარა ბორბალი და ხრახ-

ნი» ერთი მთლიანი, დიდი სოციალ-დემოკრატიული მექანიზმისა, რომელიც ჰოძრაობაში მოჰყავს მთელი მუშათა კლასის მთელ შეგნებულ ავანგარდს. ლიტერატურული საქმე უნდა გახდეს შემადგენელი ნაწილი ორგანიზებული, გეგმაშეწონილი გაერთიანებული სოციალ-დემოკრატიული პარტიული მუშაობისა.

«ყოველგვარი შედარება მოიკოჭლებსო», ამბობს გერმანული ანდაზა. მოიკოჭლებს ჩემი შედარებაც ლიტერატურისა ხრახნთან, ცოცხალი მოძრაობისა მექანიზმთან. მოინახებიან, ალბათ, ისეთი ისტერიკული ინტელიგენტებიც, რომლებიც მორთავენ გოდებას ასეთი შედარების გამო, რაც ამცირებს, ადუნებს, «აბიუროკრატებს» თავისუფალ იდეურ ბრძოლას, კრიტიკის თავისუფლებას, ლიტერატურული შემოქმედების თავისუფლებას და სხვა და სხვა. არსებითად ასეთი გოდება მხოლოდ ბურჟუაზიულ-ინტელიგენტური ინდივიდუალიზმის გამოსახულება იქნებოდა, უდავოა, ლიტერატურული საქმე ყველაზე ნაკლებ ემორჩილება მექანიკურ შეთანაბრებას, ნიველირებას, უმცირესობაზე უმრავლესობის ბატონობას. უდავოა ამ საქმეში უეჭველად საჭიროა მეტი გასაქანი მიეცეს პირად თაოსნობას, ინდივიდუალურ მიდრეკილებებს, გასაქანი მიეცეს აზრსა და ფანტაზიას, ფორმასა და შინაარსს. ყოველივე ეს უდავოა, მაგრამ ყველაფერი ეს მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ პროლეტარიატის პარტიული საქმის ლიტერატურული ნაწილი არ შეიძლება შაბლონურად გავაიგივეოთ პროლეტარიატის პარტიული საქმის სხვა ნაწილებთან. ყოველივე ეს სრულიადაც არ უარჰყოფს ბურჟუაზიისა და ბურჟუაზიული დემოკრატიისათვის იმ უცხო და უცნაურ დებულებას, რომ ლიტერატურული საქმე უსათუოდ და აუცილებლად უნდა გახდეს სოციალ-დემოკრატიული პარტიული მუშაობის ნაწილი, რომელიც განუყრელად დაკავშირებულია დანარჩენ ნაწილებთან. გაზეთები სხვადასხვა პარტიული ორგანიზაციის ორგანოები უნდა გახდნენ. ლიტერატორები უსათუოდ პარტიულ ორგანიზაციებში უნდა შევიდნენ. გამომცემლობანი და საწყობები, მაღაზიები და სამკითხველოები, ბიბლიოთეკები და წიგნების სხვადასხვა სავაჭრო — ყველაფერი ეს უნდა გახდეს პარტიული, ანგარიშვალდებული. მთელ ამ მუშაობას თვალყური უნდა ადევნოს ორგანიზებულმა სოციალისტურმა პროლეტარიატმა. მან უნდა გაუწიოს კონტროლი ყველაფერ ამას, მთელ ამ მუშაობაში, უკლებლივ, უნდა შეიტანოს ცოცხალი პროლეტარული საქმის ცოცხალი ნაკადი და, ამრიგად, ყოველგვარი ნიადაგი გამოაცალოს ძველთაძველ,

ნახევრადობლომოვისებურ, ნახევრადჩარჩულ რუსულ პრინციპს: მწერალი თავისთვის წერს. მკითხველიც თავისთვის კითხულობს.

ჩვენ, რასაკვირველია, არ ვიტყვით, რომ ეს გარდაქმნა ლიტერატურული საქმისა, რომელიც აზიურმა ცენზურამ და ევროპის ბურჟუაზიამ წაბილწა, ერთბაშად მოხდება. ჩვენ შორსა ვართ იმ აზრისაგან რომ ვიქადაგოთ რაიმე ერთსახოვანი სისტემა ან ამოცანის გადაწყვეტა რამდენიმე დადგენილებით. არა, სქემატიზმზე ამ დარგში ყველაზე ნაკლებ შეიძლება ლაპარაკი. საქმე ის არის, რომ მთელმა ჩვენმა პარტიამ, მთელმა შეგნებულმა სოციალ-დემოკრატიულმა პროლეტარიატმა მთელ რუსეთში შეიგნოს ეს ახალი ამოცანა, ნათლად დააყენოს იგი და ყველგან მოჰკიდოს ხელი მის გადაწყვეტას. თავი დავაღწიეთ რა ბატონყმური ცენზურის ტყვეობას, ჩვენ არა გვსურს ტყვედ ჩაუვარდეთ და არც ჩაუვარდებით ბურჟუაზიულ-ჩარჩულ ლიტერატურულ ურთიერთობას. ჩვენ გვსურს შევქმნათ და კიდევაც შევქმნით თავისუფალ ბეჭდვითს სიტყვას, თავისუფალს არა მარტო პოლიციისაგან, არამედ აგრეთვე კაპიტალისაგან, კარიერიზმისაგან;— ესეც ცოტაა: აგრეთვე ბურჟუაზიულ-ანარქისტული ინდივიდუალიზმისაგან თავისუფალსაც.

ეს უკანასკნელი სიტყვები პარადოქსად ან მკითხველების დაცინვად მოეჩვენებათ. რაო? შესძახებს, ალბათ, რომელიმე ინტელიგენტი, თავისუფლების მგზნებარე მომხრე. რაო? თქვენ გსურთ კოლექტიურობას დაუმორჩილოთ ისეთი სათუთი, ინდივიდუალური საქმე, როგორიცაა ლიტერატურული შემოქმედება! თქვენ გსურთ, რომ მუშები ხმების უმრავლესობით სწყვეტდნენ მეცნიერების, ფილოსოფიის, ესთეტიკის საკითხებს! თქვენ უარყოფთ აბსოლუტურად ინდივიდუალური იდეური შემოქმედების აბსოლუტურ თავისუფლებას!

— დამშვიდდით, ბატონებო! ჯერ ერთი, ლაპარაკია პარტიულ ლიტერატურაზე და პარტიული კონტროლისადმი მის დაქვემდებარებაზე. ყველას ნება აქვს სრულიად შეუზღუდავად წეროს და ილაპარაკოს ყველაფერი, რაც მასა სურს. მაგრამ ყოველ ნებაყოფლობითს კავშირს (მათ შორის პარტიასაც) აგრეთვე ნება აქვს გააძევოს ისეთი წევრები, რომელნიც ანტიპარტიულ შეხედულებათა ქადაგებისათვის პარტიის ფირმით სარგებლობენ. სიტყვისა და პრესის თავისუფლება სრული უნდა იყოს. მაგრამ კავშირების თავისუფლებაც ხომ სრული უნდა იყოს. მე ვალდებული ვარ, სიტყვის თავისუფლების გამო, მოგცე შენ სრული უფლება იყვირო, იცრუო და წერო რაც გნებავს. მაგრამ შენ ვალდებული ხარ, კავშირების თავისუფლების

გამო, მომცე უფლება დავდო ან გავწყვიტო კავშირი იმ ადამიანებთან, რომლებიც ამასა და ამას ლაპარაკობენ. პარტია ნებაყოფლობითი კავშირია, რომელიც გარდუვალად დაიშლებოდა, ჯერ იდეურად, შემდგომ კი მატერიალურადაც, იგი რომ თავის რიგებს არ სწმენდდეს ისეთი წევრებისაგან, რომელნიც ანტიპარტიულ შეხედულებებს ქადაგებენ. ხოლო პარტიულსა და ანტიპარტიულის შორის მიჯნის გასავლებად არსებობს პარტიული პროგრამა, პარტიის ტაქტიკური რეზოლუციები და მისი წესდება, დასასრულ, არსებობს მთელი გამოცდილება საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიისა, პროლეტარიატის საერთაშორისო ნებაყოფლობითი კავშირებისა, — პროლეტარიატისა, რომელსაც მუდამ შეჰყავდა თავის პარტიაში ცალკეული ელემენტები ან მიმდინარეობანი, არა სავსებით თანამიმდევარნი, არა სავსებით წმინდა მარქსისტულნი, არა სავსებით მართებულნი, მაგრამ რომელიც აგრეთვე მუდამ ახდენდა თავისი პარტიის პერიოდულ «წმენდას». ასე იქნება ჩვენთანაც, პარტიის შ ი გ ნ ი თ. ბურჟუაზიული «კრიტიკის თავისუფლების» ბატონო მომხრეებო: ახლა პარტია ჩვენში ერთბაშად მასობრივი ხდება, ახლა ჩვენ განვიცდით მკვეთრ გადასვლას აშკარა ორგანიზაციაზე, ახლა ჩვენთან უსათუოდ შემოვა ბევრი არათანამიმდევარი (მარქსისტული თვალსაზრისით) ადამიანი, შეიძლება, ზოგიერთი ქრისტიანიც, შეიძლება, ზოგიერთი მისტიკოსიც კი. ჩვენ მაგარი კუჭი გვაქვს, ჩვენ სალკდოვანი მარქსისტები ვართ. ჩვენ გადავხარშავთ ამ არათანამიმდევარ ადამიანებს. აზრის თავისუფლება და კრიტიკის თავისუფლება პარტიის შიგნით ვერაფერი ვერ დაგვავიწყებინებს ადამიანთა თავისუფლად დაჯგუფებას ნებაყოფლობით კავშირებად, რომელთაც პარტიები ეწოდება.

მეორე, ბატონო ბურჟუაზიულო ინდივიდუალისტებო, უნდა მოგახსენოთ, რომ თქვენი სიტყვები აბსოლუტურ თავისუფლებაზე მხოლოდ ფარისევლობაა. ფულის ბატონობაზე დამყარებულ საზოგადოებაში, საზოგადოებაში, სადაც მშრომელთა მასები გაღატაკებული არიან და ერთი მუჭა მდიდრები მუქთახორობენ, შეუძლებელია რეალური და ნამდვილი «თავისუფლება». განა თქვენ თავისუფალი ხართ თქვენი ბურჟუაზიული გამომცემლისაგან, ბატონო მწერალო? თქვენი ბურჟუაზიული საზოგადოებისაგან, რომელიც თქვენგან მოითხოვს პორნოგრაფიას ჩარჩოებსა და სურათებში, პროსტიტუციას «წმინდა» სასცენო ხელოვნების «დამატების» სახით? ეს აბსოლუტური თავისუფლება ხომ ბურჟუაზიული თუ ანარქისტული ფრაზაა (ვინაიდან, როგორც მსოფლმხედველობაზე ანარქიზმი უკუღმა გადმობრუნებული

ბურჟუაზიულობაა). არ შეიძლება საზოგადოებაში ცხოვრობდე და საზოგადოებისაგან თავისუფალი იყო. ბურჟუაზიული მწერლის, მხატვრის, მსახობი ქალის თავისუფლება — ეს არის მხოლოდ შენიღბული (ანდა ფარისევლურად ნიღაბაფარებული) დამოკიდებულება ფულის ქისისაგან, მოსყიდვისაგან, ხასობისაგან.

და ჩვენ სოციალისტები, ვამხელთ ამ ფარისევლობას, ვგლეჯთ ყალბ აბრებს, — არა იმიტომ, რომ ხელში შეგვრჩეს არაკლასობრივი ლიტერატურა და ხელოვნება (ეს შესაძლებელი იქნება მხოლოდ სოციალისტურ უკლასო საზოგადოებაში), არამედ იმიტომ, რომ ფარისევლურად თავისუფალ, ნამდვილად კი ბურჟუაზიასთან დაკავშირებულ ლიტერატურას დავუპირისპიროთ ნამდვილად თავისუფალი, პროლეტარიატთან ა შ კ ა რ ა დ დაკავშირებული ლიტერატურა.

ეს იქნება თავისუფალი ლიტერატურა, თავისუფალი იმიტომ, რომ არა ანგარება და არა კარიერა, არამედ სოციალიზმის იდეა და მშრომელებისადმი თანაგრძნობა მიიზიდავს ახალ-ახალ ძალებს მის რიგებში. ეს იქნება თავისუფალი ლიტერატურა იმიტომ, რომ იგი სამსახურს გაუწევს არა სალონების გულმოყირჭებულ «გმირ-ქალს», არა მოწყენილ და სისუქნის ქონით შეწუხებულ «ზედა ფენის ათეულ ათასებს», არამედ მილიონობით და ათეულ მილიონობით მშრომელებს, რომელნიც ქვეყნის საუკეთესო ნაწილს, მის ძალას, მის მომავალს შეადგენენ. ეს იქნება თავისუფალი ლიტერატურა, რომელიც კაცობრიობის რევოლუციური აზრის უკანასკნელ სიტყვას გაანაყოფიერებს სოციალისტური პროლეტარიატის გამოცდილებითა და ცოცხალი მუშაობით, რომელიც შეჰქმნის მუდმივ ურთიერთმოქმედებას წარსულის გამოცდილებასა (მეცნიერული სოციალიზმი, რომელმაც ცაცგვირგვინა სოციალიზმის განვითარება მისი პრიმიტიული, უტოპიური ფორმებიდან) და ახლანდელ გამოცდილებას შორის (ამხანაგ მუშების ახლანდელი ბრძოლა).

მაშ შევუდგეთ მუშაობას, ამხანაგებო! ჩვენს წინაშეა ძნელი და ახალი, მაგრამ დიადი და მადლიერი ამოცანა — მოვაწყოთ უდიდესი, მრავალმხრივი, მრავალსახოვანი ლიტერატურული საქმე, მჭიდროდ და განუყრელად დაკავშირებული სოციალ-დემოკრატიულ მუშათა მოძრაობასთან. მთელი სოციალ-დემოკრატიული ლიტერატურა პარტიული უნდა გახდეს. ყველა გაზეთი, ჟურნალი, გამომცემლობა და

სხვ. დაუყოვნებლივ უნდა შეუდგეს სარეორგანიზაციო მუშაობას, ისეთი მდგომარეობის მომზადებას, რომ ისინი ამა თუ იმ საფუძველზე სავსებით შედიოდნენ ამა თუ იმ პარტიულ ორგანიზაციაში. მხოლოდ მაშინ გახდება «სოციალ-დემოკრატიული» ლიტერატურა მართლაც სოციალ-დემოკრატიული, მხოლოდ მაშინ შესძლებს იგი თავისი მოვალეობის შესრულებას, მხოლოდ მაშინ შესძლებს იგი ბურჟუაზიული საზოგადოების ჩარჩოებშიც თავი დააღწიოს ბურჟუაზიის უღელს და ნამდვილად მოწინავე და ბოლომდე რევოლუციური კლასის მოძრაობას შეუერთდეს.

«ნოვაია ჟიზნ» № 12,
1905 წ. 13 ნოემბერი.
ხელმოწერა: ნ. ლ ე ნ ი ნ ი

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.,
ტ. 10, გვ. 34—41.

რსდმპ ც. ო.-ს რედაქციას[2]

პატივცემულო ამხანაგო! გთხოვთ მოათავსოთ «ისკრაში» შემდეგი განცხადება:

«ნ. ლენინი 1903 წლის 1 ნოემბრიდან (ა. სტ.) აღარ ირიცხება «ისკრის» რედაქციის წევრად».

სოციალ-დემოკრატიული სალამით

ნ. ლ ე ნ ი ნ ი.

დაწერილია 1903 წლის 5 (18) ნოემბერს
დაიბეჭდა 1904 წ.

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც., ტ. 7, გვ. 122.

ბ. ვ. პლეხანოვს

6. XI. 03.

დიდად პატივცემულო გიორგი ვალენტინის-ძევ! მე დიდხანს ვფიქრობდი თქვენს გუშინდელ განცხადებაზე იმის შესახებ, რომ თქვენ იტოვებთ «მოქმედების სრულ თავისუფლებას», თუ მე არ დავთანხმდი ვურჩიო კონიაგინს გავიდეს პარტიის საბჭოდან. მე არასგზით არ შემიძლია დავთანხმდე ამას. აგრეთვე შესაძლებლად არ მიმაჩნია კვლავ დავრჩე ფაქტიური რედაქტორის არაოფიციალურ მდგომარეობაში, მიუხედავად ჩემი გადადგომისა, რაკი თქვენ ამბობთ, რომ მოქმედების სრული თავისუფლება ისე გესმით, რომ თქვენ მიერ მარტოველებისათვის რედაქციის გადაცემასაც არ გამორიცხავს. ამიტომ მე იძულებული ვარ თქვენ გადმოგცეთ ცენტრალური ორგანოს რედაქციის მთელი ოფიციალური ურთიერთობა და მთელი მასალები, რასაც კიდევაც გიგზავნით ცალკე პაკეტით. თუ საჭირო იქნება რაიმე ახსნა-განმარტება მასალების შესახებ, რა თქმა უნდა, სიამოვნებით მოგცემთ. ზოგიერთი მასალა მიცემული აქვთ თანამშრომლებს (ლებედევს, შვარცს, რუბენს), და საჭიროა მათ ვუთხრათ, რომ ყველაფერი თქვენ გადმოგეცათ.

ნ. ლ ე ნ ი ნ ი

P. S. გთხოვთ ნუ გაიგებთ რედაქციის გადმოცემას ყბადაღებული ბოიკოტის აზრით. ეს იმის საწინააღმდეგო იქნებოდა, რაც მე პირდაპირ ვთქვი ჩემს განცხადებაში თქვენდამი ა. წ. 1 ნოემბერს.[3]

რედაქციიდან ჩემს გასვლას მე, რა თქმა უნდა, ახლა შევატყობინებ ამხანაგებს.

P. P. S. პაკეტს გიგზავნით (ხვალ დილით შიკრიკის ხელით) სამს — აა, ბბ, გგ — მასალების მნიშვნელობის მიხედვით.

52-ე ნომრის გამოშვება ნავარაუდევი იყო 16. XI ცენტრალური კომიტეტის ცნობით.[4] ამისათვის ბეჭდვა ორშაბათიდან უნდა დაიწყოს, სამშაბათიდანაც კი მოესწრება.

დაწერილია ქენევაში
პირველად დაიბეჭდა 1928 წელს

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.,
ტ. 34, გვ. 206—207.

ბ. მ. კრჟიჟანოვსკის

8. XI 03. სმიტს

ძვირფასო მეგობარო! ერთხელ კიდევ დაბეჯითებით გთხოვ ჩამოხვიდე შენ, სახელდობრ შენ, და შემდეგ კიდევ ერთი-ორი ცენტრალური კომიტეტიდან. ეს აუცილებელია უთუოდ და დაუყოვნებლივ. პლეხანოვმა გვიღალატა, ჩვენს ბანაკში საშინელი გააფთრებაა; ყველა აღშფოთებულია, რომ ლიგაში მომხდარი სკანდალების გამო პლეხანოვმა პარტიული ყრილობის გადაწყვეტილებათა გადაკეთება დაანება. მე საბოლოოდ გამოვედი რედაქციიდან. «ისკრა» შეიძლება შეჩერდეს. კრიზისი სრული და საშინელია. მხედველობაში იქონიე, რომ ახლა ვიბრძვი არა ცენტრალური ორგანოს რედაქციათვის, მე სავსებით ვურიგდები იმას, რომ პლეხანოვმა შეადგინოს 5-ეული უჩემოდ. მაგრამ მე ვიბრძვი ცენტრალური კომიტეტისათვის, რომელიც პლეხანოვის ლაჩრული ღალატის შემდეგ გათავხედებულ მარტოველებს უნდათ აგრეთვე ჩაიგდონ ხელში, მოითხოვენ იქ თავიანთი კაცების კოოპტაციას და არც კი ამბობენ, რამდენისას!! ბრძოლა ცენტრალური ორგანოს რედაქციისათვის საბოლოოდ წაგებულია პლეხანოვის ღალატის გამო. ზავის ერთადერთი შანსია: ვცადოთ დავუთმოთ მათ ცენტრალური ორგანოს რედაქცია და შევინარჩუნოთ ცენტრალური კომიტეტი — ეს სრულებითაც არ არის ადვილი (შესაძლოა ესეც კი უკვე გვიან იყოს), მაგრამ უნდა ვცადოთ. აქ აუცილებლად საჭიროა სახელდობრ სმიტი და ყველაზე უმჯობესია კიდევ ორი რუსი ცენტრალური კომიტეტიდან, რომლებიც ყველაზე გავლენიანი უნდა იყვნენ (არა მანდილოსნები) (მაგალითად, ბორისი და დოქტორი). პლეხანოვი წასვლას იმუქრება, თუ ცენტრალურმა კომიტეტმა არ დათმო: ღვთის გულისათვის. არ დაიჯეროთ მისი მუქარა; იგი უნდა დატუქსოთ, დააფრთხოთ. საჭიროა, რომ რუსეთი მტკიცედ აღდგეს ცენ-

ტრალური კომიტეტისათვის, ცენტრალური ორგანოს რედაქციის გადაცემას კი შეურიგდეს. აქ აუცილებლად საჭიროა ახალი ადამიანები ცენტრალური კომიტეტიდან, თორემ აბსოლუტურად არავინ არის, რომ მარტოველებთან მოლაპარაკება აწარმოოს. სმიტი სამგზის საჭიროა. ვიმეორებ მარტოველთა «პირობებს»: 1) მოლაპარაკება ცენტრალური ორგანოს რედაქციისა და ცენტრალური კომიტეტის სახელით, 2) 6 ცენტრალური ორგანოს რედაქციაში, 3)? ცენტრალურ კომიტეტში. ცენტრალურ კომიტეტში კოოპტაციის შეჩერება, 4) 2 ადგილი საბჭოში, 5) ცენტრალური კომიტეტის დეზავუირება ლიგის საკითხში, ლიგის ყრილობის კანონიერად აღიარება. ეს ხომ ზავის ისეთი პირობებია, რომლებსაც გამარჯვებულნი წაუყენებენ დამარცხებულთ!!

გაგზავნილია ჟენევიდან კიევში
პირველად დიბეჭდა 1928 წელს

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.,
ტ. 34, გვ. 208—209.

მ. ნ. ლიადოვს[5]

10. XI. 03.

ძვირფასო ლიდინ! მინდა მოგითხროთ ჩვენი «პოლიტიკური ახალი ამბები».

აი დასაწყისისათვის უკანასკნელი ამბების ქრონოლოგია. ოთხშაბათი (27. X თუ 28. X?) — ლიგის ყრილობის მესამე დღე. ისტერიკით შეპყრობილი მარტოვი გაჰყვირის იმ თემაზე, რომ ჩვენ მოსვრილი ვართ «ძველი რედაქციის სისხლით» (პლეხანოვის გამოთქმა) და რომ ლენინის მხრივ ყრილობაზე იყო ინტრიგების მსგავსი რამ და ა. შ.. მე მშვიდად ვიწვევ მას წერილობით (ყრილობის ბიუროსადმი განცხადებით) ა შ კ ა რ ა დ გამოვიდეს მთელი პარტიის წინაშე და ბრალდებები წამომიყენოს: მე ეკისრულობ ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ი დავბეჭდო, თორემ ეს მხოლოდ Skandalsucht* არის-მეთქი. მარტოვი, რა თქმა უნდა «კეთილშობილურად» უკან იხევს» და მოითხოვს (ახლაც კიდევ) სამედიატორო სასამართლოს; მე კვლავ მოვითხოვ, რომ მან გამბედაობა იქონიოს და აშკარად დამდოს ბრალი, — წინააღმდეგ შემთხვევაში მე ყველაფერს უ გ უ ლ ე ბ ე ლ ვ ყ ო ფ. როგორც უბადრუკ ჭორებს.

პლეხანოვი უარს ამბობს ილაპარაკოს მარტოვის «რასაკადრისი» ქცევის გამო. ათიოდე ჩვენიანს ყრილობის ბიუროში შეაქვს განცხადება და გმობს მარტოვის «არასაკადრის ქცევას», მარტოვისა, რომელმაც დავა გადაიტანა კინკლაობის, ეჭვის მიტანის etc. ნიადაგზე. ფრჩხილებში უნდა ვთქვა, ჩემს ორსაათიან სიტყვას «ამხ. მარტოვის ისტორიული შებრუნების შესახებ» პარტიულ ყრილობაზე Versumpfung - ისაკენ** მარტოველებშიც კი არ გამოუწვევია ა რ ც ერთი პროტესტი საკითხის კინკლაობის ნიადაგზე გადატანისათვის.

---

* — სკანდალის გამოწვევის ცდა. რ ე დ.

** — ჭაობიანობისაკენ. რ ე დ.

პარასკევი. ჩვენ გადავწყვიტეთ შევიყვანოთ ლიგაში 11 ახალი წევრი; საღამოს კერძო კრებაზე ამ «გრენადერებთან» (როგორც ხუმრობით ვუწოდებდით მათ) პ ლ ე ხ ა ნ ო ვ ი აკეთებს ყველა იმ ნაბიჯის რეპეტიციას, თუ რა სასტიკად ვამარცხებთ მარტოველებს. სცენა. მჭუხარე ტაში.

შაბათი. ცენტრალური კომიტეტი კითხულობს თავის განცხადებას ლიგის წესდების არდამტკიცებისა და კრების უკანონობის შესახებ (განცხადებას, რომელიც წინათ დაწერილებით, სიტყვასიტყვით განხილულ იქნა პლეხანოვთან ერთად). ჩვენები ყველანი მიდიან ყრილობიდან მარტოველთა ღრიალში: «ჟანდარმებო» etc.

შაბათი, საღამო. პლეხანოვი «გატყდა»: იგი გათიშვის თანახმა არ არის. საზავო მოლაპარაკების დაწყებას მოითხოვს.

კვირა (1. XI). მე პლეხანოვს ვაძლევ წერილობითს განცხადებას გადადგომის შესახებ (რადგან არა მსურს მონაწილეობა მივიღო ისეთ გარყვნილებაში, როგორიც არის პარტიული ყრილობის გადაკეთება საზღვარგარეთ მომხდარი სკანდალის გავლენით: აღარას ვამბობ იმაზე, რომ წმინდა სტრატეგიული თვალსაზრისითაც არ შეიძლებოდა დათმობისათვის მომენტის უფრო სულელურად შერჩევა).

3. XI. სტაროვერი წერილობით აცნობებს პლეხანოვს, რომელმაც მოლაპარაკება დაიწყო, ოპოზიციასთან ზავის პირობებს: 1) მოლაპარაკებას აწარმოებს ცენტრალური ორგანოს რედაქცია და ცენტრალური კომიტეტი. 2) «ისკრის» ძველი რედაქციის აღდგენა. 3) კოოპტაცია ცენტრალურ კომიტეტში იმ რაოდენობით, რაც მოლაპარაკების დროს განისაზღვრება. ცენტრალურ კომიტეტში კოოპტაციის შეწყვეტა მოლაპარაკების დაწყების მომენტიდან. 4) 2 ა დ გ ი ლ ი (sic)! პარტიის საბჭოში და 5) ლიგის ყრილობის კანონიერების აღიარება.

პლეხანოვი არ შემკრთალა. იგი მოითხოვს, რომ ცენტრალურმა კომიტეტმა დაუთმოს (!!!). ცენტრალური კომიტეტი უარს ამბობს და სწერს რუსეთში. პლეხანოვი აცხადებს, რომ წავა, თუ ცენტრალურმა კომიტეტმა არ დათმო. მე ვაბარებ პლეხანოვს (6. XI) რედაქციის მ თ ე ლ საქმეებს, რაკი დავრწმუნდი, რომ პლეხანოვს შეუძლია მუქთად მისცეს მარტოველებს არა მარტო გაზეთი, არამედ მ თ ე ლ ი ცენტრალური კომიტეტიც.

საქმის ვითარება: საეჭვოა, რომ «ისკრა» ვადაზე გამოვიდეს, მარტოველები ზეიმობენ თავიანთ «გამარჯვებას». ჩვენები ყველანი (ორი ქალიშვილის — აქსელროდების გარდა, რომლებიც პლეხანო-

ვის ერთგულნი არიან მის (Treulosigkeit*-შიც კი) შორდებიან პლეხანოვს და კრებაზე (6 თუ 7. XI) ეუბნებიან მას მწარე სიმართლეს (თემაზე «მეორე ისრის» შესახებ).

ხომ კარგი რამეა? მე რედაქციაში არ შევალ, წერით კი ვწერ. ჩვენებს სურთ დაიცვან, რამდენადაც კი შესაძლებელია, ცენტრალური კომიტეტი და განაგრძონ გაძლიერებული აგიტაცია მარტოველების წინააღმდეგ — გეგმა, ჩემი აზრით, სწორია.

წავიდეს პლეხანოვი: მაშინ პარტიის საბჭო «ისკრას» კომისიას გადასცემს და პარტიის სასწრაფო ყრილობას მოიწვევს. ნუთუ მართლაც უნდა დავანებოთ საზღვარგარეთულ ლიგას 3 — 4 ხმის უმეტესობით გ ა დ ა ა კ ე თ ო ს პარტიული ყრილობა?? ნუთუ მართებულია, რომ მაშინ როცა ბრძოლა მიყვანილ იქნა უდიდეს გახმაურებამდე და თითქმის განხეთქილებამდე, უკან დავიხიოთ და მივიღოთ ზავის პირობები, რომლებსაც მარტოველები გვიკარნახებენ??

მინდა ვიცოდე თქვენი აზრი.

მე ვფიქრობ, მოქცევა à la პლეხანოვი ნიშნავს პარტიული ყრილობის ჩაშლას და მისი უმრავლესობისადმი ღალატს. მე ვფიქრობ, რომ ჩვენ მთელი ძალ-ღონით უნდა გავწიოთ აქ და რუსეთში აგიტაცია პარტიული ყრილობისადმი და არა ლიგის ყრილობისადმი დამორჩილების სასარგებლოდ.

«ისკრის» ბოიკოტი (თუნდაც მარტოვის «ისკრისა»). რა თქმა უნდა, სისულელეა. თანაც იგი მარტოვისა კი არ იქნება, არამედ, შეიძლება ითქვას, პლეხანოვისა. ვინაიდან ზასულიჩი და აქსელროდი ბალე მისცემენ პლეხანოვს სამ ხმას ხუთეულში. ამას ეწოდება რედაქცია!! დამატებით თქვენი გონებამახვილი შენიშვნისა საროვსკის წმინდა ნაწილების შესახებ მომყავს პატარა სტატისტიკა: ექვსეულის «ისკრის» 45 ნომერში სტატიები და ფელეტონები მარტოვის დაწერილია 39, ჩემი 32, პლეხანოვის 24, სტაროვერის 8, ზასულიჩის 6 და პ. ბ. აქსელროდის 4. ეს სამ წელიწადში! არც ერთი № (სარედაქციო-ტექნიკური აზრით) მარტოვის ან ჩემს მეტს არავის შეუდგენია. და ახლა — სკანდალისათვის ჯილდოდ, სტაროვერის მიერ ფულის ერთი დიდი წყაროს მოკვეთის ჯილდოდ — ისინი რედაქციაში შეიყვანონ! ისინი იბრძოდნენ «პრინციპული უთანხმოებისათვის», — რაც სტაროვერის 3. XI-ის წერილში პლეხანოვისადმი ასე დამახასიათებლად გადაიქცა იმის გამოანგარიშებად, თუ რამდენი ადგილი უნდათ. და ჩვენ უნდა დავაკანონოთ ეს ბრძოლა ადგილებისათვის, გავურიგდეთ დაწუნებული გენერლების თუ მინისტ-

* — მუხანათობაში. რ ე დ.

რების ამ პარტიას (grève gènèrale des gènèraux*, როგორც პლეხანოვი ამბობდა) ან ისტერიით დაავადებულ სკანდალისტთა პარტიას!! მაშინ რაღა საჭიროა პარტიული ყრილობები. თუ საქმეები საზღვარგარეთის ნათლიმამობით, ისტერიკითა და სკანდალებით წყდება??

კიდევ უბადღებული «სამეულის» შესახებ, რომელშიც ისტერიით დაავადებული მარტოვი ჩემი «ინტრიგანობის» ცენტრს ხედავს. თქვენ ალბათ ყრილობის დროიდანვე გახსოვთ ყრილობის ჩემი პროგრამა და ჩემი კომენტარი ამ პროგრამისადმი. ძალიან მინდა, რომ პ ა რ ტ ი ი ს ყ ვ ე ლ ა წ ე ვ რ ი ი ც ნ ო ბ დ ე ს ა მ დ ო კ უ მ ე ნ ტ ს, და ამიტომ, კიდევ ერთხელ ზუსტად მოგიყვანთ მას. «პ. 23 (Tagesordnung-ისა**). პ ა რ ტ ი ი ს ც ე ნ ტ რ ა ლ უ რ ი კ ო მ ი ტ ე ტ ი ს დ ა ც ე ნ ტ რ ა ლ უ რ ი ო რ გ ა ნ ო ს რ ე დ ა ქ ც ი ი ს ა რ ჩ ე ვ ნ ე ბ ი».

ჩემი კომენტარი: «ყრილობა ირჩევს 3 პირს ცენტრალური ორგანოს რედაქციაში და 3-ს ცენტრალურ კომიტეტში. ეს 6 პირი ე რ თ ა დ, 2/3 უმრავლესობით, შეავსებს, თუ ეს აუცილებელია, ცენტრალური ორგანოს რედაქციასა და ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობას კოოპტაციით და სათანადო მოხსენებას უკეთებს ყრილობას. ყრილობის მიერ ამ მოხსენების დამტკიცების შემდეგ ცენტრალური ორგანოს რედაქცია და ცენტრალური კომიტეტი შემდგომ კოოპტაციას ცალ-ცალკე აწარმოებენ».

ნუთუ აქედან ცხადი არ არის, რომ აქ გატარებულია რედაქციის გ ა ნ ა ხ ლ ე ბ ა, რომელიც შ ე უ ძ ლ ე ბ ე ლ ი ა, თუ ცენტრალური კომიტეტის თანხმობა არ იქნა (კოოპტაციისათვის 6-დან საჭიროა 4), ამასთან თავდაპირველი 3-ეულის გაფართოების თუ მისი დატოვების საკითხი ღიად დგას (კოოპტაციას მოახდენენ «თუ ეს აუცილებ ე ლ ი ა»)? ეს პროექტი მე ყრილობამდე ვაჩვენე ყ ვ ე ლ ა ს (პლეხანოვსაც, რა თქმა უნდა). ცხადია, განახლება საჭირო იყო, რადგან არსებობდა უკმაყოფილება ექვსეულით (და განსაკუთრებით პლეხანოვით, რომელსაც ფაქტიურად ჰქონდა თითქმის არასოდეს არ მონაწილე პ. ბ. აქსელროდისა და დამთმობი ვ. ი. ზასულიჩის ხმა), ცხადია, კერძო საუბარში მარტოვთან მე. მ კ ვ ე თ რ ა დ გამოვთქვამდი ამ

* — გენერლების საყოველთაო გაფიცვა. რ ე დ.
** — დღის წესრიგისა. რ ე დ.

უკმაყოფილებას, «ვლანძღავდი» პლეხანოვსაც (განსაკუთრებით) და აქსელროდსა და ზასულიჩსაც კაპრიზებისათვის, იმასაც ვვარაუდობდი, რომ 6-ეული 7-ეულამდე გაგვეფართოვებინა და ა. შ. მაგრამ განა ისტერიკა არ არის ახლა ამ კერძო საუბრების ქექვა და ყვირილი, რომ «სამეული მიმართული იყო პლეხანოვის წინააღმდეგ», რომ მე «მახეს» ვუგებდი მარტოვს etc.?? რა თქმა უნდა, როცა მე და მარტოვი ვეთანხმებით ერთმანეთს, სამეული პლეხანოვის წინააღმდეგ იქნებოდა, ხოლო როცა პლეხანოვი ეთანხმება მარტოვს (მაგალითად, დემონსტრაციების საკითხში), მაშინ ჩემ წინააღმდეგ და ა. შ.. ისტერიული ღრიანცელი მხოლოდ ფარავს უბადრუკ უუნარობას გაიგონ, რომ რედაქციაში მხოლოდ და მხოლოდ ნამდვილი და არა ფიქტიური რედაქტორები უნდა იყვნენ, რომ ეს საქმიანი და არა ობივატელური კოლეგია უნდა იყოს, რომ იქ თ ვ ი თ ე უ ლ ს თ ა ვ ი ს ი აზრი უნდა ჰქონდეს თ ვ ი თ ე უ ლ საკითხზე (რაც არასოდეს არ ყოფილა აურჩეველთა სამეულში).

მარტოვმა მ ო ი წ ო ნ ა 2 სამეულის ჩემი გეგმა, ხოლო როცა დაინახა, რომ ეს გეგმა ე რ თ საკითხში მის, მარტოვის, წინააღმდეგ შეტრიალდა, მაშინ მან ისტერიკა გამართა და ყვირილი ატეხა ინტრიგანობაზე! ტყუილად კი არ იყო, რომ პლეხანოვმა ყრილობის კულუარებში მას «უბადრუკი ადამიანი» უწოდა!

დიახ... ბილწმა საზღვარგარეთულმა კინკლაობამ, აი რამ აჯობა რუსეთელ მუშაკთა უმრავლესობის გადაწყვეტილებას. პლეხანოვმაც გვიღალატა, ნაწილობრივ საზღვარგარეთის სკანდალის შიშით, ნაწილობრივ იმიტომ, რომ გრძნობდა (შ ე ს ა ძ ლ ო ა), რომ ხუთეულში იგი სამთა შორის იქნება...

ბრძოლა ცენტრალური კომიტეტისათვის, ახალი ყრილობის მალე (ზაფხულში) მოწვევისათვის — აი რა დაგვრჩენია ჩვენ.

ჩემი რვეული იშოვნეთ.[6] იგი პოლეტაევმა (ბაუმანმა) მ ხ ო ლ ო დ და პირადად ვეჩესლოვს გაუგზავნა. შერგოვს მისი წაღება შეეძლო მხოლოდ ყალთაბანდურად. მ ხ ო ლ ო დ ნ დ ო ბ ი ს დ ა რ ღ ვ ე ვ ი თ. წაუკითხეთ იგი ყველას, ვისაც გნებავთ, ხელზე არავის მისცეთ და დამიბრუნეთ.

ვეჩესლოვი ყველა პოზიციიდან უნდა განდევნოთ. აიღეთ თქვენ-

თვის წერილი ცენტრალური კომიტეტისაგან, გამოაცხადეთ თავი Parteivorstand-ის* წინაშე ცენტრალური კომიტეტის აგენტად და მ თ ლ ი ა ნ ა დ თქვენს ხელში აიღეთ მ თ ე ლ ი გერმანული კავშირურთიერთობა.

თქვენი ბროშურისათვის ძალიან დამნაშავე ვარ თქვენ წინაშე მხოლოდ ერთხელ მოვასწრე მისი წაკითხვა. იგი საჭიროებს გადაკეთებას, რომლის გეგმის დასახვა ვერ მოვასწრე.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია ჟენევაში
პირველად დაიბეჭდა 1928 წელს

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.,
ტ. 34, გვ. 210—216.

* — პარტიის გამგეობის (გერმანიის ს.-დ. პარტიის ცენტრალური კომიტეტის). რ ე დ.

გამოუქვეყნებელი განცხადება[7]

რსდმპ ცენტრალურმა კომიტეტმა 1903 წლის 27 ნოემბრის სხდომაზე ჟენევაში ერთხმად მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება.

ამხ. პლეხანოვის მიერ მარტოველების კოოპტაცია რედაქციაში წარმოადგენს პლეხანოვის პირდაპირ გადასვლას პარტიული ყრილობის უმცირესობის მხარეზე, უმცირესობისა, რომელიც, თვითონ პლეხანოვის არაერთგზის საჯაროდ გაკეთებული დახასიათებით, ოპორტუნიზმისა და ანარქიზმისაკენ იხრება. პარტიული ყრილობისა და ლიგის ყრილობის ოქმებიდან ეს სრული სიცხადით გამოჩნდება. ეს გადასვლა პარტიული ყრილობის ნების პირდაპირი დარღვევაა საზღვარგარეთული ლიგის გავლენით და ეწინააღმდეგება პარტიის რუსეთის კომიტეტთა უმრავლესობის მტკიცედ განცხადებულ გადაწყვეტილებას. ცენტრალურ კომიტეტს არ შეუძლია დაუშვას ყრილობის ნების ასეთი დარღვევა, მით უფრო, რომ ამხ. პლეხანოვმა თავისი ნაბიჯისათვის ისარგებლა ამხ. ლენინის გადადგომით და პირდაპირ დაარღვია ნდობა, ვინაიდან ამხ. ლენინი გადადგა პირობითად, პარტიაში სრული მშვიდობის გულისთვის. მარტოველებმა კი უარყვეს ც. კ-ის 25 ნოემბრის ულტიმატუმი,[8] უარყვეს მშვიდობა და ამით ომი გამოაცხადეს.

ამიტომაც ც. კ. რევოლუციური გზით ხელთ ხლებს პარტიის ც. ო.-ს და აცხადებს, რომ იგი მთელი ძალღონით შეეცდება მიაღწიოს იმას, რომ პარტიის მომავალ ბედს განსაზღვრავდეს ნება პარტიისა მთლიანად და არა საზღვარგარეთული ლიგის ნება და არა ცალკეული პირის ღალატი.

ცენტრალური კომიტეტი

დაწერილია 1903 წლის 14 (27) ნოემბერს
პირველად დაიბეჭდა 1928 წელს «ლენინის კრებულში» VII

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოცემა, ტ. 7, გვ. 123—124.

«ისკრის» რედაქციას[9]

ცენტრალური ორგანოს რედაქციას

12. XII. 03.

მე, როგორც ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელმა, დღეს ამხ. მარტოვისაგან მივიღე შეკითხვა, შეიძლება თუ არა დაიბეჭდოს ცნობა ცენტრალური კომიტეტის მოლაპარაკებაზე ჟენევის ოპოზიციასთან.[10] მე ვფიქრობ, რომ შეიძლება, და ძალიან ვთხოვ ამხანაგებს ცენტრალური ორგანოს რედაქციაში ერთხელ კიდევ აწონ-დაწონონ პარტიაში მშვიდობის საკითხი.

ჯერ კიდევ გვიან არ არის უზრუნველვყოთ ეს მშვიდობა. ჯერ კიდევ გვიან არ არის არ შევატყობინოთ ხალხსა და მტრებს დაწვრილებითი ცნობები გათიშვაზე და სიტყვები არაწესიერებისა და ყალბი სიების შესახებ, — სიტყვები, რომლებსაც ალბათ «მოსკოვსკიე ვედომოსტიც»[11] კი გამოიყენებს. მე გარანტიას ვიძლევი, რომ უმრავლესობა სიამოვნებით დათანხმდება დავიწყებას მისცეს მთელი ეს ხიბინძურე, იმ პირობით, თუ უზრუნველყოფილი იქნება მშვიდობა პარტიაში.

ახლა ყველაფერი დამოკიდებულია ცენტრალური ორგანოს რედაქციაზე, სადაც შედიან წარმომადგენლები ყოფილი ოპოზიციისა, რომელმაც უარყო ცენტრალური კომიტეტის 25. XI. 03 წინადადება ზაეის შესახებ[12]. მე გთხოვთ, ამხანაგებო, მხედველობაში მიიღოთ, რომ ცენტრალურმა კომიტეტმა უკვე მას შემდეგ გააკეთა ორი შემდგომი ნებაყოფლობითი დათმობა, ურჩია ამხანაგ რუ-ს გადამდგარიყო და სცადა «სიამტკბილობით» მოეგვარებინა საქმე ლიგასთან.

ამავე დროს კი ცენტრალური კომიტეტის ბოიკოტი, მის წინააღმდეგ აგიტაცია და რუსეთში პრაქტიკული მუშაობის დეზორგანიზაცია გრძელდება. რუსეთიდან გვწერენ, რომ ოპოზიცია იქ «ჯოჯოხეთს» აწყობს. ჩვენ გვაქვს სავსებით დანამდვილებითი ცნობები,

რომ უმცირესობის აგენტები დადიან კომიტეტებში და სისტემატურად განაგრძობენ დეზორგანიზატორულ მუშაობას. პიტერიდან გვწერენ, რომ აღნიშნული მიზნით იქ ჩავიდა მარტინი. საქმე იქამდე მიდის, რომ ოპოზიცია აწყობს თავის ტრანსპორტს და, დანის მეშვეობით, საზიაროდ სთავაზობს მას ცენტრალურ კომიტეტს!

პარტიის წინაშე ჩემს მოვალეობად მიმაჩნია უკანასკნელად ვთხოვო ცენტრალური ორგანოს რედაქციას — ურჩიოს ოპოზიციას ხელი მოაწეროს ზავს იმ საფუძველზე, რომ ორივე მხარემ გულწრფელად ცნოს ორივე ცენტრი და შეწყვიტოს ურთიერთ შორის ქიშპობა, რომელიც შეუძლებელს ხდის რაიმე ერთობლივ მუშაობას.

დაწერილია ჟენევაში
პირველად დაიბეჭდა 1929 წელს

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.,
ტ. 34, გვ. 220—221.

Ბ. მ. კრუიუანოვსკის

ძვირფასო მეგობარო! ჩვენთვის აუცილებლად საჭიროა საფუძვლიანად გამოვარკვიოთ საკითხი, რომელშიც ჩვენ, ჩანს, უთანხმოება გვაქვს, და მე ძალიან გთხოვ გადასცე ჩემი ეს წერილი განსახილველად ცენტრალური კომიტეტის (ან აღმასრულებელი კომისიის[13]) ყველა წევრს. უთანხმოება აი რაშია: 1) შენ ფიქრობ, რომ შესაძლებელია ზავი მარტოველებთან (ბორისი კიდევაც გვილოცავს ზავს! სასაცილოც არის და სამწუხაროც!); 2) შენ ფიქრობ, რომ ყრილობის დაუყოვნებლივ მოწვევა ჩვენი უძლურების აღიარებაა. მე დარწმუნებული ვარ, რომ შენ ორივე პუნქტში სასტიკად სცდები. 1) მარტოველებს ომი სურთ. მარტოვი ჟენევაში კრებაზე პირდაპირ გაჰყვიროდა, ჩვენ ძალა ვართო. გაზეთში ისინი გვდევნიან ჩვენ და საზიზღრად ცვლიან საკითხს, თავიანთ გაიძვერობას ფარავენ ღრიანცელით ბიუროკრატიზმის შესახებ თქვენი მისამართით. ცენტრალური კომიტეტის სრული უვარგისობის შესახებ მარტოვი კვლავ წაღმაუკუღმა გაჰყვირის. ერთი სიტყვით, გულუბრყვილობაა და პირდაპირ შეუწყნარებელია იმაში დაეჭვება, რომ მარტოველები მიზნად ისახავენ ხელში ჩაიგდონ ცენტრალური კომიტეტიც ასეთივე გაიძვერობით, ბოიკოტითა და სკანდალით. ამ ნიადაგზე მათთან ბრძოლა არ ძალგვიძს, ვინაიდან ცენტრალური ორგანო საშინელი იარაღია და ჩვენი დამარცხება გარდუვალია, განსაკუთრებით ჩავარდნათა გამო. დროის ხელიდან გაშვებით თქვენ მიდიხართ მთელი უმრავლესობის დანამდვილებით და სავსებით დამარცხებისაკენ, თქვენ ხმაამოუღებლად იტანთ ცენტრალური კომიტეტისათვის საზღვარგარეთ (ლიგის მიერ) გაწნულ სილებს და ითხოვთ ახალ სილებს. 2) ყრილობა დაამტკიცებს ჩვენს ძალას, დაამტკიცებს, რომ არა მარტო სიტყვით, არამედ საქმითაც ჩვენ არ დავუშვებთ, რომ მთელ მოძრაობას საზღვარგარეთელ სკანდალისტთა ხროვა მბრძანებლობდეს. ყრილობა საჭიროა სწორედ ახლა, როცა არის ლოზუნგი: ბრძოლა დეზორგანი-

ზაციასთან. მხოლოდ ეს ლოზუნგი ამართლებს ყრილობას და სავსებით ამართლებს მთელი რუსეთის თვალში. დროის ხელიდან გაშვებით თქვენ ხელიდან უშვებთ ამ ლოზუნგს, ამტკიცებთ თქვენს უძლურ, პასიურ დამორჩილებას მარტოველებისადმი. იმაზე ოცნება, რომ პოზიცია გაიმაგროთ დადებითი მუშაობით ცენტრალური ორგანოს მხრივ დევნა-წასისიანების პირობებში, მარტოველთა მხრივ ბოიკოტისა და აგიტაციის პირობებში, პირდაპირ სასაცილოა. ეს ნიშნავს იმას, რომ ნელ-ნელა დავიღუპოთ თავი არასასახელო ბრძოლაში ინტრიგანებთან, რომლებიც შემდეგ იტყვიან (უკვე ახლაც ამბობენ): შეხედეთ, რა ქმედუუნაროა ეს ცენტრალური კომიტეტიო! ვიმეორებ: თავს ნუ იტყუებთ ილუზიებით. ან თქვენ უკარნახებთ ზავს მარტოველებს ყრილობაზე, ანდა თქვენ სამარცხვინოდ გამოგყრიან ან შეგცვლიან პირველი ჩავარდნისთანავე. ახლა ყრილობას მიზანი აქვს: ბოლო მოუღოს შეუწყნარებელ დეზორგანიზაციას, თავიდან მოიშოროს ლიგა, რომელიც აბუჩად იგდებს ყოველ ცენტრალურ კომიტეტს, მტკიცედ აიღოს თავის ხელში საბჭო და მოაგვაროს ცენტრალური ორგანო. როგორ მოაგვაროს? — უ ა რ ე ს შემთხვევაში ხუთეულის დატოვებითაც კი (ან ექვსეულის აღდგენით); მაგრამ ეს უარესი შემთხვევა მოსალოდნელი არ არის, თუ ჩვენ დიდი უმრავლესობა გვეყოლება. მაშინ ჩვენ ან საბოლოოდ დავამარცხებთ მარტოველებს (პლეხანოვი ა ხ ლ ა უ კ ვ ე ლ ა პ ა რ ა კ ო ბ ს ახალ Vademecum-ზე* რაკი ხედავს, რომ ზავი არ არის, და იმუქრება, რომ თავს დაესხმის ორივე მოდავე მხარეს. ჩვენც სწორედ ეს გვინდა!), ან აშკარად ვიტყვით, რომ ჩვენ ხელმძღვანელი ცენტრალური ორგანო არა გვაქვს, და გადავაქცევთ მას სადისკუსიო ორგანოდ უმრავლესობისა და უმცირესობის ხელმოწერილი სტატიებით (კიდევ უკეთესი: მარტოველებთან პოლემიკა ბროშურებში გადავიტანოთ, «ისკრაში» კი ვეომოთ მხოლოდ მთავრობას და სოციალ-დემოკრატიის მტრებს).

მაშ ასე: თავი დაანებეთ გულუბრყვილო იმედს — მშვიდობიანად იმუშაოთ ასეთ შეუწყნარებელ ატმოსფეროში. მთელი მ თ ა ვ ა რ ი ძალები წარმართეთ შემოვლაზე, წავიდეს ლანი, ახლავე საბოლოოდ უ ზ რ უ ნ ვ ე ლ ყ ა ვ ი თ ჩვენი კომიტეტები, შემდეგ იერიში მიიტანეთ სხვის კომიტეტებზე და... ყრილობა, ყრილობა არა უგვიანეს იანვრისა!

P. S. თუ მარტოვი შეეკითხება ლანს გამოქვეყნების შესახებ[14]— ლანმა აუცილებლად გადასცეს ხმა კოლს, აუცილებლად, თორემ

* — გზის მაჩვენებელი. რ ე დ.

უდიდესი სკანდალი გამოვა! მარტოვი და დანი შეხვედრების დროს კოლს შეუწყნარებლად კადნიერ რამეებს ეუბნებიან!

P. P. S. დღეს, 18, მარტოველებმა კიდევ ახალი საზიზღრობა ჩაიდინეს: უარი თქვეს დაბეჭდონ № 54-ში ჩემი წერილი, თუ რატომ გამოვედი რედაქციიდან, იმ საბაბით, რომ განსი დოკუმენტების გამოქვეყნების წინააღმდეგი იყო (სიცრუეში ჩაეფლნენ! განსი წინააღმდეგი იყო ზ ა ვ ი ს პირობით!). უარს თან ახლავს უამრავი სიბილწე, როგორც, მაგალითად, ის, რომ ცენტრალური კომიტეტი აპირებდა ხელში ჩაეგდო ცენტრალური ორგანო, რომ მოლაპარაკება წარმოებდა ცენტრალური კომიტეტისათვის ნდობის დაბრუნებაზე და სხვ... ტაქტიკა ნათელია: ფარისევლურად დაფარონ დანების, მარტინების etc. ოპოზიცია ცენტრალური კომიტეტის წინააღმდეგ და გაზეთში ჩუმ-ჩუმად ლაფი ასხან ცენტრალურ კომიტეტს. მე არაფრის გულისათვის არ დავტოვებ უპასუხოდ საზიზღარ №53-ს. მიდეპეშეთ ახლავე: 1) თანახმა ხართ თუ არა ჩემი წერილის დაბეჭდვაზე «ისკრის» გ ა რ ე თ? Actien * 203; 2) თანახმა ხართ თუ არა ახლავე წარმართოთ მთელი ძალები ყრილობის მოსაწვევად? Actien 204. თუ ორივე კითხვაზე: კი, მაშინ Actien 407. თუ ორივე კითხვაზე არა, მაშინ Actien 45.

ზეგ გამოგიგზავნით ჩემს წერილს რედაქციიდან გამოსვლის შესახებ. თუ თქვენ თანახმა არა ხართ ყრილობის დაუყოვნებლივ მოწვევაზე და აპირებთ ხმაამოუღებლად აიტანოთ მარტოვის სილები, მაშინ მე ალბათ მომიხდება მთლად გამოვიდე ცენტრალური კომიტეტიდანაც.

დაწერილია 1903 წ. 18 დეკემბერს
გაგზავნილია ჟენევიდან კიევში
პირველად დაიბეჭდა 1929 წელს

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.,
ტ. 34, გვ. 222-225.

* — აქციები. რ ე დ.

«ისკრის» რედაქციას[15]

ცენტრალური ორგანოს რედაქციას

პატივცემულო ამხანაგებო!

ცენტრალური ორგანოს რედაქციის 22. XII-ის რეზოლუციის გამო ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთის წარმომადგენელს საჭიროდ მიაჩნია მიუთითოს რედაქციას ამ რეზოლუციის უკიდურეს უმართებულობაზე, რომელიც აიხსნება მხოლოდ უზომო გაბრაზებით.[16]

თუ ლენინმა, რომელიც გამოვიდა არა როგორც ცენტრალური კომიტეტის წევრი, არამედ როგორც ყოფილი რედაქტორი, თქვენი აზრით რაიმე არასწორად ჩამოაყალიბა, ეს შეგიძლიათ გამოარკვიოთ ლიტერატურაში.

არავითარი შეთანხმება იმის შესახებ, რომ მოლაპარაკება არ გამოქვეყნებულიყო, ამხ. განსს ცენტრალური კომიტეტის სახელით არ დაუდვია და, ჩვენთვის შეუტყობინებლად, არც შეეძლო დაედო. რედაქციამ ეს არ შეიძლება არ იცოდეს. ალბათ ამხ. განსმა ვარაუდი გამოთქვა, რომ გამოქვეყნება არ მომხდარიყო ფორმალური ზავის დადების შემთხვევაში.

არა მიკიბულ-მოკიბულად, არამედ სავსებით გარკვეულად ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთის წარმომადგენელმა ორჯერ აცნობა ცენტრალური ორგანოს რედაქციას, რომ იგი ნებას იძლევა გამოქვეყნდეს ლენინის წერილი.

რედაქცია უკიდურესად გაბრაზებული რომ არ მოქმედებდეს, იგი ადვილად დაინახავდა, რა უკიდურესად უადგილოა მისი შენიშვნები იმის შესახებ, თუ ცენტრალური კომიტეტის რამდენი წევრი იმყოფება საზღვარგარეთ. რედაქციის ამ და სხვა უმართებულო გა-

მოსვლებს (როგორიც არის სასაცილო მითითებანი რაღაც თითქოს «საიდუმლო» ბეჭდვაზე) ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთის წარმომადგენელი უპასუხებს მხოლოდ მოწოდებით: გახსოვდეთ პარტიული მოვალეობა და შეწყვიტოთ ისეთი მ ო ქ მ ე დ ე ბ ა, რომელსაც შეუძლია ლიტერატურული პოლემიკიდან გათიშვის საბაბთა შექმნა.

ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთის
წარმომადგენელი.

დაწერილია 1903 წ. 27 დეკემბერს
ჟენევაში
პირველად დაიბეჭდა 1929 წელს

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.,
ტ. 34, გვ. 233—234.

შენიშვნა ახალი «ისკრის» პოზიციის გამო

იმ პოზიციაში, რომელიც დაიკავა ამჟამად «მარტოვის» «ისკრამ», მე განსაკუთრებით მაშფოთებს შ ი ნ ა გ ა ნ ი ს ი ყ ა ლ ბ ე, დ ა ს ი ც რ უ ე, საქმის დედაარსის გვერდის ავლის ცდები, პარტიული საზოგადოებრივი აზრისა და გადაწყვეტილების ესკამოტირების ცდები, ცნებებისა და ფაქტების შ ე ნ ა ც ვ ლ ე ბ ი ს ცდები. და ვფიქრობ მხოლოდ საქმის უცოდინარობით შეიძლება აიხსნას ის სიჩლუნგე და ამ სიცრუისადმი გულგრილობა, უგრძნობლობა, რომელსაც ზოგიერთი ამხანაგი იჩენს. უცოდინარობას ახსნა-განმარტებით უნდა შეებრძოლო და მეც არავითარ შემთხვევაში ხელს არ ავიღებ ჩემს განზრახვაზე — არქიდაწვრილებით (თუ საჭირო იქნება ყ ვ ე ლ ა დოკუმენტით) განვმარტო მთელი საქმე საგანგებო ბროშურაში, რომელსაც ხელს მოვკიდებ, როგორც კი პარტიისა და ლიგის ყრილობათა ოქმები გამოვა, ე. ი. ძალიან მალე.[17]

ძირითადი გ ა ყ ა ლ ბ ე ბ ა, რომლის მეოხებითაც ა ტ ყ უ ე ბ ე ნ მარტოველები პარტიას (ატყუებენ, შესაძლოა და მოსალოდნელიც კია, უწინარეს ყოვლისა თავიანთ თავს საკუთარი ისტერიულობის გამო), ეს არის, ჯერ-ერთი, ისკრელთა დაშორების ნამდვილი წყაროებისა და მიზეზების შ ე ნ ა ც ვ ლ ე ბ ა. მეორე, ეს არის წრეობანისა და დეზორგანიზაციის, სექტანტობისა და პარტიულობის ცნებათა შ ე ნ ა ც ვ ლ ე ბ ა.

პირველი შენაცვლება იმაში მდგომარეობს, რომ «პრინციპულ» უთანხმოებად სახავენ იმ, არსებითად, უ რ თ ი ე რ თ ლ ა ნ ძ ღ ვ ა ს, რომლითაც უმასპინძლდებოდა ერთმანეთს ორივე მხარე ყრილობის შემდეგ ოპოზიციასთან ცენტრების ბრძოლის დროს. ურთიერთლანძღვა იმაში მდგომარეობდა, რომ ოპოზიცია უმრავლესობას უწოდებდა თვითმპყრობელებს, ფორმალისტებს, ბიუროკრატებს etc*,

* et cetera — და სხვ. რ ე დ.

ხოლო უმრავლესობა ოპოზიციას უწოდებდა ისტერიულ გაიძვერებს, დაწუნებული მინისტრების ან ისტერიული სკანდალისტების პარტიას (იხ. ლიგის ყრილობა).

და აი ახლა ამ ურთიერთ «კომპლიმენტთა» ერთი მხარე ც. ო.-ში გამოაქვთ როგორც პრინციპული უთანხმოება! განა ეს საზიზღრობა არ არის?

ნამდვილად კი დაშორების მიზეზი იყო მარტოველთა შებრუნება ჭაობისაკენ. ეს შებრუნება ნათლად გამოხატა ყრილობაზე კამათმა წესდების § 1-ის გამო და დაჯგუფებამ ცენტრების არჩევის დროს. ამ უთანხმოებას, თავის გარკვეულ ნაწილში უეჭველად პრინციპულ უთანხმოებას, გვერდს უვლიან და აფუჩეჩებენ.

მეორე შენაცვლება იმაში მდგომარეობს, რომ მარტოველები. რომელთაც სამი თვის განმავლობაში დეზორგანიზაცია შეჰქონდათ მთელს პარტიასა და მთელს მუშაობაში წრის ინტერესების გულისათვის, ცენტრებში გაძრომის გულისათვის (ვინაიდან არავინ არ ზღუდავდა პოლემიკას არსებითად და აზრთა გამოთქმის თავისუფლებას, პირიქით, მარტოველებს ეპატიჟებოდნენ და სთხოვდნენ ეწერათ), ახლა ეს მარტოველები, როდესაც უკანა კარებიდან გაძვრნენ რედაქციაში, სიყალბეს სჩადიან უმრავლესობის წინააღმდეგ სასაცილო ბრალდების წაყენებით — ბრალად სდებენ დეზორგანიზაციის გამომწვევ ფორმალიზმს, ბიუროკრატიზმს, და სხვ. ამასთან აფუჩეჩებენ თავიანთ ბოიკოტს, თავიანთ გაიძვერობას etc. განა ეს საზიზღრობა არ არის? ორში ერთი: ან დავიწყებას უნდა მიეცეს მთელი «კინკლაობა» და მაშინ სულ აღარ უნდა ვილაპარაკოთ მასზე, არ უნდა გავაჭაანოთ ც. ო.-ში კინკლაობის ნატამალიც კი, რადგან ბიუროკრატიზმზე ყვირილი სწორედ რომ საძაგელი გაიძვერობის ნატამალია. ან უნდა აღიძრას აზრთა სხვადასხვაობის საკითხი — და მაშინ უკვე ყველაფერი უნდა გამოვააშკარავოთ.

დაწერილია 1903 წლის დეკემბერში
პირველად დაიბეჭდა 1929 წელს
ლენინის კრებულში X

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.,
ტ. 7, გვ. 145—147.

ცენტრალურ კომიტეტს

P.S.[18] 2. I. 04. ეს არის მივიღე კორექტურა აქსელროდის სტატიისა «ისკრის» № 55-ში (№ 55 ორიოდე დღეში გამოვა). გაცილებით უფრო ბილწია, ვიდრე მარტოვის სტატია («ჩვენი ყრილობა») № 53-ში. აქ «პატივმოყვარული ფანტაზიებიც» არის, რომლებიც «შთაგონებულია გადმოცემებით შვაიცერის დიქტატურის შესახებ». აქ კვლავ არის ბრალდებანი, რომ «ყოვლისმცოდნე ცენტრი» «პირადი (sic!*) შეხედულებისამებრ განაგებს» «პარტიის წევრებს, რომლებიც გადაქცეული არიან (!!) პატარა ხრახნებად და ბორბლებად». «აურაცხელ ყოველნაირ უწყებათა, დეპარტამენტთა, განყოფილებათა, კანცელარიათა, სახელოსნოთა დაარსება». რევოლუციონერების გადაქცევა (ღმერთმანი, ასეა!) «სტოლონაჩალნიკებად, კანცელარისტებად, ფელდფებლებად, უნტერ-ოფიცრებად, ჯარისკაცებად, ჩაფრებად, ხელოსნებად» (sic!) ცენტრალური კომიტეტი (უმრავლესობის განზრახვით) «ამ ხელისუფლების («ისკრის» რედაქციის ხელისუფლების) მხოლოდ კოლექტიური აგენტი უნდა იყოს, მის სასტიკ მეურვეობასა და ფხიზელ კონტროლში უნდა იმყოფებოდესო». ასეთია «თეოკრატიული ხასიათის ორგანიზაციული უტოპიაო» (sic!) «ბიუროკრატიული ცენტრალიზმის ზეიმი პარტიულ ორგანიზაციაში — ასეთია შედეგი»... (ღმერთმანი, ასეა!). ამ სტატიის გამო მე კვლავ და კვლავ მივმართავ ცენტრალური კომიტეტის ყველა წევრს: ნუთუ შეიძლება უპროტესტოდ და უბრძოლველად დავტოვოთ ეს? ნუთუ ვერა გრძნობთ, — ამას ხმაამოუღებლად რომ იტანთ, თქვენ იქცევით — არც მეტი არც ნაკლები — ჭორის დამტარებლებად (შვაიცერისა და მისი პაიკების შესახებ) და ცილისწამების გამავრცელებლებად (ბიუროკრატების, ე. ი. თვით თქვენი და მთელი უმრავლესობის შესახებ)? და ასეთი «იდეური ხელმძღვანელობით» შესაძლებლად მიგაჩნიათ «დადებითი მუშაობის» წარმოება? თუ თქვენ

* — ასეა. რ ე დ.

ოცით პატიოსანი ბრძოლის რაიმე სხვა საშუალება გარდა ყრილობისა??

((მარტოველების მხარეზეა, როგორც ჩანს, კიევი, ხარკოვი, სამთამადნო რაიონი, როსტოვი და ყირიმი. ეს არის 10 ხმა + ლიგა + ცენტრალური ორგანოს რედაქცია + 2 საბჭოში = 16 ხმა 49-დან. ერთბაშად რომ წარვმართოთ მთელი ძალები ნიკოლაევზე, ციმბირსა და კავკასიაზე, ს ა ვ ს ე ბ ი თ შეიძლება მათი დატოვება ⅓-ზე)).

გაგზავნილია ჟენევიდან რუსეთში
პირველად დაიბეჭდა 1929 წელს

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.,
ტ. 34, გვ. 239—240.

წინასიტყვაობა ბროშურისა «წერილი ამხანაგს ჩვენი ორგანიზაციული ამოცანების შესახებ»

ჩემს მიერ გადმობეჭდილი «წერილი ამხანაგისადმი» ერთ წელიწადზე მეტია, რაც დაიწერა, — თუ მეხსიერება არ მღალატობს, 1902 წლის სექტემბერს. თავდაპირველად ის ხელიდან ხელში გადადიოდა ასლების სახით და ვრცელდებოდა მთელს რუსეთში, როგორც ისკრულ ორგანიზაციულ შეხედულებათა გადმოცემა. შემდეგ ციმბირის კავშირმა წარსული წლის ივნისში გადაბეჭდა ეს წერილი და გაავრცელა ფრიად მნიშვნელოვანი რაოდენობით. ამრიგად ეს წერილი უკვე სავსებით საჯარო კუთვნილებად გადაიქცა, და ახლა არავითარი საფუძველი აღარ არსებობს შევაფერხოთ მისი გამოქვეყნება. ის მოსაზრება, რომლის გამო არ ვბეჭდავდი ამ წერილს წინათ, — სახელდობრ ლიტერატურულად მისი მეტისმეტად დაუმუშავებლობა, მისი სრულიად «შავად ნაწერის» ხასიათი — ახლა მხედველობაში მისაღები არ არის, რადგან სწორედ ასე შავად ნაწერს გაეცნო ამ წერილს უკვე ბევრი რუსი პრაქტიკოსი. გარდა ამისა, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი მოსაზრება ამ წერილის შავად ნაწერის სახით გადაბეჭდვისათვის (მე მასში მხოლოდ სრულიად აუცილებელი სტილისტური შესწორებანი შევიტანე) არის მისი მნიშვნელობა ახლა, როგორც «დოკუმენტისა»*. «ისკრის» ახალმა რედაქციამ უკვე № 53-ში წამოაყენა, როგორც ცნობილია, უთანხმოებანი ორგანიზაციული საკითხების გამო. სამწუხაროდ, სახელდობრ რაში მდგომარეობს ეს უთანხმოებანი, რედაქცია არ ჩქარობს გარკვევით აღნიშნოს და მეტწილად სჯერდება გადაკვრით ლაპარაკს იმაზე, რაც არავინ უწყის.

უნდა შეეეცადოთ და ახალ რედაქციას შევუმსუბუქოთ ეს ძნელი

---

* მას შემდეგ, რაც ჩემმა ოპონენტებმა არა ერთხელ გამოთქვეს სურვილი გამოეყენებინათ ეს წერილი, როგორც დოკუმენტი, მე ჩემის მხრივ მასში რაიმე ცვლილების შეტანას გადაბეჭდვის დროს პირდაპირ... როგორ ვთქვა უფრო რბილად?.. უხერხულად მივიჩნევდი.

ამოცანა. დაე «ისკრის» ძველი ორგანიზაციული შეხედულებები ყველასათვის ცნობილი გახდეს დეტალურად, თუნდაც შავად ნაწერის სახით, — შეიძლება მაშინ მაინც გაუმხილოს ახალმა რედაქციამ თავისი ახალი ორგანიზაციული შეხედულებები იმ პარტიას, რომელსაც ის «იდეურად ხელმძღვანელობს». შეიძლება, ახალმა რედაქციამ მაშინ მაინც გაგვაცნოს იმ ძირითადი ცვლილებების ზუსტი ფორმულირება, რომელთა შეტანას ჩვენს პარტიულ ორგანიზაციულ წესდებაში ის, ალბათ, ივარაუდებდა. ვინაიდან ვის არ ესმის, მართლაც, რომ სწორედ ამ ორგანიზაციულმა წესდებამ აითვისა ჩვენი მუდმივი ორგანიზაციული გეგმები?

თუ მკითხველები «რა ვაკეთოთ?»-ს და «ისკრის» სტატიებს ორგანიზაციულ საკითხებზე შეადარებენ ამ «წერილს ამხანაგისადმი», ხოლო ამ უკანასკნელს შეადარებენ მეორე ყრილობაზე მიღებულ წესდებას, მათ შეუძლიათ ნათელი წარმოდგენა იქონიონ იმაზე, თუ რა თანმიმდევრად ვატარებდით ჩვენ, ისკრელთა უმრავლესობა და პარტიული ყრილობის უმრავლესობა, ჩვენს ორგანიზაციულ «ხაზს». ხოლო «ისკრის» ახალი რედაქციისაგან ჩვენ მოველოდებით, და დიდი მოუთმენლობითაც მოველოდებით მის ახალ ორგანიზაციულ შეხედულებათა გადმოცემას, მოველოდებით მითითებას, სახელდობრ რაზე და სახელდობრ რა მომენტიდან გაუტყდა მას გული და რატომ დაიწყო «დაწვა იმისა, რასაც თაყვანს სცემდა».

ნ. ლენინი

1904 წ. იანვარი.

დაიბეჭდა 1904 წელს ბროშურაში ნ. ლენინი. «წერილი ამხანაგს ჩვენი ორგანიზაციული ამოცანების შესახებ», ჟენევა

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით. მე-4 გამოც., ტ. 7, გვ. 149—150.

ბოლოსიტყვაობიდან ბროშურისა «წერილი ამხანაგს ჩვენი ორგანიზაციული ამოცანების შესახებ»

«ისკრის» რედაქცია № 55-ში ამბობს, რომ ც. კ. და ოპოზიცია «შეთანხმდნენ დავიწყებას მიეცეს» ის ფაქტები, რომლებიც მოხსენიებულია ჩემს «წერილში «ისკრის» რედაქციის მიმართ» («რატომ გამოვედი «ისკრის» რედაქციიდან?»). რედაქციის ეს განცხადება «ფუჭი წერაა», ჭეშმარიტად ფორმალისტური, ბიუროკრატული და კანცელარიული (ამხ. აქსელროდის მშვენიერი სტილით რომ ვთქვათ). ნამდვილად კი ასეთი შეთანხმება ა რ ყ ო ფ ი ლ ა, როგორც ამას პირდაპირ აცხადებს ც. კ-ის საზღვარგარეთელი წარმომადგენელი საგანგებო ფურცელში, რომელიც გამოვიდა «ისკრის» № 55-ის გამოსვლისთანავე. ასეთი შეთანხმება ა რ ც შ ე ი ძ ლ ე ბ ო დ ა ყ ო ფ ი ლ ი ყ ო, როგორც ეს ცხადი უნდა იყოს ყველასათვის, ვინც ყურადღებით წაიკითხავს ჩემს წერილს, ვინაიდან ოპოზიციამ უ ა რ ჰ ყ ო «კეთილი ზავი», რომელიც წამოაყენა ც. კ-მა და რომელშიც, უ ს ა თ უ ო დ, შეტანილი იქნებოდა პირობა — დავიწყებას მისცემოდა ყველაფერი ის, რაც ღირსია დავიწყებისა. ნუთუ რედაქცია იმდენად გულუბრყვილო იყო, რომ მას შემდეგ, რაც ზავი უარჰყო და № 53-ში ო მ ი დ ა ი წ ყ ო ყ ბ ა დ ა ღ ე ბ უ ლ ი ბ ი უ რ ო კ რ ა ტ ი ზ მ ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ, მას იმედი ჰქონდა, რომ მოპირდაპირე მხარე კრინტს არ დაძრავდა ამ ბიუროკრატიზმის ზღაპრების ნ ა მ დ ვ ი ლ წ ყ ა რ ო ზ ე?

რედაქციას ძალიან, ძალიან არ მოეწონა, რომ მე ამ ზღაპრების ნამდვილ წყაროს კ ი ნ კ ლ ა ო ბ ა ვუწოდე (Literatengezänk–ლიტერატორების კინკლაობა). ოღონდაც! მაგრამ უბადრუკი სიტყვების კორიანტელი ამ მართლაც არასასიამოვნო ფაქტის გამო ჯერ კიდევ არ ნიშნავს ამ ფაქტის გაბათილებას.

ნებას ვაძლევთ ჩვენს თავს ორი შეკითხვა მივცეთ უპატივცემულეს რედაქციას.

პირველი შეკითხვა. რატომ არის, რომ ზოგიერთს მხოლოდ თავშესაქცევად ეჩვენება, როცა უსასტიკეს ბრალად სდებენ — თვითმპყრობელობას, რობესპიერისებურ რეჟიმს, გადატრიალების მოხდენას და სხვ. და სხვ., სხვებს კი საშინლად სწყინთ მშვიდი ლაპარაკი ფაქტებზე და ფაქტიურად მოთხოვნილ გენერლის ადგილებზე? იმდენად სწყინთ, რომ სრულიად «უმაქნისო» სიტყვებს წარმოთქვამენ «პიროვნებებზე», «მორალურ ჩრდილზე» და «მდაბალ (საიდან სადაო??) მოტივებზედაც კი»? რატომაა ასეთი განსხვავება, ჩემო მეგობრებო, — ჰა? იმიტომ ხომ არა, რომ გენერლის ადგილი «უფრო მდაბალია», ვიდრე თვითმპყრობელის ადგილი?

მეორე შეკითხვა. რატომ არ განუმარტავს მკითხველებს რედაქცია, თუ რატომ გამოთქვამდა იგი (იმ შორეულ დროს, როცა ის ოპოზიციას ეკუთვნოდა და სინამდვილეში წარმოადგენდა «უმცირესობას») სურვილს დავიწყებას მისცემოდა ზოგიერთი ფაქტი? ხომ არ ფიქრობს რედაქცია, რომ მარტო აზრად გავლებაც კი სურვილისა, რათა «დავიწყებას მისცემოდა» პრინციპული უთანხმოებანი — უაზრობაა და არც ერთ ჭკუათამყოფელ ადამიანს არ მოუვიდოდა თავში?

ხომ ხედავთ, რა მოუხერხებელნი ხართ, ჩემო ძვირფასნო «პოლიტიკურო მოწინააღმდეგენო»! თქვენ გინდოდათ მოგესპეთ ბრალდებით, თითქოს მე პრინციპული დავა კინკლაობის სფეროში გადამქონდეს, ხოლო ამის ნაცვლად თქვენ დაადასტურეთ ჩემი მტკიცება ზოგიერთი თქვენი «უთანხმოების» ნამდვილი წყაროს შესახებ.

შემდეგ. თავისი მოუხერხებლობის გამო რედაქციამ აღიარა კინკლაობა იყოო, მაგრამ არ გაისარჯა განემარტა მკითხველებისთვის, სად თავდება, მისი აზრით, პრინციპული უთანხმოება და სად იწყება კინკლაობა. რედაქცია ყურს იყრუებს იმაზე, რომ მე ჩემს წერილში ვცდილობ სრულიად ზუსტად გავმიჯნო როგორც ერთის, ისე მეორის სფერო. მე იქ ცხადვყოფ, რომ პრინციპულმა უთანხმოებამ (არც ისე დიდად ღრმამ, რომ ნამდვილი დაშორება გამოეწვია) თავი იჩინა წესდების § 1-ის საკითხის გამო და გაფართოვდა ისკრული უმცირესობის არაისკრულ ელემენტებთან დაახლოებით ყრილობის დასასრულს. ცხადვყოფ აგრეთვე იმასაც, რომ ლაპარაკი ბიუროკრატიზმზე, ფორმალიზმზე და სხვ. უწინარეს ყოვლისა წარმოადგენს იმ კინკლაობის უბრალო გამოძახილს, რომელსაც ადგილი ჰქონდა ყრილობის შემდეგ.

რედაქცია, ალბათ, არ ეთანხმება «პრინციპულობისა» და «დასავიწყებელის» ამგვარ გამიჯვნას? მაშ რატომ არ გაისარჯა, რომ ეცნობებინა თავისი აზრი ამ სფეროთა «სწორად» გამიჯვნის შესახებ? იმიტომ ხომ არა, რომ ეს სფეროები ჯერ კიდევ არ გამიჯნულან (და არც შეიძლება გაიმიჯნონ) მის შეგნებაში?

პატივცემული ამხანაგ აქსელროდის ფელეტონის მიხედვით, რომელიც «ისკრის» იმავე № 55-შია მოთავსებული, მკითხველებს შეუძლიათ განსაჯონ საით მივყავართ ამ... განურჩევლობას და რას ემსგავსება ჩვენი ცენტრალური პარტიული ორგანო. ჩვენს დავაზე წესდების § 1-ის შესახებ ამხ. აქსელროდი კრინტსაც არა ძრავს არსებითად და კმაყოფილდება გადაკრული სიტყვებით «პერიფერიულ საზოგადოებებზე», რაც აბსოლუტურად გაუგებარია იმისათვის, ვინც ყრილობას არ დასწრებია. ამხ. აქსელროდს, ალბათ დაავიწყდა, რა დიდხანს და საფუძვლიანად ვდავობდით § 1-ის გამო! სამაგიეროდ ამხ. აქსელროდმა შეიმუშავა «თეორია», რომლის მიხედვით «ყრილობაზე გამოცხადებულ ისკრელთა უმრავლესობა გამსჭვალული იყო რწმენით, რომ მათი მთავარი ამოცანაა... ბრძოლის გაჩაღება შინაურ მტრებთან». «ამ მისიის გამო» უმრავლესობისათვის «დაიჩრდილა (პატივცემულ ამხ. აქსელროდის მტკიცე რწმენით) მომავალი დადებითი ამოცანა». «დადებითი მუშაობის პერსპექტივამ გადაიწია გაურკვეველი მომავლის ნისლოვან სიშორეში»; პარტიის წინაშე დგას უფრო გადაუდებელი «სამხედრო ამოცანა შინაური მტრების დაცხრომისა». და ამხ. აქსელროდს სიტყვებიც ვერ მოუნახავს, რომ გაჰკიცხოს ეს «ბიუროკრატული* (ანუ მექანიკური) ცენტრალიზმი». ეს «იაკობინური» (!!?) გეგმები, ეს «დეზორგანიზატორები», რომლებიც ვილაცას «ავიწროებენ და სდევნიან, როგორც «კრამოლნიკებს»».

რათა ცხადვყოთ, რა ფასი აქვს ამ თეორიას; — უფრო სწორად რომ ვთქვათ, ამ ბრალდებებს ყრილობის უმრავლესობის მიმართ — კრამოლის (ალბათ, წარმოსახული კრამოლის) დევნის დეზორგანიზატორული ტენდენციებისა და დადებითი მუშაობის უგულებელყოფის შესახებ, ჩემთვის საკმარისი იქნება მოვაგონო გულმავიწყ ამხ. აქსელროდს ერთი (ჯერჯერობით ერთი) პატარა ფაქტი. 1903 წლის 6 ოქტომბერს, მას შემდეგ, რაც დიდხანს ვარწმუნეთ

* მართლა. რედაქციის ყურადღებას მივაქცევ იმას, რომ ჩემი ბროშურა გამოდის «დადგენილი სათაურით». როგორც დაჯერებული ცენტრალისტი, მე ვემორჩილები ჩვენი ც. ო-ს «პრინციპულ» მითითებებს; მან № 55-ში შემოიღო განყოფილება პარტიულ გამოცემათა მიმოხილვისა «სათაურთა» თვალსაზრისით (ფორმალიზმთან ბრძოლის გულისთვის).

უმცირესობის წევრები, თუ რა უაზრო და დეზორგანიზატორული ხასიათისა იყო მათი ბოიკოტი, ჩვენ პლეხანოვთან ერთად ოფიციალურად ვთხოვეთ «კრამოლნიკ» ლიტერატორებს (და მათ შორის ამხ. აქსელროდსაც) ხელი მოეკიდნათ დადებითი მუშაობისთვის და ოფიციალურად განვუცხადეთ, რომ ამ მუშაობაზე უარისთქმა უგუნურებაა როგორც პირადი გაბრაზების თვალსაზრისით, ისე ამა თუ იმ უთანხმოებათა (რომელთა გადმოსაცემად ჩვენ ვუთმობთ ჩვენი გამოცემების ფურცლებს) თვალსაზრისითაც.

ამხ. აქსელროდმა ეს დაივიწყა. მან დაივიწყა, რომ მაშინ გადაჭრით უარი გვტკიცა მიზეზების სრულიად განუმარტებლად. მან დაივიწყა, რომ მისთვის მაშინ, ამ ძველისძველ დროს, «დადებითი მუშაობა გადაიწეოდა გაურკვეველი მომავლის ნისლოვან სიშორეში», რომელი მომავალიც მხოლოდ 1903 წლის 26 ნოემბერს იქცა სასურველ აწმყოდ[19].

ამხ. აქსელროდმა არათუ «დაივიწყა» ეს, არამედ საერთოდ მისი სურვილი იქნებოდა «დავიწყებისათვის მიეცა» მსგავსი «პიროვნებები», ხომ ასეა?

როცა უმცირესობას მიუთითებენ იმაზე, რომ მას მთელი თვეების განმავლობაში დეზორგანიზაცია შეჰქონდა პარტიაში, მიტოვებული ჰქონდა დადებითი მუშაობა, უამრავ ძალებს უცდენდა ც. კ-ს თავისი კინკლაობით, — ეს «პირადი ამბებია», ეს ნიშნავს მორალური ჩრდილის მიყენებას, ეს ნიშნავს ტენდენციათა ბრძოლის ჩამოქვეითებას კინკლაობის დონემდე. ამას ადგილი არ უნდა ჰქონდეს ც. ო-ს ფურცლებზეო...

დაწერილია 1904 წლის იანვარში
დაიბეჭდა 1904 წელს ბროშურაში
ნ. ლენინი. «წერილი ამხანაგს
ჩვენი ორგანიზაციული ამოცანების
შესახებ», ჟენევა

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით. მე-4 გამოც.,
ტ. 7, გვ. 151—155.

ნიგნიდან

«ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან

(კრიზისი ჩვენს პარტიაში)»

ზ) პარტიის წესდება. ამხ. მარტოვის პროექტი

პროგრამიდან ყრილობა გადავიდა პარტიის წესდებაზე (გვერდს ვუველით ზემოთ განხილულ საკითხს ც. ო-ს შესახებ და დელეგატთა მოხსენებებს, რომლებიც, სამწუხაროდ, დელეგატების უმრავლესობის მიერ ვერ იქნა დამაკმაყოფილებელი სახით წარმოდგენილი). ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ წესდების საკითხს ყველა ჩვენგანისთვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. მართლაც, «ისკრა» ხომ თავიდანვე გამოვიდა არა მარტო როგორც ლიტერატურული ორგანო, არამედ აგრეთვე როგორც ს ა ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ო უ ჯ რ ე დ ი. მეოთხე ნომრის სარედაქციო სტატიაში («რით დავიწყოთ?») «ისკრამ» წამოაყენა მთელი ორგანიზაციული გეგმა*, და სისტემატურად, განუხრელად ატარებდა ამ გეგმას ს ა მ ი წ ლ ი ს განმავლობაში. როცა პარტიის მეორე ყრილობამ «ისკრა» ცენტრალურ ორგანოდ აღიარა, სათანადო რეზოლუციის დასაბუთების სამი პუნქტიდან (გვ. 147) ორი პუნქტის საგანი იყო «ი ს კ რ ი ს» ს წ ო რ ე დ ე ს ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ო ს ლ ი გ ე გ მ ა დ ა ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ო ს ლ ი ი დ ე ე ბ ი: «ისკრის» როლი პ რ ა ქ ტ ი კ ულ ი პარტიული მუშაობის ხელმძღვანელობის საქმეში და ხელმძღვანელი როლი გამაერთიანებელ მუშაობაში. ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ «ისკრის»

---

* თავის სიტყვაში «ისკრის» ცენტრალურ ორგანოდ აღიარების შესახებ ამხ. პოპოვი, სხვათა შორის, ამბობდა: «მე მაგონდება «ისკრის» მე-3 თუ მე-4 ნომერში მოთავსებული სტატია — «რით დავიწყოთ?». რუსეთში მომუშავე ბევრმა ამხანაგმა ეს სტატია უტაქტობად მიიჩნია; სხვებს ეს გეგმა ფანტასტიკურად ეჩვენებოდა, და უმრავლესობა (? ალბათ, ამხ. პოპოვის გარშემო შემოკრებილ პირთა უმრავლესობა) ხსნიდა მას მხოლოდ პატიემოყვარეობით» (გვ. 140). როგორც მკითხველი ხედავს, მე შეჩვეული ვარ იმას, რომ ჩემი პოლიტიკური შეხედულებანი ახსნან პატივმოყვარეობით, ასეთ ახსნას ახლა აღვივებენ ამხ. აქსელროდი და ამხ. მარტოვი.

მუშაობა და პარტიული ორგანიზაციის მთელი საქმე, პარტიის ფაქტიური აღდგენის მთელი საქმე არ შეიძლებოდა დამთავრებულად ჩათვლილიყო, სანამ მთელი პარტიის მიერ აღიარებული და ფორმალურად განმტკიცებული არ იქნებოდა განსაზღვრული ორგანიზაციული იდეები. ეს ამოცანა უნდა შეესრულებინა სწორედ პარტიის საორგანიზაციო წესდებას.

ძირითადი იდეები, რომელთა პარტიული ორგანიზაციის საფუძვლად დადებას ცდილობდა «ისკრა», არსებითად ორ შემდეგ იდეას შეიცავდა. პირველი, ცენტრალიზმის იდეა, პრინციპულად განსაზღვრავდა, თუ როგორ უნდა გადაჭრილიყო კერძო და დეტალური ორგანიზაციული საკითხების მთელი მასა. მეორე — იდეურად ხელმძღვანელი ორგანოს, გაზეთის, განსაკუთრებული როლი, მხედველობაში იღებდა სწორედ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა მოძრაობის დროებითსა და განსაკუთრებულ საჭიროებებს პოლიტიკური მონობის ვითარებაში, იმ პირობით, თუ რევოლუციური შეტევის თავდაპირველი საოპერაციო ბაზა შეიქმნებოდა საზღვარგარეთ. პირველ, როგორც ერთადერთს პრინციპულ, იდეას უნდა განემსჭვალა მთელი წესდება. მეორე, როგორც კერძო, ადგილისა და მოქმედების დროებითი გარემოებით წარმოშობილი, გამოიხატებოდა ცენტრალიზმიდან მოჩვენებითს გადახვევაში, ორი ცენტრის, ც. ო-ს და ც. კ-ის შექმნაში. პარტიის ისკრული ორგანიზაციის ორივე ეს ძირითადი იდეა მე განვავითარე «ისკრის» (№ 4) სარედაქციო სტატიაშიც «რით დავიწყოთ?» და «რა ვაკეთოთ?»-შიც და, ბოლოს, ვრცლად არის განმარტებული თითქმის წესდების სახით «წერილში ამხანაგისადმი» დარჩა მხოლოდ, არსებითად, სარედაქციო მუშაობა იმისათვის, რომ ჩამოგვეყალიბებინა პარაგრაფები წესდებისა, რომელსაც ხორცი უნდა შეესხა სწორედ ამ იდეებისთვის, თუ «ისკრის» აღიარება არ დარჩებოდა ქაღალდზე, თუ იგი მხოლოდ პირობითი ფრაზა არ იქნებოდა. წინასიტყვაობაში ჩემს ზიერ ხელახლა გამოცემული ბროშურისა «წერილი ამხანაგისადმი» ჩე უკვე აღვნიშნავდი: საკმაოა პარტიის წესდების უბრალო შედარება ამ ბროშურასთან, რომ დადგენილ იქნას ორგანიზაციული იდეების სრული იგივეობა იქაც და აქაც-მეთქი...

ოქმები რომ გულდასმით შეესწავლა, ამხ. მარტოვი დელეგატების სიტყვებში დაინახავდა მთელ რიგ საბუთებს ექვსეულის წინააღმდეგ. აი ამოხაკრები ამ სიტყვებიდან: ჯერ ერთი, ძველ ექვსეულში ნათლად ჩანს უხეირხეულობანი პრინციპულ ელფერთა მხრივ; მეორე, სასურველია სარედაქციო მუშაობის ტექნიკური გამარტივება; მესამე, საქმის სარგებლობა ფილისტერულ ალერსზე მაღლა დგას; მხოლოდ არჩევა უზრუნველყოფს იმას, რომ არჩეული პირები შეეფერებოდნენ თავიანთ თანამდებობას; მეოთხე, არ შეიძლება არჩევის თავისუფლება შეეუზღუდოთ ყრილობას; მეხუთე, პარტიას ახლა ც-

ო-ში ესაჭიროება არა მარტო ლიტერატურული ჯგუფი, ც. ო-ში აუცილებელია იყვნენ არა მარტო ლიტერატორები, არამედ ადმინისტრატორებიც; მეექვსე. ც. ო-ში უნდა იყვნენ სრულიად გარკვეული პირნი, ყ რ ი ლ ო ბ ი ს თ ვ ი ს ცნობილნი; მეშვიდე, ექვსი კაცისაგან შემდგარი კოლეგია ხშირად ქმედუნარიანი ვერ არის, და მისი მუშაობა არანორმალური წესდების წ ყ ა ლ ო ბ ი თ კი არ განხორციელდა, არამედ მ ი უ ხ ე დ ა ვ ა დ ამისა; მერვე, გაზეთის გაძღოლა პარტიული (და არა საწრეო) საქმეა, და სხვ. — დაე, სცადოს ამხ. მარტოვმა, თუ მას ასე აინტერესებს აურჩევლობის მიზეზთა საკითხი, ჩ ა უ კ ვ ი რ დ ე ს თვითეულ ამ მოსაზრებას და უარჰყოს თ უ ნ დ ა ც ე რ თ ი მათგანი მაინც...

...ძველი «ისკრა» რევოლუციური ბრძოლის ჭეშმარიტებებს გვასწავლიდა. ახალი «ისკრა» გვასწავლის ცხოვრების სიბრძნეს: დათმობასა და შემგუებლობას. ძველი «ისკრა» მებრძოლი ორთოდოქსის ორგანო იყო. ახალი «ისკრა» ოპორტუნიზმის გამოძახილია — უმთავრესად ორგანიზაციულ საკითხებში. ძველმა «ისკრამ» როგორც რუსეთის, ისე დასავლეთ ევროპის ოპორტუნისტთა საპატიო სიძულვილი დაიმსახურა. ახალი «ისკრა» «დაჭკვიანდა» და მალე მას აღარ შერცხვება იმ ქებადიდებისა, რომელსაც უკიდურესი ოპორტუნისტები უხვად ასხამენ მას. ძველი «ისკრა» განუხრელად მიდიოდა თავისი მიზნისაკენ და მისი სიტყვა საქმეს არ სცილდებოდა. ახალ «ისკრაში» მისი პოზიციის შინაგანი სიყალბე აუცილებლად იწვევს ვისიმე ნებისა და შეგნებისაგან დამოუკიდებლადაც კი — პოლიტიკურ თვალთმაქცობას. ის წრეობანის წინააღმდეგ გაჰკივის, რათა დაფაროს წრეობანის გამარჯვება პარტიულობაზე. ის ფარისევლურად ჰგმობს გათიშვას, თითქოს შესაძლებელი იყოს წარმოვიდგინოთ სხვა რაიმე საშუალება გათიშვის წინააღმდეგ ოდნავ მაინც ორგანიზებულ ოდნავ მაინც პარტიაში, გარდა იმისა, რომ უმცირესობა უმრავლესობას ემორჩილებოდეს. იგი აცხადებს რევოლუციური საზოგადოებრივი აზრისათვის ანგარიშის გაწევის აუცილებლობას და, ჰფარავს რა აკიმოვების ხოტბას, წვრილმან ჭორიკანობას ეწევა პარტიის რევოლუციური ფრთის კომიტეტების შესახებ. ვაი სირცხვილო! როგორ შეარცხვინეს მათ ჩვენი ძველი «ისკრა»!..

დაწერილია 1904 წლის
თებერვალ-მაისში
დაიბეჭდა ცალკე წიგნად 1904 წლის
მაისში. ჟენევა

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით. მე-4 გამოც.,
ტ 7, გვ. 288—290, 386—387,
516—517.

რსდმპ საგჭო

1904 წლის 31 მაისი (13 ივნისი) და 5 (18) ივნისი

8

სიტყვიდან გაზეთ «რასსვეტის»-ზე შესახებ

5 (18) ივნისს

სამწუხაროდ, «რასსვეტის» დასაცავად მე ბევრს ვერაფერს ვიტყვი. დღემდე ეს ცდა სავსებით გამართლებულად მართლაც ვერ ჩაითვლება. ბონჩ-ბრუევიჩი გამოუცდელი ლიტერატორია და მას შეეძლო სხვა პარტიულ ლიტერატორთა დახმარების იმედი ჰქონოდა. ეს დახმარება მან ვერ მიიღო, და ასეთ პირობებში წარუმატებლობისათვის მთელი პასუხისმგებლობის მარტო მისთვის დაკისრება უსამართლობაა. ჯერჯერობით მხოლოდ ხუთი თვე გავიდა გამოცემის დაწყების დროიდან. შესაძლოა, ორგანომ ჯერ კიდევ შესძლოს ფეხზე დადგომა, განსაკუთრებით, თუ მას სხვა ლიტერატორები დაეხმარებიან. ცოტა რამ მაინც გაკეთებულია: სექტანტთა შორის კავშირი ფართოვდება ამერიკაშიც და რუსეთში. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ ფულის მხრივ ეს გამოცემა პარტიას არ აწვება კისერზე, რადგან «რასსვეტი» ცალკე სახსრებით იცემა. «რასსვეტის» დახურვა ნაადრევად მიმაჩნია და წინადადებას ვიძლევი განვაგრძოთ ცდა.

პირველად დაიბეჭდა 1930 წ. ლენინის კრებულში XV

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც., ტ. 7, გვ. 552

ნ ე რ ი ღ ი ღ ა ნ

გლეგოვს (ვ. ა. ნოსკოვს)

1904 წ. 11 სექტემბერი

პატივცემულო ამხანაგო!

თქვენ კვლავ იმეორებთ, რომ ც. ო-ს რედაქციაში ჩემი შესვლის სურვილი გამოთქვა «ცენტრალურმა კომიტეტმა». ჩემი მხრივ, მეც უნდა გავიმეორო, რომ ეს, სულ ცოტა რომ ვთქვათ, ზუსტი არ არის. როცა თქვენ ფორმალურად განაცხადეთ, ც. კ-ის ცნობილი დეკლარაცია მიღებულია ერთხმად ც. კ-ის სრული შემადგენლობით ერთი წევრის გამოკლებითო, მე დაუყოვნებლივ (ჯერ კიდევ 1904 წ. 18 აგვისტოს) გიპასუხეთ, ეს მართალი არ არის-მეთქი. დეკლარაციას ხელი მოაწერა ც. კ-ის სამმა წევრმა მასში ცოტა ხნის წინათ მყოფი ცხრა წევრიდან, მასთან ამ სამმა სრულიად უკანონოდ გამოაცხადა ც. კ-დან გამოსულად ამხ. ოსიპოვი, რომელმაც წერილობით განმიცხადა, ჩემს თავს წინანდებურად ც. კ-ის წევრად ვთვლიო. უკანონო იყო ამხანაგის გადამდგარად გამოცხადება მისთვის ახსნა-განმარტების მიუცემლად. ორივე მოსაზრება, რომლითაც თქვენ და ორი თქვენი კოლეგა იცავდით ამ უკანონობას, აშკარად უსაფუძვლოა. თქვენ იმოწმებდით იმას, რომ ც. კ-ის წარსულ მორიგ კრებაზე ამხ. ოსიპოვმა ფორმალურად განაცხადა თავისი გადადგომის შესახებო. ეს მართალი არ არის, ვინაიდან მაისის დამლევს (ე. ი. რამდენიმე თვის შემდეგ ამ კრებისა, რომელსაც ადგილი ჰქონდა თებერვალსა თუ მარტში) ჩვენ ც. კ-ში ისევ 9 წევრი გვყავდა, რაც დადასტურებულია 1904 წლის 26 მაისის ხელშეკრულებით, რომელსაც ხელს აწერს ც. კ-ის სამი წევრი, და წერილით, რაც დართული აქვს ამ ხელშეკრულებას. თქვენ იმოწმებდით იმას, რომ ც. კ-ის ხსენებული კრების შემდეგ ამხ. ოსიპოვი შევიდა ერთს ადგილობრივ კომიტეტში, რის უფლებაც ც. კ-ის წევრს არ ჰქონდაო. ამაზე ამხ. ოსიპოვმა უფრო ადრე მიპასუხა წერილობით, აღნიშნულ ადგილას ადგილობრივ მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად წავედი ც. კ-ის სწორედ იმ

წევრთა წინადადებით, რომლებმაც ახლა გადამდგარად გამომაცხადეს, და ვმუშაობდი კომიტეტის არა როგორც ფორმალური წევრი. გარდა ამისა, კიდევაც რომ ადგილი ჰქონოდა ადგილობრივ კომიტეტში ც. კ-ის წევრის არასწორ, წესდებით დაუშვებელ შესვლას, მაინც არავითარი საბუთი არ არსებობს იმისა, რომ ამ შეცდომის გამოსწორება უსათუოდ მოითხოვდეს ც. კ-დან გამოსვლას და არა ადგილობრივი კომიტეტიდან გამოსვლას. დასასრულ, თქვენ თვითონ იძულებული იყავით გამომტყდარიყავით წერილში ჩემდამი: ც. კ-ის სამი წევრის კრებას მოხსენდა, რომ ამხ. ოსიპოვის გადაყენების საკითხი სადავოაო. ც. კ-ის სამი წევრის მიერ ამ სადავო საკითხის გადაჭრა ოსიპოვის დაუსწრებლად და ოსიპოვის აზრის მოუსმენლადაც კი—აშკარა და აღმაშფოთებელი უკანონობა იყო. რა თქმა უნდა, ც. კ-ის სამ წევრს შეეძლოთ ევარაუდნათ, რომ მათ მხარს დაუჭერდა პარტიის საბჭო, რომელიც ხელში ჰყავდა ჩაჭერილი რედაქციას; რა თქმა უნდა, ც. კ-ის სამ წევრს შეეძლოთ დაყრდნობოდნენ მათ მიერ ფორმალურად დადებულ თუ დუმილით აღიარებულ გარიგებას უმცირესობის მომხრეებთან საბჭოში. მაგრამ ამგვარი გარემოება უკანონობას კი არ მოსპობდა, არამედ, პირიქით, გააძლიერებდა პოლიტიკური ურიგობის ელემენტებით. სწორედ ასევე უკანონო იყო ც. კ-ის სამი წევრის მხრივ ამხ. ტრავინსკის გადადგომის მიღება, რის შესახებ უფრო ადრე, ვიდრე კრება მოხდებოდა, ც. კ-ის ზოგიერთმა წევრმა არაფერი იცოდა. თქვენ აქამდე ვერ მოგიციათ ჩემთვის სწორი ცნობები, ვის და როდის განუცხადეს ეს გადადგომა. თქვენ დაკმაყოფილდით ისეთი პასუხით, რომელიც დაცინვას ჰგავს «ჰკითხეთ რუსეთის კოლეგიასო», ამ «კოლეგიის» (ისევ იმ სამთა კოლეგიის!) ადგილსამყოფელიდან კი თქვენ სულ ახლახან ჩამოხვედით და მასთან კავშირის დასამყარებლად თქვენს გარდა სხვა საშუალება არა მაქვს!!

ამრიგად, მე სადავოდ მიმაჩნია ც. კ-ის შემადგენლობისა და მისი უკანასკნელი კრების (რომელზეც მიღებულია «დეკლარაცია») კანონიერება. ამიტომ მე სრული უფლება მექნებოდა უპასუხოდ დამეტოვებინა თქვენი წინადადება ც. ო-ს რედაქციაში ჩემი შესვლის შესახებ. მაგრამ ამ წინადადებას მე ვუყურებ როგორც გამოსულს არა ც. კ-საგან, არამედ პარტიის სამი წევრისაგან, და ჩემს მოვალეობად ვთვლი დასაბუთებული პასუხი გავცე მასზე მით უფრო, რომ თქვენ იმოწმებთ ც. ო-ს რედაქციის მიერ თქვენდამი წერილობით გამოთქმულ სურვილს — მიხილონ რედაქტორთა რიცხვში.

თქვენ ფიქრობთ, რომ ც. ო-ს რედაქციაში ჩემი შესვლა «უზრუნველჰყოფდა პარტიაში თითქმის სრულ მშვიდობას, რაც მე ასე მწადია». ეს თქვენი «თითქმის» მეტად დამახასიათებელია! დიახ, მე მწა-

დია მშვიდობა იყოს პარტიაში, მე ზავის წინადადებას ვიძლეოდი პრესის საშუალებით ჩემს «წერილში «ისკრის» რედაქციის მიმართ» («რატომ გამოვედი რედაქციიდან?») 1903 წ. დეკემბერს. მე ზავის წინადადება კიდევ წამოვაყენე ოფიციალურად პარტიის საბჭოში. 1904 წლის იანვარს ზავი არ იქნა მიღებული იმ პირობებით, რომელთაც მე მაშინ ვაყენებდი უმრავლესობის სახელით. უნდა შევნიშნო, რომ წინააღმდეგ ახლანდელი მოდადქცეული თვალთმაქცური ფრაზებისა «ზავის» ჩამოგდებაზე, როცა ზავი ესმით როგორც სრული დათმობა უმცირესობისათვის, უმრავლესობის სრული უგულებელყოფა და ყრილობის სრული მივიწყება, მე სრულიად გარკვეულად აღვნიშნავდი საბჭოში, თუ როგორ მესმოდა ზავის ჩამოგდება პარტიაში. ც. კ-სგან საბჭოში გაგზავნილ მაშინდელ კოლეგასთან ერთად მე პირდაპირ განვაცხადე, ზავი მესმის როგორც იდეური ბრძოლის გაწმენდა ადგილუფროსობის ანგარიშებისგან, კინკლაობისა და ბრძოლის არაკეთილსინდისიერი ხერხებისაგან-მეთქი. დაე, ც. ო. ჰქონდეს უმცირესობას, ც. კ. — უმრავლესობას, — ვამბობდი მე მაშინ, — მოვუწოდოთ ყველას შესწყვიტონ ყოველგვარი ბოიკოტი. ყოველგვარი კინკლაობა ადგილუფროსობის, კოოპტაციის გამო და მოდით ამხანაგურად ვიმუშაოთ ჩვენი უთანხმოებებისა და ყრილობაზე ჩვენი გათიშვის გამომწვევი მიზეზების შესახებ, მოდით შევაჩვიოთ პარტია პატიოსნად და ღირსეულად განიხილოს შინაური დავა-მეთქი. ჩემი მოწოდება აბუჩად აიგდეს პლეხანოვმა და მარტოვმა. მე არ მაკვირვებს ის გარემოება, რომ მათ მიიღეს სამარცხვინო გადაწყვეტილება — არ გამოაქვეყნონ საბჭოს ოქმები (წინააღმდეგ საბჭოს უმცირესობის, სახელდობრ ც. კ-ის ორივე წარმომადგენელის მოთხოვნისა) და რომ ამ გადაწყვეტილებას ახლა (ფარულად) შეუერთდა ც. კ-ის სამი წევრი. ვინც თვალთმაქცურ ზავს აწყობს და ამავე დროს სარგებლობს რუს რევოლუციონერთა ცხოვრების ზოგიერთი გარდუვალი შემთხვევითი გარემოებით და ც. კ-დან აძევებს იმათ, ვინც სხვაგვარად აზროვნებს*, მას არ შეუძლია არ მიისწრაფოდეს იმისაკენ, რომ პარტიის წევრებს დაუმალოს ღირსეული ზავის დროულად დადების ცდები. საბედნიეროდ, მე საფუძველი მაქვს ვიფიქრო, რომ ეს უბადრუკი ფანდი, მიმართული პარტიის მოტყუებისაკენ, მიზანს ვერ მიაღწევს და საბჭოს ოქმები, ბოლოს და ბოლოს, დღის სინათლეს იხილავს.

მას შემდეგ, რაც რედაქციამ. რომელმაც ხელთ იგდო საბჭო, სი-

* ეს უწინარეს ყოვლისა შეეხება ამხ. ოსიპოვს. შემდეგ. რა თქმა უნდა, მეც, ვინაიდან წინადადება — შეიდე ც. ო-ს რედაქციაში უდრის წინადადებას გამოვიდე ც. კ-დან.

ცილით უარჰყო ჩემი წინადადება ზავის ჩამოგდებისა. მე მაშინვე განვაცხადე, ერთადერთ პატიოსან გამოსავალად მიმაჩნია ყრილობის მოწვევა-მეთქი. უმცირესობის (და მათ შორის პლეხანოვის) ტაქტიკა — ხელში იყოლიონ ც. ო-ს რედაქცია და საბჭო, სიტყვიერად იყვნენ ამ ცენტრალურ დაწესებულებებში საერთოდ მთელი პარტიის ინტერესების წარმომადგენლად და ამავე დროს კი საქმით ეცადონ, ყრილობის გვერდის ავლით, ც. კ-ის გარდაქმნას უმცირესობის ინტერესების სასარგებლოდ, — ეს ტაქტიკა მე არ შემიძლია პატიოსან ბრძოლად მივიჩნიო. ასეთი ტაქტიკის მომხრეებთან არავითარი მორიგება არასდროს არ მქონია და არც შეიძლება მქონდეს. გარდა ამისა, იანვრიდან სავსებით გამოირკვა ახალი «ისკრის» — ჭორებისა და კინკლაობის, არეულ-დარეული მსჯელობისა და ოპორტუნისტებთან ლაქუცის, პირადი ანგარიშების გასწორებისა და უთანხმოებათა გამოძებნის ამ ცენტრალური ორგანოს ფიზიონომია. ახალი «ისკრა» რომ წრის ორგანო, ახალი «მიმართულების» ორგანოა, ამას ახლა ყველა ხედავს, ხედავს თვით რედაქციაც, რომელიც თავდაპირველად ცდილობდა «თანამომდევნობა» დაეცვა, ამჟამად კი სისტემატურად ლანძღავს ძველ «ისკრას». იბადება კითხვა, რა აზრით შეიძლება ახლა ზავზე ლაპარაკი? თუ მას გავიგებთ როგორც იდეური ბრძოლის გაწმენდას კოოპტაციის გამო წარმოშობილი კინკლაობისაგან, მაშინ მე ახლაც სავსებით მზადა ვარ თანხმობა განვაცხადო ზავის დადებაზე და გავიმეორო ჩემს მიერ საბჭოში შეტანილი წინადადება. ხოლო თუ ზავს გავიგებთ როგორც იდეური ბრძოლის შეწყვეტას, ყოველგვარ მიმართულებას მოკლებული ახალი «ისკრის» მიმართულებასთან ანუ, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ფიზიონომიასთან შერიგებას, ასეთი «ზავის» წამოყენება შეუძლიათ მხოლოდ უპრინციპო ან თვალთმაქც ადამიანებს, ან ისეთებს, რომლებიც პარტიის ორგანოებს უყურებენ როგორც საბეჭდ ქაღალდს Druckerschwärze— სტამბის საღებავს — როგორც ერთ-ერთმა «შემარიგებელმა» უწოდა ახალი «ისკრის» ლიტერატურას). თუ ახალი «ისკრის» რედაქტორები, რომლებმაც თითქმის მთელი თავიანთი «პრინციპული» პოზიცია პირადად ჩემზე თავდასხმად და იმის დევნად აქციეს, რასაც მათ «ლენინიზმი» უწოდეს, ჩემთან უთანხმოების გამოძებნად აქციეს, — თუ ისინი ახლა სურვილს გამოთქვამენ მიხილონ მე რედაქციაში, ამით ისინი თვითვე აღიარებენ, რომ თავიანთ ნაწერებს სერიოზულად არ უყურებენ, რომ მთელი ეს პოლემიკა მათ მხოლოდ «კოოპტაციისათვის» შეთხზეს და მზად არიან ყველა თავიანთი ახალი «პრინციპი» მიატოვონ, როგორც კი კოოპტაციას წარმატებით მიაღწევენ. ჩემს

შესახებ კი ვიტყვი, რომ მე უარვყოფ, როგორც უღირს საქციელს, თვით იმის ვარაუდს, რომ უმრავლესობამ შესაძლებელია ხელი აიღოს პარტიულ ბრძოლაზე თავისი პოზიციისათვის, ბრძოლაზე მტკიცე მიმართულებისათვის, ბრძოლაზე წრეობანის წინააღმდეგ. ეს ბრძოლა მე მიმაჩნია ჩემს ხელშეუვალ უფლებად და მოვალეობად უმრავლესობის პრინციპულ მომხრეებთან ერთად, რომელთა რიცხვი სულ იზრდება რუსეთში. ამ ბრძოლას, ჩემი აზრით, უნდა ვიწეოდეთ აშკარად, ვინაიდან კონფლიქტის ისტორიის $^{9}/_{10}$ უკვე გაძოტანილია საზოგადოების წინაშე, და მისი ყოველგვარი შემდგომი დაფარვა საზოგადოებისაგან კრიზისის წვრილმანი და უაზრო გაჭიანურება იქნებოდა.

თქვენ იწერებით, რომ ჩემი შესვლა «ისკრის» ახლანდელ რედაქციაში «უეჭველად სურს მრავალ კომიტეტსაც». გულისტკივილით აღვნიშნავ, რომ თქვენ ამ ერადაც აშკარად არ ამბობთ სიმართლეს. ჯერ არც ერთ კომიტეტს, ბრძოლის ახლანდელ პირობებში, არ გამოუთქვამს ასეთი სურვილი. ასეთი სურვილი გამოთქვა მხოლოდ ც. ო-ს რედაქტორთა წრემ და ც. კ-ის სამმა წევრმა, რომლებსაც უდიდეს პოლიტიკურ სიბრძნედ მიაჩნიათ ის, რომ უმცირესობის წინაშე ლანძღონ უმრავლესობა, ხოლო უმრავლესობის წინაშე — უმცირესობა. ნებას ვაძლევ ჩემ თავს ვიფიქრო, რომ მე ანგარიში უნდა გავუწიო არა ამა თუ იმ პოლიტიკანის ნებას, არამედ ნებას მთელი პარტიისას, რომელმაც თვით დააწესა თავისთვის ამ ნების ფორმალური გამოხატვის საშუალებაც: ყრილობა. ნებას ვაძლევ ჩემ თავს ვიფიქრო, რომ ხელმძღვანელი, რომელმაც გარკვეული გეზი აიღო ყრილობაზე და ამ გეზით მიჰყავდა პარტიის ერთი ნაწილი, ჰკარგავს პატივისცემის ყოველგვარ უფლებას და თვით იმის უფლებასაც, რომ სერიოზულად მოეპყრან მის სიტყვებს, თუ იგი თავის მოწინააღმდეგეთა მხარეზე გადადის.

თქვენი დამოწმება «მრავალი კომიტეტისა» უაღრესად ჭკუისსასწავლი და საგულისხმოა, მიუხედავად მისი... ჭეშმარიტებასთან შეუფერებლობისა. ეს დამოწმება მოწმობს, რომ კიდევ დარჩენილა პარტიული სინიდისის ნატამალი, მცირეოდენი შეგნება იმისა, რომ პარტიის მიერ დანიშნული თანამდებობრივი დაწესებულებანი ანგარიშს უნდა უწევდნენ ამ პარტიის ნება-სურვილს, როცა ცენტრების შემადგენლობისა და მიმართულების გარდაქმნას იწყებენ. თქვენ რომ ეს შეგნება დაბნელებული არ გქონდეთ იმ დაბნეული პოზიციის წყალობით, რომელიც თქვენ დაიკავეთ, ადვილად დაინახავდით, რომ არ არსებობს ნამდვილად მრავალი კომიტეტის ნამდვილი სურვილის

ნამდვილად გაგების სხვა საშუალება, გარდა ყრილობისა. მაგრამ თუ თქვენი მხრივ «მრავალი კომიტეტის» დამოწმება პარტიული სინიდისის ნატამალს ამეღვიძებს, ამავე დროს ეს დამოწმება ცხადზე უცხადესად მოწმობს სინიდისის ქენჯნასაც: თქვენ სწორედ იმიტომ გაშინებთ ასე საშინლად ყრილობა, რომ გრძნობთ აშკარა წინააღმდეგობას თქვენს საფათერაკო პოლიტიკისა და პარტიის ნება-სურვილს შორის.

ჩემს ზოგად მოსაზრებებს იმის შესახებ, რომ თქვენს მიერ წამოწყებული შერიგების ცდები ფარისევლურია, სავსებით ამტკიცებს მთელი რიგი დამატებითი ფაქტები. ც. კ-ის სამი წევრი ახლა აღტაცებულია ც. ო-ს «მაღალი დონით», მაშინ როდესაც მარტში ც. კ-ის ს წ ო რ ე დ ე ს სამი წევრი განცხადებას წერდა, რომელშიც სინანულს გამოთქვამდა იმის გამო, რომ ზოგიერთი პარტიული მწერალი (ც, ო-ს ახლანდელი რედაქციის უმრავლესობა) ოპორტუნიზმში გადავარდაო. ც. კ-ის ეს სამი წევრი «ზავზე» ლაპარაკობს და ამავე დროს სამხრეთის ბიუროს (ც. კ-ის აგენტთა კოლეგიას) შლის იმის გამო, რომ მასში მუშაობდნენ უმრავლესობის მომხრეები, რომლებიც კადნიერებას იჩენდნენ და აგიტაციას ეწეოდნენ ყრილობის სასარგებლოდ. ც. კ-ის სამი წევრი ორი მებრძოლი მხარის შერიგებაზე ლაპარაკობს და ამავე დროს კონფერენციას აწყობს ერთი მხარის წარმომადგენლებთან, მეორე მხარეს კი უგულებელჰყოფს. რა გარყვნილება შეაქვს პარტიაში ამ ცალკე, კერძო გარიგებებს, რომლებიც ეხებიან მთელი პარტიის საარსებო ინტერესებს და რომელთაც ასე გულმოდგინედ უმალავენ მას, თუმცა არ არსებობს არავითარი აუცილებლობა კონსპირაციული საიდუმლოებისა! რაოდენი ურთიერთუნდობლობა, ეჭვი შეაქვს პარტიის ზურგს უკან ჩადენილ ასეთ ყალთაბანდობას მთელ პარტიულ ცხოვრებაში! სწორედ დღეს ერთი ამბანაგი მწერს რუსეთიდან, თუ რა ხმები დადის ამ გარიგებათა გამო: უმცირესობა სამ ნაწილად გაიყოო, ამბობენ პარტიულ წრეებში; ერთი ნაწილი უწინარეს ყოვლისა მოითხოვს დანის და ტროცკის კოოპტაციას ც. კ-ში და მეტი არაფერი უნდა მოისმინოს; მეორე ნაწილი თანახმაა კონფერენციისა; მესამე კმაყოფილდება მხოლოდ ც. კ-ის დეკლარაციით, და ამ ნაწილს ეკუთვნიან იუჟნირაბოჩელები (რომლებიც პოპულარული ორგანოს დაარსებაში სრულიად სამართლიანად ხედავენ ყრილობის მიერ დახურული «იუჟნი რაბოჩის» შენიღბულ აღდგენას და მეტს არაფერს). მე არ ვიცი, რა არის მართალი ამ პარტიულ მითქმა-მოთქმაში. მაგრამ უმცირესობა რომ სხვადასხვაგვარი ჯგუფებისაგან შესდგება, რომ ამბ. ბრუკერი, მაგალი-

თად, ალბათ, არავითარ მონაწილეობას არ იღებს უმცირესობის «ულტიმატუმებსა» და მთელ კოოპტაციურ კინკლაობაში, რომ «იუჟნი რაბოჩის» ჯგუფი მნიშვნელოვან თავისებურ ელფერს წარმოადგენს, ყოველივე ეს საყოველთაოდ ცნობილი ფაქტებია, რომელთაც იცნობს ყველა, ვისაც ჩვენი პარტიული ყრილობა შეუსწავლია. ნუთუ თქვენ ვერ ხედავთ, რამდენი დამამცირებელი რამაა ცალკეულ ჯგუფთა ამ ვაჭრობაში, რაც პარტიის ზურგს უკან ხდება! განა საკვირველია, რომ ც. კ-ის სამი წევრის თვალთმაქცობა მათ მიმართ სრულ უნდობლობას იწვევს უმრავლესობის მხრივ, რომელიც განზე დგას ყველა ამ ყალთაბანდობისგან? განა საკვირველია, რომ «ზავს», დაწყებულს იმ ორგანიზაციების დაშლით, რომლებიც აგიტაციას ეწეოდნენ ყრილობის სასარგებლოდ, უყურებენ როგორც პარტიული საზოგადოებრივი აზრის სისტემატურად დამახინჯების შესავალს? რომ უმრავლესობა ვარაუდობს ც. კ-ის და ც. ო-ს (და, მაშასადამე, საბჭოს) გარიგებას კომიტეტებში უმცირესობის ძალით შეყვანის შესახებ, უმრავლესობის რეზოლუციების გამოუქვეყნებლობის შესახებ (პეტერბურგისა და ეკატერინოსლავის რეზოლუციები უკვე რამდენიმე თვეა დაკავებულია) და სხვ. და ა. შ.?

იმედი მაქვს, ახლა თქვენ მიხვდებით, თუ ახლანდელ პარტიულ სიტუაციაში რატომ ლაპარაკიც კი შეუძლებელია ც. ო-ს რედაქციაში ჩემს შესვლაზე...

ზოგიერთი შემოკლებით დაიბეჭდა 1904 წელს ბროშურაში: ნ. ზაბოვი. «ბრძოლა ყრილობისათვის». ჟენევა

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც., ტ. 7, გვ. 582—590

წერილიდან

ა. მ. სტოპანის

ტუ-რას ლენინისაგან პირადად

...თქვენ დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოთ შეგროვება და გამოგზავნა ყოველგვარი მასალებისა, კორესპონდენციებისა. ფურცლებისა, შენიშვნებისა და სხვ. და სხვ., განსაკუთრებით მუშებისაგან და მუშათა მოძრაობის შესახებ. აუცილებლად და დაუყოვნებლივ...

დაწერილია 1904 წ. 10 ნოემბერს.
გაგზავნილია ჟენევიდან ბაქოში
პირველად დაიბეჭდა 1930 წ.

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.
ტ. 34. გვ. 294.

წერილი ამხანაგებისადმი

(პარტიული უმრავლესობის ორგანოს გამოსვლისათვის)

ძვირფასო ამხანაგებო! დღეს საზღვარგარეთელ ბოლშევიკთა ვიწრო წრის კრებაზე საბოლოოდ გადაწყდა პრინციპულად უკვე დიდი ხნის გადაწყვეტილი საკითხი პერიოდული პარტიული ორგანოს დაარსების შესახებ. ეს ორგანო მიეძღვნება უმრავლესობის პრინციპების დაცვას და განვითარებას იმ ორგანიზაციული და ტაქტიკური არეულობის წინააღმდეგ ბრძოლაში, რაც უმცირესობამ შემოიტანა პარტიაში, და მომსახურებას გაუწევს რუსეთის ორგანიზაციების დადებითს მუშაობას; ამ ორგანიზაციების წინააღმდეგ ამჟამად თითქმის ყველგან მთელ რუსეთში დიდი გაფთრებული ბრძოლაა გაჩაღებული უმცირესობის აგენტების მხრივ, ბრძოლა, რომელსაც საშინელი დეზორგანიზაცია შეაქვს პარტიაში ესოდენ მნიშვნელოვან ისტორიულ მომენტში, ბრძოლა, რომელსაც მთლიანად გათიშვის მეტად უტიფარი საშუალებებით და ხერხებით ეწევიან, თუმცა იმავე დროს თვალთმაქცურად დასტირიან გათიშვას პარტიის ეგრეთწოდებულ ც. ო-ში. ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ, რაც კი შესაძლებელი იყო, რათა ბრძოლა პარტიული გზით გაგვეტარებინა, ჩვენ იანვრიდან ვიბრძვით ყრილობისათვის, როგორც ერთადერთი ღირსეული პარტიული გამოსავალისათვის აუტანელი მდგომარეობიდან. ახლა უკვე ცხადზე უცხადესი გახდა, რომ უმცირესობის მხარეზე გადასული ც. კ-ის თითქმის მთელი მოღვაწეობა მიმართულია ყრილობის წინააღმდეგ თავგანწირული ბრძოლისაკენ, რომ საბჭო ყოველგვარ უაღრესად დაუშვებელ და შეუწყნარებელ ყალთაბანდობას მიმართავს ყრილობის მოწვევის გასაჭიანურებლად. საბჭო პირდაპირ ჰფუშავს ყრილობის მოწვევას: ვინც ამაში ჯერ კიდევ ვერ დარწმუნებულა მისი უკანასკნელი დადგენილებების წაკითხვით «ისკრის» 73—74 ნომრების დამატებაში, ის ამას დაინახავს ორლოვსკის (ამ დღეებში გამოსულ) ჩვენს ბროშურაში: «საბჭო პარტიის წინააღმდეგ»[21]. ახლა

ცხადზე უცხადესი გახდა, რომ გაუერთიანებლად და ჩვენი ეგრეთწოდებული ცენტრალური დაწესებულებებისათვის წინააღმდეგობის გაუწევლად უმრავლესობას არ შეუძლია თავისი პოზიციის დაცვა, პარტიულობის დაცვა მის ბრძოლაში წრეობანის წინააღმდეგ. რუსეთის ბოლშევიკების გაერთიანება უკვე დიდი ხანია დააყენეს მათ დღის წესრიგში. მოიგონეთ ის უდიდესი თანაგრძნობა, რომლითაც შეხვდნენ 22-ის პროგრამულ (ჩვენი შინაპარტიული ბრძოლის პროგრამის აზრით) რეზოლუციას; მოიგონეთ მოსკოვის კომიტეტის მიერ დაბეჭდილი (1904 წ. ოქტომბერი) 19-ის პროკლამაცია; დასასრულ, პარტიის თითქმის ყველა კომიტეტმა იცის, რომ სულ უკანასკნელ დროს მოხდა და ნაწილობრივ ახლაც ხდება მთელი რიგი კერძო კონფერენციები უმრავლესობის კომიტეტთა შორის[22], ხდება უაღრესად ენერგიული და გარკვეული ცდები მტკიცედ შემჭიდროვდნენ ერთმანეთს შორის უმრავლესობის კომიტეტები, რათა წინააღმდეგობა გაუწიონ თავგასულ ბონაპარტისტებს საბჭოში, ც. ო-სა და ც. კ-ში.

იმედი გვაქვს, სულ ახლო ხანში ეს ცდები (უფრო სწორად რომ ვთქვათ, ეს ნაბიჯები) გამოქვეყნდება ყველას საყურადღებოდ, როცა მათი შედეგები საშუალებას მოგვცემს მტკიცედ ვილაპარაკოთ იმაზე, რაც უკვე მიღწეულია. საგანგებო გამომცემლობის უქონლად უმრავლესობის თავდაცვა, რასაკვირველია, სრულიად შეუძლებელი იყო. ახალმა ც. კ-მა, როგორც, ალბათ, უკვე მოგეხსენებათ ჩვენი პარტიული ლიტერატურიდან, პირდაპირ გააძევა ჩვენი ბროშურები (და თვით უკვე აწყობილი ბროშურების გარეკანიც კი) პარტიული სტამბიდან და, ამრიგად, ეს სტამბა წრის სტამბად გადააქცია: მან უარჰყო საზღვარგარეთული უმრავლესობისა და რუსეთის კომიტეტების, მაგალითად, რიგის კომიტეტის, პირდაპირი წინადადება უმრავლესობის ლიტერატურის რუსეთში ჩატანის შესახებ. პარტიის საზოგადოებრივი აზრის გაყალბება სრულიად გარკვეით გამოიხატა, როგორც ახალი ც. კ-ის სისტემატური ტაქტიკა. გარდუვალად მოგვადგა კარს საკუთარი გამომცემლობის გაფართოების, საკუთარი ტრანსპორტის მოწყობის აუცილებლობა. კომიტეტებს, რომლებმაც ამხანაგური ურთიერთობა გასწყვიტეს ც. ო-ს რედაქციასთან (იხ. დანის აღსარება ენენევის 1904 წ. 2 სექტემბრის კრების ანგარიშში — საინტერესო ბროშურაა), არ შეეძლოთ და არ შეუძლიათ არსებობა პერიოდული ორგანოს უქონლად. პარტია უორგანოდ, ორგანო უპარტიოდ! ეს სავალალო ლოზუნგი, ჯერ კიდევ აგვისტოში წამოყენებული უმრავლესობის მიერ, ულმობლად მიგვითითებდა ერთადერთ გამოსავალს — საკუთარი ორგანოს დაარსების საჭიროებას.

ახალგაზრდა ლიტერატურული ძალები, რომლებიც საზღვარგარეთ ჩამოვიდნენ რუსეთის მუშაკთა უმრავლესობის საარსებო საქმის დასახმარებლად, მოითხოვენ გამოყენებულ იქნან. მთელი რიგი რუსი პარტიული ლიტერატორებიც დაჟინებით მოითხოვენ საკუთარი ორგანოს დაარსებას. როცა ასეთ ორგანოს ვაარსებთ, ალბათ, «ვპერიოდის» სახელწოდებით, ჩვენ ვმოქმედებთ რუსეთის ბოლშევიკების მასასთან სრული თანხმობით, პარტიულ ბრძოლაში ჩვენს საქციელთან სრულიად შესაბამისად. ჩვენ ამ იარაღს ხელი მოვკიდეთ მას შემდეგ, რაც მთელი წლის განმავლობაში გამოვცადეთ ყველა, პირდაპირ ყველა უფრო მარტივი, პარტიისათვის უფრო ეკონომიური, მუშათა მოძრაობის ინტერესებისათვის უფრო შესაფერისი გზა. ჩვენ სრულიადაც არ ვანებებთ თავს ყრილობის მოწვევისათვის ბრძოლას; პირიქით, ჩვენ გვსურს გავაფართოოთ, განვაზოგადოთ და მხარი დავუჭიროთ ამ ბრძოლას, გვსურს დავეხმაროთ კომიტეტებს გადაწყვიტონ მათ წინაშე წამოჭრილი ახალი საკითხი ყრილობის მოწვევისა საბჭოს და ც. კ-ის გვერდის აქცევით, — საბჭოსა და ც. კ-ის ნება-სურვილის წინააღმდეგ, — საკითხი, რომელიც მოითხოვს ყოველმხრივ სერიოზულ განხილვას. ჩვენ აშკარად გამოვდიგართ იმ შეხედულებათა და ამოცანების დასაცავად, რომლებიც უკვე დიდი ხანია გამოცემულია მთელ რიგ ბროშურებში მთელი პარტიის საყურადღებოდ. როგორც ორგანიზაციულ, ისე ტაქტიკურ საკითხებში ჩვენ ვიბრძვით და ვიბრძოლებთ მტკიცე რევოლუციური ძიმართულების სასარგებლოდ არეულობისა და მერყეობის წინააღმდეგ (იხ. პარტიული ორგანიზაციებისადმი ახალი «ისკრის» საშინლად არეულ-დარეული წერილი, დაბეჭდილი მხოლოდ პარტიის წევრთათვის და დაფარული საზოგადოებისაგან [23]). განცხადება ახალი ორგანოს გამოსვლის შესახებ გამოვა, ალბათ, დაახლოებით ერთ კვირაში, პირველი ნომერი — იანვრის 1-დან 10-მდე ახალი სტილით. სარედაქციო კოლეგიაში მონაწილეობას მიიღებს უმრავლესობის ყველა ის ლიტერატორი, რომლებმაც დღემდე თავი იჩინეს (რიადოვოი, გალიორკა, ლენინი, ორლოვსკი, რომელიც რეგულარულად მუშაობდა «ისკრაში» № 46-დან 51-მდე, როცა მას უძღვებოდნენ ლენინი და პლეხანოვი, და კიდევ მეტად ძვირფასი ახალგაზრდა ლიტერატურული ძალები). გავრცელების, აგენტურისა და სხვ, და სხვ. რთული საქმის პრაქტიკული ხელმძღვანელობისა და ორგანიზაციის კოლეგია შედგენილი იქნება (ნაწილობრივ უკვე შედგა კიდეც) რუსეთის მთელი რიგი კომიტეტების მიერ (ოდესის, ეკატერინოსლავის, ნიკოლაევის, კავკასიის 4 კომიტეტის და ჩრდილოეთის რამდენიმე კომიტეტისა, რომელთა შესახებ თქვენ მალე

გაიგებთ დაწვრილებით) განსაზღვრული ამხანაგებისთვის განსაზღვრული ფუნქციების პირდაპირი დავალების საფუძველზე. ამჟამად ჩვენ მივმართავთ ყველა ამხანაგს და ვთხოვთ ყოველნაირად დაგვიჭიროს მხარი. ჩვენ იმ პირობით გავუძღვებით ორგანოს, რომ ის იქნება რუსეთის მოძრაობის და არავითარ შემთხვევაში საზღვარგარეთული წრის ორგანო. ამისათვის უწინარეს ყოვლისა და ყველაზე მეტად აუცილებელია უაღრესად ენერგიული «ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ უ ლ ი» დახმარება, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ლიტერატურული თანამშრომლობა რუსეთიდან. მე ხაზგასმით აღვნიშნავ და ბრჭყალებში ვსვამ სიტყვას «ლიტერატურული», რათა ერთბაშად მიაქციონ ყურადღება მის განსაკუთრებულ აზრს და თავიდან აიშორონ გაუგებრობანი, რაც მეტად ჩვეულებრივი მოვლენაა და საშინლად ვნებს საქმეს. ეს გაუგებრობაა, თითქოს სწორედ ლიტერატორებს და მხოლოდ ლიტერატორებს (ამ სიტყვის პროფესიული აზრით) შესწევთ უნარი წარმატებით მიიღონ მონაწილეობა ორგანოში; პირიქით, ორგანო მაშინ იქნება ცოცხალი და ცხოველმყოფელი, როცა ხუთ ხელმძღვანელ და მუდმივ თანამშრომელ ლიტერატორზე მოდის ხუთასი და ხუთი ათასი მუშაკი არა ლიტერატორი. ძველი «ისკრის» ერთ-ერთი ნაკლი, რისგანაც მუდამ ვცდილობდი მეხსნა იგი (და რაც საშინლად გაიზარდა ახალ «ისკრაში»), ეს იყო სუსტი მუშაობა «ისკრაზე» რუსეთიდან. ყოფილა შემთხვევა, როცა ჩვენ თითქმის ყოველთვის გამოუკლებლივ დაგვიბეჭდია ყველაფერი, რაც რუსეთიდან გამოუგზავნიათ. ნამდვილად ცოცხალი ორგანო უნდა ბეჭდავდეს გამოგზავნილი მასალის ერთ მეათედს, დანარჩენს კი უნდა იყენებდეს ინფორმაციისათვის და ლიტერატორთა მისათითებლად. აუცილებელია, რომ ჩვენთან მიწერ-მოწერა ჰქონდეს პარტიულ მუშაკთა რაც შეიძლება მეტ რაოდენობას. სახელდობრ, მიწერ-მოწერა ჰქონდეს ამ სიტყვის ჩვეულებრივი და არა ლიტერატურული მნიშვნელობით.

რუსეთისაგან მოწყვეტილობა, წყეული საზღვარგარეთული ჭაობის ჩამთრევი ატმოსფერო აქ იმდენად სულს უხუთავს კაცს, რომ ერთადერთი ხსნაა ცოცხალი ურთიერთობა რუსეთთან. დაე, ნუ დაივიწყებენ ამას ისინი, ვისაც არა მარტო სიტყვიერად, არამედ საქმით სურს ჩვენი ორგანო მიიჩნიოს (და სურს გ ა ხ ა დ ო ს) მთელი «უმრავლესობის» ორგანოდ, რუსეთის მუშაკთა მასის ორგანოდ. დაე, ყველამ, ვინც ამ ორგანოს თავის ორგანოდ სთვლის და ვისაც შეგნებული აქვს სოციალ-დემოკრატის—პარტიის წევრის მოვალეობა, ერთხელ და სამუდამოდ უკუაგდოს ისე ფიქრის და მოქმედების ბურჟუაზიული ჩვეულება, როგორც ეს მიღებულია ლეგალური გა-

ზეთების მიმართ: მ ა თ ი საქმეა დაწერონ, ხოლო ჩვენი საქმეა წავიკითხოთო. სოციალ-დემოკრატიულ გაზეთზე ყველა სოციალ-დემოკრატი უნდა მუშაობდეს. ჩვენ ვთხოვთ ყველას, განსაკუთრებით კი მუშებს. მოგვაწოდონ კორესპონდენციები. ფართო შესაძლებლობა მიეცით მუშებს წერონ ჩვენს გაზეთში, წერონ პირდაპირ ყველაფერზე, წერონ რაც შეიძლება მეტი თავიანთ ყოველდღიურ ცხოვრებაზე, ინტერესებსა და მუშაობაზე. — ამ მასალის უქონლად სოციალ-დემოკრატიული ორგანო არაფრად ეღირება, და სოციალ-დემოკრატიულის სახელწოდების ღირსიც არ იქნება. ჩვენ გთხოვთ, გარდა ამისა, მ ი წ ე რ-მ ო წ ე რ ა გავმართოთ, შეგნებულად წეროთ არა უეჭველად კორესპონდენციები, ე. ი. არა დასაბეჭდად, არამედ რედაქციასთან ამხანაგური კავშირურთიერთობის დასამყარებლად და მისთვის ცნობების მისაწოდებლად, ცნობებისა არა მარტო ფაქტების, ამბების შესახებ, არამედ სულისკვეთებისა და მოძრაობის ყოველდღიური «არა საინტერესო», ჩვეულებრივი, რუთინული მხარის შესახებაც. სანამ საზღვარგარეთ არ მოხვდებით, ვერც კი წარმოიდგენთ, როგორ გვესაჭიროება ჩვენ ასეთი წერილები (და მათში კონსპირაციულიც ხომ სრულიად არაფერია, და კვირაში ერთხელ, ორჯერ ასეთი უშიფრო წერილის მოწერა, მართლაცდა, სავსებით შეუძლია ფრიად მოუცლელ კაცსაც). მაშ მოგვწერეთ მუშათა წრეებში გამართულ საუბრებზე, ამ საუბრების ხასიათზე, მეცადინეობის თემებზე, მუშების სულიერ მოთხოვნილებებზე, პროპაგანდისა და აგიტაციის დაყენებაზე, საზოგადოებაში, ჯარსა და ახალგაზრდობაში კავშირურთიერთობაზე, ყველაზე მეტი მოგვწერეთ მუშებს შორის არსებულ უკმაყოფილებაზე ჩვენს მიმართ, სოციალ-დემოკრატების მიმართ, მუშების საგონებელზე, მოთხოვნილებებზე, პროტესტებზე და სხვ. ახლა განსაკუთრებით საინტერესოა საქმის პრაქტიკული დაყენების საკითხები, და არც არსებობს სხვა საშუალება ამ საკითხებთან რედაქციის გაცნობისა, გარდა გაცხოველებული, არა კორესპონდენტური, არამედ უბრალო ამხანაგური ხასიათის მიწერ-მოწერისა; რა თქმა უნდა, ყველას არ შესწევს უნარი და არც ხალისი აქვს წერისა, მაგრამ... ნუ ამბობ — არ შემიძლია, სთქვი — არ მინდა; ყოველთვის, თუ მოინდომებ, ყოველ წრეში, ყოველ სულ უმცირეს, თვით სულ მეორეხარისხოვან ჯგუფში (ხშირად მეორეხარისხოვანი ჯგუფები განსაკუთრებით საინტერესო არიან, ვინაიდან ზოგჯერ ისინი ასრულებენ საქმის ყველაზე უფრო მნიშვნელოვან, თუმცა უჩინარ ნაწილს) იპოვნი თითო-ოროლა ამხანაგს, რომელთაც შეუძლიათ წერა. აქ ჩვენ ძველი «ისკრის» გამოცდილებით ვისარგებ-

ლეთ და მდივნობა ერთბაშად ფართოდ დავაყენეთ, თქვენ კი გთხოვთ, იქონიოთ მხედველობაში, რომ ყ ვ ე ლ ა, გამოუკლებლივ ყველა, ვინც მოთმინებით და ენერგიულად მოკიდებს საქმეს ხელს, ადვილად მიაღწევს იმას, რომ ყველა მისი წერილი ან ცხრა მეათედი ადგილზე მივიდეს. ამას ვლაპარაკობ ძველი «ისკრის» სამი წლის გამოცდილების საფუძველზე, რადგან «ისკრას» არა ერთი ასეთი კორესპონდენტი მეგობარი ჰყავდა (რომელიც ხშირად არავის არ იცნობდა რედაქციაში), ფრიად წესიერ მიწერ-მოწერას რომ ეწეოდა. პოლიციას უკვე დიდი ხანია აბსოლუტურად აღარ ძალუძს ხელში ჩაიგდოს საზღვარგარეთული წერილები (მხოლოდ შემთხვევით თუ უვარდებათ ხელში გამგზავნელის ექსტრაორდინარული დაუდევრობის გამო), და ძველი «ისკრის» მასალის უდიდესი ნაწილი ყოველთვის მოდიოდა სრულიად ჩვეულებრივი გზით ჩვენი მისამართით გამოგზავნილ ჩვეულებრივ წერილებში. განსაკუთრებით გვინდა გავაფრთხილოთ მიწერ-მოწერის მხოლოდ კომიტეტისა და მხოლოდ მდივნების ხელში კონცენტრაციის ხერხის უვარგისობის შესახებ. ასეთ მონოპოლიაზე უფრო საზიანო არაფერია. რამდენადაც მოქმედებაში, გადაწყვეტილების მიღებაში ერთიანობა სავალდებულოა, იმდენად უმართებულოა ის საერთო ხასიათის ინფორმაციაში, მიწერ-მოწერაში. ძალიან, ძალიან ხშირად ხდება ხოლმე, რომ განსაკუთრებით საინტერესოა წერილები შედარებით «გარეშე» (კომიტეტებს მოცილებული) ადამიანებისა, რომლებიც უფრო ა ხ ა ლ ი შთაბეჭდილებით ითვისებენ ბევრ ისეთ რამეს, რაც მეტისმეტად ჩვეულებრივია და მხედველობიდან ეპარება ძველ გამოცდილ მუშაკს. ჩვენთან მიწერ-მოწერის მეტი შესაძლებლობა მიეცით ახალგაზრდა მუშაკებს: ახალგაზრდობასაც, მუშაკებსაც «ცენტრალისტებსაც» და სახელდახელო კრებებისა და მიტინგების ორგანიზატორებსა და უბრალო რიგით წევრებსაც.

მხოლოდ მაშინ და მხოლოდ ასეთი ფართო მიწერ-მოწერის პირობით შეგვიძლია ჩვენ ყველას საერთო ძალღონით გავხადოთ ჩვენი გაზეთი რ უ ს ე თ ი ს მ უ შ ა თ ა მ ო ძ რ ა ო ბ ი ს ნამდვილ ორგანოდ. დაბეჯითებით გთხოვთ წაიკითხოთ ეს წერილი ყველა და ყოველგვარ კრებაზე, წრეში, ქვეჯგუფში და სხვ. და სხვ., რაც შეიძლება ფართოდ, ჩვენ კი მოგვწეროთ, თუ როგორ შეხვდნენ მუშები

ამ მოწოდებას. ჩვენ ძალიან სკეპტიკურად ვუყურებთ მუშათა («პოპულარული») ორგანოს და საერთო ხელმძღვანელი ინტელიგენტური ორგანოს ცალ-ცალკე არსებობის იდეას: ჩვენი სურვილია სოციალ-დემოკრატიული გაზეთი იყოს მთელი მოძრაობის ორგანო, რომ მუშათა გაზეთი და სოციალ-დემოკრატიული გაზეთი ერთ ორგანოდ შეერთდნენ. ეს მოხერხდება მხოლოდ მუშათა კლასის უაღრესად აქტიური მხარდაჭერის დროს.

ამხანაგური სალამით ნ. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1904 წლის 29 ნოემბერს (12 დეკემბერს)
დაიბეჭდა 1904 წლის დეკემბერს ცალკე ფურცლად

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც., ტ. 7, გვ. 653—660

წ ე რ ი ლ ი დ ა ნ

ა. ა. ბ ო გ დ ა ნ ო ვ ს, რ. ს. ზ ე მ ლ ი ა ჩ კ ა ს, მ. მ. ლ ი ტ ვ ი ნ ო ვ ს

ლ ე ნ ი ნ ი ს ა გ ა ნ პ ი რ ა დ ა დ რ ა ხ მ ე ტ ო ვ ს, ზ ე მ ლ ი ა ჩ კ ა ს, პ ა პ ა შ ა ს

3. XII. 04.

უმრავლესობის საზღვარგარეთული ორგანოს შექმნის გაჭიანურება (რომლისთვის მხოლოდ ფული არ გვყოფნის) კიდევ უფრო მიუტევებელია. მთელი საქმე ახლა ეს ორგანოა, უიმისოდ ჩვენ ნამდვილი, უსახელო სიკვდილისაკენ მივდივართ. აუცილებლად, რადაც უნდა დაგვიჯდეს, უნდა ვიშოვნოთ ფული, ორიოდე ათასი მაინც, და დაუყოვნებლივ დავიწყოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენივე ხელით ვიჭრით ყელს...

...რადაც უნდა დაჯდეს უნდა გვქონდეს ორგანო და ფული, ფული გამოგზავნეთ, ვისაც გინდათ გამოსჭერით ყელი, ფული კი გამოგზავნეთ. საორგანიზაციო კომიტეტმა ან უმრავლესობის ბიურომ უნდა მოგვცეს რწმუნებები ორგანოს შესაქმნელად (მალე რაც შეიძლება მალე) და ჩამოიაროს კომიტეტები, მაგრამ თუ საორგანიზაციო კომიტეტი განიზრახავდა. ჯ ე რ «დადებითი მუშაობის» დაყენებას და ორგანოს ჯ ე რ ჯ ე რ ო ბ ი თ გ ა დ ა დ ე ბ ა ს, ჩვენ სწორედ ასეთი იდიოტური საორგანიზაციო კომიტეტი გამოგვჭრიდა ყელს. ბოლოს, რუსეთში რაიმეს გამოცემა, გარიგების დადება ბილწ არამზადებთან ცენტრალური კომიტეტიდან — ეს უკვე პირდაპირი ღალატია. ცენტრალურ კომიტეტს რომ სურს გათიშოს და დაქსაქსოს რუსეთელი და საზღვარგარეთელი ბოლშევიკები, ეს ცხადია, ეს მისი ძველისძველი გეგმაა, და მხოლოდ ყველაზე უსუსურ სულელებს შეუძლიათ წამოეგონ ამ ანკესს. ცენტრალური კომიტეტის დახმარებით რუსეთში ორგანოს წამოწყება უგუნურებაა, პირდაპირი უგუნურება ან ღალატია, ასე გამოდის და ასე გამოვა ამბების ობიექტური ლოგიკის

მიხედვით, ვინაიდან ორგანოს ან პოპულარული ორგანოს მომწყობნი აუცილებლად გაბრიყვებულნი აღმოჩნდებიან ყოველგვარი საზიზღარი მღილის მიერ, როგორიც ცენტრალური კომიტეტია. მე ამას პირდაპირ ვწინასწარმეტყველებ და აქედანვე სავსებით ჩავიქნევ ხელს ასეთ ადამიანებზე.

ვიმეორებ: პირველ რიგში უნდა იყოს ორგანო, ორგანო და ორგანო, ფული ორგანოსათვის; სხვა რამეზე ფულის ხარჯვა ახლა უაღრესი უგუნურებაა. რახმეტოვი დაუყოვნებლივ უნდა გამოიგზავნოს აქ, დაუყოვნებლივ. კომიტეტების ჩამოვლა უწინარეს ყოვლისა საჭიროა კორესპონდენციებისათვის (ეს შეუწყნარებელი და სამარცხვინოა, რომ დღემდე კორესპონდენციები არა გვაქვს!! ეს პირდაპირ სამარცხვინოა და საქმის ჩაფუშვაა!!), ყრილობის სასარგებლოდ მთელი აგიტაცია კი მხოლოდ გ ზ ა დ ა გ ზ ა ს ა კ ე თ ე ბ ე ლ ი საქმე უნდა იყოს...

გაგზავნილია პარიზიდან რუსეთში
პირველად დაიბეჭდა 1930 წელს

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.,
ტ. 34, გვ. 302—303, 304.

კავკასიის კავშირის კომიტეტს

ძვირფასო ამხანაგებო! მივიღე თქვენი წერილი «პროლეტარიატის ბრძოლის»[24] შესახებ. ვეცდები გწეროთ და გადავცემ ამხანაგებსაც რედაქციაში. ამჟამად გაძლიერებით ვმუშაობ ახალი ორგანოსათვის. ამის შესახებ უკვე გამოგიგზავნეთ დაწვრილებითი წერილი.[25] საჩქაროდ გვიპასუხეთ და გვიგზავნეთ, გეთაყვა, უფრო მეტი, მეტი და მეტი მუშათა კორესპონდენციები. განსაკუთრებით თქვენზეა ახლა დამოკიდებული ორგანოს წარმატება, ვინაიდან დასაწყისი განსაკუთრებით ძნელია.

თქვენი ნ. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1904 წ. 20 დეკემბერს
გაგზავნილია ჟენევიდან
პირველად დაიბეჭდა 1930 წელს

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.,
ტ. 34, გვ. 312

საერთო კამპანია და «ისკრის» გეგმა[26]

მხოლოდ პარტიის წევრთათვის

«ისკრის» რედაქციის ხელმოწერით ეს-ეს არის გამოქვეყნდა («პარტიის წევრთათვის») წერილი პარტიული ორგანიზაციებისადმი. რუსეთი ჯერ არასოდეს არ ყოფილა კონსტიტუციასთან ისე ახლო, როგორც ახლაო, — აცხადებს რედაქცია და დაწვრილებით გადმოგვცემს «პოლიტიკური კამპანიის» მთელ გეგმას, იმ ლიბერალურ ერობელებზე ზემოქმედების მთელ გეგმას, რომელნიც კონსტიტუციისათვის შუამდგომლობენ.

სანამ ახალი «ისკრის» ამ უაღრესად საგულისხმო გეგმას განვიხილავდეთ, გავიხსენოთ, თუ როგორ იდგა რუსეთის სოციალ-დემოკრატიაში ერობის ლიბერალური მოღვაწეებისადმი დამოკიდებულების საკითხი მას შემდეგ, რაც მასობრივი მუშათა მოძრაობა წარმოიშვა. ყველამ იცის, რომ მუშათა მასობრივი მოძრაობის თითქმის წარმოშობისთანავე ამ საკითხში წარმოებდა ბრძოლა «ეკონომისტებსა» და რევოლუციონერებს შორის. პირველნი იქამდე მიდიოდნენ, რომ პირდაპირ უარჰყოფდნენ ბურჟუაზიული დემოკრატიის არსებობას რუსეთში, უგულებელჰყოფდნენ საზოგადოების ოპოზიციურ ფენებზე პროლეტარიატის ზეგავლენის ამოცანებს; იმავე დროს ისინი ზღუდავდნენ პროლეტარიატის პოლიტიკური ბრძოლის გაქანებას და, შეგნებულად თუ შეუგნებლად, საზოგადოების ლიბერალურ ელემენტებს უთმობდნენ პოლიტიკური ხელმძღვანელობის როლს, ხოლო მუშებს «მეპატრონეებსა და მთავრობასთან ეკონომიურ ბრძოლას» უტოვებდნენ. ძველ «ისკრაში» რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის მომხრეები იბრძოდნენ ამ მიმართულების წინააღმდეგ. ეს ბრძოლა განიყოფება ორ დიდ პერიოდად: ლიბერალური ორგანოს, «ოსვობოჟდენიეს»,[27] გამოსვლამდე და მისი გამოსვლის შემდეგ. პირველ პერიოდში ჩვენ იერიში მიგვქონდა, უმთავრესად, ეკონომისტების შეზღუდულობის წინააღმდეგ, «ეაჯახებდით» მათ რუსეთის

ბურჟუაზიული დემოკრატიის არსებობის ფაქტს, რომელსაც ისინი ვერ ამჩნევდნენ, ხაზგასმით აღვნიშნავდით პროლეტარიატის ყოველმხრივი პოლიტიკური მოღვაწეობის ამოცანას, მის იმ ამოცანას, რომ ზეგავლენა მოეხდინა საზოგადოების ყველა ფენაზე, ამოცანას, რომ თავისუფლების მოპოვებისათვის ომში ავანგარდი გამხდარიყო. ამჟამად ამ პერიოდის და მისი ძირითადი ნიშნების გახსენება მით უფრო დროული და აუცილებელია, რაც უფრო უხეშად ამახინჯებენ მას ახალი «ისკრის» მომხრეები (იხ. ტროცკი «ჩვენი პოლიტიკური ამოცანები», გამოცემული «ისკრის» რედაქციით), რაც უფრო მეტ სპეკულაციას ეწევიან ისინი იმით, რომ ახლანდელი ახალგაზრდობა ჩვენი მოძრაობის ახლო წარსულის ისტორიას არ იცნობს.

«ოსვობოჟდენიეს» გამოსვლის დროიდან დაიწყო ძველი «ისკრის» ბრძოლის მეორე პერიოდი. როდესაც ლიბერალები დამოუკიდებელი ორგანოთი და განსაკუთრებული პოლიტიკური პროგრამით გამოვიდნენ, «საზოგადოებაზე» პროლეტარიატის ზეგავლენის ამოცანაც ბუნებრივად შეიცვალა: მუშათა დემოკრატია უკვე ვერ დაკმაყოფილდებოდა ლიბერალური დემოკრატიის მხოლოდ «შენჯღრევით», მისი ოპოზიციური სულის შერხევით; თავისი საქმიანობის ქვაკუთხედად მას უნდა გაეხადა რევოლუციური კრიტიკა იმ ორჭოფობისა, რომელმაც ნათლად იჩინა თავი ლიბერალიზმის პოლიტიკურ პოზიციაში. ლიბერალურ ფენებზე ჩვენმა ზეგავლენამ მიიღო ბატონ ლიბერალების პოლიტიკური პროტესტის არათანამიმდევრობისა და უკმარისობის მუდმივი აღნიშვნის ფორმა (საკმარისია დავიმოწმოთ «ზარია», რომელიც აკრიტიკებდა ბ-ნ სტრუვეს წინასიტყვაობას ვიტეს ბარათისა, და «ისკრის» მრავალრიცხოვანი სტატიები).

II პარტიული ყრილობის დროისათვის სოციალ-დემოკრატიის ეს ახალი პოზიცია ლიბერალიზმის მიმართ, რომელიც აშკარად გამოვიდა, უკვე იმდენად გამოირკვა და განმტკიცდა რომ კითხვაც კი არავის დაბადებია იმის შესახებ, არსებობს თუ არა რუსეთში ბურჟუაზიული დემოკრატია და მხარდაჭერას (და რანაირ მხარდაჭერას) უნდა ჰპოვებდეს თუ არა ოპოზიციური მოძრაობა პროლეტარიატის მხრივ. ლაპარაკი იყო მხოლოდ ამ საკითხზე პარტიულ შეხედულებათა ფორმულირების შესახებ; საკმარისად მიმაჩნია აქ აღვნიშნო ის, რომ ძველი «ისკრის» შეხედულებანი გაცილებით უკეთ იყო გამოხატული პლეხანოვის რეზოლუციაში, რომელშიც ხაზგასმით იყო აღნიშნული ლიბერალური «ოსვობოჟდენიეს» ანტირევოლუციური და ანტიპროლეტარული ხასიათი, ვიდრე სტაროვერის აბნეულ რეზოლუციაში, რომელიც, ერთი მხრით, ეტანება (და სრულიად უდროოდ ეტანება)

ლიბერალებთან «შეთანხმებას», ხოლო, მეორე მხრით, ასეთ შეთანხმებათა ფიქტიურ, ლიბერალებისათვის აშკარად შეუსრულებელ პირობებს აყენებს.

I

გადავიდეთ ახალი «ისკრის» გეგმაზე. რედაქცია აღიარებს ჩვენს მოვალეობას — სავსებით გამოვიყენოთ მთელი მასალა ლიბერალური დემოკრატიის გაუბედაობისა და ორჭოფობის საკითხზე, ლიბერალური ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის ინტერესთა მტრული დაპირისპირების საკითხზე, გამოვიყენოთ «ჩვენი პროგრამის პრინციპული მოთხოვნების შესაბამისად». «მაგრამ, — განაგრძობს რედაქცია, — მ ა გ რ ა მ აბსოლუტიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ფარგლებში, და სწორედ ახლანდელ ფაზისში, ჩვენი დამოკიდებულება ლიბერალური ბურჟუაზიისადმი გ ა ნ ი ს ა ზ ღ ვ რ ე ბ ა ა მ ო ც ა ნ ი თ — მეტი სიმამაცე შევძინოთ მას და ვაიძულოთ შეუერთდეს იმ მოთხოვნებს, რითაც გ ა მ ო ვ ა (? გამოვიდა?) პროლეტარიატი, რომელსაც სოციალ-დემოკრატია ხელმძღვანელობს». ჩვენ ამ უცნაურ ტირადაში ხაზი გავუსვით განსაკუთრებით უცნაურ სიტყვებს. მართლაც, როგორ არ უნდა ვუწოდოთ უცნაური იმას, როცა ერთმანეთს უპირისპირებენ ერთი მხრით, ორჭოფობისა და ინტერესთა მტრობის ანალიზის კრიტიკას, ხოლო, მეორე მხრით, ამოცანას — სიმამაცე შევძინოთ და ვაიძულოთ შეუერთდესო? როგორ შეგვიძლია ჩვენ სიმამაცე შევძინოთ ლიბერალურ დემოკრატიას სხვაგვარად, თუ არა დემოკრატიის საკითხებში მისი ორჭოფობის ულმობელი ანალიზისა და გამანადგურებელი კრიტიკის შემწეობით? რამდენადაც ბურჟუაზიული (ლიბერალური) დემოკრატია ფიქრობს გამოვიდეს როგორც დემოკრატია და იძულებულიცაა გამოვიდეს როგორც დემოკრატია, იმდენად ის უცილობლად მიისწრაფვის იქითკენ, რომ დაეყრდნოს ხალხის რაც შეიძლება უფრო ფართო წრეებს. ეს მისწრაფება გარდუვალად წარმოშობს შემდეგ წინააღმდეგობას: რაც უფრო ფართოა ხალხის ეს წრეები, მით უფრო მეტია მათში პროლეტარული და ნახევრადპროლეტარული ფენების წარმომადგენლები, რომლებიც მოითხოვენ პოლიტიკური და საზოგადოებრივი წყობილების სრულ დემოკრატიზაციას, ისეთ სრულს დემოკრატიზაციას, რომელიც ძირის გამოთხრას უქადის საერთოდ ყოველგვარი ბურჟუაზიული ბატონობის ფრიად მნიშვნელოვან საყრდენებს (მონარქიას, მუდმივ ჯარს, ბიუროკრატიას). ბურჟუაზიულ დემოკრატიას თავისი ბუნებით არ ძალუძს დააკმაყოფილოს ეს მოთხოვნები, მას თავისი ბუნებით უწერია გაუბედაობა და ორჭოფობა. სოციალ-დემოკრატები ამ ორჭოფო-

ბის კრიტიკით მუდმივ ბიძგს აძლევენ ლიბერალებს. ლიბერალური დემოკრატიას აშორებენ და მუშათა დემოკრატიის მხარეზე იზიდავენ პროლეტარებისა და ნახევრადპროლეტარების, აგრეთვე ნაწილობრივ წვრილი ბურჟუების სულ უფრო და უფრო მეტ რაოდენობას. მაშ როგორ შეიძლება ლაპარაკი: ჩვენ უნდა გავაკრიტიკოთ ლიბერალური ბურჟუაზიის ორპოფობა, მ ა გ რ ა მ (მაგრამ!) მისდამი ჩვენი დამოკიდებულება განისაზღვრება ამოცანით — შევძინოთ მას მამაცობაო? ეს ხომ აშკარა დომხალია, რაც მოწმობს ან იმას, რომ მისი ავტორები უკან იხევენ, ე. ი. უბრუნდებიან იმ დროს, როცა ლიბერალები საერთოდ ჯერ კიდევ არ გამოდიოდნენ აშკარად, როცა საჭირო იყო საერთოდ მათი გაღვიძება, შენძრევა. იძულება — ენა ამოიღოთ:—ან იმას, რომ ავტორებს ეგონათ აზრი, თითქოს შესაძლებელი იყოს «მამაცობა შევძინოთ» ლიბერალებს პროლეტართა მამაცობის შემცირებით.

რარიგ უცნაურიც არ უნდა იყოს ეს აზრი, სარედაქციო წერილის შემდგომ პასუხშივე ის კიდევ უფრო ნათლადაა გამოხატული: «მაგრამ. — კიდევ და კიდევ შენიშნავს რედაქცია, — მაგრამ ჩვენ საბედისწერო შეცდომას დავუშვებდით, მიზნად რომ დაგვესახა დ ა შ ი ნ ე ბ ი ს ენერგიული ზომებით ახლავე ი ძ უ ლ ე ბ უ ლ ი გ ა გ ვ ე ხ ა დ ა ერობები ან ბურჟუაზიული ოპოზიციის სხვა ორგანოები მოეცათ, პ ა ნ ი კ ი ს ზეგავლენით. მთავრობისათვის ჩვენი მოთხოვნების წარდგენის ფორმალური დაპირება. ასეთი ტაქტიკა სახელს გაუტეხდა სოციალ-დემოკრატიას, იმიტომ, რომ მთელ ჩვენს პოლიტიკურ კამპანიას რეაქციის ბერკეტად გადააქცევდა» (ხაზგასმა რედაქციისა).

აი რაში ყოფილა საქმე! რევოლუციურ პროლეტარიატს ჯერ არც ერთი სერიოზული დარტყმაც კი არ უგემებია მეფის თვითმპყრობელობისათვის ისეთ მომენტში, როცა ის განსაკუთრებით ცხადად მერყეობს და როცა სერიოზული დარტყმა განსაკუთრებით აუცილებელია, განსაკუთრებით სასარგებლოა და შეიძლება გადამწყვეტი დარტყმა აღმოჩნდეს, და უკვე გამოჩნდნენ სოციალ-დემოკრატები, რომლებიც ბუტბუტებენ რეაქციის ბერკეტზე. ეს უკვე არა მარტო დომხალია, ეს პირდაპირ უგვანობაა. და რედაქცია ამ უგვანობამდე მივიდა, როცა სპეციალურად რეაქციის ბერკეტზე ლაპარაკისათვის მეტად მრისხანე საფრთხობელა შეთხზა. აბა ერთი იფიქრეთ: წერილში სოციალ-დემოკრატიული პარტიის პარტიული ორგანიზაციებისადმი ეს ხალხი სერიოზულად ლაპარაკობს ერობელთა დაშინების ტაქტიკაზე და იმაზე, რომ ვაიძულოთ ისინი, პანიკის ზეგავლენით, ფორმალური დაპირება მოგვცენ! ადვილი საქმე არ იქნებოდა თვით რუს დიდკა-

ცებს, თვით ჩვენებურ უგრიუმ - ბურჩეევებს შორის გვეპოვნა ისეთი გულუბრყვილო სახელმწიფო მოღვაწე, რომელსაც ასეთი საფრთხობელა შეაშინებდა. ჩვენ, რევოლუციონერთა შორის, გვყავს თავგამოდებული ტერორისტები, თავგანწირული ბომბისტები, მაგრამ ბომბიზმის უაზრო დამცველთა უაღრესად უაზრო დამცველსაც კი, მგონი, აქამდე არ წამოუყენებია წინადადება დაგვეშინებინა... ერობელები და პანიკა გამოგვეწვია... ოპოზიციაში. ნუთუ ვერ ხედავს რედაქცია, რომ ამ სასაცილო საფრთხობელათა შეთხზვით, ამ ბანალური ფრაზების წამოსროლით იგი აუცილებლად იწვევს გაუგებრობას და გაკვირვებას, ანაგვიანებს შეგნებას და არევ-დარევას იწვევს მებრძოლ პროლეტართა გონებაში? ცარიელ სივრცეში ხომ არ იფანტებიან ეს სიტყვები რეაქციის ბერკეტზე, დაშინების სახელგამტეხ ტაქტიკაზე, ისინი ეცემიან სპეციფიკურ, რუსეთის პოლიციურ ნიადაგზე, რომელიც უაღრესად შეგუებულია ღვარძლის აღმოსაცენებლად. რეაქციის ბერკეტზე ახლა ჩვენ მართლაც ყოველ გზჯვარედინზე გველაპარაკებიან, მაგრამ გველაპარაკებიან «ნოვოე ვრემიას» წარმომადგენლები. დაშინების სახელგამტეხ ტაქტიკაზე ლაპარაკით ჩვენ მართლაც ყური გამოგვიჭედეს, — ბურჟუაზიული ოპოზიციის მშიშარა ბელადებმა და სხვამ არავინ.

აიღეთ პროფესორი თავადი ე. ნ. ტრუბეცკოი. მგონი, საკმაოდ «განათლებული» და — როგორც რუსი ლეგალური მოღვაწე — საკმაოდ «გაბედული» ლიბერალია. და როგორ უგვანოდ მსჯელობს ის ლიბერალურ «პრავოში»[28] (№ 39) «შინაურ საშიშროებაზე», სახელდობრ, უკიდურესი პარტიების საშიშროებაზე! აი იმის ცოცხალი მაგალითი, ნამდვილად ვინ არის ახლოს პანიკასთან, აი იმის თვალსაჩინო მაგალითი, ნამდვილად რა აშინებს ნამდვილ ლიბერალებს. ჰო, რა თქმა უნდა, მათ აშინებს არა ის გეგმა, «ისკრის» რედაქტორებს რომ დაესიზმრათ, არა ის გეგმა, რომ ფორმალური დაპირება წარმოათქმევინონ ერობელებს რევოლუციონერთა სასარგებლოდ (ბ-ნი ტრუბეცკოი ერთს გადაიხარხარებდა, მისთვის რომ ეთქვათ ასეთი გეგმა არსებობსო), — მათ აშინებთ «უკიდურესი» პარტიების რევოლუციურ-სოციალისტური მიზნები, მათ აშინებთ ქუჩის ფურცლები, პროლეტარიატის რევოლუციური თვითმოქმედების ეს პირველი მერცხლები, პროლეტარიატისა, რომელიც არ შეჩერდება, იარაღს არ გაუშვებს ხელიდან, სანამ ბურჟუაზიის ბატონობას არ დაამხობს. ამ შიშს წარმოშობს არა სასაცილო საფრთხობელები, არამედ მუშათა მოძრაობის ნამდვილი ხასიათი, ეს შიში წარუშლელია ბურჟუაზიის გულში (ცალკეული პირნი და ცალკეული ჯგუფები, რა თქმა უნდა, ანგარიშში ჩასათვლელი არ არის). აი რა-

ტომ ი:ბმის ასეთი სიყალბე ახალი «ი:სკრის» მსჯელობაში ერობელთა და ბურჟუაზიული ოპოზიციის წარმომადგენელთა დაშინების სახელგამტეხ ტაქტიკაზე. ბატონ ლიბერალებს ეშინიათ ქუჩის ფურცლების, ეშინიათ ყველაფრის, რაც ცენზიანი კონსტიტუციის ფარგლებს სცილდება და, რა თქმა უნდა, მუდამ შიში ეჭნებათ «დემოკრატიული რესპუბლიკის» ლოზუნგისა და შეიარაღებული საყოველთაო სახალხო აჯანყებისაკენ მოწოდებისა. მაგრამ შეგნებული პროლეტარიატი აღშფოთებით უკუაგდებს თვით იმ აზრსაც კი, რომ ჩვენ შეგვიძლია უარი ვთქვათ ამ ლოზუნგსა და ამ მოწოდებაზე, რომ ჩვენ შეგვიძლია საერთოდ ჩვენს მოღვაწეობაში ვიხელმძღვანელოთ ბურჟუაზიის პანიკითა და შიშით.

აიღეთ «ნოვოე ვრემია». რა ნაზ არიებს არ მღერის ის რეაქციის ბერკეტის მოტივზე. «ახალგაზრდობა და რეაქცია, — ვკითხულობთ № 10285-ის «შენიშვნებში» (18 ოქტომბერს), — ...რაღაც არ ეგუება ერთმანეთს ეს სიტყვები, ამავე დროს კი არასაკმაოდ მოფიქრებულ მოქმედებას, აჩქარებულ გატაცებას და სურვილს — რადაც უნდა დაჯდეს დაუყოვნებლივ მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფოს ბედის გადაწყვეტაში, შეუძლია ახალგაზრდობა ამ გამოუვალ ჩიხში მოამწყვდიოს. ამ დღეებში მომხდარი დემონსტრაცია ვიბორგის საპყრობილესთან, შემდეგ ცდა რაღაც საბაბით მანიფესტაციის გამართვისა უკვე დედაქალაქის ცენტრში, მოსკოვში 200 სტუდენტის გასეირნება ბაირაღებით და პროტესტებით ომის წინააღმდეგ... აქედან გასაგებია რეაქცია.. სტუდენტთა მღელვარებანი, ახალგაზრდობის დემონსტრაციები, ეს ხომ მთელი ბენეფისია, ეს საშუალებაა, მოულოდნელი, უდიდესი საშუალებაა რეაქციონერთა ხელში. აი მათთვის ნამდვილად ძვირფასი საჩუქარი, რომლის გამოყენებას ისინი კიდევაც შესძლებენ. საჭირო არ არის ასეთი საჩუქარი, საჭირო არ არის მოჩვენებითი (!!!) ღობეების მტვრევა: ახლა კარებიც კი გაღებულია (ალბათ, ვიბორგისა და სხვა საპყრობილეთა კარები?), ფართოდ არის გაღებული!».

ეს მსჯელობანი განმარტებას არ საჭიროებენ. საკმარისია მათი მოყვანა, რათა დავინახოთ, თუ რა უტაქტობაა ახლა ლაპარაკი რეაქციის ბერკეტზე, ა ხ ლ ა, როცა სრულიად რუსეთის საპყრობილის არც ერთი კარი ოდნავადაც კი არ არის გაღებული მებრძოლ მუშათათვის, როცა მეფის თვითმპყრობელობა არავითარ, პროლეტარიატისთვის თუნდაც რამდენიმედ საგრძნობ, დათმობაზე არ წასულა, როცა მთელი ყურადღება და მთელი ძალ-ღონე მიმართულ უნდა იქნას რუსი ხალხის მტერთან ნამდვილი და გადამწყვეტი შეტაკების მომზადებისაკენ, რა თქმა უნდა, ასეთი შეტაკების მარტოოდენ აზრიც კი შიშ-

სა და ძრწოლას ჰგვრის ბატონ ტრუბეცკოებს და ათასობით უფრო ნაკლებ «განათლებულ» ბატონ ლიბერალებს. მაგრამ ჩვენ სულელები ვიქნებოდით, ჩვენი მოქმედება რომ მათი ძრწოლისთვის შეგვეფარდებინა. ჩვენ უნდა ვეფარდებოდეთ საკუთარი ძალების მდგომარეობას, ხალხის მღელვარებისა და აღშფოთების ზრდას, იმ მომენტს, როცა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ პროლეტარიატის პირდაპირი შეტევა შეუერთდება ერთ-ერთ სტიქიურ და სტიქიურად მზარდ მოძრაობას.

II

ზემოთ, როცა იმ საფრთხობელაზე ვლაპარაკობდით, რომელიც ჩვენს რედაქციას დაესიზმრა, ჩვენ არ აღგვინიშნავს მისი მსჯელობის კიდევ ერთი დამახასიათებელი ნიშანი. რედაქცია თავს დაესხა სახელგამტეხ ტაქტიკას, რომელიც მიმართული იქნებოდა იქითკენ, რომ ერობის მოღვაწეებისაგან გამოგვეგლიჯა «ფორმალური დაპირება—ჩვენი მოთხოვნები წარუდგინოს მთავრობას». გაოდა წინათ აღნიშნული შეუსაბამობისა, აქ უცნაურია თვით ის აზრი, რომ «ჩვენს» მოთხოვნებს, მუშათა დემოკრატიის მოთხოვნებს, ლიბერალური დემოკრატია უდგენდეს მთავრობას. ერთი მხრით, ლიბერალურ დემოკრატიას სწორედ იმის გამო, რომ იგი ბურჟუაზიული დემოკრატიაა, არასდროს არ შესწევს უნარი შეითვისოს, არ შესწევს უნარი გულწრფელად, თანამიმდევრად და გადაჭრით დაიცვას «ჩვენი» მოთხოვნები. ლიბერალებს კიდევაც რომ მოეცათ, «ნებაყოფლობით» მოეცათ, ფორმალური დაპირება ჩვენი მოთხოვნების წარდგენისა, რასაკვირველია, ისინი ვერ შესძლებდნენ ამ დაპირების შესრულებას, მოატყუებდნენ პროლეტარიატს. მეორე მხრით, ჩვენ რომ იმდენად ძლიერი ვყოფილიყავით, რომ შეგვძლებოდა სერიოზული გავლენის მოხდენა ბურჟუაზიულ დემოკრატიაზე საერთოდ და ბატონ ერობელებზე განსაკუთრებით, ასეთი ძალა ჩვენთვის სრულიად საკმაო იქნებოდა, რათა დამოუკიდებლად წარგვედგინა ჩვენი მოთხოვნები მთავრობისათვის.

რედაქციას ეს უცნაური აზრი კი არ წამოსცდა, არამედ იგი იმ აბნეული პოზიციის აუცილებელი შედეგია, რომელსაც ის დაადგა საერთოდ ამ საკითხში. უსმინეთ: «ცენტრალურ ფოკუსს და სახელმძღვანელო ხაზს... უნდა წარმოადგენდეს პრაქტიკული ამოცანა... მნიშვნელოვანი ორგანიზებული ზეგავლენა მოვახდინოთ ბურჟუაზიულ ოპოზიციაზე»; «ლიბერალური ოპოზიციის ამა თუ იმ ორგანოსადმი მუშების განცხადების პროექტში» უნდა იყოს «განმარტება, რატომ მიმართავენ მუშები არა მთავრობას, არამედ სწორედ ამ

ოპოზიციის წარმომადგენელთა კრებას». ამოცანის ასეთი დაყენება ძირიან-ფესვიანად მცდარია. ჩვენ, პროლეტარიატის პარტია, რა თქმა უნდა, «მოსახლეობის ყველა კლასში უნდა წავიდეთ», აშკარად და ენერგიულად უნდა ვიცავდეთ მთელი ხალხის წინაშე ჩვენს პროგრამას და ჩვენს უახლოეს მოთხოვნებს, უნდა ვცდილობდეთ ეს მოთხოვნები დავაყენოთ ბატონ ერობელთა წინაშეც, მაგრამ ცენტრალური ფოკუსი და სახელმძღვანელო ხაზი ჩვენთვის უნდა იყოს ზეგავლენის მოხდენა სწორედ არა ერობელებზე, არამედ მთავრობაზე. «ისკრის» რედაქციამ ცენტრალური ფოკუსის საკითხი სწორედ რომ ყირამალა დააყენა. ბურჟუაზიული ოპოზიცია სწორედ იმიტომ არის მხოლოდ ბურჟუაზიული და მხოლოდ ოპოზიცია, რომ იგი თვითონ არ იბრძვის, არა აქვს თავისი პროგრამა, რომლის დაცვა აუცილებელი იყოს, რომ იგი დგას ორ მებრძოლ მხარეს შუა (მთავრობასა და რევოლუციურ პროლეტარიატს შუა, პლუს პროლეტარიატის მცირერიცხოვანი ინტელიგენტი მომხრეები), რომ იგი თავის სასარგებლოდ ვარაუდობს ბრძოლის შედეგს. ამიტომ, რაც უფრო ჩაღდება ბრძოლა, რაც უფრო ახლოვდება გადამწყვეტი ბრძოლის მომენტი, მით უფრო მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ და ზეგავლენა მრავახდინოთ ჩვენს ნამდვილ მტერზე და არა იმ მოკავშირეზე, რომელიც შ ე გ ნ ე ბ უ ლ ა დ არის პირობითი, პრობლემატური, არასაიმედო და ორჭოფი მოკავშირე. უგუნურება იქნებოდა ამ მოკავშირის უგულებელყოფა, უაზრო იქნებოდა მიზნად დაგვესახა მისი დაშინება და დაფრთხობა, — ყოველივე ეს იმდენად აშკარაა თავისთავად, რომ ამაზე მსჯელობა უცნაურიცაა. მაგრამ ჩვენი აგიტაციის ცენტრალურ ფოკუსს და სახელმძღვანელო ხაზს უნდა წარმოადგენდეს, ვიმეორებ, არა ზეგავლენის მოხდენა ამ მოკავშირეზე, არამედ მტერთან გადამწყვეტი ბრძოლის მომზადება. როცა მთავრობა ერობას ელაქუცებოდა, უმნიშვნელო რამეებს უთმობდა, ამით მას ფაქტიურად ხალხისთვის ხომ ჯერ არაფერიც არ დაუთმია, მთავრობას ჯერ კიდევ საკვლებით, საკვლებით შეუძლია რეაქციას დაუბრუნდეს (უფრო სწორად რომ ვთქვათ, განაგრძოს რეაქცია), როგორც ეს ხდებოდა ხოლმე რუსეთში ათეულჯერ და ასეულჯერ ამა თუ იმ თვითმპყრობელის სწრაფწარმავალი ლიბერალური სულისკვეთების შემდეგ. ერობასთან ლაქუცის, ხალხისთვის თვალისახვევის, ცარიელი სიტყვებით მისი მიძინების სწორედ ასეთ მომენტში განსაკუთრებით უნდა ვერიდებოდეთ მელიის კუდს, განსაკუთრებული დაჟინებით უნდა მოვაგონებდეთ ყველას, რომ მტერი ჯერ კიდევ არ არის მოტეხილი, განსაკუთრებული ენერგიით უნდა მოვუწოდებდეთ მტერთან ბრძოლის განგრძობისა და გაათკეცებისაკენ და არა იმისაკენ, რომ სიმ-

ძიმის ცენტრი გადატანილ იქნას მთავრობისადმი «მიმართვიდან» ერობისადმი მიმართვაზე. სწორედ ამჟამად ეს აშკარა მქაფავნი და თავისუფლების გამყიდველნი წელებზე ფეხს იდგამენ, რათა საზოგადოებისა და ხალხის ყურადღების ცენტრი მიმართონ ერობისაკენ, გამოიწვიონ ნდობა ერობისადმი, რომელიც სინამდვილეში სრულიადაც არ არის ნამდვილი დემოკრატიის ნდობის ღირსი. აიღეთ «ნოვოე ვრემია»: ზემოთ ციტირებულ სტატიაში თქვენ წაიკითხავთ ასეთ მსჯელობას: «ყველასათვის ცხადია, როცა შესაძლებელი გახდება ყველა ჩვენი ნაკლის თამამად და გულმართლად განხილვა, როცა ყოველ მოღვაწეს საშუალება ექნება თავისუფლად გაშალოს თავისი მოღვაწეობა, მალე ნაკლოვანებებსაც ბოლო მოეღება, და რუსეთი შესძლებს უშიშრად დაადგეს პროგრესისა და სრულყოფის იმ გზას, რომელიც მისთვის ასე აუცილებელია. ორგანიზაციის, ამ პროგრესის ინსტრუმენტის, გამოგონებაც კი აღარ არის საჭირო: ის უკვე არსებობს ერობის სახით, რომელსაც მხოლოდ (!!) ზრდის თავისუფლება უნდა მივანიჭოთ; ამ უკანასკნელშია ნამდვილი თვითმყოფი და არა სხვისგან გადმოღებული სრულყოფის საწინდარი». ასეთი და მსგავსი ლათაიები არა მარტო «შეზღუდული მონარქიისა და ცენზიან კონსტიტუციისაკენ მისწრაფებას ფარავენ» (როგორც ამბობს რედაქცია თავისი წერილის სხვა ადგილას); ისინი პირდაპირ ამზადებენ ნიადაგს, რათა მთელი საქმე განისაზღვროს ერობის მიმართ გაღიმებით ისე, რომ მონარქიის არავითარი შეზღუდვაც კი არ მოხდეს!

ცენტრალურ ფოკუსად ერობაზე და არა მთავრობაზე ზეგავლენის წამოყენება ბუნებრივად ბადებს იმ საეარალო აზრს, რომელიც საფუძვლად დაედო სტაროვერის რეზოლუციას, სახელდობრ აზრს— ახლავე და დაუყოვნებლივ ვეძიოთ ბაზისი ლიბერალებთან რაიმე «შეთანხმებათათვის». «ახლანდელ ერობათა მიმართ კი,—ამბობს თავის წერილში რედაქცია,—ჩვენ ამოცანად უნდა დავისახოთ (!!), რომ მათ წარვუდგინოთ რევოლუციური პროლეტარიატის ის პოლიტიკური მოთხოვნები, რომლებსაც ისინი მოვალენი არიან მხარი დაუჭირონ, რათა რაიმე უფლება მაინც ჰქონდეთ ხალხის სახელით გამოვიდნენ და მუშათა მასების ენერგიული მხარდაჭერის იმედი იქონიონ». მუშათა პარტიის ამოცანების კარგი განსაზღვრა კია, თქვენმა მზემ! იმ დროს, როცა ჩვენს წინაშე სრულიად ნათლად ისახება მთავრობასთან ზომიერ ერობელთა შესაძლებელი და მოსალოდნელი კავშირი რევოლუციური პროლეტარიატის წინააღმდეგ საბრძოლველად (რედაქცია თვითონ აღიარებს ასეთი კავშირის შესაძლებლობას), ჩვენ ამოცანად უნდა «დავისახოთ» არა მთავრობის წინააღმდეგ

პრძოლის ენერგიის გაათკეცება, არამედ ლიბერალებთან შეთანხმების კაზუისტიკური პირობების შემუშავება ურთიერთმხარდაჭერის შესახებ. თუ მე სხვა პირს ვუყენებ მოთხოვნებს, რომელთა მხარის დაჭერა შან სავალდებულოდ უნდა გაიხადოს, რათა უფლება ჰქონდეს ჩემი მხარდაჭერისა, მე სწორედ შეთანხმებას ვდებ. და ჩვენ ვეკითხებით ყველას და თვითეულს: სად გაქრა ლიბერალებთან შეთანხმების ის «პირობები», რომელთაც სტაროვერი თხზავდა თავის რეზოლუციაში* (რასაც ხელს აწერდნენ აგრეთვე აქსელროდი და მარტოვი) და რომელთა განუხორციელებლობა უკვე იწინასწარმეტყველეს ჩვენს ლიტერატურაში? ამ პირობებზე რედაქცია კრინტსაც არ ძრავს თავის წერილში. რედაქციამ ყრილობაზე რეზოლუცია გაიყვანა იმისათვის, რათა შემდეგ ის ნაყარი ქაღალდის კალათში გადაესროლა. როგორც კი სცადეს პრაქტიკულად შესდგომოდნენ საქმეს, მაშინვე ცხადი გახდა, რომ სტაროვერის «პირობების» წაყენება ბატონ ლიბერალ ერობელთა მხოლოდ ჰომერულ ხარხარს გამოიწვევდა.

გავყვეთ ქვევით. შეიძლება თუ არა საერთოდ პ რ ი ნ ც ი პ უ ლ ა დ მართებულად ჩავთვალოთ მუშათა პარტიის წინაშე ამოცანის დაყენება — ლიბერალურ დემოკრატიას ან ერობელებს ისეთი პოლიტიკური მოთხოვნები წარუდგინოს, «რომელთაც იგი ვალდებულია მხარი დაუჭიროს, რათა რაიმე უფლება მაინც ჰქონდეს ხალხის სახელით გამოვიდეს»? არა, ამოცანის ასეთი დაყენება პრინციპულად უმართებულოა და მხოლოდ პროლეტარიატის კლასობრივი თვითშეგნების დაბნელებას, მეტისმეტად უნაყოფო კაზუისტიკას იწვევს. ხალხის სახელით გამოსვლა — ეს ნიშნავს სწორედ დემოკრატის სახით გამოსვლას. ყოველ დემოკრატს (და მათ შორის ბურჟუაზიულ დემოკრატსაც) უფლება აქვს გამოვიდეს ხალხის სახელით, მაგრამ მას ამის უფლება აქვს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ის თანამიმდევრად, გადაჭრით და ბოლომდე ატარებს დემოკრატიზმს. მაშასადამე, ყ ო ვ ე ლ ბურჟუაზიულ დემოკრატს «რაიმე უფლება

* მოვაგონებთ მკითხველს, რომ ყრილობის მიერ (ჩემი და პლეხანოვის აზრის წინააღმდეგ) მიღებულ სტაროვერის რეზოლუციაში შეტანილი იყო ლიბერალებთან დროებითი შეთანხმების 3 პირობა: 1) ლიბერალები «აშკარად და არაორაზროვნად განაცხადებენ, რომ თვითმპყრობელურ მთავრობასთან ბრძოლაში ისინი გადაჭრით დგებიან სოციალ-დემოკრატიის მხარეზე»; 2) «ისინი თავიანთ პროგრამაში არ წამოაყენებენ ისეთ მოთხოვნებს, რომლებიც ეწინააღმდეგებიან მუშათა კლასისა და დემოკრატიის ინტერესებს საერთოდ ანდა აბნელებენ მის შეგნებას»; 3) «თავის ბრძოლის ლოზუნგად ისინი წამოაყენებენ საყოველთაო, თანასწორ, ფარულ და პირდაპირ საარჩევნო უფლებას».

მაინც აქვს ხალხის სახელით გამოვიდეს» (ვინაიდან ‘ყოველი ბურ-ჟუაზიული დემოკრატი იცავს, სანამ ის დემოკრატია, ამა თუ იმ დემოკრატიულ მოთხოვნას), მაგრამ იმავე დროს ა რ ც ე რ თ ბურ-ჟუაზიულ დემოკრატს არა აქვს უფლება მთელი ხაზით გამოვიდეს ხალხის სახელით (ვინაიდან ამჟამად არც ერთ ბურჟუაზიულ დემოკ-რატს არ შესწევს უნარი გადაჭრით და ბოლომდე მიიყვანოს დემოკ-რატიზმი). ბ-ნ სტრუვეს უფლება აქვს ხალხის სახელით გამოვიდეს, რამდენადაც «ოსვობოჟდენიე» თვითმპყრობელობას ებრძვის. ბ-ნ სტრუვეს არავითარი უფლება არა აქვს ხალხის სახელით გამოვიდეს, რამდენადაც «ოსვობოჟდენიე» მელაკუდობს და თვალთმაქცობს, ცენზიანი კონსტიტუციით კმაყოფილდება, საერობო ოპოზიციას ათანაბრებს ბრძოლასთან, თავს არიდებს თანმიმდევარ და ნათელ დემოკრატიულ პროგრამას. გერმანელ ნაციონალ-ლიბერალებს უფ-ლება ჰქონდათ ხალხის სახელით გამოსულიყვნენ, რამდენადაც ისინი იბრძოდნენ მიმოსვლის თავისუფლებისათვის. გერმანელ ნაციო-ნალ-ლიბერალებს არავითარი უფლება არ ჰქონდათ ხალხის სახელით გამოსულიყვნენ, რამდენადაც ისინი მხარს უჭერდნენ ბისმარკის რე-აქციულ პოლიტიკას.

ამრიგად, მუშათა პარტიისათვის ამოცანის დაყენება, რომ მან ბატონ ლიბერალ ბურჟუებს წაუყენოს ისეთი მოთხოვნები, რომელთა მხარის დაჭერით მათ რაიმე უფლება მაინც ექნებათ ხალხის სახელით გამოვიდნენ, ეს ნიშნავს უგუნური და ბრიყვული ამოცანის შეთხ-ზვას! ჩვენთვის არავითარ საჭიროებას არ შეადგენს შევთხ-ზათ რაიმე განსაკუთრებული დემოკრატიული მოთხოვნები იმათ გარდა, რომლებიც მოცემულია ჩვენს პროგრამაში. ამ პროგრამის მიხედვით ჩვენ ვალდებული ვართ მხარი დავუჭიროთ ყოველ (მათ შორის აგრეთვე ბურჟუაზიულ) დემოკრატს, რამდენადაც ის დემოკ-რატიზმს ატარებს; ჩვენ ვალდებული ვართ დაუნდობლად ვამხილოთ ყოველი დემოკრატი (მათ შორის სოციალისტ-რევოლუციონე-რიც), რამდენადაც ის სცილდება დემოკრატიზმს (თუნდაც, მაგალი-თად, თემიდან თავისუფლად გამოსვლის და გლეხის მიერ მიწის თა-ვისუფლად გაყიდვის საკითხებში). ხოლო იმის ცდა, რომ წინასწარ განვსაზღვროთ, ასე ვთქვათ, დასაშვები სისაძაგლის ზომა, ვცადოთ წინასწარ დავაწესოთ, დემოკრატიზმიდან რანაირი გადახვევაა შესა-წყნარებელი დემოკრატისთვის, რათა მას რაიმე უფლება მაინც ჰქონდეს გამოვიდეს როგორც დემოკრატი, — ეს ამოცანა იმდენად

ჭკვიანურია, რომ უნებლიეთ ეჭვი გებადება, ჩვენს რედაქციას მის შეთხზვაში ამხ. მარტინოვი ან ამხ. დანი ხომ არ ეხმარებოდა.

III

რედაქცია თავის წერილში სახელმძღვანელო პოლიტიკურ მოსაზრებათა გადმოცემის შემდეგ დაწვრილებით გადმოგვცემს თავის დიად გეგმასაც.

საგუბერნიო საერობო კრებები შუამდგომლობენ კონსტიტუციის შესახებ. ქალაქ N, X, Y-ის კომიტეტელები პლუს განვითარებული მუშები ადგენენ პოლიტიკური კამპანიის გეგმას «აქსელროდის მიხედვით». აგიტაციის ცენტრალური ფოკუსია ზეგავლენის მოხდენა ბურჟუაზიულ ოპოზიციაზე. ირჩევენ ორგანიზაციულ ჯგუფს. ორგანიზაციული ჯგუფი ირჩევს აღმასრულებელ კომისიას. აღმასრულებელი კომისია ირჩევს სპეციალურ ორატორს. ცდილობენ «უშუალოდ დაუახლოონ მასები საერობო კრებებს, თავი მოუყარონ მანიფესტაციას სწორედ იმ შენობასთან, სადაც ერობის ხმოსნების სხდომები იმართება. დემონსტრანტთა ნაწილი იჭრება სხდომის დარბაზში იმ მიზნით, რომ შესაფერ მომენტში, საამისოდ სპეციალური რწმუნებით აღჭურვილი ორატორის შემწეობით, სთხოვოს კრებას (? თავადაზნაურობის წინამძღოლს, რომელიც კრებას თავმჯდომარეობს?) ნება დართონ მას წაიკითხოს მუშების განცხადება. უარის მიღების შემთხვევაში ორატორი ხმამაღლა აცხადებს პროტესტს იმის წინააღმდეგ, რომ კრებას, რომელიც ხალხის სახელით ლაპარაკობს, არ სურს მოუსმინოს სწორედ ამ ხალხის ნამდვილ წარმომადგენლებს».

ასეთია ახალი «ისკრის» ახალი გეგმა. ჩვენ ახლავე დავინახავთ, როგორ თავდაჭერილად აფასებს მის მნიშვნელობას თვით რედაქცია, მაგრამ ჯერ მოვიყვანოთ რედაქციის უაღრესად პრინციპული განმარტება აღმასრულებელი კომისიის ფუნქციების შესახებ:

... «აღმასრულებელმა კომისიამ წინასწარ უნდა მიიღოს ზომები, რათა რამდენიმე ათასი მუშის გამოჩენამ იმ შენობის წინ, სადაც ერობის ხმოსნების სხდომა მიმდინარეობს, და რამდენიმე ათეულის თუ ასეულის გამოჩენამ თვით შენობაში *არ გამოიწვიოს ერობელთა პანიკური შიში* (!!), რომლის გავლენით მათ შეუძლიათ მიაშურონ (!) და სამარცხვინოდ თავი შეაფარონ პოლიციელებსა და კაზაკებს, ამრიგად მშვიდობიანი მანიფესტაცია გადააქციონ უმსგავსო შეხლა-შემოხლად და ბარბაროსულ ცემა-ტყეპად და მთელი მისი აზრი დაამახინჯონ»... (რედაქციამ, როგორც ჩანს, თვითონ ირწმუნა სიზმრად ნახული საფრთხობელა. ფრაზის სიტყვასიტყვითი გრამატიკული აზრის თანახმად, რედაქციის აზრით

ისე გამოდის, თითქოს ერობელები მანიფესტაციას ცემა-ტყეპად აქცევენ და ამახინჯებენ მის აზრს. ჩვენ დიდი აზრისა არა ვართ ლიბერალ ერობელებზე, მაგრამ მაინც რედაქციის პანიკური შიში ლიბერალების მიერ ერობის კრებაზე პოლიციისა და კაზაკების გამოძახების შესახებ ყოვლად სულელურად მიგვაჩნია. ყველამ, ვინც ერთხელ მაინც დასწრებია ერობის კრებას, მშვენივრად იცის, რომ ეგრეთწოდებული წესრიგის დარღვევის შემთხვევაში პოლიციას გამოიწვევს ან თავმჯდომარე — თავადაზნაურობის წინამძღოლი, ან მეორე ოთახში არაოფიციალურად მყოფი პოლიციის მოხელე. ან იქნებ აღმასრულებელი კომისიის წევრებმა ამ შემთხვევის გამო განუმარტონ უბნის ზედამხედველს, რომ ახალი «ისკრის» რედაქციის «გეგმაში» სრულიადაც არ შედის მშვიდობიანი მანიფესტაციის გადაქცევა ბარბაროსულ ცემა-ტყეპად?).

...«ასეთი სიურპრიზის თავიდან ასაცილებლად აღმასრულებელმა კომისიამ წინასწარ უნდა გააფრთხილოს ლიბერალი ხმოსნები... (რათა მათ «ფორმალური დაპირება» მისცენ კაზაკებს არ გამოვიძახებთო?), რომ მზადდება მანიფესტაცია და აცნობოს მისი ნამდვილი მიზანი... (ე. ი. გააფრთხილოს, რომ ჩვენი ნამდვილი მიზანი სრულიადაც არ მდგომარეობს იმაში, რომ ბარბაროსულად გვცემონ და ამით აქსელროდის გეგმის აზრი დაამახინჯონ)... გარდა ამისა, იგი უნდა შეეცადოს ერთგვარი შეთანხმება (უსმინეთ!) მოახდინოს ოპოზიციური ბურჟუაზიის მემარცხენე ფრთის წარმომადგენლებთან და პირობა დაადებინოს, თუ აქტიურ დახმარებას არ გაუწევენ, ყოველ შემთხვევაში თანაგრძნობით მაინც შეხვდნენ ჩვენს პოლიტიკურ აქტს. მათთან მოლაპარაკება აღმასრულებელმა კომისიამ უნდა აწარმოოს, რასაკვირველია, პარტიის სახელით, მუშათა წრეებისა და კრებების დავალებით, სადაც არათუ განიხილავენ პოლიტიკური კამპანიის საერთო გეგმას, არამედ ანგარიშსაც აბარებენ მისი მსვლელობის შესახებ, — რა თქმა უნდა, კონსპირაციის მოთხოვნების სასტიკი დაცვით».

დიახ, დიახ, ჩვენ თვალნათლივ ვხედავთ, რომ სტაროვერის დიადი იდეა ლიბერალებთან ზუსტად გარკვეული პირობების ბაზისზე შეთანხმების შესახებ იზრდება და მტკიცდება არა დღითი-დღე, არამედ საათობით. მართალია, ყველა ეს გარკვეული პირობა «დროებით» მაუდქვეშაა ამოდებული (ჩვენ ხომ ფორმალისტები არა ვართ!), მაგრამ სამაგიეროდ შეთანხმებას ვაღწევთ პრაქტიკულად, ვაღწევთ დაუყოვნებლივ, სახელდობრ: შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა ს — ა რ გ ა მ ო ვ ი წ ვ ი ო თ პ ა ნ ი კ უ რ ი შ ი შ ი.

როგორც არ უნდა ატრიალოთ რედაქციის წერილი, მასში ლიბე-

რალებთან ყბადაღებული «შეთანხმების» ვერავითარ სხვა შინაარსს ვერ იპოვით, გარდა ჩვენს მიერ აღნიშნულისა: ან ეს არის შეთანხმება იმ პირობებზე, რომელთა მიხედვით ლიბერალებს უფლება აქვთ ხალხის სახელით გამოვიდნენ (და მაშინ თვით იდეა ასეთი შეთანხმებისა ფრიად სერიოზულად უტეხს სახელს მის წამომყენებელ სოციალ-დემოკრატებს), ან ეს არის შეთანხმება პანიკური შიშის გამოუწვევლობის შესახებ, შეთანხმება მშვიდობიანი მანიფესტაციისადმი თანაგრძნობის შესახებ, — და მაშინ ეს პირდაპირ ისეთი სისულელეა, რომლის შესახებ სერიოზულად ლაპარაკი ძნელია. ბურჟუაზიულ ოპოზიციაზე და არა მთავრობაზე ზემოქმედების ცენტრალური მნიშვნელობის უაზრო იდეას არც შეეძლო სხვა რამემდე მივეყვანეთ, თუ არა აბსურდამდე. თუ ჩვენ შეგვიძლია მუშების მნიშვნელოვანი და მასობრივი დემონსტრაცია გავმართოთ საერობო კრების დარბაზში, — ჩვენ, რა თქმა უნდა, მას გავმართავთ (თუმცა თუ მასობრივი დემონსტრაციისათვის საჭირო ძალები გვეყოლება ბევრად უმჯობესი იქნებოდა ამ ძალებისთვის «თავი მოგვეყარა» არა საერობო, არამედ პოლიციელთა, ჟანდარმთა ან ცენზორთა საკრებულოს «შენობასთან»). მაგრამ ამავე დროს ერობის მოღვაწეთა პანიკური შიშის მოსაზრებებით ხელმძღვანელობა, ამის შესახებ მოლაპარაკების გამართვა — უდიდესი უგუნურებაა, კომიკურზე კომიკურია. პანიკურ შიშს რუსეთის ერობის მოღვაწეთა მნიშვნელოვან ნაწილში, ალბათ, მათს უმრავლესობაში, ყოველთვის და აუცილებლად გამოიწვევს თანამიმდევარი სოციალ-დემოკრატის თვით სიტყვის შინაარსი. ერობელებთან წინასწარ ლაპარაკი ასეთი პანიკური შიშის არასასურველობის შესახებ — ეს ნიშნავს თავი ჩაიყენო ფრიად ყალბ და არასაკადრის მდგომარეობაში. სხვაგვარ პანიკურ შიშს აუცილებლად გამოიწვევს აგრეთვე ბარბაროსული ცემა-ტყეპა ან მისი შესაძლებლობის აზრი. მოლაპარაკების გამართვა ერობელებთან ამ პანიკური შიშის თაობაზე — დიდი უპკუობაა, ვინაიდან ცემა-ტყეპას არასოდეს არც გამოიწვევს და არც თანაგრძნობით შეხვდება არც ერთი თუნდაც ყველაზე ზომიერი ლიბერალი, მაგრამ ეს მასზე სრულიადაც არაა დამოკიდებული. აქ საჭიროა არა «მოლაპარაკება» არამედ ძალის ფაქტიური მომზადება, არა ზეგავლენის მოხდენა ერობელებზე, არამედ სწორედ ზეგავლენის მოხდენა მთავრობასა და მის აგენტებზე. თუ ძალა არ არის, სჯობს დიდ გეგმებზე ლაყბობას თავი დაანებო, ხოლო თუ ძალა არის, მაშინ სწორედ ეს ძალა უნდა დავუპირისპიროთ კაზაკებსა და პოლიციას, შევეცადოთ შევკრიბოთ იმდენი ხალხი და ისეთ ადგილას, რომ მან შესძლოს მოიგერიოს, ან თუნდაც შეაჩეროს მაინც კაზაკებისა და

პოლიციის შემოტევა. და თუ ჩვენ უნარი შეგვწევს საქმით და არა სიტყვიერად მოვახდინოთ «მნიშვნელოვანი ორგანიზებული ზეგავლენა ბურჟუაზიულ ოპოზიციაზე», ეს უკვე უნდა მოხდეს, რა თქმა უნდა, არა სულელური «მოლაპარაკებით» იმის შესახებ, რომ არ გამოვიწვიოთ პანიკური შიში, არამედ მხოლოდ ძალით, კაზაკებისა და მეფის პოლიციისათვის მასობრივი წინააღმდეგობის გაწევის ძალით, მასობრივი შეტევის ძალით, რომელიც შესძლებს ხალხის აჯანყებად იქცეს.

ახალი «ისკრის» რედაქცია სხვანაირად უყურებს საქმის ვითარებას. იგი იმდენად კმაყოფილია შეთანხმებისა და მოლაპარაკების თავისი გეგმით, რომ ვერ გამძღარა მისი ცქერით, მისი ქებათა-ქებით.

...აქტიური დემონსტრანტები უნდა იყვნენ «გამსჭვალულნი იმის შეგნებით, რომ ძირითადი განსხვავება არსებობს საერთოდ პოლიციის ან მთავრობის საწინააღმდეგო ჩვეულებრივ დემონსტრაციასა და იმ დემონსტრაციას შორის, რომლის უშუალო მიზანია აბსოლუტიზმის წინააღმდეგ ბრძოლა ლიბერალური ელემენტების პოლიტიკურ ტაქტიკაზე რევოლუციური პროლეტარიატის პირდაპირი ზეგავლენით (აი რა ყოფილა!) ა ხ ლ ა ნ დ ე ლ (ხ ა ზ გ ა ს მ ა რ ე დ ა ქ ც ი ი ს ა ა) მომენტში ...ჩვეულებრივი, ასე ვთქვათ, საერთოდემოკრატიული (!!) ტიპის, დემონსტრაციების მოსაწყობად, რომელთა უშუალო მიზანს არ შეადგენს კონკრეტულად დაუპირისპიროს ერთიმეორეს რევოლუციური პროლეტარიატი და ლიბერალურ-ოპოზიციური ბურჟუაზია, როგორც ორი დამოუკიდებელი პოლიტიკური ძალა, საკმარისია მხოლოდ ის, რომ ხალხის მასებში არსებობდეს ძლიერი პოლიტიკური მღელვარება»... «ჩვენი პარტია ვალდებულია გამოიყენოს მასების ეს სულისკვეთება აბსოლუტიზმის წინააღმდეგ ამ მასების თუნდაც ასეთი, თუ შეიძლება ასე ითქვას, დაბალი ტიპის (უსმინეთ! უსმინეთ!) მობილიზაციისათვის». ...«ჩვენ პირველ (!) ნაბიჯებს ვდგამთ პოლიტიკური მოღვაწეობის ახალ (!) გზაზე, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მუშათა მასების (N B*) ისეთი გეგმაშეწონილი ჩარევის მოწყობის გზაზე, რომლის უშუალო მიზანია ეს მასები დაუპირისპიროს ბურჟუაზიულ ოპოზიციას, როგორც დამოუკიდებელი ძალა, როგორც მისი მოპირდაპირე თავისი კლასობრივი ინტერესებით და იმავე დროს ისეთი ძალა, რომელიც სთავაზობს მას პირობებს (მერე რა პირობებს?) საერთო მტრის წინააღმდეგ ერთობლივი ენერგიული ბრძოლისათვის».

ყველა როდი ჩასწვდება ამ შესანიშნავ მსჯელობათა მთელ სიღრმეს. როსტოვის დემონსტრაცია, როცა ათასობით მუშებს უმარტა-

* — Nota bene—დაიხსომეთ. რედ.

ვენ სოციალიზმის მიზნებს და მუშათა დემოკრატიის მოთხოვნებს,— ეს «მობილიზაციის დაბალი ტიპია», ეს ჩვეულებრივი, საერთოდემოკრატიული ტიპია, აქ კონკრეტულად არ უპირისპირდება ერთიმეორეს რევოლუციური პროლეტარიატი და ბურჟუაზიული ოპოზიცია. მაგრამ აი, როცა სპეციალური რწმუნებით აღჭურვილი ორატორი, რომელიც დანიშნა აღმასრულებელმა კომისიამ, არჩეულმა საორგანიზაციო ჯგუფის მიერ, რაც შეუქმნიათ კომიტეტებსა და აქტიურ მუშებს, — როცა ეს ორატორი, ერობელებთან წინასწარ მოლაპარაკების შემდეგ, ხმამაღლა პროტესტს განაცხადებს საერობო კრებაზე იმის გამო, რომ არ სურთ მოუსმინონ მას, მაშინ ეს იქნება ორი დამოუკიდებელი ძალის «კონკრეტული» და «უშუალო» დაპირისპირება, მაშინ ეს იქნება «პირდაპირი» ზეგავლენის მოხდენა ლიბერალების ტაქტიკაზე, მაშინ ეს იქნება «პირველი ნაბიჯის გადადგმა ახალ გზაზე». ღვთის შიში მაინც იქონიეთ, ბატონებო! მარტინოვსაც კი «რაბოჩეე დელოს» უცუდეს ხანებში საეკვოა ასეთი უხამსობანი ეთქვას!

სამხრეთის ქალაქთა ქუჩებში გამართული მუშათა მასობრივი კრებები, ათეული მუშათა ორატორები, პირდაპირი შეტაკებები მეფის თვითმპყრობელობის ნამდვილ ძალასთან, — ეს «მობილიზაციის დაბალი ტიპია». ხოლო ერობის მოღვაწეებთან შეთანხმება ჩვენი ორატორის მშვიდობიანი გამოსვლის შესახებ, ორატორისა, რომელიც ვალდებულებას კისრულობს ბატონ ლიბერალების პანიკა არ გამოიწვიოს, — ეს «ახალი გზაა». აი ისინი, ახალი «ისკრის» ახალი ტაქტიკური ამოცანები, ახალი ტაქტიკური შეხედულებანი, რომლებიც ასე დიდი ამბით ამცნეს მთელ მსოფლიოს რედაქციის ბალალაიკინის[29] საშუალებით. მაგრამ ამ ბალალაიკინმა ერთი სიმართლე კი თქვა თავისდა უნებურად: ძველსა და ახალ «ისკრას» შორის მართლაც უფსკრულია. ძველ «ისკრას» არ ჰქონია სხვა სიტყვები, გარდა ზიზღისა და დაცინვის სიტყვებისა, იმ ადამიანთა მიმართ, რომელნიც აღტაცებაში მოდიან როგორც «ახალი გზით», კლასთა ბუტაფორულად მოწყობილი შეთანხმებით. ეს ახალი გზა უკვე დიდი ხანია ცნობილია ჩვენთვის სოციალიზმის იმ ფრანგი და გერმანელი «სახელმწიფო კაცების» გამოცდილების მიხედვით, რომელთაც ასევე მიაჩნიათ ძველი რევოლუციური ტაქტიკა «დაბალ ტიპად» და სიტყვები არ ყოფნით ქება-დიდება შეასხან «საზოგადოებრივ ცხოვრებაში გეგმაშეწონილ და უშუალო ჩარევას» მუშათა ორატორების მშვიდობიანი და თავმდაბალი გამოსვლის შესახებ შეთანხმების სახით, ოპოზიციური ბურჟუაზიის მემარცხენე ფრთასთან მოლაპარაკების შემდეგ.

ლიბერალ ერობელთა პანიკური შიშის წინაშე რედაქცია თავის მხრივ ისეთ პანიკურ შიშს განიცდის, რომ მის მიერ შეთხზული «ახალი» გეგმის მონაწილეებს გულმოდგინედ ურჩევს «განსაკუთრებულ სიფრთხილეს», «თვითონ ამ აქტის ვითარებაში, როგორც გარეგანი სიფრთხილის უკიდურესი შემთხვევა, — ვკითხულობთ წერილში, — ჩვენ წარმოგვიდგენია მუშების განცხადების ფოსტით დაგზავნა ხმოსნებისათვის სახლში და ამ განცხადების დიდი რაოდენობით მიმოფანტვა საერობო კრების დარბაზში. ეს მხოლოდ იმათ შეაშფოთებს, ვინც ბურჟუაზიული რევოლუციონიზმის (sic!*) თვალსაზრისზე დგას, ვისთვისაც გარეგანი ეფექტი ყველაფერია, ხოლო პროლეტარიატის კლასობრივი შეგნებისა და თვითმოქმედების გეგმაშეწონილი განვითარების პროცესი — არაფერი».

ჩვენ ფურცლების დაგზავნისა და მიმოფანტვის გამო შეშფოთება არ გვჩვევია, მაგრამ მაღალფარდოვანი და უშინაარსო ფრაზიორობა ყოველთვის შეგვაშფოთებს. ფურცლების დაგზავნისა და მიმოფანტვის გამო სერიოზულად რომ ილაპარაკო პროლეტარიატის კლასობრივი შეგნებისა და თვითმოქმედების განვითარების გეგმაშეწონილ პროცესზე, — ამისათვის თვითკმაყოფილი უხამსობის გმირი უნდა იყო. ქვეყანა გააყრუო ახალ ტაქტიკურ ამოცანებზე ყვირილით და მერე მთელი საქმე ფურცლების დაგზავნამდე და მიმოფანტვამდე დაიყვანო, — ეს მართლაც შეუდარებელი რამ არის; ეს უაღრესად დამახასიათებელია ჩვენი პარტიის ინტელიგენტური იერის იმ წარმომადგენლებისათვის, რომლებიც ახლა ისტერიულად გამოკიდებიან ახალი ტაქტიკური სიტყვის გამოძებნას მას შემდეგ, რაც მათმა ახალმა ორგანიზაციულმა სიტყვებმა მარცხი განიცადეს. და ისინი კიდევ ლაპარაკობენ, მათთვის ჩვეული თავმდაბლობით, გარეგანი ეფექტის ამაოებაზე. ნუთუ ვერ ხედავთ თქვენ, ბატონებო, რომ საუკეთესო შემთხვევაში, თქვენი ვითომდა ახალი გეგმის სრული წარმატების შემთხვევაში, ბატონ ერობელების წინაშე მუშის გამოსვლით მხოლოდ სწორედ გარეგანი ეფექტი იქნებოდა მიღწეული, ხოლო «ლიბერალური ელემენტების ტაქტიკაზე» ამნაირი გამოსვლის ნამდვილად «მნიშვნელოვანი» ზეგავლენის შესახებ ლაპარაკი მხოლოდ სასაცილო იქნებოდა? იქნებ პირიქით იყოს, იქნებ ლიბერალური ელემენტების ტაქტიკაზე ნამდვილად მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინეს მუშათა იმ მასობრივმა დემონსტრაციებმა, რომლებიც თქვენ «ჩვეულებრივი, საერთოდემოკრატიული, დაბალი ტიპის» დემონსტრაციებად გეჩვენებათ? და თუ რუსეთის პროლეტა-

* — ასეა რ ე დ.

რიატს ერთხელ კიდევ უწერია ლიბერალების ტაქტიკაზე ზეგავლენა მოახდინოს, დამერწმუნეთ, იგი ამ ზეგავლენას მოახდენს მთავრობაზე მასობრივი შეტევით და არა ერობის მოღვაწეებთან შეთანხმებით.

IV

საერობო კამპანია, დაწყებული პოლიციის მოწყალე ნებართვით, სვიატოპოლ-მირსკის და მთავრობის ოფიციოზების ნაზი სიტყვები, ტონის აწევა ლიბერალურ პრესაში, ეგრეთწოდებული განათლებული საზოგადოების გამოცოცხლება, — ყოველივე ეს მუშათა პარტიის წინაშე ფრიად სერიოზულ ამოცანებს აყენებს. მაგრამ ეს ამოცანები სრულიად უკეთესმართად არის ფორმულირებული «ისკრის» რედაქციის წერილში. სწორედ ახლანდელ მომენტში პროლეტარიატის პოლიტიკური საქმიანობის ცენტრალური ფოკუსი უნდა იყოს მთავრობაზე და არა ლიბერალურ ოპოზიციაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენის მოწყობა. სწორედ ახლა ყველაზე ნაკლებად შესაფერისია მუშათა შეთანხმებანი ერობის მოღვაწეებთან მშვიდობიან მანიფესტაციებზე, — შეთანხმებანი, რომლებიც აუცილებლად ეფექტების წმინდა ვოდევილურ წარმოდგენად გადაიქცეოდა, — ყველაზე მეტად საჭიროა პროლეტარიატის მოწინავე, რევოლუციური ელემენტების დარაზმვა თავისუფლებისათვის გადამწყვეტი ბრძოლის მოსამზადებლად. სწორედ ახლა, როდესაც ჩვენში კონსტიტუციური მოძრაობა იწყებს ყოველგვარი ბურჟუაზიული ლიბერალიზმის, განსაკუთრებით კი რუსული ლიბერალიზმის ძველთაძველი ცოდვების მკვეთრად გამოაშკარავებას: უზომო ფრაზიორობის, სიტყვის ბოროტად გამოყენების, სიტყვისა, რომელიც საქმეს არ ეფარდება, მთავრობისადმი და მელური პოლიტიკის ყოველგვარი გმირისადმი წმინდა ფილისტერული ნდობის გამოაშკარავებას, — სწორედ ახლა განსაკუთრებით უტაქტობაა ფრაზები ბატონ ერობელების შეშინებისა და პანიკის არასასურველობაზე, რეაქციის ბერკეტზე და სხვ. და სხვ. სწორედ ამჟამად ყველაზე მნიშვნელოვანია რევოლუციურ პროლეტარიატში განვამტკიცოთ იმის ურყევი რწმენა, რომ ახლანდელი «განმათავისუფლებელი მოძრაობაც საზოგადოებაში» აუცილებლად და გარდუვალად ისეთივე საპნის ბუშტი აღმოჩნდება, როგორც წინანდელნი, თუ საქმეში არ ჩაერია ძალა მუშათა მასებისა, რომელთაც უნარიც შესწევთ და მზად არიან კიდეც აჯანყებისათვის.

პოლიტიკური მღელვარება ხალხის სულ სხვადასხვა ფენაში, რაც აჯანყების შესაძლებლობის აუცილებელ პირობას და მისი წარმატების საწინდარს, პროლეტარიატის თაოსნობის მხარდაჭერის საწინდარს წარმოადგენს, სულ უფრო და უფრო ფართოვდება, იზრ-

დება და მწვავდება. ამიტომ დიდი უგუნურება იქნებოდა, ახლა რომ ვისმეს აზრად მოსვლოდა ყვირილი — დაუყოვნებლივ გადადით იერიშზეო, მოეწოდებინა, ახლავე დაირაზმეთ საიერიშო კოლონებადო და სხვ. მოვლენათა მთელი მსვლელობა იმის საწინდარია, რომ უახლოეს მომავალში მეფის მთავრობა უფრო მეტად დაიბნევა, მის წინააღმდეგ გაბოროტება უფრო მრისხანე გახდება. მთავრობა უცილობლად თავგზას დაკარგავს საერობო კონსტიტუციონალიზმის იმ თამაშშიც, რომელიც მან წამოიწყო. როგორც იმ შემთხვევაში, თუ იგი უმნიშვნელო დათმობებზე წავა, ისე იმ შემთხვევაშიც, თუ იგი სრულიად არაფერს დასთმობს, უკმაყოფილება და გაბოროტება აუცილებლად უფრო და უფრო გაიზრდება. მთავრობას აუცილებლად თავგზა აებნევა მანჯურიის იმ სამარცხვინო და დანაშაულებრივ ავანტიურაშიც, რომელსაც პოლიტიკური კრიზისი მოჰყვება გადამწყვეტი სამხედრო დამარცხების შემთხვევაშიც და რუსეთისათვის ამ უიმედო ომის გაჭიანურების შემთხვევაშიც.

მუშათა კლასის საქმეა — გააფართოოს და განამტკიცოს თავისი ორგანიზაცია, გააათკეცოს აგიტაცია მასებში, ისარგებლოს მთავრობის ყოველგვარი შეტორტმანებით, იქადაგოს აჯანყების იდეა, განმარტოს აჯანყების აუცილებლობა ყველა იმ სანახევრო და წინასწარ განწირული «ნაბიჯის» მაგალითით, რაზედაც ამჟამად ასე ბევრს გაჰყვირიან. ლაპარაკიც ზედმეტია იმაზე, რომ მუშები უნდა გამოეხმაურონ ერობათა შუამდგომლობებს, მოაწყონ კრებები, მიმოფანტონ ხოლმე ფურცლები, იქ, სადაც საკმაო ძალა მოეპოვებათ, მოაწყონ დემონსტრაციები ყოველგვარ სოციალ-დემოკრატიულ მოთხოვნათა წასაყენებლად ისე, რომ ანგარიში არ გაუწიონ ბატონ ტრუბეცკოების «პანიკას», ყურადღება არ მიაქციონ ფილისტერების გოდებას რეაქციის ბერკეტზე. და თუ მაინცდამაინც რისკს გასწევთ წინასწარ ილაპარაკოთ და ისიც საზღვარგარეთიდან მ ა ს ო ბ რ ი ვ ი დემონსტრაციების (ვინაიდან არა მასობრივ დემონსტრაციებს უკვე სულ არავითარი მნიშვნელობა არა აქვთ) შესაძლებელ და სასურველ უმაღლეს ტიპზე, თუ მაინცდამაინც შეეხებით ამა თუ იმ შენობის წინ დემონსტრანტთა ძალების კონცენტრაციის საკითხს, ჩვენ მივუთითებდით სწორედ იმ შენობებზე, სადაც სწყდება მუშათა მოძრაობის დევნის პოლიციური საქმეები, ჩვენ მივუთითებდით პოლიციის, ჟანდარმთა, საცენზურო სამმართველოთა შენობებზე, პოლიტიკურ «დამნაშავეთა» სატუსაღოებზე. ერობების შუამდგომლობათათვის მუშათა სერიოზული მხარდაჭერა უნდა მდგომარეობდეს არა შეთანხმებაში იმაზე, თუ რა პირობებში შესძლებენ ერობის მოღვაწეები ხალხის სახელით ლაპარაკს, არამედ ხალხის მტრებზე დარტყ-

მაში. და არც შეიძლება ეჭვი შევიტანოთ იმაში, რომ ამნაირი დემონსტრაციის აზრს პროლეტარიატი თანაგრძნობით შეხვდება. მუშებს ამჟამად ყოველი მხრივ ესმით მაღალფარდოვანი ფრაზები და მყვირალა დაპირებანი, ისინი ხედავენ «საზოგადოებისათვის» თავისუფლების ნამდვილ — თუმცა უმნიშვნელო, მაგრამ მაინც ნამდვილ — გაფართოებას (ერობათა ალაგმვის შესუსტება, შერისხულ ერობელთა დაბრუნება, ლიბერალური პრესის წინააღმდეგ მძვინვარების შემსუბუქება), მაგრამ მუშები სრულიად ვერას ხედავენ ისეთს, რაც მ ა თ ი პოლიტიკური ბრძოლის თავისუფლებას აფართოებდეს. პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ი ს რევოლუციური შეტევის გავლენით მთავრობამ ლ ი ბ ე რ ა ლ ე ბ ს ნება დართო თავისუფლებაზე ილაპარაკონ! კაპიტალის მონათა უუფლებობასა და დაბეჩავებას ახლა უფრო მკვეთრად ხედავენ პროლეტარები. მუშებს ყველგან არ მოეპოვებათ არც ორგანიზაციები პოლიტიკური საქმეების შედარებით თავისუფლად (რუსული თვალსაზრისით) განხილვისათვის, მუშებს არა აქვთ დარბაზები კრებებისათვის, მუშებს არა აქვთ თავიანთი გაზეთები, მუშებს არ უბრუნებენ საპყრობილეებიდან და გადასახლებიდან მათს ამხანაგებს. მუშები ახლა ხედავენ, რომ იმ დათვის ტყავის გაყოფას, — რომელიც მათ ჯერ კიდევ არ მოუკლავთ, მაგრამ რომელიც მათ და მხოლოდ მათ, პროლეტარებმა, სერიოზულად დასჭრეს, — ამ ტყავის გაყოფას იწყებენ ბატონი ლიბერალური ბურჟუები. მუშები ხედავენ, რომ ეს ბატონი ლიბერალური ბურჟუები მომავალი ტყავის გაყოფის დაწყებისთანავე უკვე ულრენენ და უბრდღვენენ «უკიდურეს პარტიებს», «შინაურ მტრებს» — ბურჟუაზიის ბატონობისა და სიმშვიდის ულმობელ მტრებს. და მუშები კიდევ უფრო მეტი გაბედულობით, კიდევ უფრო მეტი რაოდენობით აღსდგებიან, რათა დათვი მოჰკლან, რათა ძალით მ ო ი პ ო ვ ო ნ ის, რასაც, როგორც მოწყალებას, ჰპირდებიან ბატონ ლიბერალურ ბურჟუებს, — კრებების თავისუფლება მუშათა პრესის თავისუფლება, სოციალიზმის სრული გამარჯვებისათვის ფართო და აშკარა ბრძოლის სრული პოლიტიკური თავისუფლება.

ამ ბროშურას ჩვენ იმიტომ ვუშვებთ წარწერით: «მხოლოდ პარტიის წევრთათვის», რომ ასეთი წარწერითაა გამოშვებული «ისკრის» რედაქციის «წერილი». არსებითად, ისეთი გეგმის «კონსპირაცია», რომელიც უნდა ეცნობოს ათეულ ქალაქებს, უნდა გაირჩეს ასეულ მუშათა წრეებში, უნდა განიმარტოს სააგიტაციო ფურცლებსა და ბოწოდებებში, მხოლოდ სასაცილოა. ეს არის იმ კანცელარული საიდუმლოების ერთ-ერთი ნიმუში, რომელიც რედაქციისა და საბჭოს

პრაქტიკაში უკვე აღნიშნა ამხ. გალიორკამ («ახალი გზით»). მხოლოდ ერთი თვალსაზრისით შეიძლებოდა გაგვემართლებინა სარედაქციო წერილის დაფარვა ფართო საზოგადოებისაგან საერთოდ და ლიბერალებისაგან განსაკუთრებით: ასეთი წერილი მეტისმეტად უტეხს სახელს ჩვენს პარტიას...

ამ ბროშურის მკითხველთა წრის შეზღუდვა იხსნება, რადგან ჩვენმა ეგრეთწოდებულმა პარტიულმა რედაქციამ გამოუშვა მისი პასუხი ვითომ პარტიის წევრთათვის, ნამდვილად კი ამ პასუხს აცნობს მხოლოდ უმცირესობის კრებებს და არ აწვდის პარტიის აშკარა, მეუმრავლესე წევრებს.

თუ «ისკრას» გადაუწყვეტია არ გვცნოს ჩვენ პარტიის წევრებად და (ამავე დროს ეშინია პირდაპირ სთქვას ეს), ჩვენ მხოლოდ ისღა დაგვრჩენია, რომ შევურიგდეთ მწარე ხვედრს და საჭირო დასკვნები გავაკეთოთ ასეთი გადაწყვეტილებიდან.

1904 წ. 22 დეკემბერი.
დაიწერა 1904 წლის ნოემბერში
ცალკე ბროშურად დაიბეჭდა
1904 წლის ნოემბერში
ჟენევაში

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით. მე-4 გამოც.,
ტ. 7, გვ. 623—648.

მ. მ. ესენს

ლენინისაგან ნინა ლვოვნას პირადად

24. 12. 04.

დიდი ხანია ვაპირებ მოგწეროთ, მაგრამ ფაციფუცი მიშლის ხელს. ჩვენ ახლა სულიერ აღმავლობას განვიცდით და ყველანი ძალიან მოუცლელი ვართ: გუშინ გამოვიდა განცხადება ჩვენი გაზეთის «ვპერიოდის» გამოცემის შესახებ. მთელი უმრავლესობა ზეიმობს და არაჩვეულებრივად გამხნევებულია. ძლივს დავაღწიეთ თავი ამ საზიზღარ კინკლაობას და შეთანხმებულად დავიწყებთ მუშაობას იმათთან ერთად, ვისაც მუშაობა სურს და არა სკანდალი! ლიტერატორთა ჯგუფი კარგი შეგროვდა, არის ახალი ძალები, ფული ცოტაა, მაგრამ მალე გვექნება. ცენტრალურმა კომიტეტმა, რომელმაც გვიღალატა, ყოველგვარი კრედიტი დაკარგა, კოოპტაციის წესით (საზიზღრად — ფარულად) შეიყვანა მენშევიკები და აქეთ-იქით აწყდება ყრილობის წინააღმდეგ ბრძოლაში. უმრავლესობის კომიტეტები ერთიანდებიან, მათ უკვე აირჩიეს ბიურო, და ახლა ორგანო მათ საკუთრებით გააერთიანებს. ვაშა! სულით ნუ დაეცემით, ახლა ჩვენ ყველანი ვცოცხლდებით და გამოვცოცხლდებით. ასეა თუ ისე, იმედი გვაქვს, რომ ცოტა უფრო ადრე თუ ცოტა უფრო გვიან აუცილებლად გნახავთ თქვენც. მოგვწერეთ, როგორა ხართ და, რაც მთავარია, იყავით მხნედ; გახსოვდეთ, რომ მე და თქვენ ჯერ არც ისე მოხუცები ვართ, — მთელი მომავალი ჯერ წინა გვაქვს.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი.

გაგზავნილია ჟენევიდან რუსეთში. პირველად დაიბეჭდა 1926 წელს

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც., ტ. 34, გვ. 313.

წერილიდან ამხანაგებს რუსეთში

6. I. 05.

...«ვპერიოდის» № 1 დღეს გამოდის.[30]

უფრო დაწვრილებით მომწერეთ «ვპერიოდისაგან» მიღებულ შთაბეჭდილებაზე, იშოვნეთ კორესპონდენციები, განსაკუთრებით მუშათა განყოფილებისათვის...

დაწერილია ჟენევაში
პირველად დაიბეჭდა 1934 წელს

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.,
ტ. 34, გვ.

ა. ა. ბოგდანოვს

1905 წ. 10 იანვარი.

ძვირფასო მეგობარო! როგორც იყო, დაგიწყეთ «ვპერიოდი», და მინდა უფრო დაწვრილებით გესაუბროთ მის შესახებ. ზეგ გამოდის № 2. ვფიქრობთ ყოველკვირეულად გამოვუშვათ. ლიტერატურული ძალები გვეყოფა. განწყობილება საუცხოოა, და მუშაობის უნარი ყველას (გარდა ვასილ ვასილის ძისა, რომელიც ცოტა არ იყოს სევდას აჰყოლია) დიდი აქვს. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ საქმე კარგად წავა, ოღონდ არ გავკოტრდეთ. ნომერზე საჭიროა 400 frs* (150მან.), ჩვენ კი სულ 1 200 frs გვაქვს. პირველ თვეებში დახმარება საშინლად გვესაჭიროება, ვინაიდან, თუ გამოშვება რეგულარული არ იქნება, უმრავლესობის მთელ პოზიციას გიგანტური, ძნელად გამოსასწორებელი ზიანი მოუვა. ეს ნუ დაგავიწყდებათ და დასცინცლეთ ხოლმე (**განსაკუთრებით გორკის**) თუნდაც ცოტ-ცოტა.

შემდეგ. ახლა განსაკუთრებით საჭიროა აცნობოთ რახმეტოვს,[31] რომ მთელი ძალღონით შეეცადოს რუსეთიდან ლიტერატურული თანამშრომლობის მოწყობას. ყოველკვირეული გაზეთის წარმატება ყველაზე მეტად დამოკიდებულია მასში რუსეთის ლიტერატორებისა და სოციალ-დემოკრატების ენერგიულ მუშაობაზე. მისწერეთ რახმეტოვს, რომ მან ამისათვის მობილიზაცია გაუკეთოს **ფინსაც და კოლონტაისაც** (უაღრესად საჭიროა სტატიები **ფინეთის** შესახებ), **რუმიანცევსაც და ანდრია სოკოლოვსაც**, მეტადრე და განსაკუთრებით ამ უკანასკნელს. მე დიდი ხნის გამოცდილებით ვიცი, რომ ასეთ საქმეში რუსეთელები საშინლად, შეუწყნარებლად, წარმოუდგენლად მოუქნელი არიან. ამიტომ საჭიროა იმოქმედოთ, ჯერ ერთი, საკუთარი მაგალითით; მეორეც, არ დასჯერდეთ დაპირებას, არამედ აუცილებლად მიაღწიოთ გამზადებული მასალების

* — francs — ფრანკი. რ ე დ.

მიღებას. რახმეტოვმა უთუოდ თვითონ შეუკვეთოს ხოლმე სტატიები და კორესპონდენციები და თვითონვე მიიღოს, თვითონ გამოგზავნოს, არ მოეშვას, სანამ არ მისცემენ. (კიდეე დავუმატებ სუვოროვსა და ლუნცს, რასაკვირველია რახმეტოვიც კიდეე ბევრს იცნობს.) მეტისმეტად გვესაჭიროება 1) პატარა სტატია რუსეთის ცხოვრების შესახებ 6-დან 18 ათასამდე ასო; 2) შენიშვნები იმავე თემებზე 2-დან 6 ათასამდე ასო; 3) კორესპონდენციები ყველაფერზე და ყოველნაირი ზომისა; 4) საინტერესო ადგილებისა და ციტატების ამოწერა ადგილობრივი რუსული და სპეციალური რუსული გამოცემებიდან; 5) შენიშვნები რუსულ გამოცემათა საგაზეთო და საჟურნალო სტატიების გამო. უკანასკნელი სამი პუნქტის დაძლევა სავსებით შეუძლია მუშა და მეტადრე სტუდენტ ახალგაზრდობას და ამიტომ ამას ყურადღება უნდა მიაქციოთ, პროპაგანდა გაუწიოთ ამ მუშაობას, აამოძრაოთ და შეანჯღრიოთ საზოგადოება, ასწავლოთ მას კონკრეტული ნიმუშებით, თუ რა არის საჭირო და როგორ უნდა შეგვეძლოს გამოვიყენოთ ყოველი წვრილმანი, ჩააგონოთ მას, რომ საზღვარგარეთს საშინლად ესაჭიროება ნ ე დ ლ ი მასალა რუსეთიდან (ლიტერატურულად დამუშავებას და ლიტერატურულად გამოყენებას ჩვენ თვითონ შევძლებთ!), რომ სრული სისულელეა რცხვენოდეთ ლიტერატურული დეფექტებისა, რომ უნდა მიეჩვიონ უბრალოდ საუბარს და შინაურულად მიწერ-მოწერას საზღვარგარეთულ ჟურნალთან, თუ სურთ, რომ ეს საკუთარი ჟურნალი იყოს. ამ მიზნით მე პირდაპირ საჭიროდ და აუცილებლად საჭიროდ მიმაჩნია სტუდენტთა თ ვ ი თ ე უ ლ წრეს, მუშათა თ ვ ი თ ე უ ლ ჯგუფს დაურიგდეს «ვპერიოდის» თითო მისამართი (საზღვარგარეთისა, ისინი ახლა ბევრნი არიან, უფრო მეტიც იქნებიან). გარწმუნებთ, ჩვენს კომიტეტელებს შორის იდიოტური ცრურწმენაა პერიფერიის ახალგაზრდობისათვის მისამართების ფართოდ დარიგების წინააღმდეგ. მთელი ძალღონით ებრძოლეთ ამ ცრურწმენას, დაარიგეთ მისამართები და მოითხოვეთ პ ი რ დ ა პ ი რ ი ურ თ ი ე რ თ ო ბ ა «ვპერიოდის» რედაქციასთან. უამისოდ ორგანო ვერ იხეირებს. საშინლად საჭიროა მუშათა კორესპონდენციები, ისინი კი ცოტაა. საჭიროა, რომ ათობით და ასობით მუშა პირდაპირ და უშუალოდ სწერდეს «ვპერიოდს».

საჭიროა აგრეთვე მივაღწიოთ, რომ მუშები უშუალოდ იძლეოდნენ თავიანთ საკუთარ მისამართებს «ვპერიოდის» კონვერტებით გასაგზავნად. მუშებს არ შეეშინდებათ. პოლიცია კონვერტების მეათედ ნაწილსაც ვერ დაიჭერს. «ვპერიოდის» მცირე ზომა (4 გვერდი) და ხშირად გამოსვლა კონვერტებით გაგზავნის საკითხს

გაზეთის ყველაზე არსებით საკითხად ხდის. პირდაპირ მიზნად უნდა დავისახოთ განვავითაროთ მუშების ხელმოწერა «ვპერიოდზე», განვავითაროთ ის ჩვეულება, რომ პირდაპირ გზავნიდნენ საზღვარგარეთ ფულს (ერთი მანეთი დიდი თანხა არ არის!) და თავიანთ მისამართს. ამ საქმეს უნარიანად რომ მოვკიდოთ ხელი, ღმერთმანი, შეიძლება გავარეოლუციუროთ რუსეთში არალეგალური ლიტერატურის გავრცელების საქმე. ნუ დაგავიწყდებათ, რომ ტრანსპორტი საუკეთესო შემთხვევაში ოთხი თვის შემდეგ მოდის. ეს ყოველკვირეული გაზეთის დროს! კონვერტებიდან კი 50—75% ალბათ ფოსტის სისწრაფით აღწევს.

შემდეგ ლიტერატორები. მათ პირდაპირ უნდა დავაკისროთ კვირაში ერთხელ ან ორ კვირაში ერთხელ რეგულარულად წერონ: თორემ წესიერ ადამიანად აღარ ჩაგთვლით და ყოველგვარ ურთიერთობას შევწყვეტთ-თქო. ჩვეულებრივი მომიზეზებაა ხოლმე: თემებს არ ვიცნობთ, გვეშინია, რომ შრომა ამაოდ ჩაივლის, ეფიქრობთ, რომ «მათ უკვე აქვთო». სწორედ ამ უხამს იდიოტურ მომიზეზებას უნდა ებრძოლოს რახმეტოვი პირადად და პირადად. მთავარი თემებია — რუსეთის შინაური მიმოხილვის საკითხები (ის, რაც სქელ ჟურნალებში შინაურ მიმოხილვებსა და საზოგადოებრივ ქრონიკებში შედის), შემდეგ სტატიები და შენიშვნები რუსეთის სპეციალურ (სტატისტიკურ, სამხედრო, სამედიცინო, საპყრობილეთა, სასულიერო და სხვ. და სხვ.) გამოცემათა მასალების გამო. ეს ორი განყოფილება ყოველთვის გვჭირდება. ამ ორი განყოფილების კარგად გაძღოლა შეუძლიათ მხოლოდ რუსეთელებს და მარტოოდენ რუსეთელებს. აქ სიმძიმის ცენტრია ახალი ფაქტები, ახალი მთაბეჭდილებანი, საზღვარგარეთისათვის მიუწვდომელი სპეციალური მასალები და სრულებითაც არა მსჯელობა, არა შეფასება სოციალ-დემოკრატულ თვალსაზრისით. ამიტომ ასეთი სტატიები და შენიშვნები არასოდეს არ დაიკარგება, ვინაიდან ჩვენ მათ ყოველთვის გამოვიყენებთ. რახმეტოვს ახლა პირდაპირ ეკისრება მოვალეობა მოაგვაროს ასეთი საქმე და მოგვცეს თუნდაც ხუთიოდე კარგი, საქმიანი, დაუზარებელი თანამშრომელი, რომლებიც საქმეს არ გაექცევიან და რომელთაგან თვითეულს უშუალო ურთიერთობა ექნება რედაქციასთან. თანამშრომელთან მხოლოდ უშუალო ურთიერთობით შეიძლება სავსებით შეხმატკბილება მუშაობის ყველა წვრილმანის შესახებ. ადამიანები იმით უნდა მოვიზიდოთ, რომ სხვაგან ვერსად ისე სწრაფად ვერ «დაიბეჭდებიან», როგორც ყოველკვირეულ გაზეთში.

დასასრულ ორიოდე სიტყვა ახლანდელ ორგანიზაციულ ლოზუნგზე. სტატიის «დროა გავათაოთ» («ვპერიოდ» №1) შემდეგ ეს ლოზუნგი ნათელი უნდა იყოს. მაგრამ საზოგადოება ისე უძრავია, რომ რახმეტოვი აქაც მთელი ძალღონით უნდა უხსნიდეს, უღეჭავდეს და თავში უჭედავდეს. ახლა გათიშვა სრულია, რადგან ჩვენ ყველა საშუალება ამოვწურეთ. მესამე ყრილობა ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოს ნების წინააღმდეგ და მათთვის გვერდის ავლით. ცენტრალურ კომიტეტთან სავსებით კავშირის გაწყვეტა. პირდაპირი განცხადება, რომ ჩვენ ჩვენი ბიურო გვაქვს მენშევიკებისა და ახალისკრელების სრული ჩამოშორება ყველგან. ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ, რომ ერთმანეთს შევწყობოდით, ახლა კი აშკარად და პირდაპირ უნდა განვაცხადოთ, რომ ცალ-ცალკე გვიხდება მუშაობა, ყოველგვარმა მინდობამ და გულუბრყვილობამ შეიძლება მხოლოდ გიგანტური ზიანი მოგვაყენოს.

ღმერთსა და ხატს გაფიცებთ შალე გამოუშვათ აშკარა და მკვეთრი განცხადება ბიუროს შესახებ.[32] საჭიროა 1) გამოთქვათ სრული სოლიდარობა სტატიასთან «დროა გავათაოთ» და გაიმეოროთ მისი მოწოდება; 2) განაცხადოთ, რომ «ვპერიოდი» კომიტეტების უმრავლესობის ორგანოა და რომ ბიურო მასთან შეხმატკბილებულად და სავსებით შეთანხმებულად მუშაობს; 3) რომ ცენტრალურმა კომიტეტმა და საბჭომ ყოველად სამარცხვინოდ მოატყუეს პარტია და ჩაშალეს ყრილობა; 4) რომ ახლა სხვა გამოსავალი არ არის გარდა თვით კომიტეტების ყრილობისა ცენტრალური კომიტეტის და საბჭოს გვერდის ავლით; 5) რომ ბიურო კისრულობს დახმარება გაუწიოს კომიტეტების დადებითს მუშაობას; 6) რომ ცენტრალურმა ორგანომ მთლად დაკარგა ნდობა მერყეობითა და სიცრუით.

გვერწმუნეთ, რომ ჩვენ დიდად ვაფასებთ ზემლიაჩკას, მაგრამ იგი მართალი არ არის პაპაშას[33] წინააღმდეგ. და თქვენზეა დამოკიდებული მისი შეცდომების გასწორება. ჩქარა, ჩქარა და მთელი ხაზით გაწყვიტეთ კავშირი ცენტრალურ კომიტეტთან, დაუყოვნებლივ დაბეჭდეთ ბიუროს შესახებ, იმის შესახებ, რომ იგი ორგანიზაციული კომიტეტია და III ყრილობას იწვევს.

პირველად დაიბეჭდა 1925 წელს ჟურნალ «პროლეტარსკაია რევოლუციაში» № 3 (38)

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც., ტ. 8, გვ. 33—37

უმრავლესობის კომიტეტთა ბიუროს მდივანს

29. I. 05.

ძვირფასო მეგობარო! თქვენთან დიდი თხოვნა მაქვს: გთხოვთ გამოლანძღოთ რახმეტოვი, კარგა მაგრად გამოლანძღოთ. ის ხომ, ღმერთმანი, ჩვენ ისევე გვექცევა, როგორც ოსვობოდდენიელები ან ხუცესი გაპონი ს.-დ-ებს. ახლა ვათვალიერებდი რუსეთთან ჩვენი კორესპონდენციის ცხრილს. გუსევმა 10 დღეში 6 წერილი გამოგზავნა, ხოლო რახმეტოვმა 30 დღეში 2. როგორ მოგწონთ? მისი კვალიც კი დაიკარგა. «ეპერიოდისათვის» ერთი სტრიქონიც არ გამოუგზავნია. არც ერთი სიტყვა საქმეებზე. გეგმებზე და კავშირებზე. ეს შეუწყნარებელი, წარმოუდგენელი, უმსგავსო რამ არის. ამ დღეებში გამოდის «ვპერიოდის» მე-4 ნომერი, მას მაშინვე (რამდენიმე დღის შემდეგ) მე-5 მოჰყვება, რახმეტოვისაგან კი არავითარი მხარდაჭერა არა გვაქვს. დღეს მოვიდა ათი რიცხვის წერილები პიტერიდან, მეტად მოკლე წერილები. და არავის არ მოუწყვია საქმე ისე, რომ უხვად გამოეგზავნა კარგი კორესპონდენციები 9 იანვარზე!

კორესპონდირების შესახებ რახმეტოვისადმი ჩემს წერილზე არაერთარი პასუხი არ მიმიღია!

ბიუროსა და ყრილობის შესახებაც არაფერია. ამავე დროს რა დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ დაჩქარდეს ბიუროს შესახებ განცხადება და ყრილობის მოწვევა. ღვთის გულისათვის, ნუ ენდობით მენშევიკებსა და ცენტრალურ კომიტეტს და უთუოდ, ყველგან და უაღრესად მტკიცედ გაატარეთ გათიშვა. გათიშვა და გათიშვა. ჩვენ აქ, რევოლუციით გატაცებულნი ერთ საჯარო კრებაზე კინაღამ შევუერთდიო მენშევიკებს, მაგრამ მათ აქაც საძაგლად მოგვატყუეს. ვისაც არ უნდა, რომ გასულელებული დარჩეს, მას დაბეჯითებით ვაფრთხილებთ: გათიშვა და უთუო გათიშვა.

გაგზავნილია ჟენევიდან პეტერბურგში
პირველად დაიბეჭდა 1925 წელს

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.,
ტ. 34, გვ. 329—330

/

ს ტ ა ტ ი ი ღ ა ნ

«რევოლუციური დღეები»

I

რა ხდება რუსეთში?

ჯანყი თუ რევოლუცია? ასეთია კითხვა, რასაც თავიანთ თავს უყენებენ ევროპელი ჟურნალისტები და რეპორტიორები, რომლებიც მთელ მსოფლიოს აუწყებენ პეტერბურგის ამბებს და ცდილობენ შეფასება მისცენ მათ. მოჯანყეები თუ ინსურგენტები არიან ეს ათეული ათასობით პროლეტარები, რომელთა წინააღმდეგაც ძლევამოსილად გამოვიდა მეფის ჯარი? და საზღვარგარეთის გაზეთებს, რომლებსაც ყველაზე მეტი შესაძლებლობა აქვთ, რომ «გარედან», მემატიანეთა მიუკერძებლობით, განიხილონ ამბები უძნელდებათ პასუხის გაცემა ამ კითხვაზე. ისინი მუდამ ერთი ტერმინოლოგიიდან მეორეზე გადადიან. არც გასაკვირველია. ტყუილად კი არ ამბობენ. რევოლუცია გამარჯვებული ჯანყია, ხოლო ჯანყი დამარცხებული რევოლუცია არისო. ვინც დიდი და გრანდიოზული ამბების დაწყებას ესწრება, ვისაც შესაძლებლობა აქვს მხოლოდ მეტად არასრულად. არაზუსტად, მესამე პირთაგან იცოდეს ზოგი რამ იქიდან, რაც ხდება, — ის, რა თქმა უნდა, ვერ ბედავს აზრის გამოთქმას გარკვეულ დრომდე. ბურჟუაზიული გაზეთები, რომლებიც ძველებურად ლაპარაკობენ ჯანყის, ამბოხის, არეულობის შესახებ, ამავე დროს არ შეიძლება არ ხედავდნენ მათს ზოგადნაციონალურ და თვით საერთაშორისო მნიშვნელობას. მოვლენებსაც ხომ სწორედ ეს აძლევს რევოლუციის ხასიათს. და ისინი, რომლებიც ჯანყის უკანასკნელი დღეების შესახებ წერენ, უნებლიეთ გადადიან სიტყვებზე რევოლუციის პირველი დღეების შესახებ. დადგა შემობრუნების პუნქტი რუსეთის ისტორიაში. ამას არ უარყოფს ყველაზე თავგამო-

დებული ევროპელი კონსერვატორი, რომელიც აღტაცებითა და გრძნობამორევით შეჰყურებს სრულიად რუსეთის თვითმპყრობელობის მძლავრ, უკონტროლო ძალაუფლებას. თვითმპყრობელობასა და ხალხს შორის მშვიდობაზე ლაპარაკიც ზედმეტია. რევოლუციის შესახებ ლაპარაკობენ არა მარტო რომელიღაც თავზეხელაღებული ადამიანები, არა მარტო «ნიჰილისტები», რადაც ევროპას ჯერ კიდევ მიაჩნია რუსეთის რევოლუციონერები, არამედ ყველა და ყოველი, ვისაც კი რამდენადმე შესწევს მსოფლიო პოლიტიკით დაინტერესების უნარი.

რუსეთის მუშათა მოძრაობა რამდენიმე დღეში უმაღლეს საფეხურზე ავიდა. იგი ჩვენს თვალწინ საერთო სახალხო აჯანყებად იზრდება. გასაგებია, რომ ჩვენ აქ, ევროპაში, ჩვენი წყეული შორეთიდან უზომოდ გვიძნელდება მოვლენებისათვის თვალის მიდევნება. მაგრამ, სანამ ჯერ კიდევ იძულებული ვართ გული გველეოდეს ამ წყეულ შორეთში, უნდა ვცდილობდეთ თვალყური ვადევნოთ ამბებს, შევაჯამოთ შედეგები, გავაკეთოთ დასკვნები, დღევანდელი ისტორიის გამოცდილებიდან შევითვისოთ გაკვეთილები, რომლებიც გამოგვადგება ხვალ, სხვა ადგილას. სადაც დღეს ჯერ კიდევ «სდუმს ხალხი» და სადაც უახლოეს მომავალში ამა თუ იმ ფორმით იფეთქებს რევოლუციური ხანძარი. ჩვენ უნდა ვაკეთოთ პუბლიცისტების მუდმივი საქმე — ვწეროთ თანამედროვეობის ისტორია და ვეცადოთ ვწეროთ იგი ისე, რომ ჩვენი ყოფაცხოვრების აღწერილობა შეძლებისდაგვარ დახმარებას უწევდეს მოძრაობის უშუალო მონაწილეებს და გმირ-პროლეტარებს იქ, მოქმედების ადგილზე, — ვწეროთ ისე, რომ ხელი შევუწყოთ მოძრაობის გაფართოებას, ბრძოლის ისეთი საშუალებების, ხერხებისა და მეთოდების შეგნებულად შერჩევას, რომლებსაც შეეძლებათ ძალების ნაკლები დახარჯვით მოგვცენ ყველაზე დიდი და ყველაზე მტკიცე შედეგები.

რევოლუციების ისტორიაში მეღავნდება წინააღმდეგობანი, რომლებიც ათეული წლობით და საუკუნეობით მწიფდება. ცხოვრება არაჩვეულებრივ მდიდარი ხდება. პოლიტიკურ სცენაზე აქტიურ მებრძოლად გამოდის მასა, რომელიც მუდამ ჩრდილში დგას და რომელსაც ამიტომ ხშირად უგულებელყოფენ ან აბუჩადაც კი იგდებენ ზერელე მეთვალყურეები. ეს მასა პრაქტიკაზე სწავლობს, ყველას თვალწინ დგამს საცდელ ნაბიჯებს, სინჯავს გზას, სახავს ამოცანებს, ამოწმებს თავის თავს და ყველა თავისი იდეოლოგების თეორიებს. ეს მასა გმირული ძალღონით ცდილობს ავიდეს ისტორიის მიერ მისთვის დაკისრებული გიგანტური მსოფლიო ამოცანების სიმაღლე-

ზე და, რაც უნდა დიდი იყოს ცალკეული დამარცხებანი, რანაირადაც უნდა გვაძრწუნებდეს სისხლის ღვარები და ათასობით მსხვერპლი, — არაფერი და არასოდეს არ შეედრება თავისი მნიშვნელობით მასებისა და კლასების ამ უშუალო აღზრდას თვით რევოლუციური ბრძოლის მსვლელობაში. ამ ბრძოლის ისტორიის გაზომვა დღეებით გვიხდება. და ზოგიერთმა საზღვარგარეთის გაზეთმა ტყუილად როდი შემოიღო უკვე «რუსეთის რევოლუციის დღიური». ასეთი დღიური ჩვენც შემოვიღეთ.

დაბეჭდილია 1905 წ. 31 (18) იანვარს
გაზეთ «ვპერიოდში» № 4

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.,
ტ. 8, გვ. 107—109

რსდმპ გათიშვის მოკლე ნარკვევი[24]

შვეიცარიის სოციალ-დემოკრატთა ცნობილმა ბელადმა ჰ ე რ მ ა ნ გ რ ო ი ლ ი ხ მ ა (Herman Greulich) 1905 წ. 1თებერვლის წერილში, რომელიც მან გაზეთ «ვპერიოდის» (რსდმპ) რედაქციას გამოუგზავნა, სხვათა შორის, მწუხარება გამოსთქვა რუსეთის სოციალ-დემოკრატია შორის ახალი გათიშვის გამო და შენიშნა: «Wer die grössere Schuld an dieser Zersplitzerung trägt, das werde ich nicht entscheiden und ich habe den internationalen Entscheid bei der deutschen Parteileitung angeregt («ვინ უფრო მეტად არის დამნაშავე ამ გათიშვაში, ამის გადაწყვეტას არ შევუდგები; მე წინადადება მივეცი გერმანიის ს.-დ. პარტიის გამგეობას ეს საკითხი საერთაშორისო გზით გადაწყვიტოს»).

გროილიხს ამ წერილზე «ვპერიოდის» რედაქციამ რუსეთის «უმრავლესობის კომიტეტთა ბიუროს» საზღვარგარეთელ რწმუნებულთან — ამხანაგ სტებანოვთან ერთად შემდეგი წერილით უპასუხა.

რადგან ამხანაგ გროილიხს განზრახვა აქვს მიმართოს საკითხის საერთაშორისო გადაწყვეტას, გროილიხისადმი მიმართულ ჩვენს წერილს ვუგზავნით გაზეთ «ვპერიოდის» ყველა საზღვარგარეთელ მეგობარს და ვთხოვთ მათ გ ა დ ა თ ა რ გ მ ნ ო ნ ეს წერილი იმ ქვეყნის ენაზე, სადაც ისინი ცხოვრობენ, და გააცნონ ეს წერილი რაც შეიძლება მეტ უცხოელ სოციალ-დემოკრატებს.

სასურველია აგრეთვე უცხო ენებზე გადაითარგმნოს ლენინის ბროშურაც: «განცხადება და დოკუმენტები პარტიასთან ცენტრალურ დაწესებულებათა კავშირის გაწყვეტის შესახებ», აგრეთვე 1) ჩრდილოეთის კონფერენციის რეზოლუციები და 2) კავკასიის კონფერენციის რეზოლუციები; 3) სამხრეთის კონფერენციის რეზოლუციები.

გთხოვთ გვაცნობოთ, შესრულებული იქნება თუ არა ეს თხოვნა.

წერილი გროილიხს

1905 წ. 3 თებერვალი.

პატივცემულო ამხანაგო! თქვენს წერილში ეხებით ჩვენი პარტიის (რსდმპ) ამა თუ იმ ფრაქციის გათიშვაში დანაშაულობის საკითხს. თქვენ ამბობთ, რომ შეეკითხეთ გერმანელ სოციალ-დემოკრატებს და საერთაშორისო ბიუროს, რათა ამის შესახებ თავისი აზრი გამოეთქვათ. ამის გამო ჩვენს თავს ვალდებულად ვთვლით გაგაცნოთ, თუ როგორ მოხდა გათიშვა. ჩამოვთვლით მხოლოდ ზედმიწევნით დამტკიცებულ ფაქტებს და, შეძლებისამებრ, მოვერიდებით მათს რაიმე შეფასებას.

1903 წლის დამლევამდე ჩვენი პარტია შედგებოდა ერთმანეთთან დაუკავშირებელი ადგილობრივი ს.-დ. ორგანიზაციებისაგან, რომლებსაც კომიტეტები ერქვათ. პარტიის პირველ ყრილობაზე (1898 წ. გაზაფხულზე) არჩეული ცენტრალური კომიტეტი და ცენტრალური ორგანო აღარ იყვნენ. ისინი პოლიციამ გაანადგურა და აღარ განახლებულან. საზღვარგარეთ მოხდა გათიშვა «რუს სოციალ-დემოკრატთა კავშირსა» (ორგანო — «რაბოჩეე დელო», აქედან «რაბოჩეედელოელები») და პლეხანოვს შორის. უკანასკნელის მხარეზე დადგა გაზეთი «ისკრა», დაარსებული 1900 წელს. სამი წლის განმავლობაში, 1900—1903, «ისკრამ» რუსეთის კომიტეტებზე გადამწყვეტი გავლენა მოიპოვა. «ისკრა» იცავდა რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის იდეებს «ეკონომიზმის» (alias* — «რაბოჩეედელოელობა» = ოპორტუნიზმის რუსული ნაირსახეობა) წინააღმდეგ.

ყველას აწუხებდა, რომ პარტიაში ერთიანობა არ იყო.

ბოლოს, 1903 წლის აგვისტოში მოხერხდა პარტიის მეორე ყრილობის შეკრება საზღვარგარეთ. მონაწილეობდნენ რუსეთის ყველა კომიტეტი, ბუნდი (Bund. = ებრაელი პროლეტარიატის დამოუკიდებელი ორგანიზაცია) და ორივე საზღვარგარეთული ფრაქცია, «ისკრისა» და «რაბოჩეე დელოსი».

ყრილობის ყველა მონაწილემ ყრილობა კანონიერად აღიარა. ყრილობაზე ბრძოლა წარმოებდა ისკრელებსა და ანტიისკრელებს (რაბოჩეედელოელები და ბუნდი) შორის; შუა ადგილი ეჭირა ეგრეთწოდებულ «ჭაობს». გაიმარჯვეს ისკრელებმა. მათ გაიყვანეს პარტიის პროგრამა (დამტკიცებულია «ისკრის» პროექტი). «ისკრა» აღიარეს ცენტრალურ ორგანოდ, მისი მიმართულება პარტიის მიმართულებად. ტაქტიკის შესახებ მთელი რიგი რეზოლუციები მისი მიმართულებისა

* — სხვანაირად. რედ.

იყო. საორგანიზაციო წესდება (ლენინის პროექტი) მიღებული იყო ისკრული. მხოლოდ მისი ცალკე ნაწილები გააუარესეს ანტიისკრელებმა, ისკრელების უმცირესობის მონაწილეობით. ხმების დაჯგუფება ყრილობაზე ასეთი იყო: სულ 51 ხმა. აქედან 33 ისკრელებისა (24 — ახლანდელი უმრავლესობის ისკრელი, 9 — ახლანდელი უმცირესობის ისკრელი), 10 — «ჭაობისა» და 8 — ანტიისკრელებისა (3 რაბოჩეედელოელი და 5 ბუნდელი). ყრილობის დასასრულისათვის, არჩევნების წინ, შვიდი დელეგატი (2 რაბოჩეედელოელი და 5 ბუნდელი) წავიდა ყრილობიდან (ბუნდი გამოვიდა პარტიიდან).

მაშინ ისკრელთა უმცირესობა, რომელსაც, მის მიერ დაშვებული შეცდომების გამო, მხარს უჭერდა ყველა ანტიისკრელი და ჭაობი, ყრილობის უმცირესობად აღმოჩნდა (24 და 9+10+1, ე. ი. 24 და 20). ცენტრალურ დაწესებულებათა არჩევის დროს გადაწყდა არჩეული ყოფილიყო 3 პირი ცენტრალური ორგანოს რედაქციაში და 3 ცენტრალურ კომიტეტში. «ისკრის» ძველი რედაქციიდან, რომელიც 6 პირისაგან შედგებოდა (პლეხანოვი, აქსელროდი, ზასულიჩი, სტაროვერი, ლენინი, მარტოვი), არჩეულ იქნენ პლეხანოვი, ლენინი და მარტოვი. ცენტრალურ კომიტეტში გვინდოდა აგვერჩია უმრავლესობიდან ორი და უმცირესობიდან ერთი.

მარტოვმა უარი სთქვა შესულიყო რედაქციაში, თუ სამი «გამორიცხული» (აურჩეველი) ამხანაგიც არ შევიდოდა, და მთელმა უმცირესობამ უარი სთქვა ცენტრალური კომიტეტის არჩევაზე. არავის არასოდეს ეს არჩევნები უკანონოდ არ გამოუცხადებია და არც ახლა აცხადებს. მაგრამ უმცირესობამ ყრილობის შემდეგ უარი სთქვა მუშაობაზე ყრილობის მიერ არჩეული ცენტრების ხელმძღვანელობით.

ეს ბოიკოტი სამ თვეს გაგრძელდა, 1903 წ. აგვისტოს დამლევიდან 1903 წ. ნოემბრის დამლევამდე. «ისკრას» (ექვს ნომერს, №№ 46 — 51) რედაქტორობდნენ ორნი — პლეხანოვი და ლენინი. უმცირესობამ პარტიაში შეადგინა ფარული ორგანიზაცია (ეს ფაქტია, რომელიც ახლა პრესაში დაადასტურეს თვით უმცირესობის მომხრეებმა და რომელსაც ღღეს არავინ უარყოფს). რუსეთის კომიტეტების დიდმა უმრავლესობამ (12-მა 14 კომიტეტიდან, რომლებმაც უკვე გამოსთქვეს თავისი აზრი) აზრი გამოსთქვა ამ დეზორგანიზატორული ბოიკოტის წინააღმდეგ.

მაგრამ პლეხანოვმა, საზღვარგარეთული «ლიგის» (—პარტიის საზღვარგარეთული ორგანიზაცია) ნებელვარე ყრილობის შემდეგ, რომელიც 1903 წ. ოქტომბრის მიწურულში შედგა, გადაწყვიტა დაეთმო უმცირესობისათვის და მთელი პარტიის წინაშე სტა-

ტიაში «რა არ უნდა ვაკეთოთ», («ისკრის» № 52, 1903 წ. ნოემბერი) განაცხადა, რომ გათიშვის თავიდან ასაცილებლად ზოგჯერ საჭიროა დათმობა იმათ მიმართაც კი, ვინც შეცდომით იხრება რ ე ვ ი ზ ი ო ნ ი-ზ მ ი ს ა კ ე ნ და მოქმედებს როგორც ა ნ ა რ ქ ი ს ტ უ ლ ი ი ნ დ ი-ვ ი დ უ ა ლ ი ს ტ ი (ხაზგასმული გამოთქმები პლეხანოვის ნამდვილი გამოთქმებია სტატიაში «რა არ უნდა ვაკეთოთ»). ლენინი გამოვიდა რედაქციიდან, რადგან არ უნდოდა ყრილობის გადაწყვეტილებათა წინააღმდეგ წასულიყო. მაშინ პლეხანოვმა მოახდინა ოთხივე ყოფილი რედაქტორის «კოოპტაცია». რუსეთის კომიტეტებმა განაცხადეს, ვნახავთ, როგორი იქნება ახალი «ისკრის» მიმართულება, ვნახავთ, მშვიდობისათვის შევიდნენ თუ არა მენშევიკები რედაქციაში.

აღმოჩნდა, როგორც ბოლშევიკები წინასწარმეტყველებდნენ, რომ ვერც ძველი «ისკრის» მიმართულებამ მოიკიდა ფეხი და ვერც მშვიდობა მისცა პარტიას ახალმა, მენშევიკურმა რედაქციამ. «ისკრის» მიმართულებამ იმდენად იბრუნა პირი ძველი, II ყრილობის მიერ უარყოფილი რაბოჩეედელოელობისაკენ, რომ თ ვ ი თ ტროცკიმ, უმცირესობის თვალსაჩინო წევრმა, რომელმაც გამოსცა საპროგრამო ბროშურა «ჩვენი პოლიტიკური ამოცანები», ბროშურა, გამოსული ახალი «ისკრის» რედაქციით, სიტყვასიტყვით განაცხადა: «ძველსა და ახალ «ისკრას» შორის უფსკრული დევსო». ჩვენ ვჯერდებით ჩვენი მოწინააღმდეგის ამ განცხადებას, რათა არ შევუდგეთ «ისკრის» პრინციპული ქანაობის გრძელ ახსნა-განმარტებას.

მეორე მხრივ, «უმცირესობის ფარული ორგანიზაცია» არ დაშლილა, არამედ განაგრძობდა ცენტრალური კომიტეტის ბოიკოტს. პარტიის ეს ფარული გათიშვა ცხად და ფარულ ორგანიზაციად აუტანლად აფერხებდა მუშაობას. რუსეთის კომიტეტების დიდმა უმრავლესობამ, რომლებმაც გამოსთქვეს თავისი აზრი კრიზისზე, გადაჭრით დაგმო ახალი «ისკრის» მიმართულებაც და უმცირესობის დეზორგანიზატორული საქციელიც. ყოველი მხრიდან გაისმა მოთხოვნა მესამე ყრილობის დაუყოვნებლივ მოწვევისა აუტანელი მდგომარეობიდან გამოსასვლელად.

ჩვენი პარტიის წესდების მიხედვით საგანგებო ყრილობის მოსაწვევად (მორიგი ყრილობები მოიწვევა ხოლმე ყოველ ორ წელიწადში ერთხელ, «შეძლებისამებრ») საჭიროა განცხადება ორგანიზაციებისა, რომლებსაც ერთად ხმების საერთო რიცხვის ნახევარი აქვთ. ნახევარი უკვე შეგროვდა. მაგრამ აქ ცენტრალურმა კომიტეტმა უღალატა უმრავლესობას, ისარგებლა რა მისი რამდენიმე წევრის დაპატიმრებით, რომლებიც უმრავლესობას ეკუთვნოდნენ. დაპატიმრე-

ბის შემდეგ დარჩენილი ცენტრალური კომიტეტის წევრები «შერიგების» საბაბით შეუთანხმდნენ უმცირესობის ფარულ ორგანიზაციას და გამოაცხადეს. ეს ორგანიზაცია იშლებაო, ამასთან პარტიისაგან ფარულად და ცენტრალური კომიტეტის წერილობითი განცხადებების მიუხედავად ცენტრალურ კომიტეტში კოოპტაციის წესით შეყვანილ იქნა სამი მენშევიკი. ეს კოოპტაცია მოხდა 1904 წ. ნოემბერსა თუ დეკემბერში. ამრიგად, უმცირესობა იბრძოდა 1903 წ. აგვისტოდან 1904 წ. ნოემბრამდე, სთიშავდა მთელ პარტიას ცენტრალურ ორგანოში სამის და ცენტრალურ კომიტეტში სამის კოოპტაციის გამო.

ასეთნაირად გაყალბებულმა ცენტრალურმა დაწესებულებებმა ყრილობის მოთხოვნას ლანძღვით ან დუმილით უპასუხეს.

მაშინ რუსეთის კომიტეტებს მოთმინების ფიალა აევსოთ. მათ იწყეს თავიანთი კერძო კონფერენციების მოწვევა. დღემდე შედგა სამი კონფერენცია: 1) კავკასიის ოთხი კომიტეტისა; 2) სამხრეთის სამი კომიტეტისა (ოდესა, ნიკოლაევი და ეკატერინოსლავი) და 3) ჩრდილოეთის ექვსი კომიტეტისა (პეტერბურგი, მოსკოვი, ტვერი, რიგა, «ჩრდილოეთი», ე. ი. იაროსლავლი, კოსტრომა და ვლადიმირი, და ბოლოს ნიჟნი ნოვგოროდი). ყველა ამ კონფერენციამ აზრი გამოსთქვა «უმრავლესობის» სასარგებლოდ, მათ გადაწყვიტეს მხარი დაუჭირონ უმრავლესობის ლიტერატურულ ჯგუფს (ლენინის, რიაზოვის, ორლოვსკის, გალიორკის, ვოინოვისა და სხვების ჯგუფს) და აირჩიეს **თავისი ბიურო**; მესამე ე. ი. ჩრდილოეთის, კონფერენციამ ამ «ბიუროს» დააკალა გადაქცეულიყო ორგანიზაციულ კომიტეტად და მოეწვია რუსეთის კომიტეტების ყრილობა, ე. ი. მესამე ყრილობა პარტიისა, საზღვარგარეთული ცენტრების გამოკლებით, რომლებიც ჩამოშორდნენ პარტიას.

ასეთი იყო საქმის ვითარება 1905 წლის 1 იანვრისათვის (ახალი სტილით). უმრავლესობის კომიტეტთა ბიურო შეუდგა თავის მუშაობას (ჩვენი პოლიციური პირობების გამო ყრილობის მოწვევა, რა თქმა უნდა, რამდენიმე თვეს გაჭიანურდება: მეორე ყრილობის მოწვევა გამოცხადებული იყო 1902 წ. დეკემბერში, ხოლო იგი მოწვეულ იქნა 1903 წლის აგვისტოში). უმრავლესობის ლიტერატურულმა ჯგუფმა დააარსა უმრავლესობის ორგანო, გაზეთი «ვპერიოდი», რომელიც **ყოველკვირეულად** გამოდის 1905 წლის 4 იანვრიდან (ახალი სტილით). ახლა (1905 წ. 3 თებერვალი) უკვე 4 ნომერი გამოვიდა. გაზეთ «ვპერიოდის» მიმართულება ძველი «ისკრის»

მიმართულებაა. ძველი «ისკრისათვის» «ვპერიოდი» გადაჭრით ებრძვის ახალ «ისკრას».

მაშასადამე, ფაქტიურად აღმოჩნდა რუსეთის ორი სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია. ერთს აქვს ორგანო «ისკრა», რომელსაც «ოფიციალურად» ეწოდა პარტიის ცენტრალური ორგანო, ჰყავს ცენტრალური კომიტეტი, რუსეთის ოთხი კომიტეტი ოციდან (დანარჩენი კომიტეტები რუსეთში, გარდა ოცისა, რომლებიც მეორე ყრილობაზე იყვნენ, შეიქმნენ შემდეგ, და მათი დამტკიცების კანონიერების საკითხი სადავო საკითხია). მეორე პარტიას აქვს ორგანო «ვპერიოდი», «უმრავლესობის რუსეთის კომიტეტების ბიურო», 14 კომიტეტი რუსეთში (13 ზემოდასახელებული და ვორონეჟისა, აგრეთვე, ალბათ, სარატოვისა, ურალისა, ტულისა და ციმბირისა*).

«ახალ ისკრელთა» მხარეზე დგანან ძველი «ისკრის» ყველა მოწინააღმდეგე, ყველა რაბოჩეედელოელი და პარტიასთან აბლომდგომი ინტელიგენციის უდიდესი ნაწილი. «ვპერიოდელთა» მხარეზე ძველი «ისკრის» ყველა პრინციპულად დარწმუნებული მომხრე და უდიდესი ნაწილი შეგნებული მოწინავე მუშებისა და პარტიის პრაქტიკული მოღვაწეებისა რუსეთში. პლეხანოვმა, რომელიც პარტიის მეორე ყრილობაზე (1903 წ. აგვისტო) და ლიგის ყრილობაზე (1903 წ. ოქტომბერი) ბოლშევიკი იყო და რომელიც 1903 წლის ნოემბრიდან თავგანწირვით ებრძვის «უმრავლესობას», 1904 წ. 2 სექტემბერს საჯაროდ განაცხადა (ეს დაბეჭდილია), ორივე მხარის ძალები დაახლოებით თანაბარიაო.

ჩვენ, ბოლშევიკები, ვამტკიცებთ, რომ ჩვენ მხარეზეა ნამდვილ, რუსეთელ, პარტიულ მოღვაწეთა უმრავლესობა. გათიშვის მთავარ მიზეზად და გაერთიანების მთავარ დაბრკოლებად ჩვენ მიგვაჩნია დეზორგანიზატორული საქციელი უმცირესობისა, რომელმაც უარი განაცხადა დამორჩილებოდა მეორე ყრილობის გადაწყვეტილებებს და მესამე ყრილობის მოწვევას გათიშვა არჩია.

ამჟამად მენშევიკები რუსეთში ყველგან ეწევიან ადგილობრივ ორგანიზაციათა გათიშვას. მაგალითად, პეტერბურგში მათ ხელი შეუშალეს კომიტეტს, რომ 28 ნოემბერს გაემართა დემონსტრაცია (იხ. «ვპერიოდი» № 1). ახლა ისინი პეტერბურგში გამოეყვნენ ცალკე ჯგუფად, რომელსაც ეწოდა «ცენტრალურ კომიტეტთან არსებული ჯგუფი» და რომელიც წინააღმდეგობას უწევს პარტიის ადგილობრივ კომიტეტს. ასეთივე ადგილობრივი ჯგუფი («ცენტრალურ კომიტეტ-

* ყოველ შემთხვევაში ოთხივე უკანასკნელი კომიტეტი პარტიის მეორე ყრილობის შემდეგ «უმრავლესობას» უჭერდა მხარს.

თან არსებული») პარტიის კომიტეტთან საბრძოლველად მათ ამ დღეებში შეეკმნეს ოდესაში. პარტიის მენშევიკურ ცენტრალურ დაწესებულებებს, მათი პოზიციის სიყალბის გამო, მოუხდათ პარტიის ადგილობრივი მუშაობის დეზორგანიზება, რადგან ამ ცენტრალურმა დაწესებულებებმა არ ისურვეს დამორჩილებოდნენ პარტიის კომიტეტების გადაწყვეტილებას, რომლებმაც ისინი აირჩიეს.

«ვპერიოდსა» და ახალ «ისკრას» შორის პრინციპული უთანხმოება არსებითად იგივეა, რაც ძველ «ისკრასა» და «რაბოჩეე დელოს» შორის იყო. ეს უთანხმოება ჩვენ მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, მაგრამ იმ პირობით, თუ შესაძლებელი იქნებოდა საკუთარ შეხედულებათა, ძველი «ისკრის» შეხედულებათა სავსებით დაცვა, ამ უთანხმოებას ჩვენ არ ჩავთვლიდით საკმაო დაბრკოლებად ერთ პარტიაში ერთად მუშაობისათვის.

დაბეჭდილია 1905 წელს ცალკე ფურცლად რსდმპ ბერნის დამხმარე ჯგუფის მიერ

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც., ტ. 6, გვ. 134—142

ს ჯ ა ჯ ი ი ღ ა ნ

«პირველი გაკვეთილები»

... აჯანყების იდეა ღირსია, რომ მის ისტორიაზე შევჩერდეთ. ახალმა «ისკრამ» ამ საკითხზე გამოსთქვა იმდენი ბუნდოვანი უხამსობა, დაწყებული № 62-ის მარად მოსაგონარი მეთაურით, იმდენი ოპორტუნისტული აბდაუბდა, რაც სავსებით შეჰფერის ჩვენს ძველ ნაცნობს, მარტინოვს, რომ საკითხის ძველებური დაყენების ზუსტ აღდგენას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს. ახალი «ისკრის» ყველა უხამსობას და მის მთელ აბდაუბდას სულ ერთია ბოლომდე ვერ გაკვეთენებით. გაცილებით უფრო მიზანშეწონილია ხშირ-ხშირად გავიხსენოთ ძველი «ისკრა» და უფრო კონკრეტულად განვავითაროთ მისი ძველი დადებითი ლოზუნგები...

დაწერილია 1905 წ. თებერვლის დამდეგს
პირველად დაიბეჭდა 1926 წელს ლენინის კრებულში V

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც., ტ. 8, გვ. 155

წერილი ა. ა. ბოგდანოვსა და ს. ი. გუსევს

11. II. 1905.

გუშინ გამოგიგზავნეთ დეკეშა, რომ თანახმა ვარ თქვენს ცვლილებებზე, თუმცა სრულიად არ ვეთანხმები იმას, რის გაგებაც კი შემეძლო თქვენი წერილიდან. მაგრამ მე ისე მომბეზრდა საქმის ეს გაჭიანურება და ჩემს ისეთ დაცინვად გაისმოდა თქვენი კითხვები, რომ ხელი ჩავიქნიე: ოღონდ კი თუნდაც რამე გააკეთოთ! ოღონდ კი გამოუშვათ რანაირიც უნდა იყოს ცნობა ყრილობის შესახებ. მაგრამ გამოუშვათ, და არა ლაპარაკობდეთ მის შესახებ! თქვენ გაგიკვირდებათ სიტყვა: დაცინვა. მაგრამ, მართლაცდა, დაუფიქრდით: ორი თვის წინათ მე გამოვუგზავნე ჩემი პროექტი ბიუროს ყველა წევრს. ერთ მათგანსაც არ აინტერესებს იგი და საჭიროდ არ მიაჩნია შეხედულებათა გაზიარება!! ახლა კი: ტელეგრაფით... ე-ეჰ, ვლაპარაკობთ ორგანიზაციაზე, ცენტრალიზმზე, ნამდვილად კი ცენტრის ყველაზე უახლოეს ამხანაგებს შორის ისეთი დაქსაქსულობაა, ისეთი კუსტარულობაა, რომ გინდა მიაფურთხო. აი ბუნდელები არ ენამრუშობენ ცენტრალიზმის შესახებ. მაგრამ თვითეული მათგანი სწერს ცენტრს ყოველკვირეულად და კავშირი ფაქტიურად მყარდება. და საკმარისია ხელში ავიღოთ მათი «პოსლედნიე იზვესტია»[35], რომ დავინახოთ ეს კავშირი. ჩვენში კი გამოდის «ვპერიოდის» მე-6 ნომერი და რედაქციის წევრისაგან (რახმეტოვისაგან) ერთი სტრიქონიც არ მიგვიღია არც «ვპერიოდზე», არც «ვპერიოდისათვის». ჩვენში «ლაპარაკობენ» მდიდარი ლიტერატურული კავშირის შესახებ ს.-პეტერბურგშიც და მოსკოვშიც. უმრავლესობის ახალგაზრდა ძალებზე. ჩვენ კი აქ, სამუშაოდ მოწოდების ორი თვის შემდეგ (ანონსი «ვპერიოდზე» და წერილი მის შესახებ), ჩამიჩუმიც არ გვსმენია. ხოლო რუსეთის კომიტეტებს (კავკასია, ნიჟნი. უკვე აღარაფერს ვამბობ ვოლგისპირეთზე. სამხრეთზე) ბიურო

მთლად «მითად» მიაჩნიათ და ამის სრული უფლებაცა აქვთ. მენშევიკების ჯგუფთან უმრავლესობის ს.-პეტერბურგის კომიტეტის რაღაც კავშირზე ჩვენ «გავიგონეთ» უცხო ადამიანებისაგან, — ჩვენებისაგან კი ერთი სიტყვაც არ გაგვიგონია. არ გვინდა დავიჯეროთ, რომ ასეთი თვითმკვლელური და სულელური ნაბიჯის გადადგმა შეეძლოთ ბოლშევიკებს. სოციალ-დემოკრატების კონფერენციისა და «ბლოკის» შესახებ «გავიგონეთ» უცხოთაგან, ხოლო ჩვენებისაგან კ რ ი ნ ტ ი ც კ ი ა რ ა, თუმცა ამბობენ, რომ ეს არის fait accompli.* ჩანს, ბოლშევიკებს ერთხელ კიდევ მოესურვათ, რომ ყინულზე გაიცურონ.

ჩვენი ერთადერთი ძალაა — აშკარად პირდაპირობა და შემჭიდროება, შეტევის ენერგია. ხოლო ადამიანები, ვგონებ, მოდუნდნენ «რევოლუციის» გამო!! როდესაც ორგანიზებულობა ასჯერ უფრო საჭიროა, ისინი ხელში უვარდებიან დეზორგანიზატორებს. დეკლარაციისა და ყრილობის პროექტის შესწორებებიდან (რომლებიც წერილში მეტისმეტად გაუგებრად არის მოყვანილი) ჩანს, რომ გადაყოლილი არიან «ლოიალობას»: პაპაშა პირდაპირ წერს ამ სიტყვას და დასძენს: ცენტრები რომ არ მოვიხსენიოთ, ყრილობაზე არავინ მოვაო! ერიჰა, ბატონებო; სანაძლეოს ვდებ, რომ თუ თქვენ ა ს ე იმოქმედებთ, ვერასოდეს ვერ ეღირსებით ყრილობას და ვერასოდეს ვერ დააღწევთ თავს ცენტრალური ორგანოს და ცენტრალური კომიტეტის ბონაპარტისტთა ზეგავლენას. ყრილობის შეკრება წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ცენტრებისა, რომელთაც უნდობლობა აქვთ გამოცხადებული, ყრილობის შეკრება . რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი ბიუროს სახელით (არარსებულისა და ფიქციურისა, თუ ლოიალური წესდების წინაშე მუცლით ხოხვას დაიწყებთ) და ყრილობაზე 9 ბონაპარტისტისაც, ლიგისაც (ჰა-ჰა!) და ბონაპარტისტული კრეატურებისაც (ახლადგამომცხვარი კომიტეტები) ყრილობაზე ყოფნის უ თ უ ო უფლების აღიარება, — ეს ნიშნავს საკუთარი თავის გამასხარავებას და საკუთარი თავისადმი ყოველგვარი პატივისცემის ძირის გამოთხრას. შეიძლებოდა და საჭიროც იყო მოგვეწვია ცენტრები, მაგრამ მათი გადამწყვეტი ხმის აღიარება, ეს, ვიმეორებ, უგუნურებაა. რასაკვირველია, ცენტრები სულ ერთია არ მოვლენ ჩ ვ ე ნ ს ყრილობაზე, მაგრამ რა საჭიროა ერთხელ კიდევ ზედმეტად მივცეთ საბაბი პირში შემოგვაფურთხონ? რა საჭიროა პირმოთნეობა და კეკემალულობა. ეს პირდაპირ სამარცხვინოა. ჩვენ გამოვაცხადეთ გ ა თ ი შ ვ ა, ჩვენ ვიწვევთ ყრილობაზე ვ პ ე რ ი ო დ ე ლ ებ ს, ჩვენ გვსურს მოვაწ-

* — მომხდარი ფაქტი. რ ე დ.

ყოთ ვ ა პ ე რ ი ო დ უ ლ ი პარტია და ვწუვეტთ, დაუყოვნებლივ ვწუვეტთ ყ ვ ე ლ ა და ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ ურთიერთობას დეზორგანიზატორებთან, — ჩვენ კი გვეჩიჩინებიან ლოიალობის შესახებ. თვალთმაქცობენ, ვითომც შეიძლებოდეს «ისკრისა» და «ვპერიოდის» საერთო ყრილობა. რაღაც კომედია გამოდის! რასაკვირველია, ყრილობის(თუ კი იგი იქნება) პირველივე დღე, პირველი საათი გაფანტავს ამ კომედიას, მაგრამ ყრილობამდე ამგვარი სიყალბე ათჯერ და ასჯერ გვავნებს.

სიმართლე გითხრათ, მე ხშირად ვფიქრობ, რომ ბოლშევიკებში $^{9}/_{10}$ ნამდვილად ფორმალისტია. ან ჩვენ შევამჩნიდროეთ ნამდვილი რკინისებური ორგანიზაციით მათ, ვისაც სურს ომობს, და ამ პატარა, მაგრამ მტკიცე პარტიით ლახვარს ლახვარზე ჩავცემთ ახალისკელთა ჭრელი ელემენტების დონდლო ურჩხულს, ან ჩვენი საქციელით დავამტკიცებთ, რომ ღირსნი ვიყავით დალუპვისა, როგორც საზიზღარი ფორმალისტები. როგორ არ ესმით ადამიანებს, რომ ბ ი უ რ ო მ დ ე და «ვ პ ე რ ი ო დ ა მ დ ე» ჩვენ ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ი გავაკეთეთ ლოიალობის გადასარჩენად, ერთიანობის გადასარჩენად, კონფლიქტ-ს მოკვარების ფორმალური, ე. ი. უმაღლესი მეთოდების გადასარჩენად!?!? ხოლო ახლა, ბ-ეროს შ ე ვ დ ე გ. «ვპერიოდის» შ ე მ დ ე გ გათიშვა ფაქტია. და როდესაც გათიშვა ფაქტად იქცა, გამოჩნდა, რომ ჩვენ მ ა ტ ე რ ი ა ლ უ რ ა დ მ რ ა ვ ა ლ ჯ ერ უ ფ რ ო ს უ ს ტ ნ ი ვ ა რ თ. ჩვენთვის ჯერ კიდევ საჭიროა ჩვენი მორალური ძალა მატერიალურ ძალად გადავაქციოთ. შენშევიკებს ეფრო მეტი აქვთ ფული. მეტი აქვთ ლიტერატურა, მეტი აქვთ ტრანსპორტი, მეტი ჰყავთ აგენტები, მეტი ჰყავთ «სახელები», მეტი ჰყავთ თანამშრომლები. მიუტეველელ ბავშვობა იქნებოდა ამის არდანახვა. და თუ ჩვენ არა გვსურს ვუჩვენოთ ქვეყნიერებას უსაზიზღრესი ნიმუში დამჭკნარი და ანემიური მოხუცი ქალწულისა, რომელიც ამაყობს თავისი უნაყოფო მორალური სიწმინდით, უნდა შევიგნოთ, რომ ჩვენ გვჭირდება ომი და სამხედრო ორგანიზაცია. მხოლოდ ხანგრძლივი ომის შემდეგ და მხოლოდ იმ პირობით, თუ საუცხოო ორგანიზაცია გვექნება, ჩვენს მორალურ ძალას შეუძლია მატერიალურ ძალად იქცეს.

საჭიროა ფული. უაღრესად უაზროა გეგმა ყრილობის მოწვევისა ლონდონში, რადგან ეს ერთიორად უფრო მეტი დაჯდება. ჩვენ არ შეგვიძლია «ვპერიოდის» შეჩერება, ხოლო დიდი ხნით წასვლა მას შეაჩერებს. ყრილობა უნდა იყოს უბრალო, ხანმოკლე, არამრავალრიცხოვანი. ეს არის — ყრილობა ომის მოსაწყობად. ყ ვ ე ლ ა ფ რ ი დ ა ნ ჩანს, რომ თქვენ ამ მხრივ ილუზიებს აპყოლიხართ.

საჭიროა თანამშრომლები «ვპერიოდისათვის». ჩვენ ცოტანი ვართ.

თუ არ დავუმატებთ 2—3 მუდმივ თანამშრომელს რუსეთიდან, მაშინ საჭიროც არ არის სისულელის ყბედობა «ისკრასთან» ბრძოლაზე. საჭიროა ბროშურები და ფურცლები, უაღრესად საჭიროა.

საჭიროა ახალგაზრდა ძალები. ჩემი რჩევა იქნებოდა პირდაპირ ადგილზევე დახვრიტოთ ისინი, ვინც თავის თავს ნებას აძლევს და ამბობს, ადამიანები არა გვყავსო. რუსეთში ადამიანები უამრავია, საჭიროა მხოლოდ უფრო ფართოდ და გაბედულად, უფრო გაბედულად და ფართოდ, ერთხელ კიდევ უფრო ფართოდ და ერთხელ კიდევ უფრო გაბედულად მოვიზიდოთ ახალგაზრდობა, ა რ გ ვ ე შ ი ნ ო დ ე ს მ ი ს. ომიანობის დროა. ახალგაზრდობა გადაწყვეტს მთელი ბრძოლის ბედს; სტუდენტი ახალგაზრდობაც და კიდევ უფრო მეტად მუშა ახალგაზრდობაც. უკუაგდეთ უმოძრაობის, ხარისხის პატივისცემისა და ყველა სხვა მსგავსი ძველი ჩვეულება. ახალგაზრდობისაგან დააარსეთ ვპერიოდელთა ა ს ო ბ ი თ წრე და წააქეზეთ ისინი რაც ძალი და ღონე აქვთ იმუშაონ. ე რ თ ი ს ა მ ა დ გააფართოეთ კომიტეტი ახალგაზრდობის მიღებით. შექმენით ხუთიოდე ან ათიოდე ქვეკომიტეტი, «კოოპტაციის» წესით მიიღეთ ყოველი და თვითეული პატიოსანი და ენერგიული ადამიანი. უფლება მიეცით თვითეულ ქვეკომიტეტს წეროს და გამოსცეს ფურცლები საქმის სრულიად გაუჭიანურებლად (არაფერია, თუ შეცდომას დაუშვებს: ჩვენ «ვპერიოდში» «რბილად» შევასწორებთ). საჭიროა უდიდესი სისწრაფით გავაერთიანოთ და ავამოქმედოთ ყველა რევოლუციურად ინიციატივიანი ადამიანი. ნუ შეგეშინდებათ მათი მოუმზადებლობისა, ნუ აცახცახდებით მათი გამოუცდელობისა და განუვითარებლობის გამო. ჯერ ერთი, თუ თქვენ ვერ შესძლებთ მათ დარაზმვას და ამოქმედებას, ისინი გაჰყვებიან მენშევიკებსა და გაპონებს და იმავე თავისი გამოუცდელობით ხუთჯერ უფრო მეტ ზიანს მოიტანენ. მეორე, ახლა მოვლენები გაწვრთნიან ჩ ვ ე ნ ე ბ უ რ ა დ. მოვლენები უკვე წვრთნიან ყველას და თვითეულს სწორედ ვპერიოდისებურად.

მხოლოდ აუცილებლად უნდა მოაწყოთ, მოაწყოთ და მოაწყოთ ა ს ო ბ ი თ წრეები და სულ უკანასკნელ ადგილზე გადასწიოთ ჩვეულებრივი კომიტეტური (იერარქიული) სისულელეები. ომიანობის დროა. ან ახალი, ახალგაზრდა, სიცოცხლით აღსავსე, ენერგიული სამხედრო ორგანიზაციები ყველგან ყოველგვარი, ყველა სახის რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული მუშაობისათვის ყველა ფენაში, — ან თქვენ დაიღუპებით ბეჭედდასმულ «კომიტეტელთა» სახელით.

მე ამის შესახებ დავწერ ხოლმე «ვპერიოდში» და ვილაპარაკებ ყრილობაზე. გწერთ თქვენ, რათა კვალად და კვალად შ ე ვ ე ც ა დ ო გამოგიწვიოთ აზრთა გაცვლისათვის, გამოგიწვიოთ იმისათვის, რათა

რედაქციას უშუალოდ დაუკავშიროთ მუშათა (და სხვა) ათეული ახალგაზრდა, სიცოცხლით აღსავსე წრეები, თუმცა... თუმცა. ჩვენს შორის დარჩეს, არავითარი ი

III ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲬᲕᲔᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

«ვპერიოდის» რედაქციას ისღა დარჩენია, რომ თავისი მხურვალე თანაგრძნობა გამოუცხადოს რუსეთის ბიუროს თაოსნობას. ძლივს გადაიდგა ენერგიული ნაბიჯი პ ა რ ტ ი უ ლ ი გამოსვლისათვის იმ მდგომარეობიდან, რომელიც საზღვარგარეთელმა ბონაპარტისტებმა შექმნეს![36] განყოფილებაში «პარტიიდან» ჩვენ ვათავსებთ ცნობებს იმის შესახებ, თუ რა სწრაფად ეხმაურებიან კომიტეტები ბიუროს მოწოდებას. დაე მიბაძონ მათს მაგალითს ყ ვ ე ლ ა დ ა ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ მ ა ჯგუფებმა და ორგანიზაციებმა, აგრეთვე ცალკეულმა პირებმა, რომლებიც თავის თავს რსდმპ-ს აკუთვნებენ ან თუნდაც ემხრობიან მას თავიანთი შეხედულებებითა და სიმპათიებით. მესამე ყრილობის მოწვევა ხდება პ ი რ ვ ე ლ ა დ ისეთ პირობებში, როდესაც წინასწარ ცნობილია მისი შემადგენლობაც (პარტიის წესდების საფუძველზე), მუშაობის მსვლელობაც და ისიც, თუ ვისა აქვს მასში მონაწილეობის უფლება. დაე ყველა ამხანაგმა ფართოდ ისარგებლოს ამ პირობებით! დაე ნუ დაივიწყებენ, რომ ჩვენი პარტიის წესდება თვითეულისათვის უზრუნველყოფს შესაძლებლობას მიმართოს ყრილობას (წესდების § 10: «პარტიის თვითეულ წევრს და ყ ვ ე ლ ა პ ი რ ს, ვ ი ს ა ც კ ი პ ა რ ტ ი ა ს თ ა ნ რ ა ი მ ე ს ა ქ მ ე ა ქ ვ ს, უფლება აქვს მოითხოვოს, რომ მისი განცხადება ნამდვილი სახით გადაეცეს ცენტრალურ კომიტეტს, ცენტრალური ორგანოს რედაქციას ან პ ა რ ტ ი უ ლ ყ რ ი ლ ო ბ ა ს»). დაე დ ა უ ყ ო ვ ნ ებ ლ ი ვ ისარგებლონ ამ შესაძლებლობით. «ვპერიოდის» რედაქცია კისრულობს ასეთ განცხადებათა გადაცემას რუსეთის ბიუროსათვის, რომელიც ჩამოყალიბდა ახლა, როგორც ყრილობის ორგანიზაციული კომიტეტი. ყრილობაზე გადამწყვეტი ხმით მონაწილეობა ხელმისაწვდომია მხოლოდ კომიტეტებისა და სხვა სრულუფლებიანი, წესდების საფუძველზე, პარტიული ორგანიზაციების წარმომადგენელთათვის. მაგრამ ს ა თ ა თ ბ ი რ ო ხმით მონაწილეობა თვით ყრილობის ნებართვით ხელმისაწვდომია ყველასათვის,

ხოლო ორგანიზაციული კომიტეტის ნებართვით — არასრულუფლებიანი პარტიული ორგანიზაციების დელეგატებისათვის (პარტიის წესდების § 3, მე-2 შენიშვნა: «ცენტრალურ კომიტეტს უფლება ენიჭება მოიწვიოს ყრილობაზე სათათბირო ხმით იმ ორგანიზაციათა დელეგატები, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ 1-ლ შენიშვნაში აღნიშნულ პირობებს», ე. ი. რომლებიც თავიანთ სრულუფლებიან წოდებაში დამტკიცებული არ არიან ერთი წლით ადრე ყრილობამდე. — თავისთავად იგულისხმება, რომ ორგანიზაციული კომიტეტი, იწვევს რა ყრილობას კომიტეტების უმრავლესობის დავალებით ბონაპარტისტული ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოს ნების წინააღმდეგ, ითვისებს ცენტრალური კომიტეტის ყველა უფლებას ყრილობის მოწვევის მხრივ).

«ვპერიოდის» რედაქცია, თავის მხრივ, ურჩევს ყრილობას ასეთ სანიმუშო დღის წესრიგს: 1. ყრილობის კონსტიტუირება (რეგლამენტი, ორგანიზაციული კომიტეტის მოხსენება, მანდატების შემოწმება). 2. დელეგატების ანგარიშები. 3. პარტიული კრიზისი*. 4. ორგანიზაციული საკითხი. 5. დამოკიდებულება აჯანყებისადმი. 6. რევოლუციურ დემოკრატიასთან შეთანხმება აჯანყების მიზნებისათვის. 7. დამოკიდებულება ლიბერალებისადმი. 8. გლეხობაში მუშაობა და გლეხთა რევოლუციური მოძრაობისათვის მხარდაჭერა. 9. მუშაობა ჯარში. 10. პროპაგანდისტული და საagიტაციო მუშაობის გაუმჯობესება. 11. თანამდებობის პირთა არჩევნები.

პარტიის ყველა წევრის აქტიური მონაწილეობა ამ და სხვა დიდ საკითხებზე მოხსენებებისა და რეზოლუციების გამომუშავებასა და მომზადებაში (აგრეთვე მოხსენებებისათვის მასალის შეგროვებაში) უთუოდ აუცილებელია ყრილობის წარმატებისათვის. ჩვენ მოვუწოდებთ პარტიულობის ყველა მომხრეს დაუყოვნებლივ მოჰკიდოს ხელი ამ მუშაობას. ყველას, ვისაც ასე თუ ისე მონაწილეობა მიუღია პარტიული კრიზისის პერიპეტიებში. შეუძლია დაეხმაროს ყრილობას გამოსავალ საშუალებათა საკითხში თავისი გამოცდილებისა და თავისი აზრის შესახებ მოკლე ცნობის მიწოდე-

* ბებელმა წერილით მიმართა ლენინს და შესთავაზა აერჩიათ იგი მედიატორად «ისკრის» მომხრეებსა და «ვპერიოდის» მომხრეებს შორის. ლენინმა უპასუხა, რომ არც მას და «ვპერიოდის» არც სხვა რომელიმე მომხრეს, რომელსაც კი იგი იცნობს, უფლება არა აქვს შებოჭოს თავისი ნაბიჯებით მთელი პარტია, და რომ ამიტომ ბებელის წინადადება განსახილველად უნდა გადაეცეს პარტიულ ყრილობას, რომელსაც იწვევს რუსეთის ბიურო. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ყრილობას შეეძლო ეს წინადადება მიეკუთვნებინა პუნქტისათვის «პარტიული კრიზისი».

ბით. თვითეულს, ვისაც უმუშავნია ამა თუ იმ პარტიულ ან პარტიის მომხრე ორგანიზაციაში, შეუძლია მისცეს თავის პირად გამოცდილებაზე დამყარებული ფრიად სასარგებლო მასალა ორგანიზაციული საკითხის სხვადასხვა მხარეთა გადასაწყვეტად. (აი ასეთ ცნობათა სანიმუშო პროგრამა: მუშაობის დრო და ადგილი; ორგანიზაციის წევრთა, მუშათა და ინტელიგენტთა, რიცხვი; ურთიერთობა მათ შორის; საჭიროა თუ არა ნაწერი წესდებები, და რანაირი; საჭიროა თუ არა ნორმირება, და რანაირი, ავტონომიის ფარგლების, შრომის განაწილების, პარტიაში შემავალი და მისი მომხრე ჯგუფების, წევრთა კოოპტაციისა და გარიცხვის შესახებ; არჩევითი პრინციპი; კომიტეტების დამოკიდებულება პროპაგანდისტთა, აგიტატორთა, ორგანიზატორთა ჯგუფებისადმი, რაიონული და საფაბრიკო წრეებისადმი, ლიტერატორთა და ტექნიკური კომისიებისადმი და სხვ. და სხვ.)

«ვპერიოდის» რედაქციამ უკვე მიიღო ზოგიერთი მასალა გლეხებსა და ჯარისკაცებში მუშაობის შესახებ. ჩვენ ვიცით ერთი ჯგუფი, რომელიც სისტემატურად მუშაობს პროპაგანდის, აგიტაციისა და ორგანიზაციის საქმეში თავის წევრთა გამოცდილების შეჯამებაზე და ყრილობისათვის მოხსენების შედგენაზე. ჩვენ დაგვპირდნენ ერთი ამხანაგის მოხსენებას, რომელიც მონაწილეობდა ერთ-ერთ დიდ ქალაქში ებრაელთა დარბევის შემთხვევისათვის ასეულობით მუშათა შეიარაღებული წინააღმდეგობის ორგანიზაციის მუშაობაში, აგრეთვე იმ ამხანაგის მოხსენებას ქუჩაში ბრძოლის საკითხზე, რომელიც სამხედრო საქმეს სწავლობდა. მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ამგვარ მუშაობას დაუყოვნებლივ მოჰკიდოს ხელი ამხანაგების რაც შეიძლება მეტმა რაოდენობამ.

პარტიული კრიზისი გამორკვეულია ლიტერატურაში უკიდურეს წვრილმანამდე. მის განხილვას არ შეიძლება და არ უნდა მოხმარდეს დიდი დრო. ყრილობის მუშაობის ცენტრალური პუნქტი უნდა იყოს ორგანიზაციისა და ტაქტიკის ახალი საკითხები, რომლებიც ჩვენი რევოლუციური მოძრაობის ახალი გიგანტური აღმავლობით არის წამოყენებული. ამ საკითხების გადასაჭრელად ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს მოძრაობის თუნდაც რაოდენადმე მონაწილე ყველა სოციალ-დემოკრატის კოლექტიურ გამოცდილებას. მხოლოდ საჭიროა რაც შეიძლება მალე მოვუყაროთ

თავი ამ გამოცდილებას და იგი ყრილობის განხილვისათვის ხელმისაწვდომი გავხადოთ.

მაშ მოვკიდოთ ხელი საქმეს, ამხანაგებო! ყრილობისათვის აქტიურ დახმარებას დაე დაუყოვნებლივ მოჰკიდოს ხელი ყველამ, ვისთვისაც ძვირფასია სოციალ-დემოკრატიული მუშათა მოძრაობა. მაშინ პარტია სწრაფად გამოვა დროებითი დამცირებისა და დასუსტების პერიოდიდან რუსეთის დიდ რევოლუციაში უაღრესად აქტიური მონაწილეობის გზაზე, იმ გზაზე, რომელსაც რუსი ხალხის წყეულ მტერზე გამარჯვებისაკენ მივყავართ!

1905 წ. 28 (15) თებერვალი
«ვპერიოდ» № 8

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.,
ტ. 8, გვ. 197—200

ნ ე ს ი ნ ლ ი ნ ი

ს. ი. გუსევს

ნაციას

...ღვთის გულისათვის, იშოვნეთ თვით მუშების კორესპონდენციები. რატომ ისინი არ იწერებიან?? ეს პირდაპირ სამარცხვინოა! შიდლოვსკის კომისიის არჩევნებში კომიტეტის აგიტაციის შესახებ თქვენი დაწერილებითი ნაამბობი საუცხოოა. დავბეჭდავთ...

დაწერილია 1905 წ. მარტის დამდეგს
გაგზავნილია ჟენევიდან
პეტერბურგში
პირველად დაიბეჭდა 1925 წელს

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.,
ტ. 34. გვ. 335.

წ ე რ ი ლ ი ▽ ი ▽ ▽ ა ნ

რსდმ პარტიის ოდესის კომიტეტს

ო დ ე ს ი ს კ ო მ ი ტ ე ტ ს ლ ე ნ ი ნ ი ს ა გ ა ნ

... P. S. იღებთ თუ არა კომიტეტში მუშებს? ეს საჭიროა, უთუოდ საჭიროა! რატომ არ გვაკავშირებთ უშუალოდ მუშებთან; არც ერთი მუშა არა წერს «ვპერიოდში». ე ს ს კ ა ნ დ ა ლ ი ა. ჩვენთვის აუცილებლად საჭიროა ა თ ო ბ ი თ მუშა კორესპონდენტი...

დაწერილია 1905 წ. 25 მარტს ჟენევაში
პირველად დაიბეჭდა 1925 წელს

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც., ტ. 34, გვ. 344

რსდმპ III ყრილობა

1905 წლის 12 (25) აპრილი — 27 აპრილი (10) მაისი

სიტყვა ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ მოხსენებების გამო 25 აპრილს (8 მაისს)

მართლაც, მოხსენება ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ ცენტრალური კომიტეტის ტექნიკას უფრო მეტად შეეხებოდა. ვიდრე მის პოლიტიკას. მე 1900 წლიდან ვადევნებ თვალს პარტიის ცენტრალური აპარატის მუშაობას და უნდა აღვნიშნო გიგანტური პროგრესი. თუ იგი ვერ გვაკმაყოფილებს, სრულ დაკმაყოფილებას ხომ, ალბათ, პროლეტარიატის დიქტატურის დროს ველირსებით. თუმცა ესეც საეჭვოა! გახსოვდეთ, რომ «კოოპტაციას» დღემდისაც ზიანი მოაქვს! ცენტრალური კომიტეტი ცოტას ლაპარაკობს თავის პოლიტიკაზე, რადგან მის შესახებ კარგს ვერაფერს იტყოდა. მისი მთავარი შეცდომაა ყრილობის მოწვევის წინააღმდეგ ბრძოლა. ყრილობა ერთი წლით ადრე რომ ყოფილიყო მოწვეული, იგი უფრო შემარიგებელი იქნებოდა, ვიდრე ახლა. მე თვითონ დაშლის მომხრე ვარ, მაგრამ მისი უთუოდ წინააღმდეგი ვარ ერთ შემთხვევაში, — როდესაც იგი ხდება ყრილობის სასარგებლო აგიტაციის გამო, მაგრამ ამაზე არ მსურს შევჩერდე: უფრო მეტ სიხარულს იწვევს ერთი ცოდვილი, რომელიც ცოდვებს მოინანიებს, ვიდრე 99 მართალი. რაც შეეხება საყვედურებს ჩემი მისამართით, მხოლოდ ვიტყვი, რომ ლიტერატორს უპარტიოდ არაფრის გაკეთება არ შეუძლია.

სიტყვები, მოხსენებები, რეზოლუციები და რეზოლუციათა პროექტები პირველად დაიბეჭდა 1905 წელს წიგნში: «რსდმპ მესამე მორიგი ყრილობა. ოქმების სრული ტექსტი». ცენტრალური კომიტეტის გამოცემა, ჟენევა

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც., ტ. 8, გვ. 495

ნ ე რ ი ღ ი ღ ე ბ ი

რსდმ პარტიის ცენტრალურ კომიტეტს

ლენინისაგან ცენტრალური კომიტეტის წევრებს პირადად

11. VII. 05.

ძვირფასო მეგობრებო! მთელი რიგი წერილები რუსეთის ყველა კუთხიდან, ალექსანდროვის ცნობები, საუბარი კლეშჩთან და კიდევ რამდენიმე ჩამოსულთან, — სულ უფრო განმიმტკიცებენ რწმენას, რომ ცენტრალური კომიტეტის მუშაობაში არის რაღაც შინაგანი დეფექტი, მუშაობის ორგანიზაციის, მოწყობის დეფექტი. ცენტრალური კომიტეტი არ არის, მას ვერავინ ვერ გრძნობს, ვერ ამჩნევს, — ასეთია საერთო ხმა. ფაქტებიც ამას ადასტურებენ. არა ჩანს ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ხელმძღვანელობა პარტიისადმი. ამავე დროს ცენტრალური კომიტეტის ყველა წევრი გადაქანცვამდე მუშაობს! აბა რაშია საქმე?

ჩემი აზრით, ამის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ის არის, რომ რეგულარულად არ გამოდის ცენტრალური კომიტეტის ფურცლები. რევოლუციის დროს ზეპირი საუბრებით, პირადი ურთიერთობით ხელმძღვანელობა მეტისმეტი უტოპიაა. საჭიროა საჯაროდ ხელმძღვანელობა. მუშაობის ყ ვ ე ლ ა დ ა ნ ა რ ჩ ე ნ ი სახე უნდა დაემორჩილოს ამ სახეს, მთლიანად და აუცილებლად. ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელმა ლიტერატორმა უწინარეს ყოვლისა იმისათვის უნდა იზრუნოს, რომ კვირაში ორჯერ დაწეროს (ან თანამშრომლებისაგან მიიღოს, — მაგრამ თვით რედაქტორი ყოველთვის მზად უნდა იყოს თვითონ დაწეროს) ფურცელი პარტიულ და პოლიტიკურ თემებზე (ლიბერალები, სოციალისტ-რევოლუციონერები, უმცირესობა, გათიშვა, ერობის დელეგაცია, პროფესიული კავშირები etc. etc) და გამოსცეს იგი ყველა საშუალებით, მაშინვე დაბეჭდოს ჰექტოგრაფზე

(თუ სტამბა არ არის) 50 ცალად და გამოსაცემად დაუგზავნოს კომიტეტებს. «პროლეტარში» მოთავსებული სტატიები ზოგჯერ იქნებ გამოდგეს ასეთი ფურცლებისათვის — ერთგვარი გადაკეთების შემდეგ. ვერ გამიგია, ეს რატომ არ კეთდება?? ნუთუ შმიდტსა და ვერნერს დაავიწყდათ ჩვენი ლაპარაკი ამის შესახებ? ნუთუ არ შეიძლება დაიწეროს და გაიგზავნოს კვირაში თითო ფურცელი მაინც?? «ცნობა» III ყრილობის შესახებ რუსეთში დღემდე არსად არ გადაბეჭდილა მთლიანად: ეს ისეთი უმსგავსობაა, ისეთი ფიასკოა ცენტრალური კომიტეტის ყველა ამ ყბადაღებული «ტექნიკისა», რომ სრულიად ვერ გამიგია, რას უყურებდა ვინტერი? რას უყურებენ ზომერი და სხვები? ბოლოს, ხომ არსებობს კომიტეტის სტამბებიც?!?

როგორც ჩანს, ცენტრალური კომიტეტის წევრებს სრულიად არ ესმით «საჯარო გამოჩინების» ამოცანები. უამისოდ კი არ არის ცენტრი, არ არის პარტია! ისინი მუშაობენ ილაჯგაწყვეტამდე. მაგრამ მუშაობენ, როგორც თხუნელები, სახვედრებში, კრებებზე, აგენტებთან და სხვ. და ა. შ.. ეს პირდაპირ ძალების განიავებაა! თუ ხალხი არა გყავთ, — გააკეთებინეთ ეს მესამეხარისხოვან ძალებს, მეათეხარისხოვან ძალებს, მაგრამ თვითონ აუცილებლად განახორციელეთ პოლიტიკური ხელმძღვანელობა, უწინარეს ყოვლისა გამოუშვით ფურცლები. და უკვე შემდეგ — პირადი გამოსვლა რაიონულ ყრილობებზე (პოლესიეში ყრილობაზე არავინ ყოფილა. სკანდალია. ისინი კინაღამ ჩამოგვშორდნენ!), კონფერენციებზე და ა. შ.. პირდაპირ საჭიროა ცენტრალური კომიტეტის დღიურის მაგვარი, მისი ბიულეტენის მაგვარი რამის გამოცემა, ყოველ სერიოზულ საკითხზე გამოხმაურება ფურცლით კვირაში ორჯერ. მისი გამოცემა კი ძნელი არ არის: ჰექტოგრაფზე დაიბეჭდოს 50 ცალად და დაიგზავნოს, დაიბეჭდოს რომელიმე კომიტეტში, გამოიგზავნოს აქ. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ გამოვ ი დ ე თ და გამოვ დ ი ო დ ე თ აშკარად, აღარ ვიყოთ მუნჯები. თორემ ჩვენც აქ სრულიად მოწყვეტილი ვართ...

დაწერილია ჟენევაში
პირველად დაიბეჭდა 1926 წელს.

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.,
ტ. 34, გვ. 352—354

ს ვ ა ვ ი ი ღ ა ნ

«მესამე ნაბიჯი უკან»

...ბოლოს, განსაკუთრებით გასაოცარია, რომ უმცირესობის «წესდებაში»სრულებით არაფერია ნათქვამი პარტიულ ორგანოებსა და საერთოდ პარტიულ ლიტერატურაზე. ორგანოები არის («ისკრა», «სოციალ-დემოკრატი»[3]) და იქნება, მაგრამ ა რ ა ვ ი თ ა რ კავშირს მათსა და პარტიას შორის კონფერენციის მიერ მიღებული «წესდება» არ აწესებს. გასაოცარი რამ არის, მაგრამ ეს სინამდვილეა. ლიტერატორები პარტიის გარეშე, პარტიის ზევით იმყოფებიან. არავითარი კონტროლი, არავითარი ანგარიში, არავითარი მატერიალური დამოკიდებულება. ეს რაღაც იმის მსგავსია, რაც საფრანგეთის სოციალისტების ოპორტუნიზმის ყველაზე უარეს ხანაში იყო: პარტია თავისთვისაა, ლიტერატორები თავისთვის. ამ თვალსაზრისით, იქნებ, შემთხვევითი არ არის კონფერენციის შემდეგი დადგენილება. რეზოლუცია პ ა რ ტ ი უ ლ ი (?) ლიტერატურის შესახებ: «კონფერენცია საჭიროდ თვლის 1) რომ ორგანიზაციულმა კომისიამ მიიღოს ზომები, რათა პარტიულ ლიტერატორებს მეტი შესაძლებლობა მიეცეთ ლეგალურ პრესაში აწარმოონ ბრძოლა პარტიის თეორიული პრინციპებისათვის». ეს არის მენშევიკური ორგანიზაციის ერთგვარი პროტოტიპი: არაპასუხისმგებელი და «დამოუკიდებელი», შეუნაცვლებელი და შეუცველელი, «პარტიული ლიტერატორების ჯგუფი». ხოლო მათთან არის კომისია, რომელიც ზრუნავს... ლეგალური გამოცემლობისათვის!

ორგანიზაციის ამ ტიპზე ძნელია სერიოზულად ლაპარაკი. რაც უფრო ახლოვდება რევოლუცია, რაც უფრო ახლოვდება «ლეგალურ» პრესაში სოციალ-დემოკრატების აშკარა გამოსვლის შესაძლებლობა, პროლეტარიატის პარტიამ მით უფრო სასტიკად უნდა დაიცვას პარტიის წინაშე «პარტიული ლიტერატორების» აუცილებელი პასუხისმგებლობის, პარტიაზე მათი დამოკიდებულების პრინციპი...

«პროლეტარი» № 6
1905 წ. 3 იელისი (20 ივნისი)

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც., ტ. 8, გვ. 651—652

ნიგნიდან

«სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში»

...«ვპერიოდი» და «პროლეტარი» რევოლუციისა და დიქტატურის ცნებებს ერთმანეთს «შეუნაცვლებენ» ხოლმე. «ისკრას» არა სურს ასეთი «შენაცვლება». სწორედ ასეა, უპატივცემულესო ამხ. მარტინოვ! თქვენ უნებლიეთ დიდი სიმართლე სთქვით. ახალი ფორმულირებით თქვენ დაადასტურეთ ჩვენი დებულება, რომ «ისკრა» კუდში მისჩანჩალებს რევოლუციას, გადადის მისი ამოცანების ოსვობოჟდენიელურ ფორმულირებაზე, ხოლო «ვპერიოდი» და «პროლეტარი» ისეთ ლოზუნგებს იძლევიან, რომლებსაც წინ მიჰყავთ დემოკრატიული რევოლუცია...

III. დიქტატურის ვულგარულ-გურჟუაზიული გამოხატულება და მარქსის შეხედულება დიქტატურაზე

მერინგი თავის შენიშვნებში მარქსის სტატიებისადმი. რომლებიც მან 1848 წლის «ახალი რეინის გაზეთიდან»[38] ამოიღო და გამოსცა, მოგვითხრობს, რომ ბურჟუაზიული ლიტერატურა, სხვათა შორის, ასეთს საყვედურს ეუბნებოდა ამ გაზეთს. «ახალი რეინის გაზეთი» თითქოს მოითხოვდა «დიქტატურის დაუყოვნებლივ შემოღებას, როგორც დემოკრატიის განხორციელების ერთადერთ საშუალებას» (Marx' Nachlass, ტომი III, გვ. 53). ვულგარულ-ბურჟუაზიული თვალსაზრისით, დიქტატურის ცნება და დემოკრატიის ცნება ერთმანეთს გამორიცხავენ. არ ესმით რა კლასთა ბრძოლის თეორია. შეჩვეულია რა პოლიტიკურ ასპარეზზე ბურჟუაზიის სხვადასხვა წრისა და კოტერიის წვრილმანი ' აყალმაყალის დანახვას, ბურჟუას დიქტატურა ეს-

მის როგორც დემოკრატიის ყველა თავისუფლებისა და გარანტიის გაუქმება, ყოველგვარი თვითნებობა, უფლების ყოველგვარი ბოროტად გამოყენება დიქტატორის პიროვნების ინტერესებისათვის. არსებითად, სწორედ ეს ვულგარულ-ბურჟუაზიული თვალსაზრისი გამოსჭვივის ჩვენი მარტინოვის ნაწერებშიც, რომელიც ახალ «ისკრაში» თავისი «ახალი ლაშქრობის» დასასრულს «ეპერიოდისა» და «პროლეტარის» მიდრეკილებას დიქტატურის ლოზუნგისადმი იმით ხსნის, რომ ლენინს «გულით უნდა ბედი სცადოსო» («ისკრა» № 103, გვ. 3, სვ. 2). რათა მარტინოვს განვუმარტოთ კლასის დიქტატურის ცნება პიროვნების დიქტატურის ცნებისაგან განსხვავებით და დემოკრატიული დიქტატურის ამოცანები სოციალისტურისაგან განსხვავებით უსარგებლო არ იქნება შეეჩერდეთ «ახალი რეინის გაზეთის» შეხედულებებზე.

«ყოველგვარი დროებითი სახელმწიფოებრივი წყობილება, — წერდა «ახალი რეინის გაზეთი» 1848 წლის 14 სექტემბერს, — რევოლუციის შემდეგ მოითხოვს დიქტატურას და მასთან ენერგიულ დიქტატურასაც. ჩვენ თავიდანვე ვუსაყვედურებდით კამპჰაუზენს (სამინისტროს მეთაურს 1848 წლის 18 მარტის შემდეგ), რომ იგი არ გამოვიდა დიქტატორულად, რომ მან მაშინვე არ გაანადგურა და არ მოიშორა თავიდან ძველ დაწესებულებათა ნაშთები. და აი იმ დროს, როცა ბ-ნი კამპჰაუზენი თავს ინუგეშებდა კონსტიტუციური ილუზიებით, დამარცხებულმა პარტიამ (ე. ი. რეაქციის პარტიამ) განამტკიცა თავისი პოზიციები ბიუროკრატიასა და არმიაში, და აქა-იქ ის აშკარა ბრძოლასაც კი ბედავდა».

ამ სიტყვებში, — სამართლიანად ამბობს მერინგი, — რამდენიმე დებულებით შეჯამებულია ის, რასაც «ახალი რეინის გაზეთი» ვრცლად ავითარებდა თავის გრძელ სტატიებში კამპჰაუზენის სამინისტროს შესახებ. რას გვეუბნება მარქსის ეს სიტყვები? რომ დროებითი რევოლუციური მთავრობა დიქტატორულად უ ნ დ ა გამოდიოდეს (დებულება, რომლის გაგება ვერასგზით ვერ შესძლო «ისკრამ», რომელიც უფრთხოდა ლოზუნგს: დიქტატურა); — რომ ამ დიქტატურის ამოცანაა ძველ დაწესებულებათა ნაშთების მოსპობა (სწორედ ის, რაც ნათლადაა აღნიშნული რსდმპ III ყრილობის რეზოლუციაში კონტრრევოლუციასთან ბრძოლის შესახებ, და რაც გამოტოვებულია კონფერენციის რეზოლუციაში, როგორც ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ). ბოლოს, მესამე, ამ სიტყვებიდან გამომდინარეობს, რომ მარქსი ამათრახებდა ბურჟუაზიულ დემოკრატებს «კონსტიტუციური ილუზიებისათვის» რევოლუციისა და აშკარა სამოქალაქო ომის ეპოქაში. თუ როგორია ამ სიტყვების აზრი, განსა-

კუთრებით ნათლად ჩანს «ახალი რეინის გაზეთის» სტატიიდან 1848 წლის 6 ივნისის თარიღით. «დამფუძნებელი სახალხო კრება, — წერდა მარქსი, — უწინარეს ყოვლისა აქტიური, რევოლუციურად აქტიური კრება უნდა იყოს. ფრანკფურტის კრება კი პარლამენტარიზმის სასკოლო ვარჯიშობითაა გართული და მთავრობისათვის მიუნდვია იმოქმედოს. ვთქვათ, რომ ამ მეცნიერულმა კრებამ საღი მსჯელობის შემდეგ შესძლო საუკეთესო დღის წესრიგისა და საუკეთესო კონსტიტუციის შემუშავება. მერე რა გამოვა ამ საუკეთესო დღის წესრიგიდან და საუკეთესო კონსტიტუციიდან, თუ გერმანიის მთავრობებმა ამ დროს უკვე ხიშტი დააყენეს დღის წესრიგში?».

აი როგორია აზრი ლოზუნგისა: დიქტატურა. აქედან შეიძლება დავინახოთ, თუ როგორ მოექცეოდა მარქსი იმ რეზოლუციებს, რომლებიც «დამფუძნებელი კრების მოწყობის გადაწყვეტილებას» უწოდებენ გადამწყვეტ გამარჯვებას ანდა მოუწოდებენ — «დავრჩეთ უკიდურესი რევოლუციური ოპოზიციის პარტიადაო»!

დიდ საკითხებს ხალხთა ცხოვრებაში მხოლოდ ძალა წყვეტს. ჩვეულებრივ თვით რეაქციული კლასები პირველნი მიმართავენ ძალადობას, სამოქალაქო ომს, «დღის წესრიგში აყენებენ ხიშტს», როგორც ეს ჩაიდინა რუსეთის თვითმპყრობელობამ და განაგრძობს ამას სისტემატურად და ურყევად, ყველგან და ყოველთვის, დაწყებული 9 იანვრიდან. ხოლო რაკი ასეთი მდგომარეობა შეიქმნა, რაკი ხიშტი მართლაც დადგა პოლიტიკური დღის წესრიგის პირველ რიგში, რაკი აჯანყება აუცილებელი და გადაუდებელი აღმოჩნდა, — მაშინ კონსტიტუციური ილუზიები და პარლამენტარიზმის სასკოლო ვარჯიშობანი მხოლოდ რევოლუციის ბურჟუაზიული გამცემლობის საფარველად ხდებიან, იმის საფარველად, თუ როგორ «შორდება» ბურჟუაზია რევოლუციას, ნამდვილმა რევოლუციურმა კლასმა მაშინ უნდა წამოაყენოს სწორედ დიქტატურის ლოზუნგი.

ამ დიქტატურის ამოცანების საკითხზე მარქსი ჯერ კიდევ «ახალ რეინის გაზეთში» წერდა: «ეროვნული კრება დიქტატორულად უნდა გამოსულიყო დრომოჭმულ მთავრობათა რეაქციული ზრახვების წინააღმდეგ, და მაშინ ის ხალხის თვალში ისეთ ძალას მოიპოვებდა, რომელზედაც ყველა ხიშტი დაიმტვრეოდა... ეს კრება კი გერმანიის ხალხს ღლის მოსაწყენი სიტყვებით ნაცვლად იმისა, რომ გაიტაცოს იგი ან გატაცებულ იქნას მის მიერ». ეროვნულ კრებას, მარქსის აზრით, «გერმანიის ფაქტიურად არსებული წყობილებიდან უნდა გაედევნა ყველაფერი, რაც ეწინააღმდეგებოდა ხალხის თვითმპყრობელობის პრინციპს», შემდეგ «განემტკიცებინა ის რევოლუციუ-

რი ნიადაგი, რომელსაც იგი ეყრდნობა, უვნებელეყო რევოლუციის მიერ მოპოვებული თვითმპყრობელობა ხალხისა ყოველგვარი თავდასხმისაგან».

მაშასადამე, თავისი მინაარსით, ის ამოცანები, რომლებსაც უყენებდა მარქსი 1848 წელს რევოლუციურ მთავრობას ან დიქტატურას, უწინარეს ყოვლისა დემოკრატიული გადატრიალება იყო: კონტრრევოლუციისაგან თავდაცვა და ფაქტიურად მოცილება ყოველივე იმისა, რაც ხალხის თვითმპყრობელობას ეწინააღმდეგებოდა. ეს არის სწორედ რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურა და სხვა არაფერი.

გავყვეთ ქვემოთ: რომელ კლასებს შეეძლოთ და უნდა განეხორციელებინათ, მარქსის აზრით, ეს ამოცანა (საქმით ხალხის თვითმპყრობელობის პრინციპის ბოლომდე გატარება და კონტრრევოლუციის იერიშების მოგერიება?). მარქსი ლაპარაკობს «ხალხზე». მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ის ყოველთვის დაუნდობლად იბრძოდა «ხალხის» ერთიანობის წვრილბურჟუაზიული ილუზიების, ხალხში კლასობრივი ბრძოლის არარსებობის ილუზიების წინააღმდეგ. როცა მარქსი ხმარობდა სიტყვას: «ხალხი», ის ამ სიტყვით კლასთა სხვადასხვაობას კი არ ჩქმალავდა, არამედ აერთიანებდა გარკვეულ ელემენტებს, რომლებსაც ძალუძთ რევოლუციის ბოლომდე მიყვანა.

18 მარტს ბერლინის პროლეტარიატის გამარჯვების შემდეგ, — წერდა «ახალი რეინის გაზეთი» — რევოლუციის შედეგები ორგვარი აღმოჩნდა: «ერთი მხრივ, სახალხო შეიარაღება, კავშირების უფლება, ფაქტიურად მოპოვებული ხალხის თვითმპყრობელობა; მეორე მხრივ, მონარქიის შენარჩუნება და კაპიტალ-ჰანზემანის სამინისტრო, ე. ი. მსხვილი ბურჟუაზიის წარმომადგენელთა მთავრობა. ამგვარად, რევოლუციას ჰქონდა ორგვარი შედეგები, რომელთაც გარდუვალად უნდა გამოეწვიათ გათიშვა. ხალხმა გაიმარჯვა; მან მოიპოვა ამკარა დემოკრატიული ხასიათის თავისუფლებანი, მაგრამ უშუალო ბატონობა გადავიდა არა მის ხელში, არამედ მსხვილი ბურჟუაზიის ხელში. ერთი სიტყვით, რევოლუცია ბოლომდე არ ყოფილა მიყვანილი. ხალხმა მსხვილი ბურჟუაზიის წარმომადგენლებს მიანება სამინისტროს შედგენა, ხოლო მსხვილი ბურჟუაზიის ამ წარმომადგენლებმა თავიანთი მისწრაფებანი მაშინვე იმით დაამტკიცეს, რომ კავშირი შესთავაზეს ძველ პრუსიელ თავადაზნაურობასა და ბიუროკრატიას. სამინისტროში შევიდნენ არნიმი, კანიტცი და შვერინი,

მსხვილმა ბურჟუაზიამ, თავიდანვე ანტირევოლუციურმა, თავდაცვითი და თავდასხმითი

კავშირი შეკრა რეაქციასთან ხალხის, ესეიგი მუშებისა და დემოკრატიული ბურჟუაზიის შიშით». (ხაზგასმა ჩვენია).

ამრიგად, არამცთუ «დამფუძნებელი კრების მოწყობის გადაწყვეტილება» არ კმარა რევოლუციის გადამწყვეტი გამარჯვებისათვის, არამედ მისი ნამდვილი მოწვევაც კი! შეიარაღებულ ბრძოლაში ნაწილობრივი გამარჯვების შემდეგაც კი (ბერლინის მუშების გამარჯვება ჯარზე 1848 წლის 18 მარტს) შესაძლებელი არის «დაუმთავრებელი», «ბოლომდე მიუყვანელი» რევოლუცია. რაზეა დამოკიდებული მისი ბოლომდე მიყვანა? იმაზე, თუ ვის ხელში გადადის უშუალო ბატონობა: პეტრუნკევიჩებისა და როდიჩევების, ე. ი. კამპპაუზენებისა და ჰანზემანების ხელში თუ ხალხის, ე. ი. მუშებისა და დემოკრატიული ბურჟუაზიის ხელში. პირველ შემთხვევაში ბურჟუაზიას ექნება ძალაუფლება, ხოლო პროლეტარიატს —კრიტიკის თავისუფლება», «უკიდურესი რევოლუციური ოპოზიციის პარტიად დარჩენის» თავისუფლება. ბურჟუაზია გამარჯვებისთანავე შეკრავს კავშირს რეაქციასთან (ეს გარდუვალად მოხდებოდა რუსეთშიც, რომ მაგალითად, პეტერბურგის მუშებს მხოლოდ ნაწილობრივი გამარჯვება მოეპოვებინათ ჯართან ქუჩის ბრძოლაში და მთავრობის შედგენა მიენდოთ ბ-ნ პეტრუნკევიჩებისა და კომპანიისათვის). მეორე შემთხვევაში შესაძლებელი იქნებოდა რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურა, ე. ი. რევოლუციის სრული გამარჯვება.

დაგვრჩენია უფრო ზუსტად განვსაზღვროთ, სახელდობრ როგორ ესმოდა მარქსს «დემოკრატიული ბურჟუაზია» (demokratische Bürgerschaft), რომელსაც მუშებთან ერთად ის უწოდებდა ხალხს მსხვილი ბურჟუაზიისაგან განსხვავებით?

ამ კითხვაზე გარკვეულ პასუხს იძლევა 1848 წლის 29 ივლისის «ახალი რეინის გაზეთის» სტატიის შემდეგი ადგილი: «...გერმანიის 1848 წლის რევოლუცია საფრანგეთის 1789 წლის რევოლუციის მხოლოდ პაროდიას წარმოადგენს.

1789 წლის 4 აგვისტოს, ბასტილიის აღებიდან სამი კვირის შემდეგ, საფრანგეთის ხალხმა ერთ დღეში დასძლია ყველა ფეოდალური ბეგარა.

1848 წლის 11 ივლისს, მარტის ბარიკადების ოთხი თვის შემ-

დეგ, ფეოდალურმა ბეგარებმა დასძლიეს გერმანიის ხალხი Teste Gierke cum Hansemanno*.

საფრანგეთის 1789 წლის ბურჟუაზია ერთი წუთითაც არ სტოვებდა თავის მოკავშირეებს, გლეხებს. მან იცოდა, რომ მისი ბატონობის საფუძველს წარმოადგენდა ფეოდალიზმის მოსპობა სოფლად, თავისუფალ მიწათმფლობელ (grundbesitzenden) გლეხთა კლასის შექმნა.

გერმანიის 1848 წლის ბურჟუაზია ყოველად უსინდისოდ ღალატობს გლეხებს, თავის ყველაზე ბუნებრივ მოკავშირეებს, რომლებიც მის სისხლს სისხლთაგანს წარმოადგენენ და რომელთა დაუხმარებლადაც ის უძლურია თავადაზნაურობის წინააღმდეგ.

ფეოდალურ უფლებათა შენარჩუნება, მათი სანქციონირება (ილუზორული) გამოსყიდვის სახით — ასეთია გერმანიის 1848 წლის რევოლუციის შედეგი. აქლემმა რწყილი შობა».

ეს მეტად საგულისხმო ადგილია, რაც გვაძლევს ოთხ მნიშვნელოვან დებულებას: 1) გერმანიის დაუმთავრებელი რევოლუცია საფრანგეთის დამთავრებული რევოლუციისაგან იმით განსხვავდება. რომ ბურჟუაზიამ უღალატა არა მარტო დემოკრატიზმს საერთოდ, არამედ კერძოდ გლეხობასაც. 2) დემოკრატიული გადატრიალების სრული განხორციელების საფუძველს წარმოადგენს გლეხობის თავისუფალი კლასის შექმნა. 3) ასეთი კლასის შექმნა — ეს არის ფეოდალურ ბეგარათა მოსპობა, ფეოდალიზმის დანგრევა. ჯერ კიდევ სრულებითაც არა სოციალისტური გადატრიალება. 4) გლეხები — ბურჟუაზიის «ყველაზე ბუნებრივი» მოკავშირეები არიან, სახელდობრ დემოკრატიული ბურჟუაზიისა, რომელიც უგლეხებოდ «უძლურია» რეაქციის წინააღმდეგ.

კონკრეტულ ნაციონალურ თავისებურებათა სათანადო ცვლილებით, ფეოდალიზმის ადგილას ბატონყმობის დაყენებით, ყველა ეს დებულება მთლიანად მიუდგება 1905 წლის რუსეთსაც. უეჭველია, რომ გერმანიის გამოცდილებიდან აღებულ გაკვეთილებს თუ გამოვიყენებთ, გამოცდილებიდან, რომელიც გაშუქებულია მა-

* «მოწშენი: ბ-ნი გირკე ბ-ნ ჰანზემანთან ერთად». ჰანზემანი — მსხვილი ბურჟუაზიის პარტიის მინისტრი (რუსულად: ტრუბეცკოი ან როდიჩევი და სხვ.). გირკე — მიწათმოქმედების მინისტრი ჰანზემანის სამინისტროში; გირკემ შეიმუშავა პროექტი, «გაბედული» პროექტი «ფეოდალურ ბეგარათა» ვითომ «უსასყიდლოდ მოსპობის», სინამდვილეში კი წვრილი და უმნიშვნელო ბეგარების მოსპობისა, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი ბეგარების შენარჩუნების ან გამოსყიდვის პროექტი. ბ-ნი გირკე მოგვაგონებს რუს ბ-ნთ კაბლუკოვებს, მანუილოვებს, გერცენშტეინებსა და მათ მსგავს ბურჟუაზიულ-ლიბერალურ შეგობრებს გლეხისას, შეგობრებს, რომელთაც სურთ «გლეხური მიწათმფლობელობის გაფართოება», მაგრამ მემამულეების წყენინება არა სურთ.

რქსის მიერ, ჩვენ ვერ მივალთ რევოლუციის გადამწყვეტი გამარ-ჯვების ვერავითარ სხვა ლოზუნგამდე. გარდა: პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურისა. უეჭ-ველია, რომ იმ «ხალხის» მთავარ შემადგენელ ნაწილებს, რომელსაც მარქსი 1848 წელს წინააღმდეგობის გამწევ რეაქციასა და მოღა-ლატე ბურჟუაზიას უპირისპირებდა, წარმოადგენენ პროლეტარიატი და გლეხობა. უეჭველია, რომ ჩვენშიც, რუსეთშიც, ლიბერალური ბურჟუაზია და ბატონი ოსვობოჟდენიელები ღალატობენ და უღალა-ტებენ გლეხობას, ე. ი. დაკმაყოფილდებიან ცრურეფორმით, დადგე-ბიან მემამულეთა მხარეზე გადამწყვეტ ბრძოლაში მათსა და გლეხო-ბას შორის. მხოლოდ პროლეტარიატს შეუძლია გლეხობისათვის ბო-ლომდე მხარისდაჭერა ამ ბრძოლაში. ბოლოს, უეჭველია, რომ ჩვენ-შიც, რუსეთშიც, გლეხობის ბრძოლის წარმატებას, ე. ი. გლეხო-ბის ხელში მთელი მიწის გადასვლას, სრული დემოკრატიული გა-დატრიალების მნიშვნელობა ექნება, ის იქნება ბოლომდე მიყვანილი რევოლუციის სოციალური დასაყრდენი, მაგრამ სრულებითაც არა სოციალისტური გადატრიალება და არა «სოციალიზაცია», რაზედაც ლაპარაკობენ წვრილი ბურჟუაზიის იდეოლოგები, სოციალისტ-რე-ვოლუციონერები. გლეხთა აჯანყების წარმატება, დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვება მხოლოდ გზას გაუკაფავს სოციალიზმისა-თვის ნამდვილ და გადამწყვეტ ბრძოლას დემოკრატიული რესპუბ-ლიკის ნიადაგზე. გლეხობა, როგორც მიწათმფლობელი კლასი, ამ ბრძოლაში იმავე გამცემლურ, მერყევ როლს შეასრულებს, როგორ-საც ამჟამად ბურჟუაზია ასრულებს დემოკრატიისათვის ბრძოლაში. ამის დავიწყება სოციალიზმის დავიწყება იქნებოდა, თავის თავისა და სხვების მოტყუება პროლეტარიატის ნამდვილი ინტერესებისა და ამოცანების შესახებ.

რომ ხარვეზი არ დაგვრჩეს მარქსის 1848 წლის შეხედულებათა გადმოცემაში, საჭიროა აღვნიშნოთ გერმანიის მაშინდელი სოციალ-დემოკრატიის (ანუ პროლეტარიატის კომუნისტური პარტიის, მაშინ-დელი ენით თუ ვიტყვით) ერთი არსებითი განსხვავება რუსეთის თანამედროვე სოციალ-დემოკრატიისაგან. მივცეთ სიტყვა მერინგს:

««ახალი რეინის გაზეთი» პოლიტიკურ ასპარეზზე გამოვიდა, რო-გორც «დემოკრატიის ორგანო». არ შეიძლება არ შევამჩნიოთ ის წითელი ზოლი, რომელიც ყველა მის სტატიაშია გატარებული. მაგრამ, უშუალოდ, იგი უფრო ბურჟუაზიული რევოლუციის ინტე-რესებს იცავდა აბსოლუტიზმისა და ფეოდალიზმის წინააღმდეგ, ვიდრე პროლეტარიატის ინტერესებს ბურჟუაზიის ინტერესების წი-

ნაალმდეგ. მის ფურცლებზე ცოტა მასალას იპოვით ცალკე მუშათა მოძრაობაზე რევოლუციის დროს, თუმცა არ უნდა დავივიწყოთ, რომ მასთან ერთად კვირაში ორჯერ, მოლისა და შაპერის რედაქციით, გამოდიოდა კელნის მუშათა კავშირის[39] ცალკე ორგანო. ყოველ შემთხვევაში თანამედროვე მკითხველს თვალში ხვდება, თუ რა ცოტა ყურადღებას აქცევდა «ახალი რეინის გაზეთი» გერმანიის მაშინდელ მუშათა მოძრაობას, თუმცა მისი ყველაზე ნიჭიერი მოღვაწე, სტეფან ბორნი, მარქსთან და ენგელსთან სწავლობდა პარიზსა და ბრიუსელში და 1848 წელს მათს გაზეთში კორესპონდენტობდა ბერლინიდან. ბორნი თავის «მოგონებებში» მოგვითხრობს, რომ მარქსსა და ენგელსს არასდროს არც ერთი სიტყვით არ გამოუთქვამთ უკმაყოფილება ჩემი მუშათა აგიტაციის გამოო. მაგრამ ენგელსის მერმინდელი განცხადებანი სარწმუნოდ ხდიან იმ ვარაუდს, რომ ისინი უკმაყოფილონი იყვნენ, ყოველ შემთხვევაში, ამ აგიტაციის ხერხების გამო. მათი უკმაყოფილება საფუძვლიანი იყო იმდენად, რამდენადაც ბორნი იძულებული იყო მრავალი დათმობა გაეკეთებინა გერმანიის უდიდეს ნაწილში ჯერ კიდევ სავსებით განუვითარებელი პროლეტარიატის კლასობრივი შეგნების მიმართ, — დათმობანი, რომლებიც «კომუნისტური მანიფესტის» თვალსაზრისით კრიტიკას ვერ ეძლებდნენ. მათი უკმაყოფილება უსაფუძვლო იყო იმდენად, რამდენადაც ბორნი მაინც ახერხებდა თავისი ხელმძღვანელობით წარმოებული აგიტაციის დაყენებას შედარებით მნიშვნელოვან სიმაღლეზე... უეჭველია, მარქსი და ენგელსი ისტორიულად და პოლიტიკურად მართალი იყვნენ, როცა მუშათა კლასის ყველაზე უმნიშვნელოვანეს ინტერესს ხედავდნენ უწინარეს ყოვლისა ბურჟუაზიული რევოლუციის რაც შეიძლება მეტად წინ წაწევაში... მიუხედავად ამისა, იმის საუცხოოდ დამტკიცებას, თუ როგორ შეუძლია მუშათა მოძრაობის ელემენტარულ ინსტიქტს გამოასწოროს უაღრესად გენიალურ მოაზროვნეთა კონცეფციები, წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ისინი 1849 წლის აპრილში მომხრე იყვნენ სპეციფიკური მუშათა ორგანიზაციის დაარსებისა და მათ კიდევაც გადაწყვიტეს მონაწილეობა მიეღოთ მუშათა ყრილობაში, რომელსაც განსაკუთრებით ამზადებდა ოსტ-ელბის (აღმოსავლეთი პრუსია) პროლეტარიატი».

ამრიგად, მხოლოდ 1849 წლის აპრილში, რევოლუციური გაზეთის გამოცემის თითქმის ერთი წლის შემდეგ («ახალი რეინის გაზეთის» გამოცემა დაიწყო 1848 წლის 1 ივნისს), მარქსმა და ენგელსმა მხარი დაუჭირეს მუშათა ცალკე ორგანიზაციის დაარსებას! მანამდე ისინი უძღვებოდნენ მხოლოდ «დემოკრატიის ორგანოს»,

რომელიც არავითარ ორგანიზაციულ კავშირში არ იყო დამოუკიდებელ მუშათა პარტიასთან! ეს ფაქტი, — საოცარი და წარმოუდგენელი ჩვენი თანამედროვე თვალსაზრისით, — ცხადად გვიჩვენებს, რა უდიდესი განსხვავება არსებობდა მაშინდელი გერმანიისა და ახლანდელი რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას შორის. ეს ფაქტი გვიჩვენებს, რამდენად ნაკლებად აშკარავდებოდა გერმანიის დემოკრატიულ რევოლუციაში (გერმანიის ჩამორჩენილობის გამო 1848 წელს ეკონომიურადაც და პოლიტიკურადაც — სახელმწიფოებრივი დაქსაქსულობა) მოძრაობის პროლეტარული ნიშნები, მისი პროლეტარული ნაკადი. ეს არ უნდა დავივიწყოთ, როდესაც შეფასებას ვაძლევთ მარქსის, ამ და ცოტა უფრო გვიანდელი ეპოქის, მრავალგზის განცხადებებს პროლეტარიატის პარტიის დამოუკიდებელი ორგანიზაციის საჭიროების შესახებ. მარქსმა მხოლოდ დემოკრატიული რევოლუციის გამოცდილებიდან, თითქმის ერთი წლის შემდეგ, გამოიყვანა პრაქტიკულად ეს დასკვნა: იმდენად ფილისტერული, წვრილბურჟუაზიული იყო მაშინ მთელი ატმოსფერო გერმანიაში. ჩვენთვის ეს დასკვნა უკვე დიდი ხნის და მტკიცე ფონაპოვარია საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის ნახევარსაუკუნოვანი გამოცდილებისა, — მონაპოვარი, რომლითაც ჩვენ დ ა ვ ი წ ყ ე თ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ორგანიზაცია. ჩვენში ლაპარაკიც კი შეუძლებელია, მაგალითად, იმაზე, რომ პროლეტარიატის რევოლუციური გაზეთები პროლეტარიატის სოც.-დემ. პარტიის გარეშე იდგნენ, რომ მათ შეეძლოთ თუნდაც ერთი წუთით გამოვიდნენ მხოლოდ როგორც «დემოკრატიის ორგანოები»...

დაწერილია 1905 წლის ივნის-ივლისში
პირველად დაიბეჭდა ცალკე ბროშურად ჟენევაში 1905 წლის ივლისში

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც., ტ. 9, გვ. 140—141, 149—159

ბრაზიანი უძლურება

«ისკრის» 104-ე ნომერში მოთავსებული შენიშვნა ჩვენი ფელეტონის გამო: «მესამე ნაბიჯი უკან» («პროლეტარი» № 6). ჩვენ იქ სრულიად დამშვიდებით ვამბობდით, რომ ახალისკრელები პარტიის სახელით სარგებლობდნენ სტამბით, საწყობითა და ფულით, ხოლო პარტიული ქონების ჩაბარებას მათ თავი აარიდეს. თუ რა მდგომარეობამდე მიიყვანა «ისკრა» გაგულისებამ ამ განცხადების გამო, ეს ჩანს ბუნდის დაუვიწყარი «სიბილწის» მსგავსი გამოთქმებიდან. «ისკრა» თავაზიანად გვიწოდებს «ძენძის ბინძურ ცოცხს», «ცილისმწამებელ ლაჩრებს» და სხვ. და სხვ... სწორედ ისევ, როგორც ოდესღაც ენგელსი ახასიათებდა ერთი ჟურის ემიგრანტთა პოლემიკას: «ყოველი სიტყვა — ღამის ჭურჭელია, და მასთან არცთუ ცარიელი» (Jedes Wort — ein Nachttopf und kein leerer) ჩვენ, რა თქმა უნდა, არ დაგვიწყნია ფრანგული ნაკვესი: ლანძღვა იმის საბუთია, ვისაც არგუმენტები არ მოეპოვება. ჩვენ ახლაც წინადადებას მივცემთ მიუდგომელ მკითხველებს გულდამშვიდებით ასწონ-დასწონონ, თუ რის გამოა ეს აურზაური. ახალისკრელებმა არ უპასუხეს წერილზე ც. კ-ს, რომელმაც III ყრილობის შემდეგ წინადადება მისცა მათ ჩაებარებინათ პარტიული ქონება. ისინი არ სცნობენ III ყრილობას, არ სცნობენ ც. კ-ის შემობრუნებას ბოლშევიკებისაკენ. დაე ასე იყოს მაგრამ ამ არცნობიდან მხოლოდ ის გამომდინარეობს, რომ ახალისკრელებს მართებდათ, მათი თვალსაზრისით, ჩაებარებინათ არა ყველაფერი, არამედ პარტიული ქონების განსაზღვრული ნაწილი. ეს იმდენად ნათელია, რომ «ისკრა» ახლა თვითონ ლაპარაკობს თავის შენიშვნაში «მთელი პარტიული ქონების გაყოფის შესაძლებლობაზე». თუ ეს ასეა, ჩვენო ძვირფასო მოწინააღმდეგენო, მაშ რატომაც არ უნდა გასცეთ სათანადო პასუხი ცენტრალური კომიტეტის წერილზე? თორემ, მიუხედავად თქვენი სიტყვების მთელი ენერგიისა, ხომ უეჭველი რჩება ის ფაქტი, რომ უმრავ-

ლესობა ყველაფერში საჯარო ანგარიშს იძლევა III ყრილობის ოქმების გამოცემით, თქვენ კი არავის არავითარ ანგარიშს არ აძლევთ თქვენს მიერ პარტიული ქონების მოხმარების შესახებ, არავითარ ოქმებს არ სცემთ და მხოლოდ ილანძღებით. აბა გულდამშვიდებული ჩაუფიქრდით, თუ რა შთაბეჭდილება უნდა მიიღოს დაფიქრების უნარის მქონე საზოგადოებამ ასეთი საქციელისაგან!

შემდეგ. «ისკრას» არ მოსწონს ც. კ-ის შემობრუნება ყრილობის სასარგებლოდ. ეს ბუნებრივია, მაგრამ ეს ხომ მისი პირველი შემობრუნება არ არის. ერთი წლის წინათ 1904 წლის აგვისტოში, ც. კ. უმცირესობისაკენ შებრუნდა. ერთი წლის წინათ ჩვენ პრესაში საჯაროდ განვაცხადეთ, არ ვცნობთ ცენტრალური კომიტეტის მოქმედების კანონიერებასო. იბადება კითხვა, როგორ მოვიქეცით ჩვენ მაშინ პარტიული ქონების მიმართ? ჩ ვ ე ნ ს ტ ა მ ბ ა ც საწ ყ ო ბ ი ც დ ა ს ა ლ ა რ ო ც მ ე ნ შ ე ვ ი კ ე ბ ს გ ა დ ა ვ ე ც ი თ. «ისკრას» შეუძლია რამდენიც სურს გვლანძღოს, მაგრამ ეს ფაქტი ფაქტად რჩება. ჩვენ ანგარიში მივეცით და ქონება ჩავაბარეთ ჩვენს მოწინააღმდეგეებს, რადგან გვსურდა პარტიული საშუალებებით ბრძოლა და მოვითხოვდით ყრილობის მოწვევას. ჩვენი მოწინააღმდეგენი ყრილობას დაემალნენ და არავისთვის არავითარი ანგარიში არ ჩაუბარებიათ (გარდა თავიანთი საკუთარი მოძხრეებისა, იმათაც არა საჯაროდ, რადგან, ჯერ-ერთი, არ არის «კონფერენციის» ოქმები, ხოლო მეორე, ცნობილი არ არის არც მისი დღის წესრიგი, არც მისი ძალაუფლების ფარგლები, ე. ი. იმის ფარგლები, თუ რამდენად სავალდებულოა მისი გადაწყვეტილებანი თვითონ მენშევიკებისათვის).

ჩვენი შინაპარტიული ბრძოლა გათიშვით დამთავრდა; ახლა არის მხოლოდ ბრძოლა ერთი პარტიისა მეორესთან, რომელიც ორგანიზაცია-პროცესის მდგომარეობაში იმყოფება. და აი ახლა, ყველა, ვინც საერთოდ თვალს გადაავლებს ბრძოლის ისტორიას გათიშვამდე (რა თქმა უნდა, იმათგან, ვინც თავისი პარტიის ისტორიას დოკუმენტების მიხედვით სწავლობს და ზღაპრებს არ აჯერდება, როგორც ამას მრავალი რუსეთიდან ჩამოსული სჩადის) — ნათლად დაინახავს ბრძოლის საერთო ხასიათს, უმრავლესობამ, რომელსაც «ფორმალიზმს», «ბიუროკრატიზმს» და სხვა ამისთანას აბრალებენ, თავის მოწინააღმდეგეებს მისცა ყ ვ ე ლ ა ფორმალური პრეროგატივი, ყველა ბიუროკრატიული დაწესებულება: ჯერ ც. ო-ს რედაქცია, შემდეგ პარტიის საბჭო, ბოლოს ცენტრალური კომიტე-

ტიც, არ აძლევდნენ და არ მიუციათ მხოლოდ ყრილობა. და ისე გამოვიდა, რომ ბოლშევიკებმა აღადგინეს პარტია (ან შექმნეს თავისთვის საკუთარი პარტია, როგორც ფიქრობენ, ცხადია, ახალისკრელები), მთლიანად პარტიულ მუშაკთა ნებაყოფლობითს თანხმობაზე დააფუძნეს ყ ვ ე ლ ა თავიანთი დაწესებულება, — ჯერ უმრავლესობის კომიტეტთა ბიურო, შემდეგ «ვპერიოდი», ბოლოს, III პარტიული ყრილობა. პირიქით. ჩვენი ოპონენტები სწორედ ამ, მათთვის სამოწყალოდ ნაჩუქარ, ფორმალურ პრეროგატივებსა და ბიუროკრატიულ დაწესებულებებს ჩასჭიდებიან! მართლაცდა, ერთი შეხედეთ: განა მათ «ც. ო-ს რედაქცია» ლენინმა და პლეხანოვმა არ არუქეს? როდესაც თავის თავს «პარტიის ც. ო-ს» უწოდებს. «პროლეტარი» ეყრდნობა III ყრილობის გადაწყვეტილებებს. რომელთაც მენშევიკები არ სცნობენ, მაგრამ რომელთაც ნათლად, ზუსტად და გარკვევით სცნობს პარტიის უმრავლესობა, რომლის შემადგენლობა ყველასთვის ცნობილია. «ისკრა» კი როდესაც იგი თავის თავს «პარტიის ც. ო-ს» უწოდებს, ეყრდნობა II ყრილობის გადაწყვეტილებებს, რომელთაც ახლა არც ბოლშევიკები (ჩვენ ისინი III ყრილობის გადაწყვეტილებებით შევცვალეთ) და ა რ ც მ ე ნ შ ე ვ ი კ ე ბ ი აღარ სცნობენ!! აი რა არის თავიდათავი! მენშევიკების კონფერენციამ ხომ თვითონვე გააუქმა II ყრილობის წესდება. ახალისკრელები ა ხ ლ ა ხომ მათი საკუთარი მომხრეების მიერ გაუქმებულ ს ა თ ა უ რ ე ბ ს ე ბ ღ ა უ ქ ე ბ ი ა ნ!

თვით პლეხანოვმა, რომელიც პრინციპულად ვერასოდეს ვერ ახერხებდა ახალისკრელებთან სავსებით შეთანხმებას, მაგრამ რომელიც დაუსრულებელ პირად დათმობებზე მიდიოდა მათ მიმართ, რომელიც ძალიან თავს ესხმოდა ბოლშევიკებს და რომელსაც ამისთვის მუდამ თაყვანს სცემდნენ და სცემენ ახალისკრელები, — თვით მანაც კი განაცხადა, რომ კონფერენციამ სასიკვდილო ლახვარი ჩასცა ცენტრალურ დაწესებულებებსაო და ამჯობინა განყრა მტვერისა ფეხთაგან თვისთა. ახალისკრელები კი კვლავ «ც. ო-ს» უწოდებენ თავიანთ თავს და ლანძღვა-გინებით ამკობენ იმათ, ვინც მათ მუუთითებს მთელი მათი პარტიული პოზიციის არათუ უმართებულობას, არამედ აბსოლუტურ ურიგობასაც. ლანძღვა, რის გამოც ჩამოვაგდეთ მთელი ეს ლაპარაკი, ამ ურიგობის ბუნდოვანი შეგნების სწორედ ფსიქოლოგიურად აუცილებელი შედეგია. მოგაგონებთ, რომ ბ-ნი სტრუვეც კი, რომელსაც მრავალჯერ გამოუთქვამს თავისი პ რ ი ნ ც ი პ უ ლ ი სიმპათიები ტროცკისადმიც, სტაროვერისადმიც, აკიმოვისა და მარტინოვისადმიც, საზოგადოდ ახალისკ-

რელობისა და კერძოდ მათი კონფერენციის ტენდენციებისადმიც, თავის დროზე იძულებული იყო ეღიარებინა, რომ მათი პოზიცია არცთუ სავსებით თავაზიანია ანუ, უფრო სწორად რომ ვთქვათ, სრულიად მოკლებულია თავაზიანობასაო (იხ. «ოსვობოჟდენიე» № 57).

ჩვენ მშვენივრად ვიცით, რომ სოციალ-დემოკრატების, განსაკუთრებით მუშების, ფართო წრეები საშინლად უკმაყოფილონი არიან გათიშვით (ვინ შეიძლება ამის კმაყოფილი იყოს?) და მზადაც არიან «სადაც გნებავთ» იქ ეძიონ მისგან გამოსავალი. ჩვენ სავსებით გვესმის და უცილობლად პატივს ვცემთ ამ გუნებაგანწყობილებას, მაგრამ ჩვენ ყველასა და თვითეულს ვაფრთხილებთ: მარტოოდენ გუნებაგანწყობილება არ კმარა. ფორმულა «სადაც გნებავთ» არაფრად ვარგა, რადგან მასში არ არის მთავარი: გათიშვის შეწყვეტის საშუალებათა გაგება. ვერავითარი მწარე სიტყვა, ვერავითარი ცდა რაღაც «მესამის» შექმნისა, არც ბოლშევიკურისა და არც მენშევიკურის, — საქმეს ვერ უშველის, არამედ უფრო მეტად დახლართავს მას. ეს ფაქტიურად, ორი წლის გამოცდილებით, დაამტკიცა ისეთი ძლიერი პიროვნების მაგალითმა, როგორიცაა პლეხანოვი. დაე გერმანელმა სოციალ-დემოკრატებმა, რომელნიც, კ. კაუტსკის მსგავსად, ჩვენს გათიშვას მეტწილად ცალმხრივი ნაამბობით იცნობენ, თავი აირიდონ მწარე სიტყვებით. მათ კიდევ ეპატიებათ მათი უცოდინარობა — თუმცა შეუწყნარებელია, რა თქმა უნდა, მათი პრეტენზიები იმსჯელონ იმაზე, რაც არ იციან. რუსეთის სოციალ-დემოკრატებმა, ბოლოს და ბოლოს, უნდა ისწავლონ იმ ადამიანთა უღირსად მიჩნევა, რომელთაც შეუძლიათ მწარე სიტყვებით თავის დაძვრენა, რომელნიც აქეთ-იქით ეხეთქებიან, ლაყბობენ «მშვიდობაზე» და უძლურნი არიან თუნდაც ცოტა რეალური რამ გააკეთონ მშვიდობის გულისათვის. პარტიის მშვიდობისა და ერთიანობის რეალურ გზას წარმოადგენს არა ნაჩქარევი შეთანხმებები, რაც ახალ კონფლიქტებს იწვევს და რასაც ახალი და უარესი არევ-დარევა შეაქვს საქმეში, არამედ ორივე ნაწილის ტაქტიკურ და ორგანიზაციულ ტენდენციათა სრული გამორკვევა საქმით. ამ მხრივ ჩვენ მეტისმეტად კმაყოფილი ვართ ახალისკრელთა კონფერენციისა. მან გვიჩვენა ახალისკრელობის სამუდამო რღვევა, რევოლუცია ამსხვრევს მათს ტაქტიკურ მაჩანჩალობას. მათი «ორგანიზაცია-პროცესი» ყველას სასაცილო ხდება. მათ შორდება. ერთი მხრივ, პლეხანოვი, რომლისთვისაც, ცხადია, კონფერენციამ «ნათელი გახადა» არა მარტო თავისი ორგანიზაციული აზრი, არამედ

ახალისკრელთა პრინციპულობაც. მეორე მხრივ, მათ შორდება აკადემოვი, რომელიც «ცარიელ ფრაზად» აცხადებს პეტერბურგელ მენშევიკთა დაპირებებსა და «პრინციპებს» («პოსლედნიე იზვესტია», № 235). პარტიის III ყრილობამ უფრო მჭიდროდ შეაკავშირა ერთი მხარე. კონფერენციამ თვითონ დაქსაქსა მეორე მხარე. ჩვენ მხოლოდ ისღა დაგვრჩენია, რომ ვურჩიოთ «შემარიგებლებს»: შეისწავლეთ, ამხანაგებო, გათიშვის ისტორია, გაერკვიეთ პლეხანოვის შემარიგებლობის წარუმატებლობის მიზეზებში, ნუ ჩაასხამთ ახალ ღვინოს ძველ ტიკებში!

«პროლეტარი» № 9,
1905 წლის 26 (13) ივლისი

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.,
ტ. 9, გვ. 183—188

ს ჯ ა ჯ ი ი ღ ა ნ

«წინასიტყვაობა ბროშურისა «მუშები პარტიული გათიშვის შესახებ»»

...4) მთელი პარტიული ლიტერატურა, როგორც ადგილობრივი, ისე ცენტრალური, უსათუოდ უნდა ემორჩილებოდეს როგორც პარტიულ ყრილობას, ისე პარტიის სათანადო ცენტრალურ ან ადგილობრივ ორგანიზაციას. პარტიასთან ორგანიზაციულად დაუკავშირებელი პარტიული ლიტერატურის არსებობა დაუშვებელია...

პირველად დაიბეჭდა 1905 წელს რსდმპ ცკ-ის მიერ გამოცემულ ბროშურაში

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც., ტ. 9, გვ. 196

ა. ვ. ლუნაჩარსკის

ძვირფასო ან. ვ.!

მივიღე თქვენი წერილი. სჯობს მომწეროთ ხოლმე ჩემი პირადი მისამართით: 3.Rue David Dufour.

რაც შეეხება კოსტროვის ბროშურას, არ ვიცი როგორ მოვიქცე. დაბეჭდილი ჯერ არ წამიკითხავს, მაგრამ ძველი ხელნაწერის მიხედვით ვიცი, რა ხილია. თქვენ სავსებით მართალი ხართ, რომ ეს სწორედ «შავრაზმული ლიტერატურაა». როგორ ვუპასუხოო? — მეკითხებით.

ვას. ვას. «პროლეტარისათვის» დაწერა წერილი — მკრთალია, არ მინდა დავბეჭდო. ოლინმა წაიკითხა რეფერატი და ისიც წერს, — მაგრამ ვერ შეძლებს. აქ, ჩემი აზრით, ორი რამ არის საჭირო: ჯერ-1. «გათიშვის ისტორიის მოკლე ნარკვევი». პოპულარული. თავიდან, ეკონომიზმიდან. ზუსტი დოკუმენტებით. დაყოფილი პერიოდებად. 1901—1903; 1903 (II ყრილობა); 26. VIII. 903—26. XI. 03; 26. XI. 03—1. 04; 1—VIII. 04; VIII. 04—V. 05; V. 05 (III ყრილობა).

ვფიქრობ, ამის დაწერა შეიძლება ისე გარკვეულად, ზუსტად, მოკლედ, რომ წაიკითხავდნენ ისინიც, ვისაც კოსტროვი მიმართავს.

მე-2, საჭიროა ამ შავრაზმელების ცოცხალი, მკვეთრი, მ ა ხ ვ ი ლ ი და დაწვრილებითი დახასიათება (ლიტერატურულ-კრიტიკული)[40]. არსებითად ხომ ეს სიყალბე აქვს საფუძვლად აღებული ლ. მ — საც (წაიკითხეთ უმსგავსობა № 107-ში? შვარცი უპასუხებს სტატიით. არ ვიცი, ღირს თუ არა?) — და სტაროვერსაც. კარგი იქნება შეგროვებულ იქნეს მთელი რიგი ასეთი სტატიები და ბროშურები, გაშუქდეს უხეში სიცრუე, მ ხ ი ლ ე ბ უ ლ ი ქ ნ ე ს იგი ისე, რომ შეუძლებელი იყოს თავის დაძვრენა, გაიკიცხოს და სამარცხვინო ბოძზე გაიკრას სწორედ როგორც «შავრაზმული ლიტერატურა». ახალისკრელებმა ახლა აუარებელი მასალა მოგვცეს, და იგი რომ გულმოდგინედ და-

მუშავდეს, ბ ო რ ი ს, მაბეზღარობის etc. etc. ეს ბილწი ხერხები რომ გაშუქდეს მთელი თავისი მშვენიერებით, — ძლიერი რამ გამოვიდოდა. მარტო ლ. მ—ს ეს ყრუ «პირადი გადაკრული სიტყვები» — რა უსაზღვრო სისაძაგლეა!!

პირველ თემას, იქნებ, მოვკიდო ხელი, მაგრამ ახლა ვერა, ვერც შალე; არა მცალია* (შემდეგ კი, შეიძლება, სულაც დაგვიანებული იყოს!).

მეორეს ხელს არ მოვკიდებდი და ვფიქრობ, რომ ამის გაკეთება მ ხ ო ლ ო დ თქვენ შეგიძლიათ. თქმა არ უნდა, ცუდი სამუშაოა, მყრალი, — მაგრამ ჩვენ ხომ აზიზი ხალხი კი არა, გაზეთის მუშაკები ვართ, და «საზიზღრობისა და გესლის» გაუკიცხავად დატოვება შეუწყნარებელია სოციალ-დემოკრატიის პუბლიცისტებისათვის.

იფიქრეთ ამაზე და მომწერეთ.

ბროშურა მასობრივი პოლიტიკური გაფიცვის შესახებ უნდა მივცეთ, — ეს თქვენ არ გაგიძნელდებათ.

აუცილებლად უნდა განაგრძოთ პოპულარული ბროშურების მიცემაც. შეარჩიოთ რომელიმე ყველაზე საჭირბოროტო თემა. სახელდობრ რომელი, — არ ვიცი, ბულიგინის სათათბიროს შესახებ? უნდა დაველოდოთ გამოქვეყნებას.[41]

კარგი იქნება დავწეროთ მუშათა ორგანიზაციაზე. დავუპირდაპიროთ ერთმანეთს ჩვენი წესდება (მე-3 ყრილობა) და კონფერენციის წესდება, დავღეპოთ, განვმარტოთ იდეა, მნიშვნელობა და ხერხები პროლეტარიატის რ ე ვ ო ლ უ ც ი ო ნ ი ორგანიზაციისა (განსაკუთრებით აჯანყებისათვის), განსხვავება პარტიული და პარტიის მომხრე ორგანიზაციებისა და სხვ.. ეს ნაწილობრივ იქნება კოსტროვისადმი პასუხიც, პოპულარული, მასისათვის, საჭირბოროტო თემაზე. აბა სცადეთ!

მაგრად გართმევთ ხელს. თქვენი ნ. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1905 წ. 15 და 19 აგვისტოს შუა
გაგზავნილია ჟენევიდან იტალიაში
პირველად დაიბეჭდა 1934 წელს

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც., ტ. 34, გვ. 368—370

---

* ახლა ჩავუჯდები პასუხს პლეხანოვისადმი («სოციალ-დემოკრატი» № 2). ტყავი უნდა გავაძრო, რადგან მასაც ბლომად აქვს საზიზღრობანი და უბადრუკი არგუმენტები. იმედი მაქვს, ამას შევძლებ.

შემდეგ გონებაში მიტრიალებს გეგმა პოპულარული ბროშურისა: «მუშათა კლასი და რევოლუცია» — დემოკრატიული და სოციალისტური ამოცანების დახასიათება, შემდეგ დასკვნები აჯანყებისა და დროებითი რევოლუციური მთავრობის შესახებ და სხვ.. ეფიქრობ ასეთი ბროშურა საჭიროა.

– ს ტ ა ტ ი ი ნ ა

«ჩვენი პარტიული საქმეების გაცნობა საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიისათვის»

...ამასთან განუხრელად უნდა ვამხილოთ ხლესტაკოვური ახალი «ისკრის» მთელი ურიგობა. «ისკრა» არც გერმანულად და არც ფრანგულად არა სცემს თავისი კონფერენციის რეზოლუციების სრულ ტექსტს (რომელიც ამხელს მას ცენტრალური ორგანოს ტიტულის თვითნებურად და უზურპატორულად მითვისებაში). «ისკრა» ევროპის სოციალ-დემოკრატიულ პრესაში ათავსებს ორგანიზებული მუშების «სტატისტიკას», რომელიც მხოლოდ სიცილს იწვევს. საკმარისია ითქვას, რომ ახალმა «ისკრამ» აქამდე ვერ გაბედა ამ «სტატისტიკის» რუსულად გამოქვეყნება, რადგან ეშინია, რომ თავი მოეჭრება, მაგრამ ჩვენ მთლიანად გადმოვბეჭდეთ ეს სტატისტიკა «პროლეტარის» მე-9 ნომერში.[42] ახლა «ისკრა» ყველა საზღვარგარეთულ კოლონიას უგზავნის რედაქციის მიერ ხელმოწერილ წერილს, რომელიც შეიცავს ასეთსავე სასაცილო ხლესტაკოვურ მტკიცებას, რომ უმცირესობას ძალა აქვს, რასაც აქამდე მორცხვად უმალავდნენ ჩვენი სოციალ-დემოკრატიული გაზეთების რუს მკითხველებს. საჭიროა მთელი ძალღონით ვებრძოლოთ რეკლამისტებს, მაგრამ ვებრძოლოთ ღირსეულად, ს ა ვ ს ე ბ ი თ გ ა ვ ა ც ნ ო თ საზოგადოებას და განვუმარტოთ საქმის ვითარება, ყოველგვარი კვეხნისა და ლიტერატურული ჯირითობის გარეშე, არ ავყვეთ ჭორებს და კერძო ცნობებს, რომელთა სააშკარაოზე გამოტანას გაურბიან.

«პროლეტარი» № 15,
1905 წ. 5 სექტემბერი (23 აგვისტო)

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც., ტ. 9, გვ. 274

რსდმპ ცენტრალური ორგანოს რედაქციისაგან

ამხანაგებო! გვინდა თქვენი ყურადღება მივაქციოთ აგიტაციის საქმეში ცენტრალური ორგანოსი და ადგილობრივი გამომცემლობის თანამშრომლობის ერთ-ერთ საშუალებას. ც. ო.-ს ძალიან ხშირად ბრალად სდებენ, რომ ის მოწყვეტილია მოძრაობას, არაპოპულარულია და სხვ. და ა. შ. რა თქმა უნდა, ამ საყვედურებში არის სიმართლის ნაწილი და ჩვენ მშვენივრად ვიცით, რომ ასეთს მშფოთვარე დროს ჩვენი შორიდან მუშაობა არ კმარა. მაგრამ ჩვენი მოწყვეტილობა ნაწილობრივ დამოკიდებულია ცენტრალური ორგანოსი და ადგილობრივ სოციალ-დემოკრატთა მ ა ს ი ს იშვიათ და არარეგულარულ ურთიერთობაზე და მათი ერთმანეთთან თანამშრომლობის ნაკლებობაზე. უდავოა, რომ ჩვენ საკმაოდ ვერ გეხმარებით. მაგრამ ვერც თქვენ გვიწევთ საკმაო დახმარებას. ახლა გვინდა ამხანაგურად მივაქციოთ თქვენი ყურადღება ე რ თ-ე რ თ ი ასეთი ნაკლის აღმოფხვრას.

ადგილობრივი ამხანაგები აგიტაციისათვის საკმაოდ ვერ იყენებენ ცენტრალურ ორგანოს. ცენტრალური ორგანო დაგვიანებით და მცირე რაოდენობით მოდის. ამიტომ საჭიროა 1) უფრო ხშირად გადაბეჭდოთ ადგილობრივ ფურცლებში სტატიები და შენიშვნები; 2) უფრო ხშირად გადააკეთოთ ან უფრო პოპულარულად განმარტოთ ცენტრალური ორგანოს ლოზუნგები (და სტატიები) ადგილობრივ ფურცლებში, მასთან თქვენ შეგიძლიათ ისინი შეავსოთ, შეცვალოთ, შეამციროთ და სხვ., რადგან ადგილობრივ თქვენ უფრო ხედავთ რაა საჭირო, ხოლო პარტიის ყველა გამოცემა მთელი პარტიის კუთვნილებაა; 3) უფრო ხშირად მ ო ი ყ ვ ა ნ ო თ ც ი ტ ა ტ ე ბ ი ცენტრალური ორგანოდან ადგილობრივ ფურცლებში, რათა პოპულარული გავხადოთ მასაში ცენტრალური ორგანოს სახელწოდება, საკუთარი მუდმივი გაზეთის ი დ ე ა, აზრი საკუთარი იდეური ცენტრის არსებობისა, მისდამი ყოველთვის მიმართვის შესაძ-

ლებლობისა და სხვ. და ა. შ. უნდა ეცადოთ ყოველი საბაბი გამოიყენოთ და აღნიშნოთ ფურცლებში, რომ აი ასეთივე აზრია გატარებული «პროლეტარის» ამა და ამ სტატიაში, ან და რომ ანალოგიური ცნობებია მოყვანილი მის ამა და ამ კორესპონდენციაში და სხვ. და ა. შ.. ეს ფრიად მნიშვნელოვნია მ ა ს ე ბ ი ს ა თ ვ ი ს ჩვენი ცენტრალური ორგანოს გასაცნობად და მთელი ჩვენი ზეგავლენის სფეროს გასაფართოებლად.

ადგილობრივ კომიტეტებს არა ერთხელ გადაუბეჭდავთ სტატიები, რომლებიც მათ უფრო მოსწონდათ. ახლა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ლ ო ზ უ ნ გ ე ბ ი ს ე რ თ ი ა ნ ო ბ ა (ლიბერალებისადმი, ოსვობოჟდენიელებისადმი, მათი «შეთანხმების თეორიისადმი», კონსტიტუციის მათი პროექტისადმი და სხვ. დამოკიდებულობის შესახებ; საკითხი რევოლუციური არმიის, რევოლუციური მთავრობის პროგრამის შესახებ; სახელმწიფო სათათბიროს ბოიკოტის შესახებ და სხვ. და სხვ.). უნდა ეცადოთ ყოველნაირად გამოიყენოთ ც. ო. ადგილობრივი აგიტაციის საქმეში არა მარტო სტატიების გადაბეჭდვით, არამედ აზრებისა და ლოზუნგების თქვენი სიტყვით ფურცლებში გადაცემით, ადგილობრივი პირობების შესაბამისად მათი გ ა ფ ა რ თ ო ე ბ ი თ ან შეცვლით და სხვ.. ეს მეტისმეტად მნიშვნელოვანია ჩვენსა და თქვენს შორის ნამდვილი თანამშრომლობისათვის, აზრთა გაზიარებისათვის, ჩვენი ლოზუნგების შესწორებებისათვის, მუშათა მ ა ს ი ს ა თ ვ ი ს იმის გასაცნობად, რომ ჩვენ გვაქვს პარტიის მუდმივი ცენტრალური ორგანო.

დაბეჯითებით გთხოვთ წაიკითხოთ და განიხილოთ ეს წერილი პარტიის უსათუოდ ყველა ორგანიზაციასა და წრეში, სულ ძირეულ ფენამდე.

«პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ს» რ ე დ ა ქ ც ი ა.

«რაბოჩი» № 2,
1905 წ.სექტემბერ-

ბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.. ტ. 9, გვ. 352—354.

პ. ა. კრასიკოვს

14. 9. 05.

ძვირფასო მეგობარო! ვჩქარობ გიპასუხოთ თქვენს პესიმისტურ წერილზე. ფაქტების შემოწმება არ შემიძლია, მაგრამ ვფიქრობ, რომ აზვიადებთ, ეს ერთი. ცენტრალური კომიტეტის სახელდახელო ფურცლები კარგია, ხოლო «რაბოჩი» № 1 ძალიან კარგი.[43] ეს დიდი საქმეა. ფულის საქმე ახლა ცუდად არის, მაგრამ კავშირი გვაქვს და ვარაუდებიც ძალიან კარგია. ერთი დიდი წამოწყება, ძალიან სერიოზული და შემოსავლიანი, მოგვარებულია, ისე რომ «ფინანსისტს», უ ე ბ ვ ე ლ ი ა, არა სძინავს. მეორე: თქვენ არასწორად უყურებთ მოვლენებს. ცენტრალურ კომიტეტში ან მისი აგენტების წრეში სრული სოლიდარობის მოლოდინი უტოპიაა. «წრე კი არა, პარტია», ძვირფასო მეგობარო! სიმძიმის ცენტრი გადაიტანეთ ადგილობრივ კომიტეტებში, ისინი ა ვ ტ ო ნ ო მ ი უ რ ი არიან, ისინი სრულ თავისუფლებას იძლევიან, ისინი არ ბოჭავენ ფულად და სხვა კავშირს, ლიტერატურაში გამოსვლას და სხვ. და სხვ.. მაშ ფრთხილად იყავით, თვითონ არ ჩაიდინოთ ის შეცდომა, რომელსაც სხვას უსაყვედურებთ: ნუ ხვნეშით, ნუ ოხრავთ,ხოლო თუ აგენტურა არ მოგწონთ, დააწექით კომიტეტების მუშაობას და თქვენს თანამოაზრეებსაც ურჩიეთ გააძლიერონ იგი. დავუშვათ, უთანხმოება გაქვთ «აგენტებთან». გაცილებით უფრო მიზანშეწონილია გაიყვანოთ თქვენი შეხედულებანი კომიტეტში, განსაკუთრებით თუ ყალიბდება შეთანხმებული, პრინციპული კომიტეტი, და გაატაროთ იქ აშკარა, პირდაპირი, მტკიცე ხაზი, ვიდრე ედავოთ «აგენტებს». თუ თქვენ მართალი ხართ, რომ კომიტეტები ანემიას განიცდიან და «აგენტურები» უზომოდ გავსებულია, ამ სნეულების სამკურნალო საშუალება ხომ ხელთა გაქვთ: მასობრივად შედით კომიტეტებში. კომიტეტი ავტონომიურია. კომიტეტები ყრილობებზე ყველაფერს წყვეტენ. კომიტეტებს შეუძლიათ დაადგინონ რეზოლუციები. კომიტეტებს ბეჭდვის უფლება აქვთ.

«უფროსებს» გულხელდაკრეფილნი კი ნუ უყურებთ, არამედ დამოუკიდებლად მოჰკიდეთ ხელი ამ საქმეს. ახლა ასპარეზი ფართო, თავისუფალი გაქვთ, მუშაობა დამოუკიდებელი, თავისთავადი, მადლიანი უმნიშვნელოვანეს კომიტეტში. მთელი ძალ-ღონე მოანდომეთ ამ მუშაობას, შეარჩიეთ ერთსულოვანი კომპანია, უფრო გაბედულად და უფრო ფართოდ წადით მუშებთან, ბეჭდეთ ფურცლები, შეგვიკვეთეთ ისინი ჩვენ, შვარცს, მე, გალიორკას, კომიტეტის სახელით ხმამაღლა განაცხადეთ თქვენი პარტიული აზრი. გარწმუნებთ, რომ ასეთი გზით თქვენ ათასჯერ მეტს გააკეთებთ იმისათვის, რომ მთელ პარტიასა და ცენტრალურ კომიტეტზე ზემოქმედება მოახდინოთ თქვენთვის სასურველი მიმართულებით, ვიდრე ცენტრალური კომიტეტის აგენტებსა და წევრებზე პირადი ზემოქმედებით. თქვენ, ჩემი აზრით, საქმეს უყურებთ ძველი, წრეობრივი, და არა პარტიული თვალსაზრისით. ცენტრალური კომიტეტი არჩევითია, ყრილობა კარზეა მომდგარი, თქვენი უფლებები ხელთა გაქვთ, ისარგებლეთ ამ უფლებებით და ყველა ენერგიული, მტკიცე თანამოაზრე წაიყვანეთ იმავე გზით: კომიტეტებში!! ზეგავლენას უნდა ახდენდეთ ფორმალურად. კომიტეტების საშუალებით, და არა აგენტებთან პირადი ლაპარაკის საშუალებით, ხომ არავინ არ არის ვალდებული გახდეს აგენტი, თუ სურს შევიდეს კომიტეტებში!

თქვენ წერთ: აგენტმა მიამლინმა განაცხადა, «ისკრის» ხლესტაკოვური შენიშვნა სამართლიანია.[44] კეთილი. ეს მისი უფლებაა. მაგრამ ცენტრალურმა კომიტეტმა «ლეტუჩი ლისტოკის» № 1-ში განაცხადა, რომ ჩვენს მხარეზეა პარტიის $^2/_3$. მაშასადამე, მიამლინმა თავი გაიმათრახა! თქვენი საზრუნავია — ალაგმოთ მიამლინები და ამხილოთ, გამოააშკარაოთ ისინი ს ა კ უ თ ა რ ი კომიტეტის საშუალებით და არა მათთან ლაპარაკით. კომიტეტები აირჩევენ ადამიანებს, რომლებიც ნიშნავენ მიამლინებს, და არა მიამლინები გადაწყვეტენ პარტიის ბედს. დაე ენერგიულმა ადამიანებმა ჩაიგდონ ხელში კომიტეტები: აი ლოზუნგი ყველასათვის, და მე გირჩევთ გაავრცელოთ, იგი, შეაგნებინოთ, გაატაროთ.

აგენტი მიამლინი ორი ცენტრალური ორგანოს მომხრეა. კვლავ იბადება კითხვა: ვინ გადაწყვეტს? კომიტეტები და მათი დელეგატები მე-4 ყრილობაზე. მოამზადეთ ერთი, ორი კომიტეტი: აი თქვენთვის მადლიანი და ს ა ქ მ ი ა ნ ი ამოცანა. ვთქვათ, მიამლინებმა გაიმარჯვეს. კ ო მ ი ტ ე ტ ე ბ ს უფლება აქვთ დააარსონ თავიანთი ორგანო, ერთ კომიტეტსაც კი!! აი რატომ სცდებით, გადადიხართ ძველ. პარტიამდელ თვალსაზრისზე, როცა წერთ: «ბეჭდავენ ტროცკის ფურცლებს». (არაფერი ცუდი აქ არ არის, თუ ფურცლები ვარგა და გა-

სწორებულია. მე ს.-პეტერბურგის კომიტეტსაც ვურჩევ დაბეჭდოს მისი ფურცლები, ვთქვათ თქვენ მიერ რედაქტირებული), ან როცა წერთ: «მოახლოებულია წაწყმედა à la ბორისი». არ მესმის. დავუშვათ, რომ ბორისები არიან. ასეთი განძი ყოველთვის ბევრია. დავუშვათ, რომ ბორისები და მიამლინები აღმოჩნდებიან უმრავლესობაში (კომიტეტების, ნუ დაგავიწყდებათ ეს, კომიტეტების უმრავლესობაში). მაშინ «აუარებელი წინა მუშაობა დაიღუპებაო», დაასკვნით თქვენ. რატომ? რამ დაღუპა ან როგორ დაიღუპება «პროლეტარი»?? «ორი ცენტრალური ორგანოს» უაზრობაც კი ვერ დაღუპავს «პროლეტარს», არამედ მხოლოდ აბსურდს შეიტანს წესდებაში. მაგრამ ცხოვრება ხომ დატოვებს «პროლეტარს» და აღგვის აბსურდს. «პროლეტარის» დახურვას მიამლინებიც ვერ გაბედავენ.. და, ბოლოს ავიღოთ ყველაზე უარესი ბოლო, თქვენი პესიმიზმის შესაფერი: დავუშვათ, რომ დაიხურა.და მაშინ გეკითხებით: პიტერის კომიტეტი რაღას აკეთებს? განა «პროლეტარი», როგორც პიტერის კომიტეტის ორგანო, უფრო სუსტი იქნება, ვიდრე ერთ-ერთი «ორ» ცენტრალურ ორგანოთაგან?? ახლავე მიიღეთ ენერგიული ზომები იმისათვის, რომ პიტერის კომიტეტს ჰქონდეს არა ფორმალური, არამედ საქმიანი მჭიდრო, მუდმივი ურთიერთობა «პროლეტართან», და — თქვენ ისე გააძლიერებთ თქვენს პოზიციას და თქვენი იდეების გავლენას, რომ ასობით მიამლინები არ იქნებიან საშიში. პიტერის კომიტეტი ისეთი ძალაა, რომელიც სამჯერ აღემატება ყველა «აგენტს» ერთად აღებულს. გახადეთ «პროლეტარი» პიტერის კომიტეტის ორგანოდ, ხოლო პიტერის კომიტეტი «პროლეტარის» იდეებისა და ტაქტიკის მტკიცე გამტარებლად. აი რეალური ბრძოლა მიამლინობასთან, და არა ბრძოლა ჩივილით და ოხვრით. პიტერში შეიძლება მოინახოს ასობით მისამართი, შეიძლება გამოინახოს პიტერში გაგზავნის ჭრავალი შემთხვევა, მოწესრიგდეს საკორესპონდენტო ნაწილი, გამოცოცხლდეს ურთიერთობა, შეკვეთილ იქნეს ფურცლები, «პროლეტარის» სტატიები გამოიცეს ფურცლებად, მათი შინაარსი გადმოიცეს ფურცლებში, გადაკეთდეს ფურცლებად და სხვ. და სხვ. ფურცლებში შეიძლება და საჭიროც არის ლაპარაკი საერთო-პარტიულ საკითხებზეც (ამ დღეებში კოსტრომის კომიტეტმა გამოგზავნა რეზოლუცია საერთაშორისო ბიუროში პლეხანოვის დანიშვნის წინა-

აღმდეგ: მარტო ცხვირ-პირის მტვრევაა, მეტი არაფერი.) მიამლინობას უნდა ვებრძოლოთ კომიტეტის აგიტაციის სანიმუშო დაყენებით, პარტიისადმი საბრძოლო ფურცლებით და არა შესაბრალისი საჩივრებით ცენტრალური კომიტეტისადმი!

«ზარიას» № 5-ის (??) ჩემს რა სტატიაზე (პროკოპოვიჩის შესახებ) მწერთ?[45] არ მესმის. რატომ ხართ რუბენის უკმაყოფილო? აუცილებლად უშუალოდ დამაკავშირეთ მასთანაც და ლალაიანცთანაც.

მაგრად გართმევთ ხელს. მწერეთ უფრო ხშირად და ნუ მოიწყენთ! მიამლინებს კი მიაფურთხეთ!

თქვენი ნ. ლენინი

გაგზავნილია ჟენევიდან
პეტერბურგში
პირველად დაიბეჭდა 1926 წელს

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.,
ტ. 34, გვ. 381—384.

წერილი

რსდმპ ცენტრალურ კომიტეტს

15. 9. 05.

ძვირფასო ამხანაგებო! მივიღე ფული, 1000 მან. — 2640 francs, და «რაბოჩის» პირველი ნომერი. იგი საუცხოო შთაბეჭდილებას ტოვებს. შეიძლება იმედი ვიქონიოთ, რომ არამომაბეზრებელი პოპულარული გადმოცემის ძნელი ამოცანა მის მიერ მნიშვნელოვანწილად გადაწყვეტილი იქნება. არის რაღაც ახალი გადმოცემის კილოსა და ხასიათში. ჩინებული საბრძოლო სულისკვეთებაა. ერთი სიტყვით, სულით და გულით შემიძლია მოგილოცოთ წარმატება და გისურვოთ შემდგომი წარმატებანი. ჩემი კერძო შენიშვნები ჯერჯერობით შემდეგია: 1) სასურველია ცოტა უფრო მეტი ვილაპარაკოთ სოციალიზმზე ორგანოს «განმარტებითი» ხასიათის გამო; 2) სასურველია უფრო მჭიდროდ და უშუალოდ დავუკავშიროთ საბრძოლო პოლიტიკური ლოზუნგები III ყრილობის რეზოლუციებს და რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ჩვენი ტაქტიკის საერთო სულისკვეთებას...

III. ფულის გამო. თქვენმა განცხადებამ, ცენტრალური ორგანო უნდა იცემოდეს «საზღვარგარეთული სახსრებით», ცენტრალური კომიტეტის გაკოტრება ცენტრალური ორგანოთი უნდა დაიწყოსო, ჩვენ ყველას თავზარი დაგვცა. თქვენ წერთ, ეს გაგულისება და საყვედური არ არისო. ნება მოგვეცით არ დაგიჯეროთ. სერიოზულად, დამშვიდებით და გულგრილად რომ თქვა ასეთი რამ, — ეს ნიშნავს გამოაცხადო ცენტრალური ორგანოს კავშირის გაწყვეტა პარტიასთან, ეს კი თქვენ არ შეგეძლოთ გნდომებოდათ. პარტიის ცენტრალური ორგანო რომ გამოიცეს არა პარტიის, არამედ საზღვარგარეთის სახსრებით, — დაადგინო, რომ პარტიის გაკოტრება უნდა დაიწყოს (და არა დამთავრდეს) ცენტრალური ორგანოთიო — ეს რაღაც ფენომენალურია. ეს რომ ჩვენ სე-

რიოზულად მიგვეღო და კი არ მიგვეჩნია სწორედ ნერვიულობის გამოვლინებად დროებით სიძნელეთა გამო (ვინაიდან საერთოდ ბრუნვა თქვენთან «სახარბიელოა», ხოლო 60.000-ის და «წამოწყების» ვარაუდი სამმაგად უფრო «სახარბიელოა»), ჩვენ ახლავე მოგვიხდებოდა ზომების მიღება, რათა საზღვარგარეთული ორგანიზაციის კომიტეტის ორგანო «საზღვარგარეთული სახსრებით» გამოგვეცა. მაგრამ ვიმეორებ, რომ ამ საშინელ გამოსვლაში თქვენი მხრივ მე მხოლოდ ნერვიულობას ვხედავ და დაველოდები პირად შეხვედრას, ვინაიდან აქ, ჩემი აზრით, გათიშვის დასაწყისი კი არ არის, არამედ გაუგებრობაა.

მაგრად გართმევთ ხელს.

ნ. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია ქენევაში
პირველად დაიბეჭდა 1926 წელს
ლენინის კრებულში V

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.,
ტ. 36, გვ. 143. 147—148

ს. ი. გუსევს

ნაციას ლენინისაგან

20. 9.05.

ძვირფასო მეგობარო! გმადლობთ № 3 წერილისათვის. იქნებ მისი ნაწილი დავბეჭდოთ. თქვენი თაოსნობაა საუბარი რედაქციასთან არა მარტო ფორმალურ საკითხებზე (წესდებაზე, კავშირებზე, მისამართებზე და სხვ.), არა მარტო საკორესპონდენტო თემებზე (მოხდა ესა და ეს ამბები), არამედ იმ თემაზე, თუ როგორია თქვენი შეხედულებების შინაარსი, როგორ გესმით ჩვენი ტაქტიკა, სახელდობრ თქვენ როგორ ატარებთ მას საქმით რეფერატებში, კრებებზე და სხვ.. ჩვენთან რუსი პრაქტიკოსების ასეთი საუბრები ჩვენთვის მეტად ძვირფასია, და უაღრესად დაბეჯითებით გთხოვთ ყველგან იქადაგოთ, მოაგონოთ, მოითხოვოთ, რომ ვისაც სურს ცენტრალური ორგანო თავის ცენტრალურ ორგანოდ მიაჩნდეს (ეს კი პარტიის ყველა წევრს უნდა სურდეს), ის ფორმალურ პასუხებს ან პატაკებს კი არ უნდა სჯერდებოდეს, არამედ სახელდობრ ესაუბრებოდეს, არა დასაბეჭდად, არამედ იდეური კავშირის შესაქმნელად ესაუბრებოდეს რედაქციას იმაზე, რომ ასეთ და ასეთ შეხედულებებს ახორციელებს.ასეთი საუბრების უბრალო ნებივრობად მიჩნევა ნიშნავს შეზღუდულ პრაქტიციზმში გადავარდნას და მთელი ჩვენი პრაქტიკული მუშაობის, მთელი აგიტაციის, მთელი პრინციპული, იდეური მხარის საეგებისოდ მიტოვებას, ვინაიდან გარკვეული, მოფიქრებული იდეური შინაარსის გარეშე აგიტაცია ფრაზიორობად იქცევა. ხოლო გარკვეული იდეური შინაარსის გამოსამუშავებლად არ კმარა მარტო ცენტრალურ ორგანოში თანამშრომლობა, საჭიროა აგრეთვე იმის ერთობლივად განხილვა, თუ როგორ ესმით პრაქტიკოსებს ესა თუ ის დებულება, როგორ ახორციელებენ ისინი საქმით ამა თუ იმ შეხედულებას. უამისოდ ცენტრალური

ორგანოს რედაქცია ჰაერში გამოკიდებული დარჩება, არ ეცოდინება, ითვისებენ თუ არა მის ქადაგებას, ეხმაურებიან თუ არა მას, ცხოვრება როგორ უცვლის მას სახეს, რა შესწორებები, რა დამატებებია საჭირო. უამისოდ სოციალ-დემოკრატები იქამდე დაქვეითდებიან, რომ მწერალი დროდადრო დაწერს, მკითხველი კი წაიკითხავს. ჩვენში ჯერ კიდევ სუსტია პარტიული კავშირის შეგნება, — მას უნდა განვამტკიცებდეთ სიტყვითაც და მაგალითითაც.

ვეცდები ვისარგებლო თქვენი მაგალითით, რომ დავბეჭდო თქვენი წერილის ნაწილი.[16] საერთოდ ჩვენ ვეთანხმებით ერთმანეთს და მოვრიგდით (თქვენი აზრები ისეთივეა, როგორც ჩემი აზრები «ორ ტაქტიკაში»). კერძოდ ვფიქრობ, რომ თქვენ ტყუილად ეხმით თავს მენშევიკებს სიტყვების გამო: -მასების მომზადება აჯანყებისათვის. აქ კიდევაც თუ არის შეცდომა, იგი ძირითადი როდია.

მაგრად გართმევთ ხელს. თქვენი ლენინი

გაგზავნილია ქენევიდან ოდესაში
პირველად დაიბეჭდა 1926 წელს

ბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.,
ტ. 34, გვ. 385—386

ს ტ ა ტ ი ი ნ

«ბურჟუაზია მაძლარი და ბურჟუაზია მწყურვალი»

...რად გადაიქცა «ისკრის» ტაქტიკა სათათბიროს მიმართ? რ ე ვ ო ლ უ ც ი ო ნ ე რ თ ა სწორედ იდეურ და ტაქტიკურ გ ა ნ ი ა რ ა ღ ე ბ ა დ. ოპორტუნისტული «ისკრის» ბრძენნი ამ განიარაღებაზე მუშაობდნენ, აცამტვერებდნენ აქტიური ბოიკოტის იდეას, ნაცვლად აქტიური ბოიკოტისა პასიურს აყენებდნენ (სრულიად «ნოვოე ვრემიას» ყაიდაზე და თითქმის იმავე სიტყვებით), ქადაგებდნენ რწმენასა და ნდობას ერთმანეთთან ჩაკონებული მილიუკოვებისა და სტახოვიჩებისადმი, აჯანყების რევოლუციურ ლოზუნგს ც ვ ლ ი დ ნ ე ნ ოსვობოჟდენიელური ბურჟუაზიული დონდლობით, მსგავსად «მოქალაქეთა რევოლუციური თვითმმართველობისა».

ახლა მხოლოდ ბრმები ვერ ხედავენ, რა ჭაობში ჩაეფლო «ისკრა». არალეგარულ პრესაში ის სავსებით განმარტოებულია, მის მხარეზეა მ ხ ო ლ ო დ «ო ს ვ ო ბ ო ჟ დ ე ნ ი ე». ბუნდი, რომელსაც თვით მარტოვი და აქსელროდიც კი ვერ დასწამებენ სიმპათიას «ვპერიოდის არსენალისადმი», გადაჭრით მიემხრო აქტიურ ბოიკოტს. ლეგალურ პრესაში ყველა არამზადა და ყველა ზომიერი ლიბერალი გაერთიანდა იმ რადიკალური ბურჟუების წინააღმდეგ ბრძოლაში, რომლებმაც თანაგრძნობა გამოუცხადეს ბოიკოტს და რომლებიც ყველაზე მეგობრულად არიან განწყობილი გლეხობისადმი.

განა მართალი არა სთქვა ლენინმა თავის «ორ ტაქტიკაში». როცა ახალისკრელთა რეზოლუციებს არჩევდა, «ი ს კ რ ა» ლ ი ბ ე რ ა ლ უ რ მ ე მ ა მ უ ლ ე ე ბ ა მ დ ე ქ ვ ე ი თ დ ე ბ ა, იმ დროს როცა «პროლეტარი» ცდილობს აამაღლოს რევოლუციური გლეხობიო?

«პროლეტარი» № 20
1905 წლის 10 ოქტომბერი
(27 სექტემბერი)

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.,
ტ. 9, გვ. 391—392

ნიკოლოზ ერნესტის ძე ბაუმანი

დღეს, 3 ნოემბერს ახ. სტ., დეპეშამ შოგვეტანა ცნობა, რომ მოსკოვში მეფის ჯარს მოუკლავს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წევრი, ექიმი-ვეტერინარი ნ. ე. ბაუმანი. მის კუბოსთან მოხდა დემონსტრაცია, როცა მოკლულის ქვრივმა, რომელიც აგრეთვე ჩვენს პარტიას ეკუთვნის, მიმართა ხალხს სიტყვით და მოუწოდა შეიარაღებული აჯანყებისაკენ. ჩვენ ამჟამად არა გვაქვს საშუალება დაწვრილებითი ბიოგრაფიული ცნობები მოვათავსოთ დაღუპული ამხანაგის შესახებ. ჯერჯერობით აღვნიშნავთ მხოლოდ მთავარს. მან მუშაობა დაიწყო სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციაში, პეტერბურგში, 90-იან წლებში. დააპატიმრეს, 22 თვე პეტრე-პავლეს ციხეში გაატარა, გადაასახლეს ვიატკის გუბერნიაში. გადასახლებიდან გაიქცა საზღვარგარეთ და 1900 წელს მონაწილეობას იღებდა სულ თავიდანვე «ისკრის» ორგანიზაციაში, როგორც საქმის ერთ-ერთი მთავარი პრაქტიკული ხელმძღვანელი. არა ერთხელ ყოფილა არალეგალურად რუსეთში. დააპატიმრეს 1902 წლის თებერვალს ვორონეჟში (გასცა ექიმმა) «ისკრის» ორგანიზაციის საქმეზე და იჯდა კიევის საპყრობილეში. გაიქცა იქიდან 10 ამხანაგ სოციალ-დემოკრატთან ერთად 1902 წლის აგვისტოში. რსდმპ მოსკოვის კომიტეტის დელეგატი იყო პარტიის მეორე ყრილობაზე (ფსევდონიმი: სოროკინი). მონაწილეობა მიიღო ლიგის მეორე ყრილობაში (ფსევდონიმი: სარაფსკი). შემდეგ იყო პარტიის იმავე მოსკოვის კომიტეტის წევრი. 1904 წლის 19 ივნისს დააპატიმრეს და ტაგანკაში იჯდა. საპყრობილიდან გაათავისუფლეს, ალბათ, მხოლოდ ამ დღეებში.

საუკუნო ხსენება რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პროლეტარიატის რიგებში მებრძოლს! საუკუნო ხსენება რევოლუციონერს, რომელიც დაიღუპა ძლევამოსილი რევოლუციის პირველ დღეებში! დაე ის პატივისცემა, რომელიც აჯანყებულმა ხალხმა მიუზღო მის

ნეშტს, საწინდარი გახდეს აჯანყების სრული გამარჯვებისა და წყეული ცარიზმის სრული მოსპობისა!

ნ. ე. ბაუმანის მოკვლა ცხადყოფს, რამდენად მართალი იყვნენ პეტერბურგის სოციალ-დემოკრატი ორატორები, რომელნიც 17 ოქტომბრის მანიფესტს უწოდებდნენ ხაფანგს, ხოლო მთავრობის მოქმედებას მანიფესტის შემდეგ — პროვოკაციას. რა ფასი აქვს ყველა ამ დაპირებულ თავისუფლებას, სანამ ძალაუფლება და შეიარაღებული ძალა მთავრობის ხელში რჩება? მართლაცდა განა ხაფანგი არ არის ეს «ამნისტია», როცა საპყრობილიდან გამოსულთ კაზაკები ხვრეტენ ქუჩებში?

«პროლეტარი» № 24,
1905 წ. 7 ნოემბერი (25 ოქტომბერი)

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც., ტ. 9, გვ. 536—537

ბ რ ო შ უ რ ი ნ ლ ა ნ

«კადეტების გამარჯვება და მუშათა პარტიის ამოცანები»

...კონსტიტუციური ილუზიები, ეს რუსეთის რევოლუციის მთელი პერიოდია, რომელიც ბუნებრივად მოჰყვა პ ი რ ვ ე ლ ი შეიარაღებული აჯანყების ჩახშობას (პირველს მეორეც მოჰყვება) და კადეტების საარჩევნო გამარჯვებას. კონსტიტუციური ილუზიები პოლიტიკურ-ოპორტუნისტული და ბურჟუაზიული შხამია, რომელსაც ახლა კადეტური პრესის მილიონობით ეგზემპლარი ხალხის ტვინში აწვეთებს, სარგებლობს რა სოციალისტური გაზეთების იძულებითი დუმილით. ´ აი წინ გვიდევს გაზეთი «ტოვარიშჩი»,[47] ორგანო «ხალხში» და სპეციალურად მუშათა კლასში მიმავალი კადეტებისა. პირველ ნომერში ქებათა-ქებას ასხამენ კადეტებს: «თავის პროგრამაში იგი (კ.-დ. პარტია) გვპირდება (...ჰმ! ჰმ! გვპირდება!)... გლეხთა (კაუფმანისებურად?) და მუშათა (ჰო, რა თქმა უნდა!) ინტერესების დაცვას და განურჩეველად ყველა რუსი მოქალაქის პოლიტიკური უფლებების დაცვას. თუ იგი სახელმწიფო სათათბიროში ხმების უმეტესობას მიიღებს, ახლანდელი მთავრობა, რომელმაც ამდენი უბედურება მიაყენა ხალხს, უნდა გადადგეს, და სახელმწიფოს მართვა-გამგეობას სათავეში ჩაუდგებიან ახალი ადამიანები (მურავიოვები ვიტეს მაგივრად?), რომელნიც ხ ა ლ ხ ი ს ხ მ ა ს ყ უ რ ს დ ა უ გ დ ე ბ ე ნ». დიახ, დიახ... ხალხის ხმას ყურს დაუგდებენ!.. ლამაზად წერენ კადეტები!

დარწმუნებული ვართ, არ მოიძებნება არც ერთი ისეთი სოციალისტი, რომ აღშფოთებული არ იყოს ამ თავხედური ბურჟუაზიუ-

ლი სიცრუით, და სავსებით და უეჭველად არ სცნობდეს უაღრესად ენერგიული ბრძოლის აუცილებლობას მუშათა კლასის ამ ბურჟუაზიული გარყვნის წინააღმდეგ, — მით უფრო საშიში გარყვნისა, რომ კადეტებს ხელთ აქვთ უამრავი გაზეთები, ჩვენ კი მიუხედავად დაუსრულებელი ცდებისა შეგვექმნა უაღრესად ზომიერი, უაღრესად თავდაჭერილი და უაღრესად მოკრძალებული სოციალისტური გაზეთი, არც ერთი არა გვაქვს...

დაწერილია 1906 წ. 24—28 მარტს (6—10 აპრილს).
დაიბეჭდა ცალკე ბროშურად 1906 წ. აპრილს.
«ნაშა ჟიზნის» გამომცემლობა

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც., ტ. 10, გვ. 322—323

ბროშურიდან

«მოხსენება რსდმპ გამაერთიანებელი ყრილობის შესახებ»

(წერილი პეტერბურგის მუშებს)

...უთანხმოებათა მეორე მუხლი ეხებოდა ც. კ-ისა და ცენტრალური ორგანოს ურთიერთობას. მენშევიკებმა გაატარეს ცენტრალური ორგანოს არჩევა ყრილობაზე და ცენტრალური ორგანოს შესვლა ც. კ.-ის შემადგენლობაში პოლიტიკის საკითხების გარჩევისას (ბუნდოვანი მუხლია, რომელიც, ალბათ, გაუგებრობას გამოიწვევს). ბოლშევიკები იმოწმებდნენ რუსეთისა და გერმანიის პარტიებში ლიტერატურულ შეჯახებათა სავალალო გამოცდილებას და მხარს უჭერდნენ ცენტრალური ორგანოს რედაქციის დანიშვნას ცენტრალური კომიტეტის მიერ და უკანასკნელისთვის რედაქციის შეცვლის უფლების მინიჭებას. მენშევიკების გადაწყვეტილება, ჩემი აზრით, უეჭველად ცხადჰყოფს, რომ ჩვენი პარტიის მემარჯვენე ფრთაში არანორმალობაა, ერთი მხრივ, ლიტერატორთა და, მეორე მხრივ, პრაქტიკულ-პოლიტიკურ ხელმძღვანელთა ურთიერთობაში...

დაწერილია 1906 წ. მაისში.
დაიბეჭდა 1906 წ. ივნისში
ცალკე ბროშურად, გამომც.
«ვპერიოდი», მოსკოვი

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.,
ტ. 10, გვ. 451

შენიშვნები
«სოციალ-დემოკრატის[48]» № 1-ის გამო

ჩვენს მიერ ეს-არის ახლა მიღებული №1 «სოციალ-დემოკრატის» (რსდმპ ც. კ-ის გ ა მ ო ც ე მ ა) სტატიამ «პარტიზანული გამოსვლები» საუცხოოდ დაადასტურა ჩვენ მიერ № 5 «პროლეტარში»[49] ნათქვამი, რომ გაცვეთილი, ფილისტერული მსჯელობა ამ თემაზე შაბლონური და არაისტორიულია. ავტორი რისხვად ეელინება ძარცვა-გლეჯას, ანარქიზმს, ბლანკიზმს, ტკაჩევიზმს, შარაგზის ყაჩაღობას («გზის ყაჩაღებს», როგორც ამბობს უხეირო თარგმანი გერმანულიდან), რისხვად ეელინება სწორედ ისევე, როგორც ლიბერალები. ლიბერალები თავიანთ ბუნებას არ ღალატობენ, როცა ისინი, «ანარქიის» მომიზეზებით, უარყოფენ ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ შეიარაღებულ ბრძოლას მთავრობასთან. სოციალ-დემოკრატი, რომელიც სიტყვიერად არ უარყოფს ასეთ ბრძოლას, მაგრამ საქმით არ განიხილავს საკითხს ა მ თ ვ ა ლ-ს ა ზ რ ი ს ი თ, ფაქტიურად ლიბერალიზმის პოზიციაზე გადადის. აი დამახასიათებელი მაგალითი. «რამდენადაც რევოლუციური პარტიები თვითონ კისრულობენ ანარქიის მფარველობას, ისინი ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული კლასების გაბოროტებას თავის წინააღმდეგ მიმართავენ და ამით ხელს უწყობენ რეაქციას». ამრიგად, ან უნდა მფარველობდე ა ნ ა რ ქ ი ს ტ უ ლ შეიარაღებულ ბრძოლას, ანდა სავსებით უნდა აარიდო თავი შეიარაღებულ ბრძოლას! სხვა გამოსავალი, ავტორის მიხედვით, არ არის. ორგანიზებულ, გეგმაზომიერ, იდეურ, პოლიტიკურად აღმზრდელ შეიარაღებულ ბრძოლას იგი შ ე ს ა ძ ლ ე ბ ლ ა დ ა რ ა თ ვ ლ ი ს. რა საცოდავი არჩევანი ჰქონია მას!

«რევოლუციონერთა პარტიზანული გამოსვლების ერთ-ერთი საზე: კერძო და სახაზინო ქონების ექსპროპრიაცია ცხოვრებამ უკვე დაასამარაო». ეს ხომ აშკარა სიცრუეა, ამხანაგო! შეუძლებელია, რომ თქვენ არ იცოდეთ ისეთი მ ე ნ შ ე ვ ი კ უ რ ი ორგანიზაციები, რომლებიც გამაერთიანებელი ყრილობის შ ე მ დ ე გ მონაწილეობდნენ, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, ხაზინის ექსებში, ნ ა დ ა ვ ლ ი ს «უ ტ ი ლ ი ზ ა ც ი ა შ ი» და სხვა. როცა სოციალ-დემოკრატის სიტყვა სხვაა და საქმე კიდევ სხვა, ეს უკვე სულ არაფრად ვარგა. ეს თვალთმაქცობას იწვევს. ეს დამოკიდებულია ან არა სუფთა სინდისზე (ასეთ ახსნას ჩვენ უარვყოფთ), ანდა მოუფიქრებელ, უთავბოლო თეორიაზე.

ამხ. აქსელროდი № 1 «პროლეტარის» შენიშვნაზე გულმოსული გვიპასუხებს «სოციალ-დემოკრატში». სვეტნახევარი პეტიტი შეიცავს გაოგნებას, გაკვირვებას, დარწმუნებას, საყვედურს ჩვენი მისამართით იმის გამო, რომ ჩვენ მის აგიტაციას მუშათა ყრილობის სასარგებლოდ პარტიისაგან «დაფარული» აგიტაცია ვუწოდეთ. აქსელროდს ვერასგზით ვერ გაუგია, თუ რას ნიშნავს ეს. და ამავე დროს თვითონ ამბობს: „მე ახლო მომავალში ვ ი ს ა რ გ ე ბ ლ ე ბ მით (ჩემს განკარგულებაში არსებული შესაძლებლობითაო), რაფა მუშათა ყრილობის საკითხი პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი გ ა ნ ხ ი ლ ვ ი ს ა ს პ ა რ ე ზ ზ ე (ხაზგასმა ჩვენია) გამოვიტანოო». ჰოდა, დიდი ხანია ასე უნდა მოქცეულიყავით! უნდა დ ა გ ე წ ყ ო თ არა წრეობრივი ჩურჩულით, არამედ იმით, რომ «საკითხი პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი განხილვის ასპარეზზე გამოგეტანათ». მაშინ თქვენი აგიტაცია პარტიულად სწორი, აშკარა, რევოლუციური კლასის შესაფერისი იქნებოდა. მაშინ ბურჟუაზიული პრესა ვერ შესძლებდა სოციალ-დემოკრატიაში შფოთის შეტანას და მისი პრესტიჟის შელახვას ამ წრეობრივ ჩურჩულზე სენსაციური შენიშვნების გამოქვეყნებითა და ათასგვარი გაუგებრობის გამოწვევით. მეტისმეტად საბწუხაროა, რომ ახლაც კი თავის დაგვიანებულ და უაღრესად ვრცელ «წერილში რედაქციისადმი» აქსელროდი გ ვ ე რ დ ს უ ვ ლ ი ს საკითხის არსს, კ რ ი ნ ტ ს ა ც არა სძრავს იმაზე, თუ სახელდობრ რანაირ ყრილობას გვირჩევს

იგი, როდის, რა საფუძველზე, ვინ იწვევს ამ ყრილობას და სახელ-დობრ რა მიზნით.აქსელროდი თავს იძვრენს ამგვარი ფრაზებით: ყრილობის მოსამზადებელი მუშაობა ცხოველმყოფელ გავლენას მოახდენს სოციალ-დემოკრატიაზე «სწორედ იმდენად, რამდენადაც ეს მუშაობა გაჟღენთილი იქნება ნამდვილად სოციალ-დემოკრატიული შინაარსით, ე. ი. რამდენადაც წრეობრივ ინტერესებსა და ფრაქციულ ანგარიშებს განდევნიან იქიდან სოციალ-პოლიტიკური საკითხები და ამოცანები, რომლებსაც უაღრესად უშუალო დამოკიდებულება აქვთ მუშათა კლასის სასიცოცხლო ინტერესებთანაო».

მოიღეთ მოწყალება, ამხანაგო! ეს ხომ სრული უშინაარსობაა, ოღონდ მაღალფარდოვან სიტყვებში გახვეული. ყრილობის მზადება გამოაცოცხლებს სოციალ-დემოკრატიას სწორედ იმდენად, რამდენადაც ეს მზადება ნამდვილად სოციალ-დემოკრატიული იქნებაო! ახალიცაა და ჭკვიანურიც. «ფრაქციული ანგარიშები» უნდა განდევნონ სოციალ-პოლიტიკურმა საკითხებმა და ამოცანებმაო, — ხოლო სწორედ ამ საკითხებისა და ამოცანების სხვადასხვანაირად გაგებამ გაჰყო პარტია ფრაქციებად! ნამდვილი იწილო-ბიწილოა.

ამავე დროს პლეხანოვი ტლანქად და უგვანოდ იგონებს ჭორებს პარტიული ყრილობისათვის ბრძოლის მოტივების შესახებ და ასევე ტლანქად აქებს აქსელროდის «ბედნიერ აზრს», რომ მუშათა ყრილობა «რაც შეიძლება მალე» იქნას მოწვეულიო. დიახ, დიახ... მართლაც, რა შეიძლება იყოს იმაზე უფრო ბედნიერი აზრი, რომ ნამდვილად სოციალ-დემოკრატიული მუშაობა აცოცხლებს სოციალ-დემოკრატიას?

«სოციალ-დემოკრატის» სარედაქციო მოწინავეში ვკითხულობთ: «ახლა, ისევე როგორც II ყრილობის შემდეგ, ორივე ფრაქცია (ბოლშევიკები და მენშევიკები), ალბათ, თანაბრად ძლიერია რიცხობრივად» და ცოტათი ქვემოთ მეორედ ვკითხულობთ :«ახლა, ისევე როგორც II ყრილობის შემდეგ, ორივე ფრაქცია თანაბრად გავლენიანია პარტიაში». ავტორის აზრი ნათელია. «ც. კ.-ის» ოფიციალური «გამოცემის» მოწინავე სტატიაში ეს აზრი დიდ მნიშვნელობას იძენს. მუშათა კლასის პარტიამ ზუსტად უნდა იცოდეს თუ ვისგან შესდგება მისი «ფრაქციები» და რამდენად არიან ისინი ძლიერნი. რას ემყარება მათი თანასწორობის აზრი?

ორში ერთი: ან ავტორს მხედველობაში ჰყავს პარტიის მხოლოდ რუსული ნაწილი (პლუს კავკასია), ანდა იგი უმატებს პოლონელებს, ლატვიელებსა და ბუნდს. თუ პირველ განმარტებას მივიღებთ, გამოდის, რომ ავტორი აღიარებს «უმრავლესობის» უდიდეს გაძლიერებას «უმცირესობის» ხარჯზე IV (გამაერთიანებელი) ყრილობის შემდეგ, ვინაიდან ამ ყრილობაზე წარმოდგენილი იყო დაახლოებით 13 000 ბოლშევიკი და 18 000 მენშევიკი. მაგრამ ასეთი განმარტება დაუჯერებელია, რადგან ნაციონალური სოციალ-დემოკრატიული პარტიები უკვე თვეზე მეტია რაც ყველანი გაერთიანდნენ რსდმ პარტიასთან. მაშასადამე, უნდა მივიღოთ მეორე განმარტება. მაშინ აშკარაა, რომ ავტორი პოლონელებსა და ლატვიელებს მიაკუთვნებს ბოლშევიკებს, ხოლო ბ უ ნ დ ს — მ ე ნ შ ე ვ ი კ ე ბ ს. თუ ვიანგარიშებთ, რომ, ნაციონალური სოციალ-დემოკრატიული პარტიების უკანასკნელ ყრილობათა მონაცემებით, არის დაახლოებით 40 000 პოლონელი და ლატვიელი, ბუნდის დაახლოებით 33 000 წევრი. მაშინ მართლაც მივიღებთ ორივე ფრაქციის დაახლოებითს თანასწორობას.

მაგრამ, იბადება კითხვა, მართებულია თუ არა ბუნდის მიკუთვნება მენშევიკებისადმი? რა თქმა უნდა, თუ ც. კ. ამტკიცებს ამას, ჩვენ მას უნდა დაეუჯეროთ. მაგრამ საჭიროა გამოვარკვიოთ ასეთი დაჯგუფების მნიშვნელობა. ტაქტიკის სფეროში იგი არ დასტურდება ბუნდის უკანასკნელი რეზოლუციებით, თუ ამ რეზოლუციებს ერთობლივად ავიღებთ. მაშასადამე, ახსნა-განმარტება უნდა ვეძიოთ ბუნდის ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი უ ლ პოზიციაში. ალბათ, ც. კ.-ის გამოცემა მხედველობაში იღებს, როგორც რ ე ა ლ უ რ ფაქტს, იმ გარემოებას, რომ ბუნდი საგანგებო ყრილობას არ მოითხოვს. ვისაც მართლა სურს შესცვალოს პარტიის, როგორც მთელის, პოლიტიკა, ე. ი. ც. კ.-ის პოლიტიკა, მან ყრილობა უნდა მოითხოვოს: ვინც არ მოითხოვს, მას არა სურს სერიოზულად შესცვალოს ეს პოლიტიკაო. — ასეთია აზრის ამ მსვლელობის დედაარსი.

ეს არგუმენტაცია უდავოა, და ჩვენს მოვალეობად მიგვაჩნია ხელი შევუწყოთ მის გამორკვევასა და სწორედ შეფასებას ჩვენი პარტიის ყველა ორგანიზაციის მიერ. მართლაც, დემოკრატიულ ორგანიზაციაში ნეიტრალიტეტი თითქმის შეუძლებელია და თავის შეკა-

ვება ხშირად მოქმედებას უდრის. ამ «მოქმედების» შედეგი თვალწინ გვაქვს. ც. კ.-ის გამოცემა ქადაგებს უაღრესად ბუნდოვან იდეებს «მუშათა ყრილობის» შესახებ და გარკვეულად და თანმიმდევრად მენშევიკურ პოზიციას ადგას ტაქტიკაში. თუ რა შედეგებით ემუქრება ეს მთელ პარტიას საარჩევნო კამპანიის ან გამოსვლებისადმი ახალ მოწოდებათა შემთხვევაში, ეს საკმაოდ ცხადყვეს ც. კ.-ის «ლოზუნგებმა» სათათბიროს დროს და მისი გარეკვის შემდეგ. თავისი ახლანდელი «თავშეკავებით» ბუნდი მართლაც გახდა მენშევიკური ტაქტიკისა და ც. კ.-ის პოლიტიკის თანამონაწილედ.

დაწერილია 1906 წ. ოქტომბრის დამდეგს
პირველად დაიბეჭდა 1931 წელს ლენინის კრებულში XVI

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც., ტ. 11, გვ. 265—269

Н. ЛЕНИНЪ.

Выступленіе Мартова и Череванина въ буржуазной печати.

РАЗСКАЗЪ О ТОМЪ, КАКЪ МЪНІЕ С.-Д ПОЛЬЗУЮТСЯ БУРЖУАЗНЫМИ, КАДЕТСКИМИ ГАЗЕТАМИ ВЪ РОДЪ „ТОВАРИЩА", А ЧЕРЕЗЪ НЕГО И „НОВАГО ПУТИ", ДЛЯ РАСПРОСТРАНЕНІЯ ЛОЖНЫХЪ СВѢДѢНІЙ О РЕВОЛЮЦІОННОЙ СОЦІАЛДЕМОКРАТІИ ОПРОВЕРЖЕНІЕ.—ОЦѢНКА—ВЫВОДЫ.

Цѣна 2 коп.

С.-ПЕТЕРБУРГЪ
Книгоиздательство „ПРОЛЕТАРСКОЕ ДѢЛО"
1908

სატიტულო ფურცელი პროშურისა «მარტოვისა და ჩერევანინის გამოსვლა ბურჟუაზიულ პრესაში»

ბ რ ო შ უ რ ი ღ ა ნ

«მარტოვისა და ჩერევანინის გამოსვლა ბურჟუაზიულ პრესაში»[50]

ამბავი იმისა, თუ როგორ სარგებლობს ზოგიერთი სოციალ-დემოკრატი ბურჟუაზიული, კადეტური, «ტოვარიშჩის» მსგავსი გაზეთებით, სოლო მისი მეშვეობით «ნოვი პუტ»-ითაც51, რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის შესახებ ყალბი ცნობების გასავრცელებლად. — უარყოფა. — შეფასება. — დასკვნები

სოციალ-დემოკრატები ბურჟუაზიულ გაზეთებში

ეკადრება თუ არა სოციალ-დემოკრატს მონაწილეობის მიღება ბურჟუაზიულ გაზეთებში?

არა, თეორიული მოსაზრებანიც, პოლიტიკური რიგიანობაც. ევროპის სოციალ-დემოკრატიის პრაქტიკაც ასეთი მონაწილეობის წინააღმდეგ ღაღადებს. ცნობილია, რომ ახლახანს გერმანელი სოციალ-დემოკრატების ერთერთ ყრილობაზე ეს საკითხი წამოიჭრა და კიდეც განიხილეს. ცნობილია, რომ ჩვენი გერმანელი ამხანაგები ს ა ს ტ ი კ ა დ ჰ გ მ ო ბ ე ნ სოციალ-დემოკრატების მონაწილეობას ბურჟუაზიულ პრესაში, გადაჭრით იბრძვიან, რომ რევოლუციური პროლეტარიატის პარტიამ ამ დარგშიც არ დაუშვას არც ბლოკი, არც შეთანხმება, არამედ შეინარჩუნოს დამოუკიდებლობა. რათა მუშათა პარტიის ლიტერატორები ს ა ქ მ ი თ, და არა მხოლოდ სიტყვით, შეკავშირებულნი იყვნენ, კონტროლს ემორჩილებოდნენ. ერთი სიტყვით, მტკიცე პარტიულნი იყვნენ.

გვაქვს თუ არა უფლება ამ წესებს გადავუხვიოთ რუსეთში?

ჩვენ შეგვეძლებიან: წესის გამონაკლისი ყოველთვის არის შესაძლებელია. — ეს უდავოა. არ შეიძლება გავკიცხოთ გადასახლებული, რომელ გაზეთსაც უნდა მიმართოს მან. ძნელია ხ ა ნ დ ა ხ ა ნ გაკიცხვა სოციალ-დემოკრატისა, რომელიც ხელფასის გული-

სათვის მუშაობს ბურჟუაზიული გაზეთის რომელსამე მეორეხარისხოვან განყოფილებაში. შეიძლება გავამართლოთ საჩქარო და საქმიანი უარყოფის მოთავსება და სხვ. და სხვ.

მაგრამ აბა შეხედეთ, რა ხდება ჩვენში, «გაუგებრობათა» უარყოფის სახით, რომლებსაც იწვევს სოციალ-დემოკრატიული «ნაშე დელო»,[32] ლ. მარტოვი წერს თითქმის ორ სვეტს კადეტურ გაზეთში, გულდამშვიდებით გადმოგვცემს ზოგი ს-დ.-ის შეხედულებებს, ეკამათება სხვა ს.-დ.-ებს, ამახინჯებს მისთვის მიუღებელი ს.-დ.-ების შეხედულებებს და სრულიად არ ფიქრობს იმ სიამოვნებაზე, რასაც იგი ჰგვრის პროლეტარიატის ყველა მტერს თავისი სალიტერატურო «ბლოკით» კადეტებთან. კადეტური გაზეთები მყისვე ეხმაურებიან ლ. მარტოვის მიერ კადეტურ პრესაში მოთავსებულ სტატიას, ახმაურებენ მას. თავისი მხრივაც ცოტა რასმე უმატებენ მარტოვის მიერ რევოლუციური სოციალ-დემოკრატების შესახებ გავრცელებულ სიყალბეს. მხარზე ხელს უთათუნებენ მარტოვს («რეჩი»)[33] და სხვ. ჩერევანინი შეაცდინეს, თუ მარტოვი «ტოვარიშჩში» აბათილებდა ჩერევანინის «გაუგებრობას» და ამავე დროს ათას და მრავალ კიდევ სხვა რამეზე ლაპარაკობდა, რატომ ჩერევანინსაც არ შეუძლია იმავე «ტოვარიშჩში» მოათავსოს ლ. მარტოვის «გაუგებრობათა» გაბათილება? სხვათა შორის, რატომ არ უნდა ისარგებლონ ამ შემთხვევით და არ დაიწყონ კადეტურ პრესაში (სოციალ-დემოკრატიულში მაინც სათაკილოა!) მსჯელობა საკითხზე, აძლიონ თუ არა სოციალისტებმა ხმა ბურჟუაზიულ კანდიდატურებს შეუთანხმებლადაც კი*?

და აი, კადეტურ გაზეთებში გახსნილია განსაკუთრებული განყოფილება: სოციალ-დემოკრატი ოპორტუნისტების საშინაო-სალიტერატურო მიმოწერა. ვინაიდან მისი საგანია მტკიცება, რომ დასაშვებია კადეტებთან ბლოკი და კადეტებისათვის ხმის მიცემაც კი, ამიტომ კადეტები სიამოვნებით უთმობენ კუთხეს მიუსაფარ «პროგრესულ» ს.-დ.-ებს, რომელნიც გაურბიან რევოლუციური სოციალ-დემოკრატის «კონსერვატიულ» წესებს.

ლიტერატურის მენშევიკი გენერლები ორ ბინად ეწყობიან. სუფთა ბინაში ისინი კეთილ ბატონებს ეგაასებიან კადეტებთან ბლოკზე და ამასთანავე ანეკდოტებს უამბობენ რევოლუციურ ს.-დ.-ებზე. მოუვლელ ბინაში რომელსამე მუშურ გაზეთში ან სოც.-დემ. გამოცემასა თუ ფურცელში, — ისინი მუშებს სთავაზობენ «მუშა-

* ფ. დანი უკვე გადაბარგდა «ტოვარიშჩში» არა «გაუგებრობათა» გასაბათილებლად. არამედ ისე, კომპანიის ვულისათვის.

თა უპარტიო ყრილობას» და ანათლებენ მათ — დამფუძნებელი კრებისათვის ბრძოლა უაზრობა და სიგიჟეაო. დაე, მუშებმა ცოტა მოიცადონ და მოითმინონ: როცა კადეტურ გაზეთ «ტოვარიშჩში» გათავდება სოციალ-დემოკრატიული დისკუსია სოციალისტების ბლოკზე ბურჟუაზიასთან, მაშინ მუშებიც ზოგ რასმე გაიგებენ... და, იყენებენ რა ტურგენევის ერთერთი პერსონაჟის საყოველდღეო წესს, მუშათა ყრილობის ჩვენებური მომხრეები წერილს წერილზე წერენ «ტოვარიშჩში» და თანაც გაიძახიან: ჩვენი პარტია ინტელიგენტური პარტიაარ...

ნუთუ მუშა სოციალ-დემოკრატები არ ჩაერევიან საქმეში. რათა ბოლო მოუღონ ამ უმსგავსობას? ნუთუ ეს საზოგადოდ ჩვენი პარტიის ყველა წევრისათვის სულ ერთია?

დაწერილია 1906 წ. ოქტომბერში
ცალკე ბროშურად დაიბეჭდა
1906 წ. ოქტომბერში
«პროლეტარსკოე დელოს» გამომც.

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.,
ტ. 11, გვ. 303—306

ს ტ ა ტ ი ი ნ ა ნ

«კადეტებთან ბლოკის შესახებ»

... და კადეტურმა პრესამ საუცხოოდ გაითვალისწინა კ.-დ.-თან მენშევიკების ბლოკის პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი მნიშვნელობა. ჩვენ ზემოთ ვთქვით: ლიბერალების უკან ჩანჩალი თუ რევოლუციონერების მეთაურობა. ამის დასადასტურებლად ჩვენ დავიმოწმებთ ჩვენს პოლიტიკურ პრესას.

განა იპოვნით რაოდენადმე მაინც სერიოზულსა და მასობრივ დადასტურებას იმისას, რომ ბოლშევიკები უკან მისჩანჩალებდნენ ბურჟუაზიულ რევოლუციონერებს, მათზე იყვნენ დამოკიდებულნი? სასაცილოცაა ამაზე ლაპარაკი. რუსეთის მთელი პრესა ცხადად გვიჩვენებს, და რევოლუციის ყველა მტერიც აღიარებს, რომ სწორედ ბოლშევიკები ატარებენ დამოუკიდებელ პოლიტიკურ ხაზს და იმხრობენ ბურჟუაზიული რევოლუციონერების ცალკეულ ჯგუფებსა და საუკეთესო ელემენტებს.

ბურჟუაზიული ოპორტუნისტები კი? მათ ათჯერ უფრო მეტი პრესა აქვთ, ვიდრე ყველა ს.-დ. და ს.-რ. ერთად, და სწორედ ისინი ატარებენ დამოუკიდებელ პოლიტიკურ ხაზს, მენშევიკებსა და სახალხო სოციალისტებს კი უბრალო დამქაშებად აქცევენ.

მენშევიკების რეზოლუციებიდან მ თ ე ლ კადეტურ პრესაში შოყვანილია მ ხ ო ლ ო დ ადგილები ბლოკის შესახებ და გ ა მ ო ტ ო ვ ე ბ უ ლ ი ა «სათათბიროს უძლურება», «რევოლუციის ძალების ორგანიზაცია სათათბიროს შიგნით», და სხვა ასეთი რამეები. კადეტები არა თუ გამოსტოვებენ ხოლმე ასეთ რამეებს, არამედ პ ი რ დ ა პ ი რ ჰ გ მ ო ბ ე ნ მათ; ისინი ლაპარაკობენ ხან მენშევიკების «ფრაზებზე», ხან «არათანამიმდევრობაზე», ხან «მენშევიზმის ლოზუნგების მერყეობაზე», ხან «მენშევიკების მიმართ ბოლშევიკების დამღუპველ გავლენაზე».

რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი ნების წინააღმდეგ. საუკეთესო მენშევიკების სურვილის წინააღმდეგ, პოლიტიკური ცხოვრება ანგარიშს უწევს მათს კადეტურ საქმეს და უკუაგდებს მათს რევოლუციურ ფრაზებს.

კადეტი ჯიბეში იდებს მენშევიკების დახმარებას, მხარზე ხელს უთათუნებს პლეხანოვს ბლოკის ქადაგებისათვის, და იქვე, ზიზღით, ტლანქად, როგორც ნაძარცვი მოგებით გამაძღარი ვაჭარი, გაჰყვირის: ეს ცოტაა, ბატონო მენშევიკებო! საჭიროა კიდევ იდეური დაახლოება! (იხილე «ტოვარიშჩის» სტატიები პლეხანოვის წერილის გამო), — ეს ცოტაა, ბატონო მენშევიკებო, საჭიროა აგრეთვე შეწყვიტოთ ან, ყოველ შემთხვევაში, შესცვალოთ პოლემიკა! (იხილე მემარცხენე კადეტური «ვეკის»[54] მოწინავე სტატია ჩვენი კონფერენციის რეზოლუციების შესახებ). აღარას ვამბობ «რეჩზე», რომელიც პირდაპირ სიტყვას აწყვეტინებს კადეტებზე დანაღვლიანებულ მენშევიკებს და აცხადებს: «ჩვენ სათათბიროში მივდივართ საკანონმდებლოდ» და არა რევოლუციის მოსახდენადაო!

საბრალო მენშევიკები, საბრალო პლეხანოვი! მათი სასიყვარულო უსტარები კადეტებისადმი სიამოვნებითაა წაკითხული. მაგრამ მათ ჯერ კიდევ დერეფანს იქით არ უშვებენ.

შეხედეთ პლეხანოვის გამოსვლას ბურჟუაზიულ, კადეტურ გაზეთ «ტოვარიშჩში». რა აღტაცებით შეხვდნენ მას ბ-ნი პროკოპოვიჩი და ქ-ნი კუსკოვა, სწორედ ისინი, რომელნიც პლეხანოვმა 1900 წელს განდევნა ს.-დ. პარტიიდან ამ პარტიის ბურჟუაზიულად გახრწნის ცდისათვის. ახლა პლეხანოვმა მიიღო ტაქტიკა პროკოპოვიჩისა და კუსკოვას განთქმული «credo»-ის*, — და ბერნშტეინელებიც უტიფრად უგზავნიან მას ჰაეროვან კოცნას და გაჰყვირიან: ჩვენ, ბურჟუაზიული დემოკრატები, ყოველთვის ამას ვამბობდითო!

ხოლო პლეხანოვი, რათა კადეტურ დერეფანში მოხვედრილიყო, იძულებული გახდა მთელი ხალხის წინაშე უარი ეთქვა თავის გუშინდელ განცხადებებზე.

აი ფაქტები.

«დნევნიკის»[55] მე-6 ნომერში, 1906 წ. ივლისს, სათათბიროს გარეკვის შემდეგ. პლეხანოვი წერდა: პარტიები, რომლებიც მოძრაობაში მონაწილეობენ, უნდა შეთანხმდნენო. ერთად რომ დავარტყათ. საჭიროა წინასწარ პირი შევკრათო. «ჩვენი

* — მრწამსი, პროგრამა, მსოფლმხედველობის გადმოცემა. რედ.

ძველი წესწყობილების მოძულე პ ა რ ტ ი ე ბ ი უნდა... შეუთანხმდნენ ერთმანეთს ამ პროპაგანდის ძირითადი იდეის შესახებ. ხოლო სათათბიროს გარეკვის შემდეგ ასეთი იდეა შეიძლება იყოს მხოლოდ დამფუძნებელი კრების იდეა»...

...«მხოლოდ» დამფუძნებელი კრების იდეა. ასეთი იყო გეგმა პოლიტიკური ბლოკისა და საბრძოლო შეთანხმებისა პლეხანოვისათვის 1906 წ. ივლისში.

ხუთი თვის შემდეგ, 1906 წ. ნოემბერს, პლეხანოვი სცვლის შეთანხმების ხაზს. რატომ? ნუთუ მას შემდეგ შეიცვალა ურთიერთდამოკიდებულება იმ პარტიებისა, რომლებიც დამფუძნებელ კრებას მოითხოვენ ან არ მოითხოვენ?

კადეტები მას შემდეგ, ეს საერთო აზრია, კიდევ უფრო შორს წავიდნენ მარჯვნივ. პლეხანოვი კი მ ი დ ი ს კადეტურ პრესაში და ს დ უ მ ს დამფუძნებელი კრების შესახებ, რომელზედაც ლაპარაკი აკრძალულია ლიბერალთა დერეფნებში.

ნუთუ ცხადი არ არის, რომ ამ სოციალ-დემოკრატს ფეხი დაუცდა?

მაგრამ ეს ცოტაა. «დნევნიკის» იმავე მე-6 ნომერში პლეხანოვი პ ი რ დ ა პ ი რ კადეტებზე ლაპარაკობდა. პლეხანოვი განმარტავდა მ ა შ ი ნ (მას შემდეგ დიდი ხანია, დიდი!) დამფუძნებელი კრების იდეისადმი კადეტთა უნდობლობის ანგარებიან-კლასობრივ ხასიათს. პლეხანოვი მაშინ სიტყვასიტყვით შემდეგს წერდა კადეტების შესახებ:

«ვინც უარს იტყვის ამ იდეის (დამფუძნებელი კრების) პროპაგანდაზე ამა თუ იმ საბაბით, იგი ნათლად გვაგრძნობინებს, რომ, არსებითად, არც კი ეძებს საკადრისი პასუხი გასცეს ბ-ნ სტოლიპინისა და კომპანიის მოქმედებას, რომ იგი, თუნდაც გულის წუხილით, უ რ ი გ დ ე ბ ა ა მ მ ო ქ მ ე დ ე ბ ა ს; რომ იგი ილაშქრებს მის წინააღმდეგ მ ხ ო ლ ო დ ს ი ტ ყ ვ ი ე რ ა დ, მ ხ ო ლ ო დ თ ვ ა ლ ი ს ა ს ა ხ ვ ე ვ ა დ» (ხაზგასმა ჩვენია).

პლეხანოვმა ახლა მიაშურა კადეტურ გაზეთს და საარჩევნო ბლოკის ქადაგება იდეური ბლოკის განხორციელებით დაიწყო. კადეტურ გაზეთში პლეხანოვმა არ მოისურვა ხალხისათვის ეთქვა, კადეტები უ რ ი გ დ ე ბ ი ა ნ სტოლიპინის ბრბოს, ისინი მ ხ ო ლ ო დ თ ვ ა ლ ი ს ა ს ა ხ ვ ე ვ ა დ ილაშქრებენო.

რატომ არ მოისურვა პლეხანოვმა 1906 წ. ნოემბერში გაემეორებინა ის, რაც მან 1906 წ. ივლისში თქვა?

აი რას ნიშნავს «ტექნიკური» ბლოკი კადეტებთან, და აი რატომ ვეწევით ჩვენ ულმობელ ბრძოლას ამ ბლოკის დამშვებ სოციალ-დემოკრატებთან.

ნაადრევად ხომ არ ზეიმობთ, ბატონო კადეტებო? უბლოკოდ მოახდენენ სოციალ-დემოკრატები არჩევნებს კავკასიასა და ურალში, პოლონეთსა და ლატვიის მხარეში, პოსკოვის ცენტრალურ ოლქში და, ალბათ, პიტერში.

არავითარი ბლოკი კადეტებთან! არავითარი შერიგება იმათთან, ვინც სტოლიპინის ბრბოს ურიგდება!

«პროლეტარი» № 8,
1906 წ. 23 ნოემბერი

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.,
ტ. 11, გვ. 373—376

ს ვ ა ვ ი ი ღ ა ნ

«წინასიტყვაობა კრებულისა «12 წლის მანძილზე»»

...«რა ვაკეთოთ?» 1901 და 1902 წლების ისკრული ტაქტიკის, ისკრული ორგანიზაციული პოლიტიკის შ ე ჯ ა მ ე ბ ა ა. სწორედ: «შ ე ჯ ა მ ე ბ ა», არც მეტი და არც ნაკლები. ვინც გაირჯება და გაეცნობა 1901 და 1902 წლების «ისკრას», ის ამაში უეჭველად დარწმუნდება. ხოლო ვინც ამ შეჯამებაზე მსჯელობს ისე, რომ არ იცნობს «ისკრის» ბრძოლას მაშინ გ ა ბ ა ტ ო ნ ე ბ უ ლ ეკონომიზმთან და არ ესმის ეს ბრძოლა, ის ტყუილად ხარჯავს სიტყვებს. «ისკრა» იბრძოდა პროფესიონალ რევოლუციონერთა ორგანიზაციის შესაქმნელად, იბრძოდა განსაკუთრებული ენერგიით 1901 და .1902 წლებში, მან დაამარცხა მაშინ გაბატონებული ეკონომიზმი, საბოლოოდ შ ე ქ მ ნ ა ეს ორგანიზაცია 1903 წელს, შეინარჩუნა ეს ორგანიზაცია, მიუხედავად ისკრელთა შემდგომი გათიშვისა, მიუხედავად ქარიშხლისა და შეტევის ხანის მთელი მღელვარებისა, შეინარჩუნა იგი რუსეთის მთელი რევოლუციის განმავლობაში, შეინარჩუნა და შეინახა იგი 1901 — 1902-დან 1907 წლამდე...

დაიბეჭდა 1907 წლის ნოემბერში კრებულში: «12 წლის მანძილზე», ს. — პეტერბურგი

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც., ტ. 13, გვ. 116

რსდმპ ს.-პეტერბურგის ორგანიზაციის კონფერენცია

საგაზეთო ანგარიშიდან

3

მოხსენება ბურჟუაზიულ პრესაში სოციალ-დემოკრატების მონაწილეობის შესახებ

ამხ. ლენინის მეორე მოხსენება ეხებოდა ბურჟუაზიულ პრესაში სოციალ-დემოკრატების მონაწილეობის საკითხს. მომხსენებელმა გადმოგვცა საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის ორი ფრთის თვალსაზრისი ამის შესახებ და განსაკუთრებით გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრ ორთოდოქსებისა და რევიზიონისტების შეხედულებანი. დრეზდენის პარტეიტაგზე ორთოდოქსები დათანხმდნენ ისეთ პრესაში მონაწილეობის შესაძლებლობის ფორმულას, რომელიც მტრულად არ არის განწყობილი სოციალ-დემოკრატიის მიმართ, და ამას იმით ასაბუთებდნენ, რომ პრაქტიკულად ეს უდრის სრულ აკრძალვას, რადგან დღევანდელ განვითარებულ კაპიტალისტურ საზოგადოებაში არ არსებობს ისეთი ბურჟუაზიული გაზეთები, რომლებიც მტრულად არ იყვნენ განწყობილნი სოციალ-დემოკრატიის მიმართო.

მომხსენებელი დგას იმ თვალსაზრისზე, რომ უთუოდ შეუწყნარებელია ბურჟუაზიულ, განსაკუთრებით ვითომც უპარტიო პრესაში პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი მონაწილეობა. ისეთ გაზეთებს, როგორიცაა, მაგალითად, «ტოვარიშჩი», თავისი ფარულ-პირმოთნე ბრძოლით სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგ გაცილებით უფრო მეტი ზიანი მოაქვთ მისთვის, ვიდრე სოციალ-დემოკრატიის მიმართ აშკარად მტრულად განწყობილ პარტიულ ბურჟუაზიულ გაზეთებს. ამის საუკეთესო ილუსტრაციად გამოდგება პლეხანოვის, მარტოვის, გორნის, კოგანისა და სხვათა გამოსვლები «ტოვარიშჩში». ყველა ეს გამოსვ-

ლა მიმართულია პარტიის წინააღმდეგ, და სინამდვილეში ამბ. სოციალ-დემოკრატებს კი არ გამოუყენებიათ ბურჟუაზიული გაზეთი «ტოვარიშჩი», არამედ ამ გაზეთმა გამოიყენა დასახელებული ამხანაგები მისთვის საძულველი რსდმ პარტიის წინააღმდეგ. სოციალ-დემოკრატების არც ერთი სტატია, რომელიც არ მოსწონებია «ტოვარიშჩის» რედაქციას, დღემდე არ გამოქვეყნებულა.

«პროლეტარი» № 20,
1907 წლის 19 ნოემბერი

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.,
ტ. 13, გვ. 166—167

ა. მ. გორკის

7. II. 8.

ძვირფასო ა. მ.! თქვენი განცხადების შესახებ მოვეთათბირები— ა. ა—ს: ჩემი აზრით, დაბეჭდვა არა ღირს, რადგან პირადად არ იცნობდით.

რომელ ბოლშევიკურ კრებულში გაგზავნეთ სტატია ცინიზმზე? გაოცებული ვარ, რადგან ბოლშევიკური კრებულების შესახებ გულმოდგინედ მწერენ, ამაზე კი არაფერი მსმენია. იმედი მაქვს, რომ პიტერის კრებულში. სენკევიჩისადმი წერილი, თუ პირი გაქვთ, გამოგზავნეთ (ზედ აღნიშნეთ, რ ო დ ი ს არის გაგზავნილი), — მაგრამ სენკევიჩი ალბათ გამოაქვეყნებს, რაკი ანკეტაა.

თქვენი გეგმები ძალიან საინტერესოა, და მე სიამოვნებით ჩამოვიდოდი. მაგრამ, დამეთანხმეთ, ხომ ვერ მივატოვებ პარტიულ საქმეს, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა მოგვარდეს[56]. ახალი საქმის მოგვარება ძნელია. მიტოვება არ შემიძლია. დაახლოებით ერთ-ორ თვეში ძოვაგვარებ, და მაშინ თავისუფლად დავანებებ თავს ერთიორი კვირით.

ათასჯერ გეთანხმებით, რომ საჭიროა ს ი ს ტ ე მ ა ტ უ რ ი ბრძოლა პოლიტიკურ დაცემულობასთან, რენეგატობასთან, წუწუნთან და სხვ., რაც შეეხება «საზოგადოებას» და «ახალგაზრდობას», არა მგონია ამაში უთანხმოება გვქონდეს. ინტელიგენტების მნიშვნელობა ჩვენს პარტიაში ეცემა: ყოველი მხრიდან მოდის ცნობები, რომ ინტელიგენცია გ ა რ ბ ი ს პარტიიდან. ჯანაბამდე გზა ჰქონიათ ამ არამზადებს. პარტია იწმინდება მეშჩანური ნაგვისაგან. მუშები უფრო მეტად ჰკიდებენ ხელს საქმეს. ძლიერდება პროფესიონალი მუშების როლი. ყოველივე ეს საუცხოოა, და დარწმუნებული ვარ, რომ თქვენი «მუჯლუგუნებიც» ამავე აზრით უნდა იქნეს გაგებული.

ახლა — როგორ მოვახდინოთ ზეგავლენა, სახელდობრ როგორი «ლიტერატურა ვაკეთოთ»? კრებულები თ უ «პროლეტარი»? რა-

საკვირველია, ყველაზე ადვილია პასუხი: არა თ უ, არამედ დ ა — პასუხი უზადო, მაგრამ ნაკლებად პრაქტიკული იქნება. ლეგალური კრებულები, რასაკვირველია, უნდა იყოს; ჩვენი ამხანაგები პიტერში ოფლის ღვრით მუშაობენ ამ კრებულებზე და მეც ვმუშაობდი, ლონდონის შემდეგ, კვაკალაში რომ ვიჯექი. თუ შესაძლებელია, — ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ ხელი შევუწყოთ მათ და განვაგრძოთ ეს კრებულები.

მაგრამ ჩემმა გამოცდილებამ ლონდონიდან XI. 07-მდე (ნახევარი წელიწადი!) დამარწმუნა, რომ ს ი ს ტ ე მ ა ტ უ რ ლეგალურ ლიტერატურას ახლა ვერ შექმნი. დარწმუნებული ვარ, რომ პ ა რ ტ ი ა ს ახლა სჭირდება პოლიტიკური ორგანო, რომელიც წესიერად გამოვა, მტკიცედ და ძლიერად გაატარებს დაშლასთან და გულგატეხილობასთან ბრძოლის ხაზს, — პ ა რ ტ ი უ ლ ი ორგანო, პოლიტიკური გაზეთი. ბევრ რუსეთელს არა სწამს საზღვარგარეთული ორგანო. მაგრამ ეს შეცდომაა, და ჩვენმა კოლეგიამ ტყუილად როდი დაადგინა «პროლეტარის» აქ გადმოტანა. თქმა არ უნდა, ძნელია მისი მოგვარება, დაყენება, გამოცოცხლება. მაგრამ ეს უ ნ დ ა გაკეთდეს, და ეს გაკეთდება.

ამ ორგანოში რატომ არ უნდა იყოს შეტანილი ლიტერატურული კრიტიკა? ადგილი ცოტაა? მე, რა თქმა უნდა, არ ვიცნობ თქვენი მუშაობის სისტემას. სამწუხაროდ, შეხვედრის დროს უფრო მასლაათი გვქონდა ხოლმე, ვიდრე საქმიანი ლაპარაკი. თუ თქვენ ვერ ეწყობით პატარა, მოკლე, პერიოდულ (კვირეულ, ორკვირეულ) სტატიებს, თუ უკეთ გრძნობთ თავს, როცა დ ი დ სამუშაოს ეწევით, — მაშინ, რა თქმა უნდა, არ გირჩევთ მის შეწყვეტას. იგი მეტ სარგებლობას მოიტანს!

მაგრამ თუ გეხალისებათ ერთად მუშაობაც პოლიტიკურ გაზეთში, — რატომ არ უნდა განაგრძოთ, ჩვეულებად არ უნდა შემოიღოთ ის ჟანრი, რომელიც თქვენ დაიწყეთ «შენიშვნებით მეშჩანობის შესახებ» «ნოვაია ჟიზნში» და, ჩემი აზრით, კარგადაც დაიწყეთ? მე «წინასწარ მოფიქრებული განზრახვით» მოგწერეთ ამაზე ერთ-ერთ პირველსავე წერილში, და ვფიქრობდი: თუ მას ეს იზიდავს, ხელს ჩასჭიდებს-მეთქი. და მე ვფიქრობ, რომ უკანასკნელ წერილში თქვენ თითქოს ხელს სჭიდებთ. თუ ვცდები? რამდენად მოიგებდა პარტიული მუშაობაც გაზეთის საშუალებით, გაზეთისა, რომელიც არ იქნება ისეთი ცალმხრივი, როგორც წინათ იყო, — და ლიტერატურული მუშაობაც, რომელიც უფრო მჭიდროდ დაუკავშირდებოდა პარტიულ მუშაობას, პარტიაზე სისტემატურ, განუწყვეტელ ზემოქმედებას! რომ იყოს არა «თავდასხმები», არამედ მთლიანი შეტევა მთე-

ლი ხაზით, შეუჩერებლად, უხარვეზებოდ, რომ ს.-დ. ბოლშევიკები არა მარტო ნაწილ-ნაწილ ესხმოდნენ თავს ყოველგვარ უეყეჩებს, არამედ იპყრობდნენ ყველაფერს და ყოველივეს ისე, როგორც იაპონელები იპყრობდნენ მანჯურიას რუსებთან ბრძოლაში.

სამი თემიდან, რომლებსაც თქვენ კრებულებისათვის ითვალისწინებთ (ფილოსოფია, ლიტერატურული კრიტიკა და მომენტის ტაქტიკა), ერთნახევარი გადავიდოდა პოლიტიკურ გაზეთში, «პროლეტარში»: მომენტის ტაქტიკა და ლიტერატურული კრიტიკის ნახევარი მაინც. ოჰ, სიკეთეს არ მოიტანს განსაკუთრებული, გრძელი ლიტერატურულ-კრიტიკული სტატიები — გაბნეულნი სხვადასხვა ნახევარადპარტიულ და არაპარტიულ ჟურნალებში! უმჯობესია ვსინჯოთ გადავდგათ ნაბიჯი ამ ინტელიგენტური ძველი, დიდკაცური ჩვეულებისაგან შორს, ესე იგი ლიტერატურული კრიტიკაც უ ფ რ ო მ ჭ ი დ რ ო დ დავუკავშიროთ პარტიულ მუშაობას, პარტიის მიმართ ხელმძღვანელობას. ასე აკეთებენ მოწიფული ს.-დ. პარტიები ევროპაში. ასევე უნდა ვაკეთებდეთ ჩვენც, არ უნდა გვეშინოდეს ასეთ საქმეში კოლეგიალური საგაზეთო მუშაობის პირველი ნაბიჯების სიძნელეებისა.

დიდი ლიტერატურულ-კრიტიკული შრომები — წიგნებში, ნაწილობრივ ჟურნალებში.

სისტემატური, პერიოდული სტატიები, პოლიტიკური გაზეთის კონცერტში, პარტიულ მუშაობასთან დაკავშირებით, იმ ხასიათისა, «ნ ო ვ ა ი ა ჟ ი ზ ნ მ ა» რომ წამოიწყო — თქვით, გაქვთ თუ არა ამის ხალისი?

მესამე სიუჟეტი ფილოსოფიაა. მე ძლიერ ვგრძნობ, რომ მოუმზადებელი ვარ ამ დარგში, რაც ხელს მიშლის საჯაროდ გამოვიდე. მაგრამ, როგორც რიგითი მარქსისტი, ყურადღებით ვკითხულობ ჩვენს პარტიულ ფილოსოფოსებს, ყურადღებით ვკითხულობ ემპირიომონისტ ბოგდანოვს და ემპირიოკრიტიკოსებს ბაზაროვს, ლუნაჩარსკის და სხვ. — მ თ ე ლ ჩემს სიმპათიას ი ს ი ნ ი წარმართავენ პ ლ ე ხ ა ნ ო ვ ი ს ა კ ე ნ! ხომ უნდა გქონდეს ფიზიკური ძალა, რომ არ აჰყვე განწყობილებას, როგორც პლეხანოვი აკეთებს! მისი ტაქტიკა უკიდურესი უხამსობა და სიმდაბლეა. ფილოსოფიაში იგი მართალ საქმეს იცავს. მე ვემხრობი მატერიალიზმს «ემპირიო-»ების და სხვ. წინააღმდეგ.

განა შეიძლება, განა უნდა ვუკავშირებდეთ ფილოსოფიას პარტიული მუშაობის მიმართულებას? ბოლშევიზმს? ვფიქრობ, რომ ახლა არ შეიძლება ამას ვაკეთებდეთ. დაე ჩვენმა პარტიულმა ფი-

ლოსოფოსებმა ერთ ხანს კიდევ იმუშაონ თეორიაზე, იდავონ და... ბ ო ლ ო მ დ ე თქვან ყველაფერი. მე კი ჯერჯერობით მხარს დავუჭერ იმას, რომ ი ს ე თ ი ფილოსოფიური დავა, როგორიც მატერიალისტებსა და«ემპირიო-»ებს შორის არის, გამოეყოს მთლიან პარტიულ მუშაობას.

ველი თქვენს პასუხს, ახლა კი უნდა დავამთავრო.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

გაგზავნილია ჟენევიდან
კუნძულ კაპრიზე (იტალია)
პირველად დაიბეჭდა 1934 წელს

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.,
ტ. 34, გვ. 431—434

ა. მ. გორკის

რა მიზეზით არ ვიღებთ თქვენგან ცნობებს, ძვირფასო ამ. მ.? იწერებოდით, კარგა ხანია დავამთავრე დიდი სამუშაო, და აპირებ-დით დაგვხმარებოდით «პროლეტარში». როდისღა? რა იქნება ჟელტონი რომ დაწეროთ ტოლსტოიზე ან ა. შ.? მოიწერეთ, აპი-რებთ თუ არა?

ალ. ალ. თქვენთან წამოვიდა. მე ვერც გაზეთს მივატოვებ, ვერც მუშაობას დავანებებ თავს. მაგრამ ეს მხოლოდ ჯერჯერობით, ჩა-მოსვლას მაინც ვაპირებ.

როგორია, თქვენი აზრით, «პ რ ო ლ ე ტ ა რ ი»? მიმხედავი არა ჰყავს. ასე უყურადღებოდ ჯერ არასოდეს არ მოვკიდებივარ ჩემს გაზეთს: მთელი დღეობით ვკითხულობ წყეულ მახისტებს, გაზეთი-სათვის კი სტატიებს მეტისმეტად ნაჩქარევად ვწერ.

აბა, ხელს გართმევთ. თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

მ. თ — ს ათასი მოკითხვა! ჟელოსიპედით ჩამოვალ მასთან!

ანატ. ვას — საც დაავალეთ წეროს «პ რ ო ლ ე ტ ა რ შ ი»! საშუა-ლება ვომეცით ერთ ხანს ვილანძღო ფილოსოფიურად, ჯერჯერობით დაეხმარეთ «პროლეტარს»!

დაწერილია 1908 წ. აპრილის
პირველ ნახევარში
გაგზავნილია ჟენევიდან
კუნძულ კაპრიზე (იტალია)
პირველად დაიბეჭდა 1924 წელს

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.,
ტ. 34, გვ. 445

ნ ე რ ი ლ ი ლ ა ნ

ა. ვ. ლუნაჩარსკის

ანატ. ვას—ძეს

16. IV. 06.

ძვირფასო ა. ვ.!

თქვენი წერილი მივიღე. ძ ა ლ ი ა ნ მოხარული ვარ, რომ თქვენ ჰკიდებთ ხელს «პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ს». ეს მეტისმეტად ს ა ჭ ი რ ო ა, გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ ი თ კი სწორედ თქვენ მიერ დასახული თემები+! კორესპონდენციები იტალიიდან. აბა თქვენ იცით, ნუ დაივიწყებთ, რომ თქვენ პარტიული გაზეთის თანამშრომელი ხართ და გარშემო მყოფთაც ნუ დაავიწყებთ.

მაგრად გართმევთ ხელს.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

გაგზავნილია ჟენევიდან
კუნძულ კაპრიზე (იტალია)
პირველად დაიბეჭდა 1934 წელს

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.,
ტ. 34, გვ. 446

პ. იუშკევიჩს

10. XI.

მ. ხ.! თანახმა არა ვარ არც მარქსიზმის გაწყალწყალებაზე, არც იმაზე, რომ თავისუფალი ტრიბუნა დამეთმოს ჩემთვის უცნობ რედაქციაში[57].

ნ. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1908 წ. 10 ნოემბერს
გაგზავნილია ჟენევიდან პეტერბურგში
პირველად დაიბეჭდა 1933 წელს

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.,
ტ. 34, გვ. 453

ს ჯ ა ჯ ი ი ღ ა ნ

«ორი წერილის გამო»

... ჩვენ ჯერ კიდევ არ გაგვაჩნია ცენტრალური ორგანო, რომელიც რეგულარულად გამოდიოდეს და მთელი პარტიის სახელით თვალყურს ადევნებდეს ფრაქციის ყოველ ნაბიჯს და წარმართავდეს ფრაქციას. ჩვენმა ადგილობრივმა ორგანიზაციებმა ჯერ კიდევ ძალიან, ძალიან ცოტა რამ გააკეთეს იმავე მუშაობის მხრივ — სათათბიროში სოციალ-დემოკრატების თვითეული გამოსვლის გამო მასებში აგიტაციის გაწევის მხრივ და ამა თუ იმ გამოსვლის ყოველგვარი შეცდომის განმარტების მხრივ. და ჩვენ მოგვიწოდებენ ხელი ჩავიქნიოთ, ბრძოლა უიმედო საქმედ მივიჩნიოთ, ხელი ავიღოთ სათათბიროს ტრიბუნის გამოყენებაზე 1908 წლის მსგავს მომენტებში. ერთხელ კიდევ: ეს პოლიტიკა კი არა, ნერვიულობაა.

მკაფიო გამოსვლები არ არისო, — ამბობთ თქვენ. ამ «მკაფიო გამოსვლების» გამო ორი რამ უნდა განვასხვაოთ: ჯერ-ერთი, ის, რომ პარტია ცუდად იცნობს საქმეს, მეორეც, ფრიად სერიოზული პრინციპული შეცდომა თვით მკაფიო გამოსვლების საკითხის დასმაში საერთოდ.

პირველი საკითხის გამო უნდა ითქვას, რომ დღევანდლამდე ყველა, ვისაც სურდა საქმიანად გაეკრიტიკებინა ფრაქცია, აღნიშნავდა მთელ რიგ უსათუოდ სერიოზულ შეცდომებს (დეკლარაცია; შვარცისათვის მილიონების მიცემის სასარგებლოდ ხმისმიცემა; თათბირი სახალხო დემოკრატებთან; პ ა რ ტ ი ი ს ა თ ვ ი ს რელიგიის კერძო საქმედ ცნობა; სიჩუმე 1908 წლის 15 ოქტომბრის შეკითხვის გამო; კადეტებისათვის მკაფიო კრიტიკის გაუწევლობა, და ა. შ.). ამ შეცდომების მიჩქმალვა, როგორც იქცევიან მენშევიკები, რომლებსაც ყველაფერი საუკეთესოდ მიაჩნიათ, გარდა ჩილიკინის გამოსვლისა, უდიდესი უგვანობაა. ეს შეცდომები კი არ უნდა მივჩქმალოთ,

არამედ ცხადვყოთ საჯაროდ, ჩვენს ადგილობრივსა და არაადგილობრივ ორგანოებში, ყოველ კრებაზე, სააგიტაციო ფურცლებში, რომლებსაც ვავრცელებთ მასაში ყოველი გამოსვლის გამო. ფრაქციის საქმიანი კრიტიკისათვის და ასეთ კრიტიკასთან პროლეტარული მასების გასაცნობად ჩვენ ჯერ კიდევ წარმოუდგენლად ცოტა გვაქვს გაკეთებული. ჩვენ ყველამ და ყველგან უნდა მოვკიდოთ ხელი მუშაობას ამ მიმართულებით...

«პროლეტარი» № 39, 1908 წ.
13 (26) ნოემბერი

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც., ტ. 15, გვ. 362—363

ა. ი. ულიანოვა-ელიზაროვას

24. Rue Beaunier. Paris (XIV-me)

24. XII. 08.

შვირფასო ანიუტა! დღეს მივიღე შენი წერილი კორექტურების შესახებ და ვჩქარობ მოგწერო რამდენიმე სიტყვა, თუმცა წინა წერილში მე, ვგონებ, უკვე მოვსპე გაუგებრობა. მე არ ვვარაუდობდი და არ ვვარაუდობ, რომ კორექტურები აქ სასწორებლად მიგზავნოთ, ე. ი. აქედან რომ ელოდებოდეთ გასწორებულს. მე გთხოვთ მიგზავნოთ კორექტურები ყოველი შემთხვევისათვის, ე. ი. ან იმისათვის, რომ შემეძლოს აღვნიშნო შეცდომები და უმნიშვნელოვანესი შესწორებები, ან იმისათვის, რომ დეპეშით შევაჩერო საგანგებო შემთხვევაში და სხვ., ან, ბოლოს, იმისათვის, რომ ერთი დაბეჭდილი ანაბეჭდი მაინც მქონდეს რაიმე ნაკლებმოსალოდნელი შემთხვევისათვის.

ამიტომ გთხოვ ამოაღებინო ხოლმე პირველი კორექტურის (ან მეორის, ხოლო კიდევ უკეთესია პირველისაც და მეორისაც) ორი ეგზემპლარი: ერთს შენ წაიკითხავ, მეორე კი მაშინვე ჩემთან გამოიგზავნება და არავის არაფერში არ შეაფერხებს. ასეთი რამ, ვფიქრობ, სავსებით შესაძლებელია გამომცემლისათვის: ოდნავაც არ შევაჩერებ, თუ მთლად უკიდურესი საჭიროება არ იქნა. თუ კორექტურული ანაბეჭდის ორი ეგზემპლარის ამოღება ხარჯებს მოითხოვს (არა მგონია ეს ასე იყოს, და ეს საკითხი რომ ჩვენ გამოვიწვიოთ, არა ღირს), მე თანახმა ვარ ეს ხარჯი ვიკისრო.

თუ პირველ კორექტურულ ანაბეჭდს რეგულარულად გამოგზავნით ხოლმე, შეჩერება არასოდეს არ იქნება ერთი კვირა, ვინაიდან რამდენიმე დღე გავა მის სრულ გასწორებამდე და დაბეჭდვამდე (1-ლი კორექტურის სწორება; მე-2 კორექტურის სწორება; დაკაბადონება; ბეჭდვა). გამომცემელი ცრუობს, თითქოს ერთი კვირა შეჩერება გამოდის.

ჰო. შეჩერების შემთხვევისათვის აქედანვე შეგითანხმდები დეპეშის შესახებ. მე მოგწერ: arrêtez 12 ან 65 და სხვ., ამასთან arrêtez იმაზე მიგითითებს, რომ ბეჭდვა შეაჩეროთ, ესე იგი დაელოდოთ ავტორის კორექტურას, ორი ციფრი კი მიგითითებს პირველი — თავზე, მეორე §-ზე (12=თ. 1, § 2; 65=თ. 6, § 5 და ა. შ.). ვიმეორებ, რომ ამას გავაკეთებ მხოლოდ აუცილებელი უკიდურესობის შემთხვევაში.

პარაგრაფების სათაურები, თუ შესაძლებელია, სჯობს აიწყოს არა მსხვილი შრიფტით, არამედ პეტიტით ან კურსივით. მაგრამ ამას, რა თქმა უნდა, მნიშვნელობა არა აქვს.

ხომ არ დაკარგულა ერთი წერილი დამატებებითა და წვრილმანი შესწორებებით? ე. ბეხერის შესახებ შესწორებები და დამატებები მიგიღია, ამას შენი წერილიდან ვხედავ, მაგრამ მის წინ კიდევ ეყო ერთი წერილი შესწორებებით*.

ძალიან, ძალიან მიხარია, რომ საქმე სწრაფად მიდის. ეს მთავარია.

მაგრად გართმევ ხელს. ვკოცნი დედას.

შენი ვ. ულ.

ჩვენები ყველანი მოკითხვას გითვლიან. თანდათან ვეჩვევით პარიზს.

გაგზავნილია მოსკოვში
პირველად დაიბეჭდა 1930 წელს
ჟურნალ «პროლეტარსკაია
რევოლუციაში» № 1

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.,
ტ. 37, გვ. 394—395

* წერილი არ შენახულა. რ ე დ.

წ ე რ ი ლ ი დ ა ნ

ა. ი. ულიანოვა-ელიზაროვას

ძვირფასო ანიუტა! გიგზავნი შესწორებებს იმ კორექტურებისა-თვის, რომლებიც დღეს მივიღე. მიღებულია:

(α) გვ. 97 — 112 დაკაბადონებული.

(β) ნაწყობი სვეტები 81 — 97 (ხელნაწერის გვ. 302 — 364) დაუ-კაბადონებელი. **მაგრამ პირველსა და მეორეს შორის გამოტოვებაა:** დაკაბადონებული მთავრდება ხელნაწერის გვ. 274 (არის კიდევ გვ. 274 ა, 274 ე), ხოლო ნაწყობი სვეტები იწყება 302 გვერდიდან.. **მაშასადამე, ხელნაწერის დაახლოებით 27 გვერდი გამოტოვებულია!!** მთელი დაკაბადონებული თაბახი ხომ არ არის გამოტოვებული? ბან-დეროლიდან ხომ არ გამოვარდა? ან იქნებ შემთხვევით დაავიწყდათ. გამოგზავნა ან სტამბიდან მოცემა? **ძალიან გთხოვ** გამომიგზავნო ამ გამოშვებული გვერდების (ხელნაწერის გვ. 274—302) კორექტუ-რები და ყოველ შემთხვევაში მიიღო ზომები, რომ ისინი არ გამო-ტოვონ დაკაბადონების ან ბეჭდვის დროს. გამოტოვებული აღმოჩნ-და ისეთი რამ, რაც **გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ ი თ** დიდმნიშვნელოვანია. ჩემთვის და ჩემი წიგნისათვის.

აი კიდევ გამოტოვებულის უფრო ზუსტი აწერა, ხელნაწერის მი-ხედვით. დაკაბადონებული, 112-ე გვერდის უკანასკნელი სიტყვებია: «ეს აქტიური ძალები იდეალიზმს უნდა». ხელნაწერში ეს იქნება. 274 ან 274ა ან 274ბ გვერდი. ამ სიტყვების შემდეგ იწყება გამოტო-ვება. გამოტოვებულია გვ. 274 ა—გვ. 302-ე, სიტყვებამდე: «ცოტა. კიდევ განვაგრძოთ ციტატი ბაზაროვის წიგნიდან» ჩათვლით, ე. ი. მე-3 სტრიქონამდე ზემოდან ჩათვლით. აი გამოტოვების ზუსტი. ზომა.

კიდევ ერთი შეცდომა ან, უფრო სწორად რომ ვთქვათ, არა შეც-დომა, არამედ ისეთი პატარა რამ ნაწყობ სვეტებში, რასაც შეუძლია შეცდომა გამოიწვიოს დაკაბადონებისას: 88-ე ნაწყობ სვეტში.

ჩ ვ ი დ მ ე ტ ი სტრიქონი ქვემოდან [დაწყებული სიტყვებით: «გელის მიერ» (მეოთხე გერმანული გამოცემის გვ. 14) და ა. შ.] [ხელნაწერის გვ. 338] უნდა დაისვას 89-ე ნაწყობი სვეტის ბ ო ლ ო შ ი.

სხვანაირად რომ ვთქვათ: ანაწყობში სიტყვებს: «რელიგიური ცდის «მაორგანიზებელი ფორმებისათვის»» (მე-18 სტრიქონი ქვემოდან 88-ე ნაწყობ სვეტში, მე-6 სტრიქონი ზემოდან, ხელნაწერის გვ. 334) მიჰყვება სიტყვები: «გელის მიერ» (გვ. 14 და ა. შ.), ე. ი. გვ. 338, მე-7 სტრიქონი ზემოდან. ყურადღებით უნდა ნახო, რომ დაკაბადონების დროს შეცდომა არ გამოვიდეს.

დაბეჭითებით გთხოვ უკანასკნელი კორექტურა (და ჩემთან მიწერ-მოწერა) ქირით გადასცე ვინმეს, ე ნ ე ბ ი ს მ ც ო დ ნ ე ს. მიტიამ აიღოს ახი მანეთი, წავიდეს «მწერალთან» და დ ა ი ქ ი რ ა ო ს ან თვითონ ის, ან მის მიერ რეკომენდებული პირი კორექტურების უკანასკნელ წაკითხვაზე და ჩემთან ურთიერთობაზე სამუშაოდ. ეს აუცილებლად უნდა გაკეთდეს, ვინაიდან, შენ ც ხ ა დ ი ა, ახლა კორექტურებისათვის არა გცხელა, და მხოლოდ იწვალებ და დაიტანჯები. დ ა ბ ე ჯ ი თ ე ბ ი თ გ თ ხ ო ვ დ ა უ ყ ო ვ ნ ე ბ ლ ი ვ გ ა ა კ ე თ ო ე ს.

გუშინ მოგწერე და მანიაშმაც მოგწერა. მაგრად ვკოცნი დედას. «Un peu mieux*» — ეს ძალიან ბუნდოვანია... მოიწერეთ.

მაგრად გართმევ ხელს. შენი ვ. უ.

P. S. გეთაყვა, დაუყოვნებლივ მიგზავნე კიდევ უ კ ვ ე დ ა ბ ე ჭ დ ი ლ ი თაბახები: შეცდომების სიას შევადგენ. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, ვინაიდან მაშინ ზოგიერთი რამის გასწორება მთელი წიგნის დაბეჭდვის შემდეგაც კი მოხერხდება.

დაწერილია 1909 წ. 23 თებერვალს
გაგზავნილია პარიზიდან მოსკოვში
პირველად დაიბეჭდა 1930 წელს
ჟურნალ «პროლეტარსკაია
რევოლუციაში» № 1

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.,
ტ. 37, გვ. 399—400

* — ცოტა უკეთესად.

ა. ი. ლიუბიმოვს

ძვირფასო მარკ!

გიგზავნით ლიოვასათვის ჩემს პასუხს კაპრიელებისადმი. თუ იგი საჭიროდ მიიჩნევს, გადაიღოს პირი ინოკისათვის, შემდეგ კი გაგზავნოს წერილი კაპრიზე — მისამართი არ ვიცი. ვფიქრობ, რომ შეიძლება გაიგზავნოს 2 კონვერტით: გარეცა კონვერტზე დაიწეროს: «Siguor Massimo Gorki. Villa Blaesus. Gapri Italie», — ხოლო შიგნითაზე, სკოლის აღმასრულებელი კომისიისათვის.

სხვა მისამართი არ ვიცი.

ტროცკის შესახებ უნდა ვთქვა, რომ გადაჭრით წინააღმდეგი ვიქნები დახმარება გაეწიოს მას, თუ იგი უარყოფს (მან კი უკვე უარყო!) თანასწორობას რედაქციაში, რაც მას ცენტრალური კომიტეტის წევრმა შესთავაზა. თუ ეს საკითხი ბოლშევიკური ცენტრის აღმასრულებელმა კომისიამ არ გადაწყვიტა, არ შეიძლება დაშვებულ იქნეს ტროცკის დასახმარებლად არავითარი ნაბიჯები. ამიტომ «პროლეტარის» სტამბაში «პრავდის»[58] ბეჭდვაზე სამეურნეო კომისიას უფლება აქვს დათანხმდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს იქნება არა დახმარება ახალი ფრაქციისადმი (ვინაიდან ტროცკი ახალ ფრაქციას აარსებს, ხოლო ცენტრალური კომიტეტის წევრმა ბოლშევიკმა მას წინადადება მისცა ამის ნაცვლად პარტიაში შესულიყო) — არამედ წმინდა კომერციული გარიგება, ფასის გადახდით, როგორც ყველა სხვისთვის, იმ პირობით, თუ ასოთამწყობები თავისუფალი არიან და სხვ... უაღრესად მტკიცედ მოვითხოვ, რომ «პრავდისადმი» დამოკიდებულების საკითხს კიდევ გადაწყვეტს ბოლშევიკური ცენტრის აღმასრულებელი კომისია და

რომ ამ გადაწყვეტილებამდე არ შეიძლება დასახმარებლად არც ერთი ნაბიჯის გადადგმა, არ შეიძლება თავის რაიმეთი შებოჭვა.

ხელს გართმევთ. ნ. ლენინი

P. S. კაპრიელებისადმი ჩემი წერილის პირი გთხოვთ გადაიღოთ ყოველ შემთხვევაში. შეიძლება საჭირო გახდეს ბოლშევიკური ცენტრისათვის.

დაწერილია 1909 წ. 18 აგვისტოს
გაგზავნილია ბონბონიდან (საფრანგეთი, სენისა და მარნის დეპარტამენტი), პარიზში
პირველად დაიბეჭდა 1933 წელს

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოცემა, ტ. 34, გვ. 456—457

გაზეთ «სოციალ-დემოკრატის»[59] რედაქციას

მივიღე «სოციალ-დემოკრატის» № 7—8. პროტესტს ვაცხადებ ტროცკის ხ ე ლ მ ო წ ე რ ი ს წინააღმდეგ: ხელმოწერები ამოღებულ უნდა იქნეს. (სტატიების წაკითხვა ჯერ ვერ მოვასწარი).

«პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ს» შესახებ ვფიქრობ, რომ მასში მოთავსებულ უნდა იქნეს 1) სტატია სპბ. არჩევნების შესახებ («რ ე ჩ ი ს» და ვოდოვოზოვის უხამსობასთან დაკავშირებით, თუ მის შესახებ «რ ე ჩ მ ა» ტყუილი არა თქვა); 2) შვეიცის გაფიცვის შესახებ — აუცილებლად შემაჯამებელი სტატია; 3) იგივე ესპანეთის ამბების შესახებ; 4) მენშევიკების შესახებ ჟენეველ (გეორგიენ) ანტილიკვიდატორთან მათი (უსაზიზღრესი) პოლემიკის გამო; 5) დამატებაში განსაკუთრებულ ფურცლად პასუხი მაქსიმოვისა და კომპანიის[60] «ღია წერილზე». მათ პასუხი უნდა გაეცეთ როგორც საჭიროა, რომ ეს არამზადები თავიანთი სიცრუით თავგზას არ უბნევდნენ ხალხს.

3 კვირის დასვენების შემდეგ ვიწყებ კალაპოტში ჩადგომას. შესაძლოა, ვიკისრებდი № 4 და 5-ს,—უკიდურეს შემთხვევაში № 1-საც, მაგრამ კიდევ მეშინია დაპირებისა. მომწერეთ თქვენი აზრი და ვადები (ზუსტად). რა გაქვთ კიდევ «პროლეტარის» № 3-სათვის?

№ 2 და 3 შეიძლება შედგენილ იქნეს «Vorwärts*»-ის მიხედვით: გამოგიგზავნით, თუ იკისრებთ დაწერას.

«პ რ ა ვ დ ი ს» შესახებ თუ წაიკითხეთ ტროცკის წერილი ინოკისადმი? თუ წაიკითხეთ, იმედი მაქვს დარწმუნდებით, რომ ტროცკი ისე იქცევა, როგორც უსაზიზღრესი კარიერისტი და რიაზანოვისა და კომპანიის ტ ი პ ი ს ფრაქციონერი? ან თანასწორობა რედაქციაში, დ ა მ ო რ ჩ ი ლ ე ბ ა ცენტრალური კომიტეტისადმი და პარიზში მხოლოდ და მხოლოდ ტროცკის გადაყვანა (ამ არამზადას სურს ჩვენს ხარჯზე «მოაწყოს» «პრავდის» მთელი თბილი კომპანია!) —

---

* — «წინ». რედ.

ან კავშირის გაწყვეტა ამ ვიგინდარასთან და მისი მხილება ცენტრალურ ორგანოში. ლაყბობს პარტიის შესახებ, თვითონ კი ყველა დანარჩენ ფრაქციონერზე უარესად იქცევა.

ხელს გართმევთ. ნ. ლ ე ნ ი ნ ი

ჩემი მისამართი: Mr. Wl. Oulianoff. (Chez madame Lecreux). B o m b o n (Seine-et-Marne).

P. S. კამენევზე ვგონებ ხელს ჩავიქნევთ? 1½ თვის (თუ ნახევარი წლის) წინათ დაპირებული ფელეტონი «საზოგადოებრივი მოძრაობის» შესახებ??.

დაწერილია 1909 წ. 24 აგვისტოს
გაგზავნილია ბონბონიდან (საფრანგეთი, სენისა და მარნის დეპარტამენტი)
პარიზში
პირველად დაიბეჭდა 1933 წელს

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.,
ტ. 34, გვ. 458—459

ს ჯ ა ბ ი ნ ი ს

«ოტზოვიზმისა და ღვთისმშენებლობის მომხრეთა ფრაქციის შესახებ»

...ახალი ფრაქცია, რომელიც თავის იდეურ ნათესავებს მალავს და ეშინია თავისი ნამდვილი პლატფორმა გაშალოს, ცდილობს თავისი იდეური ბაგაჟის სიმცირე შეავსოს ს ი ტ ყ ვ ე ბ ი ს სესხებით ძველი გათიშვების ბაგაჟიდან. «ახალი პროლეტარი», «ახალი პროლეტარის ხაზი», — გაიძახიან მაქსიმოვი და ნიკოლაევი, რომლებიც ბაძავენ ძველებურ ბრძოლას ახალი «ისკრის» წინააღმდეგ.

ხერხი, რომელსაც შეუძლია მოხიბლოს ზოგიერთი პოლიტიკურად უსუსური ადამიანი.

მაგრამ თქვენ ძველი სიტყვების განმეორებაც კი არ გეხერხებათ, ბატონებო. მთელი აზრი ლოზუნგისა «ახალი «ისკრის» წინააღმდეგ» იმაში მდგომარეობდა, რომ მენშევიკებს, როცა «ისკრა» მიიღეს, თვითონ უ ნ დ ა დაეწყოთ ახალი ხაზი, მაშინ, როდესაც ყრილობამ (რსდმპ II ყრილობამ 1903 წელს) დაადგინა სწორედ ძველი «ისკრის» ხაზი. მთელი აზრი ის იყო, რომ მენშევიკებს მოუხდათ (ტროცკის პირით 1903 — 1904 წწ.) გამოეცხადებინათ: ძველსა და ახალ «ისკრას» შორის უფსკრულია. და დღემდე პოტრესოვი და კომპანია ცდილობენ მოიშორონ იმ ეპოქის «კვალი», როცა ისინი ძველ «ისკრას» მიჰყავდა.

ახლა «პროლეტარის» 47-ე ნომერი გამოდის. სწორედ სამი წლის წინათ, 1906 წლის აგვისტოში, გამოვიდა პირველი ნომერი. «პროლეტარის» ამ პ ი რ ვ ე ლ ნომერში, რომელიც დათარიღებულია 1906 წლის 21 აგვისტოთი, ეპოულობთ ს ა რ ე დ ა ქ ც ი ო

სტატიას «ბოიკოტის შესახებ» და ამ სტატიაში შავით თეთრზე წერია: «ახლა სწორედ დადგა დრო, როდესაც რევოლუციური სოციალ-დემოკრატები აღარ უნდა იყვნენ ბოიკოტისტები». მას შემდეგ არ გამოსულა «პროლეტარის» არც ერთი ნომერი, სადაც «ბოიკოტიზმის» (1906 წლის შემდეგ), ოტზოვიზმისა და ულტიმატიზმის სასარგებლოდ დაბეჭდილიყოს თუნდაც ერთი სტრიქონი ისე, რომ უარყოფილი არ იყოს ბოლშევიზმის ეს კარიკატურა. და ახლა კარიკატურული ბოლშევიკები ორჩოფეხებზე დგებიან და ცდილობენ თავი შეადარონ იმ ადამიანებს, რომლებმაც ჯერ ძველი «ისკრის» სამწლიანი კამპანია ჩაატარეს და მისი ხაზი პარტიის II ყრილობით განამტკიცეს, შემდეგ კი ახალი «ისკრის» შეტრიალება დაგვანახეს!

«პოპულარული მუშათა გაზეთის «ვპერიოდის»[1] ყოფილი რედაქტორი» — ხელს აწერს ახლა ამბ. მაქსიმოვი, რომელსაც სურს მკითხველს მოაგონოს, რომ აქაოდა «რომი ბატებმა გადაარჩინესო». გაზეთ «ვპერიოდის» ხაზისადმი თქვენი დამოკიდებულება — ვუპასუხებთ ჩვენ მაქსიმოვს ამ მოგონებაზე — სავსებით ისეთივეა, როგორიც იყო პოტრესოვის დამოკიდებულება ძველი «ისკრისადმი». პოტრესოვი მისი რედაქტორი იყო, მაგრამ ძველი «ისკრა» მას კი არ მიჰყავდა, არამედ ძველ «ისკრას» მიჰყავდა ის. როგორც კი მან ხაზის შეცვლა მოინდომა, — ძველისკრელებმა მას ზურგი შეაქციეს. და ახლა თვითონ პოტრესოვიც კი წელებზე ფეხს იდგამს იმისათვის, რომ «ახალგაზრდობის ცოდვისაგან», ძველი «ისკრის» რედაქტორობაში მონაწილეობისაგან განიწმინდოს.

მაქსიმოვს კი არ მიჰყავდა გაზეთი «ვპერიოდ», არამედ გაზეთ «ვპერიოდს» მიჰყავდა მაქსიმოვი. დამამტკიცებელი საბუთი: III სათათბიროს ბოიკოტიზმი, რომლის სასარგებლოდ გაზეთ «ვპერიოდს» არც ერთი სიტყვა არ უთქვამს და არც შეეძლო ეთქვა. მაქსიმოვი ძალიან გონივრულად და კარგად იქცეოდა, როცა გაზეთ «ვპერიოდს» საშუალებას აძლევდა გაძღოლოდა მას, მაქსიმოვს. მაქსიმოვი ახლა შეუდგა ისეთი ხაზის გამოგონებას (ან, სულ ერთია, დახმარებას ოტზოვისტებისადმი მის გამოგონებაში), რომელსაც გარდუვალად მიჰყავს ის ჭაობში, ისე როგორც პოტრესოვიც-

დაიხსომეთ ეს, ამხ. მაქსიმოვ: შედარების საფუძვლად უნდა აეღოთ იდეურ-პოლიტიკური მიმართულების მთლიანობა და არა «სიტყვები», არა «ლოზუნგები», რომლებსაც ზოგი ვინმე ისე სწავლობს, რომ მათი აზრი არ ესმის. ბოლშევიზმმა სამი წლის — 1900 — 1903 წლების მანძილზე წარმართა ძველი «ისკრა» და მენშევიზმთან საბრძოლველად გამოვიდა როგორც მთლიანი მიმართულება. მენშევიკებს დიდხანს საქმე ჰქონდათ მათთვის ახალ კავშირთან, ანტიისკრელებთან, რაბოჩეედელოელებთან, ვიდრე პროკოპოვიჩს ხელში არ ჩაუგდეს პოტრესოვი (და განა მარტო პოტრესოვი?). ბოლშევიზმმა «ბოიკოტიზმისა» და სხვათა წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლის სულისკვეთებით წარმართა ძველი «პროლეტარი» (1906 — 1909 წწ.) და გამოვიდა, როგორც მთლიანი მიმართულება, იმ ადამიანების წინააღმდეგ საბრძოლველად, რომლებიც ახლა იგონებენ «ოტზოვიზმს», «ულტიმატიზმს», «ღვთისმშენებლობას» და სხვა. მენშევიკებს უნდოდათ ძველი «ისკრა» მარტინოვისა და ეკონომისტების ყაიდაზე გადაეკეთებინათ, — და ამაზე კისერი მოიტეხეს. თქვენ გინდათ ძველი «პროლეტარი» «ერის» ოტზოვისტებისა და ღვთისმშენებლების ყაიდაზე გადააკეთოთ, — და თქვენც ამაზე კისერს მოიტეხთ.

ხოლო «პლეხანოვისაკენ შეტრიალება», — ზეიმობს მაქსიმოვი. ხოლო «ცენტრის ახალი ფრაქციის» შექმნა? და ჩვენი «ვითომ ბოლშევიკი» «დიპლომატიად» აცხადებს იმის «უარყოფას», თითქოს «იგულისხმება «ცენტრის» იდეის განხორციელება»!

მაქსიმოვის ეს ყვირილი «დიპლომატიის» წინააღმდეგ და «პლეხანოვთან გაერთიანების» წინააღმდეგ იმად ღირს, რომ ის სასაცილოდ იქნას აგდებული. კარიკატურული ბოლშევიკები აქაც თავისი თავის ერთგულნი არიან: მათ მტკიცედ დაუსწავლიათ, რომ პლეხანოვი 1906—1907 წლებში არქიოპორტუნისტულ პოლიტიკას ეწეოდა. და ისინი ფიქრობენ, რომ თუ ამას ხშირ-ხშირად გაიმეორებენ ისე, რომ მიმდინარე ცვლილებებში არ გაერკვევიან, ეს უდიდესი «რევოლუციურობის» მომასწავებელი იქნება.

ნამდვილად კი «პროლეტარის» «დიპლომატები», ლონდონის ყრილობიდან დაწყებული, ყოველთვის აშკარად ატარებდნენ და გა-

ატარეს პარტიულობის პოლიტიკა ფრაქციულობის კარიკატურულ გაზვიადებათა წინააღმდეგ, მარქსიზმის დაცვის პოლიტიკა მისი კრიტიკის წინააღმდეგ. და მაქსიმოვის ყვირილის ახლანდელი წყაროც ორგვარია: ერთი მხრივ, ლონდონის ყრილობიდან დაწყებული, ყოველთვის იყვნენ ცალკეული ბოლშევიკები (მაგალითი: ალექსინსკი), რომლებიც გაიძახოდნენ ბოლშევიზმის ხაზის შეცვლაზე «შემარიგებლობის» ხაზით, «პოლონურ-ლატვიური» ხაზით და სხვ. ბოლშევიკებს იშვიათად მიუღიათ სერიოზულად ეს ყოვლად ბრიყვული სიტყვები, რომლებიც მხოლოდ აზროვნების დახავსებულობას მოწმობენ. მეორე მხრივ, ის ლიტერატურული კომპანია, რომელსაც მაქსიმოვი ეკუთვნის და რომელიც ყოველთვის მხოლოდ თავისი ცალი მხარით უახლოვდებოდა სოციალ-დემოკრატიას, თავისი ღვთისმშენებლური და სხვა ტენდენციების მთავარ მტერს დიდი ხნის განმავლობაში ხედავდა პლეხანოვის სახით. პლეხანოვზე უფრო საშინელი ამ კომპანიისათვის არაფერია. მ ი ს იმ იმედს, რომ მუშათა პარტიას თავისი იდეები ჩაუნერგოს, არაფერი ისე არ აქარწყლებს, როგორც «პლეხანოვთან გაერთიანება».

და აი, ეს ორგვარი სახის ელემენტები: დახავსებული ფრაქციულობა, რომელსაც არ ესმის ბოლშევიკური ფრაქციის ამოცანები პარტიის შექმნის დარგში, და ღვთისმშენებელთა და ღვთისმშენებლობის დამფარავთა ლიტერატურულ-წრეობრივი ელემენტები, — ახლა შემჭიდროვდნენ «პლატფორმის» გარშემო: «პლეხანოვთან გაერთიანების» წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ, «პროლეტარის» «შემარიგებლური», «პოლონურ-ლატვიური» ხაზის წინააღმდეგ და სხვ.

პლეხანოვის «დნევნიკის» ამჟამად გამოსული მე-9 ნომერი გვათავისუფლებს ჩვენ იმის აუცილებლობისაგან, რომ განსაკუთრებით დაწვრილებით განვუმარტოთ მკითხველს კარიკატურულ ბოლშევიკთა ამ «პლატფორმის» მთელი კარიკატურულობა. პლეხანოვმა ამხილა «გოლოს სოციალ-დემოკრატას»[62] ლიკვიდატორობა, მისი რედაქტორების დიპლომატია და განაცხადა, რომ ის «ვერ ივლის ერთი გზით» პოტრესოვთან ერთად, რომელიც რევოლუციონერი აღარ არის. ყოველი სოციალ-დემოკრატისათვის ახლა ცხადია, რომ მ უ შ ა მენშევიკები გაჰყვებიან პლეხანოვს პოტრესოვის წინააღმდეგ. ყველასთვის ცხადია, რომ მენშევიკებს შორის გათიშვა ადასტურებს

ბოლშევიკების ხაზს. ყველასთვის ცხადია, რომ ლიკვიდატორთა გამთიშველობის წინააღმდეგ პლეხანოვის მიერ პ ა რ ტ ი უ ლ ი ხაზის გამოცხადება მოასწავებს ბოლშევიზმის უ დ ი დ ე ს გამარჯვებას, ბოლშევიზმისა, რომელსაც ახლა პარტიაში ხელმძღვანელი ადგილი უჭირავს...

გაზეთ «პროლეტარის» № 47—48-ის დამატება, 1909 წ. 11 (24) სექტემბერი

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც., ტ. 16, გვ. 56—60

ნ ე ბ ი ს ლ ი დ ა ნ

ბ. შკლოვსკის

...მე და პლეხანოვს კოპენჰაგენში ლაპარაკი გვქონდა პოპულარული გაზეთის გამოცემის შესახებ. იგი საჭიროა. (ტროცკიმ აშკარად იბრუნა პირი ლიკვიდატორებისაკენ, გოლოსელების მხარდაჭერისაკენ, ბოლშევიკებისა და პლეხანოველების პარტიული ბლოკის ჩ ა შ ლ ი ს ა კ ე ნ.) პლეხანოვს ჩვენ სავსებით ვეთანხმებით, რომ ტროცკისთან არაფერი გვესაქმება. პოპულარულ გაზეთს ან ცენტრალურ ორგანოსთან დავაარსებთ, ან ბოლშევიკების ჯგუფისაგან ცალკე. პლეხანოვი თანამშრომლობას შეგვპირდა. საჭირო იქნება ფული — ჩვენ ძალიან ცოტა გვაქვს. იმედი მაქვს ყოველგვარი დახმარებისა თქვენი მხრივ. ვცდილობთ შევქმნათ ჟურნალი რუსეთში (à la «ვ ო ზ რ ო ჟ დ ე ნ ი ე» და «ჟიზნ»-ი[63]). არ გვაქვს ხელჩასაჭიდი, არა გვყავს მდივანი, არავინა გვყავს მომწყობი — ჩვენები მუდამ ჩავარდებიან ხოლმე. უბედურებაა! ჟურნალი კი აუცილებელია.[64]

ხელს გართმევთ. თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1910 წ. 14 ოქტომბერს
გაგზავნილია პარიზიდან ბერნში
პირველად დაიბეჭდა 1930 წელს

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.,
ტ. 34, გვ. 495



პირველი გვერდი ხელნაწერისა
«განცხადება «რაბოჩაია გაზეთას» გამოცემის შესახებ». —
1910 წ. ოქტომბერი
დაპატარავებული

განცხადება «რაბოჩაია გაზეთას» გამოცემის შესახებ[65]

მუშათა მოძრაობისა და სოციალ-დემოკრატიული პარტიის მძიმე კრიზისი რუსეთში ჯერ კიდევ გრძელდება. პარტიული ორგანიზაციების დაშლა, ამ ორგანიზაციებიდან ინტელიგენციის თითქმის საერთო გაქცევა, დაბნეულობა და მერყეობა იმათ შორის, ვინც სოციალ-დემოკრატიის ერთგული დარჩა, სასოწარკვეთილება და გულგრილობა მოწინავე პროლეტარიატის საკმაოდ ფართო ფენებში, იმის რწმენის უქონლობა, თუ სად არის ამ მდგომარეობიდან გამოსავალი გზა, — ასეთია ის ნიშნები, რომლებითაც თანამედროვე მდგომარეობა განირჩევა. სოციალ-დემოკრატთა შორის ცოტა როდია სულმოკლენი და მცირერწმენიანნი, რომლებიც მზად არიან დაკარგონ გამეფებულ არევ-დარევაში გარკვევის შესაძლებლობის იმედი, დაკარგონ პარტიის, რსდმ პარტიის და მისი რევოლუციური ამოცანებისა და ტრადიციების აღდგენის და განმტკიცების ამოცანის იმედი, მზად არიან ხელი ჩაიქნიონ და ჩაიკეტონ პირადი ცხოვრების ნაჭუჭში ან ვიწრო, წვრილ წრეებში, რომლებიც მარტოოდენ «კულტურულ» მუშაობას ეწევიან და სხვ.

კრიზისი გრძელდება, მაგრამ მისი დასასრული უკვე ნათლად ჩანს ახლა, გამოსავალი გზა სავსებით დასახული და მოსინჯულია პარტიის მიერ, დაბნეულობა და მერყეობა უკვე ჩამოყალიბდა საკმაოდ გამოკვეთილ და პარტიის მიერ ფრიად გარკვეულად შეფასებულ მიმდინარეობებად, მიმართულებებად, ფრაქციებად, — ხოლო ინტიპარტიულ მიმდინარეობათა გამოკვეთილობა, მათი ნათელი შეფასება, უკვე სანახევროდ ნიშნავს დაბნეულობიდან და მერყეობიდან თავის დაღწევას.

სასოწარკვეთილებამ და გულგატეხილობამ რომ არ შეგვიპყროს, საჭიროა მხოლოდ გავიგოთ კრიზისის წყაროების მთელი სიღრმე. ამ კრიზისს ვერ გადავახტებით, მას გვერდს ვერ ავუვლით, ის შეიძ-

ლება აღმოვფხვრათ მხოლოდ მედგარი ბრძოლით, რადგან ეს არ არის შემთხვევითი კრიზისი, არამედ იგი წარმოშობილია რუსეთის როგორც ეკონომიური, ისე პოლიტიკური განვითარების განსაკუთრებული ეტაპის მიერ. თვითმპყრობელობა ისევე მეფობს, როგორც წინათ. ძალადობანი კიდევ უფრო უხეშია. უუფლებობა კიდევ უფრო ძლიერია. ეკონომიური ჩაგვრა კიდევ უფრო თავხედურია. ბაგრამ თვითმპყრობელობას უკვე აღარ შეუძლია მართოდენ ძველი საშუალებებით გაძლოს. ის იძულებულია მიმართოს ახალ ცდას, შავრაზმელ მემამულე-მებატონეებთან, ოქტიაბრისტ კაპიტალისტებთან აშკარა კავშირის ცდას, სათათბიროში და სათათბიროს მეშვეობით კავშირის ცდას. ყველასთვის, ვისაც აზროვნების უნარი არ დაუკარგავს, აშკარაა, რომ ეს ცდა უიმედოა, აშკარაა ახალი რევოლუციური კრიზისის ზრდა. მაგრამ ეს რევოლუციური კრიზისი მზადდება ახალ ვითარებაში, როდესაც ის კლასები და პარტიები, რომლებიც 1905 წლის რევოლუციამდე არ არსებობდნენ, განუზომლად უფრო შეგნებული, შემეჭიდროებული, ორგანიზებული არიან. რუსული ლიბერალიზმი კეთილი სურვილების გულკეთილი, მეოცნებე, უფერული და მოუქნელი ოპოზიციიდან იქცა იმ ინტელიგენტი ბურჟუების მტკიცე, პარლამენტურად გაწვრთნილ პარტიად, რომლებიც სოციალისტური პროლეტარიატის შეგნებული მტრები და ბბ. მებატონეთა წინააღმდეგ გლეხთა მასების რევოლუციური ძალადობის შეგნებული მტრები არიან. მუდარით გამოსთხოვდეს დათმობებს მონარქიას, ემუქრებოდეს მას რევოლუციით (რომელიც თვითონ ლიბერალისათვის საძულველი და საშინელია), მუდამ ღალატობდეს განმათავისუფლებელ ბრძოლას და გადადიოდეს მტრის მხარეზე — ასეთია ლიბერალური, კ.-დ., პარტიის გარდუვალი, კლასობრივი ბუნების გამო გარდუვალი, ხვედრი. რუსეთის გლეხობამ დაამტკიცა, რომ მას შესწევს მასობრივი რევოლუციური ბრძოლის უნარი, თუ ეს ბრძოლა დაწყებულია პროლეტარიატის მიერ, და ცხადყო თავისი თვისება — დაუსრულებლად მერყეობდეს ლიბერალიზმსა და სოციალ-დემოკრატიას შორის რუსეთის მუშათა კლასმა დაამტკიცა, რომ ის არის ერთადერთი ბოლომდე რევოლუციური კლასი, ერთადერთი ხელმძღვანელი თავისუფლებისათვის (ბურჟუაზიული თავისუფლებისათვისაც კი) ბრძოლაში. და ახლა თავისუფლებისათვის ბრძოლის განგრძობის დიდი ამოცანა შეიძლება გადაწყდეს და გადაწყდება, მხოლოდ პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლით,

პროლეტარიატისა, რომელიც მიუძღვის მშრომელთა და ექსპლოატირებულთა მასებს. მოქმედებს რა ახალ ვითარებაში, უფრო შეგნებულ და უფრო შემჭიდროებულ მტრებს შორის, მუშათა კლასმა უნდა გარდაქმნას თავისი პარტიაც, რსდმპ. ხელმძღვანელი-ინტელიგენტის ადგილას ის აყენებს ხელმძღვანელებს მუშათა წრიდან. იზრდება ახალი ტიპის ს.-დ. მუშა პარტიელისა, რომელიც პარტიის მ თ ე ლ საქმეებს დამოუკიდებლად უძღვება და რომელსაც უნარი აქვს წინანდელთან შედარებით ათჯერ და ასჯერ მეტი პროლეტარული მასები დარაზმოს, გააერთიანოს და შეაკავშიროს.

სწორედ ამ ახალ მუშას მივმართავთ კიდეც ჩვენ პირველ რიგში ჩვენი «რ ა ბ ო ჩ ა ი ა გ ა ზ ე ტ ა თ ი». ამ მუშამ გადააბიჯა იმ ასაკს, როცა მას შეიძლებოდა მოსწონებოდა, რომ მასთან ელაპარაკნათ, როგორც ბავშვთან, რომ ის ესაზრდოებინათ რძის ფაფით. მას ესაჭიროება იცოდეს ყველაფერი პარტიის პოლიტიკური ამოცანების შესახებ, მისი მშენებლობის, შინაპარტიული ბრძოლის შესახებ. მას არ აშინებს შიშველი სიმართლე პარტიის შესახებ, რომლის განმტკიცებისა, აღდგენისა და გარდაქმნისათვისაც ის მუშაობს. მას კი არ ეხმარება, არამედ ზიანს აყენებს ის ზოგადრევოლუციური ფრაზები, ის მოტკბო-შემარიგებლური წამოძახილები, რომლებსაც იგი პოულობს «ვპერიოდის» კრებულებში ან ტროცკის გაზეთ «პრავდაში», თუმცა ვერც ერთსა და ვერც მეორეში ვერ პოულობს პარტიული ხაზისა და პარტიული მდგომარეობის ნათელ, ზუსტსა და პირდაპირ გადმოცემას.

ეს პარტიული მდგომარეობა მეტად ძნელია, მაგრამ მთავარი სიძნელე ის კი არ არის,რომ პარტია საშინლად დასუსტებული და ორგანიზაციები ხშირად სავსებით განადგურებულია, და არც ის, რომ ფრაქციების შინაპარტიული ბრძოლა გამწვავებულია, არამედ ის, რომ სოციალ-დემოკრატ მუშათა მოწინავე ფენამ არასაკმაოდ ნათლად შეიგნო ამ ბრძოლის არსი და მნიშვნელობა, არასაკმაოდ შემჭიდროვდა მისი წარმატებითი წარმოებისათვის, არასაკმაოდ დამოუკიდებლად. და არასაკმაოდ ენერგიულად ჩაერია მასში იმ პ ა რ ტ ი უ ლ ი ბ ი რ თ ვ ი ს შესაქმნელად, მხარდასაჭერად და განსამტკიცებლად, რომელსაც რსდმპ დაბნეულობიდან, დაშლიდან და მერყეობიდან გამოყავს მტკიცე გზაზე.

ეს გზა სავსებით დასახულია 1908 წლის დეკემბრის კონფერენციის გადაწყვეტილებებით, რომლებიც განვითარებულია ცენტრალური კომიტეტის 1910 წლის პლენუმის გადაწყვეტილებებში. ამ

ბირთვს შეადგენს (ოტზოვიზმისა და ბურჟუაზიული ფილოსოფიის მოწინააღმდეგე) ორთოდოქსული ბოლშევიკებისა და (ლიკვიდატორობის მოწინააღმდეგე) პარტიული მენშევიკების ის კავშირი, რომელიც ამჟამად ეწევა, საქმით, და არა მარტო ფორმალური ურთიერთობათა გამო, ეწევა მთავარ მუშაობას რსდმ პარტიაში.

მუშებს ეუბნებიან, რომ ეს კავშირი მხოლოდ აძლიერებს და ამწვავებს ფრაქციულ ბრძოლას, ლიკვიდატორებთან და ოტზოვისტებთან ბრძოლას, «ნაცვლად» იმისა, რომ ებრძოლოს ლიკვიდატორობასა და ოტზოვიზმსო. ეს ლიტონი ფრაზაა, ეს მხოლოდ ჩიფ-ჩიფია, რომელიც ჰუშას მოწიფულ ადამიანად კი არა, ბავშვად თვლის. არასასიამოვნოა ის სიმართლე, რომ მაშინ, როდესაც პარტია დასუსტებულია, როდესაც ორგანიზაციები დანგრეულია, როდესაც საზღვარგარეთის ბაზის არსებობა აუცილებელია, — ყოველგვარი მიმღინარეობა ადვილად შეადგენს პარტიისგან ფაქტიურად სავსებით დამოუკიდებელ და თვითმყოფ საზღვარგარეთულ ფრაქციას, მაგრამ სასაცილოა (ან დანაშაულია) ეს სიმართლე დაეუმალოთ ს.-დ. მუშას, რომელმაც უნდა გარდაქმნას თავისი პარტია გარკვეული, ზუსტი, ნათელი პარტიული ხაზის საფუძველზე. ამჟამად ჩვენში გაბატონებულია ფრაქციული ბრძოლის ყველაზე არასასურველი ფორმები, ეს უეჭველია; მაგრამ სწორედ იმისათვის, რომ ამ ბრძოლის ფორმები გარდაექმნათ, საჭიროა მოწინავე მუშებმა ზიზღით კი არ აიბუზონ ცხვირი, ფრაზით კი არ მოიშორონ თავიდან უსიამოვნო ბრძოლის უსიამოვნო ფორმათა გარდაქმნის უსიამოვნო (დილეტანტისათვის, პარტიაში სტუმრად მოსულისათვის) ამოცანა, არამედ შეიგნონ ამ ბრძოლის დედაარსი და მნიშვნელობა და ისე დაიყენონ მუშაობა ადგილებზე, რომ სოციალისტური პროპაგანდის, პოლიტიკური აგიტაციის, პროფესიული მოძრაობის, კოოპერაციული მუშაობის და სხვათა და სხვათა თვითეულ საკითხში განსაზღვრონ ის მიჯნა, რომლის იქითაც იწყება გადახვევა სოციალდემოკრატიიდან ლიბერალური ლიკვიდატორობისაკენ ან ნახევრადანარქისტული ოტზოვიზმისაკენ, ულტიმატიზმისაკენ და სხვა. წარმართონ პარტიული საქმე სწორი ხაზით, რომელსაც ეს მიჯნები განსაზღვრავენ. «რაბოჩაია გაზეთას» ერთ-ერთ მთავარ ამოცანად ჩვენ იმას ვსახავთ, რომ დაეხმაროს ჰუშებს ამ მიჯნების განსაზღვრაში რუსეთის თანამედროვე სინამდვილის თვითეულ უმნიშვნელოვანეს კონკრეტულ საკითხზე.

მუშებს ეუბნებიან: ცენტრალური კომიტეტის 1910 წ. იანვრის პლენუმის (სრული კრების) სწორედ გამაერთიანებელმა ცდამ ცხადყო უნაყოფობა და დაუბოლოებლობა შინაპარტიული ფრაქციული ბრძოლისა, რომელმაც «ჩაფუშა» გაერთიანებაო. ასე ლაპარაკობენ ის ადამიანები, რომლებიც ან საქმეს არ იცნობენ, ან აზროვნების არავითარი უნარი არ შესწევთ, ანდა თავიანთ ნამდვილ მიზნებს მ ა ლ ა ვ ე ნ ამა თუ იმ წკრიალა, კეთილხმოვანი და არაფრისმთქმელი ფრაზებით. პლენუმმა «გული გაუტეხა» მხოლოდ იმათ, ვისაც ეშინოდა სიმართლისთვის თვალი გაესწორებინა და თავს ილუზიებით ინუგეშებდა. თუმცა «შემარიგებლური დომხალი» პლენუმზე ხანდახან ძალიან დიდი იყო, მაგრამ შედეგად მივიღეთ სწორედ ის გაერთიანება, როგორიც კი შესაძლებელია, როგორიც კი საჭიროა. თუ ლიკვიდატორებმა და ოტზოვისტებმა ხ ე ლ ი შ ო ა წ ე რ ე ს რეზოლუციას ლიკვიდატორობასა და ოტზოვიზმთან ბრძოლის შესახებ, ხოლო მეორე დღეს კიდევ უფრო «გულმოდგინედ» შეუდგნენ ძველ საქმიანობას, ამან მხოლოდ ის დაამტკიცა, რომ შეუძლებელია პარტიამ არაპარტიული ელემენტების იმედი იქონიოს, მხოლოდ უფრო ნათელყო, თუ როგორია ეს ელემენტები. პარტია ნებაყოფლობითი კავშირია, და გაერთიანება შესაძლებელი და სასარგებლოა მხოლოდ მაშინ, როცა ერთიანდებიან ის ადამიანები, რომელთაც სურთ და შეუძლიათ გაატარონ თუნდაც რამდენადმე კეთილსინდისიერი საერთო პარტიული ხაზი, უფრო სწორად რომ ვთქვათ: რომლებიც დ ა ი ნ ტ ე რ ე ს ე ბ უ ლ ი ა რ ი ა ნ (თავისი იდეებით, თავისი ტენდენციებით) ს ა ე რ თ ო პარტიული ხაზის გატარებით. გაერთიანება შეუძლებელი და საზიანოა, როცა ის ცდილობს დააბნიოს და მიჩქმალოს ამ ხაზის შეგნება, როცა ის ცდილობს ფიქციური კავშირით ერთმანეთთან დააკავშიროს ისინი, ვინც პარტიას გადაჭრით ექაჩება ანტიპარტიული მიმართულებით. და გაერთიანება ბოლშევიზმისა და მენშევიზმის ძ ი რ ი თ ა დ ჯგუფებს შორის მიღწეულია პლენუმის მიერ და განმტკიცებულია, თუ პლენუმის მეოხებით არა, პლენუმის საშუალებით მაინც.

იმ მუშას, რომელსაც არ სურს, რომ მას ბავშვსავით ელაპარაკებოდნენ, არ შეუძლია არ ესმოდეს, რომ ლიკვიდატორობა და ოტზოვიზმი ისეთივე არა შემთხვევითი, თავისი ფესვებით ღრმად ძირგადგმული მიმდინარეობანია, როგორც ბოლშევიზმი და მენშევიზმი. მხოლოდ ზღაპრების შემთხზველნი «მუშებისათვის» განმარტა-

ვენ ამ ფრაქციების განსხვავებას «ინტელიგენტური» დავით. ნამდვილად ეს ორი მიმართულება, რომლებმაც თავისი დაღი დაასვეს რუსეთის რევოლუციის მთელ ისტორიას, რუსეთში მჯობრივი მუშათა მოძრაობის მთელ პირველ წლებს (და მრავალმხრივ ყველაზე მნიშვნელოვან წლებს), წარმოშვა ბატონყმურიდან ბურჟუაზიულ ქვეყნად რუსეთის ეკონომიური და პოლიტიკური გარდაქმნის თვით პროცესმა, წარმოშვეს სხვადასხვა ბურჟუაზიული კლასის იმ გავლენებმა, რომლებიც პროლეტარიატზე მოქმედებდნენ, ანუ, უფრო სწორად რომ ვთქვათ: წარმოშვა ბურჟუაზიის სხვადასხვა ფენის იმ ვითარებამ, რომელშიც პროლეტარიატი მოქმედებდა. აქედან გამომდინარეობს, რომ შეუძლებელია რუსეთში სოციალ-დემოკრატიის გაერთიანება ერთ-ერთი მიმართულების მოსპობის გზით იმ ორი მიმართულებიდან, რომლებიც ჩამოყალიბდნენ რევოლუციის დროს მუშათა კლასის ყველაზე აშკარა, ყველაზე ფართო, მჯობრივი, თავისუფალი, ისტორიულად მნიშვნელოვანი მოქმედების ეპოქაში. მაგრამ აქედან გამომდინარეობს, აგრეთვე, რომ არა კეთილსასურველ ფრაზებში ერთიანობის, ფრაქციების მოსპობისა და სხვათა შესახებ, არამედ მხოლოდ ორი ფრაქციის შინაგან განვითარებაშია მოცემული მათი რეალური დაახლოების საფუძვლები. სწორედ ასეთ დაახლოებას განიცდის კიდეც მუშათა კლასის პარტია მას შემდეგ, რაც ჩვენ,ბოლშევიკებმა, 1909 წლის გაზაფხულზე საბოლოოდ დავასამარეთ «ოტზოვიზმი», ხოლო პარტიულმა მენშევიკებმა, პლეხანოვის მეთაურობით, არანაკლებ გადამწყვეტი ბრძოლა დაიწყეს ლიკვიდატორების წინააღმდეგ. შეგნებული მუშების უდიდესი უმრავლესობა ო რ ი ვ ე ფრაქციაში რომ ოტზოვიზმისა და ლიკვიდატორობის მოწინააღმდეგეთა მხარეზე დგას, ეს უეჭველია. ამიტომ, რაგინდ მძიმე, ხანდახან ძნელი და ყოველთვის უსიამოვნო იყოს შინაპარტიული ბრძოლა ამ ნიადაგზე, ჩვენ არ უნდა დავიიწყოთ მოვლენის დ ე დ ა ა რ ს ი მისი ფ ო რ მ ი ს გულისათვის. ხეებს ხედავენ და ტყეს ვერა ისინი, ვინც ამ ბრძოლის საფუძველში (პარტიის ახლანდელი მდგომარეობის დროს ფრაქციათა ბრძოლის გარდუვალ ფორმაში) ვერ ხედავს შეგნებულ სოციალ-დემოკრატ მუშათა ძირითადი პარტიული ბირთვის შ ე მ ჭ ი დ რ ო ე ბ ი ს პროცესს.

ნამდვილი სოციალ-დემოკრატიული ბირთვის ასეთი შემჭიდროების მიზნებს გაუწევს სამსახურს «რ ა ბ ო ჩ ა ი ა გ ა ზ ე თ ა ც», რომელსაც ვაარსებთ ჩვენ, ბოლშევიკები, რომლებმაც მივიღეთ პარტიული მენშევიკების (პლეხანოვის მეთაურობით) თანხმობა

ჩვენი გამოცემისადმი მხარდაჭერის შესახებ. ეს გამოცემა ცალკეულებურად უნდა გამოვიდეს, როგორც ფრაქციული გამოცემა, როგორც ბოლშევიკების ფრაქციული წამოწყება. ალბათ, აღმოჩნდებიან ისეთი ადამიანები, რომლებიც აქაც ხელს იქით ტყეს ვერ შეინიშნავენ და ასტეხენ ყვირილს «უკან» ფრაქციულობისაკენ დაბრუნების შესახებ. რაკი დაწვრილებით გადმოვეცით ჩვენი შეხედულება ნამდვილად მიმდინარე, ნამდვილად საყურადღებო და აუცილებელი პარტიული გაერთიანების არსსა და მნიშვნელობაზე, ჩვენ ამით უკვე ცხადვყავით, თუ რა ფასი აქვს მსგავს საწინააღმდეგო მოსაზრებებს, რომლებიც ნამდვილად მხოლოდ გაერთიანების საკითხის დახლართვისა და ამა თუ იმ ფრაქციული მიზნის დაფარვის მომასწავებელი იქნებოდა. ჩვენ კი ყველაზე მეტად ის გვინდა, რომ «რაბოჩაია გაზეტა» დაეხმაროს მუშებს — სრული სიცხადით და ბოლომდე გაიგონ მთელი პარტიული მდგომარეობა და ყველა პარტიული ამოცანა.

ვიწყებთ რა «რაბოჩაია გაზეტას» გამოცემას, ჩვენ იმედი გვაქვს, რომ დახმარებას გაგვიწევენ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტიც, ადგილობრივი ორგანიზაციებიც და შეგნებულ მუშათა ცალკეული ჯგუფებიც, რომლებიც ამჟამად პარტიისაგან მოწყვეტილი არიან. ჩვენ ცენტრალური კომიტეტის დახმარების იმედი გვაქვს, რადგან ვიცით, რომ მთელი რიგი თვეების განმავლობაში იგი ვერ ახერხებდა თავისი მუშაობის სწორად დაყენებას რუსეთში, ვერ ახერხებდა სწორედ იმიტომ, რომ ბოლშევიკებსა და პარტიულ მენშევიკებს გარდა იგი ვერსად ვერ ხვდებოდა დახმარებას, ხშირად კი სხვა ფრაქციები მას პირდაპირ ხელს უშლიდნენ. ცენტრალური კომიტეტის არსებობის ეს მძიმე ხანა გაივლის, და იმისათვის, რომ მან უფრო ჩქარა განვლოს, ჩვენ უბრალოდ კი არ უნდა «ველოდოთ», ვიდრე ცენტრალური კომიტეტი აღდგებოდეს, ვიდრე ის განმტკიცდებოდეს და სხვა, არამედ დაუყოვნებლივ უნდა შევუდგეთ, ცალკეული ჯგუფებისა და ცალკეული ადგილობრივი ორგანიზაციების ინიციატივით, იმას, რომ მოვაგვაროთ — პირველად თუნდაც სულ მცირე მოცულობით — პარტიული ჩაბნისა და ნამდვილი პარტიული ერთიანობის განმტკიცების სწორედ ის საქმე, რომლისთვისაც ყველაზე მეტად მუშაობს ცენტ-

რალური კომიტეტიც. ჩვენ ადგილობრივი ორგანიზაციებისა და მუშათა ცალკეული ჯგუფების დახმარების იმედი გვაქვს, რადგან მხოლოდ და მხოლოდ მათ აქტიურ მუშაობას გაზეთისათვის, მხოლოდ და მხოლოდ მათგან მხარდაჭერას, მათ გამოხმაურებას, მათ სტატიებს, მასალებს, ცნობებსა და შენიშვნებს შეუძლია ფეხზე დააყენოს და უზრუნველყოს «რ ა ბ ო ჩ ა ი ა გ ა ზ ე ტ ა ს» წარმართვა.

დაწერილია 1910 წ. ოქტომბერში
პირველად დაიბეჭდა 1937 წ. 5 მაისს
გაზეთ «პრავდაში», № 122

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.,
ტ. 16, გვ. 361—369

ა. მ. გორკის

14. XI. 10.

ძვირფასო ა. მ.! ძალიან დიდი ხანია თქვენგან და მ. თ — საგან არავითარი ცნობები არ მომსვლია. მომენატრა კაპრის ამბები. რაშია საქმე? შეუძლებელია, რომ თქვენ წერილების ანგარიშს ეწეოდეთ. როგორც ზოგიერთი ადამიანი, თურმე, ვიზიტების ანგარიშს ეწევა.

აქ ყველაფერი ძველებურად არის. აუარებელი წვრილი საქმეები და ყოველგვარი უსიამოვნება, რომლებიც დაკავშირებულია სხვადასხვა «სამთავროების» ბრძოლასთან პარტიის შიგნით. უუუ!.. კაპრიზე კი, ალბათ, კარგია...

კინკლაობისაგან დასასვენებლად შევუდექით «რ ა ბ ო ჩ ა ი ა გ ა ზ ე ტ ა ს» გამოცემის დიდი ხნის გეგმის განხორციელებას. ძლივს შევაგროვეთ 400 frs *. გუშინ როგორც იქნა გამოვიდა № 1. გიგზავნით მას ფურცელთან და ფულის შესაგროვებელ სიასთან ერთად. კაპრ-ნეაპოლის კოლონიის წევრებს, რომლებიც თანაუგრძნობენ ასეთ წამოწყებას (და პლეხანოვთან ბოლშევიკების «დაახლოებას».) ვიწვევთ გაგვიწიონ ყოველმხრივი დახმარება. «რ ა ბ ო ჩ ა ი ა გ ა ზ ე ტ ა» საჭიროა, ხოლო ტროცკისთან, რომელიც ინტრიგებს ეწევა ლიკვიდატორებისა და ოტზოვისტ-ეპერიოდელების სასარგებლოდ. შეთანხმებას ვერ მიაღწევ. მე და პლეხანოვმა უკვე კოპენჰაგენში ენერგიული პროტესტი გავუცხადეთ ტროცკის უსაზიზღრესი სტატიის წინააღმდეგ «Vorwärts»-ში**. ახლა კიდევ რა საძაგლობა დაბეჭდა მან «Neue Zeit»-ში*** რუს სოციალ-დემოკრატებს შორის ბრძოლის ისტორიული აზრის შესახებ![96] ახლა ლუნაჩარსკიმ ბელგიურ «Le Peuple» **** — არ გინახავთ?

---

* — Francs — ფრანკი. რ ე დ.

** — «წინ». რ ე დ.

*** — «ახალი დროება». რ ე დ.

**** — «ხალხი». რ ე დ.

ვაარსებთ პატარა ლეგალურ ჟურნალს «ნ ა შ ა ზ ა რ ი ა ს თ ა ნ»[67] და «ჟ ი ზ ნ თ ა ნ» საბრძოლველად, იმასაც პლეხანოვის მონაწილეობით. იმედი გვაქვს მალე გამოვუშვებთ № 1.

ასეთია ჩვენი საქმეები. ცოტ-ცოტაობით, ნელ-ნელა, ძლივძლივობით, მაგრამ მაინც ვაღწევთ თავს კინკლაობას და გზაზე გამოვდივართ.

რა გაქვთ ახალი? მისწერეთ თუ არა სტროევს და რა პასუხი მიიღეთ? ჩვენ მას მივწერეთ პირველი წერილი «ყავშირისათვის», პასუხია და გვიპასუხა, ვერ მივხვდი ვინა მწერსო. კიდევ მივწერთ. დუმს. საშინელი უკაცურობაა, ბებრები კი წავიდ-წამოვიდნენ.

თითქმის მოვაწყეთ პიტერში ყოველკვირეული გაზეთი[68] სათათბიროს ფრაქციასთან ერთად (იქაური მენშევიკები, საბედნიეროდ, ლიკვიდატორებისაკენ კი არა, პლეხანოვისაკენ იხრებიან), მაგრამ საქმე ისევ შეფერხდა რალაც ჯანაბის გამო.

მოიწერეთ როგორა ხართ, რასა იქმთ. თქვენი მუშაობა ბარაქიანი თუა? გამოდის თუ არა იმ ჟურნალის საქმე, რომელზეც ზაფხულში ვილაპარაკეთ? «ზნანიეს»[69] საქმე როგორ არის?

უფლება მაქვს გაჯავრებული ვიყო მ. თ — ზე. დამპირდა, მოგწერთო. არაფერი არ მოუწერია. დამპირდა, გაგიგებთ რუსეთის რევოლუციის ისტორიაზე პარიზის ბიბლიოთეკაში რა არისო. არაფერი არ მოუწერია. არ ვარგა.

ხელს გართმევთ. თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

ტრიას მოხსენება კი, ალბათ, მ ა ი ნ ც დაიბეჭდება. ეს დაადგინა ცენტრალური ორგანოს რედაქციამ. რა კინკლაობაა ამ რედაქციაში, წარმოუდგენელი...

გაგზავნილია პარიზიდან
კუნძულ კაპრიზე (იტალია)
პირველად დაიბეჭდა 1930 წელს

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.,
ტ. 34, გვ. 496—498

ა. მ. გორკის

22. XI. 10.

ძვირფასო ა. მ.! რამდენიმე დღის წინათ მოგწერეთ, გამოგიგზავნეთ «რაბოჩაია გაზეტა» და შეგეკითხეთ, რა გამოვიდა იმ ჟურნალიდან, რომელზეც ზაფხულში ვსაუბრობდით და რომლის შესახებაც მოწერას დამპირდით-მეთქი.

დღეს «რეჩში» წავიკითხე განცხადება «სოვრემენნიკზე»[70] რომელიც გამოდის «ამფიტეატროვის უახლოესი და განსაკუთრებული (სწორედ ასეა დაბეჭდილი! უვიცობაა, მაგრამ მით უფრო პრეტენციოზული და დიდმნიშვნელოვანია) მონაწილეობით» და თქვენი მუდმივი თანამშრომლობით.

რა? როგორ? «დიდი ყოველთვიური» ჟურნალი, რომელსაც ექნება «პოლიტიკის, მეცნიერების, ისტორიის, საზოგადოებრივი ცხოვრების» განყოფილებები — ეს ხომ სულაც, სულაც არ არის ის, რაც კრებულები, რომელთა მისწრაფებაა მხატვრული ლიტერატურის საუკეთესო ძალების კონცენტრაცია. ასეთ ჟურნალს ხომ ან სავსებით გარკვეული, სერიოზული, მტკიცე მიმართულება უნდა ჰქონდეს, ან იგი აუცილებლად შეირცხვენს ხოლმე თავს და შეარცხვენს თავის მონაწილეებს. მიმართულება აქვს «ვესტნიკ ევროპის»[71] — ცუდი, უბადრუკი, უნიჭო, მაგრამ მიმართულება, რომელიც ემსახურება გარკვეულ ელემენტს, ბურჟუაზიის გარკვეულ ფენებს, რომელიც აგრეთვე აერთებს პროფესორთა, მოხელეთა ინტელიგენციისა და ეგრეთწოდებულ «წესიერ» (უფრო სწორად, რომლებსაც სურთ წესიერი იყვნენ) ლიბერალთა ინტელიგენციის გარკვეულ წრეებს. მიმართულება აქვს «რუსკაია მისლს»[72] — საძაგელი, მაგრამ მიმართულება, რომელიც ძალიან კარგ სამსახურს უწევს კონტრრევოლუციურ ლიბერალურ ბურჟუაზიას. მიმართულება, აქვს «რუსკოე ბოგატსტვოს» — ნაროდ-

ნიკული, ნაროდნიკულ-კადეტური, მაგრამ მიმართულება, რომელიც ათეული წლებია იცავს თავის ხაზს, მომსახურებას უწევს მოსახლეობის გარკვეულ ფენებს. მიმართულება აქვს აგრეთვე «ს ო ვ რ ე-მ ე ნ ნ ი მ ი რ ს»[73] ხშირად მენშევიკურ-კადეტური (ახლა პარტიული მენშევიზმისაკენ გადახრილი), მაგრამ მიმართულება. ჟურნალი უმიმართულებოდ — უაზრო, შეუსაბამო, სკანდალური და მავნე რამ არის. მაგრამ რა მიმართულება შეიძლება იყოს ამფიტეატროვის «განსაკუთრებული მონაწილეობისას»? გ. ლოპატინს ხომ არ შესწევს უნარი მიმართულება მისცეს, ხოლო თუ სწორია ლაპარაკი (ამბობენ, ეს ლაპარაკი გაზეთებშიც მოხვდაო) კაჩოროვსკის მონაწილეობაზე, — ეს «მიმართულებაა», მაგრამ გონებაჩლუნგი, ესერული მიმართულება.

მე და თქვენ ზაფხულში რომ ვსაუბრობდით და რომ გიამბეთ, თითქმის დაწერილი მქონდა თქვენდამი წყენის წერილი «ა ღ ს ა-რ ე ბ ი ს» შესახებ, მაგრამ არ გამოგიგზავნეთ მახისტებთან მაშინ დაწყებული გათიშვის გამო-მეთქი, თქვენ მიპასუხეთ: «ტ ყ უ ი ლ ა დ არ გამომიგზავნეთო». შემდეგ თქვენვე მიჩაყვედურებდით, კაპრის სკოლაში რომ არ წამოვედი, და ამბობდით, საქმეს სხვანაირი მიმართულება რომ მიეღო, მახისტ-ოტზოვისტების ჩამოშორება ნერვების ნაკლებ მოშლად, ძალების ნაკლებ ხარჯვად დამიჯდებოდაო. ეს საუბრები მახსოვს, და ამიტომ ახლა გადავწყვიტე მოგწეროთ გადაუდებლად. არ დაველოდო არავითარ შემოწმებას, მოგწეროთ ახალი ამბის ახალი შთაბეჭდილებით.

ვფიქრობ, რომ პოლიტიკური და ეკონომიური სქელი ჟურნალი ამფიტეატროვის განსაკუთრებული მონაწილეობით — ბევრად უარესი რამ არის, ვიდრე მახისტ-ოტზოვისტების განსაკუთრებული ფრაქცია. ამ ფრაქციაში ცუდი ის იყო და არის, რომ ი დ ე უ რ ი მიმდინარეობა შორდებოდა და შორდება მარქსიზმს, სოციალ-დემოკრატიას, მაგრამ არ მიდის მარქსიზმთან კავშირის გაწყვეტამდე, არამედ მხოლოდ ურევს.

ამფიტეატროვის ჟურნალი (კარგი გააკეთა მისმა «კრასნოე ზნამიამ»[74] დროზე რომ მოკვდა!) არის პოლიტიკური გამოსვლა, პოლიტიკური წამოწყება, რომელშიც იმის შეგნებაც კი არ არის, რომ პოლიტიკისათვის ცოტაა საერთო «მემარცხენეობა», რომ 1905

წლის შემდეგ პოლიტიკაზე სერიოზული ლაპარაკი მარქსიზმისადმი და სოციალ-დემოკრატიისადმი დამოკიდებულების გაურკვეველად შეუძლებელია, წარმოუდგენელია.

ცუდად გამოდის. ცუდ გუნებაზე ვარ.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

მ. თ — ს salut et fraternite!*

გაგზავნილია პარიზიდან
კუნძულ კაპრიზე (იტალია)
პირველად დაიბეჭდა 1924 წელს

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.,
ტ. 34, გვ. 499—501

* — ძმური ხელმი! რ ე დ.

წ ე რ ი ლ ი ბ ი ა ნ

რსდმ პარტიის ც. კ.-ის რუსეთის კოლეგიას[75]

...აქ აშკარად აქვს ომი გამოცხადებული «რაბოჩაია გაზეტას» ბოლშევიკებისა და პლეხანოველების ორგანოს. საბუთები ძველია. გოლოსელებთან და ვპერიოდელებთან ბრძოლის «პრინციპული საფუძველი» ახლა არ არსებობსო, — ეს განცხადება კომიზმისა და თვალთმაქცობის მწვერვალია. ყველამ იცის, რომ გოლოსელებსა და ვპერიოდელებს არც უფიქრიათ თავიანთი ფრაქციების დაშლა, რომ სინამდვილეში გოლოსელები სავსებით მხარს უჭერენ ლიკვიდატორებს, პოტრესოვსა და კოძპანიას, რომ ვპერიოდელებმა საზღვარგარეთ (გარკვეული ხასიათის სახსრებით) მოაწყვეს ფრაქციული სკოლა,[76] სადაც ასწავლიან მახიზმს, ასწავლიან იმას, რომ ოტზოვიზმი «კანონიერი ელფერია» (სიტყვასიტყვით მათი პლატფორმიდანაა) და სხვ. და ა. შ.

ტროცკის მოწოდება — პარტიამ «ერთსულოვნად» უნდა იმუშაოს გოლოსელებთან და ვპერიოდელებთანაო, აღმაშფოთებელი თვალთმაქცობა და ფრაზაა. ყველამ იცის, რომ პლენუმის შემდეგ მთელი წლის განმავლობაში გოლოსელები და ვპერიოდელები (ტროცკის ფარული მხარის დაჭერით) «ერთსულოვნად» მუშაობდნენ პარტიის წინააღმდეგ, სინამდვილეში ერთსულოვან პარტიულ მუშაობას მთელი წლის განმავლობაში ერთად ეწეოდნენ მხოლოდ ბოლშევიკები და პლეხანოველები ცენტრალურ ორგანოშიც, «რაბოჩაია გაზეტაშიც», კოპენჰაგენშიც და რუსეთის ლეგალურ ორგანოებშიც...

დაწერილია 1910 წ. შუა დეკემბერს
პირველად დაიბეჭდა 1941 წელს
ჟურნალში «პროლეტარსკაია
რევოლუცია» № 1.

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.,
ტ. 17, გვ. 4

ივანე ვასილის ძე გაგუშკინი

(ნეკროლოგი)

ჩვენ ვცხოვრობთ წყეულ პირობებში, როცა შეიძლება მოხდეს ასეთი რამ: უგზო-უკვლოდ იკარგება დიდი პარტიული მუშაკი, პარტიის სიამაყე, ამხანაგი, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე ერთგულად შესწირა მუშათა საქმეს. მისმა უახლოესმა ადამიანებმაც, როგორიცაა ცოლი და დედა, უახლოესმა ამხანაგებმაც წლების განმავლობაში არ იციან რა მოუვიდა მას: სადმე კატორღაში იტანჯება, რომელიმე ციხეში დაიღუპა, თუ გმირულად მოკვდა მტერთან შეტაკების დროს. ასე მოუვიდა ივანე ვასილის ძეს, რომელიც რენენკამპფმა დახვრიტა. მისი სიკვდილის ამბავი ჩვენ მხოლოდ სულ ცოტა ხნის წინათ გავიგეთ.

ივანე ვასილის ძის სახელი ახლობელი და ძვირფასია არა ერთი სოციალ-დემოკრატისათვის. ყველას, ვინც კი მას იცნობდა, უყვარდა ის და პატივს სცემდა ივანე ვასილის ძეს მისი ენერგიისათვის, იმისათვის, რომ მას არ სჩვეოდა ფრაზები, მისი ღრმა და მტკიცე რევოლუციურობისა და საქმისადმი უსაზღვრო ერთგულებისათვის. პეტერბურგელი მუშა, იგი 1895 წელს, სხვა შეგნებული ამხანაგების ჯგუფთან ერთად, ენერგიულ მუშაობას ეწევა ნევის ზასტავის იქით მდებარე სემიანიკოვის, ალექსანდროვსკის, მინის ქარხნების მუშათა შორის, აარსებს წრეებს, აწყობს ბიბლიოთეკებს და თვითონაც მუდამ გატაცებით სწავლობს.

მთელი მისი აზრი იქითკენ არის მიმართული, რომ როგორმე გააფართოოს მუშაობა. იგი აქტიურ მონაწილეობას იღებს სემიანიკოველი მუშებისადმი მიმართული იმ პირველი საგიტაციო ფურცლის შედგენაში, რომელიც სანკტ-პეტერბურგში გამოვიდა 1894 წლის შემოდგომაზე, და პირადად ავრცელებს მას. როცა სანკტ-პეტერბურგში «მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის

ბრძოლის კავშირი» იქმნება, ივანე ვასილის ძე მისი ერთ-ერთი უაღრესად აქტიური წევრი ხდება და დაპატიმრებამდე მუშაობს მასში. საზღვარგარეთ ისეთი პოლიტიკური გაზეთის შექმნის იდეა, რომელიც სამსახურს გაუწევდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის გაერთიანებისა და განმტკიცების საქმეს, მასთან ერთად განიხილეს პეტერბურგის მუშაობის დროინდელმა მისმა ძველმა ამხანაგებმა — «ისკრის» დამაარსებელმა — და ამ იდეას მან უაღრესად მხურვალედ დაუჭირა მხარი. ვიდრე ივანე ვასილის ძე თავისუფალი იყო, «ისკრას» წმინდა მუშური კორესპონდენციების ნაკლებობა არ განუცდია. გადასინჯეთ «ისკრის» პირველი 20 ნომერი, ყველა ეს კორესპონდენცია შუიდან, ივანოვო-ვოზნესენსკიდან, ორეხოვო-ზუევოდან და რუსეთის ცენტრის სხვა ადგილებიდან, — თითქმის ყველა ისინი გადიოდა ივანე ვასილის ძის ხელში, რომელიც ცდილობდა უაღრესად მჭიდრო კავშირი დაემყარებინა «ისკრასა» და მუშებს შორის. ივანე ვასილის ძე «ისკრის» მეტად გულმოდგინე კორესპონდენტი და მისი მხურვალე მომხრე იყო. ცენტრალური რაიონიდან ბაბუშკინი გადადის სამხრეთში, ეკატერინოსლავში, სადაც მას აპატიმრებენ და ალექსანდროვსკის საპყრობილეში ათავსებენ. ალექსანდროვსკიდან იგი გაიქცა სხვა ამხანაგთან ერთად, რისთვისაც გადახერხა ფანჯრის გისოსი. თუმცა არც ერთი უცხოური ენა არ იცოდა, მან მაინც მოახერხა ლონდონში ჩასვლა, სადაც მაშინ «ისკრის» რედაქცია იყო. ბევრი რამ ითქვა იქ, მრავალი საკითხი იქნა განხილული ერთად. მაგრამ ივანე ვასილის ძეს საშუალება არ მიეცა დასწრებოდა პარტიის მეორე ყრილობას... საპყრობილემ და გადასახლებამ დიდი ხნით გამოიყვანა ის მწყობრიდან. აზვირთებულმა რევოლუციურმა ტალღამ ახალი მუშაკები, ახალი პარტიული მოღვაწეები წამოაყენა. ბაბუშკინი კი ამ დროს შორეულ ჩრდილოეთში, ვერხოიანსკში ცხოვრობდა, პარტიულ ცხოვრებას მოწყვეტილი. იგი დროს უქმად არ კარგავდა, სწავლობდა, საბრძოლველად ემზადებოდა. ამეცადინებდა მუშებს, გადასახლებაში მყოფ ამხანაგებს, ცდილობდა ისინი შეგნებული სოციალ-დემოკრატები და ბოლშევიკები გაეხადნა. 1905 წელს ამნისტიამ მოუსწრო, და ბაბუშკინი რუსეთისაკენ გაემართა. მაგრამ ამ დროს ციმბირშიც ბრძოლა იყო გაჩაღებული, და იქ საჭირო იყვნენ ისეთი ადამიანები, როგორც ბაბუშკინი. იგი ირკუტსკის კომიტეტში შევიდა და მუშაობაში გადაეშვა. მას უხდებოდა კრებებზე გამოსვლა, სოციალ-დემოკრატიული აგიტაციის გაწევა და აჯანყების მოწყობა. მაშინ, როდესაც ბაბუშკინს ხუთ სხვა ამხანაგთან ერთად — მათ სახელებს ჩვენამდე

არ მოუღწევია — ჩიტაში მიჰქონდა დიდძალი იარაღი ცალკე ვაგონით, მატარებელს დაესხა რენენკამპფის სადამსჯელო ექსპედიცია, და ექვსივე, სრულიად გაუსამართლებლად, მყისვე დახვრიტეს სახელდახელოდ გაჭრილი საერთო საფლავის პირას. მოკვდნენ ისინი როგორც გმირები. მათი სიკვდილის ამბავი მოიტანეს დამსწრე ჯარისკაცებმა და რკინიგზელებმა, რომლებიც იმავე მატარებელში იმყოფებოდნენ. ბაბუშკინი მეფის ოპრიჩნიკის მხეცური ძალადობის მსხვერპლი გახდა, მაგრამ, როცა კვდებოდა, მან იცოდა, რომ საქმე, რომელსაც მან მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა არ მოკვდება, რომ ამ საქმეს გააკეთებენ სხვა ადამიანთა ათი, ასი ათასები, მილიონები, რომ ამ საქმისათვის თავს გასწირავენ სხვა ამხანაგი მუშები, რომ ისინი იბრძოლებენ მანამდე, ვიდრე არ გაიმარჯვებენ...

* * *

არიან ადამიანები, რომლებმაც შეთხზეს და ავრცელებენ ზღაპარს იმის შესახებ, რომ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია «ინტელიგენტური» პარტიაა, რომ მუშები მისგან მოწყვეტილი არიან, რომ მუშები რუსეთში არიან სოციალ-დემოკრატები უსოციალ-დემოკრატიოდ. რომ ასე იყო განსაკუთრებით რევოლუციამდე და მნიშვნელოვანწილად — რევოლუციის დროს. ლიბერალები ამ სიცრუეს ავრცელებენ მასების იმ რევოლუციური ბრძოლისადმი სიძულვილის გამო, რომელსაც 1905 წელს რსდმპ ხელმძღვანელობდა, სოციალისტებიდან კი ამ ცრუ თეორიას ზოგი ვინმე სესხულობს უგუნურობით ან მოუფიქრებლობით. ივანე ვასილის ძე ბაბუშკინის ბიოგრაფია, ამ მუშა-ისკრელის ათი წლის სოციალ-დემოკრატიული მუშაობა თვალსაჩინოდ აბათილებს ლიბერალურ სიცრუეს. ი. ვ. ბაბუშკინი ერთი იმ მოწინავე მუშათაგანია, რომლებმაც რევოლუციამდე 10 წლით ადრე დაიწყეს მუშაობა სოციალ-დემოკრატიული პარტიის შექმნა. პროლეტარულ მასებში ასეთი მოწინავეების დაუცხრომელი, გმირულ-ბეჯითი მუშაობა რომ არა, რსდმ პარტია არათუ ათ წელს, ათ თვესაც ვერ იარსებებდა. მხოლოდ ასეთი მოწინავეების მოღვაწეობის მეოხებით, მხოლოდ მათი მხარდაჭერის მეოხებით, რსდმ პარტია 1905 წლისთვის გაიზარდა ისეთ პარტიად, რომელიც განუყრელად შეესისხლხორცა პროლეტარიატს ოქტომბრისა და დეკემბრის დიად დღეებში, რომელმაც შეინარჩუნა ეს კავშირი არა მარტო II, არამედ აგრეთვე III, შავრაზმული, სათათბიროს მუშა დეპუტატების სახით.

ლიბერალებს (კადეტებს) უნდათ სახალხო გმირად აქციონ I სათათბიროს თავმჯდომარე ს. ა. მურომცევი, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ მოკვდა. ჩვენ, სოციალ-დემოკრატებმა, შემთხვევა არ უნდა გავუშვათ. რათა გამოვთქვათ ზიზღი და სიძულვილი მეფის მთავრობის მიმართ, რომელიც სდევნიდა ისეთ ზომიერ და უწყინარ მოხელეებსაც კი, როგორიც მურომცევი იყო. მურომცევი მხოლოდ ლიბერალი მოხელე იყო. იგი დემოკრატიც კი არ ყოფილა. მას ეშინოდა მასების რევოლუციური ბრძოლისა. იგი რუსეთისათვის თავისუფლებას მოელოდა არა ასეთი ბრძოლისაგან, არამედ მეფის თვითმპყრობელობის კეთილი ნებისაგან, რუსი ხალხის ამ უბოროტეს და ულმობელ მტერთან შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ი ს ა გ ა ნ. სასაცილოა ასეთ ადამიანებში ვხედავდეთ რუსეთის რევოლუციის სახალხო გმირებს.

ასეთი სახალხო გმირები კი მოიპოვებიან. ესენი არიან ბაბუშკინის მსგავსი ადამიანები. ესენი არიან ის ადამიანები, რომლებმაც რევოლუციის წინ არა ერთი და ორი, არამედ მთელი 10 წელი სავსებით მოახმარეს მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლას. ესენი არიან ის ადამიანები, რომლებმაც ერთეულების უსარგებლო ტერორისტულ წამოწყებებს კი არ შესწირეს თავი, არამედ შეუპოვრად, განუხრელად მოქმედებდნენ პროლეტარულ მასებში, ხელს უწყობდნენ მ ა თ ი შეგნების, მ ა თ ი ორგანიზაციის, მ ა თ ი რევოლუციური თვითმოქმედების განვითარებას. ესენი არიან ის ადამიანები, რომლებიც სათავეში ჩაუდგნენ შეიარაღებულ მასობრივ ბრძოლას მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, როცა კრიზისი დაიწყო, როცა რევოლუციამ იფეთქა, როცა მილიონები და მილიონები ამოძრავდნენ. ყოველივე ის, რაც მეფის თვითმპყრობელობას ბრძოლით წავართვით, წართმეულ იქნა მ ხ ო ლ ო დ დ ა მ ხ ო ლ ო დ იმ მასების ბრძოლით, რომელთაც ხელმძღვანელობდნენ ისეთი ადამიანები, როგორც ბაბუშკინი.

ასეთი ადამიანები რომ არ ყოფილიყვნენ, რუსი ხალხი სამუდამოდ დარჩებოდა მონების ხალხად, ყმების ხალხად. ასეთი ადამიანების მეოხებით რუსი ხალხი მოიპოვებს სრულ განთავისუფლებას ყოველგვარი ექსპლოატაციისაგან.

უკვე განვლო 1905 წლის დეკემბრის აჯანყების მეხუთე წლისთავმა. ზეიმით აღვნიშნოთ ეს წლისთავი იმ მოწინავე მუშების მოგონებით, რომლებიც დაეცნენ მტერთან ბრძოლაში. ჩვენ თხოვნით მივმართავთ ამხანაგ მუშებს, ჰკრიბონ და გვიგზავნონ მოგონებანი მაშინდელი ბრძოლის შესახებ და დამატებითი ცნობები ბაბუშკინზე, აგრეთვე სხვა სოციალ-დემოკრატ მუშებზე, რომლებიც 1905 წლის

აჯანყების დროს დაიღუპნენ. ჩვენ განზრახული გვაქვს გამოვცეთ ბროშურა, რომელიც მოგვითხრობს ასეთი მუშების ცხოვრებაზე. ამგვარი ბროშურა საუკეთესო პასუხი იქნება ყოველგვარ მცირედმორწმუნეთა და რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის დამამცირებელთა მიმართ. ამგვარი ბროშურა საუკეთესო საკითხავი იქნება ახალგაზრდა მუშებისათვის, რომლებიც მით შეისწავლიან, თუ როგორ უნდა ცხოვრობდეს და მოქმედებდეს ყოველი შეგნებული მუშა.

«რაბოჩაია გაზეტა» № 2,
1910 წ. 18 (31) დეკემბერი

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.,
ტ. 16, გვ. 450—455

ნ ე რ ი ღ ი ღ ა ნ

ა. მ. გორკის

3. I. 11.

...«სოვრემენნიკის» შესახებ. დღეს «რეჩში» ვკითხულობდი 1-ლი წიგნაკის შინაარსს და ვილანძღებოდი, ვილანძღებოდი. ვოდოვოზოვი მურომცევზე... კოლოსოვი მიხაილოვსკიზე. ლოპატინი «ჩვენი არ არიან» და სხვ.. მოდი და ლანძღავს ნუ დაიწყებ! თქვენც კიდევ თითქოს მახელებთ: «რეალიზმი, დემოკრატია, აქტიურობაო».

გგონიათ ეს კარგი სიტყვებია? ცუდი სიტყვებია, რომლებსაც იყენებს ყველა ბურჟუაზიული გაიძვერა მსოფლიოში, დაწყებული კადეტებითა და ესერებით ჩვენში და დამთავრებული ბრიანით ან მილიერანით აქ, ლოიდ ჯორჯით ინგლისში და სხვ... სიტყვებიც ცუდია, გაბერილი, შინაარსიც ესერულ-კადეტური იქნება. არ ვარგა.

ტოლსტოის შესახებ სავსებით ვიზიარებ თქვენს აზრს, რომ თვალომაქცები და თაღლითები მის წმიდანად გადაქცევას ეცდებიან. პლეხანოვიც გაუგულისებია სიცრუესა და ტოლსტოის წინაშე ქედის მოხრას, და აქ ჩვენი აზრები ერთმანეთს დაემთხვა. ამისათვის ის «ნაშა ზარიას» ლანძღავს ცენტრალურ ორგანოში (შემდეგი ნომერი). მე «მისლში»[77] (დღეს მოვიდა № 1. მოგვილოცეთ — ჩ ვ ე ნ ი ჟურნალია მოსკოვში, მარქსისტული. რა სიხარული გვქონდა დღეს). «ზვეზდის»[78] (გამოვიდა ს.-პეტერბურგში 16. XII) № 1-შიც არის პლეხანოვის კარგი ფელეტონი უ ხ ა მ ს ი შენიშვნით, რომლისთვისაც უკვე გამოვლანძღეთ რედაქცია. ალბათ, იმ რეგვენმა იორდანსკიმ და ბონჩმა შეთხზეს! მაგრამ სად შეუძლია «სოვრემენნიკს» ებრძო-

ლოს «ლეგენდასა ტოლსტოისა და მისი რელიგიის შესახებ». ვოდოვოზოვი და ლოპატინი უნდა ებრძოლონ? ეს ხომ ხუმრობაა...

... როგორ მოგეწონათ «ზვეზდა» და «მისლი»? პირველი, ჩემი აზრით, უფერულია. მეორე კი მ თ ლ ა დ ჩვენია და უზომოდ მახარებს. მხოლოდ ვალე დახურავენ...

გაგზავნილია პარიზიდან
კუნძულ კაპრიზე (იტალია)
პირველად დაიბეჭდა 1924 წელს

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.,
ტ. 34, გვ. 504, 505, 507.

ნ ე ა ი ღ ი ღ ა ნ

ა. მ. გორკის

...ჩვენს «მისლს» უბედურება შეემთხვა.[29] «რ ე ჩ ი დ ა ნ» და სხვა გაზეთებიდან თქვენ, ალბათ, იცით. თუ რა მდგომარეობაა. საქმე პიტერში უნდა გადავიტანოთ და ხელახლა დავიწყოთ. ჩვენ კი ლეგალური საიმედო ადამიანები არა გვყავს.

ხომ არ შეძლებდით დაგვხმარებოდით, თუ «მისლს» თანაუგრძნობთ? ან, იქნებ, პიატნიცკი დაგვეხმარებოდა? საქმე ისეა, რომ ჩვენ ჯერჯერობით ფული გვაქვს ასეთი პატარა ჟურნალის გამოსაცემად (რა თქმა უნდა, იმ პირობით, რომ ჩვენ ყველა უფასოდ ვიმუშავებთ და გარეშეებს თაბახში 20 მანეთს მივცემთ! ხელგაშლილად ვერა ვართ, როგორც ხედავთ). მაშასადამე, ა ხ ლ ა მხოლოდ და მხოლოდ ტ ე ქ ნ ი კ უ რ ი დახმარება გვესაჭიროება: მოვნახოთ გამომცემელი, რომელიც გამოსცემდა ჟურნალს ისე, რომ თავისას ერთ კაპიკს არ დაჰარჯავდა (ამასთან ჩვენ იმდენად ვცნობთ უ მ კ ა ც რ ე ს ლეგალობას, რომ უფლებას ვაძლევთ გამომცემელსაც და რედაქციის მდივანსაც + იურისტი დ ა ა კ ა ვ ო ნ ყოველივე ცოტათი სახიფათო: ოთხი № ჩვენ ისე გამოვუშვით, რომ სასამართლოს სულ მცირედი შარიც არ მოუდვია. № 5 დააკავეს კაუცკის გამო[30]! ცხადია, რომ ეს შარის შოდებაა. არაფერი არალეგალური კაუცკის არა აქვს).

რატომ პიატნიცკი ან სხვა ვინმე არ უნდა დაგვეხმაროს ესოდენ უშიშარ რამეში? თუ გამომცემელს ვერ გამოვნახავთ, ხომ არ შეიძლება მოვნახოთ მ დ ი ვ ა ნ ი — ლეგალური კაცი, რომელსაც ჩვენ

გადაეუხდით 50 მანეთს თვეში სტამბასა და ექსპედიციასთან ჯახირისათვის. საჭიროა პატიოსანი და მზრუნველი კაცი, ესაა და ეს. ლეგალური ადამიანები ჩვენ არ ა გვყავს — გარდა მუშებისა (ისინი შესაფერისნი არ არიან). — აი ჩვენი უბედურება...

დაწერილია 1911 წ. აპრილის დამლევს
გაგზავნილია პარიზიდან
კაპრის კუნძულზე (იტალია)
პირველად დაიბეჭდა 1924 წ.
ლენინის კრებულში I

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.,
ტ. 36, გვ. 177—178

ნ ე ტ ი ნ ი ს ა ნ

ა. მ. გ ო რ კ ი ს

15. IX. 11.

...ჯერჯერობით შევძელით მხოლოდ გვეშოვნა ცოტაოდენი ფული «ზ ვ ე ზ დ ი ს» გასაახლებლად. დიდი იმედი მაქვს თქვენი დახმარებისა: გამოგვიგზავნეთ სტატია. დახმარება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დასაწყისში, რადგან შეწყვეტილი გამოცემის აღდგენა-მოწესრიგება ადვილი არ იქნება...

...აბა, გისურვებთ ყოველივე კარგს. წერეთ «ზ ვ ე ზ დ ი ს ა თ ვ ი ს»...

გაგზავნილია პარიზიდან
კაპრის კუნძულზე (იტალია)
პირველად დაიბეჭდა 1925 წ.
ლენინის კრებულში III

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.,
ტ. 36, გვ. 186, 187

სტოლიპინური «მუშათა» პარტიის განაკიდან

(ძლვნად ჩვენებურ «შემარიგებლებს» და «შემთანხმებლებს»)

ამხ. კ.-ის[81] კორესპონდენცია უდიდესი ყურადღების ღირსია ყველა იმათ მხრივ, ვისთვისაც ძვირფასია ჩვენი პარტია. «გოლოსელთა» პოლიტიკის (და გოლოსელთა დიპლომატიის) უკეთესი მხილება, ჩვენებურ «შემარიგებელთა და შემთანხმებელთა» შეხედულებებისა და იმედების უკეთესი გაქარწყლება ძნელი წარმოსადგენია.

განსაკუთრებულია თუ არა ამხ. კ.-ის მიერ აწერილი შემთხვევა? არა, ეს სტოლიპინური მუშათა პარტიის მოღვაწეთა ტ ი პ ი უ რ ი შემთხვევაა, ვინაიდან ჩვენ მშვენივრად ვიცით, რომ «ნაშა ზარიას», «დელო ჟიზნისა»[82] და სხვათა მ თ ე ლ ი რ ი გ ი ლიტერატორები უ კ ვ ე რ ა მ დ ე ნ ი მ ე წ ე ლ ი წ ა დ ი ა სისტემატურად ატარებენ ს წ ო რ ე დ ამ ლიკვიდატორულ იდეებს. ეს ლიკვიდატორები ყოველთვის როდი ხვდებიან პარტიულ მუშებს, ძალიან იშვიათად ღებულობს პარტია მათი სამარცხვინო გამოსვლების ასეთ ზუსტ ცნობებს, რომლებისთვისაც ჩვენ ამხ. კ.-ის მადლობელი უნდა ვიყოთ, მაგრამ ლეგალისტ-დამოუკიდებელთა ჯ გ უ ფ ი მ უ დ ა მ დ ა ყ ვ ე ლ გ ა ნ სწორედ ასეთ ქადაგებას ეწევა. როცა «ნაშა ზარიას» და «დელო ჟიზნის» ტიპის ჟურნალები არსებობენ, ამ ფაქტში დაეჭვება შეუძლებელია. ამ ფაქტის მიჩქმალვა ხელსაყრელია მხოლოდ ლიკვიდატორთა განსაკუთრებით მშიშარა და განსაკუთრებით უსინდისო დამცველებისათვის.

შეადარეთ ამ ფაქტს ის ხერხები, რომლებსაც ხმარობენ ტროცკის მსგავსი ადამიანები და გაჰყვირიან «შეთანხმებაზე» და ლიკვიდატორობისადმი მტრობაზე. ამ ხერხებს ყველა ძალიან კარგად იცნობს: რაც შეიძლება ხმამაღლა ყვირილი, ჩვენ «არც ბოლშევიკები ვართ და არც მენშევიკები, არამედ რევოლუციური სოციალ-დემოკრატები ვართო», გულმოდგინედ ფიცი ღმერთსა და ხატზე, ჩვენ ლიკვი-

დატორობის მტრები ვართ და თავგამოდებით ვიცავთ არალეგალურ რსდმ პარტიასაო, უსაზღვროდ ლანძღვა იმათი, ვინც ამხელს ლიკვიდატორებს — ბატონ პოტრესოვსა და კომპანიას, ანტილიკვიდატორების დარქმევა საკითხის «გამზვიადებლად», კრინტის არ დაძვრა გარკვეული ლიკვიდატორების — ბატონ პოტრესოვის, მარტოვის, ლევიცკის, დანის, ლარინისა და სხვათა წინააღმდეგ.

ამგვარ ხერხთა რეალური მნიშვნელობა ამჟარაა. ფრაზის შემწეობით ჰფარავენ ნამდვილ ლიკვიდატორებს და ყოველნაირად ცდილობენ ხელი შეუშალონ ანტილიკვიდატორების მუშაობას. სწორედ ამგვარ პოლიტიკას ატარებდა რსდმ პარტიის ისტორიაში თავისი უპრინციპობით ცნობილი «რაბოჩეე დელო»: იგი ღმერთსა და ხატს ფიცულობდა, სულაც არა ვართ ეკონომისტები, სავსებით ვემხრობით პოლიტიკურ ბრძოლასაო, ნამდვილად კი ხელს აფარებდა «რაბოჩაია მისლსა» და ეკონომისტებს, ებრძოდა მხოლოდ იმათ, ვინც აამჟარავებდა და უარყოფდა ეკონომისტებს.

აქედან ცხადია, რომ ტროცკი და მისი მსგავსი «ტროცკისტები და შემთანხმებლები» ყოველგვარ ლიკვიდატორზე მავნენი არიან, ვინაიდან დაჯერებული ლიკვიდატორები პირდაპირ გამოსთქვამენ თავიანთ შეხედულებებს, და მუშებისთვის ადვილია მათი მცდარობის გარკვევა, ხოლო ბატონი ტროცკები ატყუებენ მუშებს, ჰფარავენ ბოროტებას, შეუძლებელს ხდიან მის გამოაშკარავებას და მისგან განკურნებას. ვინც ტროცკის ჰატარა ჯგუფს უჭერს მხარს, ის მხარს უჭერს სიცრუისა და მუშების მოტყუების პოლიტიკას, ლიკვიდატორობის დაფარვის პოლიტიკას. რუსეთში ბ-ნ პოტრესოვისა და კომპანიისათვის მოქმედების სრული თავისუფლება, საზღვარგარეთ მათი საქმეების «რევოლუციური» ფრაზით დაფარვა — აი «ტროცკიზმის» პოლიტიკის არსი.

აქედან ცხადია, აგრეთვე, რომ ყოველგვარი «შეთანხმება» გოლოსელებთან და ამ შეთანხმებით რუსეთში ლიკვიდატორული ცენტრის, ე. ი «ნაშა ზარიას» და «დელო ჟიზნის» მოღვაწეების საკითხის მიფუჩეჩება მხოლოდ მუშების იმავე მოტყუების, ბოროტების იმავე დაფარვის გაგრძელება იქნებოდა. გოლოსელებმა 1910 წ. იანვრის პლენუმიდან დაწყებული სავსებით დაამტკიცეს, რომ მათ შეუძლიათ «ხელი მოაწერონ» ყოველგვარ რეზოლუციას და ამავე დროს არავითარი რეზოლუციებით «არ შეიზღუდონ» თავიანთი ლიკვიდატორული საქმიანობის «თავისუფლება». საზღვარგარეთ ხელს აწერენ რეზოლუციებს იმის შესახებ, რომ არალეგალური პარტიის

მნიშვნელობის ყოველგვარი დამცირება წარმოადგენს პროლეტარიატზე ბურჟუაზიული გავლენის გაძლიერებულებას, ხოლო რუსეთში ეხმარებიან ბატონ პოტრესოვებს, ლარინებს, ლევიცკებს, რომელნიც არათუ არ მონაწილეობენ არალეგალურ მუშაობაში, არამედ აბუჩად იგდებენ მას და არღვევენ არალეგალურ პარტიას.

ამჟამად ტროცკი ბ-ნ ლიბერის (— უკიდურესი ლიკვიდატორის, რომელიც რეფერატებზე საჯაროდ იცავდა ბ-ნ პოტრესოვს, ახლა კი, ამ ფაქტის მისაფუჩეჩებლად, კინკლაობასა და შუღლს აღვივებს) ტიპის ბუნდელებთან, შვარცის ტიპის ლატვიელებთან და სხვებთან ერთად თხზავს სწორედ ამგვარ «შეთანხმებას» გოლოსელებთან. მაგრამ ნურვინ მოტყუვდება ამაში: მათი შეთანხმება იქნება შეთანხმება ლიკვიდატორთა დაფარვის შესახებ.

P. S. ეს სტრიქონები უკვე აწყობილი იყო, როდესაც პრესაში გამოქვეყნდა ცნობა გოლოსელების «შეთანხმებაზე» ტროცკისთან, ბუნდელებთან და ლიკვიდატორ-ლატვიელთან. ჩვენი სიტყვები სავსებით დადასტურდა: ეს არის შეთანხმება რუსეთში ლიკვიდატორების დ ა ფ ა რ ვ ი ს შესახებ, შეთანხმება ბ-ნ პოტრესოვისა და კომპანიის დამქაშებისა.

«სოციალ-დემოკრატი» № 23,
1911 წ. 14 (1) სექტემბერი

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.,
ტ. 17, გვ. 283—286

ს ზ ა ზ ი ი ღ ა ნ

«შემარიგებელთა ანუ სათნოიანთა ახალი ფრაქციის შესახებ»

... რა დაეშართებოდა ძველი «ისკრის» ისტორიულ ღირსსახსოვარ საქმეს, მას რომ ეკონომიზმისა და «სტრუვიზმის» წინააღმდეგ თანამიმდევარი, შეურიგებელი პრინციპული კამპანიის ნაცვლად რაიმე ბლოკი, კავშირი შეეკრა ან «შეეერთებინა» ყ ვ ე ლ ა დიდი და პატარა ჯგუფი, რომელთა რიცხვი მაშინ საზღვარგარეთ ახლანდელზე ნაკლები როდი იყო?

ხოლო ჩვენი ეპოქისა და ძველი «ისკრის» ეპოქის განსხვავება ბევრად უფრო აძლიერებს უპრინციპო და ფრაზის მოტრფიალე შემარიგებლობის მავნებლობას...

«სოციალ-დემოკრატი» № 24
1911 წ. 18 (31) ოქტომბერი.
ხელმოწერა: ნ. ლენინი

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტი მიხედვით. მე-4 გამოც.,
ტ. 17, გვ. 327

რსდმპ სრულიად რუსეთის VI («პრაღის») კონფერენცია

1912 წ. 5-17 (18-30) იანვარი

რეზოლუციებიდან...

IV სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების შესახებ

...2) სათანადო ყურადღება მიექცეს ლეგალური მუშათა პრესის განმტკიცებასა და გაფართოებას;...

ცენტრალური ორგანოს შესახებ

მოისმინა და განიხილა რა ცენტრალური ორგანოს წარმომადგენლის მოხსენება, კონფერენცია იწონებს ცენტრალური ორგანოს პრინციპულ ხაზს და —

გამოთქვამს სურვილს, რომ ცენტრალურ ორგანოში მეტი ყურადღება მიექცეს საპრო.პაგანდო ხასიათის სტატიებს და სტატიები იწერებოდეს უფრო პოპულარულად და მუშებისათვის გასაგებად.

«რაბოჩაია გაზეტას» შესახებ

აღიარებს რა, რომ «რაბოჩაია გაზეტა» გადაჭრით და თანამიმდევრობით იცავს პარტიასა და პარტიულობას და სრულ თანაგრძნობას იმსახურებს ადგილობრივი პარტიული მუშაკების მხრივ ფრაქციების განურჩევლად,

კონფერენცია.

1) მოუწოდებს ყველა ადგილობრივ ამხანაგს ყოველმხრივი დახმარება აღმოუჩინონ «რაბოჩაია გაზეტას».

2) «რაბოჩაია გაზეტას» აღიარებს პარტიის ცენტრალური კომიტეტის ოფიციალურ ორგანოდ.

გაზეთ «პრავდის» შესახებ

კონფერენცია აუქმებს იმ შეთანხმებას «პრავდის» რედაქციათან, რომელიც ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა დასდო 1912 წლის იანვარში...

დაწერილია 1912 წ. იანვარში
დაბეჭდა 1912 წ. თებერვალს
ბროშურაში: «რუს. სოც.-დემ. მუშ.
პარტიის სრულიად რუსეთის
კონფერენცია».
გამოც. ცკ-ისა, პარიზი

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებ
ტექსტის მიხედვით. მე-4 გამოც.
ტ. 17, გვ. 562, 577

1912 წ.

ა. მ. გორკის

ძვირფასო ა. მ!.

მალე გამოგიგზავნით კონფერენციის გადაწყვეტილებებს.[84] ბოლოსდაბოლოს მოხერხდა — ლიკვიდატორ არამზადათა საწინააღმდეგოდ პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის აღდგენა. იმედი მაქვს, თქვენც გაგახარებთ ეს ჩვენთან ერთად.

ხომ არ დაწერთ სამაისო ფურცელს? ან პატარა ფურცელს ასეთივე სამაისო სულისკვეთებით? მოკლეს, «სულიერი სიმხნევის მომცემს», ჰა? მოიგონეთ ძველი დრო — ხომ გახსოვთ 1905 წელი — და დაწერეთ ორიოდე სიტყვა, თუ წერის ხალისზე მოხვიდეთ. რუსეთში 2—3 არალეგალური სტამბაა, და ცენტრალური კომიტეტი, ალბათ, რამდენიმე ათეულ ათას ეგზემპლარად გამოსცემს. კარგი იქნება გვექნეს «ზვეზდის» ზღაპრების ტიპის[85] რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი პროკლამაცია. ძალიან, ძალიან მიხარია, «ზ ვ ე ზ დ ა ს» რომ ეხმარებით. საშინლად გვიჭირს მისი გაძღოლა — როგორც შინაგანი და გარეშე, ისე ფინანსური სიძნელენი განუზომელია—მაგრამ ჯერჯერობით მაინც ვახერხებთ.

ხელს გართმევთ. ლ ე ნ ი ნ

P. S. «სოვრემენნიკი» კი როგორც იქნა მოკვდა! კარგადაც მოიქცა, რომ ასე ქნა.

დაწერილია 1912 წლის თებერვალში
გაგზავნილია პარიზიდან
კუნძულ კაპრიზე (იტალია)
პირველად დაიბეჭდა 1925 წელს

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.,
ტ. 35, გვ. 1

ა. მ. გორკის

ძვირფასო ა. მ!

ძალიან მიხარია, რომ დათანხმდით სინჯოთ სამაისო ფურცლის დაწერა.

კონფერენციის გადაწყვეტილებებს ამასთან გიგზავნით.

«ჟივოე დელო»[56] ვნახე. ბილწი ლიკვიდატორული ნაჯლაბნრა «მიკიბ-მოკიბვით». ლიბერალური ქადაგებაა; უხარიათ, რომ პოლიცია ხელს უშლის პარტიის საკითხის აშკარად დაყენებას.

«ზვეზდა» გაგრძელდება ან როგორც ყოველკვირეული ან ყოველდღიური კაპიკიანის სახით. შესანიშნავი «ზღაპრებით» თქვენ ძალიან, ძალიან ეხმარებოდით «ზვეზდას». და ეს მე უაღრესად მახარებდა, ასე რომ სიხარული — პირდაპირ რომ ვთქვა — სჯობნიდა ჩერნოვებთან და ამფიტეატროვებთან თქვენი «რომანით» გამოწვეულ სევდას... უუ! უნდა გამოვტყდე, მიხარია, რომ მათ «ეფუშებათ».

თქვენ რომ საარსებო საშუალება არა გაქვთ და ვერსად ბეჭდავთ. ეს კი ცუდია. ეჰ, კარგი იქნებოდა, აქამდე რომ გაგეგდოთ წურბელა-პიატნიცკი და მიგეჩინათ პატიოსანი ნოქარი, უბრალო ნოქარი «ზნანიესათვის» (იქნებ ეს უკვე გვიან იყოს, არ ვიცი)!!! ეს რომ გექნათ... ოქროში ჩაეფლობოდით...

როჟკოვის «ირკუტსკოე სლოვოს»[57] ძალიან იშვიათად ვხედავ. ეს კაცი ლიკვიდატორი გახდა. ხოლო ჩუჟაკი მთლად სულელი და შტერია, თანაც პრეტენზიებიანი.

თქვენი ლენინი

მარიამ თეოდორეს ასულს მადლობა მოსკოვში გაგზავნილი წერილისათვის და ათასი სალამი!

დაწერილია 1912 წ. თებერვალ-მარტში
გაგზავნილია პარიზიდან
კუნძულ კაპრიზე (იტალია)
პირველად დაიბეჭდა 1927 წელს

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.,
ტ. 35, გვ. 2—3

გაზეთ «ზვეზდის» რედაქციას

(მინაწერი «რსდმპარტიის საარჩევნო პლატფორმაზე»)[25]

ეს პლატფორმა გეგზავნებათ მხოლოდ იმისთვის, რომ ყველას გააცნოთ, განსაკუთრებით პლატფორმის შემთხზველებს. დროა თავი დაანებონ პლატფორმის შეთხზვას, როდესაც არსებობს ცენტრალური კომიტეტის მიერ დამტკიცებული და გამოცემული პლატფორმა (რუსეთში უკვე გამოვიდა ფურცელი ამის შესახებ, მაგრამ ჩვენ მხოლოდ ერთი ეგზემპლარი გვაქვს და მისი გამოგზავნა არ შეგვიძლია; ამიტომ გადავწერეთ და გიგზავნით ასლს). განსაკუთრებით დიდი სისულელე იქნებოდა ლეგალური პლატფორმების შეთხზვა. ყველა და ყოველგვარი სტატია პლატფორმის შესახებ და «პლატფორმის საფუძვლების» შესახებ უნდა დაიბეჭდოს უსათუოდ ავტორის ხელმოწერით და შენიშვნით: კომენტარის ცდა.

კერძოდ ძალიან, ძალიან ვურჩევდი თქვენთვის ცნობილ კოლეგიას არ დაამტკიცოს არავითარი პლატფორმა. ეს ლიკვიდატორული წამოწყებაა, რომ პლატფორმას ამტკიცებდეს ვინმე გარდა ცენტრალური კომიტეტისა! გარდა ამისა კოლეგიის მიერ პლატფორმის დამტკიცება კარგს არაფერს მოიტანს არსებითადაც. კოლეგიამ ან უნდა მოიწონოს ეს ანდა კრინტიც არ დასძრას.

დაწერილია 1912 წ.
13 (26) მარტს

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც., ტ. 17, გვ. 615

ს ტ ა ტ ი ი ს ა ნ

«გადმოშალეთ თქვენი ბანაკი»[89]

(1) უსათუოდ გამოგზავნეთ რაც შეიძლება ჩქარა წიგნები 1907 წ. 3 ივნისის საარჩევნო კანონის შესახებ. თან 1910 წლის ცნობარის ეგზემპლარიც.[90] გარდა ამისა (საარჩევნო) კ ა ნ ო ნ ი ი უ რ ი ს ტ ი ს კომენტარებით. მოიკითხეთ «თქვენიანებთან» და დაჩქარებით გამოგზავნეთ. უამისოდ ამომრჩევლის თანამგზავრის შედგენა შეუძლებელია. (2) «ზეზდას» ახლაც ვერ ვღებულობ წესიერად. გაუმეორეთ ექსპედიციას. მიეცით ჩემი მისამართი (ძველი). შეუწყნარებელია ასე დაუდევრად გზავნა. (3) სტატია «პლატფორმის საფუძვლები» საჭირო არ არის კოლეგიაში გატარდეს; დაბეჭდეთ იგი ხელმოწერით და ქვესათაურით (კომენტარის ცდა); კოლეგია ა რ ა ვ ი თ ა რ პლატფორმას არ უნდა «ამტკიცებდეს» ნუ დაივიწყებთ, რომ აქ საკმაოა ერთი უმართებულო ნაბიჯის გადადგმა და აურზაურს თავს ვერ გაართმევთ. სჯობს კოლეგიამ თავი შეიკავოს და არაფერი თქვას. პლატფორმის დამტკიცება სულ სხვა ინსტანციის საქმეა. (4) გამოგზავნეთ გაზეთები, ჟურნალები, წიგნები. უამისოდ ძნელია. (5) მოიწერეთ ზუსტად. როდის ვეღირსებით ყოველდღიურ გაზეთს, რა ფორმატისა იქნება და სხვ. (6) «ე ვ ო ე დ ე ლ ო ს» უფრო ცოცხლად ეომეთ — მაშინ გამარჯვება უზრუნველყოფილი იქნება. უამისოდ არ ივარგებს. პოლემიკას ნუ შეუშინდებით. კვირაში 2 — 3 პოლემიკური სტატია უეჭველად უნდა მოათავსოთ.

დაწერილია 1912 წლის
12 თუ 13 (25 თუ 26) მარტს
პირველად დაიბეჭდა
1935 წ. 21 იანვარს
გაზეთ «პრავდაში» № 21

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.,
ტ. 17, გვ. 423—424

ბროშურიდან

««Vorwärts»-ის ანონიმი და საძმის ვითარება რსდმ პარტიაში»[91]

...გარდა ორი «მიმდინარეობისა»—ლიკვიდატორობისა და ანტილიკვიდატორობისა (კონფერენციის მომხრეებისა) — არავითარი სხვა მიმდინარეობა წარმოდგენილი არაა, რადგან სხვა რომელიმე ცოტად თუ ბევრად სერიოზული «მიმდინარეობა» სრულიად არ არსებობს. ყველა ეს პაწაწა ჯგუფები,—მაგალითად, «პრავდა», «ვპერიოდ», «ბოლშევიკი პარტიელები» (ანუ «შემარიგებლები», შემარიგებლურად განწყობილნი) და სხვ. — ნულს უდრიან. ლიკვიდატორების შეხედულებები რუსეთში გამოხატულებას პოულობენ ყოველთვიურ ჟურნალ «ნაშა ზარიაში» (გამოდის 1910 წლიდან) და ყოველკვირეულ «ქივოე დელოში» (უკანასკნელი № 8). პარტიელების (ბოლშევიკები და მენშევიკი-პარტიელები) შეხედულებებს გამოხატავენ ყოველთვიური «პროსვეშჩენიე»[92] (გამოდის 1911 წლიდან—წინათ «მისლ») და გაზეთი «ზვეზდა» (უკანასკნელი № 53). უაღრესად მცდარია ის აზრი, თითქოს პარტიელი სოციალ-დემოკრატები უარყოფდნენ «ლეგალურ» მუშაობას: პირიქით, ისინი ამ მუშაობაში ლიკვიდატორებზე უფრო ძლიერნი არიან...

დაწერილია 1912 წ. მარტში
დაიბეჭდა გერმანულ ენაზე
1912 წ. პარიზში
ცალკე ბროშურად
ხელმოწერა: რსდმ პარტიის
ცენტრალური ორგანოს
«სოციალ-დემოკრატის»
რედაქცია

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.,
ტ. 17, გვ. 653

გაზეთ «ზვეზდის» რედაქციას

ძვირფასო კოლეგა. დღეს გიგზავნით ახალ მასალას «ამომრჩევლის თანამგზავრისათვის». აქ თითქმის ყველაფერია, კიდევ იქნება ორი დღის შემდეგ ერთ-ორი სტატია აქედან, და შემდეგ ტვერიდან მიიღებთ სტატიას ბიუჯეტის შესახებ.

1) ძალიან გირჩევთ კიდევ გადაბეჭდოთ «ზვეზდიდან» № 34 (17. XII. 11) ფრეის სტატია: «მუშა ამრჩეველების როლი საარჩევნო კამპანიაში» (კარგი იქნება აგრეთვე გადაბეჭდავდეთ მისსავე სტატიას № 36-დან (31. XII. 11) გლეხი ამრჩეველების როლის შესახებ). მაინცდამაინც ძალიან ნუ გამოედევნებით შემოკლებას. უმჯობესია გამოსცეთ სრული დიდი წერილი, რომელიც სარგებლობას მოიტანს, აზრიანად უხელმძღვანელებს არჩევნებს. ნუ გამოედევნებით სიიაფეს და სიმოკლეს — უმჯობესია სოლიდური რამ გამოსცეთ.

თუ უკიდურეს შემთხვევაში აბსოლუტურად შეუძლებელი იქნება გამოსცეთ ყველა სტატია, აუცილებლად დააბრუნეთ, რაც გამოუცემელი დარჩება.

2) აქ აუცილებლად საჭიროა ვიზრუნოთ წესიერ მიწერ-მოწერაზე. თქვენმა მდივანმა პირდაპირ აქ მომწეროს, და არა არკაშონზე, გაჭიანურება რომ არ მოხდეს. მოგვეცით უკეთესი მისამართი თქვენთვის წერილების გამოსაგზავნად.

3) ლიკვიდატორებს ამაოდ არ პასუხობთ. ეს დიდი შეცდომაა. პასუხის გაცემა შეიძლება და საჭიროა. ისე რომ ერთი სიტყვაც არა თქვათ კონფერენციის შესახებ, «ეიგოე დელოს» ყოველ სიცრუეზე დაბეჭდეთ მოკლე პასუხი: «ეიგოე დელო» ამა და ამ ნომერში ცრუობს, ისევე როგორც ყველა ლიკვიდატორი, საჭიროა უპასუხოთ, თორემ თქვენ ზარალობთ.

4) თუ პლეხანოვი დაწერს, მისი სტატიები აქ უნდა გვიგზავნოთ სვეტებად. თორემ გამოდის «პრივილეგია», რომელიც ჩვენთვის შეუწყნარებელია. ფრთხილად იყავით. თქვენ გვაიძულებთ წაიდეთ, თუ პლეხანოვს პრივილეგია მიეცა წეროს კონფერენციის წინააღმდეგ,

როცა ჩვენ არ შეგვიძლია ვწეროთ კონფერენციის სასარგებლოდ. ეს ხომ საძაგლობაა — ლანძღვის საშუალებას აძლევდე, როცა ქება არ შეიძლება.

5) აუცილებლად გამოგვიგზავნეთ «ნოვოე ვრემიაში» შეხვეული განსაკუთრებული პაკეტით «ზვეზდის» №№: 24 და 25 1911 წ. ზაფხულისა, № 18 (54), № 19 (55), № 22 (58), № 23 (59) — ჩვენ ისინი არა გვაქვს და «ეიგოე დელო» № 11 და № 26. კონფისკებული ნომრები, გთხოვთ, ცალკე გამოგვიგზავნეთ, მემარჯვენე გაზეთებში შეხვეული.

6) მალე გვაცნობეთ ყოველდღიური გაზეთის შესახებ[93]. როგორი იქნება ფორმატი? რა ზომის სტატიები შეიძლება გამოიგზავნოს?

7) ეცადეთ იყიდოთ რაც შეიძლება იაფად III სათათბიროს სტენოგრაფიული ანგარიშები, განსაკუთრებით 1911—12 წლის სესიისა. მოიწერეთ.

დაწერილია 1912 წ. 22 აპრილს
ჟაგზავნილია პარიზიდან პეტერბურგში
პირველად დაიბეჭდა 1923 წელს

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.,
ტ. 35, გვ. 16—17

ს ვ ა ზ ი ი ღ ა ნ

«გერცენის ხსოვნას»

ასი წელი გავიდა გერცენის დაბადებიდან. მის ხსოვნას აღნიშნავს მთელი ლიბერალური რუსეთი, თანაც დაკვირვებულად უვლის გვერდს სოციალიზმის სერიოზულ საკითხებს, გულმოდგინედ ფარავს, რით განსხვავდებოდა რ ე ვ ო ლ უ ც ი ო ნ ე რ ი გერცენი ლიბერალისაგან. გერცენს იხსენიებს მემარჯვენე პრესაც, რომელიც ცილისწამებით ირწმუნება გერცენი სიცოცხლის უკანასკნელ ხანებში ჩამოშორდა რევოლუციასო. ხოლო საზღვარგარეთულ, ლიბერალურ და ნაროდნიკულ სიტყვებში გერცენის შესახებ ფრაზების მეტი არაფერია.

მუშათა პარტიამ უნდა მოიხსენიოს გერცენი არა ობივატელური ქება-დიდებისათვის, არამედ თავისი ამოცანების გასარკვევად, იმ მწერლის ნამდვილი ისტორიული ადგილის გასარკვევად, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა რუსეთის რევოლუციის მომზადებაში...

... გერცენმა შექმნა თავისუფალი რუსული პრესა საზღვარგარეთ — ეს მისი დიდი დამსახურებაა. «პოლიარნაია ზვეზდამ»[94] აღადგინა დეკაბრისტების ტრადიცია. «კოლოკოლი» (1857—1867) მედგრად იბრძოდა გლეხობის განთავისუფლებისათვის. მონური დუმილი დაარღვა.

მაგრამ გერცენი მემამულეთა, ბატონკაცთა წრეს ეკუთვნოდა. მან რუსეთი დატოვა 1847 წელს, მას არ უნახავს რევოლუციური ხალხი და არ შეიძლება ჰქონოდა მისდამი რწმენა. აქედანაა მისი ლიბერალური აპელაცია «ზედაფენებისადმი». აქედანაა მისი ურიცხვი მოთაფლული წერილები «კოლოკოლში» ალექსანდრე II ჯალათისადმი, რომლებსაც ახლა ისე ვერ წაიკითხავ, რომ ზიზღი არ მოგგვაროს. ჩერნიშევსკი, დობროლიუბოვი, სერნო-სოლოვიევიჩი, რომლებიც რევოლუციონერ-რაზნოჩინცების ახალ თაობას წარმო-

ადგენდნენ. ათასგზის მართალი იყვნენ, როცა უსაყვედურებდნენ გერცენს ამ გადახვევას დემოკრატიზმიდან ლ ი ბ ე რ ა ლ ი ზ მ ი ს ა კ ე ნ. მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს ვთქვათ, რომ, მიუხედავად გერცენის მთელი მერყეობისა დემოკრატიზმსა და ლიბერალიზმს შორის, მასში მაინც დემოკრატი იმარჯვებდა.

როცა ლიბერალური უხამსობის ერთ-ერთმა უსაზიზღრესმა ტიპმა, კაველინმა, რომელიც წინათ აღტაცებული იყო «კოლოკოლით» სწორედ მისი ლ ი ბ ე რ ა ლ უ რ ი ტენდენციებისათვის, კონსტიტუციის წინააღმდეგ გაილაშქრა, თავს დაესხა რევოლუციურ აგიტაციას, გაილაშქრა «ძალადობის» და მისდამი მოწოდების წინააღმდეგ, შეუდგა მოთმინების ქადაგებას, გერცენმა ამ ლიბერალ ჭკუის კოლოფთან კავშირი გ ა წ ყ ვ ი ტ ა. გერცენი თავს დაესხა მის «მჭლე, უაზრო, მავნე პამფლეტს», დაწერილს იმ მიზნით, რომ მით «ფარულად ეხელმძღვანელა ლიბერალობის ხასიათზე დამდგარ მთავრობას», თავს დაესხა კაველინის «პოლიტიკურ-სენტიმენტალურ სენტენციებს», რომლებიც ხატავდნენ «რუს ხალხს პირუტყვად, მთავრობას კი ჭკვიანად». «კოლოკოლმა» მოათავსა სტატია «საფლავზე წარმოთქმული სიტყვა», სადაც ამათრახებდა «პროფესორებს, რომლებიც ქსოვენ თავიანთი ქედმაღლურ-ნამცეცა უბადრუკი იდეების დამპალ ქსელს, ექს-პროფესორებს, რომლებიც ოდესღაც გულმართლები იყვნენ, შემდეგ კი გაბოროტდნენ, რაკი დაინახეს, რომ ჯანსაღი ახალგაზრდობა ვერ თანაუგრძნობს მათს დაჩიავებულ აზრს». კაველინმა მაშინვე იცნო თავი ამ პორტრეტში.

როცა ჩერნიშევსკი დააპატიმრეს, საზიზღარი ლიბერალი კაველინი წერდა: «დაპატიმრებანი მე აღმაშფოთებელი არა მგონია... რევოლუციურ პარტიას მიაჩნია, რომ მთავრობის დასამხობად ყველა საშუალება კარგია. მთავრობა კი თავს იცავს თავისი საშუალებებითო». ხოლო გერცენი თითქოს ამ კადეტს უპასუხებდა, როცა ჩერნიშევსკის გასამართლების გამო ამბობდა: «აქ კი უბადრუკი ადამიანები, ქონდრის კაცები, ჭიაღუა ადამიანები ამბობენ, რომ არ უნდა ვლანძღავდეთ ავაზაკთა და არამზადათა ამ ხროვას, რომელიც ჩვენ გვმართავსო».

როცა ლიბერალმა ტურგენევმა კერძო წერილი მისწერა ალექსანდრე II-ეს, არწმუნებდა მას თავის უქვეშევრდომილეს გრძნობებში და ორი ოქრო შესწირა პოლონეთის აჯანყების ჩაქრობისას დაჭრილი ჯარისკაცებისათვის, «კოლოკოლი» წერდა «თმაჭაღარა მაგდალინელზე (მამრობითი სქესისა), რომელმაც ხელმწიფეს მისწერა, ძილი აღარა მაქვს და ვიტანჯები იმის გამო, რომ ხელმწიფემ არ

იცის, როგორ მოვინანიე ცოდვაო». და ტურგენევმა მაშინვე იცნო თავი.

როცა რუს ლიბერალთა მთელი ხროვა ერთბაშად ჩამოშორდა გერცენს პოლონეთის დაცვისათვის, როცა მთელმა «განათლებულმა საზოგადოებამ» ზურგი შეაქცია «კოლოკოლს», გერცენი არ შემდრკალა. იგი განაგრძობდა პოლონეთის თავისუფლების დაცვას და ალექსანდრე II-ის მსახურ დამწყნარებელთა, ჯალათთა, ჩამომხრჩობთა გამამთრახებას. გერცენმა იხსნა რუსეთის დემოკრატიის ღირსება. «ჩვენ ვიხსენით რუსის სახელის ღირსება—სწერდა იგი ტურგენევს—და ამისთვის დავისაჯეთ მონური უმრავლესობისაგანო».

როცა მოდიოდა ცნობა, რომ ყმა გლეხმა მემამულე მოკლა საცოლისათვის ნამუსის ახდის ცდის გამოო, გერცენი «კოლოკოლში» დასძენდა ხოლმე: «ძალიან კარგადაც მოქცეულაო!»; როცა იუწყებოდნენ, სამხედრო უფროსების თანამდებობას აწესებენ «მშვიდი» «განთავისუფლებისათვისო», გერცენი წერდა: «პირველი ჭკვიანი პოლკოვნიკი, რომელიც თავისი რაზმით გლეხებს მიემხრობა, ნაცვლად იმისა, რომ ახრჩობდეს მათ, რომანოვთა ტახტზე დაჯდებაო». როცა პოლკოვნიკმა რეიტერნმა თავი მოიკლა ვარშავაში (1860 წელს), რომ ჯალათების დამხმარე არ გამხდარიყო, გერცენი წერდა: «თუ დახვრეტაა, უნდა დახვრიტო ის გენერლები, რომლებიც ბრძანებას იძლევიან ესროლონ უიარაღოებსო». როცა ბეზდნაში 50 გლეხი დახოცეს და მათი მეთაური ანტონ პეტროვი სიკვდილით დასაჯეს (1861 წლის 12 აპრილს), გერცენი «კოლოკოლში» წერდა:

«ო, ჩემს სიტყვებს რომ შეეძლოს შენამდე მოღწევა, რუსეთის მშრომელო და ტანჯულო!.. როგორ გასწავლიდი შეიზიზღო შენი სულიერი მოძღვარნი, რომლებიც დაგიყენეს პეტერბურგის სინოდმა და გერმანელმა მეფემ... შენ გძულს მემამულე, გძულს მოხელე, გეშინია მათი — და სავსებით მართალი ხარ; მაგრამ ჯერ კიდევ გჯერა მეფისა და მღვდელმთავრისა... ნუ გჯერა მათი. მეფე მათთანაა, და ისინი მისი ხალხია. მას ხედავ შენ ახლა, შენ, ბეზდნაში მოკლული ჭაბუკის მამავ, შენ, პენზაში მოკლული მამის შვილო... შენი მოძღვარნი შენსავით უმეცარნი, შენსავით ღარიბნი არიან... ასეთი იყო სხვა ანტონი (არა ეპისკოპოსი ანტონი, არამედ ბეზდნელი ანტონი), რომელიც ყაზანში შენი გულისათვის აწამეს... შენი წმინდანების სხეულები ორმოცდარვა სასწაულს ვერ მოახდენენ, მათდამი ლოცვა მტკივან კბილებს ვერ განკურნავს; მაგრამ მათმა ცოცხალმა ხსოვნამ შეიძლება მოახდინოს ერთი სასწაული — შენი განთავისუფლება».

აქედან ჩანს, რა საზიზღრად და სულმდაბლად სწამებენ ცილს გერცენს მონურ «ლეგალურ» პრესაში მოკალათებული ჩვენი ლიბერალები, რომლებიც განადიდებენ გერცენის სუსტ მხარეებს და ჩქმალავენ მის ძლიერ მხარეებს. გერცენის ბრალი კი არა, მისი

უბედურება იყო, რომ მას არ შეეძლო დაენახა რევოლუციური ბალხი თვით რუსეთში 40-იან წლებში. როცა მან დაინახა იგი 60-იან წლებში — იგი უშიშრად დადგა რევოლუციური დემოკრატიის მხარეზე ლიბერალიზმის წინააღმდეგ. იგი იბრძოდა ხალხის გამარჯვებისათვის ცარიზმზე და არა ლიბერალური ბურჟუაზიის გარიგებისათვის მემამულეთა მეფესთან. მან აღმართა რევოლუციის დროშა.

აღვნიშნავთ რა გერცენის ხსოვნას, ჩვენ ნათლად ვხედავთ სამ თაობას, სამ კლასს, რომლებიც რუსეთის რევოლუციაში მოქმედებდნენ. თავდაპირველად — თავადაზნაურები და მემამულეები, დეკაბრისტები და გერცენი. ვიწროა ამ რევოლუციონერთა წრე. საშინლად შორს არიან ისინი ხალხისაგან. მაგრამ მათს საქმეს ამაოდ არ ჩაუვლია. დეკაბრისტებმა გამოაღვიძეს გერცენი. გერცენმა გააჩაღა რევოლუციური აგიტაცია.

ეს აგიტაცია განაგრძეს, გააფართოეს, განამტკიცეს, გამოაწრთეს რევოლუციონერმა რაზნოჩინცებმა, ჩერნიშევსკით დაწყებული და «ნაროდნაია ვოლიას» გმირებით დამთავრებული. უფრო გაფართოვდა მებრძოლთა წრე, უფრო დაუახლოვდნენ ისინი ხალხს. «მომავალი ქარიშხლის ახალგაზრდა შტურმანები» — ასე უწოდებდა მათ გერცენი. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ იყო თვით ქარიშხალი.

ქარიშხალი—ეს თვით მასების მოძრაობაა. პროლეტარიატი, ერთადერთი ბოლომდე რევოლუციური კლასი, ჩაუდგა მათ სათავეში და პირველად დარაზმა აშკარა რევოლუციური ბრძოლისათვის მილიონობით გლეხი. ქარიშხალმა პირველად იგრიალა 1905 წელს. შემდეგი შეტევა ჩვენს თვალწინ იწყებს ზრდას.

აღნიშნავს რა გერცენის ხსოვნას, პროლეტარიატი მისი მაგალითის მიხედვით სწავლობს რევოლუციური თეორიის დიად მნიშვნელობას;—სწავლობს იმის გაგებას, რომ რევოლუციისადმი უსაზღვრო ერთგულება და რევოლუციური ქადაგებით ხალხისადმი მიმართვა მაშინაც კი არ ჩაივლის ამაოდ, როცა მთელი ათეული წლები აშორებს თესვას მკისაგან; — სწავლობს რუსეთის და საერთაშორისო რევოლუციაში სხვადასხვა კლასთა როლის განსაზღვრას. ამ გა-

კვეთილებით გამდიდრებული, პროლეტარიატი გზას გაიკაფავს ყველა ქვეყნის სოციალისტ მუშებთან თავისუფალი კავშირისაკენ. გასრესს იმ ქვეწარმავალს, მეფის მონარქიას, რომლის წინააღმდეგაც გერცენმა პირველმა აღმართა ბრძოლის დიადი დროშა მასებისადმი მიმართული თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ი რ უ ს უ ლ ი ს ი ტ ყ ვ ი თ.

«სოციალ-დემოკრატი» № 26,
1912 წ. 8 მაისი (25 აპრილი)

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.,
ტ. 18, გვ. 11, 15—19

ს ჯ ა ჯ ი ი ღ ა ნ

«პეტერბურგის არჩევნების მნიშვნელობა»

... მარტო პეტერბურგში არსებობს ოდნავ მაინც რიგიანად დაყენებული მუშური პრესა, რომელსაც, მიუხედავად მის წინააღმდეგ მთელი გააფთრებული დევნისა, ჯარიმებსა და რედაქტორთა დაპატიმრებისა, მიუხედავად მისი მდგომარეობის მთელი მერყეობისა, მიუხედაეად ცენზურის მიერ მთელი შევიწროებისა, უნარი შესწევს მოგვცეს მუშათა დემოკრატიის შეხედულებათა სუსტი ასახვა.

ყოველდღიური პრესის გარეშე არჩევნები ბნელ საქმედ რჩება და მისი მნიშვნელობა მასების პოლიტიკური განათლების აზრით საეჭვოდ მცირდება თუ უფრო მეტად არა...

«ნევსკაია ზვეზდა» № 15,
1912 წლის 1 ივლისი
ხელმოწერა: ფ. ფ.

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.,
ტ. 18, გვ. 153—154

ნახევარი წლის მუშაობის შედეგები[95]

ყოველდღიური მუშათა გაზეთის შექმნით პეტერბურგის მუშებმა დიდი — გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, ისტორიული საქმე გააკეთეს. მუშათა დემოკრატია უმაგალითო ძნელ პირობებში დაირაზმა და განმტკიცდა. რა თქმა უნდა, მუშათა დემოკრატიული პრესის სიმტკიცეზე ჩვენში ლაპარაკიც ზედმეტია. ყველამ კარგად იცის, თუ რა დევნას განიცდიან მუშათა გაზეთები.

მაგრამ ყოველივე ამასთან ერთად «პრავდის» შექმნა რუსეთის მუშების შეგნებულობის, ენერგიისა და დარაზმულობის თვალსაჩინო დადასტურებად რჩება.

სასარგებლოა თვალი გადავავლოთ წარსულს და ვნახოთ რუსეთის მუშათა მიერ საკუთარი პრესის შესაქმნელად გაწეული ნახევარი წლის მუშაობის ზოგიერთი შედეგი. პეტერბურგის მუშათა წრეებში სწორედ მიმდინარე წლის იანვრიდან საბოლოოდ გამოირკვა ინტერესი საკუთარი პრესისადმი, ყველა ჯურის ორგანოებში, რომლებსაც კავშირი აქვთ მუშათა სამყაროსთან, გამოქვეყნდა მთელი რიგი სტატიები ყოველდღიური მუშათა გაზეთის შესახებ.

I

მონაცემები იმის შესახებ, თუ ვინ და როგორ შექმნა ყოველდღიური მუშათა პრესა რუსეთში, საბედნიეროდ, შედარებით სრული სახით არსებობს. ეს არის მონაცემები ყოველდღიური მუშათა გაზეთისათვის თანხების შეგროვების შესახებ.

დავიწყოთ იმ თანხების შეგროვებით, რომლებითაც შეიქმნა «პრავდა». 1 იანვრიდან 30 ივნისამდე, სრული ნახევარი წლისათვის, ჩვენ გვაქვს «ზვეზდის», «ნევსკაია ზვეზდის»[96] და «პრავდის» ანგარიშები. საჯაროობა უზრუნველყოფდა ამ ანგარიშების აბსოლუტურ სისწორეს: შემთხვევითი შეცდომები დაუყოვნებლივ სწორდება დაინტერესებულ პირთა მითითებით.

ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი და საინტერესოა არა შეგროვებული თანხის საერთო ჯამი, არამედ შ ე მ ო მ წ ი რ ვ ე ლ თ ა შ ე მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ა. თუ მაგალითად, «ნევსკაია ზვეზდამ» მე-3 ნომერში მოგვცა ყოველდღიური მუშათა გაზეთისათვის შეგროვებული თანხის საერთო ჯამი 4 288 მან. 84 კაპ. (იანვრიდან 5 მაისამდე, თუ არ ჩავთვლით იმ თანხებს, რომლებიც 22 აპრილიდან, «პრავდის» გამოსვლის დაწყების დღიდან, პირდაპირ ამ გაზეთში შემოდიოდა). —ჩვენ წინაშე ერთბაშად დგება შემდეგი კითხვა. რა როლს ასრულებდნენ ამ თანხის შედგენაში თვით მუშები და მუშათა ჯგუფები? იგი თანამგრძნობთა დიდი შენატანებით ხომ არ არის შექმნილი თუ თვითონ მუშებმა აქ მუშათა პრესისადმი პირადი, ცხოველი ინტერესი გამოიჩინეს და დიდი თანხა მუშათა ჯგუფების დ ი დ ი რაოდენობის შენატანებით შეადგინეს?

თ ვ ი თ მუშების თაოსნობის, ენერგიის თვალსაზრისით, გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია 100 მან., შეგროვებული ვთქვათ, მუშათა 30 ჯგუფის მიერ, ვიდრე ათეულობით «თანამგრძნობთა» მიერ შეგროვებული 1 000 მან. მუშათა მცირე საქარხნო და საფაბრიკო წრეების მიერ შეგროვებული შ ა უ რ ე ბ ი თ დაარსებული გაზეთი ბევრად უფრო საფუძვლიანად, მტკიცედ, ს ე რ ი ო ზ უ ლ ა დ არის დაყენებული (ფინანსების თვალსაზრისითაც და—რაც ყველაზე მნიშვნელოვანია მუშათა დემოკრატიის განვითარების თვალსაზრისითაც), ვიდრე თანამგრძნობი ინტელიგენციის მიერ შეტანილი ათეული და ასეული მანეთებით დაარსებული გაზეთი.

ამ ძირითადი და ყველაზე არსებითი საკითხის შესახებ ზუსტი მონაცემები რომ გვქონოდა, ჩვენ ვიანგარიშეთ სამ აღნიშნულ გაზეთში დაბეჭდილი მონაცემები თანხების შეგროვების შესახებ. გამოვყავით მ ხ ო ლ ო დ ის თანხები, რომელთა შესახებაც ნაჩვენებია, რომ ისინი მუშათა ან მოსამსახურეთა ჯ გ უ ფ ე ბ მ ა შეაგროვეს.

ახლა ჩვენ გვაინტერესებს მხოლოდ ის თანხები, რომლებიც შეაგროვეს თ ვ ი თ მუშებმა, და ამასთან არა ცალკეულმა მუშებმა, რომლებიც, შესაძლოა, შემთხვევით წააწყდნენ ამა თუ იმ შემგროვებელს, რომელთანაც დაკავშირებული არ ყოფილან იდეურად, ე. ი. თავისი შეხედულებებით, რწმენით, არამედ სახელდობრ მუშათა ჯ გ უ ფ ე ბ მ ა, რომლებიც, უეჭველია, წინასწარ ი მ ს ჯ ე ლ ებ დ ნ ე ნ, მიეცათ თუ არა ფული, ვ ი ს თ ვ ი ს მიეცათ, რა მიზნისათვის მიეცათ.

«ზვეზდის», «ნევსკაია ზვეზდის» და «პრავდის» თვითეულ ცნობას, რომელშიც აღნიშნულია, რომ სწორედ მუშათა თუ მოსამსახუ-

რეთა ჯგუფმა შეიტანა ფული ყოველდღიურ მუშათა გაზეთისათვის, ვიღებდით თვით მუშათა ერთ ჯგუფურ შეგროვებად.

მერე მუშათა რამდენი ასეთი ჯგუფური შეგროვება აღმოჩნდა 1912 წლის პირველი ნახევრის განმავლობაში?

ხუთასოთხი ჯგუფური შეგროვება!

მუშებს ჯგუფობით ხუთასზე მეტჯერ შეუტანიათ თანხები საკუთარი გაზეთის დასაარსებლად და დასახმარებლად, ხან ერთი დღის ხელფასის გამოყოფით, ხან ფულის ერთდროული შეტანით, ხან ამ შეტანის დროდადრო განმეორებით. 504 მუშათა ჯგუფმა, გარდა ცალკეული მუშებისა და თანამგრძნობი პირებისა, უაღრესად აქტიური მონაწილეობა მიიღო საკუთარი გაზეთის დაარსებაში, — ეს რიცხვი, უეჭველია გვიჩვენებს იმას, რომ მუშათა მასებში გაიღვიძა ღრმა და შეგნებულმა ინტერესმა მუშათა გაზეთისადმი, არა საერთოდ რომელიმე მუშათა გაზეთისადმი, არამედ სახელდობრ მუშათა დემოკრატიული გაზეთისადმი. რაკი მასებში ასეთი შეგნებულობა და აქტიურობა არსებობს, — არავითარი სიძნელე, არავითარი დაბრკოლება არ არის საშიში. არ არის და არც შეიძლება იყოს ისეთი სიძნელეები და ისეთი დაბრკოლებანი, რომლებსაც, ასე თუ ისე, ვერ დასძლევს მუშათა მასების შეგნებულობა, აქტიურობა და დაინტერესება.

თვეების მიხედვით ეს 504 ჯგუფური შეგროვება ასე ნაწილდება:

1912 წ.	იანვარში	14
»	თებერვალში	18
»	მარტში	76
»	აპრილში	227
»	მაისში	135
»	ივნისში	34
	სულ ნახევარ წელიწადში...	504

ამ პატარა ცხრილიდან ცხადად ჩანს, სხვათა შორის, აპრილ-მაისის დღეების, როგორც შემობრუნების დღეების მთელი მნიშვნელობა. სიბნელიდან სინათლისაკენ, პასიურობიდან აქტიურობისაკენ, ცალკეულ პირთა მოქმედებიდან მასების მოქმედებისაკენ.

იანვარსა და თებერვალში მუშებს შორის თანხების ჯგუფური შეგროვება ჯერ კიდევ სრულიად უმნიშვნელოა. ჩანს, საქმე ეს არის იწყება. მარტში უკვე შესამჩნევი, მნიშვნელოვანი აღმავლობაა. მუშებს შორის ერთ თვეში 76 ჯგუფური შეგროვება — ეს ყოველ

შემთხვევაში გვიჩვენებს სერიოზულ მოძრაობას მუშებში, მასების შეუპოვარ მისწრაფებას რადაც უნდა დაუჯდეთ მიაღწიონ მიზანს, არ შეუშინდნენ შეწირულების გაღებას. ეს გვიჩვენებს მუშათა მასების დიდ ნდობას თავიანთი საკუთარი ძალებისადმი და მთელი საქმის დაყენებისადმი, დასაარსებელი გაზეთის მიმართულებისადმი და ასე შემდეგ. მარტში, ყოველდღიური მუშათა გაზეთი ჯერ კიდევ არ ყოფილა: მუშათა ჯგუფები, მაშასადამე, აგროვებდნენ ფულს და უგზავნიდნენ «ზვეზდას», ასე ვთქვათ, სესხად.

აპრილი ერთბაშად იძლევა გიგანტურ აღმავლობას, რომელიც საქმეს წყვეტს. მუშათა შორის ერთ თვეში 227 ჯგუფური შეგროვება, საშუალოდ დღეში შვიდ შეგროვებაზე მეტი! კაშხალი გარღვეულია, მუშათა ყოველდღიური გაზეთი უზრუნველყოფილია. თვითეული ჯგუფური შეგროვება ნიშნავს არა მარტო შაურებისა და ორშაურიანების ჯამს, არამედ გაცილებით უფრო მნიშვნელოვან რამესაც ერთობლივი, მასობრივი ენერგიის ჯამს, ჯგუფების გადაწყვეტილებას დაეხმარონ მუშათა გაზეთს, გაავრცელონ, წარმართონ, შექმნან იგი თავიანთი საკუთარი მონაწილეობით.

შეიძლება დაიბადოს კითხვა: აპრილში ხომ არ სჭარბობდა თანხების შეგროვება 22 აპრილის შემდეგ, ე. ი. «პრავდის» დაარსების შემდეგ? არა. «ზვეზდაში» 22 აპრილამდე მოთავსებულია ანგარიშები 188 ჯგუფური შეგროვების შესახებ. «პრავდაში» 22 აპრილიდან თვის დამლევამდე მოთავსებულია ანგარიშები 39 ჯგუფური შეგროვების შესახებ. მაშასადამე, აპრილის 21 დღის განმავლობაში, «პრავდის» დაარსებამდე, საშუალოდ დღეში მოდის 9 შეგროვება, ხოლო აპრილის უკანასკნელი ცხრა დღის განმავლობაში მხოლოდ 4 ჯგუფური შეგროვება დღეში.

აქედან ორი მნიშვნელოვანი დასკვნა გამომდინარეობს:

ჯერ-ერთი, მუშებმა ყველაზე მეტი ენერგია სწორედ «პრავდის» დაარსებამდე გამოიჩინეს. ფულს «სესხად» რომ აძლევდნენ, «ზვეზდას» ნდობას რომ უცხადებდნენ, მუშები გამოხატავდნენ მტკიცე გადაწყვეტილებას თავისი გაეტანათ.

მეორე, აქედან ჩანს, რომ მუშების სწორედ აპრილის აღმავლობამ შექმნა მუშათა გაზეთი «პრავდა». არ შეიძლება დავეჭვდეთ იმაში, რომ მუშათა მოძრაობის საერთო აღმავლობასა (არა ვიწრო-ამქრული, არა ვიწრო-პროფესიული ფორმით. არამედ მისი საყოველთაო-სახალხო გაქანებით) და პეტერბურგის მუშათა დემოკრატიის ყოველდღიური ორგანოს შექმნას შორის უაღრესად მჭიდრო კავშირი არსებობს. ჩვენთვის საკმარისი არ არის პროფე-

სიული გამოცემები, ჩვენ გვესაჭიროება საკუთარი პოლიტიკური გაზეთი — აი რა შეგნება მტკიცდებოდა მასებში აპრილის დღეებში; ჩვენ გვესაჭიროება არა ყოველგვარი პოლიტიკური მუშათა გაზეთი, არამედ სწორედ მოწინავე მუშათა დემოკრატიის გაზეთი; გაზეთი გვესაჭიროება არა მარტო იმისათვის, რომ ხელი შევუწყოთ ჩვენს მუშათა ბრძოლას, არამედ იმისათვის, რომ მთელ ხალხს ნიმუში და ლამპარი მივცეთ.

მაისში აღმავლობა ჯერ კიდევ მეტად ძლიერია. ჯგუფურ შეგროვებათა რაოდენობა საშუალოდ დღეში ოთხზე მეტია. ერთი მხრივ, აქ ჩანს აპრილ-მაისის საერთო აღმავლობა. მეორე მხრივ, მუშათა მასებს შეგნებული აქვთ, რომ ყოველდღიური გაზეთის გამოცემა თუმცა უკვე დაიწყო, მაგრამ პირველ ხანებში მისი მდგომარეობა განსაკუთრებით ძნელია, ჯგუფური დახმარება განსაკუთრებით საჭიროა.

ივნისში ჯგუფურ შეგროვებათა რაოდენობა იმაზე უფრო დაბლა ეცემა, ვიდრე მარტში იყო. რა თქმა უნდა, მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ ყოველდღიური მუშათა გაზეთის დაარსების შემდეგ წარმოიშვა გაზეთისადმი დახმარების სხვა ფორმა, რომელმაც გადამწყვეტი მნიშვნელობა მიიღო, სახელდობრ: მასზე ხელმოწერა და გაზეთის გავრცელება ამხანაგებში, ნაცნობებში, თანაშემამულეებში და სხვ. «პრავდის» ყველა შეგნებული მეგობარი არ სჯერდება იმას, რომ თვით აწერს მასზე ხელს, არამედ ნიმუშისათვის, გასაცნობად ურიგებს და გზავნის გაზეთს სხვა ფაბრიკებში, მეზობელ ბინებსა და სახლებში, სოფელში და ასე შემდეგ. სამწუხაროდ, არ შეგვიძლია გვქონდეს ასეთი სახის ჯგუფური დახმარების სრული სტატისტიკა.

II

მეტად საგულისხმოა განვიხილოთ, მუშათა შორის ეს 504 შეგროვება როგორ ნაწილდება ქალაქებისა და საფაბრიკო დაბების მიხედვით? რუსეთის რომელ ადგილებში და როგორი ენერგიით გამოეხმაურნენ მუშები მოწოდებას ყოველდღიური მუშათა გაზეთის შესაქმნელად?

ეს მონაცემები, საბედნიეროდ, გვაქვს მუშათა შორის ჩატარებული ყველა ჯგუფური შეგროვების შესახებ, რომელთა ანგარიშებსაც ბეჭდავდნენ «ზვეზდა», «ნევსკაია ზვეზდა» და «პრავდა».

ამ მონაცემების შეჯამებისას უწინარეს ყოვლისა უნდა გამოვყოთ პეტერბურგი, რომელიც ბუნებრივია სათავეში დგას პეტერ-

ბურგის მუშათა გაზეთის შექმნის საქმეში; — შემდეგ 14 ქალაქი და საფაბრიკო დაბა, საიდანაც თანხები მიღებულია მუშათა ერთ-ზე მეტი ჯგუფისაგან, და, ბოლოს, ყველა დანარჩენი ქალაქი, რიცხვით 35, რომელთაგან ნახევარი წლის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ არის მიღებული მუშათა ჯგუფში შეგროვებული თანხა-ეიღებთ შემდეგ სურათს:

		სულ ჯგუფური შეგროვება
პეტერბურგი		412
14 ქალაქი	2 — 12 ჯგუფური შეგროვებით	57
35 »	1 » »	35
	სულ 50 ქალაქში —	504

აქედან ჩანს, რომ თითქმის მთელი რუსეთი, ამა თუ იმ ოდენობით, აქტიურ მონაწილეობას იღებდა ყოველდღიური მუშათა გაზეთის შექმნაში. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რა სიძნელეები ეღობება მუშათა დემოკრატიული პრესის გავრცელებას პროვინციაში, საოცარია დიდი რიცხვი იმ ქალაქებისა, რომლებიც პეტერბურგის მუშების მოწოდებას ნახევარი წლის განმავლობაში გამოეხმაურნენ.

რუსეთის 49 ქალაქში*, გარდა სატახტო ქალაქისა, მუშებს შორის თანხების ოთხმოცდათორმეტი ჯგუფური შეგროვება — ეს მეტად მნიშვნელოვანი რიცხვია, ყოველ შემთხვევაში დასაწყისისათვის. აქ უკვე აღარ შეიძლება ლაპარაკი შემთხვევითს, გულგრილ, პასიურ შემწირველებზე: ჩვენ წინაშე, უეჭველია, არიან მთელ რუსეთში გაფანტული, მაგრამ მუშათა დემოკრატიისადმი შეგნებული თანაგრძნობით გაერთიანებული პროლეტარული მასების წარმომადგენლები.

შევნიშნოთ, რომ პროვინციული ქალაქების სათავეში დგას კიევი — 12 ჯგუფური შეგროვება, შემდეგ ეკატერინოსლავი — 8, და მხოლოდ მეოთხე ადგილზეა მოსკოვი — 6. მოსკოვისა და მთელი

* აი ქალაქებისა და დაბების სრული სია. სპბ-ის მიდამოები: კრონშტადტი, კოლპინო, სესტრორეცკი. სამხრეთი: ხარკოვი — 4 ჯგუფ. შეგროვება, ეკატერინოსლავი — 8, ანანიევი — 2, ლუგანსკი — 3, ხერსონი, დონის როსტოვი, პავლოგრადი, პოლტავა, კიევი — 12, ასტრახანი — 4, ჩერნიგოვი, იუზოვკა — 3, მინაკოვო, შჩერბინ. მაღარო, რიკოვის მაღარო, ბელგოროდი, ელისავეტგრადი, ეკატერინოდარი, მარიუპოლი — 2, ნიჟნე-დნეპროვსკი, ნახჩევანი. მოსკოვის რაიონი: როდნიკი — 2 რიაზანი, ტულა — 2, ბეჟეცკი — 2. ჩრდილოეთი: არხანგელსკი — 5, ვოლოგდა. დასავლეთი: დვინსკი, ვილნო, გომელი, რიგა, ლობავა, მიულგრაბენი. ურალი: პერმი, კიშტიმი, მინიარი, ორენბურგი. ვოლგისპირეთი: სორმოვო, ს. ბალაკოვო. კავკასია: ბაქო — 2. გროზნო, თბილისი. ციმბირი: ტიუმენი და ბლაგოვეშჩენსკი. ფინეთი: ჰელსინგფორსი.

რაიონის ეს ჩამორჩენილობა კიდევ უფრო ნათლად ჩანს რუსეთის ყველა რაიონის შემდეგი ნაკრები მონაცემებით:

ყოველდღიური მუშათა გაზეთისათვის მუშებს შორის თანხების ჯგუფური შეგროვების რაოდენობა ნახევარი წლის განმავლობაში, 1912 წ. იანვარ-ივნისი

პეტერბურგი და მისი მიდამოები	415
სამხრეთი	51
მოსკოვი და მისი რაიონი	13
ჩრდილოეთი და დასავლეთი	12
ურალი და ვოლგისპირეთი	6
კავკასია, ციმბირი, ფინეთი	7
სულ რუსეთში	504

ეს მონაცემები შეიძლება შემდეგნაირად გამოიხატოს.

რუსეთში მუშათა დემოკრატიის გამოცოცხლების თვალსაზრისით, პროლეტარულმა პეტერბურგმა უკვე გაიღვიძა და თავის სახელოვან პოსტზე დგას. სამხრეთი იღვიძებს. დედა-მოსკოვს კი, დანარჩენ რუსეთთან ერთად, ჯერ კიდევ სძინავს. უკვე დროა იმანაც გამოიღვიძოს.

მთელი მოსკოვის რაიონის ჩამორჩენა ირკვევა დანარჩენ პროვინციულ რაიონებთან მისი შედარებით. სამხრეთი დაშორებულია პეტერბურგს და ბევრად უფრო დაშორებულია, ვიდრე მოსკოვი. და მაინც სამხრეთი, სადაც სამრეწველო მუშების ნაკლები რაოდენობაა, ვიდრე მოსკოვის რაიონში, თითქმის ერთიოთხად სჭარბობს ამ რაიონის მუშებს შორის თანხების ჯგუფური შეგროვების რაოდენობის მხრივ.

მოსკოვი, ეტყობა ურალსა და ვოლგისპირეთსაც კი ჩამორჩა, ვინაიდან მოსკოვსა და მის რაიონში მუშების რაოდენობა არა ერთიორად, არამედ ბევრჯერ აღემატება ურალისა და ვოლგისპირეთის მუშების რაოდენობას. ამავე დროს მოსკოვსა და მის რაიონზე მოდის სულ 13 ჯგუფური შეგროვება, მაშინ როცა ურალსა და ვოლგისპირეთზე მოდის 6.

რა თქმა უნდა, მოსკოვისა და მისი რაიონის ჩამორჩენაზე გავლენას ახდენდა, ალბათ, ორი განსაკუთრებული პირობა. ჯერ-ერთი აქ სჭარბობს საფეიქრო მრეწველობა, ხოლო ამ მრეწველობაში კონიუნქტურა, ე. ი. ბაზრის პირობები და წარმოების მეტ-ნაკლები გამოცოცხლების პირობები, უარესი იყო, ვიდრე, მაგალითად, მეტალურგიის დარგში. ამიტომ ფეიქრები ნაკლებად მონაწილეობდნენ

ბაფიცვებში, ნაკლებ ინტერესს იჩენდნენ პოლიტიკისა და მუშათა დემოკრატიისადმი. მეორე, მოსკოვის რაიონში მეტია მიყრუებულ ადგილებში გაბნეული ფაბრიკები, სადაც გაზეთისათვის მიღწევა უფრო ძნელია, ვიდრე დიდ ქალაქში.

მაგრამ ყოველ შემთხვევაში მოყვანილი ცნობებიდან გამომდინარეობს ყველა ჩვენგანისათვის უეჭველი გაკვეთილი. მოსკოვში მუშათა გაზეთის გავრცელებას უაღრესად გაძლიერებული ყურადღება უნდა მიექცეს. შეუძლებელია შევურიგდეთ მოსკოვის ჩამორჩენას. ყოველ შეგნებულ მუშას ესმის, რომ პეტერბურგი უმოსკოვოდ იგივეა, რაც ერთი ხელი უმეოროდ.

მოსკოვსა და მის რაიონში თავმოყრილია რუსეთის ფაბრიკა-ქარხნების მუშათა უმეტესი მასა. მაგალითად, 1905 წელს აქ, თვით მთავრობის სტატისტიკის მიხედვით, იყო ფაბრიკა-ქარხნების 567 ათასი მუშა, ე. ი. რუსეთის მუშათა მთელი რაოდენობის (1 660 ათასი) მესამედზე მეტი და გაცილებით მეტი, ვიდრე პეტერბურგის ოლქში (298 ათასი). ამიტომ მოსკოვის რაიონი მუშათა გაზეთის მკითხველთა და მეგობართა რაოდენობის, მუშათა დემოკრატიის შეგნებულ წარმომადგენელთა რაოდენობის მხრივ პირველ ადგილზე უნდა იდგეს. მოსკოვმა, რა თქმა უნდა, უნდა დაარსოს თავისი ყოველდღიური მუშათა გაზეთი.

ჯერჯერობით კი პეტერბურგი უნდა დაეხმაროს მას. «პრავდის» მკითხველები ყოველ დილით უნდა ეუბნებოდნენ თავიანთ თავს და თავიანთ მეგობრებს: «მუშებო, გახსოვდეთ მოსკოველები!»

III

მოყვანილმა მონაცემებმა ჩვენი ყურადღება უნდა მიიპყრონ ჯიდევ ერთი, მეტად მნიშვნელოვანი და პრაქტიკული საჭირბოროტო თვალსაზრისით. ყველას ესმის, რომ პოლიტიკური გაზეთი ერთ-ერთი ძირითადი პირობაა თანამედროვე საზოგადოების ყოველი კლასის მონაწილეობისა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში საერთოდ, კერძოდ კი საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობისაც.

ასევე მუშებსაც ესაჭიროებათ გაზეთი საერთოდ და კერძოდ IV სათათბიროს არჩევნების ჩასატარებლად. მუშებმა მშვენივრად იციან, რომ მათ არ შეუძლიათ კარგ რასმე მოელოდნენ არც III და არც IV სათათბიროსაგან; მაგრამ არჩევნებში ჩვენ მონაწილეობა უნდა მივიღოთ, ჯერ-ერთი, მუშათა მასების დარაზმვისა და პოლიტიკური განათლებისათვის არჩევნების დროს, როცა ცხოველდება

პარტიული ბრძოლა და მთელი პოლიტიკური ცხოვრება, როცა მასებისაკენ თუ ისე სწავლობენ პოლიტიკას; ხოლო მეორე, სათათბიროში თავიანთი მუშათა დეპუტატების გასაყვანად. ყველაზე შავრაზმულ, წმინდა-ნემამულურ სათათბიროშიც კი მუშათა დეპუტატებს მცირე სარგებლობა როდი მოჰქონდათ და შეუძლიათ მოუტანონ მუშათა საქმეს, თუ ეს დეპუტატები ნამდვილი მუშა დემოკრატები არიან, თუ ისინი დაკავშირებული არიან მასასთან, და მასა სწავლობს წარმართოს, შეამოწმოს ისინი.

1912 წლის პირველ ნახევარში ყველა პოლიტიკურმა პარტიამ რუსეთში დაიწყო და, არსებითად, უკვე დაამთავრა ის, რასაც პარტიული ძალების წინასაარჩევნო მობილიზაცია ეწოდება. მობილიზაცია სამხედრო სიტყვაა. იგი ნიშნავს: ჯარების მოყვანას საბრძოლო მზადყოფნაში. მსგავსად იმისა, როგორც ომის წინ ჯარი მოჰყავთ საბრძოლო მზადყოფნაში, იწვევენ სათადარიგოებს, ურიგებენ იარაღს და საბრძოლო საჭურველს, — ისე არჩევნების წინ ყველა პარტია აჯამებს თავისი მუშაობის შედეგებს, ადასტურებს თავის გადაწყვეტილებებს პარტიის შეხედულებებისა და ლოზუნგების შესახებ, იკრებს ძალებს, ემზადება ყველა დანარჩენი პარტიების წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

ეს სამუშაო, არსებითად, ვიმეორებთ, უკვე დამთავრებულია. არჩევნებამდე რამდენიმე კვირა დარჩა; ამ ხნის განმავლობაში შეიძლება დავძაბოთ და უნდა დავძაბოთ ძალები ამომრჩევლებზე, მასებზე გავლენის გასაძლიერებლად, მაგრამ თუ თვითპარტია (ყოველი კლასის პარტია) არ მომზადებულა ნახევარი წლის განმავლობაში, მას უკვე ვეღარაფერი უშველის, იგი უკვე ნულია. არჩევნებში.

ამიტომ არის, რომ ის ნახევარი წელიწადი, რომელსაც ჩვენი სტატისტიკა ეხება, IV სათათბიროს არჩევნების წინ მუშათა ძალების გადამწყვეტი მობილიზაციის ნახევარი წელიწადია. ეს ნახევარი წელიწადი არის ნახევარი წელიწადი მუშათა დემოკრატიის მთელი ძალების მობილიზაციისა, რა თქმა უნდა, — არა მარტო სათათბიროსათვის წარმოებული ბრძოლის მხრივ, მაგრამ ჩვენს ყურადღებას ჯერჯერობით სწორედ ამ უკანასკნელზე ვაჩერებთ.

აქ ჩნდება ერთი საკითხი, რომელსაც ამას წინათ შეეხნენ «ნევსკაია ზვეზდა» № 16, და «პრავდა» № 16 და «პრავდა» № 61 ეს არის საკითხი ეგრეთწოდებული ლიკვიდატორების შესახებ, რომლებიც პეტერბურგში, 1912 წლის იანვრიდან, უშვებენ გაზეთებს.

«ყივოე დელოს» და «ნევსკი გოლოსს»[97]. ლიკვიდატორები, რომლებსაც თავიანთი ცალკე გაზეთები აქვთ, ამბობენ, რომ არჩევნებში მუშათა დემოკრატიის «ერთიანობისათვის» საჭიროა «შეთანხმება» მათთან, ლიკვიდატორებთან, წინააღმდეგ შემთხვევაში «ორმაგი კანდიდატურების» აჩრდილით იმუქრებიან.

დაშინების ამ ცდებს დღემდე, როგორც ჩანს, ძლიერ ნაკლები წარმატება ჰქონდა.

და ეს სავსებით გასაგებია. როგორ შეიძლება სერიოზულად უწევდე ანგარიშს იმ ადამიანებს, რომლებმაც სამართლიანად დაიმსახურეს ლიკვიდატორებისა და ლიბერალური მუშათა პოლიტიკის გამტარებლების სახელწოდება?

მაგრამ, იქნებ, ამ ინტელიგენტთა ჯგუფის მცდარ არასოციალ-დემოკრატიულ, შეხედულებებს მაინც ბევრი მუშა იზიარებს? მაშინ განსაკუთრებული ყურადღება ხომ არ უნდა მივაქციოთ ამ მუშებს? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად ახლა ობიექტური, აშკარა და სავსებით ზუსტი მონაცემები გვაქვს. 1912 წლის მთელი პირველი ნახევრის განმავლობაში ლიკვიდატორებმა, როგორც ცნობილია, განსაკუთრებით დიდი ენერგია გამოიჩინეს «პრავდაზე», «ნევსკაია ზვეზდაზე», «ზვეზდაზე» და ლიკვიდატორობის საერთოდ ყველა მოწინააღმდეგეზე თავდასხმებში.

მერე რა წარმატება ჰქონდათ ლიკვიდატორებს მუშებს შორის? ამას მოწმობს ყოველდღიური მუშათა გაზეთისათვის თანხების ის შეგროვება, რის შესახებაც ბეჭდავდნენ ცნობებს ლიკვიდატორული გაზეთები «ყივოე დელო» და «ნევსკი გოლოსი». ყოველდღიური გაზეთის საჭიროება ლიკვიდატორებმა ძლიერ დიდი ხანია აღიარეს, 1911 წლიდან, თუ 1910-დან არა, და მთელი ძალებით ქადაგებდნენ ამ იდეას თავიანთ მომხრეებში. 1912 წლის თებერვლიდან გაზეთი «ყივოე დელო», რომლის გამოცემა 20 იანვრიდან დაიწყო, შეუდგა ანგარიშების ბეჭდვას იმ შეგროვებული თანხების შესახებ, რომლებსაც იგი ამ მიზნისათვის იღებდა.

ამ შეგროვებული თანხებიდან (რომლებმაც 1912 წლის პირველ ნახევარში 139 მან. 27 კაპ. შეადგინეს) გამოვყოთ მ უ შ ე ბ ს შ ო რ ი ს თ ა ნ ხ ე ბ ი ს ჯ გ უ ფ უ რ ი შ ე გ რ ო ვ ე ბ ა, სწორედ ისევე, როგორც ეს არალიკვიდატორული გაზეთების მიმართ გავაკეთეთ. შევაჯამოთ «ყივოე დელოს» თექვსმეტივე ნომრისა და «ნევსკი გოლოსის» ხუთივე ნომრის («ნევსკი გოლოსის» № 6 უკვე ივლისში გამოვიდა) ცნობები, — მივუმატოთ თუნდაც თვით «ყივოე დელოს» დასახმარებლად შეგროვებული თანხები (თუმცა არალიკ-

ვიდატორული გაზეთებისათვის არ აგვიღია ცნობები ასეთი შეგროვების შესახებ). მივიღებთ შემდეგ მონაცემებს ნახევარი წლის განმავლობაში მუშებს შორის თანხების ჯგუფური შეგროვების საერთო რაოდენობის შესახებ:

ყოველდღიური მუშათა გაზეთისათვის მუშებს შორის თანხების ჯგუფური შეგროვების რაოდენობა 1912 წლის 1-ლ ნახევარში

	არალიკვიდატორული გაზეთებისათვის	ლიკვიდატორული გაზეთებისათვის
იანვარი	14	0
თებერვალი	18	0
მარტი	76	7
აპრილი	227	8
მაისი	135	0
ივნისი	34	0
სულ	04	15

მაშასადამე, ნახევარი წლის განმავლობაში ინტელიგენტ ლიკვიდატორთა წრის დაძაბული მეცადინეობით მოხერხდა მუშათა სულ 15 ჯგუფის მხარდაჭერის მოპოვება!

განა შეიძლება წარმოვიდგინოთ ლიკვიდატორთა უფრო სრული დამარცხება 1912 წლის იანვრიდან? განა შეიძლება წარმოვიდგინოთ უფრო ზუსტი დადასტურება იმისა, რომ ჩვენ წინაშეა ინტელიგენტ ლიკვიდატორთა სწორედ წრე, რომელსაც უნარი შესწევს გამოსცეს ნახევრადლიბერალური ჟურნალი და გაზეთი, მაგრამ სრულიად მოკლებულია რამდენამდე სერიოზულ პროლეტარულ მასობრივ საყრდენს?

აი კიდევ მონაცემები ლიკვიდატორთა მიერ მიღებული იმ თანხების რაიონობრივი განაწილების შესახებ, რომლებიც მუშათა შორის ჯგუფურად შეგროვდა.

ყოველდღიური მუშათა გაზეთისათვის მუშებს შორის თანხების ჯგუფური შეგროვების რაოდენობა 1912 წლის 1-ლ ნახევარში

	არალიკვიდატორული გაზეთებისათვის	ლიკვიდატორული გაზეთებისათვის
პეტერბურგი და მიდამოები	415	10
სამხრეთი	51	1
მოსკოვი და მისი რაიონი	13	2
ჩრდილოეთი და დასავლეთი	12	1
ურალი და ვოლგისპირეთი	6	0
კავკასია, ციმბირი და ფინეთი	7	1
სულ	504	15*

* მოსკოვი — 2, ნახჩევანი, ნოვონიკოლაევსკი და არხანგელსკი—თითო-თითო.

მაშასადამე, სამხრეთში ლიკვიდატორთა დამარცხება ნახევარი წლის მანძილზე უფრო ძლიერიც კია, ვიდრე პეტერბურგში.

მუშათა სტატისტიკის ეს ზუსტი მონაცემები, რომლებიც აშკარად იბეჭდებოდა მთელი ნახევარი წლის მანძილზე მოწინააღმდეგე მიმართულებათა გაზეთებში, საბოლოოდ წყვეტენ «ლიკვიდატორობის» საკითხს. შეიძლება რამდენიც უნდათ ლანძღონ ლიკვიდატორობის მოწინააღმდეგეები და ცილი დასწამონ მათ, მაგრამ ზუსტი მონაცემები მუშებს შორის თანხების ჯგუფური შეგროვების შესახებ უცილობელია.

ახლა საესებით გასაგებია, რატომ არ მოეკიდნენ სერიოზულად «ნევსკაია ზვეზდაც» და «პრავდაც» ლიკვიდატორთა მუქარის «ორმაგი კანდიდატურების» შესახებ. სასაცილო იქნებოდა სერიოზულად მოჰკიდებოდნენ იმ ადამიანთა მუქარას, რომლებმაც ნახევარი წლის აშკარა ბრძოლაში ცხადყვეს, რომ ნულზე ცოტა მეტს წარმოადგენენ. ლიკვიდატორობის ყველა დამცველი «ჟივოე დელოსა» და «ნევსკი გოლოსში» გაერთიანდა. და მათ ყველამ ერთად ნახევარი წლის განმავლობაში თავიანთ მხარეზე მიიზიდეს მუშათა თხუთმეტი ჯგუფი!

ლიკვიდატორობა არაფერია მუშათა მოძრაობაში; იგი ძლიერია მხოლოდ ლიბერალურ ინტელიგენციაში.

IV

მუშებს შორის თანხების ყოველგვარი შეგროვების შესახებ მონაცემები «პრავდაში», საერთოდ რომ ვთქვათ, მეტისმეტად საინტერესო მასალას წარმოადგენენ. მუშათა მოძრაობისა და რუსეთის მუშა დემოკრატების ცხოვრების სულ სხვადასხვა მხარის შესახებ აქ პირველად ვიღებთ უაღრესად ზუსტ მონაცემებს. იმედი გვაქვს, ამ მონაცემების დამუშავებას კვლავ არა ერთხელ დავუბრუნდებით.

ახლა კი, ვამთავრებთ რა ყოველდღიური გაზეთისათვის მუშებს შორის თანხების ჯგუფური შეგროვების მონაცემების მიმოხილვას, უნდა აღვნიშნოთ ერთი პრაქტიკული დასკვნა.

მუშებმა ჯგუფურად 504-ჯერ შეიტანეს თანხები თავიანთი პრესისათვის «ზვეზდასა» და «პრავდაში». მუშები აბსოლუტურად არ ისახავდნენ არავითარ სხვა მიზანს, გარდა თავიანთი მუშათა პრესის შექმნისა და მხარდაჭერისა. სწორედ ამიტომ ნახევარი წლის ამ მონაცემების უბრალო და მართალმა შეკრებამ შეადგინა რუსეთში მუშათა დემოკრატიის ცხოვრების მეტად ძვირფასი სურათი. ერთად შეგროვებულმა მაურებმა და ორშაურიანებმა, რომლებზეც აღნიშნულია: «ამა და ამ ფაბრიკის მუშათა ჯგუფისაგან», შესაძლებლობა

მოგვცეს გვემსჯელნა მუშათა განწყობილების შესახებაც და მათი შეგნებულობის, დარაზმულობის, მუშათა საქმისათვის გულშემატკივრობის შესახებაც.

აი რატომაა აუცილებლად საჭირო განვაგრძოთ, განვავითაროთ, გავაფართოოთ მუშებს შორის თანხების ჯგუფური შეგროვების ეს ჩვეულება, რომელიც აპრილ-მაისის აღმავლობამ შექმნა, — და, რა თქმა უნდა, საჭიროა ისეთივე ანგარიშები შეგროვების შესახებ, როგორიც ყოველთვის იყო «პრავდაში».

მუშათა პრესის სიმტკიცის თვალსაზრისითაც, — მუშათა დემოკრატიის საერთო ინტერესების თვალსაზრისითაც, ამ ჩვეულებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

მუშათა პრესა უნდა განვავითაროთ და უფრო განვამტკიცოთ. ამისთვის საჭიროა ფული. მუშებს შორის თანხების მხოლოდ მუდმივი და მასობრივი შეგროვების პირობით შეიძლება ბეჯითი შრომით მივაღწიოთ მუშათა გაზეთების დამაკმაყოფილებლად დაყენებას რუსეთში. ამერიკაში არის მუშათა ერთი გაზეთი («მოწოდება გონებისადმი»[98]), რომელსაც ნახევარ მილიონზე მეტი ხელმომწერი ჰყავს. არ ვარგა ის რუსი მუშა, — ვიტყოდით ჩვენ, ერთი ცნობილი ანდაზის გადაკეთებით, — რომელსაც იმედი არა აქვს დაეწიოს და გაუსწროს თავის ამერიკელ თანამოძმეს.

მაგრამ გაცილებით, შეუდარებლად უფრო მნიშვნელოვანია საქმის არა ფინანსური, არამედ მეორე მხარე. დავუშვათ, რომ ფაბრიკის სხვადასხვა განყოფილების ასი მუშა ხელფასის მიღებისას იხდის თითო კაპიკს მუშათა გაზეთისათვის. სულ იქნება ორი მანეთი თვეში. მეორე მხრივ, დავუშვათ, რომ კარგი ხელფასის მქონე ათი მუშა შემთხვევით შეხვდა ერთმანეთს და მათ ერთბაშად ათი მანეთი შეაგროვეს.

პირველი ორი მანეთი უფრო ძვირფასია, ვიდრე მეორე თუმანი. ეს იმდენად ნათელია თვითეული მუშისათვის, რომ აქ დიდი ახსნა-განმარტება საჭირო არ არის.

ჩვეულებად უნდა იქნეს შემოღებული, რომ თვითეული მუშა ხელფასის ყოველი აღების დროს იხდიდეს თითო კაპიკს მუშათა გაზეთისათვის. დაე გაზეთზე ხელმოწერა თავის რიგით მიმდინარეობდეს, დაე მან, ვისაც შეუძლია, იხადოს მეტი, როგორც დღემდე იხდიდა. მაგრამ ყველაზე მთავარია, — გარდა ამისა, შემოღებულ და გავრცელებულ იქნეს ჩვეულება «კაპიკისა მუშათა გაზეთისათვის».

ამ თანხების შეგროვების მთელი მნიშვნელობა ის იქნება, რომ

ეს წესიერად ხდებოდეს ხელფასის ყოველი მიღებისას, განუწყვეტლივ, და ის, რომ მუშათა სულ უფრო და უფრო მეტი რაოდენობა მონაწილეობდეს თანხების ამ მუდმივ შეგროვებაში. ანგარიშები შეიძლება იბეჭდებოდეს უბრალოდ: «ამდენი და ამდენი კაპიკი» — მაშასადამე, მოცემული ფაბრიკის ამდენმა და ამდენმა მუშამ შეიტანა ფული მუშათა გაზეთისათვის,— ხოლო შემდეგ, თუ არის უფრო დიდი შენატანები, შეიძლება დაიბეჭდოს: «გარდა ამისა, ამდენმა და ამდენმა მუშამ შემოიტანა ამდენი და ამდენი».

თუ შემოღებულ იქნება ეს ჩვეულება *კაპიკისა მუშათა გაზეთისათვის*, რუსეთის მუშები თავიანთ გაზეთებს მალე დააყენებენ ჯეროვან სიმაღლეზე. მუშათა გაზეთი უნდა იძლეოდეს მეტ და უფრო მრავალფეროვან მასალას, საკვირაო დამატებებს და სხვას, მას უნდა ჰყავდეს თავისი კორესპონდენტები სათათბიროშიც, რუსეთის ყველა ქალაქშიც, უცხოეთის უდიდეს ქალაქებშიც. მუშათა გაზეთი *განუწყვეტლივ* უნდა ვითარდებოდეს და უმჯობესდებოდეს, — ეს კი შეუძლებელია, თუ მუშათა რაც შეიძლება მეტი რიოდენობა მუდამ არ მოაწყობს თანხების შეგროვებას თავისი პრესის ორგანოებისათვის.

ყოველთვიური ნაკრები მონაცემები *მუშათა კაპიკის* შესახებ ყველას და თვითეულს აჩვენებენ, თუ როგორ იშორებენ რუსეთის ყველა კუთხის მუშები გულგრილობასა და უძრაობას, როგორ იღვიძებენ ისინი გონივრული კულტურული ცხოვრებისათვის, ამ სიტყვის არა კაზიონური და არა ლიბერალური მნიშვნელობით. შეიძლება ცხადად ვხედავდეთ, როგორ იზრდება ინტერესი მუშათა დემოკრატიისადმი, როგორ ახლოვდება დრო, როცა მოსკოვსაც და ყველა დიდ ქალაქსაც ექნებათ საკუთარი მუშათა გაზეთები.

გვეყოფა ბურჟუაზიული «კოპეიკას» [99] ბატონობა! საკმაოდ იმეფა უპრინციპო ვაჭრულმა გაზეთმა. პეტერბურგის მუშებმა სულ რაღაც ნახევარი წლის განმავლობაში ცხადყვეს, თუ რა უდიდესი წარმატება შეიძლება მოჰყვეს მუშებს შორის თანხების ერთობლივად შეგროვებას. დაე მათი მაგალითი, მათი თაოსნობა ფუჭად ნუ ჩაივლის. დაე განვითარდეს და განმტკიცდეს ჩვეულება—*მუშათა კაპიკი მუშათა გაზეთისათვის*!

დაწერილია 1912 წ. 12—14 (25—27) ივლისს
დაბეჭდილია 1912 წ. 29 და 31 ივლისს, 1 და 2 აგვისტოს გაზეთ «პრავდაში» №№ 78, 79, 80 და 81
ხელმოწერა: *სტატისტიკოსი*

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა: ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც., ტ. 18, გვ. 217—236

გაზეთ «პრავდის» რედაქციას

პატივცემულო კოლეგა!

გიგზავნით ი. გილკას კიდევ ერთ სტატიას. ავტორი მოგაგონებთ: ავანსს ველით.

აუცილებლად საჭიროა ახლავე უპასუხოთ მას (შეიძლება ჩემი შეშვეობით, მაგრამ ა უ ც ი ლ ე ბ ლ ა დ ცალკე ფურცელზე). ავტორი ლემბერგში ცხოვრობს, სპეციალურად ს წ ა ვ ლ ო ბ ს თავის საქმეს, და ასეთი თანამშრომელი უნდა მოვიზიდოთ. ერთხელ კიდევ გირჩევთ მისცეთ მას ავანსი და ყოველ შემთხვევაში უპასუხოთ ახლავე.

NB*: თუ გილკას სტატიები არ იბეჭდება, აუცილებლად ახლავე დააბრუნეთ!

ამანათი მივიღეთ და არ შეგვიძლია სამდურავი არ გამოვთქვათ.

წიგნებიდან მხოლოდ ე რ თ ი ა! მოიწერეთ მაინც, რატომ. სხვა თანამშრომლებმა ხომ არ წაიღეს რედაქციაში მიღებული დანარჩენი წიგნები? დიდი ხნით თუ სამუდამოდ? მაშინ უნდა მოაწყოთ დ რ ო ე ბ ი თ გამოგზავნა. ვიმეორებ, თუ წიგნები არ გვექნა, მუშაობა შ ე უ ძ ლ ე ბ ე ლ ი ა.

კანტორა უფრო ყურადღებით უნდა მოეკიდოს ამას.

«ამომრჩევლის თანამგზავრი» გ ა მ ო ს ვ ლ ი დ ა ნ 2½ კ ვ ი რ ი ს შ ე მ დ ე გ მივიღეთ! მ ა შ ი ნ ვ ე გამოგზავნა კი 5 კაპ. ეღირებოდა...

გაზეთების მიღება მაინც შეფერხდა. უგაზეთოდ ვსხედვართ და 2 — 3 დღეს კიდევ ასე ვიქნებით.

ძალიან გირჩევთ გაგზავნოთ რეპორტიორი ქალაქის გამგეობაში, გაიგოთ, რ ა მ დ ე ნ ი განცხადება შემოდის** ბინის დამქირავებელთაგან და დაიწყოთ სისტემატურად ბეჭდვა ამის შესახებ (წაახა-

---

* — Nota bene — დაიხსომეთ. რ ე დ.

** — რომელი რაიონებიდან? ქუჩებიდან? და ა. შ., რაც შეიძლება დაწვრილებით.

ლისოთ წარმატების მქონე რაიონები და მოუწოდოთ წარმატების უქონელთ). დრო სულ ცოტაღა დარჩა, და გაზეთმა მთელი ეს საქმე უნდა იკისროს.

უნდა იშოვნოთ ქალაქის გამგეობაში ნაცნობი სტატისტიკოსების საშუალებით (ან ოფიციალურად რედაქციისაგან და სახელმწ. სათათბიროს წევრებისაგან) მ თ ე ლ ი სტატისტიკური მასალები (თუ ეს მასალები არ არის, იყიდოთ იმ წლებისა და თვეების «რეჩი» ან სხვა გაზეთი) 1, 2 და 3 სახელმწ. სათათბიროს არჩევნების შესახებ + პიტერის სტატისტიკა (ბინები, მოსახლეობა და სხვ.). ასეთი მასალებით და უნარიანი რეპორტიორით, რომელიც ყოველდღე ან კვირაში 2 — 3-ჯერ იქნება ქალაქის გამგეობაში, შეიძლება კ ა რ გ ა დ დააყენოთ გაზეთის განყოფილება არჩევნების მიმდინარეობის შესახებ.

უგზავნით თუ არა «პრავდას» ვენაში Wiener «Arbeiter-Zeitung»-ს*? გაუგზავნეთ და ჩვენ **გ ა მ ო გ ვ ი გ ზ ა ვ ნ ე თ მ ი ს ი ბ ა ნ დ ე რ ო ლ ი.**

ტროცკის გირჩევთ ასე უპასუხოთ საფოსტო ყუთით: «ტროცკის (ვენა). საკინკლაო და საშარო წერილებზე არ გიპასუხებთ». ტროცკის საზიზღარი კამპანია «პრავდის» წინააღმდეგ თავიდან ბოლომდე სიცრუე და შარია. ცნობილი მარქსისტი, პლეხანოველი როტშტეინი (ლონდონი) გვწერდა, რომ მიიღო ტროცკის საკინკლაო წერილი და უპასუხა მას: პეტერბურგის «პრავდას» არაფერში არ შემიძლია ბრალი დავდოო. ეს შარის ოსტატი და ლიკვიდატორი კი წაღმა-უკუღმა ცრუობს.

სამსახურისათვის მზადმყოფი ვ. ულიანოვი

P. S. კიდევ უკეთესი იქნება უპასუხოთ ტროცკის საფოსტო ყუთით. «ტ რ ო ც კ ი ს (ვენა). ტყუილად იწუხებთ თავს საკინკლაო და საშარო წერილების გამოგზავნით. პასუხი არ იქნება».

დაწერილია 1912 წ. 19 ივლისს
გაგზავნილია კრაკოვიდან
პეტერბურგში
პირველად დაიბეჭდა 1933 წელს

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.,
ტ. 35, გვ. 21—23

* — ვენის «მუშათა გაზეთს», რ ე დ.

გაზეთ «ნევსკაია ზვეზდას» რედაქციას

პატივცემულო კოლეგა!

მივიღე თქვენი ვრცელი წერილი და ვხედავ, რომ კვლავ და კვლავ საჭიროა მოვილაპარაკოთ.

ჯერ — კერძო ამბავი. კორესპონდენტებს ვერ იშოვნით სტრიქონში 2 კაპიკად. სანამ ფული არა გაქვთ, უნდა დასჯერდეთ ჩვენს სტატიებს საზღვარგარეთის შესახებ.

ახლა — მთავარი. თქვენ უჩივით ერთფეროვნებას. მაგრამ ეს ყოველთვის იქნება, თუ არ მოათავსეთ ხოლმე პ ო ლ ე მ ი კ ა, — თუ ძალიან შეკვეცეთ კ ა მ ე ნ ე ვ ი (ის ს ხ ვ ა ტონით წერს), — თუ ყველაფერი «დადებითს ლიკვიდატორობას» შეუფარდეთ. და გარდა ამისა თანაშრომლებს საერთოდ შემოიფანტავთ, თუ არ მოათავსეთ ხოლმე სტატიები და არც კი უპასუხეთ და უკან არ გაუგზავნეთ (მაგალითად ჩემი: პასუხი ბლანკს — **მნიშვნელოვანია!** «ჩაუქრობელი იმედები» და **მთელი რიგი სხვები!!**).

შეხედეთ: «ნევსკი გოლოსი» უფრო ცოცხალი გაზეთია. მას პოლემიკისა არ ეშინია. იგი გამომწვევია. იგი გაბედულად ამბობს თავის აზრს ბოლომდე.

«მტკივნეული საკითხებისათვის» გვერდის ავლით «ზვეზდა» და «პ რ ა ვ დ ა» მშრალ და ერთფეროვან, არასაინტერესო და არამებრძოლ ორგანოებად ი ხ დ ი ა ნ თ ა ვ ს. სოციალისტური ორგანო პოლემიკას უ ნ დ ა ეწეოდეს: ჩვენი დრო საშინელი დაქსაქსულობის დროა და პოლემიკას გვერდს ვერ ავუვლით. საკითხი ის არის, ვაწარმოოთ იგი ცოცხლად, თავდასხმით, საკითხების დამოუკიდებლად დაუენებით თუ მხოლოდ თავდაცვით, მშრალად, მოსაწყენად.

მაგალითად, «ზვეზდის» მომხრემ» № 16-ში კარგად უპასუხა. ჩანს, რომ პრინციპის კაცია. მაგრამ მან მაინც ვერ გაფანტა ს ა შ ი ნ ე ლ ი ეჭვები, რომლებიც ყველგან წარმოშვა (მხედველობაში მაქვს მ თ ე ლ ი რ ი გ ი წერილები) «ნევსკი გოლოსის» მე-6 ნომერმა[100]. მაინც რა მოხდა? ი ყ ო თათბირი? ვისი? რისთვის? ყოველივე ეს გაურკვეველია! ამის გამოურკვეველად კი ა რ ა ვ ი ს არა სურს იმუშაოს. ყველა ამბობს: ხომ უფლება მაქვს ვიცოდე, ვ ი ს თ ვ ი ს ვმუშაობ, ვ ი ს ვუწყობ ხელს, რომ სათათბიროში გავიდეს? ლიკვი-

დატორს ხომ არა? თავგზააბნეულ შემარიგებელ-ტროცკისტს ხომ არა? ხომ არ ვმონაწილეობ (არაპირდაპირ) «საერთო პლატფორმის» შედგენაში??

ასეთი საკითხები ენერგიას ადუნებენ, გახრწნას იწვევენ.

«ნევსკი გოლოსი» კი მკვირცხლად ესხმის თავს, უფრო გამომწვევია. არ შეიძლება, მავნეა, დამღუპველია, სასაცილოა დავუმალოთ მუშებს უთანხმოება (როგორც «პრავდა» შვრება). არ შეიძლება ვოწინააღმდეგეს, «ნევსკი გოლოსს», დავანებოთ დაიწყოს ლაპარაკი უთანხმოებაზე. «პრავდა» დაიღუპება როგორც მხოლოდ «პოპულარული», «დადებითი» ორგანო, ეს უეჭველია.

იგი დანამდვილებით გაიმარჯვებდა, პოლემიკისა რომ არ ეშინოდეს, პირდაპირ რომ ლაპარაკობდეს ლიკვიდატორებზე, ცოცხლდებოდეს კამათით, ფელეტონით აქსელროდის წინააღმდეგ და ა. შ., ისეთი სტატიები, როგორიც აქსელროდისაა, მიმზიდველია: მუშებს ყველაფერი ესმით უთანხმოებაზე და მიილტვიან გულახდილი განმარტებებისაკენ, რასაც გამოთქვამს აქსელროდი, რომელიც ბოლომდე ამბობს ყველაფერს ასჯერ უფრო გაბედულად, ვიდრე ჩვენ. ყველა მუშას ესმის მითქმა-მოთქმა ერთიანი პლატფორმის შესახებ, მუშების ყველა წინამძღოლი იცნობს აქსელროდის ფელეტონს, — თუ თქვენ დუმილით აუარეთ ამას გვერდი, თქვენ ჩამორჩებით! გაზეთი კი, რომელიც ჩამორჩება, დაღუპულია. გაზეთი ყველაზე წინ უნდა მიდიოდეს, «ნევსკაია ზვეზდაც» და «პრავდაც». 2 «დადებით» სტატიასთან ერთად «პრავდა» უნდა ათავსებდეს პოლემიკას, — კამენევის ლიტერატურულ შენიშვნას — ფელეტონს, რომელშიც დასცინოდეს ლიკვიდატორს და სხვ... ერთფეროვნება და დაგვიანება შეუთავსებელია საგაზეთო საქმესთან. ხოლო «პრავდას» ეკისრება კიდევ განსაკუთრებული, უაღრესად მნიშვნელოვანი მოვალეობა: «ვის გაუძღვება იგი» — აი რა კითხვას იძლევა ყველა, რას კითხულობს ყველა სტრიქონებს შუა. აქ მნიშვნელოვანი იქნებოდა (ოთხ წელიწადში ერთხელ, არჩევნების წინ) შეხვედრა — არ შეიძლება გაზეთის გაძღოლა, თუ იშვიათად მაინც არ ხდება შეხვედრები მუდმივ თანამშრომლებთან. მოიფიქრეთ ეს კარგად და მალე, ვინაიდან დრო არ ითმენს.

ხელს გარმევთ. ულიანოვი

დაწერილია 1912 წ. 24 ივლისს
გაგზავნილია კრაკოვიდან
პეტერბურგში
პირველად დაიბეჭდა 1923 წელს

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.,
ტ. 35, გვ. 24—26

ს ტ ა ტ ი ი ნ

«IV სათათბიროს არჩევნების წინ»

ნახევარი წელიწადია ლიკვიდატორები და მათი ყ ვ ე ლ ა მეგობრები სასტიკ ბრძოლას ეწევიან პარტიის წინააღმდეგ. არსებობს ლეგალური მ ა რ ქ ს ი ს ტ უ ლ ი პრესა. იგი საშინლად არის შევიწროებული, არ შეუძლია გაბედოს და კრინტი დაძრას რესპუბლიკაზე, არც ჩვენს პარტიაზე, არც აჯანყებაზე, არც მეფის ბანდაზე. ფიქრიც კი სასაცილოა რსდმ პარტიის ლოზუნგების გატარებაზე ამ პრესის საშუალებით.

მაგრამ რუსეთში მუშა ის აღარ არის, რაც წინათ იყო. იგი ძალა გახდა. მან გზა გაიკაფა. მას აქვს თ ა ვ ი ს ი პრესა, შევიწროებული, მაგრამ თავისი, რომელიც თ ე ო რ ი უ ლ ა დ იცავს მარქსიზმს.

ამ ლეგალურ ასპარეზზე ყველას და თვითეულს შეუძლია ხედავდეს ანტილიკვიდატორების წინააღმდეგ ლიკვიდატორების ბრძოლის «წარმატებებს». ტროცკის ვენის, ლიკვიდატორულ, «პრავდაში» ვპერიოდელმა ს. ვ-მ უკვე აღნიშნა ეს წარმატებანი: მუშებს შორის შ ე გ რ ო ვ ე ბ უ ლ ი თ ა ნ ხ ე ბ ი — წერდა იგი — თითქმის მთლიანად ანტილიკვიდატორების ხელში მიდის. და იგი თავს ინუგეშებდა: ეს იმიტომ კი არა, რომ მუშებში «ლენინელებს» თანაუგრძნობენო.

დიახ, რა თქმა უნდა, «იმიტომ კი არა», ლიკვიდატორების გულითადო მეგობარო!

მაგრამ მაინც შეხედეთ ფაქტებს.

ნახევარი წლის აშკარა ბრძოლა ყ ო ვ ე ლ დ ღ ი უ რ ი მ უ შ ა თ ა გ ა ზ ე თ ი ს ა თ ვ ი ს.

ლიკვიდატორები 1910 წლიდან გაჰყვირიან ამ გაზეთზე. როგორია მათი წარმატება? ნახევარი წლის განმავლობაში, 1912 წლის 1 იანვრიდან 1 ივლისამდე მათმა გაზეთებმა «ყ ი ვ ო ე დ ე ლ ო მ» და «ნ ე ვ ს კ ი გ ო ლ ო ს მ ა» მოათავსეს ანგარიშები ყოველდღიური მუშათა გაზეთისათვის მუშათა ჯგუფებს შორის თანხების 15

(თ ხ უ თ მ ე ტ ი) შეგროვების შესახებ!! მუშათა თხუთმეტი ჯგუფი ნახევარ წელიწადში!

აიღეთ ანტილიკვიდატორების გაზეთები. ნახეთ ანგარიშები ყოველდღიური მუშათა გაზეთისათვის თანხების შეგროვების შესახებ იმავე ნახევარი წლის განმავლობაში. დაითვალეთ მუშათა ჯგუფებს შორის თანხების შეგროვების რაოდენობა. თქვენ დაითვლით 504 მ უ შ ა თ ა ჯ გ უ ფ უ რ შ ე ნ ა ტ ა ნ ს!

აი ზუსტი მონაცემები თვეებისა და რუსეთის რაიონების მიხედვით:

	ყოველდღიური მუშათა გაზეთისათვის მუშებს შორის 1912 წლის პირველ ნახევარში თანხების ჯგუფური შეგროვების რაოდენობა	
	ანტილიკვიდატორული გაზეთებისათვის	ლიკვიდატორული გაზეთებისათვის
იანვარი	14	0
თებერვალი	18	0
მარტი	76	7
აპრილი	227	8
მაისი	135	0
ივნისი	34	0
ს უ ლ	504	15
პეტერბურგი და მიდამოები	415	10
სამხრეთი	51	1
დანარჩენი რუსეთი	38	4
ს უ ლ	504	15

ლიკვიდატორები სასტიკად დამარცხდნენ რუსეთის მუშათა ჯგუფების წინაშე.

«რაბოჩაია გაზეტა» № 9,
1912 წ. 30 ივლისი (12 აგვისტო)

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც., ტ. 18, გვ. 280—281

პირველი გვერდი 1912 წ. 1 აგვისტოს გაზეთ «პრავდისა» № 80, რომელშიც დაბეჭდილია გაგრძელება ვ. ი. ლენინის სტატიისა „«ნახევარი წლის მუშაობის შედეგები».

დაპატარაავებულია

გაზეთ «პრავდის» რედაქციას

პატივცემულო კოლეგა!

მივიღე თქვენი წერილი და ვიტიმსკის წერილი. ძალიან გამახარა მისგან ამბის მიღებამ. მაგრამ მისი წერილის შინაარსმა ძალიან შეშაფოთა.

თქვენ იწერებით, და როგორც მდივანი, ალბათ რედაქციის სახელით, — რომ «რედაქციას პრინციპულად სავსებით მისაღებად მიაჩნია ჩემი სტატია თვით ლიკვიდატორებთან დამოკიდებულებამდე». თუ ასეა, რატომ არის, რომ «პრავდა» დაჟინებით, სისტემატურად შლის ჩემს სტატიებშიც და სხვა კოლეგების სტატიებშიც ლიკვიდატორების მოხსენიებას?? ნუთუ არ იცით, რომ მათ უკვე ჰყავთ თავიანთი კანდიდატები? ჩვენ ეს ზუსტად ვიცით. ჩვენ ამის შესახებ ოფიციალური ცნობები მივიღეთ სამხრეთის ერთი ქალაქიდან, სადაც არის დეპუტატი მუშათა კურიისაგან. უკველია, ასეთივეა საქმის ვითარება სხვა ადგილებში.

«პრავდის» დუმილი მეტად უცნაურია. თქვენ იწერებით: «რედაქციას აშკარა გაუგებრობად მიაჩნია» «მასზე ეკვის ძიტანა პლატფორმის მოთხოვნათა ლეგალიზაციისაკენ მისწრაფებაშიო». მაგრამ დამეთანხმეთ, რომ ეს ძირითადი, გამოცემის მთელი არსის განმსაზღვრელი საკითხია, თანაც ისეთი საკითხი, რომელიც განუყრელად დაკავშირებულია ლიკვიდატორთა საკითხთან. ოდნავი სურკილიც არა მაქვს «ეკვი მივიტანო»; თქვენ გამოცდილებით იცით, რომ თქვენს ცენზურულ შესწორებებსაც უდიდესი მოთმინებით ვეკიდები. მაგრამ ძირითად საკითხზე საჭიროა პირდაპირი პასუხი. არ შეიძლება არ შეატყობინოთ თანამშრომელს, განზრახული აქვს რედაქციას ლიკვიდატორების წინააღმდეგ აწარმოოს გაზეთის საარჩევნო განყოფილება და ცხადად და ზუსტად დაასახელოს ისინი, თუ არა. საშუალო რამ არ არის და არც შეიძლება იყოს.

თუ სტატია «საჭიროა ასე თუ ისე დაიბეჭდოს» (როგორც იწე-

რება რედაქციის მდივანი), როგორღა გავიგოთ ვიტიმსკი «მწყრალი ტონი მავნეაო»? როდის აქეთ არის, რომ ცუდის წინააღმდეგ მ წ ყ რ ა ლ ი ტონი მავნეა, არასწორი (რედაქცია ხომ «პრინციპულად» თანახმაა!), ენებს ყოველდღიურ გაზეთს?? პირიქით, კოლეგებო, ღმერთმანი, პირიქით. მავნეზე წერა «წყრომის» გარეშე მოსაწყენად წერას ნიშნავს. თქვენ კი თვითონ აღნიშნავთ — და სამართლიანადაც — ერთფეროვნებას!

შემდეგ, სტატიაზე 9. XI-ის შესახებ (კორესპონდენტის პასუხი) დიდი ხანია პასუხი არ მიმიღია. ვიმეორებ თხოვნას: დამიბრუნოთ არაცენზურული წერილები ან ისეთები, რომელთაც თქვენ უთუოდ უარყოფთ.

«პ რ ა ვ დ ა ს» ვიღებთ ა რ ა წ ე ს ი ე რ ა დ (გუშინ ს უ ლ ა ც ა რ მიგვიღია!! «ზვეზდა» არც № 14 და არც № 17 ს უ ლ ა ც არ გვინახავს. სამარცხვინოა! ხომ არ შეიძლება ბანდეროლით გვიგზავნოთ კ ო რ ე ქ ტ უ რ ი ს გ ვ ე რ დ ე ბ ი, ნაცვლად იმისა, რომ ისინი იკარგებოდეს? ეს 2 კაპ. ღირს. დროსაც მოვიგებდით. თანამშრომლისათვის კორექტურების გზავნა სავსებით კანონიერი საქმეა. ღამით წასვლისას, გამომშვები ბანდეროლს ფოსტის ყუთში ჩააგდებდა ხოლმე — მორჩა და გათავდა. (მხოლოდ ბანდეროლები ხშირად იხევა, ისინი უფრო დიდი უნდა გააკეთოთ, ისეთივე მოცულობისა, როგორც გაზეთები. ყველაფერს აჯობებდა გეხმარათ გრძელი ვიწრო კონვერტები; ასეთ კონვერტებში ნაბეჭდი ნაწარმოებები — კონვერტები ა რ ილუქება — უფრო საიმედოდ აღწევს, ეს კონვერტები კი ბევრი არა ღირს) «ზვეზდა» № 17 განსაკუთრებით საჭიროა გვქონდეს. დღეს ხუთშაბათია: ო რ ი დ ღ ე დაგვიანება!!

დასასრულ, გთხოვთ მაცნობოთ, ხომ არ შეიძლება მოათავსოთ ამა თუ იმ სახით («ნევსკი გოლოსის» მაგალითისამებრ, რომელსაც არაერთხელ მოუთავსებია ცნობები საზღვარგარეთის სოციალ-დემოკრატებზე) შემდეგი ახალი ამბავი. გერმანიის Vorstand-მა* მიმართა 11 (sic!**) ს.-დ. ჯგუფებს, ფრაქციებსა და ცენტრებს და წინადადება მისცა მათ მოაწყონ საერთო თათბირი «ერთიანობის» შესახებ. ეგრეთწოდებულმა «ლენინურმა» მიმდინარეობამ უაღრესად კატეგორიული უარით უპასუხა: რა შეიძლება იყოს უფრო სასაცილო და არასაკადრისი, ვიდრე საზღვარგარეთ ეს შემთანხმებლობანა: თამაში იმ «ცენტრებთან და ფრაქციებთან», რომლებმაც დაამტკიცეს თავიანთი აბსოლუტური უძლურება რუსეთში? არავითარი მო-

* — გამგეობამ, ანუ ცენტრალურმა კომიტეტმა. რ ე დ.
** — ასეა! რ ე დ.

ლაპარაკება მათთან, არავითარი შეთანხმება ლიკვიდატორებთან,— ასეთი იყო ეგრეთწოდებული «ლენინური მიმდინარეობის» პასუხი. გამოვიდა რამე და გამოვა თუ არა რამე ტროცკის ამ ყოვლად სულელური წამოწყებიდან, არ ვიცით.

მაშ ასე, გთხოვთ მიპასუხოთ: შეიძლება თუ არა ასე თუ ისე მოათავსოთ გაზეთში, რომელსაც თქვენ რედაქტორობთ, კორესპონდენცია, რომელშიც მოთხრობილია «პარიზის ეს ახალი ამბები» და მოცემულია მათი შეფასება? შესაძლებელია ეს ცენზურის მხრივ თუ სრულიად შეუძლებელია?[101] (მე გეკითხებით საქმის მხოლოდ ცენზურულ მხარეზე, ვინაიდან პრინციპულად — ვბედავ იძედი ვიქონიო წინა წერილის საფუძველზე — რედაქცია ლიკვიდატორებთან ერთიანობის მომხრე ა რ ა რ ი ს. ხომ ასეა?)

ამხანაგური სალამით ვ. ულიანოვი

დაწერილია 1912 წ. 1 აგვისტოს
გაგზავნილია კრაკოვიდან
პეტერბურგში
პირველად დაიბეჭდა 1930 წელს

იბეჭდება ვ. ი. ლენინის
თხზულებათა ტექსტის
მიხედვით. ტ. 35, გვ. 30—32

გაზეთ «პრავდის» რედაქციას

პატივცემულო კოლეგა!

დღეს კამენევი გვწერს, რომ თქვენ აცნობეთ მას, თითქოს პლეხანოვთან კვლავ მოაგვარეთ მშვიდობიანი ურთიერთობა «გაუგებრობის» თავიდან აცილების გამო.

ძალიან გთხოვთ მაცნობოთ, რას ნიშნავს სიზმარი ესე. ჩვენ ყველა საფუძველი გვქონდა გვეფიქრნა, რომ მიუღებლობა დნევნიკის და პლეხანოვის სტატიებისა ლიკვიდატორებისადმი დათმობის შესახებ (ვინაიდან სწორედ ამაზე წერდნენ ისინი «ერთიანობის» საფრით) სავსებით შეგნებულად და გადაჭრით მოხდა. რაღა «გაუგებრობა» შეიძლებოდა ყოფილიყო?

ახალი გაუგებრობა ხომ არა არის რა უკანასკნელ ცნობაში?

«რეჩის» უკანასკნელ, ე. ი. სწორად რომ ვთქვათ გუშინდელ, 19. ივლისის №-ის, მოწინავეს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. სავსებით უეჭველია, რომ კადეტებმა გააკეთეს ყოველივე შესაძლებელი (და შეუძლებელიც), რათა «დუმილით აევლოთ გვერდი» «ზვეზდისა» და «პრავდისათვის». ახლა კი წამოსცდათ! ცხადია, რომ ამით მათ თვითონ აღიარეს საფრთხე. ვერ შეძლეს დუმილით აევლოთ გვერდი და მიეფუჩეჩებინათ. უკუგდებული არიან დუმილის პოზიციიდან. ხოლო პროკოპოვიჩი და ბლანკი «ზაპროსი ჟიზნიში»[102] ბანს აძლევენ კიდევ უფრო უხეშად, უფრო სულელურად, უფრო წუწუნით.

ჩემი აზრით, აუცილებლად საჭიროა სწორედ ახლა უფრო ძლიერ შევუტიოთ «რეჩს», მოვათავსოთ მთელი რიგი სტატიები მის წინააღმდეგ და კიდევ უფრო გავაჩაღოთ ბრძოლა. ეს საჭიროა პრინციპულადაც (ვინაიდან მხოლოდ «ზვეზდა» და «პრავდა» ეწევიან კამპანიას მუშათა დემოკრატიის სახელით; ლიკვიდატორებს «რეჩიც» და «პროკოპოვიჩებიც» მოწონების ნიშნად მხარზე ხელს უთათუნებენ) — და პრაქტიკულადაც (ვინაიდან ბრძოლის სწორედ ამ გაცხოველებამ უნდა გამოაცოცხლოს ამომრჩევლებთან კამათი და საუბრებიც და მათი ჩაწერაც საარჩევნო სიებში).

ხომ არ შეიძლება შევიტყოთ, რამდენი ეწერება უბნების, — ქუჩების, — პროფესიების მიხედვით? მეტად მნიშვნელოვანია კონკრეტული მაგალითებით წ ა ვ ა ხ ა ლ ი ს ო თ, რათა გამოვიწვიოთ უბნების, ქუჩების, პროფესიების შეჯიბრება.

იმედი მაქვს, უარს არ მეტყვით აგრეთვე გადასცეთ «ნევსკაია ზვეზდას», რომ მე უთუოდ უკან მოვითხოვ ჩემს სტატიას ბლანკის პასუხად («წვრილმანი ფანდები»), თუ იგი № 18-ში არ მოათავსეს. მაშინ მას აუცილებლად მოვათავსებ ჟურნალში. ახლა, როცა ყ ვ ე ლ ა ლიბერალი + ლიკვიდატორები + უპარტიოები & * კომპ. ჩვენ დაგვესხნენ თავს, ჩვენი დუმილი დანაშაული იქნებოდა.

საარჩევნო კამპანია პიტერში წარმატებით დაიწყო—ჰეგემონია მოიპოვეს «ზვეზდამ» და «პრავდამ» — იგი ხელიდან არ უნდა გაეუშვათ და საქმე ბოლომდე მივიყვანოთ. ეს წ მ ი ნ დ ა ს ა გ ა ზ ე თ ო ინტერესია, სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, რასაც მე, რასაკვირველია, არ ვამბობ.

ველი ამბებს «დადებითად გადაწყვეტილი» საკითხის შესახებ.

სალამით ვ. უ ლ ი ა ნ ო ვ ი

P. S. ვ ე ლ ი პასუხს სტატიებზე «ნახევარი წლის შედეგები».

P. P. S. ხომ არ შეიძლება ამონაჭერი მაინც გამომიგზავნოთ «ნევსკაია ზვეზდას» № 17-დან—სტატია «ერთიანობა თუ გათიშვა»?

დაწერილია 1912. წ. 2 აგვისტოს
გაგზავნილია კრაკოვიდან
პეტერბურგში

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.,
ტ. 35, გვ. 35—37

* — დაახ. რედ.

ლიკვიდატორები და ერთიანობა[103]

თუ არ ისტერიკას, სხვას ვერაფერს დავარქმევთ «ნევსკი გოლოსის» ამ დღეებში გამოსულ მეშვიდე ნომერს. გაზეთის თითქმის 2 გვერდი, ნაცვლად მუშათა ქრონიკისა, შეიცავს «პრავდისა» და «ნევსკაია ზვეზდას» საშინელ ლანძღვას. კურიოზულია, რომ ეს ლანძღვა მოცემულია მუშათა კლასის «ერთიანობის», საარჩევნო კამპანიის «ერთიანობის» ლოზუნგით.

ბატონებო, — ვუპასუხებთ ლიკვიდატორებს, — მუშათა კლასის ერთიანობა დიადი პრინციპია. მაგრამ მართლაც ხომ სასაცილოა, თუ თქვენ, გაჰყვირით რა «ერთიანობაზე», — გსურთ თავს მოახვიოთ მუშათა კლასს ლიბერალ ინტელიგენტ-ლიკვიდატორთა ჯგუფის პლატფორმა და კანდიდატები.

«პრავდამ» ზუსტი ციფრებით დაამტკიცა, რომ «ლიკვიდატორობა არარაობაა მუშათა მოძრაობაში; რომ იგი ძლიერია მხოლოდ ლიბერალურ ინტელიგენციაში» («პრავდა» № 80, 1912 წ. 1 აგვისტო). ახლა «ნევსკი გოლოსი» 17 აგვისტოს მე-7 ნომერში ლანძღავს «პრავდის» ამ სტატიებს, უწოდებს მათ «ფელეტონურ», «ხლესტაკოვურ» სტატიებს და სხვ. მაგრამ ის უბრალო ფაქტი, რომ «პრავდამ» ნახევარი წლის მანძილზე 504-ჯერ — მიიღო მუშათა მიერ ჯგუფურად შეგროვებული თანხა, ხოლო ლიკვიდატორულმა გაზეთებმა მხოლოდ 15-ჯერ, — «ნევსკი გოლოსი» არც ცდილობს საფაროდ გახადოს.

აქედან სხვა რა დასკვნა შეიძლება გავაკეთოთ, გარდა იმისა, რომ ყვირილი, ხმაური, ლანძღვა და შეძახილები ერთიანობის შესახებ — ყოველივე ეს მუშათა კლასში ლიკვიდატორების უკიდურესი და საბოლოო უძლურების უბრალო დაფარვაა?

რამდენიც უნდა გვლანძღოს «ნევსკი გოლოსმა», ჩვენ მშვიდად შივუთითებთ მუშებს ურყევ ფაქტებზე. დახედეთ «ნევსკი გოლოსის» მე-7 ნომერში ჩამოთვლილ შეგროვებულ თანხებს და «გაზეთის სახსრების გასაძლიერებლად» (ე. ი. — პირდაპირ რომ ვთქვათ —

ლიკვიდატორული გაზეთის აღსადგენად, რომლის გამოცემა შეწყდა იმის გამო, რომ მუშათა მასები მას საკმაო დახმარებას არ უწევდნენ) ივლისსა და აგვისტოში შეგროვებულ თანხებს. ანგარიში ამ შეგროვებული თანხების შესახებ გვიჩვენებს 52 შენატანს 827 მან. 11 კაპ. საერთო თანხით. აქედან მხოლოდ ორი თანხაა ჯგუფურად შეგროვებული: ერთი «მოსკოვის საინიციატივო ჯგუფისაგან» — 35 მან.; მეორე «მეგობრების ჯგუფისაგან პარიზიდან» — 8 მან. 54 კაპ., ხოლო დანარჩენი 50 ერთპიროვნული შენატანიდან 35 შეადგენს 708 მანეთს, ე. ი. თვითეული შენატანი საშუალოდ 20 მანეთზე მეტს.

დაე ჯავრობდეს და ილანძღებოდეს «ნევსკი გოლოსი», მაგრამ ფაქტები ფაქტებად რჩება. «საინიციატივო ჯგუფები» რომ ლიკვიდატორთა ჯგუფებია, რომლებიც მუშათა კლასის პარტიას გაეთიშნენ, ეს საყოველთაოდ არის ცნობილი. ეს პლეხანოვმაც კი აშკარად და პირდაპირ აღიარა ჯერ კიდევ 1912 წლის აპრილში.

გამოთიშულ ლიკვიდატორთა ჯგუფმა ბურჟუაზიულ ლიბერალ ინტელიგენტთა შენატანებით განაახლა თავისი გაზეთი მუშათა პრესის წინააღმდეგ საბრძოლველად!! და ეს ჯგუფი გაჰყვირის «ერთიანობაზე». აბა, როგორ არ გავიცინოთ?

«პრავდა» № 99, 1912 წ. 24 აგვისტო

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც., ტ. 18, გვ. 345—347

ს ტ ა ტ ი ი ნ

«საუბარი «კადეტჰამიოგის» შესახებ»

... ნამდვილად ას ლიბერალურ გაზეთზე რუსეთში ძლივს მოდის ერთი მარქსისტული გაზეთი, ისე რომ პირდაპირ სასაცილოა ლაპარაკი ჩვენ მიერ კადეტების კრიტიკის «გაზეიადების» შესახებ: ჯერ-ჯერობით ჩვენ მეასედსაც არ ვაკეთებთ, რაც საჭიროა იმისათვის, რომ საზოგადოებასა და ხალხში გაბატონებული «ზოგადოპოზიციური» განწყობილება შეიცვალოს ანტილიბერალური, გარკვეულად და შეგნებულად დემოკრატიული განწყობილებით.

ასეთი «შეცვლის» გარეშე ხეირიანი და სასიკეთო რამ რუსეთში არა მოხდარა რა და არც შეიძლება მოხდეს...

«ნევსკაია ზვეზდა» № 23,
1912 წ. 26 აგვისტო
ხელმოწერა: კ. ს-ი

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.,
ტ. 18, გვ. 352—353

მუშები და «პრავდა»

«პრავდამ» უკვე შეაჯამა ნახევარი წლის მუშაობის ზოგიერთი შედეგი.

ამ შეჯამებამ უწინარეს ყოვლისა და ყველაზე მეტად ცხადყო, რომ მხოლოდ თვით მუშების ღონისძიებათა შედეგად, ბრძოლაში მათი ენთუზიაზმის, სიმტკიცისა და შეუდრეკელობის მ ხ ო ლ ო დ უდიდესი აღმავლობის შედეგად, მ ხ ო ლ ო დ აპრილ-მაისის მოძრაობის შემდეგ შეიძლებოდა გაჩენილიყო პეტერბურგის მუშათა გაზეთი «პრავდა».

თავის შეჯამებაში «პრავდა» დასაწყისისათვის დასჯერდა მონაცემებს ყოველდღიური მუშათა გაზეთისათვის მუშების ჯგუფური შენატანების შესახებ. ეს მონაცემები გვიჩვენებენ მუშათა მიერ მხარდაჭერის მხოლოდ მ ც ი რ ე წ ი ლ ს, ამ მონაცემებით უშუალოდ არა ჩანს გაცილებით უფრო ძვირფასი და გაცილებით უფრო ძნელი მხარდაჭერა — მორალური მხარდაჭერა, პირადი მონაწილეობით მხარდაჭერა, გაზეთის მიმართულებისათვის მხარდაჭერა, მასალებით, განხილვით, გავრცელებით მხარდაჭერა და სხვ.

მაგრამ იმ შეზღუდულმა მონაცემებმაც, რომლებიც «პრავდის» განკარგულებაში იყო, გვიჩვენეს მეტად მნიშვნელოვანი რაოდენობა მუშათა ჯგუფებისა, რომლებმაც პ ი რ დ ა პ ი რ დაუკავშირეს მას თავისი ბედი. საერთოდ გადავავლოთ თვალი ჯამს:

გაზეთ «პრავდისათვის» მუშათა ჯგუფური შენატანების რაოდენობა

1912 წ.	იანვარში	14
»	თებერვალში	18
»	მარტში	76
»	აპრილში	227
»	მაისში	135
»	ივნისში	34
»	ივლისში	26
»	აგვისტოში (19 აგვისტომდე)	21
	ს უ ლ	551

სულ ხუთას ორმოცდათერთმეტმა მუშათა ჯგუფმა შეუწყო ხელი «პრავდას» თავისი შენატანებით.

საინტერესო იქნებოდა შეგვეჯამებინა მუშათა მიერ შეგროვებული მთელი რიგი სხვა თანხები და შენატანები. «პრავდაში» მუდამ ვხედავდით ანგარიშებს ამა თუ იმ გაფიცვის ხელშესაწყობად შეტანილი თანხების შესახებ. ვხედავდით ანგარიშებს თანხების შეგროვების შესახებ «რეპრესირებულთა» სასარგებლოდ, «ლენელთა» სასარგებლოდ, «პრავდის» ცალკეულ რედაქტორთა სასარგებლოდ, თანხების შეგროვების შესახებ საარჩევნო კამპანიისათვის, დამშეულთა დასახმარებლად და სხვ., და ა. შ.

თანხების ამ შეგროვების სხვადასხვაობის გამო შეჯამება აქ გაძნელებით ძნელია, და ჯერ კიდევ არ შეგვიძლია ვთქვათ, შეუძლია თუ არა სტატისტიკურ გამოანგარიშებას მოგვცეს მოვლენის დამაკმაყოფილებელი სურათი. მაგრამ ყოველ შემთხვევაში ცხადია, რომ თანხების ეს სხვადასხვა შეგროვება მოიცავს მუშათა ცხოვრების მეტად მნიშვნელოვან ნაწილს.

რუსეთის ყველა კუთხის მუშა-მოსამსახურეთა წერილებთან დაკავშირებით მუშათა მიერ თანხების შეგროვების შესახებ ანგარიშების გაცნობით «პრავდის» მკითხველები, რომლებიც რუსეთის ცხოვრების მძიმე გარეშე პირობების გამო მეტ წილ შემთხვევებში დაქსაქსული და დაშორიშორებული არიან,იღებენ ერთგვარ წარმოდგენას იმის შესახებ, თუ როგორ იბრძვიან, როგორ იღვიძებენ მუშათა დემოკრატიის ინტერესების დასაცავად ამა თუ იმ პროფესიის, ამა თუ იმ ადგილის პროლეტარები.

მუშათა ცხოვრების ქრონიკა «პრავდაში» მხოლოდ ოწყებს განვითარებასა და განმტკიცებას. შემდეგში, უეჭველია, გარდა წერილებისა ფაბრიკებში მომხდარ ბოროტმოქმედებათა შესახებ, ახალი პროლეტარული ფენის გამოღვიძების შესახებ, მუშათა საქმის ამა თუ იმ დარგისათვის თანხების შეგროვების შესახებ, მუშათა გაზეთი მიიღებს ხოლმე ცნობებს მუშათა შეხედულებებსა და განწყობილებაზე, საარჩევნო კამპანიაზე, მუშათა რწმუნებულების არჩევნებზე, იმაზე, თუ რას კითხულობენ მუშები, იმ საკითხებზე, რომლებიც მათ განსაკუთრებით აინტერესებთ, და სხვ.

მუშათა გაზეთი მუშათა ტრიბუნაა. მთელი რუსეთის წინაშე აქ ერთიმეორეზე უნდა ისმებოდეს საერთოდ მუშათა ცხოვრებისა და კერძოდ მუშათა დემოკრატიის საკითხები. პეტერბურგის მუშებმა ჩაუყარეს საფუძველი ამ საქმეს. მათს ენერგიას უნდა უმადლოდეს რუსეთის პროლეტარიატი პირველ ყოველდღიურ მუშათა გაზეთს ჟამთა სიავის მძიმე წლების შემდეგ. მაშ განვაგრძოთ მათი საქმე,

ერთსულოვნად დავუჭიროთ მხარი დედაქალაქის მუშათა გაზეთს და განვავითაროთ იგი — პირველი მერცხალი იმ გაზაფხულისა, როცა მთელი რუსეთი დაიფარება მუშათა გაზეთების მქონე მუშათა ორგანიზაციების ქსელით.

ეს რუსეთი ჩვენ, მუშებს, ჯერ კიდევ შესაქმნელი გვაქვს, და ჩვენ მას შევქმნით.

«პრავდა» № 103, 1912 წ. 29 აგვისტო
ხელმოწერა: ს ტ.

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.,
ტ. 18, გვ. 358—360

ს ვ ა ბ ი ი ბ ა ნ

«წინათ და ახლა»

...ვისაც ახსოვს საფაბრიკო წესების პირველი მხილებანი, რომლებითაც პეტერბურგის მოწინავე მუშები 1894 წელს მიმართავდნენ მასებს, მისთვის მეტად საინტერესო და საგულისხმოა მათი შედარება საფაბრიკო წესების იმ მამხილებელ მასალასთან, რაც «პრავდაში» იბეჭდებოდა. მუშათა ბრძოლის ერთ-ერთი გამოვლინების ეს მცირე შედარება ნათლად გვიჩვენებს მ თ ე ლ ი მისი გაქანების, მისი სიღრმე-სიგანის, ძალისა და სხვათა ზრდას.

მაშინ გვქონდა საფაბრიკო წესების ხუთიოდ-ექვსიოდე მხილება, რომლებსაც მუშები ფარულად ავრცელებდნენ რამდენიმე ათეულ ცალად.

ახლა გვაქვს ათეულ ათასობით ყოველდღიური «პრავდა», რომელიც იძლევა საფაბრიკო წესების რამდენიმე მხილებას, რაც შრომის სულ სხვადასხვა დარგს ეხება.

მაშინ იყო ხუთიოდ-ექვსიოდე ეგრეთწოდებული «წრე», რომლებიც, რა თქმა უნდა, ფარულად, ამა თუ იმ ინტელიგენტ-მარქსისტის მონაწილეობით, განიხილავდნენ საფაბრიკო წესებს და სახავდნენ «გამოსაქვეყნებელი» პუნქტების საგანს.

ახლა მუშათა ასობით და ათასობით ჯგუფები, რომლებიც თავისთავად ჩნდებიან, განიხილავენ თავიანთ საარსებო საჭიროებას და დამოუკიდებლად მიაქვთ «პრავდაში» თავიანთი წერილები, თავიანთი მხილებანი, თავიანთი მოწოდებანი წინააღმდეგობის გაწევისა და გაერთიანებისაკენ...

«პრავდა» № 104, 1912 წ. 30 აგვისტო

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც., ტ. 18, გვ. 358—359

ბროშურიდან

«ახლანდელი მდგომარეობისათვის რსდმ პარტიაში»

...24 ივნისის წერილში (გვ. 5 და 6) ლატვიელებს მოხსენიებული აქვთ ლეგალური მარქსისტული გაზეთები პეტერბურგში. ისინი ასახელებენ «ჟივოე დელოს» და «ნევსკი გოლოსს», რომლებიც ატარებენ მენშევიკურ («გოლოს სოციალ-დემოკრატას») მიმართულებას, და მათ უპირდაპირებენ გაზეთებს: «ზვეზდას» და პეტერბურგის «პრავდას» (ნუ აურევთ მას ტროცკის ლიკვიდატორულ ვენის «პრავდაში»), რომლებიც, ლატვიელთა მტკიცებით, «ლ ე ნ ი ნ ი ს ჯ გ უ ფ ი ს მ ფ ლ ო ბ ე ლ ო ბ ა ს ა დ ა ხ ე ლ მ ძ ღ ვ ა ნ ე ლ ო ბ ა შ ი ი მ ყ ო ფ ე ბ ი ა ნ».

დაე ეს მტკიცება თუნდაც მარჯვე არ იყოს, ლატვიელებმა მაინც აქ უნებლიეთ მოიყვანეს სერიოზული ფაქტი ლიკვიდატორების წინააღმდეგ.

თუ «ღია პარტია» ლიკვიდატორების მხოლოდ ფუჭი ლიბერალური ფრაზაა, აშკარა მ ო ღ ვ ა წ ე ო ბ ა სათათბიროსა და პრესაში მარქსისტული პროპაგანდის მთავარი საქმიანობაა. აქ და მხოლოდ აქ შეიძლება ისეთი ფაქტების ნახვა, რომლებიც ობიექტურად ამტკიცებენ ლიკვიდატორებისა და ანტილიკვიდატორების ძალას.

ლატვიელების მიერ დასახელებულთა გარდა, სრულიად რუსეთის არავითარი სხვა პოლიტიკური ორგანო არ არსებობს. ლიკვიდატორებს აქვთ «ჟივოე დელო» და «ნევსკი გოლოსი», ანტილიკვიდატორებს — «ზვეზდა», უფრო გვიან «ნევსკაია ზვეზდა» და (პეტერბურგის) «პრავდა». რუსეთში არ არის არავითარი სხვა მიმართულება და ფრაქცია არც პრესაში, არც საზოგადოებრივ მასობრივ ასპარეზზე; ლატვიელების მიერ დასახელებული ყველა საზღვარგარეთის ჯგუფი სრული ნულია.

შემოწმებისათვის მისაწვდომი აშკარა მონაცემები რუსეთის მუშათა მასებთან ლიკვიდატორებისა და პარტიის კავშირურთიერთობის შესახებ

მონაცემები გაზეთების გამოშვებული ნომრების რაოდენობისა და ტირაჟის შესახებ ჯერ კიდევ მთლიანად არ ამტკიცებენ პარტიის უპირატესობას ლიკვიდატორებთან შედარებით. გაზეთების გამოცემა შეუძლიათ ლიბერალ ინტელიგენტთა პატარა ჯგუფებსაც. «მუშებისადმი მეგობრული» ან თუნდაც რადიკალური ელფერის ყოველი ლიბერალური გაზეთი მუდამ იპოვის რუსეთში ბევრ მკითხველს. მუშებს გარდა მათ წაიკითხავენ ლიბერალები, აგრეთვე წვრილბურჟუაზიული დემოკრატები.

მაგრამ არის ფაქტები, რომლებიც უფრო მარტივად და ნათლად ადასტურებენ ლიკვიდატორებისა და პარტიის კავშირურთიერთობას მუშათა მასებთან რუსეთში.

ეს არის მონაცემები ფულადი სახსრების შესახებ, რომლებიც მუშათა პრესის გამოცემას ხმარდება.

რუსეთში მუშებს შორის უკვე დიდი ხანია წარმოებს აგიტაცია მუშათა გაზეთის გამოსაცემად სახსრების შეგროვებისათვის. ყველასათვის გასაგები იყო, რომ ასეთი გაზეთის უქონლად არჩევნებში მონაწილეობა თითქმის ფიქტიურია. გაზეთი საარჩევნო კამპანიის მთავარი იარაღია, მასებს შორის მარქსისტული აგიტაციის მთავარი საშუალებაა.

მაგრამ საიდან შეიძლება ფულის შოვნა გაზეთისათვის?

საჭიროა მოეწყოს ფულის შეგროვება მუშებში. ეს შეგროვება ქმნის ფონდს და მოწმობს ამა თუ იმ ჯგუფის კავშირურთიერთობის ძალას. იგი ცხადყოფს მათს ავტორიტეტს, ნდობას მუშების მხრივ, მათს ნამდვილ გავლენას პროლეტარულ მასებზე.

და აი, მუშათა გაზეთისათვის ფულის ასეთი შეგროვება დაიწყო პეტერბურგში 1912 წლის დამდეგს. ნახევარი წელიწადი, 1 იანვრიდან 30 ივნისამდე საკმაო ვადაა. მონაცემები ფულის შეგროვების შესახებ ქვეყნდება ყველა ზემოდასახელებულ როგორც ლიკვიდატორულ, ისე ანტილიკვიდატორულ გაზეთში.

ნახევარი წლის ამ მონაცემებით მიღებული დასკვნები საუკეთესო მასალაა, აშკარა, სრული, ობიექტური, საბოლოო პასუხია რუსეთში ლიკვიდატორებისა და პარტიის ძალთა თანაფარდობის საკითხზე. ამიტომ დამატებაში ჩვენ მოვიყვანეთ სრული თარგმანი ყოველდღიური მუშათა გაზეთისათვის ფულის შეგროვების შესახებ ნახევარი წლის ყველა ანგარიშისა და თითქმის ყველა ზემოდასახელებული გაზეთიდან.

აქ მოგვყავს მხოლოდ შეჯამებული მონაცემები.

ნახევარი წლის განმავლობაში ანტილიკვიდატორულ გაზეთებში გამოქვეყნებულია ანგარიშები მუშათა ჯგუფებში ფულის 504 შეგროვებაზე, ე. ი. ისეთ შეგროვებაზე, რომელთა შესახებაც პირდაპირ მოყვანილია მუშათა იმ ჯგუფის დასახელება, სადაც შეგროვება მოხდა. ეს შეგროვება წარმოებდა რუსეთის 50 ქალაქსა და საფაბრიკო დაბაში.

იმავე ნახევარი წლის განმავლობაში, 1912 წლის 1 იანვრიდან 30 ივნისამდე, ლიკვიდატორულ გაზეთებში გამოქვეყნდა ანგარიშები მუშათა ჯგუფებში ფულის 15 შეგროვების შესახებ. ეს შეგროვება მოხდა რუსეთის 5 ქალაქში*.

აი ეს ზუსტი ანგარიშები:

ყოველდღიური მუშათა გაზეთისათვის მუშათა ჯგუფებში ფულის შეგროვება 1912 წ. 1 იანვრიდან 30 ივნისამდე

	ლიკვიდატორულ გაზეთებში	ანტილიკვიდატორულ გაზეთებში
იანვარი	0	14
თებერვალი	0	18
მარტი	7	76
აპრილი	8	227
მაისი	0	135
ივნისი	0	34
	15	504
იგივე: რუსეთის მთავარი რაიონები		
პეტერბურგი	10	415
სამხრეთ რუსეთი	1	51
მოსკოვი	2	13
ჩრდილოეთი და დას. რუსეთი	1	12
ურალი და ვოლგა	0	6
კავკასია, ციმბირი, ფინეთი	1	7
	15	504

* წინაალმდეგ პორებისა, რომლებსაც ლიკვიდატორები ავრცელებენ, ფელს სწორედ ამ შეგროვებამ, რამაც 12 000 მარკაზე მეტი შეადგინა, აგრეთვე გერმანელი ამხანაგების წინანდელმა დახმარებამ შექმნა ძირითადი ფონდი ჩვენი სოც.-დემ. პრესისა რუსეთში. ტექსტში მოხსენებული სრული თარგმანი ფულის შეგროვების შესახებ სხვადასხვა სოც.-დემ. გაზეთში ნახევარი წლის მანძილზე მოთავსებული ყველა ანგარიშისა გაეგზავნა გამგეობას, საკონტროლო / კომისიას და ბებელს.

პარტიის წინააღმდეგ ნახევარი წლის ბრძოლის შემდეგ ლიკვიდატორები სავსებით დამარცხდნენ.

რუსეთის სოც.-დემ. მუშათა მოძრაობაში ლიკვიდატორები სრულ ნულს შეადგენენ. ამას ამტკიცებენ ზემომოყვანილი მონაცემები, რომელთა შემოწმება ყველას შეუძლია. ასეთია მთელი ნახევარი წლის მანძილზე რუსეთში გამოქვეყნებული ფაქტები, წინააღმდეგ ტროცკისა და ლიკვიდატორების კვეხნისა.

უნდა აღინიშნოს, რომ ტროცკი «ჟივოე დელოს» თანამშრომელია. შემდეგ, თვითონ ლატვიელები 24 ივნისის წერილში აღიარებენ, რომ ექვსივე ჯგუფი — მათ შორის ტროცკი, მენშევიკური «გოლოსი», გაზეთების «ჟივოე დელოს» და «ნევსკი გოლოსის» ხელმძღვანელები — ქმნიან ეგრეთწოდებულ ორგანიზაციულ კომიტეტს. ამიტომ ჩვენი მონაცემები, ამტკიცებენ, რომ არა მარტო ლიკვიდატორები, არამედ ყველა მათი ყოყოჩა საზღვარგარეთელი მეგობრებიც სრულ ნულს შეადგენენ რუსეთის სოც.-დემ. მუშათა მოძრაობაში.

მათ მხარეზეა საშუალოდ მხოლოდ ერთი მუშათა ჯგუფი ოცდაათ მუშათა ჯგუფზე რუსეთში.

აქ მოგვყავს აგრეთვე პეტერბურგის ყველა სოც.-დემ. გაზეთის მისამართები და გამოსვლის დღეები.

ლიკვიდატორები:

1. «ჟივოე დელო». პეტერბურგი, ბ. მოსკოვსკაია, 16. № 1 — 1912 წ. 20 იანვარი, № 16 და უკანასკნელი — 1912 წ. 28 აპრილი (დახურულია).

2. «ნევსკი გოლოს» .პეტერბურგი, კოლოკოლნაია, 3. №1 — 1912 წ. 20 მაისი, №5 — 1912 წ. 28 ივნისი (არსებობს დღემდე — 1912 წ. 29 ივლისამდე).

ანტილიკვიდატორები:

3. «ზვეზდა». პეტერბურგი, რაზიეზჟაია, 10, ბინა 14, №1 (37) — 1912 წ. 6 იანვარი, № 33 (69) — 1912 წ. 22 აპრილი (დახურულია).

4. «ნევსკაია ზვეზდა». პეტერბურგი, ნიკოლაევსკაია, 33, ბინა 57. № 1 — 1912 წ. 26 თებერვალი, № 2 — 1912 წ. 3 მაისი, № 14 — 1912 წ. 24 ივნისი (არსებობს დღემდე).

5. «პრავდა». პეტერბურგი, ნიკოლაევსკაია, 37, ბინა18. №1 — 1912 წ. 22 აპრილი, №53 — 1912 წ. 30 ივნისი (არსებობს დღემდე)...

რუსეთის გაზეთები, რომლებიც ლეგალურად არსებობენ და რომლებსაც მარქსისტული სულისკვეთებით ეწევა ხელმძღვანელობა, ამ-

ჟამად პარტიის სააგიტაციო მუშაობასთან დაკავშირებით ყველაზე მნიშვნელოვან აშკარა რუპორს წარმოადგენენ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა მასებისათვის.

საზღვარგარეთ გამომავალ, რუსეთისათვის არალეგალურ გაზეთებს ა რ ს ე ბ ი თ ა დ არ შეუძლიათ პრეტენზია ჰქონდეთ, რომ ისეთივე მნიშვნელობა აქვთ, როგორიც ზემოთ დასახელებულ გაზეთებს, თუმცა მათი პ რ ი ნ ც ი პ უ ლ ი მნიშვნელობა მოძრაობის თეორიული გაშუქებისათვის, უეჭველია, მეტისმეტად დიდია. ცნობილია, ასეთ გაზეთებს რა ადვილად და ზოგჯერ წინდაუხედავად აარსებენ საზღვარგარეთ გაფანტული რუს ემიგრანტთა პატარა ჯგუფები; ეს გაზეთები უბადრუკად ბოგინობენ თვით ამ ჯგუფებს შორის და თითქმის არ ხვდებიან პარტიის რუს წევრთა ხელში. ამიტომ მათ არსებითად არ შეიძლება მიეწეროთ რამდენადმე შესამჩნევი მნიშვნელობა რუსეთის პარტიული ცხოვრებისათვის.

ანტილიკვიდატორული გაზეთების ნახევარი წლის ბრძოლის შემდეგ (1912 წ. იანვრიდან ივნისამდე) არის ლიკვიდატორების ე რ თ ა დ ე რ თ ი ორგანო — «ნევსკი გოლოსი». ამ გაზეთმა როგორც პოლიტიკურმა ორგანომ თითქმის შეწყვიტა არსებობა: თვენახევრის განმავლობაში (ივნისიდან აგვისტოს შუა რიცხვებამდე) გამოვიდა მხოლოდ ო რ ი ნომერი (6 და7). ცხადია, რომ ვერც ერთი ასეთი გაზეთი ვერ გაუძლებს პოლიციის მიერ დევნას, რაც რუსეთში მძვინვარებს ყ ვ ე ლ ა მუშათა და თვით ბევრი სავსებით ზომიერი ლიბერალური გაზეთის წინააღმდეგ, თუ იგი სასიცოცხლო ძალას მუშათა მასებთან მჭიდრო კავშირიდან არ იღებს.

ახლა ასეთი, დიდი პოლიტიკური და უშუალო აქტუალური მნიშვნელობის მუშათა გაზეთებია: ყოველკვირეული «ნევსკაია ზვეზდა» და ყოველდღიური გაზეთი «პრავდა». ორივე გაზეთი პეტერბურგში გამოდის; ჩვენი პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი მ ო წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ე ე ბ ი ლატვიის სოციალ-დემოკრატიის წრიდან მათ აბუჩად ასაგდებად «ლენინის ჯგუფის» ორგანოებს უწოდებენ. ზემოთ მოყვანილი ო ბ ი ე ქ ტ უ რ ი მონაცემებით, რომლებიც ყოველთვის შეიძლება აშკარად შემოწმდეს, ჩვენი გერმანელი ამხანაგებისათვის ნათელი უნდა გახდეს, რომ ეს «ლენინის ჯგუფი» სინამდვილეში რუსეთის სოციალ-დემოკრატ მუშათა უდიდეს უმრავლესობას მოიცავს.

დაწერილია: ბროშურა 1912 წ. იელისში, პოსტსკრიპტუმი სექტემბერში
დაბეჭდილია 1912 წელს ცალკე ბროშურად გერმანულ ენაზე ლაიფციგში

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც., ტ. 18, გვ. 246—247, 248—252, 254—255

გაზეთ «პრავდის» რედაქციას

პატივცემულო კოლეგა. თქვენ ერთხელ კიდევ მაგონებთ ნაცნობის მისამართის შესახებ. ეს მისამართი ერთხელ მთხოვეთ, და მე გამოგიგზავნეთ. სულ ბოლოში მივაწერე — კარგად მახსოვს — ერთ ვრცელ წერილს. შეამოწმეთ, თუ ეს შესაძლებელია. თუმცაღა, უფრო ადვილია გავიმეოროთ მისამართი. აი ის: Herrn Kurt Lauschner, Beuthen (Ober-Schlesien), Piekarerstr. 19/III, გერმანია, შიგნით საჭიროა დაუმატოთ: ბ-ნ Hörsing-ისათვის: Für Herrn Hörsing (ბეიტენი გერმანიაში ორია, ამიტომ საჭიროა მიმატება: «Ober-Schlesien»)... მივიღე. დიდად გმადლობთ. დამსკის ხელნაწერიც მიღებულია. მეტად გაკვირვებული ვარ, რომ დღეს, როცა თქვენგან «პრავდაც» და მთელი გროვა შავი გაზეთებიც მივიღე, არ მიმიღია ხუთშაბათის «ნევსკი გოლოსი». ჩემთვის კი მთელი რიგი მნიშვნელოვანი მიზეზების გამო, უკიდურესად საჭიროა მაშინვე მქონდეს გამოსული «ნევსკი გოლოსი». თუ არ გამოსულა, გთხოვთ ნუ დაიზარებთ მაშინვე მომწეროთ ამაზე ორიოდე სიტყვა. ჩემთვის მეტად მნიშვნელოვანია რაც შეიძლება მალე შევიტყო, გამოვიდა თუ არა იგი 23 აგვისტოს, ხუთშაბათს (როგორც გვპირდებოდა «ნევსკი გოლოსი» 17 აგვისტოს), და თუ გამოვიდა, მივიღო ერთი ეგზემპლარი. სხვათა შორის, დიდი ხანია გამოგიგზავნეთ «ზვეზდის», «ნევსკაია ზვეზდის», «პრავდის», «ჟივოე დელოს» იმ №№-ის სია, რომლებიც ჩემს კომპლექტს აკლია. თქვენ არ იქნა და არ იძლევით პასუხს, შეგიძლიათ თუ არა გამომიგზავნოთ. ერთმა საერთო ნაცნობმა კი ამ დღეებში მაცნობა, რომ «ზვეზდის» და «ნევსკაია ზვეზდის» კომპლექტები თქვენ გაქვთ. გთხოვთ მომწეროთ, დაგრჩათ თუ არა ჩემ მიერ გამოგზავნილი სია, და შეძლებთ თუ ვერა გამომიგზავნოთ დანაკლისი ნომრები. ვსარგებლობ შეძთხვევით და მივულოცავ ამხ. ვიტიმსკის (იმედი მაქვს, არ გაგიჭირდებათ გადასცეთ მას ეს წერილი) შესანიშნავი წარმატებით დაწერილი სტატია «პრავდაში», რომელიც,

დღეს მივიღე (№ 98).[104] უაღრესად დროულად აღებულია თემა და ჩინებულად დამუშავებულია მოკლე, მაგრამ მკაფიო ფორმით. საერთოდ კარგი იქნება დროდადრო გაიხსენოთ, განმარტოთ «პრავდაში» შჩედრინი და «ძველი» ნაროდნიკული დემოკრატიის სხვა მწერლები და მოიყვანოთ მათგან ციტატები. «პრავდის» მკითხველთათვის — 25 000-სათვის — ეს სასარგებლო, საინტერესო იქნებოდა, და მუშათა დემოკრატიის ახლანდელი საკითხების სხვა მხრიდან, სხვა ხმით გაშუქებაც გამოვიდოდა.

როგორია «პრავდის» ტირაჟი? ხომ არ ფიქრობთ, რომ სასარგებლო იქნებოდა ყოველთვიური სტატისტიკა, თუნდაც მოკლე (ტირაჟი, ქალაქისა და რაიონის დასახელება). რა მოსაზრებები შეიძლება იმის სასარგებლოდ, რომ ეს სტატისტიკა არ იბეჭდებოდეს. თუ განსაკუთრებული მოსაზრებები არ არის, მე მგონია, საჭიროა იბეჭდებოდეს.

კინაღამ დამავიწყდა. საზღვარგარეთის სხვადასხვა ადგილიდან მივიღეთ მთელი რიგი საჩივრები, რომ არც ხელმოწერით და არც ცალკე ნომრებისათვის ფულის გაგზავნით «პრავდა» არ მისდით. მე ახლა არ მომდის წესიერად. მაშასადამე, უეჭველია, ექსპედიციაში ყველაფერი რიგზე ვერ არის. ძალიან გთხოვთ, მიიღეთ რაც შეიძლება ენერგიული ზომები. თვითონ ნახეთ საზღვარგარეთიდან მოსული წერილები ხელმოწერის შესახებ და მოაგვარეთ. გზავნეთ «პრავდისა» და «ნევსკაია ზვეზდას» თითო ეგზემპლარი შემდეგი მისამართით:

Frl. Slutzky: Katherinenstr. 8 g. H. II (bei Worte), Halensee, ბერლინი.

დაწერილია 1912 წ. 8 სექტემბერს
გაგზავნილია კრაკოვიდან
პეტერბურგში
პირველად დაიბეჭდა 1923 წელს

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.,
ტ. 35, გვ. 41—42

წერილი რედაქციას

ქვემოთ ხელისმომწერს, უკვე როგორც «პ რ ა ვ დ ი ს ა» და «ნ ე ვ ს კ ა ი ა ზ ვ ე ზ დ ი ს» მუდმივ პოლიტიკურ თანამშრომელს, თავის მოვალეობად მიაჩნია გამოთქვას თავისი პროტესტი კრიზისულ დროს ამ გაზეთების ხელმძღვანელი კოლეგების ქცევის წინააღმდეგ.

არჩევნები სპბ-ში, მუშათა კურიაშიც და მე-2 საქალაქო კურიაშიც კრიზისული მომენტია, მუშაობის ხუთი წლის შედეგების რეალიზაციის მომენტია, ბევრი მხრივ მომავალი ხუთი წლის მუშაობის მიმართულების განსაზღვრის მომენტია.

მუშათა დემოკრატიის ხელმძღვანელი ორგანო ასეთ მომენტში ნათელ, მტკიცე, ზუსტად განსაზღვრულ პოლიტიკას უნდა ეწეოდეს. «პრავდა» კი, რომელიც ფაქტიურად ბევრი მხრივ ხელმძღვანელი ორგანოა, ასეთ პოლიტიკას ა რ ეწევა.

«ლუჩი»[105] და «მეტალისტი»[106] თავგამოდებით გაპყვირიან «ერთიანობაზე» და ცდილობენ ამ «პოპულარული» ალმით გაატარონ ლიკვიდატორების ყ ვ ე ლ ა ზ ე ც უ დ ი პოლიტიკა, სახელდობრ: უმნიშვნელო უმცირესობის დაუმორჩილებლობა სპბ-ში მუშა მარქსისტთა უდიდესი უმრავლესობისადმი, — თანმიმდევრული მუშათა დემოკრატიის ასობით მუშათა ჯგუფისათვის ინტელიგენციის რაღაც სამი, ხუთი, ათი უბადრუკი ჯგუფისა და ერთი მუჭა მუშების კანდიდატის თავს მოხვევა.

იმ რამდენიმე დღეში, რაც დარჩა მუშათაგან ამრჩევის არჩევნებამდე, — იმ რამდენიმე კვირაში, რაც დარჩა სპბ-ში მე-2 კურიიდან არჩევნებამდე, «პრავდას» უთუოდ და აუცილებლად უნდა გაეჩაღებია უ ლ მ ო ბ ე ლ ი ბრძოლა მუშათა მასის ამ მ ო ტ ყ უ ე ბ ა ს თ ა ნ, რომელიც მიჩქმალულია კეთილსახოვანი და პოპულარული ფრაზებით. აუცილებელია უაღრესად დაწვრილებით განვუმარტოთ, დავუმტკიცოთ, დავუღეპოთ ყველასა და თვითეულს, ჯერ-1, რომ ლიკვიდატორობა არამარქსისტული, ლიბერალური მიმდინარეობაა;

მე-2, რომ ერთიანობა მოითხოვს უმცირესობის დამორჩილებას უმრავლესობისადმი, ლიკვიდატორები კი აშკარად, რვა თვის მუშაობის გამოცდილების მიხედვით, უმნიშვნელო უმცირესობას შეადგენენ;

მე-3, რომ იმათ, ვისაც სურს მხარი დაუჭიროს მ უ შ ა თ ა დემოკრატიას, უნდა იცოდნენ, ს ა დ არის მუშათა მასა, სად არის ოპივატელური ინტელიგენცია, რომელიც მარქსიზმობანას თამაშობს;

მე-4, რომ კონფერენცია, რომელზეც ლიკვიდატორები და «ლუჩი» გაჰყვირიან, უარყვეს და ამხილეს ნეიტრალურმა პლეხანოვმაც (მან პირდაპირ თქვა, მათს კონფერენციაში «ა რ ა პ ა რ ტ ი უ ლ ი დ ა ა ნ ტ ი პ ა რ ტ ი უ ლ ი ელემენტები» მონაწილეობდნენო) და ანტილიკვიდატორებისადმი მტრულად განწყობილმა ალექსინსკიმაც კი.

და ა. შ. და ა. შ.

თუ «პრავდამ» ყოველივე ეს დროზე არ განმარტა, სწორედ ის იქნება დამნაშავე შფოთსა და გათიშვაში, ვინაიდან «პრავდა», რომელსაც თავის მხარეზე მუშათა უდიდესი უმრავლესობა ჰყავს, თუ დროზე განმარტავს საქმეს, დანამდვილებით უზრუნველყოფს ერთიანობას, რადგან ლიკვიდატორები იმაში კი მარჯვე არიან, რომ ტრაბახობდნენ და იმუქრებოდნენ, მაგრამ ნამდვილად ვერასოდეს ვერ გაბედავენ «პ რ ა ვ დ ი ს» წინააღმდეგ წასვლას.

«პ რ ა ვ დ ა მ» თვითონ აღიარა, რომ არის ორი, ჩამოყალიბებული, ხაზი, პლატფორმა, კოლექტიური ნება (აგვისტოსი ლიკვიდატორებისა და იანვრისა). ამავე დროს კი «პრავდა» იწვევს აზრს, რომ იგი ეწევა რაღაც «თავის» მესამე, გუშინ ვიღაცის მიერ გამოგონილ ხაზს, რომელიც იმაში მდგომარეობს (როგორც პიტერიდან სხვები გვწერენ, ვინაიდან «პ რ ა ვ დ ი ს» კოლეგია ჯიუტობს და პასუხს არ გვაღირსებს), რომ ან სამიდან ერთი კანდიდატი დაუთმონ ლიკვიდატორებს, ან მთელი მეორე კურია მისცენ მათ «მუშათა კურიის სანაცვლოდ». თუ ეს ხმები სწორი არ არის, მათში მთლიანად «პრავდას» მ ი უ ძ ღ ვ ი ს ბ რ ა ლ ი, ვინაიდან არ შეიძლება ვთესავდეთ მარქსისტებს შორის ისეთ დაურწმუნებლობას, რომ აშკარა მეგობრებს — მარქსისტებს სჯერათ ეს ხმები და გადასცემენ მათ.

შფოთიან დროს იხურება «ნ ე ვ ს კ ა ი ა ზ ვ ე ზ დ ა», ისე რომ თუნდაც ერთი წერილი ან ახსნა-განმარტება არ გამოქვეყნებულა. ს ა ვ ს ე ბ ი თ წყდება აზრთა კოლეგიური გაცელა, და პოლიტიკური თანამშრომლები ს ი ბ ნ ე ლ ე შ ი რჩებიან, არ იციან, ვ ი ს გას-

ვლას უწყობენ ხელს, ლიკვიდატორისას ხომ არა. მე იძულებული ვარ სასტიკი პროტესტი განვაცხადო ამის წინააღმდეგ და მოვიხსნა პასუხისმგებლობა ამ არანორმალური მდგომარეობისათვის, რომელსაც შემდეგში შეიძლება ხანგრძლივი კონფლიქტები მოჰყვეს.

გთხოვთ ეს წერილი აცნობოთ «პ რ ა ვ დ ი ს ა» და «ნ ე ვ ს კ ა ი ა ზ ვ ე ზ დ ი ს» «პატრონსაც», ორივე გაზეთის სარედაქტორო კოლეგიასაც და ყველა თანამშრომელსაც თანმიმდევარ მუშა დემოკრატთა რიცხვიდან.

სალამით ვ. ი ლ ი ნ ი

დაწერილია 1912 წ. ოქტომბრის პირველ ნახევარში
გაგზავნილია კრაკოვიდან პეტერბურგში
პირველად დაიბეჭდა 1956 წ. ჟურნალ «კომუნისტში» № 5

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც., ტ. 36, გვ. 197—199

ნ ე რ ი ღ ი ღ ა ნ

გაზეთ «პრავდის» რედაქციას

...შემდეგ ჩემი სურვილი იქნებოდა მესაუბრნა პიტერის 2 მუშურ გაზეთზე. «ლუჩი» უპრინციპოა, საზიზღარია, ეს გაზეთი კი არ არის, არამედ ს.-დ. კანდიდატის არჩევის «ჩასაშლელი ფურცელია». მაგრამ მათ ომი ეხერხებათ, ისინი ცოცხალი, მკვირცხლი არიან. «პრავდა» კი ახლა, არჩევნების დროს, მძინარა შინაბერასავით იქცევა. «პრავდას» ომი არ ეხერხება. იგი თავს არ ესხმის, არ სდევნის არც კადეტს, არც ლიკვიდატორს. და განა შეიძლება რომ მოწინავე დემოკრატიის ორგანო ა რ ა მებრძოლი ორგანო იყოს შფოთიან დროს? დავუშვათ უკეთესი: დავუშვათ, რომ «პ რ ა ვ დ ა» დარწმუნებულია ანტილიკვიდატორთა გამარჯვებაში. მ ა ი ნ ც უნდა ომობდეს, რათა ქ ვ ე ყ ა ნ ა მ იცოდეს, რაშია საქმე, ვ ი ნ ფუშავს არჩევნებს, რა ი დ ე ე ბ ი ს გულისათვის წარმოებს ბრძოლა. «ლუჩი» ომობს გააფთრებით, ისტერიკით, თავის პრინციპებზე ყოველად უსირცხვილოდ ხელის აღებით. «პ რ ა ვ დ ა» — მის ჯიბრზე — «სერიოზულობს», იპრანჭება და სრულებით არ ომობს!! განა ეს მარქსიზმს ჰგავს? განა მარქსს უნარი არ ჰქონდა შეერთებინა ომი, უაღრესად მგზნებარე, თავდადებული და ულმობელი ომი სრულ პრინციპულობასთან??

ხოლო არჩევნების დროს თუ არ ომობ, ეს იმას ნიშნავს, რომ საქმეს ღუპავ. შეხედეთ, რა გამოუვიდა «ლუჩს» მისი «კადეტპამიობიდან»! «პრავდაში» კი ეშინოდათ, მეტისმეტად ბევრს ხომ არ ვეპამ კადეტებსო!!

გართმევთ ხელს.

თქვენი ვ. ი ლ ი ნ ი

დაწერილია 1912 წ. ოქტომბერში
გაგზავნილია კრაკოვიდან
პეტერბურგში
პირველად დაიბეჭდა 1956 წ.
ჟურნალ «კომუნისტში» № 5

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოცემა
ტ. 36, გვ. 201—202

ა. მ. გორკის

ძვირფასო ა. მ.! ამ დღეებში პიტერიდან, «პრავდის» რედაქციიდან მივიღე წერილი, რომელშიც ისინი მთხოვენ მოგწეროთ, რომ უაღრესად მოხარული იქნებოდნენ თქვენი მუდმივი თანამშრომლობისა. «გვინდა შევთავაზოთ გორკის 25 კაპ. სტრიქონში, მაგრამ გვეშინია არ იწყინოსო», — ასე მწერენ.

ჩემი აზრით, აქ საწყენი არაფერია. თქვენი თანამშრომლობა ჰონორარზე მოსაზრებების გავლენით რომ შეიცვალოს, ეს აზრადაც არავის მოუვა. სწორედ ასევე ყველამ იცის, რომ მუშურ «პრავდას», რომელიც ჩვეულებრივად სტრიქონში 2 კაპ. იხდის, ხოლო კიდევ უფრო ხშირად სულაც არაფერს იხდის, საერთოდ ჰონორარებით ვისიმე მიზიდვა არ ძალუძს.

მაგრამ იმაში, რომ მუშათა გაზეთის თანამშრომლები თუნდაც სულ მცირეოდენ, მაგრამ მაინც რეგულარულ გასამრჯელოს იღებენ, ცუდი არაფერია «კარგის მეტი». ტირაჟი ახლა 20 — 25 ათასია. დროა დავიწყოთ ფიქრი თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების საქმის მკვიდრად დაყენებაზე. რა არის იმაში ცუდი, რომ გაზეთში ყ ვ ე ლ ა მომუშავემ დაიწყოს ცოტ-ცოტა გასამრჯელოს მიღება? და რა შეიძლება საწყენი იყოს ამ წინადადებაში?

მე დარწმუნებული ვარ, რომ «პრავდის» პიტერის რედაქციის შიში სრულიად უსაფუძვლოა და რომ თქვენ მის წინადადებას მხოლოდ და მხოლოდ ამხანაგურად შეხვდებით. მისწერეთ ორიოდე სიტყვა ან პირდაპირ მათს რედაქციაში ან მე მომწერეთ.

ხვალ ამრჩევთა არჩევნებია პიტერში (მუშათა კურიაში). ლიკვიდატორებთან ბრძოლა გაჩაღდა. მოსკოვსა და ხარკოვში პარტიელებმა გაიმარჯვეს.

ნახეთ თუ არა «ლუჩი» და საერთოდ იღებთ თუ არა მას? დახე როგორ იყალთაბანდეს და «კეთილებად» გვაჩვენებენ თავს!

ვნახე განცხადება «კრუგოზორის»[107] შესახებ. თქვენი წამოწყებაა ეს თუ სტუმრად ხართ იქ?

მაგრად გართმევთ ხელს და გისურვებთ უწინარეს ყოვლისა ჯანმრთელობას. სალამი მ. თ—ს.

თქვენი ლენინი

47. Ulica Lubomirskiego. Krakau.

დაწერილია 1912 წ. 17 ოქტომბერს
გაგზავნილია კრაკოვიდან
კუნძულ კაპრიზე (იტალია)
პირველად დაიბეჭდა 1924 წელს

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.,
ტ. 35, გვ. 44—45

გაზეთ «პრავდის» რედაქციას

პატივცემულო კოლეგა! დღეს «პრავდასა» და «ლუჩში» წავიკითხე პიტერში მუშათა კურიაში არჩევნების შედეგის შესახებ. არ შემიძლია არ მოგესალმოთ № 146-ის მოწინავის გამო: დამარცხების მომენტში, რომელიც მოგვაყენეს არა სოციალ-დემოკრატებმა (ციფრების ანალიზიდან ცხადია, რომ ლიკვიდატორები გაიყვანეს არა სოციალ-დემოკრატებმა), რედაქციამ ერთბაშად აიღო სწორი, მტკიცე, ღირსეული ტონი იმაზე მითითებისა, თუ რა მნიშვნელობა აქვს «დამცირების» წინააღმდეგ პროტესტის პრინციპულ პოზიციას. უკულმა არ გაიგოთ ეს სტრიქონები. — არ იფიქროთ, რომ ისინი გამოწვეულია რაიმე სხვა მოსაზრებით, გარდა სურვილისა გაგიზიაროთ აზრები, რაც ესოდენ ბუნებრივია მუდმივი თანამშრომლისათვის. დრო მძიმე იყო. ბრძოლა ძნელი. გაკეთდა თითქმის ყველაფერი, რაც კი შესაძლებელი იყო, მაგრამ დაშლილობამ თავი იჩინა, და უპარტიოებმა ხმები მისცეს ოპორტუნისტებს. მით უფრო საჭიროა მჭიდროდ დარაზმული მთლიანობის (მაგალითად, მჭიდროდ დარაზმული რედაქციის ან თანამშრომელთა კოლეგიის და სხვ.) უაღრესად პრინციპული, ბეჯითი და შეუპოვარი მუშაობა, რომ წინააღმდეგობა გავუწიოთ დაშლას.

მეტად მნიშვნელოვანია არ შეწყვიტოთ ის მუშაობა, რაც «პრავდამ» არჩევნების შესაწავლად დაიწყო, არამედ განაგრძოთ იგი. შეკრიბოთ და დაბეჭდოთ ყველა კანდიდატთა ხმები (თქვენ მხოლოდ 9 გაქვთ 13-დან). შეკრიბოთ და დაბეჭდოთ ანკეტა იმის შესახებ, თუ როგორ მისცეს ხმა უპარტიოებმა, როგორ მისცეს ხმა პუტილოველებმა (7 და 2 ლიკვიდატორი), სემიანიკოველებმა (2 და 1 ლიკვიდატორი) და ა. შ. ქარხნების მიხედვით.

მხოლოდ «პრავდას» შეუძლია წარმატებით შეასრულოს ეს დიდ-მნიშვნელოვანი საქმე.

სალამი და საუკეთესო სურვილები.

თქვენი ლენინი

დაწერილია 1912 წ. 2 ნოემბერს
გაგზავნილია კრაკოვიდან
პეტერბურგში
პირველად დაიბეჭდა 1923 წელს

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოცემა
ტ. 35, გვ. 46—47

გაზეთ «პრავდის» რედაქციას

პატივცემულო კოლეგა!

მივწერე, თქვენი თხოვნით, გორკის და დღეს მივიღე მისგან პასუხი. იგი იწერება:

«გაუგზავნეთ ამასთან დართული ბარათი «პრავდას». ჰონორარზე ლაპარაკიც არ შეიძლება, ეგ არაფერი. გაზეთში ვიმუშავებ, მალე დავიწყებ მისთვის ხელნაწერების გზავნას. ეხ დღემდე ვერ ვქენი მხოლოდ იმიტომ, რომ საშინლად მოუცლელი ვარ, დღეში 12 საათს ვმუშაობ, ზურგი მტეხს».

როგორც ხედავთ, გორკი ძალიან მეგობრულად არის განწყობილი*. იმედი მაქვს, თქვენ ამითვე უპასუხებთ და მზრუნველობით აღევნებთ თვალყურს, რომ მას წესიერად ეგზავნებოდეს «პრავდა». ექსპედიცია ზოგჯერ მოიკოჭლებს, ასე რომ დროდადრო აუცილებელია შეამოწმოთ და შეამოწმოთ თვითონ.

ახალი წიგნები, რომლებიც შეიძლება ინტერესს წარმოადგენდეს მისთვის, აგრეთვე ზოგი რამ ხელნაწერებიდან გზავნეთ (ჩემ სახელზე მისთვის გადასაგზავნად), თუ გინდათ მეგობრული განწყობილება შეინარჩუნოთ.

ძალიან გთხოვთ გამომიგზავნოთ «პრავდა» №№ 146, 147, 148 და «ნევსკაია ზვეზდა» №№ 26 და 27 თუნდაც ორ-ორი ეგზემპლარი.

ფიქრობთ თუ არა პასუხი გასცეთ «ლუჩის» ბოროტ და საზიზღარ გამოსვლებზე?! ეს არამზადები თვითონ გამოითიშნენ და გათიშვაზე გაჰყვირიან!! მათმა სიამ კიხომ ნაკლები მიიღო {მთელი სიისათვის, ექვსივე დეპუტატისათვის მიცემული ხმების ჯამი} 17. X-საც და 18. X-საც!! აუცილებლად იშოვნეთ ზაიცევთან ან რომელიმე სხვა ამრჩევთან ლიკვიდატორთა ყველა კანდიდატისა-

* ამასთან ვგზავნი გორკის წერილს «ოვერემენნი მირა»-სადმი თქვენთვის «ზლაპრის» გადაცემის შესახებ. მალე წაიღეთ.

თვის მიცემული ხმების ზუსტი ციფრები. ეს მეტად დიდმნიშვნელოვანია! მერე კიდევ როგორ გთხოვდით გეყიდათ სპბ. ქალაქის უფროსის სამმართველოს კანცელარიაში რწმუნებულთა ნაბეჭდი სია! აუცილებლად გააკეთეთ ეს! გისურვებთ ყოველ კარგს.

თქვენი...

ყოველ კარგს ვუსურვებ და ყოველნაირად მივულოცავ «პრავდის» ყველა თანამშრომელს, რედაქტორებსა და მეგობრებს მის მომხრეთა გამარჯვებას სპბ-ში, ხარკოვში და ა. შ.!!

P. S. მოიწერეთ, როგორია «პრავდისა» და «ლუჩის» ტირაჟი ახლა! არის თუ არა საკმაო მასალა?

დაწერილია 1912 წ. ნოემბრის
პირველ ნახევარში
გაგზავნილია კრაკოვიდან
პეტერბურგში
პირველად დაიბეჭდა 1956 წ.
ჟურნალ «კომუნისტში» № 5

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.,
ტ. 36, გვ. 204—205

გაზეთ «პრავდის» რედაქციას

ძვირფასო კოლეგა! გიგზავნით პეტერბურგის განაწესს, რომელიც შემთხვევით, პიტერიდან ერთი ძალიან სწრაფი ოკაზიის გამო, ჩაგვივარდა ხელში. აუცილებლად მოათავსეთ ეს განაწესი პეტერბურგის დეპუტატისათვის თვალსაჩინო ადგილას მსხვილი შრიფტით. სრულიად შეუწყნარებელია, რომ «ლუჩი», რომელიც ამახინჯებს განაწესს, უკვე ლაპარაკობს მის შესახებ და ათავსებს შენიშვნებს, ხოლო «პრავდა», რომლის მომხრეებმა განაწესი შეადგინეს, გაატარეს, აამოქმედეს, ხმას არ იღებს მის შესახებ... რა არის ეს? ნუთუ მუშათა გაზეთს შეუძლია იარსებოს, თუ იგი ასე აგდებულად მოეკიდება იმას, რაც მუშებს აინტერესებს? (თავისთავად ცხადია, რომ ცალკეული გამოთქმებისა და ფრაზების არაცენზურულობის შემთხვევაში შესაძლებელია ნაწილობრივი ცვლილებანი, როგორც ეს ჩვეულებრივად ხდება ასეთ შემთხვევებში.) მაგრამ ასეთი რამ რომ არ მოათავსოთ, ეს ნიშნავს არა მარტო ნიადაგი შექმნათ ასობით კონფლიქტისათვის, რომლებშიც «პრავდა» დამნაშავე აღმოჩნდება, არამედ მეტისმეტადაც გააფუჭოთ წმინდა საგაზეთო საქმე, გაზეთის, როგორც წამოწყების, გავრცელებისა და დაყენების საქმე. გაზეთი ხომ ისეთი რამ არ არის, რომ მკითხველი მხოლოდ კითხულობდეს, მწერალი მხოლოდ წერდეს. გაზეთი თვითონ უნდა ეძებდეს, თვითონ დროზე პოულობდეს და თავის დროზე ათავსებდეს ცნობილ მასალას. გაზეთი უნდა ეძებდეს და პოულობდეს მისთვის საჭირო კავშირს. აქ კი განაწესი პეტერბურგის დეპუტატისათვის, «პრავდის» მომხრეებისაგან გამოსული, «პრავდაში» კი არ არის... გთხოვთ მიპასუხოთ ამ წერილის მიღებისთანავე.

დაწერილია 1912 წ. 24 ნოემბერს
გაგზავნილია კრაკოვიდან
პეტერბურგში
პირველად დაიბეჭდა 1923 წელს

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.,
ტ. 35, გვ. 49—50

გაზეთ «პრავდის» რედაქციას

ძვირფასო კოლეგა! ძალიან შევწუხდით, როცა ორი შეცდომა დავინახეთ «პრავდის» კვირის №-ში:[108] ჯერ-1, არ არის სტატია ბაზელის კონგრესის შესახებ; მე-2, დაბეჭდილი არ არის ბადაევის და სხვ. მისალმება კონგრესისადმი. პირველ პუნქტში ჩვენც მიგვიძღვის ბრალი, ვინაიდან სტატია არ გამოგვიგზავნია. გართული ვიყავით მეტად სასწრაფო მნიშვნელოვანი საქმეებით. ასეთი სტატიის დაწერა სულაც არ იქნებოდა ძნელი, ხოლო კვირას ყრილობა რომ იხსნებოდა, «პრავდის» რედაქციამ იცოდა. მეორე შეცდომაში კი მთლიანად ბადაევს მიუძღვის ბრალი. სრულიად შეუწყნარებელია, რომ იგი თავისი გაზეთისათვის არ ზრუნავს; — რომ როცა ხელს მოაწერს რამეს, ბაშინვე არ მიაქვს ეს თავის გაზეთში. მუშათა გაზეთი პიტერში, რომელშიც არ თანამშრომლობს მუშათა დეპუტატი პიტერიდან (ისიც «პრავდის» მომხრე) — უაზრობაა. უაღრესად საჭიროა მეტი ყურადღება მიაქციონ ამ მნიშვნელოვან ხარვეზს. მთელმა რედაქციამ, ბატურინმაც (რომელსაც სხვათა შორის გთხოვთ გადასცეთ ეს წერილი და რომლისგანაც ძალიან სასიამოვნო იქნებოდა ორიოდე სტრიქონის მიღება) და დეპუტატმაც.

გორკის მისამართს მთხოვდით. აი იგი: Signor Massimo Gorki. Villa Spinola Capri (Napoli). Italie. იტალია, ნეაპოლი.

ან მისამართი კორესპონდენტისა რომში, მისწერეთ მას, იგი გამოგიგზავნით ხოლმე წერილებს «პრავდაში»: ბ. ანტონოვი.

B. Antonoff, Via le Giulio Cesare, 47. Roma. რომი. იტალია.

რატომ არ გზავნით ფულს, რაც გვერგება. დაგვიანება ძალიან

გვაწუხებს. ნუ აგვიანებთ, გთხოვთ. რატომ არ გვიპასუხეთ თხოვნაზე დაგებეჭდათ გაზეთში განცხადება, რომ რედაქცია ეძებს «პრავდის» №№ 5— 10?

გისურვებთ ყოველივე კარგს.

თქვენი ვ.

დაწერილია 1912 წ. 26 ნოემბერს
გაგზავნილია კრაკოვიდან
პეტერბურგში
პირველად დაიბეჭდა 1923 წელს

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.,
ტ. 35, გვ. 51—52

წერილი ი. ბ. სტალინს

ვასილიევისათვის

6/XII

ძვირფასო მეგობარო, 9 იანვრის შესახებ უაღრესად საჭიროა წინასწარ მოიფიქროთ და მოამზადოთ საქმე. წინასწარ მზად უნდა იყოს ფურცელი მიტინგების, ერთდღიანი გაფიცვისა და დემონსტრაციებისაკენ მოწოდებით (ეს ადგილზე უნდა გადაწყდეს, ადგილზე უკეთ ჩანს).[109] უნდა «გამოსწორდეს» 15 ნოემბრის შეცდომა, გამოსწორდეს, რა თქმა უნდა, ოპორტუნისტების წინააღმდეგ. ფურცლის ლოზუნგები უნდა იყოს სამი ძირითადი რევოლუციური ლოზუნგი (რესპუბლიკა, 8 საათიანი სამუშაო დღე და მემამულეთა მიწის კონფისკაცია), ხოლო განსაკუთრებით უნდა გაესვას ხაზი «ქვეყნის შემარცხვენელი» რომანოვთა დინასტიის 300 წლისთავს. თუ სრულად და სავსებით არა ხართ დარწმუნებული, რომ შესაძლებელია ასეთი ფურცელი გქონდეთ პიტერში, საჭიროა წინასწარ, დროზე, დაამზადოთ იგი აქ და წაიღოთ. ლიკვიდატორების თავხედობა იაგელოს საკითხში უმაგალითოა. თუ ჩვენ ექვსივენი მუშათა კურიიდან გვყავს, არ შეიძლება ხმაამოუღებლად დავემორჩილოთ ვიღაც ციმბირელებს. ექვსეული აუცილებლად უნდა გამოვიდეს უსასტიკესი პროტესტით, თუ მას ახშობენ, დაბეჭდოს პროტესტი «დენში»[110] და განაცხადოს, რომ ისინი მიმართავენ ქვედა ფენებს, მუშათა ორგანიზაციებს. ლიკვიდატორებს სურთ გაბერონ თავიანთი უმრავლესობა და გაატარონ გათიშვა პოლონეთის სოციალ-დემოკრატიასთან. ნუთუ ექვსი მუშური გუბერნიის მუშათა წარმომადგენლები დაემორჩილებიან სკობელევებსა და კომპანიას ან შემთხვევითს ციმბირელს[111]? მოიწერეთ უფრო ხშირად და უფრო მეტი, უფრო დაწვრილებით.

«ლუჩის» სტატიები გაფიცვების წინააღმდეგ უდიდესი სისაძაგლეა. საჭიროა მკვეთრი არალეგალური გამოსვლა. მალე მოიწერეთ, ასეთი გამოსვლის თქვენ მიერ დასახული გეგმებიდან რომელს ირჩევთ.

სალამი.

P. S.* დოკუმენტი დააბრუნეთ — მაგ დოკუმენტით ცხოვრება უხერხულია, პატრონი შეიძლება პიტერში იყოს.

პირველად დაიბეჭდა 1923 წელს წიგნში «ზვეზდისა» და «პრავდის» 1911 — 1914 წლების ეპოქიდან». ნაკვეთი III

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც., ტ. 18, გვ. 522—523

* — Postscriptum — მინაწერი. რ ე დ.

წ ე რ ი ღ ი ღ ა ნ

გ. ზ ა ლ ო ვ ს კ ი ს

... ნუთუ ცხადი არ იყო, რომ «პრავდისათვის» ყ ო ვ ე ლ დ ღ ე უნდა გეწერათ? ნუთუ ძნელი იყო როლების განაწილება? არც ერთი წერილი «პრავდაში» ადგილიდან, ლიკვიდატორებს კი რ ა მ დ ე ნ ი მ ე აქვთ «ლუჩ'ში».

სირცხვილი არ არის? რასაკვირველია, რამდენადაც ჩვენ ძილში ვიქნებით, ხოლო ლიკვიდატორები იმუშავებენ, მათი საქმეები უკეთ წარიმართება. კეთდება თუ არა რაიმე «პრავდისათვის» ფულის შესაგროვებლად? არა ჩანს, ხოლო ლიკვიდატორები «ლუჩ'ში» ანგარიშს აქვეყნებენ საზღვარგარეთ ფ უ ლ ი ს შ ე გ რ ო ვ ე ბ ი ს შესახებ. «პრავდას» კი ძალიან, ძალიან და ძალიან უჭირს...

...თქვენ იწერებით, «ჩვენთან საქმეები ცუდად არის პრესაში და ფრაქციაშიო». ცუდადაა «პროსვეშჩენიეს» მხრივ. ფული არ გვაქვს. სერიოზული კრიზისია. უნდა დაგვეხმაროთ, უნდა გაგვიტანოთ.

«პრავდას» დაახლოებით 23 ათასი ტირაჟი აქვს. «ლუჩს» — 8—9. აქ ჩივილი ჯერ-ჯერობით ცოდვაა. მაგრამ «პრავდას» ჰქონდა 60 000 IV — V-ში, ზაფხულს დაეცა 20 ათასამდე. მეტად ნელა მატულობს. დაუხმარებლად სულს ვერ მოითქვამს. ჩვენ ფრაქციაში უკეთესი მდგომარეობაა, ვიდრე როდისმე ყოფილა. კურიალური მუშების მთელი ექვსეული ჩ ვ ე ნ ი ა.[112] ეს არასოდეს არ ყოფილა. სამხრეთი პირველად დავიპყარით. 12-დან — 6 და 6. მანკოვი მენშევიკია. რუსანოვი — გამოურკვეველია. ბრძოლა შეიძლება. აი ზუსტი მონაცემები ჩვენი პროგრესის შესახებ. დეპუტატები მუშათა კურიიდან.

II	სათათბიროში	12	მენშევიკი	11	ბოლშევიკი	(=47%)	(«ლონდონის
III	»	4	»	4	»	(=50%)	ყრილობის
IV	»	3	»	6	»	(=67%)	ოქმები»,

გვ. 451)[113].

თუ თქვენთან არის სადმე ბინმე სასოწარკვეთილი, დაე ჩაუფიქრდეს ამ ციფრებს და შერცხვეს თავისი სასოწარკვეთილობისა. ჩვენებს შორის სათათბიროში პირველად არის გამოჩენილი მუშა-ლიდერი (მალინოვსკი). ის წაიკითხავს დეკლარაციას. იგი ალექსინსკის ტოლი არ გახლავთ. შედეგებიც — შესაძლოა არა ერთბაშად — დიდი იქნება. III სათათბიროში ჩვენ საქმე 0-ით დავიწყეთ!!

არალეგალური მუშაობის სფეროში, ბიუროს აქ გადმოსვლის გამო, წინანდელზე უფრო მეტია გაკეთებული. ნელა, მაგრამ მაინც წინ მივდივართ: არალეგალურად სხვებზე მეტს ვცემთ. ფული არა გვაქვს. თუ დაგვეხმარებიან — გამოვცემთ კიდევ «რაბოჩაია გაზეტას» და სხვ.

საზღვარგარეთიდან არალეგალური მუშაობის დახმარება მხოლოდ გამგზავრებით შეიძლება. შემდეგ ძალიან მნიშვნელოვანია დახმარება ახალი კავშირურთიერთობით, როგორიცაა: 1) წერილები — 2) ხელსაყრელი შემთხვევები — 3) პასპორტები 4) და ა. შ. და მისთ. ყოველივე ეს ცოტაა. აქ ადგილებზე, საზღვარგარეთ, 100-ჯერ ნაკლები კეთდება, ვიდრე შესაძლებელია. ახლა ყველაზე მნიშვნელოვანია დაგვეხმაროთ, რომ «პრავდამ» «სული მოითქვას». მას კი ცუდად ეხმარებიან. მარტო ვენელი (ბუხარინი) ცდილობს. სხვა ქალაქებში კი არაფერი არ კეთდება! არავინ წერს მუდმივად კორესპონდენციებს. არავინ ჰკრეფს ფულს. არავინ აგროვებს საინტერესო ადგილობრივ წიგნებსა და ბროშურებს აქ გამოსაგზავნად საინტერესო სტატიების შედგენის...* უფრო მეტი უნდა ვიფიქროთ ამაზე, ამხანაგებო! მაგალითად ს.-დ. შვეიცარიაში, Neuenburg**-ში... ვინ იზრუნა?? რა გაკეთდა აქედან??

გართმევეთ ხელს...

დაწერილია 1912 წ. 20 დეკემბერზე
აღრე
გაგზავნილია კრაკოვიდან ბერლინში
პირველად დაიბეჭდა 1930 წელს
ლენინის კრებულში XIII

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.,
ტ. 36, გვ. 217—219

* პირში ერთ-ერთი სიტყვა აღნიშნულია როგორც გაურკვეველი; შეიძლება ვიფარაუდოთ, რომ იქ ეწერა სიტყვა «მიზნით», რ ედ.
** — ნეიენბურგში. რ ედ.

ნ ე ტ ი ლ ი დ ა ნ

ა. მ. გორკის

ძვირფასო ალ. მ.! დიდი ხანია თქვენგან რატომღაც არავითარი ამბავი არ არის. როგორ ცხოვრობთ? ხომ ჯანსაღად ხართ?

დღეს მივიღე «პრავდის» № 187 ხელმოწერით 1913 წლისათვის. გაზეთს უპირს: ზაფხულში ტირაჟის დაცემის შემდეგ აღმავლობა ძ ა ლ ი ა ნ ნელია, და დეფიციტი რჩება. ორ მუდმივ თანამშრომელს გასამრჯელოც კი შეუწყვიტეს დროებით, და ჩვენი მდგომარეობა უაღრესად ძნელი გახადეს.

განზრახული გვაქვს გავაჩაღოთ მუშებში გაძლიერებული აგიტაცია ხ ე ლ მ ო წ ე რ ი ს სასარგებლოდ, რათა შეკრებილი ფულით განვამტკიცოთ და გავაფართოოთ გაზეთი, თორემ სათათბიროს დაწყების შემდეგ სრულებით არ რჩება ადგილი სტატიებისათვის.

იმედი მაქვს, თქვენც მიიღებთ მონაწილეობას აგიტაციაში ხელმოწერის სასარგებლოდ, რათა ხელი შეუწყოთ გაზეთის «წელში გამართვას». რა ფორმით? თუ გაქვთ ზღაპარი ან რაიმე შესაფერისი, — მაშინ ამის შესახებ განცხადება ძალიან კარგი აგიტაცია იქნება. თუ არა გაქვთ, — გაუგზავნეთ დაპირება, რომ მისცემთ ახლო მომავალში და სახელდობრ 1913 წელს. დასასრულ, მხოლოდ რამდენიმე სტრიქონი თქვენი წ ე რ ი ლ ი ს ა მ უ შ ე ბ ი ს ა დ მ ი ღ ე ბ ის მნიშვნელობის შესახებ, რომ ა ქ ტ ი უ რ ა დ დაუჭირონ მხარი (ხელის მოწერით, გავრცელებით, შეგროვებით) მუშათა გაზეთს, აგრეთვე საუკეთესო აგიტაცია იქნებოდა.

მისწერეთ, გთხოვთ, ერთი ან მეორე — პირდაპირ «პრავდის» რედაქციას (იამსკაია, 2, ს.-პეტერბურგი) ან მომწერეთ აქ მე. Uljanow. (47. Lubomirskiego. Krakau.)...

დაწერილია 1912 წ. 22 ან 23 დეკემბერს გაგზავნილია კუნძულ კაპრიზე (იტალია) პირველად დაიბეჭდა 1924 წელს

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც., ტ. 35, გვ. 53

ცნობა და რეზოლუციები

რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის თათბირისა პარტიულ მუშაკებთან[114]

რეზოლუციიდან

ლიკვიდატორობისადმი დამოკიდებულების შესახებ და ერთიანობის შესახებ

...რუსეთში პირველი ყოველდღიური მარქსისტული მუშათა გაზეთის დაარსებამ და მუშათა კურიაში ყველა კურიალური დეპუტატი-ბოლშევიკის არჩევამ საბოლოოდ დაამტკიცა, რომ პარტიამ შეძლო დაუფლებოდა ლეგალურ საქმიანობას და გარიყა ლიკვიდატორები...

დაიბეჭდა 1913 წ. თებერვალში ცალკე ბროშურად, გამოცემა რსდმ პარტიის ც. კ-ისა

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოცემა, ტ. 18, გვ. 560

ბოლშევიზმის შესახებ

ბოლშევიზმის წარმოშობა განუყრელადაა დაკავშირებული ეგრეთწოდებული «ეკონომიზმის» (მუშათა კლასის პოლიტიკური ბრძოლისა და მისი ხელმძღვანელი როლის უარმყოფელი ოპორტუნიზმის) ბრძოლასთან რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგ 1897—1902 წლებში. ეკონომიზმი, რომელსაც მხარს უჭერდა ბუნდი, დაძლეულ და განდევნილ იქნა ძველი «ისკრის» ცნობილი კამპანიით (მიუნხენი, ლონდონი და ჟენევა 1900—1903 წ.წ.), რომელმაც მარქსიზმისა და რევოლუციური ს.-დ-ის პრინციპების საფუძვლებზე აღადგინა ს.-დ. პარტია (დაარსებული 1898 წელს, მაგრამ შემდეგ დაპატიმრებებით დანგრეული). რსდმ პარტიის II ყრილობაზე (1903 წ. აგვისტო) ისკრელები გაითიშნენ: მათი უმრავლესობა ემხრობოდა ძველი «ისკრის» პრინციპებსა და ტაქტიკას, უმცირესობამ კი ოპორტუნიზმისაკენ იბრუნა პირი და მას მხარი დაუჭირეს «ისკრის» წინანდელმა მტრებმა, ეკონომისტებმა და ბუნდელებმა. აქედან წარმოდგა სახელწოდებანი: ბოლშევიზმი და მენშევიზმი (ბოლშევიკები და მენშევიკები — მეუმრავლესენი და მეუმცირესენი). 1903—1904 წლებში ბრძოლის მთავარი საგანი იყო მენშევიკების ოპორტუნიზმი ორგანიზაციულ საკითხებში. 1904 წლის დამლევიდან მთავარი ხდება ტაქტიკის სხვადასხვაობა. ახალი, მენშევიკების მხარეზე გადასული, «ისკრის» «საერობო კამპანიის გეგმა» (1904 წ. შემოდგომა) დაადგა შემდეგი ტაქტიკის დაცვის გზას: «ნუ დავაშინებთ ლიბერალებს». 1905 წელმა საბოლოოდ ჩამოაყალიბა ტაქტიკური უთანხმოება (ბოლშევიკების ყრილობა, რსდმ პარტიის III ყრილობა 1905 წლის მაისში ლონდონში და იმ დროსვე მენშევიკების «კონფერენცია» ჟენევაში). მენშევიკები მუშათა კლასის ტაქტიკას ლიბერალიზმს უფარდებდნენ. ბოლშევიკები ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში მუშათა კლასის მიზნად სახავდნენ: ამ რევოლუციის მიყვანას ბოლომდე, დემოკრატიული გლეხობის გაყოლიებას ლიბერალიზმის ღალატის მიუხედავად. პრაქტიკულად ორივე მიმდინარე-

ობის აზრთა მთავარი სხვადასხვაობა — 1905 წ. შემოდგომა: ბოლშევიკები მხარს უჭერენ ბულიგინის სათათბიროს ბოიკოტს, მენშევიკები — სათათბიროში მონაწილეობას. 1906 წ. გაზაფხული — ასევე ვიტეს სათათბიროს მიმართ. I სათათბირო: მენშევიკები მხარს უჭერენ ლოზუნგს — სათათბიროს (კადეტური) სამინისტრო, ბოლშევიკები მხარს უჭერენ ლოზუნგს — მემარცხენეთა (ს.-დ. და ტრუდოვიკების) აღმასრულებელი კომიტეტი მასების უშუალო ბრძოლის მოსაწყობად და სხვ. უფრო დაწვრილებითი ცნობების მოყვანა შეიძლება მხოლოდ საზღვარგარეთის პრესაში. სტოკჰოლმის ყრილობაზე (1906 წ.) გაიმარჯვეს მენშევიკებმა, ლონდონის ყრილობაზე (1907 წ.) — ბოლშევიკებმა. 1908—1909 წლებში ბოლშევიკებს ჩამოშორდნენ «ვპერიოდელები» (მახიზმი ფილოსოფიაში და «ოტზოვიზმი» ანუ III სათათბიროს ბოიკოტი პოლიტიკაში: ბოგდანოვი, ალექსინსკი, ლუნაჩარსკი და სხვ.). 1909—1911 წლებში, ეწეოდა რა ბრძოლას მათ წინააღმდეგ (შეადარე ვ. ილინი «მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი», მოსკოვი, 1909 წ.), აგრეთვე ლიკვიდატორების წინააღმდეგ (მენშევიკები, რომლებიც არალეგალურ პარტიას უარყოფდნენ), ბოლშევიზმი დაუახლოვდა პარტიელ მენშევიკებს (პლეხანოვი და სხვ.), რომლებმაც გადამწყვეტი ბრძოლა გამოუცხადეს ლიკვიდატორობას. ბოლშევიკების ორგანოები: «ვპერიოდი» და «პროლეტარი» (ჟენევა 1905 წ.), «ნოვაია ჟიზნ» (სპბ. 1905 წ.), «ვოლნა», «ეხო» და სხვ. (სპბ. 1906 წ.), «პროლეტარი» ფინეთში (1906—1907 წ. წ.), ჟენევაში (1908 წ.) და პარიზში (1909 წ.), «სოციალ-დემოკრატი» პარიზში (1909—1912 წ.წ.), ბოლშევიზმის ზოგიერთი მთავარი ნაწარმოები ჩამოწერილი აქვს ვ. ილინს წიგნში «12 წლის მანძილზე» სპბ. 1908, იქვეა ლიტერატურის უფრო დეტალური დასახელება. მთავარი მწერალი ბოლშევიკები: გ. ზინოვიევი, ვ. ილინი, ი. კამენევი, პ. ორლოვსკი და სხვ. უკანასკნელ წლებში ბოლშევიკები იყვნენ მთავარი თანამშრომლები გაზეთებისა: «ზვეზდა» (1910—1912 წ.წ.), «პრავდა» (1912 წ.) სპბ-ში და ჟურნალებისა: «მისლი» (1910 წ.) მოსკოვში, «პროსვეშჩენიე» (1911—1913 წ. წ.) სპბ-ში.

დაწერილია 1913 წ. იანვრის პირველ ნახევარში
პირველად დაიბეჭდა 1913 წელს წიგნში: ნ. ა. რუბაკინი. «წიგნთა შორის», ტ. II, მე-2 გამოცემა, მოსკოვი

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტს მიხედვით, მე-4 გამოც., ტ. 18, გვ. 588—590

ს ჯ ა ჯ ი ი ღ ა ნ

«არჩევნების შედეგები»

... მაგრამ განსაკუთრებით საგულისხმოა შევადაროთ «ლუჩის» შექმნა, —რომელიც **ა რ ჩ ე ვ ნ ე ბ ი ს** **დ ღ ე ს** კერძო ინიციატივის მეოხებით გაჩნდა, — და «პრავდის» შექმნა. მუშათა მოძრაობის აპრილის ტალღა რუსეთის მასობრივი მუშათა მოძრაობის ერთ-ერთი უდიდესი, ისტორიული ტალღაა. მეფაბრიკეთა გამოანგარიშებითაც კი ამ მოძრაობაში ასეულ ათასობით მუშა მონაწილეობდა. **და** **თ ვ ი თ** **ა მ** **მ ო ძ რ ა ო ბ ა მ**, როგორც თავისი თანაპროდუქტი, **შ ე ქ მ ნ ა** **«პ რ ა ვ დ ა»**, — ჯერ იმით, რომ გააძლიერა «ზვეზდა». იგი ყოველკვირეულიდან ორდღიური გახადა, შემდეგ კი მუშათა შენატანები «პრავდისათვის» აიყვანა 76-მდე მარტში და 227-მდე აპრილში (თუ ვიანგარიშებთ მუშების მხოლოდ ჯგუფურ შენატანებს)...

დაწერილია 1913 წ. იანვარში
დაიბეჭდა 1913 წ. იანვარში
ჟურნალ «პროსვეშჩენიეში» № 1
ხელმოწერა ვ. ილინი

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.,
ტ. 18, გვ. 629

ა. მ. გორკის

ძვირფასო ა. მ.! ჩემი წერილი ტიხონოვს რომ გაუგზავნოთ, ამის საწინააღმდეგო, გასაგებია, არაფერი მაქვს.

ლუნაჩარსკის ფელეტონმა «შიშსა და იმედს შუა» თქვენი მოთხრობის შემდეგ, დამაინტერესა. ხომ არ შეგიძლიათ გამომიგზავნოთ, თუ თავისუფალი გაქვთ? მოთხოვნის შემთხვევაში წესიერად დაგიბრუნებთ.

მოსკოვის გაზეთისათვის შეგროვებამ ფრიად გაგვახარა.[115] ამ საქმეს ხელს მოჰკიდებს მოსკოვის ოლქის დეპუტატების ჩ ვ ე ნ ი სამეული: მალინოვსკი, შაგოვი და სამოილოვი. ამაზე უკვე შეთანხმებული ვართ. მაგრამ საჭიროა სიფრთხილე: თუ «პრავდა» არ განვამტკიცეთ, არ შეიძლება მოსკოვის გაზეთს გამოვედევნოთ. ჩვენ გეგმა გვაქვს გამოვცეთ «მოსკოვსკაია პრავდა».

გთხოვთ მისწეროთ ტიხონოვს, რომ იგი ელაპარაკოს მ ხ ო ლ ო დ ბადაევს და მალინოვსკის, მათ კი აუცილებლად მოელაპარაკოს.

განსაკუთრებით გამახარა თქვენს წერილში სიტყვებმა: «რუსეთის ინტელიგენციის მთელი გეგმებიდან და ვარაუდებიდან სავსებით უეჭველად ირკვევა, რომ სოციალისტურ აზროვნებაში ფენებად ჩართულია მისდამი, ძ ი რ ე უ ლ ა დ მტრული სხვადასხვანაირი მიმდინარეობანი: აქ მისტიკაც არის, მეტაფიზიკაც, ოპორტუნიზმიც, რეფორმიზმიც, ნაროდნიკობის ნაშთებიც. მთელი ეს მიმდინარეობანი მით უფრო მტრული არიან, რომ უკიდურესად გაურკვეველნი არიან და, რადგან თავიანთი კათედრები არა აქვთ, არ შეუძლიათ გაირკვნენ საკმაო სიცხადით».

ხაზს ვუსვამ იმ სიტყვებს, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიწვია ჩემი აღტაცება. მართლაც რომ «ძირეულად მტრული» არიან და მით უფრო, რომ გაურკვეველი არიან. აი თქვენ მეკითხებით სტეპანოვზე (ი. ი.). რა აღმოჩნდა იგი (კარგი ბიჭი კი არის, გამრჯე, მცოდნე და ა. შ.) რღვევისა და მერყეობის ეპოქაში?

(1908 — 1911). უნდოდა ეპერიოდელებთან შეეერიგებინეთ. მაგრამ ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ თვითონ მერყეობდა.

წერილებს მწერდა, რუსეთში დემოკრატიულ რევოლუციას ჯვარი უნდა დავუსვათ, ჩვენში ურევოლუციოდ საქმე ავსტრიულად წავაო. მე იგი გავლანძღე, ლიკვიდატორი ვუწოდე ამ უხამსობისათვის. იწყინა. შემდეგ კი პრესაში მისი აზრები ლ ა რ ი ნ მ ა წამოაყრანტალა.

ახლა სტეპანოვი დ ე მ ო ნ ს ტ რ ა ც ი უ ლ ა დ წერს არა ჩვენთან, არამედ როეკოვის გაზეთ «ნოვაია სიბირში» ირკუტსკში.[116] როეკოვმა კი იცით, რა «მიმდინარეობა» წამოიწყო? წაიკითხეთ მისი სტატია 1911 წლის «ნაშა ზარიაში» და ჩემი პასუხი «ზვეზდაში»? როეკოვიც გ ა ჯ ი უ ტ დ ა თავის არქიოპორტუნიზმში. სტეპანოვი? ალაჰმა უწყის მისი თავი. მართლაც «უკიდურესად გაურკვეველი» და აბნეული პოზიციაა. მე ახლა სტეპანოვს ა რ ა ს ო დ ე ს არავითარ ოდნავ დამოუკიდებელ განწყობილებას აღარ ვანდობდი: თვითონაც არ იცის, სად გადახტება. მაგრამ თანამშრომლად ალბათ სასარგებლო იქნებოდა. იგი იმათგანია, ვინც «ვერ გარკვეულა». მას რომ განყოფილების «მოწყობა» მიანდო, — იმას ნიშნავს რომ ი ს ი ც და განყოფილებაც დანამდვილებით დაღუპო.

თქვენ იწერებით: «დროა ჩვენი ჟურნალი გვქონდეს, მაგრამ ამისათვის საკმაოდ არა გვყავს კარგად შეხმატკბილებული ადამიანებიო».

ამ ფრაზის მეორე ნაწილს მე არ ვეთანხმები. ჟურნალი საკმაო ადამიანებს შ ე ა ხ მ ა ტ კ ბ ი ლ ე ბ დ ა, თუ ჟურნალი იქნებოდა, თუ ბ ი რ თ ვ ი იქნებოდა.

ბირთვი არის, ჟურნალი კი (სქელი) არ არის გარეშე მიზეზებით: ფული არა გვაქვს. ფული რომ გვქონდეს, დარწმუნებული ვარ, ჩვენ ახლა სქელ ჟურნალსაც გავართმევდით თავს, ვინაიდან თანამშრომელთა ბ ი რ თ ვ ი ს გარშემო შეიძლება გასამრჯელოთი ბ ე ვ რ ი შემოვიკრიბოთ, თემები დავარიგოთ და ადგილები გავანაწილოთ.

სანამ ფული არა გვაქვს, ჩემი აზრით, საჭიროა არა მარტო ვიოცნებოთ, არამედ კიდევაც ვაშენოთ არსებულიდან, ესე იგი «პროსვეშჩენიედან». ეს, რა თქმა უნდა, პატარა ლიფსიტაა, მაგრამ ჯერ-1, ყოველივე დიდიც პატარიდან იზრდება, მე-2, პატარა ლიფსიტა სჯობია დიდ ხოჭოს.

დროა, დიდი ხანია დროა დ ა ვ ი წ ყ ო თ სიმღერაში ვარჯიში, თუ გვსურს დიდი რაოდენობით გვყავდეს «შეხმატკბილებული ადამიანები».

«დროა ჩვენი ჟურნალი გვქონდეს». ლიტერატორთა ბირთვი გვყავს. ხაზის სისწორე დადასტურებულია 12 წლის გამოცდილებით (ან 20 წლის გამოცდილებითაც კი), ხოლო უკანასკნელი 6 წლის გამოცდილებით განსაკუთრებით. უნდა შემოვიკრიბოთ მუშაკები ამ ბირთვის გარშემო, ამით გამოვარკვიოთ იგი უფრო დეტალურად, გავზარდოთ და გაკეთოფართოოთ იგი. არალეგალურით და «პრავდით» უ ნ დ ა დაგვეწყო. მაგრამ ამაზე გ ა ჩ ე რ ე ბ ა ჩვენ არ გვინდა. ხოლო ამიტომ, რაკი თქვენ თქვით, რომ «დროა ჩვენი ჟურნალი გვქონდეს», ნება მიბოძეთ ამ სიტყვებისათვის პასუხი მოგთხოვოთ: ა ნ ახლა დასახოთ ამა და ამ პროგრამის ამა და ამ რედაქციის თანამშრომელთა ამა და ამ შემადგენლობის სქელი ჟურნალისათვის ფულის ძებნის პროგრამა, ა ნ ამავე გეგმით დაიწყოთ «პ რ ო ს ვ ე შ ჩ ე ნ ი ე ს» გაფართოება.

ხოლო უფრო სწორი იქნება: არა ა ნ — ა ნ, არამედ ი ს ი ც და ი ს ი ც.

ველი პასუხს. ვენიდან თქვენ ალბათ უკვე მიიღებდით წერილს «პ რ ო ს ვ ე შ ჩ ე ნ ი ე ს» შესახებ. დანამდვილებით არის იმედი, რომ 1913 წლისათვის განვამტკიცოთ იგი მცირე სახით. გინდათ «ჩვენი ჟურნალი გვქონდეს», მაშ მოდით ერთად შევუწყოთ ხელი.

დაშნაკების შესახებ მე არაფერი გამიგონია. მაგრამ ხმა სულელური მგონია. ეს გავრცელებულია მთავრობის მიერ, რომელსაც სურს თურქეთის სომხეთი გადაყლაპოს.

P. P. S. -ები* უთუოდ ავსტრიის მ ო მ ხ რ ე არიან და მის მხარეზე იომებენ. ავსტრიის ომი რუსეთთან ძალიან სასარგებლო რამ იქნებოდა რევოლუციისათვის(მთელ აღმოსავლეთ ევროპაში), მაგრამ ნაკლებად მოსალოდნელია, რომ ფრანც იოზეფმა და ნიკოლაშამ ეს სიამოვნება მოგვანიჭონ.

თქვენ თხოულობთ რაც შეიძლება ხშირად მოგაწოდოთ ინფორმაცია. სიამოვნებით — მხოლოდ გამოგვეხმაურეთ ხოლმე. გიგზავნით (ჯერჯერობით საიდუმლოდ) ჩვენი ამასწინანდელი თათბირის რეზოლუციებს (ამ თათბირს, ჩემი აზრით, დიდი წარმატება ჰქონდა და როლს შეასრულებს).

---

* — პპს-ები (პეპეესელები). რ ე დ.

ამბობენ, რეზოლუციები ლიტერატურის ყველაზე მოსაწყენი სახეაო. მე რეზოლუციებში მეტისმეტად ჩამჯდარი კაცი ვარ. მომწერეთ, როგორი წასაკითხავია ისინი თქვენთვის (განსაკუთრებით რევოლუციური გაფიცვებისა და ლიკვიდატორების შესახებ).

ცუდი რა დაატრიალა რუსეთში ხმებმა ამნისტიის შესახებ? არ ვიცი. მოიწერეთ.

ნ. კ. სალამს გიძღვნით.

მაგრად გართმევთ ხელს.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი.

დაწერილია 1913 წ. იანვრის დამლევს
გაგზავნილია კრაკოვიდან
კუნძულ კაპრიზე (იტალია)
პირველად დაიბეჭდა 1924 წელს

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.,
ტ. 35, გვ. 60—63

ი. მ. სვერდლოვს[117]

ამხანაგ ანდრიას, ხოლო თუ იგი პიტერში არ არის, მაშინ №№ მე-3-ეს, მე-6-ეს და სხვ.[118]—ძვირფასო მეგობარო! ძალიან გვეწყინა, როცა გავიგეთ, რომ თქვენ ფიქრობთ, თითქოს ვასილი აზვიადებს «დენის» მნიშვნელობას. ნამდვილად კი სწორედ «დენი» და მისი დაყენება წარმოადგენს მ თ ა ვ ა რ ს ახლანდელ მდგომარეობაში. თუ აქ ვერ მივაღწიეთ რეფორმას და სწორად დაყენებას, ჩვენ მატერიალურადაც გავკოტრდებით და პოლიტიკურადაც. «დენი» აუცილებელი ორგანიზაციული საშუალებაა მოძრაობის შემჭიდროებისა და გაძლიერებისათვის. მხოლოდ ამ საშუალების მ ე ო ხ ე ბ ი თ შეიძლება ახლა წარმოებდეს ადამიანებისა და სახსრების აუცილებელი შემომატება იმისათვის, რასაც თქვენ აღნიშნავთ. პიტერში საქმე ცუდად არის უფრო მეტად იმის გამო, რომ «დენი» არ ვარგა და ჩვენ უნარი არ შეგვწევს ან «რედაქტორთა» იქაური კოლეგია ხელს უშლის «დენის» გამოყენებას.

25 000 თითო კაპიკობით თვეში მოგვცემს 250 მანეთს. მტკიცედ გახსოვდეთ, რომ სხვა წყარო საერთოდ არ არის. საერთოდ მთელ საქმის ვითარებას ახლა გადაწყვეტს ის, თუ როგორ დამთავრდება ლიკვიდატორებთან ბრძოლა პიტერში: ეს ცხადია. ამ ბრძოლის გადაწყვეტა კი შეუძლია მხოლოდ «დენის» სწორად დაყენებას. თუ მართალია, რომ №№ 1-ლი და მე-3 ან მე-3 და მე-6 მხარს უჭერენ სიფრთხილეს «დენის» რეფორმაში, ე. ი. ახლანდელი რედაქტორებისა და კანტორის განდევნის დაყოვნებას, ეს ძალიან სამწუხაროა. ვიმეორებთ: ამას გაკოტრების სუნი უდის. სერიოზულად უნდა შეეთანხმდეთ და ხელი მოვკიდოთ «დენის» რეფორმას. 1) საჭიროა ანგარიშგება კაპიკამდე, 2) მიიღო თუ არა № 1-ლმა წერილი ამის შესახებ? 3) წაიკითხეთ თუ არა თქვენ ეს წერილი? 4) ფული (შემოსავალი და ხელმოწერის თანხები) საკუთარ ხელში უნდა აიღონ. 5) გააკეთებენ თუ არა ამას და როდის გააკეთებენ?

6) საჭიროა დავაყენოთ «დენის» ჩვენი რედაქცია და გავრეკოთ ახლანდელი. ახლა საქმეს ყოვლად უხეიროდ უძღვებიან, ბუნდელი ლიკვიდატორებისა («ცეიტ») და არა სოციალ-დემოკრატ იაგელოსათვის რეკლამის გაწევა პირდაპირ სამარცხვინოა. ქვემოდან ერთიანობისათვის კამპანიას რომ არ ეწევიან, სისულელე და საზიზღრობაა. დუმან ვასილის კუნძულზე გაერთიანების შესახებ, ლიკვიდატორების უარის შესახებ, უნარი არ შესწევთ უპასუხონ «ლუჩის» № 101-ს,[119] მათს პასუხს,—განა ეს რედაქტორები მუშაკები არიან? ესენი უბადრუკი ჩვრები და საქმის დამღუპველები არიან და არა მუშაკები.

«დენის» გამოყენება შეგნებული მუშებისათვის ცნობების მისაწოდებლად და მათი მუშაობის (განსაკუთრებით პეტერბურგის კომიტეტის) გასაშუქებლად ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. დროა ბოლო მოეღოს ამ ვაი-რედაქტორების ეგრეთწოდებულ «ავტონომიას». უწინარეს ყოვლისა თქვენ უნდა მოჰკიდოთ საქმეს ხელი. «ბესტში» ჩაუჯდეთ № 1-ს. დაიდგათ ტელეფონი. ხელში აიღოთ რედაქცია. მოიზიდოთ თანაშემწენი. მარტო თქვენ — ნაწილი ასეთი ძალებისა, უბრალო შემსრულებლები, — აქედან ჩვენი მუშაობის პირობებში, სავსებით შეძლებთ დააყენოთ საქმე. თუ ეს საქმე სწორად იქნება დაყენებული, მუშაობას განავითარებს პეტერბურგის კომიტეტიც, რომელიც სასაცილოდ უმწეოა, უნარი არა აქვს ხმა ამოიღოს, ხელიდან უშვებს გამოსვლის ყველა შესაძლებლობას. ხოლო იგი თითქმის ყოველდღე უნდა გამოდიოდეს ლეგალურად («გავლენიანი მუშების» სახელით და ა. შ.) და თვეში ერთხელ-ორჯერ მაინც—არალეგალურად. კიდევ და კიდევ: მ თ ე ლ ი სიტუაციის არსი «დენშია». აქ შეიძლება გავიმარჯვოთ და მაშინ (მხოლოდ მაშინ) მოვაგვაროთ ადგილობრივი მუშაობაც. თორემ ყველაფერი ჩაიფუშება.

მოსკოვის გაზეთის გამოცემა უნდა გადავდოთ. მაგრამ № 3 და მისი ორი კოლეგა ახლავე უნდა გამოვიდნენ წერილით. მათი დაყოვნება შეუწყნარებელია. ახლავე გამოვიდნენ, პოზიცია დაიკავონ, განაცხადონ, რომ ეს ჩ ვ ე ნ ი—მათ სამის—საქმეა, რომ ისინი არიან პატრონები (თორემ ლიკვიდატორები წაგვართმევენ), უკვე ბევრი რამ ხელიდან გაშვებულია, იჩქარეთ.

ამრიგად, გამოსვლა აუცილებელია. რატომ № 3-იც არ იყოს გამომცემლად? საერთოდ როგორა აქვთ განაწილებული სამუშაო №№ 1,3, 6 და მათს ახლო მეგობრებს? იყო თუ არა მოხსენება? არის თუ არა სრული თანხმობა?

დაწერილია 1913 წ. 9 თებერვალს
გაგზავნილია კრაკოვიდან
პეტერბურგში
პირველად დაიბეჭდა 1923 წელს

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტს მიხედვით, მე-4 გამოც.
ტ. 35, გვ. 64—66

გაზეთ «პრავდის» რედაქციას

პატივცემულო კოლეგებო! არ შემიძლია არ გამოვთქვა ჩემი აღშფოთება რედაქციის მიერ № 24-ში ბ-ნ ბოგდანოვის სულელური და თავხედური წერილის დაბეჭდვისა და რედაქციის უაზრო მინაწერის გამო.[120] ზუსტად და ნათლად ჩამოყალიბებული იყო პირობა: ასეთი რამეები შეუკითხავად არ იბეჭდებოდეს.

რედაქცია პირობებს არღვევს, თითქოს აბუჩად გვიგდებს. გასაკვირველი არ არის, რომ ი მ ა ვ ე მიზეზებით ი ო ტ ი ს ო დ ე ნ ნდობას არ იწვევს მიხალჩის წერილი. ამ წერილში იგი თვითონ ასჯერ სცემს თავის თავს.

რიგის მუშების შეკითხვას (№ 24) 19 იანვრის თარიღი უზის.[121] სრული შესაძლებლობა გქონდათ № 17-ში (22 იანვარი) ნაროდნიკობის შესახებ სტატიასთანაც დაგეკავშირებინათ იგი და აქაც დროზე გამოგეგზავნათ. რედაქცია, ვიმეორებ აბუჩად იგდებს პირობებს. დაბეჯითებით გთხოვთ ეს წერილი, მას შემდეგ რაც მას წაიკითხავს, ვინც ჯერ არს, დ ა უ ყ ო ვ ნ ებ ლ ი ვ გადასცეთ გაზეთის გამომცემელს, დეპუტატ ბადაევს.

სამსახურისათვის მზადმყოფი ვ. ი ლ ი ნ ი

დაწერილია 1913 წ. 14 თებერვალს
გაგზავნილია კრაკოვიდან
პეტერბურგში

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.,
ტ. 35, გვ. 67

გაზეთ «პრავდის» რედაქციას

დღეს შევიტყვეთ, რომ «დენში» რეფორმა დაიწყო. ათასი სალამი, მოლოცვა და წარმატების სურვილი. როგორც იქნა მოხერხდა რეფორმის დაწყება. ვერ წარმოიდგენთ, რამდენად დავიტანჯეთ იდუმალად-მტრულ რედაქციასთან მუშაობით. №№ 1-ლისა და მე-3-სათვის დამატება: გაკვირვებული ვართ, რომ თქვენ შეიძლებოდა გწყენოდათ ან უკმაყოფილო ყოფილიყავით მკაცრი წერილის გამო, რომელშიც სამმანეთიანი იდო. მთელი სიმკაცრე ხომ სწორედ იმ რედაქტორების წინააღმდეგ არის მიმართული, რომლების განდევნაც თქვენ, საბედნიეროდ, დაიწყეთ. სიმკაცრე განსადევნთა წინააღმდეგ — რა არის აქ ცუდი? კიდევ ერთხელ მოგილოცავთ რეფორმის დაწყებას. № 3-ის წერილი «დენში» საუცხოოა, აგრეთვე, დანარჩენების. გვიპასუხეთ, მიიღეთ თუ არა საბიუჯეტო სიტყვის მონახაზი? გვიგზავნეთ მასალები და მასალები. არ შეიძლება მუშაობა, თუ მასალები არ გვექნა. საბიუჯეტო სიტყვა ერთიორად უნდა გაგვეითარებინა, მასალები რომ გვქონოდა. ჩინებულია ნომრების გამოსვლები.[122] სულით და გულით მოგილოცავთ. გთხოვთ გაიმეოროთ მეორე მისამართი კურსების წერილებისათვის,—ეჭვი გვეპარება გვარში. გთხოვთ რაც შეიძლება მალე გამოგვიგზავნოთ მისამართები ლიტერატურისათვის.

როგორ არის № 10? ის ხომ ა—ს[123] მოწაფეა, შეუძლია გადავიდეს ნომრებში. როგორია «ვეჩერნაია პოჩტას»[124] ტირაჟი? მიიღეს თუ არა იანის[125] ამხანაგებმა ის, რაც მათ ეგზავნებათ? ჰკითხეთ № 3-ს. მხურვალე სალამი.

დაწერილია 1913 წ. 19 თებერვალს
გაგზავნილია კრაკოვიდან
პეტერბურგში
პირველად დაიბეჭდა 1923 წელს

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც., ტ. 35, გვ. 68—69

გაზეთ «პრავდის» რედაქციას

პატივცემულო კოლეგებო! ნება მიბოძეთ უწინარეს ყოვლისა მოგილოცოთ გაზეთის გაძღოლის მთელი საქმის უდიდესი გაუმჯობესება, რაც უკანასკნელ დღეებში ჩანს. მოგილოცოთ და გისურვოთ შემდგომი წარმატებანი ამ გზაზე. გუშინწინ გამოგიგზავნეთ პირველი ორი სტატია «მზარდი შეუსაბამობა». «პრავდის» № 234-დან ცხადად ვხედავ, რომ ეს სტატიები არ გამოგადგებათ. ამიტომ გთხოვთ დაუგვიანებლად გადასცეთ ისინი «პროსვეშჩენიეს», სადაც ვგზავნი დასასრულს. მასვე გადაეცით, გთხოვთ, სხვა მოუთავსებელი სტატიები (პასუხი მაევსკის; ზნეობის შესახებ; ბულგაკოვი გლეხების შესახებ — ბულგაკოვის სტატიები «რუსსკაია მისლიდან» და სხვ.). ძალიან გთხოვთ მალე მიპასუხოთ, შესრულებულია თუ არა ეს. გამომიგზავნეთ «ლუჩის» №№ 7, 8, 21 და 24 და «პრავდის» № 25. «პრავდას» წინათ ყოველთვის დილდილობით ვიღებდი, ისევე როგორც ახლაც ვიღებ «რეჩსა» და «ნოვოე ვრემიას». მაგრამ უკანასკნელ კვირაში «პრავდამ» დაგვიანება იწყო და მხოლოდ საღამოს მოდის. ცხადია, რომ ექსპედიცია წესიერად არ გზავნის. ძალიან გთხოვთ ზომები მიიღოთ და მიაღწიოთ ყოველდღე უფრო წესიერად გამოგზავნას.

ახალ წიგნებს სულ ვერ ვიღებ. საჭიროა მიიღოთ ზომები: ა) რომ იშოვნოთ ხოლმე გამომცემლობებიდან ავანსის პირობით, ბ) რომ დეპუტატების საშუალებით იშოვნოთ ხოლმე სათათბიროს და ოფიციალური გამოცემები. აბსოლუტურად შეუძლებელია მუშაობა, თუ წიგნები არ მექნა... არც «ზავეტი»[126] მაქვს. არც «რუსსკაია მოლვა»[127]. არ შეიძლება იოლად გასვლა თუ ისინი არ მექნა. განსაკუთრებით საჭიროა «რუსსკაია მოლვას» ის ნომერი, სადაც «ლუჩის» შესახებ წერდნენ და გაჩმარტავდნენ — მენშევიკები იატაკქვეშეთის წინააღმდეგი არიანო.

1 (14) მარტს 30 წელი შესრულდება მარქსის გარდაცვალების დღიდან. საჭირო იქნება გამოიცეს ორ-სამკაპიკიანი დამატება «პრავდის» ფორმატის ოთხი გვერდი მარქსის დიდი პორტრეტით, მთელი

რიგი სტატიებით.[128] განცხადებებით (დაწვრილებით) როგორც «პრავდის», ისე «პროსვეშჩენიეს» შესახებ. ალბათ ხარჯებს აანაზღაურებდა 25—30 ათასი ტირაჟით და შემოსავალს მოგვცემდა. თუ თანახმა ხართ, გვიდეპეშეთ: «შეადგინეთ» (მაშინ წერას ჩავუჯდებით) და გარდა ამისა უფრო დაწვრილებით მოიწერეთ პასუხი. გვიპასუხეთ, გთხოვთ, კვირაში ორჯერ-სამჯერ რამდენიმე სტრიქონით იმის შესახებ, თუ რა სტატიები მიიღეთ და რა მოთავსდება.

ჩემი აზრით, თქვენ საკუთარი სწორად მოიქეცით, რომ მთლიანად მოათავსეთ დნევნიკი, — დასაწყისისათვის. მაგრამ შემდეგში ასე გრძელი (და ასე ცუდი) სტატიები უმჯობესია შეაჩეროთ ხოლმე და გამართოთ მიწერ-მოწერა «პროსვეშჩენიესათვის» გადაცემის შესახებ.

თქვენი Ი.

დაწერილია 1913 წ. 21 თებერვალს
გაგზავნილია კრაკოვიდან
პეტერბურგში
პირველად დაიბეჭდა 1923 წელს

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.
ტ 35, გვ. 70—71

ა. მ. გორკის

ძვირფასო ა. მ!

რა ამბავია, ბატონო ჩემო, ასე ცუდად რომ იქცევით? მეტისმეტად ბევრს მუშაობთ, დაიღალეთ, ნერვები გტკივათ. ეს მთლად უწესრიგობაა. კაპრიზე შაინც, ისიც ზამთარში, როცა ალბათ ხალხი ნაკლებად «გესეევათ», წესიერად უნდა ცხოვრობდეთ. უმეთვალყურეოდ რომ ხართ, თავი ხომ არ აიშვით? ღმერთმანი, კარგი არ არის. თავს გაუფრთხილდით და დააწესეთ რაც შეიძლება უფრო სასტიკი «პრიჟიმი» (რეჟიმი), სჯობს! ახლანდელ დროში ავადმყოფობა სრულიად შეუწყნარებელია. ნუთუ ღამღამობით მუშაობა დაიწყეთ? როცა მე ვიყავი კაპრიზე, ამბობდით, რომ მარტო მე შემომქონდა უწესრიგობა, ჩემამდე კი თავის დროზე წვებოდით. უნდა დაისვენოთ და პრიჟიმი დააწესოთ, აუცილებლად.

ტროიანოვსკისა და მის ცოლს მივწერ, რომ მათთან შეხვედრა გსურთ. ეს მართლაც კარგი იქნებოდა. კარგი ხალხია. მუშაობაში ისინი ჯერ კიდევ ნაკლებად გვინახავს; მაგრამ ყველაფერი, რაც დღემდე ვიცით, მათ სასარგებლოდ მეტყველებს. სახსრებიცა აქვთ. შეუძლიათ მუშაობა გააჩაღონ და ბევრი რამ გააკეთონ ჟურნალისათვის. ტროიანოვსკაია მალე მიდის რუსეთში.

მე და ყველანი აქ შეტად გაგვახარა იმან, რომ თქვენ ხ ე ლ ს ჰ კ ი დ ე ბ თ «პროსვეშჩენიეს». მე კი — გამოგიტყდებით — ვიფიქრე: აი დავწერ თუ არა ჩვენს პატარა თუ პაწაწინა ჟურნალზე, ა. მ. — ს მაშინვე ხალისი დაეკარგება–მეთქი. ვინანიებ, ვინანიებ ასეთ ფიქრებს.

მართლაც რა საუცხოო იქნება, თანდათანობით რომ შემოვიკრებდეთ ბელეტრისტებს და დავძრავდეთ «პროსვეშჩენიეს»! საუცხოოა! მკითხველი ახალია, პროლეტარული, ჟურნალს გავაიაფებთ, — ბელეტრისტიკას თქვენ გაუშვებთ მხოლოდ დემოკრატიულს, ისე რომ წუწუნი და რენეგატობა არ იყოს. მუშებს შევაკავშირებთ. მუშები კი კარგი გამოჩნდნენ. სათათბიროს კურიალური დეპუტატების ექვსე-

ულმა ახლა ისე იწყო მობრუნება სათათბიროს გარეშე მუშაობისათვის, რომ პირდაპირ საამურია. აი სად განამტკიცებენ მუშათა პარტიას, ნამდვილ მუშათა პარტიას! მესამე სათათბიროში ვერასოდეს ვერ მივაღწიეთ ამას. ნახეთ «ლუჩში» (№24) ოთხი დეპუტატის წერილი წასვლის შესახებ?[129] ხომ კარგი წერილია, ჰა?

«პრავდაში» ნახეთ? ალექსინსკი გვარიანად წერს და ჯერ-ჯერობით სკანდალს არ მართავს! საკვირველია! გაუგზავნია ერთი «მანიფესტი» (რატომ შევიდა «პრავდაში»). არ მოუთავსეს. და ჯერ მაინც სკანდალს არ მართავს. საკ-ვირ-ვე-�eა! ბოგდანოვი კი სკანდალს მართავს: «პრავდაში» №24 უდიდესი სისულელეა. არა, მასთან საქმეს ვერ მოაგვარებ! წავიკითხე მისი «ინჟინერი მენი». იგივე მახიზმი— იდეალიზმია, ისე დამალული, რომ ვერც მუშებმა და ვერც სულელმა რედაქტორებმა «პრავდაში» ვერ გაიგეს. არა, ეს მახისტი უიმედოა, ისევე როგორც ლუნაჩარსკი (მისი სტატიისათვის გმადლობთ). ლუნაჩარსკი ისევე რომ დავაშოროთ ბოგდანოვს ესთეტიკაში, როგორც ალექსინსკი შორდება მას პოლიტიკაში... ეს რომ შეიძლებოდეს...

მატერიისა და მისი აღმავლობის შესახებ მოძღვრების თაობაზე სავსებით გეთანხმებით, რომ ამაზე წერა საჭიროა და რომ ეს კარგი საშუალებაა იმ «შხამის წინააღმდეგ, რომელსაც წოვს რუსული უფორმო სული». მხოლოდ ტყუილად ეძახით თქვენ ამ შხამს «მეტაფიზიკას». მას იდეალიზმსა და აგნოსტიციზმს უნდა ეეძახდეთ.

თორემ მეტაფიზიკას მახისტები ხომ მატერიალიზმს უწოდებენ! და სწორედ გამოჩენილი თანამედროვე ფიზიკოსების მთელი გროვა რადიუმის, ელექტრონებისა და სხვათა «საკუთრებების» გამო ცდილობენ შემოაპარონ ფუფალა — ყველაზე უხეშიცა და ყველაზე დახვეწილიც, ფილოსოფიური იდეალიზმის სახით.

ნაციონალიზმის შესახებ სავსებით გეთანხმებით, რომ ამას უფრო სერიოზულად უნდა მოვკიდოთ ხელი. ჩვენთან აქ ერთი შესანიშნავი ქართველი ჩაუჯდა და «პროსვეშჩენიესათვის» წერს დიდ სტატიას, რისთვისაც შეკრიბა მთელი ავსტრიული და სხვა მასალები.[130] ჩვენ ბეჯითად ვიმუშავებთ ამაზე. მაგრამ რომ ბრძანებთ, თითქოს ჩვენი რეზოლუციები (გიგზავნით მათ დაბეჭდილს) «ფორმალური მიმოწერა და კანცელარიულობაა», ეს კი ტყუილუბრალოდ ლანძღვაა. არა. ეს ფორმალური მიმოწერა არ არის. ჩვენში და კავკასიაში ს.-დ. ქართველები+სომხები+თათრები+რუსები ათ წელიწადზე მეტ ხანს მუშაობენ ერთად, ერთიან ს.-დ. ორგანიზაციაში. ეს ფრაზა კი არ არის, არამედ ეროვნული საკითხის პროლეტარული გადაწყვეტაა. ერთადერთი გადაწყვეტა. ასე იყო რიგაშიც: რუსები+ლატვიე-

ლები+ლიტველები; გამოიყოფოდნენ მხოლოდ სეპარატისტები — ბუნდი. ასევე ვილნოში.

არის ორი კარგი ს.-დ. ბროშურა ეროვნულ საკითხზე: შტრასერისა და პანეკუკისა. გინდათ, გამოგიგზავნით? თუ თქვენთან აღმოჩნდება, ვინ გითარგმნით გერმანულიდან?

არა, ის სიბილწე, რაც ავსტრიაშია, ჩვენში არ იქნება. არ გავუშვებთ! თანაც ჩვენ, ველიკორუსები, აქ მეტი ვართ. მუშებთან არ გავაჭაჭანებთ «ავსტრიულ სულს».

პიატნიცკის შესახებ მე სასამართლოს მომხრე ვარ. საბოდიშო არაფერია. სანტიმენტალობა შეუწყნარებელი იქნებოდა. სოციალისტები სრულებითაც არ არიან წინააღმდეგი სახელმწიფო სასამართლოს გამოყენებისა. ჩვენ ლეგალობის გამოყენების მომხრე ვართ. მარქსი და ბებელი სახელმწიფო სასამართლოს თავიანთ სოციალისტ მოწინააღმდეგეთა წინააღმდეგაც კი მიმართავდნენ. უნდა ვიცოდეთ, როგორ გავაკეთოთ ეს, გაკეთებით კი უნდა გავაკეთოთ.

პიატნიცკი სასამართლოში უნდა მივცეთ, მორჩა და გათავდა. თუ ამისათვის ვინმე გისაყვედურებთ, სახეში მიაფურთხეთ, ვინც გისაყვედუროთ. გისაყვედურებენ თვალთმაქცები. პიატნიცკის რომ დავუთმოთ, მას რომ ვაპატიოთ, სასამართლოს შიშით, ეს შეუწყნარებელი იქნებოდა.

კმარა, მეტისმეტად გამიგრძელდა ლაყბობა. მოიწერეთ როგორ ხართ.

თქვენი ლენინი

P. S. ჩვენ ვიცნობთ თომა-პიტერელს. ახლა იგი ნარიმშია. თომა-ურალელი? რალაც არ გვაგონდება. 1907 წ. ყრილობაზე თომა-პიტერელი იყო.

დაწერილია 1913 წ. თებერვლის
მეორე ნახევარში
გაგზავნილია კრაკოვიდან
ყუნძულ კაპრიზე (იტალია)
პირველად დაიბეჭდა 1924 წელს

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტს მიხედვით, მე-4 გამოც.,
ტ. 35, გვ. 74—77

გაზეთ «პრავდის» რედაქციას

ძვირფასო ამხანაგებო! დიდად გმადლობთ დაწვრილებითი წერილისათვის, რომლითაც ძალიან ძვირფას ცნობებს გვაწვდით. მეტი მოიწერეთ და მოგვეცით კავშირი რაიონებთან.

ლიკვიდატორები «მტრულად» რომ ხვდებიან პარტიული მენშევიკების დაახლოებას პარტიასთან — ეს მეტად მნიშვნელოვანია. საჭიროა რაიონებში მიიღონ რეზოლუცია ამის შესახებ. ეს ფაქტი მე-1 000-ჯერ ამტკიცებს, რომ ლიკვიდატორები საბოლოოდ პარტიისგარეშე და ანტიპარტიული ელემენტია, რომ გაერთიანება შესაძლებელია მხოლოდ მათ წინააღმდეგ («ლუჩის» წინააღმდეგ) და არა მათთან. ჩემი აზრით, თქვენ სავსებით მართალი ხართ, ამ ფაქტს დიდ მნიშვნელობას რომ ანიჭებთ. ლიკვიდატორებთან ერთიანობაზე არასგზით არ შეიძლება ლაპარაკი: არ შეიძლება გავაერთიანოთ პარტია პარტიის დამრღვევებთან. 1913 წ. თებერვლის თათბირის რეზოლუცია ქვემოდან ერთიანობის შესახებ, მე მგონია, ჰექტოგრაფით უნდა გაამრავლოთ (თუ ის ცოტაა) და დაუმატოთ რეზოლუცია «ლუჩის» წინააღმდეგ 5 პუნქტის ზუსტად ჩამოთვლით.[131]

შემდეგ, სავსებით ვიზიარებ თქვენს აზრს 7-ის წინააღმდეგ კამპანიის და ამასთან მუშათა ინიციატივის მნიშვნელობის შესახებ. შვიდეული[132]—ეს ის მერყეევი ადამიანები არიან, რომლებიც პარტიის ახლოს ტრიალებენ, მაგრამ პარტიის ბევრი არა სცხიათ რა. მათთან შეიძლება შეთანხმებათა დადება სათათბიროს შიგნით, რომ გეზი მივცეთ და გავიყოლიოთ ისინი, მაგრამ მათი ლიკვიდატორობის, მათი უხერხემლობისა და უპრინციპობის მიჩქმალვა დანაშაული იქნებოდა. ხელი უნდა შევუწყოთ კამპანიას 7-ის წინააღმდეგ და განვავითაროთ ეს კამპანია. ახლა, როცა ლიკვიდატორული «ლუჩი» ფართოვდება (აშკარად ლიბერალთა ფულით, ვინაიდან იგი თვეში 1 000 მანეთ ზარალს იძლევა და მხოლოდ 12 000 ტირაჟი აქვს), ერთიათად უნდა გავაძლიეროთ კამპანია მუშათა დეპუტატების ექვსეულისათვის დახმარების სასარგებლოდ, «პრავდაზე» ხელმოწე-

რის სასარგებლოდ, «პრავდის» გასაფართოებლად. საჭიროა პირდაპირ ქარხნებში ვაწარმოებდეთ ბრძოლას «პრავდისათვის», მოვითხოვდეთ, რომ მეტი გამოიწერონ, ბრძოლით წავართვათ «ლუჩს» თვითეული ქარხანა, რომ ქარხნებს შორის შეჯიბრება იყოს «პრავდაზე» ხელის მომწერთა რიცხვისათვის. პარტიულობის გამარჯვება «პრავდის» გამარჯვებაა და პირიქით. უნდა გავაჩაღოთ ასეთი კამპანია: ავიყვანოთ «პრავდა» 30 000-დან 50 — 60 000-მდე, ხოლო ხელისმომწერთა რიცხვი 5 000-დან 20 000-მდე და განუხრელად ვიაროთ ამ მიმართულებით. მაშინ ჩვენ გავაფართოვებთ და გავაუმჯობესებთ «პრავდას».

თქვენი მითითება ინტელიგენტების უყოლობაზე ძალიან სწორია. ისინი არც იქნებიან. მათ შეცვლის «პრავდა» და არალეგალური ლიტერატურა. უნდა გამოსცეთ თუნდაც ჰექტოგრაფიულად რეზოლუციები და ფურცლები, სანამ არ მოეწყობა ტექნიკა. საჭიროა ყოველკვირეულად გამოიცეს ჰექტოგრაფიულად 30 — 60 ეგზემპლარი პეტერბურგის კომიტეტის რეზოლუციები დირექტივების სახით; ამ რეზოლუციების შესახებ ჩვენ შეგვეძლება ყოველთვის შევთანხმდეთ წერილებით. იფიქრეთ ამაზე. ეს განამტკიცებს არალეგალურ მუშაობას, შეამცირებს მსხვერპლის რიცხვს, განაზოგადებს პროპაგანდას და ა. შ.

პეტერბურგის კომიტეტის რეზოლუცია 6-ის სასარგებლოდ 7-ის წინააღმდეგ ჩინებულია.[133] ნუთუ იგი ჰექტოგრაფითაც კი არ გაგიმრავლებიათ? ეს აბსოლუტურად აუცილებელია. აი სწორედ ასეთი კამპანიებია საჭირო. ვეცდებით გამოგიგზავნოთ სტატიები «იზვესტიისათვის».[134] გვაცნობეთ ვადები. გვაცნობეთ, როგორია «იზვესტიის» ზომა და სტატიების ზომა.

ლ.

დაწერილია 1913 წ. 5 აპრილს
გაგზავნილია კრაკოვიდან
პეტერბურგში
პირველად დაიბეჭდა 1923 წელს

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.,
ტ. 35, გვ. 83—84

განათლებული დეპუტატები

2 აპრილის საღამოს სხდომაზე ოქტიაბრისტმა ლ. გ. ლიუცმა გაილაშქრა მუშათა დეპუტატების მოთხოვნის წინააღმდეგ ლენის ამბების შესახებ შეკითხვის განხილვის წინააღმდეგ, და თქვა:

«ორი დღის შემდეგ ლენის ამბების წლისთავია. ცხადია, სოციალ-დემოკრატები ცდილობენ აღაგზნონ მუშების გრძნობები იმისათვის, რომ აამხედრონ ისინი რაიმე ექსცესების მოსახდენად...»

ფრანგული სიტყვა «bouder», გადმოცემული რუსულით «будировать», ნიშნავს გაბრაზებას, გაბუტვას. ბ-ნი ლიუცი კი ალბათ, ამ სიტყვას აწარმოებს სიტყვიდან «будоражить», ან, შესაძლოა, «возбудить». როგორ დააყარეს სიცილი ბატონმა ბურჟუაზიულმა დეპუტატებმა და ბურჟუაზიულმა პრესამ, როდესაც I სათათბიროში ერთმა გლეხმა სიტყვა «პრეროგატივი» იხმარა «როგატკის» (დაბრკოლების) აზრით! მაგრამ შეცდომა მით უფრო საპატიებელი იყო, რომ გაბატონებულთა სხვადასხვა «პრეროგატივები» (ე. ი. განსაკუთრებული უფლებები) რუსეთის სინამდვილეში წარმოადგენს როგატკებს, დაბრკოლებას. მაგრამ ბ-ნ ლიუცის განათლებულობას არ «აღუგზნია» მისი განათლებული მეგობრებისა და მათი პრესის სიცილი.

«პრავდა» № 83
1913 წ. 10 აპრილი
ხელმოწერა: ბ.

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოცემა, ტ. 19, გვ. 38

წ ე რ ი ლ ი დ ა ნ

«ცოტა რამ შედეგებსა და ფაქტებზე»

«პრავდის» წლისთავი უნებლიეთ მიმართავს ყოველი შეგნებული მუშის (და, — დავუმატებთ, ყოველი შეგნებული დემოკრატის) აზრს თანამიმდევარი დემოკრატებისა და მარქსისტების ამ გაზეთის მუშაობის შ ე დ ე გ ე ბ ზ ე.

შედეგების საკითხი ბუნებრივად უკავშირდება საკითხს, რუსეთის მოწინავე მუშების მასა მხარს უჭერს თუ არა «პრავდას». ვინაიდან, თუ ბურჟუაზიულ ხელისმომწერთათვის გაზეთს მნიშვნელობა აქვს გასაღების თვალსაზრისით — სულ ერთია, სად საღდება იგი, სულ ერთია, რაზმავს იგი განსაზღვრულ კლასს თუ არა და რომელ კლასს. — მარქსისტისთვის და თანამიმდევარი დემოკრატისთვის გაზეთს მნიშვნელობა აქვს როგორც ნამდვილად მოწინავე კლასთა გ ა ნ ა თ ლ ე ბ ი ს ა დ ა დ ა რ ა ზ მ ვ ი ს ო რ გ ა ნ ო ს.

ჩვენთვის სულ ერთი არ ჯრის, სად და როგორ საღდება ჩვენი გაზეთი. ჩვენთვის ყველაზე საყურადღებოა ვ ი ც ო დ ე თ, ნამდვილად ემსახურება იგი რუსეთის მოწინავე კლასის, ე. ი. მუშათა კლასის განათლებისა და დარაზმვის საქმეს თუ არა.

ეს რომ ვ ი ც ო დ ე თ, საჭიროა მოვძებნოთ ფ ა ქ ტ ე ბ ი, რომლებიც მოგვცემენ პასუხს კითხვაზე.

სხვადასხვა ადამიანი სხვადასხვა რამეს სთვლის ფაქტებად. ბურჟუაზიული ჟურნალისტები უსირცხვილოდ სტყუიან და არ მოჰყავთ არც ერთი ზ უ ს ტ ი, ნათელი ფაქტი, რომლის შემოწმება შესაძლებელია.

ბურჟუაზიულ ჟურნალისტებს ბაძავენ ლიბერალური მუშათა პოლიტიკოსები, ლიკვიდატორები. ერთ-ერთი მათგანი, «ვიღაც» კი არა, არამედ თვით თ. დ. წერდა «ლუჩის» 57-ე (143-ე) ნომერში:

...«არ შეიძლება იმ ფაქტის უარყოფა, რომელსაც სიამაყით ვგრძნობთ (აი რა ზგრძნობიერი ადამიანები ყოფილან!) ყოველდღიურ მუშაობაში, რომ ჩვენ გაზე-

თი («ლუჩ ») ნამდვილად არის რუსეთის მოწინავე, შეგნებული მუშების თითქმის ცხრა შეათედრს ორგანო».

ეს ხლესტაკოვი თუ ნოზდრევი ღირსია დაცინვისა, და «პრავდა» ასედაც მოიქცა. მაგრამ მარტო დაცინვა არ კმარა. მუშებმა უნდა ისწავლონ თ ვ ი თ ო ნ ვ ე გაერკვნენ ფაქტებში და შეამოწმონ ისინი, რათა ნოზდრევებს არც თავი მოატყუებინონ და არც თავიანთი ნაკლები განვითარებული ამხანაგები.

მაშ, როგორ უნდა მოვნახოთ და შევამოწმოთ ფაქტები? ყველაზე უკეთესი იქნებოდა გაგვეგო, თუ როგორ ვრცელდება «პრავდა» და «ლუჩი» მ უ შ ე ბ შ ი (და არა ლიბერალურ ინტელიგენციაში, რომელიც თითქმის მთლიანად ლიკვიდატორულია). მაგრამ ასეთი ფაქტები არ მოიპოვება.

მოვნახოთ სხვა ფაქტები.

ავიღოთ მონაცემები იმ მ უ შ ა თ ა ჯ გ უ ფ ე ბ ი ს შესახებ, რომლებიც თავიანთი ფულადი შენატანებით ნებაყოფლობით ეხმარებიან «პრავდასა» და «ლუჩს». ეს მონაცემები ორივე გაზეთში ი ბ ე ჭ დ ე ბ ა. ე ს ფ ა ქ ტ ე ბ ი ა. მათი შემოწმება ყველას შეუძლია, ყველას შეუძლია შეისწავლოს ისინი და გამოააშკარავოს ნოზდრევები, რომლებიც ასე ბევრია ჟურნალისტიკაში.

«პრავდამ» ერთხელ უკვე მოგვცა (იხ. № 80, 1912 წლისა) ეს ფაქტები ნახევარი წლისა, სახელდობრ 1912 წლის პირველი ნახევრისა, და ვერავინ შესძლო ამ ფაქტების უარყოფა. მოვიყვანოთ ახლა ეს ფაქტები მ თ ე ლ ი 1912 წლისა და 1913 წლის დამდეგისა.

	გაზეთებისთვის მუშაობა ყველაზეზრივი შენაგროვების რიცხვი		მოსკოვის მუშაობა გაზეთისთვის
წლები	«პრავდისთვის»	«ლუჩისთვის»	
1912 წლის 1-ლი მეოთხედი	108	7	—
» » მე-2 »	396	8	—
» » მე-3 »	81	9	—
» » მე-4 »	35	65	5
1913 წლის 1-ლი »	309	139	129
» » აპრილის 10 დღე	93	28	43
ს უ ლ	1022	256	177

ყოველ მკითხველს შეუძლია აიღოს «პრავდა» და «ლუჩი» და შეამოწმოს ეს მონაცემები. და თუ შეცდომებს იპოვის, შეასწოროს ეს გაანგარიშება.

აი ეს მართლაც ფ ა ქ ტ ე ბ ი ა, რომლებიც ზედმეტი არ იქნება განვასხვავოთ ბატონ თ. დ-ებისა და სხვა «ლუჩისტების» ტრაბახისა და სიცრუისაგან.

რა საუცხოოდ ადასტურებენ ეს ფაქტები «ლუჩის» ნოზდრევისებურ მითითებას $^{9}/_{10}$-ზე, არა?

«ლუჩის» მომხრეთა ცხრა მეათედმა, რომელთა შორის უეჭველად და აშკარად ირიცხებიან ბუნდელები და ლატვიელთა «ზედა ფენები», «ლუჩის» ნახევარზე მეტი წლის არსებობის განმავლობაში (1912 წლის მე-4 მეოთხედი და 1913 წლის 1-ლი მეოთხედი ჰლუს აპრილის ათი დღე) ვერ დარაზმა იმის ნახევარიც კი, რაც დარაზმა «პრავდამ» მოსკოვის მომავალ გაზეთთან ერთად. განა ეს ნოზდრევის ხერხი არ არის, რომ აშკარა უმცირესობა «ცხრა მეათედად» გადააქციოს?

მუშები ყოველი მხრივ გარშემორტყმული არიან ბურჟუაზიული გაზეთების დაუშრეტელი სიცრუით, მათ აუცილებლად უნდა იბრძოლონ სიმართლისათვის, უნდა ისწავლონ სიცრუის გამოცნობა და მისი უკუგდება. მუშათა პარტიის ლიკვიდატორების მცდარი შეხედულებანი მშვიდად უნდა გავაბათილოთ. მაგრამ ნოზდრევისებური, თავხედური სიცრუე, უტიფრად რომ რყვნის მუშებს, სამარცხვინო ბოძზე უნდა გავაკრათ და ცრუპენტელები მუშათა წრიდან ვანვდევნოთ....

«პრავდა» № 92, 1913 წ. 23 აპრილი
ხელმოწერა: კ. პ.

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.,
ტ. 19, გვ. 51—54

\

«ლუჩისა» და «პრავდის» მკითხველთა საყურადღებოდ

როგორც «ლუჩში», ისე «პრავდაში» არა ერთხელ დაბეჭდილა მუშების მიმართვა, სადაც ისინი ამ გაზეთების რედაქციებისგან მოითხოვდნენ მშვიდად და ნათლად განემარტათ უთანხმოების დედაარსი. ეს იყო კანონიერი და ბუნებრივი მოთხოვნა, და ღირს გავერკვეთ, როგორ შეასრულა ეს ორივე რედაქციამ.

სათაურით «სადავო საკითხები» «პრავდაში» გამოქვეყნდა საჭირო განმარტებით სტატიები. როგორია მათი შინაარსი? ეს სტატიები გადმოსცემენ და განმარტავენ პ ა რ ტ ი ი ს გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ებ ებ ს სადავო საკითხებზე. ამ სტატიების ავტორის პირით «პრავდა» აცხადებს: იმის გადასაწყვეტად, თუ ვინ არის მართალი ამ დავაში, სად არის ჭეშმარიტება — უნდა ვეძიოთ ფაქტები და დოკუმენტები პარტიის ისტორიაში, უნდა უკუვაგდოთ ყოველივე პირადი, ზედმეტი და გავიგოთ დავის საზოგადოებრივი ფესვები. საქმე, — ამბობს «პრავდა» ლიკვიდატორებთან დავის შესახებ, — «ცალკეულ პირთა ბოროტ ნება კი არ არის, არამედ მუშათა მოძრაობის ისტორიული ვითარებაა». ვისაც სურს სერიოზულად გაერკვეს დავაში, უნდა გაისარჯოს და გაიგოს ეს ისტორიული ვითარება.

«საჭიროა გავიგოთ, — ამბობს «პრავდა», — როგორია დაქსაქსულობისა და რღვევის კ ლ ა ს ო ბ რ ი ვ ი წარმოშობა, არაპროლეტარული წრის რა კ ლ ა ს ო ბ რ ი ვ ი ინტერესები კვებავენ შფოთს პროლეტარიატის მეგობრებში».

ეს არის საკითხის სერიოზული დაყენება. ეს პირდაპირ შეესაბამება მუშების მოთხოვნას — დაეხმარონ მათ «პრავდისა» და «ლუჩის» სერიოზული დავის გარკვევაში. ასეთ გზას თუ დაადგებიან, მუშები გაეცნობიან პარტიული ცხოვრების ფაქტებს, შეეჩვევიან გაარჩიონ ამ დავაში სწორი და პრინციპული — წვრილმანისა და შემთხვევითისაგან, მონახავენ დაქსაქსულობის კ ლ ა ს ო ბ რ ი ვ ფესვებს.

შესაძლოა, მუშა, როცა გაეცნობა ფაქტებს, გადაიკითხავს დოკუმენტებს და სხვ., ბოლოს და ბოლოს არც კი დაეთანხმოს «პრავდას» — ეს უკვე მის საკუთარ შეხედულებათა და მისი გამოცდილების საქმეა. მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, თუ ის «პრავდის» მიერ ნაჩვენები გზით წავა, ბევრ რამეს ისწავლის და გაერკვევა მთელ ამ დავაში.

ასე უპასუხებს «პრავდა» მუშებს მოთხოვნაზე — გააცნონ მათ არსებული უთანხმოებანი. მერე როგორ იქცევა «ლუჩი»?

«პრავდაში» «სადავო საკითხებზე» სტატიების ბეჭდვის დროს «ლუჩში» იბეჭდება დიდი ფელეტონი იმავე თემაზე. მასში არც ერთი ფ ა ქ ტ ი არ არის მოყვანილი, ავტორი არც კი ფიქრობს დავის რაიმე საზოგადოებრივ შინაარსზე, მას არც ერთი დოკუმენტი არ მოჰყავს მკითხველის საყურადღებოდ.

მთელი ეს უზარმაზარი ფელეტონი, გაჭიმული ორ ნომერში, სავსეა ჭორითა და პირადი ხასიათის გადაკრული სიტყვებით. აქ მუშა-მკითხველს აცნობებენ ერთი მარქსისტის «გულფიცხობას» და «მომხიბვლელ ენამახვილობას», მეორის «ზეადამიანურ» ზნეს, მესამის «ცინიზმს». მთელი დავა ახსნილია «პირადი ანგარიშებითა», «ბუზღუნით პირველობისათვის», პარტიაში «ძალაუფლებისათვის ბრძოლითა», ხოლო ჩუმად ავრცელებენ ოფიციალური პრესის შესაფერის ხმებს, რომ ყველაფერში დამნაშავენი არიან ვიღაც «რევოლუციის ოსტატები», რომელთაც ეშინიათ გავლენის დაკარგვისა, თუ საქმეში ფართო მუშათა მასები ჩაებმებიანო.

თავი გამოუტენონ მკითხველებს ჭორით, კინკლაობით, პირადი ამბებით და ამ გზით გაექცნენ საკუთარი თვალსაზრისის განმარტებას — ასეთია ავტორისა და მისი ნაწარმოების მომთავსებელი გაზეთის მიზანი. მაგრამ ეს რომ უბრალო ჭორი იყოს — დიდი უბედურება არ იქნებოდა. ეს არის გაბოროტებული რენეგატის ჭორი — აი რაშია საქმე. წაიკითხეთ, რასა წერს ის მეორე ფელეტონის დასაწყისში «პროვოცირებულ და პროვოკაციის გამომწვევ გამოსვლებზე». «პარტიაში მასებისადმი ცინიკურად განწყობილ ზეადამიანთა დიქტატურაზე», იმაზე, თუ როგორ ლანძღავს ის 1905 წლის თავდადებულ მუშაკებს, უწოდებს რა მათ «რევოლუციის ოსტატებს», რომელნიც ვითომ ისეთ რამეებს სჩადიოდნენ, რაც «შეუწყნარებელია რომელიმე ოდნავ კულტურულ წრეში». ეს ხომ «ზემშჩინიდან»,[135] «ვეხიდან»[136] არის ამოღებული!!. და ყოველივე ეს იწერება არა «ნოვოე ვრემიაში», არამედ გაზეთში, რომელსაც თავი მოაქვს მუშათა გაზეთად, ყოველივე ეს პასუხია მუშების მოთხოვ-

ნისა — სერიოზულად გაგვიმარტეთ თქვენი თვალსაზრისიო! და ყოველივე ამის შემდეგ «ლუჩი» ბედავს პროტესტი განაცხადოს პოლემიკის მკაცრი ფორმების წინააღმდეგ და «პრავდის» შესარცხვენად წესიერების ნიმუშად მოგვაჩვენოს თავი.

ჩვენ ფრიად დაინებით ვურჩევთ იმ მუშებს, რომელთაც ჯერ კიდევ სწამთ, რომ «პრავდისაგან» განსხვავებით, «ლუჩი» არის გაზეთი, რომელიც იცავს გაერთიანებას და შინაური კინკლაობის შეწყვეტას, წაიკითხონ აღნიშნული ფელეტონი და შეადარონ იგი იმას, თუ როგორაა განხილული «პრავდაში» იგივე საკითხები.

«პრავდა» № 102,
1913 წ. 5 მაისი
ხელმოწერა: «პ რ ა ვ დ ი ს ა»
და «ლ უ ჩ ი ს» მ კ ი თ ხ ვ ე ლ ი

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.,
ტ. 19, გვ. 69—71

ა. მ. გორკის

ძვირფასო ა. მ.!

როგორ არის «პროსვეშჩენიეს» მ ა ი ს ი ს წიგნაკისათვის სტატიის ან მოთხრობის საქმე? მე იქიდან მწერენ, რომ შეიძლება გამოიცეს 10 — 15 ათასი (აი როგორ მივიწევთ წინ!), თქვენგან რომ რაშე ჰქონდეთ. მომწერეთ, იქნება თუ არა, შემდეგ კი «პრავდა» გადაბეჭდავს და გამოდის 40 000 მკითხველი. დიახ.... შეიძლებოდა «პროსვეშჩენიეს» საქმე კარგად წასულიყო, თორემ, დალახვროს ეშმაკმა, ა რ ა რ ი ს სწორი ხაზის მქონე არც ერთი ჟურნალი მუშებისათვის, ს ო ც ი ა ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს, რევოლუციური დემოკრატიისათვის, სულ რაღაც საზიზღარი დონდლოები მომრავლდნენ.

როგორ ხართ? დაისვენეთ თუ არა და დაისვენებთ თუ არა ზაფხულში? საჭიროა, გარწმუნებთ, კ ა რ გ ა დ დაისვენოთ!

მე გაჭირვებაში ვარ. ცოლი ავად გამიხდა ბაზედოვის ავადმყოფობით. ნერვების ბრალია! მეც ნერვები ცოტა აშლილი მაქვს. ზაფხულისათვის წამოვედით სოფელ პორონინში, ზაკოპანეს ახლოს. ჩემი მისამართია: Herrn Wl. Uljanow. P o r o n i n. Galizien Austria)* კარგი ადგილებია. სალი, სიმაღლე 700 მეტრამდე. რას იტყვით, ხომ არ ფიქრობთ გამოისეირნოთ? რუსეთიდან საინტერესო მუშები იქნებიან. ზაკოპანე (ჩვენგან 7 ვერსზე) ცნობილი კლიმატური კურორტია.

ნახეთ თუ არა დემიან ბედნის «იგავ-არაკები»? გამოგიგზავნით, თუ არ გინახავთ. ხოლო თუ ნახეთ, მომწერეთ, როგორ მიგაჩნიათ.

რეგულარულად იღებთ თუ არა «პრავდასა» და «ლუჩს»? ჩვენი საქმე — ყოველივეს მიუხედავად — წინ მიდის, და მუშათა პარტია რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი სოციალ-დემოკრატიული შენდება, ლიბერალი რენეგატების, ლიკვიდატორების წინააღმდეგ. დაგვიდგება დღესასწაული. ჩვენ ახლა აღტაცებული ვართ იმის გამო, რომ პიტერში მუშებმა გაიმარჯვეს ლიკვიდატორებზე მელითონეთა ახალი კავშირის გამგეობის არჩევის დროს.

«თქვენი» ლუნაჩარსკი კი კარგი რამეა!! ოო, კარგი რამე! მეტერლინკს «მეცნიერული მისტიციზმი» აქვსო... თუ ლუნაჩარსკი და ბოგდანოვი თქვენი აღარ არიან?

ხუმრობის გარეშე. ი ყ ა ვ ი თ ჯ ა ნ მ რ თ ე ლ ა დ. მოიწერეთ ორიოდე სიტყვა. უფრო კარგად დაიხვენეთ.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

Uljanow. Austria. Poronin (Galizien).

როგორ მიგაჩნიათ «პრავდის» საიუბილეო № 137?

დაწერილია 1913 წ. მაისის
პირველ ნახევარში
გაგზავნილია პორონინიდან
კუნძულ კაპრიზე (იტალია)
პირველად დაიბეჭდა 1924 წელს

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.,
ტ. 35, გვ. 85—86

გაზეთ «პრავდის» რედაქციას

პატივცემულო კოლეგებო!

დღეს, როგორც იქნა, მივიღე «პრავდის» უკანასკნელი დღეების, უფრო სწორად რომ ვთქვათ, უკანასკნელი კვირის კომპლექტი. ძალიან გმადლობთ, და ძალიან მოგილოცავთ წარმატებას: ჩემი აზრით, უეჭველია, რომ გაზეთი ახლა ფეხზე დ ა დ გ ა. გაუმჯობესება უდიდესი და სერიოზულია, — იმედი უნდა ვიქონიოთ, მტკიცე და საბოლოოა. საკითხი პლეხანოვის სტატიების სიდიდისა და ანტილიკვიდატორობის სიუხვის შესახებ (რაზეც იწერება ერთი მუშა დეპუტატი) უკვე კერძო საკითხებია; აქ შესწორების შეტანა ძნელი არ არის, რაკი გაზეთი მტკიცედ დგას, და მე ვფიქრობ, რომ ადგილობრივი მუშაკები ერთბაშად დაინახავენ, როგორ შეიტანონ შესწორება. დაწვრილებითი წერილი ერთი თანამშრომლისგანაც (რომელსაც, სამწუხაროდ, არ მოეპოვება სასიამოვნო «დეპუტატური» თვისება) მივიღეთ და ძალიან გვიხაროდა, ვულოცავდით ყოველ წარმატებას. ისე ჰგავს, რომ ახლა (და მხოლოდ ახლა, ს,ტ—ვის[138] ავანტიურის შემდეგ) მერყეობის პერიოდი დამთავრდა... ოღონდ თვალი არ ეცეს...

პლეხანოვისათვის ულტიმატუმების წაყენებას არ გირჩევთ: ადრეა! შეიძლება საზიანო აღმოჩნდეს!! თუ მისწერთ, მისწერეთ თავაზიანად და რბილად. იგი ახლა დასაფასებელია, ვინაიდან მუშათა მოძრაობის მტრებს ებრძვის.

დემიან ბედნის შესახებ — კვლავ მ ო მ ხ რ ე ვ ა რ. მიზეზს ნუ მოსდებთ, მეგობრებო, ადამიანურ სისუსტეს! ნიჭი იშვიათად გვხვდება. საჭიროა სისტემატურად და ფრთხილად ხელს ვუწყობდეთ მას. შესცოდავთ, ძალიან შესცოდავთ (ასჯერ უფრო მეტად, ვიდრე სხვადასხვა პირადი «შეცოდებაა», თუ ასეთები გაქვთ...) მუშათა დემოკრატიის წინაშე, თუ ნიჭიერი თანამშრომელი არ მოიზიდეთ, არ დაეხმარეთ მას. კონფლიქტები წვრილმანი იყო, საქმე კი სერიოზულია. იფიქრეთ ამაზე!

გაფართოების შესახებ ამას წინათ დაწვრილებით მივწერე პროს-

ვეშჩენიელს; იმედი მაქვს, თქვენც ნახავდით ამ წერილს. მეც ფინანსური სიფრთხილის მომხრე ვარ: იგივე ექვსი გვერდი (ახლანდელი ჩანართი ფურცლები) მ ი ვ ც ე თ სხვანაირად, სხვა სოუსით და სახელწოდებითა და შინაარსით: 4 გვერდი საკვირაო დამატება მოწინააეთათვის + 2 გვერდი «მუშური კაპიკ» 1 კაპიკად, მ ა ს ი ს ა თ ვ ი ს, ასი ათასი მკითხველის დასაპყრობად, უაღრესად პოპულარული შინაარსისა. «ლუჩს» კი არ უნდა ვბაძავდეთ, არამედ ჩ ვ ე ნ ი გზით, პროლეტარული გზით უნდა მივდიოდეთ: 4 გვერდი მოწინააეთ მ უ შ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს და 2 გვერდი (შეიძლება 4-იც შემდეგ) მახისათვის, ხანგრძლივი და თავგამოდებული ბრძოლისათვის 100 000 მკითხველის შესაძენად. სიგანეზე და სიღრმეზე უნდა მივიწევდეთ, მასებში, და არა ისეთი ინტელიგენტური ნიმუშებისაკენ, როგორიც არის «ლუჩი».

კიდევ ერთხელ: სალამი, მოლოცვა და საუკეთესო სურვილები.

თქვენი ვ. ი.

კიდევ განსაკუთრებული სალამი ვიტიმსკის; ძ ა ლ ი ა ნ კარგი გამოვიდა მისი სტატია მუშათა პრესისა და მუშათა დემოკრატიის შესახებ ლიბერალების წინააღმდეგ[139]!! ბოგდანოვის «იდეოლოგია» კი, ალბათ, ერესია. გპირდებით დაგიმტკიცოთ ეს ზუსტად!!

ტირაჟის გადიდება კი მარქსისტებს უხარიათ, როცა იგი დიდდება მარქსისტული სტატიებით და არა სტატიებით მარქსიზმის წინააღმდეგ. ჩვენ იდეური გაზეთი გვინდა, — «პრავდის» ყველა თანამშრომელსა და მკითხველს უნდა ეს — მარქსისტული და არა მახისტური? ხომ ასეა?

P. S. მისამართი არა Paronen, არამედ P o r o n i n (Galizien). და აუცილებლად უნდა დაემატოს ხოლმე ბანდეროლზე: მ ა რ შ რ უ ტ ი: ვ ა რ შ ა ვ ა — გ რ ა ნ ი ც ა — ზ ა კ ო პ ა ნ ე.

დაწერილია 1913 წ. მაისის ბოლოს
გაგზავნილია პორონინიდან
პეტერბურგში
პირველად დაბეჭდა 1933 წელს

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.,
ტ. 35, გვ. 87—89

ს ვ ა ვ ი ი ღ ა ნ

«პუბლიცისტის შენიშვნები»

...მუშათა პრესა. 1912 წლის განმავლობაში ანტილიკვიდატორული გაზეთი შეუდარებლად უფრო ადრე ჩნდება და მას განუზომლად უფრო მეტი მუშათა ჯგუფები ემხრობიან (ფულის შეკრების აშკარა მონაცემების მიხედვით). «პრავდას» ჰყავს 620 მუშათა ჯგუფი, «ლუჩს» — 89.

1913 წელი. პარტიელები ფულს კრეფენ უკვე ორი გაზეთისთვის, ლიკვიდატორებს კი აქვთ ე რ თ ი გაზეთი და ისიც დეფიციტს იძლევა, იგი არსებობს საზღვარგარეთისა და გაურკვეველი (ბურჟუაზიული) დახმარებით. «პრავდას» ჰყავს 402 მუშათა ჯგუფი, იმავე მიმართულების მოსკოვის მუშათა გაზეთს — 172, «ლუჩს» — 167...

«სოციალ-დემოკრატი» № 31
1913 წ. 15 (28 იანისი)

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც., ტ. 19, გვ. 264—265

«პრავდის» რედაქციას

[10 ივნისი 1913. ზაკოპანე]

პატივცე[�ულო] კოლეგებო! მხოლოდ დღეს, 16. VI. 1913 მიკიღე პრ[ა ვ დ ი ს] გაფართ[ოებული] ფორმ[ატის] ნომრები და ვჩქარობ მოვულოცო რედაქციას და თანამშრომლებს.[140] გისურვებთ ყოველგვარ წარმატებას. ჩემი აზრით, ახლა მთავარია არ დავიკიწყოთ, რ[ომ] ჩვენ უნდა ვ ი ბ რ ძ ო ლ ო თ 1 0 0 0 0 0 მკითხველისათვის. ამისათვის საჭიროა (1) პატარა, არქიპოპულარული საკვირაო 1 კაპიკიანი დამატებები. აუცილებლად მომწერეთ თქვენი აზრი ამის შესახებ, აგრეთვე მონაცემები ხარჯთაღრიცხვის შესახებ: ე. ი. ფორმატის გასაფართოებლად რამდენი ფულია აღებული? და თვეში ახლა რამდენია ხარჯები. რამდენით მეტი წინანდელზე? ახლა «პრავდისათვის» უ დ ი დ ე ს ი (და ერთადერთი) საშიშროებაა ფართო მკითხველის დაკარგვა, მკითხველისათვის საბრძოლველი პოზიციის დაკარგვა.

ეს პირველი საქმიანი პუნქტია, და მე ძალიან გთხოვთ გააცნოთ გამომცემელს ყველა საქმიანი პუნქტი, მე კი უარი არ მითხრათ პასუხის გამოგზავნაზე.

(2) ფოსტ[ის] მოსამს[ახურეთათვის] 7 საათ[ის] ს[ამუშაო] დღის საკითხში და ა. შ. რედაქციამ აშკარა შეცდომა დაუშვა. შეცდომა ყველას სჩვევია, და განსაკუთრებით ცუდი აქ ჯერ კიდევ არაფერია. მაგრამ, შეცდომას დაუინებით რომ იცავს, რედ[აქცია] დიდი ხნით, თუ სამუდამოდ არა, «ტოვებს ხიწვს», იტეხს სახელს და იფუჭებს მდგომარეობას რუსეთშიც და ევროპაშიც. ძალ[იან] მოხარული ვიყავი, როცა მდივნის წერილიდან დავინახე, რომ შეცდომას ყველა როდი ემხრობოდა რედაქციაში. დაბეჯითებით გირჩევთ გადასინჯოთ საკითხი და ბეჭდვითი სიტყვის ხაშუალებით დაიკავოთ სხვანაირი პოზიცია (მოათავსოთ გ. ზ-ის სტატია ხელმოუწერლად, რედაქციის სახელით). საკმარისია ორი სტრიქონი: «გადასინჯა რა

საკითხი, რედაქცია შემდეგ დასკვნამდე მივიდა»: გ. ზ-ს სტატია. ან: «გადასინჯა რა საკითხი რედ[აქციის] და თანამშრ[ომელთა] უფრო სრული შემადგენლობით». ეს უარესია, ვიდრე უბრალოდ «გადასინჯა რა»[141].

დაე მატყუარებმა «ლუჩიდან» ერთხელ იცეკვონ კანკანი ამ გასწორების გამო — მხოლოდ ცრუ მორცხვობას შეუძლია ხელს უშლიდეს მის გაკეთებას. 1000-ჯერ უარესია, თუ «ლუჩს» სამუდამოდ შეეძლება იმოწმებდეს შეცდომას. გასწორებული შეცდომა ქრება. გაუსწორებელი ჩირქოვან იარად იქცევა. ასეთ შემთხვევებში მამაცობა უნდა გქონდეს ერთბაშად დათანხმდე ოპერაციაზე. წინაალმდეგ შემთხვევაში ხომ სავსებით ცოტა რამ იქნება საკადიმოვნო იმაში, რომ «პრავდის» მთელი რიგი მეგობრები «ცალკ[ეული] ლიტერატორებიდანაც და ბეჭდვითი სიტყვის ორგანოებიდანაც — უარს იტყვიან «პრავდის» პოზიციებზე.

ძალ[იან] გთხოვთ განიხილოთ ყოველივე ეს და დაუყოვნებლივ მომწეროთ ორიოდე სიტყვა.

(3) ი. კ[ამენევის] შესახებ ერთხელ უკვე მოგწერეთ. მისი სტატია ალექსეენკოს შესახებ ჩინებულია[142]. და, რა თქმა უნდა, ავტორს შეუძლია მუდამ იძლეოდეს ასეთ სტატიებს. მაგრამ თქვენ მას ფულს არ აძლევთ — ეს უმსგავსობაა!! ის მწერს, რ[ომ] წყვეტს წერას. ვიმედოვნებ, თქვენ არ შეგეძლოთ გეფიქრათ, რომ ფორმატის გაფართოება მოითხოვს ახალ ხარჯებს მხოლოდ ქაღალდისა და ბეჭდვისათვის. რა თქმა უნდა, თქვენ ვარაუდობდით, რომ ხარჯები აუცილებლად გადიდდებოდა ლიტერატურული მხარისთვისაც. ი. კ. 1-ლ რიგში უნდა იქნას ჩაყენებული. ახლა მას არსებობის სახსარი არა აქვს. შეუძლებელია დავკარგოთ თანამშრომელი «პრავდისაც» და «პროსვ[ეშჩენიისაც]». ამიტომ მე უაღრესად დაბეჯითებით გირჩევთ დაუყოვნებლივ მიიღოთ გადაწყვეტილება ი. კ-ვისათვის თვეში 75 (სამოცდათხუთმეტი) მანეთის გადახდის შესახებ. ეს minimum-ია გაზეთისა და ჟურნალის მუდმ[ივი] თანამშ[რომლი]სათვის; გაიხსენეთ აგრეთვე ლიტერ[ატურულ]-კრიტ[იკული] განყოფილებაც, [რომელ]იც ჩვენთან საერთოდ მოიკოჭლებს, უიმისოდ კი «დიდი» გაზეთი შეუძლებელია.

ძალ[იან] გთხოვთ დაუყოვნებლივ მიპასუხოთ ამის შესახებ. ი. კ-ს წ[ერი]ლი მაქვს ულტიმატური კილოთი შედგენილი, და მოვალეობად მიმაჩნია გავაფრთხილო «პრ[ავდის]» რედ[აქცია] და გამომცემელი, რ[ომ] უკვე არ ვიცი ვინ მიიჩნევს შესაძლებლად გაფართ[ოებული] გაზეთის გამოცემას, თუ ასეთი თანამშრომელი უარს იტყვის.

(4) ვიტიმ[სკის] სტატია № 123-ში, ჩემი აზრით, განსაკ[უთრებით] კარგი გამოვიდა. ეულოცავ ავტორს[143]. ხოლო სტალი, ჩემი აზრით, უნდა გადაიბეჭ[დო]ს: კარგია[144]! [ეურთავ ვიტიმსკისადმი პასუხს, რომელიც (პასუხი), ეგონებ, თქვენც უნდა წაიკითხოთ (ვერ მივხვდი, ვიტ[იმსკის] წერილი პირადი ხომ არ არის; ჩემი აზრით, არა)].

(5) რედაქციაში, რ[ოგორ]ც გვატყობინებენ, ერთი თვეა დევს ალექს[ინსკის] წერილი «სად[ავო] საკითხ[ების]» გამ[ო][145]. არ მესმის ასეთი დამოკიდებულება!! რედ[აქციამ], ჩანს, არ იცის მდგომარეობა, არ იცის «ვპერიოდის» ჯგუფის ისტორია და ბ-ნ ბ ო გ დ [ა ნ ო] ვ ი ს მ ი მ ა რ თ შ ე ც დ ო მ ბ დაუშვა (ამაზე ცალკე). რატომ არ უნდა გამოეგზავნათ აქ ალ[ექსინსკ]ის წ[ერი]ლი?? ეს საჭიროა, რ[ათ]ა მოვითათბიროთ ერთადერთ «ვპერიოდელზე», რ[ომელ]საც იმდენი ჭკუა ჰქონდა, რ[ო]მ აჯანყებულიყო ბილწი ემპირიომონიზმისა და მის მსგავს საძაგლობათა წინააღმდეგ, რომლებიც პროლეტარულ პარტიას არცხვენენ. რედ[აქცია] კი, ბოგდ[ანო]ვის ცრუ წერილებს რომ ათავსებს[146], აძნელებს ალ[ექსინსკ]ის შესახებ საერთო თათბირის საქმეს: შ[ესა]ძლოა, მისი წერილიც უვარგისია, მაგრამ უნდა მოვითათბიროთ. ამისათვის ძალ[იან] გთხოვთ რაც შეიძლება მალე გამოგზავნოთ აქ მისი წერილი და საერთოდ გვიგზავნოთ ასეთი რამეები.

(6) ბ-ნ ბოგდანოვთან ინციდენტის შესახებ ცალკე ვგზავნი მიმართვას «პრავდის» სარედ[აქციო] კოლეგიისა და გამომცემლისადმი[147]. ეს საკითხი ფრიად სერიოზულია. მე ძალიან არ მინდა ბეჭდვითი სიტყვის საშუალებით გამოსვლა «პრავდის» რედ[აქციის] წინააღმდეგ, — ჩვენ ძალიან დიდ ხანს ვმუშაობდით ერთად — მაგრამ ოტზოვიზმის მხარდაჭერა, ჩემთვის, 100-ჯერ უარესი ცოდვაა ლიკვ[იდატორობ]ის მხარდაჭერაზე და არა მარტო უარესია, არამედ უფრო უპატიოსნოც არის. და მე, სინდისქვეშ რომ ვთქვა, არ შემიძლია არ გამოვიდე ბეჭდვითი სიტყვის საშუალებითაც ამ მხარდაჭერის წინააღმდეგ, რომელიც ბ-ნ ბოგდანოვის წერ[ილ]ის მოთავსებით ეახლა ნათელი. თუ ეს შეცდომაა, გამოვასწოროთ იგი. თუ არა, ვიბრძოლოთ[148].

ალექს[ინსკ]ის წერილი გამოგზავნეთ. ამას ძალ[იან] დიდი მნიშვნელობა აქვს. ალ[ექსინსკი] მეგობრულ ლაპარაკს ეწევა, თქვენ კი მას... ბოგდ[ანოვ]ით უპასუხებთ!!

(7) აპრილის ფული მივიღე. საჭიროა გამომიგზავნოთ მაისისა.

ძალ[იან] გთხოვთ ნუ დამიგვიანებთ. (ფული მეტისმეტად მესაჭიროება ცოლის მკურნალობისათვის, ოპერაციისათვის).

სამსახ[ურისათვის] მზადმყ[ოფი] ვ. ი.

უზომოდ ვშიშობ, რომ თქვენ ხომ არ ჩამოიკვეთეთ პლეხ[ანოვი]!! პოტრეს[ო]ვი ცრუობს და ლაფს ასხამს. პლეხ[ანო]ვი კი აიძულოთ დუმდეს?? ეს გამოუსწორებელი შეცდომა იქნება[149].

«პრ[ავდისა]» და «ლუ[ჩის]» დანაკლ[ისი] №№-ების გამოგზავნის დაპირებ[ისათვის] დიდი მადლობა. თქვენ მხოლოდ შეცდომით იხსენიებთ ერთხელ ერთ ნომერს ნაცვლად 1912 (თორმეტი) წლის № 8-სა (მერვე ნომერი). ძალ[იან] გთხოვთ გამომიგზავნოთ ეს № 8 (1912 წ.). იგი. რედ[აქციას] დაუბრუნეს 180 ეგზ. რაოდენობით პატიმრობიდან[150].

I

ბეჭდება ლენინის XXV კრებულის
ტექსტის მიხედვით,
გვ. 336—338.

ნ ე ბ ი ს ი ნ ი ს ა ნ

ვ. მ. კასპაროვს

ძვირფასო ამხანაგო! მივიღე და წავიკითხე თქვენი სტატია- თემა, ჩემი აზრით, კარგადაა აღებული და სწორადაა დამუშავებული, — მაგრამ ლიტერატურულად არასაკმაოდ არის გაშალაშინებული. არის ბევრი მეტისმეტი — როგორ ვთქვა ეს? — «აგიტაციაა», რომელიც თ ე ო რ ი უ ლ საკითხზე დაწერილ სტატიას არ უდგება. ჩემი აზრით, ან თვითონ თქვენ უნდა გადააკეთოთ, ანდა ჩვენ ვსინჯავთ.

დიდი მადლობა კოსტროვის შესახებ ცნობების მოწოდებისათვის. თუ კაცი ხარ, სთხოვეთ აბელს უფრო ხშირად მოიწეროს და ინფორმაცია გამოგვიგზავნოს. ეს დიდმნიშვნელოვანია, ჩვენ კი ა რ ა ფ ე რ ი ა რ ვიცით..

დაწერილია 1913 წ. ივნისის
მეორე ნახევარში
გაგზავნილია პორონინიდან
ბერლინში
პირველად დაიბეჭდა 1930 წელს
ლენინის კრებულში XIII

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.,
ტ. 36, გვ. 279

«სევერნაია პრავდის» რედაქციას

(აგვისტოს დამლევი 1918 წ. პორონინი)

პატივც[ემულო] კოლეგებო! გუშინ «პროსვ[ეშჩენიეს]» გავუგზავნე დიდი სტატია «ვ. ზასულიჩი როგორ კლავს ლიკვიდატორობას». თუ «სევ[ერნაია] პრავდა» კიდევ გამოდის, წინადადება შემომაქვს ეს სტატია მოათავსოთ ექვს ფელეტონად, თითო თავი ფელეტონში, მაგრამ იმ აუცილებელი პირობით, რომ ხელნაწერს დაიცავთ და დაუყოვნებლივ დაუბრუნებთ «პროსვ[ეშჩენიეს]».

ვიმეორებ, გაზეთებს რომ ვერ ვხედავ, მუშაობა არ შემიძლია. ათასჯერ გთხოვეთ — და მაინც არ მიგზავნით «რაბ[ოჩაია] პრ[ავდასა]» და «ქ[ივაია] �zns»[151] (კომპლექტებს) არც «ს[ევერნაია] პრ[ავდასა]» და «ნოვ[აია] რ[აბოჩაია] გაზ[ეტას]»[152]. წინათ ყველაფერი ეს კეთდებოდა.

რა საჭიროა ყოველდღიურად გამოცემა, არ მესმის. გირჩევთ გადახვიდეთ ყოველკვირეულზე[153]. რა ზარალია დღეში? რა ტირაჟია?

სალამი და საუკ[ეთესო] სურვ[ილები]! თქვენი ლენინი

დაპირებული და დიდი ხნის გამომუშავებული ჰონორარი «პრავდიდან» არ მიმიღია! ეს დაცინვას ემსგავსება!!

ბეჭდება ლენინის XXV კრებულის
ტექსტის მიხედვით,
გვ. 340—341

პარტიულ მუშაკებთან რსდმპ ცენტრალური კომიტეტის 1913 წლის ზაფხულის თათბირის რეზოლუციებიდან

პარტიული პრესის შესახებ

1. თათბირი აღნიშნავს სოციალ-დემოკრატიული აგიტაციისა და ორგანიზაციის საქმისათვის ლეგალური პრესის უდიდეს მნიშვნელობას და ამიტომ პარტიულ დაწესებულებებს და ყველა შეგნებულ მუშას მოუწოდებს გაძლიერებით დაუჭირონ მხარი ლეგალურ პრესას მისი უაღრესად ფართოდ გავრცელებით, მასობრივი კოლექტიური ხელმოწერისა და ფულის მუდმივი შეგროვების მოწყობით. ამასთან თათბირი კვლავ ადასტურებს, რომ ფულის აღნიშნული შეგროვება უდრის საწევრო გადასახადებს პარტიის სასარგებლოდ.

2. განსაკუთრებით გაძლიერებული ყურადღება უნდა მიექცეს მოსკოვის ლეგალური მუშათა ორგანოს განმტკიცებას[154] და სამხრეთში მუშათა გაზეთის რაც შეიძლება ახლო ხანში შექმნას.

3. თათბირი გამოთქვამს სურვილს, რომ არსებული მუშათა ლეგალური ორგანოები რაც შეიძლება უფრო მჭიდროდ დაუახლოვდნენ ერთმანეთს ურთიერთისათვის ცნობების მიწოდებით, თათბირების მოწყობით და სხვ.

4. თათბირი აღიარებს მარქსიზმის თეორიული ორგანოს არსებობის დიდმნიშვნელობასა და საჭიროებას და გამოთქვამს სურვილს, რომ პარტიული და პროფესიული პრესის ყველა ორგანო აცნობდეს მუშებს ჟურნალ «პროსვეშჩენიეს» და მოუწოდებდეს მათ მუდმივი ხელისმომწერნი გახდნენ ამ ჟურნალისა, სისტემატური დახმარება გაუწიონ მას.

5. თათბირი პარტიულ გამომცემლობათა[155] ყურადღებას მიაქცევს სოციალ-დემოკრატიული აგიტაციისა და პროპაგანდის საკითხებზე პოპულარული ბროშურების ფართოდ გამოცემის უკიდურეს საჭიროებას.

6. უკანასკნელ ხანებში მასების რევოლუციური ბრძოლის გამწვავებისა და მისი სრული და ყოველმხრივი გაშუქების საჭიროების გამო, რაც მიუწვდომელია ლეგალური პრესისათვის, თათბირი განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს არალეგალურ პარტიულ გამომცემლობათა დიდად განვითარების საჭიროებას, ამასთან, გარდა არალეგალური ფურცლებისა, ბროშურებისა და სხვ., ფრიად საჭიროა პარტიის არალეგალური ორგანოს (ც. ო.) უფრო ხშირი და რეგულარული გამოსვლა.

დაწერილია 1913 წ. სექტემბერს, დაიბეჭდა 1913 წ. ბროშურაში «პარტიულ მუშაკებთან რსდმპ ცენტრალური კომიტეტის 1913 წლის ზაფხულის თათბირის ცნობა და რეზოლუციები» გამოცემა ც. კ-ისა.

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც., ტ. 19, გვ. 500—501.

გაზეთ «პრავდა ტრუდას»[154] რედაქციას

P. S. «პრავდა ტრუდა» № 5 არ მიმიღია. ძალიან გმადლობთ «ნოვაია რაბოჩაია გაზეტას» გამოგზავნისათვის: აკლია მხოლოდ მისი № 7, აგრეთვე «ნაშ პუტის» № № 7 და 9 გამომიგზავნეთ, გთხოვთ.

მე მგონია, თქვენ გიგანტურ შეცდომას სჩადიხართ, შეუგნებლად რომ მიჰყვებით დინებას დ ა ა რ ც ვ ლ ი თ გაზეთის ტონს. ყველაფერი იმაზე მიგვითითებს, რომ უნდა შ ე ი ც ვ ა ლ ო ს ტონიც და ქრონიკის ნაწილის შ ი ნ ა ა რ ს ი ც. უნდა მ ი ა ღ წ ი ო თ ლეგალობას, ცენზურულობას. შეიძლება მიაღწიოთ მას და უნდა მიაღწიოთ კიდეც. თორემ ტყუილად ღუპავთ საქმეს, რომელსაც ხელი მოჰკიდეთ. მოიფიქრეთ ეს სერიოზულად.

დაწერილია არაუადრეს 1913 წ. 30 სექტემბრისა
გაგზავნილია პორონინიდან პეტერბურგში
პირველად დაიბეჭდა 1933 წელს

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც., ტ. 35, გვ. 100.

ს ვ ა ვ ი ი ღ ა ნ

«განცხადება»[157]

...თქვენ იცით, რომ ჩვენ ვმოქმედებდით და ვმოქმედებთ მთლად და მხოლოდ და მხოლოდ თანამიმდევარი მარქსიზმის სულისკვეთებით, იდეურად ვემხრობით ყველაფერში მის ზოგად გადაწყვეტილებებს.

თქვენ მოგეხსენებათ, ამხანაგებო, რომ არსებობს სავსებით ობიექტური ფაქტები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ჩვენ არ ვაზვიადებთ, როცა ვლაპარაკობთ, რომ ჩვენი მოქმედება სავსებით ეთანხმება რუსეთის მარქსისტი მოწინავე მუშების დიდი უმრავლესობის შეგნებასა და ნებას. ეს დაამტკიცა «პრავდის», პირველი მუშათა გაზეთის, ისტორიამაც, — გაზეთისა, რომელიც შექმნა მუშათა მოძრაობის აღმავლობამ 1912 წლის აპრილ-მაისში და რომელმაც თავის გარშემო გააერთიანა მუშების უმრავლესობა. ეს დაამტკიცა «პრავდის» გავრცელებამ 40 000 ეგზემპლარის რაოდენობით. ეს დაამტკიცა მუშათა ჯგუფების ანარიცხებმა «პრავდის» სასარგებლოდ, რის შესახებაც მუდამ აშკარად ბეჭდავდა ცნობას ეს გაზეთი...

«ზა პრავდუ» № 13
1913 წ. 18 ოქტომბერი

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.,
ტ. 19, გვ. 528—529.

ს ვ ა ვ ი ი ღ ა ნ

«მასალები სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის შიგნით არსებული ბრძოლის საკითხისათვის»[158]

მუშების რა ნაგას მოწმობენ მუშათა გაზეთები რუსეთში?

ყველასათვის ცნობილია, რომ რუსეთში მუშათა გაზეთების წარმოშობა დაიწყო 1908 — 1910 წლების სასოწარკვეთილებისა და რღვევის პერიოდის შემდეგ, 1911 წლიდან, და განმტკიცდნენ 1912 წელს.

აიღეთ 1912 წელი. პირველ ყოვლისა წარმოიშვა და განმტკიცდა ყოველკვირეული გაზეთი «ზვეზდა», რომელიც შემდეგ გამოდიოდა კვირაში ორჯერ და მოამზადა ყოველდღიური «პრავდა». «პრავდა» წარმოიშვა მუშათა არაჩვეულებრივ ძლიერი მხარის დაჭერით 1912 წლის აპრილში. ამ გაზეთმა თავის გარშემო შემოიკრიბა შეგნებული მუშების უმრავლესობა. მისი მიმართულება იყო გაერთიანებული და შეგნებული პროლეტარების უმრავლესობის მიმართულება.

1913 წელს უკვე ჩნდება ორი საერთო-რუსეთის გაზეთი ერთი მიმართულებისა. მუშათა მხარის დაჭერის დიდმა აღმავლობამ მოსკოვში შექმნა «ნაშ პუტ», იმავე მიმართულების გაზეთი.

მეორე მიმართულებამ, ლიკვიდატორულმა, მხოლოდ 1912 წლის შ ე მ ო დ გ ო მ ი დ ა ნ, ძალზე სუსტი ყოველკვირეული გაზეთების შემდეგ, გამოუშვა ყოველდღიური «ლუჩი».

მაშასადამე, ფაქტები ურყევად ამტკიცებენ, რომ მუშების უმრავლესობა გაცილებით უფრო ადრე დაირაზმა «პრავდის» გარშემო. ლიკვიდატორული გაზეთის შექმნა იყო უფრო გვიანი საქმე, ეს იყო უმრავლესობის ნების წინააღმდეგ ბ რ ძ ო ლ ი ს საქმე, გათიშვის, ე. ი. უმცირესობის მხრივ უმრავლესობისადმი დამორჩილების სურვილის უქონლობის ს ა ქ მ ე.

ყოველი მუშა მიხვდება, რომ პროლეტარიატის მოქმედების ერთიანობა ირღვევა, როცა იმავე ქალაქში იქმნება მ ე ო რ ე გაზეთი, რომელიც ცდილობს ძირი გამოუთხაროს პირველს. არსად ევროპაში არცერთი სოციალ-დემოკრატიული პარტია საქმის აქამდე მიყვანას არ იწყნარებს.

მუშების რა ნებას მოწმობს ფულის შეკრება მუშათა გაზეთებისთვის?

ბურჟუაზიული გაზეთები არსებობენ დიდი კაპიტალების მეოხებით. მუშათა გაზეთები არსებობენ თვით მუშების მიერ შეკრებილი ფულით.

როცა მუშებს ანარიცხები შეაქვთ ამა თუ იმ გამოცემის, ამა თუ იმ გაზეთის დასახმარებლად, ამით ისინი ნათლად განსაზღვრავენ თავიანთ ნებას.

ამიტომ რუსეთში მუშათა გაზეთების სასარგებლოდ მუშათა ანარიცხების ისტორია მუშების ნების ერთ-ერთი მეტად მნიშვნელოვანი მაჩვენებელია. ამ ისტორიის უარყოფა შეუძლიათ მხოლოდ სრულიად უვიც ან არაკეთილსინდისიერ ადამიანებს (კადეტებისა და ლიკვიდატორების მსგავსთ).

აი მონაცემები მუშათა ჯგუფური ფულის შეკრებისა, რაც არა ერთხელ დაბეჭდილა უკვე და რის შემოწმებაც შეუძლია ყოველ წერა-კითხვის მცოდნეს:

	მუშათა ჯგუფური ფულის შეკრების რიცხვი			
	«პრავდისთვის»	მოსკოვ. გაზეთისთვის	ორივესთვის ერთად	«ლუჩისთვის»
1912 წელი	620	5	625	89
1913 წელი 1 აპრილამდე	309	129	438	139
1913 წელი 1 აპრილიდან ოქტომბრამდე	1 252	261	1 513	328
სულ ორივე წლის განმავლობაში	2 181	395	2 576	556

ეს მონაცემები დროის დ ი დ ი მანძილისაა. ისინი მოიცავენ მ თ ე ლ 1912 წელს და 1913 წლის 9 თვეს. ეს მონაცემები ეხება **მთელ რუსეთს***.

---

* კრებულში «მარქსიზმი და ლიკვიდატორობა» ამ ადგილს ერთვის შემდეგი სტრიქონქვეშა შენიშვნა:

«1914 წლის მაისისთვის დამრგვალებულ ციფრებში: მუშათა 6 000 ჯგუფი პრავდისტებისა და დაახლოებით 1½ ათასი ლიკვიდატორებისა». რ ე დ.

რის მაჩვენებელია ეს მონაცემები? უცილობლად იმისა, რომ შეგნებულ მუშებში სავსებით სჭარბობენ «ზ ა პ რ ა ვ დ უ ს» მ ო მ ხ რ ე ე ბ ი, მუშათა ექვსი დეპუტატის, ლიკვიდატორობის მოწინააღმდეგეთა მომხრეები.

მუშების ნების დამრღვევი, გამთიშველი და დეზორგანიზატორია ყველა, ვინც არ სცნობს ამ დიდი უმრავლესობის გადაწყვეტილებებს.

«ზა პრავდუ» № 22
1913 წ. 29 ოქტომბერი

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც., ტ. 19, გვ. 551—553.

გაზეთ «ზა პრავდუს» რედაქციას

რედაქტორს: ცუდია «სვოის» სტატია № 25-ში. გაწიწმატებაა და მეტი არაფერი. ღვთის გულისათვის, გაწიწმატება ნაკლები იყოს, დინჯად გაარჩიეთ საბუთები და გაიმეორეთ ს ი მ ა რ თ ლ ე რაც შეიძლება საფუძვლიანად, მარტივად. ასე და მხოლოდ ასე იქნება უზრუნველყოფილი უთუო გამარჯვება.

დაწერილია არაუადრეს
1913 წ. 16 ნოემბრისა
გაგზავნილია კრაკოვიდან
პეტერბურგში
.პირველად დაიბეჭდა 1933 წელს

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა.
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.,
ტ. 35, გვ. 112.

წერილი ვ. ვოიტინსკის[155]

იმ სტატიის გამო, რომლის მოთავსება თძვენ გვიჩანთ

20/XII 1913.

ძვირფასო კოლეგა! მივიღე სტატია «საერთო დროშისათვის» და სინდისქვეშ უნდა ვთქვა, რომ იგი სრულებით არ ვარგა. გულახდილობა და პირდაპირობა უწინარეს ყოვლისა — ხომ ასეა?

ავტორს აბსოლუტურად ვერ გაუგია რუსეთში არსებული ვითარება, იგი გაუტაცნია... უფრო რბილად როგორ გამოვხატო აზრი?... ასე ვთქვათ, «ამიკოშონობას» პოშეხონელ მენშევიკებთან.

რუსეთში მიმდინარეობს მარქსისტული მუშათა პარტიის აღდგენისა და განმტკიცების პროცესი. დისკუსიებსა და რეზოლუციებს, რომლებიც ავტორის ასუთ ბეც დაცინვას იწვევენ, გიგანტური აღმზრდელობითი და ორგანიზაციული მნიშვნელობა აქვთ. «ვაშას გაჰყვირიან», — ირონიით ამბობს ავტორი; — წმინდა ლ ი ბ ე რ ა ლ უ რ ი ირონიაა, მუშათა მოძრაობას სავსებით მოწყვეტილი ინტელიგენტის ირონია. რატომ არის, რომ რუსეთის არც ერთ სხვა ოპოზიციურ პარტიაში პარტიის წევრთა ადგილობრივი ჯგუფები ახდილად ა რ განიხილავენ პარტიის შინაგან უთანხმოებებს?? ჰა??

ავტორი რომელიღაც სენტიმენტალურ-ისტერიულ თვალსაზრისს ადგას. რეზოლუციებშია მ უ შ ა თ ა პარტიის შეკავშირების უდიდესი პროცესი, — რადგან მსოფლიოში ვერავინ ვერ ა ი ძ უ ლ ე ბ ს მუშებს გ ა ა კ ე თ ო ნ ა რ ჩ ე ვ ა ნ ი ორ ვაშას (პარტიულთა ვაშასა და ლიკვიდატორთა ვაშას) შორის გარდა შ ე გ ნ ე ბ უ ლ ი სიმპათიისა და მიმართულებათა გარჩევისა. პროლეტარული «შეხლა-შემოხლის» მოტლანქო ფორმის იქით ადამიანი რომ ვერ ხედავდეს 2 მიმდინარეობის გამო მუშათა კლასის ბრძოლის გიგანტურ იდეურ და ორგანიზაციულ მნიშვნელობას — ეს ფენომენალური სიბრმავეა. ვერ წარმომიდგენია ავტორისათვის იმაზე უკეთესი ახსნა ამ სიბრმავისა, რომ იგი მოწყვეტილია და იმყოფება მენშევიკურ-არამზადული კამპანიის «ტყვეობაში».

ავტორს აბსოლუტურად ვერ გაუგია მითითება მუშათა კურიაზე. 47%—30%—67% მე-2-3-4 სათათბიროებში. ეს ფაქტი ა რ ა რ ი ს?? რა შუაშია აქ «კურიების რეაქციულობა» (რომელზეც თვალის ასახვევად გაჰყვირიან თაღლითები და ბურენინები «ნოვაია რაბოჩაია გაზეტას» ფურცლებიდან)?? განა სამივეში არ იყო თანაბრად რეაქციული კანონი თანაბრად კურიალურის აზრით? ჩვილი ბავშვიც კი მიხვდება, რომ კურიების რეაქციულობა აქ არაფერ შუაშია. ფაქტი კი რჩება: ინტელიგენცია განზე გაეცალა (ამ ბ.... გზაც იქით არის), მუშები თ ვ ი თ ო ნ დადგნენ ფეხზე ლიკვიდატორების წინააღმდეგ. ახალი ისტორიული ხანაა. ახალი ეპოქაა. ავტორი კი თხზავს «საშუალო ხაზს» — ეს სასაცილო იქნებოდა, ასე სამწუხარო რომ არ იყოს. ავტორს $^1/_{100}$-ით ვერ გაუგია ლიკვიდატორებთან ბრძოლის სიღრმე. ა რ შ ე ი ძ ლ ე ბ ა პარტიის აღდგენა ისე, თუ არ ლიკვიდატორების წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ. ახლა ამას თვით მუშები მიხვდნენ.

ერთ თვეში 20. X-დან 2. XI-მდე — 4800 ხელმოწერა (N 1 6-ეულის სასარგებლოდ, და 2500 7-ეულის სასარგებლოდ (მათ შორის 1000 ბუნდელებისა. NB NB!). ეს ფაქტი არ არის? ეს ფაქტი გახლავთ, და არა ინტელიგენტური წუწუნი! ეს, თურმე ნუ იტყვით, პარტია როდია, რადგან არ არის «საერთო» და არ არის «ყრილობა»!!! ჰა-ჰა!! ლიკვიდატორებთან და ბუნდელებთან საერთო ა რ ც ი ქ ნ ე ბ ა, — დროა შეიგნონ ეს და არ ჭვრეტდნენ სამუდამოდ წასულ ძველს. ყრილობა უაღრესად ძნელია (პარტიის დ ა მ ა ნ გ რ ე ვ ე ლ ე ბ ი სწორედ ამიტომ მიუთითებენ «ყრილობაზე» როგორც ad kalendas graecas მსგავს რამეზე!).* ძველი პარტიის სწორედ ახალი ფორმა იყო ეს ხელმოწერები. და აღდგენი ამას ვერ უნდა მიხვდეს??

ძველი ეროვნული «ფედერაცია უარესი ტიპისა» ს ა მ უ დ ა ჰ ო დ ჩ ა ბ ა რ დ ა წ ა რ ს უ ლ ს. ავტორს ესეც არ ესმის.

6 და 7 თანასწორუფლებიანობა (ავტორი ტყუილად ლაპარაკობს 8-ზე, რადგან მერვეს პარტია სულაც ა რ ა ცნობს ს.-დ-დ) ავტორს არასწორად ესმის. პარტიამ რატომ არ უნდა მისცეს თანასწორუფლებიანობა «პ ა რ ტ ი ი ს ა ხ ლ ო ს მ ყ ო ფ თ ა» ჯგუფს სათათბიროში??** ავტორს ვერ გაუგია «პარტიის ახლოს მყოფთა» ცნების უაღრესად სერიოზული მნიშვნელობა.

---

* Ad kalendas graecas — ე. ი. გადააქვთ ასეთი დროისათვის, რომელიც არასოდეს არ დადგება. — რ ე დ.

** ეს არაფრით არ ზღუდავს პარტიას; ამან შეიძლება აღზარდოს პარტიის ახლოს მყოფნი. (ლენინის სქოლიო).

ჩვენი ჟურნალი ალმანახი კი არ არის, არამედ მებრძოლი ორგანოა. ამიტომ სტატიის დაბეჭდვაზე ლაპარაკიც ზედმეტია. მაგრამ მე ძალიან მოხარული ვიქნებოდი მენახა ავტორის შეკამათება ჩემს კრიტიკაზე, როგორც საერთოდ მეტისმეტად გამახარებდა აზრთა ყოველგვარი გაცვლა ძველ მეგობრებთან. თუ მე რაიმე «გადავაჭარბე» ამ კრიტიკაში და ზოგჯერ ძალიან თავაზიანად არ გამოვთქვი აზრები, — გთხოვთ შემწყნარებლად მომიტევოთ. წყენინება, ლმერთმანი, არ მინდოდა, მაგრამ ძველი მეგობრობის გამო «გულუბრყვილოდ» გამოვთქვამდი ყველაფერს, რასაც ვფიქრობდი და ვფიქრობ.

რა დიდებულად გაჩაღდა კამპანია 6-ეულის სასარგებლოდ 7-უულის წინააღმდეგ! რა საუცხოო შეკავშირება და აღზრდაა მუშებისა ლიბერალი მუშა პოლიტიკოსების წინააღმდეგ! რა შესანიშნავი, რუსეთში პირველი, მაგალითია, რომ მუშათა პარტია ნამდვილად **წ ყ ვ ე ტ ს ბ ე დ ს თ ა ვ ი ს ი** წარმომადგენლობისას სათათბიროში! ეს უკვე არა მარტო «წამკითხველი» ხროვაა, ეს — ორგანიზებული ძალაა. თათბირმა გადაწყვიტა — ექვსეულმა გააკეთა — ორგანიზებულმა ათასებმა განხილვითა და ხელმოწერით მოიწონეს — აი რას ეწოდება **პ ა რ ტ ი ა** იმ უბადრუკი გაზეთის, ძველი «ტოვარიშჩესტვოს» ახალი გამოცემის, — «ნოვაია რაბოჩაია გაზეტას» წინააღმდეგ, რომელიც ინტელიგენტური მ... ბილწავს და წამლავს მუშათა მოძრაობას. და რა საუცხოოდ გააჩაღა თავისი საქმიანობა მუშათა ფრაქციამ სათათბიროში! ერთბაშად გადაიდგა წინ ნაბიჯი არა მარტო სახელწოდებაში, არამედ მთელ მუშაობაშიც! რა დიდებულია ბადაევის სიტყვა კოალიციების თავისუფლების შესახებ ტულიაკოვის მიერ მ...ანი ლიბერალური უბადრუკი აზრების გამეორებასთან შედარებით!

ნახვამდის, ძვირფასო ამხანაგებო, უფრო ხშირად აფურთხეთ მენშევიკებს, შეისწავლეთ ახლანდელი მუშათა მოძრაობის **ფ ა ქ ტ ე ბ ი**, დაუფიქრდით მათს მნიშვნელობას და თქვენი, მომიტევეთ, დამყაყებულობა გაივლის, «საშუალო ხაზს» კი არ დაუწყებთ თქვენ ძებნას, არამედ დაეხმარებით მუშების შეკავშირებას მოლალატეთა ბრბოს წინააღმდეგ.

თქვენი ვ. ი.

იბეჭდება ჟურნალ «ბოლშევიკის» ტექსტის მიხედვით, № 2, 1938 წ.
გვ. 67—69.

ს ტ ა ტ ი ი ნ ა

«მუშების ლიბერალური გარეკვნა»

... თვითეულ ბეჭდვითს ორგანოში შეგნებული მუშები უწინარეს ყოვლისა და ყველაზე უფრო მის პრინციპულობას აფასებენ...

«პუტ პრავდი» № 9,
1914 წ. 31 იანვარი
ხელმოწერა: ჰ. ტ.

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.,
ტ. 20, გვ. 95.

წერილი რედაქციის მიმართ

«ნოვაია რაბოჩაია გაზეტას» № 16-ში მოთავსებულ თავის წერილში ა. ბოგდანოვმა დამალა «პრავდასთან» თავისი უთანხმოების მთავარი მიზეზი.

ეს მიზეზი ისაა, რომ ა. ბოგდანოვი მრავალი წელია გამოდის მარქსიზმის ფილოსოფიის მოწინააღმდეგედ და ბურჟუაზიულ-იდეალისტურ შეხედულებებს იცავს მარქსისა და ენგელსის მატერიალიზმის წინააღმდეგ.

ამ მიზეზით მარქსისტ-ბოლშევიკებს თავიანთ მოვალეობად მიაჩნდათ—ბოგდანოვის წინააღმდეგ გამოსულიყვნენ ჯერ კიდევ ამ რამდენიმე წლის წინათ. ამავე მიზეზით ბოგდანოვის წინააღმდეგ ლიტერატურულ ბრძოლას აწარმოებენ მარქსისტი-მენშევიკები გ. ვ. პლეხანოვის სახით. ბოლოს, ამავე მიზეზით მოხდა ბოგდანოვის განხეთქილება ეგრეთწოდებულ «ვპერიოდის» ჯგუფთანაც კი.

მართლაც, ჩვენ იმთავითვე, რაც ბოგდანოვმა «პრავდაში» დაიწყო თანამშრომლობა, ვეჭვობდით, რომ იგი თავს შეიკავებდა და მარქსიზმის ფილოსოფიის წინააღმდეგ თავის ბრძოლას მუშათა გაზეთის ფურცლებზე არ გადაიტანდა. ა. ბოგდანოვმა, სამწუხაროდ, მალე გაამართლა ჩვენი შიში. მოათავსა რა «პრავდაში» რამდენიმე პოპულარული სტატია უწყინარ თემებზე, მან მალე გამოუგზავნა რედაქციას სტატია «იდეოლოგია», რომლითაც სრულიად «პოპულარული» ფორმით — დაიწყო ბრძოლა მარქსიზმის ფილოსოფიის წინააღმდეგ. რ ე დ ა ქ ც ი ა მ უ ა რ ი თ ქ ვ ა დ ა ე ბ ე ჭ დ ა ე ს ა ნ ტ ი მ ა რ ქ ს ი ს ტ უ ლ ი ს ტ ა ტ ი ა. კ ო ნ ფ ლ ი ქ ტ ი ც ს წ ო რ ე დ ა მ ი ს გ ა მ ო მ ო ხ დ ა.

ჩვენ ვურჩევთ ა. ბოგდანოვს, «ოჯახურ» ზნე-ჩვეულებებზე ჩივილის ნაცვლად, დ ა ბ ე ჭ დ ო ს ა ღ ნ ი შ ნ უ ლ ი სტატია, «იდეოლოგიის» სათაურით (ლიკვიდატორთა გაზეთი, რასაკვირველია, სტუმართმოყვარეობით მიიღებს ანტიმარქსისტულ სტატიას). და

მაშინ ყველა მარქსისტი დაინახავს, თუ რაშია ნამდვილად ბოგდანოვთან ჩვენი უთანხმოება. რომელზედაც თავის ვრცელ წერილში მას ერთი სიტყვაც არ უთქვამს.

ჩვენ ვფიქრობთ, მუშებმა თავიანთი გაზეთი იმისათვის შექმნეს, რომ მან მარქსიზმი დაიცვას, და არა იმისათვის, რომ ნება მისცენ ვინმეს — ბურჟუაზიულ «მეცნიერთა» ყაიდაზე დაამახინჯოს იქ მარქსიზმი.

ჩვენ დიდად მოხარულნი ვართ იმისაც, რომ ა. ბოგდანოვმა ერთხელ კიდევ აღძრა საკითხი «ვპერიოდის» ჯგუფის გამო «პრავდაში» ზაფხულს მოთავსებული თავისი სტატიის შესახებ. რახან ა. ბოგდანოვს ეს სურს, იგი მიიღებს (ჟურნალ «პროსვეშჩენიეში») უალრესად დაწვრილებითს ახსნა-განმარტებას, თუ რამდენი ტყუილი იყო ამ სტატიაში და რაოდენ დიდი ზიანი მიაყენა ამ ავანტიურისტულმა ჯგუფმა მუშათა მოძრაობას რუსეთში.

«პუტ პრავდი» № 9,
1914 წ. 31 იანვარი

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით. მე-4 გამოც.,
ტ. 20, გვ. 99—100.

გაზეთ «პუტ პრავდის» რედაქციას

1914. 9. II.

პატივცემულო კოლეგებო! მივიღე მდივნის წერილი სავალალო სტატიის შესახებ, რომელმაც გაზეთი საფრთხეში ჩააგდო[160]. სამწუხაროა, სამწუხარო, რომ დაიბეჭდა (კოლეგიური გადაწყვეტილებით კი?) ეს სავალალო სტატია, რომელშიც შეძლეს დაენახათ მითითება გაზეთების კავშირურთიერთობაზე...

ეს არის დავბრუნდი შინ «სამსახურის საქმეთა გამო» მგზავრობის შემდეგ[161], გადავათვალიერე ყველა გამოსული № და ვერ ვიპოვე ორი სტატია, რომლებიც გავგზავნე (უკვე ერთი თვის წინათ!!) ფ-დ.-ს პასუხად ერთიანობის საკითხზე («ლიკვიდატორთა ბელადი ერთიანობის პირობების შესახებ» — ასეთია პირველი ამ სტატიათა-განის სახელწოდება). სტატიები ყოვლად აუცილებელია განსაკუთრებით ახალი ჟურნალის «ბორბალს»[162] გამო — და საჭიროა მათი მოთავსება ამ ჟურნალის გ ა მ ო ს ვ ლ ა მ დ ე. მაგრამ სტატიები არ არის მოთავსებული, და (თითქოს ყოველგვარი კოლეგიალობის დასაცინავად) მთელი თვის განმავლობაში ჩემთვის ერთი სტრიქონიც არ მოუწერიათ, თუ რა ბედი ეწია მათ!!! ((თუ ეს სტატიები დიდია, თუმცა ეს დაუჯერებელია, მაშინ მათ «პროსვეშჩენიეში» მოვათავსებდი)).

ღმერთმანი, სრულებით არ მესმის საქმის ასეთი წარმართვა! როგორ შეიძლება ასე მოეპყრათ თანამშრომლებს? და კოლეგებს?

გვიპასუხეთ!

სალამით ვ. ი.

P. S. გამომიგზავნეთ, თუ კაცი ხარ,

«პ რ ო ლ ე ტ ა რ ს კ ა ი ა პ რ ა ვ დ ა» № 11 (29).

«პ უ ტ პ რ ა ვ დ ი» № 2.

«ნ ო ვ ა ი ა რ ა ბ ო ჩ ა ი ა გ ა ზ ე ტ ა» № 8 (126).

P. S. ხომ არ გაქვთ ჟურნალ «მისლის» კომპლექტი ან ცალკეული წიგნაკები? გთხოვთ გამომიგზავნოთ.

გაგზავნილია კრაკოვიდან
პეტერბურგში
პირველად დაიბეჭდა 1956 წელს
ჟურნალ «კომუნისტში» № 5

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.,
ტ. 36, გვ. 290—291.

ს ტ ა ტ ი ი ნ ა

«ა. ბოგდანოვის შესახებ»

... რატომ გახდა შეუძლებელი ა. ბოგდანოვის თანამშრომლობა მუშათა იმ ჟურნალ-გაზეთებში, რომელნიც თანამიმდევრული მარქსიზმის თვალსაზრისს ადგანან? — იმიტომ, რომ ა. ბოგდანოვი მარქსისტი არ არის...

... პოლიტიკური თვალსაზრისი მუშათა პრესაში ამა თუ იმ ლიტერატორის თანამშრომლობის შესახებ იმაში მდგომარეობს, რომ ამაზე ემსჯელობდეთ არა მწერლის სტილის, გონებამახვილობისა და პოპულარიზატორული ნიჭის თვალსაზრისით, არამედ მთლიანად მისი მიმართულების მიხედვით, იმის მიხედვით, თუ რ ა შეაქვს მას თავისი მოძღვრებით მუშათა მასებში. მარქსისტები დარწმუნებული არიან, რომ ა. ბოგდანოვის ლიტერატურული მოღვაწეობის ერთობლიობა წარმოადგენს ცდას — ჩაუნერგოს პროლეტარიატის შეგნებას ბურჟუაზიულ ფილოსოფოსთა შეთითხნილი იდეალისტური წარმოდგენანი...

«პუტ პრავდი» № 21
1914 წ. 25 თებერვალი

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.,
ტ. 20, გვ. 135, 136.

კაპიტალიზმი და ბეჭდვითი სიტყვა

როდესაც ორი ქურდი ჩხუბობს, პატიოსანი ხალხისათვის ამას ყოველთვის ექნება ერთგვარი სარგებლობა. როდესაც საბოლოოდ წაიკიდებიან ბურჟუაზიული საგაზეთო საქმის «მოღვაწენი», საზოგადოების წინაშე ისინი ამჟღავნებენ «დიდ» გაზეთების» გამყიდველობასა და თაღლითობას.

ნოვოვერემიელი ნ. სნესარევი წაეჩხუბა «ნოვოე ვრემიას», ფული გაფლანგა და სკანდალით იქნა გაძევებული. ახლა მან გამოაქვეყნა 135-გვერდიანი «თხზულება» სათაურით ««ნოვოე ვრემიას» მირაჟი. თითქმის რომანი. სპბ. 1914». ბ-ნ სნესარევს, როგორც მიღებულია, «კეთილშობილ» ადამიანად მოაქვს თავი; იგი აგვიწერს იმ ზნეჩვეულებებს, რაც დიდი ხანია დამკვიდრებულია დასავლეთის კაპიტალისტურ ქვეყნებში და უფრო და უფრო იჭრება რუსეთის ბურჟუაზიული გაზეთების წრეში, რა თქმა უნდა, ისეთი პირობების არსებობის დროს, რომლებიც საგანგებოდ ხელს უწყობენ განსაკუთრებით ბინძურ, განსაკუთრებით საზიზღარ მოსყიდვათა, მლიქვნელობისა და სხვ. დაფარვასა და დაუსჯელობას.

«თანდათანობით ყველა მიეჩვია თავის სახსრებზე გაცილებით უფრო ხელგაშლილად ცხოვრებას» — კეკლუცი გულუბრყვილობით წერს «დაზარალებული» ნოვოვერემიელი. — «თუ როდის და რა გზით განთავისუფლდება საზოგადოება ამ მოვლენისაგან და განთავისუფლდება კი,—არ ვიცით. მაგრამ მდგომარეობა რომ ახლა ასეთია, ეს საყოველთაოდ აღიარებული ფაქტია», და ერთ-ერთ მაგიურ საშუალებას, რაც ნებას გაძლევს — მეტი ხარჯო, ვიდრე ღებულობ, წარმოადგენს ბურჟუაზიული გაზეთების «მ ო ნ ა წ ი ლ ე ო ბ ა» კონცესიათა გატარებაში. «შეგვიძლია დავასახელოთ—გვიამბობს ნოვოვერემიელი—ათობით სხვადასხვა კონცესია, რომელიც ცხოვრებაში მარტო განსაზღვრული ნაცნობობა-კავშირის მეოხებით კი არ გატარდა, არამედ განსაზღვრულ გაზეთებში განსაზღვრული სტატიების მოთავსების საშუალებითაც. გამონაკლისს, ცხადია,

არც «ნოვოე ვრემია» წარმოადგენს». მაგ. ბ-ნ სნესარევთან ერთხელ მისულა მარკონის უმავთულო ტელეგრაფის ლონდონის კომპანიის წარმომადგენელი და წინადადება მიუცია—შეედგინა მარკონის რუსული საზოგადოების წესდება და პროექტი კონცესიისა ამ საზოგადოების სასარგებლოდ. «ამ შრომის ჯილდოდ 10.000 მანეთი იყო გადადებული, და შეთანხმება დაიდო».

დაზარალებული სნესარევი მოგვითხრობს, ამ ფულში კაპიტალისტებს მარტო მე კი არ მივყიდე ჩემი თავიო, არამედ გაზეთი «ნოვოე ვრემიაც» მთლიანად მიეყიდა «კონცესიის დაცვის კამპანიის» ჩასატარებლად, რისთვისაც მიიღო 50% ფასდაკლება დეპეშებზე და საზოგადოების დამფუძნებლის «ადგილი» 50.000 მანეთის აქციებითო.

ლონდონის კაპიტალისტები—რუსების გაყვლეფა—კონცესია რუსეთის მთავრობისაგან — პრესის მონაწილეობა — საყოველთაო გამყიდველობა—ყიდვა-გაყიდვა, ვისიცა გნებავთ, ათეულობით ათას მანეთად—აი სიმართლის გამომხატველი სურათი, რომელსაც თვალწინ გვიშლის ქურდობის ჩამდენი და ნაწყენი სნესარევი.

«ნოვოე ვრემიას» მილიონიანი წამოწყება დაქვეითებას განიცდის. მილიონერ-რენეგატის ა. ს. სუვორინის ვაჟები ქეიფში ხარჯავენ და წყალში ყრიან მილიონებს. საჭიროა კეთილშობილი გაზეთის ხსნა. სცენაზე გამოდის «ვოლგა-კამის ბანკის დირექტორი-განმკარგულებელი პ. ლ. ბარკი» (გვ. 85). იგი არწმუნებს ა. ს. სუვორინს — საქმე გადასცეს ამხანაგობას, რომელმაც 1911 წ. აგვისტოში მიიღო უმაღლესად დამტკიცებული წესდება, ამასთან 800 პაიდან 650 ა. ს. სუვორინისა იყო (თითო პაი—5 000 მან.). ბალანსი საზოგადოების დაარსებისას ფიქტიური იქნა შედგენილიო (გვ. 97) — განმარტავს ბ-ნი სნესარევი, თანაც დასძენს: «ამხანაგობის დაარსების დროს ამგვარი ბალანსის მიღება შეეძლოთ ან ციფრებში სრულიად ვერაფრის გამგებ, ანდა ბ-ნ გუჩკოვისთანა ადამიანებს, ე. ი. იმათ, ვისაც ჩინებულად ესმოდა საქმე, მაგრამ მხოლოდ თავის პირად მიზნებს ემსახურებოდა». ამ ამხანაგობის დაფუძნების გმირები (დამფუძნებელი კრება 1911 წ. 10 ნოემბერს შესდგა) ყოფილან თვით სნესარევი, პ. ლ. ბარკი, ვ. პ. ბურენინი, სახ. სათათბიროს წევრი ოქტიაბრისტი შუბინსკი, კეთილშობილი რენეგატის ა. ს. სუვორინის ვაჟები და სხვ.

როგორც მკითხველი ხედავს, ეს მაღალპატივსაცემი კომპანია განსაკუთრებული სიმარჯვით 1911 წლის ნოემბრიდან საქმიანობდა. ხოლო 1912 წლიდანო — მოგვითხრობს დაზარალებული სნე-

სარევი — «ნოვოე ვრემიას» პრივილეგია საადგილმამულო ბანკების განცხადებათა მიღებისა («არც თუ ისე დიდი შემოსავალი»: სულ 15.000 მან. წელიწადში, თუ «რაღაც მსგავსი» ამისა!), ეს პრივილეგია სუბსიდიად იქცაო. ვინაიდან კანონის თანახმად განცხადებანი ყველაზე უფრო გავრცელებულ გაზეთში უნდა თავსდებოდეს. «ნოვოე ვრემია» არ ყოფილა მაშინ ყველაზე უფრო გავრცელებული, მაგრამ მან «აამუშავა» («პირველადო», ფიცულობს კეთილშობილი სნესარევი) თავისი მალული გავლენა-ნაცნობობა მთავრობის სფეროებში, რათა თავის ხელში შეენარჩუნებინა საადგილმამულო ბანკების განცხადებანი. «მინისტრთა საბჭოში ამ საკითხის გადაჭრის დროს, საკმაოდ სერიოზული ყოყმანის შემდეგ, გადაწყდა—განცხადებანი «ნოვოე ვრემიასათვის» დაეტოვებინათ» (გვ. 21).

ეწყობა სალიტერატურო-სამხატვრო საზოგადოების კლუბი, «პირდაპირ რომ ითქვას, საყომარბაზო სახლი» (გვ. 69); «კლუბის საველო დავთრებში «ნოვოე ვრემიას» თანამშრომლებზე ათას მანეთობით ვალი ირიცხებოდა. ამ ვალს პირდაპირ ჩამოსწერდნენ ხოლმე ანგარიშიდან».

ბირჟის საქმოსანი მანუსი, ბირჟაზე გამდიდრებული, «რამდენიმე მილიონის» ნაძარცვი ქონების პატრონი (120) ბბ. მენშიკოვებსა და სხვ. მონაწილეობით, «ნოვოე ვრემიაში» კამპანიას ეწევა მინისტრ კოკოვცოვის გადასაყენებლად. მკითხველებისათვის მიგვინდვია იმკითხაონ, რამდენ-რამდენი ათეული ათასი მიუღიათ ყველა ამ «მოღვაწეებს» და რამდენი დარჩენიათ მიუღებელი.

მილიონების ფერხული. «ნოვოე ვრემიას» ხუთმილიონიანი ბალანსი, აქედან დაახლოებით სამი მილიონი—ფიქცია. ჯამაგირები და ჰონორარები—2—3 ათასი მანეთი თ ვ ი უ რ ა დ მეორეხარისხოვანი და მესამეხარისხოვანი მუშაკებისათვის. ფული კი ასიათასობით და მილიონობით ნიავდება. ასიათასობით სესხი ბანკებში. საყოველთაო გამყიდველობა. ყველა ჯურის პროსტიტუცია, უკანონო და კანონიერი, ქორწინებით ნაკურთხი. პეტერბურგის საუკეთესო და მაღალი საზოგადოება. მილიონერები, მინისტრები, ბირჟის საქმოსანნი, წარჩინებული უცხოელნი. საყომარბაზო სახლები. სხვადასხვა სახის შანტაჟი «არავითარი პოლიტიკური რწმენა» (გვ. 36). შური და ფანდები. ამფითეატროვი და სნესარევი დუელში იწვევენ ინჟინერს, რომელმაც აწყენინა «ნოვოე ვრემიას» რედაქციას, რადგან უკანასკნელმა ლაფი დაასხა სტუდენტებს. ა. სუვორინი, რომელსაც «ძალიან უყვარს» ამფითეატროვი. მაგრამ, რომელსაც «არ შეუძლია უარი თქვას სიამოვნებაზე — უსიამოვნება მიაყენოს მას»: დაბეჭდოს ბურენინის ფელეტონი «საძაგელი» გამოხდომით მსახიობ ქალის

რაისკაიას, ამფითეატროვის ცოლის წინააღმდეგ. ბურენინი აძევებს ამფითეატროვს. სუვორინის ვაჟები ასი ათას მანეთობით სესხულობენ ფულს.

«ნოვ. ვრემიას» ზარალი 1905 წელს 150.000 მანეთია.

1905 წლით შეშინებული მოსკოველი ვაჭარ-მექარხნენი 100 000 მანეთს იძლევიან მუშებისათვის პატრიოტული მიმართულების გაზეთის გამოსაცემად. «ნოვოე ვრემია», მათი თხოვნით, კისრულობს საქმის მოწყობას.

გაზეთმა ორ წელს «იბოგინა საცოდავად» და დაიხურა. მოსკოველებმა 100 000 მან. დაკარგეს, ნოვოევრემიელებმა — 150 000 მან (61).

ქურდები, როსკიპი მამაკაცები, გამყიდველი მწერლები, გამყიდველი გაზეთები. ესაა ჩვენი «დიდი პრესა». ესაა «მაღალი» საზოგადოების რჩეული ნაწილი. ამ ადამიანებს «ყველა» იცნობს, მათ «ყველგან» აქვთ კავშირი... მებატონეთა უსირცხვილო თავხედობა, რომელიც ბნელში გადახვევია ბურჟუაზიის უსირცხვილო გამყიდველობას. — აი იგი «წმინდა რუსეთი».

«პუტ პრავდი» № 41,
1914 წ. 20 მარტი

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.,
ტ. 20, გვ. 187—191.

ნ ე რ ი ღ ი ღ ა ნ

გაზეთ «პუტ პრავდის» რედაქციას

ძვირფასო კოლეგებო!

ყოველნაირად მიეესალმები გაზეთს და მის აშკარა გაუმჯობესებას. როგორც იქნა, ლიტერატურული მხარე ფეხზე დგება! ახლა სამეურნეო მხარის ჯერია. არ შეიძლება აგრეთვე «უტყვად» იქნას დატოვებული ხელისმომწერთა საკითხი: უნდა ქვეყნდებოდეს მათი რიცხვი, უამისოდ ვერ ავმაღლდებით წრეობანიდან ორგანიზებულობამდე, კერძო წამოწყებიდან კოლექტიურობამდე.

არ შემიძლია აგრეთვე დუმილით ავუარო გვერდი აშკარა შეცდომას № 22-ში, სადაც ვიბორგელთა სწორი რეზოლუციის გვერდით (ბურიანოვის შესახებ) მოთავსებულია ციურიხელთა უფრო გრძელი და საზიზღარ-ინტრიგანული რეზოლუცია [183], რედაქცია კი სდუმს: «პრავდის» სიტყვა კანონია, მისი დუმილი აბნევს მუშებს, მისი თავშეკავება თესავს გაუგებრობას...

დაწერილია 1914 წ. 23 მარტზე ადრე
გაგზავნილია კრაკოვიდან
პეტერბურგში
პირველად დაიბეჭდა 1956 წ.
ჟურნალ «კომუნისტში» № 5

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.,
ტ. 36, გვ. 295.

\

ვ. ბ. სტანკევიჩს

1914. 24. III. კრაკოვი

პატივცემულო ვ. ბ!

რადგან არ ვიზიარებ ძირითადად თქვენი ჟურნალის პროგრამას, რომელიც თქვენს მიერ არის გადმოცემული, უარი უნდა ვთქვა თანამშრომლობაზე [164].

მზად ვარ გემსახუროთ.

ვ. ი ლ ი ნ ი

WI. Uljanow. 51. Ulica Lubomirskiego. Krakow.

გაგზავნილია პეტერბურგში
პირველად დაიბეჭდა 1930 წელს
ლენინის კრებულში XIII

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.,
ტ. 36, გვ. 298.

ს ვ ა ვ ი ი ღ ა ნ

«ბოლოსიტყვაობა კრებულისა: «მარქსიზმი და ლიკვიდატორობა»»

...ათასობით მუშათა ჯგუფები, რომლებიც ყველას თვალწინ აშკარად ირაზმებიან მარქსისტული გაზეთის ირგვლივ, — აი ნამდვილი ერთიანობისა და მისი ზრდის ცოცხალი დამამტკიცებელი საბუთი...

დაწერილია 1914 წ. აპრილში
დაიბეჭდა 1914 წლის კრებულში: «მარქსიზმი და ლიკვიდატორობა», ნაწილი II. გამომც. «პრიბოი», ს.-პეტერბურგი

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც., ტ. 20, გვ. 327.

ნ ე ბ ი ს ი ერ ე ბ ი

ვ. ა. კარპინსკის

ძვირფასო მეგობარო! დიდი მადლობა რუბაკინის I ტომისათვის. მალე დაგიბრუნებთ. თუ სასწრაფოა, მაცნობეთ. ძ ა ლ ი ა ნ მიხარია, რომ თქვენ «სოვრემენნიკს» არ თანაუგრძნობთ: ორ არამზადათა, ლიკვიდატორთა და ნაროდნიკთა ბლოკის ამ საძაგელ წამოწყებას ჩვენ სასტიკად გამოვლანძღავთ (გ. სტანკევიჩმა მიმიწვია; მე ეუპასუხე: «რაკი ძირითადში არ გეთანხმებით, უარი უნდა ვთქვა თანამშრომლობაზე-მეთქი»).

რა თქმა უნდა, გასამრჯელოს გულისათვის ჩვენ ყველას ზოგჯერ გვიხდება ბურჟუაზიულ გაზეთებში მუშაობა! მაგრამ ბბ. მარტოვმა და დანმა «დემონსტრაცია» მოაწყვეს!! პლეხანოვიც ამ სამარცხვინო ადგილასაა![165]

თქვენი დელეგატობის მოწმობას ხალისით გამოგიგზავნით: ცენზურული უნდა იყოს (როგორ?) თუ არალეგალური??

გართმევთ ხელს. თქვენი ლ ე ნ ი ნ ი.

დაწერილია 1914 წ. 22 მაისზე
უფრო გვიან
გაგზავნილია პორონინიდან ენენეაში
პირველად დაიბეჭდა 1930 წელს
ლენინის კრებულში XIII

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.,
ტ. 36, გვ. 309.

ს ტ ა ტ ი ს ტ ი კ ა

«ერთიანობის შესახებ»

მთელი რუსეთის შეგნებული მუშების უმრავლესობა 2½ წლის განმავლობაში (1912 წ. 1 იანვრიდან) საქმით გაერთიანდა 1912 წ. იანვარში, 1913 წ. თებერვალსა და 1913 წლის ზაფხულში მიღებულ პრავდისტულ გადაწყვეტილებათა გარშემო. ეს დამტკიცებულია ზუსტი მონაცემებით იმ მუშათა ჯგუფების შესახებ, რომელთაც სხვადასხვა გაზეთებისათვის შეჰქონდათ ფული. თუ სხვადასხვა ინტელიგენტური პაწაწა ჯგუფები, ვერ პოულობენ რა მომხრეებს მუშათა მასაში, გვერდს უვლიან ამ მონაცემებს, სდუმან მათ შესახებ, ამის გამო მონაცემები როდი ქრებიან: ამით მხოლოდ ის მტკიცდება, რომ სხვადასხვა ინტელიგენტური ჯგუფები მოწყვეტილნი არიან მუშათა მასას და რომ მათ ე შ ი ნ ი ა თ ს ი მ ა რ თ ლ ი ს ა.

რაოდენობა მუშათა ჯგუფებისა, რომელთაც ფული შეჰქონდათ გაზეთებისათვის ს. — პეტერბურგში:

	პრავდისტული	ლიკვიდატორული
სრული ორი წლის, 1912 და 1913 წწ. განმავლობაში	2 801	750
1914 წ. ნახევრის განმავლობაში (1 იანვრიდან 13 მაისამდე)	2 873	671
ს უ ლ.....	5 674	1 421

ამ მონაცემებიდან, რომლებიც მრავალჯერ დაბეჭდილა და არავის შეუსწორებია, არც სადავოდ გამოუცხადებია, ჩანს, რომ ლიკვიდატორებს მ ხ ო ლ ო დ ე რ თ ი მ ე ხ უ თ ე დ ი ჰყავდათ შეგნებულ მუშებს შორის (ამასთან ლიკვიდატორებისადმი აქ მიკუთვნებული იყო ყ ვ ე ლ ა მათი მოკავშირე, კავკასიელები, ტროცკისტე-

ბი, ბუნდისტები, ლატვიელები, ახლა კი მოკავშირეები მათ ს ც ი ლ-
დ ე ბ ი ა ნ; ლატვიელები უ კ ვ ე ჩ ა მ ო ს ც ი ლ დ ნ ე ნ).

ამრიგად, მუშების 4/6-მა თ ა ვ ი ს ა დ აღიარა პრავდისტული გადაწყვეტილებანი, მოიწონა პრავდიზმი, ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ გაერთიანდა პრავდიზმის გარშემო...

«ტრუდოვაია პრავდა» № 2
1914 წ. 30 მაისი

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.,
ტ. 20, გვ. 385—386.

ს ჭ ა ბ ი ი ღ ა ნ

«ავანტიურიზმის შესახებ»

გავიხსენოთ «ისკრელობისა» და «ეკონომიზმის» ბრძოლა, 1895 — 1902 წლები. ეს იყო ს.-დ. აზროვნების ორი მიმდინარეობა, ერთი—პროლეტარული და მარქსისტული, შემოწმებული «ისკრის» სამწლიანი კამპანიით, შემოწმებული ყველა მოწინავე მუშის მიერ, რომლებმაც თავისად აღიარეს ზუსტი, ნათელი, გაფორმებული გადაწყვეტილებანი «ისკრული» ტაქტიკისა და ორგანიზაციის შესახებ. «ეკონომიზმი» იყო მიმდინარეობა ბ უ რ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი, ოპორტუნისტული, ლიბერალებისადმი მუშების დამმორჩილებელი....

...«პრავდიზმი» არის მიმდინარეობა, რომელმაც მოგვცა ზუსტი მარქსისტული პასუხები, რეზოლუციები (1908, 1910, 1912, 1913— თებერვალი და ზაფხული) ტაქტიკისა და ორგანიზაციისა და პროგრამის ყველა საკითხზე. ამ გადაწყვეტილებათა თანამომდევნობა ძველი «ისკრის» დროიდან (1901—1903) სასტიკად არის დაცული, ლონდონის (1907) ყრილობაზე რომ არა ვთქვათ რა. ამ გადაწყვეტილებათა სისწორე შემოწმებულია ყველა მოწინავე მუშის 5 — 6-წლიანი (1908 — 1914) გამოცდილებით, იმ მუშებისა, რომლებმაც ეს გადაწყვეტილებანი თ ა ვ ი ა ნ თ გადაწყვეტილებებად აღიარეს. «პრავდიზმმა» საქმით გააერთიანა რუსეთის შეგნებული მუშების ოთხი მეხუთედი (ს.-დ. მუშების 5 300 ჯგუფი 6 700-დან 2½ წლის გაქმაევლობაში).

«რაბოჩი» № 7,
1914 წ. 9 ივნისი.
ხელმოწერა: ვ. ილინი

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.,
ტ. 20, გვ. 434, 435, 436.

მუშათა კლასი და მუშათა პრესა

არ არის შეგნებული მუშებისათვის იმაზე უფრო მნიშვნელოვანი ამოცანა, ვიდრე თავისი მოძრაობის მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ი ს გ ა გ ე ბ ა და მისი ზ უ ს ტ ა დ შ ე ც ნ ო ბ ა. მუშათა მოძრაობის ძალის ერთადერთი, — მაგრამ სამაგიეროდ უძლეველი, — წყაროა მუშების შ ე გ ნ ე ბ უ ლ ო ბ ა და მათი ბრძოლის სიფართოვე, ე. ი. მასში დაქირავებულ მუშათა მ ა ს ი ს მონაწილეობა.

მარქსისტული პრესა ს.-პეტერბურგში უკვე წლობით არსებობს და იძლევა ერთადერთს, საუცხოო, უბადლო, ყველას და თვითეულის მიერ ადვილად შესამოწმებელ, მასალას მუშათა მოძრაობის სიფართოვისა და მასში სხვადასხვა მიმართულებათა ბატონობის შესახებ. ამ მასალისათვის გვერდის ავლა, როგორც ამას ლიბერალები და ლიკვიდატორები სჩადიან, მხოლოდ იმ ადამიანებს შეუძლიათ, ვისაც ჭეშმარიტების დამალვა სურს.

სრული მონაცემები ს.-პეტერბურგში 1914 წ. 1 იანვრიდან 13 მაისამდე «პრავდისტული» (მარქსისტული) და ლიკვიდატორული გაზეთებისათვის ფულის შეგროვების შესახებ დამუშავებული აქვს ამხ. ვ. ა. ტ-ს. ჩვენ სრულად ვბეჭდავთ მის მიერ შედგენილ ცხრილს, ხოლო ზოგჯერ სტატიის ტექსტში, რათა მკითხველის ყურადღება ზედმეტად არ დავტვირთოთ ციფრებით, დაახლოებითს მონაცემებს მოვიყვანთ.

აი ამხ. ვ. ა. ტ-ის ცხრილი. (იხ. გვ. 641).

უწინარეს ყოვლისა შევჩერდეთ მონაცემებზე მუშათა ჯგუფების რ ი ც ხ ვ ის შესახებ. ეს მონაცემები მოიპოვება როგორც «პრავდისტული», ისე «ლიკვიდატორული» გაზეთების არსებობის მთელი ხნის განმავლობაში. მ უ შ ა თ ა ჯგუფების რიცხვი იყო:

ფულის შეგროვება მარქსისტული („პარავდისტული") და ლიკვიდატორული გაზეთებისათვის სანკტპეტერბურგში 1914 წლის 1 იანვარიდან 13 მაისამდე

ეროვნული შემადგენლობა ფული	სანკტპეტერბურგი						ბაკური						ქართველები						სულ					
	პირველ			ლიტ			პირველ			ლიტ			პირველ			ლიტ			პირველ			ლიტ		
	რიგითი ფულადი ნაღები	შეგროვებული ფული		რიგითი ფულადი ნაღები	შეგროვებული ფული		რიგითი ფულადი ნაღები	შეგროვებული ფული		რიგითი ფულადი ნაღები	შეგროვებული ფული		რიგითი ფულადი ნაღები	შეგროვებული ფული		რიგითი ფულადი ნაღები	შეგროვებული ფული		რიგითი ფულადი ნაღები	შეგროვებული ფული		რიგითი ფულადი ნაღები	შეგროვებული ფული	
		მ.	კ.		მ.	კ.		მ.	კ.		მ.	კ.		მ.	კ.		მ.	კ.		მ.	კ.		მ.	კ.
ბუნები. ადგილები	2 024	13 943	24	308	2 231	98	130	865	—	25	263	52	719	4 125	86	338	2 800	67	2 873	18 934	10	671	3 296	12
სულ ამა ბუნებისაგან	325	1 256	92	165	1 799	40	46	260	51	24	1 137	30	332	1 082	79	230	2 113	90	713	2 650	01	453	6 759	77
მათ შორის																								
ბიბლიოლოგი და ამაღლებისმცოდნეობის ადგილები	26	369	49	19	293	13	8	115	30	3	21	—	20	167	13	23	317	09	54	650	92	45	630	22
ფილანთროპია, ბუღალტერია და სხ. ადგილები	8	104	—	14	429	25	6	47	10	5	897	—	28	252	72	35	1 129	35	42	458	82	54	2 450	60
ფასანაცვლები ადგილები	2	8	—	6	72	40	1	2	—	—	—	—	30	115	29	24	113	57	33	125	29	30	186	12
ცალკული პირები	281	650	96	120	966	72	29	63	61	14	197	03	221	332	03	137	443	80	331	1 046	62	266	1 608	32
ანა ალბეშული, ვისგან	8	64	47	8	38	70	2	33	50	2	26	50	33	220	60	16	110	14	43	318	57	24	175	34
სანდარაკოვიდან	—	—	-	—	—	-	—	—	-	—	—	-	—	—	-	—	—	-	10	49	79	34	1 709	17
ს ულ	2 349	15 200	16	473	4 031	39	176	1 125	51	49	1 400	62	1 051	5 208	65	548	4 910	52	3 586	21 384	11	1 124	12 053	89

	პრავდ. ჯგ.	ლიკვიდ. ჯგ.
მთელი 1912 წლის განმავლობაში	620	89
მთელი 1913 წლის განმავლობაში	2 181	661
1914 წ., 1 იანვრიდან 13 მაისამდე	2 873	671
სულ	5 674	1 421

ჯგუფების საერთო რიცხვია 7 095. რა თქმა უნდა, არის ჯგუფები, რომლებსაც ფული არაერთგზის შეუგროვებიათ, მაგრამ ასეთ ჯგუფთა რიცხვის შესახებ ცნობები არ მოიპოვება.

ჩვენ ვხედავთ, რომ ლიკვიდატორებს თანაუგრძნობს მუშათა ჯგუფების საერთო რიცხვის მხოლოდ 1/5 (ერთი მეხუთედი). «პრავდიზმმა», პრავდისტულმა გადაწყვეტილებებმა, პრავდისტულმა ტაქტიკამ 2½ წლის განმავლობაში გააერთიანეს რუსეთის შეგნებული მუშების ოთხი მეხუთედი. მუშების ერთიანობის ეს ფაქტი სასარგებლოა დავუპირისპიროთ ფრაზებს «ერთიანობის» შესახებ სხვადასხვა ინტელიგენტური პაწაწა ჯგუფების, «ვპერიოდელების», «პლეხანოველების», «ტროცკისტების» და სხვ. და სხვ. მხრივ.

შევადაროთ ერთმანეთს 1913 და 1914 წლის მონაცემები (1912 წ. მონაცემები შესადარისი არაა, ვინაიდან «პრავდა» აპრილში აღმოცენდა, ხოლო «ლუჩი» 5 თვით უფრო გვიან). ჩვენ დავინახავთ, რომ პრავდისტულ ჯგუფთა რიცხვი 692-ით, ე. ი. 31,7%-ით გადიდებულა, ლიკვიდატორულ ჯგუფთა კი — 10-ით, ე. ი. 1,5%-ით.

მაშასადამე, მუშების მზადყოფნა პრავდისტული გაზეთებისათვის მხარისდაჭერისა 20-ჯერ უფრო სწრაფად გაზრდილა, ვიდრე მათი მზადყოფნა ლიკვიდატორული გაზეთებისათვის მხარისდაჭერისა.

გადავხედოთ მთელ რუსეთში ორივე მიმართულების მუშების განაწილებას:

	მუშათა ჯგუფების პროცენტი	
	პრავდისტული ჯგუფები	ლიკვიდატორული ჯგუფები
ს.-პეტერბურგში	86%	14%
მოსკოვში	83%	17%
პროვინციაში	68%	32%

დასკვნა ნათელია: რაც უფრო განვითარებული არიან მუშათა მასები, რაც უფრო მაღალია მათი შეგნებულობა და პოლიტიკური აქტივობა, მით უფრო ძლიერია მუშებს შორის პრავდისტების სიჭარბე. პიტერში ლიკვიდატორები თითქმის სრულებით არიან გამოძეებულნი (100-დან 14); ძლივძლივობით განაგრძობენ ისინი

ჯერ კიდევ ბოგინს პროვინციაში (100-დან 32), სადაც მასები ყველაზე ნაკლებად ერკვევიან პოლიტიკაში.

ფრიად საგულისხმოა აღინიშნოს, რომ მონაცემები სულ სხვა წყაროდან, სახელდობრ: სადაზღვევო დაწესებულებათა არჩევნებში მუშების რწმუნებულთა შემადგენლობის შესახებ, ზედმიწევნით უახლოვდება მონაცემებს მუშათა ჯგუფების შესახებ. დედაქალაქის საკრებულოს არჩევნების დროს 37 რწმუნებული პრავდისტი იყო და 7 ლიკვიდატორი, ე. ი. 84% და 16%. ყველა რწმუნებულთა შორის პრავდისტები 70%-ს შეადგენდნენ (37-ს 53-დან), ხოლო სრულიად რუსეთის სადაზღვევო დაწესებულების არჩევნებში — 47-ს 57-დან, ე. ი. 82%-ს. ლიკვიდატორები, უპარტიონი და ნაროდნიკები — უმნიშვნელო უმცირესობაა მუშებისა, რომლებიც ჯერ კიდევ ბურჟუაზიულ გავლენას განიცდიან.

შემდეგ. აი საინტერესო ცნობები მუშათა ჯგუფებისაგან შემოსული თანხების საშუალო სიდიდის შესახებ:

	საშუალოდ შემოსულია მუშათა ჯგუფებისაგან	
	პრავდისტული ჯგუფებისაგან	ლიკვიდატორული ჯგუფებისაგან
ს.-პეტერბურგში	6 მ. 88 კ.	7 მ. 24 კ.
მოსკოვში	6 » 65 »	10 » 54 »
პროვინციაში	5 » 74 »	8 » 28 »
რუსეთში	6 » 58 »	7 » 89 »

პრავდისტული ჯგუფები გვიჩვენებენ ბუნებრივ, გასაგებ, ასე ვთქვათ, ნორმალურ მოვლენას: მუშათა მასების საშუალო ხელფასის მატებისდა კვალად მატულობს მუშათა საშუალო ჯგუფის საშუალო შენატანი.

ლიკვიდატორებში კი, გარდა მოსკოვის ჯგუფთა (ასეთი ჯგუფია სულ 25!) განსაკუთრებული ნახტომისა, ვხედავთ პროვინციულ ჯგუფთა უფრო დიდ შენატანს პიტერის ჯგუფებთან შედარებით!!! რით შეიძლება აიხსნას ეს უცნაური მოვლენა?

ამ კითხვაზე დანამდვილებით პასუხის მოცემა შეუძლია მონაცემების მხოლოდ უფრო დაწვრილებითს დამუშავებას, რაც დიდ შრომას მოითხოვს. სავარაუდო ჩვენი პასუხი ასეთია: ლიკვიდატორები აერთიანებენ საუკეთესო ხელფასის მქონე მუშების უმცირესობას მრეწველობის ზოგიერთი ფენიდან. მთელ მსოფლიოში შემჩნეული იყო, რომ ასეთი მუშები ყველაზე უფრო მტკიცედ ლიბერალურ და ოპორტუნისტულ იდეებს მისდევენ. ჩვენში, პიტერში, ლიკვიდატო-

რები ყველაზე უფრო დიდხანს მბეჭდავებმა იგუეს, და მათი კავშირის მხოლოდ უკანასკნელ არჩევნებში, 1914 წ. 27 აპრილს, პრავდისტებმა ნახევარი მოიპოვეს გამგეობის წევრთა სიაში და უმრავლესობა — მათი კანდიდატების სიაში. მბეჭდავებს კი ყველა ქვეყანაში ყველაზე მეტი მიდრეკილება აქვთ ოპორტუნიზმისადმი, და ზოგიერთ მათს თანრიგს საუკეთესო ხელფასი აქვს.

თუ ჩვენი დასკვნა ლიკვიდატორებისადმი მუშათა არისტოკრატიის უმცირესობის თანაგრძნობის შესახებ მხოლოდ სავარაუდოა, სამაგიეროდ ცალკეულ პირთა მიმართ საქმე არავითარ ეჭვს არ იწვევს. არამუშათა შენატანიდან ნახევარზე მეტს შეადგენს ცალკეულ პირთა შენატანი (531 შენატანი 713-დან ჩვენთან, 266 შენატანი 453-დან ლიკვიდატორებთან). ასეთი შენატანის საშუალო ოდენობა ჩვენთან 1 მ. 97 კ. შეადგენს, ლიკვიდატორებთან — **6 მ. 05 კ.!!**

ცხადია, პირველ შემთხვევაში საქმე ეხება დაბალ მოსამსახურეებს, მოხელეებს და ნახევრად-პროლეტარული ხასიათის სხვა წვრილბურჟუაზიულ ელემენტებს. ლიკვიდატორებთან კი ჩვენ ვხედავთ ბურჟუაზიის წრის მდიდარ მეგობრებს.

ეს მდიდარი მეგობრები ბურჟუაზიიდან კიდევ უფრო მკაფიოდ ჩნდებიან ჩვენს წინაშე «მომხრეთა, მეგობართა და სხვ. ჯგუფების» სახით. ამ ჯგუფებმა ჩვენ მოგვცეს 458 მ. 82 კ., ე. ი. მთელი შეგროვებული თანხის 2%, ამასთან ერთი ჯგუფის საშუალო შენაკრებია 10 მ. 92 კ., სულ 1½-ჯერ მეტი მუშათა ჯგუფის საშუალო შენაკრებზე. ლიკვიდატორებს კი აღნიშნულმა ჯგუფებმა მისცეს 2 450 მ. 60 კ., ე. ი. მთელი შეგროვებული თანხის 20%-ზე მეტი, ხოლო ერთი ჯგუფის საშუალო შენაკრები=**45 მ. 39 კაპ.**, ე. ი. მუშათა ჯგუფის საშუალო შენაკრებზე ერთიექვსად მეტი!!

ვუმატებთ ამას საზღვარგარეთს, სადაც ფულის შეგროვების მთავარი წყაროა ბურჟუაზიული სტუდენტობა. საზღვარგარეთმა ჩვენ 49 მ. 79 კ. მოგვცა, ე. ი. ¼%-ზე ნაკლები; ლიკვიდატორებს — 1 709 მ. 17 კ., ე. ი. **14%**.

თუ ერთად მოვაქცევთ ცალკეულ პირთ, «მომხრეებს, მეგობრებს» და საზღვარგარეთს, მივიღებთ ამ წყაროებიდან მიღებული ფულის ჯამს:

პრავდისტებს — 1 555 მ. 23 კ., ე. ი. მთელი შეგროვებული თანხის **7%**.

ლიკვიდატორებს — 5 768 მ. 09 კ., ე. ი. მთელი შეგროვებული თანხის **48%**.

ჩვენ ეს წყარო 1/10-ზე ნაკლებს გვაძლევს მუშათა ჯგუფებთან შე-

დარებით (18 934 მ.). ლიკვიდატორებს — მ ე ტ ს, ვიდრე მუშათა ჯგუფები (5 293 მ.)!!

დასკვნა ნათელია: ლიკვიდატორული გაზეთი არის ა რ ა მუშათა გაზეთი, არამედ ბ ურ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი გაზეთი. იგი, უმთავრესად, ბ.ურ ჟ უ ა ზ ი ი ს წ რ ი ს მ დ ი დ ა რ ი მ ე გ ო ბ რ ე ბ ი ს ხარჯზე არსებობს.

ბურჟუაზიისაგან ლიკვიდატორების ნამდვილი დამოკიდებულება გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე ჩვენი მონაცემები გვიჩვენებენ. საქმე ისაა, რომ პრავდისტულ გაზეთებს მ რ ა ვ ა ლ ჯ ერ გამოუქვეყნებიათ საყოველთაო ცნობისათვის თავიანთი ფინანსური ანგარიშები. იქიდან ჩანდა, რომ გაზეთი, უმატებს რა შემოსავალს შეგროვებულ ფულსაც, თავის ხარჯებს ფარავს. 40 000-იანი ტირაჟის დროს (საშუალო 1914 წ. მაისისათვის) ეს გასაგებია, მიუხედავად კონფისკაციებისა და განცხადებათა ნაკლებობისა. ლიკვიდატორებმა კ ი მ ხ ო ლ ო დ ე რ თ ხ ე ლ («ლუჩის» № 101) დაბეჭდეს თავიანთი ანგარიში, რომელიც 4 000 მან. დეფიციტს აჩვენებდა, ხოლო შემდეგ გადავიდნენ საერთო-ბურჟუაზიულ ჩვეულებაზე: არ გამოაქვეყნონ ანგარიშები. მათი გაზეთის 15 000-იანი ტირაჟის დრის დეფიციტი აუცილებელია, და მას, ცხადია, ფარავენ კვლავ და კვლავ მდიდარი მეგობრები ბურჟუაზიიდან.

ლიბერალურ მუშათა პოლიტიკოსებს უყვართ გადაკვრით ნიშნება «მუშათა ღ ი ა პარტიაზე», მაგრამ მათ არა სურთ გ ა უ მ ხ ი ლ ო ნ ნამდვილ მუშებს თავიანთი ნამდვილი დამოკიდებულება ბურჟუაზიისაგან! ჩვენც, იატაკქვეშ მომუშავენი, იძულებული ვართ ვასწავლოთ ლიკვიდატორ-ლიბერალებს აშკარა ანგარიშების სარგებლობა...

თუ შევაჯამებთ, მუშათა და არამუშათა შენაკრების თანაფარდობა ასეთია:

	თვითეული შეგროვებლი მანეთიდან:	
მიდის შენაკრები:	პრ ავდისტების გაზეთებისათვის	ლიკვ-დატორების გაზეთებისათვის
მუშებისაგან	87 კაპიკი	44 კაპიკი
ა რ ა მუშებისაგან	13 კ ა პ ი კ ი	56 კაპიკი
ს უ ლ	1 მ. 00 კაპიკი	1 მ. 00 კაპიკი

პრავდისტები ¹/₇-, სარგებლობენ ბურჟუაზიის, ამასთან, როგორც დავინახავთ, მისი ყველაზე უფრო დემოკრატიული და ყველაზე ნაკლებ შეძლებული ფენების, დახმარებით. ლიკვიდატორთა წამოწყება უ მ თ ა ვ რ ე ს ა დ ბურჟუაზიული წამოწყებაა, რომელსაც ჯერ კიდევ მისდევს მუშების უმცირესობა.

მონაცემები ფულის შეგროვების წყაროს შესახებ გვიჩვენებენ აგრეთვე გაზეთის მკითხველ-მყიდველთა კლასობრივ მდგომარეობას. ნებაყოფლობითი შენატანი შემოდის მხოლოდ მუდმივი მკითხველებისაგან, რომლებიც ყველაზე უფრო შეგნებულად თანაუგრძნობენ გზეთის მიმართულებას. და, თავის მხრივ, გაზეთის მიმართულება ძალაუნებურად «ეგუება» გაზეთის აუდიტორიის ყველაზე «გავლენიან» ფენას.

დასკვნები ჩვენი მონაცემებიდან გამომდინარეობს, ჯერ-ერთი, თეორიული, რაც ხელს უწყობს მუშათა კლასის მიერ თავისი მოძრაობის პირობათა შეცნობას; მეორეც, პრაქტიკული, რაც პირდაპირ მითითებას იძლევა ჩვენი მუშაობისათვის.

ზოგჯერ ამბობენ, რუსეთში ორი მუშათა პრესაა. ამას წინათ ეს. პლეხანოვმაც კი გაიმეორა. მაგრამ ეს სწორი არ არის. ასე მოუბარნი ან თავიანთ სრულ უმეცრებას ამჟღავნებენ, ანდა ფარულ სურვილს — დაეხმარონ ლიკვიდატორებს მუშებზე ბურჟუაზიული გავლენის გატარებაში. პარტიულ გადაწყვეტილებებს დიდი ხანია და არაერთგზის (მაგ., 1908 და 1910 წლებში) აღუნიშნავთ ზუსტად, ნათლად და პირდაპირ ლიკვიდატორობის ბურჟუაზიული ხასიათი. მარქსისტული პრესის სტატიებში ეს ჭეშმარიტება ასჯერ ყოფილა განმარტებული.

გამოცდილებას ყოველდღიური გაზეთისას, რომელიც ცხადლივ მიმართავს მასებს, გარდუვალად უნდა გამოეაშკარავებინა ლიკვიდატორული მიმდინარეობის ნამდვილი კლასობრივი ხასიათი. გამოცდილებამ გამოააშკარავა იგი. ლიკვიდატორული გაზეთი ნამდვილად აღმოჩნდა ბურჟუაზიული წამოწყება, რომელსაც მიჰყვება მუშების უმცირესობა.

ნუ დავივიწყებთ, გარდა ამისა, რომ ლიკვიდატორული გაზეთი თითქმის 1914 წ. გაზაფხულამდე აგვისტოს ბლოკის ორგანო იყო. მას მხოლოდ ახლა ჩამოსცილდნენ ლატვიელები, ლიკვიდატორებს ჩამოშორდნენ და შორდებიან ტროცკი, ემ-ელი, ანი, ბურიანოვი, ეგოროვი; ბლოკის დაშლა გრძელდება. უახლოესი მომავალი გარდუვალად კიდევ უფრო თვალნათლივ გამოააშკარავებს ლიკვიდატორული მიმდინარეობის ბურჟუაზიულ ხასიათსაც და ინტელიგენტურ პაწაწინა ჯგუფთა: ვპერიოდელთა, პლეხანოველთა, ტროცკისტთა და სხვ. უსიცოცხლობასაც.

პრაქტიკული დასკვნები შემდეგ პუნქტებად შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ:

1) რიცხვი: მუშათა 5 674 ჯგუფი, პრავდისტების მიერ 2½ წელზე ნაკლები ხნის განმავლობაში გაერთიანებული, საკმაოდ მნიშვნელოვანია რუსეთის მძიმე პირობებში. მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია. ჩვენ გვესაჭიროება ათასობით კი არა, არამედ ათიათასობით მუშათა ჯგუფები: მუშაობა უნდა გავაათკეცოთ. ასობით მუშებისაგან კაპიკობით შეგროვებული 10 მანეთი უფრო მნიშვნელოვანია და ძვირფასი, როგორც იდეური, ისე ორგანიზაციული მხრით, ვიდრე ბურჟუაზიის წრის მდიდარი მეგობრებისაგან შემოსული 100 მანეთი. ფინანსური მხრივაც კი გამოცდილება გვაღიარებინებს, რომ მუშათა კაპიკებით შეიძლება მუშათა მტკიცე გაზეთის დაყენება, ბურჟუაზიული მანეთებით კი შეუძლებელია. ლიკვიდატორული წამოწყება არის საპნის ბუშტი, რომელიც უნდა გასკდეს და გასკდება კიდევაც.

2) განსაკუთრებით ჩამორჩენილია ჩვენში პროვინცია, სადაც ლიკვიდატორებს მუშათა ჯგუფების მთელი 32% მისდევს!! ყოველმა შეგნებულმა მუშამ მთელი ძალღონე უნდა დაძაბოს, რათა ბოლო მოუღოს ამ საეალალო და სამარცხვინო მოვლენას. პროვინციას ყოველნაირად უნდა მოვეპატრონოთ.

3) სოფლის მუშებს, როგორც ეტყობა, ჯერ კიდევ თითქმის სულ არ შეჰხებიათ მოძრაობა. რაც უნდა ძნელი იყოს აქ მუშაობა, მისი წარმოება უაღრესი შეუპოვრობითა და დაჟინებითაა საჭირო.

4) როგორც დედა მზრუნველობით უვლის ავადმყოფ ბავშვს და უკეთესად კვებავს მას, ასევე უფრო მზრუნველობით უნდა უვლიდნენ შეგნებული მუშები იმ რაიონებსა და ფაბრიკებს, სადაც მუშები ლიკვიდატორობით არიან დაავადებულნი. ეს, ბურჟუაზიისაგან მომდინარე, სენი გარდუვალია მუშათა ახალგაზრდა მოძრაობაში, მაგრამ წესიერი მოვლისა და დაჟინებითი მკურნალობისას იგი ქრება და მაინცდამაინც მავნე კვალს არ დაჩნევს მუშებზე სამუდამოდ. უფრო გულმოდგინედ ვკვებოთ ავადმყოფი მუშები, მარქსისტული ლიტერატურით, — უფრო მზრუნველობით და პოპულარულად განვმარტავდეთ პარტიის ისტორიასა და ტაქტიკას, ლიკვიდატორობის პურჟუაზიული ხასიათის შესახებ გამოტანილ პარტიულ გადაწყვეტილებათა აზრს, — უფრო საფუძვლიანად ვჩერდებოდეთ იმაზე,

რომ აუცილებლად საჭიროა პროლეტარული ერთიანობა, ესე იგი მუშების უმრავლესობისადმი უმცირესობის დამორჩილება, ესე იგი რუსეთის შეგნებული მუშების ოთხი მეხუთედისადმი ერთი მეხუთედის დამორჩილება. ასეთია ჩვენი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა.

«ტრუდოვაია პრავდა» №№ 14 და 15; 1914 წ. 13 და 14 ივნისი
კრებული: «მარქსიზმი და ლიკვიდატორობა», ნაწილი II. გამომც. «პრიბოი», ს.-პეტერბურგი, 1914 წ.
ხელმოწერა: ვ. ი ლ ი ნ ი

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც., ტ. 20, გვ. 444—453.

ს ვ ა ვ ი ი ღ ა

«ობიექტური მონაცემები მუშათა მოძრაობაში არსებულ სხვადასხვა მიმდინარეობათა სიძლიერის შესახებ»[166]

... ობიექტური მონაცემებიდან მიღებული დასკვნები ცხადყოფენ, რომ მხოლოდ პრავდიზმი წარმოადგენს ბურჟუაზიისაგან ნამდვილად დამოუკიდებელ, მარქსისტულ, პროლეტარულ მიმდინარეობას, რომელიც რაზმავს, აერთიანებს მუშების $^4/_5$-ზე მეტს (ლიკვიდატორებთან შედარებით 81,1% მუშათა ჯგუფს 1914 წ)...

«ტრუდოვაია პრავდა» № 25, 1914 წ. 26 ივნისი

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც., ტ. 20, გვ. 472.

ს ტ ა ტ ი ი დ ა ნ

«რამდენად ძლიერია მუშებში მემარცხენე-ნაროდნიკული მიმდინარეობა»

... მხოლოდ პრავდისტული გაზეთია მუშათა გაზეთი. როგორც ლიკვიდატორების, ისე მემარცხენე ნაროდნიკების გაზეთები ბ ურ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი გ ა ზ ე თ ე ბ ი ა არავითარი სიცრუით არ შეიძლება ამ ო ბ ი ე ქ ტ უ რ ი ფ ა ქ ტ ი ს უარყოფა...

«ტრუდოვაია პრავდა» № 27
1914 წ. 28 ივნისი

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც., ტ. 20, გვ.475.

რსდმპ ცენტრალური კომიტეტის მოხსენებიდან და საინსტრუქციო მითითებებიდან ცენტრალური კომიტეტის დელეგაციას ბრიუსელის თათბირზე

II

1912 წლის 22 აპრილიდან ძველი სტილით რუსეთში გამოსვლა იწყო მუშათა ყოველდღიურმა გაზეთმა «პრავდამ», რომელიც შექმნილი იყო პარტიის აღდგენის მ ე ო ხ ე ბ ით 1912 წლის იანვრის კონფერენციაზე და ახორციელებს (ხშირად გადაკვრითი თქმებით. ყოველთვის შეკვეცილად) ამ კონფერენციის გადაწყვეტილებებს. გასაგებია, რომ ჩვენ არასოდეს არავითარ პრესაში არ ვლაპარაკობთ არალეგალურ კავშირზე პარტიის 1912 წლის იანვრის არალეგარულ კონფერენციასა და მის მიერ შექმნილ ცენტრალურ კომიტეტსა და ლეგალურ გაზეთ «პრავდას» შორის. 1912 წლის სექტემბრიდან გამოსვლა იწყო მოქიშპე გაზეთმა—ლიკვიდატორების «ლუჩმა»—ამჟამად «ნაშა რაბოჩაია გაზეტამ».[167] შემდეგ, 1912 წლის შემოდგომაზე მოხდა IV სახელმწიფო სათათბიროს არჩევნები. 1913 წლიდან რუსეთში დაიწყეს შემოღება ახალი კანონისა დაზღვევის შესახებ, რომელიც აწესებდა მუშათა საავადმყოფო სალაროებს. ბოლოს, მიუხედავად იმისა, რომ მთავრობა სასტიკად დევნის ლეგალურ პროფესიულ კავშირებს, მუდმივად ხურავს მათ, ისინი მუდმივად კვლავ ჩნდებიან.

ძნელი არ არის იმის გაგება, რომ მ ა ს ო ბ რ ი ვ ი მუშათა მოძრაობის ყველა ჩამოთვლილი გამოხატულება,—განსაკუთრებით ო რ ი ვ ე მიმართულების ყოველდღიური გაზეთები — იძლევიან უამრავ ხელმისაწვდომ, ადვილად შესამოწმებელ, ობიექტურ მონაცემს. ჩვენ მოვალედ ვრაცხთ ჩვენს თავს, საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს აღმასრულებელი კომიტეტის წინაშე, გადაჭრით გან-

ვაცხადოთ პროტესტი ლიკვიდატორებისა და მათი საზღვარგარეთელი დამცველების ჩვეულებრივი ხერხის წინააღმდეგ--გამოვიდნენ დაუსაბუთებელი მტკიცებებით, დარწმუნებებით და დეკლამაციებით, ამავე დროს კი უგულებელყონ რუსეთში მასობრივი მუშათა მოძრაობის ობიექტური ფაქტები...

დაწერილია 1914 წ. 23—30 ივნისს (6—13 ივლისს)
პირველად დაიბეჭდა 1929 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-2—3 გამოცემებში, ტომი XVII

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც., ტ. 20, გვ. 622—623.

მუშათა ბეჭდვითი სიტყვის დღის შედეგებისათვის

გაზეთ «პუტ პრავდის» ანგარიშიდან

მხოლოდ ახლა შეგვიძლია ზოგიერთი დასკვნის გამოტანა 22 აპრილის «მუშათა ბეჭდვითი სიტყვის დღის»[168] შესახებ.

გაზეთ «პრავდის» 2 წლის იუბილეს დღე მარქსისტული ძალების შეჯამების დღედ გადაიქცა.

ამ დღეს ყველა შეგნებულმა მუშამ აღმოუჩინა დახმარება თავის მუშურ ორგანოებს. და აი გროშებისაგან ასობით და ათასობით მანეთი შესდგა.

მხოლოდ 14 ივნისს დაიბეჭდა «ტრუდოვაია პრავდის» № 15-ში უკანასკნელი ანგარიში მუშათა ბეჭდვითი სიტყვის დღეს შემოსული თანხების შესახებ. «ბეჭდვითი სიტყვის დღემ» თითქმის ორ თვეს გასტანა.

«უმჯობესია გვიან, ვიდრე არასოდეს», — იწერებოდა ბევრი ამხანაგი, როცა თავის წვლილს 22 აპრილის შემდეგ გზავნიდა.

რეზოლუციები ისეთი რაოდენობით შემოდიოდა რედაქციაში, რომ არავითარი შესაძლებლობა არ იყო ყველა მათი არა თუ დაბეჭდვისა, არამედ ჩამოთვლისაც კი.

მაგრამ ამ რეზოლუციებმა თავისი საქმე გააკეთეს. მათ დაგვარწმუნეს, რომ ჩვენ სწორ გზაზე ვდგავართ და რომ მუშების უდიდესი უმრავლესობა თანამიმდევრული მარქსიზმის ლოზუნგებს უერთდება.

როგორც ცნობილია, «პრავდის» მიმართულების გაზეთების 2 წლის იუბილეს დღე ლიკვიდატორებმა თავიანთი გაზეთისათვისაც «ბეჭდვითი სიტყვის დღედ» გამოაცხადეს. თავის დროზე მათ დიდი ხმაური ატეხეს, რათა დაემტკიცებინათ თავიანთი უფლება—ბეჭდვითი სიტყვის დღეს შეერთებოდნენ სწორედ 22 აპრილს. უკვე მაშინ შემოიტანეს მათ ფედერაციის წინადადება და შეგროვებული თანხის შუაზე გაყოფას ითხოვდნენ. 22 აპრილის ღღეს გვიჩვენა, რომ «ფე-

დერაციასა» და «თანასწორუფლებიანობაზე» ლიკვიდატორულმა გაზეთმა მეტად ადრე დაიწყო ლაპარაკი.

ქალაქ პეტერბურგის მუშებმა სრულებით უარყვეს ფულის «ერთად შეგროვება». ლიკვიდატორული გაზეთის ამ მოწოდებამ ერთგვარი გამოხმაურება პოვა მხოლოდ სტუდენტობის ერთ ნაწილში და პროვინციის ზოგიერთ ქარხანაში.

ბეჭდვითი სიტყვის დღისათვის შემოსულ შემოწირულებათა საერთო ჯამზე ამ ერთად შეკრებილ თანხებს თითქმის არავითარი გავლენა არ მოუხდენიათ. «ნაშა რაბოჩაია გაზეტამ» 13 ივნისს № 34-ში უკვე სცადა შეედარებინა თავისი გაზეთისა და «პუტ პრავდისათვის» შეგროვებული თანხები. ჩვენ ვამბობთ — სცადა, იმიტომ, რომ არასგზით არ შეიძლება საბოლოო და სრულ შედარებად ვცნოთ «ნაშა რაბოჩაია გაზეტას» მიერ მოცემული შედარება. და «ნაშა რაბოჩაია გაზეტასაგან» ასეთი სრული შედარების მიღება რომ მოგვესურვებინა, ჩვენ მოგვიხდებოდა უკუნისამდე ლოდინი, ვინაიდან ლიკვიდატორებისათვის მეტად ხელსაყრელია საერთო ციფრების გამოყენება, ამ თანხების დაწვრილებით განუხილველად, იმის გამოურკვევლად, თუ ვისგან შემოვიდა ეს ფული.

ამიტომ ლიკვიდატორების ანგარიშების დეტალური დამუშავების ჯაფაც ჩვენ გვიხდება ვიკისროთ.

«ნაშა რაბოჩაია გაზეტა» ძალიან სანუგეშო დასკვნებამდე მიდის, ჯერ-ერთი, რომ «პრავდისტებს» რუსეთის შეგნებული მუშების $^3/_5$-იც არ მისდევს; მეორეც, რომ «პრავდისტების» სიჭარბე მხოლოდ პეტერბურგშია დიდი, პროვინციაში კი, პირიქით, «ნაშა რაბოჩაია გაზეტას» მომხრენი ჭარბობენო.

უწინარეს ყოვლისა ჩვენ მოგვიხდება ცოტაოდნად შევავსოთ ჩვენს მიერ შეგროვებული თანხების საბოლოო ჯამი, რაც «ნაშა რაბოჩაია გაზეტას» აღებული აქვს «ტრუდოვაია პრავდის» 11 ივნისის ნომრიდან. — იქ ჯამი გამოყვანილი იყო— 1 ივნისისათვის, მაგრამ რადგან «ნაშა რაბოჩაია გაზეტა» მის სასარგებლოდ შეგროვებულ თანხებს 10 ივნისისათვის აჯამებს, ამიტომ შედარების სისწორისათვის ჩვენ ჩავურთავთ კიდევ 1-დან 10 ივნისამდე შეგროვებული თანხების ანგარიშს, რომელიც დაიბეჭდა ა. წ. 14 ივნისს №-15-ში ამასთანავე 10 ივნისის შეჯამება სავსებით ზუსტი არ იყო, რადგან რუსეთის მასშტაბით შემოსული ზოგიერთი წვრილი შემოწირულება შეტანილი იყო პეტერბურგში შეკრებილი თანხების ჯამში.

ყველა ამ შესწორების შემდეგ ვიღებთ ქვემომოყვანილ საბოლოო თანხებს, რომლებთანაც გვექნება საქმე შემდეგში:

პეტერბურგში	11 680 ᲨᲔ. 96 კ
რუსეთში	6 325 » 28 »
საზღვარგარეთ	104 » 97 »
სულ	18 111 ᲨᲔ. 21 კ.

«ნაშა რაბოჩაია გაზეტასათვის» შეგროვებული თანხების სათანადო ციფრები:

პეტერბურგი	4 446 ᲨᲔ. 13 კ.
რუსეთი	6 409 » 12 »
საზღვარგარეთი	946 » 55 »
სულ	11801 ᲨᲔ. 80 კ.

განსხვავება პირველი შეხედვით არც ისე მნიშვნელოვანია და თითქოს ამტკიცებს, რომ «ნაშა რაბოჩაია გაზეტას» მართლაც მიჰყვება შეგნებული მუშების 2/5. მაგრამ საკმარისია ეს ციფრები დავანაწილოთ მუშებისაგან და არა მუშებისაგან შემოსულ ფულად, რომ სურათი ძირეულად შეიცვალოს.

«პუტ პრავდის» მოწოდებას «მუშათა ბეჭდვითი სიტყვის დღეს» მთელ რუსეთში გამოეხმაურა:

მუშათა 1915 ჯგუფი, რომლებმაც მისიფონდისათვის შეაგროვეს 16 103 ᲨᲔ. 71 კ.

«სევერნაია რაბოჩაია გაზეტას»[160] მოწოდებას გამოეხმაურა:

მუშათა 588 ჯგუფი, რომლებმაც შეაგროვეს 5 651 ᲨᲔ. 78კ.

არა მუშებისაგან «პუტ პრავდიმ» მიიღო 1 842 ᲨᲔ. 53 კ., «სევერნაია რაბოჩაია გაზეტამ» კი — 6.062 ᲨᲔ. 02 კ., ე. ი. მეტი, ვიდრე მუშებისაგან.

მუშათა ბეჭდვითი სიტყვის დღისათვის შეკრებილი თანხების ეს ციფრები იმავე სურათს იძლევიან, როგორიც მოგვცა შეგროვებული თანხებისა და ჯგუფების შეჯამებამ, დაწყებული 1914 წ. 1 იანვრიდან მუშათა იმ ჯგუფების საერთო რაოდენობიდან, რომლებიც «მუშათა ბეჭდვითი სიტყვის დღეს» გამოეხმაურნენ, მხოლოდ 1/5-ზე ცოტა მეტი მოდის ლიკვიდატორულ გაზეთზე. ამავე დროს კი, ლიკვიდატორებმა ხომ ყველაფერი იღონეს, რომ მუშათა ბეჭდვითი სიტყვის დღისათვის ძალთა თანაფარდობა თავიანთ სასარგებლოდ შეეცვალათ. ამას ლიკვიდატორებმა ვერ მიაღწიეს. შეგნებული მუშების ოთხი მეხუთედი პრავდიზმს მიჰყვება — ეს ფაქტი, ლეგალური გაზეთების მთელი ამ ორი წლის არსებობის ციფრების საფუძველზე გამოყვანილი, დადასტურებულია მუშათა ბეჭდვითი სიტყვის დღითაც.

გადავიდეთ საქმის ვითარებაზე პეტერბურგსა და პროვინციაში. პეტერბურგში პრავდისტული გაზეთის სასარგებლოდ შემოწირულებათა (ჯგუფთა) რაოდენობა იყო 1 2 7 6, რომელთაგანაც შემოვიდა 10 762 მ. 46 კ.; ლიკვიდატორული გაზეთის სასარგებლოდ — 2 2 4, ხოლო თანხა — 2306 მ. 27 კ.. განსხვავება იმდენად თვალსაჩინოა, რომ ლიკვიდატორებიც კი ვერ ბედავენ უარყონ «პრავდისტების» სიჭარბე დედაქალაქის ყველაზე უფრო მოწინავე, ენერგიულ, დარაზმულ და პოლიტიკურად გამოცდილ პროლეტარიატში.

მაგრამ ისინი პრეტენზიას აცხადებენ პროვინციაზე.

«პროვინციაში — წერდა «ნაშა რაბოჩაია გაზეტა» — ჩვენ ვხედავთ პეტერბურგის საწინააღმდეგო მოელენას, პროვინციაში მხოლოდ «სევერნაია რაბოჩაია გაზეტამ» მეტი შეკრიბა, ვიდრე პრავდისტულმა ორგანომ».

აი ხიცრუის ნიმუში, რომელსაც განსაკუთრებით უნდა ჩაუკვირდნენ ამხანაგი მუშები. რაც მართალია, მართალია: პროვინციაში პრავდისტებმა შეკრიბეს 6 325 მ. 28კ., ლიკვიდატორებმა კი 6 409 მ. 12კ.. მეტია: ხომ ასეა? მაგრამ აი, იქნებ ინებოთ გადახედოთ შემდეგს ციფრებს.

პროვინციაში პრავდისტული გაზეთისათვის მუშათა 6 3 9 ჯგუფისაგან შემოვიდა **5 401 მ. 25 კ.** და არა მუშებისაგან 924 მ. 03 კ.

ლიკვიდატორული გაზეთისათვის კი შემოვიდა მუშათა 3 6 4 ჯგუფისაგან **3 345 მ. 51 კ.** და 78 არამუშური ჯგუფისა და ცალკეული პირებისაგან **3 004 მ .89 კ.**

დიახ, პროვინციაში ლიკვიდატორები უეჭველად ჭარბობენ. ოღონდ არა მუშებში, არამედ შეძლებულ «მეგობართა და თანამგრძნობთა» შორის.

ლიკვიდატორები ძალიან უბრალოდ მოიქცნენ: პროვინციაში თავიანთი «ს ი ჭ ა რ ბ ე» რომ დაემტკიცებინათ, მათ მუშათა გროშებს მიათვალეს ბურჟუაზიის წრიდან გამოსული თავიანთი მეგობრების კაპიტალები და ამით «გასრისეს» პრავდისტები!

შეიძლება ეს ოსტატურადაც იყოს გაკეთებული, მაგრამ — პატივცემულო ბატონებო — ამით თქვენ დაამტკიცეთ არა თქვენი სიჭარბე პროვინციაში, არამედ მხოლოდ ის, რომ თქვენ მოწყვეტილი ხართ პროვინციელ მუშებს, არა ნაკლებ, ვიდრე პეტერბურგშიც.

მუშათა ბეჭდვითი სიტყვისა და **მუშათა** მთლიანობის შექმნის საქმეში საჭიროა, შეიძლება და უნდა გავუწიოთ ანგარიში არა მდიდარი «მეგობრების» კაპიტალებს, არამედ მხოლოდ თვით მუშების თვითმოქმედებას.

მუშათა გაზეთისა და მუშათა მთლიანობის საქმეში ის ფაქტი, რომ ლიკვიდატორებმა არა მუშებისაგან თითქმის იმდენივე მიიღეს,

რამდენიც მუშებისაგან (5 1 1 5 მ. და 5 651 მ.), ჩვენი შეხედულებით პლუსი კი არა, მინუსია — ბურჟუაზიულ-ინტელიგენტურ წრეებთან ლიკვიდატორობის უახლოესი კავშირის ზედმეტად დამამტკიცებელი.

და ჩვენ, ჩვენდათავად, მხოლოდ ვამაყობთ იმით, რომ ჩვენი «რკინის ფონდი» თითქმის მთლიანად მუშათა გროშებისაგან შესდგება,— მუშებმა თავიანთი გაზეთისათვის 6 კვირის განმავლობაში 16 000 მანეთი შეაგროვეს.

როგორ შესდგა ეს თანხა? რა პროფესიებისა და რომელი რაიონების მუშები და რამდენად გვეხმარებოდნენ მტკიცე მარქსისტული გაზეთის შექმნაში?

ამის პასუხს იძლევა შემდეგი ცხრილი, რომელიც ამავე დროს თანამედროვე მუშათა მოძრაობის მდგომარეობის უაღრესად დამახასიათებელ დოკუმენტსაც წარმოადგენს.

აი «პუტ პრავდი»-ში შემოსული თანხების ცხრილი წარმოებათა (პროფესიათა) მიხედვით. პირველ რიგში, რა თქმა უნდა, მელითონენი დგანან. მოგესალმებით, ამხანაგებო!

	ხარ			პროვინცია		
	ჯგუფები	ფან.	კაპ.	ჯგუფები	ფან	კაპ.
მელითონენი	393	5 304	95	108	1 319	02
ხისდამმუშავებელნი	116	1 014	73	24	172	10
მბეჭდავები	113	966	34	37	236	47
რკინიგზელები	24	165	93	34	345	24
ნოქრები	59	238	11	18	132	76
ტრაქტირის მოსამსახურენი	27	107	58	3	68	73
მკერავნი	49	203	21	28	245	82
მეტყავენი	36	271	50	5	23	89
ელექტრიკოსები	31	275	35	6	39	76
ფეიქრები	41	303	88	24	130	32
ქალაქის საწარმონი (ტრამვაი და სხვ.)	32	340	93	11	132	14
მშენებელი მუშები	12	57	14	4	15	71
წყალსადენის მუშები	10	27	10	1	3	—
ოქრომჭედლები	29	128	45	2	16	50
მეპურეები	39	124	06	11	28	60
მეშახტენი	—	—	—	14	71	44

	სპბ.			პროვინცია		
	ჯგუფები	მან.	კაპ.	ჯგუფები	მან.	კაპ.
მუშათა ორგანიზაციები	9	79	97	9	112	04
მღებავნი	12	50	20	3	14	60
მეძეხვენი	8	31	45	2	5	63
ქიმიური საწარმონი	22	92	59	6	32	04
ეტლის მკეთებელნი	16	78	62	1	5	—
მეკანფეტენი	12	79	76	3	14	25
მუყაოზე მომუშავენი	5	13	45	—	—	—
თამბაქოს წარმოების მუშები	12	83	63	—	—	—
ბაქოს ნავთის მრეწველობის მუშები	—	—	—	12	83	98
მოსამსახურენი (კანტორ. მოსამს. და სხვ.)	38	273	11	18	123	65
გადასახლებულნი	—	—	—	23	67	72
შინამსახურნი (მეეზოვენი)	12	27	90	—	—	—
სხვადასხვა საწარ. და გამოურკვეველნი	99	422	52	232	1 960	84
სულ	1 276	1 0762	46	639	5 401	25

პეტერბურგში

უკანასკნელი წლების მუშათა მოძრაობის სათავეში პეტერბურგი დგას. მაშინ როცა პროვინციის ზოგიერთ (ახლა უკვე არც თუ ბევრ) ადგილას პროლეტარიატს ჯერ კიდევ ვერ გაუღვიძნია 1907—1911 წწ. პერიოდის მძიმე ძილისაგან, მაშინ როცა სხვა ადგილებში იგი მხოლოდ პირველ ნაბიჯებს დგამს, რათა გაუთანასწორდეს პეტერბურგის პროლეტარიატს, ამ უკანასკნელმა უდიდესი აქტივობა განავითარა, გამოეხმაურა, როგორც გრძნობიერი ბარომეტრი, ყველ. მოვლენას, რომელთაც კი მუშათა მოძრაობასთან აქვთ დამოკიდებულება. პეტერბურგის პროლეტარიატი პირველ ადგილზე დგას — ამის უარყოფას «სევერნაია რაბოჩაია გაზეტაც» კი ვერ გაბედავს.

და აი როგორ გამოეხმაურა პეტერბურგის პროლეტარიატი «მუშათა ბეჭდვითი სიტყვის დღეს».

აქ «პუტ პრავდისათვის» ფულს აგროვებდა 1 276 ჯგუფი, რომლებმაც მოგვცეს — 10 762 მ. 46 კ., «სევერნაია რაბოჩაია გაზეტისათვის» 224 ჯგუფი — 2 306 მ. 27 კ.

ჯგუფების რაოდენობის მიხედვით ლიკვიდატორები პეტერბურგის მუშათა მოძრაობაში შეადგენენ შეგნებული მუშების უკვე არა 1/6-ს, არამედ 1/7 ნაწილს, მათ მიერ შეკრებილი ფული კი პრავდისტების მიერ შეგროვებული თანხების მიმართ შეადგენს 1/6-ზე ცოტა მეტს.

ეს მონაცემები გვიჩვენებენ, რომ პეტერბურგის პროლეტარიატმა, რომელიც მუშათა მოძრაობას წინ მიუძღვის, მასობრივად იბრუნა პირი ლიკვიდატორებისაგან და ძველ შეუკვეცელ ლოზუნგებს იცავს.

მბეჭდავებშიც კი, ორგანიზებულ მუშებს შორის ლიკვიდატორების ამ ერთადერთ თავშესაფარში, «პრავდისტული» პრესისათვის შეგროვებულია თითქმის 5-ჯერ მეტი, ვიდრე ლიკვიდატორულისათვის (966 მ. 34 კ. «პუტ პრავდისათვის» და 201 მ. 21 კ. «სევერნაია რაბოჩაია გაზეტასათვის»).

ამასვე გვიჩვენებენ მონაცემები მელითონეთა შორის ფულის შეკროვების შესახებ. აქ «პუტ პრავდისათვის» შეგროვებულია 5 075 მ. 49 კ., «სევერნაია რაბოჩაია გაზეტასათვის» კი 1 283 მ. 66 კ.. ისევ 4-ჯერ მეტი, რაც კავშირის არსებობისას არა ერთხელ ყოფილა დამტკიცებული ლიკვიდატორების მუდმივი ჩავარდნებით არჩევნების დროს, საერთო კრებებზე გამოსვლების დროს და სხვ.

კიდევ უფრო უარეს მდგომარეობაშია ლიკვიდატორების საქმე პეტერბურგის სხვა პროფესიებს შორის. მაშინ როდესაც ხისდამმუშავებლებმა «პუტ პრავდისათვის» გაიღეს — 1 014 მ. 73 კ., «სევერნაია რაბოჩაია გაზეტასათვის» მათგან მხოლოდ 38 მ. 14 კ. შემოვიდა*.

ლიკვიდატორულ გამოცემებს არა ერთხელ აუტეხიათ ხმაური იმის შესახებ, რომ «პრავდას» მიჰყვებიან ყველაზე ბნელი მასები, რომლებიც სერიოზულ საკითხებში ვერ ერკვევიანო. «ნაშა ზარიას» ახლახან გამოსულ ივნისის ნომერში გადაჭარბებულად გულმოდგინე ლიკვიდატორი ბ-ნი ა. გორევი ამტკიცებს, რომ შეგროვებული თანხები და რეზოლუციები, რომლებიც მხარს უჭერენ «პრავდას», «მუშების ისეთი ფენებიდან მომდინარეობს, რომლებიც რუსეთის მუშათა მოძრაობის ისტორიაში პირველად ებმებიან სოციალ-დემოკრატიის ინტერესებისა და დავის სფეროში», — ბნელი, შეუგნებელი ანალგაზრდობისა და ჩამორჩენილი მუშების წრიდანო.

ნუთუ ბბ. ლიკვიდატორები ბედავენ ამ «ფენებს» მიაკუთვნონ მე-

* წინასწარ ვიხდით ბოდიშს «სევერნაია რაბოჩაია გაზეტას» წინაშე, თუ მისი ანგარიშების გადასინჯვის დროს გამოვტოვეთ 1—2 სახელოსნო, სადაც პროფესია აღნიშნული არ არის. ამას ადგილი არ ექნებოდა, «სევერნაია რაბოჩაია გაზეტა» რომ უფრო დაწვრილებით ამუშავებდეს თავის ცნობებს.

ლითონეებიც და მბეჭდავებიც, რომლებიც ყოველთვის მუშათა მოძრაობის პირველ რიგებში იდგნენ. რა თქმა უნდა, ბ-ნ გორევს არავითარი დამამტკიცებელი საბუთი არა აქვს თავისი მოსაზრების სასარგებლოდ, იგი სუბიექტურ დასკვნებს ეყრდნობა. დაე, ადგეს იგი ამ დასკვნებს. ჩვენ კი ურყევი ციფრებით დავამტკიცეთ, რომ ისეთ მოწინავე პროფესიებშიც კი, როგორნიც პეტერბურგის მბეჭდავნი და მელითონენი არიან, ლიკვიდატორები ძლივს შეადგენენ 1/5 ნაწილს.

ჩვენ აქ არ შეგვიძლია მოვიყვანოთ შეგროვებული თანხების შედარებითი ციფრები ყველა დანარჩენი პროფესიისათვის, ვინაიდან ეს მეტად დიდ ადგილს დაიკავებდა. ამიტომ მოვიყვანთ ყველა ამ პროფესიისათვის საერთო მონაცემებს.

გარდა ჩამოთვლილი პროფესიებისა «პუტ პრავდიმ» მუშებისაგან მიიღო 3 700 მ., «სევერნაია რაბოჩაია გაზეტამ» კი — 500 მან. (ციფრები დამრგვალებულია). ეს არის ნოქრების, მკერავების, მეტყავეების, ფეიქრების, მეპურეებისა და სხვების, წვრილ მრეწველობაში ჩაბმული მუშების შემოწირულებანი.

აქაც «პუტ პრავდისათვის» შეგროვებულია 7-ჯერ მეტი, ვიდრე «სევერნაია რაბოჩაია გაზეტასათვის». არც ერთი პროფესია არ არის ისეთი, რომელსაც «სევერნაია რაბოჩაია გაზეტასათვის» მეტი მიეცეს, ვიდრე «პუტ პრავდისათვის». კანტორის მოხელეებმა და მოსამსახურეებმაც კი «პუტ პრავდისათვის» შეაგროვეს 273 მ. 11 კ., «სევერნაია რაბოჩაია გაზეტასათვის» კი კანტორის მოხელეებმა და ნოქრებმა ერთად («სევერნაია რაბოჩაია გაზეტას» ცნობებით) შეაგროვეს 262 მან. 32 კაპ., ნოქრებმა «პუტ პრავდისათვის» გაიღეს 238 მ. 11 კაპ.

მოვიყვანთ კიდევ იმ საწარმოთა სიას, რომლებიც ყველაზე აქტიურად დაეხმარნენ თავიანთ მუშურ გაზეთს:

1) ქარხანა «ახალი აივაზი» — 791 მან. 37 კაპ. («სევერნაია რაბოჩაია გაზეტას»—464 მან. 67 კაპ.), 2) პუტილოვის ქარხანა—335 მან. 46 კაპ. («სევერნაია რაბოჩაია გაზეტას» — 59 მ. 38 კ.), 3) სპბ. ლითონის ქარხანა—273 მ. 36 კ. («სევერნაია რაბოჩაია გაზეტას» — 116 მ. 92 კ.), 4) მილების ქარხანა — 243 მ. 80 კ. («სევერნაია რაბოჩაია გაზეტას»—113 მ. 41 კ.), 5) სიმენს-შუკერტი — 229 მ. 26 კ.. 6) ერიქსონის ფაბრიკა — 228 მ. 82 კ. («სევერნაია რაბოჩაია გაზე-

ტას» — 55 მ. 13 კ.), 7) «პარვიაინენი—183 მ. 93 კ., 8) ქარხანა ძველი ლესნერი — 168 მ. 30 კ., 9) საფრანგეთ-რუსეთის ქარხანა—148 მ. 82 კ., 10) ქარხანა ახალი ლესნერი — 116 მ. 25 კ., 11) კაბელის ქარხანა — 112 მ. 62კ., 12) სიმენსჰალსკე — 104 მ. 30 კ., 13) ობუხოვოს ქარხანა — 91 მ. 02 კ., 14) სახელმწიფო ქაღალდების დამამზადებელი ექსპედიცია — 79 მ. 12 კ. («სეევერნაია რაბოჩაია გაზეტას» — 54 მან).[170]

«ტრუდოვაია პრავდა» №№ 30 და 31: 1914 წ. 2 და 3 ივლისი

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოცემა, ტ. 21, გვ. 681—691.

ს ტ ა ტ ი ი ნ

«რა დაამტკიცა რსდმ ფრაქციის გასამართლებამ?»

...პრავდისტულმა გაზეთებმა და «მურანოვისებური ტიპის» მუშაობამ შექმნეს რუსეთის შეგნებულ მუშათა 4/5-ის ერთიანობა. 40 000-მდე მუშა ყიდულობდა «პრავდას»; ბევრად უფრო მეტი კითხულობდა მას. დაე, თუნდაც ერთიხუთად და ერთიათად გაანადგუროს და დაქსასოს ისინი ომმა, საპყრობილემ, ციმბირმა, კატორღამ. ამ ფენის მოსპობა შ ე უ ძ ლ ე ბ ე ლ ი ა. იგი ცოცხლობს. იგი გამსჭვალულია რევოლუციურობითა და ანტიშოვინიზმით. მ ა რ ტ ო ო დ ე ნ იგი იმყოფება ხალხის მასებში და მათ შუაგულში. როგორც მშრომელთა, ექსპლოატირებულთა, ჩაგრულთა ინტერნაციონალიზმის მქადაგებელი. მ ა რ ტ ო ო დ ე ნ მან გასძლო საერთო რღვევაში. მარტოოდენ იგი მიუძღვის ნახევრადპროლეტარულ-ფენებს კადეტების, ტრუდოვიკების, პლეხანოვის, «ნაშა ზარიას» ს ო ც ი ა ლ-შ ო ვ ი ნ ი ზ მ ი დ ა ნ ს ო ც ი ა ლ ი ზ მ ი ს ა კ ე ნ. მისი არსებობა, მისი იდეები, მისი მუშაობა, მისი მიმართვა «სხვა ქვეყნების დაქირავებულ მონებთან ძმობისაკენ» მთელ რუსეთს დაანახვა რსდმ ფრაქციის გასამართლებამ.

ამ ფენასთან უნდა ვიმუშაოთ, მისი ერთიანობა სოციალ-შოვინისტების წინააღმდეგ უნდა დავიცვათ, ამ ერთადერთი გზით შეუძლია რუსეთის მუშათა მოძრაობას განვითარდეს სოციალური რევოლუციისაკენ და არა ნაციონალურ-ლიბერალური «ევროპული» ტიპის მიმართულებით.

«სოციალ-დემოკრატი» № 40.
1915 წ. 29 მარტი

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.,
ტ. 21, გვ. 202

ი. ლარინს

ი. ლარინისათვის

პატივცემულო ამხანაგო!

სამწუხაროდ, თანამშრომელთა შემადგენლობაც, კრებულის გამოურკვეველი ხასიათიც, თანამშრომელთათვის შემზღუდველი პირობებიც და მათი ნაწილის უცნობობაც, ყოველივე ეს მაიძულებს უარი ვთქვა მონაწილეობაზე. [171]

სოციალ-დემოკრატიული სალამით

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1916 წ. 13 მარტს
გაგზავნილია ციურიხიდან
სტოკჰოლმში
პირველად დაიბეჭდა 1930 წელს
ლენინის კრებულში XIII

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.,
ტ. 36, გვ. 426.

ა. გ. შლიაპნიკოვს

ძვირფასო ალექსანდრე! გუშინ მოკლედ მოგწერეთ. დღეს მინდა კიდევ მოგელაპარაკოთ.

იაპონელთა «პირობებმა» გულის სიღრმემდე აღმაშფოთეს. ორ რედაქტორს მიეცეს უფლება შემოიღონ თანამშრომლის დისკუსია! სამსაც კი არა, არამედ ორს — იმას ნიშნავს, რომ გამომცემელნი არავის არ «ენდობიან», გარდა საკუთარი თავისა.[172]

ამ პუნქტის აზრი ცხადია: სურთ რადეკს ამოეფარონ და გაადვიონ ჩვენი უთანხმოებანი მასთან და PSD-თან.[173] ეს დისკუსია კი არ არის, არამედ უაღრესი ინტრიგანობაა, უაღრესი საძაგლობაა. ეს იმას ჰგავს, რომ პარიზში «თავს გვახვევდნენ» დისკუსიას რაპოპორტთან, ან ლევასთან, ან ვიქტორენკოსთან, ან ბოგდანოვთან 1911 წელს!!! გწერდით, რომ პოლონური «გაზეტა რობოტნიჩა»[174] (1910 წ. თებერვალი) ჩვენს წინააღმდეგ სავსებით ისევე გამოდის, როგორც მაშინდელი პარიზელები გამოდიოდნენ.

არასგზით არ წავალ რედაქციაში ამგვარი ინტრიგანობით, რომელიც დისკუსიას ეფარება, თუ გინდათ ხელი შეუწყოთ ჩვენი პარტიის დაშლას, ბატონო იაპონელებო: ჰქენით ეს თქვენი პასუხისმგებლობით. თქვენ ქისა გატენილი გაქვთ. თვითონ გამოეცით რადეკის ან «გაზეტა რაბოტნიჩას» «დისკუსია»: მაშინ რუსი მუშები ერთბაშად დაინახავენ, რომ თქვენ ინტრიგანები ხართ და გამოგაგდებენ. თქვენ კი გინდათ ეს საზიზღრობა «კოლექტიური რედაქციის» საფარით გაატაროთ. უკაცრავად, ამას არ დავეთანხები და გამხილებთ. აი ჩემი პასუხი იაპონელებს ამის შესახებ.

ასევე «თანასწორუფლებიანობის» გამო (მეშვიდის განდევნა ან მისთვის კენჭისყრა).[175] ეს ძველი «თამაშის» გაგრძელებაა. რა შუაშია აქ პარტიულობა: ჩვენ «თანასწორუფლებიანობას» ჭივანიჭებთ ადამიანებს, რომლებმაც უარყოფითად გამოიჩინეს თავი!! რისთვის? თანასწორუფლებიანობა=მუშაობის წახდენის უფლებას! რის გულისათვის? რისთვის? კინკლაობის გამარადისებისათვის?

არა, თუ უნდათ ახალი ცდა მოახდინონ, — აკიღოთ ახალი ჟურნალი, უფრო სწორად — კრებული, და ვცადოთ (ძველი ნდობა შერყეულია) გამოვუშვათ ერთი კრებული შვიდის რედაქციით. მოვახდინოთ ცდა: ესაა დათმობის მაქსიმუმი, რასაც სინდისით შემიძლია დავთანხმდე, თუ ცდა არ გამართლდა, ბატონი ინტრიგანები და კაპიტალისტები არაფერს კარგავენ, ვინაიდან «ქისის» წართმევა ყოველთვის შეიძლება. ჩვენ კი მაშინ გამოვუშვებთ ჩვენს კრებულს. მარტივია. ნათელია. კინკლაობა არ იქნება.

მაგრად გართმევთ ხელს და გთხოვთ იყოთ მომთმენი.

თქვენი ლენინი

დაწერილია 1916 წ. მარტ-აპრილში
გაგზავნილია ციურიხიდან
ქრისტიანიაში
პირველად დაიბეჭდა 1929 წელს
ჟურნალ «პროლეტარსკაია
რევოლუციაში» №7.

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.,
ტ. 36, გვ. 432—433.

რსდმპ ცენტრალური კომიტეტის წინადადებიდან მეორე სოციალისტურ კონფერენციას, რომელსაც იწვევს (ბერნის) ISK*

(თეზისების დღის წესრიგის 5, 6, 7a და 7b და 8 პუნქტების გამო)

...თუ გერმანიაში ქუჩის დემონსტრაციები იმართებოდა, თუ საფრანგეთში იგზავნებოდა მთელი რიგი წერილები ფრონტიდან, რომლებიც მოუწოდებდნენ ხელი არ მოეწერათ სამხედრო სესხზე, თუ ინგლისში, რომ აღარაფერი ვთქვათ რუსეთზე, იყო მასობრივი გაფიცვები, ამ ბრძოლის დასახმარებლად, მისი ინტერნაციონალური შეკავშირებისათვის უსათუოდ აუცილებელია გავაშუქოთ თ ა ვ ი-ს უ ფ ა ლ, ე. ი. არალეგალურ, პრესაში ამ გზაზე გადადგმული ყოველი ნაბიჯი, შევამოწმოთ წარმატებანი, ავწონ-დავწონოთ მათი პირობები, შევაკავშიროთ და გავავითაროთ ბრძოლა. თუ არ არის არალეგალური ორგანიზაცია და არალეგალური პრესა, ისე «მასობრივი მოქმედების» აღიარება (როგორც ეს კიდევაც არის შვეიცარიაში) ცარიელ ფრაზად დარჩება...

დაწერილია 1916 წ. აპრილის დამდეგს
პირველად დაიბეჭდა 1927 წლის
6—7 ნოემბერს გაზეთ
«პრავდაში» № 255

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.,
ტ. 36, გვ. 443.

---

*) Internationale Sozialistische Kommission—ინტერნაციონალური სოციალისტური კომისია. რ ე დ.

ა. ბ. შლიაპნიკოვს

ალექსანდრესათვის

1916 წ. 23. V.

ძვირფასო მეგობარო! ეს-ეს არის მივიღე გრიგოლისაგან თქვენი 19.V წერილი მისდამი.

თქვენ იწერებით, «საშინლად მომბეზრდა «კომუნისტთან»[178] მიწერ-მოწერა და მოლაპარაკებაო». სავსებით მესმის თქვენი, მაგრამ იქონიეთ მოთმინება! მართლაც, რაკი ერთხელ დავიწყეთ მოლაპარაკება, ხომ არ შეიძლება ინერვიულოთ და სასოწარკვეთილებას მიეცეთ! ეს პროლეტარული არ არის, ღმერთმანი.

თქვენ ორ საკითხს აყენებთ: (1) კოოპტაციის წესით შევიყვანოთ რედაქციაში კიდევ ორი კაცი (ცენტრალური ორგანოს მომხრე); (2) შევქმნათ «სადისკუსიო განყოფილება» «კომუნისტთან».

პირველი პუნქტის გამო თქვენ წერთ: «მათთან საუბრებიდან გამოვარკვიე, რომ ამის საწინააღმდეგო მათ არაფერი აქვთ, რა თქმა უნდა, ერთგვარი გულისტკივილითო».

მე ვიფიქრე თქვენს გეგმაზე. არალიტერატორთა აყვანა (მეტადრე ყველა სავალალო ცდის შემდეგ) პირდაპირ გახრწნილებად და პარტიის წინაშე გაუმართლებელ საქმედ მიმაჩნია. ერთი ლიტერატორის შოვნა თითქოს მოხერხდება (მხედველობაში მყავს ერთი კაცი: უნდა გამოვიკითხოთ და კიდევ და კიდევ ვიფიქროთ, რომ ვთქვათ: ჰო თუ არა). მეორეს შესახებ უფრო ძნელია.

ხომ არ შეგიძლიათ ამგვარად შეცვალოთ თქვენი გეგმა, პრაქტიკულად რომ შეიძლებოდეს მისი განხორციელება: ან ცენტრალური ორგანოს რედაქცია შეიყვანს კოოპტაციის წესით (მაშინ იქნება 7) ორ პარტიულ ლიტერატორს, თუ ასეთებს გამონახავს; ანდა, თუ მხოლოდ ერთს გამონახავს, გამომცემელნი (კაცი და ქალი—

კიეველები) გამოგზავნიან რედაქციაში ერთს თავიანთი წრიდან? (მაშინ იქნება 5: ბუხარინი + გამომცემელი, + 3 აქ).

(ეს უკანასკნელი მე პირადად განსაკუთრებით მომეწონებოდა, ვინაიდან (ა) თავიდან აგვაცილებდა რედაქტორების **გ ა მ ო გ ო ნ ე ბ ა ს**; (ბ) არ შებღალავდა გამომცემელთა «უფლებებს», ვინაიდან სულერთია, ერთი ერთის წინააღმდეგ, თუ ორი ორის წინააღმდეგ; (გ) შექმნიდა რედაქციას ლიტერატორებისაგან, რაც მეტისმეტად მნიშვნელოვანია პარტიული მხრივ, რედაქტორობისადმი საზღვარგარეთულ მისწრაფებასთან საბრძოლველად).

იფიქრეთ ამაზე და მიპასუხეთ (თუ უხერხული არ არის, მოსინჯეთ ნიადაგი მეგობრებთან).

«სადისკუსიო განყოფილების» შესახებ თქვენი გეგმა დისკუტაბელურია, თუ იგი პრაქტიკულად დაისმება და მოისპობა ერთი რამ, რაც თქვენ არ შეგეძლოთ მხედველობაში გქონოდათ.

პრაქტიკულად, — ეს ნიშნავს ზუსტად დადგინდეს, ვის აქვს **უ ფ ლ ე ბ ა** მოათავსოს სადისკუსიო სტატია? რედაქტორთა კოლეგიის ყველა წევრს. ეს უდავოა. საკმარისია ეს? ვფიქრობ, რომ საკმარისია. რედაქციაში 5—7 კაცი იქნება.

«საქმე» აი რაში მდგომარეობს. დისკუსია პარტიის შიგნით. უდავოა. ჰოდა, უთანხმოებათა გაღვივება თუ კარების გაღება **ს ა ზ ღ ვ ა რ გ ა რ ე თ უ ლ ი ჯ გ უ ფ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს**, რომელნიც პარტიაში არ შედიან?? ესაა თავიდათავი. გამომცემლებმა «კომუნისტი» აუტანელი გახადეს, ვინაიდან მათ დისკუსიის გამართვა როდი უნდოდათ. ისინი არაფერს არ წერდნენ და არ ამზადებდნენ დისკუსიისათვის,— პირიქით სურდათ გამოეყენებინათ რადეკის მისწრაფება — გარედან შემძვრალიყო ჩვენი პარტიის ხვრელებში. რადეკიც, «ნაშესლოველებიც» და ბევრნი სხვანიც საზღვარგარეთული ჯგუფებიდან წელებზე ფეხს იდგამენ, რათა დისკუსიის **ს ა ბ ა ბ ი თ** ჩვენში შექმნან დაყოფანი, გაჰბერონ უკმაყოფილება, შეაფერხონ მუშაობა (საზღვარგარეთელთა ძველი თამაში!)

თქვენ, ალბათ, არ იცით, რომ რადეკმა ჩვენ გამოგვაძევა «Vorbote»-ს[177] რედაქციიდან? თავდაპირველად დათქმული იყო, რომ რედაქცია საერთოა და შედგება ორი ჯგუფისაგან: (1) ჰოლანდიელები (იქნებ + ტროცკი) და (2) ჩვენ (ე. ი. რადეკი, **გ რ ი გ ო ლ ი** და მე). ეს პირობა ჩვენ თანასწორობას გვანიჭებდა რედაქციაში.

რადეკი თვეების განმავლობაში ინტრიგას ეწეოდა და მიაღწია იმას, რომ «პატრონმა» (როლანდ-ჰოლსტმა) ეს გეგმა გააუქმა. ჩვენ თანამშრომელთა მდგომარეობაზე გადაგვიყვანეს. ფაქტია!

განა მიზანშეწონილია ამ გმირობის ჯილდოდ მიეცეს რადეკს

«დისკუსიის» უ ფ ლ ე ბ ა, ხოლო გამომცემლებს იმის უ ფ ლ ე ბ ა, რომ რადეკს ამოეფარონ? ეს იქნება არა დისკუსია, არამედ კინკლაობა და ინტრიგა. (1) «გაზეტა რობოტნიჩამ» (1916. II), რომელშიც რადეკი მონაწილეობს, მოათავსა აშკარა კინკლაობის შემცველი, არასაკადრისი რამეები ჩვენს წინააღმდეგ და «ნაშესლოვური» ხასიათის რეზოლუცია. (2) ახლა ირლანდიელთა აჯანყების შეფასების საკითხში (უმნიშვნელოვანესი საკითხია, ხომ მართალია? შიშველი «თეორია» როდია!) რადეკიც[178] და კულიშერიც («რეჩში» მოკალათებული კადეტი[179]) ერთსულოვანნი აღმოჩნდნენ და ყეყეჩურად მას «პუტჩი» უწოდეს.

დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია!

თუ გამომცემლებს უნდათ «დისკუსიის» საბაბით ტრიბუნა დაუთმონ ყველა საზღვარგარეთულ ჯგუფს, რომლებსაც კი სურთ ებრძოლონ ჩვენს პარტიას ისე, რომ მასში არ შედიოდნენ, ეს დისკუსია კ ი ა რ ა რ ი ს, ეს თამაშია.

თუ არ უნდათ, რატომ არ დადგინდეს ზუსტად, რომ მაგალითად. დისკუსიის უ ფ ლ ე ბ ა იფარგლება (1) რედაქციის წევრებით; (2) რუსეთის ორგანიზაციებით; (3) სოკ-ით,[180] როგორც პარტიის საზღვარგარეთული ორგანიზაციით?

«კომუნისტი» იყო კ ა ვ შ ი რ ი ჰოლანდიელებთან და რადეკთან. ეს კავშირი შეცვლილია იმით, რომ ჩვენ ჰოლანდიელთა და რადეკის ჟურნალში რედაქტორობიდან თანამშრომლებამდე ჩამოგვაქვეითეს. ნუ მიეცემით მავნე ილუზიებს, თითქოს კავშირი ძველებურად არსებობდეს!! მავნე ილუზიებია!! ჩვენ თვითონ უნდა ვიაროთ წინ და ა რ დ ა ვ უ შ ვ ა თ, რომ ხელები შეგვიკრან. ა რ ა ვ ი თ ა რ შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა შ ი.

პრაქტიკული დასკვნა: მოიფიქრეთ (მეც მოვიფიქრებ და მიეწერ გრიგოლს) შემდეგი §§.

1) იცვლება რედაქციის შემადგენლობა: 5 ან 7 (იხ. ზემოთ);

2) ვიღებთ სხვა ფორმას («კრებული» და მისთ.);

3) ზუსტი კონსტიტუცია დისკუსიის შესახებ (მაგ. ხასიათისა ×|×);

4) გამოცემის ადგილი შეეიცარია (ამ პუნქტზე თქვენ რატომღაც სდუმხართ, რაშია საქმე?);

5) შემოსავალი ასე და ასე იყოფა. დათანხმდებიან თუ არა გა-

მომცემელნი გვაძლიონ 1/2 ტრანსპორტისათვის, კავშირურთიერთობის და მისთ. ორგანიზატორის, ე. ი. თქვენი შენახვისათვის?

გვიპასუხეთ! თქვენი ვ. ულიანოვი

ათასი საუკეთესო სურვილი და ნუ ნერვიულობთ. უფროსებს უფლება არა აქვთ ინერვიულონ!!

გაგზავნილია ციურიხიდან ქრისტიანიაში
პირველად დაიბეჭდა 1929 წელს ჟურნალ «პროლეტარსკაია რევოლუციაში» № 7

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც., ტ. 36, გვ. 454—457.

ნეკიდიდან

ა. შლიაპნიკოვს

ლეგალურ პრესას რუსეთში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, ამიტომ სწორი ხაზის საკითხსაც უფრო და უფრო დიდი მნიშვნელობა ეძლევა, ვინაიდან ამ ასპარეზზე მტრებისათვის უფრო ადვილია «ტყვია დაგვიშინონ»...

დაწერილია 1916 წ. სექტემბრის დამლევს — ოქტომბრის დამდეგს
გაგზავნილია ციურიხიდან სტოკჰოლმში
პირველად დაიბეჭდა 1924 წელს

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც., ტ. 35, გვ. 238.

მოხსენებიდან

«1905 წლის რევოლუციის შესახებ»[181]

... მოპოვებულ იქნა ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება. ცენზურა პირდაპირ გაუქმდა. ვერც ერთი გამომცემელი ვერ ბედავდა წარედგინა ხელისუფალთათვის სავალდებულო ეგზემპლარი, ხოლო ხელისუფალნი ვერ ბედავდნენ მიეღოთ ამის საწინააღმდეგოდ რაიმე ზომები. პირველად რუსეთის ისტორიაში თავისუფლად გამოჩნდნენ პეტერბურგში და სხვა ქალაქებში რევოლუციური გაზეთები. მარტო პეტერბურგში გამოდიოდა სამი ყოველდღიური სოციალ-დემოკრატიული გაზეთი 50-დან 100 ათას ეგზემპლარამდე ტირაჟით...

დაწერილია გერმანულ ენაზე
1917 წ. 9 (22) იანვრამდე
პირველად დაიბეჭდა 1925 წ.
22 იანვარს გაზეთ «პრავდაში» № 18
ხელმოწერა ნ. ლ ე ნ ი ნ ი

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათ.
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.,
ტ. 23, გვ. 325

წ ე რ ი ლ ი დ ა ნ

ა. მ. კოლონტაის

16. III. 1917.

.....ახლა მთავარია პრესა, მუშების დარაზმვა რ ე ვ ო ლ უ ც ი ო ს.-დ. პარტიად...

გაგზავნილია ცარიზიდან
სტოკჰოლმში
პირველად დაიბეჭდა 1924 წელს

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.,
ტ. 35, გვ. 309

რესპუბლიკელ შოვინისტთა ოინები

1917 წლის 30 მარტი.

ეს-ეს არის «ციურიხის ახალი გაზეთის»[182] დღევანდელ, 30 მარტის 557-ე ნომერში, დილის პირველ გამოშვებაში. წავიკითხე შემდეგი:

«მ ი ლ ა ნ ი, 29 მარტი. ს.-პეტერბურგელი კორესპონდენტი იტყობინება, რომ იქ დაუპატიმრებიათ ვიღაც ჩ ე რ ნ ო მ ა ზ ო ვ ი, რედაქტორი სოციალისტურ გაზეთ «პრავდისა», რომელმაც გამოსვლა დაიწყო რევოლუციის დროს. ძველი რეჟიმის დროს ჩერნომაზოვი საიდუმლო პოლიციის აგენტი იყო და ყოველთვიურად 200 მანეთს იღებდა. მისი ხელმძღვანელობით გამომავალი გაზეთი, რომელიც სოციალისტურ რესპუბლიკას მოითხოვდა, სასტიკად თავს ეახმოდა დროებითს მთავრობას იმ აშკარა მიზნით, რომ რეაქციისათვის სამსახური გაეწია. საერთოდ უპასუხისმგებლო წრეების აგიტაცია მთავრობის წინააღმდეგ ეპვს იწვევს, რომ ეს წრეები შეთანხმებული არიან ძველ რეჟიმთან და მტერთან. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომაც კი, რომელიც, დროებითს მთავრობასთან შედარებით, გარკვეულ რადიკალურ თვალსაზრისზე დგას, ზურგი შეაქცია ამ წრეებს».

ეს ცნობა თავისი სიტყვებით გადმოსცემს იმ დეპეშას, რომელიც მოთავსებული იყო შოვინისტურ იტალიურ გაზეთ «საღამოს კურიერში» («Corriere della Sera»)[183], მილანი, 29 მარტი, და რომელიც იქ პეტერბურგიდან გამოუგზავნიათ 26 მარტს საღამოს 10 საათსა და 30 წუთზე. იმისათვის, რომ მკითხველებს განვუმარტო, თუ რაში მდგომარეობს ამჯერად საზოგადოდ შოვინისტების ჩვეულებრივი «ოინბაზობა», მე ცოტა შორიდან უნდა დავიწყო.

«ძველი რეჟიმის დროს», სახელდობრ 1912 წლის აპრილიდან 1914 წლის ივლისამდე, პეტერბურგში გამოდიოდა ყოველდღიური სოციალ-დემოკრატიული გაზეთი «პ რ ა ვ დ ა». ფაქტიურად ეს გაზეთი იყო ჩვენი პარტიის, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის, ც ე ნ ტ რ ა ლ უ რ ი კ ო მ ი ტ ე ტ ი ს ორგანო. მე ამ გაზეთში წერილებს ვათავსებდი თითქმის ყოველდღე კრაკოვიდან. სადაც მაშინ ვცხოვრობდი როგორც პოლიტიკური ემიგრანტი. სათათბიროს სოციალ-დემოკრატი დეპუტატები, რომელნიც ჩვენს

პარტიას ეკუთვნოდნენ და რომელნიც მეფემ ციმბირში გადაასახლა იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ აგიტაციისათვის, ბადაევი, მურანოვი, პეტროვსკი, შაგოვი, სამოილოვი (1914 წლის ზაფხულამდე ამ ჯგუფს ეკუთვნოდა მალინოვსკიც), ხშირად ჩამოდიოდნენ კრაკოვში და ჩვენ ვთათბირობდით ხოლმე, თუ როგორ წაგვემართა გაზეთი.

თავისთავად ცხადია, მეფის მთავრობა არათუ მთელი ძალღონით ჯაშუშებს გარს არტყამდა «პრავდას», რომელსაც 60 ათასამდე ტირაჟი ჰქონდა, არამედ ცდილობდა მის მოსამსახურეთა შორის პროვოკატორებიც შეეპარებინა. პროვოკატორთა შორის იყო ჩერნომაზოვიც, რომელსაც პარტიულ წრეებში მეტსახელად «მირონს» უწოდებდნენ. მან ნდობა მოიპოვა და 1913 წელს «პრავდის» მდივანი გახდა.

დეპუტატთა ჯგუფთან ერთად ვადევნებდით რა თვალყურს ჩერნომაზოვის მოქმედებას, ჩვენ, ჯერ-ერთი, გამოვიტანეთ დასკვნა, რომ იგი თავის სტატიებში სახელს უტეხს ჩვენს მიმართულებას, ხოლო, მეორე, პოლიტიკური პატიოსნების მხრივ საეჭვო პირია.

მაგრამ მოადგილის გამონახვა არც ისე ადვილი იყო, მით უმეტეს, რომ დეპუტატთა ჯგუფს კრაკოვთან ურთიერთობა ჰქონდა ან არალეგალური გზით, ან დეპუტატების ჩამოსვლის საშუალებით, ეს ჩამოსვლა კი არ შეიძლებოდა ძალიან ხშირი ყოფილიყო. ბოლოს, 1914 წლის გაზაფხულზე ჩვენ მოვახერხეთ და პეტერბურგში გადავიყვანეთ როზენფელდი (კამენევი), რომელიც 1914 წლის დამლევს მეფემ ჩვენს დეპუტატებთან ერთად აგრეთვე ციმბირს გადაასახლა.

როზენფელდს (კამენევს) დავალებული ჰქონდა საქმისგან ჩამოეშორებინა ჩერნომაზოვი და მან მართლაც სავსებით ჩამოაშორა იგი საქმეს. ჩერნომაზოვი დათხოვნილ იქნა. ჩვენმა ცენტრალურმა კომიტეტმა ჩერნომაზოვის წინააღმდეგ აღძრული ეჭვების გამოსარკვევად დანიშნა გამოძიება, მაგრამ ზუსტი ცნობების შეკრება ვერ მოხერხდა. ასე რომ პეტერბურგელმა ამხანაგებმა ვერ გადაწყვიტეს ჩერნომაზოვი პროვოკატორად გამოეცხადებინათ. იძულებული ვიყავით დავჯერებოდით «პრავდისაგან» ჩერნომაზოვის ჩამოშორებას.

ჩერნომაზოვი და, ცხადია, სხვა პროვოკატორებიც რომ მეფეს ეხმარებოდნენ ჩვენი დეპუტატების ციმბირს გადასახლებაში, ეს ყოველ ეჭვს გარეშეა.

1916 წლის 13 ნოემბერს ჩვენი პარტიის «ცენტრალური კომიტეტის» პეტერბურგის «ბიროსაგან» მივიღეთ ცნობა, რომ ჩერნომაზოვი ხელახლა ცდილობს შეძვრეს არალეგალურ ორგანიზაცი-

აში და რომ «ბიურომ» ჩამოაშორა ორგანიზაციას «მირონი» და კიდევ ერთი პირი, რომელიც მასთან იყო დაკავშირებული, რომ «ბიურო» «ასე მოექცევა ყველას, ვინც კვლავ იქონიებს მასთან საქმესო».

ჩვენ, რასაკვირველია, ვუპასუხეთ, რომ ჩერნომაზოვის მონაწილეობა პარტიაში დაუშვებელია, ვინაიდან იგი ჩამოშორებულია ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით, რომლის მიღებაში მონაწილეობდნენ ზემოთ დასახელებული დეპუტატებიც.

ასეთია ისტორია ძ ვ ე ლ ი «პრავდისა», რომელიც გამოდიოდა ძ ვ ე ლ ი რეჟიმის, მეფის რეჟიმის დროს და რომელიც მეფემ ჩაახრჩო ომის წინ, 1914 წლის ივლისში.

იბადება კითხვა: ხომ არ მონაწილეობდა ჩერნომაზოვი, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, აგრეთვე ა ხ ა ლ «პრავდაში», რომელმაც იწყო პიტერში გამოსვლა რევოლუციის შ ე მ დ ე გ? ამის შესახებ მე არა ვიცი რა, ვინაიდან რევოლუციის შემდეგ გუჩკოვ-მილიუკოვის მთავრობა არ უშვებს არც ჩემს დეპეშებს «პ რ ა ვ დ ი ს ა დ მ ი», არც, რასაკვირველია, «პ რ ა ვ დ ი ს» დეპეშებს ჩემდამი.[184] მე ისიც კი არ ვიცი, გადარჩა თუ არა ცენტრალური კომიტეტის ბიურო, ჩავიდნენ თუ არა პეტერბურგს კამენევი და დეპუტატები, რომელნიც იცნობენ მირონს და დაუყოვნებლივ ჩამოიშორებდნენ მას, თუ კი მან ისარგებლა პიროვნებათა შეცვლით და კვლავ მოგვეტმასნა.

საფრანგეთის სოციალ-შოვინისტურ გაზეთ «L'Humanité»-ს* 28 მარტს მოჰყავს დეპეშა, რომელიც თითქოს პეტერბურგიდან მიუღია გაზეთ «Petit Parisien»-ს[185]. ამ დეპეშაში ჩერნომაზოვს უწოდებენ «ექსტრემისტული სოციალ-დემოკრატიული გაზეთის «პრავდის» ყ ო ფ ი ლ რედაქტორს».

მკითხველი, იმედია, ახლა უკვე გაიგებს გუჩკოვ-მილიუკოვის მთავრობისა და მათი მეგობრების ბრძოლის ხერხთა მუხანათობასა და სიმდაბლეს. მათ სურთ ჩირქი მოსცხონ ჩვენს პარტიას, რომელიც ვითომ დაკავშირებულია ძველ რეჟიმთან და მტერთან. ამ მთავრობას და მის მეგობრებს სძულთ ჩვენი პარტია და ცილს სწამებენ მას, იმიტომ რომ ჩვენ ჯერ კიდევ 1915 წლის 13 ოქტომბერს განვაცხადეთ ჩვენი გაზეთის «სოციალ-დემოკრატის» (ჟენევა) 47-ე ნომერში: ჩვენ უ ე პ ვ ე ლ ა დ წინააღმდეგნი ვიქნებით იმპერიალისტური ომისა იმ შემთხვევაშიც კი, თუნდაც რომ ა მ ომს აწარმოებდეს არა მეფის მთავრობა, არამედ რუსეთის შ ო ვ ი ნ ი ს ტ უ რ-რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი, შ ო ვ ი ნ ი ს ტ უ რ-რ ე ს პ უ ბ ლ ი კ უ რ ი მთავრობა.

* — «ჯაცობრიობა». რ ედ.

გუჩკოვ-მილიუკოვის მთავრობა სწორედ ასეთი მთავრობაა, იმიტომ რომ მან დაადასტურა ცარიზმის უაჩაღური ხელშეკრულებანი ინგლის-საფრანგეთის იმპერიალიზმთან და ამ ომში ისახავს უაჩაღურ მიზნებს (სომხეთის, გალიციის, კონსტანტინოპოლისა და სხვ. დაპყრობას).

(ხვალ ვგზავნი «Volksrecht»-სა* და «Avanti!»-ში**).

დაიბეჭდა 1917 წ. 5 აპრილს
გაზეთში «Volksrecht» № 81
ხელმოწერა: N. Lenin
რუსულ ენაზე პირველად დაიბეჭდ.
1924 წ. ლენინის II კრებულში.

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.,
ტ. 23, გვ. 477—481

* — «ხალხის უფლება». რედ.
** — «წინ!». რედ.

კაპიტალისტების ურცხვი სიცრუე

ეგ არაფერი, რომ კაპიტალისტების გაზეთები ცრუობენ და რბევითს აგიტაციას ეწევიან «პრავდის» წინააღმდეგ, რომ «რეჩი» ამ მხრივ ეჯიბრება სწორედ იმ «რუსსკაია ვოლიას»,[186] რომელსაც თვითონაც ზიზღით უყურებს.

ახლა კაპიტალისტების მთავრობის მინისტრებიც «რუსსკაია ვოლიას» ენით ალაპარაკდნენ. «რეჩს» დღევანდელ ნომერში მოჰყავს სიტყვები მინისტრ ნეკრასოვისა, რომელმაც კადეტების პარტიის მოსკოვის კრებაზე 9 აპრილს განაცხადა:

«საზარელია ძალადობის ის ქადაგება, რომელიც ამჟამად კამენოოსტროვის პროსპექტზე გაისმისო».

ბატონი მინისტრი, ბაძავს რა «რუსსკაია ვოლიას», უსინდისოდ ცრუობს, ატყუებს ხალხს, ეხმარება დამრბევებს, მათ ზურგს უკან იმალება და ვერ ბედავს პირდაპირ დაასახელოს ვერც ერთი სახელი, ვერც ერთი გაზეთი, ვერც ერთი ორატორი, ვერც ერთი პარტია.

ბატონი მინისტრი საეჭვო გადაკრულ ლაპარაკს ამჯობინებს,— იქნებ ვინმე ვერ მიმიხვდესო!

მაგრამ ყველა პოლიტიკურად გაგებული ადამიანი მიხვდება: ბ-ნი მინისტრი ლაპარაკობს რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანოს «პრავდასა» და მის თანამოაზრეებზე.

თქვენ ცრუობთ, ბ-ნო მინისტრო, ბ-ნო «სახალხო თავისუფლების» პარტიის წევრო! ძალადობას ქადაგებს ბ-ნი გუჩკოვი, დასჯით ემუქრება რა ჯარისკაცებს უფროსების გადაყენებისათვის. ძალადობას ქადაგებს თქვენი მეგობარი «რუსსკაია ვოლია», დამრბევი «რესპუბლიკელების» დამრბევი გაზეთი.

«პრავდა» და მისი თანამოაზრეები არათუ არ ქადაგებენ ძალადობას, არამედ, პირიქით, სრულიად ნათლად, ზუსტად და გარკვევით ამბობენ ჩვენი მუშაობის მთელი სიმძიმის ცენტრს ამჟამად შეადგენს ის, რომ პროლეტარულ მასებს, შოვინისტურ გაბრუებას

აყოლილი წვრილი ბურჟუაზიისაგან განსხვავებით, განუმარტოთ მათი პროლეტარული ამოცანები.

ვიდრე თქვენ, ბბ. კაპიტალისტებო, გულჩკოვი და კომპანიავ, სჯერდებით მხოლოდ ძალადობის მუქარას, ვიდრე არ მიგიმართავთ ძალადობისათვის, ვიდრე არსებობენ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები, ვიდრე თქვენ სისრულეში არ მოგიყვანიათ თქვენი მუქარა საბჭოების წინააღმდეგ (ასეთ მუქარას პირდაპირ ბეჭდავდა, მაგალითად, ბ-ნი მილიუკოვის თანამშრომელი «Times»-ის[187] კორესპონდენტი, ბ-ნი ვილსონი), ვიდრე არ გიხმარიათ ძალადობა მასების წინააღმდეგ, მანამდე ჩვენ, პრავდისტები, ვაცხადებთ და ვიმეორებთ, რომ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებს ვცნობთ მთავრობის ერთადერთ შესაძლებელ ფორმად.

ბრძოლა პროლეტარულ მასებში გავლენისათვის, ბრძოლა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებში გავლენისათვის, მათი ტაქტიკის შეცდომების ახსნა-განმარტება, ახსნა-განმარტება შოვინისტური («რევოლუციურ-ობორონცული») გაბრუების მთელი მაცდუნებლობა—ეი ჩვენი, ყველა პრავდისტის, მთელი ჩვენი პარტიის ტაქტიკა ახლა და იმ დრომდე, ვიდრე თქვენ, ბბ. კაპიტალისტებო, თქვენ, ვის ხელთაც არის ჯარის მეთაურთა შემადგენლობა, ძალადობა არ დაგიწყიათ.

ბ-მა მინისტრმა ნეკრასოვმა ჩინებულად იცის ეს, — თუნდაც იმ ციტატებიდან, რომლებიც ძალაუნებურად მოიყვანა «რეჩმა». ბ-ნი მინისტრი «რუსსკაია ვოლიას» ბაძავს, მას სურს ტყუილით, ცილისწამებით, წასისიანებით, დარბევათა მუქარით ხელი შეუშალოს ჭეშმარიტების მშვიდად ახსნა-განმარტებას.

არ გაგივათ, ბბ. ნეკრასოვებო, არ გაგივათ!

მუშებსა და ჯარისკაცებს სურთ იცოდნენ სიმართლე. სურთ გაერკვნენ ომის, ზავის, სახელმწიფო წყობილების საკითხებში. და ისინი დაიწყებენ კიდეც მასში გარკვევას!

დაწერილია 1917 წ. 11 (24) აპრილს
დაიბეჭდა 1917 წ. 12 აპრილს
გაზეთ «პრ.-ედაში» № 30

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.,
ტ. 24, გვ. 113—115

ნ ე რ ი ღ ი ღ ა ნ

ი. ს. განეცკის და კ. ბ. რადეკს

ამხანაგებს განეცკისა და რადეკს: Herrn Fürstenberg (Fürstenberg). 8. Birgerjarlsgatan. 8. Stockholm.

1917. 12. IV.

...იმედი გვაქვს სავსებით გამოვასწოროთ «პრავდის» ხაზი: იგი «კაუცკელობისაკენ» იხრებოდა.[188]

წერეთ სტატიები «პრავდისათვის» საგარეო პოლიტიკის შესახებ— სულ მოკლე და «პრავდის» სულისკვეთებისა (პატარაა! ცოტა ადგილია! თავს ვიმტვრევთ, რომ გავადიდოთ). აგრეთვე სულ მოკლედ გერმანული რევოლუციური მოძრაობისა და მემარცხენეთა პრესის შესახებ...

გაგზავნილია პეტროგრადიდან სტოკჰოლმში
პირველად დაიბეჭდა 1923 წელს ჟურნალ «პროლეტარსკაია რევოლუციაში» № 9 (21)

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც., ტ. 36, გვ. 513

ს ტ ა ტ ი ი ნ ა

««რუსსკაია ვოლიას» კვალდაკვალ»

«რუსსკაია ვოლიას» ფანდები, რომელსაც კადეტებიც კი ზიზღით ბურგს აქცევენ, თანდათან უფრო მეტ მიმბაძველს პოულობენ. შეხედეთ ბ-ნ პლეხანოვის «ედინსტვოს».[189] «პრავდის» «სამხილებლად» ბ-ნი პლეხანოვი იღებს ლენინის პირველ თეზისს, მოჰყავს სიტყვები, რომ ომი რუსეთის მხრივ რჩება მძარცველურ, იმპერიალისტურ ომადო, და ძლევამოსილად კითხულობს:

«როგორღაა საქმე გერმანიის მხრივ? ამაზე ლენინი არაფერს ამბობს».

ასე, სიტყვასიტყვით ასე სწერია. კითხულობ და თვალებს არ უჯერი. ნუთუ ბ-ნ პლეხანოვი მართლაც მივიდა «ნოვოე ვრემიას» და «რუსსკაია ვოლიას» საზღვრამდე? დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტი თვალწინ გვაქვს...

«პრავდა» № 31, 1917 წ.
13 აპრილი

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც., ტ. 24, გვ. 120

ს ტ ა ტ ი ი ნ ა

«სიცრუის კავშირი»

ბურჟუაზიული პრესის ერთი ოინი ყოველთვის და ყველა ქვეყანაში ყველაზე უფრო გასავლიანი და «უტყუარად» მოქმედია. იცრუე, იხმაურე, იყვირე, იმეორე სიცრუე — «ცოტა რამ მაინც დარჩება».

«ხმაურობს ლენინი ქშესინსკაიას სასახლეში, ხმაურობს რაც ძალა და ღონე აქვსო», — წერს «რეჩი». «ლენინი მოდერნში გამართულ მიტინგზე სახურავიდან ლაპარაკობდაო», — წერენ მთელი რიგი გაზეთები.

და ყოველივე ეს სიცრუეა. მოდერნში გამართულ მიტინგზე ლენინი არ ყოფილა. ლენინს არავითარი ხმაური არ აუტეხია, რადგან გამოვიდა ერთი მოხსენებით ბოლშევიკებისა და მენშევიკების წინაშე და რამდენიმე არცთუ დიდი სტატიით პატარა გაზეთ «პრავდაში».

ხმაურობენ კაპიტალისტები და კაპიტალისტების პრესა, — აი ვინ «ხმაურობს რაც ძალა და ღონე აქვს», ვინ ცდილობს ყვირილით აჯობოს ყველას, არავის გააგონოს სიმართლე, წალეკოს ყველაფერი ლანძღვა-გინების ნიაღვრით, ხელი შეუშალოს საქმიან ახსნა-განმარტებას.

ამაშია ახლა კაპიტალისტების და, აგრეთვე, იმ ვაი-სოციალისტების ცდის არსი, რომლებიც სავსებით კაპიტალისტების მხარეზე გადავიდნენ ბ-ნ პლეხანოვის მსგავსად.

«რეჩი» დღევანდელ განსაკუთრებით «სახელმწიფოებრივად-მნიშვნელოვან» მოწინავე სტატიაში კვლავ გაჰყვირის «ანარქიის ქადაგების» წინააღმდეგ და ამასთან მეტად აშკარად იმათრახებს თავს — ყველა იმათ თვალში, ვინც წაკითხულსა და გაგონილს უფიქრდება.

«...დიდმა რევოლუციამ წალეკა ხელისუფლების მთელი ძველი ორგანიზაციაო»... არ არის სწორი. ჯერ კიდევ სრულიადაც არა მთელი ორგანიზაცია. «მისი აღდგენა შეუძლია მხოლოდ ხალხის (ფართო მნიშვნელობით) ფსიქოლოგიის გარდატეხას, — უკეთ რომ ვთქვათ.

იმ ახალ ფსიქოლოგიას, რომელიც აღიარებს ხელისუფლების აუცილებლობას და მისადმი დამორჩილების სავალდებულობას».

აი თვალნათლივი, აშკარა სიცრუე, ცხადი კავშირი კაპიტალისტების სიცრუისა ბბ. პლეხანოვებთან, ჩერევანინებთან და კომპანიასთან, რომლებიც ანარქიაზე გაჰკივიან...

...ჩვენ გვინდა მხოლოდ განვუმარტოთ მუშებსა და უღარიბეს გლეხებს მათი ტაქტიკის შეცდომა. ჩვენ საბჭოები მიგვაჩნია ერთადერთ შესაძლებელ ხელისუფლებად. ჩვენ ვქადაგებთ ხელისუფლების აუცილებლობას და მისადმი დამორჩილების სავალდებულობას.

მაშ რისი გეშინიათ? რატომ ცრუობთ?

თქვენ სწორედ სიმართლისა გეშინიათ თქვენ ცრუობთ, რათა დარბევებით, ცილისწამებით, ძალადობით, ტალახით მიაფუჩეჩოთ სიმართლის ახსნა-განმარტების შესაძლებლობა.

ამას უკვე ხედავს ზოგიერთი ჩვენი მოწინააღმდეგეც. გადაიკითხეთ დღევანდელი «დელო ნაროდა»,[190] სოციალისტ-რევოლუციონერების პარტიის ორგანო, რომელშიც მონაწილეობას იღებს მინისტრი კერენსკი.

ეს ორგანო «რუსსკაია ვოლიას» და «რეჩის» უერთგულეს მოკავშირეზე, პლეხანოვზე, წერს: ...«ასეთი სიტყვების, ბრძოლის ასეთი მეთოდის დანახვას ჩვენ შევეჩვიეთ «რუსსკაია ვოლიას» ფურცლებზე და სოციალისტების სტატიებში ამგვარი რამეების დანახვა, გულწრფელად უნდა ვაღიაროთ, მძიმე და საწყენია»...

ასე წერენ ჩვენი მოწინააღმდეგეები.

ასე წერენ დემოკრატები, რომლებშიც დემოკრატის სინიდისმა გაიღვიძა.

მილიუკოვების, პლეხანოვებისა და ჩერევანინების სირცხვილში ჩაგდება უიმედო საქმეა, მაგრამ თუ ის გაზეთიც კი, რომელშიც თანამშრომლობს მინისტრი კერენსკი, ზიზღით ზურგს აქცევს პლეხანოვის გააფთრებულ შოვინისტურ, ცილისმწამებლურ ბინძურ ოინებს, რომელთაც რბევის სუნი უდის, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ:

ასეთი ოინების გმირები — მკვდარი ხალხია.

დაწერილია 1917 წ. 13 (26) აპრილს
დაიბეჭდა 1917 წ. 14 აპრილს
გაზეთ «პრავდაში» № 32

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.,
ტ. 24, გვ. 124—125, 127—128

ჯარისკაცებისა და მატროსებისადმი

ამხანაგო ჯარისკაცებო! ამხანაგო მატროსებო!

კაპიტალისტების გაზეთები, დაწყებული «რეჩით» და გათავებული «რუსსკაია ვოლიათი», აწარმოებენ სიცრუისა და ცილისწამების ყოვლად უსირცხვილო კამპანიას გერმანიაზე ჩემი და 30 სხვა ემიგრანტის გამოვლის გამო.

კაპიტალისტების გაზეთები უსირცხვილოდ ტყუიან, როდესაც ამტკიცებენ ან გადაკვრით ლაპარაკობენ, თითქოს ჩვენ გვესარგებლოს გერმანიის მთავრობის რაიმე შეუწყნარებელი თუ არაჩვეულებრივი მოწყალებით, იმ მთავრობისა, რომელიც ჩვენ ისეთივე ყაჩაღურ, ისეთივე დანაშაულებრივ მთავრობად მიგვაჩნია, როგორც ყველა კაპიტალისტური მთავრობა, რომელნიც დღევანდელ ომს აწარმოებენ.

მდიდარი ადამიანები, რომლებიც «დაკავშირებული» იყვნენ მეფის მონარქიის წარჩინებულ მოხელეებთან, მსგავსად მილიუკოვებისა და კომპანიის მეგობრის — ლიბერალი პროფესორის კოვალევსკისა რუსეთის მეფის მთავრობის საშუალებით ხშირად მართავდნენ მოლაპარაკებას გერმანიის მთავრობასთან გერმანელთა მიერ ტყვედ წაყვანილი რუსების გადაცვლის შესახებ რუსთა მიერ ტყვედ წამოყვანილ გერმანელებზე.

მაშ რატომ არ უნდა ჰქონდეთ უფლება ემიგრანტებს, რომლებსაც მეფის წინააღმდეგ ბრძოლის გამო გული ელეოდათ უცხოეთში, მთავრობის გარეშე შეთანხმება დადონ გერმანელებზე რუსების გაცვლის შესახებ?

რატომ არ შემოუშვა მილიუკოვისა და კომპანიის მთავრობამ რუსეთში შვეიცარიელი სოციალისტი ფრიც პლატენი, რომელიც ჩვენთან ერთად მოდიოდა და რომელმაც შეთანხმება დადო გერმანიის მთავრობასთან გაცვლის შესახებ?

მთავრობა ტყუის, როდესაც ავრცელებს ხმას, თითქოს პლატენი გერმანელთა მეგობარი იყოს. ეს ცილისწამებაა. პლატენი მეგობარია

ყველა ქვეყნის მუშებისა და მტერია ყველა ქვეყნის კაპიტალისტებისა.

კაპიტალისტები ტყუიან, როდესაც ხმას ავრცელებენ, თითქოს ჩვენ მომხრენი ვიყოთ გერმანელებთან ცალკე (სეპარატიული) ზავისა, თითქოს ჩვენ ვითათბირეთ, ან გვინდოდა გვეთათბირა სტოკჰოლმში ისეთ გერმანელ სოციალისტებთან, რომლებიც თ ა ვ ი ა ნ თ მთავრობას ემხრობიან.

ეს სიცრუე და ცილისწამებაა. ამგვარ სოციალისტებთან არავითარ თათბირში მონაწილეობა არ მიგვიღია და არც მივიღებთ მონაწილეობას. ყველა ქვეყნის სოციალისტებს, რომლებიც ეხმარებიან თავიანთ კაპიტალისტებს ამ დანაშაულებრივი ომის წარმოებაში, ჩვენ სოციალიზმის მოღალატეებად ვთვლით.

ჩვენი მეგობრები მხოლოდ ისეთი სოციალისტები არიან, რომლებიც, გერმანიის ავაზაკური მთავრობის მიერ კატორღამისჯილი კარლ ლიბკნეხტის მსგავსად, აჯანყებას აწყობენ თავიანთი კაპიტალისტების წინააღმდეგ.

ჩვენ გვსურს არა ცალკე, არა სეპარატიული ზავი გერმანიასთან, ჩვენ გვსურს ყ ვ ე ლ ა ხალხის ზავი, ჩვენ გვსურს ყ ვ ე ლ ა ქვეყნის მუშების გამარჯვება ყ ვ ე ლ ა ქვეყნის კაპიტალისტებზე.

რუსეთის კაპიტალისტები ტყუიან და ცილსა გვწამებენ, როგორც გერმანელი კაპიტალისტები ცილსა სწამებენ ლიბკნეხტს. კაპიტალისტები ტყუიან, თითქოს ჩვენ გვინდოდეს უთანხმოება და მტრობა ჩამოვარდეს მუშებსა და ჯარისკაცებს შორის.

ტყუილია! ჩვენ გვინდა მუშებისა და ჯარისკაცების ე რ თ ი ა ნ ობ ა. ჩვენ გვინდა გ ა ნ ვ უ მ ა რ ტ ო თ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების წევრებს, რომ ამ საბჭოების ხელში უნდა იყოს მთელი სახელმწიფო ძალაუფლება.

კაპიტალისტები ცილსა გვწამებენ და ისეთ უტიფრობამდეც კი მიდიან, რომ არც ერთ ბურჟუაზიულ გაზეთს არ გადაუბეჭდავს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს «იზვესტიიდან» ჩვენი მოხსენება ჩვენი მოგზაურობის შესახებ და მუშათა და ჯარისკაცთა აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებანი.

ყოველი მუშა და ყოველი ჯარისკაცი იცნობს თ ა ვ ი ს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს. ამ საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს გავუკეთეთ მოხსენება ჩვენი ჩამოსვლის მეორე დღესვე. მოხსენება დაბეჭდილია «იზვესტიაში». რატომ კაპიტალისტების ა რ ც ე რ თ მ ა გაზეთმა არ გადაბეჭდა ეს მოხსენება?

იმიტომ, რომ ეს გაზეთები ავრცელებენ სიცრუესა და ცილისწა-

ᲛᲔᲑᲐᲡ, ᲛᲐᲗ ᲔᲨᲘᲜᲘᲐᲗ, ᲠᲝᲛ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐ ᲐᲦᲛᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲒᲐᲛᲝᲐᲐᲨᲙᲐᲠᲐᲕᲔᲑᲡ ᲛᲐᲢᲧᲣᲐᲠᲔᲑᲡ.

ᲠᲐᲢᲝᲛ ᲐᲠᲪ ᲔᲠᲗᲛᲐ ᲒᲐᲖᲔᲗᲛᲐ ᲐᲠ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲐ ᲐᲦᲛᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ, ᲘᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲓᲐᲘᲑᲔᲭᲓᲐ «ᲘᲖᲕᲔᲡᲢᲘᲘᲡ» ᲘᲛᲐᲕᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ?

ᲝᲛᲘᲢᲝᲛ ᲠᲝᲛ ᲔᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ ᲐᲛᲮᲘᲚᲔᲑᲡ ᲙᲐᲠᲘᲢᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲗᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲪᲠᲣᲤᲔᲡ, ᲛᲝᲘᲗᲮᲝᲕᲡ ᲠᲐ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲛᲘᲘᲦᲝᲡ ᲖᲝᲛᲔᲑᲘ ᲔᲛᲘ�გᲠᲐᲜᲢᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲚᲐᲓ.

ᲡᲐᲑᲭᲝᲡ «ᲘᲖᲕᲔᲡᲢᲘᲐᲨᲘ» ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘᲐ ᲞᲠᲝᲢᲔᲡᲢᲘ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲢᲠᲝᲪᲙᲘᲡ ᲓᲐᲞᲐᲢᲘᲛᲠᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ; ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘᲐ ᲖᲣᲠᲐᲑᲝᲕᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲛᲮᲘᲚᲔᲑᲡ ᲛᲘᲚᲘᲣᲙᲝᲕᲘᲡ ᲡᲘᲪᲠᲣᲤᲔᲡ; ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘᲐ ᲛᲐᲠᲢᲝᲕᲘᲡ ᲓᲔᲞᲔᲨᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲘᲛᲐᲡᲕᲔ ᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲝᲑᲡ.

ᲯᲐᲠᲘᲡᲙᲐᲪᲔᲑᲝ ᲓᲐ ᲛᲐᲢᲠᲝᲡᲔᲑᲝ! ᲜᲣ ᲓᲐᲣᲯᲔᲠᲔᲑᲗ ᲙᲐᲠᲘᲢᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲪᲠᲣᲤᲔᲡ ᲓᲐ ᲪᲘᲚᲘᲡᲬᲐᲛᲔᲑᲐᲡ! ᲐᲛᲮᲘᲚᲔᲗ ᲛᲐᲢᲧᲣᲐᲠᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲤᲐᲠᲐᲕᲔᲜ «ᲘᲖᲕᲔᲡᲢᲘᲐᲨᲘ» ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚ ᲡᲘᲛᲐᲠᲗᲚᲔᲡ!

ᲓᲐᲬᲔᲠᲘᲚᲘᲐ 1917 Წ. 11 ᲓᲐ 14 (24 ᲓᲐ 27) ᲐᲠᲘᲚᲡ ᲨᲣᲐ
ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ ᲓᲐᲘᲑᲔᲭᲓᲐ 1925 ᲬᲔᲚᲡ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲙᲠᲔᲑᲣᲚᲨᲘ IV

ᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ვ. ი. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲗᲮᲖᲣᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲢᲔᲥᲡᲢᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ, ᲛᲔ-4 ᲒᲐᲛᲝᲪ.
Ტ. 24, ᲒᲕ. 132—135

დამრგეველთა წინააღმდეგ

მუშებს, ჯარისკაცებსა და პეტროგრადის მთელ მოსახლეობას

მოქალაქენო! გაზეთი «რუსსკაია ვოლია», რომელიც დაარსებულია მეფის მინისტრის პროტოპოპოვის მიერ და რომელსაც კადეტებიც კი ზიზღით უყურებენ, რბევითს აგიტაციას ეწევა ჩვენი პარტიის წინააღმდეგ, გაზეთ «პრავდის», ჩვენი ამხანაგების ლენინისა და ზინოვიევის წინააღმდეგ, ჩვენი პარტიის პეტერბურგის კომიტეტის წინააღმდეგ, რომელიც მოთავსებულია ქშესინსკაიას სასახლეში. ჩვენ ხელთ არის ჰთელი რიგი ცნობები არა მარტო ზეპირი, არამედ წერილობითიც, რომ გვემუქრებიან ძალმომრეობით, ყუმბარითა და სხვ.

რევოლუციის პირველი დღეებიდანვე კაპიტალისტები, რომლებიც «რესპუბლიკელების» ქურქში გამოეწყვნენ, ცდილობენ მტრობა ჩამოაგდონ მუშებსა და ჯარისკაცებს შორის. ჯერ ცილს სწამებდნენ მუშებს, თითქოს მათ სურდათ უპუროდ დაეტოვებინათ არმია. ახლა ცდილობენ მოაწყონ ლაშქრობა «პრავდის» წინააღმდეგ.

ჩვენ მივმართავთ პეტროგრადის რევოლუციური მუშებისა და ჯარისკაცების პატიოსნებას და ვაცხადებთ:

ჩვენ არათუ არც ერთხელ, არც პირდაპირ და არც არაპირდაპირ, არ დავმუქრებივართ ცალკეულ პირთ ძალმომრეობით, არამედ, პირიქით, ჩვენ მუდამ ვაცხადებდით, რომ ჩვენი ამოცანაა — გ ა ნ ვ უ მ ა რ ტ ო თ მთელ ხალხს ჩვენი შეხედულებები, რომ ჩვენ მ უ შ ა თ ა და ჯ ა რ ი ს კ ა ც თ ა დ ე პ უ ტ ა ტ ე ბ ი ს ს ა ბ ჭ ო, არჩეული ყველა მუშისა და ჯარისკაცის მიერ, ე რ თ ა დ ე რ თ შ ე ს ა ძ ლ ე ბ ე ლ რევოლუციურ მთავრობად მიგვაჩნია.

ამხანაგებმა, რომლებმაც გერმანიაზე გამოიარეს და რომლებიც ს ხ ვ ა-დ ა ს ხ ვ ა პარტიას ეკუთვნიან, ჩამოსვლის პ ი რ ვ ე ლ დ ღ ე ს ვ ე გაუკეთეს მ ო ხ ს ე ნ ე ბ ა ყ ვ ე ლ ა მუშისა და ჯარის-

კაცის ნდობით აღჭურვილ პირებს,სახელდობრ: მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს. ამ აღმასრულებელ კომიტეტში იყვნენ ჩხეიძე, წერეთელი, სკობელევი, სტეკლოვი და სხვ.

ამხანაგებო! მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს ეს ბელადები ბევრ რამეში არ იზიარებენ ჩვენს შეხედულებებს სახელმწიფო წყობილების საკითხებზე. მათ არ შეეძლოთ ნათლიმამურად მოგვპყრობოდნენ.

მერე რა გააკეთა აღმასრულებელმა კომიტეტმა?

თავის «იზვესტიის» 32-ე ნომერში 1917 წლის 5 აპრილს მან მთლიანად დაბეჭდა მოხსენება გერმანიაზე გამოვლის შესახებ.

ამ მოხსენებაში ჩამოთვლილია ყველა ფაქტი და დასახელებულია ორი ნეიტრალური ქვეყნის, შვეიცარიისა და შვეციის. უცხოელი სოციალისტები, რომელთაც შეამოწმეს ჩვენი ოქმები.

მერე რა დაადგინა აღმასრულებელმა კომიტეტმა? დაგმო ან თუნდაც უკმაყოფილება გამოთქვა თუ არა მან გერმანიაზე ლენინისა და სხვათა გამოვლის გამო?

არა. «იზვესტიის» რედაქცია იმავე ნომერში აი როგორ გადმოგვცემს აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებას:

«აღმასრულებელმა კომიტეტმა მოისმინა ამხ. ზურაბოვისა და ზინოვიევის მოხსენება და დაადგინა დაუყოვნებლივ მიმართოს დროებით მთავრობას და მიიღოს ზომები დაუყოვნებლივ შემოუშვან რუსეთში ყველა ემიგრანტი, განურჩევლად მათი პოლიტიკური შეხედულებისა და ომისადმი დამოკიდებულებისა. მთავრობასთან მოლაპარაკების შედეგებს ამ დღეებში გამოვაქვეყნებთ. რედ.».

ყველა ხედავს, რომ აქ ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი ლენინისა და მისი ამხანაგების წინააღმდეგ. აქ აფრთხილებენ დროებითს მთავრობას, აქ დადგენილია მიღებულ იქნეს ზომები, რომ მთავრობამ არ შეაფერხოს რუსეთში შემოშვება.

ამის შემდეგ კი მარტოვის დეპეშა და ტროცკის დაპატიმრება ინგლისში იმის დამამტკიცებელია, რომ მილიუკოვი უძლურია ინგლისისა და საფრანგეთის წინაშე, რომელთაც თავიანთი სოციალისტ-ინტერნაციონალისტები საპყრობილეში ჰყავთ გამომწყვდეულნი, ანდა მილიუკოვს არ სურს სერიოზული ზომები მიიღოს.

რუსებისა და გერმანელების გაცვლა ომის განმავლობაში ათეულჯერ მომხდარა. სახელმწიფო საბჭოს წევრი კოვალევსკი გაცვალეს ავსტრიელზე და სხვა. მდიდართათვის მთავრობებს არა ერთხელ

მოუხდენიათ გაცვლა. მაშ რატომ არ ენდა ახლანდელ მთავრობას მოახდინოს ემიგრანტების გაცვლა? იმიტომ, რომ მას სურს მთელ რიგ მებრძოლებს წაართვას რევოლუციურ ბრძოლაში მონაწილეობის საშუალება.

როგორ იქცევიან «რუსსკაია ვოლია» და მის კვალდაკვალ მავალი გაზეთები — «რეჩი» და «ედინსტვო»?

ისინი განაგრძობენ დევნას და ამით აქეზებენ. უმეცრებს ძალადობა იხმარონ ცალკეულ პირთა მიმართ, არ ბეჭდავენ არც ზოხსენებას, არც აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებას!..

მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს აცნობეს ვინაობა მთელი რიგი სოციალისტებისა, რომლებმაც შეამოწმეს და მოიწონეს ემიგრანტების თვითეული ნაბიჯი. დაკავშირებული გამოგზავრებასთან. ესენი არიან ფრანგი სოციალისტები ლორიო და გილბო, შვეიცარიელი სოციალისტი პლატენი, შვეციელი სოციალისტები ლინდჰაგენი (სტოკჰოლმის ქალაქის თავი), კარლსონი, შტრემი, ნერმანი, გერმანელი სოციალისტი კარლ ლიბკნეხტის ჯგუფიდან ჰარტშტეინი. პოლონელი სოციალისტი ბრონსკი.

«რუსსკაია ვოლიას», «რეჩის», «ედინსტვოს» ასეთი საქციელი,— ეს არის ხელის შეწყობა იმ ბნელი ძალებისათვის, რომლებიც ძალადობით, დარბევით, ყუმბარით იმუქრებიან.

ამხანაგო ჯარისკაცებო და მუშებო!

უფრთხილდით «რუსსკაია ვოლიას», «რეჩის», «ედინსტვოს» ვაჟბატონებს და ერთხელ კიდევ ვაცხადებთ: ჩვენ მხარს ვუჭერთ იმას, რომ ხალხს განემარტოს უველა პარტიის შეხედულებანი, ჩვენ მხარს ვუჭერთ იმას, რომ პატივისცემით ეპყრობოდნენ ჯარისკაცთა და მუშათა დეპუტატების საბჭოს.

თუ დროებითი მთავრობა, თუ გაზეთი «რეჩი», თუ ბ-ნი პლეხანოვი უკმაყოფილონი არიან მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მოქმედებით, რატომ არ აცხადებენ ამას აშკარად? რატომ არ მოითხოვენ გადასინჯვას? რატომ ეშინიათ მათ გადაბეჭდონ ის, რაც ნათქვამია მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს «იზვესტიის» 32-ე ნომერში? რატომ? იმიტომ, რომ მათ უნდათ არევ-დარევა გამოიწვიონ!

თუ ამა თუ იმ სახით გამოყენებული იქნება ძალადობა, პასუხისმგებლობას ჩვენ ვაკისრებთ «რუსსკაია ვოლიას», «რეჩის», «ედინს-

ტვოს» და სხვათა რედაქტორებსა და თანამშრომლებს, რომლებიც ბედავენ არ დაბეჭდონ მოხსენება და აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება, აწარმოებენ მუხანათურ წასისიანებას.

გაზეთმა «დელო ნაროდამ», რომელშიც უახლოეს მონაწილეობას იღებს მინისტრი ა. თ. კერენსკი, უკვე აღნიშნა, რომ ხსენებული გაზეთების ოინები ხელს უწყობენ დამრბევებსო («დელო ნაროდა». № 23).

დაე იცოდნენ მილიუკოვებმა, ამფითეატროვებმა, პლეხანოვებმა და კომპანიამ, რომ თუ მათი წასისიანების გამო დაიწყება ძალადობის გამოყენება, იგი უწინარეს ყოვლისა მათვე მიუბრუნდება.

ძირს რბევითი აგიტაცია! ძირს წასისიანებისა და ტყუილის გმირები, რომლებიც მალავენ აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებებს!

ამხანაგო ჯარისკაცებო და მუშებო! თქვენ არავის დაანებებთ წაამწარონ ხალხს თავისუფლება დარბევებით! თქვენ მიაღწევთ იმას, რომ პატივი სცენ თქვენი მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს დადგენილებებს!

რსდმპ ცენტრალური კომიტეტი
რსდმპ პეტერბურგის კომიტეტი

დაწერილია 1917 წ. 14 (27) აპრილამდე
დაიბეჭდა 1917 წლის 15 აპრილს
გაზეთ «პრავდაში» № 33

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.,
ტ. 24, გვ. 136—140

როგორ აგნევენ ნათელ საკითხს?

«დენი»[191] წერს დღეს ცენტრალური კომიტეტის 20 აპრილის იმ რეზოლუციის შესახებ, რომელიც ლაპარაკობს, რომ აუცილებელია ძალაუფლების რევოლუციური პროლეტარიატის ხელში გადასვლა, თუ კი მას «ხალხის უმრავლესობა მხარს დაუჭერსო»:

«ძალიან კარგი. მაგრამ თუ ასეა, რაღა აყოვნებს საქმეს? ნაცვლად რეზოლუციისა — მობრძანდით და აიღეთ ძალაუფლება».

აი ბურჟუაზიული პრესის ჩვეულებრივი ფანდების ტიპიური ნიმუში! თავს იკატუნებენ, ვითომ არ ესმით სრულიად ნათელი რამ და უზრუნველყოფენ თავისთვის — ქაღალდზე — იოლ გამარჯვებას. ვინც ამბობს «აიღეთ ძალაუფლება», მას სულ ცოტა მოფიქრების შემდეგ შეუძლია მოისაზროს, რომ ძალაუფლების აღების ცდა, ვიდრე მას ხალხის უმრავლესობა მხარს არ უჭერს, ავანტიურა ან ბლანკიზმი იქნებოდა («პრავდა» გახსაკუთრებით, სპეციალურად, ზუსტად და ცხადად, არაორჭოფულად აფრთხილებდა ყველას ამის წინააღმდეგ).

რუსეთში ახლა ისეთი თავისუფლებაა, რომ უმრავლესობის ნების გაგება შეიძლება მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების შემადგენლობით; მაშასადამე, იმისთვის, რომ პროლეტარულმა პარტიამ სერიოზულად და არა ბლანკისტურად აიღოს ძალაუფლება, მან უნდა იბრძოლოს გავლენის მოსაპოვებლად საბჭოების შიგნით.

ყოველივე ეს ნათქვამი, განმეორებული და გადაღეჭილია «პრავდაში», და მხოლოდ ჭკუამოკლეობას ან ბოროტ ნებას შეუძლია «არ ესმოდეს ეს». დაე მკითხველმა თვითონ განსაჯოს, ამ ორ ნაკლებად საპატიო კატეგორიიდან რომელს ეკუთვნის «რაბოჩაია გაზეტა»,[192] რომელიც «წინადადებას» (საბჭოსადმი) «აიღოს ძალაუფლება თავის ხელში» უწოდებს «უპასუხისმგებლო წაქეზებას», «პოლიტიკური პა-

სუხისმგებლობის ყოველგვარ გრძნობას მოკლებულ დემაგოგიას, რომელიც გულდამშვიდებით მოუწოდებს დემოკრატიას სამოქალაქო ბრძოლისაკენ, ომისაკენ და მუშებსა და ჯარისკაცებს ამხედრებს არა მარტო მთავრობის წინააღმღეგ, არამედ თვით საბჭოს წინააღმდეგაც» და სხვ.

განა შეიძლება წარმოვიდგინოთ მეტი არევ-დარევა და საკუთარი ჭირის სხვის თავზე მოხვევა დემაგოგიის საკითხში?

მინისტრმა თავმჯდომარემ ლვოვმა, საღამოს გაზეთის — «ბირჟევიე ვედომოსტის»[193] 21 აპრილის ნომერში მოთავსებული ანგარიშის მიხედვით, სიტყვასიტყვით შემდეგი თქვა:

«აქამდე დროებითი მთავრობა მუდმივ მხარდაჭერას პოულობდა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს ხელმძღვანელი ორგანოს მხრივ. ორი უკანასკნელი კვირის განმავლობაში ეს ურთიერთობა შეიცვალა. დროებითი მთავრობა საეჭვოდ არის გამოცხადებული. ასეთ პირობებში მას არავითარი შესაძლებლობა არა აქვს მართოს სახელმწიფო, რადგან უნდობლობისა და უკმაყოფილების ატმოსფეროში ძნელია რაიმე გაკეთო. ასეთ პირობებში უმჯობესია დროებითი მთავრობა გადადგეს. იგი ძალიან კარგად გრძნობს მასზე დაკისრებულ პასუხისმგებლობას სამშობლოს წინაშე და მის სასიკეთოდ მზად არის, თუ კი ეს საჭიროა, ახლავე გადადგეს».

ნუთუ ეს ცხადი არ არის? ნუთუ გასაგები არ არის, ჩვენი ცენტრალური კომიტეტი ასეთი სიტყვების შ ე მ დ ე გ რატომ იძლეოდა წინადადებას მომხდარიყო მოსახლეობის დაკითხვა?

რა შუაშია აქ «სამოქალაქო ომი», «წაქეზება», «დემაგოგია» და სხვა საშინელი სიტყვები, თუკი მინისტრი-თავმჯდომარე აცხადებს, მზადა ვარ «გადადგეო»??? თუ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო მან ცნო «ხელმძღვანელ ორგანოდ»???

ორში ერთი: ან «რაბოჩაია გაზეტა» ფიქრობს, რომ ლვოვი ხალხს ატყუებს ასეთი ან ამგვარი განცხადებებით — მაშინ ის უნდა მოუწოდებდეს არა ნდობისა და მხარისდაჭერისაკენ, არამედ უ ნ დ ო ბ ლ ო ბ ი ს ა და მ ხ ა რ ი ს დ ა ჭ ე რ ა ზ ე უ ა რ ი ს თ ქ მ ი ს ა კ ე ნ. ანდა «რაბოჩაია გაზეტა» ფიქრობს, რომ ლვოვი მართლაც «მზად არის გადადგეს», — მაშინ რაღა შუაშია გოდება სამოქალაქო ომზე?

თუ «რაბოჩაია გაზეტას» სწორად ესმის საქმის ვითარება, თუ მას ესმის, რომ კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ ე ბ ი სამოქალაქო ომზე ყვირილით ფარავენ თ ა ვ ი ა ნ თ სურვილს — ძალადობით ჩაფუშონ უმრავლესობის ნება, მაშინ რას ნიშნავს ამ გაზეთის ეს ღრიანცელი?

ლვოვს უფლება აქვს შესთავაზოს საბჭოს — მოიწონოს, მიიღოს მისი, ლვოვის, პოლიტიკა. ჩვენს პარტიას უფლება აქვს შესთავაზოს საბჭოს — მოიწონოს, მიიღოს ჩვენი, პროლეტარული, პოლიტიკა. «წაქეზებაზე» და სხვა ამისთანებზე ლაპარაკი ნიშნავს გამოიჩინო

საქმის სრული გაუგებლობა ანდა დაქვეითდე სწორედ მდაბალ დემიგოგიამდე. ჩვენ უფლება გვაქვს ვიბრძოლოთ და ვიბრძოლებთ კიდეც საბჭოსა და საბჭოებში გავლენისა და უმრავლესობის მოსაპოვებლად. და ჩვენც ვიმეორებთ:

«ჩვენ მხოლოდ მაშინ ვიქნებით პროლეტარებისა და ნახევრადპროლეტარების ხელში ძალაუფლების გადასვლის მომხრე, როცა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები ჩვენს პოლიტიკას მიემხრობიან და მოისურვებენ ამ ძალაუფლების თავიანთ ხელში აღებას».

დაწერილია 1917 წ. 22 აპრილს
(5 მაისს)
დაიბეჭდა 1917 წ. 6 მაისს
(23 აპრილს)
გაზეთ «პრავდაში» № 39

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოცემა
ტ. 24, გვ. 247—249

«ახალი» მთავრობა უკვე ჩამორჩა არა მარტო რევოლუციურ მუშებს, არამედ გლეხობის მასასაც

ა ი ა მ ი ს დ ა მ ა მ ტ კ ი ც ე ბ ე ლ ი ს ა ბ უ თ ი:

საღამოს გაზეთი «რუსსკაია ვოლია» — «რუსეთის თავისუფლება»! — 4 მაისის ნომერში გვაუწყებს შეკრებილი გლეხთა ყრილობის დელეგატების განწყობილების შესახებ:

«დელეგატები უმთავრესად ნაწყენი არიან იმ შეურაცხყოფით, რომელიც ვითომ მიუყენებიათ გლეხებისთვის იმით, რომ ყველა კლასი უკვე იმკის რევოლუციის ნაყოფს, მხოლოდ გლეხებიღა ელოდებიან დღემდე თავიანთ წილს. მხოლოდ გლეხებს ურჩევენ — დაუცადეთ დამფუძნებელი კრების მოწვევას, ის გადაწყვეტს მიწის საკითხსო.

— არა, ეს არ მოხდება, არ გვსურს მოცდა ისევე, როგორც სხვებსაც არ მოუცდიათ. ახლავე, დაუყოვნებლივ გვინდა მიწა».

ეჭვი არ არის, რეპორტიორი «რუსსკაია ვოლიასი», იმ გაზეთისა, რომელიც ყველაზე უარეს კაპიტალისტებს ემსახურება, ამ შემთხვევაში ცილს კი არ სწამებს გლეხებს (არაფერი ანგარიშია იცრუოს), არამედ მართალს ამბობს და კაპიტალისტებს ა ფ რ თ ხ ი ლ ე ბ ს. ამ სიმართლეს ადასტურებს ყრილობიდან მოსული ყ ვ ე ლ ა ცნობა.

"შეადარეთ ამ სიმართლეს «ახალი» მთავრობის დეკლარაციის პროექტის § 5:

«ანდობს რა დამფუძნებელ კრებას მშრომელთა ხელში მიწის გადასვლის საკითხის გადაჭრას, დროებითი მთავრობა მიიღებს... ზომებს» და სხვ. («ძველი» დროებითი მთავრობაც ყოველთვის «იღებდა ზომებს»...).

«ახალი» მთავრობა უკვე უიმედოდ ჩამორჩა გლეხთა ყრილობასაც კი!!

ბევრისთვის მოულოდნელი ფაქტია, მაგრამ ფაქტია.

ფაქტები კი — ჯიუტი რამაა, როგორც ინგლისური ანდაზა ამბობს.

«პრავდა» № 50,
1917 წ. 19 (6) მაისი

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.,
ტ. 24, გვ. 436—437

ს ტ ა ტ ი ი დ ა ნ

«კონტრრევოლუციის გადასვლა შეტევაზე»

(«უხალხო იაკობინელები»)

...თქვენ ხომ, ბატონო კადეტებო და მემარჯვენეებო, სამინისტროში ნაროდნიკებთან და მენშევიკებთან გაერთიანებულნო, თქვენ ხომ ყოველდღიური გაზეთების ათჯერ, თუ ასჯერ არა, მეტი ეგზემლარი გაქვთ, ვიდრე თქვენს მოწინააღმდეგეებს!! და აგიტაციის მთავარი იარაღის ასეთი სიჭარბის დროს საპყრობილეში უნდა ჩასჯათ კაცი «მიტინგზე წარმოთქმული სიტყვისათვის»!! ნუთუ, ბატონებო, შიშისაგან ჭკუაზე შეიშალეთ?...

«პრავდა» № 68, 1917 წ.
10 ივნისი (28 მაისი)

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც., ტ. 24, გვ. 647

რსდპპ (ბ) პეტერბურგის კომიტეტის სხდომა

1917 წ. 30 მაისი (12 ივნისი)

1

სიტყვა პეტერბურგის კომიტეტის ორგანოს საკითხზე

პეტერბურგის კომიტეტის სურვილი — ჰქონდეს საკუთარი ცალკე ორგანო, ცენტრალური კომიტეტისთვის ახალი ამბავი შეიქნა. გაუგებარია, რატომ წამოიჭრა ეს საკითხი სწორედ იმ დროს, როდესაც ეწყობა საკუთარი სტამბა, როდესაც გვარდება შეთანხმება მეჟრაიონელებთან პოპულარული ორგანოს გამოცემის საქმეში ამხ. ტროცკის ჩიბმის შესახებ.

დასავლეთ ევროპის დედაქალაქებსა და მსხვილ სამრეწველო ცენტრებში ადგილობრივი და ცენტრალური ორგანოები გაყოფილი არ არიან. ასეთი გაყოფა ძალთა განიავებას იწვევს და მავნებელია. ცენტრალური ორგანოსაგან გამოცალკევებული პ. კ-ის ორგანოს არსებობა მიზანშეუწონელია. პეტერბურგი, როგორც ცალკე კუთხე არ არსებობს.პეტერბურგი — მთელი რუსეთის გეოგრაფიული, პოლიტიკური, რევოლუციური ცენტრია. პეტერბურგის ცხოვრებას თვალყურს ადევნებს მთელი რუსეთი. პეტერბურგის ყოველი ნაბიჯი სახელმძღვანელო მაგალითია მთელი რუსეთისათვის. ამ დებულებიდან თუ გამოვალთ, პეტერბურგის კომიტეტის ცხოვრებას ადგილობრივ ცხოვრებად ვერ გავხდით.

რატომ არ უნდა მივიღოთ ცენტრალური კომიტეტის წინადადება პრესის კომისიის შექმნის შესახებ? დასავლეთის პრესის ისტორიაში, იქ, სადაც ასეთი კომისიები არსებობდა, რა თქმა უნდა, ყოფილა გაუგებრობანი ორგანოს რედაქციასა და კომისიას შორის, მაგრამ ეს გაუგებრობანი ხდებოდა მხოლოდ და მხოლოდ ორგანოს პრინციპულად წარმართვის ნიადაგზე. მერე რა პრინციპული პოლი-

ტიკური მოტივები აქვთ კონფლიქტისათვის პეტერბურგის კომიტეტსა და ცენტრალურ კომიტეტს? მიუხედავად იმისა, სურს ეს მას თუ არ სურს, პეტერბურგის კომიტეტის ორგანო ყოველთვის პარტიის ხელმძღვანელი ორგანო იქნება.

თავისი ცალკე ორგანოს შექმნის გამოცდილება მალე დაარწმუნებს პეტერბურგის კომიტეტს, რომ შეუძლებელია ადგილობრივი ცხოვრების ფარგლებში ჩაკეტვა. ცენტრალური კომიტეტი არ უარყოფს იმის აუცილებლობას, რომ პეტროგრადის ორგანიზაციის საჭიროებათათვის დიდი ადგილი გამოიყოს გაზეთებში. ცენტრალური კომიტეტი არ უარყოფს, რომ საჭიროა პოპულარული ორგანო ფართო მასებისათვის ჩვენი ლოზუნგების განსამარტებლად. მაგრამ პოპულარული გაზეთის დაყენება რთული საქმეა და დიდ გამოცდილებას მოითხოვს. ამიტომაც არის, რომ ცენტრალური კომიტეტი პოპულარული გაზეთის დაყენების საქმეში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ამხ. ტროცკის, რომელმაც შეძლო თავისი პოპულარული ორგანოს «რუსსკაია გაზეტას»[194] დაყენება.

დასავლეთ ევროპის ისტორიაში პოპულარული ორგანოს საკითხი ისე მწვავედ არ მდგარა, როგორც ჩვენში. დასავლეთში მასების განათლების დონე მათში ლიბერალების კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის წყალობით უფრო თანაბრად იზრდებოდა. ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა ჩეხია და ბოჰემია, პოპულარული ორგანოები არსებობს. პოპულარული ორგანოს ამოცანაა — იმდენად აამაღლოს მკითხველი, რომ მისთვის გასავები გახდეს ხელმძღვანელი პარტიული ორგანო. თუ ჩვენ არ შევქმნით პოპულარულ ორგანოს, მასას სხვა პარტიები დაეუფლებიან და მას სასპეკულაციოდ გამოიყენებენ. პოპულარული ორგანო თავისი ტიპით არ უნდა იყოს ადგილობრივი ხასიათისა, მაგრამ საფოსტო გზავნილების სიძნელის გამო იგი იძულებული იქნება უმთავრესად პეტერბურგს მოემსახუროს. ადგილობრივ საჭიროებათა წესიერი მომსახურების მისაღწევად პეტერბურგის კომიტეტმა უნდა გააფორმოს თავისთვის სასურველი ადგილი ამ ორგანოს რედაქციაში.

2

პეტერბურგის კომიტეტის სხდომაზე შეტანილი რეზოლუციების პროექტები

1 პირველი რეზოლუცია

ცენტრალური კომიტეტი აარსებს პიტერში ორ გაზეთს: ცენტრალურ ორგანოს და პოპულარულს ერთი რედაქციით. პეტერბურ-

ვის კომიტეტს ეძლევა სათათბირო ხმა ცენტრალური ორგანოს რედაქციაში და გადამწყვეტი ხმა — პოპულარულ ორგანოში. ორივე გაზეთში ცენტრალური კომიტეტი სვეტების განსაზღვრულ რაოდენობას უთმობს წმინდა ადგილობრივი მნიშვნელობის ადგილობრივი ინტერესების მომსახურებას.

მეოთხე რეზოლუცია

პეტერბურგის კომიტეტი ადგენს მონაწილეობა მიიღოს ორივე გაზეთში, რომელთაც აარსებს ცენტრალური კომიტეტი, იმ პირობებით, რომელთაც ცენტრალური კომიტეტი აყენებს, — და ყოველგვარი ძალ-ღონე იხმაროს, რათა რაც შეიძლება სრულად და ფართოდ მოემსახუროს ადგილობრივი მუშაობის საჭიროებებს და უფრო დეტალურად დაამუშაოს საერთო-პარტიული ხაზი. რადგან არსებობს საფუძველი იმის შიშისა, რომ ცენტრალურ კომიტეტს ან მის მიერ დანიშნულ რედაქციას შეუძლია მეტისმეტად დაენდოს ამხანაგ-ინტერნაციონალისტებს, რომლებიც ბოლშევიზმს არ იზიარებენ, რომ ცენტრალური კომიტეტი შეზღუდავს ადგილობრივი ამხანაგების თავისუფლებას და დამოუკიდებლობას, რომ ცენტრალური კომიტეტი არ მისცემს მათ ისეთი გავლენის საშუალებას, როგორიც ადგილობრივი მუშაობის ხელმძღვანელებს შეეფერებათ, პეტერბურგის კომიტეტი ირჩევს კომისიას, რომელმაც უნდა ჩამოაყალიბოს პეტერბურგის კომიტეტის უფლებათა ზუსტი გარანტიები ორივე გაზეთის ადგილობრივ განყოფილებაში.

პირველად დაიბეჭდა 1925 წელს ჟურნალ «კრასნაია ლეტოპისში» № 3 (14)

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც., ტ. 24, გვ. 659—660, 661—662

წერილი რსდმპ (ბოლშევიკების) პეტროგრადის ორგანიზაციის რაიონული კომიტეტებისადმი

პატივცემულო ამხანაგებო!

ამასთანავე გიგზავნით პეტერბურგის კომიტეტის რეზოლუციას საკუთარი გაზეთის დაარსების შესახებ და ორ რეზოლუციას, რომლებიც მე რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით წარვუდგინე პეტერბურგის კომიტეტის სხდომას სამშაბათს, 30 მაისს, მე გთხოვთ განიხილოთ ყველა ეს რეზოლუცია და რაც შეიძლება უფრო დაწვრილებით და დასაბუთებულად გამოთქვათ თქვენი აზრი.

იმ საკითხის გამო, ესაჭიროება თუ არა პეტერბურგის კომიტეტს პიტერში ცალკე გაზეთი, კონფლიქტი მწიფდება პეტერბურგის კომიტეტსა და ცენტრალურ კომიტეტს შორის. ფრიად მნიშვნელოვანი და უაღრესად სასურველია, რომ პიტერში ჩვენი პარტიის რაც შეიძლება მეტმა წევრმა მიიღოს აქტიური მონაწილეობა ამ მოსალოდნელი კონფლიქტის განხილვაში და თავისი გადაწყვეტილებით დახმარება გაუწიოს პარტიას კონფლიქტის მოგვარებაში.

პეტერბურგის კომიტეტის აღმასრულებელმა კომისიამ ერთსულოვნად დაუჭირა მხარი პიტერში პეტერბურგის კომიტეტის ცალკე ორგანოს შექმნას, მიუხედავად ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებისა, რომ «პრავდის» მაგივრად, რომლის ზომა აშკარად არ არის საკმარისი, დაარსდეს ორი გაზეთი: ყოფილი «პრავდა», პარტიის ცენტრალური ორგანო, და პატარა «ნაროდნაია პრავდა» (არცერთი ამ გაზეთის სახელწოდება საბოლოოდ არ არის დადგენილი), როგორც პოპულარული ორგანო ფართო მასებისთვის. ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით, ორივე გაზეთს უნდა ჰყავდეს ერთი რედაქცია და ორივე გაზეთის რედაქციაში უნდა შედიოდეს პეტერბურგის კომიტეტის წარმომადგენელი (ცენტრალურ ორგანოში სა-

თათბირო ხმით, ხოლო პოპულარულ ორგანოში — გადამწყვეტი ხმით). უნდა შეიქმნას «პრესის კომისია» (რაიონების იმ მუშებისაგან, რომლებსაც უაღრესად ახლო კავშირი აქვთ მასებთან), აგრეთვე ორივე გაზეთში სვეტების განსაზღვრული რაოდენობა უნდა დაეთმოს ადგილობრივი მუშათა მოძრაობის წმინდა ადგილობრივ საჭიროებათა მომსახურებას.

ასეთია ცენტრალური კომიტეტის გეგმა.

პეტერბურგის კომიტეტის აღმასრულებელ კომისიას ამის მაგივრად სურს საკუთარი გაზეთი, პეტერბურგის კომიტეტის ცალკე გაზეთი. აღმასრულებელმა კომისიამ ეს ერთხმად გადაწყვიტა.

პეტერბურგის კომიტეტის 30 მაისის სხდომაზე, ამხ. მ. ტომსკის მოხსენებისა და საბოლოო სიტყვის, ჩემი სიტყვისა და კამათში მრავალი ამხანაგის მონაწილეობის შემდეგ, ხმები თანაბრად გაიყო: 14-მა მხარი დაუჭირა აღმასრულებელ კომისიას, 14 წინააღმდეგ იყო. ჩემი რეზოლუცია კი უარყოფილ იქნა 16 ხმით 12-ის წინააღმდეგ.

მე დარწმუნებული ვარ, რომ პეტერბურგის კომიტეტს ცალკე გაზეთი პრინციპულად არ ესაჭიროება, რადგან დედაქალაქში, რომელსაც მთელი ჩვენი ქვეყნისათვის ხელმძღვანელი მნიშვნელობა აქვს, საჭიროა იყოს პარტიის ერთი ორგანო, სახელდობრ ცენტრალური ორგანო, და პოპულარული გაზეთი, შედგენილი განსაკუთრებით პოპულარულად იმავე რედაქციით.

პეტერბურგის კომიტეტის ცალკე ორგანო აუცილებლად გააძნელებს სრულ თანხმობას მუშაობაში, შესაძლოა, ხაზის განსხვავებაც (ან ხაზის ნაირსახეობაც) კი წარმოშვას, ეს კი — განსაკუთრებით რევოლუციურ დროს — ფრიად მავნებელია საქმისთვის.

რა საჭიროა ძალთა დაქსაქსვა?

ჩვენ ყველანი საშინლად გადატვირთული ვართ მუშაობით, ძალები ცოტა გვყავს; ჩვენი ლიტერატორები სულ უფრო და უფრო მეტად გადადიან ობორონცების მხარეზე. ასეთ პირობებში განა შესაწყნარებელია ძალთა დაქსაქსვა?

საჭიროა ძალთა შემჭიდროება და არა დაქსაქსვა.

შეიძლება განა არ ვენდოთ ცენტრალურ კომიტეტს, რომ ის წესიერად შეადგენს რედაქციას, ან ორივე გაზეთში საკმაო ადგილს დაუთმობს ადგილობრივი მუშაობის მომსახურებას ანდა არ «აწყენინებს» უმცირესობაში მყოფ პეტერბურგის კომიტეტის რედაქტორებს და სხვ.

ჩემი რეზოლუციის მეორე პროექტში მე განგებ ჩამოვთვალე მთელი რიგი ასეთი მოსაზრებები (რომლებიც მოვისმინე პეტერბურგის

კომიტეტის 30 მაისის სხდომაზე), რათა აშკარად დამეყენებინა საკითხი პარტიის ყველა წევრის წინაშე, რათა იძულებული გამეხადა ისინი გულმოდგინედ აეწონ-დაეწონათ ორივე მოსაზრება და მიგღოთ პასუხსაგები გადაწყვეტილება.

თუ თქვენ, ამხანაგებო, საფუძვლიანი და სერიოზული საბუთი გაქვთ არ ენდოთ ცენტრალურ კომიტეტს, თქვით ეს პირდაპირ. ეს ჩვენი, დემოკრატიულად მოწყობილი, პარტიის ყოველი წევრის მოვალეობაა, და მაშინ ჩვენი პარტიის ც. კ-ის მოვალეობა იქნება ცალკე განიხილოს თქვენი უნდობლობის საკითხი, მოახსენოს მის შესახებ პარტიის ყრილობას, განსაკუთრებული მოლაპარაკება გამართოს ცენტრალური კომიტეტისადმი ადგილობრივი ორგანიზაციის ამ სამწუხარო უნდობლობის მოსასპობად.

ხოლო თუ ასეთი უნდობლობა არ არის, მაშინ უსამართლო და უმართებულოა იმის დაჩემება, რომ ცენტრალურ კომიტეტს არ ჰქონდეს პარტიის ყრილობის მიერ მინიჭებული უფლება — უხელმძღვანელოს მუშაობას საერთოდ პარტიაში და განსაკუთრებით დედაქალაქში.

იქნებ ჩვენი ცენტრალური კომიტეტი გადამეტებულ, გადაჭარბებულ მოთხოვნას აყენებს, როდესაც სურს ხელმძღვანელობა გაუწიოს პიტერის გაზეთებს? არა. გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში, მის საუკეთესო ხანაში, როდესაც მრავალი ათეული წლის განმავლობაში პარტიას ვილჰელმ ლიბკნეხტი ედგა სათავეში, იგი იყო პარტიის ცენტრალური ორგანოს რედაქტორი. ცენტრალური ორგანო გამოდიოდა ბერლინში. ბერლინის ორგანიზაციას არასოდეს არ ჰქონია ცალკე გაზეთი ბერლინში. არსებობდა მუშებისაგან შემდგარი «პრესის კომისია», არსებობდა ადგილობრივი განყოფილება პარტიის ცენტრალურ ორგანოში. რატომ უნდა გადაეუხვიოთ ჩვენი უცხოელი ამხანაგების ამ კარგ მაგალითს?

თუ თქვენ, ამხანაგებო, გსურთ განსაკუთრებული გარანტიები ცენტრალური კომიტეტისაგან, თუ თქვენ გსურთ შეცვალოთ ესა თუ ის მუხლი (ცენტრალური კომიტეტის გეგმაში ორი გაზეთის დაარსების შესახებ), ცენტრალური კომიტეტის სახელით გთხოვთ ზვდმიწევნით განიხილოთ და გაგვაცნოთ ეს.

პეტროგრადის კომიტეტის აღმასრულებელი კომისიის გადაწყვეტილება პიტერში ცალკე გაზეთის შექმნის შესახებ მე მიმაჩნია მეტისმეტად უმართებულო, არასასურველ, ძალთა დამქსაქსველ გადაწყვეტილებად, რომელიც ჩვენს პარტიაში შემოიტანს მთელ რიგ საბაბს კონფლიქტებისათვის. ჩემი აზრით (ამ პუნქტშიც მე მხოლოდ ცენტრალური კომიტეტის აზრს გამოვთქვამ), სასურველია

პიტერის ორგანიზაციამ მხარი დაუჭიროს ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებას, ერთხანს დაუცადოს ცენტრალური კომიტეტის გეგმის მიხედვით შექმნილი ორი გაზეთის მუშაობის გამოცდილების შედეგებს და შემდეგ გამოიტანოს, თუ საჭირო იქნება, განსაკუთრებული გადაწყვეტილება ამ გამოცდილების შედეგების შესახებ.

ამხანაგური სოციალ-დემოკრატიული სალამით

.1917 წლის 31 მაისი. ნ. ლენინი

პირველად დაიბეჭდა 1925 წელს ჟურნალ «კრასნაია ლეტოპისში» № 3 (14)

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც., ტ. 24, გვ. 671—675.

ს ვ ა ჯ ი ი ღ ა ნ

«ბოლშევიზმი და ჯარის «გახრწნა»»

... ჩვენს განკარგულებაში კი მ ხ ო ლ ო დ ს ი ტ ყ ვ ა ა.

და ეს სიტყვაც სურთ წაგვართვან...

«პრავდას» ფრონტზე არ აჭაჭანებენ. კიეველმა «აგენტებმა» დაადგინეს — «პრავდა» არ გაავრცელონ. «ერობათა კავშირი» თავის ქიოსკებში «პრავდას» არ ყიდის...

«პრავდა» № 72
1917 წ. 16 (3) ივნისი

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც., ტ. 24, გვ. 694

ს ტ ა ტ ი ი ნ

«სად არის ხელისუფლება და სად არის კონტრრევოლუცია?»

... ხელისუფლება უმოქმედობს. არც კერენსკი, არც დროებითი მთავრობა, არც საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი არ ფიქრობენ იმასაც კი, რომ დააპატიმრონ ლენინი, განეცკი, კოზლოვსკი, თუ ისინი საეჭვონი არიან. გუშინ ღამით, 4 ივლისს, ჩხეიძეც და წერეთელიც სთხოვენ გაზეთებს არ დაბეჭდონ აშკარა სიცრუე. ამავე დროს კი, უფრო გვიან, ნაშუაღამევს, პოლოვცევი იუნკრებსა და კაზაკებს გზავნის «პრავდის» დასარბევად, მისი გამოშვების შესაჩერებლად, გამომშვებთა დასაპატიმრებლად, დავთრების ხელში ჩასაგდებად (ვითომდა იმის შესამოწმებლად, ხომ არ არის აღნიშნული ამ დავთრებში საეჭვო ფული), და ამავე დროსვე ყვითელ, მდარე, ბინძურ გაზეთუნა «ეიკოე სლოვოში»[195] იბეჭდება საზიზღარი ცილისწამება, რათა გააღვიონ ვნებათაღელვა, რათა ჩირქი მოსცხონ ბოლშევიკებს, რათა შექმნან რბევა-აწიოკების განწყობილება, რათა კეთილსახიერი გამართლება გამოუნახონ პოლოვცევის, იუნკრებისა და კაზაკების საქციელს, რომლებმაც დაარბიეს «პრავდა»...

დაწერილია 1917 წ. 5 (18) ივლისს
დაიბეჭდა 1917 წ. 6 (19) ივლისს
გაზეთ «ლისტოკ «პრავდიში»»

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.,
ტ. 25, გვ. 180

შავრაზმული გაზეთებისა და ალექსინსკის საზიზღარი ცილისწამება

გაზეთმა «ჟივოე სლოვომ», რომელიც ამკარად შავრაზმული ხასიათისაა, დღეს დაბეჭდა საძაგელი, ბინძური ცილისწამება ლენინზე.

გაზეთ «პრავდას» არ შეუძლია გამოსვლა იუნკრების მიერ 4 ივლისს ღამით მისი დარბევის გამო; ამიტომ ბინძური ცილისწამების დაწვრილებით გაბათილებას აგვიანდება.

ჯერჯერობით კი ვაცხადებთ, რომ «ჟივოე სლოვოს» ცნობა არის ცილისწამება, რომ ჩხეიძემ 4 ივლისს ღამით დაურეკა ყველა დიდ გაზეთს და სთხოვა არ დაებეჭდათ ცილისმწამებლური, რბევა-აწიოკების გამომწვევი სტატიები. დიდმა გაზეთებმა შეასრულეს ჩხეიძის თხოვნა, და 5 ივლისს არც ერთ გაზეთს, გარდა ბინძური «ჟივოე სლოვოსი», არ დაუბეჭდია საზიზღარი ცილისწამება.

ალექსინსკი კი იმდენად ცნობილია, როგორც ცილისმწამებელი, რომ ის არ დაუშვებს საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში, ვიდრე ის არ მოახდენს თავისი თავის რეაბილიტაციას, ე. ი. არ აღიდგენს თავის სახელს.

მოქალაქენო ნუ დაუჯერებთ ბინძურ ცილისმწამებელს—ალექსინსკისა და «ჟივოე სლოვოს».

ერთბაშად ჩანს «ჟივოე სლოვოს» ცილისწამება თუნდაც აი საიდან: «ჟივოე სლოვო» წერს, რომ 16 მაისს შტაბიდან კერენსკის გაეგზავნა წერილი (3719 ნომრით) ლენინისათვის ბრალის დადების შესახებაო. ცხადია, რომ კერენსკი ვალდებული იყო მაშინვე დაეპატიმრებინა ლენინი და დაენიშნა მთავრობის გამოძიება, მას რომ თუნდაც ერთი წუთით დაეჯერებინა ბრალდების ან ეპვის სერიოზულობა.

დაწერილია 1917 წ. 5 (18) ივლისს
დაიბეჭდა 1917 წ. 6 (19) ივლისს
გაზეთ «ლისტოკ «პრავდიში»»

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.,
ტ. 25, გვ. 182—183.

ბროშურიდან

«ლოზუნგებისათვის»

... 150.000 პეტროგრადელი ამომრჩევლის ორგანოს დახუოვა, მუშა ვოინოვოს მოკვლა იუნკრების მიერ (6 ივლისს) სტამბიდან «ლისტოკ პრავდის»[196] გამოტანისათვის — განა ეს ჯალათობა არ არის? განა ეს კავენიაკების ნამოქმედარი არ არის?..

დაწერილია 1917 წ.
შუა ივლისში
დაიბეჭდა 1917 წელს ცალკე ბროშურად, გამოცემა რსდმპ(ბ) კრონშტადტის კომიტეტისა

იბეჭდება ვ. ი. ლენინის «თხზულებათა» ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც., ტ. 25, გვ. 220

ს ვ ა ვ ი ი ღ ა ნ

«მადლობა თავად გ. ე. ლვოვს»

... პროლეტარიატი არასოდეს არ მიმართავს ცილისწამებას. ის დახურავს ბურჟუაზიის გაზეთებს და პირდაპირ განაცხადებს კანონით, განკარგულებით, მთავრობის სახელით, რომ ხალხის მტრები არიან კაპიტალისტები და მათი დამცველები. ბურჟუაზიას, ჩვენი მტრის — მთავრობის სახით, და წვრილ ბურჟუაზიას, საბჭოების სახით, ეშინია იმისა, რომ პირდაპირ და აშკარად თქვას თუნდაც ერთი სიტყვა «პრავდის» აკრძალვის, მისი დახურვის მიზეზების შესახებ. პროლეტარიატი იმოქმედებს არა ცილისწამებით, არამედ ჭეშმარიტების სიტყვით. ის ეტყვის გლეხებსა და მთელ ხალხს სიმართლეს ბურჟუაზიულ გაზეთებზე და მათი დახურვის საჭიროებაზე...

«პროლეტარსკოე დელო» № 5,
1917 წ. 1 აგვისტო (19 იელისი)

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.,
ტ. 25, გვ. 227

ნ ე ბ ი ს ი ნ ა ნ

ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთულ ბიუროს

17/30 აგვისტო 1917.

... (6) III ინტერნაციონალის დასაარსებლად მემარცხენეთა კონ-ფერენციის მოწვევის გადაწევითა თუ გადადებით ჩვენ უდიდეს, მიუტევებელ შეცდომას ვუშვებთ. სწორედ ახლა, სწორედ როცა ციმერვალდი ასე სამარცხვინოდ მერყეობს ან იძულებულია უმოქმე-დობას იჩენდეს, სწორედ ახლა, სანამ რუსეთში ჯერ კიდევ არის ლე-გალური (თითქმის-ლეგალური) ინტერნაციონალისტური პარტია 200 000-ზე მეტი (240 000) წევრით* (რაც მსოფლიოში არსად არის ომის დროს), სწორედ ახლა ჩვენ მოვალენი ვართ მოვიწვიოთ მე-მარცხენეთა კონფერენცია. და ჩვენ პირდაპირ დამნაშავენი ვიქნე-ბით, თუ დ ა ვ ა გ ვ ი ა ნ ე ბ თ ამის გაკეთებას (ბოლშევიკების პარ-ტიას რუსეთში დღითი დღე სულ უფრო მეტად ერეკებიან იატაკ-ქვეშეთში)...

... (9) აქ უნდა გზავნოთ, შეძლებისამებრ, ყოველკვირეულად, ჯერ-ერთი, სტატიები პროვინციული და პიტერის პარტიული პრესი-სათვის (მიმოხილვები მემარცხენეთა მოძრაობისა საზღვარგარეთ, ფაქტები, ფაქტები, ფაქტები), — მეორე, ფურცლები (4 — 8 — 16 გვერდიანი) პატარა ბროშურებად გამოსაცემად. ნაკრები ფაქტები ინტერნაციონალის კრახის შესახებ, სოციალ-შოვინისტთა სახელის გატეხის შესახებ, კაუცკიანელთა სახლის გატეხის შესახებ, მემარცხენეთა მოძრაობის ზრდის შესახებ; თუნდაც 4 ბრო-შურა ყოველ ამ თემაზე თითო 16 — 32 გვერდიანი. ფ ა ქ ტ ე-ბ ი დ ა ფ ა ქ ტ ე ბ ი. არის იმედი, რომ ამას გამოვცემთ. ახლავე გვიპასუხეთ, შეგიძლიათ თუ არა მოჰკიდოთ ხელი. ჩვენი წესით გადმოგზავნისას (ლეგალურად გამოგზავნაზე ახლა ლაპარაკიც არ

---

* 17 ყოველდღიური გაზეთი; 1 415 000 ეგზემპლარი საერთო ტირაჟი კვი-რაში; 320 000 დღეში.

შეიძლება), მე ვფიქრობ, ს ულ ერ თ ი ა, რა ენაზე იქნება დაწერილი.

(10) ვიმედოვნებ, რომ «პრავდის» კომპლექტები გაქვთ. «ნოვაია ჟიზნს»[197] იწერთ. თუ არა გაქვთ «რაბოჩი ი სოლდატ»[198] (დახურულია), «პროლეტარსკოე დელო»[199] (კრონშტადტი) და «სოციალ-დემოკრატი»[200] (მოსკოვი), ახლავე მოიწერეთ, და მე გამოგიგზავნით, როგორც კი გაიმართება ახალი გზა, რომელსაც პირველად ამ წერილით ვცდი.

P. S. 18 აგვისტო. ეს არის მივიღე ახალი გაზეთის «პროლეტარის»[201] №№ 1, 2, 4, ცენტრალურ ორგანოს — რა თქმა უნდა, მალე დახურავენ. ვეცდები გამოგიგზავნოთ. გიგზავნით №№ 1 — 7.

20 აგვისტო. წერილის გამოგზავნა ჯერ კიდევ მაინც ვერ მოხერხდა, და, ალბათ, ასე მალე ვერც მოხერხდება. ამიტომ წერილის ნაცვლად დღიურის მსგავსი რაღაც გამომიდის. რა გაეწყობა. ბევრი მოთმინება და სიმტკიცე უნდა გქონდეთ, ფუ საერთოდ გინდათ კავშირი გქონდეთ ინტერნაციონალისტებთან «ყველაზე თავისუფალ» იმპერიალისტურ რესპუბლიკაში. «იზვესტიიდან»[202] დღეს შევიტყვე, რომ სტოკჰოლმში გამოდის «მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს სტოკჰოლმის საინფორმაციო ბიუროს უწყებანი», ყოველკვირეულად. ეცადეთ გამოგზავნოთ ყველა სტოკჰოლმური გამოცემის კომპლექტები. ვერაფერს ვერ ვხედავთ...

გაგზავნილია სადგურ რაზლივიდან
სტოკჰოლმში
პირველად დაიბეჭდა 1930 წელს

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.,
ტ. 35. გვ. 339, 342—343

როგორ უზრუნველვყოთ დამფუძნებელი კრების წარმატება

(ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლების შესახებ)

აპრილის დამდეგს, როცა ვაშუქებდი ბოლშევიკების დამოკიდებულებას საკითხისადმი, საჭიროა თუ არა დამფუძნებელი კრების მოწვევაო, ვწერდი:

«საჭიროა და რაც შეიძლება მალე. მაგრამ მისი წარმატებისა და მოწვევის გარანტია ერთია: მუშათა, ჯარისკაცთა, გლეხთა და სხვ. დეპუტატების საბჭოების რიცხვის გადიდება და ძ ა ლ ი ს განმტკიცება; მუშათა მასების ორგანიზება და შ ე ი ა რ ა ღ ე ბ ა ერთადერთი გარანტიაა» («პოლიტიკური პარტიები რუსეთში და პროლეტარიატის ამოცანები», «ეიზნ ი ზნანიეს» იაფფასიანი ბიბლიოთეკა, წ. III, გვ. 9 და 29).

მას შემდეგ ხუთმა თვემ განვლო, და ამ სიტყვების სისწორე დაადასტურა დამფუძნებელი კრების მოწვევის მრავალგზის გაჯანჯლებამ და გადადებამ კადეტების მიზეზით, ბოლოს, ეს შესანიშნავად დაადასტურა კორნილოველობამ.

ახლა, 12 დეკემბრისათვის დემოკრატიული თათბირის მოწვევასთან დაკავშირებით, მე მინდა საქმის სხვა მხარეზე შევჩერდე.

მენშევიკების «რაბოჩაია გაზეტაც» და «დელო ნაროდაც» მწუხარებას გამოთქვამდნენ იმის გამო, თუ რა ცოტა კეთდება გლეხებში აგიტაციისათვის, რუსი ხალხის ამ ნამდვილი მ ა ს ი ს, მისი ნამდვილი უმრავლესობის გათვითცნობიერებისათვის. ყველას აქვს შეგნებული, ყველა აღიარებს, რომ გლეხთა გათვითცნობიერებაზეა დამოკიდებული დამფუძნებელი კრების წარმატება, მაგრამ ამისათვის სასაცილოდ ცოტა კეთდება. გლეხებს ატყუებს, აბრიყვებს, აშინებს მთლად ყალბი და კონტრრევოლუციური ბურჟუაზიული და «ყვითელი» პრესა, რომელთან შედარებითაც მენშევიკებისა და ესერების პრესა (რომ აღარაფერი ვთქვათ ბოლშევიკურ პრესაზე) ძალიან, ძალიან სუსტია.

რატომ არის ასე?

სწორედ იმიტომ, რომ სუსტნი, გაუბედავნი, უმოქმედონი არიან ესერებისა და მენშევიკების მმართველი პარტიები, რომ ისინი, საბჭოების მიერ მთელი ძალაუფლების აღებას რომ არ სთანხმდებიან, გლეხობას სტოვებენ სიბნელესა და მიგდებულ მდგომარეობაში, «საჯიჯგნად» ხელში უგდებენ კაპიტალისტებსა და მ ა თ ს პრესას, მ ა თ ს აგიტაციას.

მენშევიკები და ესერები ჩვენს რევოლუციას კვეხნით დიდს უწოდებენ, მარჯვნივ და მარცხნივ გაჰყვირიან მქუხარე მაღალფარდოვან ფრაზებს «რევოლუციური დემოკრატიის» შესახებ, ს ი ნ ა მ დ ვ ი ლ ე შ ი კი ისინი რუსეთს სტოვებენ უაღრესად ჩვეულებრივი, უაღრესად წვრილბურჟუაზიული რევოლუციის მდგომარეობაში, რომელიც, მეფის დამხობის შემდეგ, ყოველივე დანარჩენს ძველებურად სტოვებს და არაფერს, სრულიად არაფერს სერიოზულს არ აკეთებს იმისათვის, რომ პოლიტიკურად გაათვითცნობიეროს გლეხები, მოსპოს გლეხთა სიბნელე, ე ს უ კ ა ნ ა ს კ ნ ე ლ ი (და ყველაზე ძლიერი) დასაყრდენი, ხალხის ექსპლოატატორთა და მჩაგვრელთა დ ა ს ა ყ რ დ ე ნ ი.

სწორედ ახლაა მართებული, რომ ეს მოგაგონოთ. სწორედ ახლა, დემოკრატიული თათბირის წინ, დამფუძნებელი კრების «დანიშნულ» (ისევ გადასადებად «დანიშნულ») მოწვევამდე ორი თვით ადრე, მართებულია ცხადყოთ, თუ რა ადვილი იქნებოდა საქმის გამოსწორება, თუ რა ბევრი რამის გაკეთება შეიძლებოდა გლეხთა პოლიტიკური გათვითცნობიერებისათვის, ბრჭყალებში ჩასმული ჩვენი «რევოლუციური დემოკრატია» რომ... რომ ნამდვილად რევოლუციური იყოს, ე. ი. ისეთი, რომელსაც რევოლუციურად მოქმედების უნარი აქვს, და ნამდვილად დემოკრატია იყოს, ე. ი. ისეთი, რომელიც ანგარიშს უწევს ხალხის უმრავლესობის ნებასა და ინტერესებს და არა კაპიტალისტთა უმცირესობისას, რომელსაც კვლავ უპყრია ხელთ ძალაუფლება (კერენსკის მთავრობა) და რომელთაგანაც, — თუ პირდაპირ არა, არაპირდაპირ, თუ ძველი ფორმით არა, ახალი ფორმით, — ზაინც სურთ «შემთანხმებლობა» ესერებსა და მენშევიკებს.

კაპიტალისტები (და მათ კვალდაკვალ, გაუგებრობისა თუ დამყაყებულობის გამო, ბევრი ესერი და მენშევიკი) «პრესის თავისუფლებას» უწოდებს საქმის ისეთ მდგომარეობას, როდესაც ცენზურა გაუქმებულია და ყველა პარტია თავისუფლად სცემს ყოველგვარ გაზეთს.

ნამდვილად კი ეს პრესის თავისუფლება კი არ არის. არამედ

მდიდრების, ბურჟუაზიის მიერ ხალხის დაჩაგრული და ექსპლოატირებული მასების მოტყუების თავისუფლებაა.

მართლაც. აიღეთ თუნდაც პიტერისა და მოსკოვის გაზეთები. თქვენ ერთბაშად დაინახავთ, რომ გამოშვებულ ეგზემპლართა რიცხვის მხრივ ძალიან სჭარბობენ ბურჟუაზიული გაზეთები, «რეჩი», «ბირჟევკა», «ნოვოე ვრემია», «რუსსკოე სლოვო» და ასე შემდეგ და ამათი მსგავსნი (ვინაიდან ასეთი გაზეთი ძალიან ბევრია). რას ემყარება ეს სიჭარბე? სრულიად არა უმრავლესობის ნებას, ვინაიდან არჩევნები ცხადყოფენ, რომ ორივე დედაქალაქში უმრავლესობა (და ამასთან გიგანტური უმრავლესობა) დემოკრატიის, ე. ი. ესერების, მენშევიკებისა და ბოლშევიკების მხარეზეა. ამ სამ პარტიას ხმების სამი მეოთხედიდან ოთხ მეხუთედამდე აქვს, ხოლო მათ მიერ გამოშვებული გაზეთების ეგზემპლართა რიცხვი უეჭველად ერთ მეოთხედზე ან ერთ მეხუთედზედაც კი ნაკლებია მთელი ბურჟუაზიული პრესის ეგზემპლართა რიცხვთან შედარებით (ბურჟუაზიული პრესისა, რომელიც, როგორც ახლა ვიცით და ვხედავთ, პირდაპირ და არაპირდაპირ იცავდა კორნილოველობას).

რატომ არის ასე?

ყველამ ჩინებულად იცის, თუ რატომ. იმიტომ, რომ გაზეთის გამოცემა შემოსავლიანი და მსხვილი კაპიტალისტური წამოწყებაა, რომელშიც მდიდრები მილიონობით და მილიონობით მანეთს აბანდებენ. ბურჟუაზიული საზოგადოების «პრესის თავისუფლება» მდგომარეობს მ დ ი დ რ ე ბ ი ს თავისუფლებაში — სისტემატურად, განუხრელად, ყოველდღიურად მილიონობით ეგზემპლარების საშუალებით ატყუონ, გახრწნან, გააბრიყვონ ხალხის ექსპლოატირებული და ჩაგრული მასები, ღარიბნი.

აი ის უბრალო, საყოველთაოდ ცნობილი. აშკარა სიმართლე, რასაც ყველა ხედავს, რაც ყველას აქვს შეგნებული, მაგრამ რასაც «თითქმის ყველა» «მორცხვად» ჩქმალავს, შიშით გვერდს უვლის.

კითხვა იბადება, შეგვიძლია თუ არა ვებრძოლოთ ასეთ აღმაშფოთებელ ბოროტებას და როგორ ვებრძოლოთ?

უწინარეს ყოვლისა არის ერთი უმარტივესი, უდიდესი და ყოვლად კანონიერი საშუალება, რომელზედაც მე დიდი ხანია მივუთითებდი «პრავდაში»; ეს საშუალება განსაკუთრებით საჭიროა გავიხსენოთ ახლა, 12 სექტემბრისათვის, და ყოველთვის მხედველობაში უნდა ჰქონდეთ მუშებს, ვინაიდან არა გვგონია, რომ მუშები მას შეელიონ, როცა ისინი პოლიტიკურ ძალაუფლებას დაიპყრობენ.

ეს საშუალებაა გაზეთებში კერძო განცხადებათა მოთავსების სახელმწიფო მონოპოლია.

აიღეთ «რუსსკოე სლოვო», «ნოვოე ვრემია», «ბირჟევკა», «რეჩი» და სხვ. — თქვენ დაინახავთ უამრავ კერძო განცხადებას, რომლებიც უდიდეს, თითქმის ძირითად შემოსავალს აძლევენ ამ გაზეთების გამომცემელ კაპიტალისტებს. ასე პარპაშობს, ასე მდიდრდება, ასე ვაჭრობს ხალხის საწამლავით ყველა ბურჟუაზიული გაზეთი მთელ მსოფლიოში.

ევროპაში არის გაზეთები, რომელთა ეგზემპლარების რაოდენობა აღწევს ამა თუ იმ ქალაქის მცხოვრებთა ერთ მესამედს (მაგალითად, 12 000 ეგზემპლარს, როცა მოსახლეობა 40 000 კაცს შეადგენს) და რომლებიც მუქთად რიგდება ყოველ ბინაში და ამავე დროს კარგ შემოსავალს აძლევს მათს გამომცემლებს. ასეთი გაზეთები განცხადებებით არსებობენ, რაშიც კერძო პირნი ფულს იხდიან, ხოლო ყოველ ბინაში გაზეთის უფასოდ მიტანა უზრუნველყოფს განცხადებათა საუკეთესოდ გავრცელებას.

კითხვა ისმება, რატომ არ შეიძლებოდა, რომ დემოკრატიას, რომელიც თავის თავს რევოლუციურს უწოდებს, განეხორციელებინა ისეთი ღონისძიება, როგორიც არის გაზეთებში კერძო განცხადებათა მოთავსების სახელმწიფო მონოპოლიის შემოღება? განცხადებათა ბეჭდვის აკრძალვა სადმე სხვაგან, თუ არა იმ გაზეთებში, რომლებსაც სცემენ საბჭოები პროვინციაში და ქალაქებში და ცენტრალური საბჭო პიტერში მთელი რუსეთისათვის? რატომ არის «რევოლუციური» დემოკრატია ვალდებული ითმინოს ისეთი, რამ, როგორიცაა კერძო განცხადებათა წყალობით კორნილოვის მომხრე მდიდართა, საბჭოების წინააღმდეგ სიცრუისა და ცილისწამების გამავრცელებელთა გამდიდრება?

ასეთი ღონისძიება უთუოდ სამართლიანი ღონისძიება იქნებოდა. იგი დიდ სარგებლობას მოუტანდა იმათაც, ვინც კერძო განცხადებებს ბეჭდავს, და მთელ ხალხსაც, განსაკუთრებით კი ყველაზე დაჩაგრულ და უბირ გლეხობას, რომელსაც შესაძლებლობა მიეცემოდა სულ მცირე ფასად ან მუქთადაც კი ჰქონოდა საბჭოთა გაზეთები გლეხებისათვის განკუთვნილი დამატებებითურთ.

რატომ არ უნდა განხორციელდეს ეს? მხოლოდ იმიტომ, რომ წმიდათაწმიდაა ბატონი კაპიტალისტების კერძო საკუთრება და მემკვიდრეობითი უფლება (განცხადებათა შემოსავლისა). და განა შეიძლება XX საუკუნის რევოლუციურ დემოკრატს უწოდებდე თავს და ამავე დროს სცნობდე ასეთ უფლებას «წმიდათაწმიდა» უფლებად რუსეთის მეორე რევოლუციაში?!

იტყვიან: მაგრამ ეს პრესის თავისუფლების დარღვევა იქნებაო.

არ არის მართალი. ეს იქნებოდა პრესის თავისუფლების გაფარ-

თოება და აღდგენა. ვინაიდან პრესის თავისუფლება ნიშნავს: თავისუფლად შეიძლება ყველა მოქალაქის ყოველი აზრის გამოქვეყნება.

ახლა? ახლა მხოლოდ მდიდრებს აქვთ ეს მონოპოლია, შემდეგ კი დიდ პარტიებს. ამავე დროს დიდი საბჭოთა გაზეთების გამოცემისას, ყველა განცხადების მოთავსებასთან ერთად, სავსებით შესაძლებელი იქნებოდა იმის უზრუნველყოფა, რომ თავისი აზრი გამოეთქვა მოქალაქეთა გაცილებით უფრო მეტ რაოდენობას, ვთქვათ, ყოველ ჯგუფს, რომელიც შეკრებდა ხელისმომწერთა განსაზღვრულ რიცხვს. პრესის თავისუფლება სინამდვილეში გაცილებით უფრო დემოკრატიული გახდებოდა, გაცილებით უფრო სრული გახდებოდა ასეთი გარდაქმნის შემდეგ.

მაგრამ იტყვიან: სად ვიშოვნოთ სტამბები და ქაღალდიო?

ეჰე!!! საქმე «პრესის თავისუფლება» კი არ ყოფილა არამედ ექსპლოატატორთა წმიდათაწმიდა საკუთრება ხელში ჩაგდებული სტამბებისა და ქაღალდის მარაგისა!!!

რის გულისათვის უნდა ვცნოთ ჩვენ, მუშებმა და გლეხებმა, ეს წმიდათაწმიდა უფლება? რით სჯობია ყალბი ცნობების გამოცემის ეს «უფლება» ყმა გლეხთა ფლობის «უფლებას»?

რატომ არის ომის დროს დასაშვები და რატომ ხდება ყველგან ყოველგვარი რეკვიზიცია — სახლებისაც, ბინებისაც, ეტლებისაც-ცხენებისაც, პურისაც, ლითონისაც, ხოლო სტამბებისა და ქაღალდის რეკვიზიცია დაუშვებელია?

არა, მუშები და გლეხები შეიძლება დროებით მოატყუო და ასეთი ღონისძიებანი მათ თვალში უსამართლო ან ძნელად განსახორციელებელ ღონისძიებებად დასახო, მაგრამ სიმართლე მაინც თავისას გაიტანს.

სახელმწიფო ხელისუფლება, საბჭოების სახით, იღებს ყველა სტამბას და მთელ ქაღალდს და სამართლიანად ანაწილებს მას: პირველ ადგილას არის სახელმწიფო, ხალხის უმრავლესობის, ღარიბთა უმრავლესობის, მეტადრე გლეხების უმრავლესობის ინტერესების გულისათვის, იმ გლეხებისა, რომლებსაც საუკუნეთა განმავლობაში აწამებდნენ, აბეჩავებდნენ და გონებას უჩლუნგებდნენ მემამულეები და კაპიტალისტები.

მეორე ადგილას — დიდი პარტიები, რომლებმაც შეაგროვეს, ვთქვათ, ორივე დედაქალაქში ასი თუ ორასი ათასი ხმა.

მესამე ადგილას — უფრო მცირე პარტიები და შემდეგ მოქალაქეთა ყოველი ჯგუფი, რომელმაც წევრთა გარკვეულ რიცხვს მიაღწია ან ამდენი და ამდენი ხელმოწერა შეაგროვა.

აი ქალალდისა და სტამბების ასეთი განაწილება იქნებოდა სამართლიანი და, როცა ძალაუფლება საბჭოების ხელში იქნება, სავსებით ადვილად განსახორციელებელი.

აი მაშინ, დამფუძნებელ კრებამდე ორი თვით ადრე, ჩვენ მართლაც შეგვეძლო დავხმარებოდით გლეხებს, უზრუნველგვეყო, რომ ყ ო ვ ე ლ დიდ პარტიას ათობით ბროშურის (ან გაზეთის ნომრების განსაკუთრებული დამატებების) მ ი ლ ი ო ნ ო ბ ი თ ეგზემპლარი მიეწოდებინა ყ ო ვ ე ლ ი სოფლისათვის.

აი ეს იქნებოდა დამფუძნებელი კრების არჩევნების «რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ-დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი» მომზადება, აი ეს იქნებოდა სოფლისათვის დახმარების გაწევა მოწინავე მუშებისა და ჯარისკაცების მხრივ, აი ეს იქნებოდა სახელმწიფოებრივი ხელშეწყობა ხალხის გამოყეყეჩებისა და მოტყუებისათვის კი არა, არამედ გათვითცნობიერებისათვის, აი ეს იქნებოდა პრესის ნამდვილი თავისუფლება ყ ვ ე ლ ა ს ა თ ვ ი ს და არა მდიდრებისათვის, აი ეს იქნებოდა კავშირის გაწყვეტა იმ წყეულ, მონურ წარსულთან, რომელიც ჩვენ გვაიძულებს ვითმინოთ ის, რომ მდიდრებს ხელში აქვთ ჩაგდებული გლეხობისათვის საქმის გაცნობისა და მისი სწავლების დიადი საქმე.

«რაბოჩი პუტ» № 11,
1917 წ. 28 (15) სექტემბერი
ხელმოწერა: ნ. ლ ე ნ ი ნ

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა.
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.,
ტ. 25, გვ. 458—464

ს ჯ ა ჯ ი ი ღ ა ნ

«რევოლუციის ამოცანები»

... მხოლოდ საბჭოთა მთავრობას შეუძლია წარმატებით ებრძოლოს ისეთ ალმაშფოთებელ უსამართლობას, როგორიცაა კაპიტალისტების მიერ ხალხისაგან ნაძარცვი მილიონების მეოხებით უდიდესი სტამბებისა და გაზეთების უმრავლესობის ხელში ჩაგდება. საჭიროა ბურჟუაზიული კონტრრევოლუციური გაზეთების («რეჩი», «რუსკოე სლოვო» და სხვ.) დახურვა, მათი სტამბების კონფისკაცია, გაზეთებში კერძო განცხადებების სახელმწიფო მონოპოლიად გამოცხადება, ამ განცხადებათა გადატანა მთავრობის გაზეთში, რომელსაც საბჭოები სცემენ და რომელიც გლეხებს სიმართლეს ეუბნება. მხოლოდ ასე შეიძლება და ასე უნდა გავაგდებინოთ ბურჟუაზიას ხელიდან დაუსჯელი სიცრუისა და ცილისწამების, ხალხის მოტყუების, გლეხობის შეცდომაში შეყვანის, კონტრრევოლუციის მომზადების ძლავრი იარაღი...

«რაბოჩი პუტ» №№ 20 და 21
1917 წ. 9 და 10 ოქტომბერი
(26 და 27 სექტემბერი)
ხელმოწერა: ნ. კ.

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.,
ტ. 26, გვ. 61—62

განყოფილება მესამე

ბეჭდვითი სიტყვა სოციალიზმის აშენებისათვის პარტიის ბრძოლის პერიოდში

ნ ა შ რ ო მ ი დ ა ნ

«პირველი მოწასასხი სტატიისა «საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანები»»[1]

სტენოგრაფიული ჩანაწერი

თ ა ვ ი I

...*საბჭოთა პრესა უზომოდ დიდ ადგილსა და ყურადღებას უთმობდა პოლიტიკის იმ წვრილმანებს, პოლიტიკური ხელმძღვანელობის იმ პირად საკითხებს, რომლებითაც ყველა ქვეყნის კაპიტალისტები ცდილობდნენ ხალხის მასების ყურადღების ჩამოშორებას მათი ცხოვრების ნამდვილად სერიოზული, ღრმა და ძირითადი საკითხებისაგან. და ამ მხრით ჩვენ კიდევ თითქმის ხელახლა უნდა გადავკრათ ის ამოცანა, რომლის გადასაჭრელად ყველა მატერიალური წანამძღვარი არსებობს, არ არის მხოლოდ შეგნება ამ ამოცანის აუცილებლობისა და მზადყოფნა მისი გადაჭრისათვის. ესაა, სახელდობრ, ამოცანა — გადავაქციოთ პრესა უმთავრესად ყოველდღიური პოლიტიკური ახალი ამბების შეტყობინების ორგანოდან მოსახლეობის მასების ეკონომიური აღზრდის სერიოზულ ორგანოდ. საჭიროა მივაღწიოთ, და ჩვენ მივაღწევთ ივას, რომ პრესა, რომელიც ემსახურება საბჭოთა მასებს, ნაკლებ ადგილს დაუთმობს პოლიტიკური ხელმძღვანელობის პირადი შემადგენლობის, ან მეცხრეხარისხოვან პოლიტიკურ ღონისძიებათა საკითხებს, რაც შეადგენს ყველა პოლიტიკური დაწესებულების ყოველდღიურ საქმიანობას, რუტინულ მუშაობას. პირველ ადგილზე კი პრესამ უნდა დასვას შრომის საკითხები მათ უშუალოდ პრაქტიკულ დაყენებასთან

---

* სტენოგრამის დასაწყისი დაკარგულია. რ ე დ.

დაკავშირებით. პრესა უნდა გახდეს შრომითი კომუნის ორგანო იმ აზრით, რომ გამოაქვეყნოს სწორედ ის, რასაც უმალავდნენ მას კაპიტალისტურ საწარმოთა ხელმძღვანელები. კაპიტალისტისათვის მისი საწარმოს შინაგანი ორგანიზაცია წარმოადგენდა ისეთ რამეს, რაც კომერციული საიდუმლოებით იყო დაფარული გარეშე საზოგადოებისაგან, — ისეთ რამეს, სადაც, ვგონებ, უნდოდათ ყოფილიყვნენ ყოვლისმპყრობელნი და ერთმპყრობელნი, დაცულნი არა მარტო კრიტიკისაგან, არა მარტო გარეშე ჩარევისაგან, არამედ გარეშე თვალისგანაც კი. პირიქით, საბჭოთა ხელისუფლებისათვის სწორედ შრომის ორგანიზაცია ცალკეულ უდიდეს საწარმოებსა და სოფლის ცალკეულ თემებში წარმოადგენს მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველაზე მთავარ, ძირითად და საჭირბოროტო საკითხს. ჩვენი პირველი და მთავარი საშუალება მშრომელთა თვითდისციპლინის ასამაღლებლად და მუშაობის ძველი, ყოვლად უვარგისი ხერხებიდან ან კაპიტალისტურ საზოგადოებაში არსებულ მუშაობის თავდაძვრენის ხერხებიდან გადასასვლელად, მთავარი საშუალება უნდა იყოს პრესა, რომელიც ამეღვნებს ყოველი შრომითი კომუნის სამეურნეო ცხოვრების ნაკლოვანებებს, დაუნდობლად გმობს ამ ნაკლოვანებებს, პირდაპირ ააშკარავებს ჩვენი სამეურნეო ცხოვრების ყველა წყლულს და, ამნაირად, მშრომელთა საზოგადოებრივ აზრს მიმართავს ამ წყლულთა განსაკურნებლად. დაე, გვქონდეს ათჯერ ნაკლები საგაზეთო მასალა (შეიძლება, უკეთესიც იყოს, რომ ის ასჯერ ნაკლები იქნეს), საგაზეთო მასალა, რომელიც ეძღვნება ეგრეთწოდებულ დღიურ ჭირვარამს, — მაგრამ გვქონდეს მრავალ ასეულ ათას და მილიონ ცალად გავრცელებული პრესა, რომელიც აცნობს მთელ მოსახლეობას საქმის სანიმუშო დაყენებას სახელმწიფოს ზოგიერთ, სხვებზე დაწინაურებულ შრომითს კომუნაში. ყოველი ფაბრიკა, ყოველი არტელი და სამიწათმოქმედო საწარმო, ყოველი სოფელი, რომელიც გადადის ახალ მიწათმოქმედებაზე მიწის სოციალიზაციის კანონის გამოყენებით, ამჟამად საბჭოთა ხელისუფლების დემოკრატიული საფუძვლების აზრით წარმოადგენს დამოუკიდებელ კომუნას შრომის შინაგანი ორგანიზაციითურთ. თვითეულ ამ კომუნაში მშრომელთა თვითდისციპლინის ამაღლება, მათი შეთანხმებულად მუშაობის უნარი თუნდაც ბურჟუაზიული ინტელიგენციიდან გამოსულ ხელმძღვანელ-სპეციალისტებთან, მათ მიერ პრაქტიკული შედეგების მიღწევა შრომის ნაყოფიერების ამაღლების აზრით, ადამიანის შრომის მომჭირნეობის აზრით, პროდუქტთა დაზოგვით იმ გაუგონარი განიავებისაგან,

რომელიც ამჟამად წარმოუდგენლად გვაწუხებს, — აი, რა უნდა შეადგენდეს ჩვენი საბჭოთა პრესის მასალის უმეტესი ნაწილის შინაარსს. აი რა გზით შეგვიძლია და უნდა მივაღწიოთ იმას, რომ მაგალითის ძალა გადაიქცეს ახალ საბჭოთა რუსეთში შრომის მოწყობის პირველ რიგში მორალურ, შემდეგ კი — იძულებით შემოსაღებ ნიმუშად.

კაპიტალისტური საზოგადოების დროს არა ერთხელ ყოფილა მაგალითები შრომითი კომუნების მოწყობისა ისეთი ადამიანების მიერ, რომელნიც ფიქრობდნენ მშვიდობიანად და უმტკივნეულოდ დაერწმუნებინათ კაცობრიობა სოციალიზმის უპირატესობაში და უზრუნველეყოთ მისი შემოღება. ასეთი თვალსაზრისი და მოღვაწეობის ასეთი წესები ყოვლად კანონიერ დაცინვას იწვევს რევოლუციური მარქსისტების მხრივ, იმიტომ რომ კაპიტალისტური მონობის ვითარებაში რაიმე ძირითადი ცვლილებების მიღწევა იზოლირებული მაგალითების საშუალებით მართლაც სრულიად ფუჭი ოცნება იქნებოდა, რაც სინამდვილეში იწვევდა ან უსიცოცხლო საწარმოებს, ან ამ საწარმოთა გადაქცევას წვრილ კაპიტალისტთა კავშირებად.

მასობრივ სახალხო მეურნეობაში მაგალითის მნიშვნელობისადმი დაცინვით და ათვალწუნებით მოპყრობის ეს ჩვეულება ,ხანდახან ახლაც იჩენს თავს იმათ შორის, ვისაც ვერ შეუგნია ის ძირითადი ცვლილება, რომელიც მოხდა პროლეტარიატის მიერ პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობის დროიდან. ახლა, როცა მიწა აღარ წარმოადგენს კერძო საკუთრებას, როცა ფაბრიკები და ქარხნები თითქმის აღარ არის კერძო საკუთრება და, უეჭველად, სრულიად აღარ იქნება ასეთი სულ უახლოეს მომავალში — (სათანადო დეკრეტების შემოღება, — საბჭოთა ხელისუფლებისათვის მის ახლანდელ მდგომარეობაში ეს არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს), — ახლა შრომითი კომუნის მაგალითმა, რომელიც უკეთ სწყვეტს, ვიდრე რომელიმე სხვა საშუალება, ორგანიზაციულ საკითხებს, უდიდესი მნიშვნელობა მოიპოვა. ჩვენ სწორედ ახლა უნდა ვიზრუნოთ იმაზე, რომ დიდძალი უაღრესად ძვირფასი მასალა, რომელიც წარმოების ახალი ორგანიზაციის გამოცდილების სახით მოგვეპოვება ცალკე ქალაქებში, ცალკე საწარმოებში, ცალკე სასოფლო თემებში, — რომ ეს გამოცდილება მასების საკუთრებად გადაიქცეს.

დღემდე ჩვენ ჯერ კიდევ ბურჟუაზიის ძველი საზოგადოებრივი აზრის მნიშვნელოვანი გავლენის ქვეშ ვიმყოფებით. თუ შევხედავთ

46. ლენინი ბეჭდვითი სიტყვის შესახებ,

ჩვენს გაზეთებს, ადვილად დავრწმუნდებით იმაში, თუ ჯერ კიდევ რა უზომოდ დიდ ადგილს ვუთმობთ ჩვენ ბურჟუაზიის მიერ დაყენებულ საკითხებს, — იმ საკითხებს, რომლებითაც მას სურს ჩამოაშოროს მშრომელთა ყურადღება სოციალისტური გარდაქმნის კონკრეტულ პრაქტიკულ ამოცანებს. ჩვენ პრესა უნდა გადავაქციოთ, — და გადავაქცევთ კიდეც, — სენსაციის ორგანოდან, პოლიტიკური ახალი ამბების შეტყობინების უბრალო აპარატიდან, ბურჟუაზიული სიცრუის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანოდან, — მასის ხელახალი ეკონომიური აღზრდის იარაღად, მასისთვის იმის გაცნობის იარაღად, თუ როგორ უნდა მოვაწყოთ შრომა ახლებურად. ის საწარმოები თუ სოფლის თემები, რომლებზედაც არ მოქმედებს არავითარი მოწოდება და მოთხოვნა თვითდისციპლინის აღდგენისა და შრომის ნაყოფიერების გადიდების შესახებ, სოციალისტური პარტიების მიერ შავ დაფაზე იქნებიან წამოყენებული, და გადაყვანილ იქნებიან ან დაავადებული საწარმოების თანრიგში, რომელთა მიმართ საჭირო ხდება ზომების მიღება მათ გასაჯანსაღებლად განსაკუთრებული მოწყობილობის, — განსაკუთრებული ნაბიჯებისა და კანონდებულებების, — გზით, ან გადაყვანილ იქნებიან დაჯარიმებულ საწარმოთა თანრიგში, რომელნიც უნდა დაიხურონ და რომელთა მონაწილენი უნდა გადაეცნენ სახალხო სასამართლოს. ამ დარგში საჯარობის შემოღება, თავისთავად, უკვე დიდი რეფორმა იქნება და ხელს შეუწყობს ხალხის ფართო მასების ჩაბმას დამოუკიდებელი მონაწილეობის მისაღებად ამ საკითხების გადაჭრაში, რომელნიც ყველაზე უფრო ეხებიან მასებს. დღემდე ამ მხრით ასეცოტა რამის გაკეთება მოხერხდა სწორედ იმიტომ, რომ ის, რაც ცალკე საწარმოებში, ცალკე თემებში დაცული იყო საზოგადოებრიობისაგან დაფარულად, ძველებურადვე საიდუმლოებად რჩება. რაც გასაგები იყო კაპიტალიზმის დროს და რაც სრულიად შეუსაბამო, უაზროა იმ საზოგადოებაში, რომელსაც სოციალიზმის განხორციელება სურს. მაგალითის ძალა, რომელსაც არ შეეძლო თავი გამოეჩინა კაპიტალისტურ საზოგადოებაში, უდიდეს მნიშვნელობას მოიპოვებს იმ საზოგადოებაში, რომელმაც გააუქმა მიწისა და ფაბრიკების კერძო საკუთრება, — არა მარტო იმიტომ, რომ აქ, შეიძლება, კარგ მაგალითს წაბაძონ, არამედ იმიტომაც, რომ წარმოების ორგანიზაციის საუკეთესო მაგალითს თან მოყვება შრომის აუცილებელი შემსუბუქება და მოხმარების ჯამის გადიდება იმათთვის, ვინც ეს საუკეთესო ორგანიზაცია გაატარა. და აქ პრესის როგორც ეკონომიური რეორგანიზაციისა და მასების ხელახალი აღზრდის

ორგანოს მნიშვნელობის საკითხთან დაკავშირებით, ჩვენ უნდა შეეეხოთ აგრეთვე პრესის მნიშვნელობის საკითხს შეჯიბრების ორგანიზაციის საქმეში.

შეჯიბრების ორგანიზაციამ თვალსაჩინო ადგილი უნდა დაიკავოს საბჭოთა ხელისუფლების ამოცანათა შორის ეკონომიურ დარგში. ბურჟუაზიული ეკონომისტები არა ერთხელ გამოსულან სოციალიზმის საწინააღმდეგო თავიანთ კრიტიკაში განცხადებით, თითქო სოციალისტები უარყოფდნენ შეჯიბრების მნიშვნელობას; ან ადგილს არ აძლევდნენ მას თავიანთ სისტემაში, ანდა, როგორც ისინი ამბობდნენ, საზოგადოებრივი წყობილების თავიანთ გეგმაში. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რამდენად უაზროა ეს ბრალდება, რომელიც უკვე არა ერთხელ ყოფილა გაბათილებული სოციალისტურ პრესაში. როგორც ყოველთვის, ბურჟუაზიული ეკონომისტები კაპიტალისტური საზოგადოების თავისებურებათა საკითხს ურევდნენ შეჯიბრების ორგანიზაციის სხვანაირი ფორმის საკითხში. სოციალისტების თავდასხმა არასოდეს არ ყოფილა მიმართული შეჯიბრების, როგორც ასეთის წინააღმდეგ, არამედ მიმართული იყო მხოლოდ კონკურენციის წინააღმდეგ. კონკურენცია კი განსაკუთრებული ფორმაა იმ შეჯიბრებისა, რომელიც კაპიტალისტურ საზოგადოებას მოსდგამს და რომელიც მდგომარეობს ცალკეულ მწარმოებელთა ბრძოლაში ლუკმა პურისათვის, ბაზარზე გავლენისა და ადგილისათვის. მოსპობა კონკურენციისა, როგორც მხოლოდ მწარმოებელთა ბაზართან დაკავშირებული ბრძოლისა, სრულიადაც არ ნიშნავს შეჯიბრების მოსპობას, — პირიქით, სწორედ სასაქონლო წარმოებისა და კაპიტალიზმის მოსპობა გაუხსნის გზას შეჯიბრების ორგანიზაციის შესაძლებლობას არა მხეცურ, არამედ ადამიანურ ფორმებში. აწორედ ამჟამად რუსეთში პოლიტიკური ხელისუფლების იმ საფუძვლების პირობებში, რომლებიც შექმნა საბჭოთა რესპუბლიკამ, იმ ეკონომიური თვისებების დროს, რომლებიც ახასიათებენ რუსეთს მისი თვალუწვდენელი სივრცეებით და პირობათა გიგანტური მრავალფეროვნებით, — სწორედ ახლა ჩვენში სოციალისტურ საფუძველზე დამყარებული შეჯიბრების ორგანიზაცია უნდა წარმოადგენდეს საზოგადოების რეორგანიზაციის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან და ყველაზე მადლიან ამოცანას.

ჩვენ ვემხრობით დემოკრატიულ ცენტრალიზმს. და ნათლად უნდა შევიგნოთ, რა დიდად განსხვავდება დემოკრატიული ცენტრალიზმი, ერთი მხრით, ბიუროკრატიული ცენტრალიზმისაგან, მეორე მხრით — ანარქიზმისაგან. ცენტრალიზმის მოწინააღმდეგენი მუდამ აყენე-

ბენ ავტონომიას და ფედერაციას, როგორც ცენტრალიზმის შემთხვევითობებთან ბრძოლის საშუალებებს. ნამდვილად კი დემოკრატიული ცენტრალიზმი სრულიად არ გამორიცხავს ავტონომიას, არამედ, პირიქით, გულისხმობს მის აუცილებლობას. ნამდვილად ფედერაციაც კი, თუ იგი გატარებულია ეკონომიური თვალსაზრისით გონივრულ ფარგლებში, თუ იგი ემყარება სერიოზულ ნაციონალურ განსხვავებებს, რომელნიც ერთგვარი სახელმწიფოებრივი განცალკევების ნამდვილ საჭიროებას იწვევენ, — ფედერაციაც კი სრულიად არ ეწინააღმდეგება დემოკრატიულ ცენტრალიზმს. ძალიან ხშირად ფედერაცია ნამდვილად დემოკრატიული წყობილების დროს, მით, უფრო კი სახელმწიფო წყობილების საბჭოთა ორგანიზაციის პირობებში, მხოლოდ გარდამავალ ნაბიჯს წარმოადგენს ნამდვილი დემოკრატიული ცენტრალიზმისაკენ. რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის მაგალითიც ხომ განსაკუთრებული სიცხადით გვიჩვენებს, რომ ამჟამად ფედერაცია, რომელიც შემოგვაქვს და შემოვიღებთ, სწორედ ყველაზე საიმედო ნაბიჯი იქნება რუსეთის სხვადასხვა ეროვნებათა უმტკიცესად გასაერთიანებლად ერთიან დემოკრატიულ ცენტრალიზებულ საბჭოთა სახელმწიფოში.

და აი, როგორც დემოკრატიული ცენტრალიზმი სულაც არ გამორიცხავს ავტონომიას და ფედერაციას, ასევე იგი სრულიად არ გამორიცხავს, არამედ, პირიქით, გულისხმობს სახელმწიფოს სხვადასხვა ადგილებისა და თვით სხვადასხვა თემების სრულ თავისუფლებას როგორც სახელმწიფოებრივი, ისე საზოგადოებრივი და ეკონომიური ცხოვრების სხვადასხვაგვარი ფორმების გამომუშავებაში. იმაზე მცდარი არა არის რა, როგორც დემოკრატიული ცენტრალიზმის არევა ბიუროკრატიზმსა და შაბლონიზაციაში. ამჟამად ჩვენი ამოცანაა გავატაროთ სწორედ დემოკრატიული ცენტრალიზმი მეურნეობის დარგში, უზრუნველვყოთ აბსოლუტური სიმწყობრე და ერთიანობა ისეთი ეკონომიური საწარმოების მოქმედებაში, როგორიცაა რკინიგზები, ფოსტა, ტელეგრაფი და ტრანსპორტის სხვა საშუალებანი და სხვ.; ამავე დროს ცენტრალიზმი, ნამდვილად დემოკრატიული აზრით გაგებული, გულისხმობს ისტორიის მიერ პირველად შექმნილ შესაძლებლობას არა მარტო ადგილობრივი თავისებურებების, არამედ ადგილობრივი თაოსნობის, ადგილობრივი ინიციატივის, საერთო მიზნისაკენ მიმართული მოძრაობის სხვადასხვაგვარი გზების, წესებისა და საშუალებების სრული და შეუფერხებელი განვითარებისათვის. ამიტომ შეჯიბრების მოწყობის ამოცანა შედგება ორი მხარისაგან: ერთი მხრით, იგი მოითხოვს დემოკრა-

ტიული ცენტრალიზმის გატარებას ისე, როგორც იგი დასურათებულია ზევით; მეორე მხრით, იგი ნიშნავს რუსეთის ეკონომიური წყობილების სარეორგანიზაციოდ ყველაზე უფრო სწორი, ყველაზე უფრო მომჭირნე გზის გამონახვის შესაძლებლობას. საერთოდ რომ ვთქვათ, ეს გზა ცნობილია. ის მდგომარეობს მანქანურ ინდუსტრიაზე დამყარებულ მსხვილ მეურნეობაზე გადასვლაში, სოციალიზმზე გადასვლაში. მაგრამ ამ გადასვლის კონკრეტული პირობები და ფორმები აუცილებლივ არის და უნდა იყოს სხვადასხვაგვარი იმ პირობების მიხედვით, რომლებშიც იწყება სოციალიზმის შექმნისაკენ მიმართული მოძრაობა. ადგილობრივი განსხვავებანიც. ეკონომიური წყობის თავისებურებანიც, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო ფორმებიც, მისი მომზადებულობის ხარისხიც, ამა თუ იმ გეგმის განხორციელების ცდებიც, — ყოველივე ეს გავლენას უნდა ახდენდეს სოციალიზმისაკენ მიმავალი გზის თავისებურებაზე სახელმწიფოს ამა თუ იმ შრომითს კომუნაში. რაც უფრო მეტი იქნება ასეთი სხვადასხვაგვარობა. — რასაკვირველია, თუ იგი არ გადაიქცევა ორიგინალობად. — მით უფრო სწორად და უფრო ჩქარა იქნება უზრუნველყოფილი როგორც ჩვენს მიერ დემოკრატიული ცენტრალიზმის მიღწევა. ისე სოციალისტური მეურნეობის განხორციელება. ამჟამად ჩვენ დაგვრჩენია მხოლოდ ის, რომ მოვაწყოთ შეჯიბრება, ე. ი. უზრუნველვყოთ საჯარობა, რომელიც საშუალებას მისცემს სახელმწიფოს ყველა თემს გააცნონ ის, თუ სახელდობრ როგორ წავიდა ეკონომიური განვითარება სხვადასხვა ადგილებში, — უზრუნველვყოთ, მეორე, სოციალიზმისაკენ მოძრაობის შედეგების შესადარისობა სახელმწიფოს ერთსა და მეორე კომუნაში, — უზრუნველვყოთ, მესამე, შესაძლებლობა ერთ თემში მიღებული გამოცდილების პრაქტიკული განმეორებისა სხვა თემების მიერ, — უზრუნველვყოთ შესაძლებლობა იმ მატერიალური ძალების, — და ადამიანური ძალების, — გაცვლისა, რომელთაც საუკეთესო მხრით გამოიჩინეს თავი სახალხო მეურნეობის თუ სახელმწიფო მმართველობის სათანადო დარგში. ჩვენ, კაპიტალისტური წყობილებით შეეიწროებულთ, დღეს ზუსტად არც კი შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, თუ რა მდიდარი ძალები იფარება მშრომელთა მასაში, დიდი სახელმწიფოს შრომითი კომუნების სხვადასხვაგვარობაში, ინტელიგენტურ ძალებში, რომელნიც აქამდე მუშაობდნენ როგორც კაპიტალისტთა განზრახვების მკვდარი უხმო აღმსრულებელნი, რა ძალები იმალება და შეიძლება გაიშალოს საზოგადოების სოციალისტური წყობილების დროს. ჩვენი საქმე მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ გზა გავუ-

კაფოთ ყველა ამ ძალას. და თუ ჩვენ დავაყენებთ შეჯიბრების ორგანიზაციას, როგორც ჩვენს სახელმწიფოებრივ ამოცანას, — მაშინ, სახელმწიფოებრივი ხასიათის საბჭოთა პრინციპების გატარების პირობებში, მიწის, ფაბრიკების, ქარხნებისა და სხვ. კერძო საკუთრების მოსპობის პირობებში, — შედეგებმა თავი უნდა იჩინონ აუცილებლად და ისინი გვიკარნახებენ ჩვენ მშენებლობის შემდგომ ფორმებს...

ნაკარნახევია 1918 წ. 28 მარტს
პირველად დაიბეჭდა 1929 წ.
14 აპრილს გაზეთ «პრავდაში» № 86

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.,
ტ. 27, გვ. 232—240

პროექტი რეზოლუციისა პრესის თავისუფლების შესახებ

პრესის თავისუფლება ბურჟუაზიას ესმოდა როგორც მდიდრების მიერ გაზეთების გამოცემის თავისუფლება, კაპიტალისტების მიერ პრესის ხელში ჩაგდება, რაც სინამდვილეში ყველგან ყველა ქვეყანაში, ყველაზე უფრო თავისუფალი ქვეყნების გამოუკლებლივ, იწვევდა პრესის სინდისგარეცხილობას.

მუშურ და გლეხურ მთავრობას პრესის თავისუფლება ესმის როგორც პრესის განთავისუფლება კაპიტალის უღლისაგან, როგორც სახელმწიფოს საკუთრებად გადასვლა ქაღალდის ფაბრიკებისა და სტამბებისა, მოქალაქეთა თვითეული ჯგუფისთვის, რომლის შემადგენლობა განსაზღვრულ რიცხვს მიაღწევს (მაგალითად, 10.000-ს), თანასწორი უფლების მინიჭება — ისარგებლოს ქაღალდის მარაგის სათანადო წილით და სასტამბო შრომის სათანადო რაოდენობით.

როგორც პირველი ნაბიჯი ამ მიზნის განხორციელებისაკენ, რომელიც განუყრელად დაკავშირებულია კაპიტალის უღლისაგან მშრომელთა განთავისუფლებასთან, დროებითი მუშურ-გლეხური მთავრობა ნიშნავს საგამომძიებლო კომისიას იმის გამოსაკვლევად, თუ რა კავშირი აქვს პერიოდულ გამოცემებს კაპიტალთან, რა არის მათი სახსრებისა და შემოსავლის წყარო, ვინ სწირავს მათ ფულს, ვინ ჰფარავს მათს დეფიციტს და საერთოდ რა მდგომარეობაშია გაზეთების მთელი მეურნეობა. საგამომძიებლო კომისიისთვის დავთრების, ანგარიშებისა და სხვა დოკუმენტების ყოველგვარი გადამალვა, აგრეთვე შეგნებულად რაიმე ცრუ ჩვენების მიცემა დაისჯება რევოლუციური სასამართლოს წესით.

გაზეთების ყველა მფლობელი, აქციონერი, აგრეთვე ყველა მოსამსახურე ვალდებულია დაუყოვნებლივ წარუდგინოს წერილობითი ანგარიშები და ცნობები აღნიშნულ საკითხებზე კაპიტალთან პრესის კავშირის და კაპიტალისაგან პრესის დამოკიდებულების გა-

მომკვლევ საგამომძიებლო კომისიას სმოლნის ინსტიტუტში, პეტროგრადში.

საგამომძიებლო კომისია ინიშნება შემდეგი პირებისგან:*

კომისიას უფლება აქვს შეაკრიბოს თავისი შემადგენლობა, გამოიწვიოს ექსპერტები და მოწმეები, მოითხოვოს ყველა დავთრის გადაშლა და სხვ.

დაწერილია 1917 წ. 4 (17) ნოემბერს
პირველად დაიბეჭდა 1932 წ.
7 ნოემბერს გაზეთში «პრავდა»
№ 309

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.,
ტ. 26, გვ. 328—329

* ხელნაწერში დატოვებულია ადგილი გვარების ჩამოსათვლელად. რ ე დ.

სრულიად რუსეთის ცაკ-ის 1917 წ. 4 (17) ნოემბრის სხდომა

1

სიტყვა პრესის საკითხზე [2]

ამხ. კარელინი გვარწმუნებდა, რომ იმ გზას, რომელსაც ის ადგება, სოციალიზმისკენ მივყავართ, მაგრამ სოციალიზმისკენ ასე სვლა ნიშნავს ზურგით წინსვლას. ტროცკი მართალი იყო: პრესის თავისუფლებისათვის მოაწყვეს იუნკრების აჯანყება, გამოცხადდა ომი პეტროგრადსა და მოსკოვში. ამჯერად სოციალისტ-რევოლუციონერები გამოდიოდნენ არა როგორც სოციალისტები და რევოლუციონერები. ამ კვირაში მთელი ტელეგრაფი კერენსკის ხელში იყო. „ვიკჟელი“ მათ მხარეზე იყო. მაგრამ ჯარი არ ჰყავდათ. აღმოჩნდა, რომ ჯარი ჩვენს მხარეზეა. უმნიშვნელო ჯგუფმა დაიწყო სამოქალაქო ომი. იგი არ დამთავრებულა. მოსკოვს უახლოვდებიან კალედინელები, პიტერს — დამკვრელები. ჩვენ არ გვინდა სამოქალაქო ომი. ჩვენმა ჯარებმა დიდი მოთმინება გამოიჩინეს. ისინი ელოდებოდნენ, არ ისროდნენ, თავდაპირველად დამკვრელებმა მოგვიკლეს სამი კაცი. კრასნოვს ლმობიერად მოვეპყარით. ის მხოლოდ შინ იყო დაპატიმრებული. ჩვენ სამოქალაქო ომის წინააღმდეგი ვართ. თუ, მიუხედავად ამისა, იგი გრძელდება, ჩვენ რა უნდა ვქნათ? ტროცკი მართალი იყო, როცა ეკითხებოდა, ვისი სახელით ლაპარაკობთ თქვენო. ჩვენ შეეკითხეთ კრასნოვს, შეგიძლია თუ არა კალედინის სახელით სიტყვა მოგვცე, რომ ის არ განაგრძობს ომს. მან გვიპასუხა, და ეს გასაგებიცაა, არ შემიძლიაო. როგორ უნდა შევწყვიტოთ დევნის ღონისძიებანი მტრის წინააღმდეგ, რომელსაც არ შეუწყვეტია სამტრო მოქმედება?

როდესაც ზავის პირობებს წამოგვიყენებენ, ჩვენ დავიწყებთ მოლაპარაკებას. მაგრამ ჯერჯერობით ზავს ისინი გვთავაზობენ, ვისგანაც იგი არ არის დამოკიდებული. ეს მხოლოდ კარგი სიტყვებია

„რეჩი“ ხომ კალედინელთა ორგანოა. ჩვენ სავსებით შესაძლებლად მიგვაჩნია ესერების გულწრფელობა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათ ზურგს უკან დგანან კალედინი და მილიუკოვი.

რაც უფრო მტკიცედ იქნებით თქვენ, ჯარისკაცებო და მუშებო, მით უფრო მეტს მივაღწევთ. პირიქით, ჩვენ გვეტყვიან «ისინი ჯერ კიდევ არ არიან მაგრად, თუ მილიუკოვს გამოუშვებენ». ჩვენ წინათაც ვაცხადებდით, რომ დავხურავთ ბურჟუაზიულ გაზეთებს, თუ ხელისუფლებას ავიღებთ-თქო. ამ გაზეთების არსებობის მოთმენა ნიშნავს სოციალისტობაზე ხელის აღებას. ვინც ამბობს: «გახსენით ბურჟუაზიული გაზეთებიო», იმას არ ესმის, რომ ჩვენ სრული ნაბიჯით მივდივართ სოციალიზმისაკენ. ხომ ხურავდნენ ცარისტულ გაზეთებს მას შემდეგ, რაც დამხობილ იქნა ცარიზმი! ახლა ჩვენ დავამხვეთ ბურჟუაზიის უღელი. სოციალური რევოლუცია ჩვენ როდი გამოგვიგონია, — იგი საბჭოების ყრილობის წევრებმა გამოაცხადეს, — არავის პროტესტი არ განუცხადებია, ყველამ მიიღო დეკრეტი, რომლითაც იგი გამოცხადებულ იქნა. ბურჟუაზიამ გამოაცხადა თავისუფლება, თანასწორობა და ძმობა. მუშები ამბობენ: «ჩვენ ეს როდი გვინდა». გვეუბნებიან: «ჩვენ უკან ვიხევთო». არა, ამხანაგებო, ესერები უკან წავიდნენ კერენსკისკენ. გვეუბნებიან, ჩვენს რეზოლუციაში არის ახალი რამო. რა თქმა უნდა, ჩვენ ვიძლევით ახალს იმიტომ, რომ სოციალიზმისაკენ მივდივართ. როდესაც ესერები I და II სათათბიროში გამოდიოდნენ, მათაც დაცინვით ხვდებოდნენ, რომ ისინი ახალს ამბობდნენ.

კერძო განცხადებები მონოპოლიად უნდა იქნეს აღიარებული. მბეჭდავთა კავშირის წევრები ლუკმაპურის თვალსაზრისით უყურებენ საქმეს. ჩვენ მათ მივცემთ ამ ლუკმაპურს, მაგრამ სხვა სახით. ჩვენ ბურჟუაზიას ვერ მივცემთ საშუალებას ცილისწამება ავრცელოს ჩვენზე. ახლავე უნდა დაინიშნოს კომისია იმის გამოსარკვევად, თუ რამდენად დამოკიდებულია ბურჟუაზიული გაზეთები ბანკებისაგან. როგორი თავისუფლება უნდათ ამ გაზეთებს? ბევრი ქაღალდის ყიდვის და მრავალი მჯღაბნელის დაქირავების თავისუფლება ხომ არა? ჩვენ უნდა განვშორდეთ კაპიტალისაგან დამოკიდებული პრესის ამ თავისუფლებას. ამ საკითხს პრინციპული მნიშვნელობა აქვს. თუ ჩვენ სოციალური რევოლუციისაკენ მივდივართ, ჩვენ არ შეგვიძლია კალედინის ყუმბარებს სიცრუის ყუმბარები დავუმატოთ.

ჩვენს კანონპროექტს ნაკლოვანებანი, რა თქმა უნდა, აქვს, მაგრამ მას ყველგან გამოიყენებენ საბჭოები, — ადგილობრივი პირობების შესაბამისად. ჩვენ ბიუროკრატები არა ვართ და არ გვინდა ყველგან

გამოვიყენოთ ის სიტყვასიტყვით, როგორც ძველებურ კანცელარიებში იყო. მაგონდება, როგორ ლაპარაკობდნენ ესერები: რა უსაზღვროდ ცოტა იციან სოფლადო. ისინი მთელ ცნობებს «რუსსკოე სლოვოდანი» იღებენ. და აი ჩვენა ვართ დამნაშავე, რომ ბურჟუაზიის ხელში ვტოვებდით გაზეთებს. უნდა წავიდეთ წინ, ახალი საზოგადოებისაკენ, და ბურჟუაზიულ გაზეთებს ისევე მოვეპყრათ, როგორც ვეპყრობოდით შავრაზმულ გაზეთებს თებერვალ-მარტში.

ც.კ-ის «იზვესტია» № 218,
1917 წ. 7 ნოემბერი

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.,
ტ. 26, გვ. 330—332

წინასიტყვაობა ბროშურისა: «მასალები აგრარულ საკითხზე»

მკითხველთა საყურადღებოდ წარმოდგენილ ამ ბროშურაში თავმოყრილია (არა ავტორის, არამედ ერთ-ერთი ბოლშევიკის ინიციატივით) ფართოდ გასავრცელებლად გამოსადეგი ჩემი უმთავრესი სტატიები და სიტყვები მიწის საკითხზე. აქ თავმოყრილი სტატიები და სიტყვები მოიცავენ 1917 წლის აპრილის დამლევიდან ოქტომბრის დამლევამდე განვლილ პერიოდს. სტატიებს დამატებული აქვს: რსდმპ (ბოლშევიკების) აპრილის კონფერენციის რეზოლუცია, მიწის დეკრეტი, მიღებული 1917 წ. 26 ოქტომბერს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების სრულიად რუსეთის მეორე ყრილობის მიერ. ორივე ამ დოკუმენტის ტექსტი თავდაპირველი სახით (ე. ი. პ რ ო ე ქ ტ ე ბ ი) დაწერილია ჩემს მიერ.

მთლიანად აღებული, ეს დოკუმენტები და სტატიები იძლევიან რევოლუციის ნახევარი წლის მანძილზე ბოლშევიზმის შეხედულებათა განვითარებისა და ამ შეხედულებათა პრაქტიკული გამოყენების ზუსტ სურათს.

შემიძლია კიდევ დავიმოწმო ჩემი სტატია გაზეთში «რაბოჩიი»[3] (პეტერბურგი, 1917 წ. 11 სექტემბერი (29 აგვისტო), №6): «პუბლიცისტის დღიურიდან გლეხები და მუშები». ამ სტატიაში დაწვრილებით არის გარჩეული გლეხთა ის ნაკრები განაწესი, რომელიც მოთავსებული იყო «გლეხთა დეპუტატების სრულიად რუსეთის საბჭოს უწყებების» («იზვესტიის»)[4] 88-ე ნომერში 19 აგვისტოს და რომელიც შევიდა 1917 წლის 26 ოქტომბრის მიწის დეკრეტში. ორი თვით ადრე 25 ოქტომბრის რევოლუციამდე აღნიშნული სტატია

განმარტავს «გლეხისადმი მუშის სიტყვების ძირითადი ხაზის შეცვლის» აუცილებლობას.

ნ. ლ ე ნ ი ნ ი.

პეტერბურგი
1917 წ. 27 ნოემბერი

დაიბეჭდა 1917 წელს ბროშურაში: ნ. ლენინი. «მასალები აგრარულ საკითხზე», გამომც. «პრ-ბი»

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით. მე-4 გამოც., ტ. 26, გვ. 406—407

რკპ(ბ) მეშვიდე ყრილობა

1918 წ. 6—8 მარტი

პროგრამის პროექტის შავი მონასახიდან

... სიმძიმის ცენტრი თავისუფლებათა ფორმალური აღიარებიდან (როგორც ეს ბურჟუაზიული პარლამენტარიზმის დროს იყო) გადადის ექსპლოატატორთა დამამხობელი მშრომელების მიერ თავისუფლებებით **სარგებლობის ფაქტიურ უზრუნველყოფაზე**, მაგალითად, კრებების თავისუფლების **აღიარებიდან** ყველა საუკეთესო დარბაზისა და შენობის მუშებისათვის **გადაცემაზე**, სიტყვის თავისუფლების აღიარებიდან ყველა საუკეთესო სტამბის მუშათა ხელში გადაცემაზე და ა. შ....

«კომუნისტი» № 5,
1918 წ. 9 მარტი

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.,
ტ. 27, გვ. 170—171

სრულიად რუსეთის საბჭოების საგანგებო IV ყრილობა

1918 წ. 14—18 მარტი

მოხსენებიდან

საზავო ხელშეკრულების რატიფიკაციის შესახებ 14 მარტს

...მე სავსებით მესმის, რომ რუსეთის ბურჟუაზია ახლა ჩვენ რევოლუციური ომისაკენ გვიბიძგებს მაშინ, როცა ეს უკანასკნელი ჩვენთვის ყოვლად შეუძლებელია. ამას მოითხოვს ბურჟუაზიის კლასობრივი ინტერესები.

როდესაც ისინი ყვირიან მხოლოდ: უხამსი ზავიო, და კრინტსაც არ სძრავენ იმაზე, თუ ვინ მიიყვანა არმია ამ მდგომარეობამდე, მე სავსებით მესმის, რომ ეს—ბურჟუაზია დელონაროდელებსა, მენშევიკებსა. წერეთლელებსა, ჩერნოველებსა და მათ დამქაშებთან ერთად (ტ ა შ ი), მე სავსებით მესმის, რომ ეს — ბურჟუაზია ყვირის რევოლუციური ომის შესახებ. ამას მოითხოვს მისი კლასობრივი ინტერესები. ამას მოითხოვს მისი მისწრაფება, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ ყალბი ნაბიჯი გადადგას. ეს გასაგებია იმ ადამიანებისაგან, რომელნიც, ერთი მხრით, ფურცლებს ავსებენ თავიანთი კონტრრევოლუციური ნაწერებით... (ხ მ ე ბ ი: «დახურეს ყველა»). სამწუხაროდ, ყველა ჯერ კიდევ არა, მაგრამ დავხურავთ ყველას. (ტ ა შ ი). მინდოდა შემეხედა იმ პროლეტარიატისათვის, რომელიც ნებას მისცემს კონტრრევოლუციონერებს, ბურჟუაზიის მომხრეებს და მასთან შემთანხმებლებს—განაგრძონ სიმდიდრეთა მონოპოლიის გამოყენება ხალხის გასაბრუებლად თავისი, ბურჟუაზიული ოპიუმით. ასეთი პროლეტარიატი არ ყოფილა. (ტ ა შ ი)...

«პრავდა» («სოციალ-დემოკრატი») №№ 47 და 48; 1918 წ. 16 და 17 მარტი

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოცემა, ტ. 27, გვ. 201—202

ბ რ ო შ უ რ ი ღ ა ნ

«საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანები»

შეჯიბრების ორგანიზაცია

უაზრობათა რიცხვს, რომელთაც ბურჟუაზია ხალისით ავრცელებს სოციალიზმის შესახებ, ეკუთვნის ის, თითქოს სოციალისტები უარყოფენ შეჯიბრების მნიშვნელობას. ნამდვილად კი მხოლოდ სოციალიზმი, სპობს რა კლასებს და, მაშასადამე, მასების დამონებას, პირველად ხსნის გზას შეჯიბრებისათვის ნამდვილად მასობრივი მასშტაბით. და სწორედ საბჭოთა ორგანიზაცია, გადადის რა ბურჟუაზიული რესპუბლიკის ფორმალური დემოკრატიზმიდან მშრომელთა მასების ნამდვილ მონაწილეობაზე მ მ ა რ თ ვ ე ლ ო ბ ა შ ი, პირველად აყენებს ფართოდ შეჯიბრებას. ამის დაყენება გაცილებით უფრო ადვილია პოლიტიკურ დარგში, ვიდრე ეკონომიურში, მაგრამ სოციალიზმის წარმატებისათვის მნიშვნელოვანია სწორედ უკანასკნელი.

ავიღოთ შეჯიბრების ორგანიზაციის ისეთი საშუალება, როგორიცაა საჯარობა. ბურჟუაზიული რესპუბლიკა მას მხოლოდ ფორმალურად უზრუნველყოფს, საქმით კი პრესას კაპიტალს უმორჩილებს. ართობს «ბრბოს» პიკანტური პოლიტიკური წვრილმანებით, ფარავს იმას, რაც ხდება სახელოსნოებში, სავაჭრო გარიგებათა დადების, დაკვეთების მიწოდების დროს და სხვ., «კომერციული საიდუმლოების» სამოსით, რომელიც იცავს «წმინდა საკუთრებას». საბჭოთა ხელისუფლებამ გააუქმა კომერციული საიდუმლოება, იგი დაადგა ახალ გზას, მაგრამ საჯარობის გამოსაყენებლად ეკონომიური შეჯიბრების მიზნით ჩვენ ჯერ კიდევ თითქმის არაფერი გაგვიკეთებია. სისტემატურად უნდა მოვკიდოთ ხელი იმას, რომ, ერთიანად ცრუ და თავხედურად-ცილისმწამებლური ბურჟუაზიული პრესის დაუნდობლად დათრგუნვასთან ერთად, წარმოებდეს

მუშაობა ისეთი პრესის შექმნისათვის, რომელიც კი არ უნდა არ-თობდეს და აბრიყვებდეს მასებს პოლიტიკური პიკანტური ამბებითა და სისულელეებით, არამედ მასების მსჯავრდასადებად უნდა გამოქონდეს სწორედ ყოველდღიური ეკონომიკის საკითხები, ხელს უწყობდეს მათს სერიოზულად შესწავლას. თვითეული ფაბრიკა, თვითეული სოფელი წარმოადგენს საწარმოო-სამომხმარებლო კომუნას, რომელსაც უფლება აქვს და ვალდებულია თავისებურად იყენებდეს საერთო საბჭოთა კანონდებულებებს («თავისებურად» არა მათი დარღვევის აზრით, არამედ ცხოვრებაში მათი გატარების ფორმათა მრავალგვარობის აზრით), თავისებურად წყვეტდეს პროდუქტების წარმოებისა და განაწილების აღრიცხვის პრობლემას. კაპიტალიზმის დროს ეს ცალკეული კაპიტალისტის, მემამულის, კულაკის «კერძო საქმე» იყო. საბჭოთა ხელისუფლების დროს ეს არის არა კერძო საქმე, არამედ უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო საქმე.

და ჩვენ ჯერ კიდევ თითქმის არ შევდგომივართ უზარმაზარ, ძნელ, მაგრამ სამაგიეროდ მადლიან მუშაობას კომუნების შეჯიბრების მოსაწყობად, ანგარიშგებისა და საჯარობის შესატანად პურის, ტანსაცმლისა და სხვ. წარმოების პროცესში, მშრალი, მკვდარი, ბიუროკრატიული ანგარიშების გადასაქცევად ცოცხალ მაგალითებად— როგორც ზიზღის გამომწვევ, ისე მიმზიდველ მაგალითებად. წარმოების კაპიტალისტური წესის დროს ცალკეული მაგალითის მნიშვნელობა, ვთქვათ, რომელიმე საწარმოო არტელისა, აუცილებლივ უკიდურესად შეზღუდული იყო, და მხოლოდ წვრილბურჟუაზიულ ილუზიას შეეძლო ოცნება კაპიტალიზმის «გამოსწორებაზე» კეთილისმყოფელ დაწესებულებათა ნიმუშების ზეგავლენით. პროლეტარიატის ხელში პოლიტიკური ძალაუფლების გადასვლის შემდეგ, ექსპროპრიატორთა ექსპროპრიაციის შემდეგ საქმე ძირფესვიანად იცვლება და,—იმის თანახმად, რასაც მრავალგზის აღნიშნავდნენ ყველაზე გამოჩენილი სოციალისტები,—მაგალითის ძალა პირველად ღებულობს შესაძლებლობას თავისი მასობრივი მოქმედების მოსახდენად. სანიმუშო კომუნები უნდა იყვნენ და იქნებიან კიდეც ჩამორჩენილი კომუნების აღმზრდელები, მასწავლებლები, მათი წინწამწევნი. ბეჭდვითი სიტყვა უნდა წარმოადგენდეს სოციალისტური მშენებლობის იარაღს, აცნობდეს ყოველ დეტალში სანიმუშო კომუნების წარმატებებს, სწავლობდეს მათი წარმატების მიზეზებს, მათი მეურნეობის წესებს, მეორე მხრით, «შავ დაფაზე» უნდა შეჰ-

47. ლენინი ბეჭდვითი სიტყვის შესახებ.

ქონდეს ის კომუნები, რომლებიც დაჟინებით ინარჩუნებენ «კაპიტალიზმის ტრადიციებს», ე. ი. ანარქიის, სიზარმაცის, უწესრიგობის, სპეკულაციის ტრადიციებს. კაპიტალისტურ საზოგადოებაში სტატისტიკა მხოლოდ «კაზიონური ადამიანების» ან ვიწრო სპეციალისტების გამგებლობის საგანს შეადგენდა, — ჩვენ იგი მასებში უნდა გავიტანოთ, პოპულარული გავხადოთ, რათა მშრომელებმა თანდათანობით თვითონვე ისწავლონ იმის გაგება და დანახვა, თუ როგორ და რამდენი მუშაობაა საჭირო, როგორ და რამდენი დასვენებაა შესაძლებელი, — რათა ცალკეული კომუნების მეურნეობის საქმიანი შედეგების შედარება საერთო ინტერესისა და შესწავლის საგანი გახდეს, რათა გამოჩენილ კომუნებს დაუყოვნებლივ ეძლეოდეთ ჯილდო (განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში სამუშაო დღის შემცირებით, ხელფასის გადიდებით, მეტი რაღდენობის კულტურულ თუ ესთეტიკურ სიკეთეთა და ღირებულებათა მინიჭებით და ა. შ.).

დაწერილია 1918 წ. მარტ-აპრილში
დაიბეჭდა 1918 წ. 28 აპრილს
გაზეთებში: «პრავდა» და
სრულიად რუსეთის ცაკის
«იზვესტია» № 85
ხელმოწერა: ნ. ლენინი

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.,
ტ. 27, გვ. 307—308

ნ ა შ რ ო მ ი დ ა ნ

«თეზისები თანამედროვე პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ»[5]

V

ბურჟუაზიის წინააღმდეგ, რომელმაც ზემოაღნიშნულ გარემოებათა გამო უკანასკნელ დღეებში თავი წამოყო, აუცილებელია ულმობელი ბრძოლა, სამხედრო წესების შემოღება, გაზეთების დახურვა, წინამძღოლთა დაპატიმრება და სხვ. და ა. შ.. ეს ზომები ისევე აუცილებლია, როგორც აუცილებელია სამხედრო ლაშქრობა სოფლის ბურჟუაზიის წინააღმდეგ, რომელიც ინახავს პურის ნაჭარბს და ჰფუშავს პურის მონოპოლიას. პროლეტარიატის რკინისებური დისციპლინის გარეშე ვერც კონტრრევოლუციისაგან და ვერც შიმშილისაგან თავს ვერ ვიხსნით.

დაწერილია 1918 წ. 12 ან 13 მაისს
პირველად დაიბეჭდა 1929 წ.
ლენინის კრებულში XI

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.,
ტ. 27, გვ. 436—437

ჩვენი გაზეთების ხასიათის შესახებ

მეტისმეტად დიდი ადგილი ეთმობა პოლიტიკურ აგიტაციას ძველ თემებზე, — პოლიტიკურ რახარუხს. უზომოდ ცოტა ადგილი ეთმობა ახალი ცხოვრების მშენებლობას, — ფაქტებსა და ფაქტებს ამის შესახებ.

რატომ არ შეიძლება, რომ, 200 — 400 სტრიქონის ნაცვლად, 20 — 10 სტრიქონით ვილაპარაკოთ ისეთ უბრალო, საერთოდ ცნობილ, მასის მიერ მნიშვნელოვნად უკვე შეთვისებულ მოვლენებზე, როგორიცაა მენშევიკების, ბურჟუაზიის ლაქიების, საზიზღარი გამცემლობა, როგორიცაა ინგლის-იაპონიის შემოსევა კაპიტალის წმიდათა წმიდა უფლებების აღსადგენად, როგორიცაა ამერიკელი მილიარდერების კბილთა კრაჭუნი გერმანიის წინააღმდეგ და ა. შ. ამაზე ლაპარაკი საჭიროა, ამ დარგიდან ყოველი ახალი ფაქტის აღნიშვნა საჭიროა, მაგრამ სტატიები კი არ უნდა ვწეროთ, მსჯელობანი კი არ უნდა გავიმეოროთ, არამედ რამდენიმე სტრიქონით, «დეპეშის სტილით» უნდა დავგმოთ ძველი, უკვე ცნობილი, უკვე შეფასებული პოლიტიკის ახალი გამოვლინებანი.

ბურჟუაზიული პრესა «ძველ კურთხეულ ბურჟუაზიულ დროში» არ ეხებოდა «წმიდათა წმიდას» — კერძო ფაბრიკების, კერძო მეურნეობების საქმეთა შინაგან მდგომარეობას. ეს ჩვეულება შეეფერებოდა ბურჟუაზიის ინტერესებს. ამ ჩვეულებას ჩვენ გადაჭრით უნდა დავაღწიოთ თავი. ჩვენ მისგან თავი ა რ დაგვიღწევია. გაზეთების ტიპი ჩვენში ჯერ კიდევ ა რ იცვლება ისე, როგორც უნდა იცვლებოდეს იგი საზოგადოებაში, რომელიც კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადადის.

რაც შეიძლება ნაკლები პოლიტიკა. პოლიტიკა «გამორკვეულია» მთლიანად და დაყვანილია ორი ბანაკის ბრძოლაზე, აჯანყებულ პროლეტარიატსა და ერთი მუჭა მონათმფლობელ-კაპიტალისტებს (და მათ ხროვას თვით მენშევიკებამდე და სხვ.) შორის ბრძოლაზე. ამ პოლიტიკაზე, ვიმეორებ, შეიძლება და უნდა ვილაპარაკოთ ძალიან მოკლედ.

რაც შეიძლება მეტი ეკონომიკა. მაგრამ ეკონომიკა არა «ზოგადი» მსჯელობის, მეცნიერული მიმოხილვის, ინტელიგენტური გეგმის და სხვა ამგვარი აბდაუბდის აზრით, — რომელიც, სამწუხაროდ, ძალიან ხშირად სწორედ აბდაუბდას წარმოადგენს. არა, ეკონომიკა ჩვენ გვესაჭიროება იმ აზრით, რომ შევაგროვოთ, გ ულ დ ა ს მ ი თ შ ე ვ ა მ ო წ მ ო თ და შევისწავლოთ ახალი ცხოვრების ნამდვილი მშენებლობის ფაქტები. აქვთ თუ არა ს ი ნ ა მ დ ვ ი ლ ე ში მსხვილ ფაბრიკებს, სამიწათმოქმედო კომუნებს, ღარიბთა კომიტეტებს, სახალხო მეურნეობის ადგილობრივ საბჭოებს წარმატებანი ახალი ეკონომიკის მშენებლობაში? სახელდობრ როგორია ეს წარმატებანი? დადასტურებულია თუ არა ისინი? ხომ არ არის აქ ჩმახვა, ტრაბახი, ინტელიგენტური დაპირება («წესრიგდება», «შედგენილია გეგმა», «ავამუშავეთ ძალები», «ახლა სიტყვას ვიძლევით», «გაუმჯობესება უეჭველია» და სხვა შარლატანური ფრაზები, რომელთა ესოდენი ოსტატებიც «ჩვენ» ვართ)? რით არის წარმატებანი მიღწეული? როგორ გავხადოთ ისინი უფრო ფართო?

შავი დაფა ჩამორჩენილი ფაბრიკებისათვის, რომლებიც ნაციონალიზაციის შემდეგ უთავბოლობის, რღვევის, სიბინძურის, ხულიგნობის, მუქთახორობის ნიმუშებად დარჩნენ, — სად არის ეს შავი დაფა? იგი არ არის. ასეთი ფაბრიკები კი ა რ ი ს. ჩვენ ვერ ვასრულებთ ჩვენს მოვალეობას, თუ არ ვაწარმოებთ ო მ ს «კაპიტალიზმის ტრადიციების ამ შემნახველთა» წინააღმდეგ. ჩვენ კომუნისტები კი არა, მეძონძეები ვართ, სანამ მდუმარედ ვითმენთ ასეთ ფაბრიკებს. ჩვენ ისე ვერ ვაწარმოებთ კლასობრივ ბრძოლას გაზეთებში, როგორც მას ბურჟუაზია აწარმოებდა. მოიგონეთ, თუ როგორ ჩინებულად დ ე ვ ნ ი დ ა იგი პრესაში თ ა ვ ი ს კლასობრივ მტრებს, როგორ დასცინოდა მათ, როგორ აბიაბრუებდა მათ, როგორ არ აძლევდა მათ გასაქანს. ჩვენ კი? განა კლასობრივი ბრძოლა კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის ეპოქაში იმით არ გამოიხატება, რომ დავიცვათ მუშათა კ ლ ა ს ი ს ინტერესები მუშათა იმ მცირე ჯგუფებისა, წრეებისა და ფენებისაგან, რომლებიც დაჟინებით მისდევენ კაპიტალიზმის ტრადიციებს (ჩვეულებებს) და ისევ წინანდებურად უყურებენ საბჭოთა სახელმწიფოს: მისცენ «მას» ნაკლები და ცუდი ნამუშევარი, — წაღლიტონ «მას» მეტი ფული. განა ცოტანი არიან ასეთი არამზადები, თუნდაც საბჭოთა სტამბების ასოთამწყობთა შორის, სორმოველ და პუტილოველ მუშებს შორის და ა. შ.? რამდენი მათგანი დავიჭირეთ ჩვენ, რამდენი ვამხილეთ, რამდენი გავაკარით სამარცხვინო ბოძზე?

პრესა ამაზე სდუმს. ხოლო თუ წერს, — წერს კაზიონურად,

ჩინოვნიკურად, არა როგორც რევოლუციური პრესა, არა როგორც იმ კლასის დიქტატურის ორგანო, რომელიც თავისი საქმეებით ამტკიცებს, რომ კაპიტალისტებისა და კაპიტალისტურ ჩვეულებათა შემნახველი მუქთახორების წინააღმდეგობა რკინის ხელით იქნება გატეხილი.

ასევე ითქმის ომის შესახებ. ვდევნით თუ არა ჩვენ ლაჩარ სარდლებსა და დოყლაპიებს? გავაშავეთ თუ არა ჩვენ რუსეთის წინაშე სრულიად უვარგისი პოლკები? «დავიჭირეთ» თუ არა ჩვენ საკმაო რაოდენობით ცუდი ნიმუშები, რომლებიც რაც შეიძლება მეტი ხმაურით უნდა გაგვედევნა არმიიდან უვარგისობისათვის, დაუდევრობისათვის, დაგვიანებისათვის და სხვ.? ჩვენ არ ვაწარმოებთ საქმიან, ულმობელ, ჭეშმარიტად რევოლუციურ ომს ბოროტების კონკრეტულ მატარებლებთან. ჩვენ ნაკლებად ვზრდით მასებს ცხოვრების ყველა დარგის ცოცხალი, კონკრეტული მაგალითებითა და ნიმუშებით, ეს კი პრესის მთავარი ამოცანაა კაპიტალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლის დროს. ჩვენში ნაკლებ ყურადღებას აქცევენ შინასაფაბრიკო, შინასასოფლო, შინასაპოლკო ცხოვრების იმ ყოველდღიურ მხარეს, სადაც ყველაზე მეტი შენდება ახალი, სადაც ყველაზე მეტად საჭიროა ყურადღება, გახმაურება, საზოგადოებრივი კრიტიკა, უვარგისის დევნა, მოწოდება, რომ ვისწავლოთ კარგისაგან.

რაც შეიძლება ნაკლები პოლიტიკური რახარუხი. რაც შეიძლება ნაკლები ინტელიგენტური მსჯელობა. უფრო ახლოს ცხოვრებასთან. მეტი ყურადღება იმას, თუ მუშათა და გლეხთა მასა ნამდვილად როგორ აშენებს რაღაც ახალს თავის ყოველდღიურ მუშაობაში. მეტი შემოწმება იმისა, თუ რამდენად კომუნისტურია ეს ახალი.

«პრავდა» № 202, 1918 წ.
20 სექტემბერი
ხელმოწერა: ნ. ლენინი

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოცემა
ტ. 28, გვ. 100—103

ს ჯ ა ბ ი ი ღ ა ნ

«პროლეტარული რევოლუცია და რენეგატი კაუცკი»

..მხოლოდ საბჭოთა რუსეთმა მისცა პროლეტარიატს და რუსეთის მთელ უზარმაზარ მშრომელ უმრავლესობას ისეთი თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა და დ ე მ ო კ რ ა ტ ი ა, როგორიც არც ერთ ბურჟუაზიულ დემოკრატიულ რესპუბლიკაში არ ნახულა, არ არის შესაძლებელი და წარმოსადგენი, როცა მან ჩამოართვა, მაგალითად, სასახლეები ბურჟუაზიას (უამისოდ კრებების თავისუფლება თვალთმაქცობაა), როცა ჩამოართვა სტამბები და ქაღალდი კაპიტალისტებს (უამისოდ ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება ერის მშრომელი უმრავლესობისათვის სიცრუეა), როცა ბურჟუაზიული პარლამენტარიზმი შეცვალა ს ა ბ ჭ ო ე ბ ი ს დემოკრატიული ორგანიზაციით, რომლებიც 1 000-ჯერ უფრო ახლოს დგანან «ხალხთან» და უფრო «დემოკრატიულნი» არიან, ვიდრე ყველაზე დემოკრატიული ბურჟუაზიული პარლამენტი. და ასე შ ე მ დ ე გ...

«პრავდა» № 219
1918 წ. 11 ოქტომბერი
ხელმოწერა: ნ. ლ ე ნ ი ნ ი

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.. ტ. 28, გვ. 114

ნ ი ბ ნ ი დ ა ნ

«პროლეტარული რევოლუცია და რენეგატი კაუცკი»

...ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება უკვე აღარ არის თვალთმაქცობა, ვინაიდან სტამბები და ქაღალდი ერთმევა ბურჟუაზიას...

...განა არსებობს მსოფლიოში თუნდაც ერთი ქვეყანა, ყველაზე დემოკრატიული ბურჟუაზიული ქვეყნებიდან, სადაც ს ა შ უ ა ლ ო, მ ა ს ო ბ რ ი ვ ი შუშა, საშუალო, მასობრივი მ ო ჯ ა მ ა გ ი რ ე ან სოფლის ნახევრადპროლეტარი საერთოდ (ე. ი. ჩაგრული მასის, მოსახლეობის დიდი უმრავლესობის წარმომადგენელი) სარგებლობდეს თუნდაც დაახლოებით ისეთი თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ი თ — მოაწყოს კრებები საუკეთესო შენობებში, ისეთი თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ი თ — იქონიოს თავისი იდეების გამოსახატავად, თავისი ინტერესების დასაცავად უდიდესი სტამბები და ქაღალდის საუკეთესო საწყობები, ისეთი თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ი თ — წამოაყენოს სწორედ თავისი კლასის ადამიანები სახელმწიფოს სამართავად და სახელმწიფოს «მოსაწყობად», როგორიცაა საბჭოთა რუსეთში?...

დაწერილია 1918 წ.
ოქტომბერ-ნოემბერში
დაიბეჭდა 1918 წელს ცალკე წიგნად
«კომუნისტის» გამომცემლობაში.
მოსკოვი

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.,
ტ. 28, გვ. 298, 299

ს ტ ა ტ ი ი ნ ა

«პატარა სურათი დიდი საკითხების გამოსარკვევად»

ამხანაგმა სოსნოვსკიმ, «ბედნოტას»[1] რედაქტორმა, შესანიშნავი წიგნი მომიტანა. ეს წიგნი რაც შეიძლება მეტ მუშასა და გლეხს უნდა გავაცნოთ. ამ წიგნიდან სოციალისტური მშენებლობის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე უნდა გამოვიტანოთ ფრიად სერიოზული გაკვეთილები, რომლებიც საუცხოოდ განმარტებულია ცოცხალი მაგალითებით. ეს არის ამ ხანაგ ალექსანდრე ტოდორსკის წიგნი: «ერთი წელი შაშხანითა და გუთნით», გამოცემული ქალაქ ვესეგონსკში იქაური სამაზრო აღმასკომის მიერ ოქტომბრის რევოლუციის წლისთავის გამო.

ავტორი აგვიწერს ვესეგონსკის მაზრაში საბჭოთა ხელისუფლების მშენებლობისათვის წარმოებული მუშაობის ხელმძღვანელთა მოღვაწეობის ერთი წლის გამოცდილებას, — ჯერ სამოქალაქო ომს, ადგილობრივი კულაკების აჯანყებას და მის ჩახშობას, შემდეგ «ცხოვრების მშვიდობიან მშენებლობას». მივარდნილ მაზრაში რევოლუციის მსვლელობის აღწერა ავტორს ისეთი მარტივი და ამასთან ერთად ისეთი ცოცხალი გამოუვიდა, რომ მისი შინაარსის გადმოცემა მხოლოდ შეაჯუსტებდა შთაბეჭდილებას. რაც შეიძლება ფართოდ უნდა გავავრცელოთ ეს წიგნი და ვისურვოთ, რათა მასაში და მასასთან მომუშავე, ნამდვილი ცხოვრების შიგ შუაგულში მოქმედ მუშაკთა რაც შეიძლება მეტმა რიცხვმა მოჰკიდოს ხელი თავისი გამოცდილების აღწერას. რამდენიმე ჯეული ან თუნდაც რამდენიმე ათეული საუკეთესო, უაღრესად ფართალი, მეტად სადა: საგუ-

ლისხმო ფაქტიური შინაარსით მეტად მდიდარი ასეთი აღწერის გამოცემა შეუდარებლად უფრო სასარგებლო იქნებოდა სოციალიზმის საქმისათვის, ვიდრე ბევრი საგაზეთო თუ საჟურნალო ნაშრომი და წიგნი გაწაფული ლიტერატორებისა, რომლებიც ძალიან ხშირად ქაღალდის იქით ცხოვრებას ვერ ხედავენ...

დაწერილია 1918 წლის დამლევს
ან 1919 წლის დამდეგს
პირველად დაიბეჭდა 1926 წ.
7 ნოემბერს
გაზეთ «პრავდაში» № 258

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.,
ტ. 28, გვ. 482—483

კომუნისტური ინტერნაციონალის I კონგრესი

1919 წ. 2—6 მარტი

თეზისებიდან და მოხსენებებიდან ბურჟუაზიული დემოკრატიისა და პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ 4 მარტი

...8. «ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლებაც» «წმინდა დემოკრატიის» ერთ-ერთი მთავარი ლოზუნგია. მუშებმა ისევ და ისევ იციან. და ყველა ქვეყნის სოციალისტებს მილიონჯერ უღიარებიათ, რომ ეს თავისუფლება მატყუარობაა, ვიდრე საუკეთესო სტამბები და ქაღალდის უდიდესი მარაგი ხელში ჩაგდებული აქვთ კაპიტალისტებს და ვიდრე პრესის მიმართ რჩება კაპიტალის ძალაუფლება, რომელიც მით უფრო მკაფიოდ, მით უფრო მკვეთრად, მით უფრო ცინიკურად იჩენს თავს მთელ მსოფლიოში, რაც უფრო განვითარებულია დემოკრატიზმი და რესპუბლიკური წყობილება, როგორც, მაგალითად, ამერიკაში. ნამდვილი თანასწორობა და ნამდვილი დემოკრატია რომ მოიპოვო მშრომელებისათვის, მუშებისა და გლეხებისათვის, ჯერ საჭიროა წაართვა კაპიტალს შესაძლებლობა დაიქირავოს მწერლები, იყიდოს გამომცემლობანი და მოისყიდოს გაზეთები, ამისათვის კი აუცილებელია კაპიტალის უღლის დამხობა, ექსპლოატატორების დამხობა, მათი წინააღმდეგობის დათრგუნვა. კაპიტალისტები «თავისუფლებას» ყოველთვის უწოდებდნენ გამდიდრების თავისუფლებას მდიდრებისათვის, შიმშილით სიკვდილის თავისუფლებას მუშებისათვის. კაპიტალისტები ბეჭდვით სიტყვის თავისუფლებას უწოდებენ მდიდრების მიერ ბეჭდვითი სიტყვის მოსყიდვის თავისუფლებას, იმის თავისუფლებას, რომ სიმდიდრე გამოყენებულ იქნეს ეგრეთწოდებული საზოგადოებრივი აზრის საფაბრიკაციოდ და გასაყალბებლად. «წმინდა დემოკრატიის» დამ-

ცველები ნამდვილად ისევ და ისევ გვევლინებიან მასების განათლების საშუალებებზე მდიდრების ბატონობის უაღრესად ბინძური, გათახსირებული სისტემის დამცველებად, გვევლინებიან ხალხის მატყუარებად, რომლებიც მას კეთილსახიერი, ლამაზი და მთლად ყალბი ფრაზების საშუალებით აშორებენ კონკრეტულ ისტორიულ ამოცანას — გაათავისუფლოს პრესა კაპიტალის მიერ მისი დამონებისაგან. ნამდვილი თავისუფლება და თანასწორობა იქნება ისეთი წესწყობილება, რომელსაც კომუნისტები აშენებენ და რომელშიც არ იქნება სხვის ხარჯზე გამდიდრების შესაძლებლობა, არ იქნება ობიექტური შესაძლებლობა, რომ არც პირდაპირ, არც არაპირდაპირ დაუმორჩილონ პრესა ფულის ბატონობას, ხელი არ შეეშლება იმას, რომ ყოველ მშრომელს (ან მშრომელთა ჯგუფს, დამოუკიდებლად მისი რიცხობრივი შემადგენლობისა) ჰქონდეს თანასწორი უფლება საზოგადოებრივი სტამბებითა და საზოგადოებრივი ქაღალდით სარგებლობის მხრივ და რომ იგი ამ უფლებას ახორციელებდეს...

თეზისები დაიბეჭდა 1919 წ. 6 მარტს გაზეთ «პრავდაში» № 51; მოხსენება პირველად დაიბეჭდა 1920 წელს კომუნისტური ინტერნაციონალის პირველი კონგრესის ოქმების გერმანულ გამოცემაში და 1921 წელს — ოქმების რუსულ გამოცემაში

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც., ტ. 28, გვ. 581—582

რკპ(ბ) VIII ყრილობა

(1919 წ. 18—23 მარტი)

ცენტრალური კომიტეტის ანგარიშიდან 18 მარტს

...აქ გვაქვს დაწვრილებითი ფინანსური ანგარიში. ცალკეულ მუხლებიდან ხარჯები ყველაზე დიდია მუშათა გამომცემლობასა და გაზეთებზე: 1 მილიონი, 1 მილიონი და კიდევ 1 მილიონი — 3 მილიონი. პარტიულ ორგანიზაციებს 2 800 000, სარედაქციო ხარჯები 3 600 000. უფრო დეტალური ციფრები არის ამ ანგარიშში, რომელიც დაიბეჭდება და დაურიგდება ყველა დელეგატს. მანამდე კი ამხანაგებს შეუძლიათ ძათი გაცნობა ჯგუფების წარმომადგენლების მეოხებით. ნება მომეცით ეს ციფრები არ წავიკითხო. ამხანაგებმა, რომლებმაც ანგარიშები წარმოადგინეს, აქ მოგვცეს მთავარი და ყველაზე უფრო თვალსაჩინო მონაცემები, სახელდობრ: პროპაგანდისტული მუშაობის საერთო შედეგები გამომცემლობის მხრივ. გამომცემლობა «კომუნისტმა» გამოუშვა 62 სახელწოდების წიგნი. გაზეთმა «პრავდამ» 1918 წელს მოგვცა 2 მილიონი წმინდა მოგება, გამოუშვა 25 მილიონი ეგზემპლარი. გაზეთმა «ბედნოტამ» მოგვცა 2 370 000 წმინდა მოგება და გამოუშვა 33 მილიონი ეგზემპლარი. ამხანაგები ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო ბიუროდან დაგვპირდნენ გადაამუშაონ მათ ხელთ არსებული დაწვრილებითი ციფრები კიდევ ისეთნაირად, რომ შეიძლებოდეს თუნდაც ორი ამოსავალი წერტილის შედარება. მაშინ ყველასათვის დასანახი იქნება პარტიის ის უზარმაზარი საგანმანათლებლო მუშაობა, რომელიც პირველად ისტორიაში იყენებს თანამედროვე სასტამბო მსხვილკაპიტალისტურ ტექნიკას არა ბურჟუაზიისათვის, არამედ მუშებისა და გლეხებისათვის. ჩვენ ათასჯერ და მილიონჯერ გვაბრალებდნენ და გვაბრალებენ პრესის თავისუფლების დარღვევას, დემოკრატიაზე უარისთქმას. ბრალმდებლები დემოკრატიას უწოდებენ იმას, რომ პრესა მოისყიდოს კაპიტალმა, რომ მდიდრებს შეეძლოთ ისარგებ-

ლონ ბეჭდვითი სიტყვით თავიანთი მიზნებისათვის. ჩვენ ამას ეუწოდებთ არა დემოკრატიას, არამედ პლუტოკრატიას. ყველაფერი ის, რაც ბურჟუაზიულ კულტურას შეუქმნია იმისათვის, რომ მოატყუოს ხალხი და დაიცვას კაპიტალისტები, ჩვენ წავართვით მათ იმისათვის, რომ დავაკმაყოფილოთ მუშებისა და გლეხების პოლიტიკური მოთხოვნილებანი. და ჩვენ ამ მხრივ იმდენი გავაკეთეთ, რამდენის გაკეთებაც ვერც ერთ სოციალისტურ პარტიას ვერ მოუხერხებია მეოთხედი საუკუნის თუ ნახევარი საუკუნის განმავლობაში. მაგრამ მაინც ჩვენ განუზომლად მცირედი რამ გავაკეთეთ იქიდან, რაც უნდა გაკეთდეს...

დაიბეჭდა 1919 წ. მარტ-აპრილში
გაზეთ «პრავდაში»

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.,
ტ. 29, გვ. 178—179

პროგრამის ზოგადპოლიტიკური ნაწილის მესამე პუნქტის პროექტი (პარტიის VIII ყრილობის საპროგრამო კომისიისათვის)

ბურჟუაზიული დემოკრატია სჯერდებოდა ფორმალურ უფლებათა გამოცხადებას, რომლებსაც თანაბრად ავრცელებდნენ ყველა მოქალაქეზე, მაგალითად, კრებების, კავშირების, პრესის უფლების გამოცხადებას. უკეთეს შემთხვევაში ყველაზე დემოკრატიულ ბურჟუაზიულ რესპუბლიკებში აუქმებდნენ ყველა საკანონმდებლო შეზღუდვას ამ პუნქტების მიმართ. მაგრამ სინამდვილეში როგორც ადმინისტრაციული პრაქტიკა, ისე უმთავრესად მშრომელთა ეკონომიური მონობა, ბურჟუაზიული დემოკრატიის დროს, ყოველთვის შეუძლებელს ხდიდა იმას, რომ მათ რამდენადმე მაინც ფართოდ ესარგებლნათ უფლებებითა და თავისუფლებებით.

პირიქით, პროლეტარული ანუ საბჭოთა დემოკრატია უფლებათა და თავისუფლებათა ფორმალური გამოცხადების ნაცვლად ფაქტიურად ანიჭებს მათ უწინარეს ყოვლისა და ყველაზე მეტად მოსახლეობის სწორედ იმ კლასებს, რომლებსაც კაპიტალიზმი სჩაგრავდა, ე. ი. პროლეტარიატსა და გლეხობას. ამისათვის საბჭოთა ხელისუფლება ახდენს ბურჟუაზიის შენობების, სტამბების, ქაღალდის საწყობების ექსპროპრიაციას და გადასცემს მათ მშრომელებისა და მათი ორგანიზაციების სრულ განკარგულებაში.

რკპ ამოცანაა ჩააბას მშრომელი მოსახლეობის სულ უფრო ფართო მასები დემოკრატიული უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობაში და გააფართოოს საამისოდ მატერიალური შესაძლებლობანი.

დაწერილია არაუგვიანეს 1919 წ. 20 მარტისა
პირველად დაიბეჭდა 1956 წ. 22 აპრილს გაზეთ «პრავდაში» № 113

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც., ტ. 36, გვ. 582—589

Великий почин.

(О коммунистическом субботнике и новом коллективизме и дисциплине).

Иногда говорят, что коммунизм строится коммунистами. Работа коммунистов в области организации, дисциплины, труда — труда более производительного, чем при капитализме, чем при крепостном праве, чем при барщине, — вот основная задача строящих коммунизм. Сознание, что мы обязаны выдержать, что мы должны выдержать, что мы не выдержим, что мы не выдержим. Теперь трудящиеся масс, сознавая, что организовать труд в новой форме, без чего невозможно спасение, видят перед собой новый, беспримерно трудный, в Красную Армию, за выдержкой, укреплением, работу.

Не маленькая внешняя работа предстоит сделать в труде. Прежде — даже капиталистическая фабрика в труде объединяла массу трудящихся, но их соединяющему началу, коллективу частных собственников. Сейчас, труд должен иметь, что труд имеет коллективным общим выражением. Труд — иметь изобилие, общее трудящимся, общее хозяйство, общее хозяйство, до сих пор общественное, для общества труд и труд, и т.

Первая страница статьи В. И. Ленина «Великий почин»
1919 г. 28 июня

ნ ა შ რ ო მ ი დ ა ნ

«დიადი თაოსნობა

(მუშების გმირობის შესახებ ზურგში. «კომუნისტურ შაბათობათა» გამო)»

პრესა წითელარმიელების გმირობის მრავალ მაგალითს გვაუწყებს. მუშები და გლეხები კოლჩაკელებთან, დენიკინელებთან და მემამულეებისა და კაპიტალისტების სხვა ჯარებთან ბრძოლაში ხშირად მამაცობისა და ამტანობის სასწაულს იჩენენ, იცავენ რა სოციალისტური რევოლუციის მონაპოვრებს. ნელა და ძნელად ხდება პარტიზანობის აღმოფხვრა, დაღლილობისა და თავაშვებულობის დაძლევა, მაგრამ იგი მაინც წინ მიდის, მიუხედავად ყველაფრისა. გმირობა მშრომელი მასებისა, რომლებიც შეგნებულად სწირავენ მსხვერპლს სოციალიზმის გამარჯვების საქმეს, აი რა არის საფუძველი ახალი, ამხანაგური დისციპლინისა წითელ არმიაში, მისი აღორძინებისა, განმტკიცებისა და ზრდისა.

არანაკლები ყურადღების ღირსია მუშების გმირობა ზურგში. ამ მხრივ პირდაპირ უზარმაზარი მნიშვნელობა აქვს მუშების მიერ მათივე საკუთარი თაოსნობით მოწყობილ კ ო მ უ ნ ი ს ტ უ რ შ ა ბ ა თ ო ბ ებ ს. ჩანს, ეს ჯერ მხოლოდ დასაწყისია, მაგრამ ეს არის არაჩვეულებრივ დიდი მნიშვნელობის დასაწყისი. ეს არის დასაწყისი ბურჟუაზიის დამხობაზე უფრო ძნელი, უფრო არსებითი, უფრო ძირითადი, უფრო გადამწყვეტი გადატრიალებისა, რადგან ეს არის გამარჯვება საკუთარ უძრაობაზე, თავაშვებულობაზე, წვრილბურჟუაზიულ ეგოიზმზე, ამ ჩვეულებებზე, რაც წყეულმა კაპიტალიზმმა მემკვიდრეობად დაუტოვა მუშასა და გლეხს. როდესაც ე ს გამარჯვება განმტკიცდება, მაშინ და მხოლოდ მაშინ შეიქმნება ახალი საზოგადოებრივი დისციპლინა, სოციალისტური დისციპლინა, მაშინ და

48. ლენინი ბეჭდვითი სიტყვის შესახებ.

მხოლოდ მაშინ შეუძლებელი გახდება დაბრუნება უკან, კაპიტალიზმისაკენ, და კომუნიზმი ნამდვილად უძლეველი გახდება.

17 მაისის «პრავდამ» მოათავსა ამხ. ა. ე-ს სტატია «რევოლუციურად მუშაობა (კომუნისტური შაბათი)». ეს სტატია იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ სრულად მოვიყვანთ მას:

რევოლუციურად მუშაობა

(კომუნისტური შაბათი)

რკპ ც. კ-ის წერილმა რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ა დ მუშაობის შესახებ ძლიერი ბიძგი მისცა კომუნისტურ ორგანიზაციებს და კომუნისტებს. საერთო აღმავლობამ მრავალი რკინიგზელი-კომუნისტი ფრონტზე გაგზავნა, მაგრამ მათს უმრავლესობას არ შეეძლო თავიანთი პასუხსაგები პოსტები დაეტოვებინათ და რევოლუციურად მუშაობის ახალი საშუალებები გამოეძებნათ. ადგილებიდან მიღებულმა ცნობებმა სამობილიზაციო მუშაობის ნელა მიმდინარეობის შესახებ და კანცელარულმა საქმის გაკანონურებამ აიძულა მოსკოვ-ყაზანის რკინიგზის ქვე-რაიონი ყურადღება მიექცია სარკინიგზო მეურნეობის მექანიზმისათვის. აღმოჩნდა, რომ მუშახელის ნაკლებობისა და შრომის სუსტი ინტენსივობის გამო გვიანდება სასწრაფო შეკვეთები და ორთქლმავალთა სასწრაფო შეკეთება. მოსკოვ-ყაზანის რკინიგზის ქვე-რაიონის კომუნისტებისა და თანამგრძნობთა 7 მაისის საერთო კრებაზე დაისვა საკითხი კოლჩაკზე გამარჯვების ხელის შეწყობის სიტყვებიდან საქმეზე გადასვლის შესახებ. გამოტანილი წინადადება ასეთი იყო:

«მძიმე საშინაო და საგარეო მდგომარეობის გამო, კლასობრივი მტრის დასაძლევად კომუნისტებმა და თანამგრძნობებმა კვლავ უნდა დაძაბონ თავიანთი ძალღონე და თავიანთ დასვენებას გამოსტაცონ კიდევ ერთი სამუშაო საათი, ე. ი. გადიდონ თავიანთი სამუშაო დღე ერთი საათით, შეაჯამონ იგი და შაბათს ერთბაშად იმუშაონ 6 საათი ფიზიკური შრომით, რათა დაუყოვნებლივ შექმნან რეალური ღირებულება. ვინაიდან კომუნისტები არ უნდა ზოგავდნენ თავიანთ ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს რევოლუციის მონაპოვართათვის — მუშაობა უნდა წარმოებდეს უსასყიდლოდ. კ ო მ უ ნ ი ს ტ უ რ ი შ ა ბ ა თ ი შემოღებულ იქნას მთელ ქვე-რაიონში კოლჩაკზე სრულ გამარჯვებამდე».

ცოტაოდენი ყოყმანის შემდეგ ეს წინადადება მიღებულ იქნა ერთხმად.

შაბათს, 10 მაისს, საღამოს 6 საათზე, კომუნისტები და თანამგრძნობნი ჯარისკაცებივით გამოცხადდნენ სამუშაოზე, დაეწყვნენ რიგებად და ოსტატებმა უდავიდარაბოდ მიუჩინეს მათ თავიანთი ადგილები.

რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ა დ მუშაობის შედეგი თ ვ ა ლ წ ი ნ ა ა,...

— მუშაობის საერთო ღირებულება ნორმალური გასამრჯელოს მიხედვით 5 000 ათასი მანეთია, საზეგანაკვეთო მუშაობისა 1½-ჯერ მეტი.

შრომის ინტენსივობა დატვირთვის მიხედვით 270%-ით აღემატება ჩვეულებრივი მუშებისას. დანარჩენი სამუშაოები დაახლოებით ასეთივე ინტენსივობისაა.

თავიდან აცილებულია შეკვეთების (სასწრაფო შეკვეთების) დაგვიანება მუშახელის ნაკლებობისა და საქმის გაკანონურების გამო 7 დღიდან 3 თვემდე.

მუშაობა წარმოებდა მოწყობილობის მოუწესრიგებლობის (ადვილად ასაცილებელის) პირობებში, რაც აფერხებდა ცალკეულ ჯგუფებს 30-დან 40 წუთამდე.

სამუშაოთა სახელმძღვანელოდ დატოვებული ადმინისტრაცია ძლივს ასწრებდა ახალ სამუშაოთა მომზადებას და, შესაძლოა, ცოტათი გადაპარბებული იყოს მოხუცი ოსტატის სიტყვები, რომ კ ო მ უ ნ ი ს ტ უ რ ი შ ა ბ ა თ ი ს განმავლობაში, შეუგნებელ და მოდუნებულ მუშებთან შედარებით, ერთი კვირის სამუშაოა შესრულებულიო.

ვინაიდან მუშაობას დაესწრნენ საბჭოთა ხელისუფლების უბრალო გულწრფელი მომხრეებიც და მომავალ შაბათზედაც მოსალოდნელია ამგვარი ხალხის მოზღვავება, ავრეთვე იმის გამო, რომ სხვა რაიონებსაც სურთ მოსკოვ-ყაზანის რკი-

ნიგზელი კომუნისტების მაგალითს მიბაძონ, მე უფრო დაწვრილებით შევჩერდები ორგანიზაციულ მხარეზე ადგილებიდან მიღებული ცნობების მიხედვით.

სამუშაოზე იყო ათიოდე პროცენტი კომუნისტებისა, რომლებიც მუდმივ მუშაობენ ადგილობრივ. დანარჩენები იყვნენ პასუხსაგები თანამდებობის პირნი და არჩეულები, გზის კომისრიდან დაწყებული ცალკე საწარმოს კომისრამდე, აგრეთვე პროფესიული კავშირიდან და გზათა სამმართველოს და კომისარიატის მომუშავენი.

აღფრთოვანება და მუშაობის შეთანხმებულობა გაუგონარი იყო. როცა ულანძღვაგინებოდ და უჩხუბრად მუშები, კანტორის და სამმართველოს მუშაკნი ჩასკიდებდნენ ხელს სამგზავრო ორთქლმავლის ბორბლის ორმოცფუთიან ბანდაჟს და მიაგორებდნენ მას დანიშნულ ადგილას, როგორც შრომისმოყვარე ჭიანჭველები, — გულში კოლექტიური შრომის სიხარულის მხურვალე გრძნობა იღვიძებდა და მტკიცდებოდა რწმენა მუშათა კლასის გამარჯვების ურყეობისა. მსოფლიო მტაცებლები ვერ ჩაახრჩობენ გამარჯვებულ მუშებს, შინაგანი საბოტაჟი ვერ ეღირსება კოლჩაკის მოსვლას.

მუშაობის დამთავრებისას დამსწრენი არნახული სურათის მოწმე გახდნენ: ასეული კომუნისტი, დაღლილი, მაგრამ სიხარულის ნაპერწკლებით თვალანთებული,. ინტერნაციონალის საზეიმო ჰანგებით მიესალმა საქმის წარმატებას — და გეგონებოდათ, გამარჯვების ჰიმნის ეს ძლევამოსილი ტალღები გადალახავენ კედლებს, მოედებიან მუშათა მოსკოვს და, მაგავსად წყალში ჩაგდებული ქვისგან გამოწვეული ტალღებისა, გაიშლებიან მუშათა რუსეთში და გამოაფხიზლებენ დაღლილებსა და მოდუნებულთ...

...მოძრაობა «კომუნისტურ შაბათობათა» მოწყობის სასარგებლოდ მოსკოვით არ განისაზღვრება. 6 ივნისის «პრავდა» იუწყება:

«31 მაისს ტვერში შესდგა პირველი კომუნისტური შაბათობა. რკინიგზაზე მუშაობდა 128 კომუნისტი. 3½ საათში დატვირთულია და გადმოტვირთული 14 ვაგონი, რემონტიდან გამოშვებულია 3 ორთქლმავალი, დაიხარხა 10 საჟენი შეშა და შესრულდა სხვა სამუშაოებიც. კვალიფიციური მუშა-კომუნისტების მუშაობის ინტენსივობა 13-ჯერ აღემატებოდა ჩვეულებრივ ნაყოფიერებას».

შემდეგ 8 ივნისის «პრავდაში» ვკითხულობთ:

კომუნისტური შაბათობები

«ს ა რ ა ტ ო ვ ი, 5 ივნისი. რკინიგზელმა კომუნისტებმა, გამოეხმაურნენ რა მოსკოველი ამხანაგების ძოწოდებას, საერთო პარტიულ კრებაზე დაადგინეს: იმუშაონ შაბათობებით ხუთი ზედმეტი საათის განმავლობაში უსასყიდლოდ სახალხო მეურნეობის დასახმარებლად».

* * *

მე რაც შეიძლება დაწვრილებით და სრულად მოვიყვანე ცნობები კომუნისტურ შაბათობათა შესახებ, რადგან აქ, უეჭველად, ჩვენ ვხედავთ კომუნისტური მშენებლობის ერთერთ უმნიშვნელოვანეს მხარეს, რომელსაც ჩვენი პრესა საკმაო ყურადღებას არ აქცევს და რომელიც ჩვენ ყველას ჯერ კიდევ საკმარისად არ შეგვიფასებია.

რაც შეიძლება ნაკლები პოლიტიკური ლაქლაქი, მეტი ყურადღება კომუნისტური მშენებლობის უაღრესად მარტივი, მაგრამ ცოცხალი, ცხოვრებიდან აღებული, ცხოვრების მიერ შემოწმებული ფაქტებისადმი — ეს ლოზუნგი განუწყვეტლივ უნდა ვიმეოროთ ჩვენ

ყველამ, ჩვენმა მწერლებმა, აგიტატორებმა, პროპაგანდისტებმა, ორგანიზატორებმა და სხვ...

რაც შეიძლება ნაკლები მაღალფარდოვანი ფრაზები, რაც შეიძლება მეტი უბრალო, სადღეისო საქმიანობა და მზრუნველობა ერთ ფუთ პურსა და ერთ ფუთ ქვანახშირზე! რაც შეიძლება მეტი მზრუნველობა იმაზე, რომ ეს აუცილებლად საჭირო ფუთი პური და ფუთი ქვანახშირი ხვდეს დამშეულ მუშას და ჩამოფლეთილ, გატიტელებულ გლეხს არა ჩარჩული გარიგებით, არა კაპიტალისტურად, არამედ უბრალო მშრომელთა შეგნებული, ნებაყოფლობითი, თავდადებულ-გმირული მუშაობით, აი სწორედ ისეთებისა, როგორიც არიან მოსკოვ-ყაზანის რკინიგზის შავი მუშები და რკინიგზელები.

ჩვენ ყველამ უნდა ვაღიაროთ, რომ რევოლუციის საკითხებისადმი ბურჟუაზიულ-ინტელიგენტური, ფრაზისტული მიდგომის კვალი ყოველ ნაბიჯზე იჩენს თავს ყველგან, აგრეთვე ჩვენს რიგებშიც. ჩვენი პრესა, მაგალითად, ძალიან ნაკლებ ებრძვის დამპალი, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული წარსულის ამ დამპალ ნაშთებს, ნაკლებ უწყობს ხელს ნამდვილი კომუნიზმის უბრალო, მცირედს, სადღეისო, მაგრამ ცოცხალ ყლორტებს...

შეხედეთ ბურჟუაზიას. რა საუცხოოდ იცის მან რეკლამირება იმისა, რაც მას ესაჭიროება! რა ქება-დიდება ესხმება კაპიტალისტთა თვალში «სანიმუშო» საწარმოებს მათი გაზეთების მრავალმილიონიან ეგზემპლარში, როგორ იქმნება ამ «სანიმუშო» ბურჟუაზიული დაწესებულებებიდან ნაციონალური სიამაყის საგანი! ჩვენი პრესა არ ზრუნავს, ან თითქმის სრულიადაც არ ზრუნავს, იმაზე, რომ ასწეროს საუკეთესო სასადილოები ან საბავშვო ბაგები, რომ ყოველდღიური დაჟინებული მოთხოვნით მიაღწიოს ზოგიერთი მათგანის სანიმუშოდ გადაქცევას, რომ რეკლამა გაუკეთოს მას, ასწეროს დაწვრილებით, თუ როგორ იზოგება ადამიანის შრომა, რა ხელსაყრელია მომხმარებელთათვის, რა დაზოგვაა პროდუქტისა, როგორ თავისუფლდება ქალი ოჯახური მონობისაგან, როგორ უმჯობესდება სანიტარული პირობები სანიმუშო კომუნისტურ იმუშაობით, როგორ შეიძლება ყოველივე ამას მივაღწიოთ, როგორ შეიძლება გავავრცელოთ ეს მთელ საზოგადოებაზე, ყველა მშრომელზე.

სანიმუშო წარმოება, სანიმუშო კომუნისტური შაბათობა, სანიმუშო მზრუნველობა და კეთილსინდისიერება თვითეული ფუთი პურის ბოპოვებისა და განაწილების საქმეში, სანიმუშო სასადილოები,

სანიმუშო სისუფთავე ამა და ამ მუშათა სახლისა, ამა და ამ უბნისა, — ყოველივე ეს ახლანდელზე ათჯერ უფრო მეტი ყურადღების და მზრუნველობის საგანს უნდა შეადგენდეს როგორც ჩვენი პრესისათვის, ისე მუშათა და გლეხთა თ ვ ი თ ე უ ლ ი ორგანიზაციისათვის. ყოველივე ეს — კომუნიზმის ყლორტებია, და ამ ყლორტების მოვლა ჩვენს საერთო და უპირველეს მოვალეობას შეადგენს...

დაიბეჭდა 1919 წ. ივლისში ცალკე ბროშურად, მოსკოვი
ხელმოწერა: ნ. ლ ე ნ ი ნ ი

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც., ტ. 29, გვ. 479—483, 485—487, 501, 503—504

სიტყვიდან განათლებისა და სოციალისტური კულტურის მუშაკთა სრულიად რუსეთის I ყრილობაზე

1919 წ. 31 ივლისს

... პრესის ის თავისუფლება, რომლის დარღვევას მუდამ უსაყვედურებდნენ ბოლშევიკებს, — რას წარმოადგენს პრესის ეს თავისუფლება კაპიტალისტურ საზოგადოებაში? ყველას უნახავს, რას წარმოადგენდა პრესა ჩვენში, «თავისუფალ» რუსეთში. კიდევ უფრო მეტად უნახავთ ეს იმ ადამიანებს, რომლებიც ეცნობოდნენ, უშუალოდ ხედავდნენ ან საქმე ჰქონდათ პრესის მდგომარეობასთან მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებში. პრესის თავისუფლება კაპიტალისტურ საზოგადოებაში — ეს ნიშნავს პრესითა და ხალხის მასებზე ზემოქმედებით ვაჭრობის თავისუფლებას. პრესის თავისუფლება — ეს არის პრესის, ხალხის მასებზე უძლიერესი ზეგავლენის ამ იარაღის შენახვა კაპიტალის ხარჯზე. აი რა არის პრესის თავისუფლება, რომელიც ბოლშევიკებმა დაარღვიეს, და ისინი ამაყობენ იმით, რომ პირველად გაათავისუფლეს პრესა კაპიტალისტებისაგან, რომ მათ პირველად შექმნეს უდიდეს ქვეყანაში ისეთი პრესა, რომელიც არ არის დამოკიდებული ერთი მუჭა მდიდრებისა და მილიონერებისაგან, — პრესა, რომელიც მთლიანად ემსახურება კაპიტალის წინააღმდეგ ბრძოლის ამოცანებს, და ამ ბრძოლას ჩვენ უნდა დავუმორჩილოთ ყველაფერი. ამ ბრძოლაში მშრომელთა მოწინავე ნაწილი, მათი ავანგარდი შეიძლება იყოს მხოლოდ მუშა პროლეტარიატი, რომელსაც შეუძლია გაუძღვეს შეუგნებელ გლეხთა მასებს...

«პრავდა» № 170
1919 წ. 3 აგვისტო

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.,
ტ. 29, გვ. 635—636

ვ. ვ. ვოროვსკის

24. X. 1919 წ.

ამხ. ვ. ვ. ვ ო რ ო ვ ს კ ი ს

სახელმწიფო გამომცემლობაში

გადავათვალიერე რა ბროშურა «III ინტერნაციონალი 1919 წ. 6 — 7 მარტს», გამ. «სახელმწ. გამომც-ბა», მოსკოვი, 1919 (ფასი 8 მან.), გვერდი 99, გიცხადებთ სასტიკ საყვედურს ასეთი გამოცემისათვის და მოვითხოვ, რომ სახელმწიფო გამომცემლობის კოლეგიის ყველა წევრმა წაიკითხოს ჩემი ეს წერილი და შეიმუშაოს იმის გარანტიის სერიოზული ღონისძიებანი, რომ ასეთი უმსგავსობა აღარ განმეორდეს.

ბროშურა საზიზღრად არის გამოცემული. ეს რაღაც ნათითხნია. სარჩევი არა აქვს. ვიღაც იდიოტს თუ დაუდევარს, აშკარაა, უვიცს შეუკრებია, თითქოს მთვრალს, მთელი «მასალები», სტატიები, სიტყვები და უწესრიგოდ დაუბეჭდავს.

არც წინასიტყვაობა, არც ოქმები, არც გადაწყვეტილებათა ზუსტი ტექსტი, არც გადაწყვეტილებათა გამოყოფა სიტყვებისაგან, სტატიებისაგან, შენიშვნებისაგან, სრულიად არაფერი! უმაგალითო სირცხვილია!

დიდი ისტორიული მოვლენა შერცხვენილია ამგვარი ბროშურით.

მოვითხოვ: 1) გაასწოროთ ჩაწებების გზით. (დამნაშავენი საპყრობილეში ჩასვით და ყველა ეგზემპლარში აწებებინეთ).

მაცნობოთ:

2ა) რამდენი ეგზემპლარი დაიბეჭდა?

2ბ) რამდენი გავრცელდა?

3) ხელახლა გამოსცეთ მართებული სახით. კორექტურა მე მაჩვენეთ.

4) შემოიღოთ წესი, რომ ყოველი გამოშვებული წიგნისათვის პასუხს აგებდეს გარკვეული პიროვნება (შემოიღეთ პასუხისმგებელ პირთა ჩანაწერების წიგნი).

5) მოწესრიგების სხვა ღონისძიებანი; შეიმუშავეთ და გამომიგზავნეთ.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე

ვ. ულიანოვი (ლენინი)

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც., ტ. 35, გვ. 454—455

ს ტ ა ტ ი ი ნ

«ვებრძოლოთ სათბობის კრიზისს»

ცირკულარული წერილი პარტიული ორგანიზაციებისადმი

...ჩვენი გამარჯვებების მიზეზია: ჩვენი პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების პირდაპირი მიმართვა მშრომელი მასებისადმი ყოველგვარი მორიგ სიძნელესა და მორიგ ამოცანაზე მითითებით; უნარი მასებისათვის იმის განმარტებისა, თუ რატომ უნდა დავაწვეთ მთელი ძალ-ღონით საბჭოთა მუშაობის ხან ერთ, ხან მეორე მხარეს ამა თუ იმ მომენტში...

...ადგილობრივ პრესაში მეტი ყურადღება უნდა მიექცეს ამ მუშაობას, მზრუნველობით უნდა წამოვწიოთ წინ, ყველას საყურადღებოდ, ნამდვილად კარგი მუშაობის ნიმუშები და ულმობლად ვებრძოლოთ რომელიმე რაიონის, განყოფილების, დაწესებულების ჩამორჩენილობას, დაუდევრობას თუ უუნარობას. ჩვენი პრესა უნდა გახდეს ჩამორჩენილთა წახალისების, მუშაობის, შრომითი დისციპლინის, ორგანიზაციის დანერგვის იარაღი.

«პრავდა» № 254
1919 წ. 13 ნოემბერი

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც., ტ. 30, გვ. 150, 153



პირველი გვერდი ვ. ი. ლენინის ხელნაწერისა
«რუსული ენის გაწმენდის შესახებ»

რუსული ენის გაწმენდის შესახებ

(ფიქრები მოცლილობისას, ე. ი. კრებებზე ხიტყვების მოსმენის დროს) [7]

რუსულ ენას ჩვენ ვაფუჭებთ. უცხოურ სიტყვებს ვხმარობთ საჭიროების გარეშე. ვხმარობთ მათ უმართებულოდ. რისთვის უნდა ვამბობდეთ «დეფექტი», როცა შეიძლება ვთქვათ ნაკლი, ნაკლოვანება. ან ხარვეზი?

რა თქმა უნდა, როცა ადამიანი, რომელსაც ახლახან უსწავლია. საერთოდ კითხვა და განსაკუთრებით გაზეთის კითხვა, იწყებს მის. გულმოდგინედ კითხვას, ის უნებლიეთ ითვისებს გაზეთის ენას. მაგრამ სწორედ გაზეთის ენაც იწყებს გაფუჭებას ჩვენში. თუ იმას, ვისაც კითხვა ახლახან უსწავლია, ეპატიება იხმაროს, როგორც ახალგრამ, უცხოური სიტყვები, ლიტერატორებს ეს არ ეპატიებათ. განა დრო არ არის ომი გამოვუცხადოთ უცხოური სიტყვების ხმარებას. საჭიროების გარეშე?

უნდა გამოვტყდე, რომ თუ უცხოური სიტყვების წარამარა ხმარება მაბრაზებს (რადგან ეს აძნელებს ჩვენს გავლენას მასაზე), იმათ. ზოგიერთ შეცდომას, ვინც გაზეთებში წერს, უკვე სავსებით შეუძლია მოთმინებიდან გამოიყვანოს კაცი. მაგალითად, ხმარობენ სიტყვას «будировать» გაღიზიანების, შენჯღრევის, გაღვიძების აზრით. მაგრამ ფრანგული სიტყვა «bouder» (ბუდე) ნიშნავს გაჯავრებას, გაბუტვას. ამიტომ «будировать» ნამდვილად ნიშნავს «გაჯავრებას», «გაბუტვას». ფრანგულ-ნიენინოვგოროდული სიტყვათხმარების გადმოღება იმას ნიშნავს, რომ უცუდესი რამ გადმოიღო რუს მემამულეთა კლასის უცუდესი წარმომადგენლებისაგან, რომელიც ფრანგუ-

ლად სწავლობდა, მაგრამ ჯერ-ერთი. ბოლომდე ვერ ისწავლა, და, მეორეც, ამახინჯებდა რუსულ ენას.

განა დრო არ არის ომი გამოეუცხადოთ რუსული ენის დამახინჯებას?

პირველად დაიბეჭდა 1924 წ. 3 დეკემბერს გაზეთში «პრავდა» № 275
ხელმოწერა: ნ. ლ ე ნ ი ნ ი

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც., ტ. 30, გვ. 354—355

გ. მ. კრჟიჟანოვსკის

გლ. მ.!

სტატია მივიღე და წავიკითხე.[8]

საუცხოოა.

საჭიროა მთელი რიგი ასეთი სტატიები. მაშინ ბროშურად გამოვუშვებთ. ჩვენ გვაკლია სწორედ გაქანების ან «მოსაზრებულობის» სპეცები.

საჭიროა 1) შენიშვნები ჯერჯერობით ამოვიღოთ ან შევამციროთ. ისინი მეტისმეტად ბევრია გაზეთისათვის (რედაქტორს ხვალ ველაპარაკები).

2) ხომ არ შეიძლება დაუმატოთ გეგმა არა ტექნიკური (ეს, რა თქმა უნდა, ბევრის საქმეა და არა სასწრაფო). არამედ პოლიტიკური ან სახელმწიფოებრივი, ე. ი. დავალება პროლეტარიატისადმი?

დაახლოებით: 10 (5?) წელიწადში ავაგებთ 20 — 30 (30 — 50?) სადგურს, რომ მთელი ჩვენი ქვეყანა მოვფინოთ 400 (ან 200. თუ მეტს ვერ დავძლევთ) ვერსი რადიუსის ცენტრებით; ტორფზე, წყალზე, ფიქალზე, ქვანახშირზე. ნავთზე (დაახლოებით გადავხედოთ მთელ რუსეთს, უხეში მიახლოებით). ახლა აუცილებელი მანქანებისა და მოდელების შესყიდვით დავიწყებთ-თქო. 10 (20?) წლის შემდეგ რუსეთს «ელექტრობის» ქვეყნად გავხდით.

მე ვფიქრობ, ასეთი «გეგმა» —ვიმეორებ, არა ტექნიკური, არამედ სახელმწიფოებრივი — გეგმის პროექტი, თქვენ შეგიძლიათ მოგვცეთ.

იგი უნდა მოგვცეთ ახლავე, თვალსაჩინოდ, პოპულარულად, რათა გავიტაცოთ მასა ნათელი და მკაფიო (საფუძვლით სავსებით მეცნიერული) პერსპექტივით: შეუდგეთ მუშაობას, და 10—20 წლის განმავლობაში ჩვენ მთელ რუსეთს, სამრეწველოსაც და სამიწათმოქმედოსაც. ელექტრობის ქვეყნად გავხდით-თქო, რომ გამოვიმუშავებთ ამდენ და ამდენ (ათას თუ მილიონ ცხენ. ძალას თუ კილოვატს?? ეშმაკმა იცის) მანქანურ მონას და სხვ.

ამას კიდევ რომ დაემატებოდეს რუსეთის დაახლოებითი რუკა ცენტრებითა და წრეებით? თუ ეს ჯერ კიდევ არ შეიძლება?

ვიმეორებ, უნდა გავიტაცოთ მუშათა და შეგნებულ გლეხთა შახა 10 — 20 წლის დ ი ა დ ი პროგრამით.

მოვილაპარაკოთ ტელეფონით.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

23. I.

P.S. კრასინი ამბობს, რომ რკინიგზების ელექტროფიკაცია ჩვენთვის შეუძლებელია. ვითომ ასეა? ხოლო თუ ასეა, იქნებ შესაძლებელია 5 — 10 წლის შემდეგ? იქნებ ურალში შესაძლებელია?

ხომ არ გავაკეთოთ განსაკუთრებული სტატია ელექტროსადგურების ქსელის «სახელმწიფო გეგმის» შესახებ, რუკით, ან მაინი დაახლოებითი ნუსხით (რიცხვით), პერსპექტივებით, რომლებითაც შესაძლებელი იქნებოდა მთელი ჩვენი ქვეყნის ენერგიის ცენტრალიზება?

გთხოვთ დამირეკოთ ტელეფონით, ამ წერილს რომ მიიღებთ, და მოვილაპარაკოთ.

დაწერილია 1920 წ. 23 იანვარს
პირველად დაიბეჭდა 1925 წელს

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც., ტ. 35, გვ. 462—463

სიტყვიდან პრესნის რაიონის მუშათა და წითელარმიელთა უპარტიო კონფერენციაზე

1920 წ. 24 იანვარს

საგაზეთო ანგარიში

...ყველა თავიანთ ფურცელში თეთრგვარდიელები წერენ, რომ ბოლშევიკებს მშვენიერი აგიტაცია აქვთო, რომ ისინი ფულს არ იშურებენ აგიტაციისათვისო. მაგრამ ხალხს ხომ სმენია ყოველგვარი აგიტაცია — თეთრგვარდიულიცა და დამფუძნებლურიც. სასაცილოა იმაზე ფიქრი, თითქოს ხალხი ბოლშევიკებს იმიტომ გაჰყვა, რომ მათი აგიტაცია უფრო ოსტატური იყო. არა, საქმე იმაშია, რომ მათი აგიტაცია მართალი იყო...

...ტრანსპორტის აღდგენისაკენ უნდა მივმართოთ ჩვენი კომუნისტური აგიტაციის მთელი ძალა, რომლის დახმარებითაც ჩვენ გავიმარჯვეთ გარეშე მტერზე...

«პრავდა» № 18
1920 წ. 28 იანვარი

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოცემა, ტ. 30, გვ. 363—364

რკპ(ბ) IX ყრილობა

1920 წ. 29 მარტი — 5 აპრილი

სიტყვიდან ყრილობის დახურვის დროს 5 აპრილს

...ჩვენ ვახდენთ გადასვლას სოციალიზმზე, და ყველაზე არსებითი საკითხი — პურის, მუშაობის საკითხი — არ არის კერძო საკითხი, მეწარმის კერძო საქმე; იგი მთელი საზოგადოების საკითხია, როდესაც თვითეულმა რამდენადმე ჩაფიქრებულმა გლეხმა გარკვევით უნდა შეიგნოს და მიხვდეს, რომ თუ სახელმწიფო მთელ თავის პრესაში, თვითეულ სტატიაში, გაზეთის თვითეულ ნომერში საკითხს სვამს ტრანსპორტის შესახებ, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი საერთო საქმეა!...

დაიბეჭდა წიგნში:
«რუსეთის კომუნისტური პარტიის მეცხრე ყრილობა. სტენოგრაფიული ანგარიში». მოსკოვი, 1920

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც., ტ. 30, გვ. 594

ნაშრომიდან

«თეზისები კომუნისტური ინტერნაციონალის მეორე კონგრესის ძირითადი ამოცანების შესახებ»

13. კერძოდ, ყველაზე მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა პრესის მდგომარეობა განსაკუთრებით თვალნათლივ გვიჩვენებს როგორც თავისუფლებისა და თანასწორობის მთელ სიყალბეს ბურჟუაზიული დემოკრატიის დროს, ისე ლეგალური და არალეგალური მუშაობის სისტემატური შეერთების აუცილებლობას. როგორც დამარცხებულ გერმანიაში, ისე გამარჯვებულ ამერიკაში ბურჟუაზიის სახელმწიფო აპარატის მთელი ძალა და მისი ფინანსური მეფეების მთელი ოინები ამოქმედებულია იმისათვის, რომ მუშებს წაართვან მათი პრესა: იქ მიმართავენ სასამართლო დევნასაც, რედაქტორების დაპატიმრებასაც (ან მოკვლას დაქირავებულ მკვლელთა საშუალებით), საფოსტო გადაგზავნის აკრძალვასაც, ქაღალდის წართმევასაც და სხვ. და ა. შ. ამასთან ყოველდღიური გაზეთისათვის აუცილებელი საინფორმაციო მასალა ბურჟუაზიული დეპეშათა სააგენტოების ხელშია, ხოლო განცხადებები, ურომლისოდაც დიდი გაზეთი ვერ იარსებებს, კაპიტალისტთა «თავისუფალ» განკარგულებაში იმყოფება. შედეგი ისაა, რომ ბურჟუაზია მოტყუებით, კაპიტალისა და ბურჟუაზიული სახელმწიფოს ძალადობით რევოლუციურ პროლეტარიატს ართმევს მის პრესას.

ამასთან საბრძოლველად კომუნისტურმა პარტიებმა უნდა შექმნან პერიოდული პრესის ახალი ტიპი მუშათა შორის მასობრივად გასავრცელებლად: ჯერ-ერთი, ლეგალური გამოცემანი, რომელნიც, ისე რომ თავისთავს კომუნისტურ გამოცემებად არ გამოაცხადებენ და პარტიისადმი თავიანთ კუთვნილებაზე არ ილაპარაკებენ, ისწავლიან სულ მცირე ლეგალური შესაძლებლობის გამოყენებას, როგორც ამას ბოლშევიკები შვრებოდნენ მეფის დროს 1905 წლის შემდეგ; მეორე, არალეგალური ფურცლები, რომლებიც თუნდაც სულ მცი-

რე მოცულობით და არარეგულარულად გამოიცემა, მაგრამ რომელთაც თვით მუშები გადაბეჭდავენ ხოლმე მრავალ სტამბაში (ფარულად ან, თუ მოძრაობა მომაგრებულია, სტამბების რევოლუციური დაპყრობის გზით) და რომელნიც პროლეტარიატს აწვდიან თავისუფალ, რევოლუციურ ინფორმაციას და რევოლუციურ ლოზუნგებს.

პროლეტარიატის დიქტატურისათვის მომზადება შეუძლებელია ისე, თუ არ გაჩაღდა მასების მიმზიდველი რევოლუციური ბრძოლა კომუნისტური ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლებისათვის.

გამოქვეყნდა 1920 წ. ივლისში

ბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც., ტ. 31, გვ. 226—230

ს ჯ ა ჯ ი ი ღ ა ნ

«კომუნისტურ ინტერნაციონალში მიღების პირობები»

1. ყოველდღიური პროპაგანდა და აგიტაცია უნდა ატარებდეს ნამდვილად კომუნისტურ ხასიათს. ყველა იმ ბეჭდვითს ორგანოს, რომელნიც პარტიის ხელთ არის, რედაქტორობას უნდა უწევდნენ საიმედო კომუნისტები, რომელთაც დაამტკიცეს თავიანთი ერთგულება პროლეტარული რევოლუციის საქმისადმი...

გამოქვეყნდა 1920 წ. იელისში

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც., ტ. 31, გვ. 242—243

სახელმწიფო გამომცემლობას
და ე. ა. პრეობრაჟენსკის და ნ. ი. ბუხარინს

სახელმწიფო გამომცემლობას

და ამხ. პრეობრაჟენსკის, ამხ. ბუხარინს

როგორც ჩვენს გაზეთებში, ისე უცხოურში (სხვადასხვა ქვეყნის არა მარტო კომუნისტურ, არამედ აგრეთვე ბურჟუაზიულ გაზეთებში) ყოველკვირეულად გროვდება დიდძალი მასალა, განსაკუთრებით ანტანტის საგარეო პოლიტიკის შესახებ.

ეს მასალა (იხილე აგრეთვე «საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის ბიულეტენი») იკარგება საერთაშორისო კომუნისტური აგიტაციისათვის, იგი კი მეტად საგულისხმოა.

წინადადებას ვიძლევი შეიქმნას კომისია ამ მასალის შესაჯერებლად და ყოველთვიურად პატარა ბროშურების გამოსაცემად.

შინაარსი: ანტანტის საგარეო პოლიტიკის ფაქტები (ძარცვა-გლეჯა; ომები; აჯანყებანი; ფინანსური მოშთობა).

ეგზემპლარების რიცხვი სულ მცირე, რადგან მთავარი მიზანია სხვა ენებზე გადათარგმნა.

რამდენიმე პროფესორისაგან შემდგარი ქვეკომისია უნდა (სასტიკ კონტროლქვეშ) აგროვებდეს ყოველივე საგულისხმოს, განსაკუთრებით ბურჟუაზიულ გაზეთებიდან (რომლებიც ყველაზე უკეთ ამჟღავნებენ თავიანთ «მეტოქეებს»).

პარტიული ამხანაგების კომისია წაიკითხავს პროფესორთა ხელნაწერებს, გაასწორებს და აიძულებს მათ გაასწორონ.

გაზეთები იკარგება; ბროშურები შეინახება და დაეხმარება საზღვარგარეთელ ამხანაგებს.

გთხოვთ გამოთქვათ თქვენი აზრი.

1920. 8. VIII. ლენინი

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს ჟურნალში «ენიგა ო ენიგახ» № 3

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც., ტ. 36, გვ. 607—608

ს ჯ ა ს ი ბ ი ს ი

«თეზისები საწარმოო პროპაგანდის შესახებ»*

(შავი ფონასაბი)

1. ახლანდელ მომენტში, რსფსრ-ის სამხედრო გამარჯვებებთან და საერთოდ მის საერთაშორისო მდგომარეობასთან დაკავშირებით, საწარმოო პროპაგანდა კვლავ პირველ რიგში უნდა იქნას წამოწეული, გაძლიერებული და ორგანიზაციულად განმტკიცებული.

2. ხელმძღვანელმა გაზეთებმა, პირველ რიგში «იზვესტიამ» და «პრავდამ», უნდა: (ა) შეამცირონ პოლიტიკისათვის დათმობილი ადგილი და გაადიდონ საწარმოო პროპაგანდის განყოფილება; (ბ) გავლენა მოახდინონ პარტიის და საბჭოთა დაწესებულებების მთელ მუშაობაზე იმ აზრით, რომ მეტი ძალები დაეთმოს საწარმოო პროპაგანდას; (გ) შეეცადონ სისტემატურად დააყენონ საწარმოო პროპაგანდის საქმე საერთო-სახელმწიფოებრივი მასშტაბით, შეიმუშაონ ფართო ღონისძიებანი მის გასავითარებლად, გასაუმჯობესებლად და განსაკუთრებით მის იმ რეალურ წარმატებათა შესამოწმებლად, რომლებიც ნამდვილად ხორციელდება.

3. ასევე უნდა იქნას სისტემატიზებული, გაფართოებული და განვითარებული მუშათა და გლეხთა მასის წრიდან გამოსულ ნიჭიერ ადმინისტრატორთა, ორგანიზატორთა, გამომგონებელთა დაწინაურებისათვის მუშაობა.

4. ძალთა ეკონომიისა და მუშაობის უფრო სწორად წარმართვის მიზნით, საწარმოო პროპაგანდა მთელ რსფსრ-ში უნდა გაერთიანდეს ერთი ორგანოს ხელმძღვანელობით. ამასთანავე აბსოლუტურად აუცილებელია უაღრესად ფართო ავტონომია, ადგილობრივი და პროფესიული. ყოველგვარი მნიშვნელოვანი წარმატების სისტემატური, წესიერად დაყენებული ანაზღაურება ჯილდოთი (ნატურალური პრემიები და სხვ.); წარმატებათა მიუდგომელი და კომპეტენტური შემოწმების ორგანიზაცია.

5. საწარმოო პროპაგანდის ერთიანი ხელმძღვანელი ორგანო უნდა იყოს რედაქცია პოპულარული მასობრივი გაზეთისა, რომლის ტირაჟი იქნება 1/2—1 მილიონი ეგზემპლარი.

ასეთ გაზეთად უნდა გახდეს «ბედნოტა».

ამგვარი ტიპის სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო გაზეთების გაყოფა მავნებელია, ვინაიდან სოციალიზმის ამოცანაა დააახლოოს და გააერთიანოს მრეწველობა და მიწათმოქმედება. პრაქტიკულად კი მრეწველობის პროლეტარიატის ხელმძღვანელი როლი ქალაქშიც და სოფელშიც და კერძოდ მიწათმოქმედების ურბანიზაციაში, და მთელი ჩვენი ქვეყნის ელექტროფიკაციის საქმეშიც, მოითხოვს სწორედ ერთიან საწარმოო გაზეთს (და საწარმოო პროპაგანდის ერთიან ხელმძღვანელობას) მუშებისთვისაც და გლეხებისთვისაც.

6. ხელმძღვანელ კოლეგიას უნდა შეადგენდეს 5 პირი: 1) სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოსაგან; 2) სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოსაგან; 3) მიწსახკომისაგან; 4) მთავპოლიტგანისაგან; 5) რკპ ც. კ-ისაგან (ანუ პასუხისმგებელი რედაქტორი). კოლეგია და გაზეთი უნდა არსებობდეს სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოსთან. (შეიძლება მიემატოს კიდევ 1 წარმომადგენელი მთავპროფგანისაგან?)

7. საწარმოო გაზეთი უნდა იყოს პოპულარული, იმ აზრით, რომ გასაგები იყოს მილიონებისათვის, მაგრამ, ამ მხრივ, არამც და არამც არ უნდა გადავარდეს უკიდურესობაში. კი არ უნდა დაეშვას განუვითარებელ მკითხველამდე, არამედ განუხრელად — ძლიერ ფრთხილი თანდათანობით — აამაღლოს მისი განვითარება. პოლიტიკას უნდა ეთმობოდეს მცირე ადგილი, დაახლოებით არა უმეტეს 1/4-ისა. მთავარი ადგილი უნდა დაეთმოს ერთიან სამეურნეო გეგმას, შრომის ფრონტს, საწარმოო პროპაგანდას, მართვა-გამგეობის სწავლებას მუშებისა და გლეხებისათვის, კანონებისა და საბჭოთა დაწესებულებების და მეურნეობათა ღონისძიებების ნამდვილად განხორციელების შემოწმებას, აზრთა ფართო და სწორ გაცვლა-გამოცვლას მასობრივ მკითხველთან.

8. გაზეთში დაბეჭდილი, გაზეთისათვის მოწოდებული და აგრეთვე სხვა მასალა სისტემატურად უნდა გამოიცეს ხოლმე პერიოდულად ბროშურებისა და ფურცლების სახით და აუცილებლივ დაეგზავნოს ბიბლიოთეკებს და შემდეგ ამა თუ იმ წარმოების ყველა ფაბრიკასა და საწარმოს (ბროშურებსა და ფურცლებში მასალა დალაგებული უნდა იყოს წარმოებათა მიხედვით). სახელმძღვანელოებთან და საზღვარგარეთის ტექნიკის მიმოხილვებთან ერთად ეს მასალა

უნდა ემსახურებოდეს პროფესიულ-ტექნიკური და პ ო ლ ი ტ ე ქ ნ ი-კ უ რ ი განათლების გავრცელებას.

კერძოდ, გაზეთის, აგრეთვე საწამოო ბროშურებისა და ფურცლების უფრო სწორად განაწილება რსფსრ-ის ყ ვ ე ლ ა ბიბლიოთეკას შორის, განსაკუთრებული ყურადღების საგანს უნდა შეადგენდეს.

9. აუცილებლად საჭიროა საწარმოო პროპაგანდის საქმეში (წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით) მონაწილეობის მისაღებად გეგმაშეწონილი ორგანიზებულობით და სისტემატურობით მოვიზიდოთ ინჟინრები, აგრონომები, მასწავლებლები, აგრეთვე ის საბჭოთა მოსამსახურენი, რომელნიც აკმაყოფილებენ განსაზღვრულ კვალიფიკაციას...

ნ. ლ ე ნ ი ნ ი

18. XI. 1920.
გამოქვეყნდა 1928 წ.

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც., ტ. 31, გვ. 493—495

ს ტ ა ტ ი ი ნ ა ნ

«განსაკუთრებულ მუშაობის შესახებ»

...როგორ ვანაწილებთ ჩვენ გაზეთებსა და წიგნებს? «ცენტროპეჩატის» მონაცემების მიხედვით, 1920 წლის განმავლობაში გავრცელებულია 401 მილიონი ეგზემპლარი გაზეთი და 14 მილიონი წიგნი (11 თვის განმავლობაში). აი მონაცემები სამი გაზეთის გავრცელების შესახებ (1921 წ. 12. I), ეს განაწილება დაწესებულია «ცურკის»[10] პერიოდული ბეჭდვითი სიტყვის სექციის მიერ (ციფრები ნიშნავს ა თ ა ს ო ბ ი თ ეგზემპლარს):

	«ოზვესტია»	«პრავდა»	«ბედნოტა»
«ცენტროპეჩატის» საჯენტოები	191	139	183
სამხედრო ბიურო ლიტექსპედთათვის	50	40	85
რკინიგზის ორგანიზაცია, «ცენტროპეჩატის» რკინიგზის განყოფილება, აგიტპუნქტები	30	25	16
ქ. მოსკოვის დაწესებულებანი და ორგანიზაციები	65	35	8
ქალაქ მოსკოვის სამხედრო კომისარიატი	8	7	6
კომპლექტები სამგზავრო მატარებლებისათვის	1	1	1
გასაკრავი და კომპლექტები	5	3	1
ს უ ლ	350	250	300

გასაოცრად ცოტაა გასაკრავად, ე. ი. ყველაზე უფრო ფართო მასებისათვის. გასაოცრად ბევრია დედაქალაქის «დაწესებულებებისათვის» და სხვ. — ეტყობა, საბჭოთა ბიუროკრატების («სოვბურეების») — როგორც სამხედროების, ისე სამოქალაქოების მიერ დასატაცებლად და ბიუროკრატიული გამოყენებისათვის.

აი კიდევ რამდენიმე ციფრი «ცენტროპეჩატის» ადგილობრივ ქვეგანყოფილებათა ანგარიშებიდან. «ცენტროპეჩატის» ვორონეჟის საგუბერნიო საგენტოს 1920 წ. სექტემბრის განმავლობაში გაზეთები მიუღია 12-ჯერ (ე. ი. სექტემბრის 30 დღიდან 18 დღეს გაზეთები არ

ყოფილა მიღებული). მიღებული გაზეთები ასე ნაწილდებოდა: «იზვესტია» «ცენტროპეჩატის» სააგენტოებს: სამაზრო სააგენტოებს 4 986 ეგზ. (4 020; 4 310)*; რაიონულ სააგენტოებს — 7 216 (5 860; 10 064); სათემო სააგენტოებს — 3 370 (3 200; 4 285); პარტორგანიზაციებს — 447 (569; 3 880); საბჭოთა დაწესებულებებს — 1 765 (1 641; 509),—დაიხსომეთ, რომ «პრავდა» საბჭოთა ორგანიზაციებს თითქმის ერთისამად მეტი ხვდა, ვიდრე პარტორგანიზაციებს! შემდეგ: სამხედრო კომისარიატის სააგიტაციო-საგანმანათლებლო განყოფილებას — 5 532 (5 793; 12 332), აგიტპუნქტებს — 352 (400; 593); ქოხ-სამკითხველოებს — ნ ო ლ ი. ხელისმომწერლებს —7 167 (3 080; 764). მაშასადამე, «ხელისმომწერლებს», ე. ი. სინამდვილეში, რა თქმა უნდა, საბჭოთა ბიუროკრატებს, ძალიან მსუქნად გამოუდით. გასაკრავად — 460 (508; 500). სულ 32 517 (25 104; 37 237).

უფის გუბერნიაში 1920 წლის ნოემბრის განმავლობაში მიუღიათ 25-ჯერ, ე. ი. გაზეთები მხოლოდ ხუთ დღეს არ ყოფილა. განაწილება: პარტორგანიზაციებს — 113 (1 572; 153); საბჭოთა დაწესებულებებს—2 763 (1 296; 1 267); სამხედრო კომისარიატის სააგიტაციო-საგანმანათლებლო განყოფილებას — 687 (470; 6 500); სათემო აღმასკომებს — 903 (308; 3 511); ქოხსამკითხველოებს — 36 (8 — «პრავდა» 8 ეგზემპლარი! — 2 538); ხელისმომწერლებს — ნ ო ლ ი; «სხვადასხვა სამაზრო ორგანიზაციას» — 1 044 (219; 991). სულ 5 841 (4 069; 15 429).

ბოლოს, ვლადიმირის გუბერნიის სუდოგდის მაზრის პუსტოშენსკის სათემო სააგენტოს 1920 წ. დეკემბრის ანგარიში. პარტორგანიზაციებს — 1 (1; 2); საბჭოთა დაწესებულებებს — 2 (1; 3); სამხედრო კომისარიატის სააგიტაციო-საგანმანათლებლო განყოფილებას — 2 (1; 2); სათემო აღმასკომებს — 2(1; 3); ფოსტის დაწესებულებებს — 1 (1; 1); ურშელის ქარხკომს — 1 (1; 2); სოცუზრუნველყოფის რაიონულ განყოფილებას — 1 (0; 3). სულ 10 (6; 16).

როგორია ამ ნაწყვეტი მონაცემების დასკვნა? ჩემი აზრით, ის დასკვნაა, რომელიც ჩვენმა პარტიულმა პროგრამამ გამოხატა სიტყვებით: «ამჟამად... იდგმება მხოლოდ პირველი ნაბიჯები კაპიტალიზმიდან კომუნიზმზე გადასასვლელად.»

კაპიტალიზმი გაზეთებს აქცევდა კაპიტალისტურ საწარმოებად, მდიდრების გამორჩენის, მათი ინფორმაციისა და თავის შექცევის იარაღად, მშრომელთა მასის მოტყუებისა და ჯაბრიყვების იარაღად.

* ფრჩხილებში პირველი ციფრი ეხება «პრავდას», მეორე — «ბედნოტას».

ჩვენ დავამსხვრიეთ გამდიდრებისა და მოტყუების იარაღები. ჩვენ დავიწყეთ გაზეთის გადაქცევა იმის იარაღად, რომ გავანათლოთ მასები და ვასწავლოთ მათ ცხოვრება და თავიანთი მეურნეობის შენება უმემამულეებოდ და უკაპიტალისტებოდ. მაგრამ ჩვენ ეს არის მხოლოდ დავიწყეთ ამის კეთება. სამ წელზე მეტი ხნის განმავლობაში ცოტა გავაკეთეთ. ამავე დროს საჭიროა კიდევ ძალიან ბევრი გავაკეთოთ, კიდევ ძალიან დიდი გზა გავიაროთ. ნაკლები პოლიტიკური რახარუხი, ნაკლები ზოგადი მსჯელობა და აბსტრაქტული ლოზუნგები,- რომლებითაც ტაბებიან გამოუცდელი კომუნისტები, რომლებსაც თავიანთი ამოცანები ვერ შეუგნიათ, მეტი საწარმოო პროპაგანდა, ყველაზე მეტად კი — პრაქტიკული გამოცდილების საქმიანი, უნარიანი, მასის განვითარების დონესთან შეგუებული გათვალისწინება.

გაზეთების განაწილებაში (წიგნების შესახებ მონაცემები არა მაქვს; ალბათ, იქ საქმე უფრო ცუდადაა) ჩვენ გავაუქმეთ ხელისმოწერა. ეს წინგადადგმული ნაბიჯია კაპიტალიზმიდან კომუნიზმისაკენ. მაგრამ კაპიტალიზმის ერთბაშად მოსპობა შეუძლებელია. იგი ცოცხლდება საბჭოთა ბიუროკრატების, საბჭოთა ბიუროკრატიის სახით, რომელიც სხვადასხვა საბაბით ხელთ იგდებს გაზეთებს. იმის დათვლა, თუ რამდენ გაზეთს იგდებს იგი ხელთ, შეუძლებელია, მაგრამ, ეტყობა, ბევრს. საჭიროა მონდომებით და სისტემატურად ვიმუშაოთ იმაზე, რომ «დავცხოთ» ბიუროკრატიას, საშუალება არ მივცეთ მას ხელთ იგდოს გაზეთები და წიგნები, შევამციროთ მისი წილი, განუხრელად შევამციროთ თვით საბჭოთა ბიუროკრატების რიცხვი. ჩვენ, სამწუხაროდ, არ ძალგვიძს ერთბაშად შევამციროთ ეს რიცხვი ერთიანად, ერთიანად, — ჩვენი კულტურის ახლანდელი დონის დროს ამის დაპირება შარლატანობა იქნებოდა — მაგრამ ჩვენ შეგვიძლია და კიდევაც უნდა შევამციროთ ეს რიცხვი მუდმივად და განუხრელად. ის კომუნისტი, რომელიც ამას არ აკეთებს, მხოლოდ სიტყვით არის კომუნისტი.

უნდა ვეცადოთ და ვეცადოთ, რათა გაზეთები და წიგნები, როგორც წესი, ნაწილდებოდეს მუქთად მხოლოდ ბიბლიოთეკებსა და სამკითხველოებში, მათ ქსელში, რომელიც წესიერად უნდა ემსახურებოდეს მთელ ჩვენს ქვეყანას, მუშათა, ჯარისკაცთა, გლეხთა მთელ მასას. მაშინ ხალხი ასკეცად უფრო ძლიერად, უფრო სწრაფად, უფრო წარმატებით დაეწაფება წიგნიერებას, სინათლეს, ცოდნას, მაშინ განათლების საქმე ბუმბერაზული ნაბიჯებით წავა წინ.

მოკლე გაანგარიშება თვალსაჩინოობისათვის, მაგალითის სახით, 350 ათასი «იზვესტია» და 250 ათასი «პრავდა» მთელი რუსეთისათ-

ვის. ჩვენ ღატაკნი ვართ. ქაღალდი არა გვაქვს. მუშები იყინებიან, მშიერნი, შიშველ-ტიტველნი არიან. მანქანები გაცვეთილია. შენობები ინგრევა. წარმოვიდგინოთ, რომ ჩვენ მთელი ჩვენი ქვეყნისათვის, 10 000-ზე მეტი თემისათვის, გვაქვს 50 000 ბიბლიოთეკა და სამკითხველო, მაგრამ არა ქაღალდზე, არამედ ნამდვილად. არანაკლებ სამისა თვითეულ თემში და აუცილებლად თითო-თითო ყოველ ქარხანასა თუ ფაბრიკაში, ყოველ სამხედრო ნაწილში. წარმოვიდგინოთ, რომ ჩვენ ვისწავლეთ არა მარტო «პირველი ნაბიჯის გადადგმა კაპიტალიზმიდან კომუნიზმისაკენ», არამედ აგრეთვე მეორე და მესამე ნაბიჯის გადადგმაც. წარმოვიდგინოთ, რომ ჩვენ ვისწავლეთ სამ-სამი ცალი გაზეთის სწორად განაწილება თვითეულ ბიბლიოთეკასა და სამკითხველოზე, მათგან 2 გაზეთი, ვთქვათ, საჭიროა «გასაკრავად» (ვგულისხმობ რა, რომ ჩვენ მეოთხე ნაბიჯი გადავდგით კაპიტალიზმიდან კომუნიზმისაკენ, მე ვფიქრობ, ვბედავ ვიფიქრო, რომ ბარბაროსული «დაწესების» ნაცვლად, რომელიც გაზეთს აფუჭებს, ჩვენ მას ხისლურსმნებით — რკინისა არა გვაქვს, რკინა «მეოთხე ნაბიჯის» დროსაც ცოტა გვექნება! — გავაკრავთ სწორ დაფაზე, რათა შეიძლებოდეს მოხერხებულად წაკითხვა და რათა გაზეთი არ დაიხეს). ამრიგად, 2 ცალი 50 000 ბიბლიოთეკისა და სამკითხველოსათვის «გასაკრავად», 1 ცალი სამარაგოდ. შემდეგ წარმოვიდგინოთ, რომ ჩვენ ვისწავლეთ გაზეთის ტყუილუბრალოდ მიცემა საბჭოთა ბიუროკრატებისათვის ზ ო მ ი ე რ ი რაოდენობით, ვთქვათ, არაუმეტეს რამდენიმე ათასი ცალისა მთელი საბჭოთა რესპუბლიკის განებივრებულ «წარჩინებულთათვის».

ესოდენ თამამი ვარაუდის დროს 160 ათასი, ვთქვათ, 175 ათასი ცალი საკმარისი იქნება მთელი ჩვენი ქვეყნისათვის ერთიხუთად უფრო უკეთ, ვიდრე ახლა. ყველას ექნება შესაძლებლობა გაეცნოს მდგომარეობას გაზეთის საშუალებით (თუ სათანადოდ მოეწყობა მოძრავი ბიბლიოთეკები, რომლებსაც ,ჩემი აზრით, ესოდენ წარმატებით იცავდა ამის წინათ «პრავდაში» ამხანაგი ფ. დობლერი). 350 ათასი ცალი ორივე გაზეთი. ახლა კი გვაქვს 600 ათასი, რომლებიც დატაცებულია საბჭოთა ბიუროკრატების მიერ, მხოლოდ კაპიტალისტურ ჩვეულებათა გამო მიაქვთ ტყუილუბრალოდ, «თამბაქოს გასახვევად» და სხვ.. გვექნებოდა 250 ათასი ცალის ეკონომია. სხვა სიტყვებით: მოვიზოგავდით, ჩვენი სიღატაკის მიუხედვად, ო რ ყოველდღიურ გაზეთს, 125 ათას ცალს თვითეულს. და თვითეულ ასეთ გაზეთში ყოველდღე შეიძლებოდა მიგვეწოდებინა ხალხისათვის სერიოზული და ძვირფასი ლიტერატურული მასალა, საუკეთესო და კლასიკური ბელეტრისტიკა, საერთო-საგანმანათლებლო სახელმძღვანელოები,

სოფლის მეურნეობის სახელმძღვანელოები, მრეწველობის სახელმძღვანელოები. თუ ფრანგმა ბურჟუებმა ჯერ კიდევ ომამდე ისწავლეს, როგორ იშოვნონ ფული, როგორ გამოსცენ რომანები ხალხისათვის არა 3½ ფრანკად ბატონკაცობისათვის განკუთვნილი წიგნაკის სახით, არამედ 10 სანტიმად (ე. ი. 35-ჯერ უფრო იაფად, 4 კაპიკად ომამდელი კურსით) პროლეტარული გაზეთის სახით, მაშინ რატომ არ უნდა ვისწავლოთ ჩვენ — კაპიტალიზმიდან კომუნიზმისაკენ მეორე ნაბიჯის გადადგმის დროს — ასევე მოვიქცეთ? რატომ არ უნდა ვისწავლოთ ჩვენ, ასე რომ მოვიქცევით, მივაღწიოთ იმას, რომ ერთ წელიწადში — ჩვენი ახლანდელი სიღატაკის პირობებშიც კი — მივცეთ ხალხს, 50 000 ბიბლიოთეკიდან და სამკითხველოდან თვითეულზე ორ-ორი ცალი, — ყველა საჭირო სახელმძღვანელო და მსოფლიო ლიტერატურის, თანამედროვე მეცნიერების, თანამედროვე ტექნიკის ყველა საჭირო კლასიკოსი?

● ვისწავლით.

1921 წ. 7 თებერვალი

«პრავდა» № 28, 1921 წ.
9 თებერვალი
ხელმოწერა: ნ. ლ ე ნ ი ნ ი

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოცემა
ტ. 32, გვ. 148—154

სვაჯი�dა

«ერთიანი სამეურნეო გეგმის შესახებ»

მძიმე შთაბეჭდილებას ტოვებს სტატიები და ლაპარაკი ამ თემაზე. შეხედეთ ლ. კრიცმანის სტატიებს, რომლებიც მოთავსებულია «ეკონომიჩესკაია ჟიზნში»[11] (I—1920 წ. 14 დეკემბერს; II—23 დეკემბერს; III—9 თებერვალს; IV—16 თებერვალს; V—20 თებერვალს). ყოვლად ფუჭი ლაყბობაა. ლიტერატურობანაა. არ ჩანს სურვილი — ანგარიში გაუწიონ იმას, რაც კი საქმიანი რამ შექმნილა ამ დარგში, და შეისწავლონ ეს. მსჯელობა—გრძელ ხუთ სტატიაში! —იმაზე, როგორ უნდა მივუდგეთ შესწავლას, ნაცვლად მონაცემების და ფაქტების შესწავლისა.

აიღეთ თეზისები მილიუტინისა («ეკონომიჩესკაია ჟიზნ», 19 თებერვალი), ლარინისა («ეკონომიჩესკაია ჟიზნ», 20 თებერვალი), დააკვირდით «პასუხისმგებელი» ამხანაგების სიტყვებს. იგივე ძირითადი ნაკლოვანებანია, რაც კრიცმანს აქვს. ყოვლად მომაბეზრებელი სქოლასტიკაა, რომელიც იქამდე მიდის, რომ ლაყბობენ ჯაჭვური კავშირის კანონზე და სხვ., სქოლასტიკა ხან ლიტერატურული, ხან ბიუროკრატიული, ცოცხალი საქმე კი არ ჩანს.

ამაზე უარესიც. ჩვენ ვხედავთ ქედმაღლურ-ბიუროკრატიულ უყურადღებობას იმ ცოცხალი საქმისადმი, რომელიც უკვე გაკეთებულია და რომელიც უნდა განვაგრძოთ. ისევ და ისევ ყოვლად ფუჭი «წარმოება თეზისებისა» ან თითიდან გამოწოვა ლოზუნგებისა და პროექტებისა ნაცვლად იმისა, რომ ყურადღებით და გულდასმით გაეცნონ ჩვენს საკუთარ პრაქტიკულ გამოცდილებას.

ერთადერთი სერიოზული ნაშრომი ერთიანი სამეურნეო გეგმის საკითხზე არის «რსფსრ ელექტრიფიკაციის გეგმა», «გოელროს» (რუსეთის ელექტრიფიკაციის სახელმწიფო კომისია) მოხსენება საბჭოების VIII ყრილობაზე, გამოცემული 1920 წ. დეკემბერში და დარიგებული VIII ყრილობაზე. ამ წიგნში გადმოცემულია ერთიანი სამეურნეო გეგმა, რომელიც დამუშავებულია—რა თქმა უნდა,

მხოლოდ პირველი მიახლოების წესით—ჩვენი რესპუბლიკის საუკეთესო მეცნიერთა ძალების მიერ რესპუბლიკის უმაღლესი ორგანოების დავალებით. და ბრძოლა მაღალი ხარისხის მოხელეთა უმეცრულ ამპარტავნობასთან, კომუნისტი ლიტერატორების ინტელიგენტურ ამპარტავნობასთან უნდა დავიწყოთ სულ პატარა საქმიდან, უბრალო მოთხრობიდან ამ წიგნის ისტორიის, მისი შინაარსის, მისი მნიშვნელობის შესახებ...

...«გოელროს» გარეთ მყოფ კომუნისტებს ორნაირად შეუძლიათ დაგვეხმარონ ერთიანი სახელმწიფო გეგმის შექმნისა და განხორციელების საქმეში, თუ ისინი ეკონომისტები, სტატისტიკოსები, ლიტერატორები არიან, მათ ჯერ უნდა შეისწავლონ ჩვენი საკუთარი პრაქტიკული გამოცდილება და მხოლოდ სათანადო ფაქტების დეტალური შესწავლის საფუძველზე გვირჩიონ შეცდომების გამოსწორება, მუშაობის გაუმჯობესება. შესწავლა მეცნიერის საქმეა, და აქ, რამდენადაც ჩვენში საქმე უკვე დიდი ხანია ეხება არა ზოგად პრინციპებს, არამედ სწორედ პრაქტიკულ გამოცდილებას, ჩვენთვის ისევე ათკეცად უფრო ძვირფასია თუნდაც ბურჟუაზიული, მაგრამ საქმის მცოდნე «მეცნიერებისა და ტექნიკის სპეციალისტი», ვიდრე ყოყოჩა კომუნისტი, რომელიც მზად არის დღისით თუ ღამით ყოველ წუთს დაწეროს «თეზისები», წამოაყენოს «ლოზუნგები», შემოგვთავაზოს ცარიელი აბსტრაქციები. მეტი ცოდნა ფაქტებისა, ნაკლები ყბედობა, რომელიც კომუნისტურ პრინციპულობას ჩემულობს...

«პრავდა» № 39, 1921 წ.
22 თებერვალი
ხელმოწერა: ნ. ლ ე ნ ი ნ ი

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.,
ტ. 32, გვ. 159—160, 169

ნ ე ს ი ნ ი ს ა ნ

გ. მ. კ რ ჟ ი ჟ ა ნ ო ვ ს კ ი ს

25. II.

... (7) ჩემი წინადადებაა მოფიქრებულ იქნეს ასეთი გეგმა (იგი უაღრესად მნიშვნელოვნად მიმაჩნია): დაევალოს რამდენიმე კაცს, საერთო-საგეგმო კომისიის წევრებს, სისტემატურად წარუდგინონ ხოლმე ან ამ კომისიას, ან § 6-ის ქ ვ ე კ ო მ ი ს ი ა ს ა ნ გ ა რ ი შ ე ბ ი და ს ტ ა ტ ი ე ბ ი სხვადასხვა უწყების მიერ (და სხვადასხვა გუბერნიების, მაზრების, ჯგუფების, საწარმოების და სხვ. მიხედვით) მიმდინარე სამეურნეო გეგმების შესრულების შესახებ

და ამ შესრულების შედარების შესახებ

სხვადასხვა წლის მიხედვით

და «ე კ ო ნ ო მ ი ჩ ე ს კ ა ი ა ქ ი ზ ნ შ ი» დასაბეჭდად...

დაწერილია 1921 წ. 25 თებერვალს
პირველად მთლიანად დაიბეჭდა
1928 წელს

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.
ტ. 35, გვ. 504—505

ბ რ ო შ უ რ ი დ ა ნ

«შრომისა და თავდაცვის საბჭოს განაწესი ადგილობრივი საბჭოთა დაწესებულებებისათვის»[12]

პ რ ო ე ქ ტ ი

ბიუროკრატიზმთან და საქმის გაჭიანურებასთან ბრძოლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საშუალება უნდა იყოს შემოწმება ცენტრის კანონების და განკარგულებების შესრულებისა ადგილების მიერ, ამისათვის საჭიროა ანგარიშები, რომლებიც უნდა იბეჭდებოდეს ს ა ყ ო ვ ე ლ თ ა ო ც ნ ო ბ ი ს ა თ ვ ი ს, ამასთან აუცილებელია უ პ ა რ ტ ი ო თ ა და არა-უწყების მუშაკთა მ ო ნ ა წ ი ლ ე ო ბ ი ს გ ა ფ ა რ თ ო ე ბ ა. ისეთი ჟურნალი, როგორიცაა «ნაშე ხოზიაისტვო», «ტვერის საგუბერნიო ეკონომიური საბჭოს ორკვირეული ორგანო» (№1, 1921 წ. 15. IV; №2, 1921 წ. 30. IV), გვიჩვენებს, რომ ადგილებზე შეგნებული აქვთ ჩვენი სამეურნეო გამოცდილების შედეგთა შესწავლის, გაშუქების, გამოქვეყნების საჭიროება და სწორ გზებსაც პოულობენ მის დასაკმაყოფილებლად. რა თქმა უნდა, ყოველ გუბერნიაში როდი შეძლებენ, უახლოეს თვეებში მაინც, გამოსცენ ჟურნალი, ყველგან როდი შეძლებენ ბეჭდონ თვეში ორჯერ სამ-სამი ათასი ეგზემპლარი, როგორც ტვერი ბეჭდავს. მაგრამ არა მარტო ყოველ გუბერნიაში არამედ ყოველ მაზრაშიც შეუძლიათ შეადგინონ — და კიდევაც უნდა შეადგინონ — ორ თვეში ერთხელ (დასაწყისისათვის შესაძლებელია დავუშვათ, გამონაკლისის სახით, უფრო ხანგრძლივი ინტერვალებიც) ადგილობრივი ეკონომიური მუშაობის ანგარიში და დაბეჭდონ იგი, ვთქვათ, 100 — 300 ეგზემპლარად. ქაღალდი და სტამბა ასეთი მცირე სამუშაოსათვის უეჭველად ყველგან აღმოჩნდება, თუ ჩვენ შევიგნებთ ასეთი სამუშაოს დიდ მნიშვნელობას და გადაუდებელ საჭიროებას, იმას,რომ ამ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად აუცილებელია ჩამოერთვას ქაღალდი ბევრ

ისეთ უწყებას, რომლებიც აუარებელ არასაჭირო, ან პირველ რიგში სრულიადაც არასაჭირო რამეებს ბეჭდავენ. თუ წვრილი შრიფტით ავაწყობთ; თუ 2 სვეტად დავბეჭდავთ (როგორც იქცევიან ამხანაგები ტვერში); თუ შევიგნებთ იმ უბრალო ჭეშმარიტებას, რომ ასეული ეგზემპლარიც კი, როცა თვითეულ ეგზემპლარს მივაწვდით ყოველ საგუბერნიო ბიბლიოთეკას და ყოველ უდიდეს საერთო-სახელმწიფოებრივ ბიბლიოთეკას, უკვე იძლევა, მართალია, მცირე, მაგრამ მაინც უეჭველ შესაძლებლობას, რომ გამოცდილება სრულიად რუსეთის მასშტაბით იქნეს გაცნობილი და გათვალისწინებული, — მაშინ ცხადი გახდება, რომ ამ საქმის განხორციელება შესაძლებელია და რომ იგი გადაუდებელია...

რა ზომებია მიღებული იმისათვის, რომ შესრულდეს საბჭოების VIII ყრილობის დადგენილება ელექტრიფიკაციის გეგმის ფართო პროპაგანდის შესახებ? რამდენი სტატია მოთავსდა ამის შესახებ ადგილობრივ გაზეთებში?...

27. ეკონომიური მუშაობის მომსახურება პრესის მიერ

ბეჭდვითი სიტყვის ადგილობრივი ორგანოები და «ეკონომიჩესკაია ჟიზნ». როგორ არის დაყენებული სამეურნეო მუშაობის გაშუქება? უპარტიოთა მონაწილეობა? პრაქტიკული გამოცდილების შემოწმება და შეფასება?

ბეჭდვითი სიტყვის ადგილობრივი ორგანოებისა და «ეკონომიჩესკაია ჟიზნის» გავრცელება? მათი შენახვა ბიბლიოთეკებში და მოსახლეობისათვის მისაწვდომობა?

სამეურნეო მშენებლობის საკითხებზე ბროშურებისა და წიგნების გამოცემა. გამოსულ გამოცემათა სია.

საზღვარგარეთული ლიტერატურის საჭიროება და მისი დაკმაყოფილება. მოდიოდა თუ არა «ბინტის» (უცხოეთის მეცნიერებისა და ტექნიკის ბიურო) გამოცემები და მათი შეფასება? სხვა საზღვარგარეთული გამოცემები რუსულ და სხვა ენებზე?...

დაიბეჭდა 1921 წელს
ცალკე ბროშურად

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა:
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.,
ტ. 32, გვ. 484—485,
504, 505—506

სიტყვიდან ადგილობრივი ეკონომიური ორგანოების შესახებ სრულიად რუსეთის ცაკის სხდომაზე

1921 წ. 30 მაისი

ანგარიშების ბეჭდვის ერთ-ერთი მთავარი მიზანია მისაწვდომი გავხადოთ ისინი უპარტიო მასისათვის და საერთოდ მოსახლეობისათვის. ჩვენ ამას ვერ მივაღწევთ ამ ანგარიშების მასობრივად წარმოების, მასობრივად დაბეჭდვის გზით, არამედ მივაღწევთ მხოლოდ ბიბლიოთეკებში თავმოყრის გზით. რაკი ასეა, საჭიროა მუშაობის ისეთი წესის დადგენა, რომ ანგარიშების მოკლე დედააზრი, იმის დედააზრი, რაც მოსახლეობას ყველაზე მეტად აინტერესებს, აუცილებლად იბეჭდებოდეს. საამისოდ ტექნიკური შესაძლებლობა მოიპოვება. ვიდრე აქ გამოვიდოდი, მე ცნობები მივიღე ქაღალდის მრეწველობის მთავარი სამმართველოს წარმომადგენლისაგან. მან წარმომიდგინა ზუსტი ანგარიში 339 სამაზრო პუნქტის შესახებ; ეს ანგარიში ცხადყოფს, რომ თვითეულ სამაზრო პუნქტში არსებობს სასტამბო შესაძლებლობა, აგრეთვე მოიპოვება იმდენი ქაღალდი, რომ სულ მოკლე ანგარიში დაიბეჭდოს. ამასთან ის იმგვარად ანგარიშობდა, რომ ყველაზე პატარა სამაზრო ცენტრთაგანი ბეჭდავს ერთ ნაბეჭდ ფურცელს, რასაკვირველია, თვეში ერთხელ. თვეში ერთხელ — ეს ძალიან ხშირადაა. დაადგენთ თქვენ ორ თუ ოთხ თვეში ერთხელ ან, იქნებ, უფრო ხანგრძლივ ვადაში ბეჭდვას, — ეს გაკეთდება, ალბათ, ადგილების მითითებათა მიხედვით. ის ვარაუდობს ათას ეგზემპლარს და, ამრიგად, ანგარიშობს, რომ ქაღალდის საჭირო რაოდენობა ახლა მოიპოვება. ათასი ეგზემპლარი — ეს უზრუნველყოფდა იმის შესაძლებლობას, რომ ეს ანგარიშები მიეღო ყოველ სამაზრო ბიბლიოთეკას მაინც და, მაშასადამე, იმის შესაძლებლობასაც, რომ ამ ანგარიშებს გასცნობოდა ყველა ამით დაინტერესებული და, კერძოდ უპარტიო მასა. რა თქმა უნდა, ჯერ საქმე ცდის სახით უნდა დავაყე-

ნოთ; იმის დაბეჯითებით თქმა, რომ ეს საქმე ერთბაშად მოეწყობა და არავითარი ნაკლი არ იქნებაო, ცხადია, არ შეიძლება...

... რაც ჩვენ ნამდვილად გვაკლია, ეს ისაა, რომ უნარი არ შეგვწევს ფართოდ გამოვიყენოთ საუკეთესო ნიმუშები, — ასეთი ნიმუშები ჩვენ ცოტა გვაქვს, — რათა ისინი ყველასათვის სავალდებულო მაგალითებად გავხადოთ. ჩვენს ბეჭდვითი სიტყვის ორგანოებში არ ხდება მართლაც სანიმუშო, პრაქტიკული გამოცდილების მქონე, ადგილობრივ დაწესებულებათა ჩვენება. ანგარიშების ამ ბეჭდვამ, მოსახლეობის ფართო მასებისათვის მისაწვდომად გადაქცევამ და თვითეულ სამაზრო ბიბლიოთეკაშიც კი თავმოყრამ ხელი უნდა შეგვიწყოს უპარტიო კონფერენციების მართებულად შეკრებისას, რომ უფრო ფართო მასები ჩავაბათ სამეურნეო მშენებლობის მუშაობაში. ამის შესახებ ცოტა რეზოლუციები კი არ ყოფილა მიღებული. აქა-იქ და ზოგი რამ გაკეთებულია. სრულიად რუსეთის მასშტაბით კი, უეჭველია, ბევრი როდი კეთდება. ამავე დროს, ჩვენ ამ გზით წავახალისებთ დაწესებულებებს და მივაღწევთ იმას, რომ ადგილობრივი მშენებლობის ყოველ რამდენადმე მაინც პასუხისმგებელ მუშაკს შესაძლებლობა ექნება თავისი ხელმოწერით ზუსტად და გარკვევით აცნობოს ცენტრს თავისი გამოცდილება და დასახოს იგი, როგორც სანიმუშო. ეს კი ამჟამად, თითქოს, ყველაზე მეტად გვაკლია...

პირველად მთლიანად დაიბეჭდა 1922 წელს წიგნში: «სრულიად რუსეთის VIII მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის I—IV სესიები. სტენოგრაფიული ანგარიში». მოსკოვი

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც., ტ. 32, გვ. 558, 559, 560

«გლავნეფტს»

«გლავნეფტი»
ამხ. გუბკინს

3. VI. 1921 წ.

ვათვალიერებდი ჟურნალს «ნეფტიანოე ი სლანცევოე ხოზიაისტვო» და №1 — 4-ში (1921) წავაწყდი შენიშვნას (გვ.199) «ნავთის ჭაბურღილების ბურღვის დროს ლითონის მილების ცემენტის ხსნარით შეცვლის შესახებ».

ეს თურმე შეიძლება გამოყენებულ იქნეს ბრუნვითი ბურღვის დროს. ასეთი კი ბაქოში გვაქვს, როგორც ბაქოელთა ანგარიშში წავიკითხე.

ბურღვის ნაკლებობით ვიღუპებით და ვღუპავთ ბაქოს.

რკინის მილები შეიძლება შეიცვალოს ცემენტით და სხვ., რისი შოვნა მაინც უფრო ადვილია, ვიდრე რკინის მილებისა, და რაც, როგორც თქვენს ჟურნალშია აღნიშნული, «სრულიად უმნიშვნელო» თანხად ღირს!

და ასეთ ცნობას თქვენ მარწავთ უაღრესად მეცნიერული ჟურნალის პაწაწინა შენიშვნაში, ჟურნალისა, რომლის გაგება რსფს რესპუბლიკაში 1 000 000-დან 1 კაცს თუ შეუძლია.

რატომ დიდი ზარების რეკა არ ატეხეთ? არ გამოიტანეთ საერთო პრესაში? არ დანიშნეთ პრაქტიკოსთა კომისია? შრომისა და თავდაცვის საბჭოში არ გაატარეთ წამახალისებელი ღონისძიებანი?

შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე

ვ. ულიანოვი (ლენინი)

პირველად დაიბეჭდა 1932 წელს

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც., ტ. 35, გვ. 533

წერილი გ. მიასნიკოვს[13]

5/VIII 1921.

ამხ. მიასნიკოვ!

მხოლოდ დღეს წავიკითხე ორივე თქვენი სტატია. თუ როგორი იყო თქვენი გამოსვლები პერმის (მგონი, პერმის) ორგანიზაციაში და რით გამოიხატება მასთან კონფლიქტი, მე არ ვიცი. ამაზე ვერაფერს ვიტყვი. ამ საქმეს გაარჩევს ორგბიურო, რომელსაც, როგორც გადმომცეს, სპეციალური კომისია აურჩევია.

ჩემი ამოცანა სხვაა: შევაფასო თქვენი წერილები, როგორც ლიტერატურული და პოლიტიკური დოკუმენტები.

საინტერესო დოკუმენტებია!

სტატია «მტკივნეული საკითხები», ჩემი აზრით, განსაკუთრებით ნათლად გვიჩვენებს თქვენს ძირითად შეცდომას. და ჩემს მოვალეობად მიმაჩნია ყოველივე მოვიმოქმედო, რომ შევეცადო დაგარწმუნოთ.

სტატიის დასაწყისში თქვენ სწორად იყენებთ დიალექტიკას. დიახ, ვისაც არ ესმის «სამოქალაქო ომის» ლოზუნგის შეცვლა «სამოქალაქო ზავის» ლოზუნგით, ის სასაცილოა, თუ უარესი არა, დიახ, ამაში თქვენ მართალი ხართ.

მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ თქვენ ამაში მართალი ხართ. მაკვირვებს, როგორ დაგავიწყდათ თქვენ მიერვე სწორად გამოყენებული დიალექტიკა თქვენი დასკვნებისას.

...«ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება მონარქისტებიდან ანარქისტებამდე ჩათვლით»... ძალიან კარგი! მაგრამ, უკაცრავად, ყველა მარქსისტი, აგრეთვე ყველა მუშა, რომელიც კი ჩაფიქრებია ჩვენი რევოლუციის ოთხი წლის გამოცდილებას, იტყვის: გავერკვეთ ამაში, თუ ბეჭდვითი სიტყვის რა თავისუფლება? ვისთვის? რომელი კლასისათვის?

ჩვენ «აბსოლუტები» არა გვწამს. ჩვენ «წმინდა დემოკრატიასაც» დავცინით.

«ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლების» ლოზუნგი საქვეყნოდ დიადი გახდა შუა საუკუნეთა დამლევს თვით XIX საუკუნემდე. რატომ? იმიტომ, რომ იგი გამოხატავდა პროგრესულ ბურჟუაზიას, ე. ი. მის ბრძოლას ხუცებისა და მეფეების, ფეოდალების, მემამულეების წინააღმდეგ.

მსოფლიოში არ არსებობს არც ერთი ქვეყანა, რომელსაც ისე ბევრი გაეკეთებინოს და რომელიც ახლაც ისე ბევრს აკეთებდეს ხუცებისა და მემამულეების გავლენისაგან მასების გასანთავისუფლებლად, როგორიც არის რუსეთის სფს რესპუბლიკა. «ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლების» ამ ამოცანას ჩვენ მსოფლიოში ყველაზე უკეთ ვასრულებდით და ვასრულებთ.

ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება მთელ მსოფლიოში, სადაც არსებობენ კაპიტალისტები, არის თავისუფლება — იყიდონ გაზეთები, იყიდონ მწერლები, მოისყიდონ და იყიდონ და შეთხზან «საზოგადოებრივი აზრი» ბურჟუაზიის სასარგებლოდ.

ეს ფაქტია.

ვერავინ და ვერასოდეს ვერ შესძლებს მის უარყოფას.

ჩვენში კი? შეუძლია თუ არა ვინმეს იმის უარყოფა, რომ ბურჟუაზია დამარცხებულია, მაგრამ არარის მოსპობილი? რომ იგი მიიმალა? ამის უარყოფა არ შეიძლება.

ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება რუსეთის სფს რესპუბლიკაში, რომელიც გარშემორტყმულია მთელი მსოფლიოს ბურჟუაზიული მტრებით, არის ბურჟუაზიისა და მისი უერთგულესი მსახურების, მენშევიკებისა და ესერების პოლიტიკური ორგანიზაციის თავისუფლება.

ეს უდავო ფაქტია.

ბურჟუაზია (მთელ მსოფლიოში) ჯერ კიდევ ჩვენზე უფრო ძლიერია და ბევრად უფრო ძლიერი. ამისთვის კიდევ ისეთი იარაღის მიცემა, როგორიცაა პოლიტიკური ორგანიზაციის თავისუფლება (ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება, ვინაიდან ბეჭდვითი სიტყვა პოლიტიკური ორგანიზაციის ცენტრი და საფუძველია), იმას ნიშნავს, რომ გაუადვილო მტერს საქმე, დაეხმარო კლასობრივ მტერს.

ჩვენ არ გვსურს თვითმკვლელობა ჩავიდინოთ და ამიტომ ამას არ ვიზამთ.

ჩვენ ნათლად ვხედავთ ფაქტს: «ბეჭდვითი სიტყვის თავისუფ-

ლება» საქმით ნიშნავს საერთაშორისო ბურჟუაზიის მიერ ასობით და ათასობით კადეტი, ესერი და მენშევიკი მწერლის დაუყოვნებლივ შესყიდვას და ჩვენს წინააღმდეგ მათი პროპაგანდის, მათი ბრძოლის ორგანიზაციას.

ეს ფაქტია. «ისინი» ჩვენზე უფრო მდიდრები არიან და იყიდიან ათკეცად უფრო მეტ «ძალას» ჩვენს ახლანდელ ძალასთან შედარებით.

არა. ჩვენ ამას არ ვიზამთ, ჩვენ მსოფლიო ბურჟუაზიას არ დავეხმარებით.

როგორ შეგეძლოთ თქვენ ზოგადკლასობრივი შეფასების, ე. ი. ყველა კლასის ურთიერთობის შეფასების თვალსაზრისით სენტიმენტალურად ობივატელურ შეფასებამდე დაქანებულიყავით? ეს ჩემთვის გამოცანაა.

საკითხში: «სამოქალაქო ზავი თუ სამოქალაქო ომი», იმ საკითხში, თუ როგორ ვიმხრობდით ჩვენ გლეხობას და შემდგომაც განვაგრძობთ მათ «მიმხრობას» (პროლეტარიატის მხარეზე), ამ ორ უმნიშვნელოვანეს, ძირითად, მსოფლიო (მსოფლიო პოლიტიკის არსს რომ ეხება) საკითხში (რომლისადმი მიძღვნილია ორივე თქვენი სტატია) თქვენ შესძელით დამდგარიყავით არა მეშჩანურ, არა სენტიმენტალურ, არამედ მარქსისტულ თვალსაზრისზე. თქვენ- იქ შესძელით საქმიანად, ფხიზლად გაგეთვალისწინებინათ ყველა კლასის ურთიერთდამოკიდებულება.

აქ კი უეცრად სენტიმენტალიზმის უფსკრულში გადაიჩეხეთ.

...«ჩვენში უამრავი უმსგავსოება და ბოროტმოქმედება ხდება: ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება ამას ამხელდაო»...

აი სად აგებნათ თქვენ თავგზა, რამდენადაც ამ ორი სტატიის მიხედვით შემიძლია განვსაჯო. თქვენ დამორჩილებიხართ სავალალო და მწარე ფაქტების გარკვეულ რიცხვს და დაგიკარგავთ ძალების ფხიზლად გათვალისწინების უნარი.

ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება დაეხმარება მსოფლიო ბურჟუაზიის ძალას. ეს ფაქტია. «ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება» ხელს შეუწყობს არა იმას, რომ რუსეთის კომუნისტური პარტია გაიწმინდოს მთელი რიგი თავისი სისუსტისა, შეცდომისა, უბედურებისა და სენისაგან (სენი ბევრია, ეს უდავოა), რადგან ეს არ სურს მსოფლიო ბურჟუაზიას, — არამედ ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება იარაღი გახდება ამ მსოფლიო ბურჟუაზიის ხელში. ის არ მომკვდარა. ის ცოცხალია. ის აქვე,

გვერდით დგას და გვითვალთვალებს. მან უკვე დაიქირავა მილიუკოვი, რომელსაც ჩერნოვი და მარტოვი «ალალმართლად» ემსახურებიან (ნაწილობრივ სისულელის გამო, ნაწილობრივ ჩვენდამი ფრაქციული ღვარძლიანობის გამო, უმთავრესად კი თავიანთი წვრილბურჟუაზიულ-დემოკრატიული პოზიციის ობიექტური ლოგიკის გამო).

თქვენ «ერთ ოთახში შედიოდით, მეორეში კი მოხვდით».

თქვენ გინდოდათ განგეკურნათ კომუნისტური პარტია და ხელი ხტაცეთ ისეთ წამალს, რომელიც უეჭველ სიკვდილს გვიქადის — არა თქვენგან, რა თქმა უნდა, არამედ მსოფლიო ბურჟუაზიისაგან (+მილიუკოვი+ჩერნოვი+მარტოვი).

თქვენ დაგვიწყებიათ წვრილმანი, სრულიად პაწაწინა წვრილმანი, სახელდობრ: მსოფლიო ბურჟუაზია და მისი «თავისუფლება» — იყიდოს თავისთვის გაზეთები, იყიდოს თავისთვის პოლიტიკური ორგანიზაციის ცენტრები.

არა. ამ გზით ჩვენ ვერ წავალთ. ათასი შეგნებული მუშიდან ცხრაასი ამ გზით ვერ წავა.

ხენი ჩვენ ბევრი გვაქვს. ისეთმა შეცდომებმა (ჩვენმა საერთო შეცდომებმა, ყველა შეცდა, შრომისა და თავდაცვის საბჭოც, სახკომსაბჭოც და ცენტრალური კომიტეტიც), როგორიც იყო ჩადენილი 1920 წლის შემოდგომასა და ზამთარში სათბობისა და სურსათის განაწილების მხრივ (უზარმაზარი შეცდომები!!), ბევრად უფრო გაამწვავეს ჩვენი მდგომარეობის სნეულებანი.

გასაჭირი და უბედურება დიდია.

1921 წლის შიმშილობამ ისინი საშინლად გააძლიერა.

თავს დავაღწევთ უდიდესი გაჭირვებით, მაგრამ მაინც თავს დავაღწევთ. და უკვე ვაღწევთ თავს.

თავს დავაღწევთ, ვინაიდან ჩვენი პოლიტიკა ძირითადად სწორია, იგი ითვალისწინებს ყველა კლასობრივ ძალას საერთაშორისო მასშტაბით. თავს დავაღწევთ, ვინაიდან არ ვაფერადებთ ჩვენს მდგომარეობას. ვიცით ყველა ხიძნელე. ვხედავთ ყველა ხენს. ვკურნავთ მათ სისტემატურად, შეუპოვრად და არ ვეძლევით პანიკას.

თქვენ პანიკას მისცემიხართ და ამ მოლიპული გზით ოქამღე დაქანებულხართ, რომ გამოდის თქვენ მიერ ახალი პარტიის დაარსების, ან თქვენი თვითმკვლელობის მსგავსი რამ.

არ შეიძლება პანიკას მიეცეთ.

კომუნრედების მოწყვეტილობა პარტიისაგან? არის. ეს ბოროტებაა, უბედურებაა, სნეულებაა.

არის. მძიმე სნეულებაა.

ჩვენ მას ვხედავთ.

მას უნდა ვუმკურნალოთ არა «თავისუფლებით» (ბურჟუაზიისათვის), არამედ პროლეტარული და პარტიული ღონისძიებებით.

ის, რასაც თქვენ აწყობთ მეურნეობის ამაღლების, «ავტოგუთნის» და სხვათა შესახებ, გლეხობაზე «გავლენისათვის» ბრძოლის შესახებ და ა. შ., ბევრ სიმართლეს, ბევრ სასარგებლო რამეს შეიცავს.

რატომ არ უნდა გ ა მ ო ჰ ყ ო თ ეს? ჩვენ ერთმანეთს შეევთვისებით და შეწყობილად ვიმუშავებთ ერთ პარტიაში. ეს დიდ სარგებლობას მოგვიტანს, მაგრამ არა ერთბაშად, არამედ ძალიან ნელა.

საბჭოების გამოცოცხლება, უპარტიოთა მოზიდვა, უპარტიოთა საშუალებით პარტიულთა მუშაობის შემოწმება — აი ეს აბსოლუტურად სწორია. აი სად არის უ ა მ რ ა ვ ი სამუშაო. აი სამუშაოს ხელუხლები არე.

რატომ არ უნდა განავითაროთ ეს თქვენ ს ა ქ მ ი ა ნ ა დ? ბროშურაში ყრილობისათვის?

რატომ არ უნდა მოჰკიდოთ ხელი ამას?

რატომ უნდა გაურბოდეთ შავ მუშაობას (ცენტრალური საკონტროლო კომისიის მეშვეობით, პარტიული პრესის მეშვეობით, «პრავდის» მეშვეობით ბოროტმოქმედების მ ხ ი ლ ე ბ ა-დ ე ვ ნ ა ს?). შავი, ნელი, ძნელი, მძიმე მუშაობისადმი ურწმენობის გამო ადამიანები პანიკას ეძლევიან და «იოლ» გამოსავალს ეძებენ: «ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება» (ბურჟუაზიისათვის).

რატომ უნდა დაიჟინოთ თქვენი შეცდომა, აშკარა შეცდომა, «ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლების» არაპარტიული, ა ნ ტ ი პ რ ო ლ ე ტ ა რ უ ლ ი ლოზუნგი? რატომ არ უნდა მოჰკიდოთ ხელი უფრო ნაკლებ «ბრწყინვალე» (ბურჟუაზიული ელვარებით ბრწყინვალე) შავ სამუშაოს — ბოროტმოქმედებათა საქმიან აღმოფხვრას, საქმიან ბრძოლას მათთან, საქმიან დ ა ხ მ ა რ ე ბ ა ს უპარტიოებისადმი?

სად მიუთითეთ თქვენ ცენტრალურ კომიტეტს ა ს ე თ დ ა ა ს ე თ ბოროტმოქმედებაზე? და მისი გამოსწორების, აღმოფხვრის ასეთ და ასეთ საშუალებაზე?

ერთხელაც არ მიგითითებიათ.

სრულიადაც არ მიგითითებიათ.

თქვენ დაგინახავთ უამრავი უბედურება და სნეულება, ჩავარდნილხართ სასოწარკვეთილებაში და ჩაკონებიხართ სხვას, ჩაკონებიხართ ბურჟუაზიას («ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება» ბ ურ ჟ უ ა ზ ი ი ს ა თ ვ ი ს). ჩემი რჩევა კი არის ნუ მიეცემით სასოწარკვეთილებასა და პანიკას.

ჩვენ და ჩვენს თანამგრძნობთ, მუშებსა და გლეხებს, კიდევ უამრავი ძალა გვაქვს. კიდევ ბევრი ჯანი გვაქვს.

ჩვენ ცუდად ვმკურნალობთ სნეულებას.

ჩვენ ცუდად ვატარებთ ლოზუნგს: წამოსწიეთ უპარტიონი, შეამოწმეთ უპარტიოთა საშუალებით პარტიულთა მუშაობა.

მაგრამ ჩვენ ახლანდელზე ასკეცად მეტი შეგვიძლია გავაკეთოთ ამ დარგში და გავაკეთებთ კიდეც.

და იმედი მაქვს, რომ, როცა ფხიზლად დაფიქრდებით, თქვენ ყალბი თავმოყვარეობის გამო არ დაიყენებთ აშკარა პოლიტიკურ შეცდომას («ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება»), არამედ დაიმშვიდებთ ნერვებს, დასძლევთ პანიკას და ხელს მოჰკიდებთ საქმიან მუშაობას: დაგვეხმარებით უპარტიოებთან კ ა ვ შ ი რ ი ს გაბმაში, დაგვეხმარებით უპარტიოთა საშუალებით პარტიულთა მუშაობის შ ე მ ო წ მ ე ბ ა შ ი.

ამ სამუშაოზე უამრავი საქმეა. და ამ სამუშაოზე სენს შეიძლება (და უნდა) ვუმკურნალოთ, ნელა, მაგრამ მართლაც ვ უ მ კ უ რ ნ ა ლ ო თ, და კი არ უნდა დავიბნელოთ გონება «ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლებათა» ჭაობის ამ «მბრწყინავი» შუქით.

კომუნისტური სალამით ლ ე ნ ი ნ ი

დაიბეჭდა 1921 წელს

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც., ტ. 32, გვ. 643—649

წერილიდან ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოსადმი

1

ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მმართველს

16/VIII.

ამხ. პოპოვ!

მიწერ-მოწერამ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსთან, კერძოდ, მის მიერ 3 აგვისტოს ჩემთვის მოწოდებულმა მიმდინარე სამრეწველო სტატისტიკის მონაცემებმა სავსებით დამარწმუნეს, რომ ჩემი მითითებები (1921 წ. 4 ივლისის წერილში) სრულიად არ სრულდება და რომ ცენტრ. სტატ. სამმართველოს მთელი მუშაობა, მთელი ორგანიზაცია არ არის სწორად დაყენებული.

მიმდინარე სამრეწველო სტატისტიკის შესახებ, 3 აგვისტოს მომაწოდეს მოძველებული მონაცემები და მომაწოდეს multa non multum — მოცულობით ბევრი, შინაარსით მცირე! სწორედ მსგავსად «ბიუროკრატიული დაწესებულებებისა», რომელთაგან, როგორც თქვენი 1921 წ. 11 ივნისის წერილიდან ჩანს, გინდათ გამიჯნოთ ცენტრ. სტატ. სამმართველო.

«ეკონომიჩესკაია ჟიზნმა» თავის 152-ე ნომრის დამატებაში, ე. ი. ივლისში, უკვე დაბეჭდა უფრო სრული მონაცემები! იმავე «ეკონომიჩესკაია ჟიზნიდან» მე უკვე მქონდა მონაცემები 1921 წლის 1-ლი მეოთხედისა!

ცენტრ. სტატ. სამმართველო, რომელიც, ლიტერატორთა კერძო ჯგუფთან შედარებით, აგვიანებს მონაცემების მოწოდებას, ნიმუშია ბიუროკრატიული დაწესებულებისა.

შესაძლოა, მეცნიერული მუშაობისათვის ორი წლის შემდეგ მან უამრავი მასალა მოგვცეს, მაგრამ ჩვენ ეს როდი გვინდა...

...2) მიმდინარე სტატისტიკა (სამრეწველოც და სამიწათმოქმედოც) უნდა იძლეოდეს შენაჯამს, უმნიშვნელოვანეს პრაქტიკულ მონაცემებს «სრული» მონაცემების აკადემიური დამუშავება კი უნდა გადაიდოს) ჩვენს პრესაში უსათუოდ უ ფ რ ო ა დ რ ე და არავითარ შემთხვევაში არა უფრო გვიან...

...5) ცენტრ. სტატ. სამმართველომ შრომისა და თავდაცვის საბჭოს ყოველთვიურად უნდა წარუდგინოს — და უსათუოდ პრესაზე ადრე — წ ი ნ ა ს წ ა რ ი შენაჯამნი სახალხო მეურნეობის მთავარ საკითხებზე (აუცილებლად წინა წელთან შედარებით). ეს მთავარი საკითხები, მთავარი ციფრები, როგორც ის ციფრები, რომლებიც შედის «რიცხვ-მაჩვენებელში», ისე ის ციფრებიც, რომლებიც არ შედის მასში, დაუყოვნებლივ უნდა შემუშავდეს.

გთხოვთ დაუყოვნებლივ გამომიგზავნოთ ამ კითხვების პროგრამა და პასუხი სხვა პუნქტებზე.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე
ვ. უ ლ ი ა ნ ო ვ ი (ლ ე ნ ი ნ ი)

პირველად დაიბეჭდა 1933 წ.

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც., ტ. 33, გვ. 12, 13, 15

ს ტ ა ტ ი ი დ ა ნ

«ახალი დროშება, ძველი შეცდომები ახალი სახით»

...(2) ჩვენ საქვეყნოდ საგრძნობი ლახვარი ჩავეცით მეშჩანური დემოკრატიის ფეტიშებს — დამფუძნებელ კრებას და ბურჟუაზიულ «თავისუფლებებს», როგორც, მაგალითად, პრესის თავისუფლებას მდიდრებისათვის...

«პრავდა» № 190,
1921 წ. 28 აგვისტო
ხელმოწერა: ნ. ლ ე ნ ი ნ

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.,
ტ. 33, გვ. 2—3

წერილი გაზეთ «ეკონომიჩესკაია ჟიზნის» რედაქციას

1/IX

«ეკონომიჩესკაია ჟიზნის» გადაქცევა შრომისა და თავდაცვის საბჭოს ორგანოდ უბრალო და ფუჭ ფორმალობად არ უნდა დარჩეს.

ეს გაზეთი უნდა გახდეს მებრძოლი ორგანო, რომელიც. ჯერ ერთი, უნდა იძლეოდეს არამარტო რეგულარულ და უტყუარ მონაცემებს ჩვენი ეკონომიკის შესახებ, არამედ (მეორე) ანალიზსაც უნდა უკეთებდეს ამ მონაცემებს, მეცნიერულად უნდა ამუშავებდეს მათ სწორი დასკვნების მისაღებად მრეწველობის მართვისა და სხვ. მიზნით, და დასასრულ, მესამე, ა ხ ა ლ ი ს ე ბ დ ე ს ეკონომიური ფრონტის ყველა მუშაკს, რომლებიც ცდილობენ პუნქტუალურად შეადგინონ ანგარიშები, — იწონებდეს კარგ მუშაობას და საერთო სამსჯავროზე გამოჰყავდეს ამა თუ იმ საწარმოს, ან დაწესებულების. ან მეურნეობის დარგის და სხვ. არაწესიერი, ჩამორჩენილი უხეირო მუშაკები.

გაზეთი ეძლევა მრავალ უაღრესად საგულისხმო, კერძოდ სტატისტიკურ მასალას ჩვენი ეკონომიკის შესახებ. მაგრამ ამ მასალას აქვს ორი ნაკლი: იგი შემთხვევითია, არ არის სრული, არ არის სისტემატური და შემდეგ დაუმუშავებელია, არ არის გაანალიზებული.

განმარტებისათვის ავიღებ მაგალითებს.

სტატია «მოსკოვის მიდამოების აუზი ივლისში» (№ 188) — ერთ-ერთი საუკეთესო სტატიაა, რადგან იძლევა მონაცემების ანალიზს, ადარებს მათ წარსულ მონაცემებთანაც და საწარმოების მიხედვითაც. მაგრამ ანალიზი არ არის სრული. გამორკვეული არ არის იმის მიზეზები, როგორ მოხდა. რომ ერთმა საწარმომ (ტოვარკოვის მაღაროები) გადაწყვიტა ამოცანა, რომელიც სხვა საწარმოებმა ვერ გადაწყვიტეს. არ არის მოცემული პრაქტიკული დასკვნა. არ არის შედარება წლიურ მონაცემებთან.

190-ე ნომერში, მე-2 გვერდზე, უამრავი სტატისტიკური დეტა-

ლია მოცემული, რაც გაზეთისათვის ფრიად ჩვეულებრივი ამბავია, მაგრამ სრულიად «დაუმუშავებელია», შემთხვევითია, ნედლია, ოდნავი ანალიზიც არა აქვს გაკეთებული, არ არის შედარება (წარსულთან და სხვა საწარმოებთან) და სხვ.

გაზეთი რომ ნამდვილად გახდეს შრომისა და თავდაცვის საბჭოს ორგანო და არა მხოლოდ სიტყვიერად, აუცილებელია შემდეგი ცვლილებები:

1) უფრო მკაცრი მეთვალყურეობა გავუწიოთ იმას, რომ სათანადო დაწესებულებებში ანგარიშები მიდიოდეს წესიერად და სრულად, შავ დაფაზე მოვათავსოთ ამ წესის დამრღვევნი, ამავე დროს **მივიღოთ ზომები** (სათანადო სახკომის ან შრომისა და თავდაცვის საბჭოს საქმეთა მმართველობის მეშვეობით) წესიერი ანგარიშგების შემოსაღებად.

2) გაცილებით უფრო მკაცრად, ე. ი. უფრო მზრუნველობით, გულმოდგინედ უნდა მოვახდინოთ გაზეთში მოსათავსებელი ყველა სტატისტიკური მონაცემის სისტემატიზაცია, ყოველთვის უნდა მოვათავსოთ მონაცემები შესადარებლად, ყოველთვის უნდა მოვიყვანოთ გასული წლების (თვეებისა და სხვ.) მონაცემები, ყოველთვის უნდა შევარჩიოთ მასალა ანალიზისთვის, წარუმატებლობის **მიზეზთა** განსამარტებლად, ამა თუ იმ კარგად მომუშავეთა ან თუნდაც დანარჩენი საწარმოების გამსწრეთა **გამოსაყოფად** და სხვ.

3) გავიჩინოთ ადგილებზე კორესპონდენტთა ქსელი, როგორც კომუნისტებისა, ი ს ე უ პ ა რ ტ ი ო ე ბ ი ს ა, და მეტი ადგილი დავუთმოთ კორესპონდენციებს ადგილებიდან, ქარხნებიდან, მაღაროებიდან, საბჭოთა მეურნეობებიდან, რკინიგზის დეპოებიდან, სახელოსნოებიდან და სხვ.

4) საგანგებო დამატებებში დაიბეჭდოს შენაჯამნი ჩვენი ეკონომიკის ყველა უმნიშვნელოვანეს საკითხზე. შენაჯამნი უსათუოდ დამუშავებული უნდა იყოს და შეიცავდეს ყოველმხრივ ანალიზსა და პრაქტიკულ დასკვნებს.

რადგან ქაღალდის ნაკლებობაა, საჭიროა მისი მომჭირნეობა. ალბათ, ეს შესაძლებელია. მაგალითად, ეგზემპლართა რაოდენობა შემცირდეს 44-დან 30 ათასამდე (სრულიად საკმარისია, თუ სწორად იქნება განაწილებული, მაგალითად, ორ-ორ ეგზემპლარი 10 000 ვოლოსტზე, ოთხ-ოთხი 1 000 მაზრაზე, ათ-ათი 100 გუბერნიაზე და ამას გარდა 5 000 — მხოლოდ ბიბლიოთეკებისათვის, რედაქციებისა და ზოგიერთი დაწესებულებისთვის). მაშინ საკმაო ქაღალდი გვექნება 8 დამატებისთვის (2-გვერდიანი) თვეში.

ეს საკმარისია ყოველთვიური შენაჯამებისთვის მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს საკითხებზე (სათბობი; მრეწველობა, 2—3 დამატება; ტრანსპორტი: სურსათი; საბჭოთა მეურნეობები და სხვ.).

ამ დამატებებში უნდა ღაიბეჭდოს ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი მხარეების ნაკრები სტატისტიკა, დამუშავებული, ანალიზებული. პრაქტიკული დასკვნებით.

ყოველდღიური გაზეთის მთელი სტატისტიკური მასალა, რომელიც მეტად ბევრია, მაგრამ რომელიც მეტისმეტად ნაწყვეტ-ნაწყვეტია, უნდა შეუფარდდეს ამ თვიურ შენაჯამებს. გაიწმინდოს დეტალებისა და წერილმანებისაგან და სხვ.

რადგან ბევრ საკითხში «ეკონომიჩესკაია ჟიზნის» და ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მონაცემთა წყაროები ერთნაირია, ამ დამატებებმა უნდა შეაცვალონ (დროებით) ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს გამოცემანი.

5) მთელი მიმდინარე სტატისტიკური მასალა უნდა განაწილდეს: (ა) «ეკონომიჩესკაია ჟიზნის» თანამშრომლებსა, (ბ) სახელმწიფო საგეგმო კომისიის წევრებსა და (გ) ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს წევრებს ან მუშაკებს შორის ისე, რომ თვითეული მათგანი «განაგებდეს» სახალხო მეურნეობის ერთ დარგს და **პასუხისმგებელი** უნდა იყოს;

(aa) ანგარიშებისა და საანგარიშო ცნობების დროულად მიღებისათვის, მათ მისაღებად წარმატებით «პრძოლისათვის»: დამატებით მათი გამოთხოვისათვის და სხვ.;

(ხხ) მონაცემების შეჯამებისა და ანალიზისათვის:

(ღღ) პრაქტიკული დასკვნებისათვის.

6) «ეკონომიჩესკაია ჟიზნმა» თვალყური უნდა ადევნოს კონცესიითა და იჯარით გაცემულ საწარმოებს ანგარიშგების მხრივაც და მეთვალყურეობისა და დასკვნების მხრივაც. საკუთარი ისევე, როგორც სხვების მიმართ.

გთხოვთ მოიწვიოთ თათბირი «ეკონომიჩესკაია ჟიზნის» რედაქტორის, ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს წარმომადგენლისა და სახელმწიფო საგეგმო კომისიის წარმომად-

51. ლენინი ბეჭდვითი სიტყვის შესახებ.

გენლის შემადგენლობით ამ საკითხებისა და ღონისძიებების განსახილველად. თათბირის გადაწყვეტილებები გთხოვთ მაცნობოთ.

შრომისა და თავდაცვის საბჭოს
თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

P. S.* გთხოვთ ამავე თათბირმა გახიხილოს index-number-ის (რიცხვ-მაჩვენებლის) შემუშავების საკითხი ჩვენი სახალხო მეურნეობის საერთო მდგომარეობის გამოსარკვევად. ეს «მაჩვენებელი» ყოველთვიურად უნდა იბეჭდებოდეს.

პირველად დაიბეჭდა
1923 წ. 6 ნოემბერს გაზეთში
«ეკონომიჩესკაია ჟიზნ» № 31

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.
ტ. 33. გვ. 20—23

* — Postscriptum — შინაწერი. რ ე დ.

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ

Დ. Ი. ᲙᲣᲠᲡᲙᲘᲡ

3. IX.

იუსტიციის სახალხო კომისარიატი ამხ. კურსკის და მის მოადგილეს, აგრეთვე კოლეგიის ყველა წევრს.

სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველობის მეშვეობით გამოგიგზავნეთ პროფესორ გრაფტიოს განცხადება საქმის გაჭიანურების გასაოცარი დოკუმენტებით.[14]

საქმის ეს გაჭიანურება განსაკუთრებით მოსკოვისა და ცენტრალურ დაწესებულებებში სავსებით ჩვეულებრივია. მაგრამ მით უფრო მეტი ყურადღება უნდა მიექცეს მასთან ბრძოლას.

ჩემი შთაბეჭდილებაა, რომ იუსტიციის სახალხო კომისარიატამ საკითხს წმინდა ფორმალურად, ე. ი. ძირშივე არასწორად ეკიდება.

საჭიროა:

1) ეს საქმე გარჩეულ იქნეს სასამართლოში;

2) მიღწეულ იქნეს დამნაშავეთა შერცხვენა პრესაშიც და სასტიკი სასჯელითაც;...

დაწერილია 1921 წ. 3 სექტემბერს
პირველად დაიბეჭდა 1927 წ.
6 თებერვალს გაზეთ
«პრავდაში» № 30

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.
ტ. 35, გვ. 552

ნ ე ი ბ ი ღ ი ლ ა ნ

ნ. პ. გორბუნოვს

3. IX.

...გავალებთ გამოიძიოთ შვედური ქარხნის «ნიტვეს და ჰოლმის» გაცდენის საქმე («ეკონომიჩესკაია ჟიზნ» № 194. გვ. 4).[15] წყლის ტურბინების დაკვეთას «ნელა აფორმებდნენ»!! ამ ტურბინების მსრივ ჩვენ საშინელ ნაკლებობას განვიცდით!! ეს მეტისმეტი უმსგავსობა და უტიფრობაა! აუცილებლად იპოვეთ დამნაშავენი, რათა შევძლოთ ამ არამზადების ციხეში ჩალპობა...

დაწერილია 1921 წ. 3 სექტემბერს
პირველად დაიბეჭდა 1928 წელს
ლენინის კრებულში VIII

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათ-
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.
ტ. 36, გვ. 628

Ა. Ს. ᲙᲘᲡᲔᲚᲘᲝᲕᲡ

კ. კისელიოვს, მცირე საბჭოს თავმჯდომარეს. პირები: ამხ. ბოგდანოვს, უნშლიხტს, ავანესოვსა და კურსკის.

თქვენს ყურადღებას მივაქცევ მიხელსის შენიშვნაზე, რომელიც მოთავსებულია 13. IX «იზვესტიაში» № 203.[16]

ავტორი წერს, რომ 18 წლიდან 2½ მილიონი ფუთი უძვირფასესი ლითონის ტვირთი ძევს საწყობებში, თითქმის ჭაობში, არ არის აღნუსხული და დაცული, ნიავდება და იღუპებაო.

გთხოვთ სასწრაფოდ შეამოწმოთ, მართალია თუ არა ეს შენიშვნა

თუ იგი მართალია, დაუყოვნებლივ მიიღეთ ყველა საჭირო ზომა ქონების აღრიცხვისათვის. შენახვისათვის და ა. შ. და დამნაშავეთა უსასტიკეს პასუხისგებაში მისაცემად.

წარმომიდგინეთ დაწვრილებითი წერილობითი მოხსენება ამ უმსგავსობაში დამნაშავეთა ვინაობისა და თანამდებობის აღნიშვნით და გაეცნეთეთ მოხსენება შრომისა და თავდაცვის საბჭოში.

გთხოვთ უაღრესად სწრაფად გაატაროთ ყოველივე ეს.

სახალხო კომისარია საბჭოს თავმჯდომარე

ვ. ულიანოვი (ლენინი)

დაწერილია 1921 წ. 15 სექტემბერს
პირველად დაიბეჭდა 1928 წელს
ლენინის კრებულში VIII

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.,
ტ. 36. გვ. 630

წერილი ბ. მ. კრჟიჟანოვსკის

პირი ამხ. ოსინსკის

პირი ამხ. ავანესოვს შრომისა და თავდაცვის საბჭოს ყველა წევრისათვის, «ჩამოტარებულ» იქნას, [რა]თა ყველამ წაიკითხოს და წაკითხვაზე ხელი მოაწეროს.

---

17. X. 1921.

ამხ. კრჟიჟანოვსკი!

თქვენს ყურადღებას მივაპყრობ ამხ. რაკოვსკის სტატიას «შიმშილობა და სიმინდი» «პრავდის» № 231-ში (14. X. 1921).

ამ სტატიასთან დაკავშირებით უეჭველი მგონია, რომ სახელმწიფო საგეგმო კომისიის სას[ოფლო] სამ[ეურნეო] სექციის დასკვნა სიმინდის საკითხზე (13. IX. 21 ამხ. სერედას ხელმოწერით) საკმარისი არ არის.

სიმინდის (და ლობიოს) უპირატესობანი მთელი რიგი მხრივ ჩანს, დამტკიცებულია. რაკი ასეა, საჭიროა უფრო სწრაფი და უფრო ენერგიული ზომების მიღება. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმას, რომ თესლი ჩვეულებრივზე 10-15-ჯერ ნაკლებია საჭირო.

ეს, ვგონებ, გადამწყვეტი მოსაზრებაა.

ახლავე დადგენილი უნდა იქნას, რ[ო]მ სიმინდის მთელი ის რაოდენობა, რომელიც საჭიროა მთელ ვოლგისპირეთში მთელი საგაზაფხულო ფართობის სრული დათესვისათვის, დროზე იქნას შესყიდული 1922 წლის გაზაფხულზე დასათესავად.

ამ მიზნის მიღწევისათვის ამასთან ერთად საჭიროა:

1) შემუშავებულ იქნას მთელი რიგი ძალიან ზუსტი და ძალიან საფუძვლიანად მოფიქრებული ღონისძიებები სიმინდის პროპაგანდისა და იმისათვის, რომ გლეხებს შევასწავლოთ სიმინდის კულტურა ამჟამად არსებული მცირე სახსრების დროს.

2) სასწრაფოდ განხილულ იქნას, შეიძლება თუ არა პრაქტიკული საშუალებებისა და გზების გამონახვა იმისათვის, რომ გლეხური მეურნეობის, ყოფაცხოვრებისა და ჩვეულებების არსებულ პირობებში ადამიანთა საჭმელად შემოვიღოთ სიმინდი (შეად. სახელმწიფო საგეგმო კომისიის ბარათის 35-ე გვ.).

გთხოვთ დაუყოვნებლივ მოაწყოთ ამ საკითხების განხილვა სას[ოფლო]-სამ[ეურნეო] სექციასა და პრეზიდიუმში და აუცილ[ებ]ლად] მიიზიდოთ ყველა ელფერის აზრი სიმინდის შესახებ.

მოახსენეთ შრომისა და თავდაცვის საბჭოს პარასკევს, 21. X. 1921.

შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე

ვ. ულიანოვი (ლენინი)

წერილი პირველად გამოქვეყნდა «პრავდაში» № 104, 1930 წლის 15 აპრილს

იბეჭდება ლენინის XXIII კრებულის ტექსტის მიხედვით, გვ. 114—115

ლ. კამენევს*

27 ოქტომბერი (1921)

აპხანაგო კამენევ,

ოადგან იძულებული ვარ ერთხელ კიდევ «დავიტანჯო», როცა ვკითხულობ ჩემი სიტყვის[17] იდიოტური დაუდევრობითა და უვიცად გაკეთებულ გადმოცემას, უნდა განგიცხადოთ თქვენ, რომ თანახმა ვარ დაპირებული სიტყვა წარმოვთქვა შაბათს[18] მხოლოდ შემდეგი პირობებით: კრების თავმჯდომარემაც, ჟურნალისტიკაში გამოცდილმა სპეციალურად დანიშნულმა პირმაც შაბათს დღის 12 საათისათვის უნდა მომცეს წერილობითი ვალდებულება წარმოადგინოს ასეთი, წიგნიერად გაკეთებული გადმოცემა, უფრო სწორად: ანგარიში სიტყვის შესახებ პრესისათვის. წიგნიერობისათვის ისინი არიან პასუხისმგებელნი, და მე უფლება მექნება გამოვაქვეყნო მათი სახელები.

ეს პირობა თუ არ იქნა დაცული, უარს ვამბობ სიტყვაზე.

დაუდევარი და მცირემცოდნე ადამიანები ხელს ჰკიდებენ «მთელი» სიტყვის ჩაწერას და იძლევიან არა ჩანაწერს, არამედ საშინელებას, აბდაუბდას, სამარცხვინო რაღაცას, როგორც უკანასკნელი უმეცრები.

საჭირო კია არა სიტყვის ჩანაწერი, არამედ გასაგები, მოკლე ანგარიში სიტყვის შესახებ.

ამ პირობის შესრულების გარანტია თუ არ მექნა, შესაძლებლობა არა მაქვს დავთანხმდე სიტყვაზე.

კომ. სალამით ლ ე ნ ი ნ ი

იბეჭდება ლენინის XXIII კრებული-ს ტექსტის მიხედვით, გვ. 317

---

* წერილი იბეჭდება მანქანაზე გადაბეჭდილი პირის მიხედვით. წერილის მეორე გვერდზე ლენინის მიერ აღნიშნულია: «არქივში. წერილი კამ(ენევს) 27.X. 1921 წ.». კამენევის პასუხზე ლენინის მიერ აღნიშნულია: «ლ. ბ. კამენევის პასუხი არქივში». რ ე დ.

მოსკოვის VII საგუბერნიო პარტიული კონფერენცია

1921 წ. 29—31 ოქტომბერი

ახალი ეკონომიური პოლიტიკის შესახებ

მოხსენება 1921 წლის 29 ოქტომბრის სხდომაზე

.ეოვიყვან მაგალითს, რომელიც უფრო კონკრეტულად. უფრო თვალსაჩინოდ დაგვანახვებს იმ პირობებს, რომლებშიც გაიშალა ჩვენი ბრძოლა. ამას წინათ მოსკოვში ხელთ ჩამივარდა კერძო ხასიათის გამოცემა «ლისტოკ ობიავლენიი».[19] ჩვენი წინანდელი ეკონომიური პოლიტიკის სამი წლის შემდეგ ამ «ლისტოკ ობიავლენიიმ» რაღაც სრულიად უჩვეულო, სრულიად ახლისა და უცნაურის შთაბეჭდილება მოახდინა. მაგრამ ჩვენი ეკონომიური პოლიტიკის საერთო წესების თვალსაზრისით აქ უცნაური არაფერია. საჭიროა გავიხსენოთ, თუ ავიღებთ ამ პატარა, მაგრამ საკმაოდ დამახასიათებელ მაგალითს, როგორ ვითარდებოდა ბრძოლა, როგორი იყო ამ ბრძოლის ამოცანები და ხერხები ჩვენს რევოლუციაში საერთოდ. ერთ-ერთი პირველი დეკრეტი 1917 წლის დასასრულს იყო დეკრეტი განცხადებების სახელმწიფო მონოპოლიის შესახებ. რას ნიშნავდა ეს დეკრეტი? იგი ნიშნავდა, რომ პროლეტარიატი, რომელმაც ხელთ იგდო სახელმწიფო ძალაუფლება, ვარაუდობს ახალ საზოგადოებრივ-ეკონომიურ ურთიერთობაზე გადასვლას რაც შეიძლება თანდათანობით — არა კერძო პრესის მოსპობას, არამედ მის დამორჩილებას განსაზღვრული სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელობისადმი. მის ჩაყენებას სახელმწიფო კაპიტალიზმის კალაპოტში. დეკრეტი, რომელიც აწესებდა სახელმწიფო მონოპოლიას განცხადებებზე, ამით ვარაუდობდა, რომ რჩება კერძოსამეწარმეო გაზეთები. როგორც საერთო მოვლენა, რომ რჩება ისეთი ეკონომიური პოლიტიკა, რომელიც მოითხოვს კერძო განცხადებებს, რჩება კერძო საკუთრების წესიც — რჩება მთელი რიგი კერძო საწარმოები, რომლებიც საჭიროებენ რეკლამებს, განცხადებებს. ასეთი იყო და მხოლოდ ასე შეიძლებოდა გააზრებული ყოფილიყო დეკრეტი კერძო განცხადებათა

მონოპოლიის შემოღების შესახებ. ამასთან მსგავსება აქვს იმ დეკრეტებსაც, რომლებიც ეხება საბანკო საქმეს, მაგრამ ამაზე არ ვილაპარაკებ, რათა არ გავართულო მაგალითი.

რა ბედი ეწია დეკრეტს კერძო განცხადებათა მონოპოლიის შემოღების შესახებ, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირველ კვირეებში გამოიცა? მისი ბედი ისეთი იყო, რომ იგი სულ მალე მთლად იქნა აღგვილი. როდესაც ახლა ვიგონებთ ბრძოლის განვითარებას და იმ პირობებს, რომლებშიც ეს ბრძოლა მიმდინარეობდა მას შემდეგ, სასაცილოა ახლანდელ ვითარებაში გახსენება იმისა, თუ რამდენად გულუბრყვილონი ვიყავით, რომ 1917 წლის დამლევს ვლაპარაკობდით კერძო განცხადებებზე სახელმწიფო მონოპოლიის შემოღების შესახებ. რა კერძო განცხადებები შეიძლებოდა ყოფილიყო გააფთრებული ბრძოლის პერიოდში! მტერმა. ე. ი. კაპიტალისტურმა სამყარომ, საბჭოთა ხელისუფლების ამ დეკრეტს უპასუხა ბრძოლის განგრძობით და მის უდიდეს გამძაფრებამდე, ბოლომდე მიყვანით. დეკრეტი ვარაუდობდა, რომ საბჭოთა ხელისუფლება, პროლეტარული დიქტატურა ისეა განმტკიცებული. რომ სხვა რაიმე ეკონომიკა შეუძლებელია იყოს, რომ ამ ეკონომიკისადმი დამორჩილების აუცილებლობა იმდენად აშკარაა კერძო მეწარმეთა და ცალკეულ მეპატრონეთა მთელი მასისთვის, რომ ისინი ბრძოლას მიიღებენ იმ ნიადაგზე, რომელზედაც ჩვენ, როგორც სახელმწიფო ხელისუფლება, ვაყენებდით ამ ბრძოლას. თქვენ, — ვეუბნებოდით მათ, — გრჩებათ კერძო გამოცემები, გრჩებათ კერძო თაოსნობა, გრჩებათ ამ საწარმოთა მომსახურებისათვის აუცილებელი განცხადებების თავისუფლება, წესდება მხოლოდ სახელმწიფო გადასახადი ამ განცხადებებზე, წესდება მხოლოდ მათი კონცენტრაცია სახელმწიფოს ხელში, ხოლო თავისთავად კერძო განცხადებათა სისტემა არათუ არ ირღვევა, არამედ, პირიქით, თქვენ გეძლევათ ერთგვარი სარფა, რომელიც ყოველთვის დაკავშირებულია ინფორმაციის საქმის წესიერ კონცენტრაციასთან. მაგრამ სინამდვილეში ის გამოვიდა, რომ ჩვენ ბრძოლის გაშლა მოგვიხდა სულ სხვა სარბიელზე. მტერმა, ე. ი. კაპიტალისტთა კლასმა, სახელმწიფო ხელისუფლების ამ დეკრეტს უპასუხა მთელი ამ სახელმწიფო ხელისუფლების სრულიად უარყოფით. არავითარ განცხადებებზე არ შეიძლებოდა ლაპარაკი, იმიტომ რომ ყველაფერი, რაც კი ბურჟუაზიულ-კაპიტალისტური რამ დარჩა ჩვენს წყობილებაში, უკვე მაშინ მთელ თავის ძალას მიმართავდა თვით ხელისუფლების საფუძვლების წინააღმდეგ საბრძოლველად. ჩვენ, რომლებმაც წინადადება მივეცით კაპიტა-

ლისტებს: «დაემორჩილეთ სახელმწიფო რეგულირებას, დაემორჩილეთ სახელმწიფო ხელისუფლებას, და იმ პირობების სრული მოსპობის ნაცვლად, რომლებიც შეეფერებიან ძველ ინტერესებს, ჩვეულებებს, მოსახლეობის შეხედულებებს, თქვენ მიიღებთ ყოველივე ამის თანდათანობით შეცვლას სახელმწიფო რეგულირების გზით". — ჩვენ დაგვიყენეს თვით ჩვენი არსებობის საკითხი. ის ტაქტიკა, რომელიც მიიღო კაპიტალისტთა კლასმა, იმაში მდგომარეობდა, რომ ჩაეთრიეთ ბრძოლაში, გააფთრებულ და ულმობელ ბრძოლაში, რომელიც გვაიძულებდა გაცილებით უფრო მეტად დაგვემსხვრია ძველი ურთიერთობა, ვიდრე ჩვენ ვვარაუდობდით.

დეკრეტიდან კერძო განცხადებების მონოპოლიის შემოღების შესახებ არაფერი გამოვიდა, — იგი ფარატინა ქაღალდად დარჩა, ხოლო ცხოვრებამ, ე. ი. კაპიტალისტთა კლასის წინააღმდეგობამ. ჩვენი სახელმწიფო ხელისუფლება აიძულა მთელი ბრძოლა გადაეტანა სულ სხვა სფეროში, არა ისეთ უმნიშვნელო და სასაცილოდ წვრილმან საკითხებზე, რომლებითაც 1917 წლის დამლევს გულუბრყვილოდ ვიყავით გართულნი, არამედ საკითხზე: ყოფნა თუ არ ყოფნა—მთელი მოსამსახურე კლასის საბოტაჟის შემუსვრა, თეთრგვარდიელთა არმიის მოგერიება, რომელსაც მთელი მსოფლიოს ბურჟუაზია ეხმარებოდა.

განცხადებათა დეკრეტის ეს კერძო ეპიზოდი, ვფიქრობ, სასარგებლო მითითებას იძლევა ძველი ტაქტიკის მცდარობის თუ უმცდარობის ძირითად საკითხში. რა თქმა უნდა, როდესაც დღეს მოვლენებს კაფასებთ შემდგომი ისტორიული განვითარების პერსპექტივაში, არ შეგვიძლია ეს ჩვენი დეკრეტი არ ვცნოთ გულუბრყვილოდ და ერთგვარად შემცდარ ნაბიჯად, მაგრამ იმავე დროს მასში სწორი იყო ის, რომ სახელმწიფო ხელისუფლებამ—პროლეტარიატმა სცადა განეხორციელებინა ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობაზე გადასვლა უდიდესი, ასე ვთქვათ, შეგუებით მაშინ არსებულ ურთიერთობასთან, რაც შეიძლება თანდათანობით და განსაკუთრებული მსხვრევის გარეშე. ხოლო მტერმა, ე. ი. ბურჟუაზიის კლასმა, აამუშავა ყველა ფანდი, რომ ჩვენ დავეყენებინეთ გამძვინვარებული ბრძოლის უკიდურესი გამოვლინების გზაზე. სწორი იყო თუ არა ეს სტრატეგიულად, მტრის თვალსაზრისით? რა თქმა უნდა, სწორი იყო, იმიტომ რომ, თუ ამ სფეროში არ გამოცდიდა საკუთარ ძალებს უშუალო შეჯახებით, ბურჟუაზია რანაირად დაემორჩილებოდა ერთბაშად სრულიად ახალ, ჯერ არასოდეს არსებულ პროლეტარულ ხელისუფლებას? «ნურას უკაცრავად, პატივცემულო ბატონებო, —

გვიპასუხებდა ბურჟუაზია, — განცხადებებზე კი არ მოგელაპარაკეპით თქვენ, არამედ იმაზე, იქნებ კიდევ მოიძებნოს ჩვენში ვრანგელი, კოლჩაკი, დენიკინი და იქნებ იმათ კიდევ აღმოუჩინოს დახმარება საერთაშორისო ბურჟუაზიამ საკითხის გადასაწყვეტად სრულიადაც არა იმის შესახებ, გექნებათ თუ არ გექნებათ სახელმწიფო ბანკი». ამის შესახებ, სახელმწიფო ბანკის შესახებ, ისევე როგორც განცხადებების შესახებ, 1917 წლის დამლევს ჩვენში საკმაოდ ბევრი რამ დაიწერა, რომლის საკმაოდ დიდი ნაწილი მხოლოდ ფუჭად ნაჯღაბნი ქაღალდი გამოდგა...

დაბეჭდილია 1921 წ.
3 და 4 ნოემბერს
ვაზეთ «პრავდაში» №№ 248 და 249

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.
ტ. 33, გვ. 85—89

წერილი «იზვესტიის» რედაქციას

«იზვესტიის» რედაქციას რედაქტორ ამხ. სტეკლოვს და
ა. ბელიაკოვს.

21 დეკემბერი 1921

20 დეკემბრის «იზვესტიაში» მოთავსებულია ა. ბელიაკოვის სტატია «რკინიგზის ტრანსპორტის გამოცოცხლების ახალი გზები». ძალიან ვთხოვ სტატიის ავტორს რაც შეიძლება უფრო ზუსტად მაცნობოს სათანადო გამოცემათა მითითებით:

1) რომელი წყაროდან არის აღებული ცნობები იმის შესახებ, რომ საზღვარგარეთ საერთოდ გამოცდილია და ბრწყინვალე შედეგი გამოიღო რკინიგზის ლოკომოტივის ნაცვლად ჩვეულებრივი, ცოტათი გადაკეთებული, სატვირთო მანქანის გამოყენების წესმა.

2) აგრეთვე იმის შესახებ, რომ ამერიკაში ასეთი სატვირთო მანქანები მომსახურებას უწევდნენ მისასვლელ გზებს.

3) იმის შესახებ, რომ ომის დროს ასეთ სატვირთო მანქანებს წარმატებით იყენებდნენ ამერიკის არმიაში (ამის შესახებ უნდა იყოს ცნობები, თუ გამოყენება წარმატებითი იყო, როგორც ამერიკის. ისე საფრანგეთისა და ინგლისის პრესაში).

4) იმის შესახებ, რომ ლონდონში მოეწყო გამოცდები რუსი ინჟინრის კუზნეცოვის იდეის მიხედვით, რომლებმაც დაამტკიცა, რომ 30 ცხენის ძალის სატვირთო მანქანა თავისუფლად ეწეოდა 9-10 ვაგონიან მატარებელს საათში 20 ვერსი სისწრაფით.

ლ ე ნ ი ნ ი

იბეჭდება ლენინის XXIII კრებულის ტექსტის მიხედვით, გვ. 178—179

ბარათი ბ. ი. კრუმინს[20]

განიხილეთ და შეავადგინოთ საბოლოო ფორმით:

აბსოლუტურად აუცილებლად იქნას მიჩნეული მიექცეს გაძლიერებული ყურადღება ცნობების შეგროვებას (სპეციალური კორესპონდენტების მეშვეობითაც, მაგრამ ისე, რომ არ ავიყვანოთ ისინი მხოლოდ ამ მიზნით, შრომისა და თავდაცვის საბჭოს და სახალხო კომისარიატების ყველა საგანგებო რწმუნებულის მეშვეობითაც; და, ბოლოს, — რაც უმთავრესია — ადგილებიდან სათანადო ორგანოებში ნორმალურად შემოსული ანგარიშებიდან) — ცნობებისა, რაც უშუალოდ შემოდის ორგანოებისაგან, რომლებიც ადგილებზე ეწევიან მუშაობას (ქარხნები, საშადნოები, ცალკეული ტყესაკაფები, ცალკეული ტყესაჩეხები და მისთ.). არა მარტო მთავარი კომიტეტებისაგან, არამედ სწორედ ამ უშუალოდ ადგილობრივ მომუშავე ორგანოებისაგან მიღებული ცნობების შეგროვება და ანალიზი უნდა გახდეს «ეკონომიჩესკაია ჟიზნის» ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა.

ვ. ულიანოვი (ლენინი)

დაწერილია 1921 წ. დამლევს
პირველად დაიბეჭდა 1924 წლის
26 იანვარს გაზეთ
«ეკონომიჩესკაია ჟიზნში» № 96

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოცემა
ტ. 36, გვ. 643

ვ. ა. კარპინსკის

26. I. 1922.

ამხ. კარპინსკი!

ვერ მომწერთ მოკლედ (maximum 2 — 3 ფურცელი) რამდენი წერილია «ბედნოტაში» გლეხებისაგან?

რა არის მნიშვნელოვანი (განსაკუთრებით მნიშვნელოვანი) და ახალი ამ წერილებში?

განწყობილება?

საჭირბოროტო საკითხები?

არ შეიძლება ორ თვეში ერთხელ მივიღო ასეთი წერილები (შემდეგი 15. III. 1922-სათვის)?

α) წერილების საშუალო რიცხვი

β) განწყობილება

γ) უმნიშვნელოვანესი საჭირბოროტო საკითხები.

კომ. სალამით ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1924 წ. 24 იანვარს გაზეთ «პრავდაში» № 19

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც. ტ. 35, გვ. 579

მეგრძოლი მატერიალიზმის მნიშვნელობის შესახებ

ჟურნალ «პოდ ზნამენემ მარკსიზმა»!-ს[21] საერთო ამოცანების შესახებ ამხ. ტროცკიმ 1—2 ნომრის ფურცლებზე ყველაფერი ძალიან ბევრი უკვე თქვა და ჩინებულადაც თქვა. მე მინდა შევჩერდე ზოგიერთ საკითხზე, რომლებიც უფრო სრულად არკვევენ იმ მუშაობის შინაარსსა და პროგრამას, რაც ჟურნალის რედაქციამ 1 — 2 ნომრის შესავალ განცხადებაში გამოაქვეყნა.

ამ განცხადებაში ნათქვამია, რომ ყველა ისინი, ვინც ჟურნალ «პოდ ზნამენემ მარკსიზმა»-ს ირგვლივ გაერთიანდა, კომუნისტები არ არიან, მაგრამ თანამიმდევარი მატერიალისტები კი ყველანი არიანო. ჩემი აზრით, კომუნისტების ეს კავშირი არაკომუნისტებთან აუცილებლად საჭიროა და სწორად განსაზღვრავს ჟურნალის ამოცანებს. კომუნისტების (ისე როგორც საერთოდ იმ რევოლუციონერების, რომლებმაც წარმატებით ჩაატარეს დიდი რევოლუციის დასაწყისი) ერთ-ერთი ყველაზე დიდი და საშიში შეცდომა არის ის წარმოდგენა, თითქოს რევოლუცია მარტოოდენ რევოლუციონერებს შეუძლიათ მოახდინონ. პირიქით, ყოველგვარი სერიოზული რევოლუციური მუშაობის წარმატებისათვის აუცილებელია შეიგნოთ და განვახორციელოთ ის დებულება, რომ რევოლუციონერებს შეუძლიათ შეასრულონ როლი მხოლოდ როგორც ნამდვილად ცხოველმყოფელი და მოწინავე კლასის ავანგარდს. ავანგარდი მხოლოდ მაშინ ასრულებს ავანგარდის ამოცანებს, როცა მას უნარი შესწევს არ მოსწყდეს მისი ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფ მასას. როცა მას მართლაც შეუძლია წინ წაუძღვეს მთელ მასას. მოქმედების უაღრესად სხვადასხვაგვარ სფეროში არაკომუნისტებთან კავშირის უქონლად ლაპარაკიც კი შეუძლებელია კომუნისტური მშენებლობის რაიმე წარმატებაზე.

ეს ითქმის მატერიალიზმისა და მარქსიზმის დაცვის იმ მუშაო-

ბაზეც, რომელსაც ხელი მოჰკიდა ჟურნალმა «პოდ ზნამენემ მარქსიზმა»-მ. რუსეთის მოწინავე საზოგადოებრივი აზრის მთავარ მიმართულებებს, საბედნიეროდ, თვალსაჩინო მატერიალისტური ტრადიცია მოეპოვება. გ. ვ. პლეხანოვზე რომ არაფერი ვთქვათ, საკმარისია დავასახელოთ ჩერნიშევსკი, რომლისაგანაც თანამედროვე ნაროდნიკები (სახალხო სოციალისტები, ესერები და სხვ.) ხშირად უკან იხევდნენ მოდურ რეაქციულ ფილოსოფიურ მოძღვრებათა გამოდევნების გამო, მათ თვალს სჭრიდა ევროპული მეცნიერების ვითომდა «უკანასკნელი სიტყვის» ზიზილ-პიპილები და ამ ზიზილ-პიპილების გამო ისინი ვერ ამჩნევდნენ ბურჟუაზიისადმი, მისი ცრურწმენისა და ბურჟუაზიული რეაქციულობისადმი ლაქიობის ამა თუ იმ სახესხვაობას.

ყოველ შემთხვევაში, რუსეთში ჩვენ გვყავს — და, უეჭველია, ჯერ კიდევ დიდხანს გვეყოლებიან — მატერიალისტები არაკომუნისტთა ბანაკიდან, და ჩვენი უცილობელი მოვალეობაა ეგრეთწოდებული «განათლებული საზოგადოების» ფილოსოფიური რეაქციისა და ფილოსოფიური ცრურწმენის წინააღმდეგ საბრძოლველად საერთო მუშაობაში ჩავაბათ თანამიმდევრული და მებრძოლი მატერიალიზმის ყველა მომხრე. დიცგენმა-მამამ, რომელიც არ უნდა აგერიოთ მის იმდენადვე პრეტენზიულ, რამდენადაც უხეირო ლიტერატორ-ვაჟიშვილში, სწორად, სხარტად და ნათლად გამოხატა მარქსიზმის ძირითადი თვალსაზრისი ბურჟუაზიულ ქვეყნებში გაბატონებულ და მათ მეცნიერთა და პუბლიცისტთა შორის მიღებულ ფილოსოფიურ მიმართულებებზე, როცა თქვა, რომ თანამედროვე საზოგადოებაში ფილოსოფიის პროფესორები უმეტეს შემთხვევაში ნამდვილად წარმოადგენენ «ხუცობის დიპლომიან ლაქიებს» და მეტს არაფერსო.

ჩვენს, რუსეთის, ინტელიგენტებს, რომლებსაც თავი მოაქვთ თავიანთი მოწინავეობით, ისევე როგორც ყველა დანარჩენი ქვეყნის მათ მოძმეებსაც, ძალიან არ უყვართ საკითხის გადატანა იმ შეფასების ნიადაგზე, რომელიც მოცემულია დიცგენის სიტყვებით. მაგრამ მათ ეს იმიტომ არ უყვართ, რომ სიმართლე თვალსა სჭრით. საკმარისია ოდნავ მაინც ჩავუფიქრდეთ, თუ როგორ არიან დამოკიდებული თანამედროვე განათლებული ადამიანები გაბატონებული ბურჟუაზიისაგან სახელმწიფოებრივი, შემდეგ საერთო-ეკონომიური, შემდეგ საყოფაცხოვრებო და ყოველგვარი სხვა მხრივ, რომ გაეიგოთ დიცგენის მკაცრი დახასიათების აბსოლუტური სისწორე.

52. ლენინი ბეჭდვითი სიტყვის შესახებ.

საკმარისია გავიხსენოთ დიდი უმეტესობა მოდური ფილოსოფიური მიმართულებებისა, რომელნიც ასე ხშირად ჩნდებიან ევროპულ ქვეყნებში, დაწყებული, თუგინდ, იმ მიმართულებებით, რომელნიც რადიუმის აღმოჩენასთან იყვნენ დაკავშირებული, და გათავებული იმ მიმართულებებით, რომელნიც ახლა ცდილობენ ხელი ჩასჭიდონ ეინშტეინს, — რომ წარმოვიდგინოთ კავშირი ბურჟუაზიის კლასობრივ ინტერესებსა და კლასობრივ პოზიციას შორის, მის მიერ რელიგიის ყოველგვარი ფორმის მხარისდაჭერასა და მოდურ ფილოსოფიურ მიმართულებათა იდეურ შინაარსს შორის.

ზემოაღნიშნულიდან ჩანს, რომ ჟურნალი, რომელსაც სურს მებრძოლი მატერიალიზმის ორგანო იყოს, მებრძოლი ორგანო უნდა იყოს, ჯერ-ერთი, «ხუცობის» ყველა თანამედროვე «დიპლომიანი ლაქიის» ურყევი მხილებისა და დეენის აზრით, სულ ერთია, ოფიციალური მეცნიერების წარმომადგენლები არიან ისინი თუ მოხალისე მსროლელნი, რომელნიც «დემოკრატიულ მემარცხენეებს თუ იდეურ-სოციალისტ» პუბლიცისტებს უწოდებენ თავიანთ თავს.

მეორე, ასეთი ჟურნალი უნდა იყოს მებრძოლი ათეიზმის ორგანო. ჩვენ გვაქვს უწყებები, ან ყოველ შემთხვევაში, სახელმწიფო დაწესებულებები, რომლებიც ამ საქმეს განაგებენ. მაგრამ ეს მუშაობა ფრიად მოდუნებულად, ფრიად არადამაკმაყოფილებლად წარმოებს, განიცდის რა, როგორც ჩანს, ჩვენი ჭეშმარიტად რუსული (თუმცა საბჭოური) ბიუროკრატიზმის საერთო პირობების სიმძიმეს. ამიტომ მეტისმეტად მნიშვნელოვანია, რომ სათანადო სახელმწიფო დაწესებულებათა მუშაობის შესავსებად, მის შესასწორებლად და გამოსაცოცხლებლად, ჟურნალი, რომელიც ამოცანად ისახავს — მებრძოლი მატერიალიზმის ორგანო გახდეს, დაუღალავ ათეისტურ პროპაგანდასა და ბრძოლას ეწეოდეს. იგი გულმოდგინედ უნდა ადევნებდეს თვალყურს მთელ სათანადო ლიტერატურას ყველა ენაზე, თარგმნიდეს ან, ყოველ შემთხვევაში, ყველაფერ იმის შინაარსს გადმოსცემდეს, რაც კი ამ სფეროში საგულისხმო რამ არის.

ენგელსი დიდი ხანია ურჩევდა თანამედროვე პროლეტარიატის ხელმძღვანელებს — ეთარგმნათ და ხალხში მასობრივად გაევრცელებინათ XVIII საუკუნის დამლევის მებრძოლი ათეისტური ლიტერატურა. ჩვენდა სამარცხვინოდ, ეს აქამდე არ გაგვიკეთებია (ერთი მრავალ საბუთთაგანი იმისა, რომ რევოლუციურ ეპოქაში ძალაუფლების მოპოვება გაცილებით უფრო ადვილია, ვიდრე ამ ძალაუფლების სწორად გამოყენება). ხანდახან ამ ჩვენს მოდუნებუ-

ლობას, უმოქმედობასა და უუნარობას ყოველგვარი «მაღალფარდოვანი» მოსაზრებებით ამართლებენ: მაგალითად, ამბობენ, XVIII საუკუნის ძველი ათეისტური ლიტერატურა მოძველდა, არამეცნიერულია, გულუბრყვილოაო და სხვ... არა არის რა ამ, ვითომდა-მეცნიერულ, სოფიზმებზე უარესი, რომლებითაც ან პედანტობა იფარება, ანდა მარქსიზმის სრული გაუგებლობა. რა თქმა უნდა, XVIII საუკუნის რევოლუციონერთა ათეისტურ ნაწარმოებებში ბევრი რამ მოიპოვება არამეცნიერულიც და გულუბრყვილოც. მაგრამ ამ თხზულებათა გამომცემლებს არავინ უშლის შეამოკლონ ისინი, დაურთონ მოკლე ბოლოსიტყვაობანი და მიუთითონ, თუ რა პროგრესს მიაღწია კაცობრიობამ რელიგიის მეცნიერული კრიტიკის დარგში XVIII საუკუნის დამლევიდან, მიუთითონ სათანადო უახლესი თხზულებანი და სხვ... მარქსისტისათვის უდიდესი და უცუდესი შეცდომა იქნებოდა იმის ფიქრი, რომ ხალხის (განსაკუთრებით გლეხთა და ხელოსანთა) მრავალმილიონიან მასებს, რომელთაც მთელმა თანამედროვე საზოგადოებამ ბედად არგუნა სიბნელე, უმეცრება და ცრურწმენა, შეუძლიათ ამ სიბნელიდან თავის დაღწევა მხოლოდ წმინდა მარქსისტული განათლების პირდაპირი ხაზით. ამ მასებს უნდა მივაწოდოთ ათეისტური პროპაგანდის უაღრესად მრავალფეროვანი მასალა,გავაცნოთ მათ ცხოვრების ფრიად სულ სხვადასხვა სფეროს ფაქტები, მივუდგეთ მათ ასეც და ისეც, რათა დავაინტერესოთ, გამოვაღვიძოთ ისინი რელიგიური ბანგისაგან, შევანჯღრიოთ სულ სხვადასხვა მხრივ, სულ სხვადასხვაგვარი საშუალებებით და სხვ.

XVIII საუკუნის ძველი ათეისტების მარჯვე, ცოცხალი, ნიჭიერად დაწერილი და გაბატონებულ ხუცობაზე გონებამახვილად და აშკარად თავდამსხმელი პუბლიცისტიკა ძალიან ხშირად ათასჯერ უფრო მეტად გამოსადეგია იმისათვის, რომ ადამიანები რელიგიური ბანგისაგან გამოვაღვიძოთ, ვიდრე მოსაწყენი, მშრალი, მარჯვედ შერჩეული ფაქტებით თითქმის სრულიად დაუსურათებელი გადმოღეჭვა მარქსიზმისა, რაც ჩვენს ლიტერატურაში სჭარბობს და რითაც ასე ხშირად (აქ დასამალი არაფერია) ამახინჯებენ მარქსიზმს. მარქსისა და ენგელსის ყველა რამდენადმე მნიშვნელოვანი ნაწარმოები ჩვენში უკვე გადმოთარგმნილია. იმის შიში, რომ ძველი ათეიზმი და ძველი მატერიალიზმი ჩვენში შეუვსებელი დარჩება იმ შესწორებებით, რაც მასში მარქსმა და ენგელსმა შეიტანეს, სრულიად უსაფუძვლოა. ყველაზე ზნიშვნელოვანი — და ყველაზე ხშირად სწორედ ამას ივიწყებენ ჩვენი ვითომდა მარქსისტი, ნამდ-

ვილად კი მარქსიზმის დამამახინჯებელი კომუნისტები — ეს არის შევძლოთ დავაინტერესოთ ჯერ კიდევ სრულიად განუვითარებელი მასები შეგნებულად მიუდგნენ რელიგიის საკითხებს და შეგნებულად გააკრიტიკონ რელიგიები.

მეორე მხრივ, შეხედეთ რელიგიათა თანამედროვე მეცნიერული კრიტიკის წარმომადგენლებს. განათლებული ბურჟუაზიის ეს წარმომადგენლები რელიგიური ცრურწმენის თავიანთივე საკუთარ უარყოფას თითქმის ყოველთვის ისეთს მსჯელობებს «დაურთავენ» ხოლმე, რაც მყისვე ამჟღავნებს მათ როგორც ბურჟუაზიის იდეურ მონებს, როგორც «ხუცობის დიპლომიან ლაქიებს».

ორი მაგალითი. 1918 წელს პროფ. რ. ი. ვიპერმა გამოსცა წიგნი: «ქრისტიანობის წარმოშობა» («ფაროსის» გამოც.. მოსკოვი). ავტორი გადმოსცემს თანამედროვე მეცნიერების მთავარ მიღწევებს და არათუ არ ებრძვის იმ ცრურწმენას და ტყუილს, რაც ეკლესიის, როგორც პოლიტიკური ორგანიზაციის, იარაღს შეადგენს, არათუ გვერდს უვლის ამ საკითხებს, არამედ პირდაპირ სასაცილო და ფრიად რეაქციულ პრეტენზიასაც კი აცხადებს: ორივე «უკიდურესობის» — იდეალისტურისა და მატერიალისტურის — მაღლა უნდა დავდგეთ. ეს არის ლაქიობა გაბატონებული ბურჟუაზიისა, რომელიც მთელ მსოფლიოში მშრომელთა ექსპლოატაციით გამოწოვილი მოგებიდან ასეულ მილიონ მანეთს სარჯავს რელიგიის დასახმარებლად.

ცნობილი გერმანელი მეცნიერი, არტურ დრევსი, რომელიც თავის წიგნში: «მითი ქრისტეს შესახებ» აბათილებს რელიგიურ ცრურწმენას და ზღაპრებს და ამტკიცებს, რომ არავითარი ქრისტე არ იყოო, წიგნის ბოლოში მაინც მხარს უჭერს რელიგიას, მხოლოდ განახლებულს, განწმენდილს, გაქნილს, ისეთს, რომელსაც უნარი ექნება შეებრძოლოს «ღღითი ღღე სულ უფრო და უფრო გაძლიერებულ ნატურალისტურ ნიაღვარს» (იხ. მე-4 გერმანული გამოცემის 238-ე გვ., 1910 წ.). ეს უკვე წმინდა წყლის, შეგნებული რეაქციონერია, რომელიც აშკარად ეხმარება ექსპლოატატორებს ძველი და დამყაყებული რელიგიური ცრურწმენა ახალი, უფრო მეტად საზიზღარი და საძაგელი ცრურწმენით შესცვალონ.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ საჭირო არ იყო დრევსის გადმოთარგმნა. ეს ნიშნავს იმას, რომ კომუნისტებმა და ყველა თანამიმდევარმა მატერიალისტმა, რომლებიც ერთგვარად დაკავშირებული არიან ბურჟუაზიის პროგრესულ ნაწილთან, განუხრელად უნდა ამხილონ ბურჟუაზიის ეს პროგრესული ნაწილი, როცა იგი რეაქციულობაში

ვარდება. ეს იმას ნიშნავს, რომ თავი აარიდო კავშირს XVIII საუკუნის, ე. ი. იმ ეპოქის ბურჟუაზიის წარმომადგენლებთან, როცა იგი რევოლუციური იყო, ეს იქნებოდა ღალატი მარქსიზმისა და მატერიალიზმის მიმართ, რადგან დრეესებთან ამა თუ იმ ფორმით, ამა თუ იმ ზომით «კავშირის» დაუერა გაბატონებული რელიგიური ბნელეთის მოციქულების წინააღმდეგ საბრძოლველად ჩვენთვის სავალდებულოა.

ჟურნალმა «პოდ ზნამენემ მარკსიზმა»-მ, რომელსაც სურს მებრძოლი მატერიალიზმის ორგანო იყოს, დიდი ადგილი უნდა დაუთმოს ათეისტურ პროპაგანდას, სათანადო ლიტერატურის მიმოხილვასა და ამ სფეროში ჩვენი სახელმწიფოებრივი მუშაობის უდიდეს ნაკლოვანებათა გამოსწორებას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ წიგნებისა და ბროშურების გამოყენება, რომელნიც მრავალ ისეთს კონკრეტულ ფაქტსა და დაპირისპირებას შეიცავენ, რაც ცხადყოფს თანამედროვე ბურჟუაზიის კლასობრივი ინტერესებისა და კლასობრივი ორგანიზაციების კავშირს რელიგიურ დაწესებულებათა და რელიგიური პროპაგანდის ორგანიზაციებთან.

მეტისმეტად საყურადღებოა ყველა ის მასალა, რაც ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატებს შეეხება, სადაც ნაკლებად იჩენს თავს რელიგიისა და კაპიტალის ოფიციალური, კაზიონური, სახელმწიფოებრივი კავშირი. მაგრამ სამაგიეროდ ჩვენთვის უფრო ცხადი ხდება, რომ ეგრეთწოდებული «თანამედროვე დემოკრატია» (რომლის წინაშე ასე უგუნურად შუბლს იხეთქენ მენშევიკები; ესერები, ნაწილობრივ ანარქისტები და სხვ.) წარმოადგენს მხოლოდ იმის ქადაგების თავისუფლებას, რის ქადაგებაც ბურჟუაზიისათვის ხელსაყრელია, ხოლო მისთვის ხელსაყრელია იქადაგოს ყველაზე რეაქციული იდეები, რელიგია, ბნელეთის მოციქულობა, ექსპლოატატორების დაცვა და სხვ.

მინდა იმედი ვიქონიო, რომ ჟურნალი, რომელსაც სურს მებრძოლი მატერიალიზმის ორგანო იყოს, ჩვენ მკითხველ საზოგადოებას მიაწვდის ათეისტური ლიტერატურის მიმოხილვას და დახასიათებას, თუ მკითხველთა რომელი წრისათვის და რა მხრივ არის შესაფერისი ესა თუ ის ნაწარმოები და აღნიშნავს, თუ რა არის გამოცემული (გამოცემულად უნდა ჩაითვალოს მხოლოდ ხეირიანი თარგმანები, ასეთები კი არცთუ იმდენად ბევრია) და რა უნდა გამოიცეს კიდევ.

გარდა კავშირისა თანამიმდევარ მატერიალისტებთან, რომლებიც კომუნისტების პარტიას არ ეკუთვნიან, თუ მეტი არა, ნაკლები მნიშ-

ვნელობა არა აქვს იმ მუშაობისათვის, რომელიც მებრძოლმა მატერიალიზმმა უნდა შეასრულოს, თანამედროვე ბუნებისმეტყველების იმ წარმომადგენლებთან კავშირს, რომელნიც მატერიალიზმისაკენ იხრებიან და არ უშინაოთ დაიცვან და იქადაგონ იგი ეგრეთწოდებულ «განათლებულ საზოგადოებაში» გაბატონებულ იდეალიზმისა და სკეპტიციზმისაკენ მოდურ ფილოსოფიურ მერყეობათა წინააღმდეგ.

ჟურნალ «პოდ ზნამენემ მარკსიზმა»-ს 1 — 2 ნომერში მოთავსებული ა. ტიმირიაზევის სტატია ეინშტეინის რელატივობის თეორიის შესახებ იმედს იძლევა, რომ ჟურნალი ამ მეორე კავშირის განხორციელებასაც შესძლებს. საჭიროა რაც შეიძლება მეტი ყურადღება მიექცეს მას. უნდა გვახსოვდეს, რომ სწორედ ის მძაფრი მსხვრევა, რომელსაც თანამედროვე ბუნებისმეტყველება განიცდის, ძალიან ხშირად წარმოშობს ხოლმე რეაქციულ ფილოსოფიურ სკოლებს და პაწია სკოლებს, მიმართულებებს და პაწია მიმართულებებს. ამიტომ თვალყურის დევნება იმ საკითხებისადმი, რომელთაც უახლოესი რევოლუცია ბუნებისმეტყველების სფეროში აყენებს, და ფილოსოფიურ ჟურნალში საამისო მუშაობისათვის ბუნებისმეტყველთა ჩაბმა, — ეს ისეთი ამოცანაა, რომლის გადაუჭრელად მებრძოლი მატერიალიზმი ვერავითარ შემთხვევაში ვერ იქნება ვერც მებრძოლი, ვერც მატერიალიზმი. თუ ტიმირიაზევი ჟურნალის პირველ ნომერში იძულებული იყო აღენიშნა, რომ თუმცა ეინშტეინის — რომელიც, ტიმირიაზევის თქმით, თვითონ მატერიალიზმის საფუძვლების წინააღმდეგ არავითარ აქტიურ ლაშქრობას არ ეწევა — თეორიას უკვე ხელი ჩასჭიდა ყველა ქვეყნის ბურჟუაზიული ინტელიგენციის წარმომადგენელთა უდიდესმა მასამ, — ეს შეეხება არა მარტო ეინშტეინს, არამედ ბუნებისმეტყველების მთელ რიგ დიდ გარდამქმნელთ, თუ მათ უმრავლესობას არა, დაწყებული XIX საუკუნის დამლევიდან.

და იმისათვის, რომ ასეთ მოვლენას შეუგნებლად არ მოვეპყრათ, უნდა გავიგოთ, რომ საფუძვლიანი ფილოსოფიური დასაბუთების გარეშე ვერავითარი საბუნებისმეტყველო მეცნიერება, ვერავითარი მატერიალიზმი ვერ გაუძლებს ბრძოლას ბურჟუაზიულ იდეათა თავდასხმისა და ბურჟუაზიული მსოფლმხედველობის აღდგენის წინააღმდეგ. ამ ბრძოლას რომ გაუძლოს და იგი ბოლომდე სრული წარმატებით ჩაატაროს, ბუნებისმეტყველი უნდა იყოს თანამედროვე მატერიალისტი, შეგნებული მიმდევარი იმ მატერიალიზმისა, რომელიც წარმოდგენილია მარქსის მიერ, ესე იგი დიალექტიკური მატერიალისტი უნდა იყოს. ამ მიზნის მისაღწევად ჟურნალ «პოდ ზნამენემ მარკსიზმა»-ს თანამშრომლებმა უნდა მოაწყონ ჰე-

გელის დიალექტიკის სისტემატური შესწავლა მატერიალისტური თვალსაზრისით, ე. ი. უნდა შეისწავლონ ის დიალექტიკა, რომელსაც მარქსი პრაქტიკულად იყენებდა როგორც თავის «კაპიტალში», ისე თავის ისტორიულ და პოლიტიკურ ნაშრომებში და იყენებდა ისეთი წარმატებით, რომ ახლა აღმოსავლეთში (იაპონია, ინდოეთი, ჩინეთი) ცხოვრებისა და ბრძოლისათვის ახალ-ახალ კლასთა გამოღვიძების ყოველი დღე — ე. ი. გამოღვიძება კაცობრიობის იმ ასეული მილიონებისა, რომელნიც დედამიწის მოსახლეობის უმეტეს ნაწილს შეადგენენ და რომელნიც დღემდე თავიანთი ისტორიული უმოქმედობითა და ისტორიული ძალით განაპირობებდნენ დამყაყებულობასა და ლპობას ევროპის მრავალ მოწინავე სახელმწიფოში, — ცხოვრებისათვის ახალ-ახალ ხალხთა და ახალ-ახალ კლასთა გამოღვიძების ყოველი დღე სულ უფრო და უფრო მეტად ადასტურებს მარქსიზმს.

რა თქმა უნდა, ჰეგელის დიალექტიკის ასეთი შესწავლა, ასეთი გაგება და ასეთი პროპაგანდა მეტისმეტად ძნელი საქმეა, და, უეჭველია, ამ მხრივ პირველი ცდა უშეცდომო არ იქნება. მაგრამ არ ცდება მხოლოდ ის, ვინც არაფერს არ აკეთებს. იმაზე დამყარებით, თუ როგორ იყენებდა მარქსი ჰეგელის მატერიალისტურად გაგებულ დიალექტიკას, ჩვენ შეგვიძლია და კიდეც უნდა დავამუშავოთ ეს დიალექტიკა ყოველი მხრივ, დავბეჭდოთ ჟურნალში ნაწყვეტები ჰეგელის უმთავრესი თხზულებებიდან, მატერიალისტურად განვმარტოთ ისინი, კომენტარები გავუკეთოთ, დიალექტიკის მარქსისეული გამოყენების ნიმუშებით, აგრეთვე ეკონომიური, პოლიტიკური ურთიერთობის სფეროში დიალექტიკის იმ ნიმუშებით, რომელთაც უახლესი ისტორია, განსაკუთრებით კი თანამედროვე იმპერიალისტური ომი და რევოლუცია, მეტისმეტად ბევრს იძლევიან. ჟურნალ «პოდ ზნამენემ მარკსიზმა»-ს რედაქტორთა და თანამშრომელთა ჯგუფი, ჩემი შეხედულებით, უნდა წარმოადგენდეს ერთგვარ «ჰეგელის დიალექტიკის მატერიალისტი მეგობრების საზოგადოებას». თანამედროვე ბუნებისმეტყველნი ჰეგელის მატერიალისტურად გაგებულ დიალექტიკაში ჰპოვებენ (თუ შესძლებენ ძებნას და თუ ჩვენც ვისწავლით მათდამი დახმარებას) შთელ რიგ პასუხს იმ ფილოსოფიურ საკითხებზე, რომელთაც აყენებს რევოლუცია ბუნებისმეტყველებაში და რომლებზედაც «ფეხი უსხლტებათ» რეაქციისაკენ ბურჟუაზიული მოდის ინტელიგენტ თაყვანისმცემლებს.

თუ ასეთი ამოცანა არ დავისახეთ და იგი სისტემატურად არ შევასრულეთ, მატერიალიზმი ვერ იქნება მებრძოლი მატერიალიზმი. იგი დარჩება, შჩედრინის გამოთქმა რომ ვიხმაროთ, არა იმდენად მებრძოლი, რამდენადაც ნაბრძოლი. უამისოდ დიდი ბუნებისმეტყ-

ველნი ისევე ხშირად, როგორც აქამდე, უმწეონი იქნებიან თავიანთ ფილოსოფიურ დასკვნებსა და განზოგადებაში. ვინაიდან ბუნებისმეტყველება ისე სწრაფად მიდის წინ, ყველა სფეროში ისეთი ღრმა რევოლუციური მსხვრევის პერიოდს განიცდის, რომ ბუნებისმეტყველება ფილოსოფიურ დასკვნათა გარეშე ვერავითარ შემთხვევაში იოლად ვერ წავა.

დასასრულ მოვიყვან მაგალითს, რომელიც ფილოსოფიის სფეროს არ ეკუთვნის, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ეხება სფეროს საზოგადოებრივი საკითხებისას, რომელთაც აგრეთვე სურს ყურადღება მიაქციოს ჟურნალმა «პოდ ზნამენემ მარქსიზმა»-მ.

ეს ერთ-ერთი მაგალითია იმისა, თუ სინამდვილეში თანამედროვე ვითომდა მეცნიერება როგორ ემსახურება ფრიად უხეშ და უსაზიზღრეს რეაქციულ შეხედულებათა გატარებას.

ამას წინათ გამომიგზავნეს ჟურნალი «ეკონომისტი» № 1 (1922 წ.), რომელსაც «რუსეთის ტექნიკური საზოგადოების» XI განყოფილება სცემს. ამ ჟურნალის გამომგზავნმა ახალგაზრდა კომუნისტმა (რომელსაც, ალბათ, დრო არა ჰქონდა ჟურნალის შინაარსს გაცნობოდა) მოუფიქრებლად ეს ჟურნალი ფრიად დიდი თანაგრძნობით მოიხსენია. ნამდვილად კი, არ ვიცი რამდენად შეგნებულად, ეს ჟურნალი წარმოადგენს იმ თანამედროვე მებატონეთა ორგანოს, რომლებიც, რა თქმა უნდა, მეცნიერულობის, დამოკრატიზმისა და სხვ. სამოსში ეხვევიან.

ვინმე ბ-ნი პ. ა. სოროკინი ამ ჟურნალში ათავსებს ვრცელ ვითომდა «სოციოლოგიურ» გამოკვლევებს «ომის გავლენის შესახებ». მეცნიერული სტატია აჭრელებულია მეცნიერული მითითებებით ავტორისა და მისი მრავალრიცხოვანი უცხოელი მასწავლებლისა და ამხანაგის «სოციოლოგიურ» შრომებზე. აი როგორია მისი მეცნიერულობა:

83-ე გვერდზე ვკითხულობ:

«პეტროგრადში ახლა 10 000 ქორწინებაზე მოდის 92,2 განქორწინებს — ფანტასტიკური ციფრია, ამასთანავე 100 განქორწინებიდან 51,1 ქორწინება იყო ერთ წელზე ნაკლები ხანგრძლიობისა, 11% — ერთ თვეზე ნაკლებისა, 22% — ორ თვეზე ნაკლებისა, 41% — 3—6 თვეზე ნაკლებისა და მხოლოდ 26% იყო 6 თვეზე მეტი ხანგრძლიობისა. ეს ციფრები იმას მეტყველებენ, რომ თანამედროვე ლეგალური ქორწინება — ფორმაა, რომელიც არსებითად ქორწინებისგარეშე სქესობრივ ურთიერთობას ჰფარავს და «მარწყვის» მოყვარულთ საშუალებას აძლევს «კანონიერად» დაიკმაყოფილონ თავიანთი მადა» («ეკონომისტი» № 1, გვ. 83).

ეჭვი არ არის, რომ ეს ვაჟბატონიც და რუსეთის ის ტექნიკური საზოგადოებაც, რომელიც ჟურნალს სცემს და შიგ მსგავს ლათაიებს ათავსებს, თავიანთ თავს დემოკრატიის მომხრედ თვლიან და უდიდეს შეურაცხყოფად მიიჩნევენ, როცა მათ ნამდვილ სახელს, ე. ი.

მებატონეებს, რეაქციონერებს, «ხუცობის დიპლომიან ლაქიებს» უწოდებენ.

ქორწინების, განქორწინებისა და ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა შესახებ ბურჟუაზიული ქვეყნების კანონმდებლობის სულ მცირეოდენი გაცნობა, აგრეთვე ამ მხრივ საქმის ფაქტიური მდგომარეობის გაცნობა, ცხადყოფს ამ საკითხით დაინტერესებული ყოველი ადამიანისთვის, რომ თანამედროვე ბურჟუაზიული დემოკრატია, თვით ყველაზე დემოკრატიულ ბურჟუაზიულ რესპუბლიკებშიც კი, ამ მხრივ ქალისა და ქორწინებისგარეშე დაბადებულ ბავშვთადმი სწორედ ბატონყმურ დამოკიდებულებას იჩენს.

ეს, რა თქმა უნდა, ხელს არ უშლის მენშევიკებს, ესერებს, ანარქისტთა ნაწილს და დასავლეთ ევროპის ყველა სათანადო პარტიას განაგრძონ ყვირილი დემოკრატიაზე და ბოლშევიკების მიერ მის დარღვევაზე. ნამდვილად კი სწორედ ბოლშევიკური რევოლუციაა ერთადერთი თანამიმდევრულ-დემოკრატიული რევოლუცია ისეთი საკითხების მიმართ, როგორიცაა ქორწინება, განქორწინება და ქორწინებისგარეშე დაბადებულ ბავშვთა მდგომარეობა. ეს კი ისეთი საკითხია, რომელიც ყოველი ქვეყნის მოსახლეობის ნახევარზე მეტის ინტერესებს ეხება უშუალოდ. პირველად მხოლოდ ბოლშევიკურმა რევოლუციამ, მიუხედავად მისი წინამორბედი მრავალი ბურჟუაზიული რევოლუციისა, თავის თავს დემოკრატიულს რომ უწოდებდა, — ჩაატარა შეუპოვარი ბრძოლა ამ მხრივ, როგორც რეაქციულობისა და ბატონყმობის წინააღმდეგ, ისე მმართველ და შეძლებულ კლასთა ჩვეულებრივი ფარისევლობის წინააღმდეგ.

თუ ბ-ნ სოროკინს 10 000 ქორწინებაზე 92 განქორწინება ფანტასტიკურ ციფრად ეჩვენება, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ ან ავტორი რომელიმე ისეთს კარჩაკეტილ მონასტერში ცხოვრობდა და იზრდებოდა, რომ მსგავსი მონასტრის არსებობა საეჭვოა ვინმემ დაიჯეროს, ანდა ეს ავტორი რეაქციისა და ბურჟუაზიის საამებლად ხიმართლეს ამახინჯებს. ყოველმა ადამიანმა, ვინც კი რამდენადმე მაინც იცნობს ბურჟუაზიული ქვეყნების საზოგადოებრივ პირობებს, იცის, რომ ფაქტიურ განქორწინებათა (რა თქმა უნდა, ეკლესიისა და კანონის მიერ დაუდასტურებელთა) ფაქტიური რიცხვი ყველგან განუზომლად უფრო მეტია. რუსეთი ამ მხრივ სხვა ქვეყნებისაგან მხოლოდ იმით განირჩევა, რომ მისი კანონები პატივით კი არ მოსავენ ფარისევლობასა და ქალის და მისი ბავშვის უუფლებო მდგომარეობას, არამედ აშკარად და სახელმწიფო ხელისუფლების სახელით სისტემატურ ომს უცხადებენ ყოველგვარ ფარისევლობასა და ყოველგვარ უუფლებობას.

მარქსისტულ ჟურნალს მოუხდება ომის წარმოება ამგვარ თანამედროვე «განათლებულ» მებატონეთა წინააღმდეგაც. ალბათ, მათი არც ისე მცირე ნაწილი ჩვენში სახელმწიფო ფულსაც კი იღებს და სახელმწიფო სამსახურშიც ირიცხება ახალგაზრდობის გასანათლებლად, თუმცა ამ მიზნისათვის ისინი გამოსადეგნი არიან იმდენადვე, რამდენადაც აშკარა გამხრწნელნი გამოდგებოდნენ მცირეწლოვანთა სასწავლებლებში აღმზრდელთა როლისათვის.

რუსეთში მუშათა კლასმა შესძლო ძალაუფლების მოპოვება, მაგრამ მისი გამოყენება ჯერ კიდევ ვერ ისწავლა, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი მსგავს მასწავლებლებს და სამეცნიერო საზოგადოებათა წევრებს დიდი ხანია ზრდილობიანად გაისტუმრებდა ბურჟუაზიული «დემოკრატიის» ქვეყნებში. ასეთი მებატონეებისათვის სწორედ იქ არის შესაფერისი ადგილი.

ისწავლის, ოღონდ ხალისი იყოს სწავლისა.

1922. 12. III.

«პოდ ზნამენემ მარქსიზმა» № 3,
1922 წ. მარტი
ხელმოწერა: ნ. ლ ე ნ ი ნ ი

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.,
ტ. 33, გვ. 262—275

«ბედნოტის» ოთხი წლის იუბილესათვის

მივესალმები «ბედნოტის» რედაქციას გაზეთის ოთხი წლის იუბილეს გამო.

ოთხი წელიწადი ღირსეულად და წარმატებით იღვწოდა გაზეთი, რომ სამსახური გაეწია მშრომელი გლეხობის ინტერესებისათვის. კაპიტალისტებისა და მემამულეების მიერ ხალხებისთვის თავს მოხვეულმა ომმა ისე გააჩანაგა რუსეთი, რომ მშრომელი გლეხობა ჩვენში ჯერ კიდევ ღარიბია. ჯერ კიდევ ბევრი და მძიმე მუშაობა მოელის რუსეთის მშრომელ მასებს, რომ დაძლიოს შიმშილი და სიღატაკე, გაჭირვება და გაჩანაგება, რაც გამოწვეულია ომის შედეგებით.

მაგრამ ამ მძიმე სამუშაოს რუსეთის გლეხები და მუშები შეასრულებენ და რადაც უნდა დაჯდეს ბოლომდე მიიყვანენ. ამ მუშაობაში მუშებსა და გლეხებს გაამხნევებს და განამტკიცებს იმის შეგნება, რომ ისინი ახლა იშრომებენ საკუთარი თავისთვის, საკუთარი ცხოვრების გასაუმჯობესებლად და არა მემამულეებისა და კაპიტალისტების გასამდიდრებლად.

მუშათა და გლეხთა კავშირი — აი რა მოგვცა საბჭოთა ხელისუფლებამ. აი რაშია მისი ძალა. აი რა არის ჩვენი წარმატებებისა და ჩვენი საბოლოო გამარჯვების საწინდარი.

ამ კავშირმა მოგვანიჭა გამარჯვება კოლჩაკსა და დენიკინზე, რომლებიც ცდილობდნენ აღედგინათ რუსეთში მემამულეების ძალაუფლება კაპიტალისტების მიერ გამოგზავნილი უცხოური ჯარების დახმარებით.

ამჟამად უცხოელი კაპიტალისტები იძულებული არიან სავაჭრო ხელშეკრულებანი დადონ საბჭოთა რუსეთთან. ეს ხელშეკრულებანი დახმარებას გაგვიწევენ შევიძინოთ საჭირო სასოფლო-სამეურნეო იარაღები, მანქანები და სხვა საგნები გაჩანაგებული გლეხური მეურნეობის აღსადგენად.

ამჟამად ჩვენ განვიცდით უაღრესად მძიმე გაზაფხულს, მშიერი წლის შემდეგ. მაგრამ ნუ დავეცემით სულით. რაც უნდა დიდი იყოს

მუშათა და გლეხთა გაჭირვება, ჩვენ ახლა მოვიპოვეთ უფლება და შესაძლებლობა ვიმუშაოთ ჩვენთვის და არა მემამულისთვის. და ჩვენ აღვაღგენთ და გავაუმჯობესებთ გაჩანაგებულ მეურნეობას.

1922. 23. III.

ნ. ლენინი

«ხვდნოტა» № 1183,
1922 წ. 26 მარტი

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც., ტ. 33, გვ. 290—291

რკპ (ბ) XI ყრილობა

1922 წ. 27 მარტი — 2 აპრილი

2

რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ანგარიში 27 მარტს

... საერთოდ გენუის ამბავი თქვენ ყველამ იცით, იმიტომ რომ პრესა ამ საკითხს დიდ ადგილს უთმობდა, — ჩემი შეხედულებით ზომაზე მეტსაც კი, საერთოდ ჩვენი მშენებლობის, განსაკუთრებით კი სამეურნეო მშენებლობის ნამდვილ, პრაქტიკულ და არსებით საჭიროებათა საზიანოდ. ევროპაში, გასაგებია, ყველა ბურჟუაზიულ ქვეყანაში, ძალიან გართული არიან ყოველგვარი ლაქლაქით გენუის შესახებ. ჩვენ კი ამჯერად (თუმცა არა მარტო ამჯერად) მათ ვბაძავთ და ზომაზე მეტადაც ვბაძავთ....

... ევროპის ბურჟუაზიული პრესა ხელოვნურად და განზრახ ბერავს და აზვიადებს ამ კონფერენციის[22] მნიშვნელობას, ატყუებს მშრომელ მასებს (ასე იქცევა ყოველთვის მთელი ბურჟუაზიული პრესის $^{9}/_{10}$ ყველა ამ თავისუფალ დემოკრატიულ ქვეყანასა და რესპუბლიკაში). ჩვენ ცოტა არ იყოს ავყევით ამ პრესას. როგორც ყოველთვის, ჩვენი გაზეთები ჯერ კიდევ ბაძავენ ძველ ბურჟუაზიულ ჩვეულებებს, მათ არ სურთ ახალ სოციალისტურ რელსებზე გადავიდნენ, და ჩვენ იმაზე მეტი ხმაური ავტეხეთ, ვიდრე საგანი ამის ღირსია. არსებითად, კომუნისტებისათვის, განსაკუთრებით იმათთვის, რომლებმაც გადაიტანეს ისეთი სერიოზული წლები, როგორც ჩვენ გადავიტანეთ, დაწყებული 1917 წლიდან, რომელთაც უნახავთ პოლიტიკის ისეთი სერიოზული კომბინაციები, როგორიც ჩვენ მას შემდეგ გვინახავს, გენუა დიდ სიძნელეებს არ წარმოადგენს...

... სახელმწიფო კაპიტალიზმის საკითხში, მე ვფიქრობ, საერთოდ ჩვენი პრესა და საერთოდ ჩვენი პარტია იმ შეცდომას სჩადის, რომ ჩვენ ვვარდებით ინტელიგენტობაში, ლიბერალიზმში, ჭკუას ძალას ვატანთ, იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გვესმოდეს სახელმწიფო კაპიტალიზმი, და ჩავცქერით ძველ წიგნებს. იქ კი სრულიად სხვა რამეზე სწერია: იქ სწერია იმ სახელმწიფო კაპიტალიზმზე, რომელიც კაპიტალიზმის დროს არის, მაგრამ არ არის არც ერთი წიგნი, რომელიც დაწერილი იყოს იმ სახელმწიფო კაპიტალიზმზე, რომელიც კომუნიზმის დროს არის ხოლმე. თვით მარქსიც კი ვერ მიხვდა დაწერა თუნდაც ერთი სიტყვა ამის გამო და ისე მოკვდა, რომ არც ერთი ზუსტი ციტატი და უდავო მითითება არ დაუტოვებია. ამიტომ ჩვენ ახლა თვითონვე გვიხდება თავის გართმევა. და თუ გონებაში საერთოდ ერთი შეხედვით მიმოავლებ თვალს ჩვენს პრესას სახელმწიფო კაპიტალიზმის საკითხზე, როგორც მე ვცადე ეს, როცა ამ მოხსენებისათვის უემზადებოდი, რწმუნდები, რომ იქ სრულიად აცილებენ მიზანს, სრულიად სხვაგან იხედებიან...

ეურადღების ცენტრი იმაში კი არ არის, რომ იკანონმდებლო, საუკეთესო დეკრეტები გამოსცე და ა. შ.. ჩვენ გვქონდა ისეთი ხანა, როცა დეკრეტები პროპაგანდის ფორმას წარმოადგენდა. ჩვენ დაგვიცინოდნენ, ამბობდნენ, ბოლშევიკებს არ ესმით, რომ მათ დეკრეტებს არ ასრულებენო; მთელი თეთრგვარდიული პრესა სავსეა დაცინვით ამის გამო, მაგრამ ეს ხანა კანონიერი იყო, როცა ბოლშევიკებმა ძალაუფლება აიღეს და უბრალო გლეხს, უბრალო მუშას უთხრეს: აი სახელმწიფოს როგორი მართვა გვსურს არსებობდეს, აი დეკრეტი, სინჯეთ. უბრალო მუშასა და გლეხს ჩვენ ერთბაშად ვაცნობდით ჩვენს შეხედულებებს პოლიტიკაზე დეკრეტების ფორმით. ამის შედეგი იყო იმ უდიდესი ნდობის მოპოვება, რომელიც ჩვენ გვქონდა და გვაქვს ხალხის მასებში. ეს იყო დრო, ეს იყო ხანა, რომელიც აუცილებელი იყო რევოლუციის დასაწყისში, უამისოდ ჩვენ სათავეში ვერ ჩავუდგებოდით რევოლუციურ ტალღას, და კუდში ჩანჩალს დავიწყებდით. უამისოდ ჩვენდამი ნდობა არ ექნებოდა ყველა მუშასა და გლეხს, რომელთაც სურდათ ცხოვრების ახალ საფუძვლებზე აშენება. მაგრამ ამ ხანამ განვლო, ჩვენ კი არ გვინდა გავიგოთ ეს. ახლა გლეხები და მუშები სიცილს დაიწყებენ, როცა მოვითხოვთ ამა და ამ დაწესებულების აშენებას, გარდაქმნას. ახლა უბრალო მუშა და გლეხი ამით აღარ დაინტერესდებიან, და მართალიც იქნებიან, რადგან სიმძიმის ცენტრი ამაში არ არის. შენ, კომუნისტი, ახლა ხალხში ამით კი არ უნდა მიდიოდე. თუმცა ჩვენ, სახელმწიფო დაწესებულებებში მსხდომნი, მუდამ გადატვირთული ვართ ასეთი

წვრილმანებით, მაგრამ ჯაჭვის ამ რგოლს კი არ უნდა ჩავჭიდოთ ხელი, თავიდათავი ეს კი არ არის, თავიდათავი ისაა, რომ ადამიანები სწორად არ არიან განლაგებული, რომ პასუხისმგებელ კომუნისტს, რომელმაც შესანიშნავად ჩაატარა მთელი რევოლუცია, ჩაბარებული აქვს ის სავაჭრო-სამრეწველო საქმე, რაშიც მას არაფერი გაეგება და ხელს გვიშლის დავინახოთ სიმართლე, რადგან მის ზურგს უკან საუცხოოდ იმალებიან საქმოსნები და თაღლითები. საქმე იმაშია, რომ ჩვენ არა გვაქვს იმის პრაქტიკული შემოწმება, რაც შესრულებულია. ეს პროზაიკული, პატარა ამოცანაა, ეს წვრილმანი საქმეებია, მაგრამ ჩვენ ვცხოვრობთ უდიდესი პოლიტიკური გადატრიალების შემდეგ, ისეთ პირობებში, როცა ჩვენ რამდენიმე ხანი უნდა ვიარსებოთ კაპიტალისტური წყობის ვითარებაში, როცა თავიდათავია არა პოლიტიკა, ამ სიტყვის ვიწრო გაგებით (ის, რასაც გაზეთებში ამბობენ, პოლიტიკური ლაქლაქია და აქ სოციალისტური არაფერია), როცა თავიდათავია არა რეზოლუციები, არა დაწესებულებები, არა ხელახალი ორგანიზაცია. რამდენადაც ეს აუცილებელია ჩვენთვის, ამას გავაკეთებთ, მაგრამ ნუ მიძვრებით ამით ხალხში, შეარჩიეთ საჭირო ადამიანები და შეამოწმეთ პრაქტიკული შესრულება, — და ხალხი ამას დააფასებს...

დაიბეჭდა 1922 წელს წიგნში: «რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) მეთერთმეტე ყრილობა. სტენოგრაფიული ანგარიში». მოსკოვი, რკპ ც. კ-ის საგამომცემლო განყოფილება

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც., ტ. 33, გვ. 305, 308—309, 323—324, 356—357

დადგენილებიდან მოადგილეთა (სახკომსაბჭოსა და შრომისა და თავდაცვის საბჭოს მოადგილეთა) მუშაობის შესახებ"

...16. საგუბერნიო ეკონომიური თათბირების ანგარიშებს წესიერად უნდა კითხულობდნენ, ჯერ-ერთი, სახელმწიფო საგეგმო კომისიის წევრები და ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოსა და «ეკონომიჩესკაია ჟიზნის» მუშაკები, ისე, რომ ყოველი წამკითხველი სულ მოკლე შეფასებას იძლეოდეს პრესისათვის ან თავისი დაწესებულებისათვის და პასუხს აგებდეს აუცილებელი დროული მითითებებისა და დასკვნებისათვის; მეორე, რამდენიმე ათეული (არანაკლები) კომუნისტისაგან შემდგარი ჯგუფი შეძლებისდაგვარად იმათი რიცხვიდან, ვინც მოსამსახურედ არ ითვლება და შეუძლია ანგარიშები წაიკითხოს არა საუწყებო, არამედ მ ხ ო ლ ო დ კომუნისტური თვალსაზრისით.

პეტროგრადის ჯგუფს ამხ. მილიუტინის მეთაურობით ევალება განაგოს საგუბერნიო ეკონომიური თათბირების ანგარიშების განაწილება ამ ანგარიშების წასაკითხად და გამოსაყენებლად გაზეთებში, ჟურნალებში, შეჯამებითს ბროშურებში და სხვ.

საჭიროა განუხრელად ვიბრძოლოთ იმისათვის, რომ თანდათანობით გაფართოვდეს ყოველგვარი ეკონომიური დაწესებულებების (სამაზრო ეკონომიური თათბირების, სახელმწიფო ტრესტების, «შერეულ საზოგადოებათა» და სხვ. და ა. შ.) აუცილებლად დასაბეჭდი ანგარიშების რიცხვი, რადგან მოსახლეობის რაც შეიძლება მეტი რაოდენობა თუ არ შევაჩვიეთ ასეთი ანგარიშების წაკითხვას ბიბლიოთეკებში, ლაპარაკიც კი შეუძლებელია იმაზე, რომ ნახევრადაზიური ქვეყანა ნამდვილად გადავაქციოთ კულტურულ და სოციალისტურ ქვეყნად.

17. გაზეთი «ეკონომიჩესკაია ჟიზნ» უნდა გადაიქცეს შრომისა და თავდაცვის საბჭოს ნამდვილ ორგანოდ, ს ა მ ე უ რ ნ ე ო მ ა რ თ ვ ი ს ო რ გ ა ნ ო დ. ორივე მოადგილემ რეგულარულად უნდა იკით-

ხონ იგი და დაუნდობლად ებრძოლონ ყველა ლიტერატორის და ყველა საბჭოთა მუშაკის გაბატონებულ მისწრაფებას — დაიყვანონ ეს გაზეთი «აზრთა», შეხედულებათა და კინკლაობის ჩვეულებრივ «ნახევრადდამოუკიდებელი», ინტელიგენტურ-ბურჟუაზიული ორგანოს დონემდე, რომლის ფურცლებზე აღარ იქნება მოთავსებული ანგარიშების შენაჯამები, არავინ გაუწევს კონტროლს მათ წესიერ შემოსვლას, არავინ გაუკეთებს სერიოზულ ანალიზს სამეურნეო მუშაობას ცალკეულ დაწესებულებათა მიხედვით, არავინ გააკრიტიკებს სერიოზულად კარგ და უვარგის დაწესებულებებს, პირებს, მუშაობის ხერხებსა და სხვ.

წლობით მოგვიხდება ბრძოლა «ეკონომიჩესკაია ჟიზნის» გადასაქცევად სამეურნეო მართვის ნამდვილ ორგანოდ, სოციალისტური მშენებლობის ნამდვილ ორგანოდ, მაგრამ მით უფრო აუცილებელია განუხრელი და სისტემატური ბრძოლა.

18. იგივე ითქმის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოზე. იგი უნდა იყოს არა «აკადემიური» და არა «დამოუკიდებელი» ორგანო, რასაც იგი $^{9}/_{10}$-ით წარმოადგენს ამჟამად ძველი ბურჟუაზიული ჩვეულების გამო, არამედ სოციალისტური მშენებლობის ორგანო, იმის შემოწმების, კონტროლის, აღრიცხვის ორგანო, რაც უნდა იცოდეს სოციალისტურმა სახელმწიფომ ახლა, ამჟამად, პირველ რიგში. ძველ ჩვეულებათა წინააღმდეგობა აქაც აუცილებლად ძალიან შეუპოვარი იქნება; მით უფრო შეუპოვარი უნდა იყოს ბრძოლა. (ვთხოვ მოადგილეებს გადაათვალიერონ ჩემი 1921 წლის ზაფხულის მიწერ-მოწერა აღნიშნულ თემაზე «ეკონომიჩესკაია ჟიზნის» რედაქტორთან და ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსთან).

პირველად დაიბეჭდა 1928 წ.

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოცემა, ტ. 33, გვ. 397—398

ნ. ოსინსკის

1) «პრავდის» რედაქციას
პირები 2) ამხ. სტეკლოვს
3) რიკოვსა და ციურუპას

1922. 12. IV.

ამხ. ოსინსკი!

დიდად მივესალმები დღევანდელ «პრავდაში» მოთავსებულ თქვენს სტატიას: «ადგილობრივი გამოცდილების ახალი მონაცემები». ჩვენ ყველაზე მეტად სწორედ ასეთი სტატიები გვაკლია, და ვფიქრობ, საჭიროა ყოველ სახალხო კომისარიატში «გავიჩინოთ» თითო პუბლიცისტი (რომელიც ყველაზე ახლოს იქნება დაკავშირებული სახალხო კომისარიატისა და სახალხო კომისრის მუშაობასთან) ასეთ მიმოხილვათა შესადგენად.

ყველაზე ცუდი ჩვენში ის არის, რომ მეტისმეტად მოჭარბებულია ზოგადი მსჯელობა პრესაში და პოლიტიკური ლაქლაქი მაშინ, როცა ძალიან ნაკლებად შ ე ვ ი ს წ ა ვ ლ ი თ ხოლმე ადგილობრივ გამოცდილებას. ადგილებზეც და ზემოთაც მძლავრი ტენდენციები იბრძვიან ამ გამოცდილების მართლად გამოვლინებისა და მართლად შეფასების წინააღმდეგ. ეშინიათ იმისა, რომ ქოხიდან ნაგავი გაიტანონ, ეშინიათ აშკარა სიმართლისა, გვერდს უვლიან მას «რაღაცაზე შეხედულებით», პირდაპირ რომ ვთქვათ, ქარაფშუტობით...

კიდევ და კიდევ უფრო კონკრეტულად შევისწავლოთ ადგილობრივი გამოცდილება, დეტალები, წვრილმანები, პრაქტიკა, საქმიანი გამოცდილება, ღრმად ჩავწვდეთ როგორც მაზრის, ისე თემის, სოფლის ნამდვილ ცხოვრებას; გავარჩიოთ, თუ სად, ვინ და რატომ (რა საშუალებებით) ახერხებს, მიუხედავად უსაზღვრო სიღატაკისა და გაჩანაგებისა, მიაღწიოს ნამდვილ, თუმცა მცირე გაუმჯობესებას; არ გვეშინოდეს გამოვამჟღავნოთ შეცდომები და უუნარობა; მთელი ძალ-ღონით გავუწიოთ პოპულარიზაცია და **რეკლამირება** ყოველ

რამდენადმე მაინც თვალსაჩინო ადგილობრივ მუშაკს, დავხატოთ ეგი ნიმუშად. რაც უფრო მეტი იქნება ასეთი მუშაობა, რაც უფრო ღრმად ჩავწვდებით ცოცხალ პრაქტიკას და ჩამოვაშორებთ როგორც ჩვენს, ისე მკითხველთა ყურადღებას მყრალ-კანცელარულ და მყრალ-ინტელიგენტურ მოსკოვურ (და საერთოდ «სოვბურულ») ჰაერს, მით უფრო წარმატებით გაუმჯობესდება როგორც ჩვენი პრესა, ისე მთელი ჩვენი მშენებლობა.

ერთხელ კიდევ მიესალმები თქვენს თაოსნობას და ძალიან გისურვებთ შემდეგაც უფრო ფართოდ და უფრო ღრმად განაგრძოთ იმავე მიმართულებით.

კომ. სალამით. ლ ე ნ ი ნ ი.

პირველად დაიბეჭდა 1956 წ.
22 აპრილს გაზეთ «პრავდაში»
№ 113

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოცემ.
ტ. 36, გვ. 658—659

წინასიტყვაობიდან ბროშურისა:

«ძველი სტატიები ახალ თემებთან ,ახლობელ თემებზე»

წინასიტყვაობა 1922 წლის გამოცემისათვის[24]

...დასასრულ კიდევ ერთი უსათუოდ აუცილებელი შენიშვნა. ამ ბროშურიდან მე ამოვაგდე ჩემი საბოლოო სიტყვა, წარმოთქმული სრ. რუს. ცაკ-ში 1918 წლის გაზაფხულზე. ეს სიტყვა ისეა ჩაწერილი, რომ არაფრად არ ვარგა. ამის გამო უნდა გავიმეორო ის, რაც ერთხელ, 1919 თუ 1920 წელს, ვთქვი წერილში პეტროგრადელი ამხანაგების მიმართ, ვთქვი პრესისათვის განკუთვნილ წერილში, მაგრამ მათ, სამწუხაროდ, არ დაუბეჭდიათ. სახელდობრ: მე პასუხს არ ვაგებ ჩემი სიტყვების ტექსტისათვის, როგორც მათ ჩვეულებრივ გადმოსცემენ ხოლმე გაზეთებში, და ფრიად დაბეჯითებით გთხოვთ არ გადაბეჭდოთ ეს სიტყვები — მაშინ მაინც, თუ ამას უკიდურესი და განსაკუთრებული საჭიროება არ მოითხოვს, და ყოველ შემთხვევაში ამ ჩემი სავსებით გარკვეული განცხადების გაუმეორებლად. არ ვიცი რატომ ხდება ეს, იმიტომ რომ ხშირად ძალიან სწრაფად ვლაპარაკობ; იმიტომ რომ ხშირად ძალიან უმართებულოდ ვლაპარაკობ სტილისტიკის მხრივ; იმიტომ რომ ჩვენში სიტყვების ჩაწერა ჩვეულებრივ ნაუცბათევად და მეტისმეტად არადამაკმაყოფილებლად ხდება; ყველა ამ თუ კიდევ სხვა რაიმე, ერთად აღებული მიზეზების გამო, — მაგრამ ფაქტი ისაა, რომ ჩემი სიტყვების ჩანაწერების ტექსტის პასუხისმგებლობას არ ვკისრულობ და გთხოვთ არ გადაბეჭდოთ ისინი. დაე პასუხი აგონ იმათ, ვინც სიტყვის ჩაწერას აწარ-

მოებს. ხელმეორედ გამოსაცემად კი, თუ ამის საჭიროება არსებობს, ჭარბად მოგვეპოვება ბროშურები და სტატიები, რომელთა ტექსტისათვის მე უსათუოდ და მთლიანად პასუხისმგებელი ვარ.

1922. 28. IV.

ნ. ლ ე ნ ი ნ ი

დაბეჭდა 1922 წელს ბროშურაში: ნ. ლენინი (ვ. ი. ულიანოვი). «ძველი სტატიები ახალ თემებთან ახლობელ თემებზე», მოსკოვი

იბეჭდება ვ. ი. ლენინის ხელნაწერ ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც., ტ. 33, გვ. 407

«პრავდის» ათი წლის იუბილესათვის

ათი წელი შესრულდა იმ დროიდან, რაც დაარსდა ლეგალური — მ ე ფ ი ს კანონების მიხედვით ლეგალური — ბოლშევიკური ყოველდღიური გაზეთი «პრავდა». ხოლო ამ ათწლეულს წინ უსწრებს კიდევ, დაახლოებით, ათწლეული: ცხრა წელი (1903 — 1912), თუ ვიანგარიშებთ ბოლშევიზმის წარმოშობის დროიდან, ხოლო თუ სავსებით «ბოლშევიკური» მიმართულების ძველი «ისკრის» დაარსების დროიდან (1900) ვიანგარიშებთ, ცამეტი წელი (1900 — 1912).

ათი წლის იუბილე ყოველდღიური ბოლშევიკური გაზეთისა, რომელიც რუსეთში გამოდის... მხოლოდ ათმა წელმა განვლო მას შემდეგ! ხოლო ბრძოლისა და მოძრაობის შინაარსის მხრივ ამ ხნის განმავლობაში განვლილია ასი წელი. უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე საზოგადოებრივი განვითარების სისწრაფე პირდაპირ ზებუნებრივია, თუ გავზომავთ ძველი საზომით, ევროპელი ფილისტერების საზომით, მსგავსად II და II ½ ინტერნაციონალთა გმირებისა, —ამ ცივილიზებული ფილისტერებისა, რომლებიც მიჩვეული არიან «ბუნებრივად» ჩათვალონ, რომ ასეული მილიონობით ადამიანები (მილიარდზე მეტი, თუ ზუსტად ვიტყვით) კოლონიებში, ნახევრადდამოკიდებულ და სავსებით ღატაკ ქვეყნებში დათანხმდეს მოითმინოს ისეთი მოპყრობა, როგორც ეპყრობიან ინდოელებს ან ჩინელებს, მოითმინოს გაუგონარი ექსპლოატაცია, ნამდვილი ძარცვაც, შიმშილიც, ძალმომრეობაც, აბუჩად აგდებაც, ყველაფერი იმის გულისთვის, რომ «ცივილიზებულ» ადამიანებს შეეძლოთ «თავისუფლად», «დემოკრატიულად», «პარლამენტურად» გადაწყვიტონ საკითხი—მშვიდობიანად გაიყონ ნადავლი თუ ორიოდე ათეული მილიონი ადამიანი გაჟლიტონ იმპერიალისტური ნადავლის გაყოფის გულისთვის — გუშინ გერმანიასა და ინგლისს შორის, ხვალ იაპონიასა და ამერიკას შორის (საფრანგეთისა და ინგლისის ამა თუ იმ მონაწილეობით).

მსოფლიო განვითარების ამ უდიდესი დაჩქარების ძირითადი მი-

ზეზი ის არის, რომ მასში ასეული მილიონობით ახალი ადამიანი ებმება. ძველი ბურჟუაზიული და იმპერიალისტური ევროპა, რომელიც დედამიწის ცენტრად თვლიდა თავს, დალპა და გასკდა პირველსავე იმპერიალისტურ ომში, როგორც მყრალი მუწუკი. როგორც უნდა წუწუნებდნენ ამის გამო შპენგლერები და ყველა ის განათლებული მეშჩანი, რომლებიც აღტაცებაში მოჰყავს მას (ან თუნდაც ინტერესს იჩენენ მისდამი), მაგრამ ძველი ევროპის ეს დაცემა მხოლოდ ერთ-ერთი ეპიზოდია მსოფლიო ბურჟუაზიის დაცემის ისტორიაში, ბურჟუაზიისა, რომელიც ყელთამდე გამძღარია იმპერიალისტური ნადავლით და დედამიწის მოსახლეობის უმრავლესობის ჩაგვრით.

ამჟამად ამ უმრავლესობამ გაიღვიძა, იგი ამოძრავდა, და ამ მოძრაობის შეჩერება არ ძალუძთ ყველაზე ძლიერ და «მძლავრ» სახელმწიფოებს. ეს მათ ძალ-ღონეს აღემატება! პირველ იმპერიალისტურ ომში ახლანდელ «გამარჯვებულთ» ისიც კი არ ძალუძთ, რომ დაამარცხონ პატარა, სულ პატარა ირლანდია, არ ძალუძთ თავი გაართვან იმ დომხალსაც კი, რომელიც თვით მათ შორის შეიქმნა ფინანსურ და ვალუტის საკითხებში. ინდოეთი და ჩინეთი კი ბობოქრობენ. ეს 700 მილიონზე მეტი კაცია. ეს, გარშემო მდებარე და საესებით მათსავე აზიური ქვეყნების დამატებით, დედამიწის მოსახლეობის ნახევარზე მეტია. იქ ახლოვდება, შეუკავებლად და სულ უფრო და უფრო სწრაფად ახლოვდება, 1905 წელი, — იმ არსებითი და უდიდესი განსხვავებით, რომ რუსეთის 1905 წლის რევოლუციას კიდევ შეეძლო (ყოველ შემთხვევაში, თავდაპირველად) განმარტოებულად ჩატარებულიყო, ე. ი. რევოლუციაში ერთბაშად არ ჩაება სხვა ქვეყნები. ხოლო ინდოეთი და ჩინეთი, სადაც რევოლუცია ვითარდება, უკვე ახლავე ებმებიან და კიდევაც ჩაებნენ რევოლუციურ ბრძოლაში, რევოლუციურ მოძრაობაში, საერთაშორისო რევოლუციაში.

ყოველდღიური ლეგალური ბოლშევიკური «პრავდის» ათი წლის იუბილე თვალსაჩინოდ გვიჩვენებს უდიდესი მსოფლიო რევოლუციის დიდი დაჩქარების ერთ-ერთ ნიშანსვეტს. 1906 — 1907 წლებში ცარიზმმა, თითქოს, სასტიკად დაამარცხა რევოლუცია. ბოლშევიკურმა პარტიამ რამდენიმე წელში შესძლო — ს ხ ვ ა ს ა ხ ი თ, ს ხ ვ ა ნ ა ი ი რ ა დ — შეკრილიყო მტრის ციხე-სიმაგრეში და ყო-

ველდღიურად, «ლეგალურად» დაეწყო წყეული მეფისა და მემამულური თვითმპყრობელობის შიგნიდან აფეთქება. განვლო კიდევ რამდენიმე წელმა, და ბოლშევიზმის მიერ მოწყობილმა პროლეტარულმა რევოლუციამ გაიმარჯვა.

როდესაც 1900 წელს ძველი «ისკრა» არსებობდა, ამ საქმეში მონაწილეობას იღებდა რაღაც ათიოდე რევოლუციონერი. როცა ბოლშევიზმი ჩნდებოდა, ამ საქმეში მონაწილეობას იღებდა, ბრიუსელისა და ლონდონის არალეგალურ ყრილობებზე 1903 წელს, ოთხიოდე ათეული რევოლუციონერი.

1912 — 1913 წლებში, როცა ლეგალური ბოლშევიკური «პრავდა» წარმოიშვა, მას ზურგს უმაგრებდნენ ათეული და ასეული ათასობით მუშები, რომლებმაც თავიანთი კაპიკობით შეგროვილი ფულით ცარიზმის უღელიც დაამხეს და სოციალიზმის წვრილბურჟუაზიულ გამყიდველთა, მენშევიკთა, მეტოქეობაც დასძლიეს.

1917 წლის ნოემბერში დამფუძნებელი კრების არჩევნებში ბოლშევიკებმა მიიღეს 9 მილიონი ხმა 36 მილიონიდან. სინამდვილეში კი, არა კენჭისყრაში, არამედ ბრძოლაში, 1917 წლის ოქტომბრის დამლევს და ნოემბერში ბოლშევიკებს მხარს უჭერდა პროლეტარიატისა და შეგნებული გლეხობის უ მ რ ა ვ ლ ე ს ო ბ ა, საბჭოების სრულიად რუსეთის II ყრილობის დელეგატთა უმრავლესობის სახით, მშრომელი ხალხის ყველაზე აქტიური და შეგნებული ნაწილის უმრავლესობის, სახელდობრ მაშინდელი თორმეტმილიონიანი არმიის სახით.

ასეთია უკანასკნელ ოცწლეულში მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის «დაჩქარების» პატარა ციფრობრივი სურათი. ძალიან პატარა, ძალიან არასრული სურათი, რომელიც ძალიან უხეშად გამოხატავს სულ რაღაც 150-მილიონიანი ხალხის ისტორიას, მაშინ როდესაც ამ ოცი წლის განმავლობაში დაიწყო და უძლეველ ძალად გაიზარდა რევოლუცია იმ ქვეყნებში, რომელთა მოსახლეობა ერთ მილიარდზე მეტს შეადგენს (მთელი აზია, თან არ უნდა დავივიწყოთ აგრეთვე სამხრეთი აფრიკაც, რომელმაც ამას წინათ მოგვაგონა თავისი პრეტენზია — გვინდა ა დ ა მ ი ა ნ ე ბ ი ვიყოთ და არა მონებიო, და მოგვაგონა არცთუ მაინცდამაინც «პარლამენტურად»).

და თუ ვიღაც, მაპატიეთ ასეთი გამოთქმა, «წვრილფეხა შპენგ-

ლერები» აქედან იმ დასკვნას გამოიტანენ (ყოველგვარ სისულელეს უნდა მოელოდეს კაცი II და II½ ინტერნაციონალთა «ბრძენი» ბელადებისაგან), თითქოს ამ ანგარიშით რევოლუციური ძალებისაგან გამორიცხულია ევროპისა და ამერიკის პროლეტარიატი, ამაზე ჩვენ ვუპასუხებთ: ხსენებული «ბრძენი» ბელადები მუდამ ისე მსჯელობენ, თითქოს იმ გარემოებიდან, რომ ჩასახვიდან ცხრა თვის შემდეგ უნდა მოველოდეთ ბავშვის დაბადებას, გამომდინარეობს მშობიარობის საათისა და წუთის, მშობიარობის დროს ბავშვის მდებარეობის და მშობიარობის მდგომარეობის განსაზღვრის შესაძლებლობაც და ისიც, თუ ზუსტად რა ტკივილები ექნება და რა საფრთხე მოელის ბავშვსა და მშობიარეს. «ბრძენი»! ისინი ვერასგზით ვერ მიმხვდარან, რომ საერთაშორისო რევოლუციის განვითარების თვალსაზრისით ჩარტიზმიდან ბურჟუაზიის წინაშე მოლაქე ჰენდერსონების, ან ვარლენიდან რენოდელის, ან ვილჰელმ ლიბკნეხტიდან და ბებელიდან ზუდეკუმის, შეიდემანისა და ნოსკეს მხარეზე გადასვლა— ეს არის მხოლოდ რაღაც იმის მსგავსი, რომ ავტომობილი ასვერსიანი გატკეცილი და სწორი შ ა რ ა გ ზ ი დ ა ნ «გადავიდეს» იმავე შარაგზის ბინძურ, მყრალ წუმპეში, რამდენიმე არშინის სიგრძე წუმპეში.

ადამიანები თვითონვე ქმნიან თავიანთ ისტორიას. მაგრამ ჩარტისტები, ვარლენები და ლიბკნეხტები ისტორიას ქმნიან თავიანთი თავით და თავიანთი გულით. ხოლო II და II½ ინტერნაციონალთა ბელადები მას «ქმნიან» სხეულის სულ სხვა ნაწილებით: ანოყიერებენ ნიადაგს ახალი ჩარტისტებისათვის, ახალი ვარლენებისათვის, ახალი ლიბკნეხტებისათვის.

დღევანდელ უ ძ ნ ე ლ ე ს მომენტში თავის მოტყუება უდიდეს ზიანს მოუტანდა რევოლუციონერებს. თუმცა ბოლშევიზმი საერთაშორისო ძალა გ ა ხ დ ა, თუმცა ყ ვ ე ლ ა ცივილიზებულ და მოწინავე ქვეყანაში უკვე გაჩნდნენ ახალი ჩარტისტები, ახალი ვარლენები, ახალი ლიბკნეხტები, რომლებიც იზრდებიან ლეგალური (როგორც ლეგალური იყო ჩვენი «პრავდა» ცარიზმის დროს ათი წლის წინათ) კომუნისტური პარტიების სახით, მიუხედავად ამისა საერთაშორისო ბურჟუაზია ჯერ კიდევ გაცილებით უფრო ძლიერია, ვიდრე მისი კლასობრივი მოწინააღმდეგე. ამ ბურჟუაზიას, რომელმაც

ყველაფერი გააკეთა რაც კი შეეძლო, რომ გაეძნელებინა რუსეთში პროლეტარული ძალაუფლების მშობიარობა, გაეთაკეცებინა მშობიარობის ტანჯვა და საშიშროება, ჯერ კიდევ ძალუძს ტანჯვა და სიკვდილი განუმზადოს მილიონობით და ათეულ მილიონობით ადამიანს თეთრგვარდიული და იმპერიალისტური ომების საშუალებით და სხვ... ეს არ უნდა დავივიწყოთ. უნარი უნდა შეგვწევდეს ახლანდელი ვითარების ამ თავისებურებას შევუფარდოთ ჩვენი ტაქტიკა. ბურჟუაზიას ჯერ კიდევ თავისუფლად შეუძლია აწამოს, აწვალოს, დახოცოს ხალხი. მაგრამ რევოლუციური პროლეტარიატის გარდუვალი და — მსოფლიო-ისტორიული თვალსაზრისით — ფრიად მოახლოებული სრული გამარჯვების შეჩერება მას არ შეუძლია.

1922. 2./V.

«პრავდა» № 98, 1922 წ. 5 მაისი
ხელმოწერა: ნ. ლ ე ნ ი ნ ი

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.,
ტ. 33, გვ. 409—414

«პეტროგრადსკაია პრავდას»[25]

1922 წ. 1. XI.

ძვირფასო ამხანაგებო! სულით და გულით მოგილოცავთ ოქტომბრის რევოლუციის ხუთი წლის იუბილეს და ვისურვებ, რომ ჩვენ მომავალი ხუთი წლის განმავლობაში ისეთივე წარმატებით ვიბრძოდეთ მშვიდობიან ფრონტზე, როგორც დღემდე სამხედრო ფრონტზე ვიბრძოდით.

საუკეთესო სალამით და სურვილებით

თქვენი ვ. ულიანოვი (ლენინი)

«პეტროგრადსკაია პრავდა» № 251
1922 წ. 5 ნოემბერი

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც., ტ. 33, გვ. 469

«პრავდას»

ძვირფასო ამხანაგებო! მხურვალედ მოგილოცავთ ოქტომბრის რევოლუციის ხუთი წლის იუბილეს. ჩემი სურვილია: რომ მომავალ ხუთწლეულში მოვიპოვოთ, და ამასთან მშვიდობიანი გზით, იმაზე არანაკლები, ვიდრე დღემდე შეიარაღებული ხელით მოგვიპოვებია.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

1922. 2. XI.

«პრავდა» № 252.
1922 წ. 7 ნოემბერი

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც., ტ. 33, გვ. 470

დ ა მ ა ზ ე ბ ა

3. ი. ლენინის მიერ ხელმოწერილი დეკრეტები და დადგენილებანი ბეჭდვითი სიტყვის შესახებ

დეკრეტი ბეჭდვითი სიტყვის შესახებ

გადატრიალებისა და უშუალოდ მისი მომდევნო დღეების მძიმე გადამწყვეტ ჟამს დროებითი რევოლუციური კომიტეტი იძულებული იყო მთელი რიგი ზომები მიეღო სხვადასხვა ელფერის კონტრრევოლუციური ბეჭდვითი სიტყვის წინააღმდეგ.

დაუყოვნებლივ ყოველი მხრიდან ატყდა ყვირილი იმის შესახებ, რომ ახალმა სოციალისტურმა ხელისუფლებამ, ამგვარად, დაარღვია თავისი პროგრამის ძირითადი პრინციპი, ხელყო რა ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლებაო.

მუშათა და გლეხთა მთავრობა მოსახლეობის ყურადღებას მიაქცევს იმას, რომ ჩვენს საზოგადოებაში ამ ლიბერალური ნიღბის უკან ფაქტიურად იმალება თავისუფლება მქონებელი კლასებისათვის — ხელთ იგდონ მთელი პრესის უდიდესი ნაწილი, დაუბრკოლებლად მოწამლონ ადამიანთა გონება და შეიტანონ შფოთი მასების შეგნებაში.

ყველამ იცის, რომ ბურჟუაზიული პრესა ბურჟუაზიის ერთ-ერთი უძლიერესი იარაღია. განსაკუთრებით კრიზისულ მომენტში, როცა ახალი ხელისუფლება, მუშათა და გლეხთა ხელისუფლება, მხოლოდ მტკიცდება, შეუძლებელი იყო მთლიანად დაგვეტოვებინა ეს იარაღი მტრის ხელში, მაშინ, როცა იგი არა ნაკლებ საშიშია ასეთ წუთებში, ვიდრე ბომბები და ტყვიამფრქვევები. აი სწორედ ამიტომ იქნა მიღებული დროებითი და საგანგებო ზომები იმ სიბინძურისა და ცილისწამების ნიაღვრის აღსაკვეთად, რომელშიაც ხალისით დაახრჩობდა ხალხის ახალმოპოვებულ გამარჯვებას ყვითელი და მწვანე პრესა.

როგორც კი ახალი წესრიგი განმტკიცდება, ყოველგვარი ადმინისტრაციული ზემოქმედება ბეჭდვითი სიტყვის მიმართ შეწყდება. მისთვის დაწესდება სრული თავისუფლება სასამართლოს წინაშე პასუხისმგებლობის ფარგლებში, თანახმად ამ მხრივ უაღრესად ფართო და პროგრესული კანონისა.

მაგრამ, ანგარიშს უწევს რა იმას, რომ ბეჭდვითი სიტყვის შეკვეთრება კრიზისულ მომენტებშიც კი დასაშვებია მხოლოდ აბსოლუტურად აუცილებელ ფარგლებში, სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

საერთო დებულება ბეჭდვითი სიტყვის შესახებ

1. უნდა დაიხუროს პრესის მხოლოდ ის ორგანოები, რომლებიც: 1) მოუწოდებენ მუშათა და გლეხთა მთავრობისადმი აშკარა წინააღმდეგობის გაწევისა და დაუმორჩილებლობისაკენ; 2) თესენ შფოთს ფაქტების აშკარად ცილისმწამებლური დამახინჯების გზით; 3) მოუწოდებენ აშკარად დანაშაულებრივ ე. ი. ისეთი ხასიათის მოქმედებისაკენ, რომელიც ისჯება სისხლის სამართლის წესით.

2. პრესის ორგანოების აკრძალვა, დროებითი თუ მუდმივი, ტარდება მხოლოდ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით.

3. ამ დებულებას დროებითი ხასიათი აქვს და ის გაუქმებულ იქნება განსაკუთრებული ბრძანებულებით საზოგადოებრივი ცხოვრების ნორმალური პირობების დამყარების შემდეგ.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე

ვ ლ ა დ ი მ ე რ უ ლ ი ა ნ ო ვ ი (ლ ე ნ ი ნ ი).

«პრავდა», № 171, 1917 წ. 10 ნოემბერი.

ბეჭდვითი სიტყვის რევოლუციური ტრიბუნალის შესახებ

სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტი

1) რევოლუციურ ტრიბუნალთან არსდება ბეჭდვითი სიტყვის რევოლუციური ტრიბუნალი. ბეჭდვითი სიტყვის რევოლუციური ტრიბუნალის გამგებლობას ექვემდებარება ის დანაშაულობანი და ბრალეულობანი ხალხის წინააღმდეგ, რომლებიც ჩადენილია ბეჭდვითი სიტყვის გამოყენების გზით.

2) ბეჭდვითი სიტყვის გამოყენების გზით ჩადენილ დანაშაულობებსა და ბრალეულობებს მიეკუთვნება ყოველგვარი მიწოდება ყალბი ან დამახინჯებული ცნობებისა საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენებზე, რამდენადაც ეს ცნობები წარმოადგენენ რევოლუციური ხალხის უფლებებისა და ინტერესების ხელყოფას, აგრეთვე საბჭოთა ხელისუფლების მიერ ბეჭდვითი სიტყვის შესახებ გამოცემულ კანონდებულებათა დარღვევები.

3) ბეჭდვითი სიტყვის რევოლუციური ტრიბუნალი შედგება 3 პირისაგან, რომლებსაც არა უმეტეს 3 თვის ვადით ირჩევს მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭო.

4) ა) წინასწარი გამოძიების საწარმოებლად ბეჭდვითი სიტყვის რევოლუციურ ტრიბუნალთან არსდება საგამომძიებლო კომისია სამი პირის შემადგენლობით, რომლებსაც ირჩევს მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭო.

ბ) ცნობის ან საჩივრის შემოსვლის შემდეგ, საგამომძიებლო კომისია 48 საათის განმავლობაში განიხილავს მათ და გზავნის საქმეს განსჯადობის მიხედვით ან ნიშნავს მოსასმენად რევოლუციური ტრიბუნალის სხდომაზე.

გ) საგამომძიებლო კომისიის დადგენილებანი დაპატიმრების, გაჩხრეკის, ჩამორთმევისა და დაპატიმრებულთა განთავისუფლების

შესახებ კანონიერია, თუ ისინი მიღებულია სამი პირისაგან შემდგარი კოლეგიის მიერ. იმ შემთხვევაში, რომლებიც გადადებას არ ითმენს, აღკვეთის ზომები შეიძლება ერთპიროვნულად მიიღოს საგამომძიებლო კომისიის თვითეულმა წევრმა იმ ვარაუდით, რომ ეს ზომა 12 საათის განმავლობაში დამტკიცდეს საგამომძიებლო კომისიის მიერ.

დ) საგამომძიებლო კომისიის განკარგულებანი სისრულეში მოჰყავთ წითელ გვარდიას, მილიციას, ჯარებს და რესპუბლიკის აღმასრულებელ ორგანოებს.

ე) საგამომძიებლო კომისიის დადგენილებებზე საჩივრები შეიტანება რევოლუციურ ტრიბუნალში და განიხილება ბეჭდვითი სიტყვის რევოლუციური ტრიბუნალის განმკარგულებელ სხდომაზე.

ვ) საგამომძიებლო კომისიას უფლება აქვს: ა) პოსთხოვოს ყველა უწყებასა და თანამდებობის პირთ, აგრეთვე ყველა ადგილობრივ თვითმმართველობას, სასამართლო დაწესებულებებს და ნოტარიალურ დაწესებულებათა ხელისუფალთ, საზოგადოებრივ და პროფესიულ ორგანიზაციებს, სავაჭრო-სამრეწველო საწარმოებს, მთავრობის საზოგადოებრივ და კერძო საკრედიტო დაწესებულებებს საჭირო ცნობებისა და საბუთების, აგრეთვე წარმოებით დაუმთავრებელი საქმეების მიწოდება; ბ) თავისი წევრებისა და საგანგებოდ რწმუნებული პირების მეშვეობით განიხილოს წინა მუხლში პოხსენიებული ყველა დაწესებულებისა და ხელისუფალთა საქმეები საჭირო ცნობების ამოსაკრებად.

5) სასამართლო გამოძიება მიმდინარეობს ბრალდებისა და დაცვის მონაწილეობით.

6) ბრალმდებლებად და დამცველებად, რომელთაც საქმეში მონაწილეობის მიღების უფლება სქვთ, დაიშვება, მხარეთა ამორჩევით, ორივე სქესის ყველა მოქალაქე, ვინც კი პოლიტიკური უფლებებით სარგებლობს.

7) ბეჭდვითი სიტყვის რევოლუციური ტრიბუნალის სხდომა საჯაროა. ბეჭდვითი სიტყვის რევოლუციურ ტრიბუნალში წარმოებს მთელი სხდომის სრული ანგარიში.

8) ბეჭდვითი სიტყვის რევოლუციური ტრიბუნალის გადაწყვეტილებანი საბოლოოა და მათი გასაჩივრება არ შეიძლება. მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოსთან არსებულ ბეჭდვითი სიტყვის საქმეთა კომისარიატს სისრულეში მოჰყავს ბეჭდვითი სიტყვის რევოლუციური ტრიბუნალის დადგენილებები და განაჩენები.

9) ბეჭდვითი სიტყვის რევოლუციური ტრიბუნალი განსაზღვრავს შემდეგ სასჯელს: 1) ფულადი ჯარიმა, 2) საზოგადოებრივი გაკიცხვის გამოცხადება, რის შესახებაც ტრიბუნალში მიცემული ბეჭდური ნაწარმოები საყოველთაოდ აცნობებს ტრიბუნალის მიერ მითითებული საშუალებებით, 3) განაჩენის მოთავსება თვალსაჩინო ადგილას ან ყალბი ცნობების სპეციალური უარყოფა, 4) გამოცემის შეჩერება დროებით ან სამუდამოდ ან მისი ამოღება ბრუნვიდან; 5) ბეჭდური გამოცემის სტამბების ან ქონების კონფისკაცია საერთო-სახალხო საკუთრებად, თუ ისინი ეკუთვნიან სამართალში მიცემულთ, 6) თავისუფლების აღკვეთა, 7) გაძევება დედაქალაქიდან, ცალკეული ადგილებიდან ან რუსეთის რესპუბლიკის ფარგლებიდან, 8) ყველა ან ზოგიერთი პოლიტიკური უფლების ჩამორთმევა დამნაშავისათვის.

10) ბეჭდვითი სიტყვის რევოლუციური ტრიბუნალის შენახვა ხდება სახელმწიფოს ხარჯზე.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ვ. ულიანოვი (ნ. ლენინი).

«გაზეთა რაბოჩეგო ი კრესტიანსკოგო პრავიტელსტვა», № 30, 1918 წ.
22 თებერვალი.

ბანკებზე ბურჟუაზიული გაზეთების დამოკიდებულების გამომკვლევი კომისიის დანიშვნის შესახებ

რეზოლუციის პროექტი

17 (4) ნოემბერი, 1917 წ.

პრესის თავისუფლება ბურჟუაზიას ესმოდა როგორც მდიდრების მიერ გაზეთების გამოცემის თავისუფლება, კაპიტალისტების მიერ პრესის ხელში ჩაგდება, რაც სინამდვილეში ყველგან ყველა ქვეყანაში, ყველაზე უფრო მდიდარი, თავისუფალი ქვეყნების გამოუკლებლივ, იწვევდა პრესის სინდისგარეცხილობას.

მუშურ და გლეხურ მთავრობას პრესის თავისუფლება ესმის როგორც პრესის განთავისუფლება კაპიტალის უღლისაგან, როგორც სახელმწიფოს საკუთრებად გადასვლა ქაღალდის ფაბრიკებისა და სტამბებისა, მოქალაქეთა თვითეული ჯგუფისათვის, რომლის შემადგენლობა განსაზღვრულ რიცხვს მიაღწევს (მაგალითად, 10 000-ს), თანასწორი უფლების მინიჭება — ისარგებლოს ქაღალდის მარაგის სათანადო წილით და სასტამბო შრომის სათანადო რაოდენობით.

როგორც პირველი ნაბიჯი ამ მიზნის განხორციელებისაკენ, რომელიც განუყრელად დაკავშირებულია კაპიტალის უღლისაგან მშრომელთა განთავისუფლებასთან, დროებითი მუშურ-გლეხური მთავრობა ნიშნავს საგამომძიებლო კომისიას იმის გამოსაკვლევად, თუ რა კავშირი აქვს პერიოდულ გამოცემებს კაპიტალთან, რა არის მათი სახსრებისა და შემოსავლის ჯამების წყარო, ვინ სწირავს მათ ფულს, ვინ ჰფარავს მათს დეფიციტს და საერთოდ რა მდგომარეობაშია გაზეთების მთელი მეურნეობა. საგამომძიებლო კომისიისთვის დავთრების, ანგარიშების და სხვა დოკუმენტების ყოველგვარი გადამალვა, აგრეთვე შეგნებულად რაიმე ცრუ ჩვენების მიცემა დაისჯება რევოლუციური სასამართლოს წესით.

გაზეთების ყველა მფლობელი, აქციონერი, აგრეთვე ყველა მოსამსახურე ვალდებულია დაუყოვნებლივ წარუდგინოს წერილობითი ანგარიშები და ცნობები აღნიშნულ საკითხებზე კაპიტალთან პრესის კავშირის და კაპიტალისაგან პრესის დამოკიდებულების გამომკვლევ საგამომძიებლო კომისიას სმოლნის ინსტიტუტში, პეტროგრადში.

საგამომძიებლო კომისია ინიშნება შემდეგი პირებისაგან*:

კომისიას უფლება აქვს შეავსოს თავისი შემადგენლობა, გამოიწვიოს ექსპერტები და მოწმეები, მოითხოვოს ყველა დავთრის გადაშლა და სხვ.

დეკრეტი განცხადებებზე სახელმწიფო მონოპოლიის შემოღების შესახებ

1. ბეჭდვითი სიტყვის პერიოდულ გამოცემებში, ისევე როგორც კრებულებსა და აფიშებში განცხადებების ფასგადახდევინებით ბეჭდვა. აგრეთვე განცხადებების ჩაბარება კიოსკებში, კანტორებში და სხვა ამგვარ დაწესებულებებში სახელმწიფოს მონოპოლიად ცხადდება.

2. ასეთი განცხადებების ბეჭდვა შეეძლიათ მხოლოდ დროებითი მუშათა და გლეხთა მთავრობის გამოცემებს პეტროგრადში და მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების გამოცემებს. განცხადებების ფასგადახდევინებით დაბეჭდვისათვის ის გამოცემები, რომლებსაც ამის უფლება არა აქვთ, იხურება.

3. გაზეთების, განცხადებათა მოსათავსებელი კანტორების მფლობელები, აგრეთვე ყველა მოსამსახურე კანტორებში, ექსპედიციებში და ყველა ამგვარ საწარმოებში მოვალენი არიან ეწეოდნენ თავიანთ საქმეს მანამდე, სანამ ჩააბარებდნენ მას სახელმწიფოს ზემოაღნიშნული ორგანოების სახით, პასუხს აგებენ მისი სრული წესრიგისათვის. საწარმოთა მსვლელობაში განუწყვეტელობის დაცვისათვის და იმისათვის, რომ საბჭოების გამოცემებს ჩააბარონ როგორც ყველა კერძო განცხადება, ისე მთელი ფულადი თანხები მიღებული განცხადებებისათვის, აგრეთვე უაღრესად სრული ანგარიში დოკუმენტების დართვით.

4. ყველა იმ გამოცემათა და საწარმოთა გამგეები, რომლებიც განცხადებებს ათავსებენ ფასგადახდევინებით, აგრეთვე ამ საწარ-

* ხელნაწერში დატოვებულია ადგილი გვარების ჩამოსათვლელად. რ ე დ.

მოთა ყველა მუშა-მოსამსახურენი ვალდებული არიან დაუყოვნებლივ შეიკრიბონ საქალაქო კრებებში და გაერთიანდნენ ჯერ საქალაქო კავშირებში, ხოლო შემდეგ სრულიად რუსეთის კავშირში, რათა უფრო წარმატებით და სწორად მოაწყონ საქმე, მიიღონ და საბჭოთა გამოცემებში მოათავსონ კერძო განცხადებები, აგრეთვე შეიმუშაონ მოსახლეობისათვის უფრო მოხერხებული წესები ამ განცხადებათა მიღებისა და დაბეჭდვისა.

5. ისინი, ვისაც ბრალი მიუძღვის დოკუმენტების ან თანხების დამალვაში, აგრეთვე 3 და 4 პარაგრაფებში აღნიშნული ღონისძიების შესრულებისადმი დაუდევრობაში და საბოტაჟში, ისჯებიან მთელი ქონების კონფისკაციით და 3 წლამდე პატიმრობით.

6. განცხადებების ფასგადახდევინებით მოთავსება კერძო გამოცემებში, ანგარიშების, სარეკლამო სტატიების სახით ან სხვა შენიღბული ფორმებით იწვევს იმავე სასჯელს.

7. აღნიშნულ საწარმოთა მუშა-მოსამსახურეების შენახვა მანამდე, სანამ ეს საწარმოები სახელმწიფოს ჩაბარდებოდეს, ხდება იმ საწარმოთა ჩასაბარებელი თანხებიდან, რომლებშიც ეს მუშა-მოსამსახურეები არიან დასაქმებული.

8. განცხადებათა მისაღებ და ჩასაბარებელ საწარმოთა კონფისკაციას სახელმწიფო ახდენს მათი მფლობელებისათვის, საჭიროების შემთხვევაში, დროებითი სახელმწიფო დახმარების მიცემით. ჩამოსართმევ საწარმოთა წვრილ მესაკუთრეებს, მეანაბრეებსა და აქციონერებს მთლიანად უბრუნდებათ მათი შენატანები.

9. ყველა გამოცემა, კანტორა, ექსპედიცია და საერთოდ საწარმოები, რომლებიც ფასიან განცხადებებს ათავსებენ, მოვალენი არიან დაუყოვნებლივ გადასცენ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებს ზუსტი ცნობები თავიანთი ადგილსამყოფელის შესახებ და შეუდგნენ საქმეებისა და განცხადებების ჩაბარებას მე-5 პარაგრაფში აღნიშნულ სასჯელთა შიშით.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ვ. ულიანოვი (ლენინი)

განათლების სახალხო კომისარი
ა. ვ. ლუნაჩარსკი

«გაზეთა ვრემენნოგო რაბოჩე-
კრესტიანსკოგო პრავიტელსტვა» № 6
1917 წ. 21 (8) ნოემბერი

28 ოქტომბერი (10 ნოემბერი). დადგენილება სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის მიერ დახურული გაზეთების გამოსვლის აკრძალვის შესახებ

ბეჭდვითი სიტყვის შესახებ დებულების I პუნქტის საფუძველზე სახალხო კომისართა საბჭო კრძალავს სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის მიერ დახურული ყველა გაზეთის გამოსვლას.

თავმჯდომარე ვ ლ ა დ ი მ ე რ უ ლ ი ა ნ ო ვ ი (ლ ე ნ ი ნ ი)
მდივნის მაგიერ სახალხო კომისართა საბჭოს წევრი კ. ს ტ ა ლ ი ნ ი

1917 წ. 28 ოქტომბერი
საბჭოთა ხელისუფლების დეკრეტები.
მ. პოლიტ. ლიტ. სახ. გამომც.
1957, ტომი I, გვ. 539

4(17) დეკემბერი. ორდერი ი. გ. წერეთლის, ვ. მ. ჩერნოვის, თ. ნ. დანისა და სხვათა დასაპატიმრებლად და რევოლუციური ტრიბუნალის სამართალში მისაცემად ცილისმწამებლურ გაზეთ «რევოლუციონნი ნაბატის» პროვოკაციული მიზნით გამოშვებისათვის

ორდერი

ი. გ. წერეთელი, ვ. მ. ჩერნოვი, თ. ნ .დანი, ლ. მ. ბრამსონი, მ. ი. სკობელევი, ა. რ. გოცი, ვ. ნ. როზანოვი, მ. ბინასიკი, გ. ვენგეროვი, ვ. ვ. ივანოვსკი, პ. გამბაროვი, ვ. გერმან-კამენსკი მიცემული არიან რევოლუციური ტრიბუნალის სამართალში ცილისმწამებლურ გაზეთ «რევოლუციონნი ნაბატის» 2 დეკემბრის №4-ის პროვოკაციული მიზნით გამოშვებისათვის, რომელიც აშკარად ყალბად მიაწერს საბჭოთა ხელისუფლებას «რუსეთის მიყიდვას ვილჰელმისათვის», «ნიკოლოზ რომანოვის განთავისუფლებას» და სხვ.

იმისათვის, რომ მათ თავი ვერ აარიდონ რევოლუციურ სამართალს და რომ შეწყდეს მათი კონტრრევოლუციური საქმიანობა, ისინი დაკავებულ უნდა იქნან.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ვ. ულიანოვი (ლენინი).
სახალხო კომისრები:
ი. სტალინი, ნ. ავილოვი (ნ. გლებოვი), ვ. მენჟინსკი, გ. პეტროვსკი,
სკს საქმეთა მმართველის მაგიერ ფ. ძერჟინსკი,
სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი ნ. გორბუნოვი.

საბჭოთა ხელისუფლების დეკრეტები,
მ. პოლიტ. ლიტ. სახ. გამომც.,
1957, ტომი 1, გვ. 549

სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტი

გადაეცეს 448 ათასი მან. განსაკუთრებული ზესახარჯთაღრიცხვო კრედიტით სახელმწიფო სტამბის განკარგულებაში მუშებისათვის ჯამაგირის მისაცემად და სხვა გადაუდებელ საჭიროებათათვის.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ვლ. ულიანოვი (ლენინი)

სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი
ვლ. ბონჩ-ბრუევიჩი
საბჭოს მდივანი ნ. გორბუნოვი

5. დეკემბერი 1917 წ.

დეკრეტი მიღებულ იქნა სახალხო კომისართა საბჭოს 4(17) დეკემბრის სხდომაზე.

საბჭოთა ხელისუფლების დეკრეტები,
მ. პოლიტ. ლიტ. სახ. გამომც.,
1957, ტომი I, გვ. 182

18 (29) დეკემბერი. მიწერილობა ბეჭდვითი სიტყვის საქმეთა კომისრის მოადგილეს ი. იანკოვსკის «ბირჟევიე ვედომოსტის» სტამბის რეკვიზიციისათვის ღონისძიებათა მიღების შესახებ

ბეჭდვითი სიტყვის საქმეთა კომისრის მოადგილეს ამხ. იანკოვსკის

სახალხო კომისართა საბჭო, მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილების თანახმად, წინადადებას აძლევს ამხ. იანკოვსკის, ბეჭდვითი სიტყვის საქმეთა კომისრის მოადგილეს, მიიღოს ყველა საჭირო ღონისძიება «ბირჟევიე ვედომოსტის» სტამბის რეკვიზიციისათვის მთელი სათავსებით, მანქანებით, სასტამბო მასალებით, ქაღალდითა და სხვა მოწყობილობით.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ვ. ულიანოვი (ლენინი)

სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის მაგიერ
მეხონოშინი
მდივანი ნ. გორბუნოვი

საბჭოთა ხელისუფლების დეკრეტები,
მ. პოლიტ. ლიტ. სახ. გამომც.,
1957, ტომი I, გვ. 551

ფოსტა-ტელეგრაფის უწყების დაწესებულებებში საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოებთა გაყიდვის დაწესების შესახებ

(სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტი)

სახალხო კომისართა საბჭო საჭიროდ ცნობს ფოსტა-ტელეგრაფის უწყების ორგანიზაციული აპარატი გამოყენებულ იქნას საბჭოთა რუსეთის მუშათა და გლეხთა მასების როგორც პერიოდული, ისე არაპერიოდული საბჭოთა და კომუნისტური ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოებებით ყველაზე უფრო ფართო და მუდმივი უზრუნველყოფის ინტერესებისათვის.

ამ მიზნით სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1) 1918 წლის 1 დეკემბრიდან ფოსტა-ტელეგრაფის უწყების ყველა დაწესებულებაში დაიწყოს საცალო გაყიდვა: გაზეთებისა, ჟურნალებისა, ბროშურებისა და წიგნებისა, რომლებსაც საბჭოთა ხელისუფლების ორგანოები ან კომუნისტური ორგანიზაციები უშვებენ.

2) უფლება მიენიჭოს ფოსტისა და ტელეგრაფის სახალხო კომისარიატს დაადგინოს განსაკუთრებული წესები აღნიშნულ გამოცემათა გადაგზავნისა და გაყიდვისა არსებული საფოსტო წესებისაგან დამოუკიდებლად.

3) დაევალოს ფოსტისა და ტელეგრაფის სახალხო კომისარიატს 1919 წ. 1 იანვრიდან საბჭოთა რუსეთის ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებებთან მოაწყოს საბჭოთა პერიოდული ბეჭდვითი სიტყვის ექსპედიცია, ისეთი სახით, რომ ფოსტა-ტელეგრაფის უწყებას შეეძლოს იკისროს შესრულება ხელმოწერის მიღებისა და საბჭოთა და კომუნისტური გამოცემებისა უშუალო ხელისმომწერთათვის დაგზავნის ყველა ფუნქციისა, ზედმეტი გახადოს არსებობა განსაკუთრებული საექსპედიციო აპარატებისა ამ გამოცემებთან.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე

ვ. ულიანოვი (ლენინი)

«იზვესტია ვსეროსსიისკოგო ცენტრალნოგო ისპოლნიტელნოგო კომიტეტა სოვეტოვ» № 257,
24 ნოემბერი, 1918 წ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

ბ ა ნ ყ ო ფ ი ლ ე ბ ა პ ი რ ვ ე ლ ი

ბეჭდვითი სიტყვა რუსეთში მარქსისტული პარტიის შექმნის პერიოდში

1 სტატიები «რუსეთის მუშათა ბეჭდვითი სიტყვის წარსულიდან» და «ჩვენი ამოცანები» პირველად დაიბეჭდა «რაბოჩის» № 1-ში, რომელიც ბროშურის სახით გამოიცა. ეს ნომერი, რომელიც მიძღვნილი იყო რუსეთის ბეჭდვითი სიტყვის ისტორიისადმი, გამოვიდა მუშათა პირველი ყოველდღიური გაზეთის «პრავდის» ორი წლის იუბილესათვის. იგი შედგებოდა ვ. ი. ლენინისა და ზინოვიევის სტატიებისაგან და 1917 წელს გამოიცა ცალკე ფურცლად «პრიბოის» გამომცემლობაში ხელმოწერით: ნ. ლენინი და გ. ზინოვიევი (50.000 ეგზ.). სტატია «რუსეთის მუშათა ბეჭდვითი სიტყვის წარსულიდან» ნ. ლენინის ხელმოწერით დაიბეჭდა 1922 წ. მაისში «სპუტნიკ კომუნისტას» № 14-ში, რაკ მოსკოვის კომიტეტის გამოცემა, და შემდეგ ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-4 გამოცემაში. უკანასკნელ დრომდე თელიდნენ, რომ მხოლოდ ეს სტატია ეკუთვნოდა ვ. ი. ლენინს. ამჟამად დადგენილია, რომ ლენინის მიერ არის აგრეთვე დაწერილი სტატიის «ჩვენი ამოცანები» დასკვნითი ნაწილი. — 31.

2 «კ ო ლ ო კ ო ლ» — პოლიტიკური ჟურნალი; გამოდიოდა დეეზით «ცოცხლებს მოვუხმობ!» («Vivos voco»). ჟურნალს უშვებდნენ ა. ი. გერცენი და ნ. პ. ოგარიოვი ა. ი. გერცენის მიერ დაარსებულ თავისუფალ რუსულ სტამბაში 1857 წლიდან 1865 წლის აპრილამდე ლონდონში და 1865 წლიდან 1868 წლის დეკემბრამდე — ჟენევაში. 1868 წელს ჟურნალი ფრანგულ ენაზე გამოდიოდა; ამავე დროს იბეჭდებოდა მისი დამატებანი რუსულ ენაზე.

«კოლოკოლის» დახასიათებას ლენინი იძლევა თავის სტატიაში «გერცენის ხსოვნას». — 31.

3 «ი ს კ რ ა» — პირველი საერთო-რუსული არალეგალური მარქსისტული გაზეთი, დაარსებული ლენინის მიერ 1900 წელს. რევოლუციონერ მარქსისტთა ამ მებრძოლი ორგანოს დაარსება იყო «ძირითადი რგოლი და ძირითადი ამოცანა იმ რგოლთა ჯაჭვში და იმ ამოცანების ჯაჭვში, რომელნიც მაშინ პარტიის წინაშე იდგნენ» (ს ტ ა ლ ი ნ ი).

ვინაიდან რევოლუციური გაზეთის გამოცემა რუსეთში პოლიციის დევნის გამო შეუძლებელი იყო, ლენინმა ჯერ კიდევ ციმბირში გადასახლებაში ყოფნის დროს ყოველმხრივ დეტალურად მოისაზრა მისი საზღვარგარეთ გამოცემის გეგმა. 1900 წლის იანვარში, გადასახლების ვადის გათავების შემდეგ, ლენინი დაუყოვნებლივ შეუდგა თავისი გეგმის განხორციელებას.

ლენინური «ისკრის» პირველი ნომერი გამოვიდა 1900 წლის 11 (24) დეკემ-

ბერს ლეიპციგში, შემდგომი ნომრები გამოდიოდა მიუნხენში, 1902 წლის აპრილიდან — ლონდონში და 1903 წლის გაზაფხულიდან — ჟენევაში.

«ისკრის» რედაქციაში შედიოდნენ ვ. ი. ლენინი, გ. ვ. პლეხანოვი, ი. ო. მარტოვი, პ. ბ. აქსელროდი, ა. ნ. პოტრესოვი და ვ. ი. ზასულიჩი. რედაქციის მდივნად 1901 წლის გაზაფხულიდან იყო ნ. კ. კრუპსკაია. ფაქტიურად ლენინი იყო «ისკრის» მთავარი რედაქტორი და ხელმძღვანელი. «ისკრაში» ის აქვეყნებდა სტატიებს პარტიის მშენებლობისა და პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ყველა ძირითად საკითხზე. ეხმაურებოდა საერთაშორისო ცხოვრების უმნიშვნელოვანეს მოვლენებს.

«ისკრას» უმნიშვნელოვანესი როლი ეკეთვნის მარქსისტული პარტიის იდეოლოგიური საფუძვლების შემუშავებაში.

ლენინის ინიციატივითა და მისი უშუალო მონაწილეობით «ისკრის» რედაქციამ შეიმუშავა პარტიის პროგრამის პროექტი (გამოქვეყნდა «ისკრის» № 21-ში) და მოამზადა რსდმპ II ყრილობა, რომელიც 1903 წ. იელის-აგვისტოში შედგა.

«ისკრა» თავის ფურცლებზე დიდ ადგილს უთმობდა ადგილობრივი სოციალ-დემოკრატიული პრესის მიმოხილვას, აკრიტიკებდა მის ნაკლოვანებებს, გაკვლევნას ახდენდა მის მიმართულებაზე.

«ისკრის» მუდმივი განყოფილებები იყო: პ ა რ ტ ი ი დ ა ნ; ჩ ვ ე ნ ი ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ ი ც ხ ო ვ რ ე ბ ი დ ა ნ; მ უ შ ა თ ა მ ო ძ რ ა ო ბ ი ს ქ რ ო ნ ი კ ა დ ა ფ ნ ე ბ ი ფ ა ბ რ ი კ ე ბ ი დ ა ნ დ ა ქ ა რ ხ ნ ე ბ ი დ ა ნ; ს ო ფ ლ ი დ ა ნ; უ ც ხ ო ე თ ი ს მ ი მ ო ხ ი ლ ვ ა; ს ა ფ ო ს ტ ო ყ უ თ ი. «ისკრის» ტირაჟი 8 ათას ეგზ. აღწევდა. რუსეთის არალეგალურ სტამბებში (ბაქოში, კიშინიოვში და სხვ.) გაზეთის მრავალი ნომრის გადაბეჭდვა ხდებოდა 10-12 ათასი ეგზ. ტირაჟით.

ვ. ი. ლენინი «ისკრის» არა მარტო იდეური ხელმძღვანელი იყო, არამედ მისი მთავარი პუბლიცისტიც, მრავალი სტატიის ავტორი. მან დაწერა 50 სტატიაზე მეტი მარქსიზმის თეორიისა და რევოლუციური მოძრაობის პრაქტიკის სხვადასხვა საკითხზე. მათ შორის ისეთი უმნიშვნელოვანესი ნაწარმოებები, როგორიცაა «ჩვენი მოძრაობის საარსებო ამოცანები», «მუშათა პარტია და გლეხობა», «რით დაიწყოთ?», «კრიზისის გაკვეთილები», «საზღვარგარეთული საქმეები», «საუბარი ეკონომიზმის დამცველებთან», «დემონსტრაციების დასაწყისი», «პოლიტიკური აგიტაცია და «კლასობრივი თვალსაზრისი»», «ეროვნული საკითხი ჩვენს პროგრამაში», «თვითმპყრობელობა ირყევა...» და სხვები.

ლენინური «ისკრა» წარმოადგენდა ცენტრს, რომელიც აერთიანებდა პარტიულ ძალებს, კრებდა და ზრდიდა პარტიულ კადრებს, რაზმავდა მათ საერთო-რუსულ მებრძოლ ცენტრალიზებულ პროლეტარულ პარტიად ნათელი მარქსისტული პროგრამით, რევოლუციური ტაქტიკით, ერთიანი ნებისყოფითა და რკინისებური დისციპლინით.

II ყრილობაზე დამტკიცებულ იქნა რედაქცია ლენინის, პლეხანოვისა და მარტოვის შემადგენლობით. მარტოვმა, პარტიის ყრილობის გადაწყვეტილების მიუხედავად, უარი სთქვა რედაქციის შემადგენლობაში შესვლაზე, და «ისკრის» №№ 46 — 51 ლენინისა და პლეხანოვის რედაქციით გამოვიდა. შემდეგში პლეხანოვი მენშევიზმის პოზიციებზე გადავიდა და მან მოითხოვა «ისკრის» რედაქციის შემადგენლობაში შეეყვანათ ყველა ძველი რედაქტორი-მენშევიკი, უარყოფილნი ყრილობის მიერ. ლენინს არ შეეძლო შერიგებოდა ამას და 1903 წლის 19 ოქტომბერს (1 ნოემბერს) გავიდა «ისკრის» რედაქციიდან იმ განზრახვით, რომ გამაგრებულიყო პარტიის ცენტრალურ კომიტეტში და ამ პოზიციიდან დაერტყა

ოპორტუნისტ-მენშეევიკებისთვის. 52-ე ნომერი გამოვიდა მარტო პლეხანოვის რედაქციით. 1903 წლის 13 (26) ნოემბერს პლეხანოვმა ერთპიროვნულად, ყრილობის ნების დარღვევით, «ისკრის» რედაქციის შემადგენლობაში კოოპტაციით შეიყვანა მისი ყოფილი მენშევიკი-რედაქტორები. 52-ე ნომრიდან მენშევიკებმა «ისკრა» თავიანთ ორგანოდ გადააქციეს და მპს 1905 წ. ოქტომბრამდე უშვებდნენ. — 33.

4 «რ ა ბ ო ჩ ი» — არალეგალური გაზეთი, რომელსაც სცემდა ბლაგოევის ჯგუფი პეტერბურგში 1885 წ., ქვესათაურად ჰქონდა: «სოციალ-დემოკრატების პარტიის გაზეთი». გამოვიდა გაზეთის ორი ნომერი. 1885 წ. მარტში ჯგუფის ხელმძღვანელი და გაზეთის რედაქტორი დ. ნ. ბლაგოევი დაპატიმრებულ იქნა და გაზეთის გამოცემაც შეწყდა. — 33.

5 «ს.-პ ე ტ ე რ ბ უ რ გ ს კ ი რ ა ბ ო ჩ ი ნ ლ ი ს ტ ო კ» — არალეგალური გაზეთი, პეტერბურგის «მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირის» ორგანო. სულ გამოვიდა ორი ნომერი. გაზეთის პირველი ნომერი გამოვიდა 1897 წლის თებერვალში. იგი დაიბეჭდა რუსეთში მიმეოგრაფზე 300 — 400 ცალად, მეორე ნომრის გამოშვება რუსეთში ვერ მოხერხდა. იგი გამოვიდა 1897 წლის სექტემბერში ჟენევაში (შვეიცარია).

გაზეთი აშუქებდა პროლეტარიატის ეკონომიურ ბრძოლას, აბდენდა ცალკეული პროკლამაციების გადაბეჭდვას, მოუწოდებდა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ, გამოდიოდა ძლიერი მუშათა პარტიის შექმნის მოთხოვნით. — 33.

6 «რ ა ბ ო ჩ ა ი ა მ ი ს ლ». გაზეთი, «ეკონომისტების» ორგანო. გამოდიოდა 1897 წლის ოქტომბრიდან 1902 წლის დეკემბრამდე. სულ გამოვიდა 16 ნომერი: №№ 1 — 2 დაიბეჭდა პეტერბურგში, გაზეთი № 3-დან 11-მდე გამოდიოდა საზღვარგარეთ (ბერლინი), №№ 12—15-ის ბეჭდვა გადატანილ იქნა ვარშავაში. უკანასკნელის № 16-ისა — ისევ საზღვარგარეთ (ბერლინი). გაზეთის რედაქტორები იყვნენ კ. მ. ტახტარევი და სხვ.

ვ. ი. ლენინმა გააკრიტიკა «რაბოჩაია მისლის» ოპორტუნისტული, რევოლუციური სოციალ-დემოკრატიისათვის უცხო მიმართულება (იხ. სტატიები «წერილი რედაქტორთა ჯგუფისადმი», «რუსეთის სოციალ-დემოკრატების პროტესტი», «უკუსვლითი მიმართულება რუსეთის სოციალ-დემოკრატიაში», «რით დავიწყოთ?», «რამდენიმე აზრი 7 ც. 6 ფ-ს წერილის გამო», აგრეთვე წიგნი «რა ვაკეთოთ?»). — 34.

7 «რ ა ბ ო ჩ ე ე დ ე ლ ო» — ჟურნალი, «ეკონომისტების» ორგანო. იცემოდა საზღვარგარეთ «რუსი სოციალ-დემოკრატების საზღვარგარეთული კავშირის» მიერ. გამოდიოდა ჟენევაში 1899 წლის აპრილიდან 1902 წლის თებერვალამდე. «რაბოჩეე დელოს» სათავეში ედგნენ ბ. ნ. კრიჩევსკი, ა. ს. მარტინოვი, პ. ტეპლოვი და ვ. პ. ივანშინი. სულ გამოვიდა 12 ნომერი — ცხრა წიგნად. 1902 წელს რედაქცია სცემდა ჰექტოგრაფიულ ბიულეტენს «რედაქციის მასალებიდან». ცნობილია ამ ბიულეტენის №№ 1 — 15.

ჟურნალი «რაბოჩეე დელო» პოლიტიკურ ბრძოლას განიხილავდა, როგორც მუშათა კლასის ეკონომიური ბრძოლის ერთ-ერთ ფორმას.

ჟურნალი უარყოფდა რევოლუციური თეორიის როლს, ქედს იხრიდა მუშათა მოძრაობის სტიქიურობის წინაშე. იგი «ეკონომისტების» შეხედულებათა პროპაგანდას ეწეოდა, მაგრამ ამას ყოველთვის აშკარად როდი აკეთებდა, ნიღბავდა თავის ნამდვილ შეხედულებებს მუშათა მოძრაობის მიზნებსა და საშუალებებზე.

ვ. ი. ლენინმა ნაშრომში «რა ვაკეთოთ?» მკაცრად გააკრიტიკა «რაბოჩეე დელოს» შეხედულებები. — 35.

8 «რ ა ბ ო ტ ნ ი კ» — არაპერიოდული კრებული, რომელსაც 1896 — 1899 წლებ-

ში საზღვარგარეთ სცემდა «რუსი სოციალ-დემოკრატების საზღვარგარეთის კავშირი». «რაბოტნიკის» გამოცემის ინიციატორი იყო ვ. ი. ლენინი. 1895 წლის 25 აპრილს (7 მაისს) ლენინი გაემგზავრა საზღვარგარეთ, რათა კავშირი დაეშყარებინა «შრომის განთავისუფლების» ჯგუფთან და გაცნობოდა დასავლეთ ევროპის მუშათა მოძრაობას. შვეიცარიაში იგი შეუთანხმდა გ. ვ. პლეხანოვს, პ. ბ. აქსელროდსა და ჯგუფის სხვა წევრებს კრებულის გამოცემისა და რედაქტირების შესახებ. როდესაც ლენინი 1895 წლის სექტემბერს რუსეთში დაბრუნდა, მან დიდი მუშაობა გააჩაღა კრებულის უზრუნველსაყოფად რუსეთიდან გაგზავნილი სტატიებითა და კორესპონდენციებით, აგრეთვე ამ გამოცემის მატერიალური დახმარების მოსაწყობად. «რაბოტნიკის» პირველი ნომერი, რომელშიც მოთავსებულია ლენინის სტატია «ფრიდრიხ ენგელსი» და რომლისთვისაც ლენინმა მოამზადა და გადაგზავნა რამდენიმე კორესპონდენცია, დაიბეჭდა არა უადრეს 1896 წლის მარტისა.

სულ გამოვიდა «რაბოტნიკის» 6 ნომერი ექვსი წიგნად და «ლისტოკ «რაბოტნიკასა» 10 ნომერი. — 35.

9 «ვ ა პ ე რ ი ო დ» — არალეგალური ბოლშევიკური გაზეთი. გამოდიოდა ჟენევაში 1904 წლის 22 დეკემბრიდან (1905 წლის 4 იანვრიდან) 1905 წლის 5 (18) მაისამდე. გამოვიდა 18 ნომერი. გაზეთი გამოდიოდა კვირაში ერთხელ 10 — 15 ათასი ეგზემპლარი ტირაჟით. გაზეთის შექმნის იდეა ეკუთვნის ვ. ი. ლენინს, იგი მისივე ხელმძღვანელი იყო. სარედაქციო კოლეგიის შემადგენლობაში შედიოდნენ: ვ. ი. ლენინი, ვ. ე. ეოროვსკი, მ. ს. ოლმინსკი, ა. ვ. ლუნაჩარსკი. გაზეთში აქტიურ მუშაობას ეწეოდნენ ვ. დ. ბონჩ-ბრუევიჩი, ნ. კ. კრუპსკაია, ვ. მ. ველიჩკინა, ლ. ა. ფოტიევა.

«ვპერიოდმა» გამოსელა დაიწყო რუსეთის საზოგადოებრივი განვითარების რთულ პერიოდში. ქვეყანა იმყოფებოდა სახალხო რევოლუციის წინ, რაც პროლეტარიატისაგან მოითხოვდა მაღალ ორგანიზებულობასა და შეგნებულობას, ხოლო მისი პოლიტიკური ორგანიზაციისაგან — ხალხის რევოლუციური ბრძოლის წინამძღოლობის უნარს. ამავე დროს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია, 1903 წლიდან მოყოლებული, ღრმა შინაპარტიულ კრიზისს განიცდიდა, რაც გამოწვეული იყო მენშევიკების ოპორტუნისტულ დეზორგანიზატორული მოქმედებებით. სწრაფად მოახლოებული რევოლუციის გამარჯვების უზრუნველყოფისათვის მნიშვნელოვანი იყო პარტიაში კრიზისის დაძლევა, მენშევიკ-ახალისკრელების მხილება, ტაქტიკურ და ორგანიზაციულ საკითხებში ბოლშევიზმის პრინციპების დაცვა და განვითარება, მარქსიზმის დროშის ქვეშ რუსეთის პარტიული ორგანიზაციების გაერთიანება და დარაზმვა.

როდესაც გაზეთ «ვპერიოდს» ჰქმნიდა, ვ. ი. ლენინი მას პარტიის მებრძოლი ტრიბუნის როლს ანიჭებდა ამ მომწიფებული საკითხების გადაჭრაში. ლენინის სიტყვებსა და სტატიებში გაზეთი უჩვენებდა ლიბერალების პოლიტიკის რეაქციულ არსს, რომლებიც ცდილობდნენ გარიგებოდნენ ცარიზმს, ღრმად დასაბუთა რუსეთის პროლეტარიატის როგორც ქვეყანაში მზარდი სახალხო რევოლუციის ჰეგემონის მსოფლიო-ისტორიული როლი.

ლენინურმა გაზეთმა «ვპერიოდმა» უდიდესი როლი შეასრულა პარტიის III ყრილობის მომზადებისათვის ბრძოლაში. ჯერ კიდევ ყრილობის მოწვევამდე დიდი ხნით ადრე გაზეთმა დაიწყო ვ. ი. ლენინისა და სხვა ავტორების სტატიების გამოქვეყნება, რომლებშიც მხილებული იყო ორგანიზაციულ საკითხებში მენშევიკების ოპორტუნიზმი, დასაბუთებული იყო და ფართო პროპაგანდა ეწეოდა პარტიის მშენებლობის ლენინურ ორგანიზაციულ პრინციპებს. ვ. ი. ლენინის სტატიაში «III პარტიული ყრილობის მოწვევის შესახებ», რომელიც აჯამებდა ყრილობის

მოწვევისათვის ბოლშევიკების ბრძოლის პირველ შედეგებს, აღნიშნული იყო, რომ ადგილობრივი სოციალ-დემოკრატიული კომიტეტები ერთმანეთის მიყოლებით მხარს უჭერენ გაზეთ «ვპერიოდის» პოლიტიკურ ხაზს, იწონებენ მის ბრძოლას მენშევიზმის წინააღმდეგ. რსდმპ III ყრილობამ სპეციალურ რეზოლუციაში ««ვპერიოდის» შესახებ» აღნიშნა გაზეთის დიდი დამსახურება პარტიის წინაშე, რევოლუციური მოძრაობის წინაშე. «იღებს რა მხედველობაში, — ნათქვამი იყო რეზოლუციაში, — რევოლუციურ ინიციატივას, რომელიც გამოიჩინა «ვპერიოდმა», როცა ის, ემყარებოდა რა II პარტიული ყრილობის მითითებებს, გამოვიდა «ისკრის» ოფიციალური დროშით პარტიაში შემოპარულ გადახვევათა კრიტიკით; იმ რევოლუციურ სიფხიზლეს, რომელიც გაზეთმა «ვპერიოდმა» გამოიჩინა რევოლუციური მოძრაობის მიერ წამოყენებულ ტაქტიკის საკითხთა დაყენებასა და გაშუქებაში; იმ ენერგიას, რომლითაც «ვპერიოდი» იბრძოდა პარტიაში გამოცოცხლებული დემაგოგიური ხერხების წინააღმდეგ; შემდეგ, მხედველობაში იღებს რა თვალსაჩინო როლს, რაც გაზეთმა «ვპერიოდმა» პარტიულობის აღდგენისათვის ბრძოლაში შეასრულა, ბოლოს, მის მნიშვნელობას ყრილობის განხორციელების საქმეში, — მადლობას უცხადებს «ვპერიოდის» რედაქციას».

გაზეთ «ვპერიოდს» ფართო კავშირი ჰქონდა ადგილებთან, იყო რუსეთის შეგნებული მუშების ნამდვილად რევოლუციური ტრიბუნა. გაზეთში კორესპონდენციები მოდიოდა ქვეყნის თითქმის ყველა უმნიშვნელოვანესი სამრეწველო და ადმინისტრაციული ცენტრებიდან.

გაზეთში იყო მუდმივი განყოფილებები: საზოგადოებრივი ცხოვრებიდან; მუშათა მოძრაობიდან; პარტიიდან. ინფორმაცია გაზეთში თავსდებოდა რუბრიკებით: «ციხე და გადასახლება», «საფოსტო ყუთი» და სხვ.

გაზეთის ყოველ ნომერში (№ 17-ის გამოკლებით) თავსდებოდა ვ. ი. ლენინის სტატიები. სულ გაზეთ «ვპერიოდში» გამოქვეყნებულია ლენინის 42 ნაწარმოები. — 37.

10 «პროლეტარი» — არალეგალური ყოველკვირეული ბოლშევიკური გაზეთი, რომელიც გამოდიოდა ჟენევაში 1905 წლის 14 (27) მაისიდან 12 (25) ნოემბრამდე. გამოვიდა 26 ნომერი. რსდმპ ცენტრალური ორგანო, შექმნილი პარტიის III ყრილობის დადგენილებით. გაზეთის პასუხისმგებელი რედაქტორი იყო ვ. ი. ლენინი, სარედაქციო კოლეგიის წევრები — ვ. ვ. ვოროვსკი, ა. ვ. ლუნაჩარსკი, მ. ს. ოლმინსკი. რედაქციაში აქტიურ მუშაობას ეწეოდნენ: ნ. კ. კრუპსკაია, ვ. მ. ველიჩკინა, ლ. ა. ფოტიევა, ვ. ა. კარპინსკი და სხვ. «პროლეტარის» მუდმივი კორესპონდენტები იყვნენ: მ. მ. ლიტვინოვი, რ. ს. ზემლიაჩკა, ა. ი. ულიანოვა-ელიზაროვი, ვ. დ. ბონჩ-ბრუევიჩი, ს. ი. გუსევი, მ. გ. ცხაკაია, ს. გ. შაუმიანი, შ. ი. ვასილიევ-იუჟინი, პ. ნ. ლეპეშინსკი, ე. დ. სტასოვა.

გაზეთს ჰქონდა მუდმივი განყოფილებები: პარტიიდან; საზოგადოებრივი ცხოვრებიდან; მუშათა მოძრაობიდან; უცხოეთის მიმოხილვა.

შექმნილი იყო რა რუსეთისა და საერთაშორისო მოძრაობის განსაკუთრებით ხასასუხისმგებლო პერიოდში, იმპერიალიზმის ეპოქის პირველი სახალხო რევოლუციის აღმავლობის პერიოდში, «პროლეტარი» თანმიმდევრულად და დაბეჯითებით უწევდა პროპაგანდას თავის ფურცლებზე მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიულ, ტაქტიკურ და ორგანიზაციულ პრინციპებს, კერძოდ, ბოლშევიკების ტაქტიკურ ლოზუნგებს, რომლებიც შემუშავებული იყო პარტიის III ყრილობის მიერ. «პროლეტარი» იცავდა პარტიის III ყრილობის ტაქტიკურ გადაწყვეტილებებს

მენშევიკების, ესერებისა და მუშათა კლასის სხვა მტრების თავდასხმებისაგან, იბრძოდა ლენინური ტაქტიკური პრინციპების ცხოვრებაში გატარებისათვის, რევოლუციის ძალების ფართოდ გაშლისათვის, მუშათა კლასისა და გლეხობის მებრძოლი კავშირის შექმნისათვის, მასების შეიარაღებისათვის, რევოლუციურ მოძრაობაში არმიისა და ფლოტის ჩაბმისათვის.

«პროლეტარი» ერთ-ერთი იმ ბოლშევიკური გაზეთთაგანია, რომლებიც აგრძელებდნენ რა ლენინური «ისკრისა» და გაზეთ «ვპერიოდის» სახელოვან ტრადიციებს, მტკიცედ იყვნენ დაკავშირებული ადგილებთან, მთელ თავის საქმიანობაში ეყრდნობოდნენ მუშათა კლასის ფართო ფენებს. გაზეთის ფურცლებზე გამოქვეყნებული იყო 400-ზე მეტი სტატია, შენიშვნა, ინფორმაცია ქვეყნის 100-ზე მეტ ქალაქიდან და დასახლებული პუნქტიდან, მათ შორის პეტერბურგიდან, მოსკოვიდან, ოდესიდან, რიგიდან, ნიკოლაევიდან, სარატოვიდან, ივანოვო-ვოზნესენსკიდან და სხვ., სადაც კონცენტრირებული იყო მნიშვნელოვანი პროლეტარული ძალები.

ვ. ი. ლენინმა «პროლეტარისათვის» დაწერა 60-მდე სტატია და შენიშვნა.—37.

11 «ნოვაია ჟიზნ». — პირველი ლეგალური ბოლშევიკური გაზეთი, გამოდიოდა პეტერბურგში ოთხ-ექვს გვერდზე ყოველდღიურად 1905 წლის 27 ოქტომბრიდან (9 ნოემბრიდან) 1905 წლის 3 (16) დეკემბრამდე. სულ გამოვიდა 28 ნომერი; ტირაჟი აღწევდა 80 ათას ეგზემპლარს. გაზეთი შეიქმნა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ ვ. ი. ლენინის აქტიური დახმარებით, რომელიც ემიგრაციაში იმყოფებოდა ჟენევაში. მე-9 ნომრიდან დაწყებული, ვ. ი. ლენინის რუსეთში დაბრუნებისთანავე, გაზეთი გამოდის მისი უშუალო ხელმძღვანელობით. «ნოვაია ჟიზნ» ფაქტიურად რსდმპ ცენტრალური კომიტეტის ორგანოს წარმოადგენდა.

გაზეთის სარედაქციო კოლეგიაში შედიოდნენ: ვ. ი. ლენინი, მ. ს. ოლმინსკი, ვ. ვ. ეროვსკი (ხელმძღვანელობდა უცხოეთის განყოფილებას), ა. ვ. ლუნაჩარსკი (ხელმძღვანელობდა პრესის მიმოხილვის განყოფილებას). გაზეთში აქტიურ მონაწილეობას იღებდა ა. მ. გორკი (გაზეთს მატერიალურ დახმარებას უწევდა და წერდა მასში), მ. ნ. პოკროვსკი, ი. ი. სკვორცოვ-სტეპანოვი და სხვ.

«ნოვაია ჟიზნში» თანამშრომლობდნენ გამოჩენილი პარტიული მუშაკები და ლიტერატორები. როგორც თავის უცხოურ ავტორებს გაზეთი ასახელებდა როზა ლუქსემბურგს, მარსელ კაშენს, პოლ ლაფარგს და სხვებს.

ფორმალურად გაზეთს ხელს აწერდნენ — როგორც რედაქტორი-გამომცემელი — ნ. მინსკი (ნ. მ. ვილენკინი — პოეტი-დეკადენტი), როგორც გამომცემელი — მ. თ. ანდრეევა. გაზეთ «ნოვაია ჟიზნის» ფაქტიური რედაქტორი იყო ვ. ი. ლენინი, ხოლო გამომცემელი — მ. მ. ლიტვინოვი.

როგორც პარტიის ფაქტიური ცენტრალური ორგანო «ნოვაია ჟიზნი» დიდ მუშაობას ეწეოდა: რუსეთში მომხდარი რევოლუციის საზოგადოებრივ-ეკონომიური შინაარსის ახსნა-განმარტებისათვის, ახალ შეცვლილ პირობებში პარტიული მუშაობის რეორგანიზაციისათვის, რევოლუციის ძალების შემოკრებისა და გაშლისათვის, პარტიულობის ურყევი ლენინური პრინციპების დამკვიდრებისათვის.

გაზეთი ფართო პროპაგანდას ეწეოდა და იცავდა მტრული თავდასხმებისაგან პროლეტარული პარტიის ტაქტიკას რევოლუციურ ბრძოლაში, თავის ფურცლებზე აქვეყნებდა ვ. ი. ლენინისა და სხვა ავტორების მთელ რიგ სტატიებს რევოლუციის ისეთ ძირეულ საკითხებზე, როგორიცაა საკითხი გლეხობის—პრო-

ლეტარიატის მოკავშირის შესახებ, პროლეტარიატის დემოკრატიული და სოციალისტური ბრძოლის თანაფარდობის შესახებ., დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურში გადაზრდის შესახებ. ამ პრობლემებმა ღრმა მარქსისტული დამუშავება ჰპოვეს ლენინურ სტატიებში «წვრილბურჟუაზიული და პროლეტარული სოციალიზმი», «პროლეტარიატი და გლეხობა» და სხვ.

გაზეთი დიდ მუშაობას ეწეოდა გამაერთიანებელი ყრილობის მოწვევისათვის, იგი განმარტავდა პროლეტარული პარტიის ერთიანობისა და პროლეტარიატის ძალების კონსოლიდაციის უზრუნველყოფის ლენინურ პრინციპებს.

«ნოვაია ჟიზნს» დიდი დამსახურება მიუძღვის პარტიის რეორგანიზაციის განხორციელებაში. ვ. ი. ლენინის ცნობილი სტატიის «პარტიის რეორგანიზაციის შესახებ» გამოქვეყნების შემდეგ გაზეთი სპეციალურ სტატიებში განმარტავდა ამ პარტიული პროგრამის არსს და მისი პრაქტიკულად განხორციელების გზებს, უჩვენებდა თუ ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები საქმით როგორ გადადიან დემოკრატიზმზე, ცხოვრებაში ატარებენ არჩეეითობის საწყისებს. «ნოვაია ჟიზნ» თავის ფურცლებზე ბევრ მასალას ბეჭდავდა, რომლებიც მიძღვნილი იყო სოციალიზმის იდეების პროპაგანდისადმი, პარტიის ახალი წევრების პოლიტიკური აღზრდისადმი, უჩვენებდა პარტიის საქმიანობას პროფკავშირებზე პოლიტიკური ზეგავლენის უზრუნველყოფისათვის.

გაზეთ «ნოვაია ჟიზნში» ვ. ი. ლენინი ააშკარავებდა ბურჟუაზიის ცდებს გამოეყენებინათ რევოლუციის დემოკრატიული ხასიათი და «უპარტიობის» დროშით დაეფარათ თავისი კლასობრივი ინტერესების განხორციელება, დაიცვა პარტიულობა ლიბერალური ბურჟუაზიისა და ოპორტუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში (სტატიები: «სოციალისტური პარტია და უპარტიო რევოლუციურობა», «პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა»).

გაზეთი თავის ფურცლებზე ფართო პროპაგანდას უწევდა პარტიის მებრძოლურ ლოზუნგებს, რომელთა შორის უმნიშვნელოვანესი იყო: მასობრივი პოლიტიკური გაფიცვა, რევოლუციური გზით 8 საათიანი სამუშაო დღის განხორციელება, სოფლად რევოლუციურ გლეხთა კომიტეტების ორგანიზაცია, მუშების შეიარაღება.

პარტიული ორგანიზაციების მეშვეობით გაზეთს ფართო კავშირი ჰქონდა ფაბრიკებსა და ქარხნებთან, მის ფურცლებზე ქვეყნდებოდა მრავალი წერილი, რომელთა ავტორები იყვნენ მუშები, გლეხები, ჯარისკაცები, მოსამსახურეები, ინტელიგენციის წარმომადგენლები. გაზეთის მასალების დაახლოებით ორ-მესამედს ჩვეულებრივ შეადგენდა «ნოვაია ჟიზნის» მუშა კორესპონდენტების შენიშვნები, წერილები რედაქციას. ერთ-ერთ ყველაზე მასობრივ განყოფილებაში — «ნოვაია ჟიზნის» ს ა ო ლ ქ ო გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ე ბ ა შ ი გამოქვეყნებულია 156 კორესპონდენცია 78 საკუთარი კორესპონდენტისაგან ქვეყნის 90 სხვადასხვა ქალაქიდან და ადგილებიდან. გაზეთის სხვა განყოფილებებში: მ უ შ ა თ ა ც ხ ო ვ რ ე ბ ი დ ა ნ, პ ა რ ტ ი უ ლ ი ც ხ ო ვ რ ე ბ ი დ ა ნ, პ რ ო ფ ე ს ი უ ლ ი კ ა ვ შ ი რ ე ბ ი, ა რ მ ი ა შ ი — აგრეთვე ფართოდ არის წარმოდგენილი მასალები ადგილებიდან.

«ნოვაია ჟიზნმა» მრავალრიცხოვანი რეპრესიები განიცადა. გაზეთის 27 ნომრიდან 15 კონფისკებულ იქნა და განადგურდა. 1905 წლის 2 (15) დეკემბერს გაზეთი მეფის მთავრობამ აკრძალა, უკანასკნელი, 28-ე ნომერი არალეგალურად გამოვიდა. — 37.

12 «ნ ა ხ ა ლ ო» — ყოველდღიური ლეგალური მენშევიკური გაზეთი; გამოდიოდა პეტერბურგში 1905 წლის 13 (26) ნოემბრიდან 2 (15) დეკემბრამდე. გამოშვებულია 16 ნომერი. რედ. — გამომც. დ. ბ. გერცენშტეინი, ს. ნ. სალტიკოვი. მო-

ნაწილეობდნენ პ. ბ. აქსელროდი, ფ. დანი, ლ. დეიჩი, ნ. იორდანსკი, ნ. ტროცკი და სხვ. — 37.

13 «ვ ო ლ ნ ა» — ლეგალური ყოველდღიური ბოლშევიკური გაზეთი; გამოდიოდა პეტერბურგში 1906 წლის 26 აპრილიდან (9 მაისიდან) 24 მაისამდე (6 ივნისამდე); გამოვიდა 25 ნომერი. დაწყებული მეცხრე ნომრიდან, 1906 წლის 5 (18) მაისიდან (IV ყრილობის მუშაობის დამთავრებისა და სტოკჰოლმიდან ლენინის დაბრუნების შემდეგ), გაზეთს ფაქტიურად რედაქტორობდა ლენინი, რედაქციის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ: ვ. ვ. ვოროვსკი, მ. ს. ოლმინსკი, ა. მ. გორკი, ა. ვ. ლუნაჩარსკი, ი. ი. სკვორცოვ-სტეპანოვი და ნ. კ. კრუპსკაია.

პირველივე ნომრებიდანვე «ვოლნა» გახდა ტრიბუნა, სადაც ლენინი, ბოლშევიკები ამხელდნენ მეფის მთავრობის ანტიხალხურ პოლიტიკას, გამოდიოდნენ კონსტიტუციური ილუზიების წინააღმდეგ, მოუწოდებდნენ ხალხთა მასებს რევოლუციური ბრძოლისაკენ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, ააშკარავებდნენ მენშევიკების ოპორტუნიზმს, რომლებიც კადეტებს მონა-მორჩილად მიჰყვებოდნენ. გაზეთმა მთელი რიგი მწვავე გამოსვლები გამოაქვეყნა სახელმწიფო სათათბიროს ანტიხალხური არსის წინააღმდეგ.

«ვოლნა» დიდ ყურადღებას უთმობდა გლეხთა საკითხს: ლენინის მთელ რიგ სტატიებსა და სხვა ავტორთა გამოსვლებში გაზეთი ერთ-ერთ მთავარ საკითხად აყენებდა გლეხობის გადმოყვანას მუშების მხარეზე და მის მომზადებას რევოლუციური ბრძოლისათვის, მუშათა კლასსა და გლეხობას შორის მტკიცე კავშირის შექმნას.

ამხელდა რა სათათბიროს ილუზიებსა და მენშევიკების, კადეტებისა და სხვა ოპორტუნისტების ტაქტიკას, «ვოლნა» პროპაგანდას უწევდა ლენინურ, ბოლშევიკურ ტაქტიკურ ხაზს, განუმარტავდა მასებს, რომ ნამდვილი პოლიტიკური თავისუფლება საჭიროა მოპოვებულ იქნას შეიარაღებული ბრძოლით.

«ვოლნას» ფურცლებზე გამოქვეყნებულია ვ. ი. ლენინის 22 სტატია (№ № 9, 10, 12, 13-17, 20-23, 25), მათ შორის: «ბრძოლა თავისუფლებისათვის და ბრძოლა ძალაუფლებისათვის», «სათათბირო და ხალხი», «ბოლშევიკების რეზოლუციისათვის სახელმწიფო სათათბიროს შესახებ», «მიწის საკითხი სათათბიროში», «მთავრობა, სათათბირო და ხალხი», «კადეტები, შრომის ჯგუფელები და მუშათა პარტია» და სხვ.

«ვოლნას» მრავალჯერ განუცდია პოლიტიკური რეპრესიები. «ვოლნას» № 6-ში გამოქვეყნებული სტატიის — «1 მაისი» — გამო პეტერბურგის საცენზურო კომიტეტმა დაადგინა აღეძრა სასამართლო საქმე რედაქტორის წინააღმდეგ და ყადაღა დაედო გაზეთის მეექვსე ნომრისათვის. პეტერბურგის სასამართლო პალატის განაჩენით გადაწყდა მოსპობილიყო გაზეთის № № 6, 10, 18, 19, 22, 23, 24 და 25 «სტენოგრამებთან და ანაბეჭდის აღების სხვა მოწყობილობასთან ერთად». 1906 წლის 24 მაისს (6 ივნისს) მეფის მთავრობამ «ვოლნა» დახურა. — 37.

14 «ე ხ ო» — ლეგალური ბოლშევიკური ყოველდღიური გაზეთი; გამოდიოდა პეტერბურგში 1906 წლის 22 ივნისიდან (5 ივლისიდან) 7 (20) ივლისამდე. მეფის მთავრობის მიერ დახურულ გაზეთ «ვპერიოდის» ნაცვლად. გამოვიდა 14 ნომერი. ფაქტიურად გაზეთის რედაქტორი იყო ლენინი. გაზეთში მონაწილეობას იღებდნენ: ა. ვ. ლუნაჩარსკი, მ. ს. ოლმინსკი და სხვ. გაზეთში იყო მუდმივი განყოფილებები: ფაბრიკებსა და ქარხნებში; პროფკავშირებში; უმუშევართა შორის; მეელვარება ჯარში; არმიაში; რუსეთში; ქრონიკა; ეურნალ-გაზეთებს შორის; საღეღესო საკითხები და სხვ.

გაზეთ «ეხოს» ძირითადი შინაარსი იყო მეცნიერული სოციალიზმის იდეების, ბოლშევიკური ტაქტიკური პრინციპების პროპაგანდა, მასების რევოლუციური აღზრდა, რევოლუციის ძალების შეკრება და მობილიზაცია, თავის ფურცლებზე გაზეთი მნიშვნელოვან ადგილს უთმობდა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების ღრმად განმარტებას.

გაზეთი გამოდიოდა რეაქციის ბატონობის პერიოდში, რომელიც დადგა დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების დამარცხების შემდეგ. მასში არ იყო არავითარი მითითება იმის შესახებ, რომ იგი წარმოადგენს ბოლშევიკების ბეკდეითს ორგანოს. გაზეთში გამოქვეყნებულ მასალებს, როგორც წესი, ავტორები ხელს არ აწერდნენ, ანდა ფსევდონიმებით თავსდებოდა.

გაზეთ «ეხოს» თვითეულ ნომერში იბეჭდებოდა ვ. ი. ლენინის სტატიები, სულ გამოქვეყნებულ იქნა 20 ლენინური ნაშრომი. მათ შორის: «სათათბიროს ჩვენი ფრაქციის დეკლარაციის გამო», «დამშეულთა დახმარება და სათათბიროს ტაქტიკა», «კადეტების ამყოლ-დამყოლნი», «ბურჟუაზიის საყვედური და პროლეტარიატის მოწოდება», «არმია და ხალხი», «რეაქციის შეთქმულება და დამრბევთა მუქარა» და სხვ. ლენინი უშუალო მონაწილეობას იღებდა განყოფილების— ჟ ურ ნ ალ-გ ა ზ ე თ ე ბ ს შ ო რ ი ს — მუშაობაში.

გაზეთი «ეხო» განიცდიდა განუწყვეტელ რეპრესიებს. გაზეთის 14 ნომრიდან 12 კონფისკეებულ და მოსპობილ იქნა. რედაქტორის წინააღმდეგ რამდენჯერმე აღიძრა საქმე მისი სასამართლო პასუხისგებაში მიცემის შესახებ. I სახელმწიფო სათათბიროს გარეკვის წინადღეებში გაზეთი დახურულ იქნა. — 37.

15 «ნ ა რ ო დ ნ ა ი ა დ უ მ ა» — ყოველდღიური მენშევიკური გაზეთი; გამოდიოდა პეტერბურგში 1907 წლის მარტ-აპრილში. — 37.

16 «პ რ ა ვ დ ა» — ყოველდღიური ლეგალური ბოლშევიკური გაზეთი, გამოდიოდა პეტერბურგში. შეიქმნა 1912 წლის გაზაფხულზე პეტერბურგის მუშების ინიციატივით. გაზეთის პირველი ნომერი გამოვიდა 1912 წლის 22 აპრილს (5 მაისს). 1914 წლიდან «პრავდის» პირველი ნომრის გამოსვლის დღე მუშათა ბეკდეითი სიტყვის დღესასწაული გახდა.

«პრავდა» მუშათა მასობრივი გაზეთი იყო, იგი გამოდიოდა თვით მუშების მიერ შეგროვებული ფულით. გაზეთის გარშემო ყალიბდებოდა მუშა კორესპონდენტთა და პროლეტარულ მწერალთა ფართო წრე. გამოცემის მარტო ერთი წლის მანძილზე მასში გამოქვეყნდა მუშათა 11 ათასზე მეტი კორესპონდენცია. «პრავდა» ვრცელდებოდა საშუალოდ 40 ათასი ეგზემპლარი, ხოლო ცალკეულ თვეებში მისი ტირაჟი დღეში 60 ათას ეგზემპლარს აღწევდა.

კრაკოვში მყოფი ვ. ი. ლენინი «პრავდას» ხელმძღვანელობდა, თითქმის ყოველდღე წერდა გაზეთში, აძლევდა მითითებებს მის რედაქციას. პეტერბურგში ყოფნისას, ნარიმში გადასახლებიდან გამოქცევის შემდეგ, 1912 წლის 12 (25) სექტემბრიდან და 1913 წლის 23 თებერვალს (8 მარტს) ახალ დაპატიმრებამდე, ი. ბ. სტალინი ხელმძღვანელ მონაწილეობას იღებდა «პრავდაში». 1913 წ. იანვარ-თებერვალში გაზეთის რედაქტორი იყო ი. მ. სვერდლოვი. 1913 წლის თებერვალში ი. ბ. სტალინმა ი. მ. სვერდლოვთან ერთად ვ. ი. ლენინის მითითებათა მიხედვით მოახდინა «პრავდის» რედაქციის რეორგანიზაცია. 1912 წლის მაისიდან ნოემბრამდე «პრავდის» მდივნად და რედაქციის წევრად მუშაობდა ვ. მ. მოლოტოვი; 1913 წლის შემოდგომაზე, იმყოფებოდა რა არალეგალურ მდგომარეობაში იგი «პრავდაში» ხელმძღვანელობდა პროფესიული მოძრაობის განყოფილებას. რედაქციის მუდმივი თანამშრომლები იყვნენ: მ. ს. ოლმინსკი, ნ. ნ. ბატურინი, კ. ს. ერემეევი, ნ. გ. პოლეტაევი, კ. ნ. სამოილოვა, ა. ი. ვლიზაროვა და

სხვები. «პრავდაში» აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ IV სათათბიროს ბოლშევიკი დეპუტატები.

«პრავდა» შუადამ განიცდიდა დევნას პოლიციის მხრივ. თავისი არსებობის პირველ წელს იგი კონფისკებულ იქნა 41-ჯერ, რედაქტორების წინააღმდეგ აღიძრა 36 სასამართლო საქმე, საერთო ანგარიშით რედაქტორები საპყრობილეში იყვნენ 47 თვეზე მეტს. პირველ ორ წელიწადსა და სამ თვეში «პრავდა» რვაჯერ დახურა შეფის მთავრობამ, მაგრამ იგი კვლავ გამოდიოდა სხვა სახელწოდებებით. 1913 წლის 13 ივლისიდან 1 აგვისტომდე გამოდიოდა «რაბოჩაია პრავდას» სახელწოდებით, შემდეგ: «სევერნაია პრავდა» (1913 წ. 1 აგვისტოდან 7 სექტემბრამდე), «პრავდა ტრუდა» (1913 წ. 11 სექტემბრიდან 9 ოქტომბრამდე), «ზა პრავდუ» (1913 წ. 1 ოქტომბრიდან 5 დეკემბრამდე), «პროლეტარსკაია პრავდა» (1913 წლის 7 დეკემბრიდან 1914 წლის 21 იანვრამდე), «პუტ პრავდი» (1914 წლის 22 იანვრიდან 21 მაისამდე), «რაბოჩი» (1914 წლის 22 აპრილიდან 7 ივლისამდე), «ტრუდოვაია პრავდა» (1914 წლის 23 მაისიდან 8 ივლისამდე). 1914 წლის 8 (21) ივლისს რედაქცია დაარბიეს, გაზეთი დახურეს.

«პრავდის» გამოცემა განახლდა მხოლოდ თებერვლის რევოლუციის შემდეგ. 1917 წლის 5 (18) მარტიდან «პრავდა» გამოდიოდა როგორც რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და პეტერბურგის კომიტეტის ორგანო. გაზეთის რედაქციაში შეეიდნენ მ. ი. კალინინი, ვ. მ. მოლოტოვი, კ. ს. ერემეევი, მ. ს. ოლმინსკი. რედაქციის მდივნად პირველი ნომრიდან მუშაობა დაიწყო მ. ი. ულიანოვამ. 12 (25) მარტს გადასახლებიდან დაბრუნდა ი. ბ. სტალინი და 15 (28) მარტს შეეიდა «პრავდის» სარედაქციო კოლეგიის შემადგენლობაში. 5 (18) აპრილს, საზღვარგარეთიდან დაბრუნების შემდეგ რედაქციის შემადგენლობაში შეეიდა ვ. ი. ლენინი და სათავეში ჩაუდგა «პრავდის» ხელმძღვანელობას. 1917 წლის ივლის-ოქტომბერში «პრავდამ», დროებითი მთავრობის მიერ დევნის გამო, ოთხჯერ შეიცვალა სახელწოდება და გამოდიოდა როგორც «ლისტოკ «პრავდი»», «პროლეტარი», «რაბოჩი», «რაბოჩი პუტ». ივლისის დღეების შემდეგ, იმასთან დაკავშირებით, რომ ვ. ი. ლენინი არალეგალურ მდგომარეობაში გადავიდა, პასუხისმგებელი რედაქტორი იყო ი. ბ. სტალინი. 27 ოქტომბრიდან (9 ნოემბრიდან) ბოლშევიკური პარტიის ცენტრალურმა ორგანომ გამოსვლა დაიწყო «პრავდის» სახელწოდებით. — 40.

17 მ ა ლ ი ნ კ ო ა. ლ. — ინჟინერ-ტექნოლოგი; მონაწილეობას იღებდა პეტერბურგის «მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირის» დაარსებაში; 1895 წლის 9 დეკემბერს დააპატიმრეს, ხოლო 1897 წლის თებერვარში 3 წლით გადაასახლეს არხანგელსკის გუბერნიაში. შემდეგში ჩამოშორდა რევოლუციურ მოძრაობას. — 47.

18 «ნ ა უ ჩ ნ ო ე ო ბ ო ზ რ ე ნ ი ე» — ყოველთვიური ჟურნალი, გამოდიოდა პეტერბურგში 1894 წლიდან 1903 წლამდე.

ვ. ი. ლენინმა ამ ჟურნალში მოათავსა სტატიები: «შენიშვნა ბაზრების თეორიის საკითხისათვის», «კიდევ რეალიზაციის თეორიის საკითხისათვის», «არაკრიტიკული კრიტიკა». — 47.

19 «რ უ ს ს კ ი ე ვ ე დ ო მ ო ს ტ ი» — გაზეთი, სცემდნენ მოსკოვში 1863 წლიდან მოსკოვის უნივერსიტეტის ლიბერალი პროფესორები და ერობის მოღვაწენი; გაზეთი გამოხატავდა ლიბერალური მემამულეებისა და ბურჟუაზიის ინტერესებს. 1905 წლიდან — შემარჯვენე კადეტების ორგანო; 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ დახურულ იქნა სხვა კონტრრევოლუციურ გაზეთებთან ერთად. — 47.

20 «რუსკოე ბოგატსტვო» — ყოველთვიური ჟურნალი, გამოდიოდა 1876 წლიდან 1918 წლის შუახანებამდე. 90-იანი წლების დამდეგიდან ჟურნალი გახდა ლიბერალური ნაროდნიკების ორგანოდ და გამოდიოდა ს. ნ. კრივენკოს და ნ. კ. მიხაილოვსკის რედაქციით. ჟურნალი ქადაგებდა მეფის მთავრობასთან შერიგებას და მასთან ყოველგვარ რევოლუციურ ბრძოლაზე ხელის აღებას, გაფფთრებულ ბრძოლას ეწეოდა მარქსიზმის წინააღმდეგ და სდევნიდა რუს მარქსისტებს. — 47.

21 «მირ ბოჟი» — ყოველთვიური ლიტერატურული და სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი ლიბერალური მიმართულებისა; გამოდიოდა პეტერბურგში 1892 წლიდან 1906 წლამდე. 1898 წელს ჟურნალში დაიბეჭდა ვ. ი. ლენინის რეცენზია ა. ბოგდანოვის წიგნზე «ეკონომიური მეცნიერების მოკლე კურსი». 1906 წლიდან 1918 წლამდე ჟურნალი გამოდიოდა — «სოვრემენნი მირის» სახელწოდებით. — 47.

22 «ნივა» — ყოველკვირეული ილუსტრირებული ჟურნალი საოჯახო კითხვისათვის. გამოდიოდა პეტერბურგში 1870 წლიდან 1918 წლამდე. «ნივა» გამოდიოდა სხვადასხვა დამატებებით. მათ შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, და რამაც დიდი კულტურული როლი შეასრულა, იყო რუსი კლასიკოსების თხზულებანი: მ. ვ. ლომონოსოვისა, დ. ი. ფონვიზინისა, ა. ს. გრიბოედოვისა, ი. ს. ტურგენევისა, ი. ა. გონჩაროვისა, თ. მ. დოსტოევსკისა, ვ. გ. კოროლენკოსი და სხვ. «ნივაში» იბეჭდებოდა ლ. ნ. ტოლსტოის, დ. ნ. მამინ-სიბირიაკის, ნ. ს. ლესკოვის ცალკეული ნაწარმოებები, მხატვრების ი. კ. აივაზოვსკის, ი. ჯ. რეპინის, ი. ი. შიშკინის ნახატების რეპროდუქციები. — 47.

23 «რაბოჩაია გაზეტა» — სოციალ-დემოკრატების კიევის ჯგუფის არალეგალური ორგანო. გამოვიდა ორი ნომერი: № 1—1897 წლის აგვისტოში და № 2—იმავე წლის დეკემბერში (დათარიღებულია ნოემბრით), რსდმპ I ყრილობამ «რაბოჩაია გაზეტა» აღიარა პარტიის ოფიციალურ ორგანოდ: ყრილობის შემდეგ, პოლიციის მიერ სტამბის განადგურებისა და ცენტრალური კომიტეტის წევრთა დაპატიმრების გამო, გაზეთი აღარ გამოსულა. — 48.

24 სტატიები «ჩვენი პროგრამა», «ჩვენი უახლოესი ამოცანა», და «საარსებო საკითხი» ლენინმა დაწერა გადასახლებაში ყოფნის დროს. ეს სტატიები განკუთვნილი იყო «რაბოჩაია გაზეტასათვის». როგორც ცნობილია, რსდმპ I ყრილობაზე 1898 წ. «რაბოჩაია გაზეტა», რომლის პირველი ორი ნომერი გამოვიდა 1897 წელს კიევში, აღიარებულ იქნა პარტიის ოფიციალურ ორგანოდ. მაგრამ «რაბოჩაია გაზეტას» შემდგომი გამოცემა დიდხანს შეჩერებულ იქნა მას შემდეგ რაც 1898 წლის მარტში დააპატიმრეს ცენტრალური კომიტეტის თითქმის ყველა წევრი და სტამბის მუშაკი, რომლებიც «რაბოჩაია გაზეტას» ბეჭდავდნენ. გაზეთის შემდგომი გამოცემის ცდას ხელი მოკიდა ბუნდის ც. კ-მა. ეს უნდა ყოფილიყო «რაბოჩაია გაზეტას» №3. ბუნდის ც. კ-მა მიმართა ვ. ი. ლენინს წინადადებით ჯერ რედაქტორობა, შემდეგ «რაბოჩაია გაზეტაში» თანამშრომლობა. ეს წინადადება გადაცემულ იქნა ი. მარტოვის მეშვეობით, რომელიც მაშინ გადასახლებაში იმყოფებოდა ტურუხანსკში. როგორც ცნობილია, გაზეთის გამოცემის ცდას წარმატება არ მოჰყოლია, და ვ. ი. ლენინის მიერ გაგზავნილი სტატიები არ გამოქვეყნებულა. — 49.

25 ბერნშტეინის რევიზიონისტულ შეხედულებებს იზიარებდნენ რუსეთის ოპორტუნისტები — «ეკონომისტები» და ბუნდელები. ბერნშტეინი ნაშრომში «სოციალიზმის წანამძღვრები» მათ თანხმობას თავის შეხედულებებთან რუსი სოციალ-დემოკრატების უმრავლესობის თანხმობად ასაღებდა. — 50.

26 ლაპარაკია გათიშვაზე, რომელიც მოხდა «რუსი სოციალ-დემოკრატების საზღვარგარეთული კავშირის» I ყრილობაზე 1898 წლის ნოემბერს ციურიხში (შვეიცარია). გათიშვის მიზეზი ის იყო, რომ კავშირის წევრთა უმრავლესობა (ეგრეთწოდებული «ახალგაზრდები») «ეკონომიზმს» მიემხრო. ამასთან დაკავშირებით «შრომის განთავისუფლების» ჯგუფმა ჯერ უარი სთქვა «კავშირის» გამოცემათა რედაქტორობაზე, შემდგომ კი გამოეთიშა მას. — 50.

27 კრებული «პროლეტარსკაია ბორბა» № 1, გამოცემული «ურალის სოციალ-დემოკრატიული ჯგუფის» მიერ, დაიბეჭდა 1899 წელს ჯგუფის სტამბაში. ამ კრებულის ავტორები, რომელნიც «ეკონომიზმის» პოზიციებზე იდგნენ, უარყოფდნენ მუშათა კლასის დამოუკიდებელი პოლიტიკური პარტიის შექმნის აუცილებლობას, ფიქრობდნენ პოლიტიკური რევოლუცია საყოველთაო გაფიცვის საშუალებით შეიძლება მოვახდინოთო. კრებულის ავტორთა შეხედულებების დახასიათება და შეფასება იხ. IV თავში ლენინის ნაშრომისა «რა ვაკეთოთ?». — 50.

28 ფ. პ. — ლენინის ერთ-ერთი ფსევდონიმი. — 51.

29 იგულისხმება გ. ვ. პლეხანოვის სტატია «ბერნშტეინი და მატერიალიზმი», რომელიც დაიბეჭდა 1898 წლის იელისში გერმანულ სოციალ-დემოკრატიული ჟურნალის «Die Neue Zeit»-ის («ახალი დროება») № 44-ში. რუსული გამოცემა იხ. გ. ვ. პლეხანოვი. თხზულებანი, ტ. XI, 1928, გვ. 13-26. — 53.

30 გერმანიის სოციალ-დემოკრატიის პანოვერის ყრილობა მიმდინარეობდა 1899 წლის 27 სექტემბრიდან 2 ოქტომბრამდე (9-14 ოქტომბრამდე). დღის წესრიგის მთავარ საკითხზე — «თავდასხმები პარტიის ძირითად შეხედულებებსა და ტაქტიკაზე» ყრილობამ გაილაშქრა ბერნშტეინის რევიზიონისტულ შეხედულებათა წინააღმდეგ, მაგრამ ბერნშტეინიანობის ფართო კრიტიკა მას არ მოუცია. — 53.

31 იგულისხმება 1897 წლის 2 (14) ივნისის კანონი, რომელიც სამრეწველო საწარმოებსა და რკინიგზის სახელოსნოებში აწესებდა $11^1/_2$-საათიან სამუშაო დღეს. ამ კანონის შემოღებამდე რუსეთში სამუშაო დღე განსაზღვრული არ იყო და 14-15 საათს აღწევდა. მეფის მთავრობა იძულებული იყო 1897 წლის 2 ივნისს კანონი გამოეცა მუშათა მოძრაობის ზეგავლენით; ამ მოძრაობას ხელმძღვანელობდა ლენინური «მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირი». — 56.

32 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. «კომუნისტური პარტიის მანიფესტი», 1939, გვ. 37. — 58.

33 განსაკუთრებული კანონი სოციალისტების წინააღმდეგ შემოიღეს გერმანიაში 1878 წელს. ამ კანონით აკრძალული იყო სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყველა ორგანიზაცია, მასობრივი მუშათა ორგანიზაციები, მუშათა პრესა, კონფისკაციას უკეთებდნენ სოციალისტურ ლიტერატურას, დაიწყო სოციალ-დემოკრატების გადასახლება. მასობრივი მუშათა მოძრაობის ზეგავლენით 1890 წელს კანონი სოციალისტების წინააღმდეგ გაუქმებულ იქნა. — 66.

34 «Vorwärts» («წინ») — გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ცენტრალური ორგანო; გაზეთის გამოსვლა დაიწყო 1876 წლიდან ვ. ლიბკნეხტისა და სხვ. რედაქციით. ამ გაზეთის ფურცლებზე ფ. ენგელსი აწარმოებდა ბრძოლას ოპორტუნიზმის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ. 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან, ფ. ენგელსის გარდაცვალების შემდეგ, »Vorwärts»-ში სისტემატურად იბეჭდებოდა გერმანიის სოციალ-დემოკრატიისა და II ინტერნაციონალში გაბატონებული ოპორტუნისტების სტატიები. — 66.

35 ხელნაწერის ნაწილი დაკარგულია. — 67.

36 ლაპარაკია ლ. მარტოვის ბროშურაზე «წითელი დროშა რუსეთში», რომელიც გამოიცა საზღვარგარეთ 1900 წლის ოქტომბერში. — 72.

37 «სოციალ-დემოკრატ» — კრებული (ლიტერატურულ-პოლიტიკური მიმოხილვა). სცემდა 1890 — 1892 წლებში საზღვარგარეთ «შრომის განთავისუფლების» ჯგუფი; გამოვიდა ოთხი წიგნი.

ლენინის მიერ მოხსენებული პლეხანოვის სტატიები საერთო სათაურით «ნ. გ. ჩერნიშევსკი» დაიბეჭდა კრებულის №№ 1 — 3-ში 1890 წელს და № 4-ში 1892 წელს. — 85.

38 ბალალაიკინი — მ. ე. სალტიკოვ-შჩედრინის ნაწარმოების «თანამგზავრი ეიდილია»-ს პერსონაჟი; ლიბერალი მოლაყბე, ავანტურისტი და ცრუპენტელა. — 93.

39 «ზარია» — მარქსისტული და მეცნიერულ-პოლიტიკური ჟურნალი, 1901 — 1902 წლებში მას სცემდა შტუტგარტში «ისკრის» რედაქცია. «ზარიაში» დაბეჭდილია ლენინის შემდეგი სტატიები: «შემთხვევითი შენიშვნები», «ერობის მდევნელნი და ლიბერალიზმის ჰანიბალები», პირველი ოთხი თაეი ნაშრომისა «აგრარული საკითხი და «მარქსის კრიტიკოსები»» (სათაური «ბატონი «კრიტიკოსები» აგრარულ საკითხშის»), «შინაური მიმოხილვა», «რუსეთის სოციალ-დემოკრატიის აგრარული პროგრამა». სულ გამოვიდა «ზარიას» ოთხი ნომერი — სამ წიგნად: № 1 — 1901 წლის აპრილში (ფაქტიურად № 1 გამოვიდა 23 მარტს ახალი სტილით), № 2-3 — 1901 წლის დეკემბერში, № 4 — 1902 წლის აგვისტოში. — 102.

40 ლენინს მზედველობაში აქვს «განცხადება «შრომის განთავისუფლების» ჯგუფის გამოცემათა განახლების შესახებ», გამოქვეყნებული 1900 წლის დამდეგს ქენევაში. ის გამოქვეყნდა ლენინის მიერ დაწერილი «რუსეთის სოციალ-დემოკრატების პროტესტის» გამოსვლის შემდეგ. «განცხადებაში» «შრომის განთავისუფლების» ჯგუფი უერთდებოდა ლენინის მიერ «პროტესტში» წამოყენებულ მოწოდებას — გადამწყვეტი ბრძოლა ეწარმოებინათ ოპორტუნიზმის წინააღმდეგ რუსეთის და საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის რიგებში. — 104.

41 ლენინს მზედველობაში ჰყავს ის სოციალ-დემოკრატები, რომლებიც დაჯგუფებული იყვნენ გაზეთ «იუჟნი რაბოჩისა» გარშემო, ბუნდი და «რუსი სოციალ-დემოკრატების საზღვარგარეთული კავშირი», რომლის ხელმძღვანელობა ამ დროისათვის «შრომის განთავისუფლების ჯგუფიდან» გადავიდა «ახალგაზრდების» — «ეკონომიზმის» მომხრეების ხელში. ამ ორგანიზაციებს ნაეარაუდევი ჰქონდათ — პარტიის II ყრილობის მოწვევა 1900 წლის 6 (19) მაისისათვის სმოლენსკში. ყრილობაზე უნდა აერჩიათ ცენტრალური კომიტეტი, «რაბოჩაია გაზეტას» რედაქცია, რათა განეახლებინათ მისი გამოცემა როგორც პარტიის ოფიციალურ ორგანოსი. «იუჟნი რაბოჩისა» ჯგუფის წარმომადგენელი ი. ხ. ლალაიანცი ამ საკითხზე მოლაპარაკებას აწარმოებდა ლენინთან მოსკოვში 1900 წლის თებერვალში. ყრილობის მოწვევის ინიციატორთა სახელით ლალაიანცი ლენინსა და მის ჯგუფს სთავაზობდა ეკისრათ «რაბოჩაია გაზეტას» კოლექტიური რედაქტორობა. ლენინმა ლალაიანცს მიუთითა ყრილობის უდროისობასა და მოუმზადებლობაზე. მაგრამ გაუწია რა ანგარიში ყრილობის მოწვევის შესაძლებლობას, ლენინმა მომავალი «ისკრის» ჯგუფის სახელით დასწერა მოხსენება ყრილობისათვის, მან მანდატიც კი მიიღო «შრომის განთავისუფლების» ჯგუფისაგან, რათა ის ყოფილიყო მისი წარმომადგენელი ყრილობაზე. მთელი რიგი ჩავარდნების გამო ყრი-

ლობა აღარ შესდგა. ყრილობის მომზადების გარემოებებზე ლენინი წერს თავისი წიგნის — «რა ვაკეთოთ?» V თავში. — 105.

42 სოციალ-დემოკრატიული პარტიის პროგრამის პროექტზე მუშაობა ლენინმა დაიწყო სასურობილეში 1895 — 1896 წლებში (იხ. «სოციალ-დემოკრატიული პარტიის პროგრამის პროექტი და განმარტება», თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 2, გვ. 99 — 135). 1899 წლის დამლევს, გადასახლებაში ყოფნის დროს, ლენინმა დასწერა მეორე «ჩვენი პარტიის პროგრამის პროექტი». პარტიის პროგრამის პროექტი რსდმპ II ყრილობის დროისთვის ლენინის წინადადებით შეიმუშავა «ისკრის» და «ზარიას» რედაქციამ და დაბეჭდილია «ისკრის» № 21-ში 1902 წლის 1 ივნისს, შემდეგ კი ის მიიღო. რსდმპ II ყრილობამ 1903 წლის აგვისტოში. — 106.

43 ლენინს მოჰყავს ძირითადი დებულება — «მუშების საერთაშორისო ამხანაგობის საერთო წესდებისა» (I ინტერნაციონალისა), რომელიც დაწერილია კ. მარქსის მიერ (იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი ტ. XIII, ნაწ. II, 1940, გვ. 684). — 109.

44 ლაპარაკია გაზეთ «ისკრაზე». — 114.

45 «Anti — Credo» «რუსეთის სოციალ-დემოკრატების პროტესტი», რომელიც ლენინმა დაწერა გადასახლებაში 1899 წელს «პროტესტი» ლენინმა საზღვარგარეთ გაუგზავნა «შრომის განთავისუფლების» ჯგუფს. 1900 წლის დამდეგს «პროტესტი» გადაიბეჭდა გ. ვ. პლეხანოვის კრებულში «Vademecum» (გზის მაჩვენებელი. რ ე დ). «რაბოჩეე დელოს» რედაქციისათვის». — 114.

46 იგულისხმება «რუსი სოციალ-დემოკრატების საზღვარგარეთული კავშირის» გათიშვა, რომელიც მოხდა კავშირის II ყრილობაზე 1900 წლის აპრილში. რსდმპ I ყრილობამ ეს «კავშირი» აღიარა პარტიის საზღვარგარეთულ წარმომადგენლად, მაგრამ «კავშირის» უმრავლესობა «ეკონომიზის» პოზიციებზე დადგა. ამიტომ «შრომის განთავისუფლების» ჯგუფმა და მისმა თანამოაზრეებმა დასტოვეს ყრილობა და გასწყვიტეს ორგანიზაციული ურთიერთობანი «კავშირთან», ისინი გაფორმდნენ როგორც დამოუკიდებელი ორგანიზაცია საზღვარგარეთ სახელწოდებით «რუსული რევოლუციური ორგანიზაცია «სოციალ-დემოკრატი»». — 117.

47 როცა გ. ვ. პლეხანოვი აცხადებს, რომ მას 1895 წელს თითქოს «ნაბრძანები» ჰქონდა «სროლა არ აუტეხო» პ. ბ. სტრუვესო (ამ შემთხვევაში ის გულისხმობდა ა. ნ. პოტრესოვს), ამით ის ცდილობდა გაემართლებინა თავისი შემარიგებელი დამოკიდებულება «ლეგალური მარქსისტებისა» რევიზიონისტული გამოსვლებისადმი. ლენინს სწორად არ მიაჩნდა პლეხანოვის საქციელი, რადგან პლეხანოვი არამც თუ არ აკრიტიკებდა სტრუვეს ბურჟუაზიულ-ლიბერალურ შეხედულებებს, არამედ კიდევაც მფარველობდა მას. — 118.

48 «ნ ო ვ ო ე ს ლ ო ვ ო» — მეცნიერულ-ლიტერატურული და პოლიტიკური ჟურნალი; 1894 წლიდან პეტერბურგში სცემდნენ ლიბერალური ნაროდნიკები, 1897 წლის გაზაფხულიდან — «ლეგალური მარქსისტები». არალეგალურ პრესასთან ერთად ლენინმა გამოიყენა მეფის რუსეთის ლეგალური ბეჭდვითი სიტყვაც. ციმბირში გადასახლების პერიოდში ლენინმა «ნოვოე სლოვოში» მოათავსა ორი სტატია: «ეკონომიური რომანტიზმის დახასიათებისათვის» და «ერთი საგაზეთო შენიშვნის გამო». ჟურნალში იბეჭდებოდა აგრეთვე გ. ვ. პლეხანოვის სტატიები

და ა. მ. გორკის მოთხრობები. 1897 წლის დეკემბერში ჟურნალი´ დახურა მეფის მთავრობამ. — 118.

49 ვ. ი. ლენინს მხედველობაში აქვს პ. ბ. სტრუვეს სტატია «კიდევ თავისუფლებისა და აუცილებლობის შესახებ», რომელიც დაიბეჭდა 1897 წელს ჟურნალ «ნოვოე სლოვოს» № 8-ში. — 118.

50 ლაპარაკია მასალებისა და დოკუმენტების კრებულზე «Vademecum» (გზის მაჩვენებელი.—რ ე დ.) «რაბოჩეე დელოს» რედაქციისათვის» (1900 წ.), რომელშიც გ. ვ. პლეხანოვმა სხვა დოკუმენტებთან ერთად გამოაქვეყნა ბუნდელი ც. მ. კოპელზონის და «ეკონომისტების» ერთ-ერთი ხელმძღვანელის ე. დ. კუსკოვას სამი კერძო წერილი. — 118.

51 «ჩ ვ ე ნ ი მ ე ს ა მ ე» — ი. ო. მარტოვი, რომელიც «შრომის განთავისუფლების» ჯგუფთან ვ. ი. ლენინისა და ა. ნ. პოტრესოვის მოლაპარაკების დროს სამხრეთ რუსეთში იმყოფებოდა და საზღვარგარეთ ჩავიდა 1901 წლის მარტში.—119.

52 «ბობო» — პ. ბ. სტრუვე. — 120.

53 «Die Neue Zeit» («ახალი დროება») — გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ჟურნალი, გამოდიოდა შტუტგარტში 1883-დან 1923 წლამდე. 1885 — 1895 წლებში «Die Neue Zeit»-ში გამოქვეყნდა ფ. ენგელსის ზოგიერთი სტატია, ჟურნალის რედაქციას ის ხშირად აძლევდა მითითებებს და მკაცრად აკრიტიკებდა მას მარქსიზმიდან გადახვევის გამო. 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან, ფ. ენგელსის გარდაცვალების შემდეგ, ჟურნალი კაუცკიანურ შეხედულებებს ატარებდა და სისტემატურად ბეჭდავდა რევიზიონისტების სტატიებს. პირველი მსოფლიო ომის წლებში (1914—1918) ჟურნალს ცენტრისტული პოზიცია ეპირა, ფაქტიურად კი ის სოციალ-შოვინისტებს უპერდა მხარს. — 121.

54 ნაგულისხმევია «რუსი სოციალ-დემოკრატების საზღვარგარეთული კავშირის» ყოფილი წევრები, რომლებმაც 1900 წლის აპრილში კავშირის II ყრილობაზე მომხდარი გათიშვის შემდეგ კავშირი გასწყვიტეს მის ოპორტუნისტულ უმრავლესობასთან და შეეიდნენ «შრომის განთავისუფლების» ჯგუფის მიერ შექმნილ ორგანიზაციაში — «სოციალ-დემოკრატი». — 123.

55 «ა პ ა რ ა ნ ს ე ბ ი ს დ ა ც ვ ა» — მოჩვენებითი ზრდილობის დაცვა. — 132.

56 № — ქალაქი ნიურნბერგი, სადაც ლენინი გავლით იყო ჟენევიდან მიუნხენში წასვლისას «შრომის განთავისუფლების» ჯგუფთან «ისკრის» ჯგუფის თათბირის შემდეგ. — 133.

57 «შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ი ს პ რ ო ე ქ ტ ი» «ისკრის» ლენინურ ჯგუფსა და პლეხანოვის ჯგუფ «სოციალ-დემოკრატს» შორის დაწერილია ვ. ი. ლენინის მიერ 1900 წლის სექტემბრის დამდეგს. ხელნაწერს სათაური არა აქვს. სათაური მისცა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტმა. — 134.

58 «გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ უ ლ ი შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა», როგორც ჩანს, დაწერილია უფრო მოგვიანებით. მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის არქივში ინახება შემდეგი დოკუმენტი, რომელიც ჩადებულია კონვერტში ნ. კ. კრუპსკაიას წარწერით: «სულ პირველი პერიოდის დოკუმენტები. ხელშეკრულება «ზარიას» და «ისკრის» გამოცემის შესახებ»:

« 1. კრებულ «ზარიას» და გაზეთ «ისკრას» სცემს და რედაქციას უკეთებს რუსი სოციალ-დემოკრატების ჯგუფი, «შრომის განთავისუფლების» ჯგუფის მონაწილეობით სარედაქციო მუშაობაში.

2. ყველა პრინციპულ და განსაკუთრებით სერიოზული მნიშვნელობის სტატიებს რედაქცია აცნობს, თუ ეს სარედაქციო-ტექნიკური პირობების გამო შეუძლებელი არ არის, «შრომის განთავისუფლების» ჯგუფის ყველა წევრს.

3. «შრომის განთავისუფლების» ჯგუფის წევრები ხმას აძლევენ ყველა სარედაქციო ხასიათის საკითხზე, პირადად — თუ ისინი არიან რედაქციის სამყოფელ ადგილას, წერილობით — თუ მათ სტატიები ეცნობებათ.

4. «შრომის განთავისუფლების» ჯგუფთან უთანხმოების შემთხვევაში რედაქცია ვალდებულია მთლიანად დაბეჭდოს ჯგუფის ან თვითეული მისი ცალკე წევრის განსაკუთრებული აზრი.

5. უნდა გამოქვეყნდეს ამ შეთანხმების მხოლოდ პირველი პუნქტი.

6 ოქტომბერი, 1900 წელი».

დოკუმენტი დაბეჭდილია მანქანაზე, სათაური და ხელმოწერა არა აქვს. — 134.

59 განცხადების პირვანდელი პროექტისაგან განსხვავებით, სადაც ერთდროულად იყო გადმოცემული ორი ორგანოს — გაზეთისა და ჟურნალის — პროგრამა, «ისკრის» რედაქციის მიერ გამოცემულ განცხადებაში ლაპარაკი იყო მხოლოდ გაზეთ «ისკრაზე». ჟურნალ «ზარიას» ამოცანებზე გადაწყვეტილი იყო ცალკე დაეწერათ, ჟურნალის პირველ ნომერში. — 135.

60 «მ უ შ ა თ ა კ ლ ა ს ი ს თ ვ ი თ გ ა ნ თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ი ს ჯ უ ფ ი» — «ეკონომისტების» პატარა ჯგუფი, წარმოიშვა პეტერბურგში 1898 წლის შემოდგომაზე და რამდენიმე თვის განმავლობაში იარსება. ჯგუფმა გამოუშვა მოწოდება, სადაც გადმოცემული იყო მისი მიზნები (დაიბეჭდა ჟურნალ «ნაკანუნეში», რომელიც ლონდონში გამოდიოდა), აგრეთვე წესდება და რამდენიმე პროკლამაცია მუშებისადმი.

ამ ჯგუფის შეხედულებათა კრიტიკა ლენინმა მოგვცა წიგნის «რა ეაკეთოთ?» II თავში. — 136.

61 ზ ა გ ო რ ს კ ა ი ა (ი. გ. სმიდოვიჩ-ლემანი) «ისკრის» რედაქციაში ასრულებდა მდივნის მოვალეობას, ვიდრე ნ. კ. კრუპსკაია 1901 წლის აპრილში ჩამოვიდოდა; შემდეგ რუსეთში მუშაობდა; 1902 წელს დაპატიმრეს კრემენჩუგში; 1903 წელს იანვარში გაიქცა კიევის ჟანდარმთა სამმართველოდან. შემდეგში ზაგორსკაია-სმიდოვიჩი მენშევიკი გახდა. — 141.

62 «პ ა რ ი ზ ე ლ ე ბ ი» (დ. ბ. რიაზანოვი, ი. მ. სტეკლოვი, ე. ლ. გურევიჩი) — საზღვარგარეთული ლიტერატურული ჯგუფის «ბორბას» წარმომადგენლები. ვ. ი. ლენინი მათ «პარიზელებს» უწოდებს იმის გამო, რომ ისინი მაშინ პარიზში იმყოფებოდნენ.

პ ა რ ი ზ ე ლ ე ბ თ ა ნ «ჯ ა ხ ი რ ი», რაზედაც ჰ. ბ. აქსელროდი თავის წერილში გადაკვრით მიუთითებდა ვ. ი. ლენინს, როგორც ეტყობა, იმას ნიშნავდა, რომ ძნელი იყო მათთან მოლაპარაკება «ისკრაში» შუდმივი თანამშრომლობისათვის მათი მოზიდვის შესახებ, რადგან ისინი რედაქციაში მონაწილეობის პრეტენზიას აცხადებდნენ. — 141.

63 ბროშურა «მ ა ი ს ი ს დ ღ ე ე ბ ი ხ ა რ კ ო ვ ს ი» შეადგინა რსდმპ ხარკოვის კომიტეტმა და 1901 წლის იანვარში გამოსცა «ისკრამ»; მიძღვნილია 1900 წლის 1 მაისის დღეს ხარკოველი მუშების მიერ გამართული პირველი მასობრივი დემონსტრაციის აღწერისადმი; გამოვიდა საზღვარგარეთ ვ. ი. ლენინის წინასიტყვაობით. — 141.

64 ლაპარაკია ლენინის პასუხზე პლეხანოვისადმი, რომელმაც ლენინს მიმართა რჩევისათვის «ეკონომისტების» იმ წინადადებასთან დაკავშირებით, რომ ეთანამშრომლნა მათს გაზეთ «რაბოჩაია მისლში». — 142.

65 იგულისხმება ა. ნ. პოტრესოვი (იგივე «მეგობარი»). — 143.

66 «ნ ა კ ა ნ უ ნ ე»—ნაროდნიკული მიმართულების ჟურნალი; გამოდიოდა ლონდონში რუსულ ენაზე 1899 წლის იანვრიდან 1902 წლის თებერვლამდე. გამოვიდა 37 ნომერი. ჟურნალის გარშემო დაჯგუფებული იყო სხვადასხვა წერილბურჟუაზიული პარტიების წარმომადგენლები. — 146.

67 პუტმანის (ა. ნ. პოტრესოვის ფსევდონიმი) სტატია «რ ა მ ო ხ დ ა?» და ბიკალის (ბოგუჩარსკის (ვ. ი. იაკოვლევის) ფსევდონიმი) სტატია «ძ ვ ე ლ ი ს ა დ ა ახ ლ ი ს შ ე ს ა ხ ებ», რომლებზედაც ლაპარაკია ამ წერილში, დაბეჭდილია ჟურნალ «ზარიაში» № 1, 1901 წლის აპრილს. — 148.

68 იგულისხმება გ. ვ. პლეხანოვის სტატია «ე რ თ ხ ე ლ კ ი დ ე ე ს ო ც ი ა ლ ი ზ მ ი და პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი ბ რ ძ ო ლ ა», დაბეჭდილი ჟურნალ «ზარიაში» № 1. 1901 წლის აპრილს. — 150.

69 შენიშვნა «რ ა მ ო ჩ ნ ა ხ ე ს?» გ. ვ. პლეხანოვს არ დაუწერია, რადგან მისი ნავარაუდევი შინაარსი მან მოაქცია სტატიაში «ერთხელ კიდეე სოციალიზმი და პოლიტიკური ბრძოლა». — 151.

70 «კ ა ვ შ ი რ ი» — პეტერბურგის «მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირი». — 151.

71 «ს ო ვ რ ე მ ე ნ ნ ო ე ო ბ ო ზ რ ე ნ ი ე» — ჟურნალ «ზარიას» გამოსაცემად განზრახული საერთო პოლიტიკური დამატება. ამ ბეჭდვითი ორგანოს გამოცემა არ მოხერხდა. — 154.

72 ვ. ი. ლენინმა, როცა იგი შეუდგა გაზეთ «ისკრის» და ჟურნალ «ზარიას» ორგანიზაციას, უახლოეს ამოცანად დაისახა დაერაზმა რედაქციის გარშემო რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ის ელემენტები, რომლებიც შეიძლებოდა სასარგებლონი ყოფილიყვნენ ლიტერატურული მუშაობისათვის. ამით აიხსნება ლენინის ცდა მიეზიდა «ისკრაში» თანამშრომლობისათვის «ბორბას» ჯგუფის წევრები, მიუხედავად იმისა, რომ ეს პატარა ჯგუფი არც იდეურ-პოლიტიკური მხრივ, არც მასობრივ მუშათა მოძრაობასთან კავშირის მხრივ რამდენადმე მაინც მნიშვნელოვან სიდიდეს არ წარმოადგენდა. — 157.

73 იგულისხმება «ისკრის» რედაქციის მოლაპარაკება ლიბერალებთან, რომელთა წარმომადგენელი იყო პ. სტრუვე, «სოვრემენნოე ობოზრენიეს» გამოცემის შესახებ; მოლაპარაკება 1901 წლის იანვრის განმავლობაში წარმოებდა. შემდგომში მოლაპარაკება შეწყვეტილ იქნა და ორგანოს გამოცემა არ განხორციელებულა.—157.

74 როცა ვ. ი. ლენინი იხსენიებს, «თ ა ვ გ ა დ ა ს ა ვ ა ლ ი კ ე თ ი ლ ა დ დ ა მ თ ა ვ რ დ ა ო», მას მხედველობაში აქვს შემდეგი. ქენეევში 1901 წლის 5 აპრილს რუსმა სტუდენტებმა რუსეთის საკონსულოს შენობის წინ გამართეს საპროტესტო დემონსტრაცია იმ რეპრესიების წინააღმდეგ, რომლებიც მიმართული იყო პოლიტიკური ემიგრანტების წინააღმდეგ. რუსეთის მთავრობამ გადაწყვიტა ესარგებლნა ამ შემთხვევით, რათა ზეგავლენა მოეხდინა შვეიცარიის ხელისუფლებაზე და ამრიგად მიეღწია შვეიცარიიდან მთელი რიგი ცნობილი პოლიტემიგრანტების და პირველ რიგში პლეხანოვის განდევნისათვის. მაგრამ პლეხანოვმა შეძლო დაემტკიცებინა, რომ მას ამ დემონსტრაციასთან დამოკიდებულება არა ჰქო-

ნია. «ისკრის» რედაქციის წევრებს ეშინოდათ, რომ პლეხანოვის მეცადინეობა მარცხით დამთავრდებოდა. — 164.

75 ს. ფრანკი. «მარქსის ფასების თეორია და მისი მნიშვნელობა. კრიტიკული ეტიუდი», სპბ, 1900. პლეხანოვის რეცენზია ამ წიგნის გამო დაბეჭდილია «ზარიაში» № 2-3, 1901 წლის დეკემბერს (იხ. გ. ვ. პლეხანოვი, თხზულებანი, ტ. XI, 1923, გვ. 348 — 357). — 164.

76 «ნ ა ს ლ ა ვ ნ ო მ პ ო ს ტ უ (1860 — 1900)» — ლიტერატურული კრებული, მიძღვნილი ნ. კ. მიხაილოვსკისადმი, სპბ., 1901; გამოცემულია ნ. კ. მიხაილოვსკის ლიტერატურული მოღვაწეობის 40 წლისთავის გამო. კრებულში მონაწილეობა მიიღეს მაშინდელი დროის ცნობილმა მწერლებმა — ნაროდნიკებმა და ლიბერალებმა: ვ. გ. კოროლენკომ, დ. ნ. მამინ-სიბირიაკმა, ლ. მელშინმა, ს. ელპატიევსკიმ, ს. იუჟაკოვმა და სხვ. ამ წიგნის რეცენზია არც «ისკრაში», არც «ზარიაში» არ ყოფილა. — 164.

77 აქ ვ. ი. ლენინი უპასუხებს გ. ვ. პლეხანოვს «ი ს კ რ ი ს» ტ ა ქ ტ ი კ ი ს ა და ლ ო ზ უ ნ გ ე ბ ი ს საკითხზე, რომლებიც რუსეთში 1901 წლის 1 მ ა ი ს ი ს ჩატარებასთან დაკავშირებით გამოხატულია «ი ს კ რ ი ს» ს ა პ ი რ ვ ე ლ მ ა ი ს ი ო «ფ უ რ ც ე ლ შ ი». პლეხანოვი წერილში «ისკრის» რედაქციის მიუნხენელთა ნაწილისადმი 1901 წლის 19 აპრილს წერდა, რომ რუსეთში 1 მაისის ზეიმობის დღეს მუშებს ქუჩისაკენ არ უნდა მოვუხმოთ, რადგან მთავრობა ხოცავ-ულტიმატუმთვის მოემზადება, სისხლი დაიღვრება და მუშები დამარცხდებიანო. მომენტის მთავარ ამოცანად პლეხანოვს მიაჩნდა მუშაობა ადგილობრივი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების განსამტკიცებლად. ამ საკითხში, იმ პერიოდის კონკრეტულ ისტორიულ ვითარებაში, ლენინი, როგორც წერილიდან ჩანს, ეთანხმებოდა პლეხანოვს. — 164.

78 «ნ ა რ ო დ ნ ო ე ხ ო ზ ი ა ი ს ტ ვ ო» — საზოგადოებრივ-ეკონომიური ჟურნალი; გამოდიოდა ჯერ ყოველთვიურად, შემდეგ თვეში ორჯერ პეტერბურგში 1900 — 1905 წლებში. — 164.

79 პ ა რ ი ზ ე ლ ე ბ ი — საზღვარგარეთის ლიტერატურული ჯგუფი «ბორბა», რომელიც თავს რსდმ პარტიას აკუთვნებდა; პარტიის II ყრილობის გადაწყვეტილებით დაშლილ იქნა. ც ი უ რ ი ხ ე ლ ე ბ ი — ციურიხში მცხოვრები ლატვიელი სოციალ-დემოკრატები, სტუდენტები, რომლებიც ეწეოდნენ არალეგალურ გამოცემათა გადაგზავნას რუსეთში. — 165.

80 ავტორი «შენიშვნებისა «რაბოჩეე დელოს»» პროგრამაზე — დ. რიაზანოვი.—165.

81 «ლ ი ს ტ ო კ «რ ა ბ ო ჩ ე გ ო დ ე ლ ა»» — «საზღვარგარეთის რუსი სოციალ-დემოკრატების კავშირის» არაპერიოდული გამოცემა; გამოდიოდა ჟენევაში 1900 — 1901 წლებში. — 165.

82 იგულისხმება «ისკრის» ხელშემწყობი ბერლინის ჯგუფი. — 166.

83 ლენინის მიერ დასახული გეგმა განხორციელდა 1901 წლის ოქტომბერში, როცა დაარსდა «რუსეთის რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის საზღვარგარეთის ლიგა». — 166.

84 იგულისხმება სტუდენტთა მღელვარება და მუშების გამოსვლები — მიტინგები, დემონსტრაციები და გაფიცვები — 1901 წლის თებერვალსა და მარტში, რამაც მოიცვა რუსეთის ბევრი ქალაქი: პეტერბურგი, მოსკოვი, კიევი, ხარკოვი, იაროსლავლი, ტომსკი, ვარშავა, ბელოსტოკი და სხვ. — 173.

85 ლენინს გეგმა ჰქონდა ·აეწყოთ «ისკრა» საზღვარგარეთ, დაემზადებინათ

ანაწყობიდან მატრიცები და სტერეოტიპის ჩამოსასხმელად და დასაბეჭდად გამოეგზავნათ მატრიცები რუსეთში. — 179.

86 დ ე ბ. — ვ. კ. დებოგორი-მოკრიეევიჩი, 70-იანი წლების რევოლუციონერ-ნაროდნიკი. 1894 წლიდან ცხოვრობდა ბულგარეთში, სადაც მოკვდა. 1901 წელს «ზარიას» რედაქციამ დებოგორი-მოკრიეევიჩს მიმართა თხოვნით — მოეცა რაიმე ნაწყვეტი თავისი მოგონებებიდან. ის დათანხმდა. ამ საკითხის გამო რედაქციის წევრებს შორის მიწერ-მოწერა წარმოებდა. მაგრამ მოგონებანი «ზარიაში» არ ყოფილა დაბეჭდილი. — 180.

87 აქ მოხსენიებული კ ო ნ ფ ე რ ე ნ ც ი ა გაიმართა ჟ ე ნ ე ვ ა ში 1901 წლის ი ვ ნ ი ს ს. კონფერენციაზე იყვნენ «ისკრისა» და «ზარიას», «ბორბას» ჯგუფის, «რაბოჩეე დელოს», «საზღვარგარეთელი რუსი სოციალ-დემოკრატების კავშირის», ბუნდის და რევოლუციური ორგანიზაცია «სოციალ-დემოკრატის» წარმომადგენლები. კონფერენცია წინასწარ ხასიათს ატარებდა. საბოლოო გადაწყვეტილებანი გადაიდო «გამაერთიანებელ» ყრილობამდე, რომელიც შედგა იმავე წლის ოქტომბერში და რომელზეც მოხდა «რაბოჩეე დელოს» და «ისკრის» საბოლოო გათიშვა. — 180.

88 «ლ ი ს ტ ო კ «რ ა ბ ო ჩ ე გ ო დ ე ლ ა»» № 7 გამოვიდა 1901 წლის აპრილში და მიძღვნილია სტუდენტთა მოძრაობისადმი. — 180.

89 ლენინი აქ ლაპარაკობს პეტერბურგში 1901 წლის 4 და 7 მაისს ვიბორგის მხარეში და ობუხოვის (სახაზინო) ფოლადსამსხმელო ქარხანაში მომხდარ ამბებზე (ეგრეთწოდებულ «ობუხოველთა თაყვანცემაზე»). ვიბორგის მხარეში გაფიცულმა მუშებმა 4 მაისს მოაწყვეს დემონსტრაცია და ქალაქისაკენ დაიძრნენ. სამპსონიევსკის ხიდზე მათ შეხვდა პოლიცია, მოხდა შეტაკება, რომელიც რამდენიმე საათს გრძელდებოდა, შედეგად დაიჭრა 70-მდე კაცი ორივე მხრიდან, მათ შორის ბევრი მუშა. 7 მაისს ობუხოვის ქარხნის მუშებმა იმის პასუხად, რომ ადმინისტრაციამ უარი თქვა უკან მიეღო 1 მაისს სამუშაოზე გამოუცხადებლობისათვის დათხოვნილი მუშები, მიატოვეს მუშაობა და დაახლოებით $3^1/_2$ ათასი კაცის რაოდენობით გავიდნენ შლისელბურგის ტრაქტზე, სადაც პოლიციამ მუშები საბრძოლველად გამოიწვია. ობუხოველებმა მამაცური წინააღმდეგობა გაუწიეს პოლიციას. ამ ამბებს 1901 წლის ივნისის «ისკრაში» № 5 მიძღვნილი აქვს ორი შენიშვნა განყოფილებაში «პირველი მაისი რუსეთში» და ლენინის სტატია ' «ახალი ხოცვა-ჟლეტა». — 181.

90 ლაპარაკია ი. ვ. ბ ა ბ უ შ კ ი ნ ზ ე (1873-1906) — მუშა-რევოლუციონერი, რსდმპ ერთ-ერთი ორგანიზატორი, ბოლშევიკი-ისკრელი.

1893 წ. ი. ვ. ბაბუშკინს პირადად გაეცნო ვ. ი. ლენინი, რომელიც მაშინ მოწინავე მუშებს იზიდავდა მის მიერ შექმნილ პეტერბურგის «შრომის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირში»; შემდგომში ბაბუშკინი ხდება «კავშირის» ერთ-ერთი უაქტიურესი წევრი, აყალიბებს წრეებს, წერს და ავრცელებს ფურცლებს, პროკლამაციებს, აწყობს ბიბლიოთეკებს.

ი. ვ. ბაბუშკინის ხელმძღვანელობით გამოსაცემად მომზადებულ იქნა გაზეთი «იუენი რაბოჩი». იგი მხურვალედ მიესალმა ვ. ი. ლენინის იდეას საზღვარგარეთ საერთო-რუსული არალეგალური მარქსისტული გაზეთის შექმნის შესახებ და აქტიურ მონაწილეობას იღებს «ისკრის» ჩამოყალიბებაში, გზავნის მისთვის მუშების კორესპონდენციებს, ავრცელებს «ისკრას», აწვდის ცნობებს ვ. ი. ლენინს ადგილებზე არსებული მდგომარეობის შესახებ.

ი. ვ. ბაბუშკინს დაწერილი აქვს მთელი რიგი პროკლამაციები, ბროშურები, მათ შორის ცნობილი ბროშურა «ივანოვო-ვოზნესენსკის მუშების დაცვისათვის».

ვ. ი. ლენინის წინადადებით ი. ვ. ბაბუშკინმა დაწერა «მოგონებები» — ოტაკქეშელის, პროფესიონალურ რევოლუციონერ-ბოლშევიკის ისტორია.

ბაბუშკინი დიდ მუშაობას ეწეოდა პეტერბურგში როგორც «ისკრის» აგენტი «ნოვიცკაიას» ზედმეტი სახელით.

ი. ვ. ბაბუშკინი რევოლუციური მუშაობისათვის მრავალჯერ იქნა დაპატიმრებული მეფის მთავრობის მიერ. 1906 წლის 31 იანვარს იგი შეიპყრო დამსჯელმა ექსპედიციამ და დახვრიტა.

ვ. ი. ლენინი მაღალ შეფასებას აძლევდა ივანე ვასილის-ძე ბაბუშკინის თავდადებულ ერთგულებას რევოლუციის დიადი საქმისადმი. — 181.

91 «იუენი რაბოჩი» — სოციალ-დემოკრატიული გაზეთი, არალეგალურად სცემდა იმავე სახელწოდების ჯგუფი 1900 წლის იანვრიდან 1903 წლის აპრილამდე; სულ გამოვიდა 12 ნომერი. გაზეთი უმთავრესად ეჩცელდებოდა სამხრეთ რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებში.

ლენინი «იუენი რაბოჩის» ჯგუფს აკუთვნებდა იმ ორგანიზაციებს, «რომლებიც «ისკრას» ხელმძღვანელ ორგანოდ თვლიდნენ სიტყვიერად, სინამდვილეში კი თავიანთ განსაკუთრებულ გეგმებს ისახავდნენ და რომელთაც პრინციპული მერყეობა ახასიათებდა». ჯგუფი არსებობდა რსდმპ II ყრილობამდე. ჯგუფის ხელმძღვანელი შემადგენლობის უმრავლესობა შემდგომ მენშევიკები გახდნენ. — 182.

92 ჯგუფი «სოციალისტი» — პოლიტიკური შემადგენლობით სხვადასხვაგვაროვანი ჯგუფი, რომელიც 1900 წლის ზაფხულში მოეწყო პეტერბურგში.—185.

93 «რაბოჩეე ზნამია». — გაზეთი, სოციალ-დემოკრატიული ჯგუფის «რაბოჩეე ზნამიას» არალეგალური ორგანო, № 1 გამოვიდა 1898 წლის მაისში ბელოსტოკში. ბელოსტოკის სტამბის ჩავარდნის შემდეგ (1898 წ. ივლისი) გამოცემა 1900 წელს გადატანილ იქნა ლონდონში, სადაც 1901 წლის თებერვალში გამოვიდა უკანასკნელი № 3. — 185.

94 იგულისხმება ვ. ი. ლენინის სტატია «ერობის მდევნელნი და ლიბერალიზმის ქანიბალები». — 187.

95 «The Economist» («ეკონომისტი») — ყოველკვირეული ეკონომიური და სტატისტიკური ბურჟუაზიული ჟურნალი; გამოდის ლონდონში 1843 წლიდან. — 191.

96 ხუთი მოყვანილი პუნქტით აღნიშნულია ის ადგილები, სადაც ეს წერილი უნდა გაგზავნილიყო, მეოთხე პუნქტში ლენინი გულისხმობს ტვერის ს.-დ ორგანიზაციას, რომლისთვისაც წერილი გაიგზავნა ა. ბაკუნინის მისამართით. უკანასკნელი პუნქტი 5, რომელიც ლენინს ბრჭყალებში აქვს ჩასმული, ნიშნავს იმ წერილის სახელწოდებას, რომელიც რუსეთიდან იყო გაგზავნილი «ისკრის» ერთერთი წარმომადგენლის მიერ. ეს წერილი მთლიანად გამოაქვეყნა ლენინმა თავის სტატიაში «საუბარი ეკონომიზმის დამცველებთან». მოჰყავდა რა ეს პუნქტი, ლენინს მხედველობაში ჰყავდა «ისკრის» ის წარმომადგენელი, რომელმაც მან აღნიშნული წერილი გაუგზავნა. — 193.

97 «საზღვარგარეთ მომხდარ კონფლიქტად» ლენინი გულისხმობს «ისკრის» და ორგანიზაცია «სოციალ-დემოკრატის» წარმომადგენლების წასვლას რსდმ პარტიის საზღვარგარეთული ორგანიზაციების «გამაერთიანებელი» ყრილობიდან. — 193.

98 ლაპარაკია ვ. ი. ლენინის ნაშრომზე «რა ვაკეთოთ?». — 193.

99 «რუსკაია სტარინა» — ყოველთვიური ისტორიული ჟურნალი; გამოდიოდა პეტერბურგში 1870-დან 1918 წლამდე. — 197.

100 გაზეთ «ისკრაში», № 7 (1901 წლის აგვისტო), განყოფილებაში «მუშათა მოძრაობის ქრონიკა და წერილები ფაბრიკა-ქარხნებიდან» გამოქვეყნდა ერთი ფეიქარი მუშის წერილი, რაც მოწმობდა მოწინავე მუშებზე ლენინური «ისკრის» უდიდეს გავლენას.

«...მე ბევრ ამხანაგს ვუჩვენებდი «ისკრას» და მთელი ნომერი დაიძენძა, ეს კი ძვირფასია...», — წერდა აეტორი. «აქ ლაპარაკია ჩვენს საქმეზე, მთელ რუსეთის საქმეზე, რასაც კაპიკებით ვერ შეაფასებ და საათობით ვერ განსაზღვრავ; როცა მას კითხულობ, გასაგები ხდება, რატომ ეშინიათ ჟანდარმებს და პოლიციას ჩვენი, მუშების, და იმ ინტელიგენტების, რომელთაც ჩვენ მიეყვებით. ისინი, მართლაც, საშიშნი არიან მეფისთვისაც, მეპატრონეებისთვისაც, ყველასთვის და არა მარტო მეპატრონეთა ჯიბეებისთვის... მუშა ხალხი ახლა ადვილად აღინთება, უკვე ყველაფერი ღვივდება ქვეშოთ, საჭიროა მხოლოდ ნაპერწკალი, რომ ხანძარი გაჩნდეს. ოჰ, რა სწორად არის ნათქვამი, ნაპერწკლიდან ალი გაჩაღდებაო!... წინათ ყოველი გაფიცვა დიდი ამბავი იყო, ახლა კი ყველა, ხედავს, რომ მარტო გაფიცვა არაფერს არ წარმოადგენს, ახლა საჭიროა თავისუფლება მოვიპოვოთ, მკერდით დავიპყროთ იგი. ახლა ყველანი, მოხუციც და ახალგაზრდაც, ყველანი დავეწაფებოდით კითხვას, მაგრამ ჩვენი უბედურება ის არის, რომ წიგნები არა გვაქვს. გასულ კვირას შევყარე თერთმეტი კაცი და მათ ვუკითხავდი. «რით დავიწყოთ?»; შუაღამემდე არ დავშლილვართ. რა სწორად არის ყოველივე ნათქვამი, რარიგად მისაწვდომია ყველაფერი... გვინდა მაგ თქვენს «ისკრას» წერილი მივწეროთ, რომ მან არა მარტო ის გვასწავლოს, თუ როგორ დავიწყოთ, არამედ ისიც, თუ როგორ ვიცხოვროთ და დავიხოცოთ». — 207.

101 იგულისხმება ბროშურა «მოხსენება პარიზის 1900 წლის საერთაშორისო სოციალისტურ კონგრესს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის შესახებ». მოხსენება «რუსი სოციალ-დემოკრატების საზღვარგარეთული კავშირის» დავალებით კონგრესს წარუდგინა «რაბოჩეე დელოს» რედაქციამ, ხოლო «კავშირმა» ცალკე ბროშურად გამოსცა ჟენევაში 1901 წელს. ბროშურაში შეტანილი იყო აგრეთვე ბუნდის მოხსენება («რუსეთისა და პოლონეთის ებრაელ მუშათა მოძრაობის ისტორია»). — 209.

102 «სვობოდა» — ჟურნალი, რომელსაც სცემდა ამავე სახელწოდების რევოლუციურ-სოციალისტური ჯგუფი. ჟურნალი განკუთვნილი იყო მუშებისათვის, 1902 წ. გამოვიდა ჟურნალის ორი ნომერი. — 212.

103 ეს შენიშვნა ლენინმა დაურთო კონსპირაციული მიზნით. ფაქტები აქ აღნიშნულია სწორედ იმ რიგით, როგორც ისინი მოხდა. — 222.

104 იგულისხმება პეტერბურგის «მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირის» მოლაპარაკება ლენინთან, რომელმაც 1897 წლის მეორე ნახევარში დაწერა ტექსტში მოხსენებული ორივე ბროშურა. — 223.

105 იგულისხმება ბუნდის ც. კ.-ის მოლაპარაკება ვ. ი. ლენინთან. — 223.

106 როცა ლენინი «მეოთხე ფაქტის» შესახებ მოგვითხრობს, მას მხედველობაში აქვს «რუსი სოციალ-დემოკრატების საზღვარგარეთული კავშირისა» და ბუნდის ცდა 1900 წლის შემოდგომაზე მოეწვიათ პარტიის მეორე ყრილობა. ლენინის მიერ მოხსენებული «კომიტეტის წევრი» არის ი. ხ. ლალაიანცი

(ეკატერინოსლავის სოციალ-დემოკრატიული კომიტეტის წევრი), რომელიც 1900 წლის თებერვალს ჩავიდა მოსკოვში ვ. ი. ლენინთან მოსალაპარაკებლად. — 224.

107 «კანუნ რევოლუციი» (ქენევა, 1902) — «ეკონომისტ»-ტერორისტების ჯგუფის «სვობოდას» არაპერიოდული გამოცემა ლ. ნადეჟდინის რედაქციით.—225.

108 ლენინს ციტატი მოჰყავს დ. ი. პისარევის სტატიიდან «მოუმწიფებელი აზრის შეცდომები». (იხ. დ. ი. პისარევი. რჩეული თხზულებანი ორ ტომად, ტ. II, 1935, გვ. 124, 125). — 237.

109 ლენინს მხედველობაში აქვს შემდეგი ადგილი კ. მარქსის ნაშრომიდან «თვრამეტი ბრიუმერი ლუი ბონაპარტისა»:

«ჰეგელი სადღაც შენიშნავს, ყველა დიდი მსოფლიო-ისტორიული ამბავი და პიროვნება, ასე ვთქვათ, ორჯერ გეველინებიანო. მას დაავიწყდა დაემატებინა: პირველად — როგორც ტრაგედია, მეორედ — როგორც ფარსი» (იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერები ორ ტომად. ტ. I, 1952, გვ. 212). — 238.

110 იანიჩრები — პრივილეგიური ქვეითი ჯარი სულთნის თურქეთში, გაუქმებული 1826 წელს. ‘ანიჩრები ძარცვავდნენ მოსახლეობას, არაჩვეულებრივ სიასსტიკეს იჩენდნენ. ლენინი იანიჩრებს უწოდებს მეფის პოლიციას. — 241.

111 ეს დამატება ლენინმა გამოტოვა ნაშრომის «რა ვაკეთოთ?» ხელახლა გამოცემისას კრებულში «12 წლის მანძილზე» 1907 წელს. — 244.

112 «ისკრის» № 18-ში, 1902 წლის 10 მარტს, განყოფილებაში «პარტიიდან» გამოქვეყნდა შენიშვნა «„ზარიას» პოლემიკა «Vorwärts»-ის რედაქციასთან», სადაც შეჯამებული იყო ეს პოლემიკა. — 249.

113 კიშინიოვში მოეწყო «ისკრის» არალეგალური სტამბა, რომელშიც იბეჭდებოდა გაზეთის ცალკეული ნომრები რუსეთში გასავრცელებლად. წერილში ლენინს მხედველობაში აქვს ცნობა კიშინიოვის სტამბაში «ისკრის» № 10-ის დაბეჭდვის შესახებ. — 252.

114 1901 წლის 20 დეკემბრის № 13 «ისკრაში» მოთავსებულია ლენინის მიერ დაწერილი მოწინავე სტატია «დემონსტრაციების დასაწყისი».—252.

115 «ნოვოე ვრემიას ქება-დიდებაზე» რომ ლაპარაკობს, ლენინი გულისხმობს მეფის რუსეთის პრესის რეაქციულ მიმართულებას, რომელსაც გამოხატავდა გაზეთი «ნოვოე ვრემია». გაზეთი გამოდიოდა პეტერბურგში 1868 წლიდან 1917 წლის ოქტომბრამდე. დასაწყისში ზომიერ-ლიბერალური, 1876 წლიდან იგი გადაიქცა რეაქციულ მემამულური და მოხელე-ბიუროკრატიული წრეების ორგანოდ. გაზეთი ბრძოლას ეწეოდა არამარტო რევოლუციურ, არამედ ლიბერალურ-ბურჟუაზიული მოძრაობის წინააღმდეგაც, 1905 წლიდან გადაიქცა შავრაზმელთა ერთ-ერთ ორგანოდ.

«ნოვოე ვრემელობა» იყო გამოთქმა, რომელიც ნიშნავდა რეაქციულობას, გამყიდველობას, მლიქნელობას. — 256.

116 «ისკრის» რედაქციის მოხსენება, დაწერილი ლენინის მიერ, განკუთვნილი იყო რსდმპ კომიტეტების თათბირისათვის (კონფერენციისათვის), რომელიც შედგა 1902 წლის 23-28 მარტს (5-10 აპრილს) ბელოსტოკში. «ეკონომისტებსა» და მათი მხარეხდამჭერ ბუნდელებს თავდაპირველად განზრახვა ჰქონდათ გამოეცხადებინათ ეს კონფერენცია პარტიულ ყრილობად. ლენინის მოხსენებაში, რომელიც «ისკრის» წარმომადგენელმა წაიკითხა კონფერენციაზე, დამტკიცებული იყო, რომ ასეთი ყრილობა არ იყო მომზადებული და უფლებამოსილი. ანტიისკრელებმა ვერ შეძლეს კონფერენცია პარტიულ ყრილობად გადაექციათ. კონფერენ-

ციამ დამტკიცა საპირველმაისო ფურცელი და შექმნა პარტიის II ყრილობის მომწვევი ორგანიზაციული კომიტეტი. კონფერენციის დელეგატთა და ორგანიზაციული კომიტეტის წევრთა უმრავლესობა კონფერენციის შემდეგ მაშინვე დააპატიმრეს. რსდმპ II ყრილობის მომწვევი ახალი ორგანიზაციული კომიტეტი შექმნილ იქნა იმავე წლის ნოემბერში. — 257.

117 ლაპარაკია ლენინის სტატიაზე «რუსეთის სოციალ-დემოკრატიის აგრარული პროგრამა». — 258.

118 იგულისხმება გვერდები ლენინის ხელნაწერისა «რუსეთის სოციალ-დემოკრატიის აგრარული პროგრამა». — 258.

119 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, ტომი 6, მე-4 გამოც., გვ. 171. — 259.

120 პროგრამის კომისიის პროექტის ტექსტი შედეგი იყო იმ შემთანხმებელი კომისიის მუშაობისა, რომელიც გაზეთ «ისკრის» რედაქციამ გამოყო რსდმ პარტიის პროგრამის ერთიანი პროექტის შესადგენად ლენინისა და პლეხანოვის მიერ წინათ შემუშავებული პროექტების საფუძველზე. «ისკრის» რედაქციის წევრებს უნდა მიეცათ თავიანთი შენიშვნები პროგრამის კომისიის პროექტზე, შემთანხმებელ კომისიას კი შეემუშავებინა პროგრამის საბოლოო პროექტი. კომისიის პროექტის დამტკიცება მოხდა «ისკრის» რედაქციის წევრთა თათბირზე ციურიხში 1902 წლის 14 აპრილს (ახ. სტ.), ლენინის დაუსწრებლად. — 260.

121 1902 წლის ივნისის დამლევს — შუა ივლისში ლენინი ცხოვრობდა ლოგივში (საფრანგეთის ჩრდილოეთი ნაპირი) თავის დედასთან, მ. ა. ულიანოვასთან, და დასთან — ა. ი. ელიზაროვასთან ერთად. — 261.

122 იგულისხმება სარედაქციო (ხელმოუწერელი) შენიშვნა ვილნოდან მიღებული კორესპონდენციისათვის (საპირველმაისო დემონსტრაციის დაპატიმრებულ მონაწილეთადმი სხეულებრივი სასჯელის მასობრივად გამოყენების შესახებ), რაც დაბეჭდილია 1902 წლის 1 ივნისს გაზეთ «ისკრაში» № 21, განყოფილებაში «ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებიდან», მუშა ლეკერტის მიერ ვილნოს გუბერნატორის ფონ ვალის ხელყოფის გამო. — 261.

123 საორგანიზაციო კომიტეტის ერთ-ერთმა წევრმა თხოვნით მიმართა ვ. ი. ლენინს გამოეგზავნა სია საკითხებისა, რომლებზედაც სასურველია პასუხი რსდმპ კომიტეტებისა და ჯგუფების მოხსენებებში პარტიის II ყრილობაზე. დასახელებულ ნაშრომში შესული საკითხები წარმოადგენს სწორედ ამ თხოვნის პასუხს. — 269.

124 ლაპარაკია ბროშურაზე «მუშათა სალაროების ფურცელი» (ნაკეთი მე-2, მუშათა პროფესიულ ორგანიზაციებში დარაზმული ხარკოველი მუშების გამოცემა) და ჰექტოგრაფირებულ ჟურნალ «ხარკოვსკი პროლეტარზე», რომელიც 1901 წლის ოქტომბერში გამოვიდა. — 271.

125 «7 ც. 6 ფ.» — ბოლშევიკ ფ. ვ. ლენგნიკის ფსევდონიმი. — 273.

126 «კრასნოე ზნამია» — «ეკონომისტების» ორგანო, სცემდა «რუსი სოციალ-დემოკრატების საზღვარგარეთული კავშირი» 1902 წლის ნოემბრიდან 1903 წლის იანვრამდე «რაბოჩეე დელოს» ნაცვლად. გამოვიდა ჟურნალის სამი ნომერი. — 278.

127 «ნაროდნოე დელო» — სოციალ-რევოლუციონერების პარტიის პოპულარული გამოცემა «ქალაქისა და სოფლის მუშებისათვის», გამოვიდა ოთხი ნომერი (№ 1 — 1902 წ. აგვისტო, № 2 — 1902 წ. სექტემბერი, № 3 — 1903 წ. იანვარი და № 4 — 1903 წ. ივნისი). — 278.

128 «ოტკლიკი» — «მუშათა სოციალ-დემოკრატიული გაზეთ-ჟურნალი»,

რომლებსაც უშვებდა ჯგუფი «სვობოდა», გამოვიდა «ოტკლიკის» ერთი ნომერი (1902 წ.); «ოტკლიკი» გამოიცა «დამატებებით». — 278.

129 «ლ უ ჩ ი ნ ა» — პოპულარული კრებული, რომლის გამოცემა გლეხებისათვის განზრახული ჰქონდა 1902—1903 წ.წ. «რევოლუციურ-სოციალისტური» ჯგუფს «სვობოდას». — 278.

130 «რ ე ვ ო ლ უ ც ი ო ნ ნ ა ი ა რ ო ს ს ი ა» — გაზეთი, გამოდიოდა 1900 წლის დამლევიდან 1905 წლამდე. 1902 წლის იანვრიდან «რ. რ.» ესერების პარტიის ცენტრალური ორგანო. გამოდიოდა ჟუკალაში (ჟენევა), ტომსკში, ქენიგსბერგში. «რ. რ.» შეფასება როგორც ესერული იდეოლოგიისა და პოლიტიკისა მოცემულია ვ. ი. ლენინის ნაწარმოებებში «რატომ უნდა გამოუცხადოს სოციალ-დემოკრატიამ გადამწყვეტი და ულმობელი ომი სოციალისტ-რევოლუციონერებს?», «რევოლუციური ავანტიურიზმი», «ვულგარული სოციალიზმი და ნაროდნიკობა, რომლებსაც აცოცხლებენ სოციალისტ-რევოლუციონერები», «ნაროდნიკობიდან მარქსიზმისაკენ», «აჯანყებისათვის საბრძოლო შეთანხმების შესახებ» და სხვ. — 278.

131 ვ. ი. ლენინს მხედველობაში აქვს პროშურა «თვითმპყრობელობა და გაფიცვები». — 279.

132 1902 წლის ნოემბერ-დეკემბრის «რაბოჩაია მისლში» — № 16 დაბეჭდილი იყო «მუშათა ორგანიზაციის კომიტეტის პროტესტი», მიმართული რსდმპ პეტერბურგის კომიტეტის იმ განცხადების წინააღმდეგ, რომ იგი გაზეთ «ისკრასა» და ეურნალ «ზარიასა» პარტიის ხელმძღვანელ ორგანოებად ცნობს. გაზეთის იმავე ნომერში გამოქვეყნებული იყო მუშათა ორგანიზაციის კომიტეტის წერილი «სვობოდასა» ჯგუფისა და ეურნალ «ოტკლიკის» რედაქციისადმი, რომელშიც მადლობა იყო გამოთქმული თანაგრძნობისა და მხარდაჭერისათვის. ვ. ი. ლენინი წერილში მიუთითებდა აუცილებელია გადაჭრით შეეებრძოლოთ «ეკონომისტების» მოქმედებასო. — 281.

133 «ლ ი ს ტ ო კ «რ ა ბ ო ჩ ი ე მ ი ს ლ ი»»-ს უშვებდა ისკრული პეტერბურგის კომიტეტი 1902 წლის დეკემბერში და 1903 წლის იანვარში გაზეთ «რაბოჩაია მისლისა» ნაცვლად. «ლისტოკ «რაბოჩეი მისლი»» № 1 მოსპობილ იქნა კომიტეტის გადაწყვეტილებით მისი მეტისმეტად უხეირო რედაქციის გამო. — 281.

134 1703 წლის 2 იანვრიდან რუსეთში რეგულარულად იცემოდა პირველი რუსული გაზეთი სახელწოდებით «უწყებანი სამხედრო და სხვა საქმეებზე, რაიც ცოდნისა და ხსოვნის ღირსია და რაიც მოხდა მოსკოვის სახელმწიფოში და სხვა მეზობელ ქვეყნებში». პირველი რუსული გაზეთის გამოსვლის დღის 200 წლისთავის გამო რსდმპ პეტერბურგის კომიტეტმა 1903 წლის 3 იანვარს გამოუშვა ფურცელი «არათავისუფალი პრესის ორასი წლისთავი». ფურცელში დაგმობილია ცენზურის სამარცხვინო სისტემა, რომელიც რუსეთში არსებობდა, აწერილია ბრძოლა თავისუფალი სიტყვისათვის (დაწყებული რადიშჩევით და განგრძობილი გერცენით), აღნიშნულია არალეგალური რევოლუციური პრესის ფართო განვითარება XIX საუკუნის დამლევს, XX საუკუნის დამდეგს, ფურცელი მოუწოდებს ბრძოლისაკენ თვითმპყრობელობის მოსპობისათვის. — 281.

135 ლენინს მხედველობაში აქვს თავისი იან ლექციები საზოგადოებრივ მეცნიერებათა უმაღლეს რუსულ სკოლაში და რეფერატი რუს პოლიტიკურ ემიგრანტთა კრებაზე, რომლებიც მან პარიზში წაიკითხა 1903 წლის თებერვალში. — 282.

136 ლენინი ლაპარაკობს თავის ბროშურაზე «ს ო ფ ლ ის ღ ა რ ი ბ ე ბ ს». ბრო-

შერა გამოქვეყნდა 1903 წლის მაისში, რუსეთის სოციალ-დემოკრატიის საზღვარგარეთული ლიგის გამოცემით. — 282.

137 ლაპარაკია. ლენინის სტატიაზე «თ ვ ი თ მ პ ყ რ ობ ე ლ ო ბ ა ი რ ყ ვ ე ვ ა...» სტატია დაიბეჭდა «ისკრის» № 35-ში; მოწინააღმდეგე რედაქციამ მოათავსა პლეხანოვის სტატია. — 282.

—

ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲘᲐᲢᲘᲡ ᲓᲘᲥᲢᲐᲢᲣᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲘ

1 მუშათა დეპუტატების საბჭოს «ი ზ ვ ე ს ტ ი ა» — პეტერბურგის მუშათა დეპუტატების საბჭოს ოფიციალური ორგანო; გამოდიოდა 1905 წლის 17 (30) ოქტომბრიდან 14 (27) დეკემბრამდე; ბიულეტენის ხასიათს ატარებდა და ინფორმაციას იძლეოდა საბჭოს მუშაობის შესახებ. გაზეთს მუდმივი რედაქცია არ ჰყოლია, იბეჭდებოდა თვითნებურად სხვადასხვა ბურჟუაზიული გაზეთის სტამბებში. გამოვიდა 10 ნომერი. მე-11 ნომერი პოლიციის მიერ კონფისკებულ იქნა ბეჭდვის დროს. — 287.

2 «ისკრის» რედაქციიდან ვ. ი. ლენინის გამოსვლის დაწვრილებითი ახსნა-განმარტება მოცემულია სტატიაში «რატომ გამოვედი «ისკრის» რედაქციიდან?»—294.

3 ლაპარაკია ლენინის განცხადებაზე იმის შესახებ, რომ მან მოიხსნა პარტიის საბჭოს წევრისა და ცენტრალური ორგანოს რედაქციის წევრის მოვალეობა.—295.

4 ლაპარაკია ცნობაზე პარტიის II ყრილობის შესახებ. — 296.

5 წერილზე ლენინის ხელით აღნიშნულია: «გაუგზავნელი წერილი». — 299.

6 ლენინს მხედველობაში აქვს თავისი ნაშრომი «რ ს დ მ პ. II ყ რ ი ლ ო ბ ი ს ა მ ბ ა ვ ი». — 303.

7 «გ ა მ ო ქ ვ ე ყ ნ ებ ე ლ ი გ ა ნ ც ხ ა დ ებ ა» — პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილების პროექტი, წარდგენილი ლენინის მიერ ც. კ-ის სხდომაზე 1903 წლის 14 (27) ნოემბერს. ამ განცხადების გამო გადაწყვეტილება არ მიუღიათ, რადგან ც. კ-ის ზოგიერთი წევრი მენშევიკების მიმართ შემარიგებელ დამოკიდებულებას იჩენდა. — 305.

8 ც ე ნ ტ რ ა ლ უ რ ი კ ო მ ი ტ ე ტ ი ს უ ლ ტ ი მ ა ტ უ მ ი მენშევიკებს წარედგინათ 1903 წლის 12 (25) ნოემბერს. ლენინმა ჯერ კიდევ 1903 წლის 22 ოქტომბერს (4 ნოემბერს) გაუგზავნა ცენტრალურ კომიტეტს წერილი, რომელშიც წინადადებას იძლეოდა წარედგინათ მენშევიკებისათვის შემდეგი პირობები: 1) სამი ყოფილი რედაქტორის კოოპტაცია რედაქციაში; 2) წინანდელი მდგომარეობის აღდგენა საზღვარგარეთულ ლიგაში; 3) ერთი ხმის დათმობა მენშევიკებისათვის პარტიის საბჭოში. ამ თავდაპირველ პირობებს მხარი არ დაუჭირეს შემარიგებლებმა — ც. კ-ის წევრებმა. ამავე წერილში ლენინმა დასახა და ც. კ-ს წინადადება მისცა იმავე დროს დაემტკიცებინა, მაგრამ ჯერჯერობით მენშევიკებისათვის არ ეცნობებინა ულტიმატუმის ძირითადი მუხლები, ე. ი. ის პრაქტიკული დათმობანი, რომლებიც შეიძლებოდა ც. კ-ს დაეშვა მენშევიკების მიმართ: 1) «ისკრის» რედაქციაში ოთხი ყოფილი რედაქტორის კოოპტაცია; 2) ც. კ-ის არჩევით ორი კაცის კოოპტაცია ც. კ-ში; 3) წინანდელი მდგომარეო-

ბის აღდგენა საზღვარგარეთულ ლიგაში; 4) პარტიის საბჭოში ერთი ხმის დათმობა მენშევიკებისათვის. «ულტიმატუმის მიუღებლობის შემთხვევაში, — აღნიშნავდა ლენინი, — საჭირო იქნება ომი ბოლომდე. დამატებითი პირობა: 5) ყოველგვარი სასამართლოს, მითქმა-მოთქმისა და ლაპარაკის შეწყვეტა პარტიის მეორე ყრილობაზე და მის შემდეგ მომხდარი დავის გამო». ლენინის ეს წინადადებანი (გარდა დამატებითი პირობისა) შევიდა ც. კ-ის 12 (25) ნოემბრის ულტიმატუმის შემადგენლობაში, მაგრამ რამდენადმე შერბილებული იქნა ც. კ-ის შემარიგებლად განწყობილ წევრთა მიერ.

მენშევიკებმა უარყვეს ც. კ-ის ულტიმატუმი და პარტიის უმრავლესობის წინააღმდეგ ომის გზას დაადგნენ.

ც. კ-ის ულტიმატუმის შეფასება ლენინმა მოგვცა წიგნში «ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან». — 305.

9 წერილი დაწერილია ლენინის მიერ ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთის წარმომადგენლის ფ. ვ. ლენგნიკის სახელით. — 306.

10 ლაპარაკია ცენტრალური კომიტეტის მოლაპარაკებაზე მენშევიკებთან იმ მდგომარეობის შესახებ, რაც პარტიაში შეიქმნა II ყრილობის შემდეგ. — 306.

11 «მ ო ს კ ო ვ ს კ ი ე ვ ე დ ო მ ო ს ტ ი» — გაზეთი, მისი გამოცემა დაიწყო 1756 წელს; XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან გამოხატავდა მემამულეებისა და სამღვდელოების ყველაზე რეაქციული მონარქიული ფენების შეხედულებებს; 1905 წლიდან — შავრაზმელთა ერთ-ერთი მთავარი ბეჭდვითი ორგანო. გამოდიოდა 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციამდე. — 306.

12 ლაპარაკია ცენტრალური კომიტეტის ულტიმატუმზე, რომელიც მენშევიკებს წარუდგინათ 1903 წ. 12(25) ნოემბერს. ულტიმატუმის ძირითადი პუნქტები ჩამოაყალიბა ლენინმა თავის 1903 წლის 22 ოქტომბრის (4 ნოემბრის) წერილში ცენტრალური კომიტეტისადმი. — 306.

13 ც ე ნ ტ რ ა ლ ი რ ი კ ო მ ი ტ ე ტ ი ს ა ღ მ ა ს რ უ ლ ებ ე ლ ი კ ო მ ი ს ი ა შეიქმნა 1903 წლის ოქტომბრის მეორე ნახევარში (ახ. სტ.) ცენტრალური კომიტეტის სამი წევრის: გ. მ. კრჟიჟანოვსკის, ლ. ბ. კრასინისა და ფ. ვ. გუსაროვის შემადგენლობით. — 308.

14 ლაპარაკია საზღვარგარეთის (ენენეის) მენშევიკურ ოპოზიციასთან ცენტრალური კომიტეტის მოლაპარაკების შესახებ მასალების გამოქვეყნებაზე. — 309.

15 წერილი დაწერილია ლენინის მიერ ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენლის ფ. ვ. ლენგნიკის სახელით. — 311.

16 ლაპარაკია ახალი, მენშევიკური «ისკრის» რედაქციის მიერ მიღებულ რეზოლუციაზე იმის გამო, რომ ცალკე ფურცლად გამოქვეყნდა ლენინის წერილი «რატომ გამოვედი «ისკრის» რედაქციიდან?» — 311.

17 ლაპარაკია ლენინის წიგნზე «ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან (კრიზისი ჩვენს პარტიაში)» — 313.

18 წერილი წარმოადგენს წინა, 1903 წლის 30 დეკემბრის წერილის პოსტსკრიპტუმს და მასთან ერთად გაიგზავნა 1904 წლის 5 იანვარს. — 315.

19 1903 წლის 13 (26) ნოემბერს პლეხანოვმა «ისკრის» რედაქციაში კოოპტაციით შეიყვანა მენშევიკები მარტოვი, აქსელროდი, ზასულიჩი და პოტრესოვი. — 322.

20 «რ ა ს ს ვ ე ტ» — სოციალ-დემოკრატიული ფურცელი სექტანტებისათვის; გამოდიოდა რსდმპ II ყრილობის გადაწყვეტილების საფუძველზე. პირველი ნომერი გამოვიდა 1904 წლის იანვარში. მიუხედავად პარტიის საბჭოს 1904 წლის

ივნისის დადგენილებისა ფურცლის გამოცემის შეწყვეტის შესახებ, უკანასკნელი მაინც გამოდიოდა 1904 წლის სექტემბრამდე. სულ გამოვიდა 9 ნომერი. — 326.

21 ორლოვსკის (ვ. ვ. ვოროვსკის) ბროშურა «საბჭო პარტიის წინააღმდეგ» 1904 წლის ნოემბერს ჟენევაში გამოსცა ვ. ბონჩ-ბრუევიჩისა და ნ. ლენინის სოციალ-დემოკრატიული პარტიული ლიტერატურის ბოლშევიკურმა გამომცემლობამ. — 335.

22 1904 წლის სექტემბერ-დეკემბერში შესდგა ბოლშევიკურ ადგილობრივ კომიტეტთა სამი კონფერენცია: 1) სამხრეთისა (ოდესის, ეკატერინოსლავისა და ნიკოლაევის კომიტეტები); 2) კავკასიისა (ბაქოს, ბათუმის, თბილისისა და იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტები); 3) ჩრდილოეთისა (პეტერბურგის, მოსკოვის, ტვერის, რიგის, ჩრდილოეთისა და ნიჟნი-ნოვგოროდის კომიტეტები).

რსდმპ III ყრილობის მომზადების და მოწვევისათვის, ვ. ი. ლენინის წინადადებით, კონფერენციებმა აირჩიეს უმრავლესობის კომიტეტთა ბიურო, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ გუსევი, ზემლიაჩკა, ლიადოვი, ლიტვინოვი და სხვ. უმრავლესობის კომიტეტთა ბიურო, რომლის შემადგენლობაში შევიდა ლენინი, საბოლოოდ ჩამოაყალიბა 1904 წლის დეკემბერში. — 336.

23 ვ. ი. ლენინს მხედველობაში აქვს 1904 წლის ნოემბერს მენშევიკური «ისკრის» მიერ გამოცემული «წერილი პარტიული ორგანიზაციებისადმი». «წერილის» კრიტიკა იხ. ლენინის ბროშურაში «საერობო კამპანია და «ისკრის» გეგმა». — 337.

24 «პროლეტარიატის ბრძოლა» — ქართული არალეგალური გაზეთი, რსდმპ პარტიის კავკასიის კავშირის ორგანო. გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ, 1904 წელს, გაზეთის რედაქციას სათაურში ჩაუდგა ი. ბ. სტალინი.

პარტიის ლენინური ცენტრალური ორგანოს «პროლეტარის» შემდეგ გაზეთი «პროლეტარიატის ბრძოლა» ყველაზე უკეთესი და ყველაზე დიდი ბოლშევიკური გაზეთი იყო. გაზეთის თითქმის ყოველ ნომერში იბეჭდებოდა ლენინის სტატიები «პროლეტარიდან». ბევრი უმნიშვნელოვანესი სტატია დაწერილია ი. ბ. სტალინის მიერ.

ლენინის ეს წერილი დაწერილია იმ წერილის პასუხად, რომლითაც კავკასიის კავშირის კომიტეტი იწვევდა მას ეთანამშრომლა «პროლეტარიატის ბრძოლაში». — 344.

25 იგულისხმება «წერილი ამხანაგებისადმი (პარტიული უმრავლესობის ორგანოს გამოსვლისათვის)». — 344.

26 ლენინის ბროშურა «საერობო კამპანია და «ისკრის» გეგმა» მიძღვნილია მენშევიკური «ისკრის» რედაქციის წერილის კრიტიკისადმი; ეს წერილი გამოიცა 1904 წლის ნოემბერს. ლენინის ბროშურის პასუხად რედაქციამ გამოუშვა მეორე წერილი პარტიული ორგანიზაციების მიმართ. ორივე წერილს ჰქონდა წარწერა: «მხოლოდ პარტიის წევრთათვის». მენშევიკური რედაქციის მიერ ამ მეორე წერილის მხოლოდ და მხოლოდ მენშევიკთა შორის გავრცელებამ ლენინი აიძულა დაეწერა დამატება ბროშურისადმი, რომელიც უკვე დაიბეჭდა და გავრცელდა კომიტეტთა შორის. დამატება ცალკე დაბეჭდეს ფურად ქაღალდზე და ჩააკრეს ბოლშევიკური გამომცემლობის საწყობში დარჩენილ ბროშურის ეგზემპლარებში. თარიღი «1904 წლის 22 დეკემბერი» ეკუთვნის მხოლოდ დამატების ტექსტს.

ლენინის ბროშურა «საერობო კამპანია და «ისკრის» გეგმა» ფართოდ იყო გავრცელებული ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებში: დაპატიმრებათა და

ჩხრეკის დროს ის იპოვნეს სმოლენსკში, ბათუმში, რიგაში, სარატოვში, სუვალკსა და სხვა ქალაქებში. — 345.

27 «ოსვობოდენიე» — ლიბერალურ-მონარქიული ბურჟუაზიის ორგანული ჟურნალი; გამოდიოდა საზღვარგარეთ 1902 — 1905 წლებში პ. ბ. სტრუვეს რედაქციით. შემდეგ «ოსვობოდენიელები» გახდნენ რუსეთის მთავარი ბურჟუაზიული პარტიის — კადეტების პარტიის — ბირთვი. — 345.

28 «პრაეო» — კადეტური მიმართულების იურიდიული გაზეთი, გამოდიოდა პეტერბურგში 1898 წლის დამლევიდან 1917 წლამდე კვირაში 1-3-ჯერ. 1904 წლის ივლისიდან გაზეთის ფურცლებზე შესამჩნევ ადგილს იკავებს პოლიტიკის საკითხები. — 349.

29 მენშევიკური «ისკრის» «რედაქციის ბალალაიკინს» ვ. ი. ლენინი უწოდებს ტროცკის. — 360.

30 «ვპერიოდის» № 1-ის თარიღია 1905 წლის 4 იანვარი (1904 წლის 22 დეკემბერი). — 368.

31 რახმეტოვი — ა. ა. მალინოვსკი; უფრო ცნობილია ბოგდანოვის გვარით; 1903 წელს მიემხრო ბოლშევიკებს. ლონდონის V ყრილობის შემდეგ ჩამოშორდა ბოლშევიზმს. — 369.

32 ლაპარაკია უმრავლესობის კომიტეტების ბიუროზე (უკბ). — 372.

33 პაპაშა — ბოლშევიკი მ. მ. ლიტვინოვი. — 372.

34 «რსდმპ გათიშვის მოკლე ნარკვევი» გამოსცა ცალკე ფურცლად რსდმპ დამხმარე ბერნის (შვეიცარია) ჯგუფმა 1905 წლის 2 (15) თებერვალს შემდეგი მიმართვით: «რსდმპ დამხმარე ბერნის ჯგუფი «ვპერიოდი» აქვეყნებს ამ წერილს, რადგან უაღრესად საჭიროდ მიაჩნია, განსაკუთრებით რუსეთში მყოფი ამხანაგებისათვის, რომ ჰქონდეთ გათიშვის მოკლე ნარკვევი. ვთხოვთ საზღვარგარეთელ ამხანაგებს წერილი გადაგზავნონ რუსეთში». — 377.

35 «პოსლედნიე იზვესტია» — პერიოდული ბიულეტენი; 1901 წლიდან 1906 წლამდე საზღვარგარეთ სცემდა ბუნდი; გამოხატავდა ბუნდელების ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ შეხედულებებს. — 385.

36 «საზღვარგარეთელ ბონაპარტისტებს» ლენინი უწოდებდა მენშევიკებს, რომლებმაც პარტიის ნების წინააღმდეგ ხელში ჩაიგდეს პარტიის ცენტრალური ორგანო — გაზეთი «ისკრა», ცენტრალური კომიტეტი და პარტიის საბჭო. — 390.

37 «სოციალ-დემოკრატი» — მენშევიკური გაზეთი, გამოდიოდა ჟენევაში 1904 წლის ოქტომბრიდან 1905 წლის ოქტომბრამდე. — 399.

38 «ახალი რაინის გაზეთი» («Neue Rheinische Zeitung») გამოდიოდა კ. მარქსის რედაქციით 1948 წლის 1 ივნისიდან 1849 წლის 19 მაისამდე. რედაქციის შემადგენლობაში შედიოდნენ: ფ. ენგელსი, ე. ეოლფი, ე. დრონკე, ფ. ეოლფი, გ. ვეერტი და ე. ბიურგერსი. გერმანიაში 1848 წლის მარტის რევოლუციის შემდეგ მარქსი და ენგელსი დამკვიდრდნენ კელნში და შეუდგნენ დიდი ყოველდღიური გაზეთის ორგანიზაციას. ეს გაზეთი იყო დემოკრატიული პარტიის ორგანო. პირველი ნომერი გამოვიდა 3 მაისის სალამოს 1 ივნისის თარიღით.

«ახალი რაინის გაზეთმა» პირველი ნომრებიდანვე დაიკავა სრულიად გარკვეული პოზიცია განუწყვეტელი რევოლუციისათვის ბრძოლაში, ნახევრადრევოლუ-

ციის მთლიან რევოლუციად გადაქცევისათვის ბრძოლაში. «ახალი რაინის გაზეთი» ერთად-ერთი გაზეთი იყო, რომელიც იმდროინდელ დემოკრატიულ მოძრაობაში პროლეტარულ თვალსაზრისს გამოხატავდა. იგი მკვეთრ და გადამწყვეტ ბრძოლას ეწეოდა წვრილბურჟუაზიული დემოკრატების წინააღმდეგ, აკრიტიკებდა მათ სისუსტეს, გაუბედაობას, სიმხდალეს, წინ აყენებდა «ყველგან, ყველა კონკრეტულ შემთხვევაში თავის სპეციფიკურ პროლეტარულ ხასიათს». დემოკრატიულ პარტიასთან თანამშრომლობის ამ ტაქტიკას ლენინი ერთაღერთ სწორ ტაქტიკად თვლიდა.

თავის სტატიებში, ფელეტონებში, კორესპონდენციებში «ახალი რაინის გაზეთი» ამხელდა გერმანიის ბურჟუაზიის კონტრრევოლუციურ საქმიანობას, მოითხოვდა გლეხობის საკითხის ძირეულად გადაწყვეტას, მსხვილი მიწათმოქმედების პოლიტიკური და ეკონომიური ბატონობის სრულ მოსპობას, სახელმწიფო წყობილების დემოკრატიზაციას, პოლონეთის, უნგრეთის, იტალიის ეროვნულ დამოუკიდებლობას, ომს «ევროპის ჟანდარმ» ნიკოლოზ I-თან, რომელიც ინტერვენციას ამზადებდა. დამცინავი ტონით იგი მიწასთან ასწორებდა დემოკრატიულ კერპებს, მგზნებარე, ცეცხლოვან სტატიებში იცავდა ივლისის მებრძოლებს პარიზში, შეფასებას აძლევდა რა ამ რევოლუციას როგორც პროლეტარულ რევოლუციას.

პრუსიის მთავრობამ სცადა დაეხურა პროლეტარიატის ეს მებრძოლი ორგანო 1848 წლის სექტემბერში კელნში საალყო წესების დროს. ენგელსი, ვ. ვოლფი, დრონკე იძულებული გახდნენ მიმალულიყვნენ. გაზეთი შეჩერებულ იქნა 25 IX დან 7 X-მდე. მარქსი დარჩა თავის პოსტზე და ამზადებდა გაზეთის შემდგომ გამოცემას. საალყო წესების მოხსნის შემდეგ გაზეთმა ისევ დაიწყო გამოსვლა. მან გააჩაღა კამპანია რევოლუციური ვენის დასახმარებლად, ხოლო პრუსიაში სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ თვითეული მისი ნომერი იწყებოდა «მოწოდებით ხალხისადმი არ გადაეხადათ გადასახადები და ძალადობისათვის ძალადობით ეპასუხათ». 1849 წლის 7 და 8 თებერვალს გაზეთის რედაქცია უნდა წარმდგარიყო ნაფიცმსაჯულთა სასამართლოს წინაშე, მას ბრალად ედებოდა წაქეზება, მაგრამ ორივე პროცესი მოიგო. სამ თვეს კიდევ გაძლო «ახალი რაინის გაზეთმა» რედაქციის პირობებში, როდესაც 1849 წლის მაისში კელნში ახალი საალყო წესების შემოღებასთან ერთად იგი დაიხურა. მისი უკანასკნელი ნომერი ფრეილიგრატის «გამოსათხოვარი სიტყვით» დაიბეჭდა წითელი შრიფტით და გამოვიდა 19 მაისს. რედაქცია ღირსებითა და გესლით აღსავსე სტატიით რეაქციას გამომწვევად მიმართავდა: «ჩვენ დაუნდობელი ვართ და არ გთხოვთ შეწყალებას». — 400.

39 კელნის მუშათა კავშირის ორგანო თავდაპირველად ატარებდა სახელწოდებას «Zeitung des Arbeiter-vereins zu Köhln» («კელნის მუშათა კავშირის გაზეთი») ქვესათაურით «Freiheit, Brüderlichkeit, Arbeit» («თავისუფლება, ძმობა, შრომა»); გამოდიოდა «კომუნისტთა კავშირის» — წევრების ი. მოლისა და კ. შაპერის რედაქციით. 1848 წლის აპრილიდან ოქტომბრამდე გამოვიდა 40 ნომერი. შემდეგ გაზეთის ქვესათაური მისი სათაური გახდა და ასეთი სათაურით 1848 წლის ოქტომბრიდან 1849 წლის ივნისამდე გამოვიდა კიდევ 23 ნომერი. — 407.

40 გამანადგურებელი კრიტიკა ნ. ეორდანიას (კოსტროვის) სტატიებისა, რომლებიც შემდეგში შევიდა მის ბროშურაში («„უმრავლესობა» თუ «უმცირესობა»?»),

ი. ბ. სტალინის მიერ მოცემული იყო ნაშრომში «გაკვრით პარტიულ უთანხმოებაზე» (იხ. ი. ბ. სტალინი. თხზულებანი. ტომი 1, 1947, გვ. 86 — 124). — 415.

41 მანიფესტი ბულიგინის სათათბიროს შესახებ გამოქვეყნდა 1905 წლის 6 (19) აგვისტოს. აგვისტოს შუა რიცხვებში გაზეთ «პროლეტარში» დაიბეჭდა ლენინის სტატია «მეფის ერთობა ხალხთან და ხალხისა მეფესთან» (იხ. თხზულებანი. მე-4 გამოც, ტომი 9, გვ. 228 — 239). — 416.

42 «პროლეტარის» № 9-ში 1905 წლის 26 (13) ივლისს გამოქვეყნდა სტატია «ჩვენებური ხლესტაკოვები», რომელშიც მოყვანილია ცნობა, გაგზავნილი მენშევიკური «ისკრის» მიერ ფრანგულ სოციალისტურ გაზეთში. ამ სტატიაში «ისკრას» შოკაკვდა ყალბი, გაზვიადებული ცნობები თავისი მომხრეების შესახებ ორგანიზებულ მუშებს შორის (იხ. ლენინის კრებული XVI, გვ. 128 — 129). — 417.

43 «რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელდახელო ფურცლები» გამოდიოდა 1905 წლის ივნის — სექტემბერში. სულ გამოვიდა 4 ნომერი. № 1 დაიბეჭდა პეტერბურგის კომიტეტის სტამბაში. არასრულად გადაიბეჭდა მოსკოვის კომიტეტის სტამბაში. № 2-დან «სახელდახელო ფურცლები» ჰექტოგრაფზე იბეჭდებოდა.

«რაბოჩი» — არალეგალური პოპულარული სოციალ-დემოკრატიული გაზეთი; პარტიის III ყრილობის დადგენილებით უშვებდა რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტი 1905 წლის აგვისტო-ოქტომბერში. — 420.

44 მენშევიკური «ისკრის» ამ შენიშვნის შესახებ ლენინი წერდა სტატიაში «ჩვენი პარტიული საქმეების გაცნობა საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიისათვის». — 421.

45 წერილში მოხსენებული მარქსისტულ ჟურნალ «ზარიას» მეხუთე ნომერი მზადდებოდა, მაგრამ არ დაბეჭდილა. — 423.

46 ს. ი. გუსევის წერილის ნაწყვეტები დაიბეჭდა გაზეთ «პროლეტარის» № 20-ში 1905 წლის 10 ოქტომბერს (27 სექტემბერს). წერილს წამძღვარებული ჰქონდა ლენინის მიერ დაწერილი სარედაქციო წინასიტყვაობა. — 427.

47 «ტოვარიშჩი» — ყოველდღიური გაზეთი, გამოდიოდა პეტერბურგში 1906 წლის 15 (28) მარტიდან 1907 წლის დეკემბრამდე (1908 წლის იანვრამდე). რედ. ვ. ვ. პორტუგალოვი, ვ. ნ. გარდინი, გამოც. ნ. ნ. რუსანოვისა. ეფარებოდა რა «უპარტიობის» ნიღაბს, გაზეთი ფაქტიურად მემარცხენე კადეტების ორგანოს წარმოადგენდა. — 431.

48 «სოციალ-დემოკრატი» — გაზეთი, რსდმპ ცენტრალური კომიტეტის არალეგალური ორგანო, გამოდიოდა პეტერბურგში 1906 წლის 17 (30) სექტემბრიდან 18 ნოემბრამდე (1 დეკემბრამდე); ფაქტიურად წარმოადგენდა მენშევიკურ ორგანოს, რხდგან ც. კ. ამ დროს მენშევიკების ხელში იყო. — 434.

49 «პროლეტარი» — არალეგალური გაზეთი, დაარსებული ბოლშევიკების მიერ პარტიის IV («გამაერთიანებელი») ყრილობის შემდეგ; გამოდიოდა 1906 წლის 21 აგვისტოდან (3 სექტემბრიდან) 1909 წლის 28 ნოემბრამდე (11 დეკემბრამდე) ლენინის რედაქციით. «პროლეტარი» ატარებდა მოსკოვისა და პეტერბურგის კომიტეტების, ერთხანს კი — მოსკოვის საოკრუგო, პერმის, კურსკისა და ყაზანის კომიტეტების ორგანოს სახელწოდებას. ფაქტიურად «პროლეტარი» ბოლშევიკების ცენტრალურ ორგანოს წარმოადგენ-

და. გამოვიდა «პროლეტარის» 50 ნომერი; პირველი 20 ნომერი გამოიცა ფინეთში. 1908 წლის 13 (26) თებერვლიდან 1 (14) დეკემბრამდე «პროლეტარი» გამოდიოდა ჟენევაში; 1909 წლის 8 (21) იანვრიდან — პარიზში.

გაზეთში გამოქვეყნდა ლენინის 100-ზე მეტი სტატია და შენიშვნა. სტოლიპინის რეაქციის წლებში «პროლეტარმა» დიდი როლი შეასრულა ბოლშევიკური ორგანიზაციების შენარჩუნებასა და განმტკიცებაში. რსდმპ ცენტრალური კომიტეტის 1910 წლის იანვრის პლენუმზე «შემარიგებლებმა», ტროცკის ფარულმა აგენტებმა და დამქაშებმა, შესძლეს გაეტარებინათ გადაწყვეტილება გაზეთ «პროლეტარის» დახურვის შესახებ. — 434.

50 ბროშურა «მარტოვისა და ჩერევანინის გამოსვლა ბურჟუაზიულ პრესაში» გამოიცა 1906 წლის ოქტომბერს პეტერბურგში. 1912 წელს ბეკდვითი სიტყვის საქმეთა კომიტეტმა დააკავა ბროშურა, ხოლო პეტერბურგის სასამართლო პალატამ დაადგინა მისი მოსპობა; ბროშურა იმ დროისათვის უკვე გაერცელდა. — 440.

51 «ნოვი პუტ» — მემარცხენე კადეტური მიმართულების ყოველდღიური გაზეთი, გამოდიოდა მოსკოვში 1906 წლის აგვისტო-ნოემბერს. — 440.

52 «ნაშე დელო» — ყოველკვირეული მენშევიკური ჟურნალი. გამოდიოდა მოსკოვში 1906 წლის 24 სექტემბრიდან (7 ოქტომბრიდან) 25 ნოემბრამდე (8 დეკემბრამდე). გამოშვებულ იქნა 10 ნომერი. რედ. — გამომც. ი. ვ. სორნევი «ნაშე დელო» ეწეოდა კამპანიას პარტიის არალეგალური ორგანიზაციების დაშლისათვის, განსაზღვრავდა მენშევიზმის ლიკვიდატორულ ტენდენციას. — 441.

53 «რეჩ» — ყოველდღიური გაზეთი, კადეტთა პარტიის ცენტრალური ორგანო; გამოდიოდა პეტერბურგში 1906 წლის თებერვლიდან. დახურულ იქნა პეტროგრადის საბჭოს სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის მიერ 1917 წლის 26 ოქტომბერს (8 ნოემბერს). — 441.

54 «ვეკ» — კადეტური მიმართულების ყოველკვირეული პოლიტიკური გაზეთი. გამოდიოდა მოსკოვში 1906 — 1907 წლებში. განსაკუთრებული სიმწვავით გამოდიოდა სოციალ-დემოკრატიული აგრარული პროგრამის წინააღმდეგ, გმობდა პოლიტიკური ბრძოლის რევოლუციურ ფორმებს, ქადაგებდა «რუსეთის მშვიდობიანი აღორძინების» რეფორმისტულ იდეებს. — 444.

55 «დნევნიკ სოციალ-დემოკრატა» — არაპერიოდული ორგანო, რომელსაც სცემდა გ. ვ. პლეხანოვი; გამოდიოდა ჟენევაში დიდი ხანგამოშვებით 1905 წლის მარტიდან 1912 წლის აპრილამდე; გამოვიდა 16 ნომერი. «დნევნიკის» გამოცემა განახლდა 1916 წელს პეტროგრადში; გამოვიდა ერთი ნომერი.

ვ. ი. ლენინმა სტატიაში «რუსეთის თანამედროვე მდგომარეობა და მუშათა პარტიის ტაქტიკა» (1906 წლის 7 თებერვლის «პარტიინიე იზვესტია» № 1), ამხილა პოლიტიკური მანკიერება პლეხანოვის მტკიცებისა იმის შესახებ, რომ 1905 წელს პროლეტარიატს თითქოს ხელში არ უნდა აეღო იარაღი, რომ დეკემბრის შეიარაღებული აჯანყება შეცდომა იყოო («დნევნიკ» № 3—4).

ვ. ი. ლენინს არაერთხელ გაუკრიტიკებია «დნევნიკი» რევოლუციური მარქსიზმისაგან მისი გადახვევის გამო, ოპორტუნიზმისათვის (იხ. სტატია «კადეტების გამარჯვება და მუშათა პარტიის ამოცანები». თხზ. მე-4 გამოც., ტ. 10).—444.

56 ვ. ი. ლენინი მუშაობდა გაზეთ «პროლეტარის» გამოშვებაზე, რომლის გამოცემა 1907 წლის დამლეგს გადატანილ იქნა ფინეთიდან ჟენევაში. — 450.

57 წერილი არის ვ. ი. ლენინის პასუხი მენშევიკ-მახისტ იუშკევიჩისადმი, რომელიც ლენინს სთავაზობდა ეთანამშრომლა ლიტერატურულ ფილოსოფიურ კრებულებში. — 456.

58 «პ რ ა ვ დ ა» (ვენის) — მენშევიკურ-ლიკვიდატორული გაზეთი, ტროცკის ფრაქციული ორგანო; გამოდიოდა 1908-1912 წლებში ვენაში. გაზეთი იფარებდა «არაფრაქციულობის» ნიღაბს და ყველა ძირითად საკითხში ეკავა ლიკვიდატორული პოზიცია, აგრეთვე მხარს უჭერდა ოტზოვისტებსა და ულტიმატისტებს. 1912 წელს ტროცკი და მისი გაზეთი ანტიპარტიული აგვისტოს ბლოკის ორგანიზატორები იყვნენ. — 463.

59 «ს ო ც ი ა ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ ი» — რსდმპ ცენტრალური ორგანო, არალეგალური გაზეთი; გამოდიოდა 1908 წლის თებერვლიდან 1917 წლის იანვრამდე; გამოვიდა 58 ნომერი. გაზეთის პირველი ნომერი გამოვიდა რუსეთში, შემდგომ გამოცემა გადატანილ იქნა საზღვარგარეთ, ჯერ პარიზში, მერე ჟენევაში. ცენტრალური ორგანოს რედაქცია, რსდმპ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილების თანახმად, შეღგენილი იყო ბოლშევიკების, მენშევიკების და პოლონელი სოციალ-დემოკრატების წარმომადგენლებისაგან.

გაზეთ «სოციალ-დემოკრატში» დაბეჭდილია ლენინის 80-ზე მეტი სტატია და შენიშვნა. გაზეთის რედაქციის შიგნით ლენინი აწარმოებდა ბრძოლას თანმიმდევრული ბოლშევიკური ხაზისათვის. რედაქციის ნაწილი (კამენევი და ზინოვიევი) შემარიგებლურად ეპყრობოდა ლიკვიდატორებს, ცდილობდა ჩაშალა ლენინური ხაზის განხორციელება. რედაქციის წევრები, მენშევიკები მარტოვი და დანი, საბოტაჟს უწევდნენ ცენტრალური ორგანოს რედაქციაში მუშაობას და ამავე დროს აშკარად იცავდნენ ლიკვიდატორობას თავის ფრაქციულ გაზეთში — «გოლოს სოციალ-დემოკრატაში».

ლენინის შეურიგებელ ბრძოლას ლიკვიდატორების წინააღმდეგ მოჰყვა მარტოვისა და დანის გასვლა «სოციალ-დემოკრატის» რედაქციის შემადგენლობიდან 1911 წლის ივნისში. 1911 წლის დეკემბრიდან «სოციალ-დემოკრატს» რედაქტორობდა ვ. ი. ლენინი.

იმპერიალისტური ომის დასაწყისში (1914—1918 წწ.), ერთი წლით შეწყვეტის შემდეგ ლენინმა მიაღწია გაზეთის გამოცემის განახლებას, 1914 წლის 1 ნოემბერს (ახ. სტ.) გამოვიდა «სოციალ-დემოკრატის» № 33 რსდმპ ცენტრალური კომიტეტის მანიფესტით, რომელიც ლენინის მიერ იყო დაწერილი. ლენინის სტატიებმა, რომლებიც ომის წლებში «სოციალ-დემოკრატში» იბეჭდებოდა, თვალსაჩინო როლი შეასრულეს ომის, მშვიდობისა და რევოლუციის საკითხებზე ბოლშევიკური პარტიის სტრატეგიისა და ტაქტიკის განხორციელებისათვის ბრძოლაში, აშკარა და ფარული სოციალისტ-შოვინისტების მხილებაში, საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში ინტერნაციონალისტური ელემენტების დარაზმვაში.

1916 წელს «სოციალ-დემოკრატის» რედაქციის მიერ გამოცემულ იქნა «სოციალ-დემოკრატის» კრებულის» ორი ნომერი, რომლებშიც დაიბეჭდა ლენინის ნაშრომები: «სოციალისტური რევოლუცია და ერების უფლება თვითგა-

მორკევევაზე (თეზისები)», «შედეგები დისკუსიისა თვითგამორკვევის შესახებ». «„განიარაღების» ლოზუნგის შესახებ» და სხვები. — 465.

60 აქ ლაპარაკია გაზეთ «პროლეტარის» მორიგი (№ 47—48) ნომრის შინაარსის შესახებ. ნომერში დაბეჭდილი იყო ლენინის სტატიები: «მხილებული ლიკვიდატორები», «მოსკოვის საოლქო კომიტეტის აღმასრულებელი კომისიის ღია წერილის გამო», «პეტერბურგის არჩევნებისათვის» და ნომრის დამატებაში — სტატია «ოტზოვიზმისა და ღვთისმშენებლობის მომხრეთა ფრაქციის შესახებ».—465.

61 «ვ ე პ ე რ ი ო დ ი» — ლეგალური ყოველდღიური ბოლშევიკური გაზეთი; გამოდიოდა პეტერბურგში 1906 წლის 26 მაისიდან (8 ივნისიდან) მთავრობის მიერ დახურული გაზეთის «ვოლნას» ნაცვლად. გაზეთში ხელმძღვანელი როლი ეკუთვნოდა ლენინს. გაზეთში მონაწილეობას იღებდნენ მ. ს. ოლმინსკი, ვ. ვ. ვოროვსკი, ა. ვ. ლუნაჩარსკი. გაზეთი პოლიციურ რეპრესიებს განიცდიდა: დახურეს 1906 წლის 14 (27) ივნისის თარიღით გამოსულ მე-17 ნომერზე. «ვპერიოდის» ნაცვლად გამოსვლა იწყო ბოლშევიკურმა გაზეთმა «ეხომ». —

«რსდმპ ც. კ-ის რეზოლუცია (II)» გაზეთ «ვპერიოდში» დაიბეჭდა შემოკლებით. — 468.

62 «გ ო ლ ო ს ს ო ც ი ა ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ ა» — მენშევიკ-ლიკვიდატორთა საზღვარგარეთული ორგანო; გამოდიოდა ჟენევაში, შემდეგ პარიზში 1908 წლის თებერვლიდან 1911 წლის დეკემბრამდე.

«გოლოს სოციალ-დემოკრატას» დახასიათება იხ. ლენინის სტატიაში «ლიკვიდატორთა «გოლოსი» პარტიის წინააღმდეგ». — 470.

63 «ჟ ი ზ ნ» — მენშევიკ-ლიკვიდატორების ორგანო. გამოდიოდა მოსკოვში. 1910 წლის აგვისტოსა და სექტემბერში გამოვიდა ორი ნომერი. ადრე — «ვოზროჟდენიე». — 472.

64 ამ და შემდეგ წერილში ლენინი წერს, ბოლშევიკური ლეგალური ჟურნალის «მისლის» გამოცემის მომზადების შესახებ. — 472.

65 «რ ა ბ ო ჩ ა ი ა გ ა ზ ე ტ ა» — ბოლშევიკების პოპულარული ორგანო; გამოდიოდა პარიზში 1910 წლის 30 ოქტომბრიდან (12 ნოემბრიდან) 1912 წლის 30 ივლისამდე (12 აგვისტომდე); გამოვიდა 9 ნომერი. გაზეთში მონაწილეობდნენ აგრეთვე მენშევიკ-პარტიელები. «რაბოჩაია გაზეტას» დამაარსებელი და ხელმძღვანელი იყო ლენინი. ლენინმა გაზეთში ათზე მეტი სტატია დაბეჭდა. რსდმპ პრაღის კონფერენციამ (1912 წლის იანვარი) აღნიშნა, რომ «რაბოჩაია გაზეტა» მტკიცედ და თანმიმდევრულად იცავდა პარტიასა და პარტიულობას და იგი რსდმპ ბოლშევიკების ცენტრალური კომიტეტის ოფიციალურ ორგანოდ გამოაცხადა. — 474.

66 საერთაშორისო სოციალისტური კონგრესის დროს კოპენჰაგენში (1910 წლის 28 აგვისტო — 3 სექტემბერი (იხ. სტ). ვ. ი. ლენინმა გ. ვ. პლეხანოვთან ერთად გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის გამგეობას გადასცა პროტესტი იმის წინააღმდეგ, რომ გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ცენტრალურ ორგანოში გაზეთ «Vorwärts»-ში გამოქვეყნებული იყო რუსეთის სოციალ-დემოკრატიაში არსებული მდგომარეობის შესახებ ანონიმური ცილისწამებლური სტატია, რომლის ავტორი ტროცკი იყო.

ტროცკის ცილისწამების წინააღმდეგ ლენინმა გაზეთ «სოციალ-დემოკრატის» № 17-ში 1910 წლის 25 სექტემბერს (8 ოქტომბერს) დაბეჭდა სტატია «იმის შესახებ, თუ როგორ აცნობს ზოგიერთი სოციალ-დემოკრატი ინტერნაციო-

ნალს რსდმ პარტიის საქმეთა მდგომარეობასა», აგრეთვე «დისკუსსიონნი ლისტოკის» № 3-ში 1911 წლის 29 აპრილს (12 მაისს) სტატია «ისტორიული აზრი შინაპარტიული ბრძოლისა რუსეთში». — 482.

67 «ნაშა ზარია» — მენშევიკ-ლიკვიდატორების ყოველთვიური ლეგალური ჟურნალი; გამოდიოდა პეტერბურგში 1910 — 1914 წლებში. «ნაშა ზარიას» ირგვლივ რუსეთში ჩამოყალიბდა ლიკვიდატორთა ცენტრი. — 483.

68 ლაპარაკია ბოლშევიკური ლეგალური გაზეთის «ზვეზდის» გამოცემის შესახებ. — 483.

69 «ზნანიე» — წიგნის გამომცემლობა, დაარსებული 1898 წელს პეტერბურგში ლიტერატორთა ჯგუფის მიერ; შემდეგში ამ გამომცემლობაში ახლო მონაწილეობას იღებდა ა. მ. გორკი. — 483.

70 «სოვრემენნიკ» — ყოველთვიური ლიტერატურულ-პოლიტიკური ჟურნალი; გამოდიოდა პეტერბურგში 1911 — 1915 წლებში. ჟურნალის გარშემო შემოკრებილი იყვნენ მენშევიკი-ლიკვიდატორები, ესერები, სახალხო სოციალისტები და მემარცხენე ლიბერალები. ჟურნალს არავითარი კავშირი არ ჰქონდა მუშათა მასებთან. ამ ჟურნალის მიმართულებას ვ. ი. ლენინი 1914 წელს განსაზღვრავდა როგორც ნაროდნიკობისა და მარქსიზმის ნარევს. — 484.

71 «ვესტნიკ ევროპი» — ყოველთვიური ჟურნალი; გამოდიოდა პეტერბურგში 1866 წლიდან 1918 წლის გაზაფხულამდე. ჟურნალი ატარებდა რუსული ლიბერალური ბურჟუაზიის შეხედულებებს; 90-იანი წლების დამდეგიდან სისტემატურ ბრძოლას ეწეოდა მარქსიზმის წინააღმდეგ. — 484.

72 «რუსსკაია მისლ» — ლიბერალური ბურჟუაზიის ყოველდღიური ჟურნალი; გამოდიოდა მოსკოვში 1880 წლიდან. 1905 წლის რევოლუციის შემდეგ — კადეტთა პარტიის მემარჯვენე ფრთის ორგანო. ამ პერიოდში ვ. ი. ლენინი «რუსსკაია მისლს» უწოდებდა «ჩერნოსოტენნაია მისლს» («შავრაზმულ აზრს»). ჟურნალი დახურულ იქნა 1918 წლის ნახევარში. — 484.

73 «სოვრემენნიი მირ» — ყოველთვიური სალიტერატურო, სამეცნიერო და საპოლიტიკო ჟურნალი; გამოდიოდა პეტერბურგში 1906 წლიდან 1918 წლამდე. ჟურნალში უახლოეს მონაწილეობას იღებდნენ მენშევიკები. მენშევიკ-პარტიელთა პლეხანოვის ჯგუფთან ბლოკის პერიოდში და 1914 წლის დამდეგს ჟურნალში თანამშრომლობდნენ ბოლშევიკები. მსოფლიო იმპერიალისტური ომის დროს (1914—1918 წწ.) ჟურნალი გახდა სოციალ-შოვინისტების ორგანო. — 485.

74 «კრასნოე ზნამია» — გაერკვეველი პარტიულ-პოლიტიკური მიმართულების ჟურნალი. გამოდიოდა პარიზში ა. ვ. ამფიტეატროვის გამოცემით 1906 წლის აპრილიდან 1907 წლის დასაწყისამდე. თანამშრომლობდნენ: კ. ბალმონტი, მ. ვოლოშინი, ა. კუპრინი, მ. რეისნერი, ა. ფედოტოვი და სხვ. «კრასნოე ზნამიაში» პირველად დაიბეჭდა მ. გორკის ნაწარმოებები: «რუსეთის მეფე», «წერილი სივრცეში», «ჯარისკაცები» (№ 3). ჟურნალი ამოცანად ისახავდა ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლას «მისი თვითმპყრობელური თავხედობისა და კონსტიტუციური ფარისეველობის გამო». — 485.

75 ცენტრალური კომიტეტის რუსეთის კოლეგია («ცენტრალური კომიტეტის შემცირებული შემადგენლობა», «ცენტრალური კომიტეტის რუ-

სეთში მოქმედი კოლეგიამ»), დამტკიცებული რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1908 წლის აგვისტოს პლენუმის მიერ, არსებობდა 1910 წლამდე. — 487.

76 ფრაქციული სკოლა საზღვარგარეთ — ფრაქციული ცენტრი ოტზოვისტებისა, ულტიმატისტებისა და ღვთისმშენებლებისა, რომელნიც გაერთიანდნენ ბოლშევიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად; 1909 წელს დააარსეს ა. ბოგდანოვმა (მაქსიმოვმა), გ. ალექსინსკიმ და ა. ლუნაჩარსკიმ, ა. მ. გორკის მონაწილეობით კუნძულ კაპრიზე (იტალია). — 487.

77 «მ ი ს ლ» — ბოლშევიკური ლეგალური ყოველთვიური ფილოსოფიური და საზოგადოებრივ-ეკონომიური ჟურნალი; გამოდიოდა მოსკოვში 1910 წლის დეკემბრიდან. ჟურნალი დააარსა ლენინმა ლიკვიდატორული ჟურნალებისადმი დასაპირისპირებლად და მათთან საბრძოლველად. ჟურნალს ვ. ი. ლენინი ხელმძღვანელობდა საზღვარგარეთიდან.

«მისლის» პირველ ოთხ გამოსულ წიგნაკში ვ. ი. ლენინმა მოათავსა 6 სტატია, მათ შორის დიდი ნაშრომი «რუსეთში მომხდარი გაფიცვების სტატისტიკის შესახებ». ჟურნალში უახლოეს მონაწილეობას ღებულობდნენ: ვ. ვ. ვოროვსკი, მ. ს. ოლმინსკი, ი. ი. სკვორცოვ-სტეპანოვი. ჟურნალში თანამშრომლობდნენ აგრეთვე მენშევიკ-პარტიელები (გ. ვ. პლეხანოვი და სხვები). ჟურნალი გამოდიოდა 1911 წლის აპრილამდე; გამოვიდა 5 ნომერი. უკანასკნელი, მე-5 ნომერი კონფისკეებულ იქნა. — 493.

78 «ზ ვ ე ზ დ ა» — ბოლშევიკური ლეგალური გაზეთი, «პრავდის» წინამორბედი; გამოდიოდა პეტერბურგში 1910 წლის 16 (29) დეკემბრიდან 1912 წლის 22 აპრილამდე (5 მაისამდე) (თავდაპირველად ყოველკვირეულად, 1912 წლის იანვრიდან — კვირაში ორჯერ და მარტიდან — კვირაში სამჯერ). 1912 წლის 26 თებერვალს (10 მარტს), «ზვეზდის» ერთდროულად, გამოვიდა «ნევსკაია ზვეზდის» № 1, რომელიც «ზვეზდის» დახურვის შემდეგ მის გაგრძელებას წარმოადგენდა. «ნევსკაია ზვეზდის» უკანასკნელი, 27-ე, ნომერი გამოვიდა 1912 წლის 5 (18) ოქტომბერს.

გაზეთის იდეურ ხელმძღვანელობას (საზღვარგარეთიდან) ახორციელებდა ვ. ი. ლენინი. «ზვეზდასა» და «ნევსკაია ზვეზდაში» გამოქვეყნებულ იქნა ლენინის დაახლოებით 50 სტატია. გაზეთ «ზვეზდაში» თანამშრომლობდნენ: ვ. მ. მოლოტოვი, მ. ს. ოლმინსკი, ნ. პ. ბატურინი, ნ. გ. პოლეტაევი, კ. ს. ერემეევი, აგრეთვე ა. მ. გორკი. 1911 წლის შემოდგომამდე «ზვეზდაში» მონაწილეობას ღებულობდნენ მენშევიკ-პარტიელები (პლეხანოველები).

ლენინის ხელმძღვანელობით ლეგალური «ზვეზდა» შეიქმნა მებრძოლ ბოლშევიკურ გაზეთად, რომელიც იცავდა არალეგალური პარტიის პროგრამას. «ზვეზდამ» ფართოდ დააყენა მუშათა კორესპონდენციების განყოფილება, მუდმივი და მტკიცე კავშირი დაამყარა მუშებთან. გაზეთის ცალკეული ნომრების ტირაჟი 50—60 ათასს აღწევდა.

გაზეთი განუწყვეტლივ განიცდიდა რეპრესიებს მთავრობის მხრივ: «ზვეზდისა» და «ნევსკაია ზვეზდის» 96 ნომრიდან 39 კონფისკებულ იქნა, 10 ნომერი კი დააჯარიმეს. «ზვეზდამ» მოამზადა ყოველდღიური ბოლშევიკური გაზეთის —

«პრავდის» გამოცემა; მეფის მთავრობამ დახურა 1912 წლის 22 აპრილს (5 მაისს) «პრავდის» № 1-ის გამოსვლის დღეს. — 493.

79 ლაპარაკია მეფის რუსეთის მიერ ბოლშევიკური ლეგალური ჟურნალის «მისლის» დახურვაზე; ჟურნალი გამოდიოდა მოსკოვში 1910 წლის დეკემბრიდან 1911 წლის აპრილამდე. — 495.

80 ვ. ი. ლენინს მხედველობაში აქვს რუსული თარგმანი კ. კაუცკის ბროშურისა «Taktische Strömungen in der deutschen Sozialdemokratie», Berlin, 1911 («ტაქტიკური მიმართულებანი გერმანიის სოციალ-დემოკრატიაში», ბერლინი, 1911); თარგმანის დასაწყისი დაიბეჭდა ჟურნალ «მისლის» № 5-ში 1911 წლის აპრილს და ჟურნალის დახურვის საბაბი შეიქმნა. — 495.

81 ლენინის მიერ მოხსენებულ კორესპონდენციაში, რომელიც დაიბეჭდა 1911 წლის 1 (14) სექტემბრის «სოციალ-დემოკრატის» 23-ე ნომერში, ლაპარაკი იყო იმაზე, რომ გამოჩენილი პეტერბურგელი ლიკვიდატორი ვიბორგის რაიონის პარტიულ მუშათა კრებაზე გამოვიდა წინადადებით — პარტიული ორგანიზაციის აღდგენის ნაცვლად «საინიციატივო ჯგუფები» შეექმნათ ლეგალური საგანმანათლებლო მუშაობის საწარმოებლადო. ამ გამოსვლას მთელმა კრებამ გაუწია წინააღმდეგობა, და ლიკვიდატორის წინადადებამ ვერც ერთი ხმა ვერ მიიღო. — 498.

82 «დ ე ლ ო ჟ ი ზ ნ ი» — მენშევიკ-ლიკვიდატორთა ლეგალური ჟურნალი, გამოდიოდა პეტერბურგში 1911 წლის იანვრიდან დეკემბრამდე; გამოდიოდა თვეში ორჯერ. ადრე — «ვოზროჟდენიე». — 498.

83 იგულისხმება ტროცკის ფრაქციული მენშევიკურ-ლიკვიდატორული გაზეთი — ვენის «პრავდა». — 503.

84 იგულისხმება პრაღის 1912 წლის პარტიული კონფერენციის რეზოლუციები. რეზოლუციები და «ცნობა» კონფერენციის შესახებ ცალკე ბროშურად გამოვიდა 1912 წლის თებერვალში რსდმ პარტიის ც. კ-ის გამოცემით პარიზში. — 504.

85 გაზეთ «ზვეზდაში» 1911 და 1912 წლებში დაბეჭდილი იყო ა. მ. გორკის შვიდი «ზღაპარი» სერიიდან «Сказки об Италии». — 504.

86 «ე ი ვ ო ე დ ე ლ ო» — მენშევიკ-ლიკვიდატორთა ყოველკვირეული ლეგალური გაზეთი; გამოდიოდა პეტერბურგში 1912 წლის 20 იანვრიდან (2 თებერვლიდან) 28 აპრილამდე (11 მაისამდე). გამოვიდა 16 ნომერი. — 505.

87 «ი რ კ უ ტ ს კ ო ე ს ლ ო ვ ო» — ყოველდღიური პოლიტიკური „ ლიტერატურული გაზეთი; გამოდიოდა ირკუტსკში 1911 — 1912 წ. წ., სოციალ-დემოკრატიული გამოცემა, რომელშიც მონაწილეობდნენ ბოლშევიკები. — 505.

88 დოკუმენტი წარმოადგენს მინაწერს ფურცლად გამოცემული «რსდმ პარტიის საარჩევნო პლატფორმის» აეტორიზებული ასლისადმი. — 506.

89 სტატია «გ ა დ მ ო შ ა ლ ე თ თ ქ ვ ე ნ ი ბ ა ნ ქ ო» ლენინმა დაწერა პარიზში 1912 წლის მარტში და განკუთვნილი იყო ბოლშევიკური გაზეთის «ზვეზდისათვის», მაგრამ იმ დროს არ დაბეჭდილა. სტატიას Postscriptum-ის სახით დართული ჰქონდა წერილი გაზეთის რედაქციის მიმართ. — 507.

90 იგულისხმება წიგნი «სახელმწიფო სათათბირო. III მოწვევის მე-3 სესია. ცნობარი. 1910. ნაკვ. 2». სპბ, 1910. — 507.

91 ბროშურა წარმოადგენს პასუხს ტროცკის ანონიმურ ცილისმწამებლურ გამოსვლაზე გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ცენტრალურ ორგანოში («Vorwärts»s) პრაღის კონფერენციისა და მის გადაწყვეტილებათა წინააღმდეგ. — 508.

92 «პროსვეშჩენიე» — ყოველთვიური ბოლშევიკური ორგანო, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ლიტერატურული ჟურნალი; გამოდიოდა ლეგალურად პეტერბურგში 1911 წლის დეკემბრიდან 1914 წლის ივნისამდე. ჟურნალი შეიქმნა ლენინის მითითებით მეფის მთავრობის მიერ დახურული ბოლშევიკური ჟურნალის «მისლის» ნაცვლად, რომელიც მოსკოვში გამოდიოდა. ლენინი საზღვარგარეთიდან ხელმძღვანელობდა «პროსვეშჩენიეს», რედაქციას უკეთებდა სტატიებს, რეგულარულ მიწერ-მოწერას აწარმოებდა სარედაქციო კოლეგიის წევრებთან. ჟურნალში გამოქვეყნდა ლენინის ნაშრომები: «საარჩევნო კამპანიის პრინციპული საკითხები», «მარქსიზმის სამი წყარო და სამი შემადგენელი ნაწილი», «კრიტიკული შენიშვნები ნაციონალურ საკითხზე», «ერთა თვითგამორკვევის უფლების შესახებ» და სხვა.

სამხატვრო-ლიტერატურულ განყოფილებას რედაქტორობდა ა. მ. გორკი. სარედაქციო კოლეგიაში მუშაობდნენ: მ. ა. საველიევი, მ. ს. ოლმინსკი, ა. ი. ელიზაროვა და სხვები. ჟურნალის ტირაჟი აღწევდა 5.000 ეგზემპლარს. პირველი მსოფლიო ომის წინახანებში ჟურნალი დახურა მთავრობამ. 1917 წლის შემოდგომაზე «პროსვეშჩენიეს» გამოცემა განახლდა, მაგრამ გამოვიდა ჟურნალის მხოლოდ ერთი (ორმაგი) ნომერი, სადაც დაიბეჭდა ლენინის ნაშრომები: «შეინარჩუნებენ თუ არა ბოლშევიკები სახელმწიფო ძალაუფლებას?» და «პარტიული პროგრამის გადასინჯვისათვის». — 508.

93 ლაპარაკია ყოველთვიურ ლეგალურ ბოლშევიკურ გაზეთ «პრავდაზე», რომლის გამოცემაც მზადდებოდა. — 510.

94 «პოლიარნაია ზვეზდა» — ლიტერატურულ-პოლიტიკური კრებული, კრებულის პირველი სამი წიგნი გამოსცა ა. ი. გერცენმა. შემდეგი წიგნები — ა. ი. გერცენმა და ნ. პ .ოგარიოვმა ლონდონში, თავისუფალ რუსულ სტამბაში 1855 — 1862 წლებში. კრებულის უკანასკნელი წიგნი გამოიცა ჟენევაში 1869 წელს. სულ გამოვიდა რვა წიგნი. — 511.

95 სტატია «ნახევარი წლის მუშაობის შედეგები» დაწერილია 1912 წლის ივლისის პირველ ნახევარში. დარჩენილია ლენინის მიწერ-მოწერა «პრავდის» რედაქციასთან ამ სტატიის გამოქვეყნების თაობაზე. რედაქციისადმი წერილში ლენინი ითხოვდა დაებეჭდათ «ნახევარი წლის მუშაობის ზოგიერთი შედეგები» «პრავდის» ოთხ ნომერში, ცალკე ფელეტონებად და თანხმდებოდა სტატიის მხოლოდ ცენზურულ შესწორებებზე. სტატია დაიბეჭდა «პრავდაში» ისე, როგორც წინადადებას იძლეოდა ლენინი. — 517.

96 «ნევსკაია ზვეზდა» — ლეგალური ბოლშევიკური გაზეთი, გამოდიოდა პეტერბურგში 1912 წლის 26 თებერვლიდან (10 მარტიდან) 5(18) ოქტომბრამდე. გამოვიდა 27 ნომერი. «ნევსკაია ზვეზდა» თავდაპირველად გამოდიოდა გაზეთ «ზვეზდასთან» ერთად, ერთდროულად, და უნდა შეეცვალა იგი დახურვის ან კონფისკაციის შემთხვევაში; 1912 წლის 22 აპრილიდან (5 მაისიდან) გამოდიოდა

დახურული «ზვეზდის» ნაცვლად. გაზეთში გამოქვეყნებულია ლენინის 20 სტატია. გაზეთის რედაქციაში მუშაობდნენ მ. ს. ოლმინსკი, ნ. ნ. ბატურინი და სხვები. — 517.

97 «ნ ე ვ ს კ ი გ ო ლ ო ს» — მენშევიკი ლიკვიდატორების ლეგალური ორგანო; გამოდიოდა პეტერბურგში 1912 წლის მაისიდან აგვისტომდე. — 526.

98 «მ ო წ ო დ ე ბ ა გ ო ნ ე ბ ი ს ა დ მ ი» («Appeal to Reason») — ამერიკული სოციალისტების გაზეთი; დაარსდა კანზასის შტატში (აშშ) 1895 წელს; პირველი მსოფლიო ომის დროს ინტერნაციონალისტური პოზიცია ეკავა. — 529.

99 «გ ა ზ ე ტ ა კ ო პ ე ი კ ა» — ყოველდღიური ბურჟუაზიული ბულვარული ტიპის გაზეთი; გამოდიოდა პეტერბურგში 1908 წლიდან; დახურულ იქნა 1918 წელს. — 530.

100 მენშევიკურ-ლიკვიდატორული გაზეთი «ნევსკი გოლოსი» მე-6 ნომერში 1912 წლის 5 ივლისს იუწყებოდა, რომ პეტერბურგში შედგა სხვადასხვა სოციალ-დემოკრატიულ მიმდინარეობათა (მათ შორის თითქოს «პრავდისა» და «ნევსკაია ზვეზდას» მომხრეებისაც) წარმომადგენლების თათბირები IV სახელმწიფო სათათბიროს საარჩევნო კამპანიის ერთიანობის საკითხზე. «ნევსკაია ზვეზდას» რედაქციამ და «პრავდის» რედაქციამ განაცხადეს, რომ მათს წარმომადგენლებს ამ თათბირებში მონაწილეობა არ მიუღიათ. — 533.

101 აღნიშნული კორესპონდენცია «პრავდაში» არ დაბეჭდილა. — 540.

102 «ზ ა პ რ ო ს ი ე ი ზ ნ ი» — ყოველკვირეული ჟურნალი; გამოდიოდა 1909—1912 წლებში პეტერბურგში. ბურჟუაზიული ყაიდის გამოცემა, რომელიც «პროგრესიზმს» ეთამაშებოდა. ჟურნალში თანამშრომლობდნენ კადეტები, სახალხო სოციალისტები და მენშევიკი-ლიკვიდატორები. ლენინი ამ ჟურნალს «ლიკვიდატორულ-ტრუდოვიკულ-ვეხისტურს» უწოდებდა. — 541.

103 სტატიას «ლ ი კ ვ ი დ ა ტ ო რ ე ბ ი დ ა «ე რ თ ი ა ნ ო ბ ა»» დართული აქვს «პრავდაში» სპეციალური თავი, რომელიც შეიცავს ლიკვიდატორების მიერ «პრავდის» წინააღმდეგ წამოყენებულ ბრალდებათა კრიტიკას. სტატიის ეს თავი დაწერილია მ. ს. ოლმინსკის მიერ. — 543.

104 იგულისხმება მ. ს. ოლმინსკის (ა. ვიტიმსკის) სტატია «კულტურული ადამიანები და შებღალული სინდისი». — 556.

105 «ლ უ ჩ» — მენშევიკ-ლიკვიდატორების ყოველდღიური ლეგალური გაზეთი; გამოდიოდა პეტერბურგში 1912 წლის სექტემბრიდან 1913 წლის ივლისამდე; არსებობდა «ბ უ რ ჟ უ ა ზ ი ი ს წ რ ი ს მ დ ი დ ა რ მ ე გ ობ ა რ თ ა სახსრებით» (ლ ე ნ ი ნ ი). «ლუჩის» მაგივრად 1913 წლის ივლისიდან გამოდიოდა გაზეთი «ქივაია ეიზნ», შემდეგ კი — «ნოვაია რაბოჩაია გაზეტა», «სევერნაია რაბოჩაია გაზეტა» და «ნაშა რაბოჩაია გაზეტა». — 557.

106 «მ ე ლ ი ტ ო ნ ე» — ერთ-ერთი სახელწოდება ჟურნალისა «მელითონე მუშა», რომელიც მელითონეთა პროფესიული კავშირის ორგანოს წარმოადგენდა; გამოდიოდა პეტერბურგში 1906 წლის 30 აგვისტოდან (12 სექტემბრიდან) 1914 წლის 12 (25) ივნისამდე. თავდაპირველად ჟურნალის რედაქცია, ისევე როგორც კავშირის გამგეობა, ლიკვიდატორთა ხელში იყო. 1913 წელს, კავშირის გამგეო-

ბის ხელახალი არჩევნების შემდეგ, კავშირისა და ჟურნალის რედაქციის ხელმძღვანელობა ბოლშევიკებმა ხელში გადავიდა. — 557.

107 «ქ რ ო ნ ო ს» — ბურჟუაზიულ-ლიბერალური მიმართულების ყოველთვიური ლიტერატურულ-პოლიტიკური ჟურნალი; გამოდიოდა პეტერბურგში. გამოვიდა ორი ნომერი — 1913 წლის იანვარსა და თებერვალში. ა. მ. გორკი მოხსენიებული იყო ჟურნალის თანამშრომელთა შორის, მაგრამ მასში მონაწილეობა არ მიუღია. — 562.

108 იგულისხმება გაზეთ «პრავდის» № 166, რომელიც გამოვიდა 1912 წლის 11 (24) ნოემბერს. ამ დღეს ბაზელში გაიხსნა II ინტერნაციონალის საგანგებო საერთაშორისო სოციალისტური კონგრესი. — 568.

109 ფ ურ ცე ლი 1913 წ ლ ის 9 ი ა ნ ვ რ ი ს ა თ ვ ი ს დაწერილი იყო ი. ბ. სტალინის მიერ 1912 წ. დეკემბერში ვ. ი. ლენინის მიერ მიცემულ მითითებათა საფუძველზე. — 570.

110 «დ ე ნ» — გაზეთ «პრავდის» პირობითი სახელწოდება. — 570.

111 იგულისხმება IV სათათბიროს დეპუტატი მემარჯვენე მენშევიკი ი. ნ. მანკოვი. — 570.

112 «კ უ რ ი ე ლ ი მ უ შ ე ბ ის ე ქ ვ ს ე ულ ი» — IV სახელმწიფო სათათბიროს 6 სოციალ-დემოკრატი დეპუტატი ბოლშევიკი (ა. ე. ბადაევი, რ. ვ. მალინოვსკი (შემდეგში მხილებულ იქნა როგორც პროვოკატორი), მ. კ. მურანოვი, გ. ი. პეტროვსკი, ფ. ნ. სამოილოვი, ნ. რ. შაგოვი), რომლებიც სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში მუშათა კურიით გავიდნენ. — 572.

113 იხ. «რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ლონდონის ყრილობა (რომელიც 1907 წელს შედგა). ოქმების სრული ტექსტი». ცენტრალური კომიტეტის გამოცემა, პარიზი. 1909, გვ. 451 (იხ. აგრეთვე «რსდმპ მეხუთე ყრილობა 1907 წლის მაისი — ივნისი», მე-2 გამოც., მ., პარტგამომცემლობა. 1935, გვ. 723). — 572.

114 რ ს დ მ პ ა რ ტ ი ი ს ც ე ნ ტ რ ა ლ უ რ ი კ ო მ ი ტ ე ტ ი ს თ ა თ ბ ი რ ი პ ა რ ტ ი უ ლ მ უ შ ა კ ე ბ თ ა ნ, რომელსაც კონსპირაციის მოსაზრებებით «თებერვლის» თათბირი ეწოდა, შედგა კრაკოვში 1912 წლის 28 დეკემბერს — 1913 წლის 1 იანვარს (1913 წლის 10–14 იანვარს). მას დაესწრო 14 კაცი, მათ შორის ვ. ი. ლენინი და IV სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი ბოლშევიკები.

თათბირმა მიიღო გადაწყვეტილებანი მუშათა მოძრაობის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე და განიხილა ადგილების წარმომადგენელთა მოხსენებანი პარტიული ორგანიზაციების მდგომარეობის შესახებ და საკითხი «პრავდის» რედაქციისა და ჟურნალ «პროსვეშჩენიეს» მუშაობის შესახებ. — 575.

115 ლაპარაკია მოსკოვში ლეგალურ ბოლშევიკურ გაზეთ «ნაშ პუტის» გამოცემის მომზადებაზე. გაზეთის პირველი ნომერი გამოვიდა 1913 წლის 25 აგვისტოს (7 სექტემბერს). — 579.

116 «ნ ო ვ ა ია ს ი ბ ი რ» — ლიბერალური მიმართულების ყოველდღიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი; გამოდიოდა ირკუტსკში 1912 წლის დეკემბრიდან 1913 წლის თებერვლამდე. გაზეთის ფაქტიური რედაქტორი იყო ლიკვიდატორი ნ. როკოვი. — 580.

117 წერილში გაშუქებულია საქმის ვითარება, რაც გაზეთ «პრავდის» რედაქციაში შეიქმნა 1912 წლის დამლევს — 1913 წლის დამდეგს, მას შემდეგ, რაც ი. ბ. სტალინი წავიდა კრაკოვში რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის «თებერვლის» თათბირზე პარტიულ მუშაკებთან. ამ თათბირზე ვ. ი. ლენინმა და ი. ბ. სტალინმა დასახეს ღონისძიებანი «პრავდის» რედაქციის მუშაობის გასაუმჯობესებლად. რუსეთში დაბრუნების შემდეგ ი. ბ. სტალინმა ი. მ. სვერდლოვთან ერთად მოახდინა გაზეთის რედაქციის მუშაობის რეორგანიზაცია. — 583.

118 «ნ ო მ რ ე ბ ი» ეწოდებოდათ კონსპირაციის მიზნით IV სახელმწიფო სათათბიროს ბოლშევიკური ფრაქციის წევრებს: № 1 — ა. ე. ბადაევს, № 3 — რ. მალინოვსკის, № 6 — გ. ი. პეტროვსკის. — 583.

119 ლენინს მხედველობაში აქვს მოწინავე სტატია — «მუშათა მასები და იატაკქვეშეთი», რომელიც დაიბეჭდა მენშევიკურ-ლიკვიდატორულ გაზეთ «ლუჩ»-ში. სტატია მიმართული იყო არალეგალური მუშათა პარტიის წინააღმდეგ. ლიკვიდატორების ეს გამოსვლა ლენინმა ამხილა სტატიაში «სოციალ-დემოკრატებისადმი», რომელიც კრაკოვში გამოიცა ჰექტოგრაფიულ ფურცლად. — 584.

120 ლენინს მხედველობაში აქვს ა. ბოგდანოვის წერილი «პრავდის» რედაქციისადმი. წერილი შეიცავდა პროტესტს იმის წინააღმდეგ, რომ «პრავდის» მომხრეებმა უარი თქვეს ლიკვიდატორებთან შეთანხმებაზე IV სახელმწიფო სათათბიროში მუშა დეპუტატის წამოყენებისას. წერილის შენიშვნაში გაზეთის რედაქცია დასჯერდა იმის აღნიშვნას, რომ შეთანხმება არ მოხდა ლიკვიდატორების მიზეზით. — 586.

121 რ ი გ ი ს მ უ შ ე ბ ი ს შ ე კ ი თ ხ ვ ა 1913 წლის 19 იანვრისა დაიბეჭდა 1913 წლის 30 იანვრის «პრავდაში» № 24. ხელმომწერლები — «მუშა ნაროდნიკთა და «პრავდის» ს.—დ. მკითხველთა ჯგუფი» — სთხოვდნენ რედაქციას გამოეთქვა აზრი «მემარცხენე ნაროდნიკობასთან გაერთიანების» საკითხზე. ვ. ი. ლენინის სტატია «ნაროდნიკობის შესახებ», რომელთანაც იგი წინადადებას იძლეოდა დაეკავშირებინათ ეს შეკითხვა, გამოქვეყნდა «პრავდის» №№ 16 და 17-ში, 1913 წლის 20 და 22 იანვარს. — 586.

122 ლაპარაკია IV სახელმწიფო სათათბიროს ბოლშევიკი დეპუტატების წერილებზე, რომლებიც «პრავდაში» იბეჭდებოდა 1913 წლის იანვარ-თებერვალში საერთო სათაურით «ს.— დ. დეპუტატთა შთაბეჭდილებანი ადგილებიდან». — 587.

123 ვის შესახებ არის ლაპარაკი, დადგენილი არ არის. — 587.

124 «ვ ე ჩ ე რ ნ ა ი ა პ ო ჩ ტ ა» — მენშევიკურ-ლიკვიდატორული გაზეთის «ლუჩის» პირობითი სახელწოდება. — 587.

125 ვის შესახებ არის ლაპარაკი, დადგენილი არ არის. — 587.

126 «ზ ა ვ ე ტ ი» — ყოველთვიური ლეგალური ლიტერატურულ-პოლიტიკური ჟურნალი ესერული მიმართულებისა; გამოდიოდა პეტერბურგში 1912 წლის აპრილიდან 1914 წლის ივლისამდე. — 588.

127 «რ უ ს ს კ ა ი ა მ ო ლ ვ ა» — ყოველდღიური გაზეთი, «პროგრესისტების» ბურჟუაზიული პარტიის ორგანო, რომელიც შეიქმნა 1912 წელს. გაზეთი გამოდიოდა პეტერბურგში 1912-დან 1913 წლამდე, წარმოადგენდა ბურჟუაზიული ნაციონალიზმის ორგანოს. — 588.

128 კარლ მარქსის გარდაცვალების 30 წლისთავის დღეს, 1913 წლის 1 (14) მარტს «პრავდაში» გამოქვეყნდა ვ. ი. ლენინის სტატია «კარლ მარქსის მოძღვ-

რების ისტორიული ბედი». ამ თარიღისადმი მიძღვნილი «პრავდის» ნომერი გამოვიდა 1913 წლის 3 (16) მარტს. — 589.

129 იგულისხმება IV სახელმწიფო სათათბიროს ბოლშევიკი დეპუტატების წერილი ბაკი გამოსვლის შესახებ ლიკვიდატორების გაზეთ «ლუჩის» თანამშრომელთა შემადგენლობიდან. — 591.

130 ლენინს მხედველობაში აქვს ი. ბ. სტალინის მუშაობა სტატიაზე «ნაციონალური საკითხი და სოციალ-დემოკრატია». — 591.

131 ლენინს მხედველობაში აქვს რეზოლუცია «ლიკვიდატორობისადმი დამოკიდებულების შესახებ და ერთიანობის შესახებ», რომელიც მიღებულ იქნა რსდმპ პარტიის ცენტრალური კომიტეტის «თებერვლის» თათბირზე პარტიულ მუშაკებთან, თათბირი შედგა კრაკოვში 1912 წლის 28 დეკემბერს — 1913 წლის 1 იანვარს (1913 წლის 10-14 იანვარი). — 593.

132 შ ვ ი დ ე უ ლ ი — შვიდი მენშევიკ-ლიკვიდატორი დეპუტატი, რომლებიც შედიოდნენ IV სახელმწიფო სათათბიროს დემოკრატიულ ფრაქციაში. — 593.

133 ლაპარაკია რსდმ პარტიის პეტერბურგის კომიტეტის რეზოლუციაზე, რომელიც მიღებულ იქნა 1913 წლის თებერვალში. ამ რეზოლუციაში პეტერბურგის კომიტეტი აღნიშნავდა იმ პოლიტიკური ხაზის სისწორეს, რომელსაც IV სახელმწიფო სათათბიროს ბოლშევიკი დეპუტატები ახორციელებდნენ, და გმობდა მენშევიკ დეპუტატებს, რომლებიც მხარს უჭერდნენ ლიკვიდატორულ გაზეთ «ლუჩს». — 594.

134 ლენინს მხედველობაში აქვს «რსდმ პარტიის პეტერბურგის კომიტეტის «იზვესტია»», რომლის გამოცემაც ნავარაუდევი იყო. გამოცემა არ განხორციელებულა. — 594.

135 «ზ ე მ შ ი ნ ა» — ყოველდღიური შავრაზმული გაზეთი; გამოდიოდა პეტერბურგში 1909 წლის ივლისიდან 1917 წლის თებერვალამდე; სუბსიდიას ღებულობდა მეფის მთავრობისაგან და გაერთიანებული თავად-აზნაურობის საბჭოსაგან.—600.

136 «ვ ე ხ ი» — კადეტების კრებული; გამოვიდა მოსკოვში 1909 წლის გაზაფხულზე; მასში მოთავსებული იყო ნ. ბერდიაევის, ს. ბულგაკოვის, პ. სტრუვეს, მ. გერშენზონისა და კონტრრევოლუციური ლიბერალური ბურჟუაზიის სხვა წარმომადგენლების სტატიები. სტატიებში რუსი ინტელიგენციის შესახებ «ვეხელები» ცდილობდნენ სახელი გაეტეხათ რუსი ხალხის საუკეთესო წარმომადგენლების, მათ შორის ვ. გ. ბელინსკისა და ნ. გ. ჩერნიშევსკის რევოლუციურ-დემოკრატიული ტრადიციებისთვის, ლაფს ასხამდნენ 1905 წლის რევოლუციურ მოძრაობას და მადლობას ეუბნებოდნენ მეფის მთავრობას იმისათვის, რომ ის «თავისი ხიშტებითა და საპყრობილეებით» იფარავს ბურჟუაზიას «ხალხის მძვინვარებისაგან». კრებული მოუწოდებდა ინტელიგენციას თვითმპყრობელობის სამსახურში ჩამდგარიყო. — 600.

137 იგულისხმება «პრავდის» 1913 წლის 23 აპრილის № 92, ამ ნომერში გამოქვეყნებული იყო ვ. ი. ლენინის სტატია «ცოტა რამ შედეგებსა და ფაქტებზე».—603.

138 ვის შესახებ არის ლაპარაკი, დადგენილი არ არის. — 604.

139 ლენინს მხედველობაში აქვს მ. ს. ოლმინსკის (ა. ვიტიმსკის) სტატია «ვინ ვისთან არის?», რომელიც გამოქვეყნდა «პრავდის» 106-ე ნომერში 1913 წლის 10 (23) მაისს. — 605.

140 «პრავდის» პირველი ნომერი გადიდებული ფორმატისა (№ 122) გამოვიდა 1913 წლის 29 მაისს (11 ივნისს). — 607.

141 ლაპარაკია შემდეგის შესახებ. სახელმწიფო სათათბიროში 22 მაისს (4 ივნისს)

ფოსტა-ტელეგრაფის უწყების ხარჯთაღრიცხვის განხილვის შემდეგ მოეწყო კენჭისყრა კ.—დ. ფრაქციის წინადადებისა ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეებისათვის 7-საათიანი სამუშაო დღის შესახებ; ს.—დ. ფრაქციამ თავი შეიკავა ხმის მიცემაში, რის გამოც უარყოფილ იქნა მოთხოვნა ხმების შემოწმების შესახებ და მცირე უმრავლესობით უარყოფილ იქნა თვით კენჭისყრის პუნქტიც. «პრავდამ» მოათავსა მთელი რიგი სტატიები ამ კენჭისყრის თაობაზე და პოლემიკას ეწეოდა «ლუჩთან». ამავე დროს ს.-დ. ფრაქციას ჰქონდა პარტიის გარკვეული დირექტივები ბიუჯეტის შესახებ კენჭისყრის საკითხზე: «ხმის მიცემა ბიუჯეტისათვის მთლიანად პრინციპიალურად დაუშვებლად ითვლება. რეფორმებისა ან კულტურულ მოთხოვნილებებზე ხარჯვების სტატიებზე ხმის მიცემისას, სახელმძღვანელოდ უნდა მივიღოთ ჩვენი პროგრამის ის პრინციპი, რომლის მიხედვითაც ს.-დ. უარყოფს იმ რეფორმებს, რომლებიც დაკავშირებულია მშრომელთა კლასებზე პოლიტიკურ-მოხელურ მეურვეობასთან. ამიტომ საერთო წესად უნდა იყოს ხმის მიცემა III სათათბიროში გატარებული ეგრეთწოდებული რეფორმებისა და ეგრეთწოდებული კულტურულ საჭიროებათა ხარჯების სტატიების წინააღმდეგ; იმ განსაკუთრებულ შემთხვევაში, როცა არსებობს მუშებისა და დაბალი მოსამსახურეების მდგომარეობის გაუმჯობესების სერიოზული შანსები, (ს.-დ. ფრაქცია) ხმას აძლევს მის სასარგებლოდ ან თავს იკავებს, განსაკუთრებული მოტივირების შეტანით».

შეცდომა გამოსწორებულ იქნა: «პრავდამ» 22 (9) ივნისის № 131-ში მოათავსა სტატია «სათათბირო და ს.-დ. ტაქტიკა» (ვ. ზინოვიევისა), ხელმოწერლად, შენიშვნით, რომ «რედაქციამ გაფართოებული შემდგენლობით გადასინჯა საკითხი ს.-დ. ფრაქციის მიერ ფოსტა-ტელეგრაფის უწყების ხარჯთაღრიცხვისადმი ხმის მიცემის შესახებ». «პრავდის» შემდგომ № 132-ში მოთავსებულია სათათბიროს ს.-დ. ფრაქციის ცნობა იმის შესახებ, რომ «მან მიერ თავის შეკავება ფოსტა-ტელეგრაფის უწყების ხარჯთაღრიცხვის კენჭისყრისას 22 მაისის სხდომაზე იმ დროს, შეცდომაე იქნა აღიარებული 23 მაისის სხდომაზე». — 608.

142 ი. კამენევის სტატია «ბ. ნ. ალექსეენკოს აღიარებანი» დაიბეჭდა «პრავდის» 1913 წლის 11 ივნისის (29 მაისის) № 122-ში დეპუტატ ალექსეენკოს მოხსენების გამო ბიუჯეტის შესახებ სათათბიროს სხდომაზე 1913 წლის 23 (10) მაისს. (ალექსეენკო — ოქტიაბრისტი, საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე). — 609.

143 ვიტიმსკის (მ. ს. ოლმინსკის) სტატია 12 ივნისის (30 მაისის) «პრავდის» № 123-ში გაზეთის გადიდებული ფორმატით გამოსვლის თაობაზე. — 609.

144 ლაპარაკია ტრამბელის პოემის «მხოლოდ კაცები და ქალები» ნაწყვეტზე. (ავტორი — ამერიკელი მუშა), რომელიც თარგმნა ლ. სტალმა და დაიბეჭდა «პრავდის» იმავე № 123-ში. — 609.

145 ალექსინსკის წერილი ვ. ი. ლენინის სტატიის «სადავო საკითხების» გამო (1913 წლის 9 მაისის 26 აპრილის) «პრავდის» № 95-ში.). — 609.

146 ბოგდანოვის წერილი «ფ ა ქ ტ ი ურ ი ა ხ ს ნ ა-გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ა» 1913 წლის 8 ივნისის (26 მაისის) «პრავდის» № 120-ში წარმოადგენს ვ. ი. ლენინის სტატიის «სადავო საკითხების» პასუხს, ამ წერილში ბოგდანოვი ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ ეპერიოდელთა ბრალდება, რაც მდგომარეობდა სათათბიროში მუშაობის უარყოფასა და ლეგალური შესაძლებლობების გამოყენების უარის თქმაში, თითქოს არ შეესაბამება სინამდვილეს. — 609.

147 ლაპარაკია ვ. ი. ლენინის 1913 წლის 16 (3) ივნისის წერილზე «ბ-ნ. ბ ო გ დ ა ნ ო ვ ი ს ა დ ა «ვ პ ე რ ი ო დ ი ს» ჯ გ უ ფ ი ს ს ა კ ი თ ხ ი ს ა თ ვ ი ს».—609.

148 ა. ა. ბოგდანოვის თანამშრომლობა «პრავდაში» შეწყდა 1913 წლის ივნისიდან; როგორც ეტყობა, «პრავდის» რედაქციამ ვ. ი. ლენინის წერილების შემდეგ უარი სთქვა დაებეჭდა ბოგდანოვის სტატია «იდეოლოგია». გაზეთ «პუტ პრავდის» 1914 წლის 5 თებერვლის (23 იანვრის) № 2-ში გამოქვეყნდა «პრავდის» რედაქციის წერილი (პასუხი ა. ბოგდანოვს) იმ მიზეზების ახსნით თუ რატომ არ მოთავსდა სტატია «იდეოლოგია». — 609.

149 «პრავდაში» იბეჭდებოდა გ. ვ. პლეხანოვის სტატიები «ტ ყ ვ ი ე ბ ი ს ს ე ტ ყ ვ ი ს ქ ვ ე შ» (პოლემიკა ლიკვიდატორებთან); ერთ-ერთი მათგანი მიმართული იყო პოტრესოვის წინააღმდეგ: «ბატონი პოტრესოვი ჩემი ბრალმდებლის როლში», «პრავდის» 1913 წლის 30 (17) მაისის № 112 და 1 ივნისის (19 მაისის) № 114), შემდეგ «პრავდამ» შესწყვიტა გ. პლეხანოვის სტატიების ბეჭდვა, ხოლო პოტრესოვი «ლუჩში» განაგრძობდა ფელეტონებში — «თავისი წარსულის ბრეკალებში» — «სიბინძურის შესხმას პლეხანოვისადმი». («ლუჩ» 7 ივნისის (25 მაისის) № 119). — 610.

150 «პრავდის» № 8 გამოვიდა 1912 წლის 14 (1) მაისს. — 610.

151 «ე ი ვ ა ი ა ე ი ზ ნ» — ლიკვიდატორების ლეგალური ყოველდღიური გაზეთი, გამოდიოდა პეტერბურგში «ლუჩის» დახურვის ? ჯ (1913 წლის 16 (3) ივლისი), ივლისის განმავლობაში გამოვიდა 16 ნომერ — 612.

152 «ნ ო ვ ა ი ა რ ა ბ ო ჩ ა ი ა გ ა ზ ე ტ ა» — «ეივაია ეიზნის» მემკვიდრე, გამოდიოდა 1913 წლის 21 (8) აგვისტოდან 1914 წლის 23 (10) იანვრამდე. — 612.

153 ვ. ი. ლენინს მხედველობაში აქვს «პრავდის» მუდმივი კონფისკაცია და მისი მძიმე მატერიალური მდგომარეობა. — 612.

154 ლაპარაკია ლეგალურ ყოველდღიურ ბოლშევიკურ გაზეთზე «ნ ა შ პ უ ტ», რომელიც გამოდიოდა მოსკოვში 1913 წლის 25 აგვისტოდან 12 სექტემბრამდე (7-დან 25 სექტემბრამდე). გაზეთი შეიქმნა ლენინის მითითებით, რომელიც ხელმძღვანელ მონაწილეობას იღებდა მასში. ლენინი თავის სტატიებს ერთსა და იმავე დროს უგზავნიდა «პრავდასაც» და «ნაშ პუტსაც». გაზეთ «ნაშ პუტის» თანამშრომელთა შორის იყო ი. ბ. სტალინი, აგრეთვე ა. მ. გორკი, IV სათათბიროს ბოლშევიკი დეპუტატები, დემიან ბედნი, მ. ს. ოლმინსკი, ი. ი. სკვორცოვ-სტეპანოვი და სხვები. გაზეთი დიდი პოპულარობით სარგებლობდა მუშებში, მუშები განსაკუთრებით უპერდნენ მას მხარს, მუშათა 395 ჯგუფი ფულის შეკრებით ეხმარებოდა გაზეთს; მისი ტირაჟი 17-20 ათასამდე ეგზემპლარს აღწევდა.

გაზეთ «ნაშ პუტს» განუწყვეტლივ სდევნიდა პოლიცია და დახურულ იქნა; სულ გამოვიდა 16 ნომერი. «ნაშ პუტის» დახურვას მოსკოვის მუშები გამოეხმაურნენ მასობრივი საპროტესტო გაფიცვებით მუშათა ბეჭდვითი სიტყვის დევნის წინააღმდეგ. გაზეთის გამოცემის განახლება არ მოხერხდა. — 613.

155 იგულისხმება პირველ რიგში ლეგალური ბოლშევიკური გამომცემლობა «პრიბოი», დაარსებული პეტერბურგში 1913 წლის დამდეგს. გამომცემლობა «პრიბოი» უშვებდა წიგნებსა და ბროშურებს მუშათა მოძრაობის სხვადასხვა საკითხზე; მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა მუშათა დაზღვევის საკითხებს. 1913 წლის დეკემბერს გამოიცა უბის კალენდარი: «სპუტნიკ რაბოჩეგო ნა 1914 გოდ» ლენინის სტატიით «გაფიცვები რუსეთში», 1914 წელს — კრებული «მარქსიზმი და ლიკვიდატორობა». ი. ბ. სტალინის ბროშურა «ნაციონალური საკითხი და

მარქსიზმი» და სხვა მარქსისტული ლიტერატურა, პირველი მსოფლიო ომის დასაწყისში, მუშათა პრესის დევნის გაძლიერებასთან დაკავშირებით, გამომცემლობა «პრიბოი» იძულებული გახდა შეეწყვიტა საქმიანობა და ის განაახლა მხოლოდ 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ. — 613.

156 ეს დოკუმენტი წარმოადგენს გაზეთ «პრავდა ტრუდას» რედაქციისადმი წერილის მინაწერს. წერილი მონახული არ არის. — 615.

157 «განცხადების» ტექსტი შეიმუშავა ლენინმა სახელმწიფო სათათბიროს ბოლშევიკ-დეპუტატებთან ერთად ცენტრალური კომიტეტის პორონინის («ზაფხულის») თათბირზე პარტიულ მუშაკებთან.

სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის პირველ სხდომაზე 1913 წლის 16 (29) ოქტომბერს, სახელმწიფო სათათბიროს მეორე სესიის დასაწყისში, ბოლშევიკმა დეპუტატებმა მენშევიკ-დეპუტატებს წაუკითხეს «ექსკულიტა» და «შეიდეულის» თანასწორუფლებიანობის ულტიმატური მოთხოვნა. რადგან დამაკმაყოფილებელი პასუხი ვერ მიიღეს, ბოლშევიკმა დეპუტატებმა დატოვეს სხდომა. 18 (31) ოქტომბერს «განცხადება», ბოლშევიკ დეპუტატების ხელმოწერით, გამოქვეყნდა გაზეთში «ზა პრავდუ», თან ბოლშევიკი დეპუტატები მიმართავდნენ მუშებს განეხილათ «ექსკულის» მოთხოვნა «შეიდეულისადმი» და დახმარებოდნენ მუშა დეპუტატებს სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ერთიანობის აღდგენაში. — 616.

158 ლენინმა გაზეთ «ზა პრავდუს» რედაქციას გაუგზავნა სტატია «მასალები სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის შიგნით არსებული ბრძოლის საკითხისათვის» და ურჩევდა კვირის ნომერში ჩაერთოთ სპეციალური ფურცელი, რომელიც მთლიანად მიეძღვნებოდა ბოლშევიკური «ექსკულის» მხარისდაჭერის კამპანიას. გაიგო რა გაზეთის იმ ნომრის კონფისკაცია, რომელშიც ეს სტატია იყო დაბეჭდილი, ლენინი წერილში რედაქციისადმი იმ აზრს გამოთქვამდა, რომ «მასალები» გადაებეჭდათ შემდგომ ნომრებში. მაგრამ გაზეთში ეს სტატია მეორედ აღარ მოუთავსებიათ. ის გადაბეჭდეს 1914 წელს კრებულში «მარქსიზმი და ლიკვიდატორობა» სათაურით «მასალები სათათბიროში რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა ფრაქციის შექმნის ისტორიისათვის», რომელსაც დაემატა განყოფილება «მუშების გამოხმაურება სახელმწიფო სათათბიროში რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა ფრაქციის შექმნაზე». — 617.

159 ვ. ი. ლენინის წერილი ვ. ვოიტინსკისადმი დაწერილია სტატიის «საერთო დროშისათვის» საპასუხოდ, რომელიც ვოიტინსკიმ გამოგზავნა ბოლშევიკურ ჟურნალ «პროსვეშჩენიეში» დასაბეჭდად. ვოიტინსკი, ყოფილი ბოლშევიკი იმ დროს ციმბირში ცხოვრობდა. ლენინის წერილი დაწერილია ლიკვიდატორებთან ბოლშევიკების გაფთრებული ბრძოლის პერიოდში, ბრძოლისა, რომლის ერთ-ერთი დიდი ეტაპი იყო გათიშვა სათათბიროს სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციაში. მენშევიკები, რომლებიც სარგებლობდნენ თავისი ერთი ხმის უმრავლესობით, აბრკოლებდნენ ბოლშევიკური ექსკულის საქმიანობას. მენშევიკური შეიდეულის შესახებ ვ. ი. ლენინი წერდა, რომ ისინი «მერყეები, პარტიის სიახლოვეს მდგომი, მაგრამ მცირედ პარტიული ადამიანები არიანო». ლენინის მითითებებით ექსმა ბოლშევიკმა-დეპუტატმა ჯერ მოითხოვა ფრაქციის ნაწილების თანასწორუფლებიანობა, ხოლო შემდეგ, კავშირი გასწყვიტა რა მენშევიკებთან, 1913 წლის 28 (15) ნოემბერს კონსტიტუირებულ იქნა დამოუკიდებელ რუსეთის სოციალ-დე-

მოკრატიულ მუშათა ფრაქციად. ტექსტში მოხსენებული «47%—50%—67% II—III—IV სათათბიროებში» აღნიშნავს ბოლშევიკების თანმიმდევრულ ზრდას II, III და IV სათათბიროების მუშათა კურიებში. — 621.

160 რედაქციის მდივანი კ. ნ. სამოილოვა იუწყებოდა გაზეთ «პუტ პრავდის» დახურვის ამბავს. დახურვის საბაბი შეიქმნა ის, რომ გაზეთში 1914 წლის 23 იანვარს გამოქვეყნდა სტატია «იგი იმისათვის არსებობს...» მ. ფ. ს—ფსევდონიმით (მ. ფირინი, შემდეგში მხილებული პროვოკატორი მ. ე. ჩერნომაზოვი), რომელშიც დადგენილი იყო გაზეთ «პრავდის» სხვადასხვა სახელწოდების მონაცვლეობა: «რაბოჩაია პრავდა», «სევერნაია პრავდა», «პრავდა ტრუდა» და ა. შ. — 627.

161 ვ. ი. ლენინს მხედველობაში აქვს თავისი მგზავრობა პარიზში, ბრიუსელში, ლიეჟსა და ლაიფციგში ლატვიის მხარის სოციალ-დემოკრატიის IV ყრილობის მუშაობასთან და ეროვნული საკითხის გამო რეფერატების წაკითხვასთან დაკავშირებით. — 627.

162 «ბ ო რ ბ ა» — ტროცკის ჟურნალი; გამოდიოდა პეტერბურგში 1914 წლის თებერვლიდან ივლისამდე. ტროცკი «არაფრაქციულობით» ინიღბებოდა და ჟურნალის ფურცლებზე ბრძოლას აწარმოებდა ლენინის წინააღმდეგ, ბოლშევიკური პარტიის წინააღმდეგ. — 627.

163 ლენინს მხედველობაში აქვს ვიბორგელთა ჯგუფის რეზოლუცია «ამხ. ბურიანოვის «შეიდეულიდან» გასვლის გამო» და «ღია წერილი ა. ფ. ბურიანოვს» რსდმპ ხელშემწყობი ციურიხის ჯგუფის ხელმოწერით, რომლის უმრავლესობას მენშევიკები შეადგენდნენ. ორივე დოკუმენტი მოთავსებულია გაზეთ «პუტ პრავდაში» № 22, 1914 წლის 26 თებერვალს. — 633.

164 ლაპარაკია ყოველთვიურ ლიტერატურულ-პოლიტიკურ ჟურნალ «სოვრემენნიკზე» (1911—1915 წწ.).

ვ. ი. ლენინის წერილი წარმოადგენს ჟურნალ «სოვრემენნიკის» — რედაქციის წევრის ვ. სტანკევიჩის 1914 წლის 9 (22) მარტის წერილის პასუხს. თავის წერილში სტანკევიჩი აღნიშნავდა ჟურნალ «სოვრემენნიკის» შემადგენლობაში მომხდარ ცვლილებებს, აგრეთვე გადმოსცემდა ჟურნალის ამოცანებს. სტანკევიჩი წერდა, რომ ჟურნალი «პრინციპულად ფრაქციათაშორისო ორგანო იქნება», «ჩვენ ვამტკიცებთ, რომ აუცილებელია ყველა სოციალისტური მიმდინარეობის სრული ორგანიზაციული ერთიანობა». სტანკევიჩი თხოვდა ლენინს «ნება დაერთო, რომ მისი სახელი თანამშრომელთა რიცხვში მოექციათ». ლენინის დამოკიდებულებაზე ინტელიგენტური ჯგუფებისადმი და ჟურნალ «სოვრემენნიკის» მიერ გაერთიანებული ჯგუფისადმი იხ. მისი სტატია «მუშების ერთიანობა და ინტელიგენტების «მიმდინარეობანი»». (თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 20, გვ. 354 — 357). — 634.

165 ლაპარაკია ლ. მარტოვის, ფ. დანისა და გ. პლეხანოვის თანამშრომლობაზე ჟურნალ «სოვრემენნიკში». — 636.

166 სანამ დაწერდა სტატიას «ო ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ო ნ ა ც ე მ ე ბ ი მ უ შ ა თ ა მ ო ძ რ ა ო ბ ა შ ი ა რ ს ებ უ ლ ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა მ ი მ დ ი ნ ა რ ე ო ბ ა თ ა ს ი ძ ლ ი ე რ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ», ლენინმა წინასწარ გულდასმით შეკრიბა, შეამოწმა და ღრმა ანალიზი გაუკეთა ციფრებსა და ფაქტებს მუშათა ბექდვითი სიტყვისათვის შეგროვილი ფულადი თანხების შესახებ, რომლებიც ობიექტურად მოწმობდნენ, თუ რამდენად ძლიერი იყვნენ სხვადასხვა მიმდინარეობანი რუსეთის მუშათა მოძრაობაში. მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის არქივში ინახება ლენინის ხელ-

ნაწერები, სადაც გამოთელილია გაზეთ «პრავდის» მიერ შეგროვებული ფულადი თანხები, გაზეთ «ციტის» მიერ გაერთიანებული მუშათა ჯგუფების რიცხვი, მოცემულია გაანგარიშება სტატიაში მოყვანილი ცხრილისათვის, შეჯამებულია ციფრული მონაცემები, რომლებიც ცხადყოფენ. სად და რა გზით შეგროვდა ფული სხვადასხვა გაზეთის სასარგებლოდ. გარდა ამისა, შენახულია: პირველადი მონასახი კონსპექტისა, და კონსპექტი სტატიისა «ობიექტური მონაცემები მუშათა მოძრაობაში არსებულ სხვადასხვა მიმდინარეობათა სიძლიერის შესახებ». შემდეგში ლენინს თავის ნაშრომებში არა ერთხელ მიუმართავს ამ სტატიაში მოყვანილი ციფრებისათვის. — 649.

167 «ნ ა შ ა რ ა ბ ო ჩ ი ა ნ ა ზ ე ტ ა» — ყოველდღიური გამოცემა, მენშევიკ-ლიკვიდატორების ორგანო. გამოდიოდა პეტერბურგში 1914 წლის მაისიდან იელისამდე. — 651.

168 1912 წლის 22 აპრილს (5 მაისს) გამოვიდა მასობრივი მუშათა გაზეთის — «პრავდის» პირველი ნომერი. 1914 წლის 21 მარტს (3 აპრილს) გაზეთ «პუტ პრავდის» № 42-ში, «პრავდისტთა ჯგუფის» ხელმოწერით, მოთავსებული იყო ღია წერილი, რომელიც მოუწოდებდა, რომ 1914 წლის 22 აპრილი, ყოველდღიური ბოლშევიკური გაზეთის გამოსვლის დღის აღსანიშნავად, მუშათა ბეჭდვითი სიტყვის დღედ ყოფილიყო გამოცხადებული.

რუსეთის მუშები მხურვალედ გამოეხმაურნენ ამ მოწოდებას. «პრავდის» დაარსების ორი წლისთავი ბოლშევიკებმა ჩაატარეს გაზეთსა და მუშათა მასებს შორის კავშირის შემდგომი განმტკიცებისა და გაფართოების ნიშნით. — 653.

169 — «ს ე ვ ე რ ნ ა ია რ ა ბ ო ჩ ი ა ნ ა ზ ე ტ ა» — მენშევიკ-ლიკვიდატორების ყოველდღიური გაზეთი. გამოდიოდა პეტერბურგში 1914 წლის მაისამდე. — 655.

170 სტატიას ბოლოში დართული აქვს რედაქციის შენიშვნა «გაგრძელება იქნება». მაგრამ გაზეთის შემდგომ ნომრებში სტატიის გაგრძელება არ გამოქვეყნებულა. ხოლო 1914 წლის 8 (21) იელისს გაზეთი დაიხურა. — 661.

171 ეს წერილი ლენინის პასუხია ი. ლარინის წინადადებაზე — მონაწილეობა მიეღო კრებულში, რომელიც მიეძღვნებოდა ობორონობის კრიტიკას და ციმერვალდის პლატფორმის დასაბუთებას, განზრახული იყო კრებული ლეგალურად გამოეცათ რუსეთში. კრებულში მონაწილეობის მისაღებად მოწვეული იყვნენ საზღვარგარეთ აქსელროდი, ლუნაჩარსკი, მარტოვი და სხვ. რუსეთში თანამშრომლებს კრებულისათვის ნ. სუხანოვი შეარჩევდა. პირობებში მონაწილეთათვის, სხვათა შორის, დათქმული იყო, რომ «ამ კრებულის სტატიებში არ უნდა იყოს მის მონაწილეთა ურთიერთ თავდასხმები». კრებული არ გამოსულა. — 663.

172 ლაპარაკია ჟურნალ «კომუნისტის» შემდგომი გამოცემის შესახებ შეთანხმების პროექტზე, რომელიც შეიმუშავეს ვ. პიატაკოვმა და ე. ბოშმა (ივიეე პ. და ნ. კიევსკები) და რომელიც ა. შლიაპნიკოვმა გაუგზავნა ვ. ი. ლენინს.

«პირობები», რომლებმაც განსაკუთრებით აღაშფოთეს ვ. ი. ლენინი, იყო პროექტის შემდეგი ორი პუნქტი: ...«2) ჟურნალის გამოცემა ეკისრება პ. და ნ. კიევსკებს. გამომცემლობის დამფუძნებელნი და მისი პასუხისმგებელი წარმომადგენელნი არიან ამბ. პ. და ნ. კიევსკები». (უკანასკნელი ფრაზა ამოშლილია ვ. ი. ლენინის მიერ. — რ ე დ.) «5) ს ა დ ი ს კ უ ს ი ო ნ ა ნ ყ ო ფ ი ლ ე ბ ა. დისკუსიის საკითხებში სარედაქციო კოლეგია ხელმძღვანელობს შემდეგი წესებით: ა) რედაქციის თეითეულ წევრს, რომელიც არ ეთანხმება კოლეგიას პარტიის პროგრა-

მისა და ტაქტიკის ცალკეულ საკითხში, უფლება აქვს მოათავსოს თავისი სტატია «სადისკუსიო განყოფილებაში»;.. c) «სადისკუსიო განყოფილებაში» «კომუნისტის» თანამშრომელთა სტატიების მოსათავსებლად საჭიროა სულ ცოტა ორი რედაქტორის თანხმობა. (ქვეპუნქტი «c» აგრეთვე ამოშლილ იქნა ვ. ი. ლენინს მიერ — რ ე დ.)». — 664.

173 იგულისხმება ვ. ი. ლენინის უთანხმოებანი რადეკთან და პოლონეთისა და ლიტვის სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან ეროვნული საკითხის გამო. ამ უთანხმოებათა არსი გადმოცემულია ლენინის მიერ სტატიაში «შედეგები დისკუსიისა თვითგამორკვევის შესახებ». — 664.

174 «გაზეტა რაბოტნიჩა» («Gazeta Robotnicza») პოლონეთისა და ლიტვის სოციალ-დემოკრატიის ვარშავის კომიტეტის არალეგალური ორგანო; გამოდიოდა 1906 წლის მაის-ოქტომბერში. გამოცემა განახლდა 1912 წელს. პოლონეთის სოციალ-დემოკრატიის გათიშვის შემდეგ წარმოიქმნენ პარალელური პარტიული კომიტეტები. იყო ვარშავის ორი კომიტეტი, და გამოდიოდა ორი ორგანო «რაბოჩაია გაზეტას» სახელწოდებით: ერთი — ვარშავაში მყოფი მოავარი გამვეობის მომხრეების მიერ, ხოლო მეორე — კრაკოვში მყოფი ოპოზიციური ვარშავის კომიტეტის მიერ. — 664.

175 იგულისხმება ბ. პიატაკოვისა და ე. ბოშის პროექტის შემდეგი ადგილი: ჟურნალის სარედაქციო კოლეგიას უნდა შეადგენდეს 7 კაცი: 1) ე. ბოში, 2) ლიალინი (პიატაკოვი), 3) ბუხარინი, 4) ლენინი, 5) ზინოვიევი, 6) №№, 7) №№. შემდეგ ნათქვამი იყო, რომ მეექვსე პირი გამომცემლობის სარედაქციო კოლეგიის შემადგენლობაში კოოპტაციით შეიყვანება ლენინისა და ზინოვიევის რეკომენდაციით. მათვე «აქვთ უფლება წამოაყენონ გამომცემლობისათვის მეშვიდე პირიც პარტიულ ლიტერატორთა რიცხვიდან; მისი უარყოფა მოითხოვს კენჭისყრას' და რედაქციის უბრალო უმრავლესობით გადაწყვეტას». — 664.

176 «კომუნისტ» — ჟურნალი, იცემოდა ჟენევაში გაზეთ «სოციალ-დემოკრატის» რედაქციის მიერ გ. პიატაკოვსა და ე. ბოშთან ერთად 1915 წელს. გამოვიდა ერთი (ორმაგი) ნომერი, რომელშიც გამოქვეყნებული იყო ლენინის სამი სტატია: «II ინტერნაციონალის კრახი»; «ფრანგი სოციალისტის პატიოსანი ხმა» და «იმპერიალიზმი და სოციალიზმი იტალიაში».

ჟურნალის რედაქციის შიგნით ლენინი ბრძოლას აწარმოებდა ბუხარინ-პიატაკოვის ანტიპარტიული ჯგუფის წინააღმდეგ, ამხილებდა მის ანტიბოლშევიკურ შეხედულებებს, მის ცდებს — გამოეყენებინა ჟურნალი ფრაქციული მიზნებისათვის. ამ ჯგუფის ანტიპარტიული პოზიციის გამო ლენინმა წინადადება წამოაყენა შეეწყვიტათ მასთან ურთიერთობა და ჟურნალის ერთად გამოცემა. 1916 წლის ოქტომბრიდან გაზეთ «სოციალ-დემოკრატის» რედაქცია უშვებდა უკვე თავის «სბორნიკ «სოციალ-დემოკრატას»». — 667.

177 «Vorbote» («წინასწარმაუწყებელი») — ჟურნალი, ციმერვალდის მემარცხენე ჯგუფის თეორიული ორგანო; გამოდიოდა გერმანულ ენაზე ბერნში 1916 წელს. გამოვიდა ორი ნომერი: № 1 —1916 წლის იანვარში და № 2 — აპრილში. ჟურნალში დაიბეჭდა ვ. ი. ლენინის ნაშრომები: «ოპორტუნიზმი და II ინტერნაციონალის კრახი», «სოციალისტური რევოლუცია და ერთა თვითგამორკვევის უფლება (თეზისები)». — 668.

178 ვ. ი. ლენინს მხედველობაში აქვს რადეკის სტატია «Ein aus—despieltes Lied» («წირეა გამოსულია»), რომელიც დაბეჭდილია გაზეთ «Berner Tagwacht»

№ 108, 1916 წლის 9 მაისს. ამ სტატიის შეფასება მოცემულია ლენინის მიერ ნაშრომში «შედეგები დისკუსიისა თვითგამორკვევის შესახებ». — 669.

179 ა. კულიშერის სტატია «დუბლინის ამბოხება», რაზედაც აქ ლენინი ლაპარაკობს, დაბეჭდილია გაზეთ «რეჩში» № 102, 1916 წლის 15 (28) აპრილს.—669.

180 ს ო კ — საზღვარგარეთული ორგანიზაციის კომიტეტი შეიქმნა 1911 წლის დეკემბერში საზღვარგარეთული ბოლშევიკური ჯგუფების თათბირზე. — 669.

181 «მ ო ხ ს ე ნ ე ბ ა 1905 წ ლ ი ს რ ე ვ ო ლ უ ც ი ი ს შ ე ს ა ხ ე ბ» ვ. ი. ლენინმა წაიკითხა გერმანულ ენაზე 1917 წლის 9 (22) იანვარს ციურიხის სახალხო სახლში შეეიცარიის მუშა-ახალგაზრდობის კრებაზე. — 672.

182 «ა ხ ა ლ ი ც ი უ რ ი ხ ი გ ა ზ ე თ ი» — შეეიცარული ბურჟუაზიული გაზეთი; დაარსებულია ციურიხში 1870 წ. — 674.

183 «Corriere della Sera» («საღამოს კურიერი») — ყოველდღიური იტალიური ბურჟუაზიული გაზეთი, დაარსებული მილანში 1876 წელს; გამოდის ამჟამადაც. — 674.

184 1914 წლის იანვრიდან ჩერნომაზოვი გადაყენებულ იქნა გაზეთ «პრავდის» რედაქციაში მუშაობიდან პროვოკაციაში ეჭვის მიტანის გამო და მას შემდეგ არაეითარ მონაწილეობას არ იღებდა გაზეთ «პრავდის» გამოცემაში. — 676.

185 «Petit Parisien» («პატარა პარიზელი») — საფრანგეთის ბურჟუაზიის ყველაზე რეაქციული წრეების ყოველდღიური გაზეთი; დაარსდა პარიზში 1876 წელს. — 676.

186 «რ უ ს ს კ ა ი ა ვ ო ლ ი ა» — ყოველდღიური ბურჟუაზიული გაზეთი, რომელიც შექმნილი იყო და არსებობდა მსხვილი ბანკების სახსრებით; გამოდიოდა პეტროგრადში 1916 წლის 15 (28) დეკემბრიდან 1917 წლის 25 ოქტომბრამდე (7 ნოემბრამდე). ეწეოდა რბევა-ნგრევის კამპანიას ბოლშევიკების წინააღმდეგ. ლენინი მას უწოდებდა ერთ-ერთ უსაზიზღრეს ბურჟუაზიულ გაზეთს. მისი რედაქტორი იყო შეფის უკანასკნელი შინაგან საქმეთა მინისტრი ა. დ. პროტოპოპოვი. «რ უ ს ს კ ა ი ა ვ ო ლ ი ა» დაიხურა პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს აღმასკომის განკარგულებით. — 673.

187 «The Times» («დროება») — ინგლისის ბურჟუაზიის კონსერვატიული წრეების გავლენიანი ყოველდღიური გაზეთი; გამოდის ლონდონში 1785 წლიდან. — 679.

188 იგულისხმება ლ. ბ. კამენევის ოპორტუნისტული, კაპიტულანტური გამოსვლა; ის მენშევიკების კეალდაკეალ თვლიდა, რომ რუსეთი სოციალისტური რევოლუციისათვის ჯერ კიდევ არ არის მომწიფებული, გამოვიდა ვ. ი. ლენინის წინააღმდეგ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციად გადაზრდის საკითხში და ცდილობდა მხოლოდ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ფარგლებით შეეზღუდა მუშათა კლასის ამოცანები. — 680.

189 «ე დ ი ნ ს ტ ე ო» — ლეგალური გაზეთი, რომელსაც პეტერბურგში 1914 წლის მაისიდან ივნისამდე სცემდა მენშევიკ-პარტიელთა ჯგუფი პლეხანოვის მეთაურობით და ბოლშევიკ-შემარიგებლთა ჯგუფი; სულ გამოვიდა 4 ნომერი.—681.

190 «დ ო ლ ო ნ ა ო ბ ა» — ყოველდღიური გაზეთი, ესერების პარტიის ორგანო; გამოდიოდა პეტროგრადში 1917 წლის მარტიდან 1918 წლის ივნისამდე, ხშირად იცვლიდა სახელწოდებას. გაზეთის გამოცემა განახლდა 1918 წლის ოქტომბერში სამარაში (გამოვიდა სამი ნომერი) და 1919 წლის მარტში მოსკოვში

(გამოვიდა ათი ნომერი). გაზეთი მაშინვე დახურეს კონტრრევოლუციური მოღვაწეობისათვის. — 683.

191 «დ ე ნ» — ლიბერალურ-ბურჟუაზიული მიმართულების ყოველდღიური გაზეთი; გამოდიოდა პეტერბურგში 1912 წლიდან ბანკების სახსრებით მენშევიკი-ლიკვიდატორების მონაწილეობით, რომელთა ხელში მთლიანად გადავიდა გაზეთი 1917 წლის თებერვლის შემდეგ. დახურულ იქნა პეტროგრადის საბჭოს სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის მიერ 1917 წლის 26 ოქტომბერს (8 ნოემბერს) რის შემდეგ გამოდიოდა სხვა სახელწოდებებით 1918 წლის მაისამდე. — 691.

192 «რ ა ბ ო ჩ ა ი ა გ ა ზ ე ტ ა» — მენშევიკების პარტიის ცენტრალური ორგანო გამოდიოდა ყოველდღიურად პეტროგრადში 1917 წლის 7 (20) მარტიდან ნოემბრამდე. გამომც. ვ. ნ. კროხმალი. «პრავდა» სისტემატურად ააშკარავებდა «რაბოჩაია გაზეტას», რომელიც ბურჟუაზიის მაამებლობას ეწეოდა. «რაბოჩაია გაზეტა» გამოდიოდა 8-საათიანი სამუშაო დღის შემოღების წინააღმდეგ, წითელი გვარდიის შექმნის წინააღმდეგ. დაიხურა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის დადგენილებით. შემდგომში რამდენიმე ხნით კიდევ გამოდიოდა «ზარიას», «კლიჩის», «პლამიას», «ფაკელის» სახელწოდებებით. — 691.

193 «ბ ი რ ჟ ე ვ ი ე ვ ე დ ო მ ო ს ტ ი» — ყოველდღიური ბურჟუაზიული გაზეთი, რომელიც გამოდიოდა პეტერბურგში 1880 წლიდან. სახელწოდება «ბირჟევკა» საზოგადო სახელი გახდა ბურჟუაზიული პრესის უპრინციპობისა და სინდისგარეცხილობის გამოსახატავად. 1917 წლის ოქტომბრის დამლევს გაზეთი დახურა პეტროგრადის საბჭოსთან არსებულმა სამხედრო-რევოლუციურმა კომიტეტმა. — 692.

194 «რ უ ს ს კ ა ი ა გ ა ზ ე ტ ა» — პერეუსისა და ტროცკის პოპულარული გაზეთი, რომელიც გამოდიოდა პეტერბურგში 1905 წელს. — 697.

195 «ქ ი ვ ო ე ს ლ ო ვ ო» — ბულვარულ-შავრაზმული ტიპის ყოველდღიური გაზეთი. გამოდიოდა პეტროგრადში 1916 წლიდან. რედ. — გამომც. ა. მ. უმანსკი. თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ, მკითხველთა დეზორიენტაციის მიზნით იბეჭდებოდა ქვესათაურით «პარტიის გარეშე მყოფ სოციალისტთა გაზეთი». მისი კონტრრევოლუციურობა იმდენად უხეშ ხასიათს ატარებდა, რომ თვით დროებითი მთავრობაც კი იძულებული იყო 1917 წლის აგვისტოში აეკრძალა იგი. 24 აგვისტოდან (6 სექტემბრიდან) გაზეთი გამოდიოდა «სლოვოს» სახელწოდებით, 1917 წლის 23 ოქტომბრიდან (5 ნოემბრიდან) «ნოვოე სლოვოს» სახელწოდებით. დახურული იქნა სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის მიერ 1917 წლის 28 ოქტომბერს (10 ნოემბერს).

«ქივოე სლოვო» გააფთრებულ ცილისმწამებლურ კამპანიას ეწეოდა ბოლშევიკური პარტიის წინააღმდეგ, ვ. ი. ლენინის წინააღმდეგ. მასში დაიბეჭდა გენერალური შტაბის მითითებით შეთითხნილი კონტრრევოლუციის ბანაკში გადაბარგებული ყოფილი სოციალ-დემოკრატის ალექსინსკის ბინძური ცილისწამება ლენინზე, რომელსაც ამ ნაყალბევში ბრალს სდებდნენ შპიონაჟში გერმანელთა სასარგებლოდ. «ლისტოკ «პრავდამ»» მოათავსა (1917 წლის 6 (19) ივლისი) ვ. ი. ლენინის წერილი «შავრაზმული გაზეთებისა და ალექსინსკის საზიზღარი ცილისწამება». — 704.

196 «ლ ი ს ტ ო კ «პ რ ა ვ დ ი»» — ყოველდღიური ბოლშევიკური გაზეთის «პრავდის» ერთ-ერთი სახელწოდება. გამოვიდა ერთი ნომერი 1917 წლის 6 (19)

ივლისს. «ლისტოკში» დაბეჭდილია ვ. ი. ლენინის სტატიები: «სად არის ხელისუფლება და სად არის კონტრრევოლუციის?», «შავრაზმული გაზეთებისა და ალექსინსკის საზიზღარი ცილისწამება», «ავყიაობა და ფაქტები», «დედაარსთან სიახლოვე», «დრეიფუსის ახალი საქმე?». — 706.

197 «ნოვაია ჟიზნ» — მენშევიკური მიმართულების ყოველდღიური გაზეთი, ორგანო სოციალ-დემოკრატების, ეგრეთწოდებული «ინტერნაციონალისტების» ჯგუფისა, რომელიც აერთიანებდა მენშევიკებს, მარტოვის მომხრეებს, და ნახევრადმენშევიკური ჟურნალ ცალკეულ ინტელიგენტებს. «ნოვაია ჟიზნ» გამოდიოდა პეტროგრადში 1917 წლის აპრილიდან, ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ დაიკავა საბჭოთა ხელისუფლებისადმი მტრული პოზიცია და დახურულ იქნა 1918 წლის ივლისში. — 709.

198 «რაბოჩი ი სოლდატ» — ყოველდღიური გაზეთი, რსდმპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული სამხედრო ორგანიზაციის ორგანო. გამოდიოდა პეტროგრადში 1917 წლის 23 აპრილიდან 9 აგვისტომდე გაზეთ «სოლდატსკაია პრავდის» მაგიერ. რსდმპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების თანახმად გაზეთი ასრულებდა პარტიის ცენტრალური ორგანოს ფუნქციას დახურული «პრავდის» მაგიერ. გამოვიდა 15 ნომერი. გაზეთის 10 აგვისტოს № 16 დალუქულ იქნა 6 ეგზემპლარის რაოდენობით მოხელის მითითებით და დაერთო მილიციის ოქმს. № 12-ის დამატება: «რეზოლუციები რუს. სოც. დემ. მუშ. პარტიის (VI) ყრილობისა 1917 წლის 25 ივლისს — 3 აგვისტოს». ტირაჟი 50.000 — 70.000 ეგზ.

რედაქციაში შედიოდნენ: ა. თ. ილინ-ჟენევსკი, ვ. ი. ნევსკი, ნ. ი. პოდვოისკი, ბ. ზ. შუმიაცკი და სხვ. პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გაზეთის რსდმპ ცკ-ის ორგანოდ გამოცხადების შემდეგ 4 აგვისტოს სხდომაზე დაამტკიცა ახალი რედაქცია. მასში შევიდნენ: ი. ბ. სტალინი, ვ. პ. მილიუტინი, მ. მ. ეოლოდარსკი და სხვ. გაზეთისადმი საერთო პარტიულ ხელმძღვანელობას ახორციელებდნენ ი. მ. სვერდლოვი და ი. ბ. სტალინი. გაზეთში თანამშრომლობდნენ: დ. ბედნი, ბ. ა. ბრესლაური, ა. მ. კოლონტაი, კ. ა. მეხონოშინი, კ. ნ. სამოილოვა, ე. მ. იაროსლავსკი და სხვ. იბეჭდებოდა სტამბაში «ხალხი და შრომა».

გაზეთში პირველად გამოქვეყნდა ვ. ი. ლენინის შემდეგი სტატიები: №№ 3, 4-ში — «პასუხი», № 6-ში — «ბონაპარტიზმის დასაწყისი», №№ 11, 12-ში — «კონსტიტუციური ილუზიების შესახებ», №№ 5-8, 13, 14-ში დაიბეჭდა რსდმპ (ბ) VI ყრილობის მასალები. გაზეთი დახურა დროებითმა მთავრობამ 1917 წლის 10 აგვისტოს. — 709.

199 «პროლეტარსკოე დელო» — ყოველდღიური გაზეთი, მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების კრონშტადტის საბჭოს ბოლშევიკთა ფრაქციის ორგანო, რომელიც გამოვიდა 1917 წელს კრონშტადტის ბოლშევიკური გაზეთის «გოლოს პრავდის» ნაცვლად, რაც დახურა დროებითმა მთავრობამ ივლისის დღეებში. — 709.

200 «სოციალ-დემოკრატი» — ყოველდღიური გაზეთი ბოლშევიკების პარტიის მოსკოვის საოლქო ბიუროს, მოსკოვის კომიტეტის, უფრო გვიან — აგრეთვე მოსკოვის საოკრუგო კომიტეტის ორგანო; გამოდიოდა 1917 წლის მარტიდან 1918 წლის მარტამდე. პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოსკოვში გადასვლასთან დაკავშირებით გაზეთი შეუერთდა «პრავდას». — 709.

201 «პროლეტარი» — ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური ორგანო, ყოველდღიური გაზეთი; გამოდიოდა 1917 წლის 13 (26) აგვისტოდან 24 აგვისტომ-

დე (6 სექტემბრამდე) დროებითი მთავრობის მიერ დახურული გაზეთის «პრავდის» ნაცვლად. გამოვიდა 10 ნომერი. — 709.

202 «ცაკ-ის «იზვესტია»» — ყოველდღიური გაზეთი, გამოდიოდა 1917 წლის 28 თებერვლიდან (13 მარტიდან) სახელწოდებით — «პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს «იზვესტია»». საბჭოების სრულიად რუსეთის I ყრილობაზე მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის შექმნის შემდეგ გაზეთი 1917 წლის 1 (14) აგვისტოდან (№ 132-დან) ცაკ-ის ორგანო გახდა და გამოდიოდა «ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს «იზვესტიის»» სახელწოდებით. მთელი ამ ხნის განმავლობაში გაზეთი მენშევიკებისა და ესერების ხელში იყო და გააფთრებულ ბრძოლას ეწეოდა ბოლშევიკური პარტიის წინააღმდეგ. 1917 წლის 27 ოქტომბრიდან (9 ნოემბრიდან), საბჭოების სრულიად რუსეთის II ყრილობის შემდეგ, «ცაკ-ის «იზვესტია»» საბჭოთა ხელისუფლების ოფიციალური ორგანო გახდა. 1918 წლის მარტში, სრულიად რუსეთის ცაკ-ისა და სახკომსაბჭოს გადასელასთან დაკავშირებით, გაზეთის გამოცემა პეტროგრადიდან მოსკოვში გადაიტანეს. — 709.

203 «რუსკოე სლოვო» — ყოველდღიური ლიბერალურ-ბურჟუაზიული გაზეთი; გამოდიოდა მოსკოვში 1895 წლიდან. დახურულ იქნა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების მოსკოვის საბჭოს პრეზიდიუმის მიერ 1917 წლის 27 ნოემბერს (10 დეკემბერს). — 709.

გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ე ბ ა მ ე ს ა მ ე

ბეჭდვითი სიტყვა სოციალიზმის აშენებისათვის პარტიის ბრძოლის პერიოდში

1 «პ ი რ ვ ა ნ დ ე ლ ი მ ო ნ ა ს ა ხ ი სტ ა ტ ი ი ს ა «ს ა ბ ჭ ო თ ა ხ ე ლ ი ს უ ფ ლ ე ბ ი ს მ ო რ ი გ ი ა მ ო ც ა ნ ე ბ ი»» ლენინმა სტენოგრაფს უკარნახა 1918 წლის 28 მარტს (მონასახის დასაწყისი და ბოლო ნაპოვნი არაა). ლენინი არ დაკმაყოფილდა სტენოგრაფიული მონასახით და მალე ხელახლა დაწერა «თეზისები საბჭოთა ხელისუფლების ამოცანების შესახებ ახლანდელ მომენტში» (ასეთი სახელწოდება აქვს ხელნაწერში ლენინის ნაშრომს «საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანები»). — 719.

2 პრესის თავისუფლების საკითხი განიხილა სრულიად რუსეთის ცაკ-ის სხდომამ პრესის შესახებ სახკომსაბჭოს 1917 წლის 27 ოქტომბრის (9 ნოემბრის) დეკრეტის წინააღმდეგ «მემარცხენე» ესერების გამოსვლასთან და სამხედრო რევოლუციური კომიტეტის დადგენილებით მთელი რიგი ბურჟუაზიული გაზეთების დახურვასთან დაკავშირებით. 1917 წლის 26 ოქტომბერს (8 ნოემბერს) კონტრრევოლუციური საქმიანობისათვის დახურეს გაზეთები «რეჩ», «დენ» და სხვები. სრულიად რუსეთის ცაკ-ის 1917 წლის 4 (17) ნოემბრის სხდომაზე გამოქვეყნდა ბოლშევიკური ფრაქციის რეზოლუცია, სადაც მოწონებული იყო საბჭოთა მთავრობის პოლიტიკა პრესის სფეროში, რეზოლუცია მიღებულ იქნა ხმის უმრავლესობით. — 729.

3 «რ ა ბ ო ჩ ი ი» — ყოველდღიური გაზეთი, რსდმპ ცენტრალური ორგანო. გა-

მოდიოდა «პრავდის» ნაცვლად პეტროგრადში 1917 წლის 25 აგვისტოდან 2 სექტემბრამდე. გამოვიდა 12 ნომერი. 28-29 აგვისტოსა და 1 სექტემბერს გაზეთი გამოდიოდა დღეში ორჯერ (№№ 4 და 5; №№ 6 და 7; №№ 10 და 11). ტირაჟი 50.000 ეგზ.

გაზეთში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ: მ. მ. ვოლოდარსკი, ვ. ა. მილიუტინი, მ. ა. საველევი, ი. ბ. სტალინი და სხვ.

გაზეთში პირველად გამოქვეყნდა ვ. ი. ლენინის შემდეგი სტატიები: № 2-ში — «ქაღალდის რეზოლუციები», «სტოკჰოლმის კონფერენციის შესახებ», № 6-ში — «პუბლიცისტის დღიურიდან. გლეხები და მუშები», №№ 8, 9-ში — «რევოლუციის გაკვეთილები»; № 8-ში — «ცილისმწამებელთა შესახებ»; № 10-ში — «პუბლიცისტის დღიურიდან. ბოროტების ფესვები. საბატონო ბეგარა და სოციალიზმი». გაზეთი დახურულ იქნა დროებითი მთავრობის მიერ. — 732.

4 «გ ლ ე ხ თ ა დ ე პ უ ტ ა ტ ე ბ ი ს ს რ უ ლ ი ა დ რ უ ს ე თ ი ს ს ა ბ ჭ ო ს უ წ ყ ე ბ ე ბ ი» («ი ზ ვ ე ს ტ ი ა») — ყოველდღიური გაზეთი, გლეხთა დეპუტატების საბჭოს ოფიციალური ორგანო; გამოდიოდა პეტროგრადში 1917 წლის მაისიდან დეკემბრამდე; გამოხატავდა ესერთა მემარჯვენე ფრთის შეხედულებებს. «იზვესტია» ოქტომბრის რევოლუციას მტრულად შეხვდა. გაზეთი დახურულ იქნა კონტრრევოლუციური მიმართულების გამო. — 732.

5 პროექტი «თ ე ზ ი ს ე ბ ი ს თ ა ნ ა მ ე დ რ ო ვ ე პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ი ს შ ე ს ა ხ ებ» ლენინმა დაწერა 1918 წლის 10 მაისს და მაშინვე იქნა განხილული რკპ(ბ) ცკ-ის სხდომაზე. საბოლოო რედაქციით «თეზისები» ცკ-მა დაამტკიცა 1918 წლის 13 მაისს. ამ «თეზისებისა» საფუძველზე ლენინი იმავე დღეს, ც კ-ის დავალებით, გამოვიდა მოხსენებით მოსკოვის საერთო-საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე. კონფერენციამ ხმების უმრავლესობით მიიღო ლენინის «თეზისები» როგორც რეზოლუცია.

ყველაზე უფრო სრულად «თეზისები თანამედროვე პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ» ლენინმა განავითარა 14 მაისს მოხსენებაში საგარეო პოლიტიკის შესახებ სრულიად რუსეთის ცაკისა და მოსკოვის საბჭოს გაერთიანებულ ხდომაზე. 14 მაისს ლენინის «თეზისები თანამედროვე პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ» მიიღო რკპ(ბ) მოსკოვის საოკრუგო კონფერენციამ და 15 მაისს — მოსკოვის საოლქო კონფერენციამ ლენინის მოხსენების გამო მიმდინარე მომენტის შესახებ. — 739.

6 «ბ ე დ ნ ო ტ ა» — ყოველდღიური გაზეთი კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის გამოცემა; გამოდიოდა მოსკოვში 1918 წლის 27 მარტიდან 1931 წლის 31 იანვრამდე. გაზეთი შექმნილი იყო რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით გაზეთების «დერევენსკაია ბედნოტას», «დერევენსკაია პრავდას» და «სოლდატსკაია პრავდას» ნაცვლად. 1931 წლის 1 თებერვლიდან «ბედნოტა» შეუერთდა გაზეთ «სოციალისტიჩესკოე ზემლედელიეს»; შემდეგ გამოდიოდა «სელსკოე ხოზიაისტვო», ამჟამად «სელსკაია ჟიზნ». — 745.

7 შენიშვნა «რ უ ს უ ლ ი ე ნ ი ს გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ი ს შ ე ს ა ხ ებ» ლენინმა დაწერა 1919 ან 1920 წელს. — 763.

8 ლენინს მხედველობაში აქვს გ. მ. კრჟიჟანოვსკის სტატია «მრეწველობის ელექტროფიკაციის ამოცანები», რომელიც შემოკლებული სახით დაიბეჭდა «პრავდაში» № 20, 1920 წლის 30 იანვარს. — 765.

9 ლენინის ეს თეზისები საფუძვლად დაედო მთავპოლიტგანის თეზისების პრო-

ექტს, რომელიც «პრავდის» 1920 წლის 27 ნოემბრის 267-ე ნომერში გამოქვეყნდა სახელწოდებით: «საწარმოო პროპაგანდა. (მთავპოლიტგანის თეზისების პროექტი)». — 774.

10 ცსსკ (ცენტრალური საღრიცხვო საგანმანაწილებლო კომისია) სახელმწიფო გამომცემლობასთან; შეიქმნა 1919 წლის დეკემბერში ლიტერატურის აღრიცხვისა და განაწილების ერთიანი გეგმის შემუშავების მიზნით. — 777.

11 «ეკონომიჩესკაია ჟიზნ» — ყოველდღიური გაზეთი; გამოდიოდა 1918 წლის ნოემბრიდან როგორც სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოსა და სამეურნეო სახკომატების ორგანო. გაზეთი გამოდიოდა 1937 წლის ნოემბრამდე; შემდგომში მას შეეცვალა სახელწოდება და როგორც «ფინანსოვაია გაზეტა» იყო სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატის, სახელმწიფო ბანკისა და სსრ კავშირის სხვა საფინანსო დაწესებულებებისა და ბანკის მუშათა კავშირის ცენტრალური კომიტეტის ორგანო. დაიხურა დიდი სამამულო ომის დასაწყისში სხვა საუწყებო გაზეთებთან ერთად. — 782.

12 შრომისა და თავდაცვის საბჭოს განაწესი ადგილობრივი საბჭოთა დაწესებულებებისათვის. პროექტი» ლენინმა განსახილველად შეიტანა სრ. რუსეთის ცაკის III სესიაზე. სრ. რუსეთის ცაკის სესიამ მიიღო რა «განაწესი», გადაწყვიტა იგი სრ. რუსეთის ცაკის პრეზიდიუმს დასამტკიცებლად. 1921 წლის 30 ივნისს «განაწესი» დამტკიცებულ იქნა. — 785.

13 «წერილი გ. მიასნიკოვს» ვ. ი. ლენინმა დაწერა პასუხად მიასნიკოვის რკპ ცკ-ში წაკითხულ მოხსენებისა და მისი სტატიისა «მტკივნეული საკითხები», რომლებშიაც მიასნიკოვი ამტკიცებდა ბეჭდვითი სიტყვისა და კრიტიკის დაშვების აუცილებლობას. ორივე დოკუმენტი ვლადიმერ ილიას ძის საპასუხო წერილით და მიასნიკოვის პასუხით უკანასკნელის მიერ გამოცემულ იქნა მცირე რაოდენობით ცალკე ბროშურად. — 790.

14 ვოლხოვის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის მთავარი ინჟინრის პროფესორ გ. ო. გრაფტიოს განცხადებაში აღნიშნული იყო მთელი რიგი დაწესებულებების ბიუროკრატიული დამოკიდებულება ვოლხოვმშენისადმი. — 803.

15 ლენინს მხედველობაში ჰქონდა შენიშვნა «წყლის ტურბინების დაკვეთა შვეიცარიაში», დაბეჭდილი 1921 წლის 2 სექტემბრის «ეკონომიჩესკაია ჟიზნში» № 194. შენიშვნაში ნათქვამი იყო, რომ სახელმწიფო საგეგმო კომისიის ენერგეტიკის სექციის სხდომაზე, როდესაც განიხილავდნენ დასკვნას ტურბინის დანადგართა პროექტის გამო, რაც დამუშავებული იყო ვოლხოვის და სვირის მშენებლობისათვის. აღნიშნეს, წყლის ტურბინების დამზადების დაკვეთა შეიძლებოდა გადასცემოდა შეედების ქარხანა «ნიტვეს და ჰოლმს», რომელიც 1921 წლის 1 ივლისიდან საბჭოთა მთავრობის სრულ განკარგულებაში გადავიდაო; ამ ქარხანაში არსებული დიდი ტურბინების საამქრო, დაკვეთების უქონლობის გამო, იმ დროს გაჩერებული იყო. სხდომაზე აღინიშნა, რადგან გვიანდება სვირისა და ვოლხოვის მშენებლობისათვის საჭირო წყლის ტურბინების დაკვეთის გაფორმება ქარხანასთან, იძულებული ვხდებით ქარხანა «ნიტვეს და ჰოლმის» ტურბინების საამქრო არამწარმოებლურად შევინახოთ. ენერგეტიკის სექციამ დაადგინა მიეღო ზომები დაკვეთის სწრაფად გაფორმებისათვის და სახელმწიფო საგეგმო კომისიის პრეზიდიუმის მეშვეობით დაესვა ეს საკითხი სახალხო კო-

მისართა საბჭოს უახლოეს სხდომაზე. ლენინის ჩარევამ დაჩქარა ამ საკითხის გადაჭრა. — 804.

16 ვ. ა. მიხელსი — ჟურნალისტი, თავის შენიშვნაში «ლატაკი მილიარდერები» მიუთითებდა აღმაშფოთებელ უწესრიგობაზე, რაც სუფევდა ნოსკოვ-ყაზანის რკინიგზის სადგურ ლიზინოსთან არსებულ საწყობებში; იქ აღურიცხავი 2½ მილიონი ფუთი ლითონი, ძვირფასი მანქანები, მოწყობილობა და ინსტრუმენტები ღია ცისქვეშ ეყარა და ფუჭდებოდა.

სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ ბ. ა. ბოგდანოვმა ვ. ი. ლენინს წარუდგინა (მისი 15 სექტემბრის წერილის პასუხად) სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სახელმწიფო საწყობთა სამმართველოს უფროსის ი. ე. ეფოვის მოხსენებითი ბარათი, რომელშიც ის უჩიოდა საწყობთა ნაკლებობას, მრავალხელისუფლებიანობას და საწყობთა გამო ბრძოლას ცალკეულ უწყებათა შორის. — 805.

17 როგორც ჩანს, ვ. ი. ლენინი ასწორებდა სტენოგრამას თავისი მოხსენებისა, რომელიც მან წარმოთქვა პოლიტვანების სრულიად რუსეთის II ყრილობაზე 1921 წლის 17 ოქტომბერს. — 808.

18 შაბათს 1921 წლის 29 ოქტომბერს ვ. ი. ლენინი გამოვიდა სიტყვით «ახალი ეკონომიური პოლიტიკის შესახებ» მოსკოვის VII საგუბერნიო პარტიულ კონფერენციაზე. — 808.

19 «მოსკოვსკი ლისტოკ ობიაველენიი» — კერძო მეწარმეთა ჯგუფის გამოცემა; გამოდიოდა მოსკოვში 1921 წლის ოქტომბრიდან 1922 წლის თებერვლამდე. — 809.

20 ეს ბარათი ვ. ი. ლენინმა მისწერა გ. ი. კრუმინს, «ეკონომიჩესკაია ჟიზნის» რედაქტორს, შრომისა და თავდაცვის საბჭოს ერთ-ერთი სხდომის დროს. ამ დროისათვის «ეკონომიჩესკაია ჟიზნ» უკვე გადაქცეული იყო შრომისა და თავდაცვის საბჭოს ორგანოდ, და ლენინი ამ ბარათში იძლევა მოკლე მითითებებს გაზეთის შემდგომი წარმართვის შესახებ ეს მითითებანი ლენინმა უფრო დაწვრილებით განაკითარა 1921 წლის 1 სექტემბრის «წერილში გაზეთ «ეკონომიჩესკაია ჟიზნის» რედაქციას». — 814.

21 «პოდ ზნამენემ მარქსიზმა» — ყოველთვიური ფილოსოფიური და საზოგადოებრივ-ეკონომიური ჟურნალი გამოდიოდა მოსკოვში 1922 წლის იანვრიდან 1944 წლის იანისამდე. — 816.

22 ლაპარაკია გენუის საზაფო კონფერენციის შესახებ. — 829.

23 პროექტი «დადგენილებისა მოადგილეთა (სახკომსაბჭოს და შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეთა) მუშაობის შესახებ» ვ. ი. ლენინმა გაუგზავნა აზრის გამოსათქმელად ი. ბ. სტალინს ცკ-ის პოლიტბიუროს წევრებისათვის და ა. დ. ციურუპას. ლენინის პასუხი მიღებულ შენიშვნებზე მოადგილეთა მუშაობის შესახებ იხ. «წერილში ი. ბ. სტალინს პოლიტბიუროს წევრებისათვის». — 832.

24 ვ. ი. ლენინის ბროშურა «ძველი სტატიები ახალ თემებთან ახლობელ თემებზე. «ახალი ეკონომიური პოლიტიკის» საკითხისათვის. (1918 წლის ორი სტატია და ერთი სიტყვა)» გამოსცა სახელმწიფო გამომცემლობის მოსკოვის განყოფილებამ 1922 წელს, ბროშურაში შევიდა «წინასიტყვაობა 1922 წლის გამოცემისათვის», სტატია «საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამო-

ცანები», მოხსენება სრ. რუს. ცაკ-ის სხდომაზე 1918 წლის 29 აპრილს საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანების შესახებ და სტატია ««მემარცხენე» ბავშვობისა და წვრილბურჟუაზიულობის შესახებ». — 836.

25 «პეტროგრადსკაია პრავდა» — ყოველდღიური გაზეთი. გამოდიოდა 1918 წლის 2 აპრილიდან. თავდაპირველად იყო რკპ(ბ) ცენტრალური და პეტროგრადის კომიტეტთა ორგანო. იმავე წლის ივნისიდან გაზეთი გახდა რკპ(ბ) ცენტრალურ, ჩრდილოეთის საოლქო და საქალაქო კომიტეტთა, ხოლო შემდეგ პარტიის საგუბერნიო და საქალაქო კომიტეტთა ორგანო. 1924 წლის იანვარში დაერქვა «ლენინგრადსკაია პრავდა». — 843.

დ ა მ ა ტ ე ბ ა

1 ოქტომბრის რევოლუციის პირველსავე დღეებში ბურჟუაზიული პრესა გაცოფებულ კამპანიას აწარმოებდა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის მიერ მიღებულმა გადამჭრელმა ზომებმა, რომელმაც 8 ნოემბერს (26 ოქტომბერს) დახურა მთელი რიგი ბურჟუაზიული გაზეთები: «რეჩ», «დენ», «პეტროგრადსკი ლისტოკ» და სხვ., არა მარტო წვრილბურჟუაზიული პარტიების (მემარცხენე ესერების, მაგალითად) პროტესტები და უკმაყოფილება გამოიწვია, არამედ აგრეთვე ჩვენი პარტიის ზოგიერთი წევრის მხრიდანაც: ი. ლარინის, დ. რიაზანოვის (ორივე პარტიაში შევიდა ოქტომბრის ცოტა ხნით ადრე), ვ. ნოგინისა და სხვ.

1917 წლის 17 (4) ნოემბერს სრულიად-რუსეთის ცაკ-ის სხდომაზე იხილებოდა საკითხი ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლების შესახებ (იხ. «სრულიად რუსეთის ცაკ-ის ოქმები», სრულიად-რუსეთის ცაკ-ის გამოც., მ. 1918 წ., გვ. 23 — 27). ლარინმა შეიტანა წინადადება სახკომსაბჭოს 10 ნოემბრის (28 დეკემბრის) დეკრეტის «ბეჭდვითი სიტყვის შესახებ» გაუქმების თაობაზე. (დეკრეტი იხ. «გაზეტა ვრემ. რაბ. ი. კრესტ. პრავიტ.» 1917 წლის 28 ოქტომბერი № 1; «სობრ. უზ. ი. რასპ.» № 1, 1917 წ. 14 (1) დეკემბერი). ლენინი ამ სხდომაზე სიტყვით გამოვიდა. აქ დაბეჭდილი დოკუმენტი, როგორც ჩანს, წარმოადგენს რეზოლუციას, რომლის წარდგენას ლენინი ამ სხდომაზე ვარაუდობდა. გაეცნო რა რეზოლუციის სხვა პროექტს, რომელიც ადრე ბოლშევიკების ფრაქციამ მოამზადა და შემდეგ სრულიად-რუსეთის ცაკ-მა მიიღო, ლენინს თავისი პროექტი აღარ გადაუცია პრეზიდიუმში კენჭისსაყრელად. — 852.

2 ვ. ი. ლენინმა თავისი გამოსვლის შემდეგ სრულიად-რუსეთის ცაკ-ში 17 (4) ნოემბერს ა. ვ. ლუნაჩარსკის დაავალა დაეწერა ეს დეკრეტი. ლენინმა დეკრეტის გადათვალიერებისა და რეპრესიების გაძლიერების აზრით შესწორებების შეტანის შემდეგ ხელი მოაწერა დეკრეტს. ვ. ი. ლენინი უფრო გვიან, 1921 წელს იმოწმებს ამ დეკრეტს თავის სიტყვაში მოსკოვის გუბპარტკონფერენციაზე. — 853

შინაარსი

ა. ოკოროკოვი, ვ. ი. ლენინი და ბეჭდვითი სიტყვის საკითხები 5

განყოფილება პირველი

ბეჭდვითი სიტყვა რუსეთში მარქსისტული პარტიის შექმნის პერიოდში

რუსეთის მუშათა ბეჭდვითი სიტყვის წარსულიდან 31
ჩვენი ამოცანები 40
წერილიდან პ. ბ. აქსელროდს. 1897 წლის 16 აგვისტოს 44
ბროშურიდან «რუსი სოციალ-დემოკრატების ამოცანები» 45
წერილიდან მ. ა. ულიანოვას და ა. ი. ულიანოვა-ელიზაროვას 1898 წლის 22 ნოემბერს . 46
ბროშურიდან «რუსეთის სოციალ-დემოკრატების პროტესტი» 48
სტატიები «რაბოჩაია გაზეთასათვის» წერილი რედაქტორთა ჯგუფისადმი 49
ჩვენი პროგრამა 52
ჩვენი უახლოესი ამოცანა 57
საარსებო საკითხი . 63
უკუსვლითი მიმართულება რუსეთის სოციალ-დემოკრატიაში 69
ნაშრომიდან «PROFESSION DE FOI»-ს გამო 101
«ისკრისა» და «ზარიას» რედაქციის განცხადების პროექტი 102
წერილიდან*** 1900 წლის 5 სექტემბერს 113
როგორ კინაღამ ჩაქრა «ისკრა»? 117
შეთანხმების პროექტი . 134
«ისკრის» რედაქციის განცხადება . . 135
წერილიდან პ. ბ. აქსელროდს 1900 წლის 18 ოქტომბერს 141
ა. ა. იაკუბოვას 1900 წლის 26 ოქტომბერს . 142
წერილიდან პ. ბ. აქსელროდს 1900 წლის 3 ნოემბერს 146
ბ. ვ. კლეხანოვს 1900 წლის 9 ნოემბერს 148
სტატიიდან «ჩინეთის ომი» . 153
ბ. ვ. კლეხანოვს 1901 წლის 30 იანვარს 154
«ბორბას» ჯგუფს 1901 წლის 3 თებერვალს 157
«ბორბას» ჯგუფს 1901 წლის 21 თებერვალს 159
სტატიიდან «მუშათა პარტია და გლეხობა» 161
ვ. პ. ნოგინს 1901 წლის 8 აპრილს 163

ბ. ვ. კლეხანოვს 1901 წლის 21 აპრილს 164
პ. ბ. აქსელროდს 1901 წლის 25 აპრილს 165
რით დავიწყოთ? 170
ლ. ვ. კნიპოვიჩს 1901 წლის 28 მაისს 179
პ. ბ. აქსელროდს 1901 წლის 1 ივნისს 180
ს. ო. ცედერბაუმს 1901 წლის ივლისის მეორე ნახევარში 182
წერილიდან ბ. ვ. კლეხანოვს 1901 წლის 25 ივლისს 187
წერილიდან პ. ბ. აქსელროდს 1901 წლის 24 აგვისტოს 189
ბ. ვ. კლეხანოვს 1901 წლის 1 დეკემბერს 191
ისკრულ ორგანიზაციებს რუსეთში 1901 წლის შუა დეკემბერში 193
ი. ბ. სმიდოვიჩს 1901 წლის 18 დეკემბერს 195
წიგნიდან «რა ვაკეთოთ? ჩვენი მოძრაობის საჭირბოროტო საკითხები» 196
ლ. ი. გოლდმანს 1902 წლის 3 იანვარს 252
პასუხი «მკითხველს» 1902 წლის 1 თებერვალს 253
სტატიიდან «რუსეთის ეკონომიურ ცხოვრებიდან» 255
«ისკრის» რედაქციის მოხსენებიდან რსდმპ კომიტეტთა თათბირს (კონფერენციას) 257
ბ. ვ. კლეხანოვს 1902 წლის 4 აპრილს 258
ბ. ვ. კლეხანოვს 1902 წლის 2 ივლისს 261
წერილი მოსკოვის კომიტეტს 1902 წლის 11 აგვისტოს 263
წერილი «იუჟნი რაბოჩის» რედაქციას 1903 წლის 3 სექტემბერს 266
ნაშრომიდან «საერთო პარტიულ ურილობაზე რსდმპ კომიტეტებისა და ჯგუფების მოხსენებათა საკითხისათვის» 269
წერილიდან ი. ვ. გაბუშკინს 1903 წლის 6 იანვარს 270
ხარკოვის კომიტეტს 1903 წლის 15 იანვარს 271
რამდენიმე აზრი 7 ც. 6 ფ.-ს წერილის გამო 273
ე. დ. სტასოვას 1903 წლის 28 იანვარს 281
ბ. ვ. კლეხანოვს 1903 წლის 15 მარტს 282
რსდმპ II ურილობა, 1903 წ. 17 (30) ივლისი — 10 (23) აგვისტო
პროექტი რეზოლუციისა პარტიული ლიტერატურის შესახებ 284

განუზომელობა მეორე

მეოთხეთი სიტყვა პროლეტარიატის დიქტატურისათვის კომუნისტური პარტიის ბრძოლის პერიოდში

პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა 287
რსდმპ ც. ო-ს რედაქციას 1903 წლის 5 ნოემბერს 294
ბ. ვ. კლეხანოვს 1903 წლის 6 ნოემბერს 295
ბ. მ. კრჟიჟანოვსკის 1903 წლის 8 ნოემბერს 297
მ. ნ. ლიადოვს 1903 წლის 10 ნოემბერს 299
გამოუქვეყნებელი განცხადება 305
«ისკრის» რედაქციას 1903 წლის 12 დეკემბერს 306
ბ. მ. კრჟიჟანოვსკის 1903 წლის 18 დეკემბერს 308
«ისკრის» რედაქციას 1903 წლის 27 დეკემბერს 311
შენიშვნა ახალი «ისკრის» პოზიციის გამო 313

ცენტრალურ კომიტეტს 1904 წლის 2 იანვარს 315
წინასიტყვაობა ბროშურისა «წერილი ამხანაგს ჩვენი ორგანიზაციული ამოცანების შესახებ» 317
პოლოსიტყვაობიდან ბროშურისა «წერილი ამხანაგს ჩვენი ორგანიზაციული ამოცანების შესახებ» 319
წიგნიდან «ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან (კრიზისი ჩვენს პარტიაში)» 323
რსდმპ საბჭო 1904 წლის 31 მაისი (13 ივნისი) და 5 (18) ივნისი სიტყვიდან გაზეთ «რასსვეტის» შესახებ 5 (18) ივნისს 326
წერილიდან ბლეიბოვს (ვ. ა. ნოეკოვს). 1904 წლის 11 სექტემბერს 327
წერილიდან ა. მ. სტოპანის 1904 წლის 10 ნოემბერს 334
წერილი ამხანაგებისადმი (პარტიული უმრავლესობის ორგანოს გამოსვლისათვის) 1904 წლის 29 ნოემბერს 335
წერილიდან ა. ა. ბოგდანოვს, რ. ს. ზემლიაჩკას, მ. მ. ლიტვინოვს 1904 წლის 3 დეკემბერს 342
კავკასიის კავშირის კომიტეტს 1904 წლის 20 დეკემბერს 344
საერობო კამპანია და «ისკრის» ბეგმა 345
მ. მ. ესენს 1904 წლის 24 დეკემბერს 366
ა. ი. ერამასოვს 1904 წლის 24 დეკემბერს 367
წერილიდან ამხანაგებს რუსეთში 1905 წლის 6 იანვარს 368
ა. ა. ბოგდანოვს 1905 წლის 10 იანვარს 369
უმრავლესობის კომიტეტთა ბიუროს მდივანს 1905 წლის 29 იანვარს 373
სტატიიდან «რევოლუციური დღეები» 374
რსდმპ ბათიმვის მოკლე ნარკვევი 377
სტატიიდან «პირველი ბაკვეთილები» 384
წერილი ა. ა. ბოგდანოვსა და ს. ი. გუსევს 1905 წლის 11 თებერვალს 385
III პარტიული ყრილობის მოწვევის შესახებ 390
წერილიდან ს. ი. გუსევს 1905 წლის მარტის დამდეგს 394
წერილიდან რსდმ პარტიის ოდესის კომიტეტს 1905 წლის 25 მარტს 395
რსდმპ III ყრილობა 1905 წლის 12 (25) აპრილი — 27 აპრილი (10) მაისი სიტყვა ცენტრალური კომიტეტის, ბუმაობა შეადგენ მოხსენებას გამო 25 აპრილი (8 მაისს) 396
წერილიდან რსდმ პარტიის ცენტრალურ კომიტეტს 1905 წლის 11 ივლისს 397
სტატიიდან «მესამე ნაბიჯი უკან» 399
წიგნიდან «სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში» 400
ბრაზიანი შეძურება 409
სტატიიდან «წინასიტყვაობა ბროშურისა «მუშები პარტიული გათიშვის შესახებ»» 414
ა. ვ. ლუნაჩარსკის 1905 წლის 15 და 19 აგვისტოს შუა 415
სტატიიდან «ჩვენი პარტიული საქმეების გაცნობა საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიისათვის» 417
რსდმპ ცენტრალური ორგანოს რედაქციისაგან 1905 წლის სექტემბერს 418
ჯ. ა. ქრასიკოვს 1905 წლის 14 სექტემბერს 420

წერილიდან რსდმპ ცენტრალურ კომიტეტს 1905 წლის 15 სექტემბერს 424
ს. ი. ბუსევს 1905 წლის 20 სექტემბერს . . 426
სტატიიდან «ბურჟუაზია მაძლარი და ბურჟუაზია მწყურვალი» 428
ნიკოლოზ ერნესტის ძე ბაუმანი 429
ბროშურიდან «კადეტების გამარჯვება და მუშათა პარტიის ამოცანები» 431
ბროშურიდან «მოხსენება რსდმპ გამაერთიანებელი ყრილობის შესახებ» (წერილი პეტერბურგის მუშებს) . 433
შენიშვნები «სოციალ-დემოკრატის» № 1-ის გამო 434
ბროშურიდან «მარტოვისა და ჩერევანინის გამოსვლა ბურჟუაზიულ პრესაში» . 440
სტატიიდან «კადეტებთან ბლოკის შესახებ» . 443
სტატიიდან «წინასიტყვაობა კრებულისა «12 წლის მანძილზე»» 447
რსდმპ-ს. — პეტერბურგის ორგანიზაციის კონფერენცია. საგაზეთო ანგარიშიდან. მოხსენება ბურჟუაზიულ პრესაში სოციალ-დემოკრატების მონაწილეობის შესახებ 448
ა. მ. გორკის 1908 წლის 7 თებერვალს 450
ა. მ. გორკის 1908 წლის აპრილის პირველ ნახევარში 454
წერილიდან ა. ვ. ლუნაჩარსკის 1908 წლის 16 აპრილს 455
ვ. იუშკევიჩს 1908 წლის 10 ნოემბერს 456
სტატიიდან «ორი წერილის გამო» 457
ა. ი. ულიანოვა-ელიზაროვას 1908 წლის 24 დეკემბერს 459
წერილიდან ა. ი. ულიანოვა-ელიზაროვას 1909 წლის 23 თებერვალს 461
ა. ი. ლიუბიმოვს 1909 წლის 18 აგვისტოს 463
გაზეთ «სოციალ-დემოკრატის» რედაქციას 1909 წლის 24 აგვისტოს 465
სტატიიდან «ოტზოვიზმისა და ღვთისმშენებლობის მომხრეთა ფრაქციის შესახებ» 467
წერილიდან ბ. შკლოვსკის 1910 წლის 14 ოქტომბერს 472
განცხადება «რაბოჩაია გაზეთას» გამოცემის შესახებ 474
ა. მ. გორკის 1910 წლის 14 ნოემბერს 482
ა. მ. გორკის 1910 წლის 22 ნოემბერს 484
წერილიდან რსდმ პარტიის ცკ.-ის რუსეთის კოლეგიას 1910 წლის შუა დეკემბერს 487
ივანე ვასილის ძე გაგუშკინი (ნეკროლოგი) 488
წერილიდან ა. მ. გორკის 1911 წლის 3 იანვარს 493
წერილიდან ა. მ. გორკის 1911 წლის აპრილის ბოლო რიცხვებში 495
წერილიდან ა. მ. გორკის 1911 წლის 15 სექტემბერს . 497
სტოლიპინური «მუშათა პარტიის განაკიდან (ძღვნად ჩვენებურ «შემარიგებლებს» და «შემთანხმებლებს») 498
სტატიიდან «შემარიგებელთა ანუ სათნოიანთა ახალი ფრაქციის შესახებ» 501
რსდმპ სრულიად რუსეთის VI («პრაღის») კონფერენცია 1912 წ. 5-17 (18-30) იანვარი რეზოლუციებიდან . . 502
ა. მ. გორკის 1912 წლის თებერვალში 504
ა. მ. გორკის 1912 წლის თებერვალ-მარტში 505

გაზეთ «ზვეზდის» რედაქციას (წინაწერი «რსდმ პარტიის საარჩევ-ნო პლატფორმაზე») 1912 წლის 13 მარტს	506
სტატიიდან «გადმოშალეთ თქვენი ბანქო»	507
ბროშურიდან «Vorwärts»-ის ანონიმი და საქმის ვითარება რსდმ პარტიაში»	508
გაზეთ «ზვეზდის» რედაქციას 1912 წლის 22 აპრილს	509
სტატიიდან «გერცენის ხსოვნას»	511
სტატიიდან «პეტერბურგის არჩევნების მნიშვნელობა»	516
ნახევარი წლის მუშაობის შედეგები	517
გაზეთ «პრავდის» რედაქციას 1912 წლის 19 ივლისს	531
გაზეთ «ნევსკაია ზვეზდას» რედაქციას 1912 წლის 24 ივლისს	533
სტატიიდან «IV სათათბიროს არჩევნების წინ»	535
გაზეთ «პრავდის» რედაქციას 1912 წლის პირველ აგვისტოს	538
გაზეთ «პრავდის» რედაქციას 1912 წლის 2 აგვისტოს	541
ლიკვიდატორები და ერთიანობა	543
სტატიიდან «საუბარი კადეტფამილიის» შესახებ	545
მუშები და «პრავდა»	546
სტატიიდან «წინათ და ახლა»	549
ბროშურიდან «ახლანდელი მდგომარეობისათვის რსდმ პარტიაში»	550
გაზეთ «პრავდის» რედაქციას» 1912 წლის 8 სექტემბერს	555
წერილი რედაქციას 1912 წლის ოქტომბრის პირველ ნახევარში	557
წერილიდან გაზეთ «პრავდის» რედაქციას 1912 წლის ოქტომბერში	560
ა. მ. გორკის 1912 წლის 17 ოქტომბერს	561
გაზეთ პრავდის რედაქციას 1912 წლის 2 ნოემბერს	563
გაზეთ «პრავდის» რედაქციას 1912 წლის ნოემბრის პირველ ნახევარში	565
გაზეთ «პრავდის» რედაქციას 1912 წლის 24 ნოემბერს	567
გაზეთ «პრავდის» რედაქციას 1912 წლის 26 ნოემბერს	568
წერილი ი. ბ. სტალინს 1912 წლის 6 დეკემბერს	570
წერილიდან ბ. შკლოვსკის 1912 წლის 20 დეკემბერს	572
წერილიდან ა. მ. გორკის 1912 წლის 22 ან 23 დეკემბერს	574
ცნობა და რეზოლუციები რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის თათბირისა პარტიულ მუშაკებთან რეზოლუციიდან ლიკვიდატორებისადმი დამოკიდებულების შესახებ და ერთიანობის შესახებ	575
ბოლშევიზმის შესახებ	576
სტატიიდან «არჩევნების შედეგები»	578
ა. მ. გორკის 1913 წლის იანვრის დამლევს	579
ი. მ. სვერდლოვს 1913 წლის 9 თებერვალს	583
გაზეთ «პრავდის» რედაქციას 1913 წლის 14 თებერვალს	586
გაზეთ «პრავდის» რედაქციას 1913 წლის 19 თებერვალს	587
გაზეთ «პრავდის» რედაქციას 1913 წლის 21 თებერვალს	588
ა. მ. გორკის 1913 წლის თებერვლის მეორე ნახევარში	590
გაზეთ «პრავდის» რედაქციას 1913 წლის 5 აპრილს	593
განათლებული დეპუტატები	595
წერილიდან «ცოტა რამ შედეგებსა და ფაქტებზე»	596
«ლუჩისა» და «პრავდის» მკითხველთა საყურადღებოდ	599
ა. მ. გორკის 1913 წლის მაისის პირველ ნახევარში	602

ᲒᲐᲖᲔᲗ «ᲞᲠᲐᲕᲓᲘᲡ» ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ 1913 ᲬᲚᲘᲡ ᲛᲐᲘᲡᲘᲡ ᲑᲝᲚᲝᲡ 604
ᲡᲢᲐᲢᲘᲘᲓᲐᲜ «ᲞᲣᲑᲚᲘᲪᲘᲡᲢᲘᲡ ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲔᲑᲘ» 606
«ᲞᲠᲐᲕᲓᲘᲡ» ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ (16 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ 1913. ᲖᲐᲙᲝᲞᲐᲜᲔ) 607
ᲬᲔᲠᲘᲚᲘᲓᲐᲜ Ვ. Მ. ᲙᲐᲡᲞᲐᲠᲝᲕᲡ 1913 ᲬᲚᲘᲡ ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲨᲘ 611
«ᲡᲔᲕᲔᲠᲜᲘᲐ ᲞᲠᲐᲕᲓᲘᲡ» ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ (ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ ᲓᲐᲛᲚᲔᲕᲔᲡ 1913 Წ. ᲞᲝᲠᲝᲜᲘᲜᲘ) 612
ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚ ᲛᲣᲨᲐᲙᲔᲑᲗᲐᲜ ᲠᲡᲓᲛᲐ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ 1913 ᲬᲚᲘᲡ ᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘᲡ ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲘᲡ ᲠᲔᲖᲝᲚᲣᲪᲘᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ 613
ᲒᲐᲖᲔᲗ «ᲞᲠᲐᲕᲓᲐ ᲢᲠᲣᲓᲐᲡ» ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ ᲓᲐᲬᲔᲠᲘᲚᲘᲐ ᲐᲠᲐ ᲣᲐᲓᲠᲔᲡ 1913 ᲬᲚᲘᲡ 30 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲠᲘᲡᲐ 615
ᲡᲢᲐᲢᲘᲘᲓᲐᲜ «ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ» 616
ᲡᲢᲐᲢᲘᲘᲓᲐᲜ «ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ ᲡᲐᲗᲐᲗᲑᲘᲠᲝᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚ-ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲤᲠᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲨᲘᲒᲜᲘᲗ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ» 617
ᲒᲐᲖᲔᲗ «ᲖᲐ ᲞᲠᲐᲕᲓᲣᲡ» ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ ᲓᲐᲬᲔᲠᲘᲚᲘᲐ ᲐᲠᲐᲣᲐᲓᲠᲔᲡ 1913 ᲬᲚᲘᲡ 16 ᲜᲝᲔᲛᲑᲠᲘᲡᲐ 620
ᲬᲔᲠᲘᲚᲘ Ვ. ᲕᲝᲘᲢᲘᲜᲘᲡᲙᲘᲡ 1913 ᲬᲚᲘᲡ 20 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲡ 621
ᲡᲢᲐᲢᲘᲘᲓᲐᲜ «ᲛᲣᲨᲔᲑᲘᲡ ᲚᲘᲑᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲠᲣᲕᲜᲐ» 624
ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ 1914 ᲬᲚᲘᲡ 31 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲡ . 625
ᲒᲐᲖᲔᲗ «ᲞᲣᲢ ᲞᲠᲐᲕᲓᲘᲡ» ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ 1914 ᲬᲚᲘᲡ 9 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲡ 627
ᲡᲢᲐᲢᲘᲘᲓᲐᲜ «Ა. ᲑᲝᲒᲓᲐᲜᲝᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ» 628
ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲚᲘᲖᲛᲘ ᲓᲐ ᲑᲔᲭᲓᲕᲘᲗᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ . . . 629
ᲬᲔᲠᲘᲚᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲖᲔᲗ «ᲞᲣᲢ ᲞᲠᲐᲕᲓᲘᲡ» ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ ᲓᲐᲬᲔᲠᲘᲚᲘᲐ 1914 ᲬᲚᲘᲡ 23 ᲛᲐᲠᲢᲖᲔ ᲐᲓᲠᲔ 633
Ვ. Გ. ᲡᲢᲐᲜᲙᲔᲕᲘᲩᲘᲡ 1914 ᲬᲚᲘᲡ 24 ᲛᲐᲠᲢᲘ . 634
ᲡᲢᲐᲢᲘᲘᲓᲐᲜ «ᲑᲝᲚᲝᲜᲘᲡᲘᲢᲧᲕᲐᲝᲑᲐ ᲙᲠᲔᲑᲣᲚᲘᲡᲐ: «ᲛᲐᲠᲥᲡᲘᲖᲛᲘ ᲓᲐ ᲚᲘᲙᲕᲘᲓᲐᲢᲝᲠᲝᲑᲐ»» 635
ᲬᲔᲠᲘᲚᲘᲓᲐᲜ Ვ. Ჯ. ᲙᲐᲠᲞᲘᲜᲡᲙᲘᲡ ᲓᲐᲬᲔᲠᲘᲚᲘᲐ 1914 ᲬᲚᲘᲡ 22 ᲛᲐᲘᲡᲖᲔ ᲣᲤᲠᲝ ᲒᲔᲘᲐᲜ 636
ᲡᲢᲐᲢᲘᲘᲓᲐᲜ «ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ» 637
ᲡᲢᲐᲢᲘᲘᲓᲐᲜ «ᲐᲜᲐᲠᲥᲘᲖᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ» 639
ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲙᲚᲐᲡᲘ ᲓᲐ ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲞᲠᲔᲡᲐ . 640
ᲡᲢᲐᲢᲘᲘᲓᲐᲜ «ᲝᲑᲘᲔᲥᲢᲘᲠᲘ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲔᲑᲘ ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐᲨᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲗᲐ ᲡᲘᲫᲚᲘᲔᲠᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ» 649
ᲡᲢᲐᲢᲘᲘᲓᲐᲜ «ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲐᲓ ᲫᲚᲘᲔᲠᲘᲐ ᲛᲣᲨᲔᲑᲨᲘ ᲛᲔᲛᲐᲠᲪᲮᲔᲜᲔ-ᲜᲐᲠᲝᲓᲜᲘᲙᲣᲚᲘ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲐ» 650
ᲠᲡᲓᲛᲐ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲓᲐ ᲡᲐᲘᲜᲡᲢᲠᲣᲥᲪᲘᲝ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐᲡ ᲑᲠᲘᲣᲡᲔᲚᲘᲡ ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲖᲔ . 651
ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲑᲔᲭᲓᲕᲘᲗᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲡ ᲓᲦᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲖᲔᲗ «ᲞᲣᲢ ᲞᲠᲐᲕᲓᲘᲡ» ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘᲓᲐᲜ 653
ᲡᲢᲐᲢᲘᲘᲓᲐᲜ «ᲠᲐ ᲓᲐᲐᲛᲢᲙᲘᲪᲐ ᲠᲡᲓᲛ ᲤᲠᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲐᲛ?» 662
Ი. ᲚᲐᲠᲘᲜᲡ 1916 ᲬᲚᲘᲡ 13 ᲛᲐᲠᲢᲡ 663
Ა. Გ. ᲨᲚᲘᲐᲞᲜᲘᲙᲝᲕᲡ ᲓᲐᲬᲔᲠᲘᲚᲘᲐ 1915 ᲬᲚᲘᲡ ᲛᲐᲠᲢᲨᲘ-ᲐᲞᲠᲘᲚᲨᲘ 664
ᲠᲡᲓᲛᲐ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐᲡᲐ. ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲕ ᲘᲬᲕᲔᲕᲡ (ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ) ᲘᲡᲚ 666

ა. გ. შლიაპნიკოვს 1916 წლის 23 მაისს . . . 667
წერილიდან ა. შლიაპნიკოვს დაწერილია 1916 წელს სექტემბრის
დამლევს — ოქტომბრის დამდეგს . . 671
მოხსენებიდან «1905 წლის რევოლუციის შესახებ» 672
წერილიდან ა. მ. კოლონტაის 1917 წლის 16 მარტს 673
რესპუბლიკელ ზოვიინისტთა ოინები 674
კაპიტალისტების ურცხვი სიცრუე . . 678
წერილიდან ი. ს. განეცკის და კ. გ. რადეკს 1917 წლის 12 აპრილს 680
სტატიიდან «„რუსკაია ვოლიას» კვალდაკვალ» 681
სტატიიდან «სიცრუის კავშირი» 682
ჯარისკაცებისა და მატროსებისადმი 684
დამრგევთა წინააღმდეგ. მუშებს, ჯარისკაცებსა და პეტროგრადის
მთელ მოსახლეობას 687
როგორ აგნევენ ნათელ საკითხს? . 691
«ახალი» მთავრობა უკვე ჩამორჩა არა მარტო რევოლუციურ
ზუშებს, არამედ გლეხობის მასასაც . . 694
სტატიიდან «კონტრრევოლუციის გადასვლა შეტევაზე» («უხალხო
იაკობინელები») . . . 695
რსდმპ (ბ) პეტერბურგის კომიტეტის სხდომა 1917 წ. 30 მაისი
(12 ივნისი)
1. სიტყვა პეტერბურგის კომიტეტის ორგანოს საკითხზე . 696
2. პეტერბურგის კომიტეტის სხდომაზე შეტანილი რეზოლუციე-
ბის პროექტები . . . 697
ზერილი რსდმპ (ბოლშევიკების) პეტროგრადის ორგანიზაციის
რაიონული კომიტეტებისადმი 1917 წლის 31 მაისს 699
სტატიიდან «ბოლშევიზმი და ჯარის გაბრწნა» . . 703
სტატიიდან «სად არის ხელისუფლება და სად არის კონტრრე-
ვოლუცია?» 704
შავრაზმელი გაზეთებისა და ალექსინსკის საზიზღარი ცილის-
წამება 705
ბროშურიდან «ლოზუნგებისათვის» . 706
სტატიიდან «მადლობა თავად ბ. ე. ლვოვს» . 707
წერილიდან ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთულ ბიუროს
1917 წლის 17/30 აგვისტოს . . 708
როგორ უზრუნველვყოთ დამფუძნებელი კრების წარმატება (ბეკ-
დვითი სიტყვის თავისუფლების შესახებ) 710
სტატიიდან «რევოლუციის ამოცანები» 716

განუოფილება მესამე

ბეჭდვითი სიტყვა სოციალიზმის აზენებისათვის პარტიის ბრძოლის პერიოდში

ნაშრომიდან «პირველადელი მონასახი სტატიისა «საბჭოთა ხელის-
უფლების მორიგი ამოცანები»» სტენოგრაფიული ჩანაწერი 719
პროექტი რეზოლუციისა პრესის თავისუფლების შესახებ 727

სრულიად რუსეთის ცაკ-ის 1917 წ. (17) ნოემბრის სხდომა 729
წინასიტყვაობა ბროშურისა: «მასალები აგრარულ საკითხზე» 732
რკპ(ბ) მეშვიდე ყრილობა 1918 წ. 6-8 მარტი პროგრამის პროექტის შავი ვონასახიდან 734
სრულიად რუსეთის საბჭოების საგანგებო IV ყრილობა 1918 წ. 14-18 მარტი მოხსენებიდან საზავო ხელშეკრულების რატიფიკაციის შესახებ 14 მარტს 735
ბროშურიდან «საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანები» 736
ნაშრომიდან «თეზისები თანამედროვე პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ» 739
ჩვენი გაზეთების ხასიათის შესახებ 740
სტატიიდან «პროლეტარული რევოლუცია და რენეგატი კაუცკი» 743
წიგნიდან «პროლეტარული რევოლუცია და რენეგატი კაუცკი» 744
სტატიიდან »პატარა სურათი დიდი საკითხების გამოსარკვევად» 745
კომუნისტური ინტერნაციონალის I კონგრესი 1919 წ. 2-6 მარტი თეზისებიდან და მოხსენებებიდან ბურჟუაზიული დემოკრატიისა და პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ 4 მარტი 747
რკპ (ბ) VIII ყრილობა (1919 წ. 18-23 მარტი) ცენტრალური კომიტეტის ანგარიშიდან 18 მარტს 749
პროგრამის ზოგადპოლიტიკური ნაწილის მესამე პუნქტის პროექტი (პარტიის VIII ყრილობის საპროგრამო კომისიისათვის) 751
ნაშრომიდან «დიადი თაოსნობა (მუშების გმირობის შესახებ ზურგში... «კომუნისტური შაბათობათა» გამო)» 753
სიტყვიდან განათლებისა და სოციალისტური კულტურის მუშაკთა სრულიად რუსეთის I ყრილობაზე 1919წ. 31 ივლისს 758
ვ. ვ. ვოროვსკის 1919 წლის 24 ოქტომბერს 759
სტატიიდან «ვეგრძელოთ სათბობის კრიზისს» ცირკულარული წერილი პარტიული ორგანიზაციებისადმი 761
რუსული ენის გაწმენდის შესახებ (ფიქრები მოცლილობისას, ე. ი. კრებებზე სიტყვების მოსმენის დროს) 763
ბ. მ. კრჟიჟანოვსკის 1920 წლის 23 იანვარს 765
სიტყვიდან პრესნის რაიონის მუშათა და წითელარმიელთა უპარტიო კონფერენციაზე 1920 წ. 24 იანვარს. საგაზეთო ანგარიში 767
რკპ (ბ) IX ყრილობა 1920 წ. 29 მარტი — 5 აპრილი სიტყვიდან ყრილობის დახურვის დროს 5 აპრილს 768
ნაშრომიდან «თეზისები კომუნისტური ინტერნაციონალის მეორე კონგრესის ძირითადი ამოცანების შესახებ» 769
სტატიიდან «კომუნისტურ ინტერნაციონალში მიღების პირობები» 771
სახელმწიფო გამომცემლობას და ე. ა. პრეობრაჟენსკის და ნ. ი. ბუხარინს 772
სტატიიდან «თეზისები საწარმოო პროპაგანდის შესახებ» (შავი მონასახი) 774
სტატიიდან «განსახორციელების მუშაობის შესახებ» 777
სტატიიდან «ერთიანი სამეურნეო გეგმის შესახებ» 782
წერილიდან ბ. მ. კრჟიჟანოვსკის 1921 წლის 25 თებერვალს 784

ბროშურიდან «შრომისა და თავდაცვის საბჭოს განაწესი ადგილობრივი საბჭოთა დაწესებულებებისათვის» პროექტი 785
სიტყვიდან ადგილობრივი ეკონომიური ორგანოების შესახებ სრულიად რუსეთის ცაკის სხდომაზე 1921 წ. 30 მაისი 787
«გლავნეფტს» 1921 წლის 3 ივნისს 789
წერილი ბ. მიასნიკოვს 1921 წლის 5 აგვისტოს 790
წერილიდან ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოსადმი 1921 წლის 16 აგვისტოს 796
სტატიიდან «ახალი დრიება, ძველი შეცდომები ახალი სახით» 798
წერილი გაზეთ «ეკონომიჩესკაია ჟიზნის» რედაქციას 1921 წლის 1 სექტემბერს 799
წერილიდან დ. ი. კურსკის 1921 წლის 3 სექტემბერს 803
წერილიდან ნ. პ. გორბუნოვს 1921 წლის 3 სექტემბერს 804
ე. ს. კისელიოვს 1921 წლის 15 სექტემბერს 805
წერილი ბ. ბ. კრუიეანოვსკის 1921 წლის 17 ოქტომბერს 806
ლ. კამენევს 27 ოქტომბერი (1921) 808
მოსკოვის VII საგუბერნიო პარტიული კონფერენცია 1921 წ. 29-31 ოქტომბერი ახალი ეკონომიური პოლიტიკის შესახებ 809
წერილი «იზვესტიის» რედაქციას 1921 წლის 21 დეკემბერს 813
ბარათი ბ. ი. კრუმინს 1921 წლის დამლევს 814
ვ. ა. კარპინსკის 1922 წლის 26 იანვარს 815
ეგბრძოლი მატერიალიზმის მნიშვნელობის შესახებ 816
«ბედნიერების» ოთხი წლის იუბილესათვის 827
რკპ (ბ) XI ყრილობა 1922 წ. 27 მარტი — 2 აპრილი
რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ანგარიში 27 მარტს 829
დადგენილებიდან მოადგილეთა (სახალხოსაბჭოსა და შრომისა და თავდაცვის საბჭოს მოადგილეთა) მუშაობის შესახებ 832
ნ. ოსინსკის 1922 წლის 12 აპრილს 834
წინასიტყვაობიდან ბროშურისა: «ძველი სტატიები ახალ თემებთან ახლობელ თემებზე» 836
«პრავდის» ათი წლის იუბილესათვის 838
«პეტროგრადსკაია პრავდას» 1922 წლის 1 ნოემბერს 843
«პრავდას» 1922 წლის 2 ნოემბერს 844

დამატება

ვ. ი. ლენინის მიერ ხელმოწერილი დეკრეტები და დადგენილებანი გეგდვითი სიტყვის შესახებ

დეკრეტი გეგდვითი სიტყვის შესახებ 847
გეგდვითი სიტყვის რევოლუციური ტრიბუნალის შესახებ 849
ბანკებზე ბურჟუაზიული გაზეთების დამოკიდებულების გამომკვლევი კომისიის დანიშვნის შესახებ. რეზოლუციის პროექტი 852
დეკრეტი განცხადებებზე სახელმწიფო მონოპოლიის შემოღების შესახებ 853

28 ოქტომბერი (10 ნოემბერი) 1917 წ. დადგენილება სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის მიერ დახურული გაზეთების გამოსვლის აკრძალვის შესახებ 855
4 (17) დეკემბერი 1917 წ. ორდერი ი. ბ. ფერეთლის, ვ. ვ. ჩერნოვის, თ. ნ. დანისა და სხვათა დასაპატიმრებლად და რევოლუციური ტრიბუნალის სამართალში მისაცემად ცილისმწამებლური გაზეთ «რევოლუციონნი ნაბატის» პროვოკაციული მიზნით გამოშვებისათვის 855
სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტი 856
13 (26) დეკემბერი 1917 წ. მიწერილობა ბეჭდვითი სიტყვის საქმეთა კომისრის მოადგილეს ი. იანკოვსკის «ბირჟევიე ვედომოსტის» სტამბის რეკვიზიციისათვის ლონისძიებათა მილების შესახებ 856
ფოსტა-ტელეგრაფის უწყების დაწესებულებებში საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოებთა გაყიდვის დაწესების შესახებ. (სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტი) 857
შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი 858

ი ლ უ ს ტ რ ა ც ი ე ბ ი

ვ. ი. ლენინის პორტრეტი . . . . 4-5 შორის
პირველი გვერდი ვ. ი. ლენინის ხელნაწერისა «როგორ კინალამ ჩაქრა «ისკრა?» — 1900 წ. . . . 116
სატიტულო ფურცელი ბროშურისა «მარტოვისა და ჩერევანინის გამოსვლა ბურჟუაზიულ პრესაში» . 439
პირველი გვერდი ხელნაწერისა «განცხადება «რაბოჩაია გაზეტას» გამოცემის შესახებ» — 1910 წ. ოქტომბერი . . . 473
პირველი გვერდი 1912 წ. 1 აგვისტოს გაზეთ «პრავდისა» № 80, რომელშიც დაბეჭდილია გაგრძელება ვ. ი. ლენინის სტატიისა «ნახევარი წლის მუშაობის შედეგები» . . . 537
პირველი გვერდი ვ. ი. ლენინის ხელნაწერისა «დიადი თაოსნობა» 1919 წ. 28 ივნისი . . 752
პირველი გვერდი ვ. ი. ლენინის ხელნაწერისა «რუსული ენის გაწმენდის შესახებ» 762

ЛЕНИН О ПЕЧАТИ

Издательство ЦК КП Грузии
Тбилиси 1962 г.

*

ხელმოწერილია დასაბეჭდად 1962 წ.
14 ივლისს. ფორმატი 60×92 1/16. ფიზი-
კურ ფორმათა რაოდენობა 57 2/3.
შეკვეთის № 1495; ტირაჟი 10.000
ფასი 1 მან 50 კაპ.

*

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის
№ 1 სტამბა ქ. თბილისი. ლენინის, 14.